„ყავისფერი“ ეკონომიკა ანუ ტრადიციული ეკონომიკა, ინდუსტრიალიზაციის ეპოქის დასაწყისიდან მომდინარე, დაკავშირებულია წარმოების პროცესებში ნახშირბადის მაღალ შემცველობასთან (ვინაიდან იგი ძირითადად ემყარება წიაღისეული სათბობის გამოყენებას), რესურსების მფლანგველურ მოხმარებასა და სოციალურ ექსკლუზიურობასთან. ამის საწინააღმდეგოდ „მწვანე“ ეკონომიკა ხასიათდება ნახშირბადის დაბალი შემცველობით, რესურსების რაციონალური მოხმარებითა და სოციალური ინკლუზიურობით<sup>9</sup>. იგი არა მხოლოდ ინარჩუნებს, არამედ აღადგენს ბუნებრივ კაპიტალს.

„მწვანე“ ეკონომიკის იდეა შემუშავდა მდგრადი განვითარების კონცეფციის საფუძველზე და მისი განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი გზაა. მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ სფეროებს თანაბრად. „მწვანე“ ეკონომიკაც მოიცავს სამივე ამ სფეროს, მაგრამ აქცენტი გადატანილია რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე, ბუნების შენარჩუნებასა და განვითარებაზე. აქ ადამიანთა კეთილდღეობის ამადლებაში უდიდეს როლს თამაშობს ადამიანის ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოში ცხოვრებისა და საქმიანობის პრობლემები აწმყოსა და მომავალში.

„მწვანე“ ეკონომიკის მთავარი მოწოდებაა - ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობის ამადლება არსებული არაგანახლებადი რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენების, მათი ეკოლოგიურად სუფთა რესურსებით ჩანაცვლების, ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნებისა და განვითარების გზით.

### ბუნებრივი კაპიტალი

ბუნებრივი კაპიტალი არის ბუნებრივი აქტივების მსოფლიო მარაგები, რომელიც მოიცავს გეოლოგიურ, ნიადაგის, ჰაერის, წყლის, ყველა ცოცხალი ორგანიზმის რესურსებს, ასევე ფართო სპექტრის მომსახურებას, რომელსაც იღებენ ადამიანები და რაც შესაძლებელს ხდის სიცოცხლეს<sup>10</sup> (მას ხშირად ეკოსისტემურ მომსახურებას უწოდებენ) [Розенберг 2016]. ბუნებრივი კაპიტალი მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს: აბიოტიკურ ბუნებრივ კაპიტალს (წიაღი, წყალი, მიწა, ჰაერი და სხვ.) და აბიოტიკურ ნაკადებს (წვიმა, ქარი, ტემპერატურა, სიმაღლე ზღვის დონიდან, ნიადაგი, ჭუჭყი, კვების საგნები, მზის გამოსხივება და სხვ.)<sup>11</sup>.

ეკონომიკურმა საქმიანობამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ხდება დედამიწის თითოეული უჯრედის წარმოების პროცესში ჩართვა, რაც დაკავშირებულია გარემოს მდგომარეობის გაუარესებასა და ბუნებრივი კაპიტალის ამოწურვასთან სულ უფრო და უფრო დიდი მასშტაბებით [Усенко И.Б. 2018]. ბუნებისადმი უყურადღებო დამოკიდებულება, ადამიანთა ბუნებრივ კაპიტალზე ნეგატიური ზემოქმედება გამოიწვევს რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების შემცირებას, გარემოს დაბინძურებას, კლიმატის ცვლილებას, საერთოდ, აქტივების უკმარისობას (2025 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობა შეიძლება დაიტანჯოს წყლის ნაკლებობისაგან, 2030 წლისათვის შეიძლება დაიკარგოს ბიომ-

<sup>9</sup>[https://www.google.com/search?client=opera&hs=ZYI&ei=CDDiXMiEEY2Fk74PhKS5wA0&q=коричневая+экономика&oq=коричневая+экономика&gs\\_l=psy-ab.12..35i39i19j35i39j0i203j0i30l2j0i5i30.207281.221323..227595..0.0..0.167.431.0j3.....0....2j1..gws-wiz.....0i71j35i304i39j-0i19j0i22i30i19j0i13i30i19j0i13i5i30i19.HjQ45qAuff0](https://www.google.com/search?client=opera&hs=ZYI&ei=CDDiXMiEEY2Fk74PhKS5wA0&q=коричневая+экономика&oq=коричневая+экономика&gs_l=psy-ab.12..35i39i19j35i39j0i203j0i30l2j0i5i30.207281.221323..227595..0.0..0.167.431.0j3.....0....2j1..gws-wiz.....0i71j35i304i39j-0i19j0i22i30i19j0i13i30i19j0i13i5i30i19.HjQ45qAuff0)

<sup>10</sup> <https://www.google.com/search?client=opera&q=The+natural+capital&sourceid=opera&ie=UTF-8&oe=UTF-8>

<sup>11</sup> <https://www.google.com/search?client=opera&q=components+of+natural+capital&sourceid=opera&ie=UTF-8&oe=UTF-8>

რავალფერ-ოვნების 10% [Towards...2011] და ა. შ.). ასეთ პირობებში მცირდება ბუნებრივი კაპიტალის მიერ მოწოდებული მომსახურების დონე, რასაც მოჰყვება ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება და ცხოვრების დონის შემცირება.

ამიტომ „მწვანე“ ეკონომიკის მთავარი ამოცანა ბუნებრივი კაპიტალი შენარჩუნება და განვითარებაა.

### „მწვანე ზრდა“ და „მწვანე დასაქმება“

„მწვანე ზრდა“ გულისხმობს ერთდროულად ეკონომიკურ ზრდასა და გარემოს სტაბილურობას. „მწვანე“ ეკონომიკის ყველაზე რადიკალურ დამცველებს მიაჩნიათ, რომ მომავალი თაობა არ უნდა დაფუძავშიროთ ეკონომიკურ ზრდას. ანუ ეკონომიკური ზრდა უნდა შეწყდეს.

როგორც აღინიშნა, „მწვანე ეკონომიკა“ მოწოდებულია გავზარდოთ ეკონომიკის მასშტაბები, მაგრამ არ უნდა გავაღარბოთ ბუნებრივი კაპიტალი. ბუნებრივი კაპიტალის დეგრადაცია არა მხოლოდ აუარესებს ცოცხალი ორგანიზმების მდგომარეობას, არამედ აძვირებს ეკონომიკას, უფრო მეტი ფიზიკური კაპიტალის შექმნა ხდება საჭირო, იგივე საქონლის შესაქმნელად ან მომსახურების გასაწევად. მაგალითად, თუ წყალს დავაბინძურებთ, უფრო დიდი ინფრასტრუქტურის შექმნა გახდება საჭირო წყლის მისაწოდებლად და ა. შ. 2011 წელს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (The Organization for Economic Co-operation and Development (OECD)) მიერ მიღებული იქნა დოკუმენტი - „გზად მწვანე ზრდისაკენ“ (Towards Green Growth<sup>12</sup>) [Towards...2011]. მასში გადმოცემულია რეკომენდაციები და ინსტრუმენტები შემდგომი ეკონომიკური ზრდისა ისე, რომ ბუნებრივი კაპიტალი აგრძელებდეს ადამიანებისათვის ეკოსისტემურ მომსახურებას.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ავტორებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ „მწვანე“ ეკონომიკა შრომის ბაზარს აფართოებს უფრო მეტად, ვიდრე ტრადიციული, „ყავისფერი“ ეკონომიკა. მართალია, „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის დროს გარემოს გასაჯანსაღებლად, ბუნებრივი კაპიტალის შესანარჩუნებლად, დაგროვებული ეკოლოგიური პრობლემების აღმოსაფხვრელად იქმნება ახალი სამუშაო ადგილები ალტერნატიული ენერჯეტიკის, „მწვანე“ მშენებლობის, ნარჩენების გადამუშავებისა და უტილიზაციის, ორგანული სოფლის მეურნეობის ფორმირების, „მწვანე“ ეკონომიკის შესაბამისი სპეციალისტების სწავლებისა და გადამზადების, ეკოლოგიური მეწარმეობის განვითარების მიმართულებით, მაგრამ სანამ არ დამთავრდება ძირითადად „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლა, მანამ ეკონომიკური ზრდის ტემპები ნაკლები იქნება, ვიდრე ეს იქნებოდა ტრადიციული ეკონომიკის დროს, ვინაიდან გარდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა, „მწვანე“ ეკონომიკის დროს რესურსები მიედინება ისეთი ბუნებისდაცვითი ღონისძიებების განხორციელებაზეც, რომელიც ახალ სამუშაო ადგილებს არ ქმნის (მაგალითად, ფილტრების შექმნაზე მეტალურგიაში, მშენებლობასა და ენერჯეტიკაში და ა. შ.). სამაგიეროდ, უმჯობესდება ადამიანთა ჯანმრთელობა და შრომითი რესურსების კვლავწარმოების პროცესები და იზრდება ქვეყნის ადამიანისეული კაპიტალი და სხვ. ასევე „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლა ძირითადად უნდა მოხდეს ადღენადი ბუნებრივი რესურსების გამოყენების მეშვეობით. ადღენის პროცესები კი შეზღუდულია დროში და იძულებული ვართ ეკონომიკის ზრდის ტემპები მას შევუსაბამოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე გვექნება ისევ „ყავისფერ“ ეკონომიკასთან, რაც მიგვიყვანს ბუნებრივი კაპიტალის გაჩანაგებასთან.

„მწვანე“ დასაქმება გულისხმობს ისეთი სამუშაო ადგილების შექმნას, სადაც გამოიყენება რესურსდამზოგი და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები. „მწვანე“ სამუშაო ადგილი ერთმანეთისაგან შესაძლებელია განვასხვავოთ ორი კრიტერიუმის მიხედვით: 1. პროდუქციის გამოშვების მიხედვით და 2. წარმოების პროცესის მიხედვით. პირველი კრიტერიუმის მიხედვით სამუშაო ადგილები დაკავშირებულია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის გამოშვებასთან, ხოლო მეორე კრიტერიუმის მიხედვით - ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების (რესურსდამზოგი, გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები) გამოყენების მიხედვით.

<sup>12</sup> Towards Green Growth. 2011. <https://www.oecd.org/greengrowth/48012345.pdf>

მსოფლიოში „მწვანე“ სამუშაო ადგილის შეფასება ხდება სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით. ჩინეთში, მაგალითად, გამოიყენება შემდეგი დეტერმინანტები: გარემოს დაცვა; ენერჯის მოხმარების შემცირება; ნარჩენების შემცირება; გარემოს ხარისხის ამაღლება; ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება; ადამიანისეული კაპიტალის ხარისხის ამაღლება და ა. შ. [Войкина 2018].

არ შეიძლება ვისაუბროთ “მწვანე ეკონომიკაზე” სიღარიბის აღმოსვრის პრობლემაზე საუბრის გარეშე ანუ სოციალური პოლიტიკისაგან მოწყვეტის გარეშე, ვინაიდან ნებისმიერი ეკონომიკის მთავარი მიზანია ხალხის კეთილდღეობის ამაღლება.

### **„წრიული“ ეკონომიკა**

**„წრიული“ ეკონომიკა, „მწვანე“ ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი და მისი ფორმირების ერთ-ერთი საშუალებაა.**

დღევანდელი მსოფლიო დიდი გამოწვევის წინაშე დგას - არაადგენადი რესურსების მსოფლიო მარაგები თანდათან იწურება და აუცილებელია მათი რაც შეიძლება დიდი ხნით შენარჩუნება, სანამ ალტერნატიული რესურსების მიღების პრობლემა არ გადაწყდება. ასევე ეკონომიკური ზრდა საფრთხეს უქმნის კაცობრიობას გლობალური და ლოკალური ხასიათის ეკოლოგიური პრობლემების გამძაფრების გამო. ასევე მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა ის, რომ მომავალში რესურსების მოპოვება თანდათან გაძნელდება და მათზე მოთხოვნა კი გაიზრდება, მაშასადამე, რესურსები გაძვირდება, პარალელურად გაძვირდება ბუნებისდაცვითი ღონისძიებები.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა ზემოთ მოყვანილ პრობლემათა გადაჭრისა, არის წრიული ეკონომიკის ფორმირება, სწორხაზოვანი ეკონომიკისგან განსხვავებით, სადაც მოქმედებს პრინციპი: ნედლეულის გამოყენება პროდუქტის საწარმოებლად, ხოლო ნარჩენების (რომელთა გამოყენება კვლავ შესაძლებელია პროდუქციის მისაღებად) გარემოში ჩაშვება და მისი დაბინძურება. წრიული ეკონომიკა ადგენადი სისტემაა, რომელშიც როგორც რესურსები, ისე ნარჩენები მინიმიზებულია. წრიული ეკონომიკის მთავარი კონცეფცია მიმართულია ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე. წრიული ეკონომიკის ძირითადი პრინციპია რესურსების მაქსიმალური გამოყენება, გარემოსადმი მინიმალური დაბინძურების მიყენების პირობებში. ეს მიიღწევა განახლებადი რესურსების გამოყენებისა და მეორადი ნედლეულის გადამუშავების შედეგად. წრიული ეკონომიკის სქემაა: რესურსები – პროდუქცია – ნარჩენები – რესურსები. მაშასადამე, არა მხოლოდ ზრდა, არამედ ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნება, მათგან ზოგიერთის (ტყის, ნიადაგის, რეკრიაციული და სხვ.) ზრდაც კი. სწორხაზოვანი ეკონომიკის პირობებში არსებობს ბუნებრივი რესურსების სწრაფად ამოწურვის, კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დეგრადაციის საფრთხე, წარმოების ჯაჭვის ციკლურობის პრინციპი კი ერთდროულად ამ საფრთხეს ამცირებს და, მეორე მხრივ, ეკონომიკას ახალ შესაძლებლობებს აძლევს [აბესაძე რ. 2019].

### **ინოვაციური ეკონომიკა, ეკონომიკური განვითარება და „მწვანე“ ეკონომიკა**

როგორც ცნობილია, თანამედროვე ეტაპზე განვითარებულ ქვეყნებში ფუნქციონირებს ინოვაციური ეკონომიკა, რომელიც ეფუძნება ინოვაციების გამუდმებულ, სულ უფრო მზარდ ნაკადს, ეკონომიკის ყველა სფეროში და ეკონომიკური სისტემის ყველა ელემენტში – საკუთრების ფორმებში, ფიზიკურ და ადამიანისეულ კაპიტალში, ტექნოლოგიებში, ინსტიტუტებში, ინფორმაციებში. რით არის განპირობებული ინოვაციების ასეთი ტემპები და მიმართულება? უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა კეთილდღეობის ღონის ამაღლებით. „მწვანე“ ეკონომიკის ჩასახვა და განვითარებაც, სწორედ ამ მიზეზით მოხდა – ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება, უპირველეს ყოვლისა, ეკოლოგიური მოთხოვნების უზრუნველყოფის საფუძველზე.

შეიძლება თუ არა „მწვანე“ ეკონომიკა ინოვაციური ეკონომიკისაგან მოწყვეტით წარმოვიდგინოთ? რასაკვირველია არა, იგი ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების შემადგენელი ნაწილია. „მწვანე“ ეკონომიკაზე რეალური ფიქრი და მისი განხორციელება ეკონომიკური განვითარების გარკვეულ ეტაპზე გახდა შესაძლებელი, კერძოდ მაშინ, როდესაც ამისათვის საჭირო ინოვაციური განვითარების დონე (შესაბამისი

ინოვაციური პოლიტიკა, ინოვაციური სისტემა, ტექნოლოგიები, ინსტიტუციები და ა. შ.) და ფინანსური სახსრები საკმარისი იყო. დღეისათვის განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციური ეკონომიკა შედგება ორი ნაწილისაგან - „ყვითელი“ ეკონომიკისა (რომლის ხვედრთი წილი თანდათან კლებულობს) და „მწვანე“ ეკონომიკისაგან (რომლის ხვედრთი წილი თანდათან იზრდება). ორივე ეს ნაწილი, ჯერჯერობით, მზარდია, მაგრამ უფრო სწრაფად, საბოლოოდ, გაიზრდება „მწვანე“ ეკონომიკა და ჩამოყალიბდება ინოვაციური ეკონომიკა, სადაც აბსოლუტურად დიდ ნაწილს დაიკავებს „მწვანე“ ეკონომიკა. თუმცა ინოვაციური ეკონომიკა უფრო რთული სისტემაა აქ მიმდინარეობს უფრო რთული პროცესები, მაგალითად, „მოაზროვნე ტექნოსფეროს“ ჩამოყალიბების პროცესები [Abesadze R., 2014] და სხვ.

„მწვანე“ ეკონომიკის ფორმირებისათვის აუცილებელია როგორც ეკონომიკური განვითარება (ანუ ეკონომიკის თვისებრივი სრულყოფა), ისე ეკონომიკური ზრდა (ანუ ეკონომიკის რაოდენობრივი მატება), თუმცა სულ უფრო გადამწყვეტი ხდება ეკონომიკური განვითარება. სწორედ თვისებრივი ცვლილებები ეკონომიკაში, ინოვაციები ხდის „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის შესაძლებლობას, ვინაიდან ეს პროცესი მოითხოვს თვისებრივ ცვლილებებს ეკონომიკური სისტემის ყველა ელემენტში. გარდა ამისა, თანამედროვე ეტაპზე უკვე დაწყებულია პროცესი ეკონომიკური ზრდის საწინააღმდეგო მოქმედებისა ანუ ეკონომიკური კლებისა [Abesadze 2018; Abesadze P. – 2018]. ამის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეკოლოგიური მოთხოვნების ამოქმედებაა, მათ შორის, „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლა, ვინაიდან ეკონომიკას ვერ გაეზრდით იმაზე მეტად, ვიდრე ამას ბუნების კვლავწარმოების პროცესები მოითხოვენ. მაშასადამე, „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლა განაპირობებს ეკონომიკური ზრდის გარკვეულ სტაბილიზაციას. რაც შეეხება ეკონომიკურ განვითარებას, პირიქით, ის კიდევ უფრო უნდა დაჩქარდეს. იგი მოახდენს ეკონომიკური ზრდის შენელების კომპენსაციას, ვინაიდან ახალი სამომხმარებლო თვისებების მქონე პროდუქციის ათვისება და არსებულის გაუმჯობესება ადამიანთა კომფორტს ზრდის, ეკონომიკური ზრდის გარეშე.

ეკონომიკური კლება არ ნიშნავს ეკონომიკურ დაქვეითებას, იგი ეკონომიკური განვითარების თანამდგომარეობის პროცესია და გამოწვეულია ეკონომიკაში პროგრესული თვისებრივი ცვლილებებით. იგი არის ძველის ჩამოშორების, რესურსტევალობის შემცირების, უნარჩენო და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვის, სულ უფრო მაღალი კომფორტის უზუნველყოფელი პროდუქციის შექმნის პროცესი. მოკლედ რომ ვთქვათ, სწორედ ეკონომიკური განვითარება იძლევა „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის საშუალებას. ამისათვის კი აუცილებელია ქვეყანაში ინოვაციური სისტემის არსებობა, რათა მუდმივად მიმდინარეობდეს ინოვაციების დანერგვის პროცესი. სწორედ ინოვაციების დანერგვა ხდის შესაძლებელს ეკონომიკური ზრდის ტემპები შევუსაბამოთ ბუნებაში მიმდინარე კვლავწარმოების პროცესებს, დავიცვათ და განვაავითაროთ ბუნებრივი კაპიტალი და იმავდროულად ავამაღლოთ ადამიანთა კეთილდღეობის დონე. „მწვანე“ ეკონომიკის მთავარი ამოცანაც სწორედ ამაში მდგომარეობს.

### **„მწვანე“ ეკონომიკა საქართველოში**

საქართველოში „მწვანე“ ეკონომიკის ფორმირების მიმართულადაა გარკვეული ინსტიტუციური საფუძვლები მომზადებულია. კერძოდ: მიღებულია საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ (1996); საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა სამი ეროვნული პროგრამა; საქართველოს კანონი - „ნარჩენების მართვის კოდექსი“; „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“. ამ დოკუმენტებში ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად ასახულია საქართველოს გარემოსდაცვითი მიზნები და პრიორიტეტები, განსაზღვრულია სტრატეგიული გრძელვადიანი მიზნები, უახლოეს 5 წელიწადში განსახორციელებელი ამოცანები და კონკრეტული ქმედებები, რომლებიც აუცილებელია გარემოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გარემოსდაცვითი პოლიტიკის მთავარ მიზნად აღიარებულია ქვეყნის მდგრადი და დაბალანსებული განვითარება, რომლის დროსაც გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები ერთ სიბრტყეში განიხილება. საქართველო მონაწილეობს საერთაშორისო კონვენციებში: **ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების**



ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“<sup>13</sup>, „სტოკჰოლმის კონვენცია „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ“<sup>14</sup>, „მინამატას კონვენცია „ვერცხლისწყლის შესახებ“<sup>15</sup> და სხვ.). საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის კორპორაციის (GIZ) მიერ მომზადდა მწვანე ზრდის პოლიტიკის დოკუმენტი. ამასთან ერთად, 2016 წლის ნოემბერში საქართველო მიუერთდა „მწვანე ზრდის დეკლარაციას“, რომლის შესაბამისად, ქვეყნები აცხადებენ, რომ გააძლიერებენ მწვანე ზრდის სტრატეგიებზე მუშაობის ძალისხმევას იმის გათვალისწინებით, რომ მათში ერთდროულად იყოს გათვალისწინებული „მწვანე“ და „ზრდა“, ასევე ხელს შეუწყობენ მწვანე ინვესტირებას. მწვანე ეკონომიკის პრინციპები გულისხმობს მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და მთავრობის ანგარიშგაღებულებისათვის [ქავთარაძე 2018].

შეიძლება გამოიყოს სხვა პოზიტიური აქტივობებიც, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოში „მწვანე“ ეკონომიკის ფორმირების მიმართულებით. მაგალითად: მიმდინარეობს მუშაობა „მწვანე“ ეკონომიკის ზრდის სტრატეგიაზე. მის შექმნაში მონაწილეობენ ეკონომიკური პროფილის სამინისტროები და შემდეგი დონორი ორგანიზაციები: ევროპის აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნების ეკონომიკების გამწვანების პროექტი (EaP GREEN), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP); დაიწყება ჰაერის ხარისხის ევროპული სტანდარტის დანერგვა. უკვე არსებული თანამედროვე ავტომატური მონიტორინგის ქსელი საშუალებას იძლევა, სწორედ ევროპული სტანდარტებით მოხდეს ჰაერის ხარისხის შეფასება; 2018 წლის პირველი იანვრიდან დაიწყო ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროცესი; ბენზინსა და დიზელში დამბინძურებელ ნივთიერებათა ნორმა დაუახლოვდება ევროპულ სტანდარტს; უპირატესობა მიენიჭება ეკოლოგიურ ტრანსპორტს, მათ შორის მსუბუქ და დაბალი კუბატურის მქონე ავტომობილებს, დაიწყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეცვლა ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტრანსპორტით; დაგეგმილია გადასახადებისგან სრულად გაავთავისუფლდეს ის სექტორი, რომელიც საქართველოში შეძლებს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას; ქალაქებში შეიქმნება ახალი მწვანე რეკრეაციული სივრცეები, მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდება დაცული ტერიტორიებისა და ყველა ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური ეკოსისტემების განვითარებაში; გაძლიერდება ტყის დაცვა მისი სარეკრეაციო და ტურისტული მიზნებისთვის განვითარება, ამისათვის დაგეგმილია ხე-ტყის იმპორტის წახალისება და სხვა;

“მწვანე” ეკონომიკაზე გადასვლის მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობს თბილისის მერია, რომელმაც შეიმუშავა გარემოსდაცვითი სტრატეგია 2015-2020 და მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმა 2017-2030.

საქართველოში „მწვანე“ ეკონომიკის ფორმირების გზაზე არსებობს არა ერთი მწვავე პრობლემა: მდინარეები დაბინძურებულია აზოტის ნაერთებით, ზოგიერთი - მძიმე ლითონებით, ნავთობპროდუქტებით, კომუნალური სექტორის ნარჩენებით; არ ხდება ჩამდინარე წყლის სათანადო გაწმენდა, წყლის ბიოლოგიური გაწმენდა და ა. შ.; ნიადაგის დაბინძურების, ეროზიული პროცესების, ნიადაგის მეორადი დაჭაობებისა და დამლაშების, სასარგებლო წიაღისეულისა და საშენ მასალათა ღია წესით მოპოვების, ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად დიდია ნიადაგის დანაკარგები; უკანონო და უკონტროლო ხე-ტყის მოპოვება; ატმოსფერო დაბინძურდება ავტოსატრანსპორტითა და ენერგეტიკით (საერთო მაგნე გაფრქვევებში პირველ ადგილზეა ნახშირუხანგი, შემდეგ ნახშირწყალბადები, მეთანი, მყარი ნაწილაკები, აზოტის ოქსიდები და ამიაკი); სერიოზული ნაკლოვანებებია ადამიანთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიმართულებით (სურსათის უვნებლობის, ქიმიკატების უსაფრთხო გამოყენება. ავტომობილების გამონაბოლქვის მაგნე ზემოქმედება, საბანაო-სარეკრეაციო წყლების არასაკმარისი

<sup>13</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485058?publication=0>

<sup>14</sup> [http://www.moe.gov.ge/res/docs/22133.5384stokholmis\\_konvencia\\_mdgradi\\_organuli\\_dambindzureblebis\\_shesakheb.pdf](http://www.moe.gov.ge/res/docs/22133.5384stokholmis_konvencia_mdgradi_organuli_dambindzureblebis_shesakheb.pdf)

<sup>15</sup> <http://www.moe.gov.ge/ka/სიახლეები/2016-09-27-minamatas-konvencia-vercxlisyliis>

\*<https://marshalpress.ge/archives/217089>; <https://www.facebook.com/bakhtadzemamuka/posts/მწვანე-ეკონომიკა-გარემოსდაცვითი-კონვენცია/301440800591996/>;

<https://sputnik-georgia.com/economy/20170428/235783938/saqarTveloSi-mwvane-ekonomikis-strategiis-SemuSaveba-daiwyo.html>

სანიტარულ-ჰიგიენური დაცულობა და სხვ.), ნაკლოვანებები არსებობს ბიომრავალფეროვნებათა შენარჩუნების სფეროში (ჰაბიტატების კარგვა, ფრაგმენტაცია და დეგრადირება, უკანონო ნადირობა და თევზჭერა, უცხო სახეობების ინტროდუქცია, ბიოლოგიური რესურსების არამდგრადი გამოყენება და სხვ. ფაქტორები, დაცული ტერიტორიები არა ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის, არამედ ტურიზმის განვითარების რესურსად გამოიყენება); ადგილობრივი და არატრადიციული ენერგორესურსების ათვისების დაბალი დონე (საქართველო მდიდარია: ჰიდროენერგორესურსებით, მზის, ქარისა და თერმული წყლების რესურსებით, მაგრამ ყველა ეს რესურსი დღეისათვის მცირეა ათვისებული), არასრულყოფილია ნარჩენების მართვის სისტემა, იგი არ შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს; სრულყოფას საჭიროებს შესაბამისი ინსტიტუციური ბაზა (მაგ. მისაღებია კანონი სამთო გადამუშავების ნარჩენების შესახებ, „მწვანე“ ეკონომიკის განვითარების სტრატეგია და სხვ.); გასაძლიერებელია გარემოსდაცვითი განათლების სისტემა [იხ. აბესაძე 2015] და სხვ.

შეძლებს თუ არა საქართველო „მწვანე“ ეკონომიკაზე სწრაფ გადასვლას? პასუხი ამ კითხვაზე უარყოფითია, ვინაიდან „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლა დამოკიდებულია ეკონომიკის განვითარების საერთო დონეზე. მართალია, საზღვარგარეთის დახმარების შედეგად ეს პროცესი შესაძლებელია დაჩქარდეს, მაგრამ მისი სირთულიდან გამომდინარე, თუ მთელ ეკონომიკაში დრმა თვისებრივი ცვლილებები არ მოხდა, სრულყოფილად ვერ განხორციელდება. აუცილებელი ქვეყანაში დაიწყო ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობა, შესაბამისი ინოვაციური სისტემის ფორმირება [იხ. Abesadze 2018}, რომლის პირობებშიც უფრო ინტენსიური გახდება მსოფლიო გამოცდილების გამოყენებაც და იმ დაბრკოლებების გადალახვაც, რომელიც საქართველოსათვის იქნება დამახასიათებელი.

## დასკვნები

1. „მწვანე“ ეკონომიკა არის ინოვაციური ეკონომიკის ის ნაწილი, რომელშიც გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება არის მინიმიზებული და მიმართულია ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობის ამაღლებისაკენ. იგი ხასიათდება ნახშირბადის დაბალი შემცველობით, რესურსების რაციონალური მოხმარებითა და სოციალური ინკლუზიურობით, განსხვავებით „ყავისფერი“ ანუ ტრადიციული ეკონომიკისაგან, რომელიც ხასიათდება ნახშირბადის მაღალი შემცველობით (ვინაიდან იგი ძირითადად ემყარება წიაღისეული სათბობის გამოყენებას), რესურსების მფლანგველური მოხმარებითა და სოციალური ექსკლუზიურობით. იგი გულისხმობს ეკოლოგიური მოთხოვნების – რესურსების რაციონალური გამოყენების, ბუნების კლავწარმოების პროცესების შენარჩუნების, ცოცხალი ორგანიზმების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მწარმოებლურობის გაზრდის გზით ადამიანთა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2. ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება და განვითარება განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა კეთილდღეობის დონის ამაღლებით. „მწვანე“ ეკონომიკის ჩასახვა და განვითარებაც, სწორედ ამ მიზეზით მოხდა – ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება, უპირველეს ყოვლისა, ეკოლოგიური მოთხოვნების უზრუნველყოფის საფუძველზე.

3. „მწვანე“ ეკონომიკა ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების შემადგენელი ნაწილია. „მწვანე“ ეკონომიკაზე რეალური ფიქრი და მისი განხორციელება ეკონომიკური განვითარების გარკვეულ ეტაპზე გახდა შესაძლებელი, კეძოდ მაშინ, როდესაც ამისათვის საჭირო ინოვაციური განვითარების დონე (შესაბამისი ინოვაციური პოლიტიკა, ინოვაციური სისტემა, ტექნოლოგიები, ინსტიტუციები და ა. შ.) და ფინანსური სახსრები საკმარისი იყო. დღეისათვის განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციური ეკონომიკა შედგება ორი ნაწილისაგან „ყვითელი“ ეკონომიკისა (რომლის ხვედრთი წილი თანდათან კლებულობს) და „მწვანე“ ეკონომიკისაგან (რომლის ხვედრთი წილი თანდათან იზრდება). ორივე ეს ნაწილი, ჯერჯერობით, მზარდია, მაგრამ უფრო სწრაფად საბოლოოდ გაიზრდება „მწვანე“ ეკონომიკა და ჩამოყალიბდება ინოვაციური ეკონომიკა, სადაც აბსოლუტურად დიდ ნაწილს დაიკავებს „მწვანე“ ეკონომიკა. თუმცა ინოვაციური ეკონომიკა უფრო რთული სისტემაა აქ მიმდინარეობს უფრო რთული პროცესები, მაგალითად „მოაზროვნე ტექნოსფეროს“ ჩამოყალიბების პროცესები და სხვ.

4. „მწვანე“ ეკონომიკა წარმოადგენს არაინოვაციური ეკონომიკების ნაწილსაც, მაგრამ იგი, ძირითადად, წარმოშობილია საერთაშორისო ორგანიზაციების ზეგავლენით

(ვინაიდან დედამიწა წარმოადგენს კაცობრიობის საერთო საცხოვრისს) და ემყარება განვითარებულ ქვეყნებში შექმნილ ტექნოლოგიებს, აქ „მწვანე“ ეკონომიკის სრულფასოვანი ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობასთან ერთად, ვინაიდან „მწვანე“ ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესში ადგილი აქვს ძირეულ ცვლილებებს ეკონომიკურ სრსტემაში, მის ყველა ელემენტში, რაც მიიღწევა მხოლოდ ინოვაციების განხორციელების გზით, მოცემული ქვეყანის თავისებურებებიდან გამომდინარე.

5. „მწვანე“ ეკონომიკის მიზნები ემსახურება მომავალში რესურსებით უზუნველყოფის საქმესაც, ვინაიდან არააღდგენადი, მიღწევადი რესურსების ჩანაცვლება ხდება აღდგენადი, ეკოლოგიურად სუფთა რესურსებით. თუმცა, მომავალში რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემა უფრო ფართოა და გლობალური ხასიათი აქვს.

6. „მწვანე“ ეკონომიკის იდეა შექმნილია მდგრადი განვითარების კონცეფციის საფუძველზე და მისი განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი გზაა.

7. ადამიანთა ბუნებრივ კაპიტალზე ნეგატიური ზემოქმედება გამოიწვევს რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების შემცირებას, გარემოს დაბინძურებას, კლიმატის ცვლილებას, საერთოდ, აქტივების უკმარისობას. ასეთ პირობებში მცირდება ბუნებრივი კაპიტალის მიერ მოწოდებული მომსახურების დონე, რასაც მოჰყვება ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება და ცხოვრების დონის შემცირება. ამიტომ „მწვანე“ ეკონომიკის მთავარი ამოცანა ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნება და განვითარებაა.

8. მართალია, „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის დროს იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, მაგრამ ეკონომიკური ზრდის ტემპები ნაკლები იქნება, ვიდრე ეს იქნებოდა ტრადიციული ეკონომიკის დროს, ვინაიდან გარდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა, „მწვანე“ ეკონომიკის დროს რესურსები მიედინება ისეთი ბუნებისდაცვითი ღონისძიებების განხორციელებაზეც, რომელიც ახალ სამუშაო ადგილებს არ ქმნის, გარდა ამისა, „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლა ძირითადად უნდა მოხდეს აღდგენადი ბუნებრივი რესურსების გამოყენების მეშვეობით. აღდგენის პროცესები კი შეზღუდულია დროში და იძულებული ვართ, ეკონომიკის ზრდის ტემპები მას შევუსაბამოთ, რაც, ბუნებრივია, ეკონომიკური ზრდის გარკვეულ სტაბილიზაციას იწვევს.

9. „მწვანე“ სამუშაო ადგილი ერთმანეთისაგან შესაძლებელია განვასხვაოთ ორი კრიტერიუმის მიხედვით: 1. პროდუქციის გამოშვების მიხედვით და 2. წარმოების პროცესის მიხედვით. პირველი კრიტერიუმის მიხედვით სამუშაო ადგილები დაკავშირებულია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის გამოშვებასთან, ხოლო მეორე კრიტერიუმის მიხედვით - ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების (რესურსდამზოვი, გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები) გამოყენებასთან.

10. წრიული ეკონომიკა არის „მწვანე“ ეკონომიკის განხორციელების ერთ-ერთი გზა. იგი აღდგენადი სისტემაა, რომელშიც როგორც რესურსები, ისე ნარჩენები მინიმიზებულია.

11. „მწვანე“ ეკონომიკის ფორმირებისათვის აუცილებელია როგორც ეკონომიკური განვითარება, ისე ეკონომიკური ზრდა, თუმცა სულ უფრო გადამწყვეტი ხდება ეკონომიკური განვითარება. სწორედ თვისებრივი ცვლილებები ეკონომიკაში, ინოვაციები ხდის „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის შესაძლებლობას. თანამედროვე ეტაპზე უკვე დაწყებულია პროცესი ეკონომიკური ზრდის საწინააღმდეგო მოქმედებისა ანუ ეკონომიკური კლებისა. ამის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეკოლოგიური მოთხოვნების ამოქმედებაა, მათ შორის, „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლა, ვინაიდან ეკონომიკას ვერ გაეზრდით იმაზე მეტად, ვიდრე ამას ბუნების კვლავწარმოების პროცესები მოითხოვენ. მაშასადამე, „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლა განაპირობებს ეკონომიკური ზრდის გარკვეულ სტაბილიზაციას. რაც შეეხება ეკონომიკურ განვითარებას, პირიქით, ის კიდევ უფრო უნდა დაჩქარდეს. იგი მოახდენს ეკონომიკური ზრდის შენელების კომპენსაციას, ვინაიდან ახალი სამომხმარებლო თვისებების მქონე პროდუქციის ათვისება და არსებულის გაუმჯობესება ადამიანთა კომფორტს ზრდის, ეკონომიკური ზრდის გარეშედაც.

12. საქართველოში „მწვანე“ ეკონომიკის ფორმირების მიმართულებით გარკვეული ინსტიტუციური საფუძვლები მომზადებულია. ამ დოკუმენტებში ასახულია საქართველოს გარემოსდაცვითი მიზნები. გარდა ამისა, განხორციელებულია და უახლოეს მომავალში იგეგმება გარკვეული აქტივობები: მიმდინარეობს მუშაობა „მწვანე“ ეკონომიკის ზრდის სტრატეგიაზე; საქართველო მონაწილეობს საერთაშორისო ბუნებისდაცვით კონვენციებში: დაიწყო ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების

პროცესი; უპირატესობა მიენიჭება ეკოლოგიურ ტრანსპორტს, დაიწყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეცვლა ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტრანსპორტით; არსებული თანამედროვე ავტომატური მონიტორინგის ქსელის გამოყენებით დაიწყო ჰაერის ხარისხის ევროპული სტანდარტის დანერგვა; იანვრიდან ბენზინსა და დიზელში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ნორმა დაუახლოვდება ევროპულ სტანდარტს; გადასახადებისგან სრულად გათავისუფლება ის სექტორი, რომელიც საქართველოში ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციას აწარმოებს; ქალაქებში შეიქმნება ახალი მწვანე რეკრეაციული სივრცეები, მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდება დაცული ტერიტორიებისა და ყველა ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური ეკოსისტემების განვითარებაში; გაძლიერდება ტყის დაცვა მისი სარეკრეაციო და ტურისტული მიზნებისთვის განვითარება, ამისათვის დაგეგმილია ხე-ტყის იმპორტის წახალისება და სხვ.

13. „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლა დამოკიდებულია ეკონომიკის განვითარების საერთო დონეზე. მართალია, საქართველოში საზღვარგარეთის დახმარების შედეგად ეს პროცესი შესაძლებელია დაჩქარდეს, მაგრამ მისი სირთულიდან გამომდინარე, თუ მთელ ეკონომიკაში ღრმა თვისებრივი ცვლილებები არ მოხდა, იგი სრულყოფილად ვერ განხორციელდება. აუცილებელია ქვეყანაში დაიწყოს ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობა, შესაბამისი ინოვაციური სისტემის ფორმირება {იხ. Abesadze... 2018}, რომლის პირობებშიც უფრო ინტენსიური გახდება მსოფლიო გამოცდილების გამოყენება, საკუთარი თავისებურებების გათვალისწინება და იმ დაბრკოლებების გადალახვა, რომელიც საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის იქნება დამახასიათებელი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. 2015. მდგრადი განვითარების ეკონომიკური ასპექტები. წიგნში: “ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები”. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალათა კრებული თბილისი, “თსუ გამომცემობა”.
2. აბესაძე რ. 2018. ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ზოგიერთი ტენდენციის შესახებ: “ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები” (6-7 ივლისი, 2018). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული თბ., “თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”.
3. აბესაძე რ. 2019. წრიული ეკონომიკა: არსი და გამოწვევები. „ეკონომისტი“, № 1.
4. კრიალაშვილი ქ. 2017. მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერა. <https://www.slideshare.net/ketikrialashvili/ss-78196550>
5. ქავთარაძე ი. 2018. „მწვანე ზრდა“ ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს სტაბილურობას ერთდროულად გულისხმობს <http://www.economy.ge/?page=news&nw=654&s=irma-qavtaradze-mwvane-zrda->
6. Abesadze R, Burduli V. 2018. „Foreign experience and formation innovation system Georgia“. LAMBERT. Akademik Publishing.
7. Abesadze R. 2017. Modern global trends and problems of sustainable development. International scientific internet conference. Paata Gugushvili Institute of Economics TSU. <http://www.conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=eng&adgi=346&title=MODERN%20GLOBAL%20TRENDS%20AND%20PROBLEMS%20OF%20SUSTAINABLE>
8. Abesadze R., 2014. High technologies – the most important factor of economic development. wignSi: MOANDRY WSPÓŁPRACY SIECIOWEJ W EUROPIE ŚRODKOWEJ I WSCHODNIEJ, “Copyright by Wydawnictwo KUL”, Lublin. Modern Trtmd of Economic Development.
9. Абесадзе Р. – 2018. Экономическое Уменьшение – сопутствующий процесс экономического развития. Сборник Матерялов международной научно - практической конференций - «Экономика и менеджмент: перспективы интеграции и инновационного развития» (г. Днепр (Украина), 19–20 апреля 2018 года). <http://www.confcontact.com/2018-ekonomika-i-menedzhment/1-abesadze.pdf>
10. David W. Pearce, Anil Markandya, Edward B. Barbier. 20013. Blueprint for a Green Economy, Pearce et al, (First published by Farthscan in the UR and USA in 1989); <https://www.amazon.co.uk/Blueprint-Green-Economy-David-Pearce/dp/1853830666>

11. Future we want. 2012. Outcome document of the United Nations Conference on Sustainable Development Rio de Janeiro, Brazil, 20–22 June 2012  
<https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/733FutureWeWant.pdf>

12. Towards Green Growth. 2011. <https://www.oecd.org/greengrowth/48012345.pdf>

13. Войкина Е. А., Потравный И. М. 2018. Зеленая занятость и рынок труда в условиях формирования экологически ориентированной экономики. Москва. Вестник Санкт-Петербургского Университета, Т. 34. Вып. 2 <https://cyberleninka.ru/article/v/zelenaya-zanyatost-i-rynok-truda-v-usloviyah-formirovaniya-ekologicheskii-orientirovannoy-ekonomiki>

14. Лыжин Д. Н. 201. Перспективы развития «зеленой экономики»: глобальные и региональные проблемы. <https://riss.ru/analytics/5915/>

15. Разработка национальной концепции политики развития «зеленой» экономики в качестве одного из важных инструментов обеспечения устойчивого развития в рамках его экологического, экономического и социального аспектов. 2013.  
[http://mfa.gov.by/print/international\\_agenda/d79e163b0c8f47f2.html](http://mfa.gov.by/print/international_agenda/d79e163b0c8f47f2.html)

16. Розенберг А. Г. 2016. К вопросу определения экосистемных услуг и природного капитала. <https://cyberleninka.ru/article/n/k-voprosu-opredeleniya-ekosistemnyh-uslug-i-prirodnogo-kapitala>

17. Структура природного капитала как паритетного фактора производства.  
[http://elar.urfu.ru/bitstream/10995/54084/1/vestnik\\_2009\\_4\\_010.pdf](http://elar.urfu.ru/bitstream/10995/54084/1/vestnik_2009_4_010.pdf)

18. Яшалова Н. Н. 2013. «Зеленая» экономика: вопросы теории и направления развития. <https://cyberleninka.ru/article/n/zelenaya-ekonomika-voprosy-teorii-i-napravleniya-razvitiya>

*ანზორ აბრალავა  
დავით ფოღიაშვილი*

**ფირმის ეკოლოგიური მენეჯმენტის  
ბანკოთარების ტენდენციები**

*ანოტაცია. თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელია ეკოლოგიის კანონზომიერებები და მათი საბოლოო შედეგები. „ეკოლოგია“, როგორც ცოდნის დამოუკიდებელი დარგი, ადამიანის შეხედულება გარემომცველ სამყაროზე და მასთან ურთიერთქმედება, გახნდა გასული საუკუნის შუახანებში. შემდეგ კი დაიწყო მზარდი ეკოლოგიური კრიზისის გაცნობიერების პროცესი. კაცობრიობის წინაშე დადგა ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჯანსაღი შეფასების, საზოგადოების ფასეულობათა სისტემის, მისი იდეალების გადამოწმებისა და ანალიზის, ასევე დროის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მთლიანად საზოგადოებრივი განვითარების მიზნებისა და საშუალებების სისტემაში მოყვანის ამოცანები.*

*საკვანძო სიტყვები: ეკოლოგია, ეკონომიკა, ეკოლოგიური კრიზისი, ბუნებრივი რესურსი, ეკოლოგიური მენეჯმენტი.*

**შესავალი**

ეკონომიკის მიზანია კაცობრიობის კეთილდღეობის ამაღლება, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ხარჯზე მისი მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამასთან, გვეჩვენება, რომ ბუნებრივი მარაგი ამოუწურავია და მხოლოდ პლანეტის სხვადასხვა წერტილებში სულ უფრო მეტი პერიოდულად წარმოქმნილი ეკოლოგიური კრიზისები გვაიძულებს დაფიქრდეთ იმაზე, რომ არ შეიძლება ასე დაუფიქრებლად ვპარცევავეთ ბუნებას და სანაცვლოდ არაფერს ვაძლევდეთ. ბუნება და საზოგადოება, ეკოლოგია და ეკონომიკა დაკავშირებულია ერთმანეთთან საერთო საარსებო გარემოთი, ნივთიერებათა, ენერჯისა და ინფორმაციის საერთო ნაკადებით. მრავალ ეკონომიკურ პრობლემას განაპირობებს ეკოლოგიის კანონების მიმართ ავადებული დამოკიდებულება. გარემოს დაბინძურება და ბუნებრივი რესურსების მიღევა ცივილიზაციის ყველაზე სერიოზული პრობლემებია, პირველ რიგში კი იგი ეკოლოგიურ-პოლიტიკური პრობლემაა. ეკონომიკასა და ეკოლოგიას შორის წინააღმდეგობების გამწვავების ძირითადი მიზეზია მოსახლეობის რიცხოვნობა და მისი სწრაფი ზრდა, ადამიანის მიერ რესურსებისათვის მიყენებული ზიანის მოცულობის გადიდება და ეკონომიკის ძლიერი ჩამორჩენა მეურნეობის ეკოლოგიზაციის პირველხარისხოვანი ამოცანებისგან. ეკონომიკასა და ეკოლოგიას შორის

წინააღმდეგობების გამწვავება კი არა განიზიდავს მათ, არამედ უფრო მეტად აკავშირებს ერთმანეთთან.

\* \* \*

ბუნება მუდამ იყო და იქნება ადამიანის ცხოვრების პირველწყარო. ბუნება ასრულებს ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ ეკოლოგიურ, ეკონომიკურ, ესთეტიკურ, რეკრეაციულ, სამეცნიერო, კულტურულ ფუნქციებს<sup>16</sup>.

ეკოლოგიური ფუნქცია. ადამიანი ურთიერთქმედებს საარსებო გარემოსთან მისი არსებობისათვის ეკოლოგიურად ყველაზე ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფი ბუნების ფარგლებში. ეკოლოგიური ოპტიმუმი აქ მიიღწევა ეკოლოგიური წონასწორობის დამყარების გზით ბუნების მოვლენებისა და პროცესების ურთიერთქმედებისა და ურთიერთკავშირის პროცესში. ბუნებრივი რესურსების მდგომარეობა: მიწის, წყლის, ჰაერის, ტყის, - განსაზღვრავს ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას სუნთქვაზე, ჭამაზე, დაღევაზე. იგი ასევე განსაზღვრავს კლიმატისა და ამინდის მდგომარეობას, რაც ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანისთვის.

ეკონომიკური ფუნქცია. ბუნებრივ რესურსებს ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია. ისინი წარმოადგენენ ადამიანის სულ უფრო მზარდი მრავალფეროვანი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წყაროს. ეკონომიკური ფუნქცია მაშინ გაჩნდა, როცა ადამიანმა დაიწყო ბუნებრივი რესურსების აქტიური გამოყენება: შექმნა პირველი შრომის იარაღი, დაიწყო საცხოვრისის მშენებლობა, ბუნებრივი სიმდიდრეების მოპოვება.

ბუნების ესთეტიკური, რეკრეაციული, სამეცნიერო, კულტურული ფუნქციები გაჩნდა ადამიანისა და საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე. ბუნებასთან ურთიერთობის პროცესში ადამიანი იკმაყოფილებს თავის სულიერ და კულტურულ მოთხოვნილებებს, იღებს ინფორმაციას, ცოდნას.

ბუნებრივი რესურსების ხელსაყრელი მდგომარეობის შენარჩუნებას უნდა უზრუნველყოფდეს ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის ხარჯზე ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესის რეგულირება.

უკანასკნელ წლებში მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში გაძლიერდა დისციპლინათაშორისი კვლევების ჩატარების ტენდენცია. სხვადასხვა მეცნიერებებისათვის დამახასიათებელი მეთოდების კომბინირება, ასევე დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის გაერთიანება ხელს უწყობს კვლევითი მუშაობის შედეგების ამაღლებას, ახალი იდეებისა და კონცეფციების წარმოქმნას, ასევე პრაქტიკული გამოცდილების ტრანსფერს ცოდნის ერთი სფეროდან მეორეში. ასეთი დისციპლინათაშორისი კვლევები მენეჯმენტისა და ეკოლოგიის სფეროებში დასაბუთებულია ზოგადად მეცნიერების განვითარების კანონზომიერებების ჭრილში. თუმცა, იგი არ წარმოადგენს პირველი რიგის მიზეზს, რომელიც აიძულებდა სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებს ეკვლიათ ეკოლოგიის პრობლემები მართვის შესახებ მოძღვრების ფარგლებში.


ფუძემდებლურ ფაქტორს წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის შედეგად სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ინტენსიფიკაცია, რაც აისახება გარემოზე წარმოებისა და მოხმარების ნეგატიური ზემოქმედების დონის ამაღლებაზე. მოცემული პრობლემა უსწრაფეს გადაწყვეტას მოითხოვს როგორც ბიზნესის, ასევე მეცნიერების მხრიდან, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს აღნიშნულ სფეროში კვლევების აქტივიზაციას.

წარმოებისა და მართვის ახალი მეთოდების შემუშავება და დანერგვა ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით იწვევს „ეკოლოგიისა“ და „ეკონომიკის“ ინტერესთა კონფლიქტს, რადგან ახალი მეთოდების დანერგვა ან არსებულის ადაპტაცია დამატებით დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ნახაზზე წარმოდგენილია ეკოლოგიასა და ეკონომიკას შორის კონფლიქტის ძირითადი მდგენელები ფორმაში, ასევე შემოთავაზებულია აღნიშნული კონფლიქტის გადაჭრის მეთოდები და ინსტრუმენტები.

ბაზარზე წარმატებული ფუნქციონირებისთვის ფორმა უნდა შეესაბამებოდეს ისეთ პარამეტრებს, როგორცაა მომგებიანობა, კონკურენტუნარიანობა, მწარმოებლურობა, მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილება, უმუშევრობასთან ბრძოლა, ასევე წარმოებისა და მართვის ეფექტიანობა. ფორმა უნდა ნერგავდეს რესურდამზოგველ ტექნოლოგიებს, ახდენდეს ნარჩენების გადამუშავების ინტენსიფიკაციას და ამცირებდეს საწარმოო ხმაურს,

<sup>16</sup> Бринчук М.М. Экологическое право(право окружающей среды), Москва,Юрист,2000.

ასევე ხელს უწყობდეს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ეკოლოგიური პარამეტრების გაუმჯობესებას.



თუმცა, ხშირად ეკოლოგიური და ეკონომიკური მოთხოვნები არ არის თანხედენილი. ასე, მაგალითად, ეკოლოგიური მოთხოვნების შესრულება ზრდის ფირმის დანახარჯებს, რაც უარყოფითად აისახება მომგებიანობასა და ბაზრის წილზე. ამრიგად, ფირმა იძულებულია წავიდეს კომპრომისებზე მოკლევადიან პერსპექტივაში იმ იმედით, რომ მოგებას მიიღებს მომავალში, რამდენადაც სავალდებულო ეკოლოგიური მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო ფირმის მიმართ შეიძლება განხორციელდეს საჯარიმო სანქციები ეკოლოგიური კონტროლის სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, რაც დააზიანებს ფირმის იმიჯს და, შესაბამისად, დააქვეითებს საინვესტიციო მიმზიდველობას.

ეკოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და ფირმის ეკონომიკური ამოცანების გადაჭრის პარამონიულად შესახამებლად იყენებენ შემდეგ ინსტრუმენტებს: ეკოლოგიური მისიის, მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბებას, ასევე ეკოლოგიური სტრატეგიის შემუშავებას. ზემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტები უნდა დაინერგოს ფირმის ყველა ქვედანაყოფში. საერთაშორისო ბაზარზე გასვლისას ფირმებმა ეკოლოგიური სტრატეგიების შემუშავებისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ უცხოელი პარტნიორების, საერთაშორისო ეკოლოგიური მოთხოვნები და სტანდარტები.

თანამედროვე ლიტერატურაში ეკოლოგიური მენეჯმენტის ცნება განიხილება როგორც ეკოლოგიის მენეჯმენტი, ეკოლოგიზირებული მენეჯმენტი და ეკოლოგიური მენეჯმენტი.

1. „ეკოლოგიზირებული“ მენეჯმენტი კლასიკური მენეჯმენტის ვარიანტია, ანუ ეკონომიკის ობიექტის მართვა საბაზრო ურთიერთობების პირობებში დაგეგმვის, ორგანიზაციისა და კონტროლის ფუნქციების რეალიზაციის გზით; ამასთან, ყველა წარმოებრივი ფუნქციის, ფაქტორის და წარმოების ინფრასტრუქტურის მისადაგებით ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნებთან (პროგრამა-მინიმუმი ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის სფეროში ეროვნული და საერთაშორისო ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნების გათვალისწინებით). ცხადია, რომ „ეკოლოგიზირებულობის“ ხარისხი შეიძლება მერყეობდეს: ნარჩენების მოცულობის შემცირებასა და ენერჯის დანახარჯების შემცირებაზე გაწეული უმნიშვნელო ძალისხმევიდან პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე ეკოლოგიური ასპექტების დანერგვამდე.

2. „ეკოლოგიური“ მენეჯმენტი წარმოადგენს პოსტინდუსტრიული ეპოქის „სტრატეგიული“ მენეჯმენტის კონცეფციის ნაწილს (როცა საბაზრო კონკურენცია ინაცვლებს ინოვაციური სტრატეგიების სფეროში). იგი გულისხმობს მომხმარებელთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ეკონომიკის, რაციონალიზაციის ნებისმიერი წარმატების, შრომის მწარმოებლურობის ნებისმიერი ფორმით ამადლების გამოყენებას (პროგრამა-მაქსიმუმი ანუ კაცობრიობის საკეთილდღეოდ სარისკო ბუნებრივი და ანთროპოგენური სიტუაციების გააღების წარმატებული ელიმინირების ორიენტირი).

ეკოლოგიის მენეჯმენტი წარმოადგენილია როგორც თანამედროვე წარმოების ეკოლოგიურად უსაფრთხო მართვა, რომლის დროსაც მიიღწევა მაქსიმალური თანაფარდობა ეკოლოგიურ და ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის. ამგვარი განმარტება ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ბიზნესს გააჩნია არა მხოლოდ ეკონომიკური მისია, არამედ მას აკისრია უზარმაზარი სოციალური პასუხისმგებლობა.

3. „ეკოლოგიის მართვა“ გახლავთ საქმიანობა, რომელიც ორგანიზებულია ადამიანის ეკოლოგიის თავისებურებების გათვალისწინებით და გულისხმობს ეროვნული პოლიტიკის დაცვას უსაფრთხოების, შრომის ჰიგიენისა და წარმოებრივი გარემოს სფეროში.

თუმცა, ყველაზე მისაღებია ეკოლოგიური მენეჯმენტის განმარტება. ეკონომიკურ ლიტერატურაში (მ.შ. ISO 14000 დოკუმენტების თარგმანებში) ტერმინი „ეკოლოგიური“ მენეჯმენტი ჩანაცვლებულია „გარემოს ხარისხის მართვით“, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში - „ეკოლოგიური მართვით“.

ბუნებადაცვითი საქმიანობის სფეროში ცნობილია შემდეგი კონცეფციები:

ბუნების მიმართ მომხმარებლური დამოკიდებულების კონცეფცია. იგი საუკუნეების მანძილზე არსებობდა, მისი ინტენსიფიკაცია დაემთხვა საზოგადოების კაპიტალისტური განვითარების დასაწყისს. კაცობრიობა მიეჩნია ბუნების აღქმას იმ რესურსების საცავად, რომლებიც ნებისმიერ დროს შეიძლება იქნეს გამოყენებული მატერიალური წარმოებისა და საზოგადოების გამდიდრებისთვის. ბუნების მიმართ მომხმარებლური დამოკიდებულების კანონზომიერ შედეგს წარმოადგენს ბუნების სიმდიდრეების მიღება, რაც ნეგატიურად აისახება ადამიანსა და საზოგადოებაზე.



ბუნებაში ჩაურევლობის კონცეფცია. აღნიშნული კონცეფცია ბუნების მიმართ მომხმარებლური დამოკიდებულების კონცეფციის საპირისპიროა და მხოლოდ თეორიულად განიხილება, რადგან განვითარების პროცესში კაცობრიობას არ ძალუძს ბუნებაში ჩაურევლობა, მასზე არც დადებითი და არც უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა. აღნიშნული კონცეფცია ეფუძნება იმას, რომ ნებისმიერი ჩარევა ბუნების განვითარებაში სერიოზული შედეგებით უბრუნდება უკან ადამიანს და ბუნებას.

*მოძღვრება ნოოსფეროს შესახებ.* მოძღვრება ნოოსფეროს შესახებ შემუშავა აკადემიკოსმა ვ.ი. ვერნადსკიმ, ფრანგმა ფილოსოფოსმა ტეიარ დე შარდენმა და სხვ. აღნიშნული თეორიის მომხრეები გამოდიან ნებისმიერი სულიერის განადგურების ან დაზიანებისათვის ადამიანური გონების ძალის გამოყენების დაუშვებლობიდან. ადამიანის გონების ძალა სამართლიანი და ზნეკეთილი უნდა იყოს ადამიანისა და მისი გარემომცველი სამყაროს, პლანეტა დედამიწის, დედამიწის გარშემო სივრცისა და მთლიანად კოსმოსის მიმართ. „მეცნიერული აზრისა და ადამიანის შრომის გავლენით ბიოსფერო გადადის ახალ მდგომარეობაში - ნოოსფეროში“<sup>17</sup>. ნოოსფერო გახლავთ ადამიანებს, ბუნებასა და საზოგადოებას, სამყაროს ორგანულ და არაორგანულ, ცნობიერ თუ არაცნობიერ ძალებს შორის მეცნიერული თვალსაზრისით ჰარმონიულად გარდაქმნილი ურთიერთობები. ადამიანი მოწოდებულია მსოფლიო შემოქმედებისთვის და ეს შემოქმედება არის თავად ბუნების ნაწილი, სამყაროს რეალური მამოძრავებელი ძალა. ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ ნახევარში შემუშავებული მოძღვრება ნოოსფეროს შესახებ, პრაქტიკულად არ არის რეალიზებული. თუმცა მას გააჩნია უდიდესი პოტენციალი, განსაკუთრებით გლობალური ეკოლოგიური კრიზისის პირობებში.

*ეკონომიკური განვითარების, მოსახლეობის მოთხოვნილებების შეზღუდვის კონცეფცია.* ეკონომიკური განვითარების, მოსახლეობის მოთხოვნილებების შეზღუდვის კონცეფცია გაჩნდა XX საუკუნის 60-70-იან წლებში როგორც რეაქცია გარემოს მდგომარეობის გაუარესებაზე, რესურსების მიღევაზე, დაბინძურების ზრდაზე [3]. კაცობრიობის შემდგომი განვითარების არახელსაყრელი პერსპექტივების თავიდან ასაცილებლად, მისი თანამედროვე ტემპებისა და მიმართულებების შენარჩუნებისას დგება შემდეგი პირობები:

1) თუ არსებული ზრდის ტემპები უცვლელი დარჩება, ზრდის მაქსიმალური ზღვარი მიღწეული იქნება უახლოესი 100 წლის განმავლობაში. 2) შეიძლება ეს ტენდენციები შეიცვალოს და შეიქმნას ეკოლოგიური და ეკონომიკური სტაბილურობის პირობები, რომელიც შენარჩუნდება შორეულ მომავალშიც. გლობალური წონასწორობის მდგომარეობა ისეთი უნდა იყოს, რომ ყოველ ადამიანს შეეძლოს ძირითადი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და გააჩნდეს თანაბარი შესაძლებლობები თავისი შემოქმედებითი პოტენციალის განსავითარებლად.

3) თუ ადამიანი ირჩევს განვითარების არა პირველ, არამედ მეორე ვარიანტს, მაშინ რაც უფრო მალე დაიწყებს იგი მის განხორციელებაზე მუშაობას, მით მეტი შანსი ექნება წარმატების მისაღწევად.

აღნიშნული კონცეფცია მკაცრად გააკრიტიკეს მთელს მსოფლიოში, კაცობრიობის ეკონომიკური განვითარების დამუხრუჭების მოწოდებები უტოპიურად იქნა შეფასებული. პირველი კვლევებიდან დაახლოებით 20 წლის შემდეგ იმავე მეცნიერებმა სცადეს თავიანთი შედეგების განახლება იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც მოხდა 20 წლის განმავლობაში. მათ მიერ გამოთქმული იდეები მდგრადი განვითარების კონცეფციის თანხვედნილია.

1) კაცობრიობის მიერ მრავალი უმნიშვნელოვანესი რესურსის გამოყენებისა და მრავალი სახის დაბინძურებების წარმოქმნის ტემპები უკვე სცილდება დასაშვებ ზღვარს.

2) ეს შემცირება გარდაუვალი არ არის. მის აღსაკვეთად უნდა გადაიხედოს პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის რიცხოვნობის და მატერიალური მოხმარების დონის ზრდას, ასევე მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას.

3) ტექნოლოგიურად და ეკონომიკურად მდგრადი საზოგადოების შექმნა ჯერ კიდევ შესაძლებელია. მდგრად საზოგადოებაზე გადასვლა მოითხოვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების დაბალანსებას და წარმოების მოცულობიდან აქცენტის გადატანას თვითკმარობაზე, თანასწორობასა და ცხოვრების ხარისხზე [3].

<sup>17</sup> Вернадский В.И. Размышление натуралиста. Книга вторая. Научная мысль как планомерное явление, - М, 1977. 19 с.

### *მდგრადი განვითარების კონცეფცია*

მდგრადი განვითარების კონცეფცია (sustainable development) - ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ერთ-ერთი თანამედროვე, ყველაზე გავრცელებული და მსოფლიო თანამეგობრობის მიერ მხარდაჭერილი კონცეფციაა.

გაეროს გენერალური მდივნის ინიციატივით, 1984 წელს შეიქმნა გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კომისია. კომისია მიზნად ისახავდა გარემოს დაცვის სფეროში გრძელვადიანი სტრატეგიების შესახებ წინადადებების შემუშავებას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საზოგადოების მდგრად განვითარებას, იმ საშუალებებისა და ხერხების განხილვას, რომელთა გამოყენებითაც მსოფლიო თანამეგობრობა ეფექტიანად გადაწყვეტდა გარემოს დაცვის პრობლემებს. კომისიამ თავისი მოხსენება „ჩვენი საერთო მომავალი“ გაეროს გენერალურ ასამბლეას წარუდგინა 1987 წელს [4]. აღნიშნულ დოკუმენტში ცენტრალური ადგილი უკავია მდგრადი განვითარების კონცეფციას.

### *გარემოსა და განვითარების შესახებ რიო დე ჟანეიროს დეკლარაცია*

დღეისათვის ეკოლოგიური ბალანსის მიღწევის საქმეში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია XXI საუკუნის დღის წესრიგი. იგი მოწონებულ იქნა პლანეტა დედამიწის პრობლემებთან დაკავშირებულ უმაღლესი დონის შეხვედრაზე 1992 წელს რიო დე ჟანეიროში გარემოსა და განვითარების საკითხებთან დაკავშირებით გაეროს კონფერენციის მიმდინარეობისას. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 179 მთავრობის მეთაური და მაღალჩინოსანი.

რიოში შეხვედრის შედეგად მიღწეულ იქნა ორი საერთაშორისო შეთანხმება, მირებული იქნა ორი განცხადება საყოველთაო მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად ძირითად მოქმედებათა გეგმისა და პრინციპების შესახებ. ეს ხუთი დოკუმენტი მოიცავს:

- 1) გარემოსა და განვითარების შესახებ დეკლარაციას;
- 2) XXI საუკუნის დღის წესრიგს - პროგრამას იმის შესახებ, თუ როგორ გავხადოთ განვითარება მდგრადი სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით;
- 3) განცხადებას ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისა და სიცოცხლის ყველა ფორმის შენარჩუნებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ყველა სახის ტყის მასივის დაცვასთან, მდგრად განვითარებასა და აღნიშნული პროცესის მართვასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ;
- 4) კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს კონვენციის მიზანია ატმოსფეროში სათბურის ეფექტის გამომწვევი აირების კონცენტრაციის სტაბილიზაცია იმ დონეზე, რომელიც არ გამოიწვევს დისბალანსს მსოფლიო კლიმატურ სისტემაში;
- 5) კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ მოითხოვს, რომ ქვეყნებმა მიიღონ ზომები ცოცხალი არსებების მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად და უზრუნველყონ მათი გამოყენებისგან მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილება.

### **დასკვნა**

ეკოლოგიური მართვა – ეს არის სახელმწიფო ორგანოებისა და ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობა, რომელიც უმთავრესად მიმართულია ბუნებადაცვითი კანონმდებლობის სავალდებულო მოთხოვნების დაცვის, ასევე შესაბამისი მიზნების, პროექტებისა და პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციისკენ. ეკოლოგიის მენეჯმენტი კი გახლავთ ეკონომიკური სუბიექტების ინიციატივიანი და შედეგიანი საქმიანობა მათი საკუთარი ეკოლოგიური მიზნების, პროექტებისა და პროგრამების მისაღწევად, რომლებიც მათ შეიმუშავებს ეკოეფექტიანობისა და ეკოსამართლიანობის პრინციპების საფუძველზე.

ეკოლოგიური მენეჯმენტის ძირითადი მიზნები და მათი მიღწევის შეფასების კრიტერიუმები-დაკავშირებულია მუდმივი გაუმჯობესების პროცესებთან. წლიდან წლამდე თანმიმდევრული გაუმჯობესება მიღწეული უნდა იქნას ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის ყველა ეკოლოგიურად მნიშვნელოვან ასპექტში. ამრიგად, ეფექტიანი ეკოლოგიური მენეჯმენტი უზრუნველყოფს ფირმების ნდობის კრედიტს მათი საქმიანობით დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობებში. სწორედ ამაში მდგომარეობს ეკოლოგიური მენეჯმენტის უპირატესობა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Бринчук М.М. Экологическое право(право окружающей среды), Москва,2000.
2. Вернадский В.И. Размышление натуралиста. Книга вторая. Научная мысль как планомерное явление, - Москва, Юрист, 2000.
3. Медоуз Д.Х. Медоуз Д.Л. Ранерс Й. За пределами роста. - М., 1994, 13с.
4. Наше общее будущее. Доклад Международно комиссии по окружающей среде и развитию. - М., Прогресс.1989.
5. Mele D. Corporate social responsibility in Spain. Working Paper No. 543, IESE business school. University of Navarra Marc? 2004 P. 23-27.
6. Peattie R. Green Marketing. - London: Pitman Publishing, 1992. - 284 p.
7. Utting P. Business Responsibility for Sustainable Development. UNRISD. 2000 P. 67.
8. Zadec S. Exploring the Business Case. Ethical Corporation, May, 2002, P.23

*Anzor Abralava  
David Podiashvili*

### ECOLOGICAL MANAGEMENT TRENDS OF THE FIRM

#### Summary

There are different methodological approaches to evaluating public investment projects. It is related to the use of state budget funds in the implementation of these projects. In addition, the methodology of accounting for currency, pricing, inflation and risk factors further aggravates.

The article presented depends on the state of the country's economy the mechanism of complex use of theoretical knowledge, methods and advanced experience in the evaluation of public-important projects has been interpreted.

**Key words:** investment, infrastructure, currency, credit, risk, price, assessment.

*გულნაზ ერქობაიშვილი*

### მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში

**ანოტაცია.** ნაშრომში განხილულია მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი მიმართულება და მისი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. აღნიშნულია მწვანე ეკონომიკის როლი და მნიშვნელობა, შეფასებულია გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამები საქართველოში. გაკეთებულია დასკვნები და მოცემულია რეკომენდაციები.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ეკონომიკა, გარემოს დაცვა, გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა, გარემოს დაცვის პოლიტიკის ინსტრუმენტები.

### შესავალი

XXI საუკუნეში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს გარემოს დაცვის პრობლემა წარმოადგენს. რაც უფრო იზრდება გლობალური ეკონომიკის ზეწოლა დედამიწის ბუნებრივ რესურსებზე, მცირდება ტყის ფართობები მთელ მსოფლიოში, იზრდება გაუდაბნობელი ტერიტორიების ფართობი, ზოგ ადგილას წყლის დონე დაბლა იწევს, მდინარეები შრება, იცვლება კლიმატი, იზრდება რადიოაქტიური ნარჩენების და ნაგავსაყრელების რაოდენობა, ხმაური და სხვ.

გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა ითვალისწინებს გარემოს დაცვასა და მისი ინტენსიური გამოყენების შემცირებას, გარემოს დაცვის პოლიტიკის ინსტრუმენტებით დასახული მიზნის მიღწევას, ასევე მასთან დაკავშირებული ახალი შესაძლებლობების გამოვლენას. გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზნების ეფექტიანი განხორციელება მხოლოდ

წესრიგის სამართლებრივი და საბაზრო ეკონომიკური ინსტრუმენტების კომბინირებული გამოყენებით არის შესაძლებელი.

საქართველოს მთავრობა მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად მწვანე ეკონომიკას განიხილავს და გამოდის ინიციატივით, რომ მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით განახორციელოს ნებაყოფლობითი ღონისძიებები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ეკოსისტემების სერვისების, სუფთა წარმოების, გარემოსდაცვითი განათლებისა და მწვანე სამუშაო ადგილების განვითარების ხელშეწყობა. მწვანე ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნად ამცირებს ბუნებრივი რესურსების არაეფექტურ გამოყენებას, ნარჩენების წარმოქმნას, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევებს, წყლის ობიექტებში გაუწმენდავი წყლის ჩაშვებებს. მწვანე ეკონომიკის განვითარება ხელს უწყობს კომპანიების პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას მსოფლიო ბაზარზე. ამასთანავე, გამოიწვევს ცხოვრების ღონის გარემოსდაცვითი ხარისხის ამაღლებას, ეკოსისტემებისა და ეკონომიკის მდგრადობის გაძლიერებას და ახალი ბიზნესშესაძლებლობების გაჩენას. ამდენად იგი მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი მიმართულების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

\* \* \*

მეცნიერები დიდი ხანია ამტკიცებენ, რომ გარემოს დაცვის პრობლემის გადაჭრას კაცობრიობის გადარჩენისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. XX საუკუნეში არსებული მიდგომა – დავიმორჩილოთ ბუნება და ჩავაყენოთ იგი საზოგადოების სამსახურში – წარსულს ჩაბარდა. ნაცვლად ამისა, უნდა შევიცნოთ და შევეწყოთ ბუნებას [1, გვ. 119].

გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების ხუთი მთავარი გამოწვევა მიზეზია: მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, რესურსების უყაირათოდ და არამდგრადად გამოყენება, სიღარიბე, გარემოს გაუარესებით გამოწვეული დანახარჯების აუსახველობა საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში და ცოდნის ნაკლებობა გარემოში მიმდინარე პროცესებზე [2, გვ. 20].

დიდი ხნის მანძილზე ბუნებრივი რესურსები, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მიწის გარდა, თავისუფალ საქონელს წარმოადგენდა [3, გვ. 325]. მათი ხანგრძლივი დროის მანძილზე წარმოების პროცესში გამოყენება ყოველგვარი ხარჯების გარეშე შესაძლებლად მიიჩნეოდა. გარემოს მზარდმა დაბინძურებამ, რომელიც სცილდება ეროვნულ ფარგლებს, გაამძაფრა იმის გაგება, რომ ბუნებრივი რესურსები ამოწურავდა. სიცოცხლისთვის აუცილებელი ბუნებრივი გარემოს დამზოგველ მოპყრობას დღეისათვის უამრავი სამეცნიერო კვლევა თუ პოლიტიკური პროგრამა ეძღვნება. ყველა თანხმდება იმაზე, რომ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა არა მხოლოდ ერთი თაობის, არამედ მომავალი თაობებისთვისაც აუცილებელია.

ბუნებრივი გარემოს რესურსებს საზოგადოებრივი პროდუქტის ხასიათი აქვს, რის გამოც ეკონომიკაში მარტო დეცენტრალიზებული ბაზრის არსებობით გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს ვერ გადავჭრით. გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზანთა განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფომ ამ პროცესების რეგულირების ფუნქცია შეასრულოს.

2010 წელს გაერომ შეიმუშავა გარემოს დაცვის პროგრამა [4], რომელიც განიხილავს მწვანე ეკონომიკას, როგორც ეკონომიკურ მოდელს, რომელიც აუმჯობესებს ადამიანის ცხოვრებას, უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობას, სოფლის მეურნეობაში უფრო მდგრადი მეთოდების გამოყენების გზით ისეთი პროდუქტების წარმოებას, რომელიც უფრო უვნებელი იქნება ადამიანის ჯანმრთელობისათვის. მწვანე ეკონომიკა ადამიანების კეთილდღეობისა და სოციალური თანასწორობის მთავარი შედეგია, როდესაც მნიშვნელოვნად მცირდება გარემო რისკები და ეკოლოგიური დანაკლისები. „მწვანე ეკონომიკაზე“ გადასვლა წარმოადგენს მთავარ მამოძრავებელ ძალას მდგრადი ეკონომიკური პროცესების უზრუნველსაყოფად. „მწვანე ეკონომიკაში“ ბუნებრივი გარემო განიხილება არა როგორც ნარჩენების გაუწმენდავი ადგილი, არამედ ეკონომიკური ზრდის გადამწყვეტი ფაქტორი, მწვანე ეკონომიკა აქტიურად ვრცელდება მთელ მსოფლიოში და ამ პროცესში თითქმის ყველა ქვეყანა ერთვება.

საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ მიღებულ იქნა 1996 წლის 10 დეკემბერს [5], რომელმაც ცვლილებები რამდენჯერმე განიცადა (2003, 2007, 2011, 2014, 2015, 2016, 2017, 2018 წწ.) [6], არც კანონში და არც ერთ ცვლილებაში ნახსენები არ არის მწვანე ეკონომიკა.

ქვეყანაში შემუშავდა გარემოს დაცვის მოქმედებათა სამი ეროვნული პროგრამა (2000 წ., 2012-2016 წწ., 2017-2021 წწ.).

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნულ პროგრამაში (2017-2021) [7, გვ. 148], წარმოდგენილია რიგი კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობების ალტერნატიული მიდგომების შემუშავებისა და დანერგვისაკენ. კერძოდ, რესურსებისა და მასალების ეფექტურობა, ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმამდე შემცირება და თავიდან აცილება, წყლის რესურსების მდგრადი მოხმარება, მწარმოებლის პასუხისმგებლობის ზრდა, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით რესურსების გონივრული მოხმარება და ა.შ. აღნიშნულია, რომ ყოველივე ეს სწორედ მწვანე ეკონომიკის განვითარებას ემსახურება. მწვანე ზრდის განვითარებისათვის აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების ყველა წევრის, როგორც საქონლისა და მომსახურების მომწოდებლების, ასევე მომხმარებლების, ერთობლივი ძალისხმევა.

ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, გარემოსდაცვითი უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მნიშვნელობა, ასევე ბუნებრივი კატასტროფების თავიდან აცილების აუცილებლობა ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020-ში“ [8], რომელიც ქვეყნის მთავარი სტრატეგიული დოკუმენტია. სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ტექნოლოგიების ტრანსფერის და დანერგვის ხელშეწყობა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე. ასევე მნიშვნელოვანია გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და მწვანე ეკონომიკის განვითარების წახალისება.

მწვანე ზრდის გარკვეული ასპექტები ასახულია საქართველოს ცალკეულ სექტორულ სტრატეგიებში. მაგალითად, საქართველოს მთავრობამ მოამზადა და დაამტკიცა „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“ [9], კონკრეტული ქმედებები, კერძოდ, (1) სპეციალური სასწავლო პროგრამის შემუშავება რესურსეფექტურ და სუფთა წარმოებასთან დაკავშირებით და „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა“. სტრატეგიის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლება, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და შესაბამისად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. დოკუმენტში განსაზღვრულია (2) მეწარმეებისათვის კონსულტაციების გაწევა გარემოსათვის მისაღებ ქმედებებთან დაკავშირებით და (3) „გარემოსდაცვითი მმართველის“ კურსების განვითარებასა და ჩატარებას, რათა ხელი შეეწყოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში მწვანე პრაქტიკის დანერგვას და კომპანიებში გარემოსდაცვითი მმართველობის შექმნას.

ბოლო წლების განმავლობაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში გატარებულმა დაუგეგმავმა და ნაჩქარევმა რეფორმებმა დიდი ზიანი მოუტანა როგორც გარემოს, ისე საქართველოს მოსახლეობას. წლების განმავლობაში არ განისაზღვრებოდა ქვეყნის პოლიტიკა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის სფეროში; პრაქტიკულად მოისპო გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების მექანიზმები; ბუნებრივი რესურსების მართვა კი გაიგივებული იყო ბუნებრივი რესურსების ლიცენზირებასთან და ეს ფუნქცია ხან ერთ, ხან მეორე სამინისტროს გადაეცემოდა. შედეგად, საბოლოოდ დაირღვა წონასწორობა ბუნების კონსერვაციასა და ბუნებრივი რესურსების მოხმარებას შორის. კანონმდებლობა სულ უფრო მეტად დაშორდა საყოველთაოდ აღიარებულ მდგრადი განვითარების პრინციპებს, ასევე ევროკავშირის კანონმდებლობას.

## დასკვნა

გარემოს დაცვის რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის აუცილებელია [10, გვ. 73]:

- წყლის, ჰაერის, ნიადაგის, ნარჩენების კანონმდებლობის გადამუშავება/შემუშავება და გარემოსდაცვითი მართვის არსებული ინსტრუმენტების გაძლიერება და ახლის (მათ შორის ეკონომიკური ინსტრუმენტების) დანერგვა;

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს გადამუშავება/სრულყოფა: რაც გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნებთან (ორპუსის კონვენცია, ბიომრავალფეროვნების კონვენცია, ბერნის კონვენცია), ასევე ევროკავშირის 85/337/EEC დირექტივასთან;

- საქართველოს ტყეების დაცვისა და რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად აქცენტი გაკეთდეს მდგრად მეტყვეობაზე, ტყეების დაცვა-აღდგენასა და არამერქნული პოტენციალის გამოყენებაზე;

- ეკოსისტემების დაცვისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის ჩამოსაყალიბებლად. ეს მოიცავს როგორც არსებული დაცული ტერიტორიების შესაძლებლობების გაძლიერებას, მოდერნიზება-გაფართოებას, აგრეთვე ახალი დაცული ტერიტორიების შექმნას ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ ისეთ რეგიონებში, როგორცაა: ზემო და ქვემო სვანეთი, სამეგრელოს მთიანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ფშავ-ხევსურეთი.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობის, როგორც ეროვნული და გლობალური ფასეულობის შენარჩუნების, ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, ასევე ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი II. თბილისი, 2012.
2. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა. თბილისი, 2013.  
[http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane\\_politika\\_da\\_garemos\\_dacva.pdf](http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf)/ბოლო ნახვა 13.04.2019/
3. რაინერ კლემპი, ეკონომიკური პოლიტიკა, მიზნები, ინსტრუმენტები და ინსტიტუციები (ქართულ ენაზე), თბილისი, 2015.
4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამა.  
[http://www.unep.org/pdf/GreenEconomy\\_SuccessStories.pdf](http://www.unep.org/pdf/GreenEconomy_SuccessStories.pdf) /ბოლო ნახვა 14.04.2019/
5. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, თბილისი, 2016.
6. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, ცვლილებები და დამატებები.  
[www.matsne.gov.ge/ka/document/view/4245387?publication=0](http://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4245387?publication=0)/ბოლო ნახვა 13.04.2019/
7. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021 წწ. თბილისი, 2017.  
<http://moe.gov.ge/res/images/file-manager/strategiuli-dokumentebi/strategiebi-gegmebi/2017-2021/>ბოლო ნახვა 14.04.2019/.
8. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, საქართველოს მთავრობა, ნოემბერი, 2013.
9. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. თბილისი, 2016.
10. ერქომაიშვილი გ., საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები. თბილისი, „უნივერსალი“, 2016.

*Gulnaz Erkomashvili*

### GREEN ECONOMY AND ENVIRONMENTAL ECONOMIC POLICY OF SUSTAINABLE DEVELOPMENT IN GEORGIA Summary

The paper deals with environmental sustainable development and its economic policy in Georgia. For the Government of Georgia the green economy is one of the main means of sustainable economic

development. Green economy is actively spread around the world and almost every country is involved in this process.

Different measures are carried out in order to support sustainable development in Georgia. It is important to promote ecosystem services, clean production, environmental education and green jobs. The transition to `green economy~ is the main driving force for sustainable economic processes. The natural environment in the `green economy~ is not considered as a place of decontamination of waste, but a decisive factor of economic growth.

Environmental and rational use of natural resources is one of the most important prerequisites for the preservation of national natural and global value, human health and life, as well as economic and social development of the country.

*Эльнур Ганимат оглы Исаев*

## **ПУТИ ПОВЫШЕНИЯ ИНВЕСТИЦИОННОЙ ПРИВЛЕКАТЕЛЬНОСТИ СТРАНЫ**

***Аннотация.** Привлечение иностранных инвестиций в экономику страны является одним из важных условий для достижения экономического роста. Благоприятный инвестиционный климат создает прочную основу для развития человеческого капитала и интеграции в международную торговлю. Сегодня в мире усиливается борьба за инвестиции и каждой стране придется конкурировать за свою долю.*

*В представленной статье интерпретированы факторы, влияющие на инвестиционную среду, методологические подходы к ее оценке и внешний опыт в этой области.*

***Ключевые слова:** инвестиция, эффективность, конкурентоспособность, экономический рост, инвестиционная среда, оценка, доход, капитал.*

**Факторы, влияющие на инвестиционную среду.** Инвестиции играют важную роль в развитии экономики любой страны, содействуя развитию научно-технической базы. Приток инвестиций зависит от различных факторов, основной из которых – благоприятная инвестиционная среда. Она стимулирует бизнес-структуры к повышению эффективности деятельности, ведет к росту дохода и капитала, доступного для инвестиций, также увеличивает доверие инвесторов к стране.

В настоящее время проблема создания благоприятной инвестиционной среды для Азербайджана очень актуальна. Для страны особенно важна необходимость обновления основных фондов, перевооружения существующего оборудования с целью повышения конкурентоспособности действующих предприятий, а также инвестиции в инновационные проекты. Главной задачей правительства для решения этой проблемы является создание комфортных условий для инвесторов.

Набор социальных, экономических, организационных, политических, правовых и этнокультурных предпосылок формируют инвестиционную среду. Благодаря благоприятной инвестиционной среде станет возможным повышение темпов экономического роста и улучшение социального положения населения.

В экономической литературе имеется множество подходов к факторам, оказывающие влияние на инвестиционную среду. К ним относятся такие факторы как: общественный, производственный, инновационный, социальный, инфраструктурный, инвестиционный и др. Каждый из перечисленных факторов оказывает воздействие на инвестиционную привлекательность. Перечисленные факторы принято классифицировать на:

- факторы по направлению влияния;
- факторы, которые влияют на благоприятность инвестиционного климата;
- факторы, по длительности воздействия (2, с. 88).

По признаку ориентированности воздействия региональные факторы инвестиционной привлекательности подразделяются на благоприятные, которые улучшают инвестиционный климат, и неблагоприятные, которые ухудшают положение региона.

Для поддержания благоприятного инвестиционного климата большое значение оказывают организационно-правовые факторы, поскольку значительно важным становится соблюдения законодательства, доступность информации, формирование рабочей эстетики и рабочая сила.



**Методологические подходы к оценке инвестиционной привлекательности.** Сегодня вопрос разработки методологии и совершенствование методов оценки инвестиций привлекательности предприятия становится актуальным.

Инвестиционная привлекательность зависит от окружающей среды.

Различают три уровня определения инвестиционной привлекательности: на уровне страны, региона и конкретно-хозяйствующего субъекта.

Методы оценки инвестиционной привлекательности условно можно поделить на три группы:

- Методика инвестиционной привлекательности, основанная на финансово-экономических показателях организационной деятельности;
- Методика инвестиционной привлекательности, основанная на рыночной капитализации;
- Методика инвестиционной привлекательности, основанная на вычислении интегрального показателя (5, с. 14).

Таким образом, оценка инвестиционной привлекательности – это возможность выбора лучшего из сравниваемых вариантов. Также в экономике для оценки инвестиционной привлекательности используют такое понятие как инвестиционные рейтинги.

**Опыт зарубежных стран в формировании благоприятной инвестиционной среды.** Для того, чтобы успешно развивать экономику необходимо создать благоприятную инвестиционную среду. В Азербайджане должна быть создана более благоприятная инвестиционная среда, предоставлены льготные условия, которые привлекут иностранных инвесторов для вложения в экономику страны. Необходимо принять меры по направлению инвестиций в не нефтяной сектор экономики, так как сегодня большая часть зарубежных инвестиций в Азербайджан направлены именно в нефтегазовую промышленность.


Инвестиционная привлекательность Азербайджана продолжает расти, несмотря на значительные проблемы. В последние годы страна прилагает усилия для более полной интеграции в глобальный рынок и привлечения иностранных инвестиций.

Азербайджан должен начать работу по созданию зоны свободной торговли. При этом инвесторов, которые захотят инвестировать и работать на данной территории, освободить на 5-10 лет от всех налогов и пошлин. Все расходы на развитие инфраструктуры для иностранных предпринимателей азербайджанская сторона должна взять на себя. Прогнозируется, что после этого, объем инвестиций в страну увеличится в несколько раз. В свое время, Китай пошел именно на такой шаг, в итоге имеет одну из самых развитых экономик мира.

Рассмотрим опыт малых стран при формировании в них благоприятной инвестиционной среды. Они встречаются с следующими основными проблемами:

- Нестабильная внутренняя биржа и слабая покупательская способность;
- Воздействие биржевой работы на инфраструктуру;
- Политическая деятельность, которая дает гарантию на наибольшее вложение зарубежных инвестиций в финансовый сектор.

Малые страны обладают низкой покупательской способностью, что связано с малым объемом внутреннего рынка. Эти страны не особо привлекательны с точки зрения инвестирования в бизнес, связанный с потребностями внутреннего рынка.



**Рисунок 1. Прямые иностранные инвестиции в экономику  
Азербайджана, России, Казахстана, Беларуси и Украины**

**Источник:** Евразийский Банк Развития. [https://eabr.org/press/news/eabr-rost-vzaimnykh-investitsiy-na-prostranstve-sng-obespechen-vosstanovleniem-ekonomiki-rossii/?sphrase\\_id=4466](https://eabr.org/press/news/eabr-rost-vzaimnykh-investitsiy-na-prostranstve-sng-obespechen-vosstanovleniem-ekonomiki-rossii/?sphrase_id=4466)

Из рисунка видно, что несмотря на большие объемы прямых иностранных инвестиций в экономику России и Казахстана, начиная с 2013 года заметная тенденция к их снижению. В то время прямые иностранные инвестиции в экономику Азербайджана неуклонно стабильно растут, что является положительным фактором для нашей страны.

Прямые иностранные инвестиции (ПИИ) являются неотъемлемой частью открытой и эффективной международной экономической системы и основным катализатором развития. Тем не менее, преимущества прямых иностранных инвестиций не получают автоматически и равномерно по странам, секторам и местным сообществам. Национальная политика и международная инвестиционная архитектура – вопрос привлечения ПИИ к большему числу развивающихся стран и для получения полных преимуществ этих инвестиций для развития. Проблемы принимающих стран, которым необходимо создать прозрачную, широкую и эффективную для инвестирования среду создания благоприятных условий и создания возможности их реализации (4, с.112).

**Таблица 1**

**Сравнение показателей защиты инвесторов по странам**

	Азербайджан	Восточная Европа и Центральная Азия	Соединенные Штаты Америки	Германия
Индекс прозрачности транзакций*	10.0	7.0	7.0	5.0
Индекс ответственности руководителя**	5.0	5.0	9.0	5.0
Индекс мощности акционеров***	7.0	6.0	4.0	8.0
Индекс защиты прав инвесторов****	6.5	6.4	6.5	6.0

**Примечание:**

\* Большой индекс, более прозрачные условия транзакций.

\*\* Чем больше индекс, тем больше личная ответственность менеджера.

\*\*\* Чем больше индекс, тем проще будет для акционеров принимать юридические решения.

\*\*\*\* Большой индекс, выше уровень защиты инвесторов.

**Источник:** Аксенова Н.И. (1, с. 201)

Если сравнить индексы, определяющие уровень правовой защиты инвесторов Азербайджана и других стран, то как видно из таблицы 1., Азербайджан не отстает по указанным параметрам от дру-

гих стран. По индексу прозрачности транзакций Азербайджан даже превышает показатели стран Восточной Европы, Центральной Азии, США и Германии.

Развивающиеся страны все чаще появляются прямые иностранные инвестиции в качестве источника экономического развития и модернизации, доход роста и занятости. Они рассматривают вопрос о том, как лучше всего проводить внутренние политики для максимизации выгод от иностранного присутствия внутренней экономики.

Общие выгоды от ПИИ для экономики развивающихся стран хорошо документированы. Исследования показывают, что прямые иностранные инвестиции:

- запускают новые технологии, приносят в страну инновации;
- способствуют формированию человеческого капитала;
- содействуют интеграции международной торговли,
- ведут к созданию более конкурентоспособной бизнес-среды.

Все это способствует повышению экономической роста в развивающихся странах. Наряду с положительным эффектом от прямых иностранных инвестиций рассмотрим потенциальные недостатки для принимающей экономики. Потенциальные недостатки включают ухудшение платежного баланса, вредное воздействие ПИИ на окружающую среду, влияние на конкуренцию на национальных рынках. Более того, некоторые принимающие страны воспринимают растущую зависимость от действующих на международном уровне предприятий как потерю политического суверенитета. Даже некоторые ожидаемые выгоды могут оказаться неуловимыми, если, например, принимающая экономика, в ее нынешнем состоянии экономического развития, не может воспользоваться технологиями переданными через ПИИ.

**Пути повышения инвестиционной привлекательности.** Установлено, что в рыночной экономике главной мишенью предпринимательства считается достижение максимальной прибыли. Данная задача добивается успеха при укреплении инвестиционного потенциала хозяйствующих субъектов. Для укрепления инвестиционного потенциала предприятий необходимо поднять уровень их инвестиционной привлекательности для инвесторов с учетом условий и факторов внешней и внутренней среды.

Правительство принимает необходимые меры по повышению привлекательности страны для иностранных инвесторов. В этой связи приватизация считается одним из важных инструментов обеспечения притока прямых иностранных инвестиций в страну. Кроме того, развитие местного производства является другим вариантом для притока средств. В этой связи правительство Азербайджана стремится к дальнейшему переводу нефтегазовых доходов в не нефтяной сектор, поскольку развитие этого сектора, как ожидается, позволит Азербайджану не зависеть от импорта. Кроме того, учитывая текущие экономические процессы, инвестирование в Азербайджан также выгодно из-за низкого курса национальной валюты и наличия специализированного персонала.

Частные инвестиции поддерживают повышение производительности и генерируют новые рабочие места в экономике. Таким образом, частные инвестиции являются одним из фундаментальных предпосылок для роста.

Увеличение макроэкономических показателей в стране требует повышения роли и важности ведущих секторов в структуре внутреннего продукта. С этой точки зрения увеличение иностранных инвестиций в республику и ее регулирование государством и обеспечение необходимых пропорций в экономическом развитии имеет большое значение.

Для увеличения инвестиционной привлекательности Азербайджана необходимо изучить опыт Китая других стран, которые создали свободные территории или свободные промышленные зоны на своих территориях. Они создали такую бизнес-среду, которая привлекает иностранных инвесторов.

Для повышения инвестиционной привлекательности необходимо еще больше упростить процесс регистрации и размещения иностранных граждан на территории Азербайджана. Это даст импульс для привлечения нового притока инвестиций и развития различных секторов экономики.

Азербайджан также фокусируется на развитии транспортной и социальной инфраструктуры, поскольку развитая инфраструктура и хороший деловой климат являются основными условиями привлечения прямых иностранных инвестиций в каждой стране.

Такие меры направлены на дальнейшее повышение привлекательности Азербайджана для иностранных инвесторов. Сегодня борьба за инвестиции усиливается в мире и Азербайджану придется конкурировать за свою долю.

## Использованная литература

1. Аксенова Н.И. Иностранные инвестиции: учеб-метод. комплекс. Новосибирск: Изд-во НГТУ. 2006
2. Бабанов А.В. Классификация факторов, формирующих инвестиционную привлекательность региона // Экономический журнал, 2012, с. 88-95
3. Булгакова Л.Н. Методы оценки инвестиционной привлекательности предприятий и регионов. // Финансы и кредит, 2004
4. Валинурова Л.С. Управление инвестиционной деятельностью. Учебник, Москва, «Кнорус», 2010. 384 с.
5. Глущенко М.Э. Методологические подходы к оценке инвестиционной привлекательности // "Экономический анализ: теория и практика", 2009, № 2, с.52-61.

*Elnur Galimat Isaev*

### WAYS TO INCREASE THE INVESTMENT ATTRACTIVENESS OF THE COUNTRY

#### Summary

Attracting foreign investment in the economy is one of the important conditions for achieving economic growth. A favorable investment climate creates a solid foundation for the development of human capital and integration into international trade. Today, the struggle for investment is increasing in the world, and each country will have to compete for its share.

This article interprets the factors influencing the investment environment, methodological approaches to its assessment and external experience in this area.

**Key words:** investment, efficiency, competitiveness, economic growth, investment environment, valuation, income, capital.

*მურმან კვარაცხელია*

#### ეკოლოგიური გამორჩევა თანამედროვე მსოფლიოსა და საქართველოში

**ანოტაცია.** სტატიაში განხილულია დღევანდელი ეპოქის ისეთი აქტუალური თემა, როგორცაა ეკოლოგიური გამოწვევა. ეს პრობლემა მოითხოვს სხვადასხვა გლობალური ღონისძიებების გატარებას, რომელთა შორის ერთ-ერთ უმთავრესს წარმოადგენს მწვანე ეკონომიკა. ავტორი სწორედ ამ კუთხით გადმოგვცემს მწვანე ეკონომიკის არსსა და მნიშვნელობას. ამასთან, ავტორის აზრით, მნიშვნელოვანია ის თუ მწვანე ეკონომიკა როგორ არსებით გავლენას ახდენს ქვეყნის მდგრად განვითარებაზე. სტატიაში განსაკუთრებით ხაზგასმულია მწვანე ეკონომიკის როლის შესახებ მოსახლეობის სიღარიბის დაძლევაში სოციალური ჩართულობის კუთხით.

**საკვანძო სიტყვები:** ეკოლოგიური გამოწვევა; გლობალიზაცია; მწვანე ეკონომიკა.

#### შესავალი

გარემოს დაცვა ერთ-ერთი გლობალური თანამედროვე გამოწვევაა. ეს ადამიანის სასიცოცხლო გარემოს ხელშემწყობი ფაქტორია, რომლის გარეშეც მსოფლიოს განვითარების პერსპექტივა არ გააჩნია. გარემოს გაუმჯობესებისათვის მეცნიერები აწარმოებენ უამრავ კვლევებს, იქმნება ახალ-ახალი დარგები, რომლებიც მიმართული არიან კლიმატის გაჯანსაღებისა და ადამიანთა ცხოვრების ღონის ამადლებისაკენ.

ამ პრობლემის გადაწყვეტის საქმეში არსებითი წვლილი შეაქვს მწვანე ეკონომიკას, რომელიც ამცირებს გარემოს დაბინძურებას, დადებითად მოქმედებს კლიმატის ცვლილებაზე, ანელებს ბუნებრივი რესურსების ამოწურვის საშიშროებას. ამასთან ერთად, მწვანე ეკონომიკა ბიზნესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორიცაა, რაც საბაზრო ურთიერთობების პირობებში ხელშემწყობი ფაქტორია საქონლისა და მომსახურების გაზრდისათვის. ამდენად, ჩვენი საკვლევი თემა ეძღვნება მეტად აქტუალურ და მნიშვნელოვან თემას.

მწვანე ეკონომიკა წარმატებით ხორციელდება განვითარებულ ქვეყნებში. ის მოიცავს სხვადასხვა სფეროებსა და დარგებს. მასში შედის ეკოლოგიურად სუფთა ინფრასტრუქტურა, ტყეების მართვა, მზის ენერჯის გამოყენების ხარისხი, განახლებადი ენერჯისა და ორგანული სოფლის მეურნეობის გამოყენება.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სიღარიბის აღმოფხვრისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პროცესში მწვანე ეკონომიკა ისეთი ფორმით ღებულობს მონაწილეობას, როგორცაა განახლებადი ენერჯეტიკის, ენერგოეფექტურობისა და ეკოსისტემის ახალი სექტორების შექმნა. აქ მკვეთრი ნაბიჯებია გადადგმული მწვანე ტექნოლოგიების განვითარებისა და ახალი ინფრასტრუქტურის განსავითარებლად, რაც სიღარიბის აღმოფხვრის მნიშვნელოვანი შედეგიცაა ახალი სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით. ჩვენი აზრით, მწვანე ეკონომიკის ერთ-ერთი უპირატესობაა სიღარიბის დაძლევა მოსახლეობის სოციალური ჩართულობის კუთხით.

მწვანე ეკონომიკას უფრო მეტი ყურადღება სჭირდება საქართველოშიც. ამ მიმართულებით თვალსაჩინო პროგრესია მიღწეული და შემდგომი წლების პროგნოზიც მეტის გაეთების პერსპექტივას იძლევა.

\* \* \*

საბაზრო ურთიერთობების პირობებში ეკონომიკის განვითარება ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესების მთავარი მიზანია, ხოლო მწვანე ეკონომიკა მისი შედეგი. მწვანე ეკონომიკა ეკონომიკური განვითარების მოდელია, რომელიც დაფუძნებულია ეკონომიკის მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე. მისი თავისებურება ვლინდება, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ბუნებრივი კაპიტალის შეფასებაში, რომელსაც ეკონომიკური ღირებულებაც გააჩნია.

მწვანე ეკონომიკა თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთ გლობალურ პრობლემას-გარემოს დაცვას უწყობს ხელს. უფრო კონკრეტულად, ამცირებს გარემოს დაბინძურებას, დადებითად მოქმედებს კლიმატის ცვლილებაზე, ამცირებს სხვადასხვა რესურსების ამოწურვის საშიშროებას. ამას გარდა, მწვანე ეკონომიკა ბიზნესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორიცაა, ის ხელს უწყობს მომსახურების გაზრდასაც.

მწვანე ეკონომიკის ერთ-ერთ არსებით თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი ერთმანეთისაგან არ მიჯნავს სახელმწიფო და კერძო სექტორებს. მისთვის უმთავრესია ეკონომიკური გადაწყვეტილებების შედეგი, რომელიც საზოგადოებისათვის სასიკეთო ალტერნატივას წარმოადგენს.

მწვანე ეკონომიკის თეორიას თავისი წანამდგრები გააჩნია. მათ შორის მნიშვნელოვანია ის სივრცეები, სადაც გაელენის სფეროები შეზღუდულია. ამასთან, საყოველთაოდ ცნობილია, რომ კაცობრიობას ბუნებრივი რესურსებიც შეზღუდული რაოდენობით გააჩნია, როდესაც გამუდმებით იზრდება მოთხოვნილებები საქონელსა და მომსახურებაზე. ამასთან, გლობალიზაციის პროცესში დედამიწის ზედაპირზე არსებული ყველა სახის რესურსი მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფება ერთმანეთთან.

მწვანე ეკონომიკა ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის, რაც მათი პრინციპების თანხვედრას იწვევს. ამასთან, მთავარია არსებული სხვადასხვა რესურსების ეფექტიანი გამოყენება, მათი მოხმარება და წარმოება. სწორედ შეზღუდული ბუნებრივი რესურსების პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ რაციონალურ გამოყენებას, რაც მომავალი თაობების სასიცოცხლო ინტერესებშიც შედის. ამასთან ერთად პრინციპულია ის გარემოებაც, რომ ასეთ პირობებში ხდება „მწვანე“ სამუშაო ადგილების შექმნა, კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ზრდა, და, რაც მთავარია, სიღარიბის აღმოფხვრა. ეს საუკუნოვანი პრობლემა მოითხოვს გადაწყვეტის გზების ძიებას ყველა დროში და ყველა ეპოქაში სისტემური მიდგომის საფუძველზე.

მწვანე ეკონომიკა მრავალსექტორიანია. აქედან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია განახლებადი ენერჯის მიღება, რომელიც კაცობრიობის მომავლის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. ცალკეულ სექტორებს განეკუთვნებიან ასევე მწვანე შენობები, სუფთა ტრანსპორტი, წყლის, ნარჩენებისა და მიწის რესურსების მენეჯმენტი.

მწვანე ეკონომიკა წარმატებით ხორციელდება განვითარებულ ქვეყნებში. ის მოიცავს სხვადასხვა სფეროებსა და დარგებს. კერძოდ, მასში შედის ეკოლოგიურად სუფთა ინფრასტრუქტურა, ტყეების მართვა, მზის ენერჯის გამოყენების ხარისხი, განახლებადი ენერჯისა და ორგანული სოფლის მეურნეობის გამოყენება. ეს უკანასკნელი მოიცავს

სოფლის მეურნეობის წარმოების ჩანაცვლებას ორგანული ფერმერული მეურნეობით. ეს მომგებიანი პროცესია ქვეყნის ეკონომიკის, საზოგადოებისა და გარემოსთვისაც.

მწვანე ეკონომიკამ უკვე მიიღო გლობალური ხასიათი. ნიშანდობლივია, რომ 2009 წლიდან ევროკავშირმა მწვანე ეკონომიკის კვლევისა და განვითარებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი 3-ჯერ გაზარდა. მნიშვნელოვანია ჩინეთის დაინტერესებაც ამ კუთხით. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2010 წელს ამ განვითარებულმა ქვეყანამ 34 მლრდ დოლარი დახარჯა სუფთა ენერჯის დასაფინანსებლად. ამით შესაძინებდა გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს და მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა განახლებად ენერჯო-ტექნოლოგიურ დარგებში დაბანდებული ინვესტიციების მოცულობით. ამ ხუთეულში შედის ასევე დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და ბრაზილია[1].

21-ე საუკუნეში მისი უდიდესი მნიშვნელობიდან გამომდინარე მწვანე ეკონომიკის განვითარებამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ამისი დამადასტურებელია მოქმედი ფორმულა: „მწვანე ეკონომიკა 21-ე საუკუნის ბიზნესშესაძლებლობაა“. ცნობილია, რომ საბაზრო ურთიერთობებისა და მეცნიერ-ტექნოლოგიური რევოლუციის ეპოქაში ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობა თანამდევით პროცესს გახდა. ასეთ პირობებში მწვანე ეკონომიკის აქტუალურობა მუდმივად მზარდი ხდება და დღითიდღე ფართოვდება.

განვითარებადი ქვეყნები ეკონომიკის მდგრადი განვითარების საფუძველს ჰქმნიან. ნიშანდობლივია ის, რომ მწვანე ეკონომიკა ასეთი ცვლილებების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი ხდება. ასეთ შემთხვევაში ამ ქვეყნებმა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში უნდა გააერთიანონ გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური საკითხები. იგი სამივე ასპექტში ახდენს ინტეგრაციას და ნერგავს თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს, არეგულირებს ამ სიტუაციებს ქვეყნებსა და ერებს შორის. ამასთან, პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და კულტურულ განსხვავებულობას. მწვანე ეკონომიკა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიოს ერთ-ერთი გლობალური პრობლემის, სიღარიბის დაძლევაში. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც მწვანე ეკონომიკაზე ახდენენ აქცენტის გადატანას, დიდ პოტენციალს ხედავენ მასში ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის. აქ მნიშვნელოვანია სოციალური ჩართულობის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება, რაც გულისხმობს მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში დამატებით 15-და 60 მლნ-მდე სამუშაო ადგილების შექმნას. აქ ყველაზე დიდი ხვედრითი წილი სწორედ განვითარებად ქვეყნებზე მოდის. ამ დარგებში წამყვანი იქნება რამდენიმე ეკონომიკური სექტორი, როგორცაა სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, თევზის რეწვა, ენერჯეტიკა, მისი ალტერნატიული წყაროებით, გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და სხვა.

სიღარიბის აღმოფხვრის ერთ-ერთ მაგისტრალურ მიმართულებას წარმოადგენს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. ამ მხრივ არსებითი პროგრესია მიღწეული უკვე განახლებადი ენერჯეტიკის, ენერჯოეფექტურობისა და ეკოსისტემის მომსახურების სექტორებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებად ქვეყნებში, სადაც გარდამავალი ეკონომიკის ეტაპი გამოიარეს, უფრო მაღალი შედეგებია მიღწეული, ვიდრე ინდუსტრიულ ქვეყნებში. ეს გამოწვეულია იმით, რომ მათ გაააკეთეს უფრო მკვეთრი ნახტომი მწვანე ტექნოლოგიების განვითარების გზაზე, შეცვალეს მოძველებული ინფრასტრუქტურა უფრო პროგრესულით. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიამ მწვანე ეკონომიკის დახმარებით უკვე შექმნა 3 მილიონზე მეტი სამუშაო ადგილი, რომელთა რიცხვი ფორმალურად დასაქმების 7%-ს შეადგენს. [5].

მწვანე ეკონომიკა სიღარიბის დაძლევას მოსახლეობის სოციალური ჩართულობის კუთხითაც უწყობს ხელს. ეს გულისხმობს განვითარებულ ქვეყნებში დასაქმებული 400 მლნ-ზე მეტი ფერმერისათვის ინვესტიციებით დახმარებას მათი მუშაობის პრაქტიკული დონის ამაღლების კუთხით.

თანამედროვე ეტაპზე ზოგიერთი ქვეყნების (კოლუმბია, ბრაზილია და ა.შ.)[6]. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მომუშავეთა ინტეგრირება გადამამუშავებელ სისტემაში დიდი ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი სარგებლიანობის მაღალი დონით გამოირჩევა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ განვითარებად ქვეყნებში დღევანდელ პირობებში 1,3 მლრდ ადამიანს არ გააჩნია წვდომა და მისი სიკეთით სარგებლობა უახლოესი ენერჯის წყაროებთან. დიდი ძალისხმევაა საჭირო სიღარიბის დაძლევის საქმეში, განსაკუთრებით, ენერჯის ხელმისაწვდომობის ნაკლებობის აღმოსაფხვრელად.

მწვანე ეკონომიკა დასაქმების პრობლემის გადაწყვეტისას გარკვეულწილად ხელს შეუწყობს წმინდა მოგების მოცულობის გადიდებაც. აქედან ცხადია, რომ მიზნობრივი საერთაშორისო ინვესტიციები უნდა გაიზარდოს, უპირველეს ყოვლისა, განვითარებად ქვეყნებში, სადაც შესაძლებელია მილიონობით ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

განვითარებად ქვეყნებში აუცილებელია ტრენინგების ხელმისაწვდომობის გაფართოებაც, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობის სფეროში: ტრენინგების დროს მეწარმეები სასიცოცხლო მნიშვნელობის უნარჩვევებს გამოიმუშავენ მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გასაუმჯობესებლად, რასაც ბუნებრივია, გარკვეულწილად სიღარიბის დონის შემცირებაც მოჰყვება. ამის შედეგი იქნება დასაქმებულთა პროდუქტიულობის გაზრდა და ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის ხელშეწყობა. გარემოსდაცვით თანამედროვე გამოწვევებზე უკვე მოქმედებს საპილოტე პროგრამები ჩინეთსა და აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებში. მათი მიღწევების დანერგვა სხვა განვითარებად ქვეყნებში დადებითი ხელშემწყობი ფაქტორი გახდება მისი ფართო მასშტაბით დანერგვის საქმეში [7].

მწვანე ეკონომიკის ხაზით მიღწეული თვალსაჩინო შედეგები განვითარებადი ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანი პროგრესის მიმანიშნებელია, განსაკუთრებით სიღარიბის დაძლევის კუთხით. ამ მხრივ არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს. ცხოვრების დონის მაჩვენებლის დინამიკა 2004-2018 წლების მაჩვენებლებით დადებითი ტენდენციით ხასიათდება. ასე, მაგალითად 2004 წელს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი შეადგენდა 34,3 %-ს. 2010 წლამდე ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო იზრდებოდა, რომელმაც მაქსიმუმს 2007 წელს მიაღწია -38,8%. 2010 წელს კი 37,3 % გახდა. ამის შემდეგ შემჩნევა შემცირების ტენდენცია -2012 წელს 30,0%, 2013 წელს- 26,2%, 2015 წელს -21,6%, 2018 წელს კი - 20,1% გახდა [8].

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ირკვევა, საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი კლდობადი ტენდენციით ხასიათდება, რაც უადრესად დადებითი მოვლენაა. ვფიქრობთ, ცალკეული მოკლევადიანი რყევები მაკროეკონომიკურ სფეროში ამ პროცესზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს.

ზემოთ განხილული საკითხები მწვანე ეკონომიკის არსსა და მნიშვნელობაზე, გვაძლევს გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას.

## დასკვნები

მწვანე ეკონომიკა არის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი ეკონომიკის მდგრადი განვითარების მისაღწევად. იგი ადგილობრივი მოსახლეობის მიწებსა და მის ტერიტორიულ რესურსებზე გარკვეული გარანტიის ფუნქციებსაც ასრულებს. ის ხელს უწყობს და ჰქმნის წინაპირობებს მოსახლეობის სიღარიბის ეტაპობრივი აღმოფხვრისათვის. ამასთან მწვანე ეკონომიკა მნიშვნელოვნად ცვლის ტრადიციულ სამუშაო ადგილებს და ჩაანაცვლებს მას მწვანე სამუშაო ადგილებით. მისი განვითარება ხელმისაწვდომს ხდის ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. რაც ასევე მნიშვნელოვანია ის უზრუნველყოფს შეზღუდული ბუნებრივი რესურსების ოპტიმალურ და რაციონალურ გამოყენებას. ასევე მას შეუძლია მტკიცედ დაიცვას სახელმწიფო ინტერესები, როგორც გლობალურ, ასევე მუნიციპალურ დონეზე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Ciocoiu Carmen, Intergrating Digital Economy and Green Economy: opportunities for sustainable Development. Theoretical and Empirical Researches in Urban Management. Vol. 6, Issue 1.
2. [http://www.unep.org/pdf/GreenEconomy\\_SuccessStories.pdf](http://www.unep.org/pdf/GreenEconomy_SuccessStories.pdf)
3. <http://greeneconomics.org.uk>
4. <http://www.inderscience.com/ijge>
5. [https://www.imf.org/en/Countries/BRA?fbclid=IwAR3en-6H1ziOBoQrtJK-wTII VKKcfL9uglyxs6\\_QAmoql eFwzsr sTs6voo](https://www.imf.org/en/Countries/BRA?fbclid=IwAR3en-6H1ziOBoQrtJK-wTII VKKcfL9uglyxs6_QAmoql eFwzsr sTs6voo)
6. <https://www.imf.org/en/Countries/COL?fbclid=IwAR298dZqD5WDT eDqnzMvfEiEebI8NBkkflp9c hmP2CKYNczWxTd7yUmATFQ>
7. <https://www.weforum.org/agenda/2018/04/china-is-going-green-here-s-how/?fbclid=IwAR2ZiiE3KqIbXxInv gQatf6qtumW-pqFMYwAaOx7MvQSOGbe0M6gPatye8>

*Murman Kvaratskhelia*

## ECOLOGICAL CHALLENGES OF MODERN WORLD AND GEORGIA

### Summary

The article discusses the current theme of today's epoch, such as an ecological challenge. This problem requires a variety of global measures, one of which is the green economy. The author gives us the essence and significance of the green economy in this regard. In addition, in the opinion of the author, it is important if the green economy has a substantial impact on the sustainable development of the country. The article specifically highlights the role of green economy in terms of social engagement in overcoming the poverty of the population.

*Альфред Кураташвили*

## ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ОСНОВЫ ФОРМИРОВАНИЯ «ЗЕЛЁНОЙ ЭКОНОМИКИ» И НЕОБХОДИМОСТЬ ИСКОРЕНЕНИЯ КРИМИНАЛЬНОГО БИЗНЕСА

**Аннотация.** В научном труде, рассматриваются теоретические основы формирования «зелёной экономики» и необходимость искоренения криминального бизнеса – как антипода «зелёной экономики» и как проявления экономического фашизма, являющегося преступлением против человечности (?!).

Необходимо особо учесть, что без искоренения криминального бизнеса – как антипода «зелёной экономики», недостижимо повышение благосостояния людей и обеспечение социальной справедливости, что подразумевает сущность «зелёной экономики» в широком понимании.

Следовательно, в условиях функционирования криминального бизнеса – в условиях господства денег, рынка, прибыли, капитала над человеком в обществе и в государстве, т.е. в условиях экономического фашизма, являющегося преступлением против человечности, главное назначение «зелёной экономики» не может быть реализовано (?!).

Исходя из вышеотмеченного, в качестве теоретических основ формирования «зелёной экономики», и в качестве теоретических основ искоренения криминального бизнеса, по научно обоснованному утверждению автора, необходимо рассматривать созданные им же принципиально новые научные направления и принципиально новые научные теории – Философию социальной цели, Теорию верховенства интересов народа и Теорию сбалансированности прав и ответственности должностных лиц, ибо, в противном случае, формирование «зелёной экономики» в интересах народа и искоренение криминального бизнеса не представляется возможным.

**Ключевые слова:** «Зелёная экономика», Необходимость искоренения криминального бизнеса – как антипода «зелёной экономики», Экономический фашизм, Преступление против человечности, «Невидимая рука» Адама Смита, Философия социальной цели, Теория верховенства интересов народа, Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц.

### Введение

**Постановка проблемы.** Исследование и решение проблем формирования «Зелёной экономики» и необходимости искоренения криминального бизнеса – как антипода «зелёной экономики» и как проявления экономического фашизма, являющегося преступлением против человечности, имеет принципиальное значение, ибо без решения отмеченных проблем в интересах народа, достижение высокого качества жизни людей не представляется возможным.

Следовательно, принципиально важным назначением государственной власти в процессе управления обществом и государством должно быть решение проблем формирования «зелёной экономики» и искоренение криминального бизнеса – как антипода «зелёной экономики» и как проявления экономического фашизма.

Именно необходимостью решения проблем формирования «зелёной экономики» и искоренения криминального бизнеса – как антипода «зелёной экономики» и как проявления экономического фашизма, обосновывается актуальность темы данного исследования.



**Анализ последних исследований.** Научный анализ исследований показывает, что среди публикаций, посвященных «зелёной экономике», почти не встречаются научные труды, в которых бы рассматривались теоретические основы формирования «зелёной экономики» и необходимость искоренения криминального бизнеса – как антипода «зелёной экономики» и как проявления экономического фашизма, хотя отмеченный аспект исследования имеет принципиальное значение для реализации интересов народа.

**Цель и задачи исследования.** Целью данного исследования является внедрение созданных мной принципиально новых научных направлений и принципиально новых научных теорий – Философии социальной цели, Теории верховенства интересов народа и Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц – в качестве теоретических основ формирования «зелёной экономики», и в качестве теоретических основ искоренения криминального бизнеса.

**Задачей же данного исследования является** научное обоснование необходимости внедрение в качестве теоретических основ формирования «зелёной экономики», и в качестве теоретических основ искоренения криминального бизнеса – созданных мной принципиально новых научных направлений и принципиально новых научных теорий: Философия социальной цели, Теория верховенства интересов народа и Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц.

**Научная новизна.** Главной новизной научного исследования является раскрытие и рассмотрение в качестве теоретических основ формирования «зелёной экономики», и в качестве теоретических основ искоренения криминального бизнеса – созданных мной принципиально новых научных направлений и принципиально новых научных теорий: Философии социальной цели [1; и др.], Теории верховенства интересов народа [2; и др.] и Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц [3; и др.], **ибо, в противном случае, искоренение криминального бизнеса и достижение формирования «зелёной экономики» в интересах народа не представляется возможным.**

#### Изложение основного материала

Необходимо особо отметить, что, как известно: «Общепринятого определения «зеленой» экономики не существует. Эксперты Организации ООН по охране окружающей среды (ЮНЕП) предлагают наиболее широкое понимание этого понятия, рассматривая «зеленую» экономику как хозяйственную деятельность, «которая повышает благосостояние людей и обеспечивает социальную справедливость и при этом существенно снижает риски для окружающей среды и обеднение природы» [4].

**Анализируя проблемы, связанные с сущностью «зелёной экономики», по моему глубокому и научно обоснованному убеждению, можно утверждать, что в широком и определяющем смысле и понимании:**

**«Зелёная экономика» – это экономика, учитывающая интересы людей и служащая интересам народа!!!**

**Следовательно, антипод «зелёной экономики» – это экономика, противоречащая интересам народа (?!).**

**Исходя из вышеотмеченного, считаю принципиально важным рассмотрение в качестве теоретических основ формирования «зелёной экономики», и в качестве теоретических основ искоренения криминального бизнеса – созданных мной революционно новых научных направлений и революционно новых научных теорий: Философии социальной цели [1; и др.], Теории верховенства интересов народа [2; и др.] и Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц [3; и др.], ибо, в противном случае, искоренение криминального бизнеса и достижение формирования «зелёной экономики» в интересах народа не представляется возможным.**

\* \* \*

В частности, в отличие от так называемой «Невидимой руки» Адама Смита [5, с. 332], которая представляет собой глубинную теоретическую основу истинного капитализма – как экономического фашизма (ибо является теоретической основой «обеливания» истинной сущности капитализма, именно как экономического фашизма – как господства денег, рынка, прибыли капитала над человеком в обществе и в государстве), созданная мной Философия социальной цели представляет собой теоретико-методологическую основу формирования и функционирования Гуманносоциального – Истинно человеческого – общества и государства, т.е. общества и государ-

ства, теории которых также созданы мной [6; 7; 8; и др.], и которые призваны служить и должны служить (будут служить) реализации интересов каждого человека – реализации интересов народа.

Следовательно, Философия социальной цели является и теоретико-методологической основой формирования «зелёной экономики», сущность и целевая направленность которой заключается (должна заключаться) в подчинении экономики реализации интересов каждого человека – реализации интересов народа, что должно исключать функционирование криминального бизнеса – как антипода «зелёной экономики» и как проявления экономического фашизма.

Что касается Теории верховенства интересов народа (которая основывается на Философии социальной цели, и которая является альтернативой и кардинальной противоположностью созданной мной же Философии средств), то она представляет собой определяющую теоретическую основу подчинения функционирования общества и государства – верховенству интересов народа, а равно, Теория верховенства интересов народа представляет собой определяющую теоретическую основу подчинения «зелёной экономики» верховенству интересов народа, что опять-таки должно исключать функционирование криминального бизнеса – как антипода «зелёной экономики» и как проявления экономического фашизма.

Что же касается Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц, то данная Теория является необходимой теоретической основой практической реализации Философии социальной цели и Теории верховенства интересов народа.

Следовательно, Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц является необходимой теоретической основой формирования социально нацеленной «зелёной экономики», служащей верховенству интересов народа, а стало быть, Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц является необходимой теоретической основой искоренения криминального бизнеса – как антипода «зелёной экономики» и как проявления экономического фашизма, являющегося преступлением против человечности.

Притом, необходимо особо отметить, что без ответственности должностных лиц, сбалансированной с их правами, не может быть эффективно реализована Философия социальной цели и Теория верховенства интересов народа, а значит, не может быть осуществлено формирование «зелёной экономики» в интересах народа и искоренение криминального бизнеса.

В частности, без внедрения ответственности должностных лиц, сбалансированной с их правами, не может быть осуществлено искоренение функционирования, например, азартных так называемых «игр» – так называемого «игорного» бизнеса, приводящего к противозаконно «узаконенному» ограблению, обнищанию, порабощению и уничтожению огромного количества людей при «молчаливом» попустительстве должностных лиц будто бы ради пополнения государственного бюджета (что не только не оправдано, но и преступно), а в действительности, для криминального обогащения отдельных лиц, притом не исключено, что и для криминального обогащения некоторых государственных должностных лиц.

## Заключение

В заключение принципиально важно еще раз отметить, что единственно разумной радикальной альтернативой так называемой «Невидимой руки» Адама Смита, а значит, единственно разумной радикальной альтернативой экономического фашизма, на основе которой осуществимо решение проблем формирования «зелёной экономики» в интересах народа, и искоренение криминального бизнеса, является рассмотрение в качестве теоретических основ формирования «зелёной экономики», и в качестве теоретических основ искоренения криминального бизнеса – созданных мной революционно новых научных направлений и революционно новых научных теорий: Философии социальной цели, Теории верховенства интересов народа и Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц, ибо, в противном случае, искоренение криминального бизнеса и достижение формирования «зелёной экономики» в интересах народа не представляются возможным и осуществимым.

## Использованная литература

1. Кураташвили Альфред А. (2003). Философия социальной цели. Принципиально новое научное направление – исходная теоретическая основа формирования и функционирования истинно чело-

*веческого общества и государства (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс» , – 352 с.*

2. Кураташвили Альфред А. (2003). Теория верховенства интересов народа.

*Принципиально новое научное направление и системообразующая теория управленческого права, правовой системы истинно человеческого общества и социально-экономических наук в целом (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», – 336 с.*

3. Кураташвили Альфред А. (2003). Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц. *Принципиально новое научное направление – необходимая научная основа защиты интересов человека и социально-экономического прогресса (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», – 256 с.*

4. Порфирьев Борис. (2013). «Зеленая» экономика: реалии, перспективы и пределы роста». 04 апреля 2013 года. Брошюра.

<https://carnegie.ru/2013/04/04/ru-pub-51414>

5. Смит Адам. (1962). Исследование о природе и причинах богатства народов, М., «Соцэкгиз», – 684 с.

6. Кураташвили Альфред А. (1998). Теория истинно человеческого – классического (образцового) – общества. Труды Грузинского технического университета, №3 (419). Тбилиси: “Технический университет”.

7. Кураташвили Альфред А. (1999) Социально-экономическая теория будущего – истинно человеческого общества. Известия Академии наук Грузии. Серия экономическая. Том 7, №1-2. Тбилиси: “Мецниереба”.

8. Кураташвили Альфред А. (1999) Альтернативное представление об ориентации общества и государства. Bulletin "Medicine, Science, Innovation and Business New" ("Новости медицины, науки, инновации и бизнеса – голос профессионалов и бизнесменов США, СНГ и других стран мира"). Volume 6, Number 10 (60), October, New York, USA.

*Alfred Kuratashvili*

## **THEORETICAL BASES OF FORMATION OF "GREEN ECONOMY" AND THE NEED FOR ELIMINATION OF CRIMINAL BUSINESS**

### **Summary**

In scientific work, the theoretical bases of the formation of a "green economy" and the need to eradicate criminal business are considered as the antipode of the "green economy" and as manifestations of economic fascism, which is a crime against humanity (?!).

It is necessary to especially note that without the eradication of criminal business as the antipode of the “green economy”, an increase in people's well-being and social justice is unattainable, which implies the essence of a “green economy” in a broad sense.

Consequently, in the conditions of the functioning of the criminal business – in the conditions of the domination of money, market, profit, capital over a person in society and in the state, i.e. in the conditions of economic fascism, which is a crime against humanity, the main purpose of a “green economy” cannot be realized (?!).

Based on the above, as a theoretical basis for the formation of a "green economy", and as a theoretical basis for the eradication of criminal business, according to a scientifically based statement of the author, it is necessary to consider the fundamentally new scientific directions and fundamentally new scientific theories created by him – the Philosophy of the Social Purpose, the Theory of the Supremacy of Interests of the People and The Theory of Balancing the Rights and Responsibility of Officials, for, otherwise, the formation of a “green economy” in the interests of the people and the eradication of criminal business is not possible.

ეკონომიკური ზრდის "მწვანე" დაფინანსების  
პირირაღი საპრობლემები

**ანოტაცია.** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციის ფორმატში 2012 წელს გლობალურ დონეზე მოხდა უმეტესობა მსოფლიო ქვეყნების შეთანხმება "მწვანე" ეკონომიკაზე გადასვლის თაობაზე. საყურადღებოა, რომ "მწვანე" ეკონომიკის განმარტების ერთიანი განსაზღვრება დღემდე არ ჩამოყალიბებულა. ძირითადად მწვანე ეკონომიკის ქვეშ მოიაზრება სამეურნეო საქმიანობა, რომელიც აუმჯობესებს ადამიანთა კეთილდღეობას, უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობას და მნიშვნელოვნად ამცირებს რისკებს გარემოსა და ბუნების გაჩანაგებისათვის.

მწვანე ეკონომიკის განვითარების ძირითად ფაქტორად სწორედ მწვანე დაფინანსება გამოდის, რომელსაც შეუძლია თავიდან აიცილოს მსოფლიო მოსახლეობის მეკეთრი ზრდისა და ბუნებრივი კაპიტალის კატასტროფული ამოწურვის შედეგად გამოწვეული სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ცვლილებები და მათი ნეგატიური შედეგები. სწორედ ფინანსურ სექტორს, სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერით, შეუძლია ასეთ პირობებში უზრუნველყოს გლობალური მდგრადი განვითარება და ხარისხობრივი ცვლილებები.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ეკონომიკა, მდგრადი ეკონომიკური ზრდა, მწვანე დაფინანსება, მწვანე ინვესტიციები.

შესავალი

"მწვანე" ეკონომიკის განსაზღვრებასთან მიმართებაში სხვადასხვა ქვეყნების ოფიციალურ დოკუმენტებში ყურადღებაა გამახვილებული სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მის სხვადასხვა ასპექტებზე: განვითარებული ქვეყნებისათვის ეს კონკურენცია და სამუშაო ადგილების შენარჩუნებაა; განვითარებადი ქვეყნებისათვის კი – მდგრადი განვითარება, სიღარიბესთან ბრძოლა, სამართლიანობისა და მოქალაქეების ჩართულობის საკითხები.

თუ დავაკვირდებით "მწვანე" ეკონომიკის განსაზღვრებებს, არც ერთ მათგანში არ ფიგურირებს ეკოლოგიური პრობლემები. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ეკონომიკურ განვითარებასა და სოციალური პოლიტიკის პრობლემებზე.

XXI საუკუნის დასაწყისში "მწვანე" ეკონომიკური ზრდა ახალ ფაზაში გადავიდა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალ ინიციატივაში გამოვლინდა – "ახალი გლობალური მწვანე კურსი", რომელშიც აქცენტი კეთდებოდა გარემო ბუნების განვითარებისა და შენარჩუნების ამოცანების გაერთიანებას, რომელიც მოიცავს კლიმატის, უახლესი ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებისა და ზრდის ეკოლოგიური საზღვრების პრიორიტეტულ განვითარებას. იდეის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მსოფლიო ეკონომიკაში უნდა შემოედოთ ეკოლოგიური სტანდარტები, რომლებიც კონცენტრირებული იქნებოდა წარმოებისას ნახშირბადისა და ენერგოტევალობის მაქსიმალურ შემცირებაზე.

\* \* \*

2012 წელს, მდგრადი განვითარების კონცეფციის შედეგად, წარმოიშვა ინვესტირების ახალი მოდელი – მდგრადი ანდა საპასუხისმგებლო ინვესტირება, რომელიც ინვესტორისათვის წარმოადგენს არა მხოლოდ შემოსავლის მიღებას, არამედ პოზიტიური სოციალური ცვლილებების შექმნას, გარემო ბუნებაზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირებას და ეთიკურ ნორმებთან შესაბამისობას.

წარმოებისა და ტექნოლოგიების "გამწვანების" იდეამ გლობალური დონიდან რეალური სამეურნეო სუბიექტების დონეზე გადმოინაცვლა და გამოიწვია ახალი ტენდენციის ფორმირება – კერძო კაპიტალის ნაკადების გადაადგილება "დამაბინძურებელი" ტექნოლოგიებიდან "მწვანე" ტექნოლოგიებისაკენ. თუ გადავხედავთ დინამიკას, 2000 წლიდან მოყოლებული, "მწვანე" ინვესტირების კუთხით თითქმის ყველა ქვეყანას დადებითი დინამიკა გააჩნია. ქვეყნებმა შეძლეს შეენარჩუნებინათ ინვესტიციების პრიორიტეტულობა ძირითად კაპიტალში, რომელიც მიმართული იყო გარემო ბუნების დაცვასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებაზე, რის შედეგადაც არ მოხდა მათი შემცირება, ზოგ სახელმწიფოებში კი, როგორცაა სამხრეთ კორეა და მექსიკა, მნიშვნელოვნად

გაიზარდა. "მწვანე" ინვესტირების კუთხით ლიდერი ქვეყნების ჯგუფში შედიან: სამხრეთ კორეა, გერმანია, საფრანგეთი, იტალია.

მნიშვნელოვანია გამოყოფილი რიგი ფაქტორებისა, რომლებიც ხელს უშლის "მწვანე" ეკონომიკურ ზრდას. ეს ფაქტორები ძირითადად იყოფა საგარეო და საშინაო ფაქტორებად.

საგარეო ფაქტორებს მიეკუთვნება:

- არასრულყოფილი ბაზრის არსებობა ეკოლოგიის სფეროში;
- ეკონომიკური განვითარების მაღალი დონის კონსერვატიული ხასიათი;
- "მწვანე" ზრდის კორექტული გაზომვის სიძნელეები და სხვ.

ინვესტირების შიდა სფეროს ფაქტორებს მიეკუთვნება:

- ფინანსურ სექტორში სუსტი კომპეტენცია;
- "მწვანე" ინვესტირების დაფინანსების წყაროების სუსტი დივერსიფიკაცია;
- მონიტორინგისა და კონტროლის არაეფექტური სისტემა.

ეროვნული ეკონომიკის "მწვანე" ზრდის დაფინანსებაში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ითამაშოს ვენჩურულმა და კერძო აქციონერულმა კაპიტალმა. თუმცა მათი ნაკლოვანება ისაა, რომ ეს ინვესტიციები პროექტებს ხშირად გვიან ეტაპზე უჭერს მხარს, როდესაც რისკი უკვე უმნიშვნელოა და ინვესტიციის გადახდის ვადაც ძალიან მცირეა. არადა "მწვანე" ენერჯეტიკის სფეროში პროექტების უმეტესობა მხარდაჭერას მხოლოდ საწყის ეტაპზე მოითხოვს. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ დღევანდელ პირობებში ეკოლოგიური ინტერესები წინ უნდა იდგეს კომერციულ და სამეწარმეო ინტერესებზე.

რამდენად წარმარებული იქნება "მწვანე" ეკონომიკაზე გადასვლა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ზომებს გამოიყენებს ქვეყანა ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე. რა თქმა უნდა, გადამწყვეტ როლს თამაშობს შიდა ფინანსური დონისძიებები, რომლებიც გამოიყენება ცალკეული ქვეყნის მიერ და აგრეთვე საერთაშორისო თანამშრომლობა ვაჭრობის, ფინანსების, ბაზრის ინფრასტრუქტურის მეშვეობით.

საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყოფა 5 საკვანძო მიმართულება, რომლის ფარგლებშიც ქვეყნის მთავრობებს შეუძლიათ მიაღწიონ ყველაზე მეტ წარმატებას როგორც მოკლევადიან, ისე საშუალოვადიან პერსპექტივაში. ეს შესაძლებელია სხვადასხვა დარგებში "მწვანე" ეკონომიკის კუთხით ინოვაციური ტრანსფორმაციული ცვლილებების შემოტანით საქმიანობის გაფართოებისათვის. მათ მიეკუთვნება:

- სახელმწიფო ინვესტიციები და ხარჯები;
- ეკოლოგიური გადასახადებისა და იმ სხვა საბაზრო ინსტრუმენტების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს გარემო ბუნებაზე ზემოქმედების შემცირებას;
- საკანონმდებლო რეგულირების სრულყოფა;
- ეკოლოგიისა და რესურსსარგებლობის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება.

"მწვანე" ზრდის ფინანსირების მოდელის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებებმა და სერთაშორისო კონფერენციებმა, რომლებიც ამ საკითხს ეხებოდა. ძირითადი ცვლილებები გამოიხატება იმაში რომ, თუ 1980-იანი წლებისათვის გადამწყვეტი როლი ეკუთვნოდა მრავალრიცხოვან ფინანსურ დაწესებულებებს, XX საუკუნის ბოლოსთვის აქცენტი გადავიდა ნაციონალურ პოლიტიკაზე, რომელიც ფორმირდება ქვეყნის მიერ ეფექტიანობის გაზრდის და რესურსების გადანაწილების გზით და მოიცავს ინსტრუმენტების ფართო სპექტრს: სახელმწიფო მხარდაჭერას, დაბეგვრის რეფორმას, საბაზრო მექანიზმების შექმნას "მწვანე" ზრდის ახალი მოდელის დაფინანსების პირობების უზრუნველსაყოფად.

როგორც აღვნიშნეთ, ეკოლოგიურად მდგრადი ზრდის დაფინანსება ინვესტიციების მნიშვნელოვან მოცულობას მოითხოვს. აქ ყურადღებაა გამახვილებული გლობალური პროექტების "მწვანე" ფინანსირებაზე. საყურადღებოა, რომ დღემდე არ არის ჩამოყალიბებული "მწვანე" ფინანსირების ერთიანი განმარტება. თუმცა, ზოგადად, "მწვანე" ფინანსებში იგულისხმება ეკოლოგიურად ორიენტირებული ტექნოლოგიების, პროექტების, დარგებისა და საწარმოებისათვის საშუალებების სპექტრი.

მიზანშეწონილია, "მწვანე" ფინანსირების ქვეშ ვიგულისხმოთ იმ ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების ერთობლიობა, რომლებიც გარემო ბუნებაზე ზემოქმედებით ზრდის ეკოლოგიურ მდგრადობას და უზრუნველყოფს საქმიანობას, რომელიც მიმარ-

თულია გლობალური ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიური და კლიმატური რისკების შემცირებისაკენ.

“მწვანე” ფინანსირების გაზრდა ხელს უწყობს მრეწველობის მწვანე დარგების პოტენციალის ზრდას და ბიზნესის შესაძლებლობებს ფინანსური ინდუსტრიისათვის.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ “მწვანე” ფინანსები მოიცავს უამრავ სექტორსა და პროდუქტს, რომელთა გაერთიანება შესაძლებელია 3 ძირითადი მიმართულებით. ეს მიმართულებებია:

- ინფრასტრუქტურის დაფინანსება;
- დარგებისა და კომპანიების ფინანსური დახმარება;
- ფინანსური ბაზრები.

გაზრდილი რისკების პირობებში მნიშვნელოვანია სახელმწიფო მხარდაჭერა შეღავათიანი კრედიტების შეთავაზებისა და კერძო ბანკების გარანტიების გზით, რაც საბოლოოდ გამოიწვევს კონკრეტულ პროექტებში კერძო ინვესტიციების მოდინებას.

“მწვანე” დაფინანსების თავისებურებებს შორის აღსანიშნავია საწყისი კაპიტალდაბანდების გაზრდილი დონე (2007-2016 წწ. მსოფლიო “მწვანე” ეკონომიკაში კერძო ინვესტიციებით ჩადებული იყო 7,13 ტრილიონი აშშ დოლარი). ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა ენერჯის განახლებადი წყაროების სფეროში ჩადებული ინვესტიციების კუთხითაც. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 10 საუკეთესო ინვესტორთა შორის 6 განვითარებადი ქვეყანაა და 4 განვითარებული.

2015 წლისათვის მოწინავე პოზიციაზე იყო მზის ენერჯის გამოყენება, მას მოჰყვება ქარის ენერჯია, შემდგომ ბიომასები, მცირე ჰიდროენერჯეტიკა, გეოთერმული ენერჯია და ოკეანის ენერჯია.

მსოფლიო ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში ეკონომიკურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვა და ენერგოდამზოგავი საშუალებების უზრუნველყოფა დაკავშირებულია სამეცნიერო კვლევებსა და შემუშავებებზე, რომელიც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან დანახარჯებს მოითხოვს.

“მწვანე” ფინანსირების ისეთი ინსტრუმენტების განვითარება, როგორცაა მწვანე კრედიტები, მწვანე ობლიგაციები, მწვანე საინვესტიციო ფონდები და მწვანე ინდექსები, უშუალო ზემოქმედებას ახდენს მრავალი საფინანსო კომპანიის საქმიანი შესაძლებლობების გაზრდაზე.

როგორც აღვნიშნეთ, ეროვნული ეკონომიკის, ასევე მსოფლიო ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო მხარდაჭერასთან ერთად აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობის გადრმაგებაც. მნიშვნელოვანია აგრეთვე დიდი ოცეულის ჯგუფის G20-ის ბოლო სამიტი, რომელიც 2016 წელს გაიმართა ჩინეთში, სადაც ცალკე საკითხად განიხილებოდა “მწვანე დაფინანსება”, რაც ძირითადად გულისხმობდა ფინანსური სექტორის წვლილის გაზრდას ეკოლოგიურად მდგრად ეკონომიკურ ზრდაში. მის ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი “მწვანე დაფინანსების” საკითხის შესასწავლად, სადაც გადამწყვეტი როლი ჩინეთის სახალხო ბანკს მიუძღოდა და რომელშიც აქტიურად იყო ჩართული ინგლისის ბანკი. ამ პროგრამის ფარგლებში “მწვანე ინვესტიციების” 3 ძირითადი წყარო იქნა განხილული: ბანკები, ობლიგაციის ბაზრები და ინსტიტუციური ინვესტორები. შემუშავებული რეკომენდაციებიდან აღსანიშნავია “მწვანე განვითარებაში” კერძო ინვესტიციების სტიმულირებისათვის საჭირო ინსტრუმენტების და პარამეტრების ნებაყოფლობითი არჩევანის საშუალების გამოყენება, ფინანსური და ეკონომიკური რისკების შეფასების სფეროში თანამშრომლობის გაფართოება და “მწვანე დაფინანსების” პარამეტრების შესაცვლელად მაჩვენებლებისა და კრიტერიუმების შემუშავება.

## დასკვნა

მსოფლიო გამოცდილებამ დაგვანახა, რომ თანამედროვე მართვაში ეკოლოგიურმა გადაწყვეტილებებმა ეკონომიკურ, ფინანსურ და სოციალურთან ერთობლიობაში, უპირატესი როლი უნდა შეასრულოს.

მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფოზე მოდის, რადგან მას შეუძლია სტიმული მისცეს ეკონომიკის “დამაბინძურებელი” დარგებიდან კერძო კაპიტალის გადადენას “მწვანე” ეკონომიკისაკენ. მას შეუძლია ხელი შეუწყოს დაფინანსების ეროვნული მოდელის შექმნას, რომელიც დაფუძნებული იქნება ეროვნულ თავისებურებებსა და განვითარებაზე.

შედევად, ჩამოყალიბდა ისეთი შეხედულება, რომლის თანახმადაც, თითოეულმა ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს მდგრადი განვითარების დაფინანსების საკუთარი სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური სახსრების ყველა წყარო (სახელმწიფო და კერძო, შიდა და საერთაშორისო), ხოლო სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა უნდა იყოს, მობილიზება მოახდინოს და მნიშვნელოვნად გაზარდოს უკვე არსებული ყველა წყარო, მ.შ. არატრადიციული დაფინანსების წყაროების აქტიური მოზიდვის გზით.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ მზარდი კლიმატური, ეკოლოგიური და სოციალური გამოწვევებისა და რისკების პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება ეკონომიკის მდგრადი განვითარება. ამიტომ აუცილებელია, ჩამოყალიბდეს მომავალი ფინანსური სისტემის ისეთი სტრუქტურა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება თანამედროვე გლობალური გამოწვევები მსოფლიო ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Архипова В.В. «Зеленые финансы» как средство для решения глобальных проблем. экономический журнал ВШЭ, №2, 2017.
2. медведкина Е.А., Медведкин Т.С. "Зеленые финансы как драйвер мировой экономической динамики". ж. «Світове господарство і міжнародні економічні відносини», №26 2016.
3. Никоноров С.М. К «зеленой» экономике через «Зеленые финансы», биоэкономику и устойчивое развитие. ж. «Русская политология», №3, 2017.
4. Яковлев И.А., Кабир Л.С., Никулина С.И., Раков И.Д. Финансирование «зеленого» экономического роста: концепции, проблемы, подходы. Финансовый журнал, №3, 2017.

*Tea Lazarashvili*

### BASIC ISSUES AND PROBLEMS OF "GREEN" FUNDING ECONOMIC GROWTH Summary

In the format of the United Nations Conference in 2012, most of the global agreements on the "green" economy were taken at the global level. It is noteworthy that the uniform definition of "green" economics has not yet been established. Mainly under the green economy, economic activity is meant, which improves human wells, ensures social justice and significantly reduces the risks to the environment and nature.

The main factor in the development of green economy is the green financing that can prevent social, economic and ecological changes caused by the sharp expansion of the global population and the catastrophic exhaustion of natural resources and their negative consequences. The financial sector, with active support of the state, can provide global sustainable development and qualitative changes in such conditions.

**Keywords:** green economy, sustainable economic growth, green funding, green investments.

*ნუგ ზარ პაიჭაძე*

### მწვანე დასაქმება და შრომის ბაზარი

**ანოტაცია.** საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია მოსახლეობის დასაქმების საკითხები მწვანე ეკონომიკის განვითარების კონტექსტში. მოცემული პრობლემა შედარებით ახალია და, შესაბამისად, ქართული ეკონომიკური ლიტერატურა მის შესახებ გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომებით დღესდღეობით არ არის განებივრებული. სწორედ აღნიშნულ პრობლემაზე შესრულებული წინამდებარე სამეცნიერო სტატია.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ეკონომიკა, მდგრადი განვითარება, ეკოლოგიური ეკონომიკა, მწვანე დასაქმება, მწვანე სამუშაო ადგილი.

### შესავალი

დღეს შრომის ბაზარი ხასიათდება ახალი ტენდენციით, რაც, თავის მხრივ, გამოხატულებას პოულობს მწვანე ეკონომიკის პრინციპების საფუძველზე მოსახლეობის დასაქმების პოლიტიკის განვითარებაში. მისი მთავარი გამასხვავებელი ნიშანია ეკოლოგიურად ორიენ-

ტირებული შრომის ბაზრის ფორმირება, რომელსაც თან ახლავს ეკონომიკური საქმიანობიდან გარემოზე მანვნი გავლენის შემცირება.

მწვანე დასაქმებაზე მეცნიერულ შეხედულებებს საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის 90-იან წლებში. მოცემულ პრობლემაზე მომუშავე მკვლევრებს შორის ერთ-ერთი პირველი იყო შვეიცარიელი ეკონომისტი ნ. ბისვანგერი [Binswanger H., 1983].

მწვანე ეკონომიკასთან დაკავშირებული ისეთი საქმიანობები, როგორცაა: გარემოს გაჯანსაღებისადმი მიმართული მუშაობა, ბუნებრივი რესურსების დაცვა, მიწათმოქმედების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება, ნარჩენების გადამუშავება და უტილიზაცია და ა. შ., არა მარტო სასიკეთოდ მოქმედებს ადამიანების ჯანმრთელობაზე, არამედ წარმოადგენს მძლავრ ფაქტორებს, რომლებიც დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე, მოსახლეობის დასაქმებაზე და, შესაბამისად, უმუშევრობის შემცირებაზე, ახალი საუშაო ადგილების შექმნაზე და ა. შ.

### **მწვანე ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და მასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები**

როგორც უკვე იყო აღნიშნული, მწვანე ეკონომიკის პრობლემებზე მეცნიერულ კვლევას საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის ბოლო ათწლეულში. შესაბამისად, ეკოლოგიურად ორიენტირებული საქმიანობის ფორმირებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია აქტიურად გამოიყენება XXI საუკუნის დასაწყისიდან. მწვანე ეკონომიკაში იგულისხმება ისეთი ეკონომიკა, რომელიც ამაღლებს ადამიანების კეთილდღეობას, უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობას და, ამასთან ერთად, მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე ეკონომიკური საქმიანობის მანვნი ზემოქმედებას და მის დეგრადაციას. მოცემულ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს, მწვანე საუშაო ადგილების შექმნისა და მათზე მომუშავეთა დასაქმების საფუძველზე, ირგვლივ მყოფი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის უზრუნველყოფელი სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციური პირობების ფორმირებას.

ეკონომიკის მდგრადი განვითარების და, შესაბამისად, მწვანე ეკონომიკის საკითხებზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ევროკავშირი. მაგალითად, 2030 წლამდე პერიოდში მდგრადი განვითარების სფეროში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ფორმულირებულ ამოცანებში წინა პლანზეა წამოწეული ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და ღირსეულ სამუშაო ადგილებზე მოსახლეობის დასაქმების საკითხები. ევროკავშირის გაერთიანების სტრატეგიის - "ევროპა 2020" - შესაბამისად კი, მწვანე ეკონომიკის მიზანთა რიცხვს მიეკუთვნება 20-დან 64 წლამდე მოსახლეობის შრომითი მოწყობა, აგრეთვე, ღარიბი მოსახლეობის რაოდენობის შემცირება. აღნიშნული გაერთიანების ქვეყნებში მწვანე ეკონომიკის ფორმირების პრიორიტეტული ამოცანაა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნა როგორც შრომის პირობებისა და ანაზღაურების, ასევე პროფესიული უნარების რეალიზაციის შესაძლებლობის მიხედვით, რაც ხელს შეუწყობს გარემოს დაცვასა და გაჯანსაღებას.

ტერმინი „მწვანე სამუშაო ადგილი“ უშუალოდაა დაკავშირებული ცნებებთან „მწვანე ეკონომიკა“ და „მწვანე დასაქმება“. მწვანე სამუშაო ადგილს განმარტავენ როგორც მუშაობის ადგილს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მომსახურებაში, სამეცნიერო დაწესებულებებში და ა. შ., რომელიც უზრუნველყოფს ირგვლივ მყოფი გარემოს შენარჩუნებას ან გაჯანსაღებას. ესაა სამუშაო ადგილები, რომლებიც უზრუნველყოფს ეკოსისტემების დაცვას, ამცირებს ენერჯის, მასალების, წყლის მოხმარებას, ამცირებს წამოების ნარჩენებსა და გარემოს დაბინძურებას. ამასთან ერთად, ისინი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: 1) შრომის ღირსეული ანაზღაურება; 2) შრომის უსაფრთხო პირობები; 3) კარიერული ზრდის შესაძლებლობა; 4) მომუშავეთა უფლებების დაცვა და ა. შ.

დღეისათვის მწვანე ეკონომიკის სფეროში გამოყენებული ცნებებისადმი განსხვავებული მიდგომებია. მაგალითად, აშშ-ის შრომის სამინისტროს სტატისტიკის ბიურო მწვანე სამუშაო ადგილების შეფასებისას იყენებს ორ მიდგომას. პირველი მიდგომის (გამოშვებული პროდუქციის მიხედვით) არსი ისაა, რომ განისაზღვრება მწვანე სამუშაო ადგილებზე შექმნილი პროდუქციისა და მომსახურების წილი წარმოების მთელ მოცულობაში. მწვანე სამუშაო ადგილების რაოდენობა კი გამოითვლება იმავე პროპორციით ორგანიზაციაში არსებული



ყველა სამუშაო ადგილიდან. მეორე მიდგომა (წარმოების პროცესის მიხედვით) გულისხმობს იმას, რომ საწარმოებში, სადაც გამოყენებულია რესურსდამზოგავი და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები, ხდება მწვანე სამუშაო ადგილების დათვლა.

აშშ-ის შესაბამისი ორგანოების მიერ შემოთავაზებულია, გამოიყენონ ცნება „ინოვაციური სამუშაო ადგილი, რომელიც შეესაბამება შემდეგ კრიტერიუმებს: მდგრადი განვითარება; მომუშავეის შრომისმწარმოებლურობის ამაღლება; ირგვლივ მყოფ გარემოზე ნეგატიური გავლენის შემცირება და სხვ. გერმანიაში ცნება „მწვანე სამუშაო ადგილი ფორმულირდა 1996 წელს [Войкина Е.,Потравный И.,2018: 223], რომლის მიხედვითაც „მწვანე“ის სამუშაო ადგილები“, რომლებზეც წარმოებრივ პროცესში გამოიყენება რესურს-დამზოგავ და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები. ინგლისში ნწვანე სამუშაო ადგილებად მიიჩნევა სამუშაო ადგილები, რომლებზეც მუშაობენ მენეჯერები და მეცნიერ მუშაკები ეკოლოგიური რისკების შემცირებისა და მდგრადი განვითარების დაფინანსების საკითხებზე, აგრეთვე, სხვა მომუშავენი, რომელთა საქმიანობა პირდაპირ კავშირშია ბუნებისდაცვითი მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების მომსახურებასთან.

### **მწვანე დასაქმების განვითარების სახეობები, მიმართულებები და ტენდენციები**

დღეს მთელ მსოფლიოში აქტიურად ხორციელდება მოსახლეობის მწვანე დასაქმების პოლიტიკა. მილიონობით ადამიანი დასაქმებულია ნარჩენების გადამუშავებასა და უტილიზაციაზე. ამ სფეროში მოსახლეობის დასაქმების დონე გეომეტრიული პროგრესით იზრდება. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეკოლოგიურ სოფლის მეურნეობაში მოქცეულია ათობით მილიონი ჰექტარი მიწა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, მწვანე ეკონომიკის საშუალებით მთელ მსოფლიოში შეიძლება შეიქმნას 60 მილიონამდე სამუშაო ადგილი, რაც შეამცირებს უმუშევრობის დონეს და ხელს შეუწყობს გარემოს გაჯანსაღებას.

მწვანე დასაქმების ძირითადი სახეობებია: განახლებადი ენერჯეტიკის განვითარება, ტრანსპორტის ეკოლოგიური სახეობების წარმოება, მწვანე მშენებლობა, გარემოს გაჯანსაღება, ეკოლოგიური ბიზნესის განვითარება, დაზიანებული ტერიტორიების გაჯანსაღება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება, ეკოტურიზმი და ა. შ. მწვანე ეკონომიკის ზემოქმედებით დასაქმების მწვანე სამუშაო ადგილების აქტიური მატების ტემპების მიხედვით, ქვეყნებს შემდეგნაირად ალაგებენ: განახლებადი ენერჯეტიკის განვითარება, ტრანსპორტის ეკოლოგიური სახეობების წარმოება, მწვანე მშენებლობა - ავსტრალია, ბრაზილია, ინდონეზია; გარემოს გაჯანსაღება, ეკოლოგიური ბიზნესის განვითარება - აშშ, ევროკავშირის ქვეყნები; ეკოლოგიურად სუფთა მიწათმოქმედების პროდუქციის წარმოება, ეკოტურიზმი - ტაილანდი და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები [Войкина Е., Потравный И.,1918: 229].

მწვანე ეკონომიკის განვითარების ბუნებრივი შედეგია შრომის ბაზრის ეკოლოგიზაცია. მასში იგულისხმება შრომის ბაზარზე რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრინციპების დანერგვა და ირგვლივ მყოფ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირება, რომელიც ქმნის პირობებს ღირსეული შრომის, ეკონომიკის ზრდისა და ბუნებრივი რესურსების დაცვისათვის. მოცემული პროცესის ნორმალური მსვლელობისათვის აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება: 1) მოსახლეობის დასაქმების ეკოლოგიზაციის პროცესის დაგეგმვა და დაფინანსება; 2) მწვანე დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება; 3) წარმოების პროცესში თანამედროვე შრომის საშუალებებისა და ტექნოლოგიების დანერგვა; 4) მწვანე სამუშაო ადგილების შექმნაში დამჭირავებელთა ეკონომიკური დაინტერესების უზრუნველყოფა; 5) მწვანე დასაქმების სფეროში კანონმდებლობის ფორმირება და ა. შ.

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მწვანე ეკონომიკაზე გადასვლისას ტრანსფორმირდება მოსახლეობის დასაქმების ხარისხობრივი მახასიათებლები. მაგალითად, მწვანე სამუშაო ადგილებზე, როგორც წესი, მომუშავეებს მოეთხოვება განათლების უფრო მაღალი დონე, მუშაობის მეტი გამოცდილება და მაღალკვალიფიციური პროფესიული მომზადება, ვიდრე „არამწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმებულებს [Consoli D.,Marin G.,Marzucch A.,Vona F.,2016].

მწვანე სამუშაო ადგილების დანერგვის თვალსაზრისით, ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტულ სახეობებს მიეკუთვნება: ენერჯის აღდგენად წყაროებზე დაფუძნებული ენერჯეტიკა; ტრანსპორტის ეკოლოგიური სახეობები, მწვანე მრეწველობა, რომელიც დაკავებულია რესურსდამზოგავი და გარემოს დაცვაზე საჭირო მოწყობილობებისა და ხელსაწყოების შექმნაზე; მწვანე მშენებლობა; ნარჩენების გადამუშავება და უტილიზაცია; ეკოლოგიური ტურიზმი და ა. შ.

მწვანე დასაქმების პოლიტიკის თავისებურება ისაა, რომ მის ჩარჩოებში რელიზდება დასაქმების პოლიტიკის ისეთი ტრადიციული მიმართულებები, როგორცაა: უმუშევრობის დონის შემცირება, მომუშავეთა თვითდასაქმებაზე კეთილსასურველი ზემოქმედება და ა. შ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასაქმების მწვანე პოლიტიკის მიმართ სასურველია გაფართოებული მიდგომის გამოყენება, რომლის მიხედვით შრომის ბაზრის განვითარებისა და ეკოლოგიურად ორიენტირებული ეკონომიკის განვითარების საკითხები მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული უნდა იყოს.

მწვანე ეკონომიკა საშუალებას იძლევა შეიქმნას სამუშაო ადგილები ახალ პროფესიებზე. წარმოიშობა მოთხოვნა სპეციალისტებზე მზისა და ქარის ენერჯეტიკის სფეროში, მწვანე სოფლის მეურნეობასა და მშენებლობაში და ა. შ. ყოველივე ეს განაპირობებს ეკოლოგიურად ორიენტირებული შრომის ბაზრის განვითარებას. ამ უკანასკნელის შესაფასებლად შემოთავაზებულია შემდეგი ინდიკატორების გამოყენება: 1) შექმნილი და მოდერნიზებული მწვანე სამუშაო ადგილების რაოდენობა; 2) ეკონომიკის მწვანე დარგებში დასაქმებულთა რაოდენობა; 3) ეკონომიკის მწვანე დარგებში მაღალკვალიფიციურ მომუშავეთა რაოდენობა; 4) ირგვლივმყოფი გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მოცულობა; 5) უმუშევრობის დონე; 6) შრომისმწარმოებლურობის დინამიკა.

მწვანე სამუშაო ადგილების შეფასებისა და აღრიცხვისათვის შემოთავაზებულია იხელმძღვანელონ შემდეგი მეთოდებით: ა) გამსხვილებული მიდგომის მეთოდი. მოცემულ შემთხვევაში ორგანიზაცია ფასდება მთლიანობაში და არა თითოეული სამუშაო ადგილი ცალცალკე. ასეთი მიდგომა შედარებით მცირეხარჯიანია; ბ) ორგანიზაციის კომპლექსური შეფასების მეთოდი. ამ მეთოდისას ორგანიზაცია ფასდება შრომითი, მატერიალური, ბუნებრივი, ენერჯეტიკული და სხვა რესურსების გამოყენების ეფექტიანობის პოზიციიდან.

მწვანე ეკონომიკის განვითარების მიმართულებით საქართველოში გადამდგმულია პირველი ნაბიჯები. ბოლო წლებში აშენდა ქარის ელექტროსადგური და რამდენიმე მცირე ჰიდროელექტროსადგური. ამ მხრივ გარკვეული მიღწევებია სოფლის მეურნეობის სფეროშიაც. დაგეგმილია ახლო მომავალში ქ. ქუთაისში გაიხსნას ელექტრომანქანების მწარმოებელი ქარხანა. მიუხედავად ამისა, მწვანე ეკონომიკის განვითარების მხრივ ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ჩამორჩენილთა რიგებშია. ჩვენში ნაკლები ყურადღება ექცევა ისეთ საკითხებს, როგორცაა: ნარჩენების გადამუშავება და უტილიზაცია, მწვანე მშენებლობა, დაზიანებული ტერიტორიების აღდგენა, მწვანე სამუშაო ადგილებზე სამუშაოდ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და ა. შ.

აღამიანთა საქმიანობის მოცემულ სფეროში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად/შესამცირებლად, ჩვენი აზრით, სასურველია გადაიდგას ისეთი ნაბიჯები, როგორცაა: 1) დასაქმების მწვანე პოლიტიკის საკითხებისადმი გაფართოებული მიდგომის გამოყენება, რაც გულისხმობს შრომის ბაზრისა და ეკოლოგიურად ორიენტირებული ეკონომიკის განვითარების საკითხების ურთიერთდაკავშირებას; 2) სასურველია სამთავრობო დონეზე შემუშავდეს და სათანადოდ დამტკიცდეს ქვეყანაში მწვანე ეკონომიკის განვითარების ხანგრძლივადიანი პროგრამა, რომელშიაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველოსათვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: 1) მზისა და ქარის ენერჯის გამოყენება; 2) მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა; ნარჩენების გადამუშავება და უტილიზაცია და ა. შ.; 3) მიზანშეწონილია მწვანე სამუშაო ადგილების აღრიცხვის მიზნით, შემუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს სტატისტიკური დაკვირვების ფორმა, როგორც ეს მრავალ სხვა ქვეყანაშია და რომელშიც ასახული იქნება შემდეგი მაჩვენებლები: მწვანე სამუშაო ადგილების რაოდენობა გასულ და საანგარიშო წელს, ერთი მწვანე სამუშაო ადგილის ღირებულება საანგარიშო წელს და ა. შ.; 4) მწვანე ეკონომიკის განვითარებიდან გამომდინარე, დაზუსტდეს ახალი მწვანე პროფესიების ჩამონათვალი და სათანადო ცვლილება შევიდეს ხელფასის სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარებში; 5) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მწვანე

სამუშაო ადგილებზე მომუშავეთა პროფესიული მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების საკითხებს და ა. შ.

## დასკვნა

ბოლო წლებში მსოფლიოს მრავალ ეკონომიკურად მოწინავე ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა მწვანე ეკონომიკის განვითარების საკითხებს, რაც ძირითადად ნაკარნახევია ადამიანების ზრუნვით - შეამცირონ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მანქანა გავლენა ირგვლივ მყოფ გარემოზე. გამოცდილებით დადგენილია, რომ ირგვლივ მყოფ გარემოზე ზიანის მიყენება და ბუნებრივი რესურსების დაზიანება არა მარტო უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის დასაქმების მდგომარეობაზე, არამედ უარყოფითად მოქმედებს ადამიანების ჯანმრთელობაზე. სწორედ ამან განაპირობა მწვანე დასაქმების ისეთი სახეობების წარმოშობა, როგორცაა: ნარჩენების გადამუშავება და უტილიზაცია, განახლებადი ენერჯეტიკის განვითარება, ტრანსპორტის ეკოლოგიური სახეობების წარმოება, მწვანე მშენებლობა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება, ეკოტურიზმი და ა. შ.

მწვანე ეკონომიკის განვითარებისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს რიგ ისეთ აუცილებელ საკითხებს, როგორცაა: დამსაქმებელთა ეკონომიკური დაინტერესება მწვანე სამუშაო ადგილების შექმნით, მწვანე სამუშაო ადგილების შესაქმნელად ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული სახეობების გამოყოფა, მწვანე სამუშაო ადგილებზე მომუშავე მაღალპროფესიული კადრების მომზადება და ა. შ.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Nugzar Paichadze, Labor Market in the Georgian State Sektor. Ivane Javaxishvili State University Faculty of Economics Business. Tche 2<sup>nd</sup> International Scientific Conference. Tbilisi, 2017.
2. Binswanger H.K. Arbeit ohne Umweltzerstoerung. Strategiein einer Wirtschaftspolitik. Frankfurt am Main: S. Fischer Verlag. 1983.
3. Consoli D., Marin G., Marzucchi A., Vona f. Do green jobs differ from non-green jobs in terms of skills and human capital? Research Policy, 2016.
4. Войкина Е., Потравный И. Зеленая занятость в условиях формирования экологически ориентированной экономики. Вестник Санкт-Петербургского университета. Экономика. 2018. Т.34. Вып.2, с.217-240.

*Nugzar Paichadze*

## **GREEN ECONOMICS AND LABOUR MARKET Summary**

The present article is devoted to the issues of functioning of labor market in conditions of development of Green Economics.

In the first part of the article is given a discussion about the trends of green economics and on the basic concepts that are directly related to the labor market. Special attention is paid to such phrases as "green economy", "green workplace", "green employment".

The significant part of the article is about the issues of labor market in such types of employment, as: development of renewed energetics, production of ecologic types of transport, green construction, environmental recovery, production of ecologically clean products, waste processing and utilization, ecotourism etc.

Finally, based on the current state of development of green economy in Georgia, there are some recommendations, the implementation of which, by the author's opinion, will help to improve the situation in the field of human activity in the country.

## О БАРЬЕРЕ РЕТРОЭКОНОМИКИ В РАЗВИТИИ «ЗЕЛЁНОЙ ЭКОНОМИКИ»

**Аннотация.** В статье анализируется проблема развития «зелёной экономики» в условиях технологической отсталости экономики. Прежде всего, в экономике развивающихся стран используются устаревшие технологии. Их использование любым предприятием может создать иллюзию, что тот или иной бизнес является процветающим. На уровне же международной конкуренции, очевидно, что эти ретроэкономические предприятия не имеют никакого шанса на успех. Роль государства очень значительна для преодоления эффектов ретроэкономики.

**Ключевые слова:** «зелёная экономика», инновация, технологическая отсталость, некроэкономика, ретроэкономика, банкротство, ликвидация.

В современном мире все большую популярность приобретают идеи «зеленой экономики» (например, [1–4]).

Как известно, модель «зеленой экономики» рассматривает экономику, как таковую, в качестве составной части природной среды, её зависимым компонентом. Исходя из этого большое значение имеет то обстоятельство насколько экономика является ресурсосберегающей и учитывает экологические проблемы.

Следует признать, что во многих развивающихся (и не только) странах мира, в той или иной степени, используются отсталые технологии. По этой причине, произведенная с использованием подобной технологии продукция, как правило, пользуется спросом на местном рынке, и, по всей видимости, на рынках таких же отсталых соседних стран. Во многих случаях этот спрос гарантируется за счет соответствующей государственной поддержки.

В контексте модернизации экономики не только для технологически отсталых, но и передовых стран главным является вопрос такой индустриализации экономики, которая вместе с качественным обновлением технологической базы, повышением эффективности производства и конкурентоспособности экономики нацелена на обеспечение улучшенного качества жизни и среды проживания [4].

Для постсоветского пространства данная проблема наиболее острая, так как после развала командной экономики произошла не просто деиндустриализация, а научно-техническая деградация посткоммунистических стран [5, с. 28]. В следствии продолжающегося старения оборудования в реальном секторе экономики [6, с. 24] многие отрасли и предприятия промышленности были просто потеряны [7, с. 72].

Для постсоветского пространства наиболее острой с самого начала развала командной экономики стала проблема существования некроэкономики, т.е. того сектора экономики, которая не способна производить продукцию, которая имела бы спрос [8–9]. некроэкономика является наследием командной экономики, в которой отсутствовала конкуренция (за исключением военно-промышленного комплекса), что и привело к потере экономической заинтересованности обновления технологической базы предприятий [10, pp. 13–17]. Технологическая отсталость производства является необходимым, но не достаточным условием существования некроэкономики. Некроэкономика может существовать только при условии когда технологически отсталые предприятия целенаправленно поддерживаются государством.

Предшественником некроэкономики является «умирающая экономика», т.е. ретроэкономика, в которой производится продукция пользующаяся все меньшим спросом, причиной чему является использование устаревших технологий [11–12].

Принципиальным различием между некроэкономикой и ретроэкономикой является то, что первая основывается на абсолютно, а вторая – на относительно устаревшие технологии.

Относительно распространенным следует считать мнение, согласно которому для внедрения нового технологического уклада (т.е. крупного комплекса технологически взаимосвязанных производств) страны с менее развитой экономикой имеют некоторое преимущество над развитыми странами, так как в отличие от вторых, первые не обременены излишним капиталом устаревшего технологического уклада [13, с. 27]. В действительности всё не так просто, а в частности, в стране, где мало (или нет) богатых предприятий, фактически некому закупать дорогостоящие патенты на новые технологии, при этом лидеры международной конкуренции всячески стараются блокировать распространение передовых технологий [14, с. 590], и в тоже время в этих странах, как правило, население не обладает должным уровнем квалификации для использования инновационных технологий.

Необходимо отметить, что сформировавшаяся в развивающихся странах ретроэкономика хотя и способствует их экономическому росту, но, как правило, в течении длительного времени может сохраняться низкий уровень производительности в течение длительного времени [15].

Заслуживает внимания тот факт, что для развивающихся стран ориентация на сравнительно устаревшие иностранные технологии является вынужденным шагом, что и является основной причиной сохранения отсталости экономики, т.е. ретроэкономики.

Очевидно, что ретроэкономика является основным барьером на пути создания и развития «зелёной экономики». Для преодоления ретроэкономики необходимо осуществление ряда комплексных мер. Для этого государство должно взять на себя функцию реализации т.н. «управляемого технологического изменения» (“directed technological change”) [16, p. 89].

При определении основных направлений экономического развития страны государство должно закупать патенты на передовые технологии. Необходимо подчеркнуть, что государство должно ориентироваться исключительно на инновации в технологию реального сектора экономики, и ни в коем случае, не должно распространяться на финансовые инновации [17].

Только трансфер технологических знаний не принесет желательного результата, если образовательный уровень населения не будет готов к использованию открытых информационных каналов распространения знаний. А это, со своей стороны, перед государством ставит задачу создания такой системы образования, которая обеспечит экономику страны кадрами высокой квалификации. Иначе говоря государство должно создать основу для успешной диффузии технологических знаний в стране [18]. Наряду с развитием системы образования, немалую роль играет государственная поддержка научной деятельности, с целью обеспечения эффективности процесса освоения и использования новых технологий [19].

Для исчезновения некроэкономики и качественного сокращения масштабов ретроэкономики большое значение имеет законодательство о банкротстве.

Фактически универсального законодательства о банкротстве не существует и главным принципом процедуры банкротства считается соблюдение баланса между интересами кредиторов и предотвращением преждевременной ликвидации жизнеспособных предприятий [20, p. 3]. Этот принцип, по нашему мнению, не отражает всех трудностей, с которыми сталкивается современная экономика, особенно в странах с относительно низким уровнем развития.

Дело в том, что более-менее объективная оценка жизнеспособности предприятия является сложной задачей, так как стоимость действующего предприятия необходимо сравнить с его ликвидационной стоимостью, и, если первая превосходит вторую, то предприятие считается жизнеспособным. Наиболее сложной является оценка стоимости действующего предприятия, так как необходимо с достаточной точностью рассчитать его будущие доходы и расходы. Для решения этой задачи необходимо разработать бизнес-план и план реорганизации предприятия, который, как правило, является довольно оптимистичным с точки зрения владельцев этого предприятия и менее оптимистичными по мнению критически настроенных кредиторов. Что же касается определения ликвидационной стоимости, то эта задача хотя и является относительно легкой, но и в этом случае приходится определять какие доходы принесет продажа активов предприятия, что, со своей стороны, тоже может быть связано с некоторыми затруднениями [21, сс. 254–256].

Из-за этих сложностей лица, которые должны принимать решение о форме банкротства предприятия, как правило, облегчают себе задачу и склоняются в пользу реорганизации, а не ликвидации [22, p. 32].

Исходя из сказанного, по нашему мнению, необходимо изменить основной принцип законодательства о банкротстве, и необходимо сохранять баланс между защитой интересов кредиторов и своевременной ликвидацией нежизнеспособных предприятий. Это приведёт к улучшению конкурентной среды для реализации новых технологий, способствующих развитию «зелёной экономики». Иначе говоря, только в случае если рынок будет освобожден от нежизнеспособных предприятий оставшиеся предприятия под давлением конкуренции будут вынуждены ориентироваться на инновации.

### Использованная литература

1. PAGE, 2017. *The Integrated Green Economy Modelling Framework: An Overview*. Geneva: Partnership for Action on Green Economy, United Nations Environment Programme, [https://www.unpage.org/files/public/20170728\\_report-layout-online.pdf](https://www.unpage.org/files/public/20170728_report-layout-online.pdf).

2. UNEP, 2014. Using Models for Green Economy Policymaking. Nairobi: United Nations Environment Programme, [https://www.un-page.org/files/public/content-page/unep\\_models\\_ge\\_for\\_web.pdf](https://www.un-page.org/files/public/content-page/unep_models_ge_for_web.pdf).
3. Makower J., 2008. *Strategies for the Green Economy: Opportunities and Challenges in the New World of Business*. New York: McGraw-Hill.
4. Порфирьев Б., 2013. «Зеленая» экономика: реалии, перспективы и пределы роста. Москва: Московский Центр Карнеги, <https://carnegie.ru/2013/04/04/ru-pub-51414>.
5. Князев Ю., 2014. Перспективы российской экономики: шанс на ускорение. *Общество и экономика*, № 2–3.
6. Сорокин Д. Е., 2010. Политическая экономия инновационного роста в России. *Экономика. Налоги. Право*, № 2.
7. Городецкий А. Е., 2013. Антикризисное регулирование и модели посткризисного развития России. *Экономика Украины*, № 4.
8. Папава В., 2001. Некроэкономика – феномен посткоммунистического переходного периода. *Общество и экономика*, № 5.
9. Papava V., 2002. Necroeconomics – The Theory of Post-Communist Transformation of an Economy. *International Journal of Social Economics*, Vol. 29, No. 9–10.
10. Lipowski A., 1998. *Towards Normality. Overcoming the Heritage of Central Planning Economy in Poland in 1990-1994*. Warsaw: Adam Smith Research Center, Center for Social and Economic Research.
11. Папава В., 2017. О ретроэкономике. *Вопросы экономики*, № 10.
12. Papava V., 2017. Retroeconomics – Moving from Dying to Brisk Economy. *Journal of Reviews on Global Economics*, Vol. 6, <https://www.lifescienceglobal.com/independent-journals/journal-of-reviews-on-global-economics/volume-6/85-abstract/jrge/2929-abstract-retroeconomics-moving-from-dying-to-brisk-economy>.
13. Глазьев С., 2009. Мировой экономический кризис как процесс смены технологических укладов. *Вопросы экономики*, № 3.
14. Портер М., 1993. *Международная конкуренция*. Москва: Международные отношения.
15. Howitt P., 2000. Endogenous Growth and Cross-Country Income Differences. *The American Economic Review*, Vol. 90, No. 4.
16. Sachs J. F., 2017. *Building the New American Economy. Smart, Fair, and Sustainable*. New York: Columbia University Press.
17. Стиглиц Дж., 2014. Загадка инноваций. *Project Syndicate*, 9 марта, <https://www.project-syndicate.org/commentary/joseph-e--stiglitz-argues-that-the-impact-of-technological-change-on-living-standards-has-become-increasingly-unclear/russian>.
18. Голиченко О., 2012. Модели развития, основанного на диффузии технологий. *Вопросы экономики*, № 4.
19. Дементьев В. Е., 2006. Ловушка технологических заимствований и условия ее преодоления в двухсекторной модели экономики. *Экономика и математические методы*, Том 42, Вып. 4.
20. Stiglitz J. E., 2001. Bankruptcy Laws: Basic Economic Principles. In: Claessens S., Djankov S., Mody A. (eds.). *Resolution of Financial Distress: An International Perspective on the Design of Bankruptcy Laws*. Washington, D.C.: The World Bank.
21. Андерсон Р., 2016. *Просто не стой на пути: как государство может помочь бизнесу в бедных странах*. Москва, Челябинск: ИРИСЭН, Социум.
22. White M. J., 2001. Bankruptcy Procedures in Countries Undergoing Financial Crises. In: Claessens S., Djankov S., Mody A. (eds.). *Resolution of Financial Distress: An International Perspective on the Design of Bankruptcy Laws*. Washington, D.C.: The World Bank.

*Vladimer Papava  
Tamar Tapladze*

## ON THE RETROECONOMIC BARRIER IN DEVELOPMENT OF “GREEN ECONOMY”

### Summary

This paper analyzes the problem of the development of the “Green Economy” in the situation of technological backwardness of economy. Mostly in developing countries, their economies have been using obsolete technologies. The usage of obsolete technologies by any firm can create the illusion that this or that business is prosperous. At the level of international competition, however, it is obvious that these types of

retroeconomic firms do not have any chance for success. The role of the government is very important for overcoming the effects of a retroeconomy.

**Keywords:** “green economy”, innovation, technological backwardness, necroeconomics, retroeconomics, bankruptcy, liquidation.

ავთანდილ სულაბერიძე  
ვლადიმერ სულაბერიძე

**უახლესი დემოგრაფიული ვითარება –  
დეპოპულაციის სტარტი საქართველოში**

**ანოტაცია.** ნაშრომში განხილულია დეპოპულაციის, როგორც მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპის თეორიული საკითხები, მოცემულია დეპოპულაციის ფაზების განვითარების ავტორისეული ჰიპოტეზური ვარიანტი და მოყვანილია მისი ფორმირების პროცესი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. მოცემულია მისი მოსალოდნელ ნეგატიური შედეგები.

**საკვანძო სიტყვები:** დეპოპულაცია, ცივილიზებული ტიპი, თანამედროვე ტიპი, ფაზა, ტიპთაშორისი პერიოდი.

**შესავალი**

მსოფლიოს თანამედროვე დემოგრაფიული განვითარება მრავალფეროვნებით ხასიათდება თუ ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპი უახლესით – დეპოპულაციით იცვლება, ზოგიერთში იგი ბოლო ფაზაშია, ხოლო ზოგიერთში კი თანამედროვე ტიპის მეორე ფაზაა. არსებული დემოგრაფიული ტენდენციის თანახმად, გაეროს პროგნოზით, მსოფლიო მასშტაბით 3000 წლამდე იგი ნაკლებადაა მოსალოდნელი [www.esa.un.org].

საინტერესო ვითარებაა სამხრეთ კავკასიაშიც, თუ აზერბაიჯანში ახლა იწყება მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის მესამე ფაზა (მოკვდაობის დონე 2018 წლისთვის 6‰-მდე დაეცა და, მასთან ერთად, აღინიშნება შობადობის მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენცია, რომელიც 2018 წლისათვის 16,5‰-მდე დავიდა), სომხეთში მესამე ფაზა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან აღინიშნება და გაეროს მონაცემების თანახმად, 2020-2025 წლებშია მოსალოდნელი მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის დამთავრება და უახლესი ტიპის დაწყება [www.esa.un.org].

რაც შეეხება საქართველოს, მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპი გასული საუკუნის 90-იან წლებში დამთავრდა და დღეისათვის დეპოპულაციის ნიშნები აშკარაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე საქართველო ხასიათდება ევროპული ტიპის დემოგრაფიული ქცევით და კარგა ხანია მიეკუთვნება დემოგრაფიულად განვითარებულ ქვეყნებს, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ევროპის განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, იგი ზოგიერთი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის მსგავსად (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსი) ეკონომიკურად განვითარებადია.

ამრიგად, საქართველოში, ევროპასა და მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნების მსგავსად, თანდათან მთავრდება შობადობის და მოკვდაობის მაღალ დონეზე კვაზი-წონასწორობის ერა და დგება შობადობისა და მოკვდაობის დაბალ დონეზე წონასწორობის ახალი ეტაპი, რომლისთვისაც, განსხვავებით წინა პერიოდებისა, ნაცვლად მოსახლეობის ახალგაზრდული სტრუქტურისა (მოსახლეობის სტრუქტურის პროგრესული ტიპი), ძირითადად დამახასიათებელია დაბერებული მოსახლეობა (მოსახლეობის სტრუქტურის რეგრესული ტიპი), სადაც მოკვდაობა აჭარბებს შობადობას და აღინიშნება დეპოპულაცია.

\* \* \*

დეპოპულაციის შინაარსში უწინარესად გულისხმობენ მოსახლეობის ბუნებრივ შემცირებას, რომლის დროსაც მოკვდაობა აღემატება შობადობას.

საქართველომდე, სადაც დეპოპულაცია მის ცალკეულ რაიონებში (რაჭა-ლეჩხუმი, გურია-იმერეთის სოფლები) 1970-იანი წლების შუა ხანებში დაფიქსირდა, ის ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში

(საფრანგეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, გერმანია) აღინიშნა. მისი ფრაგმენტული ხასიათი დროის გარკვეულ პერიოდში გატარებული აქტიური სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკით აღიკვეთა და მომდევნო წლებში ამ ქვეყნებში მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოებაც კი იყო.

წინა პერიოდებში, ცალკეულ ქვეყნებში იგი თუ ლოკალურ ხასიათს ატარებდა, დღეისთვის დეპოპულაციამ ბევრი ქვეყანა მოიცვა და დემოგრაფიული განვითარების კანონზომიერების თანახმად, იგი თანდათან საყოველთაო ხდება. მოსახლეობის აღწარმოების წინა ტიპისგან განსხვავებით, დემოგრაფიული დაბერების მაღალი ტემპის პირობებში დემოგრაფიული სტრუქტურის გაუარესების, ისედაც დაბალ დონეზე არსებული შობადობის შემცირების და მოკვდაობის ზრდის მაღალი ტემპის გლობალური ტენდენცია აშკარად ადასტურებს ფრაგმენტულის ნაცვლად, მსოფლიო მასშტაბით მის კანონზომიერ ხასიათს, რაც მომავალში დემოგრაფიული განვითარების მომდევნო ეტაპზე არ გამოირიცხება არც ერთ ქვეყანაში.

დეპოპულაცია გლობალურ, ხანგრძლივი დროის მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ. მსოფლიო მასშტაბით მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილი რეჟიმის პირობებში კიდევ უფრო გაუარესდება დემოგრაფიული სტრუქტურა, ხოლო შობადობის სფეროში გაეროს არსებული ოჯახის დაგეგმვის გლობალური პოლიტიკა კიდევ უფრო შეამცირებს შობადობის დონეს განვითარებად ქვეყნებშიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ განვითარებულ ქვეყნებზე.

საქმე ისაა, რომ მსოფლიო მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირება ორმხრივად მიმდინარეობს. ერთი მხრივ, შობადობის შემცირებით, მეორე მხრივ, მოკვდაობის ზრდით. განსაკუთრებით საშიში მასშტაბები შეიძინა ამ პროცესმა მოსახლეობის დაბალი აღწარმოების მქონე ქვეყნებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დეპოპულაცია უკვე წარმოგვიდგება როგორც მოსახლეობის აღწარმოების ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოსახლეობის უარყოფითი ბუნებრივი მატების საყოველთაო პარამეტრები. კერძოდ, შობადობას რამდენადმე აღემატება მოკვდაობა.

ძნელია ივარაუდო, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება დეპოპულაცია როგორც აღწარმოების ტიპი. მოსახლეობის აღწარმოების სხვა ტიპებისგან განსხვავებით, შეიძლება იგი ნაკლებ ხანს გაგრძელდეს, მაგრამ მალთუსის ორი საუკუნის წინ ფაქტობრივად პროგნოზირებადი მოვლენა მოსახლეობის აღწარმოების ტიპად უნდა განვიხილოთ. რაც შეეხება ფაზათა რაოდენობას, ისევე, როგორც ჩვენეულ ჰიპოთეზას აღწარმოების უახლესი ტიპის თაობაზე, შემდგომი კვლევისა და დემოგრაფთა კამათის შედეგად უნდა დადგინდეს. იგი შეიძლება იყოს როგორც ერთფაზიანი, ისე მრავალფაზიანი.

ჩვენეული ჰიპოთეზით, დეპოპულაცია, როგორც მრავალფაზიანი მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების ტიპი, შეიძლება შემდეგნაირად განვითარდეს. პირველ ფაზაში მოკვდაობის ზრდის ტემპი ჩამორჩება შობადობის შემცირების ტემპს ან თითქმის თანაბარია, მაგრამ მოკვდაობისა და შობადობის დონეთა შორის სხვაობა თანდათანობით პირველის სასარგებლოდ იზრდება. პირველი ფაზის დაწყების პერიოდში დასაშვებია პერიოდულად შობადობის და მოკვდაობის დონეთა გათანაბრებით მოსახლეობის ნულოვან ფარგლებში მატებაც (0,1, 0,2... 0,9).

მეორე ფაზაში მოკვდაობის ზრდის, ხოლო შობადობის შემცირების მაღალი ტემპის გამო, იზრდება მათ შორის სხვაობა მოკვდაობის სასარგებლოდ და შესაბამისად ბუნებრივი კლება აბსოლუტურად მატულობს.

მესამე ფაზაში მოკვდაობა აღწევს მაქსიმუმს და სტაგნაციის ფონზე იწყებს კლებას, შესაბამისად შობადობის თანდათანობითი ზრდის ფონზე ეცემა დეპოპულაციის დონე, რაც ბუნებრივი კლების მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენციაში აისახება. მესამე ფაზის ბოლოს, დემოგრაფიული სისტემის თვითრეგულაციის გააქტიურების შემთხვევაში, საზოგადოებისა და ოჯახის დემოგრაფიული ქცევის მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვევს აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის წინა პლანზე წამოწევას. შედეგად, მოსალოდნელია შობადობისა და მოკვდაობის ჯერ გათანაბრება, შემდეგ ბუნებრივი მატება დაბალ დონეზე.

მეორე ფაზა, დროის ხანგრძლივობით, პირველ და მომდევნო – მესამე ფაზაზე მეტ ხანს უნდა გაგრძელდეს, რამდენადაც ამ პერიოდში მოსალოდნელია მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის ხარჯზე და განვითარებად ქვეყნებში ოჯახის



დაგეგმვის ფორმების ფართოდ გავრცელების შედეგად, შობადობის შემცირებით მსოფლიო მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ზრდა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მოკვდაობის დონეს. ამ პერიოდში ასევე მოსალოდნელია მოკვდაობის ზრდაზე (განსაკუთრებით რეპროდუქციულ ასაკებში) გავლენა იქონიოს როგორც ეგზოგენური, ისე ენდოგენური ფაქტორებით გაზრდილმა დაავადებებმა. პირველი მათგანი მოსალოდნელია მზარდი ეკოლოგიური დაბინძურების პირობებში ინფექციურ დაავადებათა ზრდით [OOH., 2001: 77], ხოლო მეორე, დღეისათვის ჯერჯერობით დაუძლეველი, უნკურნებელი დაავადებების (ავთვისებიანი სიმსივნე, შიდსი) და ჯერ კიდევ უცნობი, მოსალოდნელი ენდოგენური დაავადებების ზრდით. ამდენად, არ არის გამორიცხული შობადობასთან შედარებით, ორივე ფაქტორით მოკვდაობის მაღალი დონე.

ვფიქრობთ, განსხვავებით მოსახლეობის აღწარმოების წინა ტიპებისგან, უახლესი ტიპის მეორე ფაზაში შობადობა და მოკვდაობა (შობადობა 5-8‰, ხოლო მოკვდაობა 10-15‰) უფრო დაბალ დონეზე იქნება, თუმცა მოსახლეობის ბუნებრივი კლების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იქნება და იგი 5-10 პრომილეს ფარგლებში იქნება. ამის საფუძველს გვაძლევს გაეროს ექსპერტთა პროგნოზების შესაბამისად შობადობისა და მოკვდაობის სტაბილიზაცია ერთობ დაბალ დონეზე.

გაეროს ექსპერტთა პროგნოზების 2017 წლის გადასინჯვის [www.esa.un.org] შესაბამისად ვფიქრობთ, რომ მესამე ფაზა ამ საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ პერიოდში უნდა დაიწყო. პლანეტის დეპოპულაციის ერთობ კრიტიკული დონე დღის წესრიგში დემოგრაფიულ უსაფრთხოებას საყოველთაოდ დააყენებს. სწორედ ამ პერიოდისთვისაა მოსალოდნელი ა. ვიშნევსკის მოსაზრების გამართლება დემოგრაფიული სისტემის თვითრეგულაციის თაობაზე, რომლის თანახმად, შობადობის ზრდა და მოკვდაობის სტაბილიზაცია უნდა მოხდეს შედარებით მაღალ დონეზე. ამ პერიოდიდან, მოკვდაობის დონის მრუდის ზემოდან ქვემოთ დაცემის საპირისპიროდ, მოსალოდნელია შობადობის დონის მრუდის ქვემოთ ზემოთ ზრდა და ფაზის ბოლოს მათი ერთ დონეზე გათანაბრება.

ბუნებრივია, დეპოპულაციის ფაზათა ჩვენეული ვარიანტი ჰიპოთეზურია და იგი შემდგომი კვლევის ობიექტია, ამიტომ მის სიზუსტეზე პრეტენზიას ვერ განვაცხადებთ.

მოსახლეობის აღწარმოების წინანდელი ტიპებისგან განსხვავებით, უახლესი ტიპის – დეპოპულაციისას ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს მცირერიცხოვანი ერების ფიზიკური უწყვეტობის შენარჩუნება. არ გამორიცხება ცალკეულ ქვეყნებში „ეგზოტიკური მოსახლეობის“ წარმოქმნა, რაც დღის წესრიგში აყენებს მცირერიცხოვანი ერების დემოგრაფიული უსაფრთხოების პრობლემებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, პოლიტიკურ და სხვა პრობლემათა შორის მნიშვნელოვანი როლი დემოგრაფიულ უსაფრთხოებასაც ენიჭება, განსაკუთრებით კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მცირერიცხოვანი ერებში. მაგალითად, პროფ. ა. ანტონოვი „დეპოპულაციის ყველაზე მეტ საშიშროებას უახლოეს ასწლეულში რიგი „მინი-ერების“ და ხალხთა მთლიანად გაქრობაში ხედავს, რასაც ერთაშორისი კონფლიქტების გამწვავება მოჰყვება“.

ძნელია არ დაეთანხმო ა. ანტონოვის მიერ გამოთქმულ შიშს, მით უფრო, რომ სამხრეთ კავკასიის, ბალკანეთისა და მსოფლიოს ცალკეულ რეგიონებში 1990-2000 წლებში მცირერიცხოვანი ერებს შორის არსებული ეთნოკონფლიქტების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს, რეალურად მათი ფიზიკური უწყვეტობისა და თვითმყოფადობის უსაფრთხოებისთვის ბრძოლა წარმოადგენდა. განსაკუთრებით გამწვავდა ეს კონფლიქტები ახლადწარმოქმნილ დამოუკიდებელ ქვეყნებში, სადაც თავის დროზე, კომუნისტური რეჟიმის პირობებში გატარებული არასწორი ეროვნული პოლიტიკის შედეგად დაგროვილმა პრობლემებმა მონათესავე ერთა შორისაც (მაგ. ქართველთა და აფხაზთა) კი, დაძაბული ვითარების ფონზე ეთნოკონფლიქტების წარმოქმნას შეუწყო ხელი.

ჩვენ მივეკუთვნებით დემოგრაფთა იმ ნაწილს, ვინც დეპოპულაციას განიხილავს, როგორც კაცობრიობის ეთნიკური საგანძურიდან რომელიმე მცირერიცხოვანი ეთნოსის გაქრობის საშიშროებას.

## დასკვნა

ამდენად, მოსახლეობის უახლესი ტიპი – დეპოპულაცია, როგორც კანონზომიერი დემოგრაფიული პროცესი, რაც უფრო მოკლევადიანი იქნება ქვეყანაში, მით უფრო

უსაფრთხოა იგი ქვეყნისა და ერის არსებობისათვის. ამიტომ, ამ თვალსაზრისით აუცილებელია საზოგადოებამ და ხელისუფლებამ ჯეროვანი დასკვნების საფუძველზე, დეპოპულაციის დროული აღმოფხვრის მიზნით, შეიმუშაოს და გაატაროს სათანადო აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. (2012). შემდგენელი გ. წულაძე. თბილისი.
2. სულაბერიძე ა. (2002). დემოგრაფიული ექსპანსია. ჟ. „სოციალური ეკონომიკა“, №5.
3. სულაბერიძე ა., სულაბერიძე ვ. (2004). მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპის, ფაზათაშორისი, ტიპთაშორისი გარდამავალი პერიოდის შესახებ. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. 2, თბილისი.
4. სულაბერიძე ა. (2007). ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე.
5. სულაბერიძე ა. (2016). საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ზოგადი ტენდენციები. მონოგრაფია. „საქართველოში მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება სოციალურ-დემოგრაფიული ქცევისა და ოჯახის პრობლემებისადმი“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
6. ჩიქავა ლ. (2004). დეპოპულაცია გადაშენებით გვემუქრება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. თებერვალი, № 29-32.
7. წულაძე გ., სულაბერიძე ა. (2016). საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები.
8. Carlson A. (1990). Family questions: Reflection on the American Social Crisis. New Brunswick; Oxford, p. 63
9. Kaa Van de D. (1987). Europe's Second Demographic Transition //Population Bulletin. Vol. 42 (1).
10. Landry A. (1934). La revolution demographique..
11. Антонов А. И. (1999). Политическая демография, проблемы противодействия, упадок семьи и депопуляция. В сб. «Демографические процессы и семейная политика: региональные проблемы». Материалы Российской н/п конференции. Липецк - Москва.
12. Гундарев И.А. (2001). Демографическая катастрофа в России: причины, механизм, пути преодоления. М.
13. Иванов С. (2002). Новое лицо брака в развитых странах. Информационный бюллетень Центра демографии и экологии человека Института народохозяйственного прогнозирования РАН №63. июнь.
14. Народонаселение, окружающая среда и развитие. Краткий доклад Организации объединенных наций. Нью-Йорк, 2001.
15. Сулаберидзе А. (2001). Депопуляция в странах с переходной экономикой. Ж. «Социологические исследования». №11-01.
16. [www.esa.un.org/unpd/wpp](http://www.esa.un.org/unpd/wpp)

*Avtandil Sulaberidze  
Vladimer Sulaberidze*

### RECENT DEMOGRAPHIC SITUATION – START OF DEPOPULATION IN GEORGIA

#### Summary

The modern demographic development of the world is characterized by diversity and if in some developed countries the modern type of population reproduction is replaced by the newest type - depopulation, in others it is in the last phase, and still in some other countries the second phase of the modern type of population reproduction is noticed.

There is an interesting situation in South Caucasus as well. Unlike Azerbaijan, where the third phase of the modern type of population reproduction has just started (the rate of mortality went down to 6‰ by 2018 and at the same time, the tendency of significant decrease in child-birth is also noticeable, down to 16,5‰ by 2018), in Armenia the same phase was noted in the 90s of the last century and according to the

data of the UN, one can expect the completion of the modern type of population reproduction and start of the newest type during 2020-2025 [www.esa.un.org].

As regards Georgia, the modern type of population reproduction came to an end in the 90s of the last century and today one can notice clear signs of depopulation. Generally, Georgia is characterized by the European type of demographic behavior and for a long time it has belonged to the list of the demographically developed countries. However, there is a distinction in that as opposed to the developed countries of Europe, it is an economically developing country like some of the Post-Soviet Republics (Russia, Ukraine, and Belorussia).

Therefore, in Georgia, much like in some other countries of the world and Europe, the era of quasi-equilibrium on the upper levels of childbirth and mortality is gradually replaced by the new stage of equilibrium on the lower levels of the same. As opposed to the previous periods, instead of the young structure of population (progressive type of the population structure), the latter is characterized by aged population (regressive type of the population structure), where mortality exceeds child-birth and depopulation is outlined.

According to our hypothesis, depopulation as the multiphase, curtailed type of population reproduction can develop in the following manner: within the first phase the growth of mortality rate lags behind the decrease rate of childbirth or is nearly equal, however the distinction between the levels of mortality and childbirth gradually increases in favor of the former. In the beginning of the first phase, the population growth within the boundary of zeros (0,1, 0,2...0.9) is feasible by periodically equalizing the levels of childbirth and mortality.

In the second phase, as a result of the high rate of mortality growth, on the one hand and the high rate of childbirth reduction on the other hand, the distinction between them increases in favor of mortality and thus, natural decline grows absolutely.

During the third phase, mortality reaches its maximum limit and against the background of stagnation it starts reduction, therefore, in light of gradual growth of childbirth we notice the decrease in the level of depopulation, which is reflected in the significant tendency of reduction of natural decline. By the end of the third phase, in case of activating self-regulation of demographic system, the significant change in the demographic behavior of society and family will cause an active demographic politics to come to the forefront. As a result, one can expect equalizing of childbirth and mortality first, and then natural growth on a lower level.

In contrast with earlier types of population reproduction, one of the main problems of the newest type of population reproduction - depopulation is to preserve physical continuity of small nations. One cannot exclude the chance of formation of "exotic population" within certain countries which stresses the problems of demographic security of smaller nations within the agenda.

Therefore, the newest type of population - depopulation as the natural demographic process is much safer for the existence of a country and nation the shorter it is in a given country. In this regard, based on proper conclusions, it is necessary that society and government come up with and implement a relevant, active demographic policy in order to root out depopulation in a timely manner.

*Анатолий Васильевич Шевчук*

## **ВОПРОСЫ ПЕРЕХОДА К ЗЕЛЕННОЙ ЭКОНОМИКЕ В РОССИИ**

*Аннотация.* В статье рассмотрены работы, выполненные за последние три года по поручению различных министерств и ведомств, для принятия решения по переходу Российской Федерации на «зеленую» экономику. Даны основные подходы к измерению «зеленой» экономики, концепции перехода, мерах по реализации и др.

*Ключевые слова:* «зеленая» экономика, устойчивое развитие, Концепция перехода к «зеленой» экономике.

### **1. Общие положения**

Тема перехода к зеленой экономике встала на политическую повестку дня в конце 2000-х годов. Были выработаны программы и стратегии перехода стран ОЭСР к «зеленой» экономике, появились международные документы, способствующие изменению экономического, политического и экологического ландшафта, что привело к разработке рекомендаций по переходу к «зеленой» экономике развивающихся стран.

Подписав ряд международных документов, Россия оказалась также в ситуации, когда следующим логичным шагом должно было стать принятие идеологии «зеленой» экономики. Решение это

было неоднозначно воспринято в политических и экономических кругах и вызвало различные споры. В связи с этим ряд министерств и ведомств озаботился проблемами и перспективами, а главное – концепцией перехода страны к «зеленой» экономике. Так, в 2013-2016 году Минприроды России, Минэкономразвития России и Минпромторг России выступили инициаторами серии исследований по «зеленой» проблематике.

В России и за рубежом появилось много новых книг и публикаций по теме «зеленая» экономика, – теме сравнительно новой, но уже получившей многостраничные библиографические указатели за рубежом и в России.

Всплеск публикаций последних лет был вызван усилением интереса к «зеленой» экономике, в которой экономисты, политики, исследователи, бизнесмены вдруг увидели механизм для реформы экономической и финансовой системы, чтобы сделать её более устойчивой, прозрачной и менее подверженной слишком большому риску банкротства, которые привели нас на грань экономического краха. «Трещина в броне экономической непогрешимости создала политическое пространство для интеграции окружающей среды в экономическое мышление».[1]

Появившиеся в последние годы публикации Организации Объединенных Наций по окружающей среде (ЮНЕП) Доклад по «зеленой» экономике (ЮНЕП, 2011) [2], Промежуточный доклад о "зеленом" росте, подготовленный Организацией экономического сотрудничества и развития (ОЭСР, 2010 г.) [3], Итоговый доклад о "зеленом" росте (2014) и дорожная карта снижения содержания углерода до 2050 г. [4], выпущенная ЕС (2011), – являются яркими примерами такого рода мышления.

Концепция «зеленой» экономики» обсуждалась первоначально в специализированных сообществах, относящихся к экономике окружающей среды, затем она стала рассматриваться на международных встречах по устойчивому развитию. Интерес последних к «зеленой» экономике также был связан с разочарованием, вызванным сбоями рынков, экономическим и финансовым кризисом 2008 года. Таким образом, новый этап интереса к «зеленой» экономике был связан с поиском перспективного направления, новой парадигмы экономического развития, в которой материальное богатство должно быть застраховано от увеличения экологических рисков, происходящих из-за истощения ресурсов и расширения социального неравенства. [5]

«Зеленая» экономика, как это было определено в программе защиты окружающей среды Организации Объединенных Наций, запущенной в феврале 2011 года, должна привести к улучшению благосостояния и социальной справедливости, за счет значительного уменьшения экологических рисков и экологического дефицита.

Термин «зеленая» экономика имеет множество трактовок, однако, в отличие от других дефиниций, эти определения практически однородны. «Зеленая» экономика в традиционном, узком смысле, определяется как экономика, которая приводит к сокращению экологических рисков и экологических дефицитов, и которая стремится к устойчивому развитию без ущерба окружающей среде. Она тесно связана с экологической экономикой, но имеет более политическую прикладную направленность.[6]

В широком смысле «зеленую» экономику» рассматривают как экономику, которая совместима с устойчивым развитием, и эту новую форму экономического развития следует рассматривать, как долговременную адаптацию экономической системы к различным кризисам, которые могут возникнуть. [6]

Концепция «зеленой» экономики» была сформулирована Карлом Буркартом [7], на основе шести основных составляющих:

- а) Возобновляемые источники энергии.
- б) «Зеленые» здания.
- в) Устойчивое развитие транспорта.
- г) Управление водой.
- д) Управление отходами.
- е) Землеустройство.

Очевидно, что в 2010-е годы подход к «зеленой» экономике изменился по сравнению с 1970-ми, когда тема только начала нарождаться. Меняются не только подходы к «зеленой» экономике, начала меняться еще не сформировавшаяся система её измерений. Изменения происходят на фоне признания того факта, что система мировых экономических показателей не характеризует адекватно мировую экономику в эпоху её инновационного развития и точно не описывает экономические процессы. [3]

## 2. Используемые методы работы

Совет по изучению производительных сил (СОПС) Всероссийской академии внешней торговли (ВАВТ) с участием специалистов из других организаций по заказу Минэкономразвития России выполнил серию прикладных экономических исследований по теме «зеленой» экономики и «зеленого» роста. [8,14]

В процессе работы над отчетом были использованы несколько источников, в том числе:

– международные юридические и нормативные документы, посвященные «зеленой» экономике и ее измерениям, а также нормативно-правовые документы Российской Федерации.

– интернет-ресурсы: сети, объединяющие организации, входящие в различные ассоциации по «зеленой» экономике, в том числе сеть специалистов в области измерения «зеленой» экономики и ее роста; сайты международных организаций, отвечающих за развитие измерений в отрасли; сайты, публикующие материалы по «зеленой» экономике.

– интервью с руководителями разного уровня и исследователями в области «зеленой» экономики.

– отчеты СОПС 2013 и 2014 года [8], в которых последовательно были рассмотрены проблемы «зеленой» экономики.

– отчеты министерств и ведомств ЕС, занимающихся вопросами «зеленой» экономики и отраслевые отчеты ассоциаций, объединяющих специалистов в области возобновляемых источников энергии, «зеленого» строительства и т.п.

В результате проведенного исследования проведен анализ:

– международных документов и рекомендаций конференций, саммитов по охране окружающей среды и устойчивому развитию, в том числе, Декларации ООН по окружающей среде (Рио-де-Жанейро, 1992 г.), итоговых документов Конференции ООН по устойчивому развитию (Йоханнесбург, 2002 г.), Конференции ООН по устойчивому развитию «РИО+20», Саммитов стран «большой восьмерки» за период 1997-2012 гг., Саммитов стран «большой двадцатки» на высшем уровне за период 2008-2012 гг., саммитов стран АТЭС за период 1997-2012 гг., а также последних документов ОЭСР, Всемирного Банка, ЮНЕП, GGGI и др.

– методологических подходов международных организаций (ООН, ЮНЕП, ПРООН, ОЭСР, ЮНИДО, ВТО) по отражению показателей «зеленого» роста и «зеленой» экономики в документах стратегического и прогностического характера;

– деятельности международных организаций по разработке объединенных показателей;

– существующей в Российской Федерации практики перехода на принципы «зеленой» экономики по отдельным секторам экономики и направлениям деятельности: «зеленые» технологии, «зеленая» энергетика, «зеленый» транспорт, «зеленое» строительство, экосистемные услуги.

## 3. Результаты работы

Разработаны предложения по составу прогнозных показателей и индикаторов «зеленого» роста и «зеленой» экономики в составе прогноза долгосрочного социально-экономического развития Российской Федерации на период до 2030 года с учетом действующих документов стратегического планирования.

Получен информационно-аналитический материал с рекомендациями международных конференций, саммитов по охране окружающей среды и устойчивому развитию по мерам международного регулирования антропогенного воздействия и стимулирования «зеленой» экономики и экологически чистого устойчивого развития, по методологическим подходам международных организаций по отражению показателей «зеленого» роста и «зеленой» экономики в документах стратегического и прогностического характера, выявлены лучшие зарубежные практики отражения показателей «зеленого» роста и развития «зеленой» экономики в документах прогностического характера.

## 4. Дискуссии, обсуждения

Материалы исследования могут использоваться специалистами, занимающимися изучением «зеленой» экономики, «зеленого» роста, «зелеными» технологиями, устойчивым развитием, экологизацией экономики, руководителями, отвечающими за развитие экономики.

Основные положения исследований вошли в книги: «Зеленая» экономика - новая парадигма развития страны» (2015) и «Зеленая» экономика: перезагрузка» (2017). Последняя книга была переиздана в 2018 году издательством «LAMBERT Academic Publishing» и издательством «Зимородок».

На заседании Госсовета по вопросу «Об экологическом развитии Российской Федерации в интересах будущих поколений», проходившем 27 декабря 2016 года, Президент В.В. Путин отметил, что на повестке дня — поэтапный переход России к модели экологически устойчивого развития, которое включает: повышение эффективности всей национальной экономики за счет ее экологизации и улучшение качества жизни жителей. [9,11]

В докладе к заседанию Госсовета, во многом опирающемся на исследования, которые были проделаны авторами монографии вместе с ведущими экологами нашей страны, был дан анализ экологических проблем и вызовов, обоснована необходимость перехода к «зеленому», экологически устойчивому развитию как национальный стратегический приоритет, освещены вопросы экологически устойчивого развития России, глобальных экологических проблем, качества окружающей среды при современных уровнях нагрузки на нее, угроз экологической безопасности Российской Федерации на период до 2050 года. [10,11] В рамках подготовки материалов к Госдокладу был предложен блок решений по экологическому развитию в средней и в долгосрочной перспективе, в том числе:

- изменения и дополнения в действующее законодательство в сфере природопользования и охраны окружающей среды;
- многоуровневая система мотивации;
- создание чистых производств, в том числе через введение специальных рыночных инструментов;
- комплекс мероприятий по развитию возобновляемых источников энергии.

## 5. Заключение, выводы

По результатам исследования можно сделать следующие выводы:

- накоплен значительный аналитический материал по деятельности международных организаций и финансовых структур в области развития «зеленой» экономики;
- представлены предложения по составу прогнозных показателей и индикаторов «зеленого» роста и «зеленой» экономики в составе прогноза долгосрочного социально-экономического развития Российской Федерации на период до 2030 года;
- имеет место внедрение принципов «зеленой» экономики в деятельность конкретных отраслей: «зеленые технологии», «зеленая энергетика», «зеленый транспорт», «зеленое строительство», экосистемные услуги.

Материалы исследования могут использоваться специалистами, занимающимися изучением «зеленой экономики», «зеленого роста», «зелеными технологиями», «устойчивым развитием», «экологизацией экономики», руководителями, отвечающими за развитие экономики.

Материалы исследования были использованы при подготовке заседания Госсовета 27.12.2016 года и могут быть основой для разработки научно-обоснованной Концепции перехода РФ к «зеленой» экономике и подготовки «Методологических рекомендаций по включению экологической составляющей в инвестиционные проекты регионов России».

Доклад Римскому Клубу Гюнтера Паули «Голубая экономика: 10 лет, 100 инноваций, 100 миллионов рабочих мест», цель которого - показать инновационные способы управления и использования доступных ресурсов и таким образом бороться с проблемами экологии и изменения климата требует корректировки действий в области «зеленой» экономики. С целью развития России на основе принципов «Синей экономики» и успешной реализации потенциала страны в области природных ресурсов необходимо рекомендовать федеральным органам власти и бизнес-сообществу обеспечить решение следующих задач:

- Внести дополнения в государственную экологическую политику позиции с учетом доклада по «Синей экономике»;
- Разработать механизмы и методики экономической оценки природных ресурсов различных типов как государственных активов;
- Развивать экономику с ориентиром на превращение страны в мирового лидера рынка пресной воды и водоемкой продукции;
- Включить в национальные технологические приоритеты создание перспективных технологий хранения и транспортировки пресной воды;

- Разработать каталог экосистемных и стимулировать их внедрение;
- Разработать методику оценки стоимости природных ресурсов и провести укрупненную оценку актуальных и перспективных ресурсов в России;
- Активизировать работу над совершенствованием природоохранного законодательства и отраслевыми актами в отношении экологии и рационального природопользования.

### Использованная литература

1. Runnalls D. Environment and Economy: joined at the hip or just strange bedfellows? // <http://sapiens.revues.org/1150>
2. Green economy report. Навстречу «зеленой» экономике. Пути к устойчивому развитию и искоренению бедности // <http://www.unep.org/greeneconomy/GreenEconomyReport/tabid/29846>
3. Interim Report of the Green Growth Strategy: Implementing our commitment for a sustainable future Meeting of the OECD Council at Ministerial Level 27-28 May 2010 // <http://www.oecd.org/greengrowth/45312720.pdf>
4. Low carbon road map // [http://ec.europa.eu/clima/policies/roadmap/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/clima/policies/roadmap/index_en.htm)
5. Alexander, Mike, Management Planning for Nature Conservation, A Theoretical Basis&Practical Guide, 2nded. Springere Books, 2013
6. UNDP (United Nations Development Program), Green Economy Report: A Preview, 2010
7. Burkart, K. How to define the „green economy“, retrieved at 2013-23-11 from <http://www.mnn.com/greentech/research-innovations/blogs/how-do-you-define-the-green-economy>, 2012.
8. Отчеты СОПС 2013-2014 гг. «Разработка предложений по отражению показателей «зеленого» роста в составе прогноза долгосрочного социально-экономического развития Российской Федерации на период до
9. Стенограмма выступления В.Путина 27 декабря 2016 года на заседании Государственного совета по вопросу «Об экологическом развитии Российской Федерации в интересах будущих поколений». <http://pfo.gov.ru/press/events/100855/>
10. Доклад «Об экологическом развитии Российской Федерации в интересах будущих поколений» к заседанию Госсовета 27 декабря 2016 г. М.: Кремль, 2016, 285 стр.
11. National Security & Innovation Activities: Methodology, Policy and Practice Monograph, Bielsko-Biala, 2018. (Проблемы и перспективы перехода к зеленой экономике в России). Shevchuk A., Komarova I. Bielsko-Biala, 2018, стр.355-357.
12. Интернет-ресурс:  
[https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B8%D0%BD%D1%8F%D1%8F\\_%D1%8D%D0%BA%D0%BE%D0%BD%D0%BE%D0%BC%D0%B8%D0%BA%D0%B0](https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B8%D0%BD%D1%8F%D1%8F_%D1%8D%D0%BA%D0%BE%D0%BD%D0%BE%D0%BC%D0%B8%D0%BA%D0%B0)

*Anatoliy Vasilyevich Shevchuk*

### ISSUES OF TRANSITION TO A GREEN ECONOMY IN RUSSIA

#### Summary

The article describes the work performed over the past three years on behalf of various ministries and departments, to make a decision on the transfer of the Russian Federation on the "green" economy. Given the basic approaches to the measurement of the "green" economy, the concept of transition, measures to implement and others.

**Keywords:** "green" economy, sustainable development, the concept of the transition to "green" economy.

*თეიმურაზ შენგელია*

### „მწვანე ეკონომიკის“ როლი გლობალურ ურთიერთობათა სისტემაში

*ანოტაცია.* ეკონომიკური მეცნიერების ძირითად პოსტულატებს საფუძველი ჩაეყარა იმ ეპოქაში, როცა ადამიანის მატერიალური საქმიანობა არ აღემატებოდა ბუნებრივი გარემოს აღდგენის პოტენციალს. დღეისათვის მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა: ანთროპოგენურმა დატვირთვამ გადააჭარბა ბუნებრივი კომპლექსის და მთლიანად ეკოსფეროს მდგრადობას. კაცობრიობა გადავიდა თავისი ისტორიის საპასუხისმგებლო ეტაპზე.

რომელიც მოითხოვს ეკონომიკის პარადიგმის ცვლილებას, მის თავსებადობას ბიოსფეროს განვითარების მოთხოვნასთან. აუცილებელია მატერიალური წარმოების კულტურის ახალ საფეხურზე გადასვლა, რომელიც თავსებადი უნდა იყოს სამყაროს ამოწურვად ეკოპოტენციალთან.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია „მწვანე ეკონომიკის“ თანამედროვე მიმართულებები და ბუნებრივი გარემოს სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში ჩართვის აუცილებლობა. ანთროპოსფეროს ეკონომიკა უნდა ემორჩილებოდეს ბიოსფეროს ეკონომიკის კანონებს, რაც გულისხმობს ანთროპოცენტრიზმის საპირისპიროდ ბიოგეოცენტრიზმის პრიორიტეტს.

**საკვანძო სიტყვები:** „მწვანე ეკონომიკა“, ეკოპოტენციალი, ამოწურვა, ეკონომიკური პარადიგმა, ცვლილება, ბიოგეოცენტრიზმი.

## I. ცივილიზაციის განვითარებისა და ბიოსფეროს მდგრადობის წინააღმდეგობრივი ხასიათი

ცივილიზაციის მთელი ისტორიის მანძილზე, განსაკუთრებით XX საუკუნის ბოლოს, ადამიანის საქმიანობა ბიოსფეროს მიმართ უმეტესწილად დესტრუქციული იყო. მოსახლეობის ზრდის შენელება და დეპოპულაცია წარმოადგენდა ბიორესურსების შემცირების მნიშვნელოვან პირობებს [3,5]. XXI საუკუნის დასაწყისში კაცობრიობა კვლავ ვითარდება ექსტენსიური ფაქტორების ხარჯზე, აფართოებს ბუნებრივი რესურსების ექსპანსიას. კონფლიქტი ადამიანსა და ბუნებას შორის დიდი ხნის წინ იწინასწარმეტყველეს ეკონომიკის კლასიკოსებმა (სმიტი, რიკარდო).

ბევრი ავტორი ნოსფეროს წარმოქმნას არ მიიჩნევს შორეულ პერსპექტივად. ბუნებაზე საზოგადოების ზემოქმედების პროცესები, ახალი ტერიტორიების ათვისება, ბუნებათსარგებლობის გაფართოება და გაღრმავება მათ მიერ განიხილება, როგორც ნოსფეროგენეზი, მაგრამ რეალურად მიმდინარეობს ბიოსფეროს შევიწროება ტექნოსფეროს მიერ. უკანასკნელი წარმოადგენს ადამიანის გონების და შრომის პროდუქტს, ეს არ არის ნოსფერო, რაზეც თვალსაჩინოდ მეტყველებს გლობალური მასშტაბით ბიომრავალსახეობის დაჩქარებული შემცირება [7]. ეს პროცესი წარმოშობს კონფლიქტს ეკონომიკასა და ეკოლოგიას შორის. ეკონომიკის კვლევის ობიექტს წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობები პროდუქციის წარმოების, გაცვლისა და განაწილების პროცესში. მთელი ეკონომიკის რესურსურუნველყოფის წყაროა ეკოლოგიური გარემო. ეკონომიკურ განვითარებასა და ეკოლოგიურ მთლიანობას შორის დაპირისპირება წარმოადგენს გლობალური ეკოლოგიური კრიზისის მთავარ წყაროს. ეს პრობლემა დაისვა ჯერ კიდევ ტ. მალთუსის და ა. ულფესის ნაშრომებში. მისდამი ინტერესი განსაკუთრებით მწვავე გახდა დიდი დეპრესიის წლებში. რომის კლუბის ერთ-ერთი პირველი მოხსენება „ზრდის ფარგლები“ [7] და სტოკჰოლმში გარემოს დაცვისადმი მიძღვნილ პირველ კონფერენციაზე მ. სტრონგის მოხსენება [10] მიეძღვნა ეკონომიკურ განვითარებასა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას შორის კონფლიქტის პრობლემის კვლევას.

ბოლო წლებში ტერმინები „მდგრადი განვითარება“ და „ეკოგანვითარება“ ეკოლოგიურ-ეკონომიკური მიმართულების ბევრ ნაშრომში გამოიყენება, როგორც სინონიმები. მდგრადის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების ისეთი განვითარება, რომლის დროსაც გარემოზე ზემოქმედება რჩება ბიოსფეროს წონასწორობის ფარგლებში და არ ირღვევა ადამიანის სიცოცხლის კვლავწარმოების ბუნებრივი საფუძველი [2]. დედამიწის მზარდი მოსახლეობის მოთხოვნილებები და პლანეტის ამოწურვადი რესურსები საფუძველად ედება თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ახლებურ გაგებას. პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობის ოპტიმალური ეკოკრიტერიუმის მოძებნასთან.

XX საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო საზოგადოება სერიოზულად შეშფოთდა დედამიწის ბიოსფეროს მდგომარეობით და ადამიანთა ცივილიზაციის შემდგომი განვითარებით. გარემოს პრობლემებსა და ეკონომიკურ განვითარებაზე გაეროს ფორუმებზე (იოჰანესბურგი – 2002, რიო – 2012) დეკლარირებულ იქნა მდგრადი განვითარების სტრატეგია – Sustainable Development [9]. ჯ. ფორესტერის „მსოფლიო დინამიკამ“ (1970) და რომის კლუბის ნაშრომებმა არსებითი წვლილი შეიტანა გარემოს მდგომარეობასა და ცივილიზაციის განვითარების პერსპექტივას შორის კავშირების გაცნობიერებაში. მ. სტრონგმა პირველად ჩამოაყალიბა ცნება „ეკოგანვითარება“ როგორც ეკოლოგიურად



ორიენტირებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, როცა ადამიანების კეთილდღეობის ზრდას არ ახლავს ბუნებრივი გარემოს გაუარესება.

საერთაშორისო ფორუმების ჩატარების შედეგად პირველად იქნა გლობალურ დონეზე გაცნობიერებული ჩვენი პლანეტის ეკოლოგიური მთლიანობა და მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკური ზრდა. საერთაშორისო დონეზე თვალსაჩინო გახდა, რომ „ცალკე აღებულ ქვეყანაში“ მდგრადი განვითარების მიღწევა ვერ მოხერხდება და რომ „ეკოგანვითარება“ წარმოადგენს საერთო საკაცობრიო ამოცანას. „ეკოგანვითარების“ რეალიზაციის მიზნით შეიქმნა სპეციალური სტრუქტურა – “გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა” (UNEP) [10]. მისი კვლევების ფარგლებში მიღებული პროგნოზები მიუთითებს საზოგადოების მიერ ფასეულობათა გადახედვის აუცილებლობაზე.

## II. ეკონომიკის მდგრადი და ეკოგანვითარება

ცნება „მდგრადი განვითარება“ ან „დასაშვები განვითარება“ ახლოსაა ცნებასთან „ეკოგანვითარება“. ეკოლოგიურ ეკონომიკაში ეს ტერმინი ნიშნავს ეკოლოგიურად დასაშვებ დონეზე განვითარებას. 1992 წ. რიო-დე-ჟანეიროში გარემოს დაცვის და განვითარების კონფერენციაზე მომზადდა „კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენცია“ და „კონვენცია ბიოლოგიური მრავალსახეობის შესახებ“. ეს დოკუმენტები გამსჭვალულია მდგრადი განვითარების კონცეფციით, რომელსაც საფუძვლად უდევს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისეთი მოდელი, როცა დღევანდელი თაობის ადამიანების სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მიიღწევა მომავალი თაობებისათვის ბუნებრივი რესურსების ამოწურვისა და გარემოს დეგრადაციის საშიშროების გარეშე. ყურადღება გადატანილია წარმოების და მოხმარების იმ მოდელის პრაქტიკიდან ამოღების სახელმწიფოებრივ ვალდებულებაზე, რომლებიც ხელს არ უწყობს მდგრად განვითარებას. ცივილიზაციის განვითარების ახალი მოდელის ფუნდამენტურ მოთხოვნილებას წარმოადგენს იმ ეკონომიკურ სტრუქტურაზე უარის თქმა, რომელიც გარემოს ხარჯზე შეუზღუდავ ზრდას განიხილავს როგორც პროგრესს.

2002 წ. იოჰანესბურგში გაიმართა გლობალური ფორუმი, სადაც გამოვლინდა მკვეთრი კონტრასტი ეკონომიკური განვითარების რეალურ ტენდენციებსა და მდგრადი განვითარების დეკლარაციებს შორის [6].

ბაზარი ვერ გრძნობს ადამიანის ბუნებაზე დამოკიდებულებას. ეკოლოგიური მოთხოვნილებებისა და ეკონომიკური ინტერესების შეჯახებამ ბუნებრივი რესურსების მოხმარების სფეროში მიიღო წინააღმდეგობრივი ხასიათი. ამ კონტექსტში საჭიროა ეკონომიკური თეორიის ღრმა ცვლილება: ეკონომიკური ურთიერთობების თანამედროვე შეფასებებიდან პრინციპულად სხვა მიდგომებზე გადასვლა, რომლებიც დაფუძნებულ უნდა იყოს „ბიოეკონომიკის“ ან ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის პოსტულატებზე, როცა, ტრადიციულთან ერთად, აუცილებელი ხდება მთავარი ბიოლოგიური კრიტერიუმების (ბიომრავალსახეობის სტაბილური განვითარება, მდგრადობის უზრუნველყოფა და სხვა) შეფასება და ღირებულების თეორიაში ჩართვა. ღირებულება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, უნდა წარმოადგენდეს შედეგებისა და დანახარჯების სინთეზს, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ყველა აღწარმოებად და არააღწარმოებად რესურსს, მათ შორის, ბუნებრივ რესურსებსა და ეკოლოგიურ პირობებს.

## III. მწვანე ეკონომიკის კონცეფცია

ეკოლოგიური პრობლემების ზრდის გაცნობიერების შედეგად დასავლურ მეცნიერებაში წარმოიშვა ტერმინი „მწვანე ეკონომიკა“ [8]. იგი, UNCSO-ის განმარტებით, პირველ რიგში მიმართული უნდა იყოს ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებისა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფისკენ, ამასთან ხასიათდებოდეს გარემოს რისკების შემცირებითა და ბუნებრივი რესურსების დაზოგვით [10].

„მწვანე ეკონომიკაში“ შემოსავლების და დასაქმების ზრდის უზრუნველყოფა იგეგმება სახელმწიფოსა და კერძო კომპანიების მიერ. ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ნარჩენების უტილიზაციის ეფექტიანობის ამაღლებისკენ, სამეურნეო საქმიანობის ნეგატიური შედეგების შემცირების და ბიოსფეროს მრავალფეროვნებისა და პროდუქტიულობის მატებისკენ. „მწვანე“ ეკონომიკის ძირითადი იდეა ბუნებისადმი სამომხმარებლო დამოკი-

დებულებაზე უარის თქმა, გარემოს დაბინძურებისაგან, ბუნებრივი რესურსების გამოლევისაგან მიღებული ზარალის ღირებულებაში ჩართვაა. მნიშვნელოვანი ხდება ინოვაციური აქტივობაც, რომელიც სიახლეების ეკოლოგიური უსაფრთხოების გარანტიას იძლევა.

განვითარებულ ქვეყნებში, რომლებშიც განხდა ტერმინი „მწვანე ეკონომიკა“, იგეგმება უწყვეტი და მუდმივი გაუმჯობესების პროცესების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს დამატებითი ეკოლოგიური და სოციალური მოვების მიღებას. ზუსტად ასეთი გაუმჯობესების მოთხოვნა ჩადებულია ISO 14001 სტანდარტში, რომლის საფუძველზეც ხდება მთელ მსოფლიოში საწარმოების უფრო და უფრო დიდი რაოდენობის გარდაქმნა. ამ პროგრამების შედეგად ეკონომიკის ეკოლოგიზაცია უნდა განხორციელდეს არა როგორც მეორადი ეფექტი, არამედ როგორც ძირითადი მიზანი [1]. აშშ-ში იგეგმება გამონაბოლქვის 20%-ით შემცირება 2050 წლისათვის, შემდეგ 80%-ით 2080 წლისათვის. ახლო მომავალში მსოფლიოს მოწინავე ეკონომიკებისათვის საკვანძო განმარტებად იქცევა „მწვანე“ და „დაბალ ნახშირორჟანგიანი“ ეკონომიკები (lowcarbon economy) მაღალი ენერგოეფექტიანობითა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედებით [8].

„მწვანე ეკონომიკის“ (ანუ ბიოეკონომიკის) კონცეფცია დღეს აღიქმება, როგორც გლობალური ეკოკრიზისიდან რეალური გამოსავალი. თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ხარვეზს წარმოადგენს არასაკმარისი ყურადღება იმ გამოკვლევებისადმი, რომლებიც ეხება ბიოსფეროზე დასაშვები ზემოქმედების შეფასებას. ეკონომიკის ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფადობა დიდი ხნის განმავლობაში არ გამომდინარეობდა ეკოლოგიის კანონებიდან, მაგრამ წარმოების ზრდის კვალობაზე ამ დამოკიდებულებამ მასშტაბურად იზინა თავი.

1950-იანი წლების „მწვანე რევოლუციის“ დროიდან სურსათის გლობალური წარმოების დინამიკა ხასიათდება არა მხოლოდ საბოლოო პროდუქციის ზრდით, არამედ აგრეთვე გარემოსათვის სულ უფრო ზრდადი ნეგატიური შედეგებით, რომლებიც გამოიხატება კერძოდ ნიადაგის ნაყოფიერების და ფართობების თანმიმდევრული შემცირებით. ამ პროცესს თან ახლავს აღუდგენელი ენერჯის ხარჯვის ზრდა მემცენარეობის პროდუქციის ერთეულზე. ასე მაგალითად, 2000-დან 2016 წლამდე მარცვლეულის გლობალური პროდუქტიულობა გაიზარდა დაახლოებით 2,3-ჯერ, ამასთან, მარცვლეულის მოსავლიანობის ასამაღლებლად მტკნარი წყლის დანახარჯი გაიზარდა 2-ჯერ, აზოტიანი სასუქების – 10-ჯერ, ფოსფორიანის – 7,5-ჯერ, პესტიციდების – 6-ჯერ. ამასთან, მარცვლეულის მოსავლის ერთეულის მიღებაში აზოტიანი სასუქების ეფექტიანობა 1960 წლიდან 2000 წლამდე 4 ჯერ შემცირდა [7].

ეკონომიკურ კატეგორიებში ბიოლოგიური და ეკოლოგიური ფაქტორების შეყვანა აფართოებს მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური თანასწორობის თეორიის გამოყენების სფეროს, და, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ახდენს ზღვრული სარგებლიანობის კონცეფციის რეანიმაციას. თანამედროვე ეპოქის დრამატიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ზღვრული სარგებლიანობის კონცეფცია სულ უფრო გამოყენებადი ხდება ბიოსფეროს მდგომარეობისათვის და ნიადაგების, ტყეების, მტკნარი წყლისა და ჰაერის პლანეტარული მარაგებისათვის, ანუ ისეთი რესურსებისათვის, რომლებსაც თვლიდნენ „არაეკონომიკურ“ ანუ „თავისუფალ“ დოვლათად. მათ კაცობრიობისათვის რეალური ღირებულება შეიძინეს. ბოლო წლებში რიგმა ქვეყნებმა არსებითად გაზარდეს ასეთი პროექტების დაფინანსება. ასე მაგალითად, ევროპის ქვეყნებმა დააბანდეს 22,8 მლრდ ევრო „მწვანე“ საქმიანობაში, რაც მთლიანი მშპ-ს 0,2%-ია; აშშ-მა - 94,4 მლრდ დოლარი, მშპ-ს 0,7%. ამ მხრივ ლიდერობენ სამხრეთ კორეა და ჩინეთი: კორეამ დააბანდა 38,1 მლრდ დოლარი, ქვეყნის მშპ-ს 3%; ჩინეთმა – \$215 მლრდ დოლარი – ქვეყნის მშპ-ს 3% [8].

2008-დან 2018 წლამდე პერიოდში განვითარებულმა ქვეყნებმა, რომლებიც საკუთარი ბუნებრივი ეკოსისტემების შენარჩუნების პოლიტიკას ატარებენ, მოსახლეობის ერთ სულზე თავისი მარცვლეულის იმპორტი გაზარდეს 42,2%-ით, იმ დროს, როდესაც სხვა ქვეყნებში იგი საშუალოდ 3,5%-ით გაიზარდა [8]. ეკონომიკურმა მოდელირებამ აჩვენა, რომ ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში ტყეების 20 ჰექტრის ექსპლუატაციისგან დაცვა შორეულ ტროპიკულ ტყეებში ან რუსეთში ხელუხლებელი ტყის მასივების დაახლოებით 1 ჰექტარის გაკავვის ტოლფასია [9]. ტყის პროდუქციაზე მოთხოვნის გაზრდამ და ჩინეთსა და ფინეთში ტყის შენარჩუნების პროგრამებმა გაზარდა ზეწოლა მეზობელი რუსეთის ტყის მასივებზე. ხის მერქნის იმპორტი წარმოადგენს საკუთარი ბუნებრივი ეკოსისტემების

ეკოლოგიური დაცვის ექსპორტის ეკონომიკურ ეკვივალენტს.

ერთობლივი გლობალური მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა იმ ბუნებრივი ეკოსისტემების შენარჩუნება, რომლებიც დღესდღეობით გამოსადეგია სურსათის წარმოებისათვის [8]. 2018 წელს დედამიწის მოსავლიანობა რომ 1961 წ. დონეზე დარჩენილიყო, საჭირო გახდებოდა დამატებით 1761 მლნ სახნავი სავარგულები [10].

„მოთელი ჩვენი პლანეტა იმყოფება გაურკვევლობის ზღურბლზე. შეიძლება მხოლოდ გარკვეული ალბათობით ვამტკიცოთ, რომ პლანეტა და მსოფლიო თანასახოგადობა შედის განვითარების ახალ სტადიაში. კაცობრიობა იქცევა ძირითად გეოლოგიის წარმომქმნელ ძალად. უნდა ვადიაროთ აგრეთვე, რომ ადამიანთა საქმიანობის შედეგად დაირღვა ბუნებრივი ციკლების წონასწორობა, რომელთა აღდგენაც ჩვენთვის ცნობილი მეთოდებით შეუძლებელია. კაცობრიობის საქმიანობა, დიდი ალბათობით, გამოიწვევს ბიოსფეროს დეგრადაციას და ვერ იძლევა მის შემადგენლობაში ადამიანის არსებობის გარანტიას“ [9]. ადვილი შესამჩნევია, რომ დღესდღეობით სიტუაცია არ შეცვლილა სამეცნიერო თანასახოგადობის ყველა ძალისხმევის მიუხედავად. ჩვენი აზრით, ბიოეკონომიკას, ნანოტექნოლოგიებსა და გენომიკასთან ერთად, შეუძლია პირველად ჩამოაყალიბოს სოციალურ-ბიოლოგიურ თანასწორობაზე დაფუძნებული ტექნოლოგიური წყობა.

#### IV. ბიოპროდუქტების წარმოება და ბიომეურნეობების განვითარების ზოგადი ტენდენციები

ბიოპროდუქტების წარმოება და ზოგადად ბიომეურნეობები ბოლო წლებში ბევრ ქვეყანაში გეომეტრიული პროგრესით გაიზარდა, მაგალითად, თურქეთში თუ 1990 წელს 1000 ჰექტარი მიწა მუშავდებოდა, როგორც ბიომეურნეობა, 2012 წლისთვის მან 103 000 ჰექტარს მიაღწია. ასევე გაიზარდა ფერმერების რაოდენობა 300-დან 16 000-მდე [3].

საინტერესოა ესტონეთის მონაცემებიც: 2000-დან 2008 წლამდე ორგანული მიწების რაოდენობა 4 000 ჰექტრიდან 87 000 ჰექტრამდე გაიზარდა, ხოლო ფერმერების რაოდენობა 90-დან 1300-მდე [3]. უფრო კარგად რომ გავერკვეთ ამ მოვლენების არსში, საფუძვლიანად უნდა გავიგოთ თუ რას ნიშნავს ბიომეურნეობა და ბიოპროდუქცია.

ბიომეურნეობა (იგივე „მწვანე მეურნეობა“) ნიშნავს სპეციალურად შემუშავებული და შეთანხმებული სტანდარტების შესაბამისად მოწყობილ მეურნეობას. ამ მეურნეობაში მოყვანილ პროდუქტს ჰქვია ბიოპროდუქტი ან ეკოპროდუქტი. ასეთ მეურნეობებში სრულიად გამოირიცხება ქიმიური საშუალებებისა და გენმოდირეცირებული ორგანიზმების გამოყენებით პროდუქტების წარმოება, ანუ ბიომეურნეობაში მოყვანილი პროდუქტი ეკოლოგიურად აბსოლუტურად სუფთაა. ბიოპროდუქტებზე მოთხოვნა მსოფლიოს მასშტაბით სწრაფად იზრდება. განსაკუთრებით ეს ეხება აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებს, სადაც მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა გაცილებით მაღალია, ბიოპროდუქცია კი მაღალი თვითღირებულებით და სარეალიზაციო ფასით გამოირჩევა. როგორც ექსპერტები ასკვნიან, მცირე ქვეყნებს, და მათ შორის საქართველოს, ბიომეურნეობების განვითარებისა და კონკურენტუნარიანი პოზიციების დაკავების დიდი შესაძლებლობა აქვს.

საქართველოს არ აქვს საშუალება, კონკურენცია გაუწიოს, მაგალითად, კანადას, რუსეთს ან ამერიკას ხორბლის და სიმინდის წარმოებაში, ჩინეთს – ბრინჯის წარმოებაში, პოლონეთს – ვაშლის წარმოებაში. რადგან ამ ქვეყნებს დიდი მასშტაბები აძლევს საშუალებას, პროდუქციის თვითღირებულება მინიმუმამდე დაიყვანონ. თუმცა უნიკალური ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, აქვს კარგი პერსპექტივა გახდეს ბიოპროდუქციის სერიოზული მწარმოებელი და კონკურენტუნარიანი ექსპორტიორი ევროკავშირის ქვეყნებისთვის. ბიომეურნეობა საქართველოში არასაკმარისადაა განვითარებული.

ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის თურქეთმა და ესტონეთმა, სწორად განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად განავითარა ბიოპროდუქციის წარმოება.

თურქეთში 1992 წელს შეიქმნა „ორგანული სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ასოციაცია“, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მჭიდრო ურთიერთობითა და მისი დახმარებით ცდილობდა გაეზარდა ფერმერების ინფორმირებულობა ბიოპროდუქციის წარმოების კუთხით; თურქეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენს პასუხისმგებელ ორგანოს ბიომეურნეობების განვითარების კუთხით. იგი ახორციელებს

ორგანული მეურნეობების განვითარებასთან დაკავშირებული პროცესების გენერალურ მენეჯმენტს. ეს სამინისტრო ახორციელებს იმ ორგანიზაციების ლიცენზირებას, რომელთაც აქვთ უფლება, გასცენ სერტიფიკატები ამა თუ იმ მეურნეობისა და პროდუქციის ბიოხასიათზე; მისი ინიცირებით მოხდა სრული საკანონმდებლო ბაზის შემუშავება ორგანული მეურნეობების ფუნქციონირების, სერტიფიცირების, ეტიკეტირების და ა.შ შესახებ. სახელმწიფო გასცემს დაბალპროცენტიან სესხებს იმ ფერმერებზე, რომელთაც სურთ თავიანთი მეურნეობების ორგანულზე გადაყვანა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიცირებით ქვეყნის 25-მდე კვლევითი ინსტიტუტი ორიენტირებულია ბიომიმართულებების კვლევაზე. ამ ძალისხმევის შედეგად თურქეთმა შეძლო 15 წლის მანძილზე ორგანული მიწების 1000 ჰა-დან 103 000 ჰა-მდე გაზრდა, ბიოფერმერების 300-დან 16 000-მდე გაზრდა, ბიოპროდუქციის წარმოების 300 000 ტონამდე გაზრდა, რომლის 90% ევროკავშირში ექსპორტირდება.

საკმაოდ დიდი ძალისხმევა აქვს დახარჯული ესტონეთის მთავრობასაც ბიომეურნეობის განვითარებისთვის. ჯერ კიდევ 2000 წელს ესტონეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შეიქმნა სპეციალური ბიურო, რომლის პირდაპირი პასუხისმგებლობის სფეროა ორგანული აგრომეურნეობის განვითარებაზე ზედამხედველობა. სახელმწიფო სთავაზობს უფასო სასწავლო კურსებს ბიომეურნეებს ან ამ დარგში გარკვევის მსურველებს, რამდენიმე კვლევითი ინსტიტუტი მუშაობს ორგანული სოფლის მეურნეობის კვლევის მიმართულებით და ა.შ.

საქართველოში ბიომეურნეობების სისტემური განვითარების კუთხით სახელმწიფოს მხრიდან ბევრი არ გაკეთებულა, შეიქმნა მხოლოდ კანონი „ბიოლოგიური აგროწარმოების შესახებ“, დარეგულირდა ბიოპროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული პროცესები. რაც შეეხება დარგის განვითარების ხელშეწყობას, სახელმწიფოს როლი მინიმალურია.

ზოგადად ბიომეურნეობები საქართველოში მაშინ შეიძლება განვითარდეს, თუ შემდეგი საკითხები იქნება სისტემურ დონეზე მოგვარებული:

➤ ფერმერებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა და კვალიფიკაცია, თუ რას ნიშნავს ბიომეურნეობა, ბიოპროდუქტი, რა პერსპექტივები აქვს ამ დარგს, როგორ უნდა მოხდეს მეურნეობის ორგანულზე გადაყვანა და ა.შ.

➤ ფერმერებმა მაქსიმალურად უმტკივნეულოდ უნდა შეძლონ კონვენციური (ტრადიციული) მეურნეობიდან ორგანულზე გადასვლა, რომელსაც გარკვეული დრო და ფინანსური რესურსები ესაჭიროება.

➤ ბიომეურნეს უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ მის მიერ ყველა წესის დაცვით მოყვანილ ბიოპროდუქციას არ შეექმნება პრობლემები და ზოგადად არ დადგება ექვემდებარება მისი ორგანულობა.

➤ უცხოეთში სავარაუდო მყიდველის მოძიების, კონტრაქტის დადებისა და ექსპორტთან დაკავშირებული რთული პროცედურების მოგვარება სახელმწიფოს პრეროგატივა უნდა გახდეს.

## დასკვნა

საბაზარო ეკონომიკა ექვემდებარება მოთხოვნა-მიწოდების კანონებს, ამიტომაც ბაზარი ეკონომიკის მოთხოვნებისადმი ნაკლებად მგრძობიარეა. ეკოლოგიური მოთხოვნები და ეკონომიკური ინტერესების შეჯახებამ ბუნებრივი რესურსების მოხმარების სფეროში წინააღმდეგობრივი ხასიათი მიიღო. აუცილებელი გახდა ეკონომიკური თეორიის დრმა ცვლილება: ეკონომიკური ურთიერთობების თანამედროვე შეფასებებიდან პრინციპულად სხვა მიდგომებზე გადასვლა, რომლებიც უნდა დაეფუძნოს „ბიოეკონომიკის“ ან ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების პოსტულატებს. ტრადიციულთან ერთად, აუცილებელი ხდება მთავარი ეკოკრიტერიუმების (ბიომრავალსახეობის სტაბილური განვითარება, მდგრადობის უზრუნველყოფა და სხვა) შეფასება და ღირებულების თეორიაში ჩართვა. ღირებულება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, უნდა წარმოადგენდეს შედეგებისა და დანახარჯების სინთეზს, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ყველა აღწარმოებად და არააღწარმოებად რესურსს, მათ შორის ბუნებრივ რესურსებსა და ეკოლოგიურ პირობებს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Гумилев Л.Н. (2000). Этногенез и биосфера Земли. Л.: Гидрометеиздат.
2. Данилов-Данильян В., Лосев К. (2000). Экологический вызов и устойчивое развитие. М.: Прогресс.
3. Медоуз Д., Рандерс И. (2018). За пределами роста. Пер. с англ. М.: Изд. «Прогресс».
4. Моисеев Н. (1990). Человек во Вселенной и на Земле // Вопр. философии. № 6.
5. Олдак П. (1983). Равновесное природопользование. Взгляд экономиста. Новосибирск: Наука, 128 с.
6. Anderson V. (2006). Turning Economics Inside Out // International Journal of Green Economics. Vol. 1, N1/2. P. 11–22.
7. Barbier E., Koch E., Sillian B. (2008). Coastal ecosystem-based management with nonlinear ecological functions and values // Science. Vol. 319, N 5861. P. 321–323.
8. Green Economics Institute. (2012). What is Green Economics? An Age of Global Transformation. An Age of Green Economics. (<http://www.greeneconomics.org.uk/>).
9. Guo Z., Zhang L., Li Y. (2018). Increased Dependence of Humans on Ecosystem Services and Biodiversity // PLoS. Vol. 5, N10. e13113. UNEP., Global Green New Deal : Policy Brief ([http://www.unep.org/pdf/A\\_Global\\_Green\\_New\\_Deal\\_Policy\\_Brief.pdf](http://www.unep.org/pdf/A_Global_Green_New_Deal_Policy_Brief.pdf)).
10. United Nations Conference on Sustainable Development [UNCSD] 2012. (<http://www.uncsd.org/rio20/objectiveandthemes.html>).

*Teimuraz Shengelia*

### ROLE OF „GREEN ECONOMY“ IN THE SYSTEM OF GLOBAL RELATIONS

#### Summary

Market economy is subject to the laws of demand-supply; it is also clear that market is less sensitive to the demands of the ecosystem. One of the most important problems of XXI century is collision of ecological needs and economic interests in the field of natural resources use, which acquired a character of contradiction. Change of main approaches of economic theory became necessary: transition from modern assessment of economic relations to principally different approaches, which should be based on the postulates of development of “bioeconomy” or ecological-economic system. Along with the traditional, it becomes necessary to assess ecocriteria and their involvement into the theory of values. Value, as an economic category, is a synthesis of results and expenses, which should take into consideration the natural resources and ecological conditions.

*Анна Александровна Чечель,  
Александр Юрьевич Чернышов*

### ЭКОЛОГО-ЭКОНОМИЧЕСКАЯ ОЦЕНКА УТИЛИЗАЦИИ ПРОМЫШЛЕННЫХ ОТХОДОВ

*Аннотация.* В статье предложена система аналитических показателей и методика эколого-экономической оценки утилизации промышленных отходов, рекомендуемая для обоснования выбора наиболее целесообразного варианта их использования. Обоснована актуальность комплексной эколого-экономической оценки утилизации промышленных отходов. Определены перспективы применения метода эколого-экономической оценки механизма контроля для металлургических предприятий города Мариуполь (Донецкая область, Украина) на примере Мариупольского металлургического комбината им. Ильича».

*Ключевые слова:* промышленные отходы, эколого-экономическая оценка, производственный процесс, ущерб, загрязнение окружающей среды.

#### Введение

В настоящее время на территории Украины накоплено большое количество промышленных отходов, которые являются одним из наиболее значительных факторов загрязнения окружающей среды. Ежегодно образуется более 1,5 млрд. тонн твердых промышленных отходов, а объемы жидких, пыле-

видных и газообразных не поддаются статистическому учету [1]. В Донецкой области, наиболее техногенном и экологически загрязненном регионе Украины, по статистическим данным за предыдущие годы накоплено около 3 млрд. тонн отходов, под складирование которых отведена площадь 10 тыс. га. Особую опасность представляют токсичные отходы, содержащие в своем составе соединения хлора, тяжелых металлов [2]. Ежегодно их образуется в области около 90 млн. тонн. В удельном выражении это составило более 50 тыс. т/км<sup>2</sup> и более 750 тонн на каждого жителя. Оценка ежегодного образования – от 670 до 770 млн. тонн – соответствовала 15–17 тоннам отходов на душу населения.

Основными путями снижения объемов накопления и образования отходов является, во-первых, совершенствование производственных процессов, переход на мало- и безотходные технологии, во-вторых, использование образующихся отходов. В настоящее время, при нехватке средств в бюджете и на предприятиях, для освоения новых безотходных технологических процессов другой путь — расширение использования отходов — дает возможность для более оперативного разрешения многих ресурсных и природоохранных задач.

\* \* \*

Управление процессом утилизации промышленных отходов и принятие качественных управленческих решений с учетом эколого-экономических факторов возможно на основе комплексной оценки утилизации отходов. Но в настоящее время эти вопросы недостаточно разработаны и освещены в литературе. Целью данной публикации является ознакомление специалистов с методикой обоснования выбора наиболее эффективного варианта утилизации отходов.

Суть эколого-экономической оценки утилизации отходов заключается в определении эффекта от их использования, определении хозяйственной ценности и выборе таких параметров их утилизации, при которых обеспечивается наиболее высокая эффективность производства и наименьшее влияние на окружающую среду.

Одним из сложных моментов при экономической оценке является разработка системы аналитических показателей. Для оценки утилизации промышленных отходов их можно разделить на несколько групп:

- показатели уровня экологичности производства, при котором образуются отходы;
- показатели затрат предприятия на утилизацию отходов;
- показатели результатов утилизации отходов производства;
- показатели эффективности утилизации отходов.

В таблице 1 представлена система показателей уровня экологичности производства.

*Таблица 1*

**Показатели уровня экологичности производства**

№ п/п	Наименование показателя	Условное обозначение
1.	Годовой объем образования отхода, тонн	$V_0$
2.	Лимит на образование отхода, тонн	$L_0$
3.	Удельный выход отхода на единицу технологического материала	$V_{0\text{ уд.}}$
4.	Площадь территории, занятой отходами, га.	$S$
5.	Ущерб, наносимый производством окружающей среде до проведения природоохранных мероприятий, грн.	$y$

При утилизации отходов предприятие несет определенные затраты: капитальные и текущие. Капитальные затраты — это вложения, связанные с созданием основных и приростом оборотных фондов при утилизации отходов. Текущие затраты связаны с эксплуатацией комплекса по утилизации отходов. К ним относят: энергетические затраты (электроэнергия, вода, природный газ); основная и дополнительная зарплата производственных рабочих; отчисления на социальные мероприятия; амортизацию основных средств; износ инструментов и приспособлений; транспортные расходы на внутривозвратное перемещение грузов; складирование отходов и продукции, получаемой из них; общезаводские расходы [3].

Итоговая величина затрат на утилизацию отходов (З) рассчитывается из выражения:

$$Z = C_{\text{н}} + E_{\text{н}} * K \quad (1)$$

где  $C_{\text{н}}$  – текущие (эксплуатационные) затраты, грн.;  $K$  – стоимость основных средств;  $E_{\text{н}}$  – норматив

приведения разновременных затрат ( $E_n = 0,15$ ).

В таблице 2 представлены показатели затрат на утилизацию отходов, а в таблице 3 — показатели результатов утилизации отходов.

Таблица 2

Показатели затрат предприятия на утилизацию отходов

№ п/п	Наименование показателя	Условное обозначение
1.	Объем капитальных вложений на утилизацию отходов, грн.	К
2.	Текущие затраты, грн.	$C_n$
3.	Затраты на утилизацию отходов, грн.	З
4.	Удельный вес затрат (капитальных и текущих) на 1 тонну утилизированных отходов, грн./тонн	$З_{уд}$

Таблица 3

Показатели результатов утилизации отходов

№ п/п	Наименование показателя	Условное обозначение	Формула для расчета
1.	Объем утилизированных отходов на единицу выпускаемой продукции	$V_o$	
2.	Годовой объем утилизации отходов, тонн	$V_y$	
3.	Степень утилизации отходов	у	$у = \frac{V_y}{V_o}$
4.	Доход, полученный от реализации продукции из отходов, грн.	Д	
5.	Прибыль от реализации продукции, полученной из отходов, грн.	Р	$Р = Д - З$
6.	Ущерб от загрязнения окружающей среды, наносимый в процессе утилизации, грн.	$У_y$	$У_y = У_{ат} + У_в + У_{зем}$
7.	Предотвращенный ущерб, грн.	$П_y$	$П_y = У - У_y$
8.	Коэффициент технологической ценности отходов	к	$к = \frac{\sum C_{ki} * d_{ki}}{\sum C_{ri} * d_{ri}}$
9.	Экономичность процесса утилизации отходов, тонн/ грн.	Е	$Е = \frac{V_y}{C_{из}}$

Степень утилизации отходов ( $у$ ) определяется как отношение количества утилизированных отходов ( $V_y$ ) к исходному объему отходов ( $V_o$ ).

$$у = \frac{V_y}{V_o} \quad (2)$$

Ущерб от загрязнения окружающей среды, наносимый в процессе утилизации отходов, рассчитывается согласно типовой методики [4].

Предотвращенный ущерб от снижения загрязнения окружающей среды в результате использования отходов определяется по формуле:

$$П_y = У - У_y \quad (3)$$

где  $У$  и  $У_y$  – соответственно, ущерб, наносимый окружающей среде производством до проведения мероприятий по утилизации отходов и в процессе утилизации.

Коэффициент технологической ценности отходов можно рассчитать как отношение затрат на выпуск продукции из отходов к затратам на выпуск аналогичной продукции из первичного сырья:

$$k = \frac{\sum C_{ki} * d_{ki}}{\sum C_{ri} * d_{ri}} \quad (4)$$

где  $C_{ki}$  и  $d_{ki}$  – цена и расход ресурсов  $k$ -го вида на производство единицы продукции из отходов 1-го вида;  $C_{ri}$  и  $d_{ri}$  – цена и расход ресурсов  $r$ -го вида на производство единицы этой же продукции из первичного сырья.

Экономичность процесса утилизации отходов характеризуется объемом утилизированных отходов на единицу затрат:

$$E = \frac{V_y}{C_n} \quad (5)$$

где  $V_y$  – годовой объем утилизированных отходов, тонн;  $C_n$  – текущие затраты на утилизацию отходов, грн.

В таблице 4 представлены показатели эффективности утилизации отходов.

**Таблица 4**

**Показатели эффективности утилизации отходов**

№ п/п	Наименование показателя	Условное обозначение	Формула для расчета
1.	Уровень рентабельности	$R$	$R = \frac{P}{C + \Delta Y} * 100\%$
2.	Изменение прибыли за счет использования отходов, грн.	$P_n$	$P_n = Q_n * (C_y - Z_y)$
3.	Прирост прибыли, связанный с уменьшением непроизводительных расходов, грн.	$\Delta P$	$\Delta P = B_1 - B_2$
4.	Эффективность капитальных вложений	$\varepsilon$	$\varepsilon = \frac{(D + P_y - C_n)}{K}$
5.	Общий годовой эколого-экономический эффект, грн.	$\Xi$	$\Xi = P_y + \Xi_{тр.} + D - (C_n + E_n * K)$
6.	Экономический эффект за счет снижения затрат на транспортировку отходов в отвалы или хранилища, грн.	$\Xi_{тр.}$	$\Xi_{тр.} = m * C_{\text{д(тр)}} * L$

В условиях хозрасчетных взаимоотношений между предприятиями наиболее приемлемым оценочным экономическим показателем является уровень рентабельности утилизации отходов:

$$R = \frac{P}{C + \Delta Y} * 100\% \quad (6)$$

где  $P$  – прибыль от реализации продукции в результате утилизации отходов производства;  $C$  – себестоимость продукции;  $\Delta Y$  – величина ущерба после осуществления мероприятий по утилизации отходов [5].

За счет использования отходов изменяется величина прибыли:

$$P_n = Q_y * P_y \quad \text{или} \quad P_n = Q_n * (C_y - Z_y) \quad (7)$$

где  $Q_y$  – объем продукции, получаемой за счет утилизации отходов;  $P_y$  – прибыль от реализации единицы продукции;  $C_y$  – цена продукции, получаемой из отходов, грн.;  $Z_y$  – затраты на утилизацию отходов.

Прирост прибыли на предприятии, использующем отходы, образуется и за счет уменьшения непроизводительных выплат (штрафы, пеня) за размещение отходов производства в окружающей среде сверх установленных лимитов, которые рассчитывают следующим образом:



$$\Delta P = B_1 - B_2 \quad (8)$$

где  $B_1$  и  $B_2$  – непроизводительные выплаты из прибыли соответственно до и после внедрения мероприятий по утилизации отходов.

Общий годовой эколого-экономический эффект утилизации отходов можно определить по формуле

$$\Xi = \Pi_y + \Xi_{\text{т.р.}} + D - (C_n + E_n * K) \quad (9)$$

где  $\Pi_y$  – величина предотвращенного экономического ущерба от загрязнения окружающей среды, грн.;  $\Xi_{\text{т.р.}}$  – экономический эффект за счет снижения затрат на транспортировку отходов в отвалы и др., грн.;  $D$  – доход, получаемый от использования отходов, грн.;  $C_n$  – текущие затраты на утилизацию отходов, грн.;  $E_n$  – нормативный коэффициент сравнительной экономической эффективности капитальных вложений, 0,15;  $K$  – капитальные вложения, грн.

Использование отходов производства способствует снижению затрат на содержание отходов и транспортировку их в отвалы. Экономический эффект за счет снижения затрат на транспортировку отходов в отвалы или хранилища предлагаем определить из выражения:

$$\Xi_{\text{т.р.}} = m * C_0(\text{т.р.}) * L \quad (10)$$

где  $m$  – масса отходов, перевозимых в отвалы или хранилища;  $C_0(\text{т.р.})$  – стоимость перемещения 1 тонны отходов на 1 км, грн./т км.;  $L$  – расстояние от цеха до отвала (хранилища).

Годовой эколого-экономический эффект можно определять как для предприятия, внедряющего природоохранные мероприятия по утилизации отходов производства, так и для региона в целом.

В первом случае в величину  $\Pi_y$  (предотвращенный ущерб от внедрения природоохранного мероприятия) в формуле (9) включаются локальные ущербы, предотвращенные в результате утилизации отходов на данном предприятии; во втором — ущербы, предотвращенные на всех хозяйственных объектах региона.

Рассмотренная методика была использована для эколого-экономической оценки утилизации отходов производства сульфанола НП-3 на Мариупольском металлургическом комбинате им. Ильича».

На стадии ректификации выделяют три фракции промышленных отходов: легкую – алкилат с температурой кипения  $T_k$  353-463К, среднюю – с  $T_k$  413-553К, тяжелую – с  $T_k$  613-773К. Исследования показали, что их можно использовать в качестве, соответственно, бензина АИ-93, дизельного топлива зимнего вида и индустриального масла И-50А.

Текущие затраты на утилизацию исследуемых отходов связаны с затратами на проведение научно-исследовательской работ по определению физико-химических и эксплуатационных свойств различных фракций алкилата; с затратами по исследованию контрольных проб фракций алкилата, проводимых в центральной заводской лаборатории и установлением соответствия их нормам ГОСТу на бензин АИ-93, дизельное топливо зимнего вида и смазочное масло И-50А, а также с затратами на внутризаводскую транспортировку продуктов, полученных из отходов и их складирование. Капитальные затраты не предусматривались.

Расчетные показатели эколого-экономической оценки утилизации отходов производства сульфанола НП-3 представлены в таблице 5.

Таблица 5

**Основные показатели эколого-экономической оценки утилизации  
отходов производства сульфанола НП-3**

№ п/п	Показатель	Значение для фракции		
		легкой	средней	тяжелой
1.	Объем утилизации отходов за год, тонн	10,2	539,9	312,7
2.	Удельный выход утилизированных отходов на единицу выпускаемой продукции	0,003	0,161	0,093
3.	Коэффициент технологической ценности отходов	0,018	0,021	0,011
4.	Затраты на утилизацию отходов за год, грн., итого:	24750		

5.	Удельный вес затрат на 1 тонну отходов, грн./тонну	28,68
6.	Экономичность утилизации, тонн/грн.	0,035
7.	Степень утилизации отходов, %	95
8.	Доход от реализации продукции, полученной из отходов, грн.	762315,7
9.	Прибыль, полученная в результате утилизации отходов, грн.	637565,7
10.	Предотвращенный ущерб, грн.	9338,6
11.	Общий эколого-экономический эффект утилизации отходов за год, грн.	731522,8

### Заключение

Предотвращенный ущерб утилизации исследуемых отходов связан со снижением загрязнения от выбросов углекислого газа в атмосферу, образующегося при сжигании не утилизируемых отходов.

Величина эколого-экономического эффекта утилизации отходов исследуемого производства включает изменение дохода от реализации продукции, полученной из отходов, и внешнего эффекта за счет предотвращенного ущерба за вычетом затрат на утилизацию и составляет 746904 гривен в год.

Точной и комплексной эколого-экономической оценке утилизации промышленных отходов будет способствовать то, что обязательными условиями их реализации является регулярный мониторинг выбросов, периодическая оценка технических и экологических результатов осуществления производственной деятельности крупных промышленных предприятий, пересмотр прогнозов. Верификация таких мероприятий (независимая периодическая проверка отчета о выполнении и указанных сокращений выбросов) также является обязательной процедурой.

### Использованная литература

1. Дзядикевич Ю.В., 2016, Економіка довкілля і природних ресурсів. Тернопіль, Астон, стор. 58.
2. Розум Р., Мотрюк М., 2016, Еколого-економічна оцінка впровадження природоохоронних заходів. У збірнику: Міжнародна науково-практична конференція «Прикладна економіка – від теорії до практики», Тернопіль, Вектор, стор. 195-196.
3. Розум Р.І., 2015, Еколого-економічні системи: основні аспекти. У збірнику: Науковий огляд. Науковий журнал, Київ, № 6 (16), стор. 33-49.
4. Хисамутдинов И. А., 2013, Социо-эколого-экономическая оценка региона в контексте перехода к устойчивому развитию. В сборнике: Стратегия развития региона, № 4 (283), стр. 9-15.
5. Хлобистов Є.В., Потабенко М.В., 2007, Еколого-економічна оцінка механізму контролю за викидами парникових газів. У збірнику: Механізм регулювання економіки, № 3, стор. 23-29.

*მიხეილ ჩიკვილაძე*

### ბიუჯეტი, სახელმწიფო ვალი, გადასახადები

*ანოტაცია. 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება სამთავრობო პროგრამის - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ - შესრულებას, რომელმაც უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.*

*ნაშრომში მთავარი ყურადღება გამახვილებულია 2019 წელს მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახადების მახვევებზე, გაანალიზებულია ეკონომიკური ზრდის ხელის შეშლელი მიზეზები და დასახულია მათი გადაჭრის გზები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფოს გარანტიით აღებული საგარეო და საშინაო ვალის ზღვრული მოცულობის გადაანგარიშებასა და მისი გამოყენების ეფექტიანობას.*

*საკვანძო სიტყვები: ბიუჯეტი, სახელმწიფო ვალი, გადასახადები.*

\*\*\*

საქართველოს სახელმწიფოს მიერ გარანტიით აღებული საგარეო ვალი შეადგენს 15.3 მლრდ ლარს, ხოლო საშინაო ვალის ზღვრული მოცულობაა 4.4 მლრდ ლარი, სულ 2019 წლის სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა შეადგენს 19.7 მლრდ ლარს, აღნიშნული საგარეო ვალის გამოთვლისას გამოყენებულია გაცვლითი კურსი 100 აშშ დოლარი - 263 ლარი.

მთავრობის საგარეო ვალის პორტფელი (31 დეკემბერი 2018 წ.) წარმოადგენდა მთლიანი სახელმწიფო ვალის 81%-ს, ამ საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი ღონისძიებებისაგან და ძირითადად შეღავათიანია, მთავრობის საგარეო ვალის ასეთი სტრუქტურა მეტ-ნაკლებად იძლევა საშუალებას მიღწეულ იქნეს დაბალი საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წლიური 2,2%-ის ოდენობით.

მთავრობის საგარეო ვალის (31 დეკემბერი 2018 წ.) პორტფელის 61% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისაგან, ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს მთავრობის საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრის დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისაგან და უზრუნველყოფს ამ ვალის მომსახურების შენარჩუნებას შედარებით დაბალ და ხელმისაწვდომ დონეზე, მიუხედავად გაურკვეველი გლობალური ეკონომიკური სიტუაციებისა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, მნიშვნელოვანია სახელმწიფო ვალის ნაშთის „უსაფრთხო დონის“ (35-40% მშპ-სთან მიმართებაში) შენარჩუნება, თუმცა სავალუტო კურსის ცვლილება გავლენას ახდენს სახელმწიფო ვალის მოცულობაზე, რის შედეგადაც იგი აჭარბებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“ - ით დადგენილ 40 %-იან ნიშნულს, მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ვალის მანევრებელი (მშპ-სთან მიმართებაში) ნარჩუნდება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული 60%-იანი ლიმიტის ფარგლებში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2015 წლიდან ვალის მნიშვნელოვანი ზრდა მოხდა ვალუტის კურსის ცვლილების გამო (დაახლოებით 7 პ.პ.), რის შემდეგაც დაწყებულია ფისკალური კონსოლიდაციის პროცესი და საშუალოვადიან პერიოდში მთავრობის ვალი ჩამოცდება მშპ-ს 40%-ს, საგულისხმოა ისიც, რომ „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ცვლილების პროექტში სრულად არ მოხდა IMF-ის რეკომენდაციების გათვალისწინება, კერძოდ, I -ის რეკომენდაციით მთავრობის ვალი უნდა მოიცავდეს იმ სახელმწიფო საწარმოების ვალს, რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც სამთავრობო სექტორი, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დროულად დასრულდეს სახელმწიფო საწარმოების კლასიფიცირება და შესაბამისი საწარმოების ვალდებულებები გათვალისწინებულ იქნეს მთავრობის ვალის მოცულობაში. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით, მთავრობის ვალში უნდა შედიოდეს მუნიციპალიტეტებისა და სსიპ-ების ვალებიც.

როდესაც საუბარია სახელმწიფო ვალის ნაშთის უსაფრთხო დონის (35-40 %) მშპ-სთან მიმართებაში მოცულობაზე, ასევე საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული 60%-იანი ლიმიტის ფარგლებზე, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მაკროეკონომიკური პროგნოზირებისათვის იყენებს მოდელს, რომელიც წარმოადგენს განტოლებათა სისტემას, რომლითაც იანგარიშება საბოლოო ცვლადების საპროგნოზო მნიშვნელობები, რომლებზეც, ბუნებრივია, გავლენას ახდენს საწყისი ცვლადების დაშვებები და გასული პერიოდის ფაქტობრივი სტატისტიკური მონაცემების ცვლილება.

პროგნოზის შედარების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სხვაობები წინა პერიოდის პროგნოზებთან გამოწვეულია გასული პერიოდის საპროგნოზო სტატისტიკური მანევრებლების ფაქტობრივისაგან აცდენის და საწყისი მანევრებლების კორექტირების გამო, კერძოდ, 2018 წლის ნომინალური მშპ-ს საპროგნოზო მანევრებელზე გავლენა იქონია იმან, რომ 2017 წლის მშპ ნაცვლად პროგნოზირებული 37.5 მლრდ ლარისა, ფაქტობრივად იყო 38.0 მლრდ ლარი, თუმცა 2018 წელს კვლავ დაზუსტდა 2017 წლის მშპ და შეადგინა 37.8 მლრდ ლარი, ცვლილება განიცადა 2018 წლის რეალური მშპ -ს ზრდისა და მშპ-ს დეფლატორის მოსალოდნელმა მანევრებლებმა. აქედან გამომდინარე, ნომინალური მშპ-ს ახალი პროგნოზი შეადგენს 41,5 მლრდ ლარს. 2017 წლის ფაქტობრივი მინიმალური მშპ-ს გადახრა საპროგნოზო მანევრებლებისაგან მხოლოდ 0.9 %-ია, მსგავსი პრინციპი ვრცელდება სხვა ეკონომიკური მანევრებლების პროგნოზებზეც. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში საქართველოს მთავრობა ეტაპობრივად ახორციელებს მის მიერ წლიური

ბიუჯეტის კანონის პროექტის პაკეტში წარმოდგენილი ინფორმაციის სრულყოფას, მათ შორის 2018 წელს გაძლიერდა საშუალოვადიანი პროგნოზების ანალიზის ნაწილი, თუმცა ამ მხრივ მუშაობა სამომავლოდაც უნდა გადგრძელდეს. როგორც გასული წლების პრაქტიკამ აჩვენა, რიგ შემთხვევებში საბიუჯეტო წლის ბოლოს ადგილი ჰქონდა დაუგეგმავი ღონისძიებების განხორციელებას ან საქონლის მომსახურების შესყიდვას, რაც იწვევს წლის ბოლოს აუთვისებელი საბიუჯეტო რესურსების ჭარბ ხარჯვას, ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია როგორც მხარჯავი დაწესებულებების, ისე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან ყურადღება გამახვილდეს წლის ბოლოს პროგრამების მასშტაბური ათვისების თავიდან აცილებაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით განისაზღვრა 2019 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწვევი გადასახდელების მაჩვენებლები და დამტკიცდა მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება სამთავრობო პროგრამის - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ - შესრულებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2018 წელს 4,5%-იდან გაიზარდა 5 %-მდე, ხოლო 2019 წლის პროგნოზი განისაზღვრა 4,5%-ით. მომდევნო წლებში ეტაპობრივად იზრდება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და 2020 წელს 5,0%-ს, 2021 წელს 5,5%-ს, ხოლო 2022 წელს 6%-ს მიაღწევს. მშპ-ის დეფლქტი 2018 წელს შეადგენს 4,5%-ს, 2019 წელს 3,5%-ს, ხოლო მომდევნო წლებში განსაზღვრულია 3%-ის ოდენობით, ინფლაციის მაჩვენებელი პროგნოზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნობრივი ინფლაციის ფარგლებში და შეადგენს 3,0%-ს. მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, გაზრდილია 2018 წლის ნომინალური მშპ-ის მაჩვენებელიც და შეადგენს 41,7 მილიარდ ლარს. 2019 წლის ნომინალური მშპ-ს მოცულობა 45,1 მილიარდი ლარია, ხოლო 2022 წლისათვის პროგნოზირებულია მისი გაზრდა 57,9 მლრდ ლარამდე.

არსებული მაკროეკონომიკური პროგნოზების გათვალისწინებით, 2018 წლის განახლებული პროგნოზიდან არის გაანგარიშებული 2019 წლის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებლებიც, რომელიც მშპ-ს 24,8%-ია და შეადგენს 9.6 მლრდ ლარს. მათ შორის:

- საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3.365.0 მლნ ლარით.
- მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი 786.0 მლნ ლარით.
- დღგ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი კი, 4. 482. 0 მლნ ლარით.
- აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1.505.0 მლნ ლარით.
- იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი 83 მლნ ლარით.
- სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 40 მლნ ლარით.

საგულისხმოა ისიც, რომ 2019 წელს გაგრძელდება მთავრობის მიერ წინა წლებში წარმოქმნილი ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნება 400.0 მლნ ლარზე მეტის ფარგლებში, რომელიც ძირითადად დღგ-ს გადასახადზე მოდის.

2019 წლის დეფიციტი მშპ-სთან მიმართებაში 2,6 %-ის ფარგლებში იქნება, ხოლო 2020 წელს შემცირდება 2,5 %-მდე. საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 13,9 მილიარდი ლარით განისაზღვრა, მათ შორის გადასახადები 9,6 მილიარდი ლარია. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ჯამური მოცულობა შეადგენს 13,1 მილიარდ ლარს. 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 13,9 მლრდ ლარია, რაც 2018 წელთან შედარებით თითქმის 422.8 მლნ ლარით მეტია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი ი., პაპავა ვ., გადასახადები, მოთხოვნა, მიწოდება, თბილისი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“. 2009 .
2. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., საგადასახადო საქმე. თბილისი, 2007.
3. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2011.
4. კობალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ., გადასახადები და დაბეგვრა. თბილისი, 2011.
5. ჯიბუტი ა., კაკულია რ., ბახტაძე ლ., საჯარო ფინანსები. თბილისი, 2007.

6. Chikviladze, M. (2018). The Share in Percen – tage of Taxes in GDP. J. Ecoforum. Vol.7, Issue 1 (14)
7. Silagadze, A. (2017), „Post - Soviet Paradoxes” of Unemployment Rate. Bulletin of The Georgian Nacional Academy of Scienses, vol. 11 no.1 pp.136.
8. Newsportal.ge 2018.
9. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მასალები - ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019- 2022 წლებისათვის.
10. საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი თბილისი, 2018.
11. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი, 2010.

*Mikheil Chikviladze*

## **BUDGET, STATE DEBT, TAXES**

### **Summary**

The 2019 State Budget is fully committed to realization of the Government Program - "Freedom, Rapid Development and Welfare" which will ensure social security of the Georgian population and economic development of the country.

The main focus is on the indicators of revenue receivables and payable fees in 2019, hindering reasons of economic growth are analyzed and the ways of solving them are also set. Special importance is given to calculation of the marginal volume of foreign and domestic debt taken by the state or based on its guarantee and also to the efficiency of its use.

*ეთერ ხარაიშვილი*

### **მწვანე ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები და მათი დაძლევის ზომებითი გზა საქართველოს უფლების რეზუმირების მიქანნიზმებით**

*ანოტაცია.* სტატიაში შეფასებულია ეკონომიკური განვითარებისა და ფუნქციონირების მოსალოდნელი ცვლილებები მოსახლეობის მხრიდან შეზღუდულ რესურსებზე გაზრდილი მოხმარების პირობებში. საერთო სარგებლობის რესურსების გადაჭარბებულად გამოყენების ფონზე დასაბუთებულია მწვანე ეკონომიკის როლი რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და ეკონომიკურ ზრდაში. თეორიული და ემპირიული მაგალითების შესწავლის საფუძველზე გამოვლენილია მწვანე ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები, მათგან განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად არის მიხნეული გარემოზე სიღარიბისა და სიმდიდრის ზეგავლენის პირობების შესწავლა.

ნაშრომში შეფასებულია განვითარებად ქვეყნებში მწვანე ეკონომიკის განვითარების მნიშვნელობა ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლის ზრდაში. გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოში რესურსების არაეფექტიანი გამოყენების დონე ჯერ კიდევ მაღალია, ძირითადი აქცენტი რესურსით სარგებლობაზე და არა მის წარმოებაზეა გადატანილი, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში.

საერთო სარგებლობაში არსებულ რესურსებზე ხელმისაწვდომობის რეგულირების მთავარ ბერკეტად მიხნეულია სამთავრობო რეგულაციები, ასევე, სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებები, განსაკუთრებით აქტუალურია ზოგიერთ თავისუფლად ხელმისაწვდომ რესურსზე კერძო საკუთრების დაშვება.

სტატიაში დადგენილია ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც გარემოს დაცვის პრობლემებს ქმნიან. დასაბუთებულია, რომ კერძო საკუთრების უფლება უზრუნველყოფს გარემოს ეფექტიან დაცვას, ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებას. რესურსებზე საკუთრების უფლებებს შორის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საკითხად მიხნეულია მიწაზე საკუთრების ფორმების შეთანაწყობა. დადგენილია, რომ მიწის საკუთრებისა და სარგებლობის სფეროში ბევრი პრობლემა არაეფექტიანი მართვით არის გამოწვეული. საკუთრებისა და სარგებლობის სისტემის რეორგანიზაცია და ევროპულ სტანდარტებთან მათი შესაბამისობა ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ გზად არის განხილული.

სტატიაში გაკეთებულია დასკვნები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები მწვანე ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევების გადაჭრის გზების შესახებ საკუთრების უფლების რეგულირების მექანიზმებით.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ეკონომიკა, თანამედროვე გამოწვევა, საკუთრების უფლება, რეგულირების მექანიზმი.

\* \* \*

თანამედროვე მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობამ 7 მილიარდს გადააჭარბა და ტენდენცია კვლავ ზრდადია (კვლევა, 2018). შესაბამისად იზრდება მოსახლეობის მოთხოვნა საკვებზე, წყალზე, ენერჯიაზე, ნედლეულსა და სხვადასხვა სახეობის რესურსზე. მკვლევარების მიერ რთული შესაფასებელია ეკონომიკური განვითარებისა და ფუნქციონირების მოსალოდნელი ცვლილებები მოსახლეობის მხრიდან შეზღუდულ რესურსებზე მნიშვნელოვნად გაზრდილი მოხმარების ფონზე. თეორეტიკოსები აღიარებენ, რომ ადამიანები გადაჭარბებულად იყენებენ როგორც კერძო, ასევე ინდივიდთა ჯგუფის მფლობელობისა და საერთო სარგებლობის რესურსებს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მოსახლეობის ზრდასა და რესურსების მოხმარებას შორის დისბალანსი ღრმავდება და ეკონომიკური ზარალი გარდაუვალი იქნება (Population Growth).

ადამიანები განსაკუთრებით არაეფექტიანად იყენებენ საერთო განახლებად რესურსებს. საკმაოდ ხშირია თავისუფლად ხელმისაწვდომი განახლებადი რესურსების უფასოდ ან მცირე საფასურის სანაცვლოდ გამოყენების შემთხვევები (სუფთა ჰაერი, მიწისქვეშა წყლები, ოკეანე, ოკეანის პროდუქტები და სხვ.). ასეთი რესურსების დიდი ნაწილი უკვე დეგრადირებულია და ეს პროცესი განიხილება როგორც საერთო რესურსების ტრაგედია (Charles Anukwonke, 2015). აღნიშნული გამოწვევის დასაძლევად სხვადასხვა შესაძლებლობა განიხილება, მათ შორის მნიშვნელოვანია საერთო სარგებლობაში არსებულ რესურსებზე ხელმისაწვდომობის რეგულირება როგორც სახელმწიფოს შიგნით არსებული მექანიზმებით, ასევე სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებით. განსაკუთრებით აქტუალურია ზოგიერთ თავისუფლად ხელმისაწვდომ რესურსზე კერძო საკუთრების დაშვება.

კერძო საკუთრების უფლება მნიშვნელოვან როლს შეიტანს გარემოს დაცვის გაუმჯობესებაში, ამასთან, ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას. საკუთრების უფლება გარემოს დაცვის შესაძლებლობებს შემდეგი ძირითადი მიზეზებით განაპირობებს:

- მფლობელებს მეტი სტიმული ექნებათ რესურსების ეფექტიანად გამოყენებისათვის, ასევე მათი კონსერვაციის უზრუნველსაყოფად.
- კერძო საკუთრების უფლების დროს რესურსები სათანადო მართვის ჩარჩოებში მოექცევა, შესაბამისად მათი ღირებულება და ამონაგები ეფექტიანი მართვის გზით გაიზრდება. ცხადია, თუ მფლობელი რესურსებს არასწორად მართავს და გარემოს აბინძურებს, იგი ზარალის ანაზღაურების საშიშროების წინაშე დგას.
- რესურსზე საკუთრების უფლება მისი ღირებულების მაქსიმიზაციას გამოიწვევს გრძელვადიან პერიოდში და სხვა.

თანამედროვე ევროპაში დღეს აქტიურად მიმდინარეობს დისკუსია მწვანე და მდგრადი ეკონომიკის განვითარების პერსპექტივების შესახებ. მდგრადი განვითარება სამი ურთიერთდაკავშირებული სფეროს (ეკონომიკური, სოციალური და გარემოს დაცვა) პროპორციული თანაფარდობის დაცვით უნდა განხორციელდეს. მიმდინარე ეტაპზე ამ სფეროებს შორის აშკარა დისპროპორციაა. გამოკვეთილია ეკონომიკური ზრდისადმი გადაჭარბებული ყურადღება სოციალური და გარემოს საჭიროებების ნაკლებად გათვალისწინების გარეშე. აღნიშნული პრობლემა ვლინდება როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ დონეზე. სტაბილური განვითარებისათვის აუცილებელია დისპროპორციის შემცირების ღონისძიებების დასახვა.

მწვანე ეკონომიკის ზემოთ აღნიშნული გამოწვევების დაძლევის შესაძლებლობებს შორის მნიშვნელოვანია საკუთრების უფლების შეფასება. შესაბამისად, კვლევის მიზანია მწვანე ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევების გამოვლენის საფუძველზე მათი დაძლევის რეკომენდაციების შემუშავება საკუთრების უფლების რეგულირების მექანიზმებით.

მწვანე ეკონომიკის განვითარება უშუალოდ არის დაკავშირებული წარმოებასთან, განსაკუთრებით მიწათსარგებლობის ეფექტიან გამოყენებასა და ბიოლოგიური სისტემების

დაცვასთან (Skakelja, 2017). აღნიშნული პრობლემა აქტუალურია საქართველოსთვის, სადაც აგრობიზნესის სფეროში მიღწეული შედეგები საკმარისი არ არის კონკურენტუნარიანი წარმოების უზრუნველსაყოფად (Kharaiashvili, 2018). პრობლემის მოგვარება საქართველოსთვის ტრადიციული დარგების კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და მომიჯნავე დარგების განვითარებასაც შეუწყობს ხელს (Kharaiashvili, 2017). ამასთან, მწვანე ეკონომიკის გამოწვევების დასაძლევად მნიშვნელოვანია მისი ეკონომიკური შეფასების მეთოდოლოგიის გაუმჯობესება, ალტერნატიული გაზომვის მიდგომების შემუშავება. ახალი მეთოდოლოგიებისა და მონაცემთა წყაროების მექანიზმების გამოყენება.

საკუთრების უფლებების ფორმებზე დამოკიდებულია გარემოზე რესურსების გამოყენების გავლენის დადგენა. გარემოზე ზემოქმედება განსაკუთრებით ხელშესახებია რესურსების ფართომასშტაბიანი გამოყენების დროს (Resource Efficiency, 2017:55).

მსოფლიოში დღეს ყველაზე მთავარ გამოწვევად წყლისა და საკვების მიწოდების კრიზისი განიხილება, განსაკუთრებით ზრდადია წყალზე მოთხოვნა (Resource Efficiency, 2017:71). უკიდურესი არასტაბილურობაა ენერგეტიკისა და სურსათის ფასებში, შემაშფოთებლად ზრდადია სათბურის გაზების გამოყოფაც, ასევე დიდია შემოსავლის უთანასწორობა და სხვა. ეს გამოწვევები განვითარებად ქვეყნებში კიდევ უფრო მეტი სიმწვავეთ დგას (Green Growth and Developing Countries, 2012).

მწვანე ეკონომიკის განვითარება განვითარებად ქვეყნებში უზრუნველყოფს როგორც ეკონომიკური, ისე, გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლის ზრდას. ეკონომიკური სარგებელი შესაძლებელია იყოს: მწვანე პროდუქტების წარმოების ზრდით გამოწვეული მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, პროდუქტის ან მომსახურების დივერსიფიკაცია, ეკონომიკური რისკების მართვის გაუმჯობესება და რისკების შემცირება, თანამედროვე მწვანე ტექნოლოგიების გამოყენებით ინოვაციური ზრდა და სხვა.

მოსალოდნელ გარემოსდაცვით სარგებლად განიხილება ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, ხოლო სოციალურ სარგებლად - გაზრდილი საარსებო პირობები, შემოსავლებისა და/ან ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, განსაკუთრებით ღარიბი მოსახლეობის, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, ცხოვრების დონის უთანასწორობის გამოთანაბრება, მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა.

დღეს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ინოვაციის და ტექნოლოგიური განვითარების დონის ასამაღლებელ მიმართულებებზე. „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ტექნოლოგიების გადაცემის და დანერგვის კომპლექსური ხელშეწყობა წარმოადგენს როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე. სახელმწიფო წახალისებს გარემოს დაცვაზე ორიენტირებულ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებას“ (საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, 2014:39).

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის საკუთრების უფლების დაცვის გაძლიერება. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლების დაცვის თვალსაზრისით, აუცილებელია საკუთრების უფლების დაცვის გაძლიერება სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის გზით, ასევე მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მექანიზმების სრულყოფაც (საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, 2014:32).

მწვანე ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევებიდან მნიშვნელოვანია გარემოზე ზეგავლენის პირობების შესწავლა. გარემოზე გავლენას ახდენს როგორც სიღარიბე, ისე, სიმდიდრე. სიღარიბე გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ცალსახად უარყოფით ზეგავლენას ახდენს. სიღარიბის პირობებში ადამიანები ვერ იკმაყოფილებენ ძირითად მოთხოვნებს საკვებზე, წყალზე, თავშესაფარზე, ჯანმრთელობასა და განათლებაზე. ადამიანთა აღნიშნული ჯგუფი გადაჭარბებულად მოიხმარს ბუნებრივ რესურსებს და შესაბამისად გარემოს დეგრადაცია მიმდინარეობს. სიღარიბესთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და სოციალური პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი გზა შეიძლება იყოს ამ საკითხების პოლიტიკური რეგულირება. რაც შეეხება სიმდიდრეს, იგი გარემოზე მოქმედებს როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად. უარყოფითად ზემოქმედების კონტექსტში უნდა განვიხილოთ მდიდრების მიერ დიდი რაოდენობით რესურსების გამოყენება, შესაბამისად დიდი რაოდენობით ნარჩენების წარმოქმნაც. მაგალითად, გათვლებით დადასტურებულია, რომ ერთი

წლის განმავლობაში აშშ-ს მოსახლეობის მიერ 7,9 მილიარდის ღირებულების რესურსი მოიხმარება წელიწადში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობა ინდოეთის მოსახლეობაზე ნაკლებია, აშშ-ში 30-ჯერ მეტ რესურსებს მოიხმარენ, ვიდრე ინდოეთში. ღარიბ ქვეყნებთან შედარებით კი ეს მაჩვენებელი 100-ჯერ მეტია. მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ განვითარებული ქვეყნების გარემოზე უარყოფითად ზემოქმედების შედეგები გაცილებით მაღალია, ვიდრე განვითარებადი ქვეყნებისა. თუმცა, შესაძლებელია სხვა ალტერნატიული კორელაციის განხილვაც. სიმდიდრე ადამიანებს საშუალებას აძლევს, უფრო მეტად დაინტერესდნენ გარემოს ხარისხით. სიმდიდრე იძლევა ახალი ტექნოლოგიების განვითარებისა და დანერგვის, გარემოს ხარისხის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების დაფინანსების შესაძლებლობებს. გარემოს დაცვის სფეროში განათლების დონის ზრდაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ინდივიდებისა და ინდივიდთა ჯგუფების მიერ მომხმარებლური მიდგომით გამოწვეული გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას და სხვა.

მწვანე ეკონომიკის მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო იზრდება გარემოზე ზემოქმედების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი მიმართულებით (საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა, 2017:148). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში არსებული გარემოს პროგრამის თანახმად, მწვანე ეკონომიკა ადამიანების კეთილდღეობისა და სოციალური თანასწორობის მთავარი შედეგია, როდესაც მნიშვნელოვნად მცირდება გარემოს რისკები და ეკოლოგიური დანაკლისები (გაერთიანებული ერების გარემოს პროგრამა, 2010).

მწვანე ეკონომიკა ეკონომიკური განვითარების ისეთ მოდელად არის მიჩნეული, რომელიც ეყრდნობა მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნას. მწვანე ეკონომიკა პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს და ქმნის დამატებით მწვანე სამუშაო ადგილებს, ამცირებს გლობალურ დათბობას, გარემოს დაბინძურებას, გარემოს დეგრადაციას, ასევე აფერხებს რესურსების არაეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობებს.

მწვანე ეკონომიკის მთელი რიგი საკითხების შესახებ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს იღებს კერძო და სახელმწიფო სექტორი, ხოლო მისი მარეგულირებელი ფუნქცია საზოგადოებას აკისრია. რეგულირება მწვანე ეკონომიკის შემდეგ მთავარ სექტორებს მოიცავს: განახლებადი ენერჯია (მზის, ქარის, გეოთერმული, საზღვაო, მათ შორის ტალღების, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერჯია); მწვანე შენობები (ენერჯის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები); სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჰიბრიდული და ელექტროსატრანსპორტო საშუალებები); წყლის მენეჯმენტი (წყლის და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება); ნარჩენების მენეჯმენტი (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენი მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა); მიწის მენეჯმენტი (მწვანე ეკონომიკის მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში, 2011:2).

მწვანე ეკონომიკის სფეროში არსებული გამოწვევების დასაძლევად და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია საკუთრების უფლების სამართლებრივი რეგულირება, მით უმეტეს მაშინ, როცა რესურსებით სარგებლობის დროს ჩნდება უარყოფითი გარე ეფექტები. ზოგიერთი არაეფექტიანობის გამომწვევი მთავარი მიზეზა რესურსების საერთო და არა კერძო სარგებლობაში ყოფნა. ქოუზის თეორიის თანახმად, თუ მხარეებს შეუძლიათ ყოველგვარი დანახარჯების გარეშე ურთიერთსარგებლო შეთანხმება რესურსების განაწილებაზე, მაშინ საბოლოო შედეგი ეფექტიანია, მიუხედავად იმისა, როგორ განისაზღვრება საკუთრების უფლება (Coase, 1990:98, The Coase Theorem, 2011). ასეთ შემთხვევაში სხვათა ჩარევის გარეშე გადაიტრება გარე ეფექტების პრობლემა (Mulholland, 2011).

რესურსების განაწილებისას ნულოვანი გარიგების ხარჯების შესახებ საკითხებს სხვა მეცნიერებრივ იკვლევებში და ასაბუთებენ, რომ პრობლემის გადასაწყვეტად უმეტესად საჭიროა საკუთრების უფლებების მკვეთრად განსაზღვრა (GODŁÓW-LEGIĘDŹ, 2010).

საქართველოში საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები და უფლებები განსაზღვრულია საქართველოს კანონით „საკუთრების უფლების შესახებ“. საქართველოს კანონმდებლობით ასევე განსაზღვრულია ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმები (საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, 1997).



საქართველოში რესურსების არაეფექტიანი გამოყენების დონე ჯერ კიდევ მაღალია. დღესაც, გარკვეული მიზეზების გამო, ძირითადად აქცენტი რესურსით სარგებლობაზე და არა მის წარმოებაზეა გადატანილი, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში. რესურსებზე საკუთრების უფლებებს შორის ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხია მიწაზე საკუთრების ფორმების განხილვა. ზოგადად, ბოლო ათწლეულში გაზრდილია მოთხოვნა მიწაზე, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო მიწაზე როგორც გლობალურ, ისე ცალკეული ქვეყნის დონეზე. ამ თვალსაზრისით საქართველოში ორი ძირითადი ტენდენცია გამოვლინდა: ა) გაიზარდა მიწაზე მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად; ბ) მიწაზე მოთხოვნის ზრდა დაფიქსირდა არასასოფლო-სამეურნეო აქტივობების ჩასატარებლადაც. ასეთი მოთხოვნის პირობებში სადავო გახდა ის მიწები, რომლებსაც ფორმალურად ან არაფორმალურად ფლობის ტრადიციული სისტემებით სარგებლობენ ადგილობრივი თემები.

მიწასთან და მასთან დაკავშირებულ რესურსებზე ხელმისაწვდომობის დაკარგვა ან შეზღუდვა ხშირად მიწის მფლობელებისა და მოსარგებლეების უფლებების შელახვას იწვევს, რაც აფერხებს პროექტების განხორციელებას, ასევე საფრთხეს უქმნის სტაბილურობას, ზრდის სასურსათო უსაფრთხოების რისკებს და სხვა. მიწაზე მოთხოვნის ზრდითა და მიწების შეძენის პროცესის გაფართოებით გამოწვეული პრობლემებისა და რისკების მოსაგვარებლად აუცილებელია ადამიანის უფლებების დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, მიწისა და მიწასთან დაკავშირებული რესურსების მართვის სფეროში სტანდარტების შექმნა. ამ მხრივ საკმაოდ მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყანაში არსებული გამოცდილების შესწავლა და ქვეყანაზე მორგებული მოდელის შექმნა.

მიწის საკუთრებისა და სარგებლობის სფეროში ბევრი პრობლემა არაეფექტიანი მართვით არის გამოწვეული. საკუთრებისა და სარგებლობის სისტემის რეორგანიზაცია და ევროპულ სტანდარტებთან მათი შესაბამისობა ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია საკუთრების ფორმების ოპტიმალური შეთანაწყობა.

რესურსებზე მფლობელობა და საკუთრების ფორმების ოპტიმალურ შეთანაწყობას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მათ ეფექტიან გამოყენებაში. ცხადია, რესურსის კერძო მფლობელი ცალსახად არის დაინტერესებული, ეფექტიანად გამოიყენოს. რესურსების მას ასევე კანონიერი უფლებები გააჩნია საკუთრებაზე და საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სამართლებრივი გზით.

მწვანე ეკონომიკური სტრატეგია დაფუძნებული უნდა იყოს აგრარული სფეროს პრიორიტეტულ განვითარებაზე. უპირველესად, აუცილებელია კანონმდებლობით გადაწყდეს მიწის საკუთრების და მფლობელობის ფორმები. საქართველოს გააჩნია უნიკალური ბუნებრივი რესურსების ეკოლოგიური ფაქტორებით ხარისხობრივად გამოყენების პოტენციური შესაძლებლობები. აღნიშნულის მისაღწევად მიზანშეწონილია განხორციელდეს მაღალგანვითარებული რეკრეაციული კომპლექსის შექმნის პოლიტიკა.

ამრიგად, საკუთრებისა და სარგებლობის არც ერთი ფორმა, მათ შორის კერძო საკუთრება, არ არის მიზნის მიღწევის ერთადერთი გზა. საკუთრებისა და სარგებლობის ყველა უფლება იზღუდება სხვათა უფლებებით და სახელმწიფოების მიერ საზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად გატარებული ღონისძიებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების სრულყოფის ღონისძიებები კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს, ორიენტირებული უნდა იყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევაზე და შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ აღებულ ვალდებულებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გაერთიანებული ერების გარემოს პროგრამა, 2010 წელი.
2. კვლევა: 2018 წლის 1 იანვარს მსოფლიოში 7 444 443 881 ადამიანი იქნება.  
<https://imedineews.ge/ge/teqnologiebi>
3. მწვანე ეკონომიკის მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში, ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი. <http://www.bec.ge/images/doc/green%20economy.pdf>
4. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020.

5. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021 წწ. <http://moe.gov.ge/res/images/file-manager/strategiuli-dokumentebi/strategiebi-gegmebi/2017-2021>
6. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, თავი V, ეკონომიკური მექანიზმები გარემოს დაცვის სფეროში. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=25>
7. Anukwonke C., Concept of Tragedy of the Commons: Issues and Applications (2015). [https://www.academia.edu/13199527/Concept\\_of\\_Tragedy\\_of\\_the\\_Commons\\_Issues\\_and\\_Applications](https://www.academia.edu/13199527/Concept_of_Tragedy_of_the_Commons_Issues_and_Applications)
8. Georgeson L., Maslin M., Poessinouw M., (2017), The global green economy: a review of concepts, definitions, measurement methodologies and their interactions. [http://discovery.ucl.ac.uk/1565542/1/Georgeson\\_et\\_al-2017-Geo\\_Geography\\_and\\_Environment.pdf](http://discovery.ucl.ac.uk/1565542/1/Georgeson_et_al-2017-Geo_Geography_and_Environment.pdf)
9. Green Growth and Developing Countries (2012). <https://www.oecd.org/greengrowth/green-development/50559116.pdf>
10. GODŁÓW-LEGIĘDŹ A. (2010), Comparative Economic Research, The Coase theorem and idea of transaction costs—their significance for the development of economics. [file:///C:/Users/Admin/Downloads/\[Comparative](file:///C:/Users/Admin/Downloads/[Comparative)
11. The Coase Theorem (2013), Economic Approaches to Law series, Edited by Richard A. Posner, Judge. [https://www.e-elgar.com/shop/the-coase-theorem?\\_\\_website=uk\\_warehouse](https://www.e-elgar.com/shop/the-coase-theorem?__website=uk_warehouse)
12. Kharashvili E. (2018), The Impact of Preferential Agro Credit on the Development of Agribusiness in Georgia, 2018. ECOFORUM. Volume 7, Issue 1(14).
13. Kharashvili E., Gechbaia B. (2017), Wine Brand and Wine Tourism Development Perspectives in Georgia Journal Innovative Economics and Management, T. 3, Volume IV.
14. Mulholland S. (2011), Negative Externalities and the Coase Theorem, <https://www.libertarianism.org/media/around-web/negative-externalities-coase-theorem>
15. Population Growth, Resource Consumption and The Environment. <https://www.nap.edu/read/9148/chapter/5#6>.
16. Resource Efficiency: Potential and Economic Implications (2017), International Resource Panel Report. [http://www.resourcepanel.org/sites/default/files/documents/document/media/resource\\_efficiency\\_report\\_march\\_2017\\_web\\_res.pdf](http://www.resourcepanel.org/sites/default/files/documents/document/media/resource_efficiency_report_march_2017_web_res.pdf)
17. Skakelja N. (2017), Green Economy Opportunities For Rural Europe, EU RURAL REVIEW No 23. <https://enrd.ec.europa.eu/sites/enrd/files/publi-enrd-rr-23-2017-en.pdf>
18. Coase R. (1990), The Firm, the Market and the Law, The University Chicago Press, Chicago and London.

*Eter Kharashvili*

## **MODERN CHALLENGES OF THE GREEN ECONOMY AND SOME SOLUTIONS USING PROPERTY RIGHTS REGULATION MECHANISMS**

### **Summary**

The article estimates the expected changes of economic development and functioning in conditions of increased consumption of limited resources by the population. The role of green economy in the effective use of resources and economic growth is substantiated based on excessive use of common resources. Modern challenges of the green economy have been identified using theoretical and empirical examples. The study of conditions of poverty and wealth influence on the environment is considered to be particularly important.

The paper estimates the importance of development of green economy in developing countries in terms of economic, environmental and social benefits. The conclusion is that the inefficient use of resources in Georgia is still high. The main focus is on resource usage and not on its production, especially in agriculture.

The government's regulations, as well as inter-state agreements, are considered to be the main leverage of access to common resources. Access to private ownership on some freely available resources is especially relevant. The article presents the main sources of environmental problems. It is shown that private property rights ensure effective protection of environment and promote reasonable use of natural resources. One of the fundamental issues of property ownership rights is considered to be coordination of land ownership forms. It has been established that many problems in land ownership and use are caused by ineffective management. Reorganization of the ownership and utilization system and their compliance with the European standards is one of the ways to address this problem.

The article presents some conclusions and recommendations on how to solve the modern challenges of green economy using mechanisms of regulations on property ownership rights.

რეზიუმე ჯავახიშვილი

**„მწვანე ენერჯეტიკაზე“ გადასვლა –  
შვედეთის ეროვნული სამრეწველო პოლიტიკის მთავარი ასპექტი**

**ანოტაცია.** ენერჯეტიკის ალტერნატიულ წყაროებზე გადაყვანა შვედეთის სამრეწველო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. სტატიაში გაანალიზებულია ქვეყანაში ნახშირწვალბადოვანი ენერჯეტიკიდან ენერჯის ახალ წყაროებზე გადასვლის ძირითადი მიმართულებები, განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ეკონომიკასა და ყოფა-ცხოვრებაში ეკოლოგიურად სუფთა ენერჯეტიკული წყაროების - ბიოსაწვავისა და ქარის ენერჯის გამოყენებაზე. ენერჯეტიკის შვედური სააგენტო ამ სფეროში წარმატებით ახორციელებს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამას, ქვეყნის მთავრობა კი - მასტიმულირებელ ღონისძიებებს საგადასახადო შეღავათებისა თუ სავაჭრო რეგულაციების სფეროში. შვედეთში „მწვანე ენერჯეტიკაზე“ გადასვლა ხორციელდება არა სპონტანურად, არამედ სახელმწიფო პოლიტიკის მიზანმიმართული, თანმიმდევრული და ეტაპობრივი განხორციელების საფუძველზე.

**საკუანძო სიტყვები:** სამრეწველო პოლიტიკა, „მწვანე ენერჯეტიკა“, „მწვანე გადასახადები“, ბიოსაწვავი, ბიოენერჯეტიკა, ქარის ენერჯია, „მწვანე სერტიფიკატები“, ენერჯის ალტერნატიული წყაროები.

**შესავალი**

გლობალიზაციის ეპოქაში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას არსებითად განსაზღვრავს ინოვაციების გამოყენება, რომელიც წარმოადგენს მთავარ მამოძრავებელ ძალას მისი ეკონომიკური, ტექნოლოგიური თუ სოციალური განვითარების პროცესში. ამ თვალსაზრისით, შვედეთი ერთ-ერთი საყურადღებო ქვეყანაა, რომელსაც თავისი ინოვაციური განვითარების დონით ლიდერი ქვეყნის პოზიცია უკავია არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში.

მაღალი ინოვაციური დონის მისაღწევად შვედეთმა განვლო საკმაოდ ხანგრძლივი და რთული გზა, რის შედეგადაც რამდენიმე ათწლეულში იგი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს და მაღალგანვითარებულ სახელმწიფოდ იქცა. მას გააჩნია მრავალფეროვანი და განვითარებული ეკონომიკური სისტემა, რომელიც ეფუძნება ეკონომიკის ისეთ რესურსულ ბაზას, როგორცაა ხე-ტყე, რკინის მადანი და ჰიდრორესურსები. ქვეყნის ეკონომიკის წამყვანი დარგია მაღალგანვითარებული მრეწველობა, რომლის ძირითადი ქვედარგებია: მანქანათმშენებლობა, ხე-ტყის გადამამუშავება, რკინის მოპოვება და ფოლადის გამოდნობა, „მწვანე ენერჯეტიკა“, ფარ-მაცევეტიკა, ტელეკომუნიკაციები, მიკროინსტრუმენტების, ქიმიური პროდუქციის და სამომხარებლო საქონლის წარმოება, სოფლის მეურნეობა, პროდუქტების გადამამუშავება და სხვ.

ინოვაციებზე გადასვლის სფეროში შვედეთის მყარი პოზიციების შენარჩუნება განპირობებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელით, რომელმაც გლობალიზაციის პირობებში გამოავლინა თავისი უპირატესობები, რამაც, თავის მხრივ, ხელსაყრელი პირობები შექმნა ბიზნესის განვითარებისათვის და, ამავდროულად, მიიპყრო საერთაშორისო კომპანიების დიდი ყურადღება.

დღეისათვის შვედეთის ეკონომიკაში როგორც წარმოების, ისე მომსახურების სფეროში ბევრი დიდი საერთაშორისო კომპანია დომინირებს, რომელთაც დიდი ინტერესი გააჩნიათ ერთობლივი საწარმოების შექმნის, პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების განხორციელებისთვის.

\* \* \*

შვედეთის ინოვაციური სამრეწველო პოლიტიკა მისი ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, რადგანაც მრეწველობა ქვეყანაში ვითარდება იმ ღონისძიებათა გავლენით, რომლებიც მთელ ეკონომიკაზეა ორიენტირებული. შვედეთის ეროვნული სამრეწველო პოლიტიკა მჭიდრო კავშირში იმყოფება ქვეყნის ინოვაციურ, რეგიონულ,

ეკოლოგიურ პოლიტიკასა და მის სოციალურ ორიენტაციასთან, რაც სათანადო პირობებს ქმნის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონის მისაღწევად.

გარდა ამისა, შვედეთში ფართოდ გამოიყენება კერძო ბიზნესისა და სახელმწიფოს პარტნიორობა არა მხოლოდ ცალკეული პროდუქტების წარმოების განხორციელების დროს, არამედ ქვეყნის მაკროეკონომიკურ დონეზეც. ბიზნეს სექტორი, სახელმწიფოსთან ერთად, თავის თავზე იღებს სოციალური დანახარჯების დაფინანსების პასუხისმგებლობას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, მთლიანობაში, სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის ინტერესები ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს, რამდენადაც ისინი თანაბრად არიან დაინტერესებული ეკონომიკის სოციალური და ინოვაციური ორიენტაციით.

**შვედეთის სამრეწველო პოლიტიკის ძირითადი ასპექტები:**

- **საგადასახადო დატვირთვის შემცირება**, რაც საგრძნობლად ასტიმულირებს ინვესტირებასა და სამეწარმეობა საქმიანობას. ქვეყანაში საკმაოდ მაღალია კაპიტალის მიწოდება დაბალი სასესხო პროცენტით, რაც ზრდის სამეწარმეო აქტივობას და ამცირებს საზღვარგარეთ კაპიტალის გადინებას;

- **ინოვაციური ჯაჭვის მთლიანობის უზრუნველყოფა**, ადეკვატური დაფინანსება, ცალკეულ სფეროებს/განათლება-მეცნიერება-წარმოება/ შორის კოორდინაცია და კოოპერაცია, ფუნდამენტური კვლევის პრიორიტეტული განვითარება, რომელსაც არ მოეთხოვება მოკლევადიან პერიოდში წმინდა კომერციული უკუგება;

- **მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა** არა პირდაპირი სუბსიდირებით, არამედ მისი განვითარების ხელსაყრელი პირობების შექმნით, პირველ რიგში, ბიუროკრატიასთან, კორუფციასა და კრიმინალთან ბრძოლით.

- **“მწვანე ენერჯეტიკის”/პირველ რიგში, ბიოენერჯეტიკის და ქარის ენერჯის/ პრიორიტეტული განვითარება.**

- **სახელმწიფოს მიერ მარეგულირებელი ფუნქციის გაძლიერება** სასაქონლო სპეციალიზაციის, კერძოდ საექსპორტო სპეციალიზაციის სფეროში, რომელიც მოიცავს ისეთ დარგებს როგორცაა საინფორმაციო ტექნოლოგიები და ტელეკომუნიკაციები, ბიოტექნოლოგია და ფარმაცევტიკა, ალტერნატიული ენერჯეტიკის განვითარება და სხვ.

ეკონომიკის განვითარების შვედური მოდელი გვევლინება ყველაზე ხელსაყრელად მსოფლიო ბაზარზე დამყარებული საფასო პრიორიტეტების თვალსაზრისით, რაც საერთაშორისო გაცვლაში შვედეთს აძლევს ე.წ. „ტექნოლოგიური რენტის“ ამოქაჩვის შესაძლებლობას. ადამიანისეული პოტენციალის განვითარება სულ უფრო მეტად იქცევა მეცნიერებატევად სპეციალიზაციაზე გადასვლის მნიშვნელოვან რესურსად.

შვედეთის მრეწველობის განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას ახალ /არანახშირწყალბადოვან/ ენერჯეტიკაზე გადასვლა წარმოადგენს, რამდენადაც შვედეთს, მეზობელი ქვეყნებისაგან /პირველ რიგში, ნორვეგიისა და დანიისაგან/ განსხვავებით, არ გააჩნია ნავთობისა და გაზის დიდი მარაგები. ჯერ კიდევ კარგახნის წინ ქვეყანაში დაისვა ამოცანა, რომელიც ითვალისწინებდა ნახშირწყალბადების წვისგან თავისუფალ, ახალ ენერჯეტიკაზე გადასვლას. ამ მიზნით ქვეყანაში დამუშავდა სახელმწიფო პროგრამა და მის საფუძველზე ახალი ენერჯეტიკული სტრატეგია, რომელიც გულისხმობს ნახშირწყალბადოვან ენერჯეტიკაზე თანდათანობით უარის თქმას და მის მაგივრად ენერჯის ახალი წყაროების, პირველ რიგში, ბიოსაწვავისა და ქარის ენერჯის გამოყენებას. აღსანიშნავია, რომ შვედეთში ბიოსაწვავი კარგა ხანია ფართოდ გამოიყენება საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტზე, ბინების თბომომარაგებაში და სხვაგან. ამის შედეგად, ჯერ კიდევ 1971-2004 წწ. ქვეყანაში ბიოსაწვავის მოხმარება 2,8-ჯერ გადიდა, ხოლო ნახშირწყალბადოვანი ენერჯის მოხმარება 42%-მდე შემცირდა, ეკოლოგურად სუფთა ენერჯის მთლიანი მოხმარება კი 35%-მდე ამაღლდა [3,3].

ბიოსაწვავთან ერთად, შვედეთში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ქარის ენერჯეტიკის განვითარებაზე. შვედეთის ქალაქ ნორკეპინგში ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში აშენდა ბიოსაწვავის წარმოების პირველი ფაბრიკა, რომელსაც 2008 წელს მიემატა ასეთი ტიპის კიდევ ერთი საწარმო. შვედური სახელმწიფო ენერჯეტიკული კომპანია ვატერფალი ბალტიის ზღვაზე აშენებს უმსხვილეს ქარის ელექტროსადგურებს. კომპანია რიკსდაგმა მიზნად დაისახა ქვეყანაში ელექტროენერჯის წარმოების ზრდა ქარის ენერჯის ხარჯზე.

შვედური ენერჯეტიკის სააგენტო წარმატებით ახორციელებს ბიოსაწვავის წარმოების სფეროში სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამას. ორი სახელმწიფო კომპანია - ვატერფალი და

სვეასოგი შეთანხმდნენ, რომ ქვეყანაში ააშენონ ქარის ენერჯიაზე მომუშავე 550 ელექტროსადგური, რომლებიც ჯამობრივად მოახდენენ 1500 მეგავატ ელექტროენერჯიის წარმოებას, რაც სავსებით საკმარისია 800 ათასი საოჯახო მეურნეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად [3,9].

„მწვანე ენერჯეტიკაზე“ გადასვლის პროგრამის განსახორციელებლად შედეგთის მთავრობა ატარებს არაერთ მასტიმულირებელ ღონისძიებას. მაგალითად, ავტომფლობელებს, ეკოლოგიურად სუფთა საწვავის გამოყენებისას, ეძლევათ საგადასახადო შეღავათები, ბენზინგასამართ სადგურებს კი დაეკისრათ, ტრადიციულ ბენზინთან ერთად, ივაჭრონ ენერჯიის ალტერნატიული წყაროებითაც. აღნიშნული რეგულაციის პრაქტიკაში დანერგვის შედეგად ჯერ კიდევ 2008 წ. ქვეყანაში ახლად დარეგისტრირებული ავტომობილების 36% გამოიყენებდა არატრადიციულ საწვავს. შედეგთში ალტერნატიულ ენერჯეტიკაზე გადასვლა მიმდინარეობს არა სპონტანურად, არამედ სახელმწიფო პოლიტიკის მიზანმიმართული, თანმიმდევრული და ეტაპობრივად განხორციელების საფუძველზე.

შედეგთის ეროვნული სამრეწველო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაა, რაც წარმატებით ხორციელდება ენერჯეტიკის ალტერნატიული წყაროების წარმოების, დისტრიბუციისა და მოხმარების სფეროში. საერთოდ კი, ქვეყნის საწარმოთა საერთო რაოდენობაში მცირე და საშუალო საწარმოებს უკავიათ 90%-ზე მეტი, რომელთა წილად მოდის ეკონომიკაში დასაქმებულთა ერთი მესამედი და მშპ-ს დაახლებით ნახევარი [3,9]. ასეთი საწარმოები უფრო ადვილად ახერხებენ „მწვანე ენერჯეტიკაზე“ გადასვლას და უფრო მოქნილად რეაგირებენ მოთხოვნის, ტექნოლოგიებისა და გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურის ცვლილებებზე. მათ უნარი შესწევთ, უკეთ დააკმაყოფილონ ცალკეული კატეგორიის მომხმარებელთა მოთხოვნები, რომელთაც თანამედროვე პირობებში გააჩნიათ ინდივიდუალიზაციის აშკარად გამოსატყუი ტენდენციები.

შედეგთის მცირე მეწარმეობის მხარდაჭერაზე იხარჯება სამრეწველო პოლიტიკის განხორციელებაზე გამოყოფილი თანხების დაახლოებით 4%. მათი დიდი ნაწილი რეალიზდება ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე, ცენტრალური ხელისუფლება კი ახორციელებს საკოორდინაციო პოლიტიკასა და ქმნის ხელსაყრელ პირობებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და მრეწველობის ინოვაციურ რელსებზე გადაყვანისათვის, რომელიც სულ უფრო მეტად ეფუძნება ინტელექტუალურ პოტენციალს, მდგრად განვითარებასა და პროდუქციის წარმოების პროცესში ეკოლოგიურად სუფთა ენერჯეტიკის გამოყენებას.

## დასკვნა

ამრიგად, შედეგთის სამრეწველო პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებას „მწვანე /არანახშირწყალბადოვან/ ენერჯეტიკაზე“ გადასვლა წარმოადგენს. რამდენადაც შედეგთს არ გააჩნია ნავთობისა და გაზის დიდი მარაგები, ჯერ კიდევ კარგა ხნის წინ დაისვას ეკონომიკის „მწვანე ენერჯეტიკაზე“ გადაყვანის ამოცანა, რისთვისაც ქვეყანაში დამუშავდა სახელმწიფო პროგრამა და მის საფუძველზე ახალი ენერჯეტიკული სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს ნახშირწყალბადოვან ენერჯეტიკაზე თანდათანობით უარის თქმას და მის მაგივრად ენერჯიის ახალი წყაროების, პირველ რიგში, ბიოსაწვავისა და ქარის ენერჯიის გამოყენებას. შედეგთში ენერჯიის აღნიშნული წყაროები კარგა ხანია ფართოდ გამოიყენება საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტზე, ბინების თბომომარაგებაში და სხვაგან.

შედეგთის ენერჯეტიკის სააგენტო წარმატებით ახორციელებს ბიოსაწვავის წარმოების სფეროში სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამას. სახელმწიფო კომპანიები ვატერფალი და სვეასოგი ქვეყანაში ააშენებენ ქარის ენერჯიაზე მომუშავე 550 ელექტროსადგურს, რომლებიც გამოიმუშავენ 1500 მეგავატ ელექტროენერჯიას, რაც სავსებით საკმარისი იქნება 800 ათასი საოჯახო მეურნეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. „მწვანე ენერჯეტიკაზე“ გადასვლის პროგრამის განსახორციელებლად შედეგთის მთავრობა ატარებს სათანადო ღონისძიებებს. კერძოდ, ეკოლოგიურად სუფთა საწვავის გამოყენებელ ავტომფლობელებს ეძლევათ საგადასახადო შეღავათები, ბენზინგასამართ სადგურებს კი ეკისრებათ, ტრადიციულ ბენზინთან ერთად, ივაჭრონ ენერჯიის ალტერნატიული წყაროებითაც. ახალ

ენერგეტიკაზე გადასვლა ქვეყანაში მიმდინარეობს არა სპონტანურად, არამედ თანმიმდევრული და ეტაპობრივი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გელიტაშვილი მ., შვედეთის ეკონომიკა, [www.sociom.ge/index](http://www.sociom.ge/index)
2. Глобальный инновационный индекс 2017г.  
[http://www.wipo.int/pressroom/ru/articles/2017/article\\_0008.html](http://www.wipo.int/pressroom/ru/articles/2017/article_0008.html)
3. Инновационная политика Швеции, <http://refold.ru/look/270717>.
4. Экономика Швеции: История успеха, <https://sweden.ru/ljudi/ekonomika-shvecii-istoriya-uspekha>
5. Эффективность промышленной политики Швеции <http://refdb.ru/look/2701717-p10.html>

*Revaz Javakhishvili*

### **TRANSITION TO "GREEN ENERGY" THE MAIN ASPECT OF POLITICS OF SWEDISH NATIONAL INDUSTRY**

#### **Summary**

The National Industrial Policies in Sweden is an integral part of the country's overall economic policy, the main aspects of which are: reduction of tax loading, ensuring the integrity of the innovative chain, supporting SMEs, strengthening state regulatory functions and gradually switching to the energy-oriented sources of energy. The industry develops by the influence of events that are oriented on the entire economy, the national industrial policy is closely linked with the innovative, regional, ecological policies of the country and its social orientation that create conditions for the highest level of socio-economic development of the country.

Important trends in the development of the Swedish industry are transition to new / non-hydrocarbon / energy. Since the country does not have large oil and gas reserves, it has been a long time ago that Sweden has been tasked to move into a new power plant with free hydrocarbons. For this purpose, the state program has been developed in the on its based country and a new energy strategy which implies the transition to the "green energy" instead of carbon dioxide energy, primarily using biofuel and wind energy In Sweden many biofuel producer enterprises and wind power plants have been functioning for a long time. The Government is implementing a special state program stimulates and implements measures energy and consequently increasing the consumption of ecologically clean energy in the country.

**“მფვანე ეკონომიკის” თეორიული პრობლემებისა და  
სამართალშორისო ეკონომიკის სექცია**

*თამილა არნანია-კეპულაძე  
გიორგი კეპულაძე*

**„მფვანე“ და „ლურჯი“ ეკონომიკის კონცეფციები  
გლობალური დეფიციტის პირობებში**

**ანოტაცია.** გლობალური დეფიციტი წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების ერთდერთ უმთავრეს პრობლემას. ადამიანთა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე მიმართული წარმოების პროცესი ისევე, როგორც ადამიანის მიერ საქონლისა და მომსახურების მოხმარება დაკავშირებულია ნარჩენების მნიშვნელოვანი რაოდენობის წარმოშობასა და გარემოს დაბინძურებასთან, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს დამატებით რესურსებს როგორც გარემოს დასუფთავების, ასევე ნარჩენების გადამუშავებისათვის. ამ პრობლემების გადაჭრას ემსახურება ბოლო პერიოდში ჩამოყალიბებული კონცეფციები, რომლებიც ცნობილია „მწვანე“ და „ლურჯი“ ეკონომიკის სახელწოდებით.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ეკონომიკა, ლურჯი ეკონომიკა, გლობალური დეფიციტი, ეკონოვაციები, ბიზნესის მოდელი, მდგრადი განვითარება

**1. შესავალი: გლობალური დეფიციტი, როგორც რეალობა**


თანამედროვე საზოგადოებები მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან და ამ გამოწვევებს შორის ერთ-ერთ უმთავრესს გლობალური დეფიციტის პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა წარმოადგენს.

სწორედ გლობალური დეფიციტის პრობლემა უდევს საფუძვლად დღეს მოქმედ ეკონომიკურ მოდელებს, რომლებშიც ადამიანის მუდმივი სწრაფვა მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ, უპირისპირდება დედამიწაზე არსებული რესურსების შეზღუდულობას.

გლობალური დეფიციტის პრობლემა აისახება არსებული რესურსების არათანაბარ განაწილებაში საზოგადოებებსა და საზოგადოების წევრებს შორის, რაც აისახება ღარიბი რეგიონებისა და ღარიბი ადამიანების არსებობასა და სოციალურდეკონომიკური უთანასწორობის გაღრმავებაში.

გლობალური დეფიციტის პირობებში ადამიანთა მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე მიმართული წარმოების პროცესი, ისევე, როგორც ადამიანის მიერ საქონლისა და მომსახურების მზარდი მოხმარება, დაკავშირებულია რესურსების მზარდი რაოდენობის გამოყენებასა და გარემოს, დაბინძურებასთან, ნარჩენების მნიშვნელოვანი რაოდენობის წარმოშობასთან, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს დამატებით რესურსებს როგორც გარემოს დასუფთავების, ასევე ნარჩენების გადამუშავებისათვის.

ამგვარად იკვრება წრე, რომელიც კიდევ უფრო ამწვავებს რესურსების დეფიციტს და, გამომდინარე აქედან, აძლიერებს სოციალურდეკონომიკურ უთანასწორობას.



**ნახაზი.** „რესურსების მოხმარება და გარემოს დაბინძურების“ შეკრული წრე

როგორც მეცნიერები იუწყებიან, დედამიწის რესურსების წლიური ნორმა ანუ არსებული რესურსების რაოდენობა, რომელთა მოხმარება შეიძლება ერთი წლის განმავლობაში

რესურსების არსებული მარაგის მნიშვნელოვანი დაზიანების მიყენების გარეშე, 2015 წელს ამოიწურა არა 12 თვეში, არამედ 7 თვესა და 13 დღეში [14]. ეს იმას ნიშნავს, რომ დარჩენილი 4 თვისა და 17 დღის განმავლობაში მოხმარებული იყენებდა მომავალი წლისათვის განკუთვნილი რესურსების წლიური ნორმის ნაწილს ანუ მომავლისგან „ნასესხებ“ რესურსებს.

დედამიწის რესურსების წლიური მოხმარების ნორმებისა და რეალურად გამოყენებული რესურსების კვლევებს მეცნიერები ახორციელებენ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან და ამ კვლევების შედეგების ანალიზმა აღმოაჩინა, რომ რესურსების წლიური ნორმა იწურება სულ უფრო მაღე [11, გვ. 20], რაც კიდევ უფრო აძლიერებს რესურსების დეფიციტის პრობლემას.

## 2. გლობალური დეფიციტი და გარემოს დაბინძურება: ზოგიერთი ფაქტი

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (Organization for Economic Cooperation and Development, OECD) პროგნოზების თანახმად, თანამედროვე წარმოების შენარჩუნების პირობებში 2000 წელთან შედარებით 2050 წლისთვის მსოფლიო დაკარგავს ფლორისა და ფაუნის 61-დან 72% -მდე, ხოლო ბუნებრივი ტერიტორიების 7.5 მილიონი კვადრატული მეტრის ეკოლოგიური უსაფრთხოება შეუქცევადად დაირღვევა [13].

გარდა ამისა, გარემოს დაბინძურება ძალზე ნეგატიურად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ყველაზე მოკრძალებული შეფასებით, დაბინძურებასთან დაკავშირებული სხვადასხვა დაავადებებისგან ყოველწლიურად მსოფლიოში 9 მილიონზე მეტი ადამიანი იღუპება, რაც 3დჯერ აღემატება შიდსის, მალარიისა და ტუბერკულოზიდან დაღუპულთა ჯამურ რაოდენობას, 6-ჯერ აღემატება საგზაოდაცავისგან დაღუპულთა რაოდენობას და 15-ჯერ მეტია ომებისა და ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობაზე [9].

მოვიყვანოთ ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული პრობლემების შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (World Health Organization, WHO) მიერ გავრცელებული ზოგიერთი მონაცემი [2]:

– დედამიწის მოსახლეობის 91% ცხოვრობს იმ ადგილებში, სადაც ჰაერის დაბინძურების დონე აჭარბებს ჰ -ს მიერ ჰაერის ხარისხის რეკომენდებულ მაჩვენებლებს;

– ჰაერის დაბინძურების გამო ყოველწლიურად მსოფლიოში იღუპება 4,2 მილიონი ადამიანი;

– 3,8 მილიონი ადამიანი იღუპება ყოველწლიურად საცხოვრებელ სახლებში კვამლის ზემოქმედების გამო, რაც გამოწვეულია არაეკოლოგიური სამზარეულო ღუმელების და საწვავის გამოყენებით;

– ინსულტით გარდაცვალების 24% გამოწვეულია ჰაერის დაბინძურებით;

– სისხლძარღვთა დაავადებით გარდაცვლილთა 25% ჰაერის დაბინძურების მსხვერპლია;

– ფილტვების დაავადებით გარდაცვალების 43% გამოწვეულია ჰაერის დაბინძურებით;

– ჰაერის დაბინძურებით გარდაცვლილთა 90% ცხოვრობდა დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში.

პეკინის პედაგოგიური უნივერსიტეტისა და იელის უნივერსიტეტების მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, გარემოს დაბინძურება ნეგატიურად მოქმედებს ადამიანის კოგნიტიურ უნარზე, რაც შეიძლება მომავალში გამოვლინდეს ალცჰეიმერის ან პარკინსონის დაავადებებში. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოში ალცჰეიმერის დაავადებაზე ყოველწლიურად იხარჯება 226 მილიარდი დოლარი და მოითხოვს 18 მილიარდ სამუშაო საათის ხარჯვას [10], ეს არა მხოლოდ დიდი პიროვნული, სამედიცინო და სოციალური, არამედ მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემაა და მოითხოვს მნიშვნელოვან რესურსს.

ასეთ ვითარებაში ხდება გლობალური დეფიციტის კონცეფციაზე დაფუძნებული ეკონომიკური მოდელის გადასინჯვის აუცილებლობა და იმის გააზრება, რომ აუცილებელია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი სტრატეგიის შემუშავება და ფუნდამენტურ ტექნოლოგიურ ინოვაციებზე დაფუძნებული მდგრადი ეკონომიკის მოდელის ჩამოყალიბება, რომლებიც უზრუნველყოფს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მაღალ დონეს ბუნებრივი რესურსების გამოყენების სრულყოფის საფუძველზე.

ბოლო ათწლეულებში არსებული რესურსტევადი, გლობალურ დეფიციტზე დაფუძნებული ეკონომიკის ალტერნატივად გამოვიდა ისეთი ახალი კონცეფციები, როგორცაა „მწვანე ეკონომიკა“ და „ლურჯი ეკონომიკა“.



### 3. მწვანე ეკონომიკის კონცეფცია

მწვანე ეკონომიკა დ ეს არის ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის შედარებით ახალი მიმართულება, რომელიც აღიარებს ეკონომიკის ბუნებაზე დამოკიდებულებას და განიხილავს მას, როგორც ბუნების შემადგენელ ელემენტს.

მეცნიერულ ლექსიკონში ტერმინი „მწვანე ეკონომიკა“ შემოვიდა 2012 წელს გაეროს მიერ რიო-დე-ჟანეიროში გამართულ მდგრად ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული კონფერენციის მზადების პერიოდში.

მწვანე ეკონომიკის კონცეფცია მიმართულია ეკონომიკური ზრდის, სოციალური სტაბილურობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ჰარმონიზაციის უზრუნველყოფაზე. მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის ძირითადი მიზანია ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ბუნებრივი რესურსების ამოწურვის შემცირების პირობებში.

მწვანე ეკონომიკის მეთოდოლოგია ეფუძნება კომპლექსურ ინტერდისციპლინურ მიდგომას და გამომდინარეობს იმ ცოდნიდან, რომელიც აკუმულირებულია ეკოლოგიურ, ეკონომიკურ, სოციოლოგიურ, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მეცნიერებებში. მწვანე ეკონომიკაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ეკოლოგიური ელემენტი.

მწვანე ეკონომიკის კონცეფცია ეფუძნება სამ ძირითად აქსიომას [8]:

- შეუძლებელია შეზღუდულ სივრცეში უსაზღვროდ გავლენის გაფართოება;
- შეუძლებელია მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება შეზღუდული რესურსების პირობებში;

- დედამიწაზე ყველაფერი არის ურთიერთდამოკიდებული.

მწვანე ეკონომიკა წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიღწევის ერთდერთ ინსტრუმენტს და განიხილება როგორც გარემოს დაუზიანებლად ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებისა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფაზე მიმართულ სამეურნეო საქმიანობა [1].

მაგრამ, როგორც ამას აღნიშნავს ბელგიელი მეწარმე გუნტერ პაული ( უნტერ აული, 1956), მწვანე ეკონომიკის კონცეფცია საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, ვინაიდან დაკავშირებულია გარემოს დაცვისთვის მასშტაბიანი ინვესტიციების დაბანდების აუცილებლობასთან. სხვაგვარად, მწვანე ეკონომიკა რეციკლირების ანუ უნარჩუნო ტექნოლოგიების დანერგვით მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს გარემოს დაცვას, მაგრამ ვერ წყვეტს რესურსების დაზოგვის პრობლემას.

რესურსების დაზოგვის, შენარჩუნების, გამოყენების სრულყოფისა და ეკონომიკურ საქმიანობასთან ჰარმონიზაციის პრობლემის გადაჭრას ემსახურება ე.წ. „ლურჯი ეკონომიკა“.

### 4. ლურჯი ეკონომიკის კონცეფცია

რომის კლუბისადმი 2009 წელს წარდგენილ ანგარიშში გუნტერ პაულიმ ჩამოაყალიბა მწვანე ეკონომიკის ალტერნატიული იდეა, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო გ.პაულის ცნობილ წიგნს „ლურჯი ეკონომიკა“ (The Blue Economy) [3; 4; 5]. გუნტერ პაული განიხილავს ლურჯ ეკონომიკას, როგორც მეცნიერების, ინოვაციებისა და მეწარმეობის გაერთიანების საფუძველზე შექმნილ ბიზნესმოდელს, რომელიც უნდა იყოს „ისეთივე ბრძნული, როგორც ბუნება“ (ანუ: Let us be as Intelligent as Nature), ვინაიდან, გ.პაულის აზრით, მილიონობით წლის განმავლობაში ბუნება აკუმულირებდა ცოდნას და ჩვენ უნდა ვისწავლოთ მისგან და წავიდეთ მისი გზით, თუ გვინდა ვიყოთ უფრო ეფექტიანები და წარმატებულები“ [6]. მხოლოდ ასეთ მიდგომას და ასეთ ხედვას ძალუძს შეცვალოს საზოგადოება, დაძლიოს გლობალური დეფიციტი და უზრუნველყოს საყოველთაო კეთილდღეობა.

ლურჯი ეკონომიკა დ ეს არის თანამედროვეობის ახალი გამოძახილი, რომელიც მიმართულია დღეს არსებული პრობლემების (უმუშევრობა, სიღარიბე, რესურსების უკმარისობა, კეთილდღეობის ამაღლების საჭიროება, ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვ.) გადაჭრაზე და ნაკლები საინვესტიციო დანახარჯების საფუძველზე უზრუნველყოფს მეწარმეობის ამაღლებას, ახალი ტექნოლოგიების, ნოვატორული მიდგომებისა და რესურსების ინოვაციურად რაციონალური გამოყენებით ხელს უწყობს მაღალშემოსავლიანი ბიზნესის შექმნას და სახელმწიფოს თუ რეგიონის კონკურენტ-

უნარიანობის ამადლებას, ფინანსური, სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური სარგებლიანობის მიღებას.

ღურჯი ეკონომიკა - ეს არის ინოვაციური მიდგომა ბიზნესის წარმართვისადმი, რომელიც ითვალისწინებს ბუნებისა და ბიზნესსაქმიანობის ჰარმონიულ შერწყმას და ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს:

- ნებისმიერი რესურსი შეიძლება შეიცვალოს იყოს სხვა რესურსით;
- ბუნება არ ქმნის ნარჩენებს და, აქედან, არც ბიზნესმა და არც ადამიანებმა არ უნდა შექმნან ნარჩენები;
- წარმოებისა და მოხმარების ნებისმიერი ნარჩენი არის სხვა პროდუქტის წარმოების წყარო.

ღურჯი ეკონომიკა გამომდინარეობს ბუნებრივი ეკოსისტემების დინამიკის შესწავლისა და განვითარებიდან, რაც განიხილება, როგორც წარმოებისა და მოხმარების წარმატებული მოდელების შექმნის აუცილებელი და სასარგებლო საწინდარი.

ღურჯი ეკონომიკის კონცეფციის თანახმად, ეკონომიკური სისტემები და ბიზნეს-მოდელები მოქმედებენ როგორც ეკოსისტემები, ხოლო ბუნება განიხილება როგორც საზოგადოებაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის სასარგებლო იდეების მიწოდების საუკეთესო წყარო.

ღურჯი ეკონომიკა დაკავშირებულია მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის ყველა საჭირო პირობების შექმნასთან ქვეყნის, რეგიონის, ქალაქის, ცალკეული ბიზნესსაქმიანობის კონკურენტულ უპირატესობათა გათვალისწინებიდან გამომდინარე.

ღურჯი ეკონომიკის პრინციპებზე აგებული ქალაქის, რეგიონის თუ ქვეყნის ბიზნეს-მოდელი ეფუძნება ახალ მიდგომებს და ეკონომიკურ ტექნოლოგიებს, როცა ბუნებრივი გარემოს დაუზიანებლად ბუნებიდან მიიღება ის, რაც მას გააჩნია და უზრუნველყოფილი იქნება პროდუქციისა და მომსახურების მრავალფეროვნება რესურსების სრულყოფილი გამოყენებისა და ენერგოდანახარჯების შემცირების პირობებში. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს რეგიონის თუ ქვეყნის, როგორც ეკოლოგიურად უსაფრთხო და ეკონომიკურად განვითარებული ქალაქის, რეგიონის თუ ქვეყნის ჩამოყალიბებას.

## დასკვნა

ამგვარად, “მწვანე“ და „ღურჯი“ ეკონომიკის კონცეფციები დ ეს არის არა მხოლოდ მეცნიერული პარადიგმები, არამედ და უწინარეს ყოვლისა ეს არის ახალი აზროვნების, ახალი ცხოვრების სტილის და „ადამიანი-ბუნების“ თანაარსებობის ახალი წესის ინოვაციური კონცეფტუალური ხედვა, რომელიც კარდინალურად ცვლის წარმოებისა და მოხმარების ჩვევებს, ბიზნესსაქმიანობის მეთოდებს, აყალიბებს ეკოდსისტემისადმი მეგობრულ ბიზნეს-გარემოს და ინოვაციურ საფუძვლებზე აგებულ ბიზნეს-მოდელებს, რაც უზრუნველყოფს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას გონივრული მოხმარებისა და რესურსების შენარჩუნების პირობებში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. United Nations Environmental Programme: Green Economy// [http://www.unep.org/greeneconomy/Portals/88/documents/research\\_products/briefingpapers/Ru\\_GE\\_HEAL\\_TH.pdf](http://www.unep.org/greeneconomy/Portals/88/documents/research_products/briefingpapers/Ru_GE_HEAL_TH.pdf)
2. WHO Global Ambient Air Quality Database (update 2018).
3. Gunter Pauli, 2010, *The Blue Economy*. Paradigm Publishers, ISBN 978-0-912111-90-2.
4. Gunter Pauli, 2015, *The Blue Economy 2.0: 200 Projects Implemented; US\$ 4 Billion Invested; 3 Million Jobs Created*. Academic Foundation (New Delhi), ISBN 9332703108.
5. Gunter Pauli, 2017, *The Blue Economy 3.0: The marriage of science, innovation and entrepreneurship creates a new business model that transforms society*. XLibris (Sydney), ISBN 152452106X.
6. Gunter Pauli, 2017, *The Third Dimension 3D Farming and 11 More Unstoppable Trends*. JJK Books (Santa Barbara), ISBN 0692973079.
7. Батова Н., Сачек П., Точицкая И., 2018, На пути к зеленому росту: окно возможностей циркулярной экономики, Центр экономических исследований BEROC [http://www.beroc.by/webroot/delivery/files/GE\\_1.pdf](http://www.beroc.by/webroot/delivery/files/GE_1.pdf)

8. Гурьева М. А., Наймушина Д. В., Зеленая экономика, [http://teoria-practica.ru/rus/files/arhiv\\_zhurnala/2015/7/economics/gurieva-naymushina.pdf](http://teoria-practica.ru/rus/files/arhiv_zhurnala/2015/7/economics/gurieva-naymushina.pdf)
9. Загорская Д., 2017, Загрязнение окружающей среды убивает больше людей, чем СПИД, Автокатастрофы и войны, Вести, Наука.
10. Загрязнение окружающей среды снижает когнитивные способности человека, 2018, <https://habr.com/ru/company/madrobots/blog/422175/>
11. Иванова Н.И., Л.В. Левченко, «Зеленая» экономика: сущность, принципы и перспективы, Вестник Омского университета. Серия «Экономика». 2017. № 2 (58), С. 19–28.
12. Кучеров А. В., Шибилева О. В., 2014, Концепция «зеленой» экономики: основные положения и перспективы развития // Молодой ученый. №4. С. 561-563.
13. Перспективы энергетических технологий. Сценарии и стратегии до 2050 г./ ЭСР/МЭА; WWF России; ред. А. Кокорина, Т. Муратовой. – М., 2007. – 586 с.
14. Ученые: человечество в 2015 году исчерпало ресурсы планеты, 2015, ИА «Амител». <http://www.amic.ru/news/311549/>

*Tamila Arnania-Kepuladze*  
*Giorgi Kepuladze*

## THE CONCEPTS OF "GREEN" AND "BLUE" ECONOMICS IN THE GLOBAL DEFICIT CONDITIONS

### Summary

Modern societies are facing many challenges one of which is a problem of the resources global deficiency. The global deficit is one of the main problems of modern society.

The problem of the global deficit is the basis of the current economic models in which the permanent aspiration of human beings to satisfy the growing needs faced with the scarcity of the resources. The human consumption of goods and services is associated with a significant number of waste and environmental pollution, which in turn requires additional resources for environmental cleanliness and waste removal.

The paper considers new conceptual approaches – “Green” Economics and “Blue” Economics – as a way to decide the problem of resources global deficiency and environment pollution.

Green Economics is a relatively new direction of economic science and practice that recognizes the dependency of economic activity on nature and considers the economy as a component of nature.

Green Economics is one of the tools to achieve sustainable development. Green Economy is considered as economic activities that are directed on the achievement of the human wellbeing and social justice without environmental damage.

The concept of the Green Economics is based on three major assumptions:

- It is impossible to expand infinite influence in the limited space;
- It is impossible to satisfy the growing demands in conditions of resources scarcity;
- Everything on Earth is interdependent.

But there is some contrariety in the concept of Green Economics because the concept is related to the necessity to make a large scale of investments for the protection of an environment. Therefore, the Green Economics provides an important role in the implementation of recycling or non-waste technology, but cannot solve the problem of saving resources.

The problem of harmonization of the resources utilization with economic activity could be solved through the so-called “Blue Economics” concept.

Blue Economics is a new challenge of modernity which aims to solve today existing problems like unemployment, poverty, lack of resources, a necessity to raise human welfare, ecological safety, etc.

Blue Economics is an innovative approach to business management, which provides a harmonious connection between nature and business activity.

Blue Economics is based on three main principles:

- Every resource can be substituted by another resource;
- Nature does not create residuals, and neither businesses nor humans should create waste;
- Any residue created by production and consumption is the source of production of another product.

The Blue Economics is derived from the study of the natural ecosystems’ dynamics which are considered as necessary and useful prerequisites for the successful modeling of production and consumption.

According to the concept of the Blue Economics, economic systems and business models act as ecosystems, and nature is considered as the best source of useful ideas for solving socio-economic problems in society.

Thus, the concepts of Green Economics and Blue Economics are not just scientific paradigms, but above all, they are an innovative conceptual vision, a new rule of new thinking, a new lifestyle and "man-nature" new coexistence. The concepts of Green and Blue Economics cardinally change the vision of production and habits of consumption, as well as methods of business activity, establish a friendly business environment for eco-systems and innovative business models.

In such a way the concepts of Green and Blue Economics provide sustainable economic development in terms of maintaining intellectual consumption and resources preservation.

*ვლადიმერ ბასარია*

**დედამიწაზე „მწვანე ეკონომიკის“ კონცეფციის  
დამკვიდრების პრობლემატიკა**

**ანოტაცია.** კაცობრიობის გონება და გენია დიდი ხანია ესწრაფვის და ინტენსიურად ცდილობს, დედამიწის გარე სამყაროში ცოცხალი ბუნების არსებობის ნიშნებს მიაგნოს. მიუხედავად მრავალგზის მოწადინება-მცდელობისა, რის შედეგადაც ის დაეუფლა ინფორმაციას მილიარდობით სინათლის წლით დაშორებული ცის სხეულების შესახებ, ჯერჯერობით ვერსად ვერაფერი იპოვა. ეტყობა, სამყაროს გამჩენმა ცოცხალ არსებათა ფუნქციონირების უიშვიათესი პირობები მხოლოდ დედამიწაზე შექმნა (ყოველ შემთხვევაში, ამჟამად ეს ასე ჩანს) და მით უფრო დასანანია, რომ ამ უდიდეს სასწაულს - ცოცხალი ბუნების არსებობას - თავისი საქმიანობით თვით მისი უმაღლესი ქმნილება - ადამიანი დაემუქრა. სხვადასხვა ქვეყნისა და დარგის მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, საერთაშორისო სტრუქტურები ამასთან დაკავშირებით განგაშის ხარს სცემენ, კაცობრიობას გონს მოსვლისაკენ მოუწოდებენ. ამასთან, იმის თქმა, რომ დღეს კაცობრიობას ბოლომდე გათავისებული აქვს იმ საფრთხის მასშტაბები, რომელსაც თავისი გაუაზრებელი ეკონომიკური საქმიანობით მომავალ თაობებს უქმნის, ნაადრევია.

ერთ საკითხში კი თავისებური კონსენსუსის მიღწევის ტენდენცია მართლაც შეინიშნება. განვითარებულ ქვეყნებში საზოგადოება (ხელისუფლება) ცდილობს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისათვის აუცილებელი ეკონომიკური ზრდის მოდელიდან მდგრადი განვითარების მოდელზე გადავიდეს, რაც, ეკონომიკის განვითარების უზრუნველყოფასთან ერთად, ეკოლოგიის დაცვასა და გარემოს შენარჩუნებას, ანუ „მწვანე ეკონომიკაზე“ გადასვლას გულისხმობს. ამასთან, მიუხედავად ამ მიმართულებით გატარებული მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა, რიო-დე-ჟანეიროში 2012 წელს გაეროს ეგიდით გამართულმა კონფერენციამ გასული ორი ათეული წლის შედეგები არასანუგეშოდ შეაფასა; მეტიც, მდგრადი განვითარებისადმი მიძღვნილ ამ თავყრილობაზე ისიც აღინიშნა, რომ დედამიწის ეკოლოგიური მდგომარეობა სულ უფრო მძიმდება და, თუ ეს ტენდენცია არ შეჩერდა, გარემო ადამიანისა და საერთოდ ცოცხალი ორგანიზმის არსებობისათვის შეუთავსებელიც გახდება.

სწორედ ამ დებულების დასაბუთება-გამყარებისა და გარდაუვალი ზომების აუცილებლობის დამტკიცებას შევეცდები წინამდებარე სტატიაში.

**საკვანძო სიტყვები:** მდგრადი განვითარება; მწვანე ეკონომიკა; ეკოლოგიური უსაფრთხოება; გარემოს დაცვა; რიო-დე-ჟანეიროს კონფერენცია; გარემოს დაცვის მართვის გამოყოფა სახელმწიფოების სუვერენული უფლებებისაგან.

\* \* \*

მიუხედავად ხშირი ბუნებრივი კატაკლიზმებისა, დედამიწაზე ცხოვრების უსაფრთხოების თვალსაზრისით, კაცობრიობა მე-20 საუკუნემდე შედარებით მშვიდად გრძნობდა თავს; გლობალურმა ეკოლოგიურმა პრობლემამ სწორედ ამ საუკუნეში იჩინა თავი და ეს ადამიანის გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შედეგად მოხდა - ამის დასამტკიცებლად იმის თქმაც საკმარისია, რომ, როგორც გაანგარიშებები მოწმობს, XX საუკუნის განმავლობაში განადგურდა დედამიწაზე არსებული ნაყოფიერი ნიადაგის ერთი მეოთხედი და ტყეების თითქმის ორი მესამედი (ყოველ ათ წელიწადში ნადგურდება და ფუჭდება ნაყოფიერი ნიადაგის თითქმის 7%; ყოველწლიურად მინდვრებიდან გააქვთ და იკარგება 26 მლრდ ტონა მიწის

მოსავლიანი ფენა; წლიდან წლამდე დედამიწაზე 6 მლნ ჰექტარით იზრდება უდაბნოდ ქცეული მიწების მოცულობა და ა.შ.) [1].

თუ ეს პროცესი ასეთი ინტენსივობით გაგრძელდა, ბუნებას ტოტალური დეგრადაცია დაემუქრება: სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის ფართობების მთლიანად განადგურებას 50 წელიც კი არ დასჭირდება, ხოლო ტყეების აბსოლუტურ გადაშენებას - კიდევ უფრო ნაკლები დრო.

ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობის დღევანდელი მასშტაბები ისეთი ხასიათისაა, მათ შორის გაცვლა უკვე იმდენად დისბალანსურია, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ კაცობრიობა თვითონვე მოსპობს დედამიწაზე თავისი ნორმალური ცხოვრებისათვის (და საერთოდ სიცოცხლის არსებობისათვის) საჭირო პირობებს.

დავსვათ კითხვა და ვუპასუხოთ მას: რაში მდგომარეობს კონკრეტულად ეკოლოგიური კრიზისის მიზეზები და მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები?

1. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ქიმიური სასუქების გადაჭარბებულად გამოყენების, ნიადაგის დამლაშების, ქარისა და წყლის ეროზიის შედეგად სასარგებლო კულტივირებული მიწების შემცირება;

2. მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქტებზე, წყალზე, ადამიანის ბინადრობის გარემოზე ქიმიური ზემოქმედების ზრდა, აგრეთვე ტყეების გადაშენება, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ცხოვრებასა და ჯანმრთელობაზე, მთლიანად ბუნებას უსპობს კვლავწარმოების უნარს;

3. დედამიწის ატმოსფეროში დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოფრქვევის ზრდა, რაც უკვე დღეს, როგორც დადგენილია, იწვევს დედამიწის ატმოსფეროს გარშემო არსებული ოზონის ფენის თანდათანობით განადგურებას, ხოლო ამის შორეული შედეგები ძნელად წარმოსადგენია;

4. საწარმოო ნარჩენების სწრაფი ზრდა და მათ შესანახად საჭირო მიწის (ასევე ოკეანის) ტერიტორიების გაფართოება, შესაბამისად, ადამიანის ცხოვრებისათვის საფრთხის შემცველი კერების გავრცელება;

5. როგორც ბოლო პერიოდში გახდა ცხადი, ადამიანის ცხოვრებისა და ბუნებისათვის განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს ატომური ელექტროსადგურები - ეს უკრაინასა და იაპონიაში დატრიალებულმა ტრაგედიამ დაგვანახა, რომელსაც მოჰყვა: ადამიანების მსხვერპლი; რეპროდუქციის უნარის ჩაკვლა - დაქვეითება; ცოცხალი არსებების დეგრადაცია; დასახლებული ადგილების, ტყეების, წყლების, მიწების გამკვდარება და ა.შ.

6. ეკოლოგიური კრიზისის დაჩქარებას ხელს უწყობს გაუთავებელი ომები თუ ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლებები ხმელეთსა თუ მსოფლიო ოკეანეში; XX-XXI საუკუნეში წარმოებული მსოფლიო თუ ლოკალური ომების შედეგად ფაქტობრივად გადაიწვა და განადგურდა ამ დრომდე ხელუხლებელი (გარემოს გამაჯანსაღებელი) ტყეების (ჯუნგლების) ტერიტორიები ვიეტნამში, კამბოჯაში, ლაოსში, ავღანეთში, აფრიკაში, ცენტრალურ ამერიკაში.

ზემოაღნიშნული და ბევრი სხვა გარემოება უსათუოდ მიგვანიშნებს იმაზე, რომ დღეს გარდუვალ აუცილებლობას წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობისადმი კაცობრიობის მიდგომის შეცვლა: ეკოლოგიური კრიზისისაგან და, მით უმეტეს, მისი გაღრმავებისაგან თავის დასაღწევად კაცობრიობამ ახალი აზროვნება უნდა გამოიმუშაოს და ისე წარმართოს თავისი საქმიანობა, რომ არ დაარღვიოს გარემოს ის ფარგლები, რომლებშიც ყოველივე ცოცხალს ნორმალურად არსებობა და ფუნქციონირება შეუძლია; თუკი ადამიანი ესწრაფვის არსებობის გაგრძელებას, მან თავისი მეურნეობრივი საქმიანობიდან უნდა გამორიცხოს ბუნების მტაცებლური ექსპლუატაცია.

დღეს სულ უფრო მკვიდრდება აზრი (მართალია, არასაკმარისად, ნელი ტემპებით, მაგრამ მაინც), რომ საჭიროა კაცობრიობის ძალთა კონსოლიდაცია მდგომარეობის შესაცვლელად, მათ შორის კი განუხომლად მნიშვნელოვანია ფინანსური საშუალებების გაერთიანების უზრუნველყოფა - ამ თვალსაზრისით მზარდი ტენდენცია მართლაც აღინიშნება: 1970 წელს ბუნების დაცვის დონისძიებაზე კაცობრიობამ დახარჯა 40 მლრდ დოლარი; 1980 წელს - 75 მლრდ დოლარი; 1990 წელს - 150 მლრდ დოლარი; 2000 წელს ამ თანხამ 250 მილიარდს გადააჭარბა; 2005 წელს - 300 მილიარდს და ამჟამად 400 მილიარდიან ნიშნულს უახლოვდება [2].

მიუხედავად ასეთი ზრდისა, ეს ხარჯები ვერ შეედრება ვერც ეკოლოგიური კრიზისის უარყოფით შედეგებს და ვერც კაცობრიობის ერთობლივ სამხედრო ბიუჯეტს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებიც კი გარემოს დაცვის ხარჯებს

მშპ-ის მხოლოდ 1-2%-ს ახმარენ, მაშინ, როცა ზარალი, რომელსაც ისინი გარემოს აყენებენ, მათი მშპ-ის 4-6%-ს შეადგენს.

1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გაეროს ეგიდით გამართულ ეპოქალური მნიშვნელობის საერთაშორისო კონფერენციაზე შემუშავდა ე.წ. „მდგრადი განვითარების“ კონცეფცია, რომლის გატარება გულისხმობს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის დამუშავებისას და მისი წარმოებისას საქმიანობის თითოეულ სფეროში დაცული უნდა იქნეს ეკონომიკისა და გარემოს ურთიერთობის კონფერენციის მიერ რეკომენდებული პრინციპები. მდგრადი განვითარების კონცეფცია ძირითადადში ითვალისწინებს შემდეგს:

- იმის აღიარებას, რომ ყურადღების ცენტრში უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებსაც აქვთ უფლება, იცხოვრონ ჯანმრთელად და ნაყოფიერად ბუნებასთან ჰარმონიაში;

- რომ გარემოს დაცვა უნდა იქცეს განვითარების პროცესის ხელშეუვალ კომპონენტად და არ შეიძლება განხილულ იქნეს მისგან დამოუკიდებლად;

- რომ ეკონომიკური და ზოგადად განვითარების უფლების რეალიზაცია-განხორციელება მხოლოდ იმ პირობით შეიძლება, თუ თანაბარი ზომითაა უზრუნველყოფილი როგორც თანამედროვე, ისე მომავალი თაობების მოთხოვნილებები გარემოს შენარჩუნება-დაცვის თაობაზე.

მდგრადი განვითარების კონცეფციის მიღება - ესაა ფაქტობრივად კაცობრიობის მხრიდან იმის აღიარება, რომ მისი გადარჩენის ერთადერთი გზა შეგნებულ (რეალურად შეცნობილ) ეკოლოგიურ აზროვნებაზე გადის მხოლოდ; რომ ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან ასაცილებლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმავე გაეროს მიერ „დედამიწის ქარტიად“ მოხსენიებული მდგრადი განვითარების შემდეგი ფუნდამენტური პრინციპების ცხოვრებაში გატარება:

- ეკოლოგიური პრობლემის მასშტაბურობის, სირთულისა და სიღრმის ადეკვატური აღქმა, მომავლისათვის მისი გადაწყვეტის აბსოლუტური პრიორიტეტულობის აღიარება;

- ეკოლოგიური პროგრამების შესაბამისი სტატუსის დამკვიდრება და სამართლებრივი, საკანონმდებლო, საფინანსო, ტექნიკური და პროფესიული უზრუნველყოფა;

- ეკონომიკის საწარმო-დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა იმ თვალსაზრისით, რომ მოხდეს მისი ორიენტირება სუფთა, რესურსდამზოგავი და მცირენარჩენიანი (უნარჩენო) ტექნოლოგიებისაკენ;

- თითოეული ბუნებით მოსარგებლის რეალური პასუხისმგებლობა ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევისათვის;

- ბიოსფეროს შესწავლის და ბუნების დაცვის საქმიანობის მეცნიერული უზრუნველყოფის დარგში ფუნდამენტური გამოკვლევების პროგრამების განხორციელება;

- ბიოსფეროს დაცვის სპეციალური ფონდის შექმნა;

- ბიოსფეროს კომპლექსური მონიტორინგის (კონტროლის) ორგანიზება-მოწყობა;

- მაღალი საშიშროების რისკის შემცველი დასაპროექტებელი, მშენებარე თუ მოქმედი ობიექტების აუცილებელი მიუკერძოებელი ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება;

- გლობალური და ეროვნული ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ყველა სახელმწიფოს მიერ ბუნების დაცვის ეფექტიანი ურთიერთქმედების სისტემის შექმნის გზით;

- ბიოსფერულ-ეკოლოგიურ და ბუნების დაცვის საკითხებში აღმზრდელითი და თანმიმდევრული საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარება, ამ სფეროში მუშაობისათვის პროფესიული კადრების მომზადება-გადამზადება;

აქ კი მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო რიო-დე-ჟანეიროს ამავე (1992 წლის) კონფერენციის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაზე, სადაც ნათქვამია, რომ გარემოს დაცვის საკითხებში ერთიანი წესების შემოღება არ არის აუცილებელი, რომ სხვადასხვა ქვეყანაში თავისებური და განსაკუთრებული პირობებია, შესაბამისად, ეკოლოგიის დაცვის საკითხში განსხვავებული მიდგომებია დასაშვები. დიახ, ეს ცალსახად სწორი დებულებაა, მაგრამ მისი ასეთი საზღვასმა, არ მგონია, სასარგებლო იყოს გარდუვალ ღონისძიებათა გატარების აუცილებლობის პირობებში. ეს უფრო მეცნიერთა და სპეციალისტთა მხრიდან ამ უმტკივნეულეს პროცესში მიკერძოებული ინტერესების მატარებელთა მიმართ გაკეთებულ ერთგვარ გამამართლებელ დათმობას წააგავს და საკითხის ასე დასმა (განსხვავებულობის საზღვასმა), ვფიქრობ, სწორი და მისაღები იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დედამიწის ყველა რეგიონში გარემოსდაცვითი საკითხების მართვა-რეგულირებას რომელიმე საერთო (სახელმწიფოების ეკონომიკურ საქმიანობაში ეკოლოგიური საკითხების პარიტეტულობის

პრინციპზე დაფუძნებული ერთობლივი) ორგანო განახორციელებდა. პლანეტაზე კი დღეს-დღეობით განსხვავებული, მნიშვნელოვანწილად ეგოისტური მიდგომა-მოტივაციის ქვეყნები არსებობენ, რომლებიც ყოველთვის შეეცდებიან ასეთი მიდგომა (ხაზგასმა) თავიანთი მიკერძოებული ინტერესების დაკმაყოფილებისა და აუცილებელი პლანეტარული მნიშვნელობის დონისძიებების გატარებისაგან თავის დაღწევისათვის გამოიყენონ.

კაცობრიობის წინაშე მდგარი ეკოლოგიური კატასტროფის პრობლემის სიმწვავის აღიარება რომ ხშირად დეკლარირებულ ხასიათს ატარებს, ამის ერთ-ერთი მიზეზი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონის განსხვავებულობაშიც ძვეს; განვითარების სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ საფეხურზე მყოფ სახელმწიფოებს ამოცანებიც სხვადასხვა აქვთ და ხშირად ამიტომაცაა, რომ კონკრეტულ პერიოდში ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის ნდომა ერთნაირი არ არის; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით მათ მიერ განხორციელებული მოქმედება განპირობებული იქნება ეგოისტური, მიკერძოებული დამოკიდებულებით. მაგალითისათვის, ამ თვალსაზრისით გასაგებია ჩინეთის პოზიცია, რომლის მიხედვით ეკოლოგიური პრობლემის დასაძლევად განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მიმართ ერთნაირი მიდგომა ამ უკანასკნელთა ჩამორჩენის დაძლევას ნამდვილად ვერ შეუწყობს ხელს.

პრობლემასთან გასამკლავებლად საერთო მიდგომის გამომუშავებას და განსაკუთრებით მის პრაქტიკულად განხორციელებას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ ნებისმიერ ხელისუფალთა მოქმედება შინაარსს პირველ რიგში კაცობრიობის რაღაც საერთო, შორეული პერსპექტივის პრობლემების გადაწყვეტა კი არ წარმოადგენს, არამედ მათი მმართველობის პერიოდის თანამედროვე მოსახლეობის კეთილდღეობის საჭირობორტო საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობა განაპირობებს. მათი საქმიანობის ასეთ წარმართვას კი ის განსაზღვრავს, რომ ხელისუფლებისათვის მართვის პერიოდის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ამომრჩევლები უფრო მეტად იმას აქცევენ ყურადღებას, დადებითად შეიცვალა თუ არა მათი კეთილდღეობა ამ ხელისუფლების მმართველობის პირობებში, ვიდრე იმას, თანმიმდევრულად ახორციელებდა თუ არა მთავრობა ეკოლოგიის დაცვას საერთაშორისო დონეზე მიღებული შეთანხმებების შესაბამისად. საკითხავია, ამომრჩევლის ასეთმა მოტივაციამ ხომ არ უბიძგა პრეზიდენტ ტრამპს, რომ გამოეყვანა აშშ მსოფლიო საზოგადოების დიდი ხნის განსჯა-მცდელობის შედეგად მიღწეული კლიმატის შესახებ პარიზის შეთანხმებიდან.

ცნობილია, რომ ადამიანში შინაგანად ძვეს გვაროვნობის გაგრძელების შესანიშნავი ნდომა-ინსტინქტი. მაგრამ ეს მოთხოვნილება-წადილი გულისხმობს (წვდება) მაქსიმუმ ორ-სამ თაობაზე ზრუნვას; ამიტომ, იმისათვის, რომ ადამიანმა მოახერხოს ეკოლოგიური ვითარების გაუარესების მზარდი ტემპების შეჩერება და გააგრძელოს არსებობა, მან ინსტინქტების დონეზე უნდა გაითავისოს ეკოლოგიური უსაფრთხოების წესების დაცვის აუცილებლობა, უნდა შეიგნოს და გაისისხლხორცოს, რომ კაცობრიობის ხანგრძლივად არსებობისათვის აუცილებელი მკაცრი ეკოლოგიური სტანდარტების საყოველთაო დაცვის გარეშე უწყვეტი ეკონომიკური ზრდა, საბოლოო ჯამში, კეთილდღეობას კი არ მოუტანს მის შთამომავლობას, არამედ გადააშენებს.

ეკონომიკურ ზრდას, როგორც ბუნების თუ საზოგადოების განვითარების ნებისმიერ მოვლენას, შინაგანი დიალექტიკა ახასიათებს; ეს ზრდა წინააღმდეგობრივად მოქმედებს - ის ერთსა და იმავე დროს დადებითს (სიკეთეს) და უარყოფითს (უკეთურებას) მოიცავს: დადებითს - ადამიანების უშუალო კეთილდღეობაზე სასურველი ზემოქმედებით და უარყოფითს - ზიანის მიყენებით.

ზემოთქმულს კი მივყავართ მოსახლეობის (ადამიანის) კეთილდღეობის შეფასების მნიშვნელოვანი მაჩვენებლის მთლიანი შინა პროდუქტის ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში გაანგარიშების მეთოდოლოგიის პრინციპულად შეცვლის აუცილებლობასთან. დაუშვებელია მშპ-ის ცვლილება ნაციონალური თუ მსოფლიო მასშტაბით დადებითად ან უარყოფითად იქნეს აღქმული, თუ მასში არ არის გათვალისწინებული გარემოს დაცვის ზიანისა და მისი აღმოფხვრის შედეგების მაჩვენებლები.

## დასკვნა

დასასრულ, კიდევ ერთი მოსაზრება - ზემოგამართული საუბრის თავისებური კვინტესენცია.

ბოლო რამდენიმე ათეული წელი დედამიწაზე გარემოს დაცვის ღონისძიებებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის დინამიკის ანალიზი ნათლად მოწმობს, რომ კაცობრიობას გადასარჩენად გაცილებით მეტის გაკეთება სჭირდება; თვისებრივად, პრინციპულად უნდა შეიცვალოს პრობლემისადმი როგორც სახელმწიფოთა დამოუკიდებლად, ისე ერთობლივი ძალებით მიდგომა, შესაბამისად შესაცვლელია გასატარებელ ღონისძიებათა მოცულობა და მათი განხორციელების ხერხები, საშუალებები და მეთოდები. პრობლემის წარმოუდგენლად რთული ხასიათიდან გამომდინარე, გასაგებია, ბევრი სხვადასხვა მოსაზრება და წინადადება იქნება (და უნდა იყოს) წამოყენებული ამ მიმართულებით, მაგრამ ერთ პრინციპულ დასკვნაზე, ვფიქრობ, უკვე დღესვეა საჭირო საერთაშორისო ერთსულოვნება - კონსენსუსის მიღწევა: კაცობრიობის უსაფრთხო არსებობის ხანგრძლივ პერიოდში შენარჩუნების პრობლემის გადასაწყვეტად გარემოს დაცვის მართვა ძირითადად უნდა გამოიყოს სახელმწიფოების სუვერენული უფლებებისაგან და დელეგირებული უნდა იქნეს გაეროსთან წევრი სახელმწიფოების ხარჯზე შექმნილი შესაბამისი ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურისათვის, რომელიც კომპლექსური მიდგომით შეიმუშავებს მოკლევადიან თუ შორეულ გეგმებს როგორც მთლიანად მსოფლიოსთვის, ისე მისი ცალკეული რეგიონებისათვის და რომელსაც დაევალება კიდევ ამ პროგრამების აღსრულება და ზედამხედველობა. გასაგებია, რომ ასეთი წამოწყების რეალიზება წარმოუდგენლად რთულია, მაგრამ, ვფიქრობ, უაღრესად საჭიროც - საქმე მთლიანად კაცობრიობის მომავალს ეხება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Кучеров А. В., Шибилева О. В. Концепция «зеленой» экономики: основные положения и перспективы развития. Молодой ученый. 2014, №4, (стр. 561-563).
2. Арутюнов Ю.А., Нгуен Х.Т. Зелёная экономика – путь к устойчивому развития в развивающихся странах мира. Вопросы экономики и права. 2013, №4. (стр. 132-136).

*Vladimer Basaria*

### PROBLEMS OF THE CONCEPT OF "GREEN ECONOMY" ON EARTH

#### Summary

The mind and genius of humanity have long sought to find signs of existence of living in the Earth's world. Despite many attempts, as a result of which he has acquired information about planets being in millions of light years from here, he has never been able to find anything. It seems that the creator of the world made the rare conditions of functioning of living beings on Earth. It is regrettable that this great miracle - the existence of live nature - the man threatened himself. During the XX century, one fourth of the fertile soil on earth and almost two thirds of forests were destroyed. If this process continues with such intensity, the nature will be defeated, so today it is necessary to change the attitude of humanity to economic activity: to get away from the ecological crisis, humanity should work out a new way of thinking; he should act so as not to break the environment for the functioning of the living organism; he must exclude the exploitation of nature from his economic activities.

There is a tendency to become stronger in society (though not enough, slowly but still) that consolidation of the forces of humanity is needed to change the situation, including the potential for the integrity of financial means - in this sense, the growing trend is indeed observed. However, despite such growth, these expenses can not be combined with the negative consequences of the ecological crisis and the joint military budget of humanity. It is enough to note that even industrially developed countries use environmental expenditures only 1-2% of GDP, while the losses are 4-6% of their GDP.

The concept of sustainable development has been developed at the International Conference on ecclesiastical importance in 1992 in Rio de Janeiro. Sustainable development implies that in the field of economic policy, the principles recommended by the Conference on Economic and Environmental Relations must be maintained in each field. It is noteworthy that one of the decisions of the same conference says that the introduction of uniform rules for environmental issues is not necessary, and that this can be explained by the fact that in different countries there are peculiar and special conditions, therefore, a different approach to ecology protection is permissible. I do not think this should be useful for this case. This is more like a kind of justification given by scientists and specialists towards biased interests in this painless process. This would be acceptable only if in all countries a single (unit) organization under the auspices of the UN was engaged in environmental issues, because in the planet, today there is a very different, selfish approach - the motiva-



tion states that will always try to use such an approach to satisfy their interests and to avoid the necessary planetary responsibilities.

*Борис Буркинский  
Наталья Андреева  
Оксана Никишина*

## **МЕТОДОЛОГИЯ МОНИТОРИНГА «ЗЕЛеноЙ ЭКОНОМИКИ» УКРАИНЫ В КОНТЕКСТЕ УСТОЙЧИВОГО РАЗВИТИЯ<sup>22</sup>**

***Аннотация.** Статья по материалам научного доклада содержит результаты исследований, посвященные разработке и внедрению методологии мониторинга и методического обеспечения по определению экономико-экологических приоритетов «зеленой» экономики в контексте устойчивого развития Украины. На базе предложенного методологического подхода проведен мониторинг достижения 2, 6, 7, 8, 9, 11, 12, 15 Целей устойчивого развития в Украине, проведена их диагностика, определено взаимовлияние экономических показателей на экологические индикаторы.*

***Ключевые слова:** мониторинг, «зеленая экономика», устойчивое развитие*

### **Введение**

Все государства, независимо от имеющегося их природно-ресурсного потенциала и геополитического положения, сталкиваются с вызовами исчерпания природных ресурсов и наличия климатических изменений. Ответ на эти вызовы обуславливает необходимость внедрения в существующую международную практику новых моделей экономического роста, в частности концепции «зеленой экономики», которые содействовали бы тесному взаимодействию между экономикой, природной средой и качеством жизни населения. Реализация таких моделей способствует принятию эффективных управленческих решений с целью обеспечения устойчивого развития экономик современных государств.

Идеология «зеленого роста», которая с 2009 года начала разрабатываться Организацией Экономического Сотрудничества и Развития (ОЭСР), призвана в первую очередь стимулировать экономический рост и развитие благосостояние экономик отдельных стран, обеспечивая при этом сохранение и рациональное использование природных активов для того, чтобы они продолжали предоставлять сырье, энергию, воду и различные экосистемные услуги [Доповідь про зелену трансформацію в Україні на основі показників зеленого зростання ОЕСР, 2016:7]. Следует подчеркнуть, что концепция «зеленого роста» не подменяет концепцию устойчивого развития, а выступает практическим инструментом достижения целей устойчивого развития. Обе концепции основываются на принципах взаимодействия общества и природы и направлены на удовлетворение потребностей не только современного, но и будущего поколений. К отличительным особенностям концепции и стратегии «зеленого роста» ОЭСР следует отнести ряд аспектов [Доповідь про зелену трансформацію в Україні на основі показників зеленого зростання ОЕСР, 2016:7]: во-первых, природный капитал рассматривается в ней как фактор производства, а именно как производительный капитал, восстановление и наращивание которого нуждается в инвестициях; во-вторых, экологическая политика рассматривается как инвестиционная политика, направленная на повышение эффективности использования природных ресурсов путем развития и использования новейших ресурсо- и энергоэффективных низкоуглеродистых технологий; в-третьих, в ней декларируется, что зеленые виды деятельности и экологические инновации призваны способствовать структурной перестройке, повышению производительности труда, капитала, использования ресурсов, поддержанию перехода на новые технологии и модернизацию инфраструктуры; в-четвертых, тесная взаимосвязь между экономической и экологической политикой должна обеспечиваться путем использования таких инструментов как: более справедливое ценообразование и налогообложение с целью обеспечения ресурсосбережения; введение более жестких, но стимулирующих экологических стандартов и технических регламентов; реформирование системы субсидий на энергоресурсы; внедрение расширенной системы индикаторов для оценки результативности действий и принятия политических решений в этих направлениях.

---

<sup>22</sup> *Статья выполнена при финансовой поддержке правительства Украины в рамках НИР «Экономико-экологические приоритеты «зеленой экономики» в контексте устойчивого развития Украины» за счет средств бюджетной программы «Поддержка развития приоритетных направлений научных исследований» (КПКВК 6541230).*

Nordhaus offers the new analysis of why the former policy including the Kyoto Protocol could not slow down emissions of a carbon dioxide gas how new approaches there can be successful and what tools of policy will reduce most effectively emissions. Thus, it clears up the defining problem of our time and states the subsequent important steps for deceleration of a trajectory of global warming.

The complex of the **DICE** models (Dynamic Integrated Climate-Economy) and **RICE** (Regional Integrated Climate-Economy model) developed by Nordhaus, allows to make quantitative assessment of long-term perspectives of development of world economy taking into account the growing impact of climatic changes, to take into account the probabilistic nature of changes and effects of their influence on economy and dynamics of world GDP and also on economy of different regions of the world. These models constantly are updated and improved by Nordhaus, at the same time the basic model remains canonical. At the moment they are widely used at calculation of risks for economy from climatic changes in many countries of the world. Use of all advantages of "green economy" is very important for Georgia.

ეთერ კაკულია  
თეიმურაზ გოგოხია  
ნანა ბიბილაშვილი

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება –  
მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერა საქართველოში

*ანოტაცია.* ნაშრომში საუბარია მწვანე ეკონომიკის მნიშვნელობაზე, არსსა და პრინციპებზე. შესწავლილია საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერი ღონისძიებები, პროგრამები, კანონები, სტრატეგიები და წესდებები, რომელსაც ახორციელებენ თანამეგობრობის ქვეყნები და ადგილობრივი ინსტიტუტები. საუბარია ამ ქმედებებით მიღებულ და მოსალოდნელ შედეგებზე. გამოთქმულია მოსაზრება ამ მიმართულებით ქვეყანაში გასატარებელ სამუშაოებზე. უპირველესად ყურადღება უნდა მიექცეს ეკოკანონმდებლობას; ფინანსური წვდომის გაუმჯობესებას; ეკობიზნესის ხელშეწყობას მასში მცირე და საშუალო საწარმოების ჩართულობის გაძლიერების კუთხით; ეკო-მარკის მინიჭების პრაქტიკის დანერგვას.

*საკვანძო სიტყვები:* მწვანე ეკონომიკა, მწვანე ზრდა, პროგრამა, სტრატეგია, მხარდაჭერა, ასოცირების შესახებ შეთანხმება.

შესავალი

მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც ამცირებს ეკოლოგიურ პრობლემებს, მიზნად ისახავს მდგრად განვითარებას და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას.

გარემოსდაცვითი პრობლემები არა მარტო ჩვენს, არამედ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. რიგი წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის დაძლევის ძირითად მექანიზმად აღიარებულია „მწვანე ეკონომიკა“ და „მწვანე ზრდა“.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში დიდ დახმარებას გვიწევს ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება. ასოცირების შესახებ შეთანხმება ფარავს თითქმის ყველა გარემოსდაცვით მიმართულებას, გარდა ამისა, გვთავაზობს გზებს, ევროკავშირის ღირებულებებისა და რეგულაციების შესაბამისად, არსებული გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და ნორმების ეტაპობრივი მოდერნიზებისა და განახლებისათვის, რაც საბოლოოდ აყალიბებს მწვანე ეკონომიკას. ამდენად, საქართველოში მწვანე ეკონომიკის მხარდასაჭერის საკითხები ასოცირების შესახებ შეთანხმების კონტექსტში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

კვლევისას მიზნად დავისახეთ, შეგვესწავლა მწვანე ეკონომიკის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები, პროგრამები, კანონები, სტრატეგიები და წესდებები რომელსაც ასოცირებლებს ევროკავშირი/თანამეგობრობის ქვეყნები და ადგილობრივი ინსტიტუტები. უნდა აღინიშნოს, რომ შეინიშნება მეცნიერული და მინოგრაფიული ხასიათის შრომების სიმწირე მწვანე ეკონომიკაზე.

გატარებული მხარდამჭერი ღონისძიებებით სასურველი შედეგი არ არის მიღწეული. სხვა უამრავ გამოწვევასთან ერთად, განაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს: ეკოგანათლებას; ფინანსური წვდომის გაუმჯობესებას; ეკობიზნესის ხელშეწყობას მასში მცირე და საშუალო საწარმოების ჩართულობის გაძლიერების კუთხით; ეკო-მარკის მინიჭების პრაქტიკის დანერგვა.

\*\*\*

ბუნებაზე მთელი რიგი მიმართულებით ზემოქმედებამ, კერძოდ ომებმა, ქიმიის განვითარებამ და მისმა გამოყენებამ, ბუნებრივ ეკოკლიმატზე ხელოვნურმა ჩარევამ, ტრანსპორტის სიმრავლემ, ადამიანის მხრიდან ბუნების მუდმივმა დაუნდობლობამ, საწარმოო ნარჩენებმა და ა.შ., გამოიწვია გარემოს დაბინძურება იმ დონემდე, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში ჩნდება მოსაზრება – „გარემოს დაბინძურებით კაცობ-რიობას გადაშენება ემუქრება“. მსოფლიო გლობალური ეკოლოგიური საშიშროებების წინაშე აღმოჩნდა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან,

სწორედ აღნიშნულმა პრობლემამ (გარემოს დაბინძურებამ) გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დღის წესრიგში დააყენა „მწვანე ეკონომიკის“ განვითარების საკითხი. მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც ამცირებს ეკოლოგიურ პრობლემებს, მიზნად ისახავს მდგრად განვითარებას და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას. მართალია, თანამედროვე სახით მწვანე პოლიტიკას საფუძველი ჩაეყარა 60-იან წლებში, მაგრამ ისტორიკოსთა ნაწილი თვლის, რომ მისი ფესვები უფრო ღრმადაა. მათი აზრით, მწვანე პოლიტიკის ფესვები უნდა ვეძებოთ XIX საუკუნის დასასრულს. მწვანე პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძვლების კიდევ უფრო ადრეულ მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ, დიდი ბრიტანეთი, სადაც ჰაერის და წყლის დაბინძურების კანონები XIII საუკუნიდან მოქმედებს. ძველინდური ლიტერატურის ძეგლი - მანუსმრტი - მანუს კანონთა კრებული, ხაზს უსვამს, რომ არავინ უნდა მოკლას ცხოველები და გაანადგუროს მცენარეული სამყარო, აუცილებელია ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და ეკოსისტემების შენარჩუნება.

დღეს მწვანე ეკონომიკა მჭიდრო კავშირშია ეკოლოგიურ ეკონომიკასთან, ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიღწევას. შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებით აერთიანებს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს [4].

მწვანე ეკონომიკა სახელმწიფო და კერძო სექტორს ერთმანეთისაგან არ მიჯნავს. მწვანე ეკონომიკის მთავარი რეგულატორი არა სახელმწიფო ან კერძო ბიზნესია, არამედ საზოგადოება.

**მწვანე ეკონომიკის თეორია სამ ძირითად აქსიომას ემყარება:**

- შეუძლებელია გავლენის სფეროების უსაზღვრო გაფართოება შეზღუდულ სივრცეში;
- შეუძლებელია მუდმივად მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება განსაზღვრული რაოდენობის რესურსების არსებობის პირობებში;
- ყველაფერი, რაც დედამიწის ზედაპირზე არსებობს, მჭიდრო ურთიერთკავშირშია.

**მწვანე ეკონომიკის პრინციპებია:**

- სამართლიანობა და ობიექტურობა როგორც ერთი თაობის ფარგლებში, ისე თაობათა შორის;
- მდგრადი განვითარების პრინციპებთან თანხვედრა;
- პრევენციული მიდგომა სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მიმართ;
- ბუნებრივი და სოციალური კაპიტალის შეფასება, მაგ., საგარეო ხარჯების ინტერნალიზაცია;
- რესურსების მდგრადი და ეფექტური გამოყენება, მოხმარება და წარმოება;
- „მწვანე“ სამუშაო ადგილების შექმნა, სიღარიბის აღმოფხვრა, კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ზრდა [2].

**მწვანე ეკონომიკის ძირითადი სექტორებია:**

1. განახლებადი ენერჯია (მზის, ქარის, გეოთერმული, საზღვაო, მათ შორის, ტალღების, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერჯია);
  2. მწვანე შენობები (ენერჯიის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები);
  3. სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, პიბრიდული და ელექტროსატრანსპორტო საშუალებები);
  4. წყლის მენეჯმენტი (წყლის და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება);
  5. ნარჩენების მართვა (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენი, მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა);
  6. მიწის მართვა (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება) [5]
- თითოეულ სექტორში გატარებული სწორი ქმედებები ბუნებრივია განაპირობებს მწვანე ზრდას და აისახება ქვეყნის მწვანე ეკონომიკის განვითარებაზე.

\*\*\*

საკითხის შესწავლიდან ჩანს, რომ „მწვანე ზრდისა“ და მწვანე ეკონომიკის ფორმირებისას არსებით როლს თამაშობს გარემოს გაძლიერებული დაცვა, ამ უკანასკნელის ძირითადი სტრატეგიაა, მოხდეს ქვეყნის ეკოლოგიის გაჯანსაღება და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება მომავალი თაობებისთვის.

მწვანე ზრდის და მწვანე ეკონომიკის ფორმირება-განვითარების ხელშემწყობ მექანიზმს, ქვეყანაში ამ მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებთან ერთად, წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა (2017-2021). წინამორბედი ეროვნული პროგრამებისაგან განსხვავებით (გარემოს დაცვის მოქმედებათა პირველი (2000) და მეორე (2012-2016) ეროვნული პროგრამა), იგი ითვალისწინებს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესში წარმოქმნილ გამოწვევებს. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამების მომზადების ვალდებულება განსაზღვრულია საქართველოს კანონში „გარემოს დაცვის შესახებ“ (1997).

გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა შემუშავდა შემდეგი სამი ძირითადი პოლიტიკური ტენდენციის გათვალისწინებით:

- „საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“;
- „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები“ და ის გარემოსდაცვითი საერთაშორისო შეთანხმებები, რომელთა მხარესაც საქართველო წარმოადგენს;
- გარემოს დაცვასთან და ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებული ეროვნული და დარგობრივი სტრატეგიები [საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021 [7].

“საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებაში“ ყურადღება გამახვილებულია მდგრად განვითარებასა და მწვანე ეკონომიკაზე. კერძოდ, შეთანხმების 301-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას გარემოს დაცვის საკითხებზე, რითაც წვლილს შეიტანენ მდგრადი განვითარებისა და მწვანე



ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში. გარემოს გაძლიერებული დაცვა სარგებელს მოუტანს საქართველოსა და ევროკავშირის მოქალაქეებსა და ბიზნესსექტორს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ეფექტიანობის გაზრდის გზით, ასევე, თანამედროვე, სუფთა ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს წარმოების უფრო მდგრადი მოდელების ჩამოყალიბებას“.

ამასთან, მწვანე ზრდა და მწვანე ეკონომიკა გაეროს მიერ აღიარებულია მდგრადი განვითარების ხელშემწყობ მნიშვნელოვან ფაქტორებად. 2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“ (მდგრადი განვითარების მიზნები). წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას, რომელმაც ჩაანაცვლა „ათასწლეულის განვითარების მიზნები“ [6].

მდგრადი განვითარება გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და, რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით. იგი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელი მთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. მდგრადი განვითარება გულისხმობს პირობების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით. მდგრადი განვითარების მიზნები არის უპრეცედენტო შეთანხმება მდგრადი განვითარების შესახებ წევრ ქვეყნებს შორის.

მწვანე ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრებისა და გატარების საქმეში ეროვნულ დონეზე, მთავრობასთან ერთად, წამყვანს წარმოადგენს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. მხარს უჭერენ სხვა სამინისტროებიც და სახელმწიფო უწყებებიც, მათ შორის, ენერჯეტიკის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქსტატი და სხვ.

მწვანე ზრდისა და მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერაში მუნიციპალიტეტებიც გარკვეულ როლს ასრულებენ. “გამწვანების” დღის წესრიგისა და რეფორმების თვალსაზრისით თბილისი ყველაზე პროგრესულია; თუმცა, რამდენიმე საშუალო ზომის ქალაქმა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესების კუთხით გარკვეული ნაბიჯები გადადგა და განახორციელა სხვადასხვა ღონისძიებები. „მერების შეთანხმების“ ინიციატივის ფარგლებში რამდენიმე მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს მუშაობა მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმებზე. ამ შეთანხმებით მზად არიან 2030 წლისთვის ნახშირბადის გაფრქვევები სულ მცირე 30%-ით შეამცირონ [7].

2015 წლის აპრილში, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ (სამინისტრო/გბრდს), ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტთან თანამშრომლობით შეიმუშავა საგზაო რუკები გარემოს დაცვისა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების ნაწილში, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების შესრულების მიზნით. აღნიშნული საგზაო რუკები დაეხმარება სამინისტროს, განახორციელოს სამართლებრივი დაახლოების, პოლიტიკის შემუშავებისა და მსგავსი ქმედებები, ასოცირების შეთანხმების და მისი დანართების, ასევე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად, გარემოს დაცვისა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების სფეროში. აუცილებელია საგზაო რუკების რეგულარული გადახედვა და განახლება მიღწეული პროგრესის შესაბამისად. საგზაო რუკები პირველად განახლდა 2016 წლის ივნისში სამინისტროსა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ასოცირების შეთანხმების სტრუქტურის შესაბამისად, შეიქმნა ცხრა საგზაო რუკა ქვემოთ მოცემულ სფეროებში: 1) გარემოსდაცვითი მმართველობა; 2) ჰაერის ხარისხი; 3) წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა (მოიცავს საზღვაო გარემოს და არ მოიცავს სასმელ წყალს); 4) ნარჩენების მართვა; 5) ბუნების დაცვა (მოიცავს გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებს (გმო), სახეობებს (ვაჭრობა და თევზჭერის პოლიტიკა); 6) სამრეწველო დაბინძურება და საფრთხეები; 7) ქიმიური ნივთიერებების მართვა; 8) კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები (რაც მოიცავს ოზონის შრის დამწველ ნივთიერებებთან დაკავშირებულ ქმედებებსაც); 9) სატყეო სექტორი [25].

საქართველოში მწვანე ზრდის და მწვანე ეკონომიკის განვითარების საფუძვლების შექმნას მხარს უჭერს საერთაშორისო თანამეგობრობა. მათი მხარდაჭერით სრულდება სხვადასხვა პროგრამები. ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამისა (UN Environment) და გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის მეორე პლატფორმის - „ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა“ ფარგლებში საქართველოში ხორციელდება პროგრამა „მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ (EaP GREEN) ხუთ სხვა ქვეყანასთან ერთად. პროგრამის მიზანია მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა, კერძოდ ისეთი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, რომელიც გამორიცხავს გარემოს დეგრადაციას და ბუნებრივი რესურსების ამოწურვას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინსტრუმენტების რეფორმას, ახალი ანალიტიკური საშუალებების დანერგვას, დაფინანსების წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, შესაძლებლობების გაძლიერებასა და კერძო სექტორში საპილოტე პროექტების განხორციელებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციამ (UNIDO) საქართველოში განახორციელა „რესურს-ეფექტური და სუფთა წარმოების“ სადემონსტრაციო პროექტი (RECP), რომლის მიზანიც იყო კერძო კომპანიებში რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გარემოსდაცვითი საქმიანობის გაუმჯობესება და ამ გზით მდგრადი სამრეწველო განვითარების და მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა. პროექტში ჩართული იყო მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეიქმნა „რესურსეფექტური და სუფთა წარმოების“ კლუბები. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პროექტმა - „მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში გარემოსათვის მისაღები ქმედებების ხელშეწყობა“ - შეისწავლა ძირითადი პირობები და შესაძლებლობები, რომელებმაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში გარემოს დაცვის ეფექტიანობის ამაღლებას, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვას, ასევე მდგრადი წარმოებისა და მწვანე ბაზრების მნიშვნელობის ზრდის ფონზე მთავრობასა და ბიზნესს, ასევე ბიზნესს და ბიზნესს შორის დიალოგს [8].

RECP პროექტმა ქართულ სამრეწველო საწარმოებში იმ პრაქტიკული გზების დემონსტრირება მოახდინა, რომლებიც აუმჯობესებს წარმოებაში რესურსების გამოყენების პროდუქტიულობას, ამცირებს გარემოზე უარყოფით ზეგავლენას და მოაქვს ეკონომიკური სარგებელი.

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ფართო დანერგვის მიზნით პროექტმა ხელი შეუწყო ინდივიდუალური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას, რესურს-ეფექტური ტექნოლოგიების გადაცემას და შესაბამისი ინვესტიციების მხარდაჭერას, რაც წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მწვანე და კონკურენტუნარიანი წარმოების მისაღწევად [9].

ევროკავშირი ასევე მხარს უჭერს ფართომასშტაბიან პროგრამებს გარემოს, მწვანე ეკონომიკის, განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის სფეროებში გამოწვევების გადასაჭრელად საქართველოსა და სხვა მეზობელ ქვეყნებში. მაგალითად, ევროკავშირის შავი ზღვის აუზის სასახლო თანამშრომლობის პროგრამა აერთიანებს მეზობელი ქვეყნების მუნიციპალიტეტებს ისეთი საერთო გამოწვევების გადასაჭრელად, როგორცაა ზღვის ნაგავი. ცხადია, ამ გამოწვევის კომპლექსური გადაჭრა შავი ზღვის აუზის თითოეული ქვეყნის მწვანე ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ინტენსიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო დონორ და განმახორციელებელ ორგანიზაციასთან, რომელთა მხარდაჭერითაც ამჟამად მიმდინარეობს 60-ზე მეტი პროექტი შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერული ჰაერის დაცვა; წყლის რესურსების მართვა; მიწის რესურსების მართვა; ნარჩენები და ქიმიური ნივთიერებები; ბიომრავალფეროვნების დაცვა; კლიმატის ცვლილება; ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეები; ტყის რესურსების მართვა; დაცული ტერიტორიები; ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება; გარემოსდაცვითი მმართველობა; მწვანე ეკონომიკა; ურთიერთგადაამკვეთი საკითხები. მარტო 2016 წელს საერთაშორისო წყაროების ფინანსური მხარდაჭერით 29 ახალი პროექტი დაიწყო.

რაც შეეხება ენერგეტიკას, 2017 წლის 1 ივლისს საქართველო ენერგეტიკული თანამეგობრობის წევრი გახდა. ასოცირების შესაბამისი ოქმით განსაზღვრულია ასოცირების ხელშეკრულებით შეთანხმებული ენერგობაზრის მთავარი რეფორმების განხორციელების განრიგი, მათ შორის, ელექტროენერჯის და ბუნებრივი აირის ბაზრების, ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერჯის და ენერგეტიკასთან დაკავშირებული გარემოს სფეროების რეფორმები. ენერგეტიკული თანამეგობრობის სამდივნოს 2018 წლის სექტემბრის შეფასებით, საქართველოს მიერ ენერგორესურსებთან დაკავშირებული კანონების (acquis) შესრულების საერთო დონე 23%-ს შეადგენს. სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოება, რომელიც საქართველოში გამავალი ბუნებრივი აირის სამხრეთის დერეფნის ნაწილია, დასრულდა. ენერგეტიკული თანამეგობრობა არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ევროკავშირსა და მის მეზობლებს, რათა შეიქმნას ინტეგრირებული საერთო ევროპული ენერგეტიკული ბაზარი [24].

კლიმატის ცვლილების შესახებ პარიზის შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ საქართველო ნახშირბადის გლობალური გამონაბოლქვის შეზღუდვის მოთხოვნის ფარგლებში მიზნად ისახავს ქვეყანაში ნახშირბადის გამონაბოლქვის ოდენობის შემცირებას.

2016 წლის 8-10 ივნისს ბათუმში გაიმართა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) - „გარემო ევროპისათვის“ რიგით მე-8 მინისტრიალი. მინისტრიალის ფარგლებში საქართველოში 56 ქვეყნიდან დაახლოებით 600-მდე დელეგატი ჩამოვიდა. მინისტრიალმა იმუშავა შემდეგ ძირითად თემებზე: „მწვანე ეკონომიკის განვითარება პან-ევროპულ რეგიონში“ და „ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება უკეთესი გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის“. ამასთან, კონფერენციის ფარგლებში, მაღალი დონის შეხვედრა გაიმართა თემაზე: „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ [10].

საქართველოს მთავრობამ გარკვეული პრიორიტეტული სტრატეგიები და ქმედებები დასახა „მწვანე პრაქტიკის“ წახალისებისთვის, დაიგეგმა მეწარმეთათვის შესაბამისი ტრენინგპროგრამისა და კონსულტაციების შემუშავება. გარდა ამისა, სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურის საქმიანობის სფეროსა და ამოცანების განსაზღვრისას საგანგებოდ აღინიშნა „მწვანე ეკონომიკის წახალისებისათვის საჭირო დონისძიებების გატარება“ 3 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში (სამოქმედო გეგმაში) აღნიშნულია, რომ:

საქართველოს მთავრობის მიზანია იმგვარი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრად განვითარებას;

სახელმწიფო წახალისებს გარემოსდაცვითი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და „მწვანე“ ეკონომიკის განვითარებას;

ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მიზნით, მთავრობა წახალისებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, რომელიც ორიენტირებული იქნება ახალი ტექნოლოგიების შემოღებაზე, განსაკუთრებით ეს შეეხება გარემოსდაცვითი და რესურსდამზოგავ ტექნოლოგიებს, რაც წახალისებს „მწვანე“ ეკონომიკის განვითარებას;

ამ ამოცანის განსახორციელებლად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის კორპორაციის (GIZ) მიერ მომზადდა მწვანე ზრდის პოლიტიკის დოკუმენტი.

ამასთან ერთად, 2016 წლის ნოემბერში საქართველო მიუერთდა „მწვანე ზრდის დეკლარაციას“, რომლის შესაბამისად ქვეყნები აცხადებენ, რომ გააძლიერებენ მწვანე ზრდის სტრატეგიებზე მუშაობის ძალისხმევას იმის გათვალისწინებით, რომ მათში ერთდროულად იყოს გათვალისწინებული „მწვანე“ და „ზრდა“, ასევე ხელს შეუწყობენ მწვანე ინვესტირებას.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის (მსმ) განვითარების სტრატეგია 2016-2020 ერთ-ერთ უპირატეს ქმედებად ისახავს მცირე და საშუალო საწარმოების “მწვანე ეკონომიკაში ჩართვას”, მსმ-ს განვითარების სამოქმედო გეგმაში (2016-2020) გაწერილია ქმედებები: RECP ტრენინგპროგრამების შემუშავება მწვანე ტექნოლოგიების შემდგომი დანერგვისათვის; კონსულტაციები და ტრენინგები გარემოსდაცვით საკითხებზე; კურსები მენეჯმენტი გარემოს დაცვით სფეროში (ნარჩენების მართვა მსმ-ს) 2015 წლამდე, კერძოდ ნარჩენების მართვის კოდექსის მიღებამდე საქართველოში არ არსებობდა ნარჩენების მართვის სათანადო სისტემის შექმნის საკანონმდებლო საფუძველი. ნარჩენების მართვის კოდექსი ამკვიდრებს პრინციპების/მოთხოვნების რიგს და აკისრებს ვალდებულებებს როგორც

ნარჩენების წარმოქმნელებს, ასევე ნარჩენების მართვის ობიექტების ოპერატორებს. ზოგიერთი მოთხოვნა უკვე ძალაშია, დანარჩენი მოთხოვნები ეტაპობრივად ამოქმედდება, კოდექსში განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად. ნარჩენების მართვის კოდექსი სანქციებს ითვალისწინებს, კერძოდ 2 კგ-მდე მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება ჯარიმდება 80 ლარის ოდენობით, იგივე ქმედება, ჩადენილი საცხოვრებელი სახლიდან ან სხვა შენობა-ნაგებობიდან – ჯარიმდება 100 ლარის ოდენობით, იგივე ქმედება, ჩადენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან, მძღოლი, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემთხვევაში, დამრღვევი ჯარიმდება – 120 ლარის ოდენობით. ამასთან, 5 ერთეულამდე საბურავით (გარდა ველოსიპედის საბურავისა) გარემოს დანაგვიანება ჯარიმდება 150 ლარით, 5 ერთეული ან 5 ერთეულზე მეტი საბურავით (გარდა ველოსიპედის საბურავისა) გარემოს დანაგვიანება 500 ლარით ჯარიმდება. 2 კგ-მდე ბატარეის, აკუმულატორის, ელექტრონათურის, ელექტროსაქონლის, გრაფიტის ელექტროდის, ბასრი ან მხვლეტავი საგნის (მათ შორის, შუშის ნამსხვრევების, ლურსმნის ან სხვა მსგავსი საგნის) ნარჩენით გარემოს დანაგვიანებისთვის 100 ლარის ჯარიმაა გათვალისწინებული. 2 კგ ან 2 კგ-ზე მეტი მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანებისთვის 150 ლარი, იურიდიული პირისთვის 500 ლარი. გარდა ამისა, კანონით, 1 მ<sup>3</sup>-ზე მეტი მოცულობის მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება იწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 300 ლარით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1000 ლარით. დიდი მოცულობის ნარჩენით (მათ შორის, სატრანსპორტო საშუალების, ელექტრო ან ელექტროტექნიკური დანადგარის, სამშენებლო დანადგარის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის) გარემოს დანაგვიანების შემთხვევაში ფიზიკური პირი ჯარიმდება 500 ლარით, ხოლო იურიდიული პირი 1500 ლარით. მიუხედავად ამისა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2018 წელს კოდექსის დარღვევის 566 ფაქტი გამოავლინეს.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში განხორციელდა რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც მიზნად ისახავდა კანონმდებლობისა და შესაბამისი სტრატეგიების შესრულებას და თანამედროვე სტანდარტებისა და საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისი ნარჩენების მართვის სისტემის დანერგვას.

2019 წელს ევროკავშირის მხრიდან მწვანე ეკონომიკის განვითარების მექანიზმების გაძლიერების მხარდასაჭერად უფრო ფართომასშტაბიანი პროგრამები იწყება.

ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის კონტექსტში აფინანსებს ახალ მრავალეროვან პროგრამას EU4Environment (ევროკავშირი გარემოსთვის), რომლის განხორციელება საქართველოში დაიწყო 2019 წლის აპრილის თვეში. პროგრამის EU4Environment მიზანია, ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებს დაეხმარონ, შეინარჩუნონ და უკეთ გამოიყენონ თავიანთი ბუნებრივი კაპიტალი, გაზარდონ მოსახლეობის ეკოლოგიური კეთილდღეობა და გამოიყენონ განვითარების კუთხით წარმოქმნილი ახალი შესაძლებლობები. მაგალითად, საწარმოები (კონკრეტულად კი მცირე და საშუალო ზომის) შემდგომი სახის დახმარებას მიიღებენ ენერჯის, წყლის და მასალების დაზოგვის კუთხით: წამყვანი საერთაშორისო ექსპერტები გარემოსდაცვით მმართველობასთან დაკავშირებით კონსულტაციებს გასწევენ, ეს კონსულტაციები ისეთ თემებს შეეხება, როგორებიცაა კანონმდებლობასთან შესაბამისობა, სახელმწიფო სახსრების უფრო ეფექტიანად გამოყენება თუ ადმინისტრაციული შესაძლებლობების შექმნა. ადგილობრივ თემებთან ერთად მოხდება ტყეების ეკოლოგიურად უფრო სუფთად მართვის კუთხით არსებული შესაძლებლობების შესწავლა და განხორციელება.

პროგრამა EU4Environment გააგრძელებს თანამშრომლობას, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული იმ ინიციატივების ფარგლებში, რომლებიც უკვე ხორციელდება, ესენია: „აღმოსავლეთ სამეზობლოში ეკონომიკის გამწვანება“ (EaP GREEN), „სატყეო კანონმდებლობის აღსრულება და მართვა“ (FLEG) და „ზურმუხტისფერი ქსელი“ (The Emerald Network).

ეს ახალი პროგრამა მხარს დაუჭერს საქართველოს ძალისხმევას, მწვანე ეკონომიკის განვითარების მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ მიმართული ღონისძიებების გასაუმჯობესებლად. აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყნისთვის ამ პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 20 მილიონი ევრო გამოიყოფა. EU4Environment 2019-2022 წლებში განხორციელდება ხუთი საერთაშორისო პარტნიორის მონაწილეობით, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით ეკონომიკის გამწვანების კუთხით წამყვან როლს ასრულებენ, ესენია: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაეროს სამრეწ-

ველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO), გაეროს გარემოს პროგრამა (UN Environment), ევროპისთვის გაეროს ეკონომიკური კომისია (UNECE) და მსოფლიო ბანკი [საქართველოს ეკონომიკური ზრდის გამწვანება: საქართველოში პროგრამის სახელად EU4Environment („ევროკავშირი გარემოსთვის“) განხორციელება იწყება [11].

საკითხის შესწავლიდან ჩანს, რომ ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოში გარკვეული სამუშაოებია ჩატარებული მწვანე ეკონომიკის განვითარების მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით.

ევროკავშირის და ადგილობრივი ინსტიტუტების მიერ გაწეული სამუშაოების შედეგია ის, რომ BioFach 2019 გამოფენის ფარგლებში ქართულმა კომპანიებმა 600 000 ევროზე მეტი ღირებულების შეკვეთები მიიღეს საერთაშორისო მყიდველებისგან. გამოფენა წარმოადგენს ორგანული პროდუქციის მსოფლიოს წამყვან სავაჭრო ბაზრობას ნურემბერგში (გერმანიაში). მონაწილე კომპანიები საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრის - „აღმოსავლეთის პარტნიორობა: მზაობა ვაჭრობისთვის“ - პროექტის ბენეფიციარები არიან. მოცემული პროექტი ფინანსდება ევროკავშირის მიერ EU4Business ინიციატივის ფარგლებში, რომლის მიზანია აღმოსავლეთ ევროპის მცირე და საშუალო საწარმოების მიერ მსოფლიო ბაზრებთან კავშირების დამყარების ხელშეწყობა.

BioFach ორგანული პროდუქციის მსოფლიოს უმსხვილესი ბაზრობაა. მასზე თავს იყრის 3200-ზე მეტი მონაწილე და დაახლოებით 50 000 კომერციული ვიზიტორი 130 ქვეყნიდან. გამოფენა წარმოადგენს დარგის მომწოდებლებისა და საკვანძო სპეციალისტების შეხვედრის ადგილს. გამოფენაში მონაწილეობის წყალობით, ქართულმა კომპანიებმა ახალი კომერციული შესაძლებლობები და პარტნიორები მოიძიეს. BioFach გამოფენაზე საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრის მიერ მხარდაჭერილი დელეგაციის წევრმა მწარმოებლებმა საქართველოდან წარმოადგინეს სხვადასხვა ორგანული პროდუქცია, მათ შორის სანელებლები, წვენები და ჩაი. ბიზნესშეხვედრების დროს ქართულმა კომპანიებმა 60-ზე მეტი ახალი ბიზნეს კონტაქტი დაამყარეს წამყვან კომპანიებთან ევროკავშირიდან, კანადიდან და ტაივანიდან და მიიღეს ორგანული პროდუქციის შეკვეთები 15 მყიდველისგან. ბროწეულის წვენი და მცენარეული ჩაი იმ პროდუქტებს შორის იყო, რომლებმაც ყველაზე დიდი ყურადღება მიიქცია [12].

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმ ბიზნესპროექტების დაფინანსებაზე, რომლებიც ეკოლოგიურად სუფთა, საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტებთან მაქსიმალურად მიახლოებულ, ხარისხიან პროდუქციას აწარმოებენ. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა (OECD) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2015 წელს 16396 საწარმოზე ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით სურათი ასეთია: საწარმოთა 83,1% საერთოდ არ აწარმოებს და, შესაბამისად, არ სთავაზობს მომხმარებელს მწვანე პროდუქციას/მწვანე მომსახურებას და არც სამომავლოდ გეგმავს საქმიანობის ამ მიმართულებით წარმართვას. საწარმოთა 7,7% მომხმარებელს სთავაზობს მწვანე პროდუქციას/მწვანე მომსახურებას, მაგრამ მათ შორის არც ერთს არ აქვს მინიჭებული ეკომარკა. საწარმოების 7,3% აპირებს, მომდევნო 2 წლის განმავლობაში აწარმოოს მწვანე პროდუქცია. საგულისხმოა, რომ გამოკითხული საწარმოების მხოლოდ 1,9% სთავაზობს მომხმარებელს ისეთ მწვანე პროდუქციასა და მომსახურებას, რომლებსაც მინიჭებული აქვს ეკომარკა. მნიშვნელოვანია, რომ მწვანე მეურნეობის განვითარებისთვის ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორები ფინანსური სტიმულირება და ფინანსურ რესურსებზე უკეთესი წვდომა შესაბამისად უდრის 28,8 და 25,6 % -ს.

OECD-ის ეგიდით 2016 წელსაც ჩატარდა მსგავსი ტიპის გამოკვლევა, რომელმაც შეისწავლა ქვეყანაში მსს-ის პოლიტიკის ინდექსი. კვლევის შედეგმა აჩვენა რომ, მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა, „მწვანე ბიზნესის სტიმულირების მარეგულირებელი და ფინანსური ინიციატივების მწვავე ნაკლებობა“ [თამარ ასათიანი, მწვანე მეურნეობის პროექტების ხელშეწყობა „საპარტნიორო ფონდის“ ინვესტირების ფარგლებში, საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი, 2017].

## დასკვნა

საკითხის შესწავლიდან ჩანს, რომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება, აქ გაწერილი ქმედებების შესრულება ქვეყანაში მწვანე ეკონომიკის ფორმირება-განვითარების სრულ შესაძლებლობას იძლევა. ამავე დროს ჩანს, რომ დღემდე ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებებით სასურველი შედეგი არ არის მიღწეული. განაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს: ეკოგანათლებას; ფინანსური წვდომის გაუმჯობესებას; ეკობიზნესის ხელშეწყობას მასში მცირე და საშუალო საწარმოების ჩართულობის გაძლიერების კუთხით; ეკომარკის მინიჭების პრაქტიკის დანერგვა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ-სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ საქართველოს შორის. [http://mfa.gov.ge/ Association-Agreement.aspx](http://mfa.gov.ge/Association-Agreement.aspx)
2. მაია ბლიაძე, მწვანე ეკონომიკა, 12 სექტემბერი, 2018. <http://mastsavlebeli.ge/?p=19149>
3. Tbilisi, 16/05/2019 - 08:47, UNIQUE ID: 190516\_7  
[https://eeas.europa.eu/delegations/georgia/62488/98\\_ka\\_Press\\_releases](https://eeas.europa.eu/delegations/georgia/62488/98_ka_Press_releases)
4. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა [http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane\\_politika\\_da\\_garemos\\_dacva.pdf](http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf)
5. მარიამ ბერძენიშვილი, მწვანე ეკონომიკა. <http://eiec.gov.ge/%E1.aspx>  
<http://eiec.gov.ge/Home.aspx>
6. იხ. ვრცლად ახალი გლობალური დღის წესრიგი მდგრადი მომავლისათვის: [http://www.ungeorgia.ge/geo/sustainable\\_development\\_goals#.XOUnlCAzb4Y](http://www.ungeorgia.ge/geo/sustainable_development_goals#.XOUnlCAzb4Y)
7. [moe.gov.ge/res/images/file-manager/strategiuli.../strategiebi.../2017-2021.pdf](http://moe.gov.ge/res/images/file-manager/strategiuli.../strategiebi.../2017-2021.pdf)
8. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021 წწ. თბ., 2017. <http://moe.gov.ge/res/images/file-manager/strategiuli-dokumentebi/strategiebi-gegmebi/2017-2021.pdf>
9. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ [www.recp.ge](http://www.recp.ge); EaP GREEN პროგრამის ვებგვერდი [www.green-economies-eap.org](http://www.green-economies-eap.org)
10. ბათუმი მე-8 საერთაშორისო გარემოსდაცვით მინისტრიალს მასპინძლობს <http://www.adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=375882&gid=10#.XOZOStIzb4Y>
11. საქართველოს ეკონომიკური ზრდის გამწვანება: საქართველოში პროგრამის სახელად EU4Environment („ევროკავშირი გარემოსთვის“) განხორციელება იწყება <https://eeas.europa.eu/delegations/georgia/61374/saqarTvelos-e>
12. ქართული ორგანული სურსათის მწარმოებლები მსოფლიო ასპარეზზე გადიან BioFach 2019 გამოფენის ფარგლებში [http://www.eu4business.eu/ka/news/kartuli-organuli-sursatis-mcarmoeblebi-msoplio-aspazze-gadian-biofach-2019-gamopenis\]](http://www.eu4business.eu/ka/news/kartuli-organuli-sursatis-mcarmoeblebi-msoplio-aspazze-gadian-biofach-2019-gamopenis)
13. <http://recp.ge/wp-content/uploads/2018/01/Green-economy-newsletter-GE-1.pdf>
14. საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსი 26 დეკემბერი, 2014
15. ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია 2016-2030 და და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა.
16. ირმა ქავთარაძე - „მწვანე ზრდა“ ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს სტაბილურობას ერთდროულად გულისხმობს 28-03-2018. <http://www.economy.ge/?page=news&nw=654&s=irma-qavtaradze-mwvane-zrda-ekonomikur-ganvitarebasa-da-garemos-stabilurobas-ertdroulad-gulisxmobs>
17. 2018 წელს ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევის 566 ფაქტი გამოვლინდა 18.01.2019 <https://1tv.ge/news/2018-wels-narchenebis-martvis-kodeqsis-darghvevis-566-faqti-gamovlinda/>
18. თამარ ასათიანი, მწვანე მეურნეობის პროექტების ხელშეწყობა „საპარტნიორო ფონდის“ ინვესტირების ფარგლებში; საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი, 2017.
19. „დღეს უკვე მწვანე ეკონომიკა განიხილება როგორც ერთ-ერთი აუცილებელი ინსტრუმენტი მდგრადი განვითარების მისაღწევად“, 2016. ი პოლიტიკა — 2016/06/08 <http://www.times.ge/archives/64467>
20. საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა, 2017, საქ. სტატ.

21. საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, 2016 წლის ანგარიში.

22. ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ, ბრიუსელი, 3 1.01. 2019.

23. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის; მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა.

24. <https://www.energy-community.org/>

25. <http://moe.gov.ge/res/images/file-manager/sajaro-informacia/roadmapsforEUapproximationGEO.pdf>

**Eter Kakulia**  
**Teimuraz Gogokhia**  
**Nana Bibilashvili**

**EU-GEORGIA ASSOCIATION AGREEMENT –  
GREEN ECONOMY SUPPORT IN GEORGIA  
Summary**

The work covers the issues on the significance, essence and principles of green economy. Programs, laws, strategies and statutes supporting the development of green economy in Georgia are conducted by the community and the local institutions. The issues related to the expected and received outcomes are discussed in the work. Opinions on the work to be carried out in this direction are expressed. First of all, attention should be paid to ecological care; Improve financial access; Promotion of ecosystem, in terms of enhancing involvement of small and medium enterprises; Introduction of Eco-Making Practice

*რუსუდან კვარაცხელია  
დავით კაკაბაძე*

**განათლების როლი „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირებაში**

*"ცოდნა არის სოციალური ცვლილებების ძრავა"  
ნიკო სტერი*

**ანოტაცია.** „მწვანე ეკონომიკის“ კონცეფცია მრავალგანზომილებიანია, მისი ერთ-ერთი მთავარი პრინციპია ცივილიზებული საზოგადოებაში, მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები დაბალანსებული იყოს გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად. ძირითად ამოცანას კი წარმოადგენს ის, რომ ეს პრინციპი გადაიზარდოს კონკრეტულ სოციალურ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ პროგრამებსა და პროექტებში, რათა ჩამოყალიბდეს განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მდგრადი ფორმები. ყოველივე ამის მიღწევა, ვფიქრობთ, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მიმართულებით შესაბამის განათლებას პიროვნება ჯერ კიდევ სასკოლო ასაკიდან მიიღებს.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ბიზნესის ცენტრი, მწვანე სამუშაო ადგილები, მწვანე პროდუქტი, მწვანე ბიზნესის კლუბი, ჰუმანური საზოგადოება.

**შესავალი**

დღითიდღე იზრდება ადამიანური კაპიტალის როლი და მნიშვნელობა. შესაბამისად, იზრდება განათლების როლი ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარჩვევების განვითარებაში. განათლება მრავლისმომცველი ცნებაა. ეს არის პრიორიტეტული მიმართულება, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანის სოციალიზაციის პროცესში.

**\* \* \***

დღეს საქართველოს მთავრობისათვის პრიორიტეტულია ქვეყანაში განათლების ყველა საფეხურზე ხარისხიანი და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სისტემის ფორმირება. „გა-

ნათლება განვითარების ფუნდამენტური ფაქტორია და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების გარეშე შეუძლებელია მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა. მხოლოდ ძლიერი და სოციალურად სამართლიანი საგანმანათლებლო სისტემის პირობებშია შესაძლებელი ქვეყანაში არსებული სოციალური, კულტურული და ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრა<sup>31</sup>.

რატომ იმატა სკოლებში ძალადობის შემთხვევებმა? რატომ იკვეთება აგრესია მოზარდებში? მოზარდთა მიმართ არსებული პრობლემები რიგი მიმართულებით საგანგაშოა, რასაც სახელმწიფო სისტემურად უნდა მიუდგეს. ვფიქრობთ, მაღალი ცივილიზაციის ტრანსფორმაციის მნიშვნელოვანი წინაპირობა უნდა იყოს ინდივიდუალური, მორალური და ეთიკური დამოკიდებულების სისტემის რესტრუქტურისაცია. მათ შორის, უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მივიჩნევთ „მწვანე ეკონომიკის“, გარემოს დაცვის, ეკოლოგიურად უსაფრთხო ბიზნესის სწავლებას სკოლებში, როგორც მოზარდის ჰუმანური ფსიქო-ემოციური განვითარების საფუძველს. მომავალი თაობების ფუნდამენტურ განათლებაში აუცილებლად უნდა იკვეთებოდეს მდგრადი განვითარების კონცეფციის სოციალური კომპონენტი. მოზარდის ფსიქოლოგია, მისი შემეცნება, სამყაროს აღქმა უნდა ხდებოდეს ბუნებასთან ჰარმონიზებით, სათუთი დამოკიდებულებით.

მეორე მხრივ, რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკურ გაძლიერებას, ვფიქრობთ, ეს რეგიონული ეკონომიკის გაჯანსაღების საფუძველზე უნდა მოხდეს. რეგიონალიზაცია, გარდა იმისა, რომ ქვეყნის სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური განვითარების მყარი საძირკველია, ამავე დროს წარმოადგენს ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლების საშუალებას. ეს კი პირდაპირ პასუხობს მდგრადი განვითარების კონცეფციის სოციალურ კომპონენტს. მდგრადი განვითარების კონცეფცია ორიენტირებულია საზოგადოების სოციალურ განვითარებაზე. მდგრადი განვითარების შესახებ კოპენჰაგენის მსოფლიო სამიტმა 1995 წელს ხაზი გაუსვა სოციალური სეგრეგაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობას. იგი მიზნად ისახავს შეინარჩუნოს სოციალური და კულტურული სტაბილურობა, მათ შორის გულისხმობს გლობალურ დონეზე კულტურული კაპიტალის შენარჩუნებას მდგრადი განვითარების პრაქტიკის სრულად გამოყენების გზით.

თანამედროვე საქართველოს რეგიონებში მკვეთრად არის გამოხატული უთანასწორობის ზრდა. დიდი ქალაქები გაცილებით სწრაფად ვითარდება, ვიდრე ზოგიერთი მცირე და კიდევ უფრო ნელა ვითარდება სოფლები. რეგიონული განვითარების დონის დიფერენცირების ამჟამინდელი მასშტაბის ძირითადი მიზეზებია: რეგიონის ადამიანური რესურსების განვითარების დონის შემცირება და ინტელექტუალური პოტენციალის მიგრაცია დედაქალაქში ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ; გლობალიზაციის უარყოფითი ფაქტორები: უცხოეთიდან დაბალი ხარისხის და ყალბი, იაფი პროდუქტების მასიური შემოდინება, მოსახლეობის ჯანმრთელობის შესუსტება; ადგილობრივ პროდუქციაზე შიდა მოთხოვნის შემცირება; ანთროპოგენური საქმიანობის გამო გარემოს მდგრადობის გაუარესება; ინოვაციურად მოაზროვნე მოსახლეობის ჩამოყალიბებაში სწორი საგანმანათლებლო ფაქტორების როლის შემცირება და ა.შ. შესაბამისად, საჭიროა, პირველ რიგში, მიზანმიმართული, სპეციალური საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარება რეგიონებში.

ეფექტიანი რეგიონული განვითარების სტრატეგიის შემუშავების მიზნით, უნდა მოხდეს პრიორიტეტების იდენტიფიცირება. ამისათვის კი აუცილებელია რეგიონული განვითარების სტრატეგიის შემუშავება შემდეგი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების მიხედვით: 1. კონკრეტული რეგიონისთვის დამახასიათებელი, ისტორიული, კულტურული, მყარი კონკურენტუნარიანობა; 2. რეგიონში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ეკოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით.

რეგიონების განვითარება ხშირად დომინირებულია მემკვიდრეობით ან ქვეყნის პროგრესის „გზაზე“ დამოკიდებულებით. სწორედ მემკვიდრეობითობა არის ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ხშირად სათანადოდ არ არის შეფასებული. სრულიად შესაძლებელია, რომ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ეყრდნობოდეს მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ მახასიათებლებს და არაფორმალურ ინსტიტუტებს (ტრადიციები და ნორმები), რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის მობილობის, ზოგადად ადამიანური და სოციალური კაპიტალის ფორმირებაზე. რეგიონის სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური განვითარებისთვის მიზანშეწონილია, გამოვიყენოთ ტიპოლოგიური

<sup>31</sup> „saqarTvelos socialur-ekonomikuri ganviTarebis strategia saqarTvelo 2020“



მიდგომა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავეცნოთ მისთვის ინდივიდუალურად შესაფერის მემკვიდრეობით, ტრადიციულ კულტურულ ფაქტორებს, რაც დადებით ზეგავლენას მოახდენს მდგრად განვითარებაზე და შევიმუშაოთ შესაბამისი წინადადებები. ეს ხელს შეუწყობს მთავრობის მხარდაჭერის ღონისძიებების ეფექტიანობას. თუ მთავრობას სურს ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, ის პირველ რიგში უნდა დაეყრდნოს იმ რეგიონებს, რომლებსაც აქვთ კონკურენტული უპირატესობა კონკრეტული მიმართულებით. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ, მაგალითად, სოფლის მეურნეობაში ტრადიციულ, ისტორიულ და ენდემურ ფაქტორებს. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ქართული, გემოვნური თვისებებით გამორჩეული კარტოფილი, რა თქმა უნდა ბიოლოგიურად სუფთა მეთოდით, მასობრივი წარმოებისთვის უნდა მოვიყვანოთ ახალციხეში, ახალქალაქში, დმანისსა და სვანეთში; ხილი - ახალციხესა და გორში; ხახვი, ჭარხალი, კომბოსტო - ქარელსა და კასპში; მანდარინი განაკუთრებულია ხეთასა და კოხორაში, საფერავი - ხაშში, გორული მწვანე - ატენში და ა.შ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ევროკავშირის ბიოპროდუქტების ბაზარი მზარდია და საქართველოს, მისი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მაღალი გემოვნური თვისებების მქონე პროდუქტითა თუ სხვადასხვა ეკოლოგიურად უსაფრთხო, კულტურულ-ტრადიციული პროდუქტით დიდი პოტენციალი აქვს, დაიპყროს ევროკავშირის ბაზრის აღნიშნული, ჯერ კიდევ თავისუფალი სეგმენტი.

ცნობილია, რომ ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების და განვითარების ქვაკუთხედიანია. რეგიონების ეკონომიკური გაძლიერებისთვის, პირველ რიგში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა უნდა მოხდეს. ვინაიდან, სხვადასხვა რეგიონს ბიზნესის განვითარების სხვადასხვა პოტენციალი გააჩნია, ამიტომ ბიზნესის განვითარების პოლიტიკა მართვის რეგიონულ დონეზე უნდა შემუშავდეს ისევე, როგორც ეს ევროპის ქვეყნებში ხდება. რაც შეეხება „მწვანე ბიზნესს“, იგი გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და, რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით. იგი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელი მთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. მდგრადი განვითარების საფუძველზე განვითარებული „მწვანე ბიზნესი“ კონცეპტუალურად სამ პრინციპს ეყრდნობა: ეკოლოგიური, ეკომონიმიკური და სოციოპოლიტიკური მდგრადობა.<sup>32</sup> ყოველი ეკონომიკური პროექტი, ყოველი „მწვანე ბიზნესგეგმა“ წინასწარ უნდა შეფასდეს მისი ეკონომიკური სარგებლიანობისა და ბუნებაზე მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, მხოლოდ და მხოლოდ მდგრადი განვითარების არსის და პრინციპების დაცვის ფარგლებში.

მდგრადი ეკოლოგიური განვითარება, შესაბამისად „მწვანე ეკონომიკა“, გულისხმობს ისეთი ეკონომიკური მექანიზმის შექმნას, რომელიც განაპირობებს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სრულყოფას, ინოვაციური საქმიანობის ეკოლოგიურ-ეკონომიკური მექანიზმების შექმნას და ეკონომიკური ზემოქმედების სისტემის ფორმირებას წარმოების ეკოლოგიზაციაზე. ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის სტაბილური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. კორპორაციული მდგრადობისთვის ყველაზე ფართოდ მიღებული კრიტერიუმი შეიცავს ფირმის მიერ ბუნებრივი კაპიტალის ეფექტიანად გამოყენებას. თუმცა დილიჩი და ჰოკერტსი მიუთითებენ, რომ მხოლოდ ბიზნესქეისი არ იქნება საკმარისი, რომ განახორციელონ მდგრადი განვითარება. ისინი მიუთითებენ ეკო-ეფექტურობაზე, სოციო-ეფექტურობაზე, საფუძვლიანობაზე და ეკო-სამართლიანობაზე, როგორც ოთხ კრიტერიუმზე, რომელიც საჭიროა მდგრადი განვითარების მისაღწევად.<sup>33</sup> თანამედროვე საქართველო სრულად არის ჩართული საერთაშორისო პროექტებში. ევროკავშირის პროექტი EU4Climate, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანაში - აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვაში, საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში მიმდინარეობს, გულისხმობს კლიმატთან დაკავშირებული პოლიტიკისა და კანონმდებლობის გაუმჯობესებას და კლიმატის ცვლილების უარყოფითი გავლენის შემცირებას.

<sup>32</sup> **Handbook of Green Economics: Practitioner's Guide.** Handbook of Green Economics: A Practitioner's Guide (Green Economics Institute Handbook) [Paperback] Miriam Kennet (Author), Eleni Courea (Author), Alan Bouquet (Author), Ieva Pepinyte (Editor) Publisher: The Green Economics Institute (1 Dec 2011)

<sup>33</sup> Hadi Moheb-Alizadeh and Robert Handfield, Sustainable Supplier Selection and Order Allocation: A Novel Multi-Objective Programming Model with a Hybrid Solution Approach, *Computers & Industrial Engineering*, 10.1016/j.cie.2019.01.011, (2019).

ამ რეალობაში გასათვალისწინებელია, რომ "მწვანე ეკონომიკის" ჩამოყალიბება და გლობალურ პროცესებში ჩართვა მოითხოვს პროფესიონალი კადრების მომზადებას. ვინაიდან დიდია გარემოსდაცვითი განათლების გავლენა „მწვანე ზრდის“ პროცესზე, ეგრეთ წოდებული „მწვანე სამუშაო ადგილების“ ინტერესი სწრაფად იზრდება მსოფლიოში. აუცილებელია პროფესიული პერსონალის გადამზადების პროცესის დაჩქარება და ხარისხის ამაღლება. ასევე საჭიროა მთელი ბიზნესგარემოს, მთავრობის, დამსაქმებლებისა და განათლების სისტემის კოორდინირებული ქმედებები უსაფრთხო და ღირსეული სამუშაო პირობების შესაქმნელად. უნდა შემუშავდეს ეფექტიანი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვას, ინვესტიციების მოზიდვას, „მწვანე სამუშაო ადგილების“, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შექმნას „მწვანე ბიზნესის“ მიმართულებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან და ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მეტი ეფექტიანობისა და შედეგის სრულყოფილებისთვის, ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოს ყველა რეგიონში უნდა ფუნქციონირებდეს „მწვანე ბიზნესის ანალიტიკური ცენტრი“, რომელიც შეიძლება ჰიბრიდულ სტრუქტურად წარმოვიდგინოთ. ეს არის როგორც მეცნიერთა, ასევე პრაქტიკოსთა სპეციალიზებული ჯგუფი, რომელიც იმუშავებს რეგიონის მდგრად განვითარებაზე. პირველ რიგში, ჯგუფი ორიენტირებულია „მწვანე ბიზნესის“ ხელშეწყობაზე შემდეგი მიმართულებით: ტრენინგები პედაგოგებისთვის, მოსწავლეთა ცნობიერების ასაძაბვლად; მათივე ჩართულობით რეგიონის „მწვანე“ ბიზნეს-შესაძლებლობების კვლევა-ანალიზი; „მწვანე სამუშაო ადგილების“ შექმნა; „მწვანე პროდუქტის“ წარმოებისა და ეკოლოგიურად უსაფრთხო მომსახურების ხელშეწყობა; „მწვანე პროდუქტის“ ბრენდინგი, ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული ნიშანდების, ბიოსერტიფიცირების, ლოგისტიკის, შიდა მოთხოვნისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა. ამ ეტაპზე, საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა საჯარო თუ კერძო სკოლაში ჩამოყალიბებულია „მწვანე ბიზნესის კლუბები“, შექმნილია პედაგოგებისა და ყველა დაინტერესებული პირისათვის დისტანციური პროგრამა „მწვანე ბიზნესი“. კლუბები მზად არიან გაეცნონ, შეისწავლონ და გამოავლინონ მათივე რეგიონის „მწვანე“ ბიზნეს-შესაძლებლობები, პოტენციალი აქციონ რეალურ „მწვანე პროდუქტად“, ისინი სწავლობენ „მწვანე ბიზნესის“ თეორიულ საფუძვლებს, ასევე პრაქტიკულად არიან ჩართული ბევრ ინოვაციურ და საინტერესო საქმიანობაში.

## დასკვნა

ამრიგად, მდგრადი განვითარების, „მწვანე ეკონომიკის“ კონცეფცია მიუთითებს სოციალურ სოლიდარობასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის პირდაპირ კავშირს. მდგრადი განვითარების მისაღწევად თანამედროვე საზოგადოებამ უნდა მიიღოს ეფექტიანი გადაწყვეტილებები. ვინაიდან „მწვანე ეკონომიკა“ გულისხმობს გარემოს დაცვის ფონზე ადამიანისთვის ეკოლოგიურად უსაფრთხო დასაქმების შესაძლებლობებს, საჭიროა განათლების ხელმისაწვდომობას, სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოების ჩამოყალიბებას, პიროვნების თვითრეალიზაციას, ჩვენ წარმოვადგინეთ საზოგადოების ცხოვრებისეული ცვლილებებისა და რეგიონების ეკონომიკური ზრდის მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ცხოვრების ხარისხის ამაღლებას ისტორიული გამოცდილებისა და კონკურენტუნარიანობის, მოზარდთა ჰუმანური განვითარებისა და „მწვანე ბიზნესის“ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების გზით.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობა, 2013. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020“.
2. ჭითანავა ნ. 1997. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბილისი.
3. Green Economics Methodology: An Introduction An Green Economics Methodology: Reform, Repair and Re-Shaping Economics (Handbook of Green Economics) [Paperback]. Aase Seeberg (Author),

Tone Hedberg (Author), Miriam Kennet (Author) Paperback. Publisher: The Green Economics Institute (2 Nov 2012)

4. Handbook of Green Economics: Practitioner's Guide. (Green Economics Institute Handbook) [Paperback] Miriam Kennet (Author), Eleni Courea (Author), Alan Bouquet (Author), Ieva Pepinyte (Editor) Publisher: The Green Economics Institute (1 Dec 2011)

5. Hadi Moheb-Alizadeh and Robert Handfield, Sustainable Supplier Selection and Order Allocation: A Novel Multi-Objective Programming Model with a Hybrid Solution Approach, *Computers & Industrial Engineering*, 10.1016/j.cie.2019.01.011, (2019).

*Rusudan Kvaratskhelia*  
*David Kakabadze*

## **ROLE OF EDUCATION IN GREEN ECONOMICS FORMATION**

### **Summary**

A role and importance of human capital are growing from day to day. For this reason role of education has become significant in developing human's physical, intellectual and ethical skills. Nowadays, it is prioritised for government of Georgia to form easily accessible and high-quality educational system at every class level. Amount of violence against children has been increased in schools and aggression in adolescents has been revealed. Problems regard to adolescents are at alarming level and it should be examined systematically by the state. We consider that teaching about "green economics", environment protection and basics of doing environmentally friendly business at schools is the most important factor in adolescent's psycho-emotional development.

On the other hand, we assume that economic prosperity of Georgia should be reached by strengthening economics at regional level. An upsurge in inequality is apparent in modern regions of Georgia. In order to form effective regional development strategy, appropriate priorities must be identified. To develop regions in favourable social, ecological and economical way, we must use a typological approach, which gives us possibility to figure out and understand regional characteristics, such as traditional-cultural factors. Development of small and medium enterprises in regions must be supported. It is widely known, that business is a cornerstone for developing a free market economic system. "Green business" means a type of economic growth, which provides social well-being in short, medium and most importantly – long term. In accordance to principles, on which "green business" is founded, present needs should be met in a way, that is not dangerous for future generations.

To form "green economics" and involve it in global processes, preparation of professional personnel is required. According to present condition in our country, we think hybrid structured "Green Business Analytical Centre" should be formed in every region of Georgia. It includes scientists, as well as practitioners' specialised groups to work on region's sustainable development. First and foremost, that group will be designed to support "green business" conduction through the following directions: trainings for teachers to help students raise awareness; to study and analyze "green" business possibilities of regions with help of above-mentioned teachers; to create "green business" jobs; to support production process of "green products" and ecologically safe service; "green product" branding and to support procedures of granting biocertificates, logistics, internal demand and export growth. At a current stage, "Green Business Clubs" have been formed in various state and private schools and distance learning course "Green Business" has been created for teachers and other interested parties at a country level. Mentioned clubs are ready to learn and figure out "green" business possibilities of their own regions and turn potential into a "green product." They are intensively studying theoretical basics of "green business" and are practically involved in numerous innovative and interesting projects.

Thus, we represented the model both for regional development, and changes in society life, which improves the quality of life in the context of raising awareness of "green business", historical experience, economic competitiveness and adolescent's development in a favourable way.

## КУЛЬТУРА И ЕЕ РОЛЬ В ФОРМИРОВАНИИ «ЗЕЛЁНОЙ ЭКОНОМИКИ»

**Аннотация.** В научном труде рассматривается культура – как комплексный фактор, как идейно-теоретический базис, и как необходимое условие социально-экономического прогресса, а значит, и как фактор формирования «зелёной экономики».

Именно культура – фактор культуры – в комплексном понимании, имеет принципиальное значение для эффективного функционирования общества и государства, подразумевающего и формирование «зелёной экономики» в интересах реализации интересов народа.

Следовательно, культуре принадлежит принципиально важная роль в формировании «зелёной экономики», ибо без комплексного подхода к проблеме культуры и без эффективного использования фактора культуры, реальное формирование «зелёной экономики» неосуществимо.

Особое внимание в научном труде обращается на творческий подход к проблеме развития культуры, и, в частности, к проблемам развития науки и образования, правовой и управленческой культуры, решение которых является необходимым условием эффективного социально-экономического развития общества и государства, а значит, является и необходимым условием формирования «зелёной экономики».

Таким образом, под культурой автором подразумевается, прежде всего, духовная культура: образование – как культура, наука – как культура, а также правовая культура, управленческая культура и т.д., что рассматривается в научных исследованиях автора, как комплексный фактор культуры.

Вместе с тем, фактор культуры в вышеотмеченном понимании, по убеждению автора, преимущественно представляет собой – непосредственно действующий фактор, тогда как художественная культура, опять-таки по обоснованному убеждению автора, выступает в качестве преимущественно опосредованно действующего фактора государственного управления и социально-экономического прогресса, а значит, и формирования «зелёной экономики».

**Ключевые слова:** Культура, «Зелёная экономика», Фактор культуры, Непосредственно действующий фактор, Опосредованно действующий фактор, Творчество, Социально-экономический прогресс.

### Введение

**Постановка проблемы.** Исследование проблем культуры и роли культуры в формировании «зелёной экономики» имеет особое значение для развития общества и государства, а значит, и для формирования «зелёной экономики».

Таким образом, культура – как комплексный фактор, как идейно-теоретический базис, и как необходимое условие социально-экономического прогресса, а равно, как необходимое условие формирования «зелёной экономики», безусловно, имеет принципиальное значение, ибо эффективное функционирование общества и государства, которое подразумевает и формирование «зелёной экономики», не представляется возможным без культуры – как комплексного фактора социально-экономического развития.

Именно потому, важнейшим фактором эффективного государственного управления является культура в комплексном понимании, и, в частности, духовная культура, как идейная и теоретическая основа эффективного функционирования общества и государства.

Особым значением культуры как важнейшего фактора эффективного государственного управления, и как важнейшего фактора формирования «зелёной экономики», и определяется актуальность данной темы исследования.

**Анализ последних исследований.** Научный анализ большого числа научных исследований показывает, что среди публикаций, за редчайшим исключением, почти не встречаются научные исследования, посвященные проблемам культуры – как проблемам комплексного фактора культуры, решение которых рассматривалось бы в качестве необходимого условия социально-экономического прогресса, и, в том числе, в качестве необходимого условия формирования «зелёной экономики», хотя не подлежит сомнению, что исследование данных проблем имеет принципиальное значение.

**Цель и задачи исследования.** Целью данного исследования является внедрение предложенного мною фактора культуры – как комплексного фактора, с одной стороны, в процессы научных исследований, и, с другой стороны, в практику управления обществом и государством, и, в частности, в про-

цесс формирования «зелёной экономики», ибо эффективное использование фактора культуры является необходимым условием прогрессивного функционирования общества и государства.

**Задачей же данного исследования** является научное обоснование необходимости внедрения предложенного мной фактора культуры – как комплексного фактора, с одной стороны, в процессы научных исследований, и, с другой стороны, в практику управления обществом и государством, и, в частности, в процесс формирования «зелёной экономики».

**Научная новизна.** Главной новизной научного исследования является рассмотрение предложенного мной фактора культуры – как комплексного фактора, как идейно-теоретического базиса, и как необходимого условия социально-экономического прогресса, а значит, и как фактора и необходимого условия формирования «зелёной экономики» в интересах народа, ибо именно культура – фактор культуры – в комплексном понимании, имеет принципиальное значение для эффективного функционирования общества и государства, подразумевающего и формирование «зелёной экономики» в интересах реализации интересов народа.

### Изложение основного материала

Культура, как я отмечала еще много лет назад, «является идейной основой эффективного функционирования общества» [1, с. 109].

Притом, **под культурой**, исследованию которой посвящено множество моих нвучных трудов [1; 2; 3; 4; 5; 6; 7; и др.], **подразумевается** мною, прежде всего, **духовная культура: образование – как культура, наука – как культура, а также правовая культура, управленческая культура и т.д., что рассматривается** в моих исследованиях, **как комплексный фактор культуры.**

Вместе с тем, **фактор культуры в вышеотмеченном понимании**, по моему убеждению, **преимущественно представляет собой – непосредственно действующий фактор**, тогда как **художественная культура мне представляется в качестве преимущественно опосредованно действующего фактора государственного управления и социально-экономического прогресса, а значит, и формирования «зелёной экономики».**

Заслуживает быть отмеченным, что **значение фактора культуры приобретает особое значение в условиях функционирования преимущественно рыночных отношений, нацеленных на получение максимальной прибыли, «погоня» за которой вряд ли может учитывать необходимость формирования «зелёной экономики».**

Следовательно, **в условиях преимущественно рыночных отношений, без эффективного использования фактора культуры**, вообще, и, в частности, без использования правовой и управленческой культуры, ориентированной на реализацию интересов народа, **рыночные отношения**, в соответствии с их внутренней природой, **могут привести лишь к антисоциальным результатам.**

Считаю необходимым здесь же отметить, что **в условиях Истинно человеческого общества и Истинно человеческого государства**, теории которых созданы профессором Альфредом Кураташвили [8; 9; 10; и др.], т.е. **в условиях общества и государства, призванного служить и служащего интересам народа**, в соответствии с созданной им же **Философией социальной цели** [11; и др.], для реализации интересов народа – интересов каждого человека, все пути, формы и методы оправданы, но лишь в том случае, если они – *эти пути, формы и методы* – исключают антисоциальные, антигуманные, антинравственные явления [12, с. 93; и др.].

Таким образом, для **социально-экономического развития общества и государства, необходимо эффективное политико-правовое обеспечение использования фактора культуры – как необходимой идейной и теоретической основы социального прогресса.**

Притом, в деле эффективного использования фактора культуры важнейшую роль должна играть государственная власть, которая должна создавать условия, являющиеся необходимой основой эффективного государственного управления.

Следовательно, **фактор культуры – как комплексный фактор**, является необходимым условием **социально-экономического прогресса, а значит, и формирования «зелёной экономики».**

Заслуживает быть отмеченным, что **культура – как фактор социально-экономического прогресса, проявляет свою особую значимость через развитие науки и образования, ибо без этого не может быть реального и осязаемого социально-экономического развития.**

Однако **развитие науки и образования требует принципиально новых подходов в условиях рыночных отношений с тем, чтобы они – рыночные отношения – способствовали социальной ориентации рыночной экономики и эффективному государственному управлению.**

В частности, в условиях рыночной экономики, под которой, т.е. под рыночной экономикой, как справедливо отмечает профессор Анзор Кураташвили, подразумевается всеобщий характер рыночных отношений [13, с. 10], и когда на передний план выдвигается прибыль – как движущая цель этих отношений, культура в какой-то степени остается как бы на произвол судьбы.

Это, в свою очередь, может привести, с одной стороны, к духовному обнищанию людей, и, с другой стороны, к снижению эффективности экономики и, в конечном счете, опять-таки к ущемлению интересов общества и каждого человека.

Следовательно, если общество и государство действительно желает практической реализации социальной ориентации рыночной экономики и эффективного государственного управления в интересах народа, то развитие науки и образования требует принципиально новых подходов в условиях рыночных отношений.

Поэтому, необходимо задействовать развитие науки и образования – культуры в целом – в направлении социальной ориентации рыночной экономики, ибо социальная ориентация рыночной экономики не только практически способствует непосредственному удовлетворению потребностей людей, но и активно воздействует на повышение эффективности экономики – как на создание необходимых материальных условий ее социальной ориентации.

Учитывая особую значимость культуры в социально-экономическом развитии общества, представляется необходимым признание обществом и государством приоритетности культуры, ибо культура является духовной основой социального и экономического развития общества, а значит, и формирования «зелёной экономики».

Таким образом, решение проблемы эффективного государственного управления объективно требует, с одной стороны, развития культуры – как необходимого условия социальной ориентации рыночной экономики, общества и государства, а, с другой стороны, эффективное использование фактора культуры, невозможно без социальной ориентации рыночной экономики.

В перспективе же, по мере развития общества и государства, фактор культуры будет приобретать все более возрастающее значение, ибо решение социально-экономических проблем в условиях относительно высокого уровня материальной жизни народа, когда на передний план выдвинутся духовные потребности людей, их реализация во многом будет зависеть от фактора культуры – от уровня культурного развития общества, от культуры – как от духовной основы социально-экономического прогресса.

Следовательно, социальная ориентация рыночных отношений, эффективное функционирование рыночной экономики, общества и государства не представляется возможным без эффективного использования фактора культуры, ибо культура – духовная культура, как процесс – это, прежде всего, творчество, это нестандартное мышление, а без творчества – реальный прогресс невозможен, а значит, без культуры невозможно эффективное государственное управление в интересах народа, т.е. без эффективного использования фактора культуры – невозможен реальный социально-экономический прогресс, а значит, невозможно и формирование «зелёной экономики».

## Заключение

Исходя из всего вышеизложенного, подтверждается особая роль культуры – как комплексного фактора, как идейно-теоретического базиса, и как необходимого условия социально-экономического прогресса, а значит, и как важнейшего фактора и необходимого условия формирования «зелёной экономики».

Притом, построение и функционирование Истинно человеческого общества и Истинно человеческого государства возможно лишь при решении проблем культуры, ибо без комплексного развития культуры, невозможно эффективное решение социально-экономических проблем и достижение высокого качества жизни народа.

## Использованная литература

1. Кураташвили Кетеван А. (1998). Культура – как фактор оптимального социально-экономического развития общества. Тезисы докладов Международного симпозиума, Грузинский технический университет (4-6. 11. 1998). Тбилиси. – с. 109-110.
2. Кураташвили Кетеван А. (1999). Проблема социальной ориентации рыночной экономики и фактор культуры. Труды Грузинского технического университета. – с. 154-156.

3. Кураташвили Кетеван А. (2009). Мировой экономический кризис и фактор культуры. *Мировой экономический кризис: причины, проблемы, пути решения. Материалы Международной научной конференции (2-3.04.2009)*. Тбилиси: Международное издательство "Прогресс". – с. 133-137.

4. Кураташвили Кетеван А. (2014). Культура – как важнейший фактор модернизации государственного управления. «Модернизационные процессы государственного и муниципального управления». *Материалы Международной научно-практической конференции (4 апреля 2014 года)*. Часть Вторая. Академия муниципального управления (Киев, Украина). Киев: Издательско-полиграфический центр Академии муниципального управления, в 2-х частях. Ч. I. – с. 146-147.

5. Кураташвили Кетеван А. (2017). Фактор культуры и социально-экономический прогресс. *Парадигмальные сдвиги в экономической теории XXI века: Материалы III Международной научно-практической конференции. 2 – 3 Ноября 2017 года*. Киев: Киевский национальный университет имени Тараса Шевченко (Украина). – с. 588-591.

6. Кураташвили Кетеван А. (2018). Фактор культуры и его значение в подготовке высококвалифицированных специалистов и в эффективном функционировании экономики. *Обеспечение устойчивого развития аграрного сектора экономики: проблемы, приоритеты, перспективы: Материалы IX Международной научно-практической интернет-конференции 25-26 октября 2018 года: В 3 т. – Том 1. – Днипро (Украина): Издательско-полиграфический центр «Гарант СВ».* – с. 136-138.

7. Кураташвили Кетеван А. (2018). Инновации – как проявление научного творчества в духовной культуре и конкурентоспособность экономики. Теоретические и прикладные вопросы экономики. Сборник научных трудов. Выпуск 2 (37) (Под общ. Ред. проф. Еханурова Ю.И., проф.Филук Г.М.). Киевский национальный университет имени Тараса Шевченко. (Киев, Украина). – К.: ТОВ «ЦП «Компринт». – с. 62-70.

8. Кураташвили Альфред А. (1998). Теория истинно человеческого – классического (образцового) – общества. Труды Грузинского технического университета, №3 (419). Тбилиси: «Технический университет».

9. Кураташвили Альфред А. (1999). Социально-экономическая теория будущего – истинно человеческого общества. Известия Академии наук Грузии. Серия экономическая. Том 7, №1-2. Тбилиси: «Мецниереба».

10. Кураташвили Альфред А. (1999). Альтернативное представление об ориентации общества и государства. Bulletin «Medicine, Science, Innovation and Business New» ("Новости медицины, науки, инновации и бизнеса – голос профессионалов и бизнесменов США, СНГ и других стран мира"). Volume 6, Number 10 (60), October, New York, USA.

11. Кураташвили Альфред А. (2003). Философия социальной цели. *Принципиально новое научное направление – исходная теоретическая основа формирования и функционирования истинно человеческого общества и государства* (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», – 352 с.

12. Кураташвили Альфред А. (1980). Философско-политэкономические миниатюры. Материалы Республиканской научной конференции: “Актуальные проблемы теории” (15-16 мая 1980 г.). Тбилиси: “Мецниереба”.

13. Кураташвили Анзор А. (2008). Социально ориентированная рыночная экономика и влияние правового фактора на ее эффективное функционирование (монография на грузинском языке). Тбилиси: Международное издательство “Прогресс” – 240 с.

*Ketevan Kuratashvili*

## **CULTURE AND ITS ROLE IN FORMATION OF "GREEN ECONOMY"**

### **Summary**

The scientific work considers culture as a complex factor, as an ideological and theoretical basis, and as a necessary condition for socio-economic progress, and therefore, as a factor in the formation of a "green economy."

It is culture - a factor of culture - in a comprehensive sense, which is of fundamental importance for the effective functioning of society and the state, which also implies the formation of a "green economy" in the interests of realizing the interests of the people.

Consequently, culture has a crucial role in the formation of a "green economy", because without an integrated approach to the problem of culture and without the effective use of the cultural factor, the real formation of a "green economy" is impracticable.

Special attention in scientific work is drawn to a creative approach to the problem of cultural development, and, in particular, to the problems of science and education development, legal and managerial culture, the solution of which is a prerequisite for the effective social-economic development of society and the state, and therefore necessary condition for the formation of a "green economy".

Thus, under culture the author means, first of all, spiritual culture: education as a culture, science as a culture, as well as legal culture, management culture, etc., which is considered in the author's research as a complex cultural factor.

At the same time, the cultural factor in the aforementioned understanding, according to the author, is primarily a directly acting factor, while artistic culture, again based on the author's well-founded conviction, acts as a predominantly indirect factor of public administration and socio-economic progress, and hence the formation of a "green economy".

*ილია (აზიკო) სისვაძე*

**ევროპული ტიპის სოციალურ ეკონომიკაზე გადასვლის  
კონცეპტუალური პრობლემები საქართველოში**

*ანოტაცია.* დასაბუთებულია, რომ საქართველოსათვის სოციალურ ეკონომიკაზე გადასვლა ობიექტური აუცილებლობითაა ნაკარნახევი. მცდარია შეხედულება, თითქოს ეფექტური სოციალური პოლიტიკის განხორციელება მძლავრი ეკონომიკის გარეშე შეუძლებელია. რეალურად, ასეთი პოლიტიკა თვითონვე განაპირობებს ეკონომიკურ პროგრესს, რომელიც, თავის მხრივ, საყოველთაო კეთილდღეობის მაკრერიალურ პირობებს ქმნის. შესაბამისად, რეფორმები ამ მიმართულებებით მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიტანს სასურველ შედეგს, თუ ისინი ერთდროულად და სინქრონულად წარიმართება. ამ გარემოების გათვალისწინებით ჩატარდა სოციალურ ეკონომიკაზე გადასვლის შესაძლებლობის SWOT-ანალიზი, შემუშავდა მისი ფუნქციონირების პრინციპები და დასახული მიზნების მიღწევის იერარქიული პირამიდა, რომელიც მნიშვნელოვნად შეამცირებს შესაბამის ხარჯებსა და დროს.

*საკვანძო სიტყვები:* ინოვაციებზე ორიენტირებული რეგულირებადი სოციალური ეკონომიკა, სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური მიზნების იერარქიული პირამიდა, სოციალური ეკონომიკის ფუნქციონირების პრინციპები.

**1. სოციალური ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა და  
ჩამოყალიბების პერიპეტები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში**

თითქმის სამი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთის კომუნისტური იმპერიის ბატონობისაგან გავთავისუფლდით, თუმცა არსებითი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი აქამდე არ შეინიშნება. ეს ხდება მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურმა ქვეყნებმა ამავე დროში ყველა მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. ბუნებრივად ჩნდება კითხვა – რა გააკეთეს ისეთი განსაკუთრებული, რამაც მათი სწრაფი განვითარება გამოიწვია? ამ ქვეყნების შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და საერთაშორისო ინდექსები, დალაგებული ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს კლების მიხედვით, წარმოდგენილია ცხრილში (იხ. ცხრილი 1), რომლის ანალიზიდან შემდეგი დასკვნები გამომდინარეობს:

**პირველი,** ყველაზე დაწინაურებული ქვეყნების პირველ ხუთეულში იმყოფება ჩეხეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, ლიეტუვა და ესტონეთი, ხოლო საქართველო ცალკეული მაჩვენებლის მიხედვით ბოლო ხუთეულში იკავებს სხვადასხვა ადგილს. კერძოდ, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს მიხედვით 3,3-ჯერ ჩამოვრჩებით ჩეხეთს, ხოლო სლოვენიას ხელფასის მიხედვით – 4,2-ჯერ და პენსიის ოდენობით – 8,8-ჯერ;



სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში

მაჩვენებლები ქვეყნები	მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 2017 წ (აშშ დოლარი) <sup>1</sup> .	პკონომიკის ინოვაციური განვითარების ინდექსი 2017 წ <sup>2</sup>	საშუალო თვიური ხელფასი (აშშ დოლარი) 2018 წ <sup>3</sup>	ცხოვრების დონის რეიტინგი (ადგილი) მსოფ-ლიოს 105 ქვეყანას შორის 2017-2018 წწ <sup>4</sup>	სოციალური განვითარების (პროგრესის) დონის ინდექსი 2017 წ <sup>5</sup>	საშუალო თვიური პენსია (აშშ დოლარი) 2017 წ <sup>6</sup>	განათლების დონის ინდექსი 2010-2012 წწ <sup>7</sup>	ეროვნული განათლების სისტემის ეფექტიანობის ინდექსი	განათლების ხარჯების ხვედრითი წილი მშპ-ში %-ში 2010 -2012 წწ <sup>8</sup>	ადამიანური განვითარების ინდექსი 2015 წ <sup>9</sup>	სამეცნიერო-კვლევითი ხარჯების ხვედრითი წილი მშპ-ში %-ში 2014 წ <sup>10</sup> .	შემოსავლების უთანაბრო განაწილება (ჯინის კოეფ.) 2010-2015 წლების მიხედვით <sup>11</sup>
1. ჩეხეთი	33 200	51,0	908	29	84,2	503	0,88	60,0	4,5	0,88	1,6	26,1
2. სლოვენია	32 200	45,8	1 119	24	84,3	700	0,89	56,0	5,7	0,89	2,1	25,6
3. სლოვაკეთი	31 200	43,3	817	38	80,2	461	0,82	47,8	4,1	0,85	0,6	26,1
4. ლიეტუვა	29 900	41,1	668	43	78,1	305	0,88	-	5,6	0,85	0,6	35,2
5. ესტონეთი	29 500	50,9	909	36	83,0	491	0,88	-	5,7	0,87	1,6	33,2
6. პოლონეთი	27 700	42,0	767	34	79,7	450	0,85	50,8	5,1	0,86	0,7	32,1
7. უნგრეთი	27 200	41,7	541	41	77,3	285	0,83	51,6	5,1	0,84	1,2	30,6
8. რუსეთი	26 100	38,8	527	61	67,2	285	0,82	49,1	4,1	0,80	1,2	41,6
9. ლატვია	25 700	45,6	669	48	78,6	-	0,84	-	5,7	0,83	0,8	35,5
10. ხორვატია	22 400	39,8	751	53	78,0	214	0,80	40,5	4,4	0,83	-	32,5
11. რუმინეთი	22 300	39,2	502	55	73,5	163	0,77	42,4	4,3	0,80	0,5	27,5
12. ბულგარეთი	20 100	42,8	492	49	74,4	122	0,78	39,2	4,4	0,79	0,6	36,0
13. აზერბაიჯანი	17 700	30,6	283	81	65,5	202	0,72	-	3,2	0,74	0,3	31,8
14. ბელარუსი	17 500	30,0	348	58	67,8	175	0,83	-	4,5	0,80	0,6	37,2
15. სერბეთი	15 000	35,3	370	-	73,5	250	0,76	43,9	5,0	0,78	0,92	25,6
16. საქართველო	10 100	34,4	265	84	70,8	80	0,79	-	3,2	0,77	0,3	40,1
17. სომხეთი	8 900	35,6	266	95	69,0	-	0,73	-	3,2	0,74	0,3	31,5
18. უკრაინა	8 200	37,6	195	64	68,4	142	0,80	42,1	5,3	0,74	0,9	24,2
19. მოლდოვა	5 200	36,8	199	89	66,3	80	0,73	-	9,1	0,70	0,5	26,8

წყარო: 1. <https://bcb.su/vvp-na-dushu-naseleniya-v-stranah.htm>;  
 2. <https://gtmarket.ru/ratings/global-innovation-index/info>;  
 3. <https://bcb.su/srednyaya-zarplaty-v-mire.htm>;  
 4. <https://pikabu.ru/story/uroven-zhizni-v-stranakh-mira-v-2017-2018-godu-5679100>;  
 5. <https://gtmarket.ru/research/social-progress-index/info>;  
 6. <https://visasam.ru/emigration/vybor/pensiya-v-stranah-mira.html>;  
 7. <https://gtmarket.ru/ratings/education-index>;  
 8. <https://gtmarket.ru/ratings/expenditure-on-education/info>;  
 9. [https://ru.wikipedia.org/.../Список\\_стран\\_по\\_индексу\\_человеческ...Translate\\_this\\_page](https://ru.wikipedia.org/.../Список_стран_по_индексу_человеческ...Translate_this_page)  
 10. <https://gtmarket.ru/ratings/research-and-development-expenditure/info>;  
 11. <https://theworldonly.org/koeffitsient-dzhini-po-stranam>.

მეორე, მჭიდრო კავშირი შეინიშნება სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებსა და მშპ-ში სოციალურ, მათ შორის, განათლების ხარჯების ხვედრით წილს შორის. ამ ხარჯების კლებასთან დაკავშირებით ასევე მცირდება მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, ხელფასის და პენსიის ოდენობა, განათლების და ცხოვრების დონის რეიტინგი, ადამიანური განვითარების და სოციალური განვითარების ინდექსები. სლოვენიაში მშპ-ში განათლების

ხარჯების წილი შეადგენს 5,7%-ს, ხოლო საქართველოში 3,2%-ს. რეიტინგების ბოლო ადგილებზე მყოფი ქვეყნებიდან უკრაინამ, მოლდოვამ და სერბიამ, როგორც ჩანს, ჩვენთან განსხვავებით, ადრევე გააცნობიერეს განათლების მნიშვნელობა და შესაბამისი მაჩვენებელი გაზარდეს – უკრაინამ 5,3%-მდე, მოლდოვამ 9,35%-მდე, ხოლო სერბიამ 5%-მდე. სლოვენიაში განათლების დონის რეიტინგი შეადგენს 0,89, ხოლო საქართველოში – 0,79-ს;

**მესამე,** ასევე გამოკვეთილი კავშირი არსებობს მშპ-ში სამეცნიერო ხარჯების წილსა და სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის. იმ ქვეყნებში, სადაც მეცნიერებას სათანადოდ აფინანსებენ, ინოვაციური განვითარების და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დონე შესაბამისად მაღალია. სერბიაში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებს ხმარდება მშპ-ს 2,1%, ჩეხეთში – 1,6%, ესტონეთში 1,6%, ხოლო ჩვენთან ყველაზე მწირი დაფინანსებაა – 0,3%. ამ ქვეყნებიდან ჩეხეთში ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ინდექსი შეადგენს 51,0-ს, სლოვენიაში 45,8-ს, სლოვაკეთში 43,3-ს, ლიეტუვაში 41,1-ს, ესტონეთში 50,9-ს, ხოლო საქართველოში – 34,4-ს. ამდენად, ჩამორჩენაც არ უნდა გაგვიკვირდეს;

**მეოთხე,** განსაკუთრების საგანგაშოა საქართველოში ჯინის კოეფიციენტით გამოსახული შემოსავლების უთანაბრო განაწილების მაღალი დონე – 40,1, რომლითაც მხოლოდ რუსეთი გვისწრებს – 41,6. ჩეხეთში ეს მაჩვენებელი შეადგენს 26,1-ს, სლოვენიაში – 25,6-ს, სლოვაკეთში – 26,2-ს, ლიეტუვაში – 35,2, ხოლო ესტონეთში – 33,2. ზოგადი ტენდენციით, რაც უფრო უთანაბროდ ნაწილდება შემოსავლები, მით ნაკლებია სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. ამდენად, ეს ფაქტორი აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და საერთო მატერიალური კეთილდღეობის ზრდას.

ამრიგად, ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ეკონომიკური პროგრესი უშუალოდაა განსაზღვრული სოციალური პოლიტიკით, ხოლო განვითარებული ეკონომიკა სოციალური პროგრამების დაფინანსების შესაძლებლობას ზრდის. შესაბამისად, ჩვენში ჩამორჩენის ჯადოსნური წრის გასარღვევად რეფორმები ეკონომიკური და სოციალური მიმართულებებით სინქრონულად უნდა წარიმართოს. განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი პრინციპული გარემოება: ყველა წარმატებულ ქვეყანაში რეფორმები განხორციელდა მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფციისა და სტრატეგიის საფუძველზე, რომლის ფუნდამენტს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება შეადგენდა.

მკაფიოდ გამოხატული ორმხრივი მიზეზშედევობრივი კავშირი ეკონომიკური განვითარების დონესა და კეთილდღეობას შორის კიდევ უფრო ცხადად იკვეთება მსოფლიოს განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების მიხედვით (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, რუსეთსა და საქართველოში

მაჩვენებლები	მშპ მოსახლეობის ეო სულზე 2017 წ (აშშ დოლარი) <sup>1</sup> .	საშუალო თვიური ხელფასი (აშშ დოლარი) 2018 წ <sup>2</sup> .	სიცოცხლის საშუალო ხან-გეომოცობა 2016 წ <sup>3</sup> .	სოციალური პროგრესის ინდექსი 2017 წ <sup>4</sup> .	საშუალო თვიური პენსია (აშშ დოლარი) 2017 წ <sup>5</sup> .	განათლების დონის ინდექსი 2010-2012 წწ <sup>6</sup> .	განათლების ხარჯების წილი მშპ-ში %-ში 2010 -2012 წწ <sup>7</sup> .	აღმაღნური განვითარების ინდექსი 2015 წ <sup>8</sup> .	სამეცნიერო-კვლევითი ხარ-ჯების წილი მშპ-ში %-ში 2014 წ <sup>9</sup> .	შემოსავლების უთანაბრო განაწილება (ჯინის კოეფ.) 2010-2015 წწ <sup>10</sup> .	ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ინდექსი 2017 წ <sup>11</sup> .
<b>დასავლეთი ევროპა:</b>											
1. ირლანდია	69 400	2 609	80,9	89,8	1 918	0,91	5,7	0,93	1,8	32,5	58,1
2. ნორვეგია	69 300	3 176	81,6	90,3	1 842	0,92	7,3	0,95	1,7	25,9	53,1
3. პოლანდია	50 800	2 473	81,6	89,7	2 700	0,90	5,9	0,93	1,8	28,0	63,4
4. შვედეთი	49 700	2 360	82,2	89,7	2 000	0,86	7,3	0,91	3,4	27,3	63,8
5. შვეიცარია	49 700	5 426	83,0	90,1	1 112	0,90	5,4	0,94	3,0	31,6	67,7
6. გერმანია	48 200	2 421	80,9	88,5	1 214	0,91	4,6	0,93	2,8	30,1	57,4
7. ისლანდია	48 100	2 306	82,6	90,3	–	0,91	7,8	0,93	2,6	26,9	55,8

8. ავსტრია	47 900	1 982	81,4	88,0	2 700	0,82	5,5	0,89	2,8	30,5	53,1
9. დანია	46 600	3 068	80,2	90,6	3 356	0,92	8,7	0,93	3,1	29,1	58,7
10. ბელგია	44 900	2 049	80,8	87,2	1 200	0,84	6,4	0,90	2,0	27,5	49,9
11. დიდი ბრიტ.	42 500	2 270	80,5	88,7	830	0,90	5,6	0,91	1,8	32,6	61,0
12. საფრანგეთი	42 400	2 122	82,2	85,9	1 198	0,84	5,9	0,90	2,3	33,1	54,1
13. ფინეთი	41 800	2 451	80,8	90,5	1 450	0,85	6,8	0,90	3,9	27,1	58,5
14. ესპანეთი	36 500	1 412	82,6	87,0	1 088	0,82	5,0	0,88	1,4	35,9	48,8
15. იტალია	36 300	1 841	83,1	82,6	1 198	0,81	4,7	0,89	1,3	35,2	47,0
16. პორტუგალია	32 200	884	78,0	85,4	647	0,77	5,8	0,84	1,6	36,0	46,0
დანარჩენი მსოფლიო:											
17. აშშ	57 300	2 835	79,1	86,4	1 160	0,90	5,4	0,92	2,9	41,1	61,4
18. ავსტრალია	48 800	3 306	82,4	89,3	830	0,94	5,1	0,94	2,4	34,9	51 8
19. კანადა	46 200	2 254	82	89,8	1 800	0,89	4,8	0,92	1,8	33,7	53,7
20. იაპონია	38 900	2 436	83,5	86,4	1 500	0,84	3,8	0,91	3,4	32,1	54,7
21. სამხ. კორეა	37 900	2 167	81,9	82,1	190	0,87	5,0	0,90	3,7	31,6	57,7
22. ახალი ზელანდ.	37 100	2 406	81,8	89,3	276	0,92	7,2	0,92	1,3	36,2	52,9
23. ისრაელი	34 800	2 080	82,4	80,6	1 890	0,87	5,8	0,90	4,4	42,8	53,1
24. რუსეთი	26 100	527	69,8	67,2	285	0,82	4,1	0,80	1,2	41,6	38,8
25. ჩინეთი	15 500	888	75,9	63,7	240	-	-	0,74	1,7	42,2	52,4
26. საქართველო	10 100	265	76,0	70,8	80	0,79	3,2	0,77	0,3	40,1	34,4

- წყარო: 1. <https://bcf.su/vvp-na-dushu-naseleniya-v-stranah.htm>;  
2. <https://bcf.su/srednyaya-zarplaty-v-mire.htm>;  
3. <https://gtmarket.ru/ratings/life-expectancy-index/life-expectancy-index-info>;  
4. <https://gtmarket.ru/research/social-progress-index/info>;  
5. <https://visasam.ru/emigration/vybor/pensiya-v-stranah-mira.html>;  
6. <https://gtmarket.ru/ratings/education-index>;  
7. <https://gtmarket.ru/ratings/expenditure-on-education/info>;  
8. <https://ru.wikipedia.org/.../Список- стран-по-индексу-человеческ...Translate this page>;  
9. <https://gtmarket.ru/ratings/research-and-development-expenditure/info>;  
10. <https://theworldonly.org/koeffitsient-dzhini-po-stranam>;  
11. <https://gtmarket.ru/ratings/global-innovation-index/info>.

წარმოდგენილ ცხრილში ცალკეა გამოყოფილი დასავლეთ ევროპის და დანარჩენი მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლები. შედარების მიზნით ასევე მოყვანილია ჩინეთის, რუსეთისა და საქართველოს შესაბამისი მონაცემები.

განვითარებულ ქვეყნებს შორის არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო, სადაც სოციალურ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროზე საკმაოდ დიდი თანხები რომ არ იხარჯებოდეს. თავის მხრივ კი, განვითარებული ეკონომიკა სოციალური საჭიროებების და ინოვაციების უფრო მაღალ დონეზე დაფინანსებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, მაღალია კეთილდღეობის ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა ხელფასი, პენსია, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, სოციალური პროგრესის და ადამიანური განვითარების ინდექსები. ამდენად, აქაც ალოგიური იქნება მტკიცება, რომ ეკონომიკური პროგრესი ცალმხრივად განსაზღვრავს სოციალურ პროგრესს, რეალურად ისინი ერთმანეთს კვებავენ და აძლიერებენ.

ევროპის ქვეყნებს შორის გამოკვეთილი სპეციფიკით ხასიათდება დანია, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მიხედვით ჩამორჩება მსოფლიოს ბევრ განვითარებულ ქვეყანას, კეთილდღეობის მაჩვენებლებით საგრძნობლად უსწრებს მათ. მიზეზი აქაც აშკარაა – ეკონომიკის შედარებით დაბალი დონის მიუხედავად, იგი გაცილებით მეტ სახსრებს ხარჯავს სოციალურ საჭიროებებზე, განათლებისა და მეცნიერების განვითარებაზე. შესაბამისად, მას ჯერ ერთი, პროგრესის მეტი პოტენციალი აქვს და მეორე, წარმატებული სოციალური პოლიტიკისათვის აუცილებელი არ არის ქვეყანა ეკონომიკურად ყველაზე დაწინაურებული იყოს.

როგორც დასავლეთ ევროპის, ისე დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნებში შეინიშნება სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა უკუდამოკიდებულება შემოსავლების უთანაბრო

განაწილებაზე. კერძოდ, რაც უფრო მაღალია ჯინის კოეფიციენტი, მით დაბალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე (გამონაკლისია აშშ). აქედან გამომდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა: **სოციალური უსამართლობა უარყოფითად მოქმედებს როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ პროგრესზე.** ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან მსოფლიოს მასშტაბით ჯინის კოეფიციენტი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. თუმცა, თუ განვითარებული ეკონომიკის პირობებში ფარდობითად დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის განწყობაზე ეს ნაკლებად მტკივნეულად აისახება, ისეთ ღარიბ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, იგი გაძლიერებული ადქმის გამო ფეთქებადსაშიშ სიტუაციას ქმნის. **ერთი მხრივ, გაღრმავებული სოციალური უთანასწორობა სიღარიბის განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს, ხოლო მეორე მხრივ, ცხოვრების დაბალი დონის გამო არსებული უთანასწორობა გაუსაძლისი ხდება.** შესაბამისად იზრდება უკონტროლო სოციალური აფეთქების რისკიც.

სწორედ ასეთი საშიშროების და სოციალურ ურთიერთობათა ჰუმანიზაციის გაცნობიერების აუცილებლობის გამო მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნები უკვე კარგა ხანია აქტიურ სოციალურ პოლიტიკას ახორციელებენ, რომელთა უმრავლესობას კონსტიტუციურად დაკანონებული სოციალური ეკონომიკა აქვს. ამჟამად ეს ტენდენცია სულ უფრო ძლიერდება და ღრმავდება. მსოფლიოში რეგულირებადი სოციალური ეკონომიკის ასეთი ტრიუმფის ფონზე გაუგებარია, რომ არაკომპეტენტურობის, პრობლემის სუბიექტური ადქმის თუ მსხვილი ბიზნესის არაჯანსაღი ღობიერების გამო, ჩვენში „ლიბერტიარიანიზმის“ იდეოლოგიაზე დაფუძნებულ, უკონტროლო და უსამართლო ულტრალიბერალურ საბაზრო ეკონომიკას დღესაც ბევრი თავგამოდებული მომხრე ჰყავს. განსაკუთრებით საგანგაშოა ის გარემოება, რომ ე. წ. ეკონომიკის „დერეგულირების“ პოლიტიკა წარმატებათა პანაცეადაა მიჩნეული.

საქართველოში ეკონომიკის ულტრალიბერალურ მოდელს საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში პოლონელი ეკონომისტის ლ. ბალცეროვიჩის ე. წ. „შოკური თერაპიის“ კონცეფციით, რომელიც 1990 წელს პირველად თვით პოლონეთში განხორციელდა და ითვალისწინებდა ცენტრალიზებული სოციალისტური მეურნეობიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე მყისიერ გადასვლას. მაგრამ აქაც ისმის ჩვენთვის უაღრესად მწვავე პრობლემა: **რატომ მოხდა, რომ კომუნისტური სისტემის მსხვრევის შემდეგ მეტ-ნაკლებად თანაბარ სასტარტო პირობებში მყოფი ქვეყნებიდან საქართველო ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილია, ხოლო პოლონეთი წარმატებულთა შორისაა?**

საქმე ისაა, რომ პოლონეთში „შოკური თერაპიით“ დაწყებული რეფორმა მომდევნო პერიოდში თვისებრივად ახალი ფორმით წარიმართა. ხელისუფლებამ თავიდანვე გააცნობიერა, რომ ლიბერალური ბაზარი მხოლოდ საშუალებაა ეკონომიკის გამოსაცოცხლებლად და იგი, მისთვის დამახასიათებელი უაღრესად სახიფათო გვერდითი ეფექტების გამო, ადრე თუ გვიან ამოწურავს თავის შესაძლებლობებს და განვითარების მუხრუჭად გადაიქცევა. ამიტომ უკვე იმავე ოთხმოცდაათიანების შუა წლებში ქვეყანა გადავიდა რეფორმის მომდევნო სტადიაზე, რაც მიზნად ისახავდა კონსტიტუციით დაკანონებული რეგულირებადი სოციალური საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებას. ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით შეირჩა გერმანული სოციალური მეურნეობის ადეკვატური მოდელი, დამყარებული პრინციპზე – საბაზრო კონკურენცია ყველგან და ყველაფერში, **სახელმწიფოებრივი რეგულირება კი მხოლოდ იქ, სადაც ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია.** ჩვენში ასეთი მიდგომა თავიდანვე გამოირიცხა, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა მიჩნეული იქნა იდეალურად და შეუცვლელად, რამაც ქვეყნის ეროვნული მეურნეობა მუდმივი შოკის მდგომარეობაში ჩატოვა.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნაწილში საბაზრო ეკონომიკა ჩამოყალიბდა განსხვავებული გზით – თანდათანობით, „შოკური თერაპიის“ გარეშე, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, წარმატებით განეხორციელებინათ მომდევნო სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები. ამის თვალსაჩინო მაგალითია სლოვენია, რომელიც ერთ-ერთი წარმატებული სოციალური სახელმწიფოა. ყველა შემთხვევაში რეფორმები ხორციელდებოდა მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფციისა და სტრატეგიის საფუძველზე, სადაც უპირველესად პრიორიტეტული სტრატეგიული სოციალურ-ეკონომიკური მიზნები იყო განსაზღვრული.

## 2. სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები

სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ევოლუცია. პრობლემა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური მიზნების შესახებ ჯერ კიდევ საკამათოა როგორც პოლიტიკოსებს, ისე ეკონომისტთა შორის. უფრო მეტიც, ხშირად ერთმანეთშია ადრეული მიზნები, ფუნქციები და მიზნის მიღწევის საშუალებები თვით იმ მეცნიერთა ნაშრომებშიც, რომლებიც გამორჩეულ ავტორიტეტებს წარმოადგენენ. ამავე დროს, ავტორთა ნაწილი თვლის, რომ ერთიანი მიზნის კომპაქტურად და ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბება ვერ ხერხდება მისი მრავალწახნაგოანობისა და სირთულის გამო [გველესიანი, გოგორიშვილი, 2008, გვ. 28]. თუმცა, წარმატებული ქვეყნების ისტორიული გამოცდილების და თანამედროვე მიღწევების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა საკვებით შესაძლებელია იმ პირობით, თუ კვლევის ამოსავალ პუნქტად მივიჩნევთ სახელმწიფოს განხილვას სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციის თვალსაზრისით.

სახელმწიფოს ეკონომიკური მიზნები ისტორიულად ყოველთვის მისი სოციალური ორიენტაციით იყო განპირობებული. თუ თვალს მივადევნებთ შესაბამის ურთიერთობათა ევოლუციას პირველი მონათმფლობელური სახელმწიფოებიდან დღემდე, ვნახავთ, რომ მათი ჰუმანიზაციის ტენდენცია სულ უფრო ძლიერდება და შესაბამისად, სამართლიანი ხდებოდა მიზნებიც. მაგრამ ეს მხოლოდ ხელისუფალთა ჰუმანური მოსაზრებებით კი არ იყო განპირობებული, არამედ ობიექტური აუცილებლობით გამოწვეულ შედეგს წარმოადგენს. პოლიტიკოსები ადრე თუ გვიან აცნობიერებდნენ, რომ უსამართლო ურთიერთობები და მიკერძოებული მიზნები ახშობდა ნაყოფიერი შრომის მოტივებს და ამუხრუჭებდა ეკონომიკის განვითარებას. ცხადი გახდა ისიც, რომ ასეთი სისტემის შენარჩუნების ხარჯები და დანაკარგი მნიშვნელოვნად აღემატება მიღებულ სარგებელს. ამ ფონზე გაბატონებულმა ფენებმა თანდათან გააცნობიერეს ექსპლუატაციის როგორც უსამართლო, ისე არარაციონალური ბუნება.

ეს ტენდენციები განსაკუთრებით გამოიკვეთა კაპიტალიზმის განვითარების ბოლო ეტაპზე, რამაც მე-20 საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ჯერ გერმანიაში, ხოლო შემდეგ ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებში სოციალური ეკონომიკის ჩამოყალიბება განაპირობა. შესაბამისად, სოციალურად ორიენტირებული და საზოგადოების უმრავლესობის ინტერესების გამომხატველი გახდა სახელმწიფოს მიზნებიც. თანამედროვე მსოფლიოში განვითარების ასეთ გზას, როგორც სოციალური ევოლუციის დარდაუვალ პროდუქტს, ქვეყნების სულ უფრო მზარდი რაოდენობა ირჩევს.

ამდენად, სახელმწიფოს ეკონომიკური მიზნების ჰუმანიზაცია მხოლოდ პოლიტიკოსების სუბიექტური განწყობითა და კეთილშობილებით კი არ იყო ნაკარნახევი, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების და რაციონალიზაციის თავისთავადი ევოლუციის კანონზომიერ შედეგს წარმოადგენს.

თანამედროვე სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ მიზანთა სისტემა მრავალკომპონენტიანია და იზომება ისეთი პარამეტრებით, როგორცაა ცხოვრების დონე და მისი ამადლების ტემპი, ეკონომიკური თავისუფლება, შემოსავლების სამართლიანი განაწილება და ჰუმანური შრომითი ურთიერთობები, სრული დასაქმება, ფასების და ეროვნული ვალუტის მდგრადობა, ეკონომიკის სტაბილური ზრდა და სხვა. მიზანთა ამ სიმრავლეში სწორი ორიენტირების დასახვა მათ სისტემურ კლასიფიკაციას საჭიროებს, თუმცა ამ ეტაპზე მხოლოდ იმ მიზნებს განვიხილავთ, რომლებიც ჩვენი კვლევის ინტერესებს შეესაბამება. მათ შორის გამოვყოფთ მიზნებს პრობლემათა მოცვის მასშტაბების, ეკონომიკის იერარქიული დონეების, ურთიერთდამოკიდებულების და პრიორიტეტულობის მიხედვით.

პრობლემათა მოცვის მიხედვით, ავტორის აზრით, უზენაესი სტრატეგიული და ლოკალური (ტაქტიკური) მიზნები უნდა გამოვყოთ. მათ შორის, უზენაესი სტრატეგიული მიზანი გამოხატავს საზოგადოების უმრავლესობის ინტერესებს არსებული პოლიტიკური წყობის, ღირებულებების, ეროვნული მენტალობის თუ ჰუმანიზმის პრინციპების გათვალისწინებით და ამდენად, სოციალური პოლიტიკის ძირითად ორიენტირს წარმოადგენს. ზოგადად, ესაა – საზოგადოებრივი კეთილდღეობის უწყვეტი ზრდა. ლოკალურ (ტაქტიკურ) მიზნებში იგულისხმება ეკონომიკის სრულყოფის და სოციალური პოლიტიკის ცალკეული მიმართულებები, რომლებიც იმავდროულად უზენაესი სტრატეგიული მიზნის მიღწევის საშუალებებად გვევლინება. ასეთია სოციალური სამართ-

ლიანობა, სრული დასაქმება, ინფლაციის მინიმალური დონე, ეროვნული ვალუტის სტაბილურობა და სხვა. თუმცა, სიტუაციის შესაბამისად, ერთი მხრივ, „ბევრი მიზანი არის საშუალება უფრო მდალი დონის მიზნების მისაღწევად, მეორე მხრივ, საშუალებები არცთუ იშვიათად აბსოლუტურ მიზანმდე ამაღლდებიან” [გველესიანი, გოგორიშვილი, 2008, გვ. 30]. შესაბამისად, სტრატეგიულ მიზანთა სისტემა არსებული გამოწვევების შესაბამისად უზენაესთან ერთად ლოკალურ მიზანთა ნაწილსაც მოიცავს.


რ. გველესიანი და ი. გოგორიშვილი იერარქიის (რანგის) თვალსაზრისით მიზანთა ჰორიზონტალური და ვერტიკალური დამოკიდებულების ფორმებს გამოყოფენ, რომლებიც შესაბამის მიზნებს ქმნიან [გველესიანი, გოგორიშვილი, 2008, გვ. 30]. ჰორიზონტალური დამოკიდებულებები ყალიბდება ერთი და იმავე იერარქიის, ხოლო ვერტიკალური დამოკიდებულებები - სხვადასხვა რანგის მიზნებს შორის.

სოციალურ-ეკონომიკური მიზნების შერჩევის პროცესში განსაკუთრებით ბევრ თავსატეხს აჩენს მათი დამოკიდებულების სირთულე. ამ ნიშნის მიხედვით აუცილებელი ხდება ჰარმონიულ, დამოუკიდებელ (ნეიტრალურ), სინერგიულ, ურთიერთგამომრიცხველ (შეუთავსებად) და კონფლიქტურ-თავსებადი მიზნების იდენტიფიკაცია. მათ შორის, ჰარმონიული და ნეიტრალური მიზნები რაიმე სირთულეს არ ქმნის. სინერგიული მიზნები ხელს უწყობს თითოეულის მიღწევას და ერთმანეთს აძლიერებს. იმის გამო, რომ ურთიერთგამომრიცხველი მიზნები რაიმე კომპრომისის შესაძლებლობას არ უშვებს, პრიორიტეტი ენიჭება იმ მიზანს, რომელიც მოცემული ეტაპის პრობლემების უკეთ გადაწყვეტას უზრუნველყოფს. კონფლიქტურ-თავსებადი მიზნების ერთდროული სრულფასოვანი მიღწევა ვერ ხერხდება, რადგან ერთ-ერთის უპირატესი განხორციელება სხვებს აზარალებს და პირიქით. კონფლიქტური მიზნების პირობებში საკითხი ისმის მათი ისეთი ოპტიმალური შეხამების შესახებ, რომ მიღწეულ იქნეს მაქსიმალური ჯამური დადებითი ეფექტი, ხოლო უარყოფითი – მინიმუმამდე შემცირდეს.

ზემოთ სოციალური და ეკონომიკური მიზნები განიხილებოდა ერთიანი განუყოფელი სახით, თუმცა რეალურ პირობებში ისინი შეიძლება ურთიერთგამომრიცხველ ან კონფლიქტურ წინააღმდეგობაში იმყოფებოდნენ. ცხადია, რომ კონფლიქტურობის პრობლემა აქაც ოპტიმალური კომპრომისის საფუძველზე გადაწყდება, ხოლო ამ მიზანთა არათავსებადობის პირობებში, ავტორის აზრით, უნდა გაეთვალისწინოთ, რომ ეკონომიკური მიზნები სოციალური მიზნების მიღწევის საშუალებას წარმოადგენს. ამიტომ უპირატესობას ამ უკანასკნელს ვანიჭებთ.

სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ მიზანთა ფორმირების დროს უადრესად პრობლემატურია მათი რანჟირება პრიორიტეტულობის მიხედვით იმ თვალსაზრისით, რომ წინააღმდეგობაში კი არ მოდიოდნენ, არამედ გააძლიერონ ერთმანეთი და სინერგიული ეფექტი გამოიწვიონ. ჩვენ მიერ ამ თვალსაზრისით შედგენილ სქემაზე მიზნები დალაგებულია იერარქიული დონეების მიხედვით პრიორიტეტულობის (ზემოდან ქვემოთ), მიზეზშედეგობრივი ჯაჭვის და უზენაესი სტრატეგიული მიზნის მიღწევის საშუალებათა თანმიმდევრობის შესაბამისად (ქვემოდან ზემოთ), რომლებიც იმავედროულად განსაზღვრულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან (იხ. სქემა 1). კერძოდ, პირამიდის წვერზე იმყოფება უზენაესი სტრატეგიული მიზანი, ხოლო ქვედა დონეებზე პრიორიტეტულობის კლების მიხედვით ლოკალური (ტაქტიკური) მიზნები ისეა განლაგებული, რომ ყოველი ქვედა დონის მიზანი ზედა დონის მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს, რაც მთლიანობაში უზენაესი მიზნის განხორციელების ერთიან მექანიზმს ქმნის. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკონომიკური მიზნების განხორციელების თანმიმდევრობა განსაზღვრულია პირამიდაზე მიზნის მიღწევის საშუალება → მიზნის რანჟირების მიხედვით ქვემოდან ზემოთ. მიზანთა ასეთი დალაგება მნიშვნელოვნად შეამცირებს მათი მიღწევის საერთო ხარჯებსა და დროს.

სქემა 1. სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური მიზნების იერარქიული პირამიდა, დალაგებული პრიორიტეტულობისა და უზენაესი სტრატეგიული მიზნის მიღწევის საშუალებათა თანმიმდევრობის მიხედვით



იმისათვის, რომ ამ მიზნობრივმა მექანიზმმა სინქრონულად იმუშაოს და მაქსიმალური სინერგიული ეფექტის მიღწევა უზრუნველყოს, კონფლიქტური მიზნები ოპტიმალურად უხამდება ერთმანეთს როგორც ჰორიზონტალურ დონეებზე, ისე მომიჯნავე ვერტიკალური მიმართულებით. ურთიერთგამომრიცხველი მიზნებიდან ერთ-ერთზე უარს ვამბობთ მოცემული ეტაპის გადასაწვეტი პრობლემების პრიორიტეტულობის შესაბამისად. სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში პრიორიტეტულ მიზანთა სისტემის შერჩევა თავისი ფუნდამენტური მნიშვნელობით შეიძლება შევადაროთ ეკონომიკის ისეთი საყრდენი წერტილის მოძიებას, რომლის მეშვეობით მინიმალური

ძალისხმევით ეროვნული მეურნეობის სასურველი მიმართულებით შეტრიალება შესაძლებელი.

სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის უზენაესი სტრატეგიული მიზანი. იმისათვის, რომ სახელმწიფოს უზენაესი სტრატეგიული მიზნის ფორმირების პროცესში თავი დაავადწიოთ პრობლემისადმი სუბიექტურ ვოლუნტარისტულ მიდგომას, უპირველესად შესაბამისი ობიექტური კრიტერიუმები უნდა იქნეს შემუშავებული. წარმატებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ მიზნის ჩამოყალიბების შემდეგ კრიტერიუმებს გთავაზობთ:

- სახელმწიფო ითვალისწინებს საზოგადოების უმრავლესობის ინტერესებს, უზრუნველყოფს წინააღმდეგობრივი ინტერესების ჰარმონიზაციას და გამორიცხავს მიკერძოებულ მიდგომას რომელიმე სოციალური ჯგუფისადმი;
- ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა – ეკონომიკური ზრდა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩაქრება, ბიზნესის ხელშეწყობა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ეროვნული ბიზნესის სართაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება და სხვა, სახელმწიფოს საბოლოო უზენაესი მიზანი კი არ არის, არამედ სოციალური შედეგების მიღწევის საშუალებაა. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მიზნები შეუთავსებად წინააღმდეგობაშია, უპირატესობა სოციალურს ენიჭება, ხოლო კონფლიქტური მიზნები ოპტიმალურად ეხამება;
- მაქსიმალურადაა უზრუნველყოფილი მოსახლეობის ფართო ფენების როგორც მატერიალური კეთილდღეობა, ისე პოლიტიკური, სოციალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;
- თითოეულ მოქალაქეს ექმნება როგორც წარმატების მიღწევის თანაბარი სამართლებრივი და სოციალური სასტარტო პირობები, ისე შემდგომი თვითრეალიზაციის ერთნაირი შესაძლებლობა მათი ნიჭის, განათლების, შრომისმოყვარეობის და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით;
- უზრუნველყოფილია ეკონომიკურად მიზანშეწონილი სოციალური სამართლიანობის სტანდარტი;
- შრომითი ურთიერთობები ჰუმანურია და ოპტიმალურად ახამებს დამქირავებელთა და დაქირავებულთა ინტერესებს;
- სოციალურ-ეკონომიკური მიზნები უცვლელი კი არაა, არამედ სისტემატურად კორექტირდება ახალი გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

შემუშავებულ მიზანთა სისტემა მიიღწევა ხელისუფლების მიერ ბიზნესის აქტიური სამართლებრივი და ფინანსური მხარდაჭერით, ყოველმხრივი მოტივაციით და ეკონომიკურ პროცესებზე ეფექტური და წამახალისებელი მარეგულირებელი ზემოქმედებით. აღნიშნულიდან გამომდინარე: **დემოკრატიულ ქვეყანაში სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის უზენაესი სტრატეგიული მიზანია შემოსახლდრული რესურსებით საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებისა და კერძო ბიზნესის მხარდაჭერის გზით მოსახლეობის ყველა ფენის მუდმივად მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება ეკონომიკურად მიზანშეწონილი სოციალური სამართლიანობის დაცვის პირობებში.** გერმანელი ეკონომისტი რ. კლუპში სახელმწიფოს უზენაესი ეკონომიკური მიზნის აუცილებელ პარამეტრებად მიიჩნევს ეკონომიკური თავისუფლებისა და თანასწორობის ხარისხს [კლუპში, 2015, გვ. 200].

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამა თუ იმ ეტაპის გამოწვევების, ორიენტირების და ფორსმაჟორული პირობების შესაბამისად (ომი, მეურნეობივი კრიზისი, ბუნებრივი კატასტროფები და სხვა) უზენაესი მიზანი კონკრეტდება, ძლიერდება ესა თუ ის ლოკალური მიზანი და ემატება ახალი.

ამდენად, არსებობს მიზანთა მთელი სისტემა, რომელიც შერჩეული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიხედვით შეიძლება ფართო დიაპაზონში იცვლებოდეს, ჯერ ერთი, ეკონომიკის განვითარების შესაბამისად და მეორე, ახლად წამოჭრილი პრობლემების გამო. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, მიზანთა შერჩევა დამოკიდებული იქნება ეკონომიკის მიღწეულ დონეზე, საშინაო და საგარეო გამოწვევებზე, ქვეყნის დემოკრატიის ხარისხზე, მოსახლეობის პოლიტიკურ კულტურასა და ორიენტაციაზე და სხვა. შესაბამისად, განვითარების მოცემული ეტაპის ობიექტური ფაქტორების ზემოქმედებით ესა თუ ის ლოკალური მიზანი ან მიზანთა განსახლდრული კომბინაცია ხდება პრიორიტეტული.



### 3. სოციალური ეკონომიკის საწინააღმდეგო და მხარდამჭერი არგუმენტები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-4 მუხლით საქართველო სოციალური სახელმწიფოა, პოლიტიკოსთა კონსერვატიული განწყობის გამო შესატყვისი ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის ჯერჯერობით არაფერი კეთდება. როგორც ხელისუფლებაში, ისე საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებში სოციალური ეკონომიკის მოწინააღმდეგეები ყურადღებას ამახვილებენ მის თითქოსდა დაბალ ეფექტიანობასა და ზრდის ნაკლებ პოტენციალზე, რომლის მიზეზებად სახელდება:

**პირველი,** სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით შემოსავლების გამოთანაბრება ახშობს იმ უნარიან და ენერგიულ ადამიანთა მოტივებს, ვის ხარჯზეც სოციალური პროგრამები ხორციელდება. ამასთან, აქტიური საქმიანობისადმი იმათი დაინტერესებაც ქვეითდება, ვინც დახმარებას იღებს;

**მეორე,** სოციალური პოლიტიკის ფინანსური საფუძველია ბიზნესის გაზრდილი გადასახადები, რომელიც მისსავე განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უნდა მოხმარებოდა;

**მესამე,** ბიზნესში შრომითი და სოციალური ურთიერთობების საკანონმდებლო რეგლამენტაცია ზღუდავს სამეწარმეო თავისუფლებას, რაც ბიზნესის რაოდენობრივი ზრდის და თვისებრივი სრულყოფის მუხრუჭად იქცევა;

**მეოთხე,** სოციალური ხარჯების დასაფინანსებლად მაღალრენტაბელური ფირმები და ინიციატივები მდიდარი ადამიანები პროგრესიულად გაზრდილ გადასახადებს იხდიან. ამდენად, გამოდის, რომ მათ წარმატებული საქმიანობისათვის სჯიან, რაც ასევე ახშობს ბიზნესის განვითარების მოტივებს და ამცირებს მის ეფექტიანობას.

**ამ სტანდარტულ მოსაზრებათა კონტრარგუმენტებია:**

**პირველი,** სოციალური ეკონომიკა უზრუნველყოფს არა დოლათის გათანაბრებით განაწილებას, რადგან ეს თავისთავადაა უსამართლობა, არამედ ქმნის წარმატებისა და კეთილდღეობის მიღწევის თანაბარ შესაძლებლობებს მოქალაქეთა ინიციატივის, განათლების, კრეატიულობის, შრომისმოყვარეობის და პასუხისმგებლობის შესაბამისად. ამ ნიშნით: **სოციალურ ეკონომიკაში შემოსავლები ნაწილდება არა თანაბრად, არამედ სამართლიანად;**

**მეორე,** რამდენადაც სოციალური ეკონომიკა ემყარება მონაწილეთა მოტივირებულ, წარმატებულ საქმიანობას და ზრდად შემოსავლებს, შემწეობა ესაჭიროება მხოლოდ მათ, ვინც შრომის უნარს ან მისი გამოყენების შესაძლებლობას საერთოდ ან დროებით მოკლებულია;

**მესამე,** სოციალური უთანასწორობის პირობებში კიდევ უფრო გამდიდრებულ ადამიანთა ფენა თავისი შემოსავლების მზარდ ნაწილს წარმართავს არა მოხმარებაზე, არამედ დანახოებზე. ამავე მიზეზის გამო შესაბამისად იკლებს მოსახლეობის საშუალო და ღარიბი ფენების მოხმარება, რაც ამცირებს ერთობლივ მოთხოვნას და ამდენად, ეკონომიკურ ზრდას ამუხრუჭებს;

**მეოთხე,** შემოსავლების უსამართლო განაწილება და ასეთივე შრომითი ურთიერთობები იწვევს კონფლიქტებს, გაფიცვებს, გულგრილ დამოკიდებულებას საქმისადმი და ახშობს ნაყოფიერი შრომის მოტივებს, რასაც სოციალურ ხარჯებსა და დამატებით გადასახადებზე გაცილებით მეტი ზარალი მოაქვს. ამას ემატება ნიჰილისტური დამოკიდებულება საერთო ეროვნული იდეალებისადმი და ანტაგონიზმი სოციალურ ფენებს შორის, რაც კიდევ უფრო დიდი ზიანის მომტანია – ეროვნული ენერჯია ხმარდება არა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას, არამედ დაპირისპირებასა და ნგრევას. ამდენად, სოციალური უსამართლობა და მოტივაციის დაბალი დონე თრგუნავს ადამიანთა შემოქმედებით პოტენციალს და ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობებს ზღუდავს. მისი ერთ-ერთი შემაშფოთებელი შედეგი ისიცაა, რომ **ადამიანებში ყალიბდება განცდა, რომ სამშობლო წაართვეს და იგი მხოლოდ მათ ეკუთვნით, ვინც მისი სიკეთეებით სარგებლობს;**

**მეხუთე,** უზომოდ გამდიდრებული ბიზნესისათვის გაზრდილ გადასახადებზე უარის თქმა და ამ საფუძველზე დამკვიდრებული სოციალური უთანასწორობა საზოგადოებაში იწვევს უსამართლობის განცდასა და პროტესტს, პროვოცირებას უკეთებს სოციალურ ამბოხს, აგრესიას და კრიმინოგენული ვითარების გაუარესებას. ეს კი აქრობს

შიდასამეწარმეო საინვესტიციო მოტივებს და ააფერხებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვასაც;

**მეექვსე.** უცხოური ინვესტიციების და ადგილობრივი ბიზნესის წახალისების მიზნით ხელისუფლების მცდელობა, დააკანონოს უსამართლო სოციალური და შრომითი ურთიერთობები, გარდაუვალად წარმოშობს სახიფათო სოციალურ საქვეყნო რისკებს, რაც აფრთხობს პოტენციურ ინვესტორებს;

**მეშვიდე.** სოციალური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფო იძულებულია შეინახოს ძვირადღირებული საპოლიციო აპარატი მაშინ, როდესაც შესაბამისი ხარჯების სოციალურ საჭიროებებზე წარმართვით თავიდან აიცილებდა ისეთ დაპირისპირებას, რაც ერთდროულად ეფექტურიც იქნებოდა და ჰუმანურიც;

**მერვე.** ბიზნესის გადასახადებით სოციალური პროგრამების დაფინანსება, მათ შორის განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში, არაპირდაპირი სარგებლის ფორმით საბოლოოდ ისევ ბიზნესზე ახდენს კეთილისმყოფელ გავლენას;

**მეცხრე.** მსხვილი ბიზნესის ზერენტაბელობა უპირატესად გამოწვეულია არა განსაკუთრებული სამეწარმეო უნარებით, არამედ „მასშტაბის ეფექტით“ და მონოპოლიური მდგომარეობით. შესაბამისად, იგი ჯანსაღი კონკურენტული ფირმებისა და მოსახლეობის პირდაპირი თუ ირიბი ძარცვით კაპიტალის ერთეულზე გაცილებით მეტ მოგებას იღებს, ვიდრე სამართლიანი მეწარმეობითაა შესაძლებელი. შესაბამისად, **მსხვილი ბიზნესიდან პროგრესიული გადასახადების ფორმით ზემოეგების ნაწილის ამოღება უსამართლობა კი არ არის, არამედ წმინდა ეკონომიკური, პოლიტიკური და ზნეობრივი თვალსაზრისით საესებით ლოგიკური და სამართლიანია.** მთავარია, რომ მსხვილ ბიზნესს გადასახადების განაკვეთები დაუწესდეს ისეთი ოპტიმალური ზომით, რომ კანონიერი გზით მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი განვითარების მოტივები არ ჩაახშოს;

**მეათე.** რამდენადაც სოციალური ეკონომიკა თავისი ბუნებით შერეული და მრავალწილობიანია, სხვადასხვა მოდელის პროგრესული კომპონენტების და საკუთრების ფორმათა რაციონალური შერწყმით უზრუნველყოფს თავისუფალი ბაზრის უპირატესობათა სრულად გამოყენებას, ხოლო მისი უარყოფითი თანამდევნი ეფექტების მინიმუმამდე დაყვანას;

**მეთერთმეტე.** ცალკეულ სოციალურ ფენებს, საზოგადოებას, სახელისუფლებო ინსტიტუციებსა და ბიზნესს შორის ჰარმონიული ურთიერთობები განაპირობებს დამატებით ურთიერთგამაძლიერებელ **სინერგიულ სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს**, რაც ამ მოდელს, სხვებთან შედარებით, გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებს. ეს ეფექტი პირველ რიგში ბიზნესის საქმიანობის შედეგადაა აისახება, რაც იმას ნიშნავს, რომ დამატებითი სოციალური ხარჯები და გადასახადები გაცილებით მეტი შემოსავლების ფორმით პირდაპირ თუ ირიბად კვლავ მასვე უბრუნდება. ამ თვალსაზრისით, ბიზნესი „მუქტი მეწველი ძროხის“ როლში კი არ გამოდის, არამედ გაღებული ხარჯების სანაცვლოდ ადეკვატურ სარგებელს იღებს;

**მეთორმეტე.** მთლიანობაში ბიზნესისა და სახელმწიფოს მიერ ამ დანიშნულებით გაწეული სახსრები იღებენ **„სოციალური ინვესტიციების“** ფორმას შესაბამისი **„სოციალური სარგებლით“**, რომელიც შესაძლოა სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებულ მოგებასაც კი აღემატებოდეს. ამაზე მეტყველებს იმ სოციალური სახელმწიფოების ეკონომიკის ეფექტიანობა და ზრდის მაღალი ტემპები, სადაც ეს მოდელი შესაბამისი პრინციპების სრული დაცვით ფუნქციონირებს. თუ აქტიური სოციალური პოლიტიკის გამოყენებით ისინი „ეკონომიკურ ვეფხვებად“ გადაიქცნენ, ლიბერტარიანიზმის იდეოლოგიაზე დაფუძნებულმა ჩვენმა ეკონომიკამ კარგა ხნით ჩაგვტოვა ჩამორჩენილთა რიგებში;

**მეცამეტე.** თანამედროვე მსოფლიოში ლიბერალური ეკონომიკა იმ ფორმით, როგორადაც ეს ჩვენში წარმოუდგენიათ, მისი დაუძლეველი ნაკლოვანებების გამო, უკვე პოლიტეკონომიკურ ანაქრონიზმად იქცა და, ამდენად, აღარ არსებობს. მე-20 საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან ევროპის და დანარჩენი მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების ეკონომიკა გახდა რეგულირებადი, დაფუძნებული ჯ. კეინზის კონცეფციაზე. ორმოცდაათიანი წლებიდან რეგულირების კომპონენტს დაემატა სოციალური ორიენტაციის და მრავალწილობიანობის ელემენტები, შემუშავებული ევროპელი ეკონომისტების – გერმანელი ლ. ერჰარდის, შვედი გ. მიურდალის, დიდბრიტანელი უ.

ბევრიჯის და სხვათა მიერ. მომდევნო პერიოდში კი სულ უფრო ძლიერდება ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ტენდენცია.

**ამჟამად ევროპის ყველა ქვეყანასა და დანარჩენი მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებში ფუნქციონირებს კონსტიტუციურად დაკანონებული, ინსტრუქციურად ჩამოყალიბებული და ეფექტიანად ფუნქციონირებადი მაღალგანვითარებული სოციალური ეკონომიკა. იგი იმავდროულად მეტ-ნაკლები ზომით არის რეგულირებადი, შერეული, მრავალწყობიანი და ინოვაციური.**

განხილულ გარემოებათა გათვალისწინებით, „ლიბერტარიანიზმი“ – ესაა ეკონომიკური ანარქიზმისა და სოციალურ-ეკონომიკური ქაოსის იდეოლოგია, რომელიც ცივილიზებულმა ქვეყნებმა უარყვეს მისი დაუძლეველი კატასტროფული შედეგების გამო. განსაკუთრებით საგანგაშოა ის გარემოება, რომ ჩვენში ამ „ეკონომიკური ჯართის“ გამოცოცხლებას ჯერ კიდევ უიმედოდ ცდილობენ.

სოციალური ეკონომიკის დამკვიდრების კიდევ ერთი არგუმენტია მისი დადებითი გავლენა დემოგრაფიულ ვითარებაზე. იმის გამო, რომ თვითდინებაზე მიშვებული აულაგმავი ბაზარი პერმანენტულად წარმოშობს სიღარიბესა და სოციალურ უსამართლობას, მცირდება შობადობა და იზრდება ბავშვთა სიკვდილიანობა, მოსახლეობის დიდი ნაწილი კი, რომელიც ვერ უძლებს მისთვის დამახასიათებელ უსამართლობას, იძულებულია იმ ქვეყნებში ემიგრირდნენ, სადაც ეს პრობლემები გადაჭრილია. ამ თვალსაზრისით, **ლიბერალური ეკონომიკა თავისი ბუნებით „სოციალური გენოციდის“ ეკონომიკაა.**

ჩვენში სოციალური ეკონომიკის დამკვიდრებას ხელს უშლის მასზე კიდევ ერთი მცდარი ზედაპირული შეხედულება. კერძოდ, ჩვენში პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების და ეკონომისტების დიდი ნაწილი ამტკიცებს, რომ აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება მხოლოდ მაღალგანვითარებული ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი. თუმცა, როგორც საერთაშორისო გამოცდილება მეტყველებს, საკვებით სამართლიანია საპირისპირო მტკიცებაც – ცხოვრების სათანადო დონის, სოციალური სამართლიანობის და შესაბამისი შრომითი მოტივაციის გარეშე მძლავრი ეკონომიკა ვერ აშენდება. საყოველთაო სოციალური ჰარმონია, მოსახლეობის ყველა ფენის მოტივირებული ერთობლივი ძალისხმევა და ამ ფაქტორებით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური სინერგიული ეფექტია ის ფუნდამენტური ფაქტორი, რომელსაც შეუძლია ეკონომიკა მოკლე დროში დააყენოს ფეხზე. შესაბამისად, **ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონესა და სოციალურ პოლიტიკას შორის ორმხრივი მიზეზშედეგობრივი კავშირი არსებობს: ეფექტური სოციალური პოლიტიკა უშუალოდ განსაზღვრავს ეკონომიკურ პროგრესს, ხოლო ამ გზით მომძლავრებული ეკონომიკა საყოველთაო კეთილდღეობის მატერიალურ და ფინანსურ პირობებს ქმნის. შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკური რეფორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული, როდესაც გარდაქმნები ორივე მიმართულებით სინქრონულად წარიმართება.**

ამ ფონზე ჩვენთან სოციალურ პრობლემატიკაზე საჯარო საუბარსაც კი პოლიტიკოსების უმრავლესობა „მარქსისტულ მკრეხელობად“ და „პატერნალიზმის“ პროპაგანდად მიიჩნევს. ეკონომიკის სოციალიზაციის საყოველთაო ტენდენციის პირობებში **ლიბერალური ეკონომიკის გაიდვალება – ესაა ცურვა ისტორიის დინების საწინააღმდეგოდ, რომელიც ქვეყანას საბოლოოდ გამოუვალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჩიხში შეიყვანს და სამუდამოდ ჩაგტოვებს ჯუნგლის კანონებზე დაფუძნებულ მე-19 საუკუნის ველურ კაპიტალიზმში.**

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ლიბერალური ეკონომიკა აშკარა ანაქრონიზმად გადაიქცა, მისი გამოყენება საკმაოდ კარგ შედეგებს იძლევა ტოტალიტარულიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ან ღრმა სისტემურ კრიზისში მყოფ ქვეყანაში, როგორც ბიზნესის გამოცოცხლების საშუალება. თუმცა, თუ დროულად არ მოხდა რეგულირებად სოციალურ ეკონომიკაზე გადასვლა, თავის შესაძლებლობათა ამოწურვის გამო, იგი განვითარების მუხრუჭად იქცევა. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების პერიოდში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი, ხოლო შემდეგ – „ქართული ოცნების“ ჩავარდნები, რომელმაც ჩათვალა, რომ იმავე პოლიტიკით თვითონაც წარმატებებს მიაღწევდა.

#### 4. სოციალური ეკონომიკის მოდელის შერჩევა

სოციალურ ეკონომიკაზე გადასვლის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა მისი ისეთი იდეალური მოდელის შერჩევაა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური ჩამორჩენის მოკლე ვადაში დაძლევის და ცხოვრების დონის ევროპული სტანდარტების მიღწევას. ქართველ სწავლულ ეკონომისტთა დიდი ნაწილის დასაბუთებით, საქართველოს ეროვნული, ისტორიული, სოციალური, პოლიტიკური ტრადიციებიდან და განვითარების პერსპექტივებიდან გამომდინარე, სოციალურ საბაზრო ეკონომიკას ალტერნატივა არა აქვს [თეთრაული, 2000: 2-29], [სანთელაძე, 2000: გვ. 27-55], [ალფ. კურატაშვილი, ჟ. „ეკონომისტი“, 2017, 2, გვ. 53], [ანზ. კურატაშვილი, ჟ. „ეკონომისტი“, 2011, 2, გვ. 33], [ჩიქავა, 2000: გვ. 5-26], [ჭითანავა, 2008: გვ. 4-336], [ხიზანიშვილი, ჟ. „ეკონომისტი“, 2012, 1, გვ. 37], თუმცა მათ შორის რომელი მოდელი უნდა შეირჩეს, ჯერ კიდევ გადასაწყვეტია.

შესაბამისად, ქვეყანაში სოციალური ეკონომიკის ფორმირების საწყისი ეტაპი მისი ისეთი პროგრესული მოდელის დასაბუთებაა, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს: ერთი მხრივ, ქვეყანაში ჩამოყალიბებულ რეალობას, მათ შორის, ეკონომიკის განვითარების მიღწეულ დონეს, სოციალურ ურთიერთობათა ტრადიციებს, ეროვნულ მენტალობას, ეთნოფსიქოლოგიას და მათი პროგრესული განვითარების შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, იმ ქვეყნების სასარგებლო გამოცდილებას, რომლებმაც ამ მიმართულებით შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწიეს.

პირველ რიგში კი გასარკვევია, ამჟამად რომელ მოდელს ვიყენებთ.

მსოფლიოში წარსულისა და ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური მოდელების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ჩვენთან დამკვიდრებული სოციალური წყობა ყველაზე მეტად შეესაბამება არქაულ „მონეტარულ მოდელს“, რომელიც განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მე-20 საუკუნის ოცდაათიან წლებამდე გამოიყენებოდა. მისი იდეოლოგიური საფუძველი იყო საბაზრო მექანიზმის უნივერსალური მარეგულირებელი როლის იდეა და შესაბამისად, სოციალურ ურთიერთობებში სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა. ამასთან, სახელმწიფო არ არეგულირებდა შრომით ურთიერთობებს, მინიმალურ ხელფასს, სამუშაო დღის ხანგრძლივობას, უმუშევრობას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას და სხვა. ეს გარემოებები თვით ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში განაპირობებდა სიღარიბის და უმუშევრობის მაღალ დონეს ისეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური რისკების თანხლებით, რომელმაც მსოფლიოს მომავალსაც კი შეუქმნა საფრთხე (რეაქციული კომუნისტური თუ ფაშისტური რეჟიმების დამყარება მსოფლიოს უდიდეს ნაწილში, მათ მიერ განადგურებული მეორე მსოფლიო ომი და უდიდესი ადამიანური და მატერიალური დანაკარგი). ამ გარემოების გამო მონეტარული მოდელი საბოლოოდ იქნა უარყოფილი და იმავე წლების მეორე ნახევრიდან მსოფლიოს უდიდეს ნაწილში განხორციელდა რეგულირებად ეკონომიკაზე, ხოლო ორმოცდაათიანი წლებიდან სოციალურ ეკონომიკაზე თანდათანობითი გადასვლა.

ამჟამად თანამედროვე მსოფლიოში, მათ შორის ევროპის ქვეყნებში გამოყენებულ სოციალური ეკონომიკის მრავალ მოდელს შორის ფართო არჩევანის შესაძლებლობა გვაქვს. ესაა: სოციალ-დემოკრატიული ანუ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელი (შვეცია, ნორვეგია, ფინეთი და დანია); კონსერვატიული სოციალურ-საბაზრო მოდელი (გერმანია, საფრანგეთი); ნეოლიბერალური მოდელი (დიდი ბრიტანეთი, აშშ); კორპორაციული მოდელი (იაპონია) და სხვა. როდესაც არსებობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის ვარიანტთა ასეთი მრავალფეროვნება, მიზანშეწონილია ორიენტაცია ავიდოთ ეტალონად მიჩნეულ შვედურ „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ მოდელზე, რომელიც კომპლექსურად უზრუნველყოფს ცხოვრების საუკეთესო სტანდარტებს, სოციალური დაცულობის ოპტიმალურ დონეს, სრულ დასაქმებას, ეკონომიკის სწრაფ განვითარებას და მაღალ ეფექტიანობას. ამასთან, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მოდელის დადებითი მხარეებიც.

მე-3 ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს სოციალური მაჩვენებლები 2005-2017 წლების მიხედვით – ხელფასის, სოცუზრუნველყოფის, ჯანდაცვის და განათლების ხარჯების წილი მშპ-ში %-ში და შესაბამისი საერთაშორისო ნორმატივები. ანალიზი გვიჩვენებს, რომ მინიმალურ სტანდარტებს ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამოვრჩებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ მშპ-ში სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების წილის 3.5

პროცენტული პუნქტით გასაზრდელად 18 წელი დაგეგმირდა, არსებული ტენდენციის პირობებში მინიმალურ ნორმატივს – 20%-ს სულ ცოტა 40 წელი ვერ მივაღწევთ.

ცხრილი 3

**საქართველოს სოციალური მაჩვენებლები 2005-2017 წლებში  
და მათი შესაბამისობა საერთაშორისო ნორმატივებთან\***

მაჩვენებლები	წლები					სოციალური ეკონომიკის კრიტერიული ნორმატივები
	2005	2010	2015	2016	2017	
ხელფასის ხვედრითი წილი მშპ-ში %-ში	13,2	29,0	28,9	29,5	29,1	40-60
სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების ხვედრითი წილი მშპ-ში %-ში	5,4	7,8	9,6	10,0	8,9	20-25
ჯანდაცვის ხარჯების ხვედრითი წილი მშპ-ში %-ში	1,7	2,2	2,9	3,1	3,0	7-9
განათლების ხარჯების ხვედრითი წილი მშპ-ში %-ში	2,5	2,9	3,4	3,8	3,9	4-6

\* საქართველოს სოციალური მაჩვენებლები გამოთვლილია ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე. შესაბამისი საერთაშორისო ნორმატივები მოყვანილია წყაროდან: სოციალური პოლიტიკა, ე. ხოლოსტოვას და გ. კლიმანტოვას რედაქციით, რუსულ ენაზე, მოსკოვი, გვ. 105.

ამჟამად სოციალური რეფორმებისათვის საქართველოს არ გააჩნია ისეთი ხელსაყრელი სასტარტო პირობები, როგორც ჰქონდათ ევროპის ქვეყნებს, მაგრამ უკვე არსებობს მათ მიერ საფუძვლიანად დამუშავებული კონცეფციები, სტრატეგიული გეგმები და პრაქტიკით მრავალჯერ შემოწმებული გამოცდილება, რომელიც, ჩვენი ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, შეიძლება შემოქმედებითად გადაამუშავდეს.

**5. სოციალური ეკონომიკის ჩამოყალიბების ეტაპები**

სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მოითხოვს რადიკალური სისტემური რეფორმების განხორციელებას, რომელიც, რეფორმირებული ქვეყნების პრაქტიკიდან გამომდინარე, შემდეგ თანმიმდევრულ ეტაპებს მოიცავს:

**პირველი,** კვალიფიციურ ექსპერტთა გუნდის ჩამოყალიბება და რეფორმის კონცეფციის შემუშავება, სადაც ანალიზდება არსებული სოციალური პოლიტიკა, საბუთდება სოციალურ ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა და შეირჩევა მისაღები მოდელი, იკვეთება მისი ძირითადი მისია, სტრატეგიული და ლოკალური მიზნები, ფუნქციები, დასახულ მიზანთა მიღწევის საშუალებები, სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები, აგებისა და ფუნქციონირების პრინციპები და სხვა;

**მეორე,** კომპლექსური ტრადიციული და **SWOT**-ანალიზი, რომელიც შერჩეული მოდელის განხორციელების რეალურობის თვალსაზრისით გამოავლენს ქვეყნის ეკონომიკის, პოლიტიკის და მოსახლეობის ეთნოფსიქოლოგიის ძლიერ და სუსტ მხარეებს, წარმატების მიღწევის შესაძლებლობებს, განვითარების შიდა და გარე საფრთხეებს;

**მესამე,** შესაბამისი სტრატეგიული გეგმის შედგენა, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო ბალანსის დაცვას, ერთი მხრივ, საბაზრო მექანიზმს, ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას და ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას, ხოლო მეორე მხრივ, მეწარმეებისა და მოსახლეობის სხვა ფენების ინტერესებს შორის. მასში დეტალიზდება კონცეფციის ძირითადი პარადიგმები, პრიორიტეტული სტრატეგიული და ლოკალური მიზნები, რესურსობრივი უზრუნველყოფა, გეგმის ნაწილები სოციალური პოლიტიკის ცალკეულ მიმართულებათა მიხედვით და სხვა;

**მეოთხე,** ახალი მარეგულირებელი სოციალური საკანონმდებლო ბაზის შექმნა და შესაბამისი სახელმწიფოებრივი ინსტიტუციების ჩამოყალიბება, რომელიც გაითვალისწინებს ბიზნესის მაქსიმალურ ხელშეწყობას, კონკურენციის განუხრებლ დაცვას, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების კოორდინაციას, საგადასახადო სისტემის დახვეწას მისი სოციალური და მოტივაციური ფუნქციების გაძლიერების მიმართულებით, შრომითი ურთიერთობების ჰუმანიზაციას, სოციალური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და სხვა;

**მეხუთე,** მოსახლეობის ყველა ფენის მენტალური მომზადება რეფორმებისათვის და დასაბუთება-დარწმუნება, რომ იგი თითოეულის ინტერესებს შეესაბამება;

**მექვესე,** ინფრასტრუქტურის მთელი სპექტრის ფორმირება სოციალური პოლიტიკის თითოეული მიმართულების შესაბამისად;

**მეშვიდე,** სტრატეგიული გეგმის განხორციელება და მისი უწყვეტი კორექტირება ახლი გარემოებების და პრობლემების გათვალისწინებით;

**მერვე,** კონტროლის ქმედითი მექანიზმის შექმნა, რომელიც არა მარტო გეგმიდან გადახრებს გაანეიტრალებს, არამედ მოსალოდნელი კრიზისული სიტუაციების პრევენციასაც მოახდენს.

## 6. სოციალური ეკონომიკის ჩამოყალიბების წინაპირობების SWOT-ანალიზი საქართველოში

SWOT-ანალიზის პარადიგმულ საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ დებულება: **შერჩეულმა მოდელმა ქვეყნის ადამიანურ-ინტელექტუალური, ბუნებრივი, ეკონომიკური და სოციალური გარემოს ძლიერი და სუსტი მხარეების, მოსალოდნელი ხელსაყრელი შესაძლებლობებისა და საფრთხეების გათვალისწინებით უზრუნველყოს პრიორიტეტულ სოციალურ-ეკონომიკურ მიზანთა მიღწევა.** მათ შორის, შიდა რესურსები საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, სრულად იქნეს გამოყენებული არსებული რეზერვები და პერსპექტიული შესაძლებლობები, ხოლო, მეორე მხრივ, ნაკლები დანახარჯებით განეიტრალდეს ნეგატიური ფაქტორები და მოსალოდნელი საფრთხეები.

**რეფორმის ხელშემწყობი ძლიერი მხარეები.** ძლიერი მხარებიდან პირველ რიგში უნდა გამოვეყოთ ის გარემოებანი, რომლებიც ერთობლივად დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევის პირობებს შექმნის. ესაა ეკონომიკური, ინტელექტუალურ-კომპეტენციური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები.

**საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური რეფორმის ხელშემწყობი ეკონომიკური ფაქტორებიდან უმთავრესია:**

- ხელსაყრელი გეოსტრატეგიული მდებარეობა და სწრაფად განვითარებადი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, რაც შესაბამისი ბიზნესის განვითარების და ქვეყნის ლოგისტიკურ ჰაბად გადაქცევის შესაძლებლობას ქმნის;
- ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა, ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება;
- მსოფლიოში ერთ-ერთი დაბალი საგადასახადო ტვირთი, რაც ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების წახალისებას უწყობს ხელს;
- რეინვესტირებული მოგების გათავისუფლება გადასახადისაგან;
- იაფი მუშახელი, დაუმუშავებელი ნაყოფიერი მიწა და სოფლის მეურნეობისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები;
- კრიმინალის და კორუფციის შედარებით დაბალი დონე.

**რეფორმის ხელშემწყობი ინტელექტუალური და კომპეტენციური ფაქტორებია:**

- ქართველი ეთნოსის მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი;
- პოლიტოლოგიაში, ეკონომიკაში, სამართალმცოდნეობაში, ფსიქოლოგიაში და რეფორმასთან დაკავშირებულ მეცნიერების სხვა მიმართულებებში მეცნიერთა კვალიფიციური კადრები და შესაბამისი კვლევითი ტრადიციების არსებობა;
- საბუნებისმეტყველო-ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარების საკმარისი დონე, რომელიც უზრუნველყოფს ფუნდამენტის მომზადებას უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისათვის.

**რეფორმის ხელის შემწყობი სოციალურ-ფსიქოლოგიური და მენტალური ფაქტორებია:**

- სათანადო მოტივაციის პირობებში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ერების, უპირველესად ქართველთა შრომისმოყვარეობა;
- ნაკლებად კონფლიქტური ურთიერთობები სოციალურ ფენებს შორის, ურთიერთდახმარების და შრომითი სოლიდარობის ტრადიციები;
- პატრიოტიზმი, როგორც საერთოეროვნული ალტრულისტული განწყობა, მიმართული სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაზე;
- ქართველთა ტოლერანტობა ქვეყანაში მცხოვრებ სხვა ერებთან;
- სამართლიანი სოციალური ურთიერთობების და ქველმოქმედების ტრადიციების არსებობა.

**რეფორმის ხელის შემშლელი სუსტი მხარეები. ეროვნული ეკონომიკის სუსტ მხარეებში იგულისხმება მრავალფეროვანი ნეგატიური ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევას:**

- ლიბერტარიანიზმის იდეოლოგიაზე დამყარებული სუსტი ეკონომიკური პოლიტიკა და სახელმწიფო ინსტიტუციების სისუსტე;
- დაბალი პოლიტიკური კულტურით და მყიფე დემოკრატით განპირობებული პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა;
- ხელისუფლების და მსხვილი ბიზნესის ნეგატიური ურთიერთმხარევა;
- ქონებისა და შემოსავლების უსამართლო განაწილებით და გაუმართავი შრომითი კანონმდებლობით გამოწვეული შრომითი მოტივაციის დაბალი დონე;
- სასარგებლო წიაღისეულის საბადოების, მატერიალურ-ტექნიკური, ტექნოლოგიური და ფინანსური რესურსების ნაკლებობა;
- არასაკმარისი ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციები და მისი ალტერნატიული წყაროების უქონლობა, რასაც განაპირობებს საბანკო ბიზნესის მიერ მონოპოლიზებული საფონდო და სავალუტო ბაზარი;
- ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელი არქაული მოუქნელი საგადასახადო სისტემა და სახელმწიფოს სუსტი ფისკალური პოლიტიკა;
- ინოვაციების დანერგვის ნაკლები მოტივებით განპირობებული ეროვნული ბიზნესის დაბალი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა;
- ეკონომიკის ცალკეულ დარგებში კონკურენციის შეზღუდვა და მონოპოლიზმი;
- ბიზნესსა და საჯარო სექტორში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის დაბალი დონე და გაუმართავი მენეჯმენტი;
- ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი დონე და ეროვნული ვალუტის კურსის არასტაბილურობა. საგარეო ვალის ზრდის ტენდენცია, უარყოფითი საგადასახადო და სავაჭრო ბალანსები.

**რეფორმის ხელის შემშლელი ინტელექტუალური და კომპეტენციური ფაქტორებია:**

- გაუმართავი საგანმამათლებლო სისტემა, მისი არასაკმარისი დაფინანსება და ახალგაზრდა სპეციალისტების კვალიფიკაციის დაბალი დონე;
- ხელისუფლების უქურადღებობა მეცნიერებისადმი, მათ შორის იმ მიმართულებებში, რომლებიც აუცილებელია რეფორმების განხორციელებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის;
- სახელისუფლებო და ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრში რეფორმატორული განწყობის უქონლობა და ლიბერტარიანიზმის არქაული იდეოლოგიის პრიმატი;
- მოსახლეობის ეკონომიკური და პოლიტიკური ცნობიერების დაბალი დონე;
- კვალიფიციური სახელმწიფო მოხელეების და სამუშაო ძალის დეფიციტი.

**რეფორმის ხელის შემშლელი სოციალურ-ფსიქოლოგიური და მენტალური ფაქტორებია:**

- ხელისუფლებათა უსამართლო სოციალური პოლიტიკით გამოწვეული სოციალურ-ფსიქოლოგიური აპათია და ოპტიმიზმის დეფიციტი;
- ხელისუფლებისა და პოლიტიკური ოპოზიციის უსაგნო დაპირისპირება და ეროვნული ენერჯის კონტრპროდუქტიული ხარჯვა;
- პოლიტიკოსების, მეწარმეების და მოსახლეობის გადაჭარბებული მიდრეკილება მოძველებული ტრადიციებისადმი და ინოვაციებისადმი ნაკლები განწყობა;
- ხელისუფლებაში მოსული პარტიების მიერ გაცემული დაპირებების შეუსრულებლობით გამოწვეული უნდობლობა პოლიტიკური სპექტრისადმი;
- ხანგრძლივი ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და სოციალური წარუმატებლობით გამოწვეული ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსი.

**ახალი შესაძლებლობები.** აქ იგულისხმება რეფორმირების პროცესში ქვეყნის შიდა და გარე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეში მოსალოდნელი ხელსაყრელი გარემოებანი:

- ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობისა და ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულად გამოყენება;
- ქვეყანაში გეოთერმული ენერჯის მარაგები, რომელთა ამოქმედება შესაძლებელს გახდის დაიზოგოს იმპორტირებული გაზი;

- ქარისა და მზის ენერჯის გამოყენების დიდი პოტენციალი;
- სოციალური ეკონომიკის დამკვიდრებით და შესაბამისი საზოგადოებრივი ჰარმონიით განპირობებული მოსალოდნელი ზრდადი სამეწარმეო და შრომითი მოტივაცია, როგორც ეკონომიკური ზრდის დამატებითი ფაქტორი.

**მოსალოდნელი საფრთხეები.** მოსალოდნელ საფრთხეებში გაიგება რეფორმირების პროცესში წარმოშობილი არახელსაყრელი გარემოებები, რომლებსაც შეუძლიათ შეაფერხონ ეკონომიკის განვითარება, გააუარესონ ეროვნული ბიზნესის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა და გამოიწვიონ კრიზისული სიტუაციები:

- რუსეთის მხრიდან ახალი სამხედრო ინტერვენციის განახლების საშიშროება, მცოცავი ოკუპაცია და ექსპორტზე ეკონომიკური ემბარგოს დაწესების რისკი;
- პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნული წარმოების საქონლის ექსპორტი ხორციელდება;
- სოციალური პოლიტიკის განხორციელების პროცესში დაშვებული შეცდომები და მტკივნეული რეფორმის წინმსწრები ტემპები მოსახლეობის სოციალური ყოფის გაუმჯობესებასთან შედარებით.

რეფორმის ხელის შემშლელი მრავალრიცხოვანი ფაქტორებისა და მოსალოდნელი საფრთხეების მიუხედავად, ოპტიმიზმის საფუძველს ქმნის ის გარემოება, რომ ქვეყანაში მოღვაწეობენ მაღალკვალიფიციური შემოქმედებითად მოაზროვნე და რეფორმატორულად განწყობილი პოლიტოლოგები, ეკონომისტები, სამართალმცოდნეები და მეცნიერების სხვა დარგების წარმომადგენლები, რომლებზე დაყრდნობით სოციალურ-ეკონომიკური სფეროს რადიკალური მოდერნიზება სავსებით რეალური ამოცანაა.

## **7. სოციალური ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პრინციპები**

სოციალური ეკონომიკის არსებული მოდელების გამოყენების მსოფლიო პოზიტიური გამოცდილებისა და დაშვებული შეცდომების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენი ქვეყნისათვის შერჩეული მოდელის ფორმირებასა და ფუნქციონირებას პრინციპების შემდეგი სისტემა შეიძლება დაედოს საფუძვლად:

**პირველი,** სოციალური ეკონომიკის დამკვიდრება ხდება საყოველთაო ეროვნული თანხმობის, პოლიტიკური პარტიების და მოსახლეობის უმრავლესობის საერთო ნების კონსტიტუციური დაკანონების გზით;

**მეორე,** პროცესი უნდა ატარებდეს სისტემურ ხასიათს, რომლის შესაბამისად იგი წარმართება, როგორც ერთიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის რეფორმის შემადგენელი ნაწილი;

**მესამე,** უზრუნველყოფილ იქნეს კანონის უზენაესობა და უმკაცრესი ბრძოლა კორუფციასთან, რომელიც ყოველგვარი რეფორმის შემაფერხებელი ფაქტორია;

**მეოთხე,** რეფორმები ხორციელდება დეტალურად დამუშავებული სტრატეგიული გეგმის საფუძველზე მიმდინარე და საშუალოვადიანი მიზნებისა და ამოცანების გამოყოფით, სადაც პრიორიტეტი საყოველთაო კეთილდღეობასა და სოციალურ სამართლიანობასთან ერთად, ინოვაციურ აზროვნებასა და საქმიანობას ენიჭება;

**მეხუთე,** რამდენადაც სოციალური მოდელი მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ეფექტური ეკონომიკის გარეშე ვერ იარსებებს, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ პრობლემის მოკლე დროში გადაწყვეტას მიზნობრივი მოტივაციურ-მარეგულირებელი მექანიზმის შექმნით, პრიორიტეტული დარგების სახელმწიფო ინვესტირებით, სუბსიდირებით, შეღავათიანი დაკრედიტებით და სხვა;

**მეექვსე,** სოციალური პრობლემების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით იურიდიული და ფიზიკური პირების მაღალ მოგებაზე, შემოსავლებზე და ქონებაზე წესდება პროგრესიული გადასახადები, მაგრამ ისეთი ოპტიმალური ზომით, რომელიც არ ჩაახშობს ეფექტიანი შრომითი და სამეწარმეო საქმიანობის მოტივებს;

**მეშვიდე,** ოპტიმალურად ეხამება ერთმანეთს ინოვაციების მოტივაცია, თავისუფალი ბაზრის ეფექტიანობა, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება და სოციალური სამართლიანობის უპირატესობანი;

**მერვე,** საკანონმდებლო საფუძველზე იქნება უზრუნველყოფილი მოქალაქეთა მიმდინარე ჩართულობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე გადაწყვე-



ტილებათა მიღებაში, ბიზნესის მართვაში და მაქსიმალურად ხალისდება მასში თანამშრომელთა თანამესაკუთრება;

**მეცხრე.** სახელმწიფო საკმარისი საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფს შრომისუუნარო ადამიანებს. ხოლო მათ, ვინც გამოირჩევა ინიციატივით, ნიჭიერებით და მაღალი პასუხისმგებლობით, უქმნის განათლების, ნაყოფიერი შრომის და სამეწარმეო საქმიანობის მაქსიმალურად ხელშემწყობ პირობებს;

**მეათე.** რეფორმა ხორციელდება შემჭიდრობულ ვადებში მაქსიმალური სოციალური შედეგებით ისე, რომ მოსახლეობამ დასაწყისშივე იგრძნოს მისი სიკეთე. წინააღმდეგ შემთხვევაში რეფორმას სერიოზული საფრთხე დაემუქრება;

**მეთერთმეტე.** რამდენადაც თანამედროვე პოსტინდუსტრიული ეკონომიკის მამოძრავებელი წყარო ინოვაციებია, ასეთი აზროვნება ცხადდება ცხოვრების წესად და უმთავრეს სამოქმედო პრინციპად. ყოველმხრივ ეწყობა ხელი მეცნიერებისა და განათლების სისტემის პრიორიტეტულ განვითარებას, საკონკურსო საფუძველზე ფართო მასშტაბით ფინანსდება სამეცნიერო გარღვევებზე მიმართული ფუნდამენტური გამოკვლევები, ნოვატორული გამოყენებითი სამეცნიერო-ტექნიკური პროექტები და ინოვაციური პროდუქტების გამოშვება;

**მეთორმეტე.** სახელმწიფო თავისი ეკონომიკური ფუნქციების და სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, მიუკერძოებლად იცავს მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესებს. ამასთან, უზრუნველყოფს არა შემოსავლების არარაციონალურ გათანაბრებას, არამედ მათ სამართლიან განაწილებას, ყველასათვის ქმნის წარმატების მიღწევის თანაბარ უფლებებს და შესაძლებლობებს;

**მეცამეტე.** დგინდება სოციალური პროგრამების დაფინანსების ოპტიმალური მაკროეკონომიკური ნორმატივები და ყალიბდება ოპტიმალური თანაფარდობა ბიუჯეტის ხარჯების იმ ნაწილებს შორის, რომელიც განკუთვნილია სოციალურ საჭიროებებსა და ბიზნესის განვითარებაზე. მისი მიზანია, ერთი მხრივ უზრუნველყოფილ იქნეს დაგეგმილი სოციალური ხარჯების სათანადოდ დაფინანსება, ხოლო მეორე მხრივ, ბიზნესის მოტივაცია, ეფექტიანობის უწყვეტი ამაღლება და ეკონომიკური ზრდა იმ ზომით, რომელიც საკმარისი იქნება როგორც მზარდი სოციალური, ისე ბიზნესსაჭიროებებისათვის. სოციალური ხარჯები ისე იგეგმება, რომ არ გადააჭარბოს ქვეყნის ფინანსურ შესაძლებლობებს, გამოირიცხოს ბიუჯეტის დეფიციტი და ამ მიზნით სახელმწიფო ვალის აღება;

**მეთოთხმეტე.** სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მაქსიმალურად გამოირიცხება პოპულიზმი, ავანტიურიზმი და პრობლემებისადმი ვოლუნტარისტული მიდგომა;

**მეთხუთმეტე.** ოპტიმალურად ეხამება ეკონომიკის რეგულირებისა და დერეგულირების პოლიტიკის უპირატესობანი. კერძოდ, **დერეგულირების პოლიტიკა ხორციელდება იქ, სადაც თავისუფალი ბაზარი სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ეფექტურად აწესრიგებს სამეურნეო და სოციალურ პროცესებს, ხოლო რეგულირდება ის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა საბაზრო მექანიზმის შესაძლებლობებს აღემატება;**

**მეთექვსმეტე.** ეკონომიკური ზრდა უნდა ატარებდეს ინკლუზიურ ხასიათს, რომლის შესაბამისად, სოციალური პოლიტიკა მოიცავს შემოსავლების მოძრაობის თითოეულ სტადიას – წარმოებას, განაწილებას, გადანაწილებას და მოხმარებას;

**მეჩვიდმეტე.** მოდელი მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს შეცვლილი პირობებისადმი ადაპტაციის შესაძლებლობას. ამასთან, რეფორმა ხორციელდება არა ერთჯერად აქტად, არამედ როგორც უწყვეტი სრულყოფის პროცესი.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ რეფორმები მტკივნეული კი არ იყოს მოსახლეობისათვის, არამედ თითოეულ ეტაპზე, მათ შორის დასაწყისშივე იგრძნონ მისი სიკეთე, რათა რეფორმირების მთელ პერიოდში საყოველთაო მხარდაჭერა იქნეს უზრუნველყოფილი. ამ მიზნით მუშავდება სოციალური პრობლემების გადაჭრის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგრამები. მოკლევადიანი პროგრამა ფინანსდება არსებული რეზერვების გამოყენებით. ესაა პროგრესიული საშემოსავლო, მოგების და ქონების გადასახადები, სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელისუფლებო აპარატის ოპტიმიზაცია, ჩრდილოვანი ეკონომიკის მკვეთრი შემცირება, ზარალიან სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაცია და სხვა. საშუალო და გრძელვადიანი პროგრამების დაფინანსება ხდება ეკონომიკური ზრდით მიღებული შემოსავლებით.

რეფორმირების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისეთი უაღრესად ეფექტური მენტალური ფაქტორის გამოყენებას, როგორცაა პატრიოტიზმი და ამ საფუძველზე ეროვნული იდეოლოგიის ფორმირება. სწორად წარმართულ ასეთ პოლიტიკას შეუძლია ფულად ინვესტიციებზე გაცილებით დიდი ეფექტი გამოიღოს. ეკონომიკური რესურსებითა და მეთოდოლოგიურად როგორცაა არ უნდა იყოს დასაბუთებული რეფორმირების სტრატეგიული გეგმა, სრულფასოვანი შედეგის მიღწევა ამ ფაქტორის გამოყენების გარეშე ვერ მოხერხდება.

ასეთი მასშტაბური რადიკალური ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საკმარისი ოდენობით მაღაკვალიფიციური, შემოქმედებითად მოაზროვნე და რეფორმატორულად განწყობილი კადრების პირობებში. ამიტომ მათ მომზადებისა და არსებული პერსონალის პროფესიული გადამზადების პრობლემა კონცეფციის შემუშავების პირველივე სტადიაზე იწყება.

იმ ფონზე, როდესაც მსოფლიოში სულ უფრო ძლიერდება ეკონომიკის სოციალიზაციის ტენდენციები, თვითდინებაზე მიშვებული ულტრალიბერალური საბაზრო ეკონომიკა საუკეთესო გამოსავალია მხოლოდ მონოპოლისტური ბიზნესის ინტერესების გამომხატველი ხელისუფლებისათვის, რომელსაც პოლიტიკური ნების უქონლობასთან ერთად, ეკონომიკის ეფექტური გაძღოლის უნარიც არ გააჩნია.

### კვლევის ძირითადი შედეგები

მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლების მოპოვების შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებთან ერთად მეტ-ნაკლებად თანაბარ სასტარტო პირობებში აღმოჩნდით, მათმა დიდმა ნაწილმა ყველა მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, ჩვენ კი, ფაქტობრივად ერთ ადგილზე ვტკეპნით და ჩამორჩენილი ქვეყნების ბოლო რიგებში ვიკავებთ სხვადასხვა ადგილს. ამ მოვლენის მიზეზების დასადგენად გამოკვლეული იქნა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური მოწყობა, რეფორმების გამოცდილება და განვითარების შესაბამისი მაჩვენებლები, რომელთა ანალიზით შემდეგი დასკვნები იქნა მიღებული:

**პირველი,** ჩამორჩენის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ჩვენგან განსხვავებით, მხოლოდ ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებით კი არ შემოიფარგლნენ, არამედ აქტიურად გააგრძელეს რეფორმები და ინოვაციებზე ორიენტირებული რეგულირებადი სოციალური საბაზრო ეკონომიკა შექმნეს. გაცილებით ადრე, მე-20 საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან, ასეთივე ეკონომიკაზე თანდათან გადავიდნენ დასავლეთ ევროპის და დანარჩენი მსოფლიოს სხვა დემოკრატიული ქვეყნები, რამაც მათი სწრაფი განვითარება განაპირობა;

**მეორე,** სოციალურ ურთიერთობათა ხანგრძლივი ევოლუციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი უწყვეტი ჰუმანიზაცია თავისთავად კანონზომიერ შედეგს წარმოადგენს, რომლის დამაგვირგვინებელი ეტაპი სოციალური სახელმწიფოსა და შესაბამისი ეკონომიკის წარმოშობაა. ამ თვალსაზრისით, მორალურად გაცვეთილი ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის გაიდვალება, როგორც ეს ჩვენთან ხდება, ისტორიის დინების წინააღმდეგ ცურვას ნიშნავს;

**მესამე,** მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების მიხედვით შემოსავლების უთანაბრო განაწილების ამსახველი – ჯინის კოეფიციენტის და სოციალურ-ეკონომიკური დონის სხვა მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი მათ შორის უკუდამოკიდებულების არსებობას ასაბუთებს. კერძოდ, რაც უფრო მაღალია ჯინის კოეფიციენტი, მით დაბალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე. აქედან გამომდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა: სოციალური უსამართლობა აფერხებს ეკონომიკის განვითარებას და ცხოვრების დონის ამაღლებას, თრგუნავს ადამიანთა შემოქმედებით პოტენციალს, ამძაფრებს სიღარიბის განცდას და უკონტროლო სოციალური აფეთქების რისკებს წარმოშობს;

**მეოთხე,** არსებით დაზუსტებას საჭიროებს ჩვენში დამკვიდრებული მცდარი შეხედულება, თითქოს სოციალური პრობლემების მოგვარება მხოლოდ მაღალგანვითარებული ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი. მოწინავე ქვეყნებში დამკვიდრებული რეალობა კი სრულიად განსხვავებულია – ეკონომიკური განვითარების დონესა და სოციალურ პოლიტიკას შორის ორმხრივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს: ერთი

მხრივ, ეფექტური სოციალური პოლიტიკა უშუალოდ განაპირობებს ეკონომიკურ პროგრესს, მეორე მხრივ კი, ამ გზით მომძლავრებული ეკონომიკა საყოველთაო კეთილდღეობის მატერიალურ და ფინანსურ პირობებს ქმნის. შესაბამისად, რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური რეფორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული, როდესაც გარდაქმნები ორივე მიმართულებით სინქრონულად წარიმართება;

**მეხუთე,** ასევე, მჭიდრო პირდაპირი კავშირი შეინიშნება ერთი მხრივ, ცალკეული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, ხოლო მეორე მხრივ, მშპ-ში განათლების და მეცნიერების ხარჯების წილს შორის. კერძოდ, ამ ხარჯების მატებასთან ერთად ასევე იზრდება როგორც მოსახლეობის ერთ სულზე მოსული მშპ, ისე სოციალური ყოფის ამსახველი სხვა მაჩვენებლები. აქაც დამოკიდებულება ორმხრივია – ისინი ერთმანეთს კვებავენ და აძლიერებენ;

**მექვსე,** ჩვენში სოციალური ეკონომიკის მოწინააღმდეგეები ყურადღებას ამახვილებენ მის თითქოსდა დაბალ ეფექტიანობასა და ზრდის ნაკლებ პოტენციალზე, რაც რეალობას სრულიად აცდენილია. ამაზე მეტყველებს იმ სახელმწიფოების ეკონომიკის მაღალი ეფექტიანობა და ზრდის სწრაფი ტემპები, სადაც სოციალური მოდელი შესაბამისი პრინციპების სრული დაცვით ფუნქციონირებს. აქტიური სოციალური პოლიტიკის გამოყენებით ეს ქვეყნები ეკონომიკურ გიგანტებად გადაიქცნენ, ჩვენ კი ლიბერტარიანიზმის იდეოლოგიაზე დაფუძნებულმა ეკონომიკამ კარგა ხნით ჩაგვტოვა ჩამორჩენილთა რიგებში;

**მეშვიდე,** საქართველოში სოციალური ეკონომიკის დამკვიდრების კიდევ ერთი არგუმენტია მისი დადებითი გავლენა დემოგრაფიულ ვითარებაზე. იმის გამო, რომ აულაგმავი ბაზარი პერმანენტულად წარმოშობს სიღარიბესა და სოციალურ უსამართლობას, მცირდება შობადობა, იზრდება ბავშვთა სიკვდილიანობა და ძლიერდება მოსახლეობის მიგრაცია იმ ქვეყნებში, სადაც ეს პრობლემები გადაჭრილია. ამ პირობებში, თუ დროულად ვერ მოვახერხებთ სოციალურ ეკონომიკაზე გადასვლას, სრული დემოგრაფიული კატასტროფა გვემუქრება;

**მერვე,** მსოფლიოში გამოყენებული სოციალურ-ეკონომიკური მოდელებიდან ჩვენთვის მისაღები ვარიანტის შერჩევასას მიზანშეწონილია, ორიენტაცია ავიღოთ ეტალონად მიჩნეულ შვედურ „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ მოდელზე. იგი კომპლექსურად უზრუნველყოფს ცხოვრების საუკეთესო სტანდარტებს, სოციალური დაცულობის ოპტიმალურ დონეს, სრულ დასაქმებას, ეკონომიკის სწრაფ განვითარებას და მაღალ ეფექტიანობას;

**მეცხრე,** ცალკეულ ქვეყნებში სოციალური ეკონომიკის პოზიტიური გამოცდილებისა და დაშვებული შეცდომების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი წარმატებული ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპების დაცვის პირობებში, რომელთა უგულვებლყოფას შეუძლია ქვეყანა უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს. პრინციპების ეს სისტემა წარმოდგენილ ნაშრომშია შემოთავაზებული;

**მეათე,** სოციალური ეკონომიკის მშენებლობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ რეფორმები მტკივნეული კი არ იყოს მოსახლეობისათვის, არამედ დასაწყისშივე იგრძნონ მისი სიკეთე, რათა რეფორმირების მთელ პერიოდში საყოველთაო მხარდაჭერა იქნეს უზრუნველყოფილი. ასევე, სასიცოცხლოდ აუცილებელია რეფორმის ხელის შემწყობი ისეთი უაღრესად ეფექტური მენტალური ფაქტორის გამოყენება, როგორცაა პატრიოტიზმი და ამ საფუძველზე ეროვნული იდეოლოგიის ფორმირება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ც. ანთაძე, სოციალური რისკები თანამედროვე საქართველოში, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, 2010, № 2.
2. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, ეკონომიკური პოლიტიკა, თბილისი, 2008.
3. ე. ელისევეა, სოციალური პოლიტიკა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რუსულ ენაზე, სანკტ-პეტერბურგი, 2015.
4. ვოლგინი ნ. ა., სოციალური პოლიტიკა, რუსულ ენაზე, მოსკოვი, 2003.

5. ა. თეთრაული საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი და მისი თავისებურებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი I, თბილისი, 2001.
6. რ. კლუშვი, ეკონომიკური პოლიტიკა: მიზნები, ინსტრუმენტები, ინსტიტუციები, თბილისი, 2015.
7. ალფ. კურატაშვილი, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის პრობლემები და მათი გადაჭრის პრინციპულად ახალი თეორიული საფუძვლები, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, 2017, № 2.
8. ანზ. კურატაშვილი, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრობლემები, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, 2011, № 2.
9. ნ. სანთელაძე, საქართველოში ეკონომიკის რეფორმირების მკრო- და მიკროასპექტები, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი I, თბილისი, 2000.
10. სოციალური პოლიტიკა, ე. ი. ხოლოსტოვას და გ. ი. კლიმანტოვას რედაქციით, რუსულ ენაზე, მოსკოვი, 2013.
11. კ. სტაროპენკო, კუზმენკოვი ვ. ა., პუშკოვი ა. ა. სოციალური სახელმწიფოს საფუძვლები, რუსულ ენაზე, ორიოლი, 2012.
12. ვ. ხიზანიშვილი, სოციალურ-ეკონომიკური თანასწორობა, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, 2012, № 1.
13. ლ. ჩიქავა, საქართველოს ეკონომიკის სოციალური არაორიენტირებულობა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტომი I, თბილისი, 2000.
14. ნ. ჭითანავა, ლ. თაკალანძე, სოციალური ეკონომიკა – ფორმირება და განვითარება, I ნაწილი, თბილისი, 2008.

*Ilia (Asiko) Sisvadze*

## TRANSITION TO THE EUROPEAN TYPE OF SOCIAL ECONOMY CONCEPTUAL PROBLEMS IN GEORGIA

### Summary

It is justified that the transition to the social economy of Georgia is deduced by an objective necessity. It is wrong to assume that the implementation of effective social policy is impossible without a strong economy. In fact, such a policy itself is responsible for economic progress, which, in turn, creates material conditions for universal well-being. Accordingly, the reforms in this direction will only bring the desired result if they are simultaneous and synchronized. Taking into consideration this circumstance, the analysis of the possibility of transition to social economy, the principles of its functioning and the hierarchical pyramid of achieving the set goals, were developed, which would significantly reduce costs and time.

*გიორგი შიხაშვილი*

### მღვრადი/„მწვანე“ ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის თეორიის სათავეებთან – „რიო-1992“

*ანოტაცია.* დღევანდელ პირობებში უადრესად საჭიროა მღვრადი/„მწვანე“ ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების სიღმისეული გააზრება.

„რიო-1992“-ის დოკუმენტების საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს უახლესი სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური აზროვნება და შესაბამისი თეორიულ-მეთოდოლოგიური ფუნდამენტი.

აუცილებელია, უახლოეს დროში შემუშავდეს საქართველოს მღვრადი განვითარების ფუნდამენტური კონცეფცია, რომელიც მოაწესრიგებს „მწვანე“ ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის სინერგიულ პარმონიულობას.

*საკუთარი სიტყვები: მდგრადი განვითარების თეორიის სათავეები; „რიო-1992“-ის დოკუმენტები; ეკონომიკური თეორიის განვითარების ახალი ეტაპი; საქართველოს მდგრადი განვითარების ფუნდამენტური კონცეფცია.*

## შესავალი

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია სიღრმისულოდ გაგიაზროთ მდგრადი/„მწვანე“ ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს სწორად განვსაზღვროთ ოპტიმალური გზები ამ უმნიშვნელოვანესი პროცესის წარმატებული მართვისათვის.

**აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანია:**

ეკონომისტ-ეკოლოგის პოზიციიდან გაეუზიაროთ საზოგადოებას მოსაზრებები მდგრადი განვითარების პრობლემების თეორიულ-მეთოდოლოგიური საწყისების შესახებ;

შევახსენოთ საზოგადოებას, რომ არსებობს გაეროს მიერ რეკომენდებული მდგრადი განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი - „კონფერენცია - რიო 1992“-ის ფუძემდებლური დოკუმენტები მთელი მსოფლიოსა და ცალკეული ქვეყნებისათვის;

ვაჩვენოთ, რომ აუცილებელია შემუშავდეს სათანადო ფუნდამენტური კონცეფცია, შესაბამისი მოდელი, სტრატეგია, პროგრამა საქართველოს მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარებისა და სათანადო მართვისათვის.

**მდგრადი განვითარების თეორია ფაქტობრივად ახალი, XXI საუკუნის სოციალურ-ეკონომიკური მიმართულების თეორიაა, რომლის მიზანი საზოგადოების განვითარების ჰარმონიული ეკონომიკურ-ეკოლოგიური პროცესების მართვის მოგვარებაა.**

ეკონომიკის ეკოლოგიზაციის პრობლემები/საკითხები სხვადასხვა დასახელების სამეცნიერო-პრაქტიკული დისციპლინის (მდგრადი ეკონომიკის, ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის, „მწვანე“ ეკონომიკის, „მწვანე“ ბიზნესის, „მწვანე“ მენეჯმენტის) კვლევის ობიექტს წარმოადგენს. მათ ბევრი რამ აქვთ საერთო და სამეცნიერო ბრუნვაში ხშირად სინონიმებად გამოიყენება.

ჩვენი განმარტებით, ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა/„მწვანე“ ეკონომიკა არის სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულება, რომელიც განსაზღვრავს ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეკონომიკურად რაციონალურ გზებს, ითვალისწინებს რა ამ რესურსების ექსპლუატაციის ეკოლოგიურ შეზღუდულობას და სიცოცხლის უზრუნველყოფი გარემოს შენარჩუნების აუცილებლობას. ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის/„მწვანე“ ეკონომიკის საბოლოო მიზანს საზოგადოების განვითარების პროცესში ეკონომიკისა და გარემოს ურთიერთზემოქმედების ჰარმონიზაცია წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია გადაიჭრას ეკოლოგიურ-ეკონომიკური კანონზომიერებების თეორიული შესწავლისა და პრაქტიკული გამოყენების ამოცანები.

**ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა/„მწვანე“ ეკონომიკა მოწოდებულია გააშუქოს და გადაწყვიტოს სამი ურთიერთდაკავშირებული პრობლემა:**

გამოიძებნოს და ეფექტიანად იქნეს გამოყენებული წარმოების პროცესისათვის აუცილებელი ბუნებრივი რესურსები;

შეჩერდეს და მაქსიმალურად ლიკვიდირებული იქნეს გარემოს ინტენსიური დეგრადაციის პროცესი;

შეიქმნას ოპტიმალური პირობები ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის.

## **„რიო-1992“-ის დოკუმენტები - მდგრადი განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი**

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიზაციის გზების ხანგრძლივი ძიების შედეგად თანამედროვე მეცნიერებამ შეიმუშავა მდგრადი განვითარების კონცეფციები/პარადიგმები.

ერთ-ერთის მიხედვით, მდგრადი განვითარება არის საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების

გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას - ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი [2, გვ. 5].

სხვა პარადიგმის თანახმად, ეს არის ისეთი განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების დღევანდელ მოთხოვნილებებს, მაგრამ არ უქმნის საფრთხეს მომავალ თაობებს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში [7, გვ. 50].

„რიო-1992“-ის დეკლარაციის მე-3 პრინციპის მიხედვით, განვითარება უნდა ხდებოდეს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დღევანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებათა სამართლიანი დაკმაყოფილება განვითარებისა და გარემოს დაცვის სფეროში [4, გვ. 9; 5, გვ. IX; 8, გვ. X].

მდგრადი განვითარების მოცულობითი კონცეფციის საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო კომისიის სპეციალური გამოკვლევა (1983-1997), რომელმაც კვლევის შედეგები მოხსენების სახით - „ჩვენი საერთო მომავალი“ 1987 წელს წარუდგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ანგარიში შემდგომ გამოიცა სქელტანიანი წიგნის სახით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის რუსულ ენაზეც [7]. ეს კონცეფცია „მდგრადი განვითარების პრინციპების“ სახით ჩამოყალიბდა გაეროს 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს სპეციალურ კონფერენციაზე („რიო-1992“) [4; 5; 8].

„რიოს“ კონფერენციაზე მიღებული იქნა 5 დოკუმენტი: 1) დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ; 2) დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის; 3) განცხადება ტყეებისადმი დამოკიდებულების შესახებ; 4) კონვენცია კლიმატის ცვლილებების შესახებ; 5) კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ.

დეკლარაციაში გარემოსა და განვითარების შესახებ თავმოყრილია 27 პრინციპი, რომელთა უმთავრესი არსი მდგომარეობს მსოფლიოს საზოგადოებისა და ცალკეულ სახელმწიფოთა ეკოლოგიურად კორექტულ ქმედებათა აუცილებლობაში. დეკლარაციაში განცხადებულია, რომ ხანგრძლივი ეკონომიკური პროგრესის უზრუნველყოფის ერთადერთ გზას გარემოს დაცვისა და ეკონომიკის განვითარების ჰარმონიული ურთიერთშესაბამება წარმოადგენს [4; 5; 8].

„რიოს“ დეკლარაციაში არსებული პრინციპები უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური თეორიისა და შესაბამისი მმართველობითი საქმიანობის წარმატებული პრაქტიკისათვის.

**განვიხილოთ ჩვენი თემისათვის მთავარი ზოგიერთი პრინციპი:**

*პრინციპი 1.* ადამიანებზე ზრუნვას ცენტრალური ადგილი უკავია მდგრადი განვითარების უზრუნველყოფი ღონისძიებების სისტემაში. ადამიანებს აქვთ უფლება, ჰქონდეთ ჯანსაღი და ნაყოფიერი სიცოცხლე ბუნებასთან ჰარმონიულობის პირობებში;

*პრინციპი 3.* განვითარების უფლების რეალიზაცია უნდა მოხდეს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დღევანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებათა სამართლიანი დაკმაყოფილება განვითარებისა და გარემოს დაცვის სფეროში;

*პრინციპი 4.* მდგრადი განვითარების მიღწევებისათვის აუცილებელია, რომ გარემოს დაცვა იქცეს განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილად და დღევანდელივით არ განიხილებოდეს მისგან მოწყვეტით;

*პრინციპი 8.* მდგრადი განვითარებისა და ყოველი ადამიანისათვის უფრო მაღალი ცხოვრების დონის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოებმა უნდა შეზღუდონ და გააუქმონ წარმოებისა და მოხმარების არასიცოცხლისუნარიანი მოდელები და გაატარონ შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკა;

*პრინციპი 11.* სახელმწიფოები იღებენ სამართლებრივ აქტებს გარემოსდაცვით სფეროში საკუთარი სპეციფიკის საფუძველზე;

*პრინციპი 12.* ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ხელსაყრელი და ღია საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის შექმნის მიზნით, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას და მდგრად განვითარებას ყველა ქვეყანაში;

*პრინციპი 22.* ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში უდიდესი როლი ენიჭება მკვიდრ მოსახლეობას, მის ცოდნას და ტრადიციულ პრაქტიკას. სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ მოსახლეობის თვითმყოფადობას, კულტურას, ინტერესებს და უზრუნველყონ მისი ეფექტიანი მონაწილეობა მდგრადი განვითარების საქმეში.

ახლა შევჩერდეთ „რიო-1992“-ის მეორე დოკუმენტზე - „დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის“, რომელიც წარმოადგენს ყოველსმომცველ პროგრამას მთელი კაცობრიობისათვის მიმდინარე საუკუნეში. მასში ასახულ გლობალურ თანამშრომლობას ორი მიზანი გააჩნია: 1) ბუნებრივი გარემოს მაღალი ხარისხი და 2) ჯანსაღი ეკონომიკა მსოფლიოს ყველა ხალხისათვის [4; 5; 8]. ეს ისტორიული და მოცულობითი დოკუმენტი მოიცავს მდგრადი განვითარების ყველა ასპექტს. მას აქვს უდიდესი თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მნიშვნელობა ეკოლოგიურად ჯანსაღი, „მწვანე“ სოციალური და ეკონომიკური მმართველობითი საქმიანობის ყველა სფეროსათვის.

დღის წესრიგის პრეამბულაში ნათქვამია, რომ უსაფრთხო და აყვავებული მომავლის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები გადაიჭრას კომპლექსურად და ურთიერთდაკავშირებულად.

„დღის წესრიგი“ ასახავს სახელმწიფოთა გლობალურ თანხმობას და პოლიტიკურ ვალდებულებებს განვითარებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში. მასში დადასტურებულია, რომ მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა პირველ რიგში მთავრობათა მოვალეობას წარმოადგენს და ამისათვის აუცილებელია ეროვნული პროგრამების, გეგმების და პოლიტიკის შემუშავება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ სახელმწიფოებს.

დოკუმენტში გადმოცემულია ფუნდამენტური დებულებები, რომელთაგან განვიხილავთ უმთავრესს [4; 5; 8].

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეკოლოგიური და სავაჭრო პოლიტიკა შეესაბამებოდეს მდგრადი განვითარების მოთხოვნებს;

გლობალური ეკოლოგიური დეგრადაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია წარმოების და მოხმარების ისეთი სტრუქტურა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას, განსაკუთრებით ეს ითქმის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებზე;

ჩვენ უნდა განვიხილოთ საკითხი სიმდიდრის და აყვავების ისეთი ახალი კონცეფციების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფდა ცხოვრების უფრო მაღალ დონეს ცხოვრების წესის შეცვლის გზით და ნაკლებად იქნებოდა დამოკიდებული დედამიწის შეზღუდულ რესურსებზე და უკეთესად უპასუხებდა მისი სიცოცხლის უზრუნველყოფის შესაძლებლობებს;

აუცილებელია შევცვალოთ ეკონომიკური ზრდის დღევანდელი კონცეფციები და დავსახოთ ისეთი ეკონომიკური ამოცანები, რომლებიც გაითვალისწინებს ბუნებრივი რესურსების სრულ ღირებულებას. ასეთი მიდგომა მოითხოვს ისეთი ახალი ეკონომიკური მაჩვენებლების შემუშავებას, რომლებშიც ასახული იქნება მდგრადობა ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის შეფასებისას;

მდგრადი განვითარების მიღწევა დამოკიდებულია მოხმარების სტრუქტურის ცვლილებებთან ეფექტიანი წარმოების შეხამებაზე, ეს კი მოითხოვს ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში დამკვიდრებულ წარმოება-მოხმარების სისტემების ორიენტაციის შეცვლას;

ქვეყნების მთავრობებმა უნდა შეიმუშაონ პოლიტიკა, რომელიც წაახალისებს წარმოების და მოხმარების მდგრად სტრუქტურებზე გადასვლას;

მთავრობებმა და მრეწველობამ უნდა ითანამშრომლონ, რათა უზრუნველყონ ბუნებათსარგებლობის, წარმოების და მოხმარების ეკოლოგიურად უსაფრთხო და მდგრადი მეთოდების განვითარება;

ყველა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს პროგრამები, რომლებშიც განსაზღვრული იქნება ადამიანის ჯანმრთელობის დამაზიანებელი ეკოლოგიური ფაქტორები და მათი დაძლევის გზები;

აუცილებელია ეროვნული პროგრამების შემუშავება, რომლებიც წაახალისებს ენერგოდამზოგველი და ახალი ტექნოლოგიების (მზის, წყლის, ბიომასის და სხვა ენერჯის გამომყენებით) განვითარებას;

მთავრობებმა უნდა შეიმუშაონ მდგრადი განვითარების სტრატეგიები, რათა გააერთიანონ მთლიან სისტემაში სოციალური და ეკოლოგიური პოლიტიკა ყველა სამინისტროს და საქმიანობის დონეზე, საგადასახადო და საბიუჯეტო სფეროს ჩათვლით;

ასეთი სტრატეგიების მიზანი უნდა იყოს სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური განვითარება ბუნებრივი გარემოს ფაქტორებთან ჰარმონიაში მომავალი თაობების საკეთილდღეოდ;

ასეთი მიზნების მიღწევისათვის აუცილებელია ცვლილებები ინფორმაციის, დაგეგმვის და მართვის სფეროებში;

მთლიანად ფასებმა, ბაზრებმა, საგადასახადო და ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს და უზრუნველყოს საზოგადოების გონივრული დამოკიდებულება ეკოლოგიური სისტემის მიმართ. ამ მიზნით ძირეული ცვლილებებია საჭირო საზოგადოებრივი წარმოების პრაქტიკულად ყველა სფეროში (ენერგეტიკა, მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, სოფლის და სატყეო მეურნეობა, კავშირგაბმულობა, წყალმოსმარება, ნარჩენების გადამუშავება, ჯანდაცვა, ტურიზმი და სხვა);

**მთავრობებმა უნდა:**

საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყონ ძირეული მოსახლეობის ტრადიციული ეკოლოგიური გამოცდილების გამოყენება და სათანადო ტექნოლოგიებით ამ პროცესის ეფექტიანობის ამაღლება;

მოაგვარონ ადგილობრივი მართვის და თვითმმართველობის დონეზე ყველა რაიონში სათანადო „XXI საუკუნის დღის წესრიგის“ შემუშავება;

მოაგვარონ ეკოლოგიური განათლების გავრცელება მთელ მოსახლეობაში. წახალისონ საზოგადოების ყველა სექტორი (სამთავრობო, საწარმოო, არასამთავრობო ორგანიზაციები, უნივერსიტეტები და სხვ.) ეკოლოგიური კადრების მომზადების სისტემის შექმნის მიზნით.

მთლიანობაში, „რიო-1992“-ის დოკუმენტების სოციალური, ეკონომიკურ-მმართველობითი და ეკოლოგიური შინაარსი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური თეორიის განვითარებაში დადგა ახალი ეტაპი, როდესაც მოძველებული შეხედულებების ძირეული ცვლილებების საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს და ყოველმხრივ განვითარდეს უახლესი სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური აზროვნება და შესაბამისი თეორიულ-მეთოდოლოგიური ფუნდამენტი.

მდგრადი განვითარების თეორია იქცა ბოლო პერიოდის ყველაზე გამოკვლევად, სწრაფად განვითარებად და პოპულარულ ახალ თეორიად. მას მიეძღვნა უამრავი კონფერენცია, მონოგრაფია, სახელმძღვანელო. ამასთან, ის არის უაღრესად პრაქტიკული თეორია.

მსოფლიოს ყველა განვითარებულმა სახელმწიფომ განაცხადა მდგრადი განვითარების გზით სიარულის სურვილი. მოწინავე ქვეყნების ლიდერები და საერთაშორისო დოკუმენტები საბაზო იდეოლოგიად მდგრადი განვითარების დებულებებს იყენებენ.

### **მოსაზრებები და წინადადებები საქართველოს მდგრადი განვითარების ფუნდამენტური კონცეფციის შესახებ**

ჩვენში საყოველთაოდ ცნობილია ქართული გამონათქვამი: „ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ შენი ვალია“, რაც მდგრადი განვითარების კონცეფციის ქართულ-ტრადიციულ თეორიულ გააზრებას და პრაქტიკულ რეალიზაციას წარმოადგენს. ასევე ცნობილია ქართველი ადამიანის ქრისტიანული, გონივრული და მზრუნველი დამოკიდებულება ბუნების მიმართ. ყოველივე ამის უმთავრეს საფუძველს ბიბლიური მოძღვრება წარმოადგენს.

ბიბლიაში, კერძოდ იესო ქრისტეს სასწაულებსა და იგავებში (მაგალითად: 5 ათასი ადამიანის სასწაულებრივი დაპურება; იგავები გონიერი და უგონო მშენებლებისა და ხორბლისა და ღვარძლის შესახებ) გადმოცემული ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის თეორიული დებულებები და პრაქტიკული ქმედებები ყოველთვის ეკონომიკური და ეკოლოგიური პარამეტრების სინერგიულ-ჰარმონიული ურთიერთშეხამების აუცილებლობას გვიქადაგებენ, რაც ფაქტობრივად დღევანდელი მდგრადი განვითარების კონცეფციის სინერგიულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს [1, იოან. 6,12, გვ. 1051; 3, გვ. 132-133; 6, გვ. 59-60].

სწორედ ასეთ პრინციპებს ეფუძნებოდა ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საქმიანობის მართვა საქართველოში საუკუნეების მანძილზე, რაც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ თანამედროვე პირობებში. ამისკენ მოგვიწოდებს „რიო-1992“-ის დოკუმენტებიც, მაგალითად, დეკლარაციის ზემოთ გადმოცემულ 22-ე პრინციპში ნათქვამია, რომ სახელმწიფოები ვალდებული არიან, აღიარონ და სათანადოდ დაუჭირონ მხარი ადგილობრივი, ძირეული მოსახლეობის ცოდნას და ტრადიციულ პრაქტიკას, რომლის გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის მართვის საქმეში.

ასეთი მიდგომები საფუძველს უყრის ეკონომიკურ-ეკოლოგიური ზნეობის, როგორც უმნიშვნელოვანესი ეთიკური მიმართულების, ჩამოყალიბებას და თანამედროვე პირობებში საყოველთაო გავრცელება-გამოყენებას.

საქართველოში მდგრადი განვითარების ოფიციალური ფუნდამენტური კონცეფციისა და სხვა სათანადო აუცილებელი დოკუმენტების უქონლობა მთელი გარემოსდაცვითი მართვის



პროცესის ჩამშლელ ფაქტორად შეიძლება მოგვევლინოს. სწორედ ფუნდამენტურ კონცეფციაზე უნდა აღმოცენდეს მისი შესატყვისი სხვა ფუძემდებლური დოკუმენტები: მოდელი, სტრატეგია, პროგრამები, პროექტები და ა.შ.

აუცილებელია, უახლოეს მომავალში საფუძვლიანად დაიხვეწოს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური საფუძველი. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ადამიანის სიცოცხლის უზრუნველყოფ, ანუ ეკოლოგიურ მოთხოვნილებებს. სწორედ ასეთ საფუძველზე უნდა დგინდებოდეს და კმაყოფილდებოდეს საზოგადოებისათვის აუცილებელი სხვა ინტერესები.

საქართველოს მდგრადი განვითარების ფუნდამენტური კონცეფცია, ჩვენი აზრით, უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად ნაწილებს:

ბუნებრივი გარემოს და საზოგადოების ჰარმონიული ურთიერთქმედების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველები;

მდგრადი განვითარება, როგორც ახალი ეკონომიკური თეორია და მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები;

მდგრადი განვითარება და საქართველოს ეკონომიკური განვითარების ეროვნული მოდელი;

მდგრად განვითარებაზე გადასვლის ამოცანები, მიმართულებები და ეტაპები;

მდგრად განვითარებაზე გადასვლის მართვა. საწარმოო ეკოლოგიური მენეჯმენტი;

მდგრადი განვითარების სამართლებრივი და ეკონომიკური უზრუნველყოფა;

მდგრადი განვითარების საერთაშორისო ასპექტები.

მთლიანობაში, საქართველოს მდგრადი განვითარების თეორიული საფუძვლის შექმნა ის ორგანული პროცესია, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მეთოდოლოგიურ წანამძღვარს საზოგადოების პრაქტიკული, ჰარმონიული, ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარებისა და მართვისათვის.

ამ თვალსაზრისით, აუცილებელია უახლოეს დროში შემუშავდეს საქართველოს მდგრადი განვითარების ფუნდამენტური კონცეფცია, რომელიც ფაქტობრივად შეასრულებს ეკონომიკური განვითარების ეროვნული მოდელის დანიშნულებას და მოაწერიებს განვითარების ტრადიციულობას, მდგრადობას, სინერგიულ ჰარმონიულობასა და პროგრესულობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა. თბილისი, 1989, 1216 გვ.
2. შიხაშვილი გ. მდგრადი განვითარების თეორია - ჰარმონიული ეკონომიკურ-ეკოლოგიური მართვის საფუძველი. საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის ბიულეტენი. 2001, №51. 30 გვ.
3. შიხაშვილი გ., სვანიძე ი. ბიბლიური მოძღვრება, როგორც მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ეროვნული კონცეფციის საფუძველი. მოხსენებათა კრებული VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა „ქრისტიანობა და ეკონომიკა“. ბათუმი, 2015, გვ. 129-135.
4. Earth Summit Agenda – 21. The United Nations Program of Actions from Rio-1992. United Nations Publication. New York, 1994. 294 p.
5. Program of Actions. Agenda for 21 Century and other Documents of Rio-1992. Compiler M. Kitting. Geneva, 1993, 69 p.
6. Shikhashvili G. Biblical and Theological Interpretation of Environmental and Economic Activities as the Basis of a Synergistic Approach to the Issues of Sustainable Development of society. Библийско-богословское осмысление эколого-экономической деятельности – основа синергического подхода к вопросам устойчивого развития общества. OIKONOMOS: Journal of Social Market Economy. Vilnius, Lithuania, 3 (9), 2017 p. 56-63.
7. Наше общее будущее. Доклад МКОСР. Пер. с Англ. М., «Прогресс», 1989. 372 с.
8. Программа действий. Повестка дня на 21 век и другие документы Рио-1992. Сост. М. Китинг. Женева, 1993. 70 с.

AT THE ORIGIN OF THE THEORY OF SUSTAINABLE/"GREEN" ECONOMIC-MANAGERIAL ACTIVITY – “RIO-1992”

Summary

In today's conditions, it is necessary to understand the theoretical-methodological basis of sustainable / "green" economic-managerial activities.

Based on the documents of "Rio-1992", the newest socio-economic-ecological thinking and relevant theoretical-methodological foundation should be established.

It is necessary to develop the fundamental conception of Georgia's sustainable development in the nearest future, which will simplify the synergistic harmony of "green" economic-managerial activity.

Key words: Origin of the Theory of Sustainable Development; Documents of "Rio-1992"; The New Stage of Economic Theory Development; Fundamental Concept of Sustainable Development of Georgia.

მაღსა ზ ჩიქობავა

ბრეტონ-ვუდის კონფერენციის ჩატარების მიზნები და აშშ დოლარის დომინირების საფუძვლები

ანოტაცია: ბრეტონ-ვუდის თემა არასდროს კარგავს თავის აქტუალობას. ცხადია, ეს შემთხვევითი არ არის. წელს ამ ფორუმის ჩატარებიდან სრულდება 75 წელი და ამ ხნის განმავლობაში მრავალი საინტერესო მასალა დაგროვდა, რომელიც გააზრებას და განზოგადებას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ 1971 წლის 15 აგვისტოდან ბრეტონ-ვუდის სისტემა გაუქმებულად ითვლება, ჩვენი აზრით, ის დღესაც ინარჩუნებს უდიდეს მნიშვნელობას. არსებობს მყარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს მის ერთგვარ რეანიმაციას, ანუ ბრეტონ-ვუდის სისტემის რეინკარნაციას გარკვეული სახით.

თუ გადავშლით ენციკლოპედიას, ლექსიკონს ან სულაც მაკროეკონომიკის სახელმძღვანელოებს, წავიკითხავთ, რომ ბრეტონ-ვუდის - ესაა კონფერენცია, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო სავალუტო საფინანსო სისტემა. აღნიშნული სისტემა, ცხადია, ცარიელ ნიდავზე არ წარმოშობილა, რადგანაც ბრეტონ-ვუდსამდეც, დაახლოებით საუკუნე-ნახევრის განმავლობაში არსებობდა გარკვეული სავალუტო-საფინანსო სისტემა, რომელსაც ჩვეულებისამებრ, ვუწოდებთ კლასიკურ ოქროს სტანდარტის სისტემას, ანუ ოქროს სავალუტო სტანდარტს.

სახელმძღვანელოებში, როგორც წესი, ნახსენებია რამდენიმე სავალუტო-საფინანსო სისტემა, კერძოდ: პარიზის, გენუის, ბრეტონ-ვუდის და საბოლოოდ, იამაიკის სისტემა, რომლის პირობებშიც გვიხდება ცხოვრება. მოცემულ შემთხვევაში კლასიფიკაცია მიბმულია კონფერენციის დასახელებას, რომლებზეც თითქოსდა მიღებულ იქნა ესა თუ ის გადაწყვეტილება. საქმე ისაა, რომ მსგავს კონფერენციებში არავითარი გადაწყვეტილებები არ მიიღება. გადაწყვეტილება გაცილებით ადრეა მიღებული, რაც აშკარად ჩანს იამაიკის კონფერენციის მაგალითზე. ამ უკანასკნელ კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა 1976 წლის 7-9 იანვარს, უბრალოდ გაფორმდა ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მზადდებოდა, სულ მცირე, წინა ხუთი წლის განმავლობაში.

ზოგადად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამა თუ იმ კონფერენციაზე, იქნება ეს ბრეტონ ვუდის თუ იამაიკის, თითქოს იკრიბებიან ინტელექტუალური ან სულაც, გენიალური ადამიანები, რომლებიც ატარებენ ე. წ. ბრეინშტურმს და ამის შემდეგ იბადება რომელიღაც ჭეშმარიტება, რომელსაც ერთსულონად უჭერენ მხარს, როგორც ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას. რასაკვირველია, ეს მცდარი წარმოდგენაა საერთაშორისო ფინანსების სფეროში მოვლენების განვითარების შესახებ.

ამჯერად, ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ბრეტონ-ვუდის კონფერენცია, რა ისტორიულმა წანამძღვრებმა განაპირობა მისი ჩატარება სწორედ 1944 წლის 1-დან 22 ივლისის ჩათვლით და როგორ იქნა უზრუნველყოფილი აშშ დოლარის საერთაშორისო დომინანტობა.

*საკვანძო სიტყვები:* ოქროს სტანდარტი, ფიდუციარული ფული, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, საგადასახდელო ბალანსი, მე-2 მსოფლიო ომი, მეორე ფრონტი, ბრეტონ-ვუდსის კონფერენცია.

\* \* \*

ითქმის 75 წელია, რაც აშშ-ის დოლარი რჩება მთავარ მსოფლიო ვალუტად, რომლის აღზევება დაიწყო სავალუტო-საფინანსო კონფერენციის შემდეგ, სადაც ხელი მოეწერა გაერთიანებული ერების დეკლარაციას 1944 წლის 1-22 ივლისს, აშშ-ში, ნიუ-ჰემპშირის შტატის ქალაქ-კურორტ ბრეტონ-ვუდსში, სასტუმრო „მაუნთინ ვაშინგტონში“. კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ახალი საერთაშორისო სავალუტო სისტემისა და მისი ორი მთავარი ინსტიტუტის - საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის შექმნის თაობაზე.

კონფერენციაზე დელეგატებმა გამოხატეს მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის შექმნის სურვილი, სადაც ადგილი არ ექნებოდა ომების მთავარ მაპროვოცირებელ ნაციონალურ ეგოიზმს. აღნიშნულ ფორუმზე ძალიან ბევრი ითქვა ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და უმუშევრობისა და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლაზე. კეთილგანწყობილმა ატმოსფერომ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა მსოფლიო სავალუტო სისტემის ჩამოყალიბებას აშშ-ის დოლარის დომინირებით.

კონფერენციის მომზადების პროცესში წარმოდგენილ იქნა ბრიტანული გეგმა მსოფლიოში აღიარებული ეკონომისტის ჯონ მეინარდ კეინზის მეთაურობით და ამერიკული გეგმა აშშ-ის მაშინდელი ფინანსთა მინისტრის ჰენრი მორგენტაუს მოადგილის, ჰარი დექსტერ უაიტის მეთაურობით. კეინზის გეგმა ითვალისწინებდა საგადასახდელო ბალანსების რეგულირებას წარმოების, დასაქმების, შემოსავლებისა და ეფექტიანი მოთხოვნის ცვლილებით. ამ გეგმის მიხედვით, მსოფლიო სავალუტო სისტემის-წევრ სახელმწიფოებს უნდა შეექმნათ მრავალმხრივი საგადასახდელო სისტემა და კოლექტიური პასუხისმგებლობა უნდა აეღოთ საერთაშორისო სავალუტო და საგადახდო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. კეინზის წინადადებით, უნდა ჩამოყალიბებულიყო საერთაშორისო საკლირინგო კავშირი, რომელიც მოახდენდა საერთაშორისო საანგარიშსწორებო ერთეულის - ბანკორის ემისიას (უნდა აღვნიშნოთ, რომ კეინზის ეს შემოთავაზება წააგავს ე.წ. SDR-ს (სესხების სპეციალური უფლებას), რომელიც საერთაშორისო სარეზერვო აქტივების ნაწილია, შექმნილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ და განაწილებულია წევრ-ქვეყნებს შორის ოფიციალური რეზერვების სტატუსით). ბანკორი, რომელიც ცენტრალური ბანკების ანგარიშებზე იქნებოდა, უნდა გამოყენებულიყო მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ანგარიშსწორებებში საგადასახდელო ბალანსების დეფიციტების აღმოსაფხვრელად, რომელიც არ გულისხმობდა ნივთობრივ ფორმას ან ოქროთი უზრუნველყოფას. დასაშვები იყო ოქროს გაცვლა ბანკორზე, მაგრამ არა პირიქით [Кузнецов, 2001, 11-16].

კეინზის აზრით, 1920-იანი წლების ეკონომიკური შოკების ერთ-ერთი მიზეზი ლიკვიდურობის გლობალური უკმარისობა და მისი არათანაბარზომიერი განაწილება იყო. ამიტომ, ბრეტონ-ვუდსში მისი წინადადებით დაუყოვნებლივ უნდა შექმნილიყო 26 მლრდ დოლარის დამატებითი ლიკვიდურობა, რაც აშშ-ის მაშინდელი მშპ-ის 10%-ს შეადგენდა. კეინზი მკაცრად აკრიტიკებდა ფიქსირებულ სავალუტო კურსებს, რომელიც წარმოშობდა დეფლაციურ ზეწოლას ეროვნულ ეკონომიკაზე და აფერხებდა მის ზრდას. კეინზის ეს შესედელება დასტურდებოდა პირველი მსოფლიო ომის შემდგომი დიდი ბრიტანეთის მდგომარეობით. მოქნილი კურსები კი, კეინზის აზრით, პირიქით, აფართოებდა სარბიელს ეკონომიკური მანევრირებისათვის, რაც საშუალებას იძლეოდა ორიენტაცია აღებულიყო ეკონომიკის შიდა განვითარებაზე საკურსო პარიტეტების შენარჩუნებით [Ahamed, 2014, რ. 39].

უაიტის გეგმა ხაზს უსვამდა გაცვლითი კურსების სტაბილიზაციის აუცილებლობას სავალუტო რისკების აღმოსაფხვრელად, რომელიც ზიანს აყენებდა საერთაშორისო ვაჭრობასა და ინვესტიციებს. ის ილაშქრებდა პროტექციონიზმის ნებისმიერი ფორმისა და გამოვლინების წინააღმდეგ. არსებობდა მაღალი რისკი იმისა, რომ ომისშემდგომ პერიოდში პარტნიორი ქვეყნები მიმართავდნენ სავაჭრო შეზღუდვებს, რაც საფრთხეს შეუქმნიდა ამერიკულ ექსპორტს. ეს კი განსაკუთრებით მტკივნეულად აისახებოდა აშშ-ის ომისშემდგომ განვითარებაზე, მეტადრე სამხედრო დაკვეთების მოსალოდნელი მკვეთრი შემცირების პირობებში. აშშ-სათვის არანაკლებ საფრთხის შემცველი იყო ევროპაში შესაძლო მაღალი ინფლაცია და ევროპული ვალუტების გაუფასურება ომისშემდგომი აღორძინების პროცესში.

ყოველივე ეს ამერიკას უქადდა უმუშევრობის გარდაუვალ ზრდას და სოციალურ დაძაბულობას. ამიტომ, ვაშინგტონი ცდილობდა მიეღწია დისკრიმინაციული საკლირინგო შეთანხმებების აკრძალვისათვის, სავალუტო შეზღუდვების გაუქმებისა და მთლიანობაში, დოლარის როლის გაძლიერებისათვის, ამ უკანასკნელის საერთაშორისო ექსპანსიის ხარჯზე.

მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ში კონცენტრირებული მსოფლიო ოქროს კოლოსალური მარაგის გამო აშშ-ის ადმინისტრაცია და საქმიანი წრეები დელავდნენ მის ბედზე. მსოფლიო ეკონომიკის ფიდუციარულ (ე.ი., ძვირფასი ლითონების მარაგებით არაუზრუნველყოფილ) ფულზე გადასვლის შემთხვევაში, რომელიც კეინზის გეგმის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი იყო, აშშ-ის ოქროს რეზერვები გადაიქცეოდა ჩვეულებრივ ნედლეულად. ამრიგად, კეინზის გეგმის განხორციელებისა და ზემოსხენებული ობიექტური მიზეზების გამო, აშშ მის სასარგებლოდ შექმნილი უნიკალური უპირატესობიდან ვერ შეძლებდა ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებლის მიღებას [Валентин Катаионов, 2015, 8].

ხანგრძლივი დებატების შემდეგ კონფერენციის დელეგატებმა უარყვეს ბრიტანული გეგმა და მხარი დაუჭირეს ამერიკულს. დოლარი ახალი საერთაშორისო სავალუტო სისტემის ცენტრალური ნაწილი გახდა, ხოლო თეზისი „დოლარი ისევე კარგია, როგორც ოქრო“, ოფიციალურად დადასტურდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესდებაში. აშშ-მა მიიღო დოკუმენტი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოში დოლარის დომინირებას, რაც მას საშუალებას აძლევდა სხვა ქვეყნებისთვის თავს მოეხვია ვაშინგტონისთვის მომგებიანი სავალუტო-საფინანსო პოლიტიკის გატარება.

აშშ-ის ტრიუმფს სოლიდური ეკონომიკური საფუძველი გააჩნდა. მოკავშირეებისადმი სამხედრო-სამრეწველო პროდუქციის მიწოდებამ ამერიკულ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას განვითარების მძლავრი იმპულსი მისცა. ომის დასრულებისას აშშ-მა თავი მოუყარა მონეტარული ოქროს მსოფლიო მარაგების 3/4-ზე მეტს და იმ დროისთვის, არც ერთ სხვა ქვეყანას, გარდა აშშ-ისა, არ შეეძლო ეროვნული ვალუტის თავისუფლად გაცვლა ყვითელ ლითონზე.

ჯერ კიდევ II მსოფლიო ომამდე დოლარმა დაიწყო ფუნტი სტერლინგის შევიწროება სახელმწიფო სესხის ობლიგაციების ბაზარზე. პირველი მსოფლიო ომის დასრულებიდან მომდევნო 12 წლის განმავლობაში სახელმწიფო ვალის საერთო ღირებულებაში დოლარის წილი დაახლოებით 45%-ს შეადგენდა, ხოლო ფუნტის წილი - 50%-ზე ოდნავ მეტს. 1930 წელს ბრიტანული ეკონომიკის ვარდნის შემდეგ ფუნტის მნიშვნელობა თანდათანობით შემცირდა. დოლარის პოზიცია, პირიქით, გაძლიერდა, რასაც ხელს უწყობდა ამერიკული საფონდო ბაზრის მასშტაბების ზრდა [Chitu et al., 2012, 10-13].

ყოველივე ამის შემდეგ ისმის კითხვა: ნიშნავდა თუ არა აღნიშნული წინაპირობები იმას, რომ მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ დოლარი აუცილებლად უნდა გამხდარიყო მსოფლიოს მთავარი ვალუტა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უპრიანი იქნება მოკლედ მიმოვიხილოთ მსოფლიო სავალუტო სისტემის ევოლუციის ისტორიული ფაქტები.

როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნეში ინგლისი აქტიურად მიმართავდა სახელმწიფოთაშორის სავალუტო რეგულაციებს ფუნტი სტერლინგის პოზიციების გასამყარებლად. ოქროს სტანდარტზე გადასვლით მან მიაღწია ოქროს, როგორც მთავარი მონეტარული ლითონის ოფიციალურ აღიარებას. თუმცა, ფუნტის აღზევება ერთბაშად არ მომხდარა. მას ამისთვის რამდენიმე ათწლეული დასჭირდა. ამ ხნის განმავლობაში მოქმედებდა ალტერნატიული სისტემები: ბიმეტალიზმზე დაფუძნებული ლათინური მონეტარული კავშირი, სკანდინავიური კავშირი, ქადალდის ფულის სისტემა ავსტრო-უნგრეთსა და რუსეთში, ვერცხლზე დამყარებული მექსიკის, ინდოეთისა და სხვა ქვეყნების ფულადი სისტემები. ფუნტი სტერლინგის მსოფლიო ვალუტად ჩამოყალიბებისგან განსხვავებით, ოქრო-დოლარის სტანდარტის დამყარება ნახტომისებურად მოხდა. ის განხორციელდა მთავრობების ნორმატიული გადაწყვეტილებებით და არა ევოლუციური განვითარების გზით [Буторина О. В., 2018, 59].

ოქრო-დოლარის სტანდარტის ბუნებრივ ალტერნატივად შეიძლება მივიჩნიოთ კოორდინირებული გადასვლა ქადალდის ფულის მიმოქცევაზე. მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში რუსეთსა და ავსტრო-უნგრეთს მდგრადი ფულადი მიმოქცევის შთამბეჭდავი გამოცდილება დაუგროვდათ, რომელიც დაფუძნებული იყო ე.წ. დაუსურდავებელ ქადალდის ფულზე. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მხოლოდ ცალკეულმა ქვეყნებმა მცირედი ხნით აღადგინეს თავიანთი ვალუტების ოქროს შემცველობა. ამ პერიოდში არსებული მყიფე ოქროს სტანდარტი საკვებით შესაძლებელი იყო გამხდარიყო ფიდუციარულ ფულზე საყოველთაო

გადასვლის პროლოგი. 1930-იანი წლების დიდმა დეპრესიამ მნიშვნელოვნად გააძლიერა შეხედულებები ფულის სასაქონლო უზრუნველყოფის შეწყვეტის სასარგებლოდ. აშშ-ში შიდა მიმოქცევიდან ოქროს მონეტები ბოლოს ამოღებულ იქნა 1933 წელს.

სწორედ ამგვარ გადაწყვეტილებას - ვალუტის ოქროს შემცველობაზე უარის თქმას და ფიდუციარულ ფულზე გადასვლას - მოითხოვდა დაჟინებით კეინზი. მაგრამ, ბრეტონ-ვუდსის გადაწყვეტილებამ მსოფლიო ეკონომიკა მე-19 საუკუნის ყავლგასული პრაქტიკისკენ შემოაბრუნა, როცა ვალუტების გაცვლითი კურსების თანაფარდობები ვალუტების ოქროს შემცველობის საფუძველზე ყალიბდებოდა - იმ პრინციპული განსხვავებით, რომ უკვე პირდაპირ ოქროზე იცვლებოდა მხოლოდ აშშ დოლარი. ყველა სხვა დანარჩენი ვალუტა კონვერტირდებოდა ყვითელ ლითონში გასაშუალებულად, რამაც იმთავითვე განსაზღვრა აშშ დოლარისადმი მათი დაქვემდებარებული მდგომარეობა გლობალურ ფინანსებში.

როგორ მოხდა, რომ იდეურ დაპირისპირებაში ბრეტონ-ვუდსში თანამედროვეობის ყველაზე გავლენიანი ეკონომისტი პირწმინდად დამარცხდა ამერიკელი ტექნოკრატის მიერ? წარმომადგენლობითმა კონფერენციამ რის საფუძველზე გადადგა ნაბიჯი უკან მსოფლიო ფინანსური სისტემის განვითარებაში, როცა მეოთხედი საუკუნით გადაიდო ფიდუციარულ ფულზე გადასვლა? და ბოლოს, რატომ არ იქნა წამოყენებული ამერიკული გეგმის ალტერნატიული ვარიანტები სხვა ევროპული ქვეყნების, კერძოდ, საფრანგეთის, ავსტრიის, შვეციისა და ჰოლანდიის მიერ, რომლებსაც ავტორიტეტული ეკონომიკური სკოლები და სარეზერვო ვალუტების ემისიის დიდი გამოცდილება ჰქონდათ?

ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის ჩატარებას თავისი წინაპირობა გააჩნდა. გაერთიანებულმა ანგლო-ამერიკულმა შტაბმა 1944 წლის 12 თებერვალს გამოსცა დირექტივა ოპერაცია „ოვერლორდის“ განხორციელებაზე, რომელიც ითვალისწინებდა ლა-მანშის ფორსირებას და ნორმანდიაში ამერიკის, კანადისა და ბრიტანეთის გაერთიანებული დესანტის გადასხმას 1 მილიონზე მეტი ადამიანით. აღნიშნული ოპერაცია ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას ნიშნავდა.

ორი კვირის შემდეგ, 1944 წლის 25 თებერვალს, სტალინმა რუხველტისგან მიიღო საიდუმლო წერილი, რომელიც მთლიანად ეძღვნებოდა მომავალ საერთაშორისო სავალუტო კონფერენციის ჩატარებას. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა გაუგო ამერიკის პრეზიდენტს სწორედ ისე, როგორც მას ეს სურდა. საბჭოთა კავშირის თანხმობას კონფერენციის ჩატარებაზე, რომელსაც წილად ხვდა ომის მთავარი სიმძიმის საკუთარ თავზე აღება, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ კონფერენციის საერთაშორისო ავტორიტეტისა და უფლებამოსილებისთვის.

კონფერენციის მოწვევა სრული სვლით მიმდინარეობდა. ფინანსთა მინისტრმა მორგენტაუმ 1943 წლის 5 აპრილს უაიტის გეგმის პროექტი გაუგზავნა ანტიჰიტლერული კოალიციის 37 ქვეყანას. მალე პრესაში გაჩნდა კეინზის გეგმა. ტექნიკური ექსპერტების 1944 წლის 21 აპრილის ერთობლივი განცხადება ერთდროულად გამოქვეყნდა ვაშინგტონში, ლონდონში, მოსკოვში, ჰინცინში, ოტავაში, რიო-დე ჟანეიროში, მეხიკოსა და ჰავანაში. მოცემული სია წარმატებით ქმნიდა გლობალური მასშტაბის ილუზიას, თუმცა რვა დედაქალაქიდან ხუთი ამერიკაში იმყოფებოდა, რომლებიც მონროს დოქტრინის მიხედვით განეკუთვნებოდა აშშ-ის გავლენის სფეროს. ჩინური ჩუნცინი დედაქალაქის ფუნქციას დროებით ასრულებდა. უწინდელი დედაქალაქები ნანკინი, პეკინი და შანხაი იაპონიის მიერ იყო ოკუპირებული. ტერიტორიაზე, რომელზეც არ ვრცელდებოდა ჩინეთის მთავრობის ძალაუფლება, ცხოვრობდა მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, სადაც განთავსებული იყო ქვეყნის მთავარი საწარმოო ძალები. იაპონურ სამხედრო გემებს რამდენიმე წელი ალყაში ჰქონდათ მოქცეული ჩინური პორტები [Буторина О. В., 2018, 62].

1944 წლის 26 მაისს პრეზიდენტმა რუხველტმა 44 ქვეყნის მთავრობას კონფერენციაზე დასასწრებად მოწვევა დაუგზავნა, რომელიც დაახლოებით ერთი თვის შემდეგ - 1 ივლისს გაიხსნა. აქ უნდა გაეთვალისწინოთ ის, რომ იმ დროს ევროპიდან აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთის კიდებზე განთავსებულ შტატ ნიუ-ჰემპშირამდე გზა საჭიროებდა 7-10 დღეს მოგზაურობისთვის (მათ შორის, ატლანტიკის ოკეანის გადაცურვას და მატარებლით მგზავრობას), ხოლო აფრიკიდან და აზიიდან ჩასასვლელად კიდევ უფრო მეტი დრო იყო საჭირო. ამგვარად, მოწვევა გაგზავნილ იქნა ძალიან შემჭიდრობებულ ვადაში.

ბრეტონ-ვუდსის კონფერენცია გაიხსნა მეორე ფრონტის გახსნიდან 25 დღის შემდეგ. მისი მოწვევა ამ მოვლენამდე პრინციპულად შეუძლებელი იყო, რადგანაც ანტიჰიტლერული კოალიციის თითქმის ყველა ევროპული ქვეყანა იმყოფებოდა გერმანული ოკუპაციის ზონაში

და მოკლებული იყო სახელმწიფოებრიობას. მეორე ფრონტის გახსნამ აღმოფხვრა ეს დაბრკოლება. ნორმანდიაში გადასხმა მეომარ ერებს უნერგავდა ფაშიზმზე მალე გამარჯვების მოპოვების იმედს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, დევნილობაში მყოფ ევროპულ მთავრობებს ლეგიტიმურობას ანიჭებდა. მაშასადამე, ყველა პირობა არსებობდა იმისათვის, რათა ბრეტონ-ვუდსის 1944 წლის 1-22 ივლისის კონფერენციის გადაწყვეტილება უფლებამოსილად ჩათვლილიყო [Валентин Катасонов, 2015, 12].

აღსანიშნავია, რომ აშშ ცდილობდა რაც შეიძლება ადრე მოეწვია სავალუტო ფორუმი. ამაზე მიუთითებს კონფერენციების გრაფიკი, რომლებიც ჩატარდა დიდი სამეულის მოსკოვისა და თეირანის შეხვედრების გადაწყვეტილებით, შესაბამისად, 1943 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფორმირების საკითხებზე მშვიდობისა და უსაფრთხოების მხარდასაჭერად. ამათ შორის პირველი, რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, სავალუტო საკითხისადმი მიძღვნილი კონფერენცია გახდა, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა უსაფრთხოებასთან.

ბრეტონ-ვუდსში სხდომა, მიუხედავად იმისა, რომ მას უწოდებდნენ გაერთიანებული ერების კონფერენციას, ჩატარდა ორი თვით ადრე, ვიდრე დიდი სამეული შეთანხმებდა გაეროს მიზნებსა და სტრუქტურას და ერთი წლით ადრე, ვიდრე ხელი მოეწერებოდა მის წესდებას. შევნიშნოთ, რომ გაეროს კონფერენციის მოწვევაზე გადაწყვეტილება საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის მთავარ საკითხებზე - ვაჭრობასა და დასაქმებაზე - მიღებულ იქნა 1946 წლის თებერვალში, ხოლო თვითონ ფორუმი გაიხსნა 1947 წლის ნოემბერში - ომის დამთავრებიდან თითქმის ორწელიწად-ნახევრის შემდეგ.

აჩქარება, რომლითაც აშშ იწვევდა სავალუტო კონფერენციას, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა. რუხველტის ადმინისტრაცია ისახავდა მკაფიო მიზანს და მას ესმოდა, რომ მიზნის მისაღწევად არსებული შესაძლებლობები მალე შეიძლება გამქრალიყო. ამერიკული მხარის მოტივებში გასარკვევად გავიხსენოთ 1944 წლის სამხედრო ოპერაციები.

ვიდრე ფორუმის მონაწილეები იმყოფებოდნენ ფეშენებელურ სასტუმროში „მაუნთ ვაშინგტონი“, რომელსაც ჰქონდა საცეკვაო დარბაზი, დახურული საცურაო აუზები და შიდა ეზოები ვიტრაჟებით ტიფანის სტილში, მოკავშირეების საქსპედიციო ძალებმა გააფართოვეს პლაცდარმი ნორმანდიაში, საიდანაც ისინი აპირებდნენ ბრეტანსა და ლუარის აუზში შეღწევას. ივნისის განმავლობაში, მიუხედავად შტორმისა, მოკავშირეების ჯარმა აღმართა ასაწყობი პორტები, ასევე მათზე დააგეს გზები ნახევარკუნძულის სიღრმეებისკენ ბუდლოხერებისა და ფოლადის ბადეების დახმარებით. თვის ბოლოს ისინი დაეუფლნენ ქალაქს და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ღრმაწყლოვან პორტ შერბურს. საფრანგეთის დედაქალაქი ელოდებოდა გათავისუფლებას აგვისტოს ბოლოსათვის.

ამ ოპერაციამდე რამდენიმე ხნით ადრე, 1944 წლის მაისში, ანგლო-ამერიკული ჯარი, ფრანგებისა და პოლონელების მხარდაჭერით, გადავიდა ფართო შეტევაზე იტალიის მატერიკზე. მოკავშირეები 1944 წლის 4 ივნისს შევიდნენ რომში იმ იმედით, რომ მალე დაიკავენდნენ ფლორენციას და მოახდენდნენ პიზა-რიმინის ხაზის ფორსირებას, რათა გასულიყვნენ მდინარე პოს ხეობაში. სექტემბერში მოკავშირეებმა დაიწყეს ნეაპოლის რაიონზე შეტევა [Буторина О. В., 2018, 66].

1944 წლის 10 ივნისს წითელმა არმიამ დაიწყო საერთო საზავსულო შეტევის პირველი ტური, ხოლო ივლისის ბოლოს - მისი მეორე ტური 130 დივიზიის მონაწილეობით, ჯავშანსატანკო დივიზიების ჩათვლით. ივლისისათვის კარელიის ფრონტის ნაწილი გავიდა საბჭოეთი-ფინეთის საზღვარზე, ხოლო ლენინგრადის ფრონტის ნაწილი მიუახლოვდა ნარვას. მოწინააღმდეგის მსხვილი დაჯგუფება განადგურებულ იქნა ვილნიუსში. ოპერაცია „ბაგრატიონის“ მსვლელობისას საბჭოთა ჯარმა აიღო მინსკი, მთლიანად გაათავისუფლა ბელორუსია, გადაკვეთა საზღვარი პოლონეთთან და გააგრძელა წარმატებული შეტევები ვარშავის მიმართულებით. პირველი უკრაინული ფრონტის არმიებმა ალყაში მოაქციეს და გაანადგურეს გერმანელთა ჯარი ლვოვში. 1944 წლის 17 ივლისს მოსკოვში, როდესაც ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე მიმდინარეობდა რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საწესდებო დოკუმენტების შეთანხმება, ქუჩებში ბადრავის თანხლებით ჩაატარეს 57 ათასი ტყვე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის, 19 გენერალი. კონფერენციის დამთავრებამდე ორი დღით ადრე, 20 ივლისს მაღალი რანგის გერმანელ ოფიცერთა ჯგუფმა განახორციელა პიტლერზე თავდასხმა ნაცისტური მთავრობის დამხობისა და მოკავშირეებთან მოლაპარაკების დაწყების მიზნით. პიტლერი სასწაულებრივად გადაურჩა ტერაქტს. ამ აქტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა გახსნილიყო გზა ცეცხლის

შეწყვეტისკენ და ომის სწრაფად დამთავრებისკენ, მით უფრო, რომ საბჭოთა ჯარი გასული იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვართან. მოვლენების ასეთი განვითარების შემთხვევაში მოკავშირეთა ყურადღება მთლიანობაში გადაერთვებოდა მსოფლიოს ომის შემდგომი მოწყობის საკითხების გადაჭრაზე, ოკუპირებული ქვეყნების სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე, საზღვრების დემარკაციაზე და ა.შ.. გერმანიის კაპიტულაცია უთუოდ გადაავადებდა სავალუტო კონფერენციას ერთი წლით ან უფრო მეტი ხნით. თუ ამერიკულ დაზვერვას გააჩნდა ცნობა დაგეგმილი თავდასხმის შესახებ, მაშინ აშშ-ის მთავრობას ექნებოდა ყველანაირი გონივრული საფუძველი ბრეტონ-ვუდსში შეხვედრის ფორსირებისათვის.

1944 წლის ზაფხულისათვის მეორე მსოფლიო ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. სტალინგრადის, ელ-ალამეინის, კურსკისა და იტალიაში მოკავშირეების გადასხმის შემდეგ ნაცისტებმა საბოლოოდ დაკარგეს სტრატეგიული ინიციატივა, გადავიდნენ თავდაცვასა და უკან დახევაზე. თუ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ომი კიდევ, ამის თქმა არავის შეეძლო. ევროპაში მეორე ფრონტის გახსნისა და თეირანში შეთანხმებული საბჭოთა ჯარის საერთო შეტევის შემდეგ ნათელი გახდა, რომ გერმანია უკვე დიდი ხნით ვერ შეძლებდა ორ ფრონტზე ომის წარმოებას.

ევროპის ქვეყნების სწრაფი გათავისუფლება საბჭოთა და მოკავშირეთა ჯარების მიერ ძირფესვიანად შეცვლიდა სავალუტო კონფერენციის ფორმატს და მისი მონაწილეების შემადგენლობას. ის გეოგრაფიულად გაფართოვდებოდა ნეიტრალური და კაპიტულირებული ქვეყნების ხარჯზეც კი, ასევე გაძლიერდებოდა იურიდიულად და პროფესიულად. უფლებებო ემიგრანტული მთავრობების ნაცვლად ფორუმზე თავს მოიყრიდნენ უფლებამოსილი მინისტრები და ფუნქციონერები, რომლებიც მზად იყვნენ დაეცვათ ეროვნული ინტერესები. ამგვარი ინტერესების ფორმირება შეიძლება მომხდარიყო საბრძოლო მოქმედებების დამთავრებამდე: მეორე ფრონტის გახსნა მკვეთრად გაააქტიურებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ევროპულ ქვეყნებში წინააღმდეგობების ფრონტს, რაც გააღებდას მოახდენდა პოლიტიკური ელიტების სწრაფ კონსოლიდაციაზე.

ამიტომ, ამერიკისთვის კონფერენციის ჩატარების დროის თვალსაზრისით, ყველაზე ხელსაყრელი იყო პერიოდი მეორე ფრონტის გახსნიდან ნომინალური ემიგრანტული მთავრობების ქმედუნარიანი მინისტრთა კაბინეტებით ჩანაცვლებამდე და მით უფრო, ცეცხლის შეწყვეტამდე და ევროპის ქვეყნების მიერ სუვერენიტეტის მოპოვებამდე. ეს ვაშინგტონს სავალუტო-საფინანსო კონფერენციაზე მისთვის სასურველი შედეგების მიღწევის საშუალებას ანიჭებდა.

ერთი სიტყვით, ბრეტონ-ვუდსში თავი მოიყარა ხუთივე კონტინენტის 44 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, რომლებზეც მოდიოდა დედამიწის მოსახლეობის 67%, 1950 წლის დემოგრაფიული სტატისტიკის თანახმად. აზიას წარმოადგენდნენ ჩინეთი, ბრიტანეთის დომინიონი ინდოეთი, ირანი, ერაყი და იაპონური ჯარების მიერ დაკავებული ფილიპინები. აფრიკიდან ფორუმზე ჩამოვიდნენ დელეგაციები ეგვიპტიდან, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან, ლიბერიიდან და ეთიოპიიდან. 44 სახელმწიფოდან 21 იმყოფებოდა დასავლეთ ნახევარსფეროში. აშშ-ისა და კანადის გარდა, კონფერენციაში მონაწილეობდნენ ბოლივია, ბრაზილია, ვენესუელა, კოლუმბია, მექსიკა, პარაგვაი, პერუ, ურუგვაი, ჩილე, ეკვადორი. გარდა ამისა, კონფერენციაზე წარმოდგენილნი იყვნენ ცენტრალური ამერიკის მცირე სახელმწიფოები: ჰაიტი, გვატემალა, ჰონდურასი, დომინიკის რესპუბლიკა, კოსტა-რიკა, კუბა, ნიკარაგუა, პანამა და სალვადორი.

კონფერენციაზე ევროპას, საბჭოთა კავშირის გარდა, წარმოადგენდა შემდეგი სახელმწიფოები: ბელგია, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, ისლანდია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავია. რეალური სახელმწიფოებრიობა გააჩნდა მხოლოდ დიდ ბრიტანეთსა და ისლანდიას. ამ უკანასკნელმა, ხანგრძლივი ოკუპაციის შემდეგ, მოკავშირეების მიერ ორი კვირით ადრე მოიპოვა ის. დანარჩენი ცხრა ევროპული ქვეყანა – მონაწილე იყო ნაწილობრივ ან სრულიად ოკუპირებული გერმანიის და მისი სატელიტების მიერ [Буторина О. В., 2018, 70].

ბელგიის, ლუქსემბურგისა და საბერძნეთის გათავისუფლება დაიწყო 1944 წლის სექტემბერში, ანუ, კონფერენციის მიმდინარეობისას ეს ქვეყნები სრულად იყვნენ ოკუპირებულნი. შემოდგომისათვის დაიწყო ნიდერლანდების რაიონების გათავისუფლება სამხრეთით რეინიდან, ასევე ნორვეგიის ჩრდილოეთი რაიონების და იუგოსლავიის აღმოსავლეთი და სამხრეთი მხარეების გათავისუფლება. პოლონეთი ნახევარი წლის შემდეგ -

1945 წლის თებერვალში გათავისუფლდა. ჩეხოსლოვაკიის, ნიდერლანდებისა და ნორვეგიის სრული გათავისუფლება მოხდა 1945 წლის მარტში.

კონფერენციაზე ეს სახელმწიფოები წარმოდგენილნი იყვნენ ლონდონში „დევნილობაში მყოფი მთავრობების“ წევრებით, საზოგადო მოღვაწეებით, ამერიკულ უნივერსიტეტებში მოღვაწე პროფესორებით, ასევე აშშ-ში ელჩებითა და ეკონომიკური მისიების წევრებით. ჩეხოსლოვაკიას წარმოადგენდა ლონდონში მოქმედი ემიგრაციული ეროვნული საბჭო, რომელიც აღიარებული იყო, როგორც ანტიფაშისტური კოალიციის წევრი-ქვეყნის მთავრობა. საფრანგეთის დელეგაცია შედგებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრანგული კომიტეტის ორი წევრისგან. ეს კომიტეტი წარმოადგენდა პატრიოტულ ანტიფაშისტურ ორგანოს გენერალ შარლ დე გოლის მეთაურობით. რასაკვირველია, შეუძლებელი იყო ქვეყანა წარმოედგინა ხელისუფლების სათავეში მყოფ პეტენის კოლაბორაციონისტულ მთავრობას.

პოლიტიკური მიზეზების გამო, გაერთიანებული ერების კონფერენციაზე წარმოდგენილი არ ყოფილა გერმანიისა და მისი ევროპელი მოკავშირეების - იტალიის, რუმინეთის, უნგრეთის, ფინეთისა და ბულგარეთის დელეგაციები. საერთო ჯამში, მათი მოსახლეობა 1950 წლის მონაცემებით შეადგენდა 155 მლნ ადამიანს. ავსტრია, რომელსაც გააჩნდა ძლიერი ეკონომიკური სკოლა და, სხვა შემთხვევაში, შეეძლო პროევროპული გეგმის წამოყენება ახალი საერთაშორისო სავალუტო სისტემის მოსაწყობად, 1944 წლის ზაფხულისათვის წარმოადგენდა მესამე რეიხის ნაწილს. კონფერენციაში არ მონაწილეობდა მთლიანად ოკუპირებული დანია.

პრეზიდენტმა რუზველტმა მოსაწვევები არ გაუგზავნა ნეიტრალურ ქვეყნებს: შვეიცარიას, ესპანეთს, პორტუგალიას და თურქეთს. ბრეტონ-ვუდსში მათი მისამართით გაისმა მკვეთრი საყვედური გერმანიასთან თანამშრომლობის გამო; მათი ბანკები, აგრეთვე ბაზელში არსებული საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი დაადანაშაულეს ნაცისტების მიერ ნაძარცვი ფინანსური საშუალებების განთავსებაში. ამ ქვეყნებმა უფლება მიიღეს შეერთებულნი საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს მხოლოდ 1946 წლის 1 იანვრის შემდეგ.

ერთი სიტყვით, შექმნილი მდგომარეობა და ზემოაღნიშნული წარმომადგენლობა ასუსტებდა ევროპის პოზიციებს და ძალთა ბალანსს ცვლიდა ამერიკის კონტინენტის სასარგებლოდ. ფორუმზე წარმოდგენილი ამერიკის ერების ერთობლივი მოსახლეობა შეადგენდა 331 მილიონ ადამიანს, ევროპისა კი - 176 მილიონს, საიდანაც მხოლოდ 51 მილიონი ცხოვრობდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებში. ევროპიდან კონფერენციას ესწრებოდა 38 დელეგატი, 10-ით ნაკლები, ვიდრე ცენტრალური და სამხრეთი ამერიკიდან [Буторина О. В., 2018, 71].

ასეთი შემადგენლობა პასუხობდა აშშ-ის ინტერესებს რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი, ევროპის ქვეყნები, რომლებსაც ადრე ჰქონდათ ყველაზე მნიშვნელოვანი მსოფლიო ვალუტები, უკვე სითითი შემადგენლობის მხოლოდ მეოთხედს შეადგენდნენ. რიცხოვნობის მიხედვით ისინი იყვნენ იმდენივე, რამდენიც ცენტრალური ამერიკის ქვეყნების დელეგატები, რომლებიც მინიმალურ როლს თამაშობდნენ მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაში. მეორე, აშშ-ის პოტენციური ევროპელი ოპონენტების უმრავლესობას არ გააჩნდა სახელმწიფოებრიობა და სრულფასოვანი მთავრობები მოქმედი აპარატებითა და მსოფლიო ფინანსების სფეროში სპეციალისტების შტატებით. მესამე, მონაწილეთა გრძელი სია ქმნიდა ფართო წარმომადგენლობის ეფექტს და, ამგვარად, განაპირობებდა მისაღები გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობას.

ბრეტონ-ვუდსში ამერიკელებმა სრულად გამოიყენეს მიმღები ქვეყნის უპირატესობა. კონფერენციის მუდმივ თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა აშშ-ის ფინანსთა მინისტრი ჰ. მორგენტაუ. მისი კანდიდატურის წამოყენების დროს მექსიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა ე. სუარესმა ხოტბა შეასხა ამერიკელი მინისტრის „გაბედულ და შორსმჭვრეტელურ“ ფინანსურ პოლიტიკას, რომელმაც „ბრძოლაში გამოიწვია ორთოდოქსული აზროვნება“ და „ღიადი ქვეყანა მიიყვანა ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან გადაულახავი სიძნელეების დაძლევაში“. კონფერენციის თავმჯდომარის მოადგილეებად დამტკიცდა საბჭოთა კავშირის, ბრაზილიის, ბელგიისა და ავსტრალიის დელეგაციის ხელმძღვანელები. ფაქტობრივად, ფორუმის ბატონ-პატრონი იყო ჰ. დ. უაიტი. ის მართავდა მოლაპარაკებების პროცესებს, ახდენდა პრესკონფერენციების ორგანიზებას, აკონტროლებდა სტენოგრაფების მომზადებასა და გავრცელებას. მასზე იყო დამოკიდებული, იქნებოდა თუ არა საკითხი კენჭისყრაზე დაყენებული. თვითმხილველთა განცხადებით, როცა მორგენტაუმ მიმართა უაიტს სიტყვებით



„ახლა უპირატესობა ჩვენს მხარესაა და პირადად ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამით“, უაიტმა უპასუხა: „უპირატესობა მათ მხარეზე რომ ყოფილიყო, ისინი მას გამოიყენებდნენ“. აშშ-სათვის ფრიად მომგებიან ემიციურ ფონს ქმნიდა ახალი გახსნილი მეორე ფრონტი. სხდომის დარბაზებში გამეფებული იყო ამადლებისა და მტერზე სწრაფი გამარჯვების მოლოდინი, გამომსვლელები ხშირად და გულმხურვალედ გამოხატავდნენ ამერიკული მთავრობისადმი მაღლიერებას [Валентин Каташов, 2015, 16].

კონფერენციის მუშაობა მიმდინარეობდა სამ კომისიაში. პირველი კომისია დაკავებული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის საკითხებით, მეორე კომისია - რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შექმნით, ხოლო მესამე კომისია - საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობის სხვა ასპექტებით. პირველ-ორ კომისიას თავის შემადგენლობაში ჰყავდა ოთხ-ოთხი კომიტეტი.

ყველაზე მნიშვნელოვანი კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ჰ. დ. უაიტი, თავმჯდომარის მოადგილედ - ვენესუელის წარმომადგენელი, ხოლო მომხსენებლად - კანადის წარმომადგენელი. მის ოთხ კომიტეტს თავმჯდომარეობდა ჩინეთის, საბჭოთა კავშირის, ბრაზილიისა და პერუს წარმომადგენლები. სხვა სიტყვებით, პირველ კომისიაში ყველა ხელმძღვანელი პოზიცია დაკავებული ჰქონდათ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლებს, ასევე საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს. ევროპელებს აპრიორულად არ შეეძლოთ შესამჩნევი გავლენის მოხდენა კომისიის მუშაობაზე. კეინზი ხელმძღვანელობდა მეორე კომისიას მომავალი მსოფლიო ბანკის საკითხებზე. მის მოადგილედ დაინიშნა ჩილეს წარმომადგენელი, ხოლო მომხსენებლად - ბელგიის წარმომადგენელი. ოთხ კომიტეტს მეთაურობდა ნიდერლანდების, კუბის, კოლუმბიისა და ინდოეთის დელეგატები.

აშშ-ის დელეგაცია ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო კონფერენციაზე: 12 დელეგატი, 17 ტექნიკური და 5 იურიდიული მრჩეველი. შვიდ ბრიტანელ დელეგატს შორის, კეინზის გარდა, იმყოფებოდა ხაზინის სამი წარმომადგენელი, თითო-თითო ჩინოვნიკი სამხედრო უწყებიდან, საგარეო საქმეთა სამინისტროდან და ვაშინგტონში დიდი ბრიტანეთის საელჩოდან. ფრანგული დელეგაცია შედგებოდა ფინანსთა კომისრისგან, ფინანსთა სამინისტროს მრჩეველისგან და ოთხი მრჩეველი დელეგატისგან. საბერძნეთმა ფორუმზე გაგზავნა სამი დელეგატი: ცენტრალური ბანკის მმართველი, ფინანსთა სამინისტროს ჩინოვნიკი და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი. „მაუნთ ვაშინგტონში“ მყოფი ჰოლანდიის ოთხი დელეგატიდან ორი იკავებდა ოფიციალურ პოსტებს ამ ქვეყნის მისიაში აშშ-ში. იუგოსლავია წარმოდგენილი იყო აშშ-ში საელჩოს ერთი დესპანით [Буторина О. В., 2018, 70].

დამაჯერებელმა ფოკუსირებამ გლობალურ მიღწევაზე ფორუმის ორგანიზატორებს საშუალება მისცა კონფერენციაზე მოეზიდათ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყნები, რომლებსაც არ ჰქონდათ ამბიციები საერთაშორისო სავალუტო სფეროში. ვაშინგტონისათვის ისინი წარმოადგენდნენ თავისებურ სასარგებლო პოლიტიკურ ბალანსს. საბჭოთა კავშირის მონაწილეობა ამადლებდა კონფერენციის უფლებამოსილებას, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუბლი არაკონვერტირებადი ვალუტა იყო, ხოლო მოსკოვი არ აპირებდა ანგლო-ამერიკულ კამათში რომელიმე მათგანისთვის მხარდაჭერას. საბჭოთა კავშირის პირველი რიგის ამოცანა მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის საქმეში იყო შემდეგი: გერმანიისა და იაპონიის გრძელვადიანი გაუვნებელყოფა, მეგობრული სახელმწიფოების შექმნა დასავლეთი საზღვრის გასწვრივ, შორეულ აღმოსავლეთში უფლებებისა და ტერიტორიების დაბრუნება, შავი ზღვის სრუტეების რეჟიმის გადახედვა. ომისშემდგომი დაგეგმვის საკითხებით დაკავებული იყო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სამი კომისია. მათი თემატიკა მოიცავდა სამშვიდობო მოლაპარაკებების მომზადებას, დაზავებისა და რეპარაციის საკითხებს. საბჭოთა ხელმძღვანელობა აშშ-ს განიხილავდა, როგორც შორეულ სახელმწიფოს, რომლის ინტერესები ნაკლებად იკვეთებოდა საბჭოთა კავშირის ინტერესებთან. ერთ-ერთი დასახელებული კომისიის მეთაური, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ი. მ. მაისკი საფუძვლიანად ვარაუდობდა, რომ აშშ-ის ექსპანსია დაეყრდნობა არა სამხედრო ძალას და ტერიტორიების დაპყრობას, არამედ „ფინანსურ-ეკონომიკური ანექსიის“ მეთოდებს, რომელიც გეოგრაფიულად ძირითადად გვერდით ჩაუვლიდა საბჭოთა კავშირს, რადგან თავის ძირითად მოწინააღმდეგედ მიიჩნევდა დიდ ბრიტანეთს.

საბჭოთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე მ. ს. სტეპანოვი. სხდომებზე მისი გამოსვლა არსებით წინადადებებს არ შეიცავდა და მხოლოდ გაკვრით თუ ეხებოდა მომავალი კონტრიბუციის საკითხებს. მოაწერა რა ხელი შემაჯამებელ დოკუმენტებს, საბჭოთა კავშირმა არ მოახდინა მისი რატიფიკაცია, არ შეუერთდა

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მუშაობას. როგორც ნ. ა. ვოზნესენსკი აღნიშნავს, საბჭოთა კავშირის ეკონომიკის ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი პრინციპი იყო მისი „დამოუკიდებლობა კაპიტალისტური სახელმწიფოებისა და მონოპოლიებისაგან“. საბჭოთა სახელმწიფო არ გამოირიცხავდა თავის მონაწილეობას საერთაშორისო ორგანიზაციებში იმ პირობით, თუ ისინი „არ გამოაცხადებდნენ პრეტენზიას საბჭოთა კავშირის შიდა ურთიერთობებში ჩარევაზე და არ შეეხებოდნენ საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ სისტემას“.

ვაშინგტონისათვის სარფიანი მონაწილე იყო ჩინეთი თავისი უზარმაზარი მოსახლეობით. პირველ კომისიაში ჩინეთის წარმომადგენელი იყო პირველი კომიტეტის თავმჯდომარე, სადაც წყდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზნები, პოლიტიკა და კვოტები. ჩინეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა კუნ სიანსი, რომელიც ჩან კაიშის მთავრობაში ცენტრალური ბანკის მმართველი იყო. მისი სიტყვებით, ომის დასრულების შემდეგ ჩინეთი გეგმავდა დაბრუნებოდა ფულად სისტემას ვერცხლის, ნიკელისა და სპილენძის საფუძველზე.

უნდა გავიხსენოთ, რომ ჩინელებმა მსოფლიოში პირველებმა დაიწყეს ქაღალდის ფულის გამოყენება. ის ჩინეთის სამხრეთით უკვე X საუკუნეში გამოჩნდა, თავდაპირველად მას უშვებდნენ უმსხვილესი საბანკო ოჯახები, ხოლო 970 წლიდან - მთავრობა. იუანის დინასტიის ეპოქაში (1206-1367 წწ.) ქაღალდის ფულმა მოიპოვა საყოველთაო მიმოქცევის ფუნქცია ჩინეთის ტერიტორიაზე. 1889 წლიდან ჩინეთმა დაიწყო ვერცხლის მონეტების გამოტყევა მექსიკური დოლარის სტანდარტით - წონით 24 გრამი. ჩინეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ოქროს მონეტები გამოიშვებოდა შეზღუდული მასშტაბით. ეს კი, ჩინელი ავტორების აღიარებით, მოწმობდა მსოფლიო სტანდარტისგან მათ ჩამორჩენას. XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი აღინიშნა ეროვნული ფულადი სისტემის ჩამოშლით და ნატურალური გაცვლის რეანიმაციით. 1933 წელს გომილდანის მთავრობამ კვლავ შემოიღო ვერცხლის იუანები, მაგრამ უკვე 1935 წელს დაუბრუნდა არაუზრუნველყოფილ ქაღალდის ფულს.

ფულადი მიმოქცევის სფეროში ჩინეთის მთავრობის გეგმები შორს იმყოფებოდა საერთაშორისო სავალუტო სისტემის მოწყობის იმ შეხედულებებისგან, რომლებიც გააჩნდა ვაშინგტონსა და ლონდონს. ჩინეთს, როგორც სსრკ-ს, ჰქონდა არაკონვერტირებადი ვალუტა, არ გააჩნდა საერთაშორისო სავალუტო კონფერენციებში მონაწილეობის გამოცდილება, არ შეეძლო და არც აპირებდა გავლენის მოხდენას ბრეტონ-ვუდსის ფორუმის შედეგებზე.

კონფერენციაზე წარმოდგენილი ქვეყნების ნაწილი ტრადიციულად იყენებდა ფულადი ლითონის სახით ვერცხლს. კონფერენციის მსვლელობისას მექსიკა, რომელზეც მოდიოდა ვერცხლის მსოფლიო წარმოების 40%, ცდილობდა მიეღწია მისი გამოყენებისთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოპერაციებში. მექსიკის დელეგაციამ მოუწოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდს, შემუშავებულიყო სპეციალური ინსტრუმენტები ქვეყნების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ვერცხლის უპირატესი მიმოქცევით. მექსიკის დელეგაცია ვარაუდობდა, რომ მოცემული წინადადება მხარდაჭერილი იქნებოდა ყველა დელეგატის მიერ, რამდენადაც ამის სარეალიზაციოდ საჭირო იყო ფონდის შედარებით მცირე რესურსები, ხოლო მისი მოწონება იქნებოდა „ელემენტარული საერთაშორისო სამართლიანობის აქტი“. თუმცა კონფერენციამ ყურად არ იღო აღნიშნული წინადადება, მისი განხილვისათვის საჭირო დროის უკმარისობის საბაბით.

მრავალი დელეგაცია ბრეტონ-ვუდსში ჩავიდა ერთადერთი მიზნით - მიეღოთ საერთაშორისო კრედიტები ომისგან განადგურებული ეკონომიკის აღსადგენად. ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა ლ. ფეიერაბენდმა ხაზი გაუსვა თავის გამოსვლაში იმას, რომ საერთაშორისო სავალუტო სტაბილიზაცია მიუღწეველი იქნებოდა გრძელვადიანი კრედიტების პრობლემების გადაჭრის გარეშე. ოკუპაციისთანავე ქვეყანამ მთლიანად დაკარგა ფინანსური რესურსები, ვინაიდან ნაცისტებმა ხელში ჩაიგდეს ქვეყნის საკუთრებაში არსებული ყველა საგარეო აქტივი. ჩეხოსლოვაკიას არ გააჩნდა კოლონიები და არ შეეძლო დახმარებისათვის მიემართა მეზობელი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ასევე გამოფიტულნი იყვნენ ომისგან. მიუხედავად იმისა, რომ მეორე კომისია დაკავებული იყო მომავალი მსოფლიო ბანკის შექმნის საკითხით, ძირითადი ყურადღება მაინც დაეთმო ოქრო-დოლარის სტანდარტის შეთანხმებისა და დანერგვის საკითხებს. მას თითქმის მთლიანად მიუძღვნა კონფერენციის მუშაობის სამიდან ორი კვირა. ძალთა ასეთი განაწილება სრულად შეესაბამებოდა პრიორიტეტებს, რომლებიც ასახული იყო 1944 წლის თებერვალში რუზველტის მიერ სტალინისადმი გაგზავნილ წერილში.

კონფერენციაზე ჩამოყალიბდა პარადოქსული სიტუაცია. მხოლოდ ერთი ქვეყანა დაჟინებით მოითხოვდა ფიქსირებულ კურსს და მის მიზმას ოქროსთან. მონაწილე სახელმწიფოების უდიდესი უმრავლესობა დათანხმდა არაუზრუნველყოფილი ქაღალდის ფულის ემისიას, ხოლო შიდა მიმოქცევაში ოქროს დაბრუნებაზე საუბარიც კი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. მაშასადამე, კონფერენციის მონაწილეებმა სხვადასხვა მიზეზის გამო იოლად დათმეს პოზიციები აშშ-ის სასარგებლოდ.

ევროპულ ქვეყნებს სამხედრო მდგომარეობის გამო არ შეეძლოთ წამოეყენებინათ სერიოზული წინადადებები ახალი საერთაშორისო სავალუტო სისტემის მოწყობის თაობაზე. კონფერენციის ჩატარების მომენტში არც ერთ მათგანს არ ჰქონდა ჩამოყალიბებული ეროვნული ინტერესები მოცემულ სფეროში, მით უფრო - დამუშავებული ინიციატივები. მათ ასევე ვერ შეძლეს შეექმნათ ფართო კოალიცია ბრიტანული ან მისი მსგავსი ევროპული გეგმის მხარდასაჭერად. აუთოქმედებელი დარჩა ევროპული ეკონომიკური მეცნიერების მძლავრი ინტელექტუალური რესურსები. კონფერენცია ომის დასრულების შემდეგ რომ ჩატარებულიყო, მაშინ მის მუშაობაში მაღალი ალბათობით ჩაერთვებოდნენ სტოკჰოლმის სკოლის წარმომადგენლები: გ. კასელი, ბ. ულინი, გ. მიურდალი და სხვები. განსაკუთრებით ღირებული შეიძლება გამხდარიყო ავსტრიული ეკონომიკური სკოლის წვლილი ისეთი წარმომადგენლების სახით, როგორებიც იყვნენ ი. შუმპეტერი, ლ. ფონ მიხესი, ფ. მახლუპი, ფ. ფონ ჰაიეკი [Буторина О. В., 2018, 72].

ოქრო-დოლარის სტანდარტის შემოღება არ ყოფილა ომის შემდგომი მსოფლიო სავალუტო სისტემის ორგანიზაციის ერთადერთი შესაძლო ვარიანტი. მისი ალტერნატივა იყო კეინზის მიერ შემოთავაზებული ფიდუციარულ ფულზე და მცურავ კურსებზე გადასვლა. შუალედური ვარიანტი შეიძლება ყოფილიყო კურსების ფიქსაცია დოლარსა და ფუნტს შორის, რომლებზეც მოდიოდა მსოფლიო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი.

ფ. რუზველტის ადმინისტრაციამ 1944 წელს განახორციელა მსოფლიო ისტორიაში ეკონომიკური დიპლომატიის უდიდესი ოპერაცია. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კონფერენციის მოწვევის დროს - შუალედს მეორე ფრონტის გახსნიდან ანტიჰიტლერული კოალიციის ევროპული სახელმწიფოების მინისტრთა სრულფასოვანი კაბინეტების ჩამოყალიბებამდე, აგრეთვე ომის დამთავრებამდე. ვაშინგტონის სასარგებლოდ სასწორის გადახრა მიღწეულ იქნა ოპონენტების მოკვეთით ჰიტლერული კოალიციის ქვეყნებიდან (ე.წ. ღერძის ქვეყნებიდან, რომლებშიც შედიოდნენ გერმანია, იტალია, იაპონია და ანტიჰიტლერული კოალიციის არაწევრი ქვეყნები), ევროპული მოკავშირე ქვეყნების დელეგაციების დასუსტებით და იმ ქვეყნების დიდი რიცხვის მოწვევით ფორუმზე, რომლებსაც არ გააჩნდათ ამბიციები საერთაშორისო ფინანსების სფეროში.

ამრიგად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა დაკარგეს შესაძლებლობა, უარი ეთქვათ ვალუტის ოქროთი უზრუნველყოფადობაზე და გადაედგათ ნაბიჯი წინ ფიდუციარული ფულის განვითარებისკენ. მიუხედავად იმისა, რომ ოქროს სტანდარტის შინაგანმა დაუსაბუთებლობამ გამოიწვია მისი კრახი 1971 წელს, დოლარის ხანგრძლივმა დომინირებამ ომის შემდგომ პერიოდში ჩამოაყალიბა მყარი საბაზრო საფუძველი დღემდე მისი ლიდერობისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Валентин Катасонов, Золото и доллар: покорение мира, [http://poznatelnoe.tv/katasonov\\_zoloto\\_dollar\\_pokorenie\\_mira](http://poznatelnoe.tv/katasonov_zoloto_dollar_pokorenie_mira)
2. Валентин Катасонов, Золотой обман Бреттон-Вудса [http://poznatelnoe.tv/katasonov\\_komu\\_podchinyaytsa\\_rus\\_banki](http://poznatelnoe.tv/katasonov_komu_podchinyaytsa_rus_banki)
3. Буторина О. В. Как США обеспечили победу доллара в Бреттон-Вудсе, [http://www.instituteofeurope.ru/images/stories/structura/butorina/Butorina\\_Dollar's\\_Triumph\\_in\\_Bretton\\_Woods\\_Voprosy\\_Ekonomiki\\_2015\\_N8](http://www.instituteofeurope.ru/images/stories/structura/butorina/Butorina_Dollar's_Triumph_in_Bretton_Woods_Voprosy_Ekonomiki_2015_N8).
4. Ahamed L. (2014). Bretton Woods: Keyens versus White. Proceedings of OeNB Workshops, No. 18, pp. 38-40.
5. Chitu L., Eichengreen B., Mehl A. (2012). When did the Dollar Overtake Sterling as the Leading International Currency? Evidence from the Bond Markets. ECB Working paper, No. 143.

REASONS FOR THE BRETTON WOODS CONFERENCE AND THE BASIS FOR THE DOMINANCE OF THE US DOLLAR

Summary

The Bretton Woods theme never loses its relevance. Obviously, this is no accident. This year marks 75 years of age, and during this period many interesting materials have been collected that require understanding and synthesis. Despite the fact that from August 15, 1971, the Bretton Woods system is considered abolished, in our opinion, it still retains great importance.

If we take encyclopedia, vocabulary, or macroeconomic guidelines, we read that Bretton Woods is the conference at which the decision was made, on the basis of which the World Financial and Monetary System was created.

Obviously, this system did not originate from scratch, because for several centuries there existed a certain monetary system, which, as usual, calls the classical system of the gold standard, that is, the gold currency standard.

The textbooks usually say that there were several monetary and financial systems:

- There was a so-called Paris system.
- There was a Genoese system.
- Then the Bretton Woods system.
- And finally, now we live in the conditions of the Jamaican system.

In this case, the classification is tied to the names of conferences at which some decisions were allegedly made. In real life decisions are not made at such conferences. Solutions are prepared in advance. This is particularly evident in the example of the Jamaica Conference. This is especially evident in the example of the Jamaican Conference.

In general, it seems that some clever, and perhaps even brilliant people are gathering at such conferences like Bretton Woods, or the Jamaican monetary system, conduct some kind of brainstorming, and as a result of these brainwave attacks, is born some truth. And here, in fact, this truth is, and then all together vote for it, the only correct decision.

This is a completely false idea about the algorithm of events in the field of international finance.

This time our goal is to demonstrate the goal of the Bretton Woods conference, which historical preconditions made it happen on July 1 and July 22, 1944, and how the domination of the dollar was ensured.

**Keywords:** gold standard, fiduciary money, International Monetary Fund, World Bank, Balance of Payments, World War II, Second Front, Bretton Woods Conference.

გიორგი ჭინჭარაული  
მაია კაპანაძე

„მწვანე ეკონომიკის“ თეორიული პრობლემების შესახებ

**ანოტაცია.** სტატიაში განხილულია არსებულ სინამდვილეში სხვადასხვა სახის „მწვანე ეკონომიკის“ პრობლემები, ამ პრობლემის დაძლევის ძირითადი მიმართულებები, „მწვანე ეკონომიკაზე“ სრულყოფილად გადასვლის ღონისძიებათა სისტემა და ბერკეტები. წარმოდგენილია წინადადებები საქართველოში „მწვანე ეკონომიკისკ“ არასრულყოფილი ფუნქციონირების გაუმჯობესების შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ეკონომიკა, ეკონომიკური პროდუქტი, მიხაკისფერი ეკონომიკა

\*\*\*

პოსტსოციალისტურ, და არა მარტო პოსტსოციალისტურ, ქვეყნებში ხშირად ერთიმეორისაგან ვერ ანსხვავებენ ეკონომიკისა და ეკონომიკური თეორიის ცნებებს, ცნებათა კლასიკურ და მთარულ განმარტებებს და ა.შ., რის გამოც მწვანე ეკონომიკის შესახებ სხვადასხვა განმარტებები არსებობს. ერთნი მას მიიჩნევენ ახალ დარგად, რომელიც აუმჯობესებს ბუნებას; მეორენი აცხადებენ, რომ ის არის ახალი ტექნოლოგიებისა და ეკოსისტემების გამოხატულება, რომლის შედეგადაც ხორციელდება ბუნების დაცვა და სარგებლობა; მესამენი მწვანე ეკონომიკას აცხადებენ განვითარების ახალ ეტაპად, რომლის მიზანია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის შექმნა და ა.შ.

მწვანე ეკონომიკის შესახებ ყველაზე ფართო განმარტებას იძლევიან გაეროს ექსპერტები. მათი შეხედულებით მწვანე ეკონომიკა არის სამეურნეო საქმიანობა „რომელიც ამაღლებს საზოგადოების კეთილდღეობას და უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობას. არსებითად ამცირებს გარემოს გადატაკების რისკებს. მიმდინარეობს გარე რესურსების შენაცვლება შიდა რესურსებით, ეკოლოგიურად სუფთა და ეფექტიან ტექნოლოგიებზე არსებული მდგრადი სოფლის მეურნეობა ემსახურება ეკონომიკის ზრდის ძირითად მამოძრავებელ ფაქტორებს, რომლებიც ქმნიან სამუშაო ადგილებს და ამცირებენ სიღარიბის მასშტაბებს“. მწვანე ეკონომიკის ყველა ზემოთ წარმოდგენილი განმარტება არასრულყოფილია, რადგან არ ასახავს ცნების კლასიკური განმარტების მოთხოვნას, როგორც აზრს მოვლენის არსებითი ნიშნების შესახებ.

ცნობილია, რომ ეკონომიკა ეს არის საზოგადოებრივი წარმოება ე.ი. ადამიანთა გააზრებული ქმედება. ეკონომიკური თეორია კი - ეკონომიკური მოვლენების, ფაქტების განზოგადება. სამეცნიერო-პედაგოგიურ ლიტერატურაში ასევე გამოიყენება „ბუნებრივი წარმოების“ ცნებაც. ჩვენი აზრით, უმჯობესია, ვიყენებდეთ ცნებას) - „ბუნება ქმნის“ და არა „აწარმოებს“, რადგანაც ბუნება გააზრებულად არ მოქმედებს. ამდენად ბუნების შექმნილ „პროდუქტს“ არ შეიძლება ეწოდოს ეკონომიკური პროდუქტი. ეკონომიკურ პროდუქტს აწარმოებს მხოლოდ საზოგადოებრივი წარმოება. აღნიშნული წინამძღვრების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მწვანე ეკონომიკა - ეს არის საზოგადოებრივი წარმოება, რომელიც მოიცავს როგორც საკუთრივ მწვანე პროდუქტის წარმოებას, ასევე ბუნებრივი მწვანე რესურსების დაცვისა და სრულყოფა-გამრავლებისათვის განხორციელებულ წარმოებას, რაც თავისთავში აერთიანებს უამრავ ეკონომიკურ მოვლენას, რომელთა ფაქტების განზოგადება მწვანე ეკონომიკის თეორიის სახეს იღებს.

მწვანე ეკონომიკა სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიება განვითარების ეტაპად, ეკონომიკის სფეროდ, ეკონომიკის მიმართულებად, სახედ და ა.შ.

ჩვენი აზრით კი, ეს არის საზოგადოებრივი წარმოების გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა. იგი ამ წარმოებიდან გამომდინარე საქმიანობაა, რომელსაც განსხვავებული რესურსები, ტექნოლოგია და პროდუქტისა და მომსახურების ტიპურობა გააჩნია. იგი მოიცავს სხვადასხვა დარგებისა და სფეროების კომპონენტებს, მისი თეორია კი - სხვადასხვა მეცნიერული დარგებისა და სფეროების იდეებსა და მიმართულებებს. მწვანე ეკონომიკის საპირისპიროდ დღევანდელ რეალობაში არსებულ ეკონომიკას „მიხაკისფერ ეკონომიკას“ უწოდებენ, რომელიც არასრულყოფილ სისტემადაა ცნობილი, რადგანაც წარმოშობს რიგ უარყოფით მოვლენებს, როგორცაა: ეკონომიკური პრობლემები, ბუნებრივი კლიმატის გაუარესება, სიღარიბის დიდი მასშტაბები, მტკნარი წყლის, სურსათის, ენერჯის უკმარისობა, ქვეყნებისა და საზოგადოებების უთანასწორობა და ა. შ., რაც პრობლემას ქმნის ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის, რადგან გარემოს დაბინძურებით გამოწვეული დაავადებები გახშირდა და გაიზარდა; ცხოველთა მრავალი სახეობა გადაშენდა, მრავალი გადაშენების პირასაა. წყლისა და მიწის რესურსები ჭუჭყიანდება და იწურება და ა.შ. ამდენად, აუცილებელია, დაიძლიოს ეს პრობლემები მომავალში კატასტროფის ასაცილებლად. მწვანე ეკონომიკა ემყარება სამ აქსიომას:

შემოსაზღვრულ სივრცეში უსასრულოდ გავლენის სფეროების გაფართოება შეუძლებელია.

შეზღუდული რესურსების პირობებში შეუძლებელია მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ურთიერთკავშირშია ყოველივე ის, რაც მიწის ზედაპირზეა. გარკვეული აზრით, ყოველივე ესეც ქმნის მწვანე ეკონომიკის არსებობის აუცილებლობას, რომლის ძირითადი მიმართულებებია:

- ეკონომიკის დაცვა და ეფექტიანი მართვა;
- განახლებადი ენერჯის წყაროების დანერგვა;
- წყლის რესურსების მართვის სრულყოფა;
- წარმოების მართვის სისტემის გაუმჯობესება;
- სუფთა ტრანსპორტის განვითარება;
- სოფლის მეურნეობაში ორგანული მიწათმოქმედების წარმოება;
- ენერგოეფექტიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში.

აღნიშნულის განხორციელებისა და სრულყოფისათვის საჭიროა რიგი ღონისძიებების გატარება. უპირველესად კი შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური კანონმდებლობების შექმნა

და მის საფუძველზე მწვანე ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც თავის თავში მოიცავს სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და სხვა პოლიტიკის საკითხებს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, რაციონალური „მწვანე ეკონომიკის“ ფუნქციონირებისათვის საჭიროა:

- ისეთი სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის დამუშავება და მიღება, რომელიც წაახალისებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებას და ამ წარმოების მეთოდების სრულყოფას.

- ფასწარმოქმნის პრინციპების სრულყოფა, რომელიც მოიცავს არასასურველი სუბსიდირების უარყოფას. ბუნებრივი რესურსების შეფასების საფუძველზე გადასახადების დაწესებას იმ საქმიანობაზე, მოვლენებზე, რომელიც აზიანებს გარემოს.

- შესაბამისი პრინციპების საფუძველზე სახელმწიფო ინვესტიციების გაზრდა. რაციონალური ინფრასტრუქტურების (ტრანსპორტი, ენერჯის განახლებადი წყაროები, ენერგოეფექტური შენობები) ფორმირებისათვის. ბუნებრივი კაპიტალის აღდგენისა და მისი მოცულობის გაზრდისათვის.

- ეკოლოგიური საგადასახადო სისტემის სრულყოფა.

- სახელმწიფოს მიზნობრივი დახმარებები, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შექმნისათვის.

- სოციალური სტრატეგიები, რომლებიც უზრუნველყოფს სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში არსებულ მიზნებს შორის შესაბამისობას და ა. შ.

„მწვანე ეკონომიკის“ ფორმირებისა და სრულყოფა- განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი ბერკეტები, როგორცაა: სუბსიდიები, შეღავათიანი საგადასახადო განაკვეთები; გრანტები და ა.შ., რაც საქართველოში ჯერჯერობით მოისუსტებს. საქართველოში ასეთივე მდგომარეობაშია საერთოდ „მწვანე ეკონომიკის“ სინამდვილეს, თუმცა ბოლო ხანებში ამ მიმართულებით ხორციელდება გარკვეული ღონისძიებები. მიღებულ იქნა საკანონმდებლო აქტები ტექნოლოგიების, რეკრეაციული ზონების გაფართოების და ა.შ. რაც შეეხება „მწვანე ეკონომიკის“ პოლიტიკას, არამარტო ეს პოლიტიკა, საქართველოში ფართო გაგებით ეკონომიკური პოლიტიკა ჯერჯერობით არ არის დამუშავებული. ხოლო მწვანე ეკონომიკის პოლიტიკაც კანონმდებლობის მასშტაბით უსუსურ მდგომარეობაშია, რაც აფერხებს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ინვესტიციების მატებაზე გეზის აღება მსოფლიოში პირველად არ ხდება, ოღონდ საქართველომ ამჯერად მაინც უნდა ისარგებლოს შექმნილი ვითარებით და ქვეყნის სასურსათო დამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებას დაუდოს სათავე „მსხვილ ტრანსნაციონალურ კომპანიებს სურთ საქართველოც თავიანთი გავლენის სფეროდ და მათი სურსათის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნად გადააქციონ, ამ ტენდენციებს ჩვენ ჩვენი პოზიცია და ინტერესები უნდა დაუპირისპიროთ.“ ამას ჩვენი პატრიარქი ბრძანებს. ექსპერტთა საკმაოდ დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ სოფლის მეურნეობა ის გენერატორი შეიძლება გახდეს, რომელიც მთელ ეკონომიკას გამოიყვანს გლობალური ფინანსური კრიზისიდან. ამ დარგში საქართველოს ნამდვილად აქვს თავისი კონკურენტული უპირატესობა, რადგან ჩვენთან ჯერ კიდევ შემორჩენილია უნიკალური ქართული სასოფლო-სამეურნეო ჯიშები.

მწვანე ტურიზმი მრავალსაპექტიანი მოვლენაა. ერთ-ერთია მისი სოციალური ასპექტი. იგი უნდა განვიხილოთ სოფლად მცხოვრებთა შემოსავლების წყაროების დივერსიფიცირების ძლიერ საშუალებად, სასოფლო ტერიტორიებისა და სოფლის ინფრასტრუქტურის კომპლექსური განვითარების კომპონენტად და სოფელ ადგილებში სიღარიბის დაძლევის სტრატეგიის ანგარიშგასაწევ ფაქტორად. სწორედ ამიტომ მთელ რიგ ქვეყნებში სახელმწიფო ყოველმხრივ უჭერს მხარს და სტიმულს აძლევს მწვანე ტურიზმს, მაქსიმალურად ამარტივებს ამ საქმიანობაში ჩაბმას, პრეფერენციებს უწესებს მათ, ვინც ამგვარ მომსახურებას სთავაზობს ბაზარს, ამ პრეფერენციებში კი უპირველესად საგადასახადო შეღავათები იგულისხმება.

აქ ნაკლებად იყენებენ სასტუმროების მომსახურებას და დასვენების ორგანიზებაში ცენტრალურ ფიგურად ოჯახი გვევლინება. ამ შემთხვევაში ოჯახი თავის ჩვეულ პირად გლეხურ მეურნეობას მისდევს, რაც მისი ძირითადი საქმიანობაა, ამის გვერდით კი ამავე მეურნეობის ქონებას ტურისტული მომსახურებისთვისაც იყენებს. აქვე შედის საცხოვრებელითა და საკვებით უზრუნველყოფა, ადგილობრივი კულტურის, ტრადიციებისა და ყოფის გაცნობა. საფრანგეთში, მაგალითად, აგროტურიზმის განვითარებამ დიდად განაპირობა უპერსპექტივო სოფელი ადგილებიდან მოსახლეობის მასობრივად წასვლის პრობლემები. ანალოგიური ღონისძიებები უნდა განხორციელდეს საქართველოშიც.

## დასკვნა

„მწვანე ეკონომიკის“ ცნების შესახებ ლიტერატურაში მკვეთრად განსხვავებული შეხედულებებია. ამის შესახებ ყველაზე ფართო განმარტებას იძლევიან გაეროს ექსპერტები. მათი შეხედულებით, მწვანე ეკონომიკა არის სამეურნეო საქმიანობა „რომელიც ამალგებს საზოგადოების კეთილდღეობას და უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობას. არსებითად ამცირებს გარემოს გადატაკების რისკებს“. სტატიაში ეს განმარტებაც არასრულყოფილად მიჩნეული, რადგან არ ასახავს ცნების კლასიკური განმარტების მოთხოვნას, როგორც აზრს მოვლენის არსებითი ნიშნების შესახებ. მოცემულ სტატიაში კი „მწვანე ეკონომიკა“ განმარტებულია, როგორც საზოგადოებრივი წარმოება. რომელიც მოიცავს როგორც საკუთრივ მწვანე პროდუქტის წარმოებას, ასევე ბუნებრივი მწვანე რესურსების დაცვისა და სრულყოფა-გამრავლებისათვის განხორციელებულ წარმოებას.

სტატიაში განხილულია არსებულ სინამდვილეში სხვადასხვა სახის „მწვანე ეკონომიკის“ პრობლემები, ამ პრობლემის დაძლევის ძირითადი მიმართულებები, „მწვანე ეკონომიკაზე“ სრულყოფილად გადასვლის ღონისძიებათა სისტემა და ბერკეტები. წარმოდგენილია წინადადებები საქართველოში „მწვანე ეკონომიკის“ არასრულყოფილი ფუნქციონირების გაუმჯობესების შესახებ.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამა.
2. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე, 2009, თბილისი.
3. კაპანაძე მ. 2013, „საერთაშორისო აგროტურიზმი: პერსპექტივები საქართველოსთვის“, IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი-ტრაპიზონი. გვ. 346-349.
4. კაპანაძე მ. 2013, „სოფლის მეურნეობის განვითარება და რეალური პრიორიტეტი“. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბილისი, გვ. 473-475.
5. კაპანაძე მ. 2014, „მწვანე ეკონომიკა და მისი დაფინანსების პერსპექტივები“, თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, VII, თბილისი, გვ. 466-469.
6. ჭინჭარაული გ. 2001, ეკონომიკური თეორია, თბილისი.
7. Гусев А. и др. Моделирование зеленой экономики, 2017, М., 207 ст.
8. Рчелинцев В. и др. Зеленая экономика, 2016, М., 190 ст.
9. <http://www.unep.org/pat/GreenEconomy-succ-essstories.pat>.

*Giorgi Chincharauli  
Maia Kapanadze*

## THEORETICAL PROBLEMS OF "GREEN ECONOMY"

### Summary

The concept of "green economy" is in sharp contrast to the literature. The most comprehensive explanation is given by UN experts. In their view, the green economy is a business activity that raises society's well-being and provides social justice; Essentially reduces the risk of environment poverty. This definition is also considered as incomplete in the article, since it does not describe the demand of classical definition as an idea of substantive signs of the event.. In this article, "green economy" is defined as public production. Which includes both the production of green products, as well as the implementation of production for protection and improvement of natural green resources. The problems of various types of "green economy", the main directions of overcoming this problem, the system and leverage of measurements to transfer perfect to "green economy" are discussed in the article. There are proposed some ideas for the improvement of incomplete functioning of "green economy" in Georgia.

**Keywords:** *Green economy; economic product; warm economy.*

**QUALITY OF MODERN EDUCATION AND IMPORTANCE OF INTERNATIONAL EXCHANGE PROGRAMS (BASED ON WORK-BASED LEARNING (WBL) PROGRAMME)**

*Annotation.* The mission of research proposal is to find the ways to shorten the gap in development between the developed countries and Georgia based on modern economic development, its tools and tendencies. Economic progress and improving living standards of the population depends largely on the provision of high economic growth. That issue itself heavily depends on education and market demand.

To illustrate the wide gap between the developed economy and the weak one, let us compare the current level of per capita GDP of Switzerland, Hungary, Poland to Georgian one:

The Gross Domestic Product per capita in Switzerland was last recorded at 76667.44 US dollars in 2017. The GDP per Capita in Switzerland is equivalent to 607 percent of the world's average.

The Gross Domestic Product per capita in Hungary was last recorded at 15647.85 US dollars in 2017. The GDP per Capita in Hungary is equivalent to 124 percent of the world's average.

The Gross Domestic Product per capita in Poland was last recorded at 15751.23 US dollars in 2017. The GDP per Capita in Poland is equivalent to 125 percent of the world's average.

The Gross Domestic Product per capita in Georgia was last recorded at 4290.17 US dollars in 2017). The GDP per Capita in Georgia is equivalent to 34 percent of the world's average.

In summary:

An average income of middle-income Swiss citizen is more than 1.5 years' (18 months) income of Georgian citizen.

An average income of middle-income Hungarian/Poland citizen is 3.7 times of income of Georgian citizen.

If we look closely on per capita GDP in Georgia ([www.geostat.ge](http://www.geostat.ge)) its figures do not show the rapid growth tendency to narrow negative gap in development (4 – 6 percent GDP growth per annum). The only proven way to change situation drastically is the stable, double digit economic growth and attraction of investment.

In our view, modern economic tendencies, upcoming Industria 4 and its development demand from us to reach the high quality of education as the alone solution to that goal.

The national education system has many years of experience in combining work with education in the format of education in the evening or correspondence form of training, as well as in the format of practical training of applicants for higher education of full-time education and vocational (vocational) education at real workplaces.

A dual form of education is a way of enabling education combination of training of persons in educational establishments (in other subjects of educational activity) with training at workplaces at enterprises, institutions and organizations for the acquisition of a certain qualification, as a rule, on the basis of the contract.

## **Introduction**

### **(General description and assessment of the current state)**

During the period of market transformation of economy and masisation of higher education there was a devaluation of the traditions of the practical training of education, dissemination of imitation and falsification of practice, many organizations generally refused to work with students, referring to the preservation of commercial secrets or complex competitive circumstances. As a result of corporatization and privatization, the state lost most of the levers of administrative influence on enterprises, which allowed to consider the practical training of students in the noneconomic plane, and tax and other market preferences did not become sustained and, after their introduction, were rapidly abandoned for reasons of fiscal consolidation and corruption prevention.

Positive examples of the last decade are inextricably linked with the development of large corporations, the lack of trained domestic specialists with contemporary thinking to achieve their business goals and the beginning of real awareness of corporate social responsibility. A significant part of these examples relates to the raw materials, energy, agriculture, is noticeable at the level of vocational (vocational) education on the background of individual projects in the field of higher education.



## 1.1 Problem that needs to be solved

The problem that needs to be solved is the inadequate level of readiness of many graduates from institutions of higher and vocational (vocational) and specialist advanced education for independent professional activities in corresponding primary education received education.

This problem has become a consequence of the long-term effects of such factors:

the system of formal education is not motivated by the development of skills demanded by employers in education;

the possibilities for obtaining education outside educational institutions remain limited;

lack of funding necessary for the creation of a modern material and technical base and the formation of practical skills;

the absence of a significant part of the scientific-pedagogical and pedagogical workers of the competencies necessary for the formation of actual practical skills in the applicants of education;

lack of reliable information on current and future employers' needs in the competencies of employees.

lack or complete absence of higher and vocational (vocational) education of modern equipment and technologies, the use of which should be prepared by a specialist;

the personnel policy of the system of state education requires the presence of teachers with academic degrees, which leads to the impossibility of involving practitioners with the appropriate qualifications in their remuneration;

the lack of inclusiveness of most institutions of higher and vocational (vocational) education (which are mostly in the status of budgetary institutions) in the current market relations and the uncertainty of the mechanism in the field of public-private partnership, which affects the training of applicants for education to independent professional activities in the market environment.

Manifestations of the problem are:

The readiness of graduates to work in a specialty;

the dissatisfaction of the labor market with the quality of education, which leads to the corresponding need for additional operational training in the workplace, the growth of the education system in corporations;

inefficient work of institutions of higher and vocational (vocational) education, including low-cost use of budget funds, the main manifestation of which is the overwhelming proportion of graduates who do not work (often do not plan to work) on professions;

inefficient use of labor resources by employers, which overestimate the formal qualification requirements for graduates of higher and vocational (vocational) education institutions, rather than trying to compensate for their reluctance to cooperate with educational institutions on the training of qualified specialists;

Ineffective use of the best time to study the education of applicants for professional competences;

requirements for the experience of independent professional activity (or at least the experience of any work) at graduates of institutions of higher and vocational (vocational) education, which are arranged for work.

## 1.2 The ways to solve problems

The solution of the problem is envisaged by implementing a set of measures for the development of models of mutually beneficial relations between higher education institutions, pre-vocational and vocational (vocational) education and employers aimed at the practical training of applicants for education to independent professional activities and their social adaptation in production teams, legal and organizational support, testing, research, revision of models and its recommendations for widespread use.

The Concept of training specialists for the dual form of education requires the establishment of an equal partnership of higher education, vocational education, employers and education providers with the aim of acquiring the latest experience in the practical application of competencies and their adaptation in the context of real professional activities.

It is important to distinguish dual education from the traditional practice of students and students. A dual form of education involves studying in the workplace with the performance of official duties in accordance with an employment contract.

At the same time, the dual form of education should not be absolutized. It is necessary to understand the limits in which the dual form of education is effective. In addition, dual education focuses solely on the adaptation of the education provider to the first job that corresponds to a certain professional qualification corresponding to his educational specialty and qualifications. It is obvious that the overwhelming majority of modern educators will repeatedly change jobs, professions and activities during a long working life. The ob-

jective of the educational institution is to acquire a competency education provider that will allow them to adapt to various economic and technological changes.

### **The main types of Work-based learning (WBL) Programmes**

It is helpful to classify work-based learning arrangements into four main types: (Source:WORK-BASED LEARNING A HANDBOOK FOR POLICY MAKERS AND SOCIAL PARTNERS IN ETF PARTNER COUNTRIES, ETF, 2014, page 13.)

Arrangements in which the learner is legally an employee, such as formal apprenticeships, and in some cases alternance; in some cases informal apprenticeships may come under this heading;

Arrangements in which the learner is legally a student; these can be called by a number of names, including traineeships, internships, work placements and cooperative education;

Borderline cases such as virtual firms, training firms, or “real” firms that are attached to and part of educational institutions;

Programmes such as work shadowing and work experience, the main aim of which is to teach the learner about work rather than to teach them to do work.

The differences between these are often not clear, as they can be quite similar. It is also important to be aware that wide variation can exist within each type.

## **2.1 Mission of Work-Based Learning**

WBL project intends to bridge the gap between the worlds of higher education and business, enhance partnerships that involve companies and Higher Education Institutions (HEIs) through development and implementation of apprenticeship based innovative undergraduate programme and supporting framework with the ultimate aim of promoting the establishment of work-based learning and especially apprenticeships in higher education systems.

## **2.2 Specific objectives of WBL**

Capacity building of higher education institutions (HEIs) staff of partner European countries on apprenticeship oriented curriculum development and teaching,

Need based curriculum development of an undergraduate programme for HEIs from partner European countries;

Conducting apprenticeship based teaching of undergraduate higher education programme in Georgia and other emerging countries,

Developing and piloting of procedures and tools for quality assurance of apprenticeship based undergraduate programme,

Benchmark analysis on main Policy options and characteristics of apprenticeship in Europe and development of Policy recommendations for implementation of apprenticeship in higher education systems of involved partner European countries,

Promoting cross-regional long term cooperation between HEIs from European partner Countries and Emerging countries like Georgia.

### **What are the existing Work -Based Learning (WBL) arrangements in Georgia?**

There is no WBL in place in Georgia, but we have “Concept paper of WBL model” (UNDP project of 2015, studied WBL in VET in Georgia). This document explain the main points of WBL, its importance and benefits. It is mentioned there a risk to copy sophisticated dual models of apprenticeship types of developed countries into Georgia. This document developed recommendaqtions for the implementation of the WBL in Georgia. However, WBL on University level is not studied untill now.

The policy and other legal documents related to WBL currently in place

Georgian Law on VET (2007);

VET Reform Strategy 2013-2020;

The National Qualifications Framework (NQF), 2010;

The Law of Quality Enhancement 2010;

Establishment of a National VET Council in 2009;

A social partnership concept paper (ETF, 2014);

Development of the “Public-Private Partnership Concept Paper”

There is not a process of authorization of companies for WBL. The status of in-company instructors and learners and financing of WBL is not defined.

The main problems and issues related to the organization and evaluation of students' internships in GEORGIA:

Lack of trust/low quality of qualifications:

Lack of incentives;

Lack of communication between institutions and companies in a systematic way

Lack of awareness:

Lack of capacity of staff:

Low image WBL

Students have not enough information about the modern technologies/development in industry. They have limited opportunities to update their skills. Besides, company instructors have limited experience in teaching/assessment.

## **Conclusions**

### **Outputs/outcomes of WBL**

The following project outputs/outcomes are expected to be sustainable:

Training package for apprenticeship based curriculum development and teaching in higher education,

Benchmark report on apprenticeship in Europe with Policy recommendations for implementation of apprenticeship in the higher education in Georgia and other emerging countries,

Development of an Eastern Partnership Region network for exchange and peer-learning in the area of apprenticeships: targeted to university staff and also university top levels (i.e. Rectors and Vice-Rectors)

Awareness raising and promotion: targeted to potential students

Cross-regional cooperation between involved institutions aligned with European best practices in apprenticeship based teaching.

### **Expected impact of WBL**

#### **Institutional level – Tbilisi State University**

New approaches of apprenticeship based teaching and learning implemented, teaching staff competences increased, skills of Career centres staff reinforced, improved relevance and quality of education, created strong links with professional bodies and companies for exchanges between stakeholders involved in different formats of work-based learning suiting the target groups (integrating knowledge and experience-based learning, increased employability of graduates

#### **National level - Georgia, Universities, Business society**

Interactions between HEIs & market fostered, reinforced HEIs and company partnership, promoting the establishment of new apprenticeship and work-based learning schemes, supporting framework for expansion of work-based learning in higher education, extended role of HEIs in society

#### **Regional level**

Experience sharing, networking and promotion of mid and long-term cooperation between the involved HEIs from partner countries

#### **European level**

Promotion of long-term cooperation between the involved HEIs and EU partners leading to convergence in line with EU developments and standards towards fostering the integration process of the HEIs from partner countries into the European Higher Education Area.

## **References**

1. Davit Aslanishvili, International Conference on: Cooperation, Development, Exchange in Higher Education: Academic practices and achievements from Emerging Europe, Hungary, Miskolc University, May 7, 2019;
2. WORK-BASED LEARNING: A HANDBOOK FOR POLICY MAKERS AND SOCIAL PARTNERS IN ETF PARTNER COUNTRIES, ETF, 2014;
3. Concept paper of WBL model implementation in Georgia, Tbilisi, Georgia, 2016;

4. Georgian Law on VET , Tbilisi, Georgia 2007 and amendment 2010;
5. VET Reform Strategy 2013-2020, Tbilisi, Georgia, 2013;
6. The National Qualifications Framework (NQF) of Georgia, 2010;
7. The Law of Quality Enhancement of Georgia 2010;
8. Strategic Development Plan, Tbilisi State University, 2018;
9. <https://tradingeconomics.com/switzerland/gdp-per-capita>
10. <https://tradingeconomics.com/poland/gdp-per-capita>
11. <https://tradingeconomics.com/hungary/gdp-per-capita>
12. <https://tradingeconomics.com/georgia/gdp-per-capita>
13. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

*ნუნუ აჩუაშვილი  
სესე ხატიაშვილი*

**მწვანე ბიზნესი მწვანე ეკონომიკის მიღწევის  
მნიშვნელოვანი ელემენტი**

**შესავალი**

ტერმინი „მწვანე ეკონომიკა“ პირველად 1972 წელს გაჩნდა, მისი მიზანი კი ადამიანის კეთილდღეობა და მისი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება იყო, გამომდინარე იქიდან, რომ ამოწურვადი რესურსების დიდი რაოდენობით ხარჯვა დროთა განმავლობაში მდგრადი განვითარების მიღწევას შეუძლებელს გახდიდა. უფრო და უფრო მნიშვნელოვანი გახდა მწვანე ეკონომიკის განვითარება, რაც პირველ რიგში აისახება მწვანე ბიზნესის განვითარებაში, რადგან ამოწურვადი რესურსების ხარჯვის უდიდესი პროცენტი სწორედ ბიზნესზე მოდის.

\* \* \*

XXI საუკუნის უმთავრესი ამოცანაა ადამიანის კეთილდღეობის ამაღლება. იგი მიიღწევა ეკონომიკის აყვავებით, სამართლიანი და მდგრადი განვითარებით. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ყველა ქვეყანამ ეკონომიკის განვითარებაში ორიენტაცია ადამიანების მოთხოვნილებების ეფექტიანი დაკმაყოფილებისაკენ მიმართოს, აღიაროს სოციალური განვითარების აუცილებლობა და შეიმუშაოს მისდამი უფრო ეფექტიანი მიდგომა თანამედროვეობის ყველაზე მწვავე პრობლემის - სიღარიბის დაძლევისათვის.

სოციალური ორიენტაციის ეკონომიკის ქვეყნები მიზნად ისახავენ მოსახლეობის ძირითადი მასის ცხოვრების დონის ამაღლებას და მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობას. მსოფლიოში სოციალური ორიენტაციის ეკონომიკის რამდენიმე მოდელს გამოყოფენ.

სოციალური ორიენტაციის ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება განპირობებულია მრავალი ფაქტორით, რომლებიც გლობალური პროცესების შედეგად ჩამოყალიბდა. კერძოდ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჰუმანიზაცია; სიღარიბის და კრიმინალის შეჩერება; შრომის უსაფრთხოების დაცვა; ეკოლოგიური პროცესების გაჯანსაღება და სხვა.

დღეისათვის ეკოლოგიური პრობლემების დაძლევისა და გარე გარემოს გაჯანსაღებისათვის, რაც სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის მიზანს წარმოადგენს, განსაკუთრებული მნიშვნელობა მწვანე ეკონომიკას ენიჭება.

მწვანე ეკონომიკა არის ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ის მოდელი, რომელიც ეკოლოგიურ პრობლემებს და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საფრთხეებს ამცირებს. მისი მიზანია ეკონომიკის მდგრადი განვითარება და გარემოზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალური შემცირება. სუვერენული სახელმწიფოების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომელთან მიმართებაში აქტიურად განიხილება ეკონომიკის მდგრადი განვითარება.

ეკონომიკის მდგრადი განვითარება უზრუნველყოფს ადამიანთა დღევანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. ამ ამოცანის შესრულებაში აუცილებელია სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ბუნებრივი რესურსების და გარემოს რაციონალურ გამოყენებას ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სწორად განსაზღვრისათვის საჭიროა: ეკონომიკის, ბუნების და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების მრავალმხრივი მახასიათებლების გათვალისწინება. შეუსაბამობა ადამიანის მხარდ მოთხოვნილებებსა და არსებულ რესურსებს შორის ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის შეუფერხებელ ფუნქციონირებას. საბაზრო ეკონომიკის უმთავრესი მამოძრავებელი მოტივაცია არის ეკონომიკის პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებისაკენ სწრაფვა. ეს საკითხები კი ეკონომიკის პოტენციალის, ბიოსფეროს და ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ბუნებრივი საფუძვლების მოშლას უწყობს ხელს.

ასეთი გარემოება აუცილებელს ხდის, ქვეყნის ეკონომიკა მდგრადი განვითარების რელსებზე გადავიდეს. სახელმწიფოს აქვს სუვერენული უფლება, გარემოს დაცვის შესაბამისად განსაზღვროს თავისი რესურსები.

მწვანე ეკონომიკა მჭიდრო კავშირშია ეკოლოგიურ ეკონომიკასთან და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებით აერთიანებს: გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს. მწვანე ეკონომიკა შემდეგ სექტორებს მოიცავს: სუფთა ტრანსპორტი; განახლებადი ენერჯია; წყლის მენეჯმენტი; მწვანე შენობები; ნარჩენების მენეჯმენტი; მიწის მენეჯმენტი.

იმისათვის, რომ დაინერგოს მწვანე ეკონომიკა, უნდა მოხდეს წარმოების და მოხმარების მოდელების ცვლილება. მის მისაღწევად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია მწვანე ბიზნესი. მწვანე ბიზნესი გარემოს დაცვით ქმნის საქონელს და მომსახურებას. ისევე, როგორც ბიზნესის ყველა სახე, იგი, ჩვეულებრივ, ორიენტირებულია მოგების მაქსიმიზაციისაკენ. მისი უპირატესობებია თანამედროვე მეთოდების თანმიმდევრული და მდგრადი დანერგვა, მეტი ცოდნა, ინფორმაცია და დაგეგმვის საშუალებების გამოყენება.

მწვანე ბიზნესად მიიჩნევა ისეთი კომპანია, რომელიც ითვალისწინებს გარემოსდაცვით მოთხოვნებს და მიზნად ისახავს მათ შესრულებას, ხელს უწყობს დასაქმებულებს, მიიღონ გარემოს დაცვის და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის სასარგებლო გადაწყვეტილება.

2009 წელს გაეროს მიერ გამოცხადდა ახალი გლობალური მწვანე შეთანხმების (G.G.N.D.) კონცეფცია, რომლის ამოცანებია:

1. მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის, სამუშაო ადგილების შექმნის და დაუცველი ჯგუფების სოციალური დაცვის საკითხებში წვლილის შეტანა;
2. ხელი შეუწყოს ინკლუზიურ და მდგრად ზრდას;
3. შეამციროს ნახშირბადზე დამოკიდებულება და ეკოსისტემის დეგრადაცია.

აღნიშნული გლობალური შეთანხმება რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს, მოახდინონ ეკონომიკის ტრანსფორმაცია მწვანე ეკონომიკისაკენ. ითვალისწინებს რა აღნიშნულ ამოცანებს, საქართველოს მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მწვანე ეკონომიკურ განვითარებას.

კომპანიებმა, რომლებიც გარემოს დაცვაზე არიან ორიენტირებულნი, უნდა უზრუნველყონ: ჯანსაღი გარემო ოფისში, ნაკლები ქაღალდის გამოყენება (მაკულატურის შეგროვება სპეციალურ ყუთებში), ელექტროენერჯის დაზოგვა, ნარჩენების გადამუშავება, წყლის დაზოგვა, ატმოსფერული ჰაერის დაცვა.

კომპანიებმა, რომლებიც ბიზნესსაქმიანობას ახორციელებენ მწვანე ბიზნესის მოთხოვნების შესაბამისად, გარე გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად, საჭიროა თავიანთი საქმიანობა წარმართონ შემდეგი თანმიმდევრული ეტაპების დაცვით:

1. გარემოსდაცვითი პრობლემის იდენტიფიცირება;
2. სამეცნიერო ინფორმაციის შეგროვება;
3. პრობლემის გადაჭრის ორი ან მეტი გზის წამოყენება;
4. ყველა შემოთავაზებული გზის დადებითი და უარყოფითი გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მხარეების პროგნოზირება მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში;
5. შედეგის მიღების გზის არჩევა და განხორციელება;
6. შედეგების შეფასება;
7. საჭიროების შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილების გადახედვა.

გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზები მრავალმხრივია. კომპანიები, რომლებიც მწვანე ბიზნესის მოთხოვნებით იმართებიან, პრობლემის გადაჭრისას ეძებენ მისაღებ გადაწყვეტილებებს გარემოსთან დაკავშირებული გამოწვევების საპასუხოდ, რომლებიც ხშირად აისახება ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ ან საერთაშორისო სტრატეგიების მოქმედების გეგმებში.

ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ატმოსფეროს ჰაერის სისუფთავეს. ჰაერის დაბინძურება რამდენიმე კილომეტრის სიმაღლეზე ვრცელდება. ატმოსფეროს ძლიერ აზიანებს შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის საწარმოები, რომლებიც გამოყოფენ სხვადასხვა ნივთიერებებს

თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში ტრანსპორტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დიდია მისი როლი ეკონომიკური და, ამავე დროს, ადამიანის ჯანმრთელობაზე გავლენის თალსაზრისით. საქართველოში ატმოსფერული ჰაერის გატუქციანებაში მნიშვნელოვანი წილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე მოდის, რაც მოითხოვს შიგაწვის ძრავის სრულყოფას, ბენზინის ხარისხის გაუმჯობესებას, ელექტრომობილების გამოყენებას და სხვა.

სტაციონარულ წყაროებში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების დაჭერა და ატმოსფეროში გაფრქვევა (ათასი ტონა) მოცემულია ცხრილში.

**ცხრილი №1**

	2017 წელი		
	წარმოქმნილი	დაჭერილი	გაფრქვეული
მავნე ნივთიერებები	831,2	784,7	46,5
მყარი	787,6	779,6	7,9
აირადი და თხევადი	43,7	5,1	38,6
გოგირდოვანი ანჰიდრიდები	6,3	0,2	6,1
ნახშირორჟანგი	19,3	2,9	16,5
აზოტის ჟანგი	6,4	1,0	5,5
ნახშირწყალბადი	1,9	0,0	1,9
დანაჩენი	9,7	1,1	8,6

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს: მიუხედავად იმისა, რომ ხდება მავნე გამონაბოლქვის იზოლირება, მაინც მნიშვნელოვანი ნაწილი რჩება ატმოსფეროში. ჰაერის დაბინძურებით საქართველოში გამოირჩევა დელაქალაქი.

### დასკვნა

თანამედროვე ქალაქებში ეკოლოგიური პრობლემების აღმოსაფხვრელად უნდა მოხდეს ადაპტირება სოციალური და დემოგრაფიული ცვლილებების მიმართ. ადაპტირება არ მოიცავს მხოლოდ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, არამედ იგი ითვალისწინებს საცხოვრებელი ზონების სივრცით დაგეგმარებას, გამწვანებას, დაცულ ტერიტორიებს და ნაკრძალებს. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგებულ ქსელებს, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს სოციალურად დაუცველი ფენებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის. ყველა ამ ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობებში განსაკუთრებული როლი სწორედ მწვანე ბიზნესს ენიჭება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ჭითანავა, ლარისა თალანკაძე, სოციალური ეკონომიკა, 2008.
2. „მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა“ – ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის პუბლიკაცია.
3. Geostat.ge
4. ტრანსპორტი, გარემო და ჯანმრთელობა.
5. <https://www.ncdc.ge/Pages/User/LetterContent.aspx?ID=727fab03-a202-4c6e-b9bd-d431d5e755a9&language=en-US>

**GREEN BUSINESS AS AN IMPORTANT ELEMENT  
IN ACHIEVING A GREEN ECONOMY**  
Summary

The green economy is a model of the country's economic development, which reduces ecological problems and threats to environmental protection, one of the key elements to achieve green economy is green business, which envisages environmental requirements in the process of creation of goods and services

*ევგენი ბარათაშვილი  
ჯანდრი ზარანდია  
ირმა მახარაშვილი-ბარათაშვილი*

**მდგრადი განვითარების საკითხისათვის**

**ანოტაცია.** მეოცე საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში თანამედროვე კაცობრიობის და მომავალი თაობების ეკონომიკურ განვითარებასა და ბუნებრივი გარემო პირობების დაცვას შორის რაციონალური კავშირის განსაზღვრა აუცილებელ პირობად იქცა. მნიშვნელოვანწილად ეს ეხება ბოლო პერიოდში საერთაშორისო უსაფრთხოების ახალი კონცეფციის ჩამოყალიბების მცდელობას, რომლის სახითაც მდგრადი განვითარების კონცეფციამ წამოიწია.

ტერმინის – „**მდგრადი განვითარება**“ – ისტორია ფაქტობრივად დაიწყო ვარემოსთან დაკავშირებული გაეროს კონფერენციის დეკლარაციიდან (სტოკჰოლმი, 1972). მდგრადი განვითარების პრობლემატიკა აქტიურად განიხილება ყველა ნაციონალურ და საერთაშორისო კონფერენციაზე. თუმცა „მდგრადი განვითარების“ არსის ზოგადად აღიარებული განმარტება არ არსებობს, მას ყველა თავისებურად მოიხსენიებს. დღეისათვის „მდგრადი განვითარების“ 50-ზე მეტი განმარტება არსებობს და მათი რაოდენობა იზრდება. მდგრადი განვითარება – გაეროს განმარტებებით – არის საზოგადოების განვითარება, რომელიც საშუალებას იძლევა ახლანდელი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა ისე, რომ არ დაახარალოს ის შესაძლებლობები, რასაც მომავალ თაობებს მათი საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შემკვიდრეობით დაუტოვებს.

იუნესკოს ერთ-ერთ მოხსენებაში მდგრადი განვითარების ამოცანები შემდეგნაირად ხაიათდება:

*ეკონომიკური ზრდის ამაღლება;*

*ვარემოს დაცვის მდგრადი ბუნებრივი ეკოსისტემების აღდგენის თვალსაზრისით;*

*სოციალური თანასწორობის მიღწევა.*

მდგრადი განვითარების გამოკვლევა ემყარება დროის გარკვეულ მონაკვეთში სხვადასხვა სისტემების მახასიათებლების ანალიზსა და პროგნოზირებას. მდგრადი განვითარება სოციოეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის ფარგლებში ვარაუდობს, რომ ასეთი სისტემის თვისების წონასწორობა და სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების ბალანსი ვარემო ზემოქმედების დროს ნარჩუნდება.

სოციოეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემა შეიძლება დახასიათდეს როგორც არამდგრადი, რამდენადაც საერთო სისტემაში შეკრებილ ქვესისტემაში ინტერესთა ბალანსის მიღწევა ძალიან რთულია. დღეისათვის მდგრადი განვითარების ეკონომიკური ახსნის წინა პლანზე გადმოტანა შესაძლებელია კანონზომიერად ჩაითვალოს, რამდენადაც უმეტეს შემთხვევაში ეკონომიკური ეფექტურობის მიღწევა სერიოზული ეკოლოგიური ცვლილებების გამო შეუძლებელი ხდება.

**საკვანძო სიტყვები:** მდგრადი განვითარება; ბუნებრივი გარემო; ეკონომიკური ზრდა.

მეოცე საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში თანამედროვე კაცობრიობის და მომავალი თაობების ეკონომიკურ განვითარებასა და ბუნებრივი გარემო პირობების დაცვას შორის რაციონალური კავშირის განსაზღვრა აუცილებელ პირობად იქცა. გლობალიზაციის პროცესის გაძლიერება სულ უფრო ახალ კითხვებს აჩენს, რაზეც პასუხის მოძებნა მთელ კაცობრიობას მოუწევს. მნიშვნელოვანწილად ეს ეხება ბოლო

პერიოდში საერთაშორისო უსაფრთხოების ახალი კონცეფციის ჩამოყალიბების მცდელობას, რაც დამყარებულია ახალი გლობალური სივრცის რეალიებზე, რომლის სახითაც მდგრადი განვითარების კონცეფციამ წამოიწია.

ისტორიულად, მდგრადი განვითარების თეორიის “დღის შუქზე გამოსავლელად” მომზადების პირველ ეტაპად იქცა ბიოსფეროს განვითარების ვ. ი. ვერნადსკის შრომები, რამაც ის კაცობრიობის განვითარების პლანეტარული ასპექტების განხილვასა და კაცობრიობის არსებობის საშუალების ცვლილებების აუცილებლობის აღიარებამდე მიიყვანა. პირველად კაცობრიობის ისტორიაში, ხალხის მასის, ცალკე თითოეულის ინტერესები და პიროვნების თავისუფალი აზრი განსაზღვრავს კაცობრიობის სიცოცხლეს (ცხოვრებას), სამართლიანობაზე მისი წარმოდგენის საზომი ხდება. ადამიანის აზრისა და შრომის წინაშე დგება საკითხი თავისუფალად მოაზროვნე კაცობრიობის ერთიანი ინტერესების გათვალისწინებით ბიოსფეროს გარდაქმნის შესახებ. ბიოსფეროს გარდაქმნით მიღებული მისი ახალ მდგომარეობა – ნოსფეროს სახელწოდებითაა მოხსენიებული. ვ. ი. ვერნადსკის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მას არსობრივად შემოაქვს კავშირების - „ადამიანი-ბუნება“ - ანალიზის დროს ახალი საზომი „კაცობრიობა, როგორც ერთი მთლიანი“. მას სოციალური ანალიზი გლობალურ სიბრტყეში გადააქვს.

ვერნადსკიმ საფუძველი დაუდო მდგრადი განვითარების როგორც ნოსფეროზე სწავლების შესახებ კონცეპტუალურ საფუძველებს, რაშიც, როგორც მისი შრომების მკვლევარები აღნიშნავენ, ის გულისხმობდა ისეთ სტადიას „დედამიწის ნოსფეროსი, რომელზეც კაცობრიობის ერთობლივი აზრის გამარჯვების შედეგად შეთანხმებულად დაიწყებენ განვითარებას ადამიანიც, როგორც პიროვნება და ადამიანთა გაერთიანებული საზოგადოება, და ადამიანთა მიერ მიზანშეწონილად გარდაქმნილი მათ ირგვლივ არსებული ბუნებრივი გარემო“.

ამჟამად მდგრადი განვითარების კონცეფციის საფუძველზე ხდება ცოდნის ინტეგრალური ზოგადმეცნიერული პარადიგმის ჩამოყალიბება, რაც წარმოიქმნება როგორც ფართო სინთეზი მეცნიერებებისა ბუნების, საზოგადოების და ადამიანის შესახებ, ანუ ყოფიერების სამი ძირითადი მიმართულებისა..

მდგრადი განვითარების კონცეფცია შემოთავაზებული ან, უფრო სწორად, ფორმულირებული იყო გაეროს კონფერენციაზე გარემოს პირობებისა და განვითარების შესახებ 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში. თავდაპირველად ეს კონცეფცია ორიენტირებული იყო კაცობრიობის გადარჩენის გლობალური პრობლემების გადაწყვეტაზე ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის ფონზე.

თვით ტერმინის – „მდგრადი განვითარება“ – ისტორია ფაქტობრივად დაიწყო გარემოსთან დაკავშირებული გაეროს კონფერენციის დეკლარაციიდან (სტოკჰოლმი, 1972), აგრეთვე, რომის კლუბის ნაშრომიდან, როცა ცხადად იყო განცობიერებული და აღნიშნული სოციო-ბუნებრივ სისტემებზე ზემოქმედების პრობლემა. შედეგად, გაეროსთან არსებული გარემოს დაცვისა და განვითარების შესახებ შექმნილმა საერთაშორისო კომისიამ მიზნად დაისახა შესაბამისი პროგრამის ჩამოყალიბება, რომლის სახელწოდებად შემოთავაზებული იყო სწორედ „მდგრადი განვითარების“ გაგება, რომელიც, როგორც ტერმინი, დაფიქსირებული იყო რიო-დე-ჟანეიროში გაეროს აღნიშნულ კონფერენციაზე. შემდგომში ეს ტერმინი, რომელიც თავიდან სოციო-ბუნებრივ კომპლექსურ პრობლემატიკაზე იყო ორიენტირებული, უკვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონტექსტში გამოიყენებოდა.

მდგრადი განვითარების პრობლემატიკა აქტიურად განიხილება სამეცნიერო პრესაში, ყველა ნაციონალურ და საერთაშორისო კონფერენციაზე. თუმცა „მდგრადი განვითარების“ არსის ზოგადად აღიარებული განმარტება არ არსებობს, სხვადასხვა დასახელება განპირობებულია იმით, რომ რა დეფინიციაც არ უნდა დააფიქსირო, მას ყველა თავისებურად მოიხსენიებს. საქმე კიდევ საკითხის შინაარსისადმი, მისი მოცულობისადმი სხვადასხვაგვარ მიდგომაშია.

სხვადასხვა ქვეყანაში ამ ტერმინმა სხვადასხვა ფორმულირება მიიღო.



მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე ტერმინ „sustainable development“-ის  
ოფიციალურად მიღებული თარგმანები

ენა	რიგინალ-ტერმინის ოფიციალურად მიღებული თარგმანი	რუსულ ენაზე სიტყვით ნათარმნი
ფრანგული	Development durable	ხანგრძლივი განვითარება
იტალიური	Sviluppo sostenibile	მხარდასაჭერი განვითარება
გერმანული	Nachhaltige Entwicklung	განგრძობადი განვითარება
შვედური	En stadig utveckling	მდგრადი განვითარება
ნორვეგიული	En holder utvikling	მყარი განვითარება
იაპონური	Jizoki-teken kaihatsu	გახანგრძლივებული განვითარება

ქართულ ენაზე ტერმინი – ორიგინალური სუსტანაბლუ დეველოპმენტ ითარმნა როგორც „მდგრადი განვითარება“, თუმცა ამ სიტყვას სხვას მნიშვნელობები აქვს „თვითგამაგრებული“, „ხანგრძლივი, უწყვეტი“, „გამაგრებული“, „დაცული“ ოფიციალურ დოკუმენტებში, სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში ეს ტერმინი სწორედ ამ სახით გამოიყენება<sup>34</sup>.

ხშირად „მდგრადი განვითარების“ შესახებ დისკუსიები სიტყვებზე დავაში გამოიხატება. აკადემიკოსი ნ. ნ. მოისევევი წერდა: სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ამ ტერმინის არსში გარკვევა, მისი პოლიტიკური დაშრეგებისაგან გათავისუფლება და მისთვის ადამიანისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ თანამედროვე მეცნიერული წარმოდგენის შესაბამისი შინაარსის მინიჭება.

მდგრადი განვითარების ანალიზისათვის პირველ რიგში აუცილებელია „მდგრადი განვითარების“ შინაარსისა და შინაგანი არსის გახსნა. დღეისათვის „მდგრადი განვითარების“ 50-ზე მეტი განმარტება არსებობს და მათი რაოდენობა იზრდება. ეს ასახავს როგორც თვითონ მისი გაგების სირთულეს, რაც მოიცავს კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ასპექტებს, აგრეთვე საზოგადოების სხვადასხვა ფენის შეხედულების – მეცნიერული, სამეწარმეო, პოლიტიკური წრეების შეუთანხმებლობას. მაგალითისათვის, მეცნიერები მდგრადი განვითარების იდეას ახასიათებენ როგორც საზოგადოების ახალ ხარისხში გადასვლას („ადამიანისა და ბუნების კოევილუცია“) და ბიოსფეროს („ნოოსფერო“). მეწარმეებს ის ესმით როგორც პოლიტიკური რყევებისა და საზოგადოების ცვლილების გარეშე მუშაობის შესაძლებლობა.

შედარებით ხშირად ციტირებადი შინაარსი ტერმინისა „მდგრადი განვითარება“ ორიგინალში მოწოდებულია გარემოსა და განვითარების შესახებ საერთაშორისო კომისიის მიერ (ბრუნდტლანდის): „მდგრადი განვითარება“ – ეს არის ისეთი განვითარება, რომელიც თანამედროვეობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მაგრამ საშიშროების ქვეშ არ აყენებს მომავალი თაობების უნარს საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა. ის ორ ძირითად განსაზღვრებას მოიცავს.

**მოთხოვნილებების**, რომლებიც აუცილებელია მოსახლეობის უღატაკესი ფენების არსებობისათვის, რაც პირველხარისხოვანი პრიორიტეტის საგანი უნდა იყოს.

**შეზღუდვების გაგება**, რომლებიც განპირობებულია საზოგადოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის მდგომარეობით, რაც თან ერთვის გარემოს უნარს, დააკმაყოფილოს ამჟამინდელი და სამომავლო მოთხოვნილებები.“

მდგრადი განვითარება – გაეროს განმარტებებით – არის საზოგადოების განვითარება, რომელიც ახლანდელი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა ისე, რომ არ დააზარალოს ის შესაძლებლობები, რასაც მომავალ თაობებს მათი საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შემკვიდრებით დაუტოვებს.

1990 წელს დაარსებული მდგრადი განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი (ვინიპეგი, კანადა), აღნიშნულ ტერმინს შემდეგნაირად განმარტავს: „მდგრადი განვითარება ნიშნავს გარემოს გაერთიანებას, ეკონომიკურ ეფექტურობას და ხალხთა კეთილდღეობას“.

რიო-დე-ჟანეიროში გაეროს მიერ ჩატარებული კონფერენციის „XXI საუკუნის დღის წესრიგი“ ავტორთა პოზიციიდან მდგრადი განვითარება – ეს არის დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, რაც ხორციელდება გარემოს დაცვის და რაციონ-

<sup>34</sup> v.v. olenievis informacia statiaSi `globalistika XXI saukunis mijnaze~.

აღური ბუნებათსარგებლობის პოზიციიდან და ითვალისწინებს არა მარტო თანამედროვე, არამედ მომავალი თაობების სასიცოცხლო ინტერესებს.

იუნესკოს ერთ-ერთ მოხსენებაში მდგრადი განვითარების ამოცანები შემდეგნაირად ხაიათდება:

- ეკონომიკური ზრდის ამაღლება;
- გარემოს დაცვის მდგრადი ბუნებრივი ეკოსისტემების აღდგენის თვალსაზრისით;
- სოციალური თანასწორობის მიღწევა.

მსოფლიო ბანკის ფორმულირებაში – მდგრადი განვითარება – კაცობრიობის შესაძლებლობების შენარჩუნებისა და გამრავლების ინტერესებიდან გამომდინარე საზოგადოების ერთობლივი (საერთო) კაპიტალის მართვაა.

ახლა გამოვიყვანოთ მდგრადი განვითარების შესახებ რიგი მეცნიერების მიერ ფორმულირებული განმარტებები.

აკადემიკოსი ვ.ა. კომპიუგი თვლიდა, რომ მდგრადი განვითარების კონცეფცია „არის კაცობრიობის სოციალ-ეკონომიკური განვითარების დაბალანსებული განვითარება და გარემოს დაცვა. აგრეთვე განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ეკონომიკური დისპარიტეტის შემცირება როგორც ტექნოლოგიური პროცესის, ისე მოხმარების რაციონალიზაციის გზით“. ის სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მდგრადი განვითარების კონცეფციას პირველ რიგში ზოგად სოციალური მნიშვნელობა აქვს და ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს.

აკადემიკოსი ნ.ნ. მოისევეი თავის ნაშრომში „მდგრადი განვითარება“ განმარტავს როგორც წონასწორული მგომარეობისადმი საზოგადოების სტრატეგიის შემუშავებას და რეალიზაციას: „კაცობრიობას მომავალი შესაძლებელია გარანტირებული ჰქონდეს მხოლოდ ნივთიერებათა მეტად თუ ნაკლებად სტაბილური ბრუნვის პირობებში. სწორედ ციკლების სტაბილურობაა ბიოსფერული წონასწორობის მდგომარეობა“.

აკადემიკოსი ა. დ. ურსული თვლის: „... შესაფერისად მიგვაჩნია განვიხილოთ მდგრადი წონასწორობა როგორც ცივილიზაციისა და ქვეყნის გადარჩენა და უწყვეტი განვითარება გარემოს და, პირველ რიგში, ბიოსფეროს შენარჩუნების პირობებში“. თავის სტატიაში „გლობალიზაცია და მდგრადი განვითარება და უსაფრთხოება: სისტემურ სინერგიული მიდგომა“ მდგრად განვითარებას ის განსაზღვრავს როგორც განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების, გარემოს ხელსაყრელი პირობების შენარჩუნების პრობლემებისა და ბუნებრივი რესურსების პოტენციალის დაბალანსებულ გადაწყვეტას ადამიანთა ამჟამინდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ვ. ი. დანილოვ-დანილიანს მდგრადი განვითარება ესმის როგორც ისეთი განვითარება, რომლის დროსაც გარემოზე ზემოქმედება რჩება ბიოსფეროს სამეურნეო მოცულობის ფარგლებში ისე, რომ არ ირღვევა ადამიანის სიცოცხლის კვლავწარმოების ბუნებრივი საფუძველი, შექმნილ საარსებო პირობებს თან არ სდევს ადამიანის დეგრადაცია და სოციალურ დესტრუქციული პროცესები ვითარდება იმ მასშტაბებამდე, რაც საზოგადოების უსაფრთხოებას დაემუქრება.

ა. ნ. ტეტორი მდგრად განვითარებაზე ლაპარაკობს როგორც „კომპლექსურ გაგებაზე, რომელიც მოიცავს ადამიანების მოთხოვნილებების უზრუნველყოფას ისე, რომ მომავალ თაობებს არ მოუხსოს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება; რეგიონის ეკოლოგიურ შესაძლებლობებთან ცხოვრების წესის შეთანხმება; ექსპლუატაციის შეზღუდვის განსაზღვრა ბუნებრივი რესურსებისა, რომლებიც დაკავშირებულია დედამიწის ბიოსფეროსთან, რომ გაუმკლავდეს ადამიანის ქმედებების შედეგებს; დედამიწის მოსახლეობის რიცხვის ზრდის შეთანხმებისა და ეკოსისტემის წარმოების პოტენციალთან“.

ტ. ი. იარიგინა მდგრად განვითარებას განსაზღვრავდა როგორც: „ განვითარებას, რომელიც თანამედროვე თაობის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს ისე, რომ მსხვერპლად არ სწირავს მომავალი თაობების შესაძლებლობებს, უზრუნველყოს საკუთარი მოთხოვნები“. აქ ჩვენ სოციალური და ეთიკური ინტერესების პრიორიტეტებს ვხედავთ.

რ. აბდულატიპოვი მდგრად განვითარებაზე წერს როგორც მის ისეთ თვისებაზე, როცა ადამიანებს უნარი აქვთ მხოლოდ გაიუმჯობესონ თავიანთი კეთილდღეობა, სშეიგრძნონ სტაბილურობის გარანტია, იყვნენ დარწმუნებულნი თავისი შვილების მომავლის გამო.

ამ განმარტებებიდან მსოფლიო ლიტერატურაში გაჩნდა ათეულობით სხვა განსაზღვრება. ძირითადად, ყოველი, ვინც მდგრადი განვითარების პრობლემას შეეხება, თავისი განმარტების ფორმულირებას აკეთებს.

მდგრადი განვითარების ქვეშ გულისხმობენ განვითარებას, რომელიც წარმოშობს ეკონომიკურ ზრდას, სამართლიანად ანაწილებს მის შედეგებს, ადადგენს გარემოს უფრო მეტად, ვიდრე მას ანგრევს, ადამიანთა შესაძლებლობებს ზრდის და არ ადატაკებს მათ.

მდგრადი განვითარება – ეს არის გარემოს დაცვის სისტემის განვითარება უწყვეტობის მაღალი პოტენციალით ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური შეზღუდვების შიგნით (ფარგლებში).

საზოგადოების მდგრადი განვითარების ქვეშ გულისხმობენ ისეთ განვითარებას, რომლის დროსაც დგინდება მოსახლეობის რაოდენობის მეცნიერულად დასაბუთებული ზღვარი, რაც უზრუნველყოფილია ყველა აუცილებელი ცხოველქმედებისათვის და საცხოვრებელი გარემოს ბუნებრივი აღქმის პირობებში სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

არსებობს მდგრადი განვითარების უფრო მოკლე განმარტებები:

განვითარება, რომელიც მომავალ თაობებს დამატებით ხარჯებს არ აკისრებს;

განვითარება, რომელიც თაობათა შორის გარე ეფექტების მინიმიზებას ახდენს;

განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს მომავალზე გათვლილი წარმოების პოტენციალის პერსპექტივის მუდმივ მარტივ და გაფართოებულ აღქმას (კვლავწარმოებას);

განვითარება, რომლის დროსაც კაცობრიობისათვის აუცილებელია ბუნებრივი კაპიტალის მსოფლიო პროცენტზე ცხოვრება ისე, რომ თვით კაპიტალს არ შეეხოს.

ამგვარად, მდგრადი განვითარების თეორიული პროცესების შესახებ ცოდნის სფეროში მდგრადი განვითარების მოდელების კონსტრუირებისას პირობითად შეიძლება გამოიყოს სამი მიდგომა – რესურსული, ბიოსფერული, ინტეგრაციული. ყველა ისინი ეფუძნება ერთიან ფილოსოფიურ და ბუნებრივ-მეცნიერულ საფუძველს.

მდგრადი განვითარების უფრო მისაღები განმარტების ამორჩევას თუ შევეცდებით, მაშინ, ჩვენი შეხედულებით, ყველაზე ნაყოფიერ და ზუსტ განმარტებად აკადემიკოს ვ.პ. კობტიუგის მიერ მოცემული განმარტება მიგვაჩნია. ამასთან დაკავშირებით, მდგრადი განვითარების გაგებაში უნდა ჩავთვოთ:

1. ეკონომიკისა და ეკოლოგიის დაბალანსებულობა, ანუ განვითარების ისეთი დონის მიღწევა, როცა ხალხი თავისი საწარმოო ან სხვაგვარი ეკონომიკური საქმიანობით საარსებო გარემოს რღვევას წყვეტს;

2. ეკონომიკური და სოციალური სფეროების დაბალანსებულობა, რაც მოიცავს მოსახლეობის ინტერესებისათვის იმ რესურსების მაქსიმალური გამოყენების უზრუნველყოფას, რომლებიც ეკონომიკურ განვითარებას განაპირობებს;

3. იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც დაკავშირებულია არა მარტო მიმდინარე სიტუაციათა განვითარებასთან, იმ პერსპექტივების გათვალისწინებასთან, რაც ორიენტირებულია როგორც დღევანდელი მოსახლეობის, ისე მომავალ თაობებზე.

ამ განმარტებებიდან ჩანს, რომ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა დიდად იქნება დამოკიდებული ეკონომიკური განვითარების ხასიათზე. ეკონომიკაში ხომ სწორედ, ერთი მხრივ, იქმნება საზოგადოების მატერიალური საფუძველები, ფორმირდება სოციალური განვითარების ბაზისური ურთიერთობები, მეორე მხრივ – საფუძველი ეყრება ბიოსფეროს ანთროპოლოგენურ პარამეტრებს. იმაზე, თუ როგორ მოხდება ეკონომიკის განვითარება და რამდენად დაცული იქნება ბიოსფეროს საყოფაცხოვრებო მოცულობის საზღვრები, დამოკიდებული იქნება გავა თუ არა საზოგადოება მდგრადი განვითარების გზაზე.

აკადემიკოს კობტიუგის მიერ მოცემული მდგრადი განვითარების განმარტებაში მნიშვნელოვანია ის, რომ იგი დისპარიტეტის საკითხს აყენებს ყველა დონეზე, გლობალურიდან ადგილობრივამდე, რაც აბალანსებს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ კრიტერიუმებს. ამრიგად, მოცემული განმარტება სრულიად გამოდგება რეგიონის მდგრადი განვითარების შესასწავლად.

მდგრადი ეკონომიკა – ეს არის ეკონომიკა, რომელიც ორიენტირებულია ინფორმაციულ რესურსებზე და არა მატერიალურ-ენერგეტიკულ ფაქტორებზე. ერთი სიტყვით, ეს არის “ცოდნის ეკონომიკა”. თანამედროვე წარმოების ტექნოლოგიური წყობა გამოკვეთილად ინფორმაციულ-კომუნიკაციურ სახეს იღებს. მდგრადი ეკონომიკა – ეს არის სოცი-

ოკულტურულ პარამეტრებზე, ადამიანებზე ორიენტირებული ეკონომიკა. “სისტემის ცივილიზებულიობის კანონის” მიხედვით (ე.ე. დროზდოვსკი) კულტურის დინამიკასა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებობს კორელაციური დამოკიდებულება. მდგრადი განვითარებისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია იდეოლოგია, კულტურა და ეკონომიკა.

რეგიონის მდგრადი განვითარების განხილვა შესაძლოა ერთი მხრივ როგორც პოზიტიური დინამიკის პროცესი, მეორე მხრივ კი – როგორც რეგიონული ქვესისტემების მდგრადობების დაბალანსებულობა.

მდგრადი განვითარების გამოკვლევა ემყარება დროის გარკვეულ მონაკვეთში სხვადასხვა სისტემების მახასიათებლების ანალიზსა და პროგნოზირებას. სისტემებს მიეკუთვნება გარემო პირობებში მოქმედი როგორც გლობალური, ისე ლოკალური სოციალ-ეკონომიკური სისტემები. სოციოეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემა დინამიკურია და ვითარდება სისტემის სამ ქვესისტემაში (საზოგადოების, ბუნების და ეკონომიკის). მდგრადი განვითარება სოციოეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის ფარგლებში ვარაუდობს, რომ ასეთი სისტემის თვისების წონასწორობა და სოციალურ, ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების ბალანსი გარემო ზემოქმედების დროს ნარჩუნდება.

ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სისტემებს აქვს ცვლადი სტრუქტურები, ანუ მოძრავნი არიან და ფორმირდებიან ფუნქციონირების პირობების შესაბამისად. სოციალური ქვესისტემა ხასიათდება დიდი სტაბილურობით, ის ნაკლებად მოძრავია.

სოციოეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემა შეიძლება დახასიათდეს როგორც არამდგრადი, რამდენადაც საერთო სისტემაში შეკრებილ ქვესისტემაში ინტერესთა ბალანსის მიღწევა ძალიან რთულია, ალბათ შეუძლებელიც კია. ობიექტურად ყოველთვის არსებობს წინააღმდეგობა გლობალურ და ეროვნულ ინტერესებს შორის ცალკეული ეროვნული მეურნეობის დონეზე.

დროის ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში ქვესისტემებს შორის ურთიერთკავშირზე დაკვირვებისას შეიძლება სისტემის განვითარების კანონზომიერებების გამოვლენა. დღეისათვის მდგრადი განვითარების ეკონომიკური ასხნის წინა პლანზე გადმოტანა შესაძლებელია კანონზომიერად ჩაითვალოს, რამდენადაც უმეტეს შემთხვევაში ეკონომიკური ეფექტურობის მიღწევა სერიოზული ეკოლოგიური ცვლილებების გამო შეუძლებელი ხდება.

*Evgeni Baratashvili*

*Jandri Zarandia*

*Irma Makharashvili-Baratashvili*

## **ON SUSTAINABLE DEVELOPMENT ISSUE**

### **Summary**

In the end of 20<sup>th</sup> and beginning of 21<sup>st</sup> centuries establishing reasonable interrelations between economic development of the future generations of contemporary mankind and environment protection is a necessary condition. Mostly this deals with attempt of formulation of the new conception of international security in the recent period that has finally formed as sustainable development conception.

History of the term “sustainable development” has actually commenced from the declaration adopted at UN environmental conference (1972). Issues of sustainable development are extensively discussed at all national and international conferences though there is no generally accepted definition of the “sustainable development” substance, all interpret it in their own manner. Currently there are over 50 definitions of “sustainable development” and this number is growing. According to UN definition, sustainable development is the development of the society allowing satisfaction of the requirements of current generations so that not to harm those opportunities what they will leave to the future generations for satisfaction of their needs.

In one of UNESCO statements the objectives of sustainable development were specified as follows:

Growth of economic development;

Environment protection with respect of restoration of sustainable natural ecosystems;

Achievement of social equality.

Studying of sustainable development is based on analysis and forecasting of characteristics of various systems in certain time interval. Sustainable development, within the socioeconomic system implies that equilibrium of the qualities of such system and balance of social, economic and ecological interests at external impact are maintained.

Socioeconomic system can be described as unstable, as achievement of the interests balance in the subsystems – components of the general system is very difficult. Today bringing forward of economic interpretation of sustainable development can be regarded as reasonable as mostly, achievement of economic effectiveness due to serious ecologic changes becomes impossible.

*ხათუნა ბერიშვილი*

**„მწვანე ეკონომიკა“ – პოსტსაბჭოთა ქვეყნების  
მდგრადი განვითარების მოდელი**

*ანოტაცია. სამრეწველო რევოლუციამ წარმოშვა განვითარების შესაბამისი ეკონომიკური მოდელი, რომელმაც მიიღო „ყავისფერი ეკონომიკის“ სახელწოდება. თანამედროვე გლობალური ფინანსური, ენერგეტიკული და ეკოლოგიური კრიზისების მიზეზები უნდა ვეძებოთ ბუნებრივი რესურსების ინტენსიური და არარაციონალური ექსპლუატაციის ნეგატიურ პრაქტიკაში, რომლის შედეგია ფარული ეკოლოგიური კრიზისი. ბუნებრივი კაპიტალის განადგურებაზე კონტროლის საშუალებების არარსებობამ და ეკონომიკური განვითარების მოდელში ურყევმა რწმენამ მიგვიყვანა ეკოსისტემების დისბალანსამდე. მოცემული პრობლემის გადაწყვეტის გზას წარმოადგენს „მწვანე ეკონომიკა“, რომელიც ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის ამოსავალი დებულებაა. ამით არის მოტივირებული „მწვანე ეკონომიკის“ მზარდი როლი ეკონომიკური თეორიის ძირითადი პოსტულატების ახლებურ აღქმაში.*

*სტატიაში გაანალიზებულია „მწვანე ეკონომიკაზე“ გადასვლის აუცილებლობა, მოცემულია მისი სოციალურ-ეკონომიკური არსი, ძირითადი მიმართულებები და განვითარების პერსპექტივები. ნახევრებია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში „მწვანე ეკონომიკაზე“ გადასვლის სტრატეგიების ფორმირების თავისებურებები და პრობლემები.*

*საკვანძო სიტყვები: „მწვანე ეკონომიკა“, ენერჯის განახლებადი წყაროები, დეკაპლინგის ეფექტი, „მწვანე“ ზრდა, „მწვანე ეკონომიკის“ სტრატეგიები, პოსტსაბჭოთა ქვეყნები.*

**„მწვანე ეკონომიკის“ კონცეფციის ევოლუცია**

ცნება „მწვანე ეკონომიკა“ სამეცნიერო ბრუნვაში შემოღებულ იქნა 1989 წელს დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს და ჩრდილოეთ ირლანდიის მთავრობისთვის წამყვანი ეკონომისტების ჯგუფის მიერ მომზადებულ მოხსენებაში [1]. 2009 წელს გაეროს პროგრამამ გარემოს საკითხებში, გამოაქვეყნა მოხსენება „მწვანე ეკონომიკის“ შესახებ. „მწვანე ეკონომიკის“ პრობლემა განხილული იყო 2012 წელს დიდი ოცეულის სამიტზე (G20).

მეცნიერებს შორის არ არსებობს „მწვანე ეკონომიკის“ ერთმნიშვნელოვანი განმარტება. ასე მაგალითად, გაეროს გარემოს დაცვის ორგანიზაცია (UNEP) განმარტავს „მწვანე ეკონომიკას“, როგორც სამეურნეო საქმიანობას, „რომელიც ზრდის ადამიანების კეთილდღეობას, უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობას და ამავე დროს მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოსა და ბუნების გაღარიბების რისკებს“ [2]. არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფის მიერ შექმნილი „მწვანე ეკონომიკის“ კოალიცია განმარტავს მას, როგორც „მოქნილ ეკონომიკას, რომელიც უზრუნველყოფს ცხოვრების უფრო მაღალ ხარისხს პლანეტის ეკოლოგიური შეზღუდვების პირობებში“ [3].

ისეთი ცნებები, როგორებიცაა „მწვანე ეკონომიკაკი“, „მწვანე“ ზრდა, „მწვანე“ განვითარება ზოგჯერ გაიგივებულია ერთმანეთთან. ამასთან, „მწვანე ეკონომიკა“ - ეს სამეურნეო საქმიანობაა, რომელიც წარმოების მოდერნიზაციასა და მისი ეფექტიანობის ზრდასთან ერთად ხელს უწყობს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას; ეკონომიკური განვითარების თავისებური მოდელია, რომელიც „რესურსდანაზოგისა და რესურსეფექტიანობის პირობებში, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენებით, დაფუძნებულია მდგრად განვითარებაზე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესისადმი კომპლექსურ მიდგომაზე, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე“ [4]. ზოგიერთი მკვლევარი განსაზღვრავს „მწვანე ეკონომიკას“, როგორც მდგრადი განვითარების ამოსავალ პირობას. გერმანელი ეკონომისტი რ. ფიუქსი ხაზს უსვამს, რომ მისთვის „დამახასიათებელია ბიოლოგიური

ეკოლუციისა და ტექნოლოგიების პროდუქტიული სინთეზი“ [4, გვ.37]. ის ამტკიცებს, რომ ეკოლოგიური ბიოტექნოლოგიური ინოვაციები, ენერჯის განახლებად წყაროებზე და ეფექტიან ტექნოლოგიებზე გადასვლის პროცესი საფუძვლად დაედება ეკონომიკურ ზრდას. ამის შედეგად კი მოხდება თანდათანობითი გადასვლა ბიოეკონომიკაზე [4, გვ. 146].

### **„მწვანე ეკონომიკის“ განვითარების არგუმენტები**

„მწვანე ეკონომიკის“ ოპონენტები ამტკიცებენ, რომ „მწვანე“ ტექნოლოგიებსა და ენერჯეტიკაში მსხვილი ინვესტიციები იწვევს წარმოების დანახარჯების ზრდასა და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შემცირებას. „მწვანე ეკონომიკა“ - მისი ოპონენტების აზრით, მიგვიყვანს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერებამდე, მის ბიუროკრატიზაციამდე. „მწვანე ეკონომიკის“ კრიტიკოსები თვლიან რომ, თუ მკვეთრად გაიზრდება წარმოებისადმი ეკოლოგიური მოთხოვნები, მისი განვითარება გამოიწვევს ფასების ზრდას და სამუშაო ადგილების შემცირებას, გართულდება ბიზნესის წარმოების პირობები. მათი აზრით, ბუნებრივი რესურსების მოხმარების შემცირება, როგორც „მწვანე ეკონომიკის“ აუცილებელი პირობა, მიგვიყვანს ეკონომიკური ზრდის შენელებამდე და ცხოვრების დონის შემცირებამდე. ამასთან ერთად, „მწვანე“ განვითარების ოპონენტები თვლიან, რომ „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირება შეიძლება იყოს წარმატებული პლანეტარული მასშტაბით, მაგრამ არა ცალკეული ქვეყნის ჩარჩოებში [15]. შეიძლება დავეთანხმოთ მათ იმაში, რომ „არსებობს დამატებითი რისკი, როდესაც „მწვანე ეკონომიკაზე“ გადასვლის საბაბით შეიძლება გამართლებულ იქნეს ქვეყანაში ცალმხრივად შემოღებული სავაჭრო პროტექციონიზმის, მაგალითად, პროდუქციის გამოყენების კვოტების ან ნორმატივების დადგენა“ [4].

„მწვანე ეკონომიკის“ განვითარება წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. ასე მაგალითად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (შსო) 2018 წლის მოხსენებაში აღიარებს, რომ ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების დარგებში „მწვანე ეკონომიკის“ განვითარების შედეგად შემცირდება დაახლოებით ერთი მილიონი სამუშაო ადგილი. ამასთან, როგორც აღნიშნულია შსო-ს იმავე მოხსენებაში, მსოფლიო 2 გრადუსით გლობალური დათბობის შეზღუდვის ზომების ხარჯზე დამატებით შეიქმნება 6 მლნ სამუშაო ადგილი, ხოლო მსოფლიოში „მწვანე ეკონომიკის“ განვითარება მომავალში საშუალებას მოგვცემს, შევქმნათ 24 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი [3]. მსოფლიო ეკონომიკის განვითარებამ მიგვიყვანა გლობალურ ეკოლოგიურ კრიზისამდე. ამ პირობებში „მწვანე ეკონომიკა“ კ, რომელიც განიხილება, როგორც ბუნების ნაწილი და რომელიც ამოცანად ისახავს ბუნების ეკონომიკის მართვას, ხდება მდგრადი განვითარების მთავარი ვექტორი.

მნიშვნელოვანია „დეკაპლინგის ეფექტის“ მიღწევა, რომლის მიხედვითაც „მწვანე ეკონომიკაში“ ინვესტიციების ზრდა იძლევა შესაძლებლობას, განვახორციელოთ ეკონომიკური ზრდა ეკოლოგიური ზარალის გარეშე [21], რაც მიიღწევა „მწვანე“ ტექნოლოგიების დანერგვის ხარჯზე. UNEP-ის მონაცემების თანახმად, „მწვანე“ ზრდის სცენარის რეალიზაციის შედეგად, რომელიც ითვალისწინებს ყოველწლიური ინვესტიციების დაბანდებას გარემოს დაცვაში მსოფლიო მშპ-ის 2% ოდენობით, ზრდის პოტენციალმა უნდა გადაამეტოს „ჩვეულებრივი ბიზნესის (business as usual) ზრდის ტემპებს 7 წელიწადში, დროთა განმავლობაში კი უფრო სწრაფადაც“ [6]. BNEF (Bloomberg New Energy Finance) პროგნოზით, 2017-2040 წლებში ელექტროენერჯის წარმოების ახალ სიმძლავრეებში დაბანდებული ინვესტიციები მთელ მსოფლიოში გადაამეტებს 10 ტრლნ დოლარს, რომელთაგან 72% მიმართული იქნება ენერჯის განახლებადი წყაროებისკენ [8].

გერმანიის გარემოს დაცვის სამინისტროს მონაცემებით, რომელმაც წარმოადგინა „მწვანე ტექნოლოგიების ატლასი - 2018“, „მწვანე“ ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზრის მოცულობა 2016 წლიდან 2025 წლამდე გაიზრდება 3,2 ტრლნ-დან 5,9 ტრლნ ევრომდე, ყოველწლიურად 6,9%-ით, რაც 2-ჯერ აღემატება მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპებს.

„მწვანე ეკონომიკის“ არსი უფრო სრულად აისახება ისეთ ცნებებში, როგორიცაა „მწვანე“ ზრდა, „ორგანული სოფლის მეურნეობა“, „მწვანე“ სამუშაო ადგილები, „მწვანე“ შესყიდვები, „მწვანე“ ფინანსირება, „მწვანე“ ობლიგაციები, „მწვანე“ ინოვაციები და სხვა.

„მწვანე“ მიღებულია, ვუწოდოთ საქმიანობის ისეთ სახეებს, რომლებიც ემსახურება გარემოს დაცვას, მის აღდგენას და ეკონომიკის „მწვანე“ სექტორების განვითარებას. „მწვანე ეკონომიკის“ გაფართოებასთან ერთად გაიზრდება „მწვანე“ სამუშაო ადგილების რაოდენობა. „მწვანე“ ზრდის ქვეშ, ჩვეულებრივ, იგულისხმება მშპ-ის ისეთი ზრდა, რომელიც ხდება „მწვანე“ პირობებში და ეყრდნობა ეკონომიკის „მწვანე“ სექტორებს. ორგანული პროდუქტების მსოფლიო ბაზარი ყოველწლიურად იზრდება 20%-ით და 2020 წლისთვის მან შეიძლება მიაღწიოს 200-250 მლრდ აშშ დოლარს [6].

2009 წელს ეკონომიკური განვითარებისა და თანამეგობრობის (ეთგო)-ს ქვეყნებმა მიიღეს ეკოლოგიურად ორიენტირებული „მწვანე“ ზრდის სტრატეგია, როგორც საშუალოვადიანი (2030 წლამდე) და გრძელვადიანი (2050 წლამდე) ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ინსტრუმენტი. სამხრეთ კორეამ ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო გადასვლა „მწვანე ეკონომიკაზე“, სადაც განვითარების ეროვნულ სტრატეგიად არჩეულ იქნა „მწვანე“ ზრდა. „მწვანე ეკონომიკა“, როგორც სახელმწიფოებრივი განვითარების კურსი, აღიარა ჩინეთის მთავრობამ, რაც დაადასტურა ჩინეთის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე (1917) [5]. „მწვანე“ განვითარება პრიორიტეტული ხდება ევროკავშირის ქვეყნებისთვის. ამ ქვეყნებში ეროვნული ენერგეტიკული უსაფრთხოების მხარდაჭერა წარმოადგენს „მწვანე“ ზრდის ერთ-ერთ პრიორიტეტს. ევროკავშირის ქვეყნების ეკოლოგიური ინდუსტრიის წლიური ბრუნვა შეადგენს 300 მლრდ ევროს [6].

„მწვანე ეკონომიკაზე“ გადასვლა ამცირებს ისეთი გლობალური საფრთხეების რისკებს, როგორებიცაა: კლიმატის ცვლილება, ეკოსისტემის დაზიანება და წყლის რესურსების დეფიციტი და სხვა.

### **პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილება და „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირება**

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში „მწვანე ეკონომიკის“ განვითარების მისაღწევად აუცილებელია გატარდეს ცვლილებები სახელმწიფო სამრეწველო და ინოვაციურ პოლიტიკაში, მოხდეს ეკონომიკური ზრდის მოდელის ტრანსფორმაცია. ამ ქვეყნების ეკონომიკის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში ძირითად წილს შეადგენს ის დარგები, რომლებიც გამოირჩევა გარემოზე დიდი ზემოქმედებით, ხოლო მშპ-ის ნაშატი მიიღწევა სამთო მადნეულის მოპოვების, გადამამუშავებელი წარმოების და არა მადალტექნოლოგიური პროდუქტის გამოშვების ხარჯზე. საჭიროა გადასვლა წარმოების ისეთ ტიპზე, რომელშიც „მწვანე“ ტექნოლოგიები პრიორიტეტულია.

„მწვანე ეკონომიკის“ კონცეფცია არ ცვლის მდგრადი განვითარების კონცეფციას, მაგრამ მეცნიერები და პრაქტიკოსები აღიარებენ, რომ მდგრადობის მიღწევა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებაზე. ამასთანავე, „მწვანე ეკონომიკის“ საფუძვლად გამოდის ენერგეტიკის მოდერნიზაცია, რომლის ბირთვს წარმოადგენს ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარება, რომლებიც იძლევა არა მარტო ენერგეტიკის პრობლემების, არამედ ეკოლოგიისა და ცივილიზაციის მომავლის საკითხების გადაჭრის შესაძლებლობას.

„მწვანე ეკონომიკის“ განვითარების ტენდენციები ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ხასიათდება მზარდი დინამიკით. ასე მაგალითად, ბელარუსში 2015 წლიდან 2019 წლამდე განხორციელდა „მწვანე ეკონომიკაზე“ რესპუბლიკის გადასვლისათვის ხელშეწყობის პროექტი“, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 5 მლნ ევროს, რომელიც დაფინანსდა ევროკავშირის მიერ და მისი რეალიზაცია ხდებოდა გაეროს განვითარების პროგრამასთან ერთად [8]. პროექტის რეალიზაციის შედეგად მოხდა 270 ადამიანის დამატებითი დასაქმება; პორტალის - „მწვანე ბარათი“ - დამუშავება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ეკოლოგიური ობიექტების შესახებ [10]. 2016 წელს შემუშავდა „2020 წლამდე რესპუბლიკა ბელარუსში „მწვანე ეკონომიკის“ განვითარების ეროვნული გეგმა“. მასში „მწვანე ეკონომიკა“ განსაზღვრულია როგორც ეკონომიკის ორგანიზაციის მოდელი, რომელიც მიმართულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნების მიღწევაზე ეკოლოგიური რისკებისა და გარემოს დეგრადაციის ტემპების მნიშვნელოვანი შემცირების შედეგად.

დასახულია „მწვანე ეკონომიკაზე“ ქვეყნის გადასვლის 2 ეტაპი. პირველი, 2016-2020 წწ. - გადასვლა ეკონომიკის დაბალანსებულ ზრდაზე „მწვანე ეკონომიკის“ პრინციპებზე, მისი სტრუქტურულ-ინსტიტუციური ტრანსფორმაციის გზით. მეორე, 2021-2030 წწ. - გადასვლა სტაბილურ მდგრად განვითარებასა და ადამიანის პოტენციალის მაღალი ხარისხის მიღწევაზე „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებისა და მაღალტექნოლოგიური წარმოებების დაჩქარებული სრულყოფის საფუძველზე. ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს 14 გლობალურ და 10 ევროპულ საერთაშორისო ბუნებისდამცავ კონვენციებში, რომლებიც წარმოადგენს საფუძველს მრავალმხრივი თანამშრომლობისათვის და იძლევა შესაძლებლობას ყოველწლიურად საერთაშორისო ტექნიკური დახმარების ჩარჩოებში, ბუნებადამცავი პრობლემების გადასაჭრელად ბელარუსმა მიიღოს დაახლოებით 5 მილიონი აშშ დოლარი. პროექტის - „რესპუბლიკა ბელარუსის სატყეო სექტორის განვითარების“ - რეალიზაცია ხორციელდება 40,7 მლნ აშშ დოლარის ოდენობის მსოფლიო ბანკის კრედიტისა და მასთან დაკავშირებული 2,7 მლნ აშშ დოლარის ოდენობის გლობალური ეკოლოგიური ფონდის გრანტის ხარჯზე [5]. „ეროვნული გეგმის“ რეალიზაციის შედეგად უნდა მოხდეს „მწვანე ეკონომიკისა“ და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პრინციპებზე განხორციელებული ეროვნული ეკონომიკის ეტაპობრივი გარდაქმნა, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ინტერესების პარმონიზაცია.

ყირგიზეთმა 2013 წელს მიიღო „ყირგიზეთის რესპუბლიკის მდგრად განვითარებაზე გადასვლის პროგრამა 2013-2017 წლების პერიოდზე“. 2016 წლის მაისში გარემოს საკითხებში გაეროს ასამბლეაზე (UNFA-2) (ნაირობი, კენია), ქვეყანა ოფიციალურად შეუერთდა გაეროს ინიციატივას „PAGE“ (Partnership for action on green economy) – „პარტნიორობა მოქმედებებისთვის „მწვანე ეკონომიკისკენ ინტერესებში“. ეს ინიციატივა შეიქმნა ხუთი სააგენტოს მიერ: გარემოს საკითხებში გაეროს პროგრამით (UNEP), შრომის საერთაშორისო ორგანიზაციით (შსო), გაეროს ორგანიზაციით სამრეწველო განვითარების საკითხებში (UNIDO), გაეროს განვითარების პროგრამით (PROON) და გაეროს ინსტიტუტით სწავლებისა და კვლევების საკითხებში (UNITAR). 11 ქვეყანა ოფიციალურად არის პარტნიორი და იღებს პირდაპირ დახმარებას PAGE-ს მხრიდან: მონღოლეთი, პერუ, ბურკინაფასო, ჩინეთი, განა, მავრიკია, სენეგალი და სამხრეთ აფრიკა, ყირგიზეთი, ბრაზილია, ბარბადოსი. ყირგიზეთის ეკონომიკის სამინისტროს განზრახული აქვს, შეიმუშაოს „მწვანე ეკონომიკაზე“ გადასვლის კონცეფცია, რომელსაც საფუძველად უნდა დაედოს „მწვანე“ სტანდარტები. ამჟამად განსაზღვრულია ყირგიზეთის ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები PAGE-ის ინიციატივის ჩარჩოებში [11].

სომხეთში ჯერ არ არის მიღებული „მწვანე ეკონომიკის“ სტრატეგია, მაგრამ 2017 წლის შედეგებით ენერჯის განახლებადი წყაროების (ეგწ) წილი ქვეყნის ენერგობალანსში შეადგენდა 32,5%. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში: ბელარუსში ეგწ იკავებდა 4%, ყაზახეთში - 1,3%, ყირგიზეთში - 0,1% და რუსეთში - ქვეყნის ენერგობალანსის 19% [12].

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციით დაიწყო მუშაობა „მწვანე“ ზრდის პოლიტიკის სტრატეგიაზე. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) ერთად მომზადებული „მწვანე ეკონომიკის“ ზრდის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის შემდეგ სტრატეგიის შესამუშავებლად შემდეგი დონორი ორგანიზაციები მონაწილეობენ: ევროპის აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნების ეკონომიკების გამწვანების პროექტი (EaP GREEN), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP). „მწვანე“ ზრდის სტრატეგიის დოკუმენტმა უნდა მოიცვას ეკონომიკის, გარემოს დაცვის, ენერჯეტიკის, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის, განათლების სექტორები, აგრეთვე ამ სექტორებში განსახორციელებელი ღონისძიებები და მათი დაფინანსების საკითხები. საქართველო უკვე მიუერთდა „მწვანეკკ ზრდის დეკლარაციას“. დეკლარაციას მიერთებულ ქვეყნებში ერთდროულად უნდა იყოს გათვალისწინებული ორივე მიმართულება „მწვანე“ და „ზრდა“. ასევე, მთავრობამ ხელი უნდა შეუწყო „მწვანეკკ ინვესტირებას. ამასთან, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო



წახალისებს გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებას“.

## დასკვნა

„მწვანე ეკონომიკა“ წარმოადგენს როგორც მსოფლიო ეკონომიკის, ისე პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკის სტრატეგიულ მიმართულებას. პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ეკოლოგიურ ურთიერთობათა ერთ-ერთ პერიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს იმ ნორმატიული აქტების შექმნა, რომლებიც იძლევა ეკოლოგიური კანონმდებლობის უნიფიცირებისა და ჰარმონიზაციის შესაძლებლობას, მათ შორის „მწვანე ეკონომიკის“ დარგში. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება „ეკოლოგიური ტექნოლოგიების“ განვითარებას. „მწვანე ეკონომიკის“ სტრატეგია გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა იქცეს პოსტსაბჭოთა ქვეყნების მდგრადი განვითარების მოდელოდ.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Pearce, D. Blueprint for a Green economy / D. Pearce, A.Markandya, E.Barbier. London E: Earthscan Publications Ltd., 1989. 192 p.
2. Глобальный «зеленый» новый курс: доклад UNEP. — 2009. [http://greenlogic.by/content/files/GREENTRANSPORT/UNEP90\\_RUS](http://greenlogic.by/content/files/GREENTRANSPORT/UNEP90_RUS)
3. The Green Economy Pocketbook: the case for action. — London: Green economy coalition? 2012. 58p.
4. Фюкс Р. Зеленая революция: Экономический рост без ущерба для экологии / Пер. с нем. М:2018.330с.
5. Berishvili Kh. (2017). Contradictory character of the process of liberalization and integration of economic relations and influence of this process on the countries with small economy. 6th Business & Management Conference, Geneva.
6. G20 Green Finance Study Group G20 Green Finance Synthesis Report, 15.07.2016.URL: [http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2017/07/2017\\_GFSG\\_Synthesis\\_Report\\_EN.pdf](http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2017/07/2017_GFSG_Synthesis_Report_EN.pdf)
7. Principles for Responsible Investment. URL: <http://www.unpri.org>
8. Проект «Содействие переходу Республики Беларусь к «зеленой» экономике».
9. Гаврыш В. «Зеленая» экономика в Беларуси есть! // Белорусская лесная газета. — 2017. — 7.12. — № 49(1175). url: <http://lesgazeta.by/news/vsled-za-sobytiem/%c2%abzelenaja%c2%bb-jekonomika-v-belarusi-est>
10. Национальный план действий по развитию «зеленой» экономики в Республике Беларусь до 2020 года. [http://www.pravo.by/upload/docs/op/C21601061\\_1482872400.pdf](http://www.pravo.by/upload/docs/op/C21601061_1482872400.pdf)
11. Аманова А.О государственных мерах по продвижению зеленой экономики в Кыргызской Республике. [www.unido.org/sites/default/files/files/2017-12/P2\\_3\\_Kyrgystan\\_Amanova.pdf](http://www.unido.org/sites/default/files/files/2017-12/P2_3_Kyrgystan_Amanova.pdf)
12. ЕЭК систематизирует работу по энергоэффективности и «зеленой» энергетике в ЕАЭС. [https://www.alt.ru/ts\\_news/61126/](https://www.alt.ru/ts_news/61126/)

*Khatuna Berishvili*

## **„GREEN ECONOMY“, MODEL OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF THE POST-SOVIET COUNTRIES**

### **Summary**

“Green economy” is a strategic direction of the world economy as well as of the post-Soviet countries. One of the priority directions of ecological relations in the post-Soviet states is formation of the normative acts, which give a possibility for unification and harmonization of ecological legislation, among them, in the “green economy” field. In the post-Soviet countries, for development of “green economy” great attention is attached to development of ecological technologies. “Green economy” strategy should become a model of sustainable development of the post-Soviet countries, based on long-term perspective.

*დავით ბიძინა შვილი*

**მწვანე ეკონომიკა, როგორც ყველაზე მაღალი კაპიტალიზაციის  
მოტივის საშუალება საქართველოში**

*ანოტაცია. მწვანე ეკონომიკა ადამიანების კეთილდღეობისა და სოციალური თანასწორობის მთავარი შედეგია, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემო რისკებს და ეკოლოგიურ დანაკარგებს (გაერთიანებული ერების გარემოს პროგრამა, 2010 წელი). მწვანე ეკონომიკა ეკონომიკური განვითარების ის მოდელია, რომელიც მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზეა დაფუძნებული. ის ეკონომიკის სხვა დარგებისგან იმით განსხვავდება, რომ პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც ეკონომიკური ღირებულება აქვს მწვანე ეკონომიკა ქმნის მწვანე სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს რეალურ, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ამცირებს გარემოს დაბინძურებას, კლიმატის ცვლილებას, გარემოს დეგრადაციას, რესურსების გამოლევის საშიშროებას ის სტიმულს აძლევს ბიზნესს, აწარმოოს მწვანე პროდუქტი და მომსახურება.*

*მწვანე ეკონომიკა სახელმწიფო და კერძო სექტორებს ერთმანეთისაგან არ მიჯნავს პირიქით, ცდილობს, იპოვოს ეკონომიკური გადაწყვეტილების დადებითი და შედეგიანი ალტერნატივა. მწვანე ეკონომიკის მთავარი რეგულატორია არა სახელმწიფო ან კერძო ბიზნესი, არამედ საზოგადოება, რომელიც ირჩევს და თავად მართავს მას.*

***საკვანძო სიტყვები:** ბუნებრივი რესურსები; სურსათის უსაფრთხოება; ეკოლოგიური ეკონომიკა; ბუნებრივი კაპიტალი; მწვანე პროდუქტი.*

**შესავალი**

მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც ამცირებს გარემოსდაცვით რისკებს და ეკოლოგიურ პრობლემებს, მიზნად ისახავს მდგრად განვითარებას და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას. ის მჭიდრო კავშირშია ეკოლოგიურ ეკონომიკასთან, ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიღწევას, შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებით აერთიანებს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს. მწვანე ეკონომიკა მოიცავს ექვს მთავარ სექტორს: განახლებადი ენერჯია; მწვანე შენობები; სუფთა ტრანსპორტი; წყლის მენეჯმენტი; ნარჩენების მენეჯმენტი და მიწის მენეჯმენტი.

საქართველოს ეკონომიკის, განსაკუთრებით მისი სამრეწველო სექტორის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ბუნებრივი რესურსების და მისი ეკოსისტემების გამოყენებაზე. ატმოსფერულ ჰაერში ემისიები, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების და ნიადაგის დაბინძურება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც სამრეწველო და სამთო წარმოება არის განვითარებული. საქართველოს ეკონომიკა გამოირჩევა ენერჯის და რესურსების გამოყენების ძალიან მაღალი ინტენსივობით - ეს მაჩვენებლები საქართველოში 2-2.5-ჯერ აღემატება დასავლეთის ქვეყნების მაჩვენებლებს.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებულმა პროგრამამ „მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (EaP GREEN) და მისმა რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (RECP) სადემონსტრაციო კომპონენტმა საქართველოს აღმოუჩინა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მწვანე ეკონომიკური განვითარებისკენ სვლაში. RECP პროექტმა ქართულ სამრეწველო საწარმოებში მოახდინა იმ პრაქტიკული გზების დემონსტრირება, რომლებიც აუმჯობესებს წარმოებაში რესურსების გამოყენების პროდუქტიულობას, ამცირებს გარემოზე უარყოფით ზეგავლენას და მოაქვს ეკონომიკური სარგებელი. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ფართო დანერგვის მიზნით პროექტმა ხელი შეუწყო ინდივიდუალური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას, რესურსეფექტური ტექნოლოგიების გადაცემას და შესაბამისი ინვესტიციების მხარდაჭერას, რაც წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მწვანე და კონკურენტუნარიანი წარმოების მისაღწევად.

\* \* \*

გლობალური მოუსავლიანობის პირობებში, როდესაც სიმცირის გამო სურსათი სულ უფრო ძვირდება, სასურსათო უსაფრთხოება ყოველი ქვეყნისათვის სულ უფრო მნიშვნელოვანი

ხდება. ამ დროს საქართველოში ადგილობრივი მოსავალი წლიდან წლამდე მცირდება - გაღარიბებული გლეხი მიწის დამუშავებასაც ვერ ახერხებს, ამიტომ ადგილობრივი სასურსათო მოთხოვნის დაკმაყოფიება იმპორტის ხარჯზე ხდება.

მსოფლიოში საკვებ პროდუქტებზე შექმნილი დეფიციტის გამო მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ მიმართულებად დაასახელა და აგრარული სექტორის მაქსიმალურად განვითარების აუცილებლობაზე აღაპარაკდა. მათ შორისაა საქართველოც, რომელსაც დიდი აგრარული პოტენციალი გააჩნია. სტრატეგიის მიზანი დარგის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნაა. ამით მიღწეული იქნება აგრო-სამრეწველო პროდუქციის სტაბილური ზრდა, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სოფლად სიღარიბის დაძლევა.

როგორც ჩანს, ხელისუფლება სოფლის მეურნეობის სფეროში პოლიტიკის გადახედვას იწყებს. უახლესი წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობა სახელმწიფოსაგან სუბსიდირებას მიიღებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ ხელისუფლებაში აქამდეც ხშირად ლაპარაკობდნენ, მიიხრევიდნენ, რომ ეს სფერო საქართველოში ინვესტიციების მოსაზიდად ერთ-ერთი ყველაზე მომხიბვლელია, მაგრამ აქამდე ნაკლებად ახორციელებდნენ უშუალოდ სოფლის მეურნეობის სტიმულირების პროგრამას. ახლა, როდესაც სოფლის მეურნეობის დაფინანსება გაიზარდა, ხელისუფლებას სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარება სურს. ვფიქრობ, ეს ანტიინფლაციური ზომა არ არის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ინფლაციის სოციალური შედეგების განეიტრალების ერთ-ერთი საშუალებაა. ჩვენი აზრით, თავისთავად ის, რომ სოფლის მეურნეობაში ფული შევა და ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს შეხვდება, ხელს შეუწყობს სოფლად სოციალური ფონის გაუმჯობესებას.

საქართველო მსოფლიოს ყველაზე ეკოლოგიურად სუფთა (მწვანე) ეკონომიკებს შორის 47-ე პოზიციაზეა და მოქცეულია ისეთი ქვეყნების შუაში, როგორც ურუგვაი და ავსტრალია, - ამ მონაცემებს დ ჩ იელის და კოლუმბიის უნივერსიტეტის კვლევებზე დაყრდნობით აქვეყნებს.

რეიტინგში სულ 132 ქვეყანა მოხვდა. ლიდერები არიან შვეიცარია, ლიეტუვა და ნორვეგია, ათეულში არიან - ლუქსემბურგი, კოსტა რიკა, საფრანგეთი, ავსტრია, იტალია, ბრიტანეთი და შვედეთი. აუტსაიდერებს შორის არიან უზბეკეთი, თურქმენეთი და ერაყი. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საქართველოზე უკეთესი მდგომარეობა აქვთ ლატვიას (მე-2), ლიტვას (მე-17), უარესი მდგომარეობა კი - ესტონეთს (54-ე), ბელარუსს (65-ე), სომხეთს (93-ე), ყირგიზეთს (101-ე), უკრაინას (102-ე), რუსეთს (106-ე), მოლდოვას (108-ე), აზერბაიჯანს (111-ე), ტაჯიკეთს (121-ე), ყაზახეთს (129-ე), უზბეკეთს (130-ე), თურქმენეთს (131-ე); აღსანიშნავია, რომ საქართველოს უკან არიან ისეთი ქვეყნები, როგორც არის აშშ, ისრაელი და თურქეთი.

რეიტინგის ავტორების აზრით, 2000-2017 წლებში ეკოლოგიური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. გაუარესება აღინიშნა ესტონეთში, საუდის არაბეთში, ბოსნიაში, რუსეთსა და ერაყში.

ეკოლოგიურად სუფთა ეკონომიკის ინდექსი (Environmental Performance Index) შედგენილია 22 პარამეტრის გამოკვლევის შედეგად, მათ შორის - წყლის და ჰაერის ხარისხი, გარემოს გაველნა ადამიანის ჯანმრთელობაზე, სატყეო ფონდი, სხვადასხვა მავნე ნივთიერებების ბუნებაში ემისია და ა.შ.

აღნიშნული რეიტინგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეკოლოგია დღეისთვის მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში არსებული გარემოს პროგრამის თანახმად, მწვანე ეკონომიკა ადამიანების კეთილდღეობისა და სოციალური თანასწორობის მთავარი შედეგია, როდესაც მნიშვნელოვნად მცირდება გარემორისკები და ეკოლოგიური დანაკლისები. მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც დამყარებულია მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე. ის ეკონომიკის სხვა დარგებისგან იმით განსხვავდება, რომ პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც აქვს ეკონომიკური ღირებულება. მწვანე ეკონომიკა ქმნის მწვანე სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს რეალურ, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ამცირებს გარემოს დაბინძურებას, გლობალურ დათბობას, გარემოს დეგრადაციას და აფერხებს რესურსების გამოლევის საშიშროებას. მწვანე ეკონომიკა სტიმულს აძლევს და მოტივაციას უქმნის ბიზნესს, აწარმოოს

მწვანე პროდუქტი და მომსახურება. ჯერ კიდევ 2010 წელს ბრეტონვუდის სისტემის მთავარმა ინსტიტუტებმა, მსოფლიო ბანკმა და სავალუტო ფონდმა დიდი დაინტერესება გამოხატეს მსოფლიო ბიომრავალფეროვნების შეფასების მიმართ, რაც მის აქტიურ დაფინანსებას გულისხმობს.

მწვანე ეკონომიკა სახელმწიფო და კერძო სექტორს ერთმანეთისგან არ მიჯნავს. იგი ცდილობს, მოძებნოს ეკონომიკური გადაწყვეტილების პოზიტიური ალტერნატივა. მწვანე ეკონომიკის მთავარი რეგულატორია არა სახელმწიფო ან კერძო ბიზნესი, არამედ საზოგადოება, რომელიც ირჩევს და თავად მართავს მას

"მწვანე ეკონომიკის" ფარგლებში საქართველოს მთავრობამ, უცხოელი ექსპერტების დახმარებით, 15 პროექტი შეიმუშავა, რომელსაც კერძო სექტორს წარედგინება.

აღნიშნულ საკითხზე გაეროს განვითარების პროგრამა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ერთობლივად მუშაობს. თბილისში გამართულ მწვანე ბიზნესშესაძლებლობების კონფერენციაზე, რომელიც სწორედ "მწვანე ეკონომიკის" საკითხებს მიეძღვნა, აღინიშნა, რომ საქართველოს მწვანე ბიზნესის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს და ამ მიმართულებით მთავრობა კერძო სექტორთან ერთად ინტენსიურად იმუშავებს.

პროექტი, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, გაეროს განვითარების პროგრამის "საჯარო სექტორში რეფორმების მხარდაჭერი კონსულტაციების პროექტის" ფარგლებში ხორციელდება. საერთაშორისო და ქართველი ექსპერტების გუნდი მდგრადი და ეკონომიკურად გამართლებული მწვანე ბიზნესების (მწვანე პროდუქტების წარმოება, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, სუფთა ენერჯიაზე დაფუძნებული წარმოება) განსახილველად შეიკრიბა.

"მწვანე ეკონომიკის" განვითარებისთვის მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ყველაფერს გააკეთებს, თუმცა საბოლოო სიტყვა მაინც კერძო სექტორმა უნდა თქვას. დღეს საქართველოში არსებობს უზარმაზარი პოტენციალი მწვანე ეკონომიკის მიმართულებით. საუბარი არ არის მხოლოდ ჰიდრორესურსებზე, საუბარია ასევე, მწვანე ტრანსპორტის საშუალებებზე, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე და სხვა. ამჟამად ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე მიმდინარეობს საუბარი და ეს ქართული წარმოების ნატურალური პროდუქციის ევროკავშირის ქვეყნებში გატანის, ასევე ტურიზმის სექტორის ე.წ. მწვანე მიმართულებით გაზრდის და კერძო სექტორისთვის რეალური პროექტების შექმნის შესაძლებლობას იძლევა. ასე რომ, შევხედოთ "მწვანე ეკონომიკას," როგორც შემოსავლი ან ბიზნესს."

უკვე დამუშავებულია 15 კონკრეტული პროექტი, რომელიც კერძო სექტორს წარედგინება. ეს არის საერთაშორისო ექსპერტების მიერ დამუშავებული მომგებიანი პროექტები და მნიშვნელოვანია, რომ კერძო ბიზნესის წარმომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ, უკვე მზა პროექტი წაიღონ ბანკში და მოიპოვონ დაფინანსება

გაეროს საქართველოს წარმომადგენლობაში აღნიშნავენ, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს, გაეროს გლობალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოებს რეკომენდაცია გაეწიათ, მოეხდინათ ეკონომიკური ტრანსფორმაცია მწვანე ეკონომიკისაკენ. შეიქმნა ეკონომიკური სტიმულირების პაკეტი, რაც ითვალისწინებს განახლებად ენერჯიაზე გადასვლას, მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების გაზრდას, მდგრადი სოფლის მეურნეობის, ორგანული წარმოების მხარდაჭერას, ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მწვანე ეკონომიკა არ არის აბსტრაქტული კონცეფცია, ის რეალობაა, რასაც სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდისაკენ მივყავართ. სუფთა ენერჯის გეგმის შემუშავებისას ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კალიფორნიის შტატში, 500,000 ახალი მწვანე სამუშაო ადგილი შეიქმნა.

მწვანე ეკონომიკა აქტიურად ვრცელდება მთელ მსოფლიოში, აუცილებელია, ყველა ქვეყანა აქტიურად ჩაებას ამ უწყვეტ პროცესში. მარტო კვლევასა და განვითარებაზე ევროკავშირმა ბიუჯეტი 300 პროცენტით გაზარდა. ჩინეთში სუფთა ენერჯის დასაფინანსებლად 2010 წელს 34 მილიარდი აშშ დოლარი ჩაიდო. შესაბამისად, ჩინეთმა წინ გაუსწრო აშშ-ს განახლებად ენერჯოტექნოლოგიებში ჩადებული ინვესტიციების მოცულობით და მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა. ჩადებული ინვესტიციების მოცულობით დიდი ბრიტანეთი მესამე ადგილზე აღმოჩნდა, შემდეგ - ესპანეთი და ბრაზილია.

როგორც მიმდინარე ტენდენციები უჩვენებს, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აქტიურად მიისწრაფვის მწვანე ეკონომიკის დანერგვისაკენ, ვინაიდან მწვანე ეკონომიკა - ეს არის 21-ე საუკუნის ბიზნესშესაძლებლობა. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოს მოსახლეობა მუდმივად იზრდება, მაშინ როდესაც ბუნებრივი რესურსების მოცულობა იგივე რჩება და მცირდება კიდევ, მწვანე ბიზნესის განხორციელება აქტუალურია როგორც არასდროს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, მწვანე ზრდა საქართველოსთვის ნიშნავს მისი მდიდარი ბუნებრივი, კულტურული და ადამიანური კაპიტალის გახსნას ახალი ბიზნესშესაძლებლობებისთვის, რომლებიც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

## დასკვნა

მწვანე ზრდის ინიციატივა არის შემდგომი ნაბიჯი მდგრადი ეკონომიკური განვითარების გზაზე, რაც ხელს უწყობს როგორც ეკონომიკურ ზრდას და სიღარიბესთან ბრძოლას, ასევე გლობალური საზოგადოებრივი სიკეთეების დაცვას (მაგ., ბიომრავალფეროვნების დაცვისა და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის საშუალებით). მისი განხორციელება მოხდება არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოებში, რომელიც ითვალისწინებს კერძო სექტორზე ორიენტირებულ პოლიტიკას, არაპროტექციონისტული საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკასა და არადისკრიმინაციულ მიდგომას.

ჩვენი აზრით, ამ სტრატეგიის განხორციელება გაზრდის სოფლად დასაქმებას, ალტერნატიული არასასოფლო-სამეურნეო სამუშაო ადგილების შექმნას, ასევე აგრარული პროდუქციის წარმოების ზრდას, საექსპორტო პროდუქციის მოცულობის მატებასა და მის დივერსიფიცირებას.

ეს ის პირობებია, რომელთა შესრულებაზეც სახელმწიფომ უნდა იფიქროს. მხოლოდ ამის შემდეგ განვითარდება სოფლის მეურნეობა. რამდენიმე წლის განმავლობაში ასეთი პოლიტიკის გატარებით მივალწევთ იმას, რომ სოფლად მოსახლეობის შემოსავალი გაიზრდება.

საჭიროა, ნაბიჯ-ნაბიჯ გაუწეოთ და გადასახადებისგან სრულად გაათავისუფლოთ სოფლის მეურნეობის სექტორი, რომელიც საქართველოში შეძლებს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას.

მწვანე ეკონომიკური პროგრამის რეალიზაციისათვის აუცილებელია შემუშავდეს ყველა მსხვილი სამრეწველო საწარმოს განვითარების პერსპექტივები, განისაზღვროს მათი ადგილი და როლი რესპუბლიკის ეკონომიკაში, დასაბუთდეს მათი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა და ეკოლოგიური უსაფრთხოება, მატერიალურ-ტექნიკური და სანედლეულო უზრუნველყოფა, არსებული სახით მათი არსებობის უპერსპექტივობის დადასტურების შემთხვევაში უნდა შემუშავდეს მათი კონვერსიის პროექტები ან ლიკვიდაციის პროგრამა.

აუცილებელია, პირველ რიგში აღმოფხვრათ ის ძალიან მძიმე მემკვიდრეობა, რომელიც დღეს გვერგო და მეორე მხრივ - გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის ეს უნიკალური სიმდიდრე და უახლოეს წლებში მივიღოთ ისეთი შედეგები, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც მწვანე ეკონომიკის მქონე ქვეყნის პოზიციონირებას.

ჩვენი აზრით, მწვანე ეკონომიკა არის ცხოვრების ახალი წესი, რაც იმას გულისხმობს, რომ ჩვენ ვუფრთხილდებით და ვუვლით გარემოს, ამავე დროს, ვაგროვებთ ცოდნას, ვინაწილებთ პასუხისმგებლობას და, შედეგად ვიღებთ სუფთა ჰაერს, სუფთა წყალს, ხარისხიან საკვებს. საბოლოო ჯამში კი - ჯანსაღ გარემოს და ძლიერ, კონკურენტუნარიან ეკონომიკას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://economy.ge>
2. <http://geostat.ge>
3. <http://mof.ge>
4. <http://eiec.gov.ge/Temebi/mwvane-ekonomika.aspx>
5. <http://european.ge/mwvane-ekonomikuri-doqtrinistvis-tezisebi/>
6. <http://recp.ge/wp-content/uploads/2018/01/Green-economy-newsletter-GE-1.pdf>
7. <https://www.bpn.ge/>

**GREEN ECONOMY AS A MEANS OF BRINGING THE HIGHEST CAPITALIZATION IN GEORGIA**

**Summary**

Green economy is the main result of well-being and social equality of people, which significantly reduces environmental risks and ecological losses (the United Nations Environment Program, 2010). Green economy is a model of economic development based on sustainable development and knowledge of ecological economics. It differs from other sectors of the economy, which directly assesses the country's natural capital, which has an economic value. Green economy creates green jobs, provides real, sustainable economic development, and reduces environmental pollution, climate change, environmental degradation and risks to exclude resources. It stimulates business, produces green products and services.

Green economy does not distinguish between the state and the private sector. On the contrary, trying to find a positive and effective alternative to the economic decision. The main regulator of the green economy is not a state or private business, but a society that chooses and manages it.

*თამარ გამსახურდია  
სლავა ფეტვლავა*

**გარემოს დაცვა და ენერჯეტიკა –  
კომპრომისი თუ კონფრონტაცია?**

*ანოტაცია. თანამედროვე პირობებში მსოფლიო ენერჯეტიკა დიდი გამოწვევების წინაშე დგას. კერძოდ, წიაღისეული საწვავი (ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი აირი), რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის საფუძვლად მიიჩნევა მალე ამოიწურება, მოთხოვნა ენერჯიაზე კი განუწყვეტლივ იზრდება, რასაც ადასტურებს მსოფლიო ენერჯეტიკის განვითარების პროგნოზი.*

*ენერჯეტიკის განვითარების პრიორიტეტად აღიარება ნიშნავს საბუნებისმეტყველების ემისიის ზრდას და, შესაბამისად, უფრო მეტ ზეწოლას ენერჯეტიკაზე და პირიქით, საბუნებისმეტყველების ემისიის შემცირების მხარდაჭერა იწვევს ენერჯეტიკის დასუსტებას, აღნიშნული კი თვალნათლივ დაგვიანახებს, რომ ენერჯეტიკა/კლიმატის ცვლილება გამოდიან ექსტერნალების როლში და უნდა მოხდეს მათი ხარჯების განსაზღვრა, ანუ ენერჯეტიკით/კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგების ეკონომიკური შეფასება ყველა კონკრეტული შემთხვევისათვის და ამის შედეგად პრიორიტეტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება.*

*საკვანძო სიტყვები: გარემოს დაცვა; ენერჯეტიკა; კომპრომისი; კონფრონტაცია.*

XXI საუკუნეში მსოფლიო ენერჯეტიკა დიდი გამოწვევების წინაშე დგას. კერძოდ, წიაღისეული საწვავი (ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი აირი), რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის საფუძვლად მიიჩნევა მალე ამოიწურება, მოთხოვნა ენერჯიაზე კი განუწყვეტლივ იზრდება. მსოფლიო ენერჯეტიკის განვითარების პროგნოზის განსაზღვრისას ძალზე მნიშვნელოვანია ენერჯიის მომხმარებელთა გეოპოლიტიკური განაწილება. დედამიწის რეგიონების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ენერჯიის მოთხოვნის განმსაზღვრელი ორი დახასიათება: თითოეულ სულ მოსახლეზე მოხმარებული კუთრი ენერჯომოთხოვნილება C, რომელიც იძლევა წარმოდგენას ერთდროულად ეკონომიკური განვითარების ხარისხზე და მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილების დინამიკა (წლიური ბუნებრივი მატება AGR) – ინტეგრალური დემოგრაფიული მაჩვენებელი, ერის სოციალური კეთილდღეობის გარკვეულწილად ამსახველი. AGR (Annual Growth Rate) თავისთავად წარმოადგენს სხვაობას შობა-გარდაცვალებას შორის (გაუთვალისწინებლად მიგრაციისა, რომელმაც მრავალი ქვეყნის, ისეთების, როგორცაა აშშ, ავსტრია, ისრაელი რეალური სურათი დამახინჯებულად წარმოადგინა). ცხადია, რომ ყველა ქვეყანა შეიძლება იყოს კლასიფიცირებული რამდენიმე ჯგუფად.

რეგიონი 1. განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები (ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, დანია, ისრაელი, ირლანდია, ისლანდია, ესპანეთი, იტალია, კანადა, კვიპროსი, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდი, ახალი ზელანდია, ნორვეგია,

სინგაპური, სლოვაკეთი, სლოვენია, აშშ, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჩეხეთი, შვეიცარია, შვეცია, ესტონეთი და იაპონია), რომლებიც ხასიათდებიან ენერჯის მოხმარების ოპტიმალური დონით და დაბალი **AGR** (1,0% ნაკლები). საერთაშორისო საშუალოზე (1,97% წელიწადში). რეგიონი 2. გარდამავალი ჯგუფი ქვეყნებისა, რომლებშიც დემოგრაფიული სტაბილიზაცია პრაქტიკულად მიღწეულია (**AGR** საშუალო საერთაშორისოზე მნიშვნელოვნად დაბალია), მაგრამ ენერჯით გაჯერება ჯერ არ დამდგარა, მის შემადგენლობაში შედიან: არგენტინა, ბელორუსია, ბულგარეთი, ბოსნია, უნგრეთი, გონკონგი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიტვა, მავრიკია, მაკედონია, პოლონეთი, პორტუგალია, რუსეთი, რუმინეთი, უკრაინა, ურუგვაი, ხორვატია, იუგოსლავია. რეგიონი 3. ახალი განვითარებული ქვეყნები (საშუალო შემოსავლებიანი ქვეყნები), ხასიათდებიან, როგორც ენერჯიაზე ოპტიმალურზე დაბალი მოხმარებით და საშუალოთი – წელიწადში 1,0%-ზე მაღლა. ეს ჯგუფი შეიძლება განხილულ იქნას როგორც განსაკუთრებული გარდამავალი კატეგორია, რომელშიაც ენერჯით გაჯერება მოხდა დემოგრაფიულ სტაბილურობამდე და საწინააღმდეგოდ იმისა, რასაც ადგილი ჰქონდა I რეგიონში. მის შემადგენლობაში შედიან: ბახრეინი, ბრუნეი, ვენესუელა, კატარი, ქუვეიტი, ლიბია, არაბთა გაერთიანებული ემირატები, ომანი, საუდის არაბეთი, ტერმინალი. რეგიონი 4. განვითარებული ქვეყნები (მსოფლიო ბანკის ტერმინოლოგიის მიხედვით ქვეყნები დაბალი შემოსავლებით).

ენერგომოხმარების განსახილველად მომავალში გამოიყენება გენეტიკური მიდგომა, რომელიც ეფუძნება მტკიცებულებას, რომ განვითარების ისტორია განსაზღვრავს აწმყოს და მომავალს მრავალი წლის წინ.

2005-2030 წწ. პერიოდში მოსალოდნელია, რომ მსოფლიო ენერგეტიკა უფრო ინტენსიურად განვითარდება მე-4 რეგიონის გავლენის მკვეთრი ზრდის ხარჯზე. ცხოვრების დონის წინ წაწევა და უკვე დღეს გამოკვეთილი ტენდენციას ენერგოტექნოლოგიის წარმოების ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში გადატანისა თან მოჰყვება უმნიშვნელო ზრდა სულაღობრივი ენერგომოხმარებისა 2010-2040 წწ., რაც განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის რიცხოვრივი ზრდის მაღალი ტემპების პირობებში (2040 წელს მსოფლიო 75%) მე-4 რეგიონს წამყვან პოზიციებზე გაიყვანს მსოფლიო ენერგეტიკაში (26,28 და 37% ენერჯის საერთო მოხმარება 1994, 2010 და 2050 წწ. შესაბამისად). 2040 წლის შემდეგ პროგნოზი ვარაუდობს, მიღწეული იქნება ენერჯით გაჯერების საშუალო მსოფლიო დონე. რაც შეესაბამება მოხმარების თანამედროვე დონეს ისეთ ქვეყნებში, როგორცაა არგენტინა და პორტუგალია, და შემდგომი მისი შემცირება 2100 წლამდე.

პროგნოზი მსოფლიო ენერგეტიკის სტრუქტურისა 2100 წლამდე, რომელიც უზრუნველყოფს ენერჯის მოთხოვნების გამოთვლებს და უზრუნველყოფილი ორგანული სათბობის წიაღისეული რესურსებით, დამუშავებულია ექსპერტული შეფასებების დახმარებით.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ფაქტორთაგან, პროგნოზის დამუშავებისას გამოყენებული, არის მსოფლიო ენერგეტიკის რესურსებით უზრუნველყოფა, რომელიც ეყრდნობა წიაღისეული ორგანული სათბობის წვას.

განსახილველი პროგნოზის ჩარჩოებში, რომელიც უთუოდ განეკუთვნება ენერჯის მოხმარების აბსოლუტური ციფრების მიხედვით ზომიერ კატეგორიას, ნავთობისა და აირის გაჯერებული ამოღებული მარაგების ამოწურვის დრო დადგება არა უადრეს 2040 წლისა, დამატებით ამოსადები რესურსებისა – 2100 წლის შემდეგ. თუ გავითვალისწინებთ, რომ გაჯერებული წიაღიდან ამოღებული ნახშირის მარაგები მნიშვნელოვნად აჭარბებს ერთად აღებული ნავთობისა და აირის მარაგს, მაშინ შეიძლება დავადასტუროთ, რომ მსოფლიო ენერგეტიკის განვითარება მოცემული სცენარის მიხედვით რესურსების მხრივ უზრუნველყოფილია ას წელზე მეტი ხნით.

ენერგეტიკის განვითარებისაგან გამოწვეული პოტენციური ეკოლოგიური ზარალისა და ანტროპოგენული საქმიანობის საერთო შეფასება სრული არ იქნება, თუ არ შევეცდებით გამოვავლინოთ და შეძლებისდაგვარად უფრო სრულად არ გავითვალისწინებთ უარყოფითი უკუკავშირების სისტემაში “აღამიანი – გარე სამყარო” და უპირველესად “აღამიანი – კლიმატი”. ამ კავშირთაგან ერთ-ერთი არის ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ბორეალური და ზომიერი ტყეების ბიოპროდუქცია, რაც შესაძლებელია მიღწეული იქნას ტემპერატურისა და ტენიანობის ზრდით და ატმოსფეროში წყალბადის

დიოქსიდის მაღალი კონცენტრაციის მასტიმულირებელი ზემოქმედებით, ასევე საზღვრების გაფართოებით მათი ჩრდილოეთით თანამედროვე ტუნდრა-ტყის ზონაში გადასანაცვლებლად. ამ უკუკავშირის გათვალისწინება წარმოებს ნახშირბადის ციკლის დახმარებით.

მეორე უკუკავშირი სისტემაში “ადამიანი-კლიმატი” განპირობებულია ენერჯის მოხმარების დონის დამოკიდებულებაში კლიმატური პირობებთან, პირველ რიგში გარემოცველი ჰაერის ტემპერატურაზე. ამ უკუკავშირის აღრიცხვა იძლევა შესაძლებლობას უშუალოდ შეფასდეს ენერჯის გაფრთხილების გლობალური დათბობის განვითარების პროცესის შედეგად და ენერჯის მოხმარების არაიზოთერმულ (საბაზო) პროგნოზის ვარიანტზე გადასვლა. დამუშავებული მეთოდოლოგია, გარდა იმისა, რომ აფასებს ენერჯის უშუალო შემცირებას გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით, მხედველობაში იღებს ლოკალური დათბობის ეფექტს (თბური კუნძულისა) რაც დამახასიათებელია მსხვილი ქალაქური აგლომერაციის რაიონებისათვის და ერთად თავმოყრილი ინდუსტრიული ობიექტების რეგიონებისათვის.

ენერჯეტიკის და გარემო პირობების ურთიერთქმედება ვლინდება შემდეგი მიმართულებებით: ენერჯეტიკის ზემოქმედებს კლიმატურ პირობებზე უარყოფითად და თავის მხრივ გარემო პირობების ცვლილება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ენერჯეტიკის მოხმარებაზე. ასეთი უკუკავშირი კიდევ უფრო აშკარას ხდის ენერჯეტიკის სექტორის განსაკუთრებულ როლს გარემო პირობების ცვლილების პრობლემის მოგვარებაში, როგორც სათბურის გაზების მითიგაციის, ისე გარემო პირობების ცვლილებისადმი ადაპტაციის კუთხით.

ყოველივე აღნიშნული, ხაზს უსვამს, ენერჯეტიკაზე გარემო პირობების ცვლილების ზეგავლენის ანალიზი და წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის, საფრთხეების თავიდან აცილების და გარდაუვალი შედეგებისადმი ადაპტაციის პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას თანამედროვე მსოფლიოში.

ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა მწვანე ეკონომიკის განვითარების მიმართულებით, რაც, გრძელვადიან პერსპექტივაში, ხელს უწყობს როგორც ბიზნესის მხრიდან დანახარჯების შემცირებას, ასევე ბიზნესის ახალი მიმართულებების განვითარებას, განახლებადი ენერჯის მოცულობის ზრდას, ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარებას.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მიზანმიმართულად მიმდინარეობს ჰიდროენერჯეტიკის განვითარებისთვის ნაბიჯების გადადგმა და შესაბამისად, ქვეყანასა, თუ რეგიონში ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით მუშაობას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ისეთი სართაშორისო ორგანიზაციები, როგორებიც არიან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ევროპის საინვესტიციო ბანკი და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი. მიუხედავად ამისა, მხოლოდ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ყოვლისმომცველი ენერჯეტიკული სტრატეგიის შემუშავება, პროექტების სრული შეფასება და ქმედითი საჯარო კონსულტაციები. გარემოზე ზემოქმედების შეფასებასა და მისი საბოლოო დოკუმენტს ხშირად მხოლოდ ფორმალური დატვირთვა აქვს. აღნიშნულ გარემოებას ამძაფრებს კლიმატის და ენერჯეტიკის დილემის მოგვარებასთან დაკავშირებული შემდეგი გარემოებები:

- შეუძლებელია სათბურის გაზების ემისიის შემცირება ენერჯეტიკური რესურსების შემცირების შედეგად, რადგან ეს ეკონომიკის განვითარებაზე იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას;

- გარემო პირობების ცვლილების მიმდინარე ღონისათვის ადეკვატური ენერგომოხმარება არა მარტო საშიში (ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით), არამედ შეუძლებელიც კი ხდება პერსპექტივაში, გარემო პირობების ცვლილების თანდათანობითი გამძაფრების პირობებში.

ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენის შესაფასებლად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ევროპის კომისიის გენერალური დირექტორატის კვლევა „ევროპის გარემოს დაცვითი პრიორიტეტები: ეკოლოგიური და ეკონომიკური შეფასება“, რომელიც ევროკავშირის დონეზე სხვადასხვა სიტუაციებისთვის პრევენციისა და ეკოლოგიური სარგებელის ეკონომიკური ხარჯების და პოლიტიკის ათზე მეტი პრიორიტეტის შეფასების საშუალებას იძლევა. შემუშავებული მეთოდოლოგია ეფუძნება ემისიის, მავნე ზემოქმედების ქვეშ



მოქცევის ცვლილების, მათზე რეაგირების ფუნქციის გამოყენებით ზეგავლენების რაოდენობრივი მანუვრების და გადახდის მზაობის შეფასების ეტაპობრივ და ლოგიკურ განვითარებას.

ასევე შესაძლებელია სხვა მიდგომის გამოყენება, თუ უნდა შეფასდეს გარემოს დაბინძურებით გამოწვეული ზიანი და შედეგად განისაზღვროს გარემოს დაცვის პოლიტიკის გატარებით გამოწვეული სარგებელი, შესაძლებელია შედარებით მარტივი სარგებლის გადაცემის მეთოდის გამოყენება. ამ ტიპის სარგებლის გადაცემის მეთოდში დადგენილია სხვადასხვა დამაბინძურებლების ერთეულის ღირებულება.

ამრიგად, ენერგეტიკის განვითარების პრიორიტეტად დასახვა ნიშნავს სათბურის გაზების ემისიის ზრდას და, შესაბამისად, უფრო მეტ დაწოლას ენერგეტიკაზე. და პირიქით, სათბურის გაზების ემისიის შემცირების მხარდაჭერა იწვევს ენერგეტიკის დასუსტებას, აღნიშნული კი თვალნათლივ დაგვანახებს, რომ ენერგეტიკა/კლიმატის ცვლილება გამოდიან ექსტრენალურის როლში და უნდა მოხდეს მათი ხარჯების განსაზღვრა, ანუ ენერგეტიკით/კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგების ეკონომიკური შეფასება ყველა კონკრეტული შემთხვევისათვის და ამის შედეგად პრიორიტეტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. გამსახურდია. მსოფლიო ენერგეტიკის განვითარების პროგნოზი 2100 წლამდე. უერთნალი ახალი ეკონომისტი. 2013 №3.
2. თ. გამსახურდია, ს. ფეტელავა ენერგო და ეკო სამართალი. გამომცემლობა “ლიო” თბ. 2010.
3. მ. ინაშვილი. გარემო პირობების ცვლილება და ენერგეტიკის წინაშე მდგარი გამოწვევები საქართველოში და მათი გადაჭრის გზები მედეა ინაშვილი. [http://weg.ge/sites/default/files/medea\\_inashvili.pdf](http://weg.ge/sites/default/files/medea_inashvili.pdf)
4. მ. შუქუროვა, ს. ახოზაძე ნ. ჰარუთუნია. პასუხისმგებლობა და გარემოზე მიყენებული ზიანი, ეკონომიკური ღირებულებების შეფასება: მეთოდოლოგია, ჩარჩოები, კრიტერიუმები, გამოყენება. კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი 2014
Green economy is one of the most active problems in the modern world. Practically all countries participate in this process, including Georgia. A green economy provides real, sustainable economic development and reduces environmental pollution, climate change, environmental degradation and the risk of resource utilization.

\* \* \*

According to the latest statistic data and analysis, it is proved that every 10 percent of the world income is up to the tourism, it implies that tourism has some crucial benefits for the country's economic life. Consequently, we can say that potential influence of tourism on the whole world's economy is really significant and impressive, though, every subject has its pros and cons. Besides some important benefits and advantages, positive influence of tourism on the world's economy, there are so many disadvantages and negative influence. One of the most adverse influences are ecological problems, it means that touristic regions are more likely to have ecological troubles, since it is impossible to avoid some negativities and not to touch the environment adversely during touristic seasons.

The tourism industry is the world's largest and most complicated industry and this complexity is because of having a strong bond with social, cultural, political and environmental issues. In the meantime, because of the connection between tourism and the environment together, the effects of tourism in this area are more remarkable.

As we know, tourism develops and changes the world's life style greatly, but these changes aren't always positive, as we mentioned above, every subject has its pros and cons, thus we must speak about both positivities and negativities connected with the abovementioned issue. Primarily, we have to identify, define the main risk-factors and then decrease them.

Nowadays, in the contemporary life, there are plenty of dramatically developing touristic regions around the world. We need to emphasize that excessive and dramatic development of tourism has the most adverse, destructive influence on the whole world, regarding appropriate and balanced rate of development of tourism, it really supports and develops the world's economy. As I mentioned above, chaotically and dramatically developing touristic regions are more likely to have more and more ecological and social problems. Some of the touristic regions are overdeveloped, it implies that they aren't competitive enough, they aren't capable of preventing touristic centers from developing.

In case of unqualified planning, managing and excessive, dramatic development of tourism, results can be defined and classified:

- Polluting of touristic regions and places, some bugs connected with sewerage system will surely result in pollution of rivers, lakes, underground water.
- Excessive usage of transport such as vehicles in touristic regions may result in air pollution. Thus, air will be polluted and it will cause plenty of other troubles such as health problems..
- Inappropriately planned and built touristic factories, their inappropriate location, excessively eye-catching advertisements may result in worsening esthetics of landscape. It also destroys picturesque and the most eye-catching views, sightseeings, historical and architectural statues.
- There is a problem of collecting and removing trash.
- Generally, tourists don't tend to be careful towards historical and architectural, archeological statues, they don't take care of them.

- There are plenty of problems connected with groundworking and ecology. Excessive and inappropriate usage of touristic regions and places, not considering of its penetrability may result in disruption of natural places and territories.

Fortunately, in recent years, tourism trips have been along emphasizing on the importance of environmental protection. Undoubtedly, tourism activities in the areas of ecotourism can leave environmental consequences either directly or indirectly.

Some positive effects:

- Promoting the environmental culture in the tourist and cultural approach.
- The acquisition of foreign currency and an increase in gross national income and the expansion of accommodation, catering.
- Providing employment issues such as the production and sale of goods, transport and services.
- Development of the integration of tourism activities.

When considering the negative aspects of the impact of tourism on the environment, it is necessary to focus on the environmental problems occurred in the protected territories. It is important to determine the type of tourism activity, impact factors and expected threats that will prevent negative consequences, such as:

- ✓ Damage to vegetation during camping or picnicking (which are followed by setting up of camps, walks throughout protected areas, noise, etc.), adverse effects on wildlife, in frequent cases - water pollution, etc.;

- ✓ Damage to vegetation, soil erosion and stiffening during hiking or walking, which require paving of roads and trails;

- ✓ Trading with folk crafts items is one of the tourist processes, which often includes making of certain souvenirs from plants, birds and animals. All these pose threat of extinction of rare species of flora and fauna.

Economy and tourism closely interact with each other. Economy affects tourism, and tourism affects the entire economy of a country. Of course, determining the share of the entire sector is not an easy task; however, as noted by the 2010-2017 Secretary-General of the United Nations World Tourism Organization (UNWTO) – “the positive correlation between the economic development of the country and the development of tourism and hospitality industries is obvious”.

Today, there are 9 regions in Georgia; the levels of socio-economic development of each of them differ significantly from each other, which is mainly due to the collapse of the industrial and tourism potential of the Soviet period in the regions, as well as the unemployment of the labor force of the former industrial and tourist regions.

The "green" tourism is a global trend, and according to the latest statistical data, more than one-third of the world's travelers opt for it. It is interesting to know what role the “green” tourism can play in the development of the Georgian economy. The prospects of the "green" tourism in the context of the green economy can be formulated as follows: due to its unique natural, climatic, or landscape resources, Georgia has favorable conditions for the development of "green" tourism. For example, the development of protected territories and adjacent areas is directly related to the improvement of economic conditions of people in regional and rural areas. Developed infrastructure will ultimately lead to an increase in the length of stay of visitors that will lead to sharp increase in income.

In a number of countries, when studying the scale of the impact of tourism on the economy, it is of particular interest to determine the contribution of this sector to the development of the regional economy; for example, in the seven-year (2014-2021) plan of regional development of Georgia, tourism is named as one of the priorities. The regional development strategy of Georgia is aimed at eliminating the sharp imbalance between the levels of regional development in our country and creating tourism infrastructure suitable for the region with rich tourist potential. This will lead to the activation of the economic functions of tourism, which automatically implies the creation of direct or indirect jobs in tourism enterprises, organizations or firms, etc. In general, this will lead to an increase in the standard of living and the quality of life of the population, that is, to prosperity. Based on the above, there is a hope that the migration of the regional and rural population to large cities will be reduced. The number of people willing to leave the country in search of work will also be reduced.

Production of bioenergy products, production of biofuels and the full cycle of functional use are also considered as the leading directions of multilateral and complex development of “green” tourism in Georgia. An integrated approach to introducing the production of bioenergy products and biofuel in our country requires practical implementation at all stages. The use of biomaterials in the development of tourism makes

this sector even more attractive and interesting in every sense. Tourism development is characterized by two mandatory steps:

Preparatory and subsequent stages.

Preparatory stage implies:

✓ Any part, region or village of Georgia for the development of the tourism sector needs cleaning and cleansing from natural waste, which requires involvement of human resources.

✓ Flora of Georgia will be protected from further felling and destruction.

✓ Natural waste will actually acquire useful function;

Consequent stage implies:

✓ Creating new jobs. Providing employment opportunities for population of the region, ensuring long-term and stable income, regardless of their age and education.

✓ Production of biofuel in Georgia and its use in tourism will make the services affordable for customers of tourism products, which will facilitate the development of domestic tourism.

✓ Georgia will have a convincing image of both the manufacturer and the supplier country, which will additionally contribute to the rapid development of tourism.

## Conclusion

Thus, the tourism sector has a positive impact on the country's economy. It makes significant contribution to green development, to conflict resolution, to the development of adjacent sectors, etc. However, we should not forget that tourism-related activities are characterized by special sensitivity and the role of this field in sustainable development is not univocally positive; revenues from tourism are not the only results characteristic to this business. Despite the great role and importance of tourism in the development of regions, it is accompanied by a number of negative effects, which, if left out of consideration may have irreversible negative consequences in terms of economic, social and environmental issues.

## References

1. <http://poland1.top/turizm/ekologicheskij-i-zelyonyj-turizm-to-chto-nuzhno-znat.html>
2. M. Metreveli „Tourism and environment“
3. <http://ejbio.imedpub.com/the-role-of-tourism-on-the-environment-and-its-governinglaw.php?aid=19002>
4. <http://www.seagrant.umn.edu/tourism/pdfs/ImpactsTourism.pdf>
5. საერთაშორისო ჟურნალი მწვანე ეკონომიკის შესახებ. <http://www.inderscience.com/ijge>
6. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020
7. EaP GREEN - ევროკავშირის პროგრამა „მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“
8. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამა. [http://www.unep.org/pdf/GreenEconomy\\_SuccessStories.pdf](http://www.unep.org/pdf/GreenEconomy_SuccessStories.pdf)
9. <http://greeneconomics.org.uk>

ლია დვალისვილი

## ბარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები

*ანოტაცია.* ნაშრომში მიმოხილულია კაცობრიობის გლობალური პრობლემების არსი და მნიშვნელობა. მითითებულია ამ პრობლემათა სიმწვავისა და საზოგადოებაზე ზემოქმედების მასშტაბებზე.

აღნიშნულია ადამიანის ბუნებაში ჩარევის მოცულობასა და მის შედეგებზე, ზოგადად გლობალურ პრობლემებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირსა და გლობალურ გარემოში საზოგადოების საქმიანობის შედეგებზე.

გამოკვეთილია გარემოს დაცვის პრობლემების სიმწვავე და მასშტაბები.

განხილულია ბუნებრივი რესურსების წარმოებაში სულ უფრო მეტი რაოდენობით ჩართვის შედეგად ექსტერნალების უარყოფითი გავლენა საზოგადოებრივ განვითარებაზე.

აღნიშნულია XXI საუკუნეში გარემოს დაცვის მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ, თუ რაზე უნდა გაკეთდეს განსაკუთრებული აქცენტი.



მითითებულია, როგორ უნდა მოხდეს წარმოების ტექნოლოგიის ტიპის გარდაქმნა ეკოლოგიურ საფუძვლებზე, როგორ უნდა შეფასდეს გარემო და რას უნდა ითვალისწინებდეს ეკოლოგიური ტექნოლოგიის დანერგვა.

**საკვანძო სიტყვები:** ექსტერნალიები, ეკოლოგიური კვალი, ეკოსისტემა, ეკოლოგიური პრობლემები, ალტერნატიული ტექნოლოგიები, ეკოლოგიური ექსპერტიზა, ეკოლოგიური ინოვაცია, ეკოლოგიური ეთიკა, მდგრადი განვითარება, ეკოლოგიური ეკონომიკის კონცეფცია.

\* \* \*

XXI საუკუნე - კაცობრიობას შეუწეველდა უკიდევანო სამყაროსთან ჰარმონიული ურთიერთობის განცდა.

XXI საუკუნე - ახალი დრო, ახალი აზროვნებით ითხოვს სამყაროსთან ჰარმონიული ურთიერთობის შენარჩუნებას.

კაცობრიობის გლობალური პრობლემები თავისი ურთიერთზემოქმედებითა და ურთიერთდამოკიდებულებით თავისებურ სამკუთხედს ქმნის. ამ სამკუთხედს ადგენს საზოგადოება, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და გარემო.

ზოგიერთი შეფასების თანახმად, კაცობრიობის თითქმის 300 პრობლემას გლობალური ხასიათი აქვს. ამ პრობლემებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს. შუქლებელია რომელიმე ერთი პრობლემის გადაწყვეტა მეორის გარეშე. თითოეული მათგანი კი პირდაპირ კავშირშია დედამიწაზე სიცოცხლის არსებობასთან. ამ პრობლემებს შორის „საპატიო“ ადგილი უჭირავს ეკოლოგიურ პრობლემებს.

ეკოლოგიის სხვადასხვა პრობლემურ გამოკვლევებში აღნიშნულია იმის შესახებ, რომ გარემო ბუნების დაცვის პრობლემამ მიიღო გლობალური ხასიათი და იგი იქცა კაცობრიობის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად.

ზოგიერთ ნაშრომში ვხვდებით ხატოვან გამოთქმასაც „ან ჩვენ უნდა მოვსპოთ გარემო ბუნების გაჭუჭყიანება, ან ის მოგვსპობს ჩვენ“.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე გლობალური ეკოლოგიური ტენდენციები აშკარად შემაშფოთებელია, ამიტომ ადამიანისთვის სასიცოცხლო სივრცის, გეოგრაფიული გარემოს ხელსაყრელი პირობების შენარჩუნება არა მარტო გარკვეული ქვეყნების შიდა, არამედ საერთაშორისო პრობლემაა, რადგან ეკოლოგიური პრობლემებისათვის არ არსებობს ცნება „სახელმწიფო საზღვარი“.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში გაჭუჭყიანებული გარემო-ბუნება არ წარმოადგენს ბუნების პროცესების თავისთავადი მიმდინარეობის შედეგს, არამედ მას ქმნის ადამიანთა არასწორი დამოკიდებულება ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებისას. ადამიანის მიერ შეცვლილი ბუნების საზოგადოებაზე ზემოქმედების მასშტაბების ზრდამ ჩაუყარა საფუძველი ბუნებასა და საზოგადოებას შორის დაძაბულ ურთიერთობას.

სამეურნეო საქმიანობის გიგანტურად მზარდი მასშტაბების ფონზე განსაკუთრებული სიმწვავეით ისმება ადამიანთა ბუნებაზე ზემოქმედების რეგულირების პრობლემა. ძნელია ვიმოქმედოთ ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნებაზე მაშინ, როცა წარმოების სფეროში ჩართულია ჩვენი პლანეტის თითქმის ყველა ბუნებრივი რესურსი და მსოფლიო ოკეანეთა სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ეკოლოგიური პროცესები, რომლებიც ადრე საზოგადოებისაგან დამოუკიდებლად, თვითღინებით მიმდინარეობდა თანამედროვე ეტაპზე გადაიქცა შეგნებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ობიექტად. ე.ი წარმოიშვა საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთ-ზემოქმედების პროცესებში ხელოვნური ჩარევის აუცილებლობა მათი რეგულირების მიზნით.

XX საუკუნის მეორე ნახევარში კაცობრიობის წინაშე დადგა უპრეცედენტო ამოცანა - აუცილებელი გახდა გლობალური ეკონომიკის, ეკოლოგიისა და სხვა ცხოვრებისეული სფეროების რეგულირებისათვის საჭირო ახალი მექანიზმების გამოვლენა.

გარემოს ცვლილება და მასზე ზემოქმედება, განსაკუთრებით გაიზარდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან. ბუნებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობაში მოხდა ხარისხობრივი ნახტომი, როცა მოსახლეობის სწრაფი ზრდის, ინტენსიური ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის პროცესების შედეგად სამეურნეო დატვირთვებმა თითქმის მთელ პლანეტაზე ეკოლოგიური სისტემის უმთავრეს, თვითგანწმენდისა და რეგენერაციის უნარს გადააჭარბა. შედეგად დაირღვა ბიოსფეროს ნივთიერებათა წრებრუნვა,

მნიშვნელოვანი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა ახლანდელი და მომავალი თაობების ჯანმრთელობა და ეკოლოგიური უსაფრთხოება.

ბუნება, ფართო მნიშვნელობით, მთელი სამყაროა, ვიწრო მნიშვნელობით კი შემოიფარგლება დედამიწით. დედამიწის თავისებურებაა მასზე სიცოცხლის არსებობა და განვითარება, რომელიც 2-3 მლნ წლის წინათ ადამიანის წარმოშობით დაგვირგვინდა.

სწორედ ადამიანთა გაჩენის დღიდან იწყება მისი და ბუნების ურთიერთობა ჩვენს პლანეტაზე. ადამიანის ბუნებაში ჩარევამდე „ეკოლოგიური ჰარმონია“ იყო. ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ ადამიანი დაიწყებდა აზროვნებას, შრომის იარაღების დამზადებას. მისმა არასწორმა შრომითმა საქმიანობამ ეს წონასწორობა დაარღვია, რასაც ბუნებამ სხვადასხვა სტიქიებითა და კატაკლიზმებით უპასუხა.

ადამიანი ბუნების ყველაზე დიდი სიმიდრეა. ადამიანის და ბუნების სხვა შვილთა სიცოცხლე და კეთილდღეობა დედამიწაზე თავისთავად ღირებულებაა. ეს ფასეულობები მნიშვნელოვანია იმისდა მიუხედავად, თუ რა სარგებლობა მოაქვს დედამიწას და მის რესურსებს კაცობრიობის მიზნებისათვის, შესაბამისად, კაცობრიობას არ აქვს უფლება, გაანადგუროს დედამიწაზე არსებული რესურსების მრავალფეროვნება საკუთარი სასიცოცხლო მიზნების დაკმაყოფილებისათვის.

თავისი ისტორიის განმავლობაში ადამიანი მუდმივად რთავს თავის საქმიანობაში სულ ახალ ახალ წიაღისეულს. თუკი ჩვენს ერამდე კაცობრიობა გამოიყენებდა დაახლოებით 20 ქიმიურ ელემენტს, XVIII საუკუნეში კი 30-ს, ახლა იგი 150-ზე მეტია. წარმოებაში პრაქტიკულად ჩართულია ყველა ელემენტი, რაც არსებობს დედამიწის ქერქში.

ათასწლეულების განმავლობაში ადამიანი მუდმივად ავითარებდა თავის ტექნიკურ შესაძლებლობებს, ძლიერდებოდა მისი ბუნებაში ჩარევის მასშტაბები და, ამასთან, ყურადღების მიღმა რჩებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორცაა ბიოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება.

ადამიანი თავისი ეკონომიკური საქმიანობით ზემოქმედებს ბუნებრივ გარემოზე, იყენებს რა მის წიაღისეულ, კლიმატურ, წყლის, ნიადაგის, მცენარეულ თუ ფაუნის რესურსებს, რომელთაც მიემატა ატომური და პლანეტარულ-კოსმოსური რესურსიც. ეს აისახება რელიეფზე, ჰიდროგრაფიულ ქსელზე, მიკროკლიმატურ პირობებზე, მცენარეულ და ცხოველთა სამყაროზე.

გარემომცველი ბუნების გარდა ადამიანს არსებობის სხვა წყარო არ აქვს, რასაც ისინი ბუნებისაგან იღებენ, შემდეგ სულ სხვა სახით გამოიყენებით, სხვა ადგილზე და სხვა რაოდენობით უბრუნებენ ბუნებას.

ფართო გაგებით, ეკოლოგია ცდილობს სამყაროს იმ კანონების შეცნობას, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს, იმისათვის, რომ გამოიმუშაოს უსაფრთხო წესები ადამიანისა და კაცობრიობის სიცოცხლისათვის, მის გადასარჩენად.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ეკოლოგიისა და ეკონომიკის ძალზე ახლო ურთიერთკავშირის შესახებ, ტყუილად ხომ არ არის ისინი ერთი ფუძისეული სიტყვიდან წარმოშობილი. გერმანული სიტყვის „ეკოლოგიის“ ზუსტი თარგმანი ნიშნავს „საკუთარი სახლის შესწავლას“ („ეკო“ ბერძნულად სახლია). ეკოლოგიის მიერ გამოიმუშავებული ცხოვრების წესები და ინსტიტუტები მხოლოდ მაშინა არის ეფექტიანი, როდესაც ეკონომიკური მექანიზმები სიცხადეს და ქმედითობას იძენს. მეორე მხრივ, ნებისმიერი მსხვილი ეკონომიკური გადაწყვეტილება თავისთავად უცილობლად იწვევს ეკოლოგიურ შედეგებს, რომლებიც გულდასმით უნდა იქნეს გაანალიზებული მისი მიღების წინ.

არანაკლებ ახლოსაა ეკოლოგიური და სოციალური პრობლემები. გარემოს დაბინძურების, სამკვიდრებელი გარემოს მდგრადობის გაუარესება უდავოდ იწვევს ცხოვრების ხარისხის გაუარესებას და საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და ფენების ინტერესებს პირდაპირ ეხება.

გარემო ბუნება, წარმოადგენს რა გარე სამყაროს რაღაც კონკრეტულ ან მთლიან ნაწილს და მასში მიმდინარე მოვლენების ერთიანობას, გვევლინება როგორც განსაკუთრებული სფერო მისი ყველა სახესხვაობითა და კონკრეტულობით, ამიტომ მისი მეცნიერული გამოკვლევა - არა მხოლოდ ეკონომიკური მეცნიერების, არამედ მთელი რიგი საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლის საგნად იქცა.

„ეკონომიკური მეცნიერების ამოცანაა ეროვნული რესურსების საუკეთესოდ გამოყენების გზების ძიება“<sup>35</sup>

ეკოლოგიური პრობლემები სხვადასხვა რეგიონში მეტ-ნაკლები სიმწვავეთა და განსხვავებული ტერიტორიული მასშტაბებითაა გამოვლენილი.

კრიზისულ ეკოლოგიურ სიტუაციათა გამომწვევი მთავარი ფაქტორებია: ანთროპოგენური, ბუნებრივი, სოციალური და ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი და სხვ.

გარემოს ფორმები ეკოლოგიური მდგომარეობის მიხედვით შეიძლება იყოს: ბუნებრივი, გაწონასწორებული, კრიზისული, კრიტიკული, კატასტროფული და კოლაფსის მდგომარეობა.

საუკეთესო შემთხვევაა გარემოს ბუნებრივი მდგომარეობა, როდესაც გარემოს შემადგენელი ობიექტები მდგრადობით ხასიათდება და ამ კომპონენტების დღეღამური, სეზონური თუ მრავალწლიური კონცენტრაცია ნორმალურად ფუნქციონირებს, ზღვარს არ აღემატება.

ბოლო პერიოდში ცოცხალი ორგანიზმების საარსებო პირობებსა და სასიცოცხლო სივრცეზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ადამიანის სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული ზეწოლა.

პლანეტის მოსახლეობა წელიწადში თითქმის 1.6%-ით იზრდება. კიდევ უფრო მაღალია სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპები, დაახლოებით 3.3-3.5%-ით წელიწადში, ანუ 2-ჯერ უფრო მეტი მოსახლეობის ზრდის ტემპებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ის დარგები, რომლებიც ყველაზე მეტ გავლენას ახდენს ჩვენი პლანეტის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. ესენია: ნავთობდამუშავება და ნავთობ-ქიმია, ენერგეტიკა, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დარგები და ატომური ინდუსტრია, რომლის განვითარების თანამდევი პრობლემა რადიოაქტიური ნარჩენების დამარხვაა, ასევე ეკოლოგიურად ყველაზე „საიმედო“ დარგი - სოფლის მეურნეობა, სადაც „მწვანე რევოლუციის“ მეთოდების ფართო გამოყენებამ მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაამწვავა ეკოლოგიური ვითარება, თვით ეკოლოგიურად ყველაზე „სუფთა“ რეგიონებშიც კი.

ეკოსისტემებზე ანთროპოგენური წნეხის შესაფასებლად შემოღებული ცნება „ეკოლოგიური კვალი“ შესამჩნევად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნებში, რასაც ინდუსტრიალიზაციის დონე და მოხმარების მოდელები განაპირობებს. საშუალო სტატისტიკური ადამიანის ეკოლოგიური კვალი მაღალი შემოსავლის ქვეყნებში თითქმის 6-ჯერ მეტია, ვიდრე დაბალი შემოსავლების ქვეყანაში და გაცილებით მეტია იმ „კვალზე“, რომელსაც ტოვებს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.

მსოფლიოს „ეკოლოგიური კვალი“ - ეს არის ფუნქცია მოსახლეობის რიცხვიდან, მოსახლეობის ერთ სულზე რესურსების საშუალო მოხმარებიდან და გამოყენებული ტექნოლოგიის ენერგოტეგადობიდან [3, გვ. 219].

თანამედროვე მსოფლიოს ეკოლოგიური პრობლემა, სიმწვავესთან ერთად, მეტად მრავალმხრივიცაა. ფაქტობრივად ის მატერიალური წარმოების თითქმის ყველა დარგში და პლანეტის თითქმის ყველა რეგიონში ვლინდება. ძირითადი ეკოლოგიური პრობლემების რიცხვს მიეკუთვნება: კლიმატის შეცვლა; ოზონის შრის ამოწურვა; ტოქსიკური დაბინძურება; ნიადაგის მუავიანობის გაზრდა; ქალაქებში გარემოს ხარისხის გაუარესება; საფრთხის შექმნა ბიომრავალფეროვნებისა და კულტურული ლანდშაფტებისათვის; წყლის, ტყის და თევზის რესურსების ხარისხის და ოდენობის ამოწურვა; ნიადაგის დეგრადაცია (ეროზია, გაუდაბნობა, დამლაშება).

გარემომცველი ბუნება ნამდვილად „დაავადდა“. კატასტროფული მასშტაბები მიიღო ტყეების განადგურების პროცესმა. დღეისათვის მსოფლიო ტყეების ნახევარი გაჩეხილია, დარჩენილი ტყეების 30% არაადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. დედამიწაზე ხე-ტყის ჭრა რეკორდული სიჩქარით მიმდინარეობს: წუთში დაახლოებით 20-30 ჰა ტყე იჭრება, რაც 18-ჯერ აღემატება ტყის ბუნებრივ ნამატს. დედამიწის კეთილდღეობა დიდად არის დამოკიდებული ტყის რესურსებზე. ტყეების უნიკალური გენოფონდის განადგურება, მათი, როგორც „პლანეტის ფილტვების“ როლის შემცირებას იწვევს. ბოლო დროს ცხადი გახდა, რომ ჰაერის დაბინძურებას ტყის მასივზეც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა, რის შედეგადაც ტყის მასივების შემცირების ტენდენცია შეინიშნება.

<sup>35</sup> I. stoleriu - frangi ekonomisti

მსოფლიოს მრავალ ქვეყნას წყლის რესურსების პრობლემა აქვს, რაც არა მხოლოდ წყლის უკმარისობას, არამედ სუფთა, სასმელი წყლის დეფიციტსაც გულისხმობს. 1950-იანი წლებიდან გლობალური მოთხოვნა წყალზე 3-ჯერ გაიზარდა; გრუნტის წყლის მოცულობა და ხარისხი უარესდება, რაც წყლის გაუმართლებლად მაღალი ამოქაჩვით, სასუქების და პესტიციდების ჩადინებით და სამრეწველო ნარჩენების გაუონვით აიხსნება. მსოფლიოში მოსახლეობა, რომელიც წყლის რესურსების დეფიციტს განიცდის, 0,5 მლრდ ადამიანს შეადგენს. 2025 წლისათვის მათი რიცხვი შესაძლოა 2,4-3,4 მლრდ ადამიანამდე გაიზარდოს.

ბოლო წლებში მეტად გამწვავდა ატმოსფეროს ეკოლოგიური მდგომარეობა, რაც მასში CO<sub>2</sub>-ის შემცველობის ზრდით გამოიხატება; შედეგად კი ადგილი აქვს ე.წ. „სათბურის ეფექტს“, რაც კლიმატის დათბობას, ყინულების დნობას, მსოფლიო ოკეანის დონის აწევას იწვევს.

მყარი საწვავის მოხმარების შედეგად ნახშირორჟანგის დონე დღეს 18%-ით უფრო მეტია, ვიდრე 1960 წელს და 31%-ით მეტი, ვიდრე 1750 წელს (ანუ სამრეწველო რევოლუციის დასაწყისში) იყო. 1850 წლამდე ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობა მილიონში 280 იყო. 2004 წლისათვის ეს ციფრი 337-მდე გაიზარდა, 2010 წლისათვის კი დაახლოებით 540-970-ს მიაღწია. ეს ტენდენცია უარყოფითად მოქმედებს დედამიწის კლიმატზე. ცნობილია, რომ ჩვენი პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედი მომწამვლელი აირებით გატუჭიანებული ჰაერით სუნთქავს. ძირითადად ეს არის მხუთავი აირები: ნახშირორჟანგი, გოგირდის ორჟანგი და სხვ. შედეგად, მოიმატა გულისა და ფილტვების დაავადებებმა, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში.

ატმოსფეროს გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების თვალსაზრისით ახდენს ფიზიკურ და ქიმიურ ზემოქმედებას. ფიზიკურ ზემოქმედებას ახდენს რადიაქტიური ნივთიერებები, სითბური გატუჭიანება, ხმაური და დაბალსიხშირიანი ვიბრაციები. ქიმიურ ზემოქმედებას - თხევადი ნახშირწყალბადები, სარეცხი საშუალებები, პლასტმასები, პესტიციდები და სხვა სინთეტიკური ნივთიერებები, აზოტისა და გოგირდის ნარჩენები, მძიმე მეტალები, ფტორის შენაერთები, მყარი მინარევი, ორგანული ნივთიერებები.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ატმოსფერული ჰაერის გატუჭიანება უარყოფით ზემოქმედებას ახდენს არა მარტო ადამიანზე, არამედ ფლორაზე, ფაუნაზე, სხვადასხვა სახის მოწყობილობებზე და სხვ.

სხვადასხვა წყაროებიდან გამოყოფილი ატმოსფეროს გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები გადააქვს ჰაერის მასებს და ვრცელდება საკმაოდ დიდ მანძილებზე. ამ გატუჭიანებაში განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება რადიაქტიურ მინარევებს, რადგანაც სწორედ ისინი წარმოადგენს უდიდეს საშიშროებას. ატმოსფეროს რადიაქტიური გატუჭიანება განსაკუთრებით გააქტიურდა XX საუკუნის 50-60-იან წლებში, რაც დაკავშირებული იყო ბირთვული იარაღის მასობრივ გამოცდებთან.

მსოფლიო ოკეანის პრობლემები ერთდროულად ეკოლოგიური, ეკონომიკური, ტექნიკური და სოციალური ხასიათისაა. მსოფლიო ოკეანის მომავალი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებს ადამიანი. ამიტომ მსოფლიო ოკეანის პრობლემების გადაწყვეტა, მისი კოორდინირებული გამოყენება და დატუჭიანების თავიდან აცილება შეთანხმებულ და ერთობლივ საერთაშორისო საქმიანობას მოითხოვს. პრობლემა იმდენად მწვავეა, რომ ითხოვს სასწრაფო ღონისძიებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის შეიძლება დაიღუპოს, „მკვდარი“ ოკეანე კი „მკვდარი“ პლანეტის ტოლფასია [15].

ნავთობი და ნავთობპროდუქტები მსოფლიო ოკეანის მთავარი დამაჭუჭყიანებლებია. გამოთვლებით დადგენილია, რომ ოკეანეში ყოველწლიურად 1,5 მლნ ტონამდე ნავთობი იღვრება, მაშინ როცა 25 მლნ ტონა ნავთობი სრულიად საკმარისია, რომ მთელი მსოფლიო ოკეანის ზედაპირი 0,1 მმ სისქის ნავთობის აპკით დაიფაროს. ნავთობის აპკი ხელს უშლის აორთქლებას, ცვლის წყლის ტემპერატურას, რაც წყალში მცხოვრები ორგანიზმების განადგურებას იწვევს.

ადამიანის არსებობა წარმოუდგენელია მიწის რესურსების გარეშე. მიწის რესურსების არარაციონალურ გამოყენებას ცუდი ეკოლოგიური შედეგები მოჰყვება.

მიწის ფონდი დედამიწის ხმელეთის ფართობის ტოლია, თუმცა მისი 30%-ია ვარგისი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის. ჩვენი პლანეტის მიწის ფონდის შენარჩუნება

კაცობრიობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. ნიადაგის წარმოქმნა ათასწლეულების განმავლობაში მიმდინარეობს, ხოლო მის განადგურებასა და უნაყოფო მიწებად გადაქცევას ადამიანის არაგონივრული საქმიანობის შედეგად, სულ რამდენიმე წელი სჭირდება.

1990 წელს ექსპერტთა გამოთვლებით დადგინდა, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყოველწლიურად ინგლისისა და უელსის ტოლი ტერიტორიები ნადგურდება.

ყოველ საათში ჩვენს პლანეტაზე დაახლოებით 700 ჰა ნაყოფიერი მიწის გაუდაბნობა ხდება, დაახლოებით 2000 ჰა-ზე კვდება მიწა, 55 ადამიანი იწამლება და კვდება პესტიციდებითა და სხვა ქიმიური ნივთიერებით, 1000 კაცი იღუპება დაჭუჭყიანებული წყლით, 2000 ტ მუაგური წვიმა მოდის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში.

მუაგე წვიმები ბევრი რეგიონისთვის გარემოს დაბინძურების თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. მუაგე წვიმების პრობლემა ამა თუ იმ ქვეყნის ფარგლებით არ შემოსაზღვრება, რადგანაც ატმოსფერული დამაბინძურებლები დიდი მანძილით გადაადგილდებიან. მაგალითად, მუაგე წვიმების უმეტესობა, რომელიც ნორვეგიაში, შვედეთსა და ნიდერლანდებში მოდის, ევროპის სხვა ქვეყნებში გამოყოფილი გოგირდისა და აზოტის ოქსიდებიდან წარმოიქმნება. მუაგე წვიმების მომატება უარყოფითად მოქმედებს როგორც მცენარეულ, ისე ცხოველურ სამყაროზე. გაზრდილი მუაგე წვიმა თევზის პოპულაციის მკვეთრ შემცირებას იწვევს. მუაგური წვიმების შედეგად მცენარეული და ცხოველური სამყაროს 5-6 სახეობის წარმომადგენელი ქრება.

დედამიწაზე ყოველ წუთს 20 ჰა ტროპიკული ტყე ნადგურდება, 5500 ტ ნავთობი გამოიყენება, 50 ტ ნაყოფიერი ნიადაგი ნადგურდება არასწორი სამეურნეო გამოყენების შედეგად, ატმოსფეროში 12000 ტ ნახშირორჟანგი გამოიყოფა.

ადამიანის ჯანმრთელობა დიდად არის დამოკიდებული გარემოზე; ამასთან, გარემოს როლის შეფასებისას ყურადღებას ამახვილებენ ბუნების ერთ ან რამდენიმე კომპონენტზე. ამჟამად დედამიწაზე არსებული უმეტესი დაავადების წარმოშობა და გავრცელება პირდაპირ კავშირშია გარემოსა და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან. დადგენილია საკმაოდ კარგი სტატისტიკური კავშირი ჰაერის დაჭუჭყიანების დონესა და ისეთ დაავადებებს შორის, როგორცაა ზედა სასუნთქი ორგანოების დაავადება, გულის უკმარისობა, ბრონქიტი, ასთმა, პნემონია, ფილტვების ემფიზემა და სხვ.

ბოლო საუკუნის განმავლობაში საგრძობლად მოიმატა კანის კიბოთი დაავადებულ ადამიანთა რიცხვმა, რაც დაზიანებული ოზონის შრიდან გამომავალი მავნე ულტრა-იისფერი სხივების შედეგია.

ადამიანის ჯანმრთელობის მთავარი მაჩვენებელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაა. ეს მაჩვენებელი სხვადასხვა ქვეყანაში დამოკიდებულია არა მხოლოდ მედიცინის განვითარებაზე, არამედ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონესა და გარემომცველი სამყაროს მდგომარეობაზე. ამ მაჩვენებლის გაზრდას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ბოლო მონაცემებით დედამიწაზე ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 70 წელია. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ სიკვდილი 70 წლის ასაკში იგივეა, რაც სიკვდილი აკვანში.

ადამიანს არსებობისათვის სჭირდება ისეთი გარემო, სადაც იქნება სუფთა ჰაერი, წყალი, ჯანსაღი კლიმატი.

სხვადასხვა ზემოქმედებაზე ბუნებრივი კომპლექსების რეაქციის თავისებურებები (მაგალითად, კლიმატური სტრუქტურების ან ეკოსისტემების ტრანსფორმაციის ტემპები) განსაზღვრავს სოციალური, ეკონომიკური და სხვა ბუნებრივი სისტემების მომავალს.

იმის გააზრება, რომ მსოფლიოს ქვეყნები მხოლოდ საკუთარი რესურსებით ვერ შეძლებენ თავის დაცვას გარემოს არახელსაყრელი ცვლილებებისაგან, გავლენას ახდენს გეოპოლიტიკასა და გლობალურ მართვაზე.

გარემოს დაცვა სოციალური მნიშვნელობის პრობლემა და მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვანი სფეროა.

ბიზნესის გაფართოებისა და თვისებრივი ცვლილებების საფუძველზე გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების სულ უფრო მეტი რაოდენობით წარმოებაში ჩართვის შედეგად იზრდება ექსტერნალიების უარყოფითი გავლენა საზოგადოებრივ განვითარებაზე. ეს მოვლენა ითხოვს ეკონომიკურ ანალიზსა და სახელმწიფოს მხრიდან

აქტიურ ჩარევას, რადგან ექსტერნალიები არღვევს წონასწორობას საზოგადოებას, ეკონომიკასა და ბუნებას შორის.

რამდენიმე ათეული წელია ეს პრობლემა აქტიური განსჯის თემაა. რაც დრო გადის განსაკუთრებით მწვავედება გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრობლემები. მათ წარმოქმნას მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საფუძველზე ტექნიკის სფეროში დაწყებულმა ბუმმა, რომელიც შემდეგ ტექნოლოგიურ ბუმში გადაიზარდა. გარემოს დაცვამ ფართო მასშტაბები შეიძინა და სახელმწიფო რეგულირების ორბიტაში მოექცა. მაგალითად, 1987 წელს აშშ-ს კონგრესმა მიიღო მრავალმილიარდიანი კანონი წყლის რესურსების გაწმენდის შესახებ. ამასთან, შეიმუშავა კანონმდებლობა ავტომობილების გამონაბოლქვების შეზღუდვის თაობაზე. დადგინდა დასაშვები ნორმები და დაწესდა სტანდარტები როგორც წყლის, ისე ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებით. მიღებულ იქნა დადგენილება მომწამვლელი ქიმიკატების გამოყენების წესების მკაცრად დაცვის მიზნით [11, გვ. 205].

ნობელის პრემიის ლაურეატის ჟ. სტიგლიცის აზრით, სახელმწიფოს ჩარევამ ბუნებათსარგებლობის სფეროში შთამბეჭდავი ეფექტი შექმნა: განადგურებას გადაურჩა ბევრი ტბა, მრავალ ინდუსტრიულ ქალაქში საგრძნობლად გასუფთავდა ჰაერი, თუმცა ბევრი ქალაქი ამ მხრივ ვერ გადაურჩა მწვავე პრობლემებს [11, გვ. 206].

სპეციალისტთა აზრით, ეკოლოგიური საფრთხის თავიდან აცილებისა და ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენისათვის, მიზანშეწონილია როგორც საკანონმდებლო-ადმინისტრაციული მეთოდების, ისე ეკონომიკური მექანიზმის გამოყენება. ისინი მიიჩნევენ ექსტერნალიების წარმოების დანახარჯებში ჩართვას იმ პრინციპით, რომ უნდა გადაიხადოს მან, ვინც უშუალოდ აბინძურებს გარემოს. მათი ვარაუდით, ასეთი მექანიზმის დანერგვა გარემოს დაცვის პრობლემას გადააქცევს საწარმოს შიდა პრობლემად, რაც აიძულებს გადამხდელებს, ეძებონ ეფექტიანი, ეკონომიკურად ხელსაყრელი მეთოდები გარე ეკონომიკური ხარჯების შესამცირებლად, რაც შექმნის მაიძულებელ მოტივებს გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ. სახელმწიფომ კი, როგორც საზოგადოების ინტერესების დამცველმა, უნდა დაადგინოს ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიური საზღვრები.

თანამედროვე მძიმე ეკოლოგიური სიტუაციის თავისებური გამოძახილია ე.წ. ეკოლოგიური ეკონომიკის კონცეფცია, რომელმაც ფართო განვითარება პოვა დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში. იგი ითვალისწინებს ეკოლოგ-ეკონომიკური სისტემის შექმნის იდეას და გვთავაზობს ორ გზას: პირველი მიმართულების წარმომადგენლები მთელ ეკოსისტემას ეკონომიკური საქმიანობის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ და მოითხოვენ ბუნებრივი პროცესების უარყოფითი ეფექტებისაგან წარმოქმნილი დანახარჯების ჩართვას ეკონომიკურ საქმიანობაში. მეორე მიმართულების წარმომადგენლები კი ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებას მეურნეობრიობის ტრადიციული მეთოდების გამოყენებას უკავშირებენ. მეორე მიმართულების მიხედვით, გარემო წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს. ეს განსაკუთრებით ეხება სუსტად განვითარებულ ქვეყნებს, სადაც კაპიტალის მიწოდების შეზღუდულობის, ახალი ტექნოლოგიების უქონლობისა და მწირი სამეწარმეო გამოცდილების გამო, ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებს უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე აიძულებს ამ ქვეყნებს, მოახდინონ მოძველებული მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების იმპორტი, რომელთა გამოყენების გრძელვადიანი შედეგების შესახებ (კლიმატზე ზემოქმედებისა და გარემოს სხვა პარამეტრების გათვალისწინებით) ინფორმაციასაც კი არ ფლობენ. ამიტომ ასეთ ქვეყნებში იაფი სამუშაო ძალა და დაბალი საინვესტიციო შესაძლებლობები შრომაინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენებას განაპირობებს. რაც შეეხება ალტერნატიულ ტექნოლოგიებს, რომლებიც იწვევს გარემოს დაბინძურებას შედარებით დაბალი დონით, სამუშაო ძალის ექსპლუატაციის მაქსიმალურად გამორიცხვასა და და ა. შ. ნაკლებად ხელმისაწვდომია ამ ქვეყნებისათვის. ადგილობრივი პრიმიტიული და იმპორტირებული მოძველებული ტექნოლოგიები ხელს უწყობს ეკოლოგიური კატასტროფების წარმოქმნასა და გარემოს დაბინძურებას.

რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს, იქ არსებული მაღალგანვითარებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი საშუალებას იძლევა, შემუშავდეს და რეალიზდეს ეკოლოგიურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი.

განვითარებულ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა ეკოლოგიურად მისაღები ტექნოლოგიური წარმოების განვითარებასა და ეკოლოგიურად დასაშვები წარმოებრივი ტექნოლოგიების დანერგვას.

აშშ-ში გამოკვლევებმა აჩვენა, რომ 2-6 წლამდე ბავშვებში ტყვიის მცირე რაოდენობა იწვევს გონებრივ ჩამორჩენილობასა და ნერვული სისტემის სერიოზულ დაავადებებს. ამან აიძულა ამერიკელები, უარი ეთქვათ ეთილირებულ ბენზინზე.

აშშ-ში საჰაერო აუზის ან წყლის რესურსების დაცვის შესახებ კანონის სერიოზული დარღვევები მხოლოდ ერთი დღითაც კი ისჯება 25 ათას დოლარამდე ჯარიმის გადახდით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თვალსაზრისით 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ამასთან, კანონმდებლობა ითვალისწინებს ჯარიმების გაუქმებას იმ შემთხვევაში, როდესაც კანონდამრღვევი წარადგენს დაბინძურების დადგენილი ნორმების შესრულების შეუძლებლობის დამადასტურებელ ტექნიკურ და ეკონომიკურ დოკუმენტაციას. ამდენად, ამ პრობლემის ჯარიმებით რეგულირების პრაქტიკა ოპტიმალური გადაწყვეტილებების შემუშავების საშუალებაა.

ეკოლოგიური საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ფართოდ გავრცელდა საინვესტიციო პროექტების წინასწარი სახელმწიფო ექსპერტიზა.

აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში (გერმანია, შვეიცარია, . . .) დიდი ყურადღება ექცევა ეკოლოგიური ექსპერტიზის მექანიზმს უარყოფითი გარე ეფექტების შეფასებისათვის. ეკოლოგიური ექსპერტიზა ითვალისწინებს, სახელმწიფო ეკოლოგიური სტანდარტების დაცვის საფუძველზე, ფირმებისათვის ეკოლოგიური ექსპერტიზის უფლების მიცემასა და ახალი პროდუქციის ეკოლოგიური ექსპერტიზის ბაზრებზე პროდუქციის იმ ახალი სახეობების არდაშვებას, რომლებიც ვერ უპასუხებს ეკოლოგიურ მოთხოვნებს.

ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო იყენებს სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ბერკეტებს, რათა აიძულოს ბიზნესი, გარემოს აღდგენისათვის მოახდინოს კაპიტალის ინვესტირება. ადმინისტრირება, რომელიც ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების წინააღმდეგ განხორციელებული დონისძიებების გატარებასა და არაკვლავ-წარმოებადი ბუნებრივი რესურსების კომერციული მიზნით ექსპლუატაციას, ადამიანთა ჯანმრთელობისათვის მავნე ტექნოლოგიების გამოყენებასა და ა.შ., არ ეწინააღმდეგება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს.

მდგრადი განვითარების კონცეფციის თანახმად, საზოგადოება და ბიზნესი ეკონომიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობასთან ერთად, ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას იღებენ მომავალი თაობების წინაშე. მდგრადი განვითარების საზოგადოება „დღევანდელი მოთხოვნების დაკმაყოფილებით ეჭვქვეშ არ აყენებს მომავალ თაობათა მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობას“.

დღესდღეობით ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული და „გამოგონებული“ აქტუალური გლობალური პრობლემების გადაწყვეტის საშუალებები, თუმცა კაცობრიობის ნორმალური განვითარების გზა უკვე განსაზღვრულია და ამ „მაგისტრალურ გზას“ მდგრადი განვითარება ჰქვია. მდგრადი განვითარება სამი ურთიერთდაკავშირებული სფეროს - ეკონომიკის, საზოგადოებისა და გარემოს გადაკვეთის ადგილია.

მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა აქვს ეკოლოგიური ინოვაციის დანერგვას, ისეთი ტექნოლოგიებისა და ორგანიზაციის წარმოების მეთოდების გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვას. თანამედროვე ეტაპზე დგას ტექნიკისა და ტექნოლოგიების ეკოლოგიზაციის ამოცანა. აუცილებელი ხდება თვით წარმოების ტექნოლოგიის ტიპის გარდაქმნა ეკოლოგიურ საფუძველებზე.

მსოფლიო პრაქტიკაში ეკოლოგიური ტექნოლოგიის დანერგვის სტიმულირება სხვადასხვა გზით ხდება. კერძოდ, ეს არის ბუნებადამზოგავი წარმოება, წესები, ნორმები, საკანონმდებლო აქტები, დაბინძურების შემცირებისათვის სუბსიდირების დაწესება, დაბეგვრით სტიმულირება და ა.შ.

მიგვაჩნია, რომ ეკოლოგიური დისბალანსის ლიკვიდაცია, ეკოლოგიური წონასწორობისაკენ სწრაფვა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, სახელმწიფოს უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს. იგი უნდა დაიწყოს ეკონომიკის ტექნიკურ-ტექნოლოგიური დონის ამაღლებით, რაც დიდ საზოგადოებრივ ძალისხმევასთანაა დაკავშირებული. ვფიქრობთ, ამასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანთა ცნობიერებისა და შეგნების ამაღლებაც.

სადავო არ არის ის ფაქტი, რომ გარემოს ვქმნით ჩვენ.

ჩვენმა არაგონივრულმა დამოკიდებულებამ ბუნებისადმი, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის არსებობას.

დიდია ადამიანის ეთიკური პასუხისმგებლობა ბუნების წინაშე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკოლოგიური ეთიკა დღევანდელ მსოფლიოში ათას არაეთიკურ კითხვას ბადებს.

დღეს აშკარად ჩანს ეკოლოგიური პრობლემატიკის ეთიკური ასპექტი, ამიტომაცაა საჭირო ურთიერთობის ეთიკის ინტეგრირება ეკოგარემოსთან.

ეკონომიკის მიზანი არ არსებობს ადამიანის გარეშე. იგი ხომ კულტურულ-ისტორიული ფენომენია და არა ბუნების განვითარების შედეგი. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკა არ არის დამოუკიდებელი სისტემა, როგორც ბუნება. იგი შექმნილია ადამიანების მიერ ადამიანებისათვის.

ადამიანებს უნდა ჰქონდეთ მოკრძალებული დამოკიდებულება ბუნების მიმართ.

ადამიანმა თავისი გამომგონებლობა და ტექნოლოგიები უნდა მიმართოს დედამიწის სასიცოცხლო სისტემების უსასრულოდ სამართავად ადამიანთა კეთილდღეობისათვის. ამასთანავე, უნდა იყვნენ პასუხისმგებლიანი ხელმძღვანელები, ხელი შეუწყონ ეკონომიკური ზრდისა და განვითარების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სასარგებლო ფორმებს და უარი თქვან გარემოსთვის საზიანო ფორმებზე.

სამეურნეო საქმიანობის მიზანი უნდა გახდეს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება და დაცვა.

თითოეულმა ეკონომიკურმა აგენტმა უნდა გაითავისოს, რომ დედამიწა ყველა ადამიანის საერთო საცხოვრებელი ოჯახია და მისი ნებისმიერი დაუშვებელი დაზიანება ყველასათვის საზიანო იქნება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა. თბ., 2017.
2. ასათიანი რ., ექსტერნალების სახელმწიფო რეგულირება. აკადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტკონფერენციის მასალების კრებული, მდგრადი განვითარების თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციები, თბილისი, 2017.
3. გუროვა ი., მსოფლიო ეკონომიკა. თბ., 2014.
4. დვალისვილი ლ. ატმოსფეროს დაცვა - მდგრადი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. აკადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტკონფერენციის მასალების კრებული, მდგრადი განვითარების თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციები, თბილისი, 2017.
5. დვალისვილი ლ., ეკოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოების საყოველთაო პრობლემები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენციის მასალათა კრებული, ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები, თბილისი, 2018.
6. ვეშაპიძე შ., გრიშიკაშვილი ა., ლეკაშვილი ე., ასლამაზაშვილი ლ., მსოფლიო ეკონომიკა. თბ., 2008.
7. სილაგაძე ა., მექვაბიშვილი ე., კახნიაშვილი ჯ., ეკონომიკა, თბ., 2003.
8. ქირთაია მ., ბიზნესის ეთიკა. გამომცემლობა „ნეკერი“, 2008.
9. წერეთელი გ., გარემო ბუნების დაცვის ეკონომიკური პრობლემები. თბ., 1987.
10. Земцова Л.В. Экологические инновации и устойчивое развитие. Pozniakov.tut.su>somnar/a0102/ a 024.htm.
11. Стиглиц Дж. Экономика государственного сектора. Перевод с английского. М, инфра-М.1997.
12. [www. Wikipedia.org.ge](http://www.Wikipedia.org.ge)
13. [www. Greenpeace.com](http://www.Greenpeace.com)
14. <http://www.unecno.org>
15. [www.un.org/ru/ecosoc/imo/](http://www.un.org/ru/ecosoc/imo/)
16. <http://www.unep.org/>
17. [www.ecolex.org](http://www.ecolex.org)



- 18. www. Earthwatch.unep.net
- 19. www. Nationalgeographic.com/xpeditions

Lia Dvalishvili

## ECONOMIC PROBLEMS OF ENVIRONMENTAL PROTECTION

### Summary

The paper reviews the essence and significance of the global problems of humanity. The magnitude of these problems and the scale of impact on society indicates.

It is noted the interference of in human nature and its consequences, the closer interaction between global problems in general and the results of community activities in the global environment.

The scarcity and scales of environmental problems are exposed.

The negative impact on the external development of external resources as a result of more involvement in natural resources production is also discussed.

There are mentioned environmental protection measures implemented in the XXI Century on which special emphasis should be made.

It is indicated how to change the type of technology to be used on ecological basis, how to assess the environment and what should be envisaged in the introduction of ecological technology.

თამარ ზირაქაშვილი

### საბაღასახადო ურთიერთობის ფორმირებისა და ბანკოთარების სისტემის პრინციპები და მიღბომები

*ანოტაცია.* ბანკების ფუნქციონირების და განვითარების სპეციფიკა განსაზღვრავს გადასახადების მეშვეობით მათ საქმიანობაზე ზემოქმედების მიმართულებას. სახელმწიფოს საგადასახადო ზემოქმედება შეიძლება მიმართული იქნას როგორც სისტემის ცალკეულ ელემენტებზე, ასევე ელემენტების ერთობლიობაზე. კერძოდ, სახელმწიფო ზემოქმედების მიზანი შეიძლება შეადგენდეს ბანკების ერთობლიობა (ყველა ბანკი ერთად).

*საკვანძო სიტყვები:* ბანკები, გადასახადები, საგადასახადო, სახელმწიფო.

საბანკო საქმიანობის ფართო სპექტრის გათვალისწინებით ეკონომიკის საბანკო სექტორის ისტორიულ-თეორიული ასპექტების და ეკონომიკის საბანკო სექტორის ფუნქციონირების სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება გამოვყოთ საკრედიტო დაწესებულებების ოპერაციების და საქმიანობის შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- სასესხო ოპერაციები;
- ფასიანი ქაღალდების ოპერაციები;
- ვადიანი გარიგებები;
- ფილიალების ქსელის განვითარება (რეგიონალური ექსპანსია).

კანონმდებლობით შესაძლებელია ცალკეული გადასახადების გაუქმებით ანდა შეცვლით, როგორც, საგადასახადო დაბეგვრის შეცვლა, აგრეთვე უკვე მოქმედ კანონმდებლობაში კორექტირების შეტანა, მაგალითად შევცვალოთ დაბეგვრის ობიექტი და გადასახადის განაკვეთი. ამგვარად, საკანონმდებლო მეთოდი რელიზდება:

- გადასახადების შემოღებით ან შეცვლით (საგადასახადო დაბეგვრის სისტემის შეცვლით);
- საგადასახადო განაკვეთების ცვლილებებით;
- შეღავათების გავრცელებით ან გაუქმებით;
- საგადასახადო ბაზის შემცირებით;
- საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის შესაბამისი სანქციების დაწესებით.

საგადასახადო დაბეგვრის კონცეფციის შერჩევა გვევლინება მთლიანად სახელმწიფოს ეკონომიკაზე და, კერძოდ კი, საბანკო საქმიანობაზე ზემოქმედების რთულ ამოცანად. ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ეს ამოცანა წყდებოდა სხვადასხვაგვარად.

საგადასახადო ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს საგადასახადო სისტემის ოთხი საბაზისო მოდელი: ანგლოსაქსონური, ევროკონტინენტალური, ლათინოამერიკული და შერეული.

ანგლოსაქსონური მოდელის თავისებურებაა დაბეგვრის განხორციელება პირდაპირი გადასახადებით, თუმცა ძირითადი ტვირთის მატარებლები არიან გადასახადის გადამხდელები - ფიზიკური პირები

ევროკონტინენტალური მოდელის დამახასიათებელი ნიშანია სოციალური დაზღვევის ანარიცხების დიდი წილი, რომელიც შესაძლებელია მივაკუთვნოთ საგადასახადო გადასახადებს, რამდენადაც მათ აქვთ გადასახადის ყველა ნიშანი. მნიშვნელოვანია აგრეთვე არაპირდაპირი გადასახადების, კერძოდ დღგ-ს წილი.

ინფლაციის მაღალი დონე მიგვითითებს ლათინოამერიკული საგადასახადო მეთოდის სპეციფიკურ ნიშნებზე, რომელიც ორიენტირებულია არაპირდაპირი გადასახადების დაბეგვრაზე, იმ მიზნით, რომ დაცული იქნას ბიუჯეტის შემოსავლები ინფლაციისაგან.

საგადასახადო სისტემის შერეული მოდელის არსებობა განპირობებულია იმით, რომ მრავალი ქვეყანა, რომელთაც არ სურდათ ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლები ყოფილიყო დამოკიდებული კონკრეტული გადასახადისაგან ანდა გადამხდელთა ჯგუფისაგან ახდენენ ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურის დივერსიფიკაციას. საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტის შერეულება მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენთან ჩამოყალიბდა საგადასახადო სისტემის შერეული მოდელი, რომელიც თავის თავში მოიცავს სხვა მოდელების ნიშნებს. მოცემული მოდელის დადებითი მხარეები განისაზღვრება იმ ფაქტით, რომ საქართველოს ეკონომიკა არ ვითარდებოდა სტაბილურიად და მისი განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო სისტემა განიცდიდა კორექტირებას .

საგადასახადო განაკვეთების შეცვლით, სახელმწიფო ქმნის დამატებით სტიმულებს, ფინანსური ნაკადების და საქონელთა ნაკადების ცალკეული ელემენტებისათვის სამუშაოების და მომსახურებისათვის. საგადასახადო განაკვეთების სისტემა ასრულებს რა სახელმწიფო რეგულატორის ფუნქციას მუდმივად რთულდება და დიფერენცირდება. გადასახადის სხვადასხვა განაკვეთების წესდება დარიგების, რეგიონების, საქონელთა და მომსახურებათა ჯგუფების მიხედვით. სისტემის შენარჩუნებისას მათი კორექტირება უფლებას გვაძლევს შერჩევით და დროებით შევცვალოთ გადასახადის გადამხდელთა ცალკეული ჯგუფების ეკონომიკური პირობები.

სახელმწიფო საგადასახადო შეღავათებს ავრცელებს საქმიანობას სახეების მიხედვით. ამ დროს რეგულირების ფუნქცია მდგომარეობს გამოყენებული შემოსავლების ნაკადების ორიენტაციის შეცვლაში. მიზანმიმართულად ხდება კაპიტალდობანდების, თვითდაფინანსების, ქველმოქმედების სტიმულირება. თანამედროვე პირობებში რიგი სახელმწიფო მოხელეების და ეკონომისტების მოქმედი შეღავათების არაეფექტურობის გამო - გამოდიან წინადადებით, გაუქმებულ იქნას შეღავათები ცალკეულ გადასახადებზე, ხოლო ზემომითითებული ხარჯები გაწეულ იქნას ბიუჯეტიდან.

ბანკები აქტიურად იყენებენ გადასახადებზე დაწესებულ შეღავათებს ბიუჯეტში ანარიცხების შემცირების მიზნით. ამ დროს ასეთი ობიექტების უმრავლესობა, ან ეკუთვნიან ბანკებს და გამოიყენებოდნენ თავიანთი მიზნებისათვის ან დანახარჯები დაფინანსებაზე კომპენსირდებოდეს დაფინანსებული ორგანიზაციების შემხვედრი ვალდებულებებით. შედეგად ბიუჯეტმა ვერ მიიღო არსებითი სახსრები. მხოლოდ, ყოველთვის ყველა შეღავათები არ გამოიყენება ბანკების მიერ გადასახადისაგან თავის არიდების მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადების, როგორც რეგულატორის გამოყენება არ არის გაიგივებული მსოფლიო შეღავათების გამოყენებასთან. საგადასახადო ტვირთი შეიძლება შეცვალოს აგრეთვე გადასახადის განაკვეთის, საადრიცხვო პოლიტიკის, დანახარჯების განსაზღვრის წესის, ფინანსური შედეგების ფორმირების, გადასახადის გამოთვლის და მისი გადახდის მეთოდებთან მიმართებაში. კონკრეტული ინსტრუმენტის შერჩევა ხდება დასმული ამოცანის სპეციფიკის, საქმიანობის სახეობის, გადამხდელის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ტიპის გაფორმების და ა.შ. გათვალისწინებით. საგადასახადო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ინვესტიციები წარმართება ეკონომიკის იმ სფეროებში, სადაც მაღალია შემოსავლიანობა და დაბალია ამოგების ვადები და არ არის აუცილებელი ის დარგები, სადაც დიდა საგადასახადო შეღავათები.

საგადასახადო შემოსავლებზე სახელმწიფო ბიუჯეტის უშუალო დამოკიდებულებამ, განაპირობა საგადასახადო დარღვევებზე საგადასახადო სამართალურთიერთობის სის-

ტემის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილის პასუხისმგებლობა და მოითხოვა მისი ღრმა სამართლებრივი რეგლამენტაცია. ამგვარი პასუხისმგებლობის გამოყენების საკითხები ყოველთვის იყო იურიდიული მეცნიერების, საგადასახადო ორგანოების საკონტროლო საქმიანობის, აგრეთვე სასამართლო ორგანოების ყურადღების ქვეშ.

კანონმდებლობის ნორმების შესრულების ვალდებულება განისაზღვრება პასუხისმგებლობით, რადგანაც თუ არ არის პასუხისმგებლობა, არც ვალდებულება იქნება.

საგადასახადო ორგანოს შერჩევა საგადასახადო განაკვეთების დაწესება, საგადასახადო შეღავათების გავრცელება მოიკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოთა კომპეტენციას.

უკანასკნელ პერიოდში, სხვადასხვა სახელმწიფოთა მთავრობები აქტიურად მუშაობენ საგადასახადო სფეროში ერთიანი გადაწყვეტილების შესამუშავებლად. ეს დაკავშირებულია საგარეო სავაჭრო კავშირების გაფართოებასთან, ეკონომიკის და ფინანსების სხვადასხვა სფეროებში და ზოგიერთი სახელმწიფოების პოლიტიკურ ინტეგრაციასთან (შედარებით აქტიურად ეს ხორციელდება ეკონომიკური თანამეგობრობის ქვეყნებში), ხშირად სახელმწიფოები ექსპორტირებულ საქონელზე არ იბეგრება დღეს-გადასახადით, აფორმებენ ხელშეკრულებას საქონლის განსაზღვრულ სახეობებზე, სამუშაოებზე და საგარეო სავაჭრობის მომსახურებაზე, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით შემოსავლებზე და ქონებაზე. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალურია ბანკებისათვის, რომლებიც კიდევ უფრო აქტიურად გამოდიან საერთაშორისო ფინანსურ ბაზარზე.

საგადასახადო ზემოქმედების ადმინისტრაციული მეთოდის ქვეშ, ბანკების საქმიანობაზე იგულისხმება ღონისძიებათა კომპლექსი და აღმასრულებელი ხელისუფლების ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ყველა გადასახადის სრულად და თავისდროულად გადახდისაკენ.

ადმინისტრაციული მეთოდი გულისხმობს არამარტო საგადასახადო ორგანოების საკონტროლო სამუშაოებს, არამედ, ხელისუფლების ორგანოების საადრიცხოვ-ანალიტიკურ და საკონსულტაციო საქმიანობას. ამგვარად ადმინისტრაციული მეთოდი რელიზდება შემდეგი სამუშაოების მეშვეობით:

- საგადასახადო ორგანოების მუშაობა უშუალოდ გადასახადის გადამხდელებთან მუშაობით;
- კომერციული ბანკების საქმიანობის კამერალური და გასვლითი საგადასახადო შემოწმებების საშუალებით;
- საგადასახადო აუდიტორული შემოწმებებით.

საგადასახადო ორგანოების კოორდინირებული მუშაობა გადასახადის გადამხდელებთან და ურთიერთშორის, დაბეგვრის ცალკეულ საკითხებზე ქვეყნის საგადასახადო ტერიტორიული ორგანოების ერთიანი პოზიცია, მათი განმარტებების სრული შესატყვისობა კანონმდებლობასთან, რაც განაპირობებს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო კულტურის ამაღლებას, ამა თუ იმ გადასახადის გამოანგარიშების დროს ამცირებენ შეცდომების ოდენობას, რამდენადაც შეცდომების დაშვება ხდება არა განზრახ, არამედ კანონმდებლობის და საგადასახადო ორგანოების განმარტებების უზუსტობების და არეულობის გამო.

საგადასახადო სამართალურთიერთობების რეალიზაციის შედეგად შესაძლოა გადასახადის გადამხდელებს და საგადასახადო ორგანოებს შორის აღმოცენდეს წინააღმდეგობები. სასამართლო ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელების და სახელმწიფოს ინტერესების უფლებების დაცვა, რამაც განსაზღვრა ცალკე გამოგვეყო საგადასახადო ზემოქმედების მესამე მეთოდი - სასამართლო. რაც უფრო გაუმჯობესებული და მძლავრია სასამართლო სისტემა, მით უფრო მეტი შესაძლებლობა გვაქვს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკის სუბიექტების ნორმალური ფუნქციონირებისათვის, მაშასადამე, მით უფრო ჯანმრთელი და ძლიერია სახელმწიფოს ეკონომიკა. ამგვარად სიცოცხლისუნარიანი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბის საქმეა და ამით განისაზღვრება მთელი ქვეყნის განვითარების პერსპექტივები.

საგადასახადო ზემოქმედების მიმართულებანი და მეთოდები იმყოფებიან უშუალო ურთიერთკავშირში და ურთიერთდამოკიდებულებაში: კონკრეტული მეთოდის გამოყენება განსაზღვრავს ზემოქმედების მიმართულებას, კონკრეტული მიმართულების ამორჩევა გულისხმობს ზემოქმედების განსაზღვრული მეთოდის გამოყენებას. მაგალითად,

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის შეცვლა (გადასახადების შემოწმება ან გაუქმება), აგრეთვე გადასახადების განაკვეთების ცვლილებით, სახელმწიფო ზემოქმედებას ახდენს მთელს საბანკო სისტემაზე. საგადასახადო ბაზის ცვლილება შეიძლება მიმართულ იქნას როგორც საბანკო სისტემაზე, ასევე ბანკების ცალკეულ ოპერაციებზე (მაგალითად, საგადასახადო ბაზის განსაზღვრის წესის ზოგადი ცვლილებებით, ზემოქმედება ხდება ყველა ბანკზე; ვადიან გარიგებებზე საგადასახადო წესის ცვლილებით, მხოლოდ ბანკის მითითებულ ოპერაციებზე). სახელმწიფომ შეღავათების გავრცელებით ანდა გაუქმებით, შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს, როგორც მთლიანად საბანკო სისტემაზე (რომ შეღავათებით, რომელიც ეხება ყველა ბანკს, მაგალითად ადრე არსებული შეღავათი სარეზერვო ფონდებში ანარიცხებზე), ასევე ცალკეულ ბანკებზე (მაგალითად შეღავათი მოგების გადასახადში გასული წლების ზარალზე) და ბანკების ცალკეულ ოპერაციებზე (შეღავათი სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე). ანალოგიურად განისაზღვრება პირუკუ დამოკიდებულებაც: ზემოქმედების მიმართულების განსაზღვრისას შემუშავდება შესაბამისი მეთოდებიც.

ბანკების საქმიანობაზე საგადასახადო ზემოქმედების მეთოდები და მიმართულებების განსაზღვრა მოითხოვს ზემოქმედების საზღვრების განხილვას, რადგანაც ნებისმიერ ზემოქმედებას აქვს თავისი ზღვარი.

საგადასახადო ზემოქმედების საზღვრები (საგადასახადო ტვირთი) საბანკო საქმიანობაზე განისაზღვრება მაქსიმალური და მინიმალური განაკვეთებით და დაწესებული შეღავათების მოცულობით. საზღვრების განსაზღვრის საფუძვლად გვევლინება ალაფერის გადასახადის განაკვეთის და ბიუჯეტში გადასახადების შემოსვლის თეორიული ურთიერთკავშირი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს.

1. ბიუჯეტში ფულადი სახსრები არ შემოდის - გადასახადის ნული და 100%-იანი განაკვეთის დროს.

2. ბიუჯეტში თანხები მაქსიმალურად შემოდის გადასახადის 50%-იანი განაკვეთის დროს.

ალაფერის ეფექტი მდგომარეობს ბიუჯეტის შემოსავლების ზრდაში გადასახადების განაკვეთების 50%-მდე გადიდებით და შემოსავლის შემოცირებით - განაკვეთების 50%-ს ზემოთ გადიდებისას.

ზემოთგანხილული საგადასახადო ზემოქმედების საზღვრებიდან გამომდინარე, ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ძირითად წყაროდ თანამედროვე პირობებში გვევლინება ბიზნესის ლეგალიზაცია, რისთვისაც აუცილებელია პირველ რიგში, გადასახადის განაკვეთის შემცირება, გადასახადისაგან თავის არიდების სხვადასხვა სქემების ღირებულებებს დონემდე და მეორე - პასუხისმგებლობის და კანონის დამრღვევისათვის გამკაცრდეს ღონისძიებები.

კომერციული ბანკების საქმიანობაზე საგადასახადო ზემოქმედება უნდა იყოს ზუსტად გააზრებული, რამდენადაც ამა თუ იმ ფაქტორების შედეგები შეიძლება იყოს მრავალგვარი, ხოლო ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო - გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდებში. საგადასახადო ზემოქმედების განხორციელებისას შეიძლება გამოვიდეთ სახელმწიფოსა და ეკონომიკის, კერძოდ, ბანკების პრიორიტეტებიდან (მ.შ. ცალკეული სუბიექტების). გარდა ამისა, აუცილებელია გავანალიზოთ ახლად შემოწმების შესაძლო შედეგები: მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში და გამოვიკვლიოთ მიღებული შედეგებიდან გამომდინარე ამა თუ იმ ღონისძიებებს მოქმედების პერიოდი და ეფექტურობა.

როგორც ჩატარებული გამოკვლევებიდან ჩანს, სახელმწიფოს საგადასახადო ზემოქმედება - სისტემაზე : „კომერციული ბანკი - ბიუჯეტი - ეკონომიკის რეალური სექტორის საწარმოებზე და ორგანიზაციებზე“. ძირითდში განისაზღვრება ამაგვარი ზემოქმედების მიმართულებით და მეთოდებით.

## დასკვნა

საგადასახადო განაკვეთების შეცვლით, სახელმწიფო ქმნის დამატებით სტიმულებს, ფინანსური ნაკადების და საქონელთა ნაკადების ცალკეული ელემენტებისათვის სამუშაოების და მომსახურებისათვის. საგადასახადო განაკვეთების სისტემა ასრულებს რა სახელმწიფო რეგულატორის ფუნქციას მუდმივად რთულდება და დიფერენცირდება.

ბანკები აქტიურად იყენებენ გადასახადებზე დაწესებულ შეღავათებს ბიუჯეტში ან-არიცხების შემცირების მიზნით. ამ დროს ასეთი ობიექტების უმრავლესობა, ან ეკუთვნინა ბანკებს და გამოიყენებოდნენ თავიანთი მიზნებისათვის ან დანახარჯები დაფინანსებაზე კომპენსირდება დაფინანსებული ორგანიზაციების შემხვედრი ვალდებულებებით.

კომერციული ბანკების საქმიანობაზე საგადასახადო ზემოქმედება უნდა იყოს ზუსტად გააზრებული, რამდენადაც ამა თუ იმ ფაქტორების შედეგები შეიძლება იყოს მრავალგვარი, ხოლო ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო - გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდებში. საგადასახადო ზემოქმედების განხორციელებისას შეიძლება გამოვიდეთ სახელმწიფოსა და ეკონომიკის, კერძოდ, ბანკების პრიორიტეტებიდან.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. კაკულია რ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები. თბ. 2003წ.
2. კაკულია მ. სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბ. 2001წ., გამომცემლობა სტამბა შპს „ფინანსები“
3. კოვზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ. 200წ., გამომცემლობა თსუ.
4. მაღაზონია გ. ფასიანი ქაღალდების როლი ფულის მომიჯცევის რეგულირებაში. თბ. 2002წ.

*Tamar Zirakashvili*

### THE PRINCIPLES AND APPROACHES OF A SYSTEM OF THE FORMATION OF DEVELOPMENT OF TAX RELATIONS

#### Summary

By changing tax rates, the state creates additional stimulus, financial flows and for the works and services for individual elements of flows of goods. The tax rate system performs the state regulator's function and is always getting difficult and differentiating.

Banks are actively using taxes to reduce the budget deficits. At that time most of these facilities either belonged to banks, or were used for their purposes or expenditures on financing with the obligations of funded organizations.

Tax exemptions on the activities of commercial banks must be precisely understood as the results of these factors may be different, and sometimes contradictory, in long-term and short-term periods. In the implementation of tax exemptions we should come out from the priorities of the state and economics, particularly from the banks.

*ციცინო თეთრაული*

### ნარჩენების მართვის გზები და მეთოდები

*ანოტაცია.* ნაშრომში განხილულია ნარჩენების მართვის გზები და მეთოდები, მისი ნეგატიური გავლენა ბუნებრივ გარემოსა და ადამიანზე (დაბინძურებული მიწა, წყალი, ჰაერი); გაანალიზებულია ნარჩენების ზრდის მიზეზები, რომელიც უფრო დრმა და ფუნდამენტურია, ვიდრე ზედაპირზე ჩანს, მასობრივი წარმოება და მოხმარება წარმოშობს ნარჩენების 70%-ს; გაშუქებულია წინა საუკუნის საზოგადოების დამოკიდებულება ნარჩენების მიმართ და მისი მოვლის მაშინდელი მეთოდები; დახასიათებულია განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ნარჩენების მართვაში, მათ მიერ შემუშავებული გზები და მეთოდები; აღნიშნულია „მწვანე ეკონომიკის“, როგორც უალტერნატივო მოდელის როლი და მნიშვნელობა მომავალი საზოგადოების განვითარებასა და გადარჩენაში, აგრეთვე ის გლობალური საფრთხეები რომელიც მთელ პლანეტას ემუქრება დარღვეული ეკოლოგიური ბალანსის გამო, რაც ბუნებაში ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგია და გამოსწორებას მოითხოვს.

*საკვანძო სიტყვები:* ანთროპოგენური ზემოქმედება, „წვანე ეკონომიკა“, რეციკლირება, დედამიწის დღე, შეფუთვები.

## შესავალი

პლანეტის მოსახლეობა იზრდება, შესაბამისად იზრდება მასობრივი წარმოება და მოხმარება, მათ კვალდაკვალ კი ნარჩენები. ნაგავი ბიზნესის შემადგენელ ნაწილად იქცა, ნარჩენების მოვლა რთული პროცესია, იგი აბინძურებს მიწას, წყალს, ჰაერს, ხელს უწყობს გლობალურ დათბობას, ვნებს ფლორას და ფაუნას, აავადებს ადამიანებს. ნარჩენების მოვლის ყველა მეთოდიდან, როგორცაა 1) ნარჩენების დაყრა; 2) ნარჩენების წყალში ჩაყრა; 3) ნარჩენების დამარხვა; 4) ნარჩენების გადამუშავება (რეციკლირება), ვერ ამცირებს ნარჩენების ნაკადს, ამ მეთოდებიდან ყველაზე უფრო აღიარებული და ოპტიმალური მეთოდი მათი გადამუშავებაა. თუმცა მასაც აქვს ხარვეზები. არსებობს კიდევ მეხუთე მეთოდი, ანუ კონცეფციის „ნულოვანი ნაგავი“, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაშია დანერგილი და ინდუსტრიების მიერ ოპონირების საგანია, რადგან ეს მეთოდი ებრძვის არა შედეგს – ნარჩენებს, არამედ მიზეზს – გაზრდილ წარმოებას და გაზრდილ მოხმარებას. ამ მეთოდის არსი წარმოების სისტემის შეცვლაა, იგი უფრო ღრმად და ფუნდამენტურად განიხილავს ისეთ პრობლემას, როგორც ნარჩენებია. ის ებრძვის მიზეზს და არა შედეგს. 2050 წლისთვის მოსახლეობის ზრდას 10 მილიარდამდე ვარაუდობენ, ამდენი ადამიანის გამოკვებას კი დედამიწა ვეღარ შეძლებს. ადამიანის ანთროპოგენურმა შეჭრამ ბუნებაში და ექსპლუატატორულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ბუნებრივი რესურსები („გამოაცარიელა“ სასარგებლო წიაღისეული, გაანადგურა ბუნებრივი ლანდშაფტი, გადაშენდნენ ცხოველები და ფრინველები და ა.შ.). „მწვანე ეკონომიკა“ ის მოდელია, რომელსაც დიდი მისია აკისრია როგორც საზოგადოების, ასევე პლანეტის გადარჩენაში.

\* \* \*

ინდუსტრიული საზოგადოება მოიხმარს დიდი რაოდენობით განახლებად და არა-განახლებად ბუნებრივ რესურსებს და მნიშვნელოვან ანთროპოგენურ გავლენას ახდენს გარემოზე, მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, ბუნებრივი წიაღისეულის მარაგები უკვე „გამოაცარიელებულია“. ეკოლოგიურ სამყაროზე ანთროპოგენურმა უარყოფითმა ზეწოლამ კაცობრიობა ისეთი გლობალური ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დააყენა, როგორცაა: კლიმატის დათბობა, ოზონის შრის შემცირება, ბიომრავალფეროვნების შემცირება, გაუდაბნობა: მიწის ეროზია, შიმშილი, ავადმყოფობა, ჰაერისა და წყლის დაბინძურება, ნარჩენების ნაკადი და სხვა. ადამიანმა ბუნებაზე ზემოქმედება უხსოვარი დროიდან დაიწყო. თავდაპირველად პრიმიტიული შრომის იარაღებით ამუშავებდა მიწას, რათა მოეპოვებინა „პური ჩვენი არსობისა“. კაცობრიობის განვითარების საწყის ეტაპზე საზოგადოების ზეწოლა გარემოზე უარყოფითად არ აისახებოდა, მაგრამ შემდგომ ადამიანის მზარდმა მოთხოვნილებებმა და მისმა უკონტროლო შეჭრამ ბუნებაში, მრეწველობის განვითარებამ, გამოიწვია ეკოლოგიური კანონზომიერების დარღვევა. ადამიანმა თავი ბუნების მბრძანებლად წარმოიდგინა და დაიწყო მისი უმოწყალო ექსპლუატაცია, არადა პირიქითაა, როგორც დიდი ვაჟა-ფშაველა ამბობს: „ბუნება მბრძანებელია“. ეკოსისტემების უნიკალურობა მათ მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებაშია, ერთი რომელიმე ბიოლოგიური რგოლის დარღვევას ჯაჭვური რეაქციით მოსდევს უარყოფითი შედეგები მომდევნო რგოლებში.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა 2025 წლისთვის 8 მილიარდს მიაღწევს, ხოლო 2050 წელს 10 მილიარდამდე გაიზრდება, რის გამოც მსოფლიოში სურსათის წარმოება 75%-ით მაინც უნდა გაიზარდოს, აღნიშნული ფაქტი მსოფლიოს დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს. შეძლებს კი დედამიწა ამდენი ადამიანის გამოკვებას? მსოფლიოში დღესდღეობით მილიარდამდე ადამიანი შიმშილობს. ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები მოიცავს ისეთ პროცესებს, რომლებიც მიმართულია გარემოზე უარყოფითი გავლენის შემცირებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ხელშეწყობისაკენ. ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები ხელს უწყობს რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ასევე ბუნებრივი რესურსების დაცვასა და შენარჩუნებას. ამიტომ „მწვანე ეკონომიკა“ არის გზა, რომელიც დაგვეხმარება ამ პრობლემის დაძლევაში. „მწვანე კაპიტალიზმის“ იდეა 1990-იან წლებში გაჩნდა. მისი მიზანი იყო სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესების ჩამოყალიბება. მრეწველობით პლანეტა აღარ უნდა მოიწამლოს. „მწვანე კაპიტალიზმის“ ქონაგები პ.

პოკენი და უ. მაკდონა (გამოსცეს წიგნი „მწვანე ბიზნესების“ შესახებ), მიიჩნევენ, რომ ბუნების ნგრევის მიზეზები კაპიტალიზმი არ არის. მთავარი პრობლემაა წარმოების ფორმა, რომლის წყალობითაც ამდენი ბუნებრივი რესურსი იხარჯება. წარმოების პროცესი კი თავად კომპანიებმა უნდა შეცვალონ. შედეგად, უნდა შემცირდეს ნაგავი. ნარჩენები ან ისევე ბუნებას უნდა დაუბრუნდეს, ან უსასრულოდ გადაამუშავდეს. ეს პროცესი კი უსაფრთხო უნდა იყოს, აქ ჩნდება ლოგიკური კითხვა, თუ რატომ მოინდომებენ ან როგორ შეიძლება ამას ინდუსტრიები, გაყიდვების შემცირების გარეშე. როდესაც კომპანია „გამწვანდება“ და ხარჯების გაზრდას გადაწყვეტს, მისი მდგომარეობა კონკურენტებთან მიმართებაში უარესდება, მისი პროდუქციაც გაძვირდება, რამაც ფირმას შეიძლება ბაზარი დაატოვებინოს. ინდუსტრიები რამდენად აზარალებს საკუთარ ინტერესებს ბუნების გამო, განხილვის საგანია ჯერჯერობით, ამერიკისა და ბევრ სხვა განვითარებულ ქვეყნებში წარმოების სტრუქტურა არ შეცვლილა, ბიზნესმენები ისე მუშაობენ როგორც ადრე. კ. მარქსი ამას „წარმოების ფარულ სავანეს“ უწოდებდა. ბუნებრივი რესურსები ისეთივე საზოგადოების საკუთრებაა, როგორც ჰაერი, როდესაც საზოგადოება მწარმოებლებს ვერ აკონტროლებს (გამოყენებული მასალები, მოპოვების გზები და მეთოდები, ტოქსიკურობის დონე, ნარჩენების მოვლა და სხვა), ბუნებრივი მასალები დემოკრატიულად არ მოიხმარება, საზოგადოებამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ნაგავზე და ასევე აკონტროლოს წარმოება, რომელიც ნაგვის მთავარი წყაროა.

მომხმარებელი, რომელიც მაღაზიაში დასრულებულ პროდუქტს ხედავს, ვერც კი წარმოიდგენს, თუ რამდენი რესურსი დაზიანდა, რამდენი ტყე გაიჩეხა, როგორ დაბინძურდა წყალი, მიწა, ჰაერი ამ პროდუქტის დამზადებაზე (შემდეგ გადაყრაზე). მასობრივი მოხმარების და ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, საკუთრივ ნაგავი ბიზნესის შემადგენელ ნაწილად გადაიქცა. ნარჩენების მიმართ დამოკიდებულება, პოლიტიკური ნება და კანონმდებლობა ძირითადად ორიენტირებულია ნარჩენების მართვის ეფექტიანობის ამაღლებასა და ნაგავსაყრელების ეკოლოგიური სტანდარტების გაუმჯობესებისაკენ. განხილვის საგანი კი იშვიათად ხდება მთავარი პრობლემა, საიდან ჩნდება ამდენი ნაგავი. ვებრძვით შედეგს და არა მიზეზს. ნარჩენების გადამამუშავება განვითარებულ ქვეყნებშიც კი რთული პროცესია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნარჩენების მუდმივი გადამამუშავება შეუძლებელია (რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ). მაგ., პლასტმასის ან ქაღალდის გადამამუშავება მაქსიმუმ 6-ჯერ არის შესაძლებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ, საბოლოო ჯამში, რესურსი მაინც ნაგვად იქცევა.

ნარჩენების მართვის ძირითადი მეთოდებია: 1) ნაგვის დაწვა; 2) ნარჩენების წყალში ჩაყრა; 3) ნარჩენების დამარხვა; 4) ნარჩენების გადამამუშავება (რეციფილირება); 5) „ნულოვანი ნაგავი“. ნარჩენები შედარებით მკაცრად ბოლო 20 წელია რაც კონტროლდება. ჯერ კიდევ არსებობს მრავალი ნაგავსაყრელი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ახალ სტანდარტებს. ამასობაში ისინი აბინძურებენ მიწას, მის წყლოვან ფენასა და ჰაერს. გამოტუტვით მიღებული სითხეების გარდა, გახრწნილი ნაგავი გამოყოფს „ნაგავსაყრელის გაზსაც“. ეს ორთქლი ადვილად აალებად მეთანს შეიცავს, რომელიც მსოფლიო კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, გარემოს დაცვის სააგენტოს მტკიცებით, მეთანი განსაკუთრებით სახიფათოა, რადგან ნახშირორჟანგზე 21-ჯერ უფრო ეფექტურად აფრქვევს სითბოს ატმოსფეროში. „ნაგავსაყრელის გაზი“ შეიცავს აგრეთვე წებოს, პლასტმასის საღებავების ორთქლს, მათ შორის ნახშირორჟანგს. ე.წ. HAV-ს, ჰაერის სახიფათო დამაბინძურებლებსა და VOC-ს „აქროლად ორგანულ ნაერთებს“. გარემოს დაცვის სააგენტოს მტკიცებით, VOC წარმოშობს სმოგს – ოზონს მიწის დონეზე. ოზონი აფერხებს მცენარეების ზრდას. აზიანებს ადამიანის სასუნთქ ორგანოებს, HAP კი ანვითარებს კიბოს და აზიანებს ნერვიულ სისტემას. ნაგავ-საწვავები ნაგავსაყრელებზე არანაკლებ ტოქსიკურია. გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის მიხედვით, 2000 წლიდან დღემდე მსოფლიოში გამოყოფილი დიოქსინის 69% სწორედ მუნიციპალური ნაგავსაწვავებისაგანაა წარმოქმნილი. დიოქსინი ერთ-ერთი ყველაზე შხამიანი ქიმიკატია. ის წვის დროს გამოიყოფა და მის განადგურებას ან ნეიტრალიზებას ვერც ერთი თანამედროვე ფილტრი ვერ ახერხებს, როდესაც ქაღალდსა და პლასტმასს ერთად წვავენ, წარმოიქმნება დიოქსინი, რომელიც ჰაერში ფერფლით ვრცელდება. ნაგავსაყრელი ასევე გამოყოფს მჟავურ აირებს (რომელიც იწვევს მჟავა წვიმებს), მყარი ნივთიერებების ნაწილაკებს, ნახშირბადის მონოქსიდსა და ვერცხლისწყალს. ნაცარი, როგორც წესი, მძიმე ლითონებს შეიცავს: ტყვიას, ვერცხლისწყალს, კადმიუმს და სხვა შხამიან ნივთიერებებს, რომლებიც შეიძლება

ნაგავსაყრელზე დამარხვის შემთხვევაში გამოიტუტონ. პარკები და შესაფუთი მასალა მუნიციპალური ნაგვის ყველაზე დიდი და მზარდი ნაწილია, აქედან 40% პოლიეთილენისაა. ნაგავსაყრელი და ნაგავსაწვავები სავსეა პოლიმერებით: ტელევიზორები, კომპიუტერები, მობილურები, გაზიანი სასმელების ბოთლები, პოლიეთილენის პარკები, სინთეზური მასალა გამძლე და მომწამლაგია და ბუნებაში მათი დატოვება არ შეიძლება. ვარაუდობენ, რომ პლასტმასი 200, 400 ან შეიძლება 1000 წლის შემდეგ იხრწნება. მიწის ზედაპირზე ის იცვითება და მავნე აირებს გამოყოფს, დამარხვისას კი სახიფათო ნივთიერებებს გამოტუტავს და მიწასა და წყალში ავრცელებს. ამ ყველაფრის მიუხედავად, ბოლო 50 წელიწადში აშშ-ში პლასტმასის წარმოება საოცრად გაიზარდა. ეს ინდუსტრია 2-ჯერ უფრო სწრაფად ვითარდება ვიდრე მთელი დანარჩენი მრეწველობა. წყნარი ოკეანე სავსეა პლასტმასით. 1990-იანებში ანტარქტიდაზე ნაგვის რაოდენობა გაასმაგდა. მათი უმეტესობა პლასტმასია, აქაურ ცხოველებს ტალღები სხვა კონტინენტებისაკენ დევნიან, რაც ბიომრავალფეროვნებას საფრთხეს უქმნის, დღეს მთელი პლასტმასის მხოლოდ 7% გადამუშავდება. ალუმინის ქილების ნახევარი კი იყრება. ინდოეთის და სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზარიც რადიკალურად შეიცვალა. ტრადიციული კერამიკული ჭიქების მაგივრად აქ უკვე პლასტმასის ჭიქებსა და ბოთლებს იყენებენ, პლასტმასს არ ამუშავებენ, წვავენ ან მარხავენ, პოლიეთილენის პარკებიც, სხვა ქვეყნების მსგავსად, აქაც სწრაფად გავრცელდა. ისინი ყრია ქუჩებში, მდინარეებში, კიდეა ხეებზე, მათ წმინდა ძროხებიც მიირთმევენ და იგუდებიან. ბანგლადეშში პოლიეთილენის პარკებმა სადრენაჟორო სისტემები გაჭედა, რამაც წყალდიდობები გამოიწვია, ამის გამო სახელმწიფომ მათი წარმოება აკრძალა, ჩინეთში პოლიეთილენის პარკებს „თეთრი დაბინძურება“ უწოდეს. სამხრეთ აფრიკაში კი – „ეროვნული ყვავილი“, აშშ-ს ნაგვის უდიდესი ნაწილი გადასამუშავებლად და გადასაყრელად სწორედ ასეთ ქვეყნებში იგზავნება, იყიდება პლასტმასის ბოთლები, ჯართი, ნაგვის შედარებით ახლო კატეგორია – „ელექტრონული ნაგავი“ გადაყრელი ტელევიზორები, კომპიუტერები მობილურები და ა.შ.

უცხოური გადამამუშავებელი ფირმები აშშ-დან, როგორც ყველაზე დიდი მომხმარებლისაგან, მსოფლიოში ნაგავს უფრო და უფრო მაღალი ფასად ყიდულობენ. 1997-დან 2002 წლამდე ამ ინდუსტრიიდან აშშ-ის წლიური შემოსავალი 200 მილიონიდან 1 მილიარდამდე გაიზარდა. ნაგავი ამხელა პრობლემას ყოველთვის არ წარმოადგენდა. XIX საუკუნეში ნარჩენებს ახარისხებდნენ, მუნიციპალურ ნაგავს კომპოსტად იყენებდნენ ან ხელახლა ხმარობდნენ. ნაგვის სისტემა ინდუსტრიალიზაციისა და მსოფლიო ომების შემდეგ შეიცვალა. დღეს ამ ყველაფერს მონოპოლისტური კორპორაციები განაგებენ, ამერიკული პროდუქტის დაახლოებით 8%-ს მხოლოდ ერთხელ ხმარობენ და შემდეგ ყრიან. ქვეყანაში 10000-ზე მეტი ე.წ. „გზისპირა გადამამუშავების“ პროგრამაა. მაგრამ არსებობს ქალაქები, რომლებიც ნარჩენებს არ ამუშავებენ. ნაგვის სფეროში ყველაზე დიდი კორპორაციაა „პეისთ მენეჯმენტი“ (WMI). მისი შემოსავალი 11 მილიარდ დოლარს აღემატება. კომპანია ფლობს ნაგვის გატანის სერვისებს – სანიტარულ და სახიფათო მასალის ნაგავსაყრელს, ნაგავსაწვავების და ბირთვულის საყრელსაც, ნაგავსაწვავებმა ნაგვის დაყრის იაფასიან მეთოდს კონკურენცია მაინც ვერ გაუწია. XX საუკუნის დასაწყისში ნაგვის მოვლის სხვადასხვა მეთოდს იყენებდნენ. იყო როგორც მავნე (წყალში ჩაყრა), ისე სასარგებლო გზები, ე.წ. შემცირება. ორგანული ნარჩენებით ღორების გამოკვება, რაც გავრცელებული მეთოდი იყო. ნარჩენების წყალში ჩაყრა იაფი და მარტივი მეთოდი იყო, თუმცა ეს ზღვისა და მდინარის სანაპიროზე დასახლებული მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. იმ პერიოდში ორგანული ნარჩენების მნიშვნელობა კარგად ესმოდათ და გააპატივებისა და გასრვის მეთოდებს ხშირად იყენებდნენ. კ. მარქსმა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შენიშნა რომ ეფექტური ინდუსტრიალიზაციის პირობებში წარმოება მოხმარებას გაუსწორებდა. „სასარგებლოს მისაღებად პროდუქტიული წარმოების გარდა, საკმარისი მოთხოვნაცაა საჭირო“ – წერდა ის. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, ტელეკომუნიკაციების განვითარებამ, რამაც შესაძლებელი გახდა მასობრივი რეკლამაციები, მწარმოებლების წისქვილზე დაახსნა წყალი, ნაგავი არის როგორც დახარჯული ბუნება, ისე გადაყრული შრომა. ეს ყველაფერი საქონლის გასაყიდად და შემოსავლის გასაზრდელად ხდება. მეცნიერი ჯონ მარშალი შრომის მოგებასა და ნაგავს ასე აკავშირებს: „ნაგავსაყრელი არ არის მხოლოდ კაპიტალიზაციის თანმდევი პროდუქტი, ეს კაპიტალიზმის წარმატებაა, რაც უფრო მეტია მოგება მით მეტია ნაგავი – იმაზე თუ გიფიქრიათ, რამხელა შრომა და დრო დაიხარჯა ამ პროდუქტების წარმოებაზე. ისიც გაითვალისწინეთ რომ ჩვენ განზრახ



შეგქმენით ისეთი ნივთები, რომლებიც მალევე ფუჭდება. არადა შეგვეძლო მთელი ეს დრო მეცნიერული, კრეატიული საქმიანობისთვის დაგვეთმო, შეგვექმნა სხვანაირი საზოგადოება“.

ნაგვის დამარხვა საკმაოდ რთული პროცესია, თანამედროვე ნაგავსაყრელზე მიწისქვეშა კონტეინერები („საპერობილები“) ე.წ. „ქვესადებზე“ აშენებული. ის ნაგვის გამოტუტვით მიღებული სითხეებისა და ნარჩენებიდან გამოყოფილი წვიმის წყალს აგროვებს, გრუნტის წყლებს დაბინძურების საშუალებას არ აძლევს და მთელ ამ სითხეს წყლის გამწმენდი ობიექტებისაკენ მიმართავს. ამ ტოქსიკური სითხის გრუნტის წლებში მოხვედრა დამანგრეველი იქნებოდა. „ქვესადებები“ ლანდშაფტისა და კლიმატის მიხედვით განსხვავდება. მათი შემადგენლობა ასეთია: რამდენიმე ფუტის სიმაღლის დატკეპნილ მიწას ბეტონიტის თიხის („Claymax“) ფენა ფარავს. ამ ყველაფერს შავი 60 მილიმეტრიანი HDPE-ს („მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის“) დამცვი აკრავს, ეს უფრო სქელი პლასტმასაა ვიდრე რძისა და საწმენდი საშუალებების ბოცების მასალა, შემდეგი ფენა პლასტმასის ამოსაშრობი ბადეა, რომელსაც ზემოთ ბენტონიტური თიხისა და მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის კიდევ ერთი ფენა აკრავს, ქვემოდან კი ნახევარი ინჩის სისქის სინთეზური ქსოვილი იცავს, ამოშრობის გასამარტივებლად ეს ყველაფერი ხრემის 20 მეტრიანი ფენითაა დაფარული. ნაგვით ავსების შემდეგ, რომელსაც წლები სჭირდება, მიწისქვეშა კონტეინერები ილუქება. რამდენიმე ფუტის სისქის ტალახი ხარისხდება და სატკეპნი მანქანით ნაგავს ზემოდან ეყრება. იმისთვის, რომ ნაგავი მთლიანად შეიფუთოს, ბენტონიტური თიხის სინთეტიკური ბადისა და პლასტმასის ფენები „ქვესადებს“ უერთდება და ნაგვის მასას ზემოდანაც ეფარება, დალუქულ ნაგავს მუდმივად ადევნებენ თვალს, ამოწმებენ ირდევვა თუ არა სახელმწიფო რეგულაციები, კანონი სუფთა ჰაერისა და სუფთა წყლის შესახებ. ტექნოლოგიურად განვითარებული ნაგავსაყრელები გამოტუტული სითხეების, გარემოს წყლების ტოქსიკურობას ამოწმებენ, გამოდევნიან „ნაგავსაყრელის აირებს“ – მეთანს, ნახშირბადის ტოქსიდს, აქროლად აირებს, ნაერთებს, სახიფათო დამაბინძურებლებისა და ნარჩენების დაშლისას წარმოქმნილ არომატული ნაერთებს. ამას აკონტროლებს ჰაბურდილები, რომლებიც ნაგვის ორთქლს შეიწოვს, წესით, ეს აირები შემდეგ ან იწვება, იშლება ან ელექტროენერჯიად გარდაიქმნება. ასეთ სრულყოფილ ნაგავსაყრელსაც აქვს პრობლემები. მაგ., ზოგ მეგასაყრელზე გრუნტის წლებში მძიმე ლითონებმა შეადწია. „ქვესადები“ არ არის მუდმივი. მათი უმრავლესობა მხოლოდ 50 წელი ძლებს. ეს მაინც შენელებული მოქმედების ბომბია. ვინაიდან ნაგვის შენახვის თანამედროვე გზები დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ამიტომ პატარა ბიზნესები და მუნიციპალიტეტები ამ საქმეს გიგანტურ, მდიდარ ფირმებს უთმობენ. დღეს მოთხოვნები გამკაცრებულია, კონტროლდება ყველაფერი „ქვესადების“ მშენებლობიდან მიწისქვეშა კონტეინერებამდე, ეს მეთოდი სხვა მეთოდებთან შედარებით ნაკლებ სახიფათოა. ნარჩენების განადგურებაზე უდიდესი რესურსები იხარჯება. ნაგვის მოვლის ყველა სისტემა, თითოეული გადასატვირთი სადგური, გადაამუშავების ცენტრი, ნაგავსაყრელის ნაგვის საწვავები, დამარხვა, რთული წამოწევაა. ამ ობიექტებში უახლეს მეთოდებს იყენებენ, რომლებიც მსოფლიო ლაბორატორიებში, უნივერსიტეტებში, კორპორაციულ კორპუსებში გამოიმუშავეს. ნაგვის განადგურებას სოციალური, პოლიტიკური და ფინანსური ძალები უწყობენ ხელს. კითხვა კითხვად რჩება, რატომ გვაქვს ამდენი ნაგავი? ინდუსტრიალიზაციამ დააჩქარა ურბანიზაცია. წარმოებამ სოფლის მეურნეობიდან ქარხნებში გადაინაცვლა. დასაქმებული მოსახლეობა პროდუქტებისა და ტანსაცმლის სახლში დამზადების მაგივრად უკვე ყიდულობდა. დასაქმებული ადამიანები კი უკვე ვეღარ იცლიდნენ გაფუჭებული საოჯახო ნივთების შესაკეთებლად და ახალს ყიდულობდნენ, გაიზარდა მოხმარება და შესაბამისად ნაგავი. ორ დიდ მსოფლიო ომში დაგროვილი მეცნიერული აღმოჩენების სამოქალაქო ცხოვრებაში გამოყენება დაიწყო, პოლიეთილენის ქაღალდის თეფშები, ერთჯერადი საფენი, გაყინული პროდუქტები, სწრაფი კვება, მაცივრები, სარეცხი მანქანები, ავტომობილის ცელოფენები და ა.შ. წარმოების სტილი რადიკალურად შეიცვალა. დაიწყო შეფუთვების ეპოქა, წარმოების ოქროს ხანა, სწორედ ამ დროს გახდა ნაგავი ისეთი, როგორიც დღესაა: მრავალფეროვანი, ტოქსიკური, რბილი გაზრდილი წარმოება, გაზრდილი მოხმარება და შესაბამისად გაზრდილი ნაგავი ერთმანეთის პირდაპირპროპორციულნი არიან. ნივთების წარმოება გამარტივდა მაგრამ მათი გაყიდვა და გადაყრა არცთუ ისე მარტივი აღმოჩნდა. მწარმოებლებმა გაყიდვების გაზრდის გზების ძიება დაიწყეს, გამოსავალის მოძიება – „გარდაუვალი ცვეთის“ პრინციპი. ფირმები განზრახ ქმნიდნენ

ისეთ პროდუქციის, რომელიც მალე გაფუჭდება. გაზრდილი წარმოებიდან გამომდინარე, ნივთები გაიფუჭდა. მათი გამოცვლა უფრო ნაკლები ჯდება ვიდრე შეკეთება. გაჩნდა ნაგვის კიდევ ერთი ახალი კატეგორია – მოდიდან გამოსული მოწყობილობები. დიდი კონკურენციის გამო მწარმოებლები ხშირად ჯერ კიდევ მუშა დანადგარს ყრიდნენ და ახალს იყენდნენ, მწარმოებლები უკვე მრავალი ტიპის დაძველების ხერხს იყენებდნენ. ამის შედეგად კი ადამიანები მეტს და მეტს მოიხმარდნენ. მოხმარება ცხოვრების წესად იქცა. დევიზი გახდა: დიდი სიჩქარით მოვიხმაროთ, შევცვალოთ, დავწვათ და გადავაგდოთ.

დაძველების მექანიზმი ყველაზე კარგად ერთჯერად პროდუქტებში აისახა. მარკეტოლოგები ამ ნივთებს სუფთა და კომფორტულ საშუალებებად წარმოაჩენდნენ, ერთჯერადი საქონელი მიმზიდველი იყო. ზოგი მათგანი ცხოვრებას ამარტივებს, მაგრამ საბოლოოდ ეს პროდუქცია ნაგავის ისედაც უზარმაზარ მასას ზრდიდა, თუ მანამდე საქონლის შეფუთვა უბრალოდ შენახვის საშუალება იყო, ახლა ის უკვე ინფორმაციის წყარო, სარეკლამო ხერხი გახდა, რა საქონლის შესყიდვისას. მას მყიდველის ყურადღება უნდა მიექცია და მიეზიდა. მეთოდმა გაამართლა. ის წარმატებული მარკეტინგული სტრატეგია აღმოაჩნდა. ინდუსტრიები შეფუთვებზე თითქმის იმდენივეს ხარჯავდნენ, რამდენსაც შესაფუთი პროდუქციის წარმოებაზე. ერთჯერად გადასაყრელ იაფ ნივთებსა და შეფუთვებს ძირითადად პლასტმასისაგან ამზადებდნენ. პლასტმასი სულ მალე ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრია გახდა, მისი დამზადება ნებისმიერ ლაბორატორიაში შეიძლებოდა. პლასტმასისაგან ამზადებდნენ ჭურჭელს, მაგიდებს, სკამებს, ერთჯერად კალმებს, სათამაშოებს, სამხედრო აღჭურვილობასაც, არტილერიის ტიპების ღობეების, ღია კაბინის ფანჯრების, ნაღმების, ქუდების, სათვალის, საწვიმრების, წყალგამტარ კარვებს, პარაშუტებს, ელექტრომათვლეებს და ატომური ნადმის ნაწილებს, „დოუმ“ თვითმფრინავების, არტილერიისა და „სხვა ფაქიზი აღჭურვილობის“ მასალისა და ზღვის შეფუთვისაგან დასაცავად სარანის აპიცი კი შექმნა. რ. ბარტის თქმით, „პლასტმასის გამოჩენის შემდეგ მასალების იერარქია დაინგრა: ერთ-ერთი მათგანით ყველა დანარჩენის ჩანაცვლება შესაძლებელი, ჩვენ შეგვიძლია მთელი მსოფლიო პლასტიკურად ვაქციოთ. ტეხასში პლასტმასისგან პირველი ნაგვის ყუთი დაამზადეს – 22 ბალონიანი ურნა მყიდველებს ასწავლიდნენ როგორ უნდა მოეხმრათ და გადაეყარათ სინთეტიკა, სარეკლამო სამსახური და პიარი უდიდეს როლს თამაშობდა გაყიდვების ინდუსტრიაში. კაცობრიობამ დაიწყო ბრძოლა ნაგავთან.

ვისკონსინის არქიტექტურმა ჯ. ჰამსმა პირველი ნაგვის საპრესი გამოიგონა, ეს მოწყობილობა ორგანულ ნარჩენებს ფქვაავდა და წყალთან ერთად კანალიზაციაში უშვებდა. 1950-იან წლებში ამერიკულ სახლებში 2 მილიონზე მეტი საპრესი დააყენეს. ნაგავის საპრესი სატვირთო მანქანა კიდევ ერთი ინოვაცია იყო. ამ ავტომობილით მეტი ნაგვის გადაზიდვა შეიძლებოდა და ნაკლები მუშახელი სჭირდებოდა. სატვირთოები ნარჩენებს დახურულ სივრცეში ჰიდრაულურად აბრტყელებდნენ, ამით ნაგვის მოპოვება და მოგროვება დაჩქარდა. ნაგავსაყრელებზე უკვე ნარჩენების კომპაქტური გროვები მიჰქონდათ. ნარჩენების დიდი ნაწილი სახლებშივე ნადგურდებოდა საპრესით, ხოლო ქუჩებში რაც გაჰქონდათ იმას სატვირთოები პრესავდნენ და აფუჭებდნენ. გადაყრილი ნივთების ამოკრეფა გართულდა, საპრესი სატვირთოები იაფი და სწრაფი საშუალება იყო.

ბუნების დაცვის მოძრაობა ჯერ კიდევ „დედამიწის დღემდე“ დაიწყო. გაზრდილი მრეწველობის საფრთხეებს საზოგადოება მანამდეც აღიქვავდა და ჰაერის დაბინძურება ყოველთვის მავნე მოვლენად აღიქმებოდა. მაგ., ლონდონის ერთ-ერთი ქარხნის ტოქსიკური გამონაბოლქვი ინვერსიამ მიწასთან შეაკავა, ჰაერის ასეთმა ინტენსურმა დაბინძურებამ კი 4000 ადამიანი შეიწირა. მოსახლეობა ტყეების ჩეხვას კაშხალის მშენებლობისას 60-იან წლებში აპროტესტებდა. ამ წლებში აშშ-ის ქალაქებში უამრავი საპროტესტო აქცია იმართებოდა. ეკოლოგია აქტუალური საკითხი გახდა, პრეზიდენტმა ნიქსონმა თავის ყოველწლიურ გამოსვლაში აღნიშნა: „მათ სუფთა ჰაერი, წყალი და გარემო უნდა დაიბრუნონ, ან ახლა ან არასდროს“, პრეზიდენტის ეს სიტყვები გარდაუვალი ფუნდამენტური ცვლილებების მომასწავებელი იყო, საზოგადოებამ, რომელმაც დედამიწის რესურსების ამოწურვადობა გაიაზრა, დაუპირისპირდა ინდუსტრიას, რომელთაც ეკოლოგია ნაკლებად აღელვებდათ და რომლებიც მხოლოდ მოგებაზე იყვნენ ორიენტირებულნი. ადამიანები მიხვდნენ, რომ ომის შემდგომი წლების ეკონომიკურ აღმავლობას ეკოლოგიური კუთხით დიდი უკუეფექტი ჰქონდა. მასობრივი წარმოება და მოხმარება, გაზრდილი მოგება და გაყიდვები აზიანებდა ეკოლოგიურ სისტემას. მწარმოებლებმა საკუთარი ხარჯები ბუნებას

დააკისრეს, მიყენებული ზიანის გამოსწორება კი საზოგადოებას მოუწევდა, სახელმწიფო ინდუსტრიებს ხელს უწყობდა ბუნებრივი რესურსების ბოლომდე გამოყენებაში, არანაირი დამზოგვი პოლიტიკა არ არსებობდა ამ საკითხში, ნაგავი კი საზოგადოების პასუხისმგებლობად მოიაზრებოდა, ნაგვის მოვლის ტექნიკებსა და პროგრამებს, მუნიციპალური სააგენტოები აფინანსებდნენ, სახელმწიფო კი მწარმოებლების უმნიშვნელო შეზღუდვებს უწესდებოდა. ასეთი მიდგომები ეკოლოგიური სისტემას ანადგურებდა.

და აი 1970 წლის 22 აპრილს 20 მილიონი ამერიკელი ქუჩებში გამოვიდა. ხალხით გაივსო პარკები, სკვერები, ეზოები, ისინი ახალ გლობალურ პრობლემას – გარემოს დაბინძურებას აპროტესტებდნენ. ეს იყო პირველი „დედამიწის დღე“. იქ შეკრებილი ადამიანები ამბობდნენ, რომ გაფლანგული რესურსები სწორედ გაჩეხილი ტყეები, მოწამლული წყლები, დაბინძურებული ჰაერი და ნაგვის დიდი გროვები იყო. გარემოს სავალალო მდგომარეობა მთელ ქვეყანაში აქტიური განხილვის საგანი გახდა. შსს მინისტრის უ.ჯ. ჰოკელის მიერ ორგანიზებულმა მიტინგმა მთელი ამერიკა მიიზიდა: ფერმერები, მინისტრები, მოსწავლეები, ბავშვები, დედები, სტუდენტები, პოლიტიკოსები და ჰიპებიც კი, აქციები მეტად მასშტაბური და ყოვლისმომცველი იყო. საზოგადოებამ დაიწყო აქტიური ბრძოლა ეკოსისტემების გადასარჩენად. პრეზიდენტმა ნიქსონმაც აქციას მხარდაჭერა გამოუცხადა. აქტივისტები ეკოლოგიურ კრიზისში ბიზნესსექტორს ადანაშაულებდნენ. მინისტრმა ჩენინგ ე. ფილიპსმა განაცხადა: „გარემოს გაუპატიურება უფრო მომგებიანია, ვიდრე დედამიწის მოვლა და მისი მწირი რესურსების დაზოგვა“. სტუდენტებმა პროტესტის ნიშნად 2500 დოლარიანი ავტომობილი იყიდეს და დამარხეს, ახალგაზრდები ავტოსტრადებს მიუყვებოდნენ და სანაპიროს ასუფთავებდნენ. სენატორი ნელსონი საზოგადოებას კონსტიტუციის შეცვლას სთავაზობდა. პირველი „დედამიწის დღე“ უაღრესად მასშტაბური და შედეგიანი იყო, სწორედ ამ დროს გაჩნდა ახალი სლოგანი „შეამცირე, გამოიყენე, გადაამუშავე!“

მოსახლეობის ზრდასთან ერთად ურბანიზაციისა და მასობრივი წარმოების კვალდაკვალ, ნარჩენების რაოდენობა კვლავ კატასტროფულად იზრდებოდა, წინა წლებში, როცა ახალი მიწები იყო საჭირო, მუნიციპალიტეტები ახალ ნაგავსაყრელებს ქალაქის გარეუბნებში აშენებდნენ. შემდეგ ნარჩენების ქალაქთან ახალის დაყრა აიკრძალა. ნაგვის ცენტრიდან შორს წაღება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და, რაც ყველაზე მთავარია, ახალი ნაგავსაყრელების ასაშენებლად მიწების პოვნაც გართულდა, გარეუბნები საკუთარ ტერიტორიებს უკვე მკაცრად აკონტროლებდნენ. მუნიციპალიტეტებმა ამ კრიზისიდან გამოსვლის ძებნა დაიწყეს, საზოგადოებრივი პროტესტიც მატულობდა, ამიტომ ნაგვის კომპანიები, მწარმოებლები და მთავრობა იძულებულნი გახდნენ გადაამუშავენების მეთოდები დაენერგათ, რეციკლირება ოპტიმალური გამოსავალი იყო. გარემოსთვის სასარგებლო ამ მეთოდს საზოგადოება მოწონებით შეხვდა. გადაამუშაება დაწვასა და გადაყრას მაინც ჯობდა, იგი ბევრად ეფექტური მეთოდია. ადამიანები უკვე სინდისის ქენჯნის გარეშე ყრიდნენ ნივთებს. დაიწყო ნაგავსაწვავების გაუქმება, დიოქსინი, რომელიც ნაგავის წვის შედეგად წარმოიშობა და მძიმე დაავადებებს აჩენს ვერ კონტროლდება სანიტარიის დეპარტამენტის მიერ. ნაგავსაწვავებს აღსასრულის დღე დაუდგათ, ისინი თითქმის გაქრა, 1980-1990-იანი წლები გადაამუშავენების „რენესანსის ეპოქა“ იყო, დიასახლისებს უკვე სხვადასხვა ტიპის ნარჩენებისთვის განსხვავებული ურნები ჰქონდათ. გააქტიურდნენ ეკოლოგ დამცველები. ქუჩებში განათავსეს ფერადი ურნები, რომლებშიც მოსახლეობა სხვადასხვა ტიპის ნარჩენებს ანაწილებდა. შემოიღეს ახალი პროგრამები. აშშ-ში 1989 წელს გადაამუშავენების ინტენსიური პროგრამა შემოიღეს. სისტემა „ბარი კომონერის ბიოლოგიისა და ბუნების სისტემების ცენტრმა შექმნა“ და ის დღემდე თანამედროვე პროგრამად ითვლება, დროს გაუძლო, პრინციპი 4 განსხვავებული ფერის ურნაა, აქედან ერთი – ორგანული ნარჩენებისთვის, მეორე – ქილებისა და ბოთლებისთვის, მესამე – ქაღალდისა და მუყაოსთვის მეოთხე – მასალისთვის, რომელიც არ გადაამუშავდება (უსარგებლო ნარჩენები) ამ ინიციატივით აღმოჩნდა, რომ ნაგვის 85% გადაამუშავებადი იყო. ნაგავსაყრელებზე კი 15% ხვდებოდა მხოლოდ, ეს პროგრამა (გადაამუშაება) იმდენივე ნაგავს უმკლავდება, რამდენსაც ძველი ნაგავსაყრელები. გადაამუშავენების მეთოდს დღეისათვის ყველა განვითარებული ქვეყანა იყენებს. რეციკლირების პოპულარიზაციიდან გამომდინარე, მეწარმეებმაც შეცვალეს ტაქტიკა. სასმელების ბოთლებსა და ქილებზე რეციკლირების სიმბოლო გამოჩნდა, ფერმებმა და კომპანიებმა ეკოლოგიისთვის სასარგებლო აქტივობები გააჩაღეს. საზოგადოება უკვე ნაგვის მოვლასა

და გარემოს დაბინძურებას ბევრად მკაცრად უდგებოდა, ბიზნესსექტორი თითქმის ჩიხში აღმოჩნდა. ნაგავს აღარაფერი წვადა, დამარხვა გამართლდა, წყალში ჩაყრა აიკრძალა, ეკოლოგიური მოძრაობა კი გაძლიერდა. ნარჩენების მართვის ერთადერთი მეთოდი, რომელსაც რეგულაციები არ ზღუდავდა, გადამუშავება იყო. გადამუშავებას ბევრი დადებითი თვისება აქვს. გარემოს დაცვის ფონდის თქმით, გადამუშავებისას 5-ჯერ მეტ ენერჯიას ვზოგავთ, ვიდრე ნაგვის გადაყრისას ვხარჯავთ.

მერქნის მასასა და ხეებთან შედარებით, გადამუშავებული ცელულოზით ქაღალდის დამზადებას 58%-ით ნაკლები წყალი სჭირდება და 76%-ით ნაკლები გამონაბოლქვის გამოყოფისას. აქვე უნდა ითქვას, რომ რეციკლირებული მასალისაგან ცუდი ხარისხის მასალა მზადდება, გადამუშავების ყველა ნივთიერება მოლეკულურ მთლიანობას კარგავს და ხშირად გამოუყენებელი ხდება. მაგ., დამდნარი შუშა კარგავს გამძლეობას, ასევე პლასტიკი, ქაღალდის ბოჭოკოები იმსხვრევა და სუსტდება. გადამუშავებული მასალის გაყოფაც რთულია, ხშირად პირველადი რესურსი გადამუშავებულზე იაფია. მიუხედავად რიგი ხარვეზებისა, გადამუშავება სხვა მეთოდებთან შედარებით ნარჩენების შეკავების პოლიტიკასთან ასოცირდება, და ყველაზე ოპტიმალურ გზად მიიჩნევა. ნარჩენების მართვის მხრივ გერმანია ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა მსოფლიოში. მან ჯერ კიდევ 1991 წელს გამოსცა „შეფუთვების ბრძანებულება“, კანონის მიხედვით გადაყრილი შეფუთვების მოგროვება, დახარისხება, გადამუშავება და გადაყრა გადასახადების გადამხდელების მაგივრად მწარმოებლებს უნდა დაეფინანსებინა. ეს არის „მწარმოებლის განგრობითი პასუხისმგებლობის“ ერთ-ერთი ფორმა. კანონის მიხედვით, ინდუსტრიებს შეფუთვის მოვლის ახალი სისტემა უნდა შეემუშავებინა და დაეფინანსებინა, „შეფუთვების ბრძანებულება“ მრეწველობაში მნიშვნელოვანი ჩარევა იყო სახელმწიფოს მხრიდან. ეს კანონი დღემდე ძალაშია და იმის მაგალითს წარმოადგენს, თუ როგორ უნდა შეფუთვით შეფუთვებს, რომელიც ნაგვის ყველაზე დიდ კომპონენტს შეადგენს. აღნიშნული კანონის შედეგად მწარმოებლებმა ნაგვის მოვლის საკუთარი მეთოდები შეიმუშავეს. შეიქმნა „მწვანე წერტილი“-ს სისტემა, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს, მას გარემოს დაცვის სააგენტო აკონტროლებს და წარმომადგენელთა გაერთიანება წარმართავს, (DSD) „დუალის სისტემ დოინლანდი“, ეს მარტივი პროცედურაა, მას შემდეგ, რაც კლიენტები პროდუქტს იყიდებიან, ისინი შეფუთვის მაღაზიაშივე ან სახლების წინ ტროტუარზე, ყვითელი პარკში ან ყუთში ტოვებენ ნაგავს, შემდეგ DSD აგროვებს, ეს მეთოდი კომპანიებს უბიძგებს, ნაკლები აწარმოონ და ნაკლები ერთჯერადი პროდუქტი შექმნან, ვინაიდან ნაგვის მოვლის ხარჯების დაფარვა თვითონ მოუწევთ. ამ პროგრამის შედეგად შეფუთვების მოხმარება შემცირდა. გადამუშავება და მრავალჯერადი ბოთლების რაოდენობა კი გაიზარდა. ამ პროგრამით ნარჩენების ყოველდღიურმა დახარისხებამ ადამიანებს დაანახა, თუ რამხელა ფასი აქვს მის ნაგავს და დახარისხების კულტურა დაამყარა ქვეყანაში.

ნაგვის პრობლემის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გამოსავალი მრავალჯერადი ბოთლებია, ეს მეთოდი ბევრ განვითარებულ ქვეყანაშია გავრცელებული, როგორცაა: გერმანია, დანია, ფინეთი, ჰოლანდია, აგრეთვე სამხრეთ ამერიკის ქვეყნები: არგენტინა, მექსიკა, ბრაზილია. მრავალჯერადი ბოთლი ძირითადად შუშისაგან ან სქელი პეტისგან – პოლიეთილენ ტერეფთალატისგან მზადდება. ფინეთში გადაყრილი ერთჯერადი შეფუთვები ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით 2-ჯერ ნაკლებია. ხოლო წლიურად ნაგვის რაოდენობა 390 ტონით მცირდება.

მსოფლიოში თავისუფალი რეციკლირება მოხშირდა, როგორცაა ნივთების სხვისთვის დარიგება გადაყრის მაგივრად, ეს პრაქტიკა ტაქსონელმა დ. ბილმა წამოიწყო. ამ პროგრამის მიზანია გამოუსადეგარი ნივთების მფლობელების დარიგებთან დაკავშირება, მთავარ ვებგვერდს ადგილობრივი განმტოვებები აქვს, სისტემის მიზანია ყველაფერი უფასოდ დარიგდეს და ნაკლები გადაიყაროს. ინტერნეტის წყალობით, ადამიანების დაკავშირება და ნივთების გაცვლა საკმაოდ სწრაფი და მარტივია, არსებობენ კომპანიები რომელთა მიზანი გადაყრილი ნივთების გადარჩენაა, მუნიციპალიტეტთან დადებული კონტრაქტის თანახმად, კომპანიებს მიაქვთ ნაგავი და ყიდიან გარკვეული სივრცეში, ეს ნივთები მრავალფეროვანია: კარადა, სკამი, სამშენებლო მასალა, ჭიქა-კოვზი, ელექტრომწოდებლობა და ა.შ. ნივთების გადარჩენით ჩვენ წარმოებული პროდუქციის, მასალის და იმ ენერჯიას ვზოგავთ, რაც მის წარმოებაში დაიხარჯა.

წარმოების შედეგად 70-ჯერ უფრო მეტი ნაგავი წარმოიქმნება ვიდრე ოჯახებში. ნარჩენების მოვლის მეთოდების მიუხედავად, რომელიც ზემოთ განვიხილეთ, მისი რაოდენობა

მაინც არ მცირდება. ნარჩენების მოვლასთან დაკავშირებით გარემოს დამცველები ვეთავაზობენ კიდევ ერთ – „ნულოვანი ნაგვის“ სტრატეგიას, ეს სისტემა ნაკლები ნაგვის წარმოქმნას გულისხმობს.

მართალია, ნარჩენების გადამუშავება დღესდღეობით ყველანაშე უფასო ოპტიმალური მეთოდია, მაგრამ მთავარი არის ის, რომ ნაგვის რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდება ვიდრე მისი გადამუშავების ტემპი. გადამუშავება ნაგვის შემცირებას ვერ ახერხებს. „ნულოვანი ნაგვის“ მეთოდი უფრო ღრმა და საფუძვლიანია ვიდრე მხოლოდ გადამუშავება. იგი გლობალურად განიხილავს ნარჩენების პრობლემას და ახდენს მისი წარმოშობის მიზეზების პრევენციას. იგი ებრძვის არა მხოლოდ შედეგს, არამედ მიზეზს. ვინაიდან პრობლემა გლობალურია, თუ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს შორის არსებული დისბალანსი არ აღმოიფხვრა, მარტო შედეგთან ბრძოლა პრობლემას ვერ გადაჭრის. „ნულოვანი ნაგვის“ სტრატეგია გულისხმობს შემდეგს: იზრდება გადამუშავება (რეციკლირება); მცირდება ნაგავი და მოხმარება. პროდუქტები მხოლოდ მრავალჯერადი მოხმარებისთვის მზადდება, გაფუჭებული ნივთები ან შეკეთდება, ან მუშავდება და ისევ ბუნებას ან ბაზარს უბრუნდება. აღნიშნული პროგრამა მრეწველობის სისტემის გარდაქმნას ცდილობს. მას ბევრი პოლიტიკოსი და ბუნების დამცველი აქტივისტი ემხრობა. „ნულოვანი ნაგვის“ თეორიაში სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს თამაშობს. პოლიტიკოსებმა ბუნებრივი რესურსების დაზოგვა კანონებით უნდა წახალისონ, მათი ზედმეტი ხარჯვა კი დასაჯონ. „ნულოვანი ნაგვის“ სისტემა კომპანიებისგან არატოქსიკური ბიოსრწნადი მასალის გამოყენებას მოითხოვს, ასევე მოითხოვს ბუნებისთვის მიყენებული ზარალი პროდუქტის ფასშიც აისახოს, „ნულოვანი ნაგვის“ მომხრეებს ნაგავსაყრელებისა და ნაგავსაწვავების დახურვა სურთ. ამ პროგრამის ოპონენტების ასეთი ცვლილებების განხორციელება შეუძლებლად მიაჩნიათ. მათი აზრით, მსგავსი ნაბიჯები უმუშევრობას და სიღარიბეს გამოიწვევს. „ნულოვანი ნაგვის“ (ანუ „ანტი-ნაგვის“, როგორც მას მეორენაირად უწოდებენ) სისტემა გეპირდება ახალ შესაძლებლობებს პატარა ბიზნესებისთვის, კვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნის გაზრდას და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებასა და გამყარებას. რაც შეეხება გადამუშავებას, დადგენილია რომ იგი მუშახელზე მოთხოვნას ზრდის. ნაგვის 1 ტონის გადამუშავებას 10-ჯერ მეტი თანამშრომელი სჭირდება, ვიდრე მის დამარხვას ან დაწვას.

„ნულოვანი ნაგვის“ კონცეფცია მოგვიწოდებს ნარჩენებს ახლებურად შევხედოთ, დავაფასოთ და გაუფრთხილდეთ ბუნებრივ რესურსებს, არ დავანაგვიანოთ დედამიწა, იგი ხომ ჩვენი სახლია, არსებობს კულტურები, რომელთაც ვერ წარმოუდგენიათ რომ რომელიმე ობიექტი შეიძლება გამოუსადეგარი და გადასაგდები იყოს. „ნულოვანი ნაგვის“ კონცეფცია შეიძლება ზოგს უტოპიადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ იგი უკვე დანერგეს ავსტრალიაში, კანბერას ტერიტორიაზე, ჰალიფაქსში, ტორონტოში, დღესდღეობით მსოფლიო მასშტაბით ნარჩენების მართვის ყველაზე უფრო ოპტიმალური მეთოდი რეციკლირებაა. საქართველოში 50-მდე ნაგავსაყრელია. საჭიროა მოსახლეობის ცნობიერების უფრო მეტად ამაღლება ამ კუთხით, მათი ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში და ტრენინგების ჩატარება, მოსწავლეებსა და სტუდენტებთან ჩვენთან ჯერჯერობით არ არის ფერადი ნაგვის ურნები, როგორც სხვა განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ მთავრობა და მერია დგამს ნაბიჯებს სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებისა და სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად. წელს ეროვნული მუზეუმის ეზოში ჩატარდა 15 დღიანი კამპანია, „პლანეტა თუ პლასტმასა“. სექტემბერში ამ თემაზე იგეგმება ფოტოგამოფენა. საქართველო პატარა ქვეყანაა და იმ საჭირობორტო საკითხთან დაკავშირებით, როგორც ნარჩენების მართვაა, კარგი იქნება თუ გადმოიღებს ისეთი პატარა განვითარებული ევროპული ქვეყნების მაგალითს როგორიცაა ფინეთი, დანია და ა.შ. საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა მსოფლიოში ბუნებრივი გატყინებით. გვაქვს მდიდარი ბუნებრივი ლანდშაფტი, წყლის რესურსები იგი მიმზიდველი ქვეყანაა ტურისტებისთვის და ყოველწლიურად 10 მილიონი ტურისტი სტუმრობს, ეკოლოგია, ისევე, როგორც მთელი მსოფლიოსთვის, ჩვენი ქვეყნისთვისაც უმნიშვნელოვანესი საკითხია. გარემოს დაცვა და მისი მოვლა კი ჩვენი ყველა მოქალაქის პასუხისმგებლობა და მოვალეობაა.

„მწვანე ეკონომიკა“ განვითარების ის მოდელია რომლის საშუალებითაც მსოფლიო შეიძლება დარღვეული ბალანსი ადადგინოს ეკოლოგიასა და ეკონომიკას შორის. ეკონომიკა საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, წარმოებისა და მოხმარების გარეშე კი საზოგადოების არსებობა წარმოუდგენელია, აქედან გამომდინარე, „მწვანე ეკონომიკას“ ალტერნატივა არ გააჩნია. პლანეტა გასაჭირშია, შესაბამისად ადამიანიც.

გლობალური ეკოლოგიური საფრთხეები კიდევ უფრო ღრმავდება, სლოგანი სახეზეა „უნდა გავმწვანდეთ“, „მწვანე ეკონომიკა“ კი „მწვანე პლანეტის“ საწინდარია, რაც მომავალ თაობებს გადაარჩენს და არსებობას შეუნარჩუნებს.

### დასკვნა

მასობრივი წარმოებისა და მოხმარების კვალდაკვალ, ნარჩენების ნაკადი იზრდება, მათი მოვლა და მართვა რთული პროცესია. დღესდღეობით გადამუშავება ყველაზე უფრო ოპტიმალურ მეთოდად ითვლება მსოფლიოში, ასევე არსებობს „ნულოვანი ნაგვის“ კონცეფცია, რომელიც ჯერჯერობით აქტიურად არ განიხილება, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ პლანეტის მოსახლეობა იზრდება და დედამიწა ვეღარ შეძლებს ყველას გამოკვებას, შეიძლება შორს არ არის ის დღე, როდესაც მსოფლიო აღიარებს „ნულოვანი ნაგვის“ კონცეფციას და განახორციელებს იმ ფუნდამენტურ ცვლილებებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რასაც ეს მეთოდი ითვალისწინებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ინოვაციური ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2014.
2. აბესაძე რ. ორგანული ქიმიის, როგორც მაღალი ტექნოლოგიის, გამოყენების თავისებურებები ეკონომიკაში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. XI. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2019.
3. თეთრაული ც. ნანოტექნოლოგიების განვითარება და მისი გამოწვევები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XI. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2019.
4. „USA Risk: Macroeconomic Risk“ Economist Intekbgtnce Unit-Riskwire, no. 101 (July, 7, 2003).
5. პ. როჯერი. ხვალამდე გაქრება (ნაგვის ისტორია) თბილისი, 2015.
6. ს. ფიშერი, რ. დორნბუში, რ. შმაღეზი – ეკონომიკა (ECONOMICS) ტ. IV. თბილისი. 1998.
7. პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკის. თბილისი, 2011.

*Tsitsino Tetrauli*

## THE WAYS AND METHODS OF WASTE MANAGEMENT

### Summary

The work deals with the ways and ways of waste management, its negative impact on the natural environment and man (polluted land, water, air); The reasons for the growth of waste, which are deeper and fundamental than analyzed on the surface, are analyzed by mass production and consumption of 70% of waste. The attitude of the society of the previous century to waste and the methods of his care are covered; The experience of developed countries is characterized by waste management, ways and methods developed by them; The role and significance of the "green economy" as a non-existent model is the development and survival of the future community, as well as the global threats that threaten the entire planet due to a violated ecological balance that results from anthropogenic impact in nature and requires rectification.

ადამიანისეული კაპიტალის როლი  
ინკლუზიური მწვანე ზრდის უზრუნველყოფაში


**ანოტაცია.** ინკლუზიური „მწვანე“ ზრდის კონცეფცია ემყარება ეკონომიკური ზრდისა და განვითარების სტიმულირებასა და ბუნებრივი აქტივების შენარჩუნების, ეკოსისტემების ეფექტიანობის პრინციპებს. ამისათვის საჭიროა ინვესტიციებისა და ინოვაციების ზრდა, რაც წარმოადგენს მდგრადი განვითარების საფუძველს. სწორედ ადამიანისეული კაპიტალია ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორი ინკლუზიური მწვანე ზრდის უზრუნველსაყოფად.

ნაშრომში განხილულია ადამიანისეული კაპიტალის ინდექსის, როგორც ადამიანისეული კაპიტალის მოცულობის საზომის არსი. იგი წარმოადგენს მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ თანამედროვე საზომს, რომელიც ფოკუსირებულია მომავალი თაობის მწარმოებლურობასა და პროდუქტიულობაზე.

საზგასმულია, რომ ადამიანისეული კაპიტალის გარეშე შეუძლებელია მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, ისევე, როგორც კვალიფიციურ მუშაკთა კონტინგენტის ფორმირება და მსოფლიო ეკონომიკურ არენაზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, აუცილებელი პირობების შექმნა ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ადამიანისეული კაპიტალი, ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი, მწვანე ზრდა.

ნებისმიერი ქვეყნისათვის, ეკონომიკის განვითარების რა ეტაპზეც არ უნდა იყოს ის, უადრესად მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. საზოგადოების განვითარების დღევანდელი ეტაპისათვის კი არ არის საკმარისი მხოლოდ ზოგადად ზრდა. სულ უფრო აქტუალური ხდება ინკლუზიური მწვანე ზრდის თემატიკა და სულ უფრო მეტი ქვეყნისათვის ხდება პრიორიტეტული ინკლუზიური მწვანე ზრდის უზრუნველყოფა. როგორც ცნობილია „მწვანე“ ზრდის კონცეფცია ემყარება ეკონომიკური ზრდისა და განვითარების სტიმულირებას ბუნებრივი აქტივების შენარჩუნების, ეკოსისტემების ეფექტიანობის პრინციპებს. ამისათვის საჭიროა ინვესტიციებისა და ინოვაციების ზრდა, რაც წარმოადგენს მდგრადი განვითარების საფუძველს. გამოიყო სფეროებიც, რომლებიც უმნიშვნელოვანესად ითვლება „მწვანე“ ზრდისათვის. მათ შორისაა ინოვაციები და ტექნოლოგიები (განსაკუთრებით ეკოლოგიის სფეროში), „მწვანე“ საწარმოების რიცხვის ზრდა.



ნახ. 1. ინკლუზიური მწვანე ეკონომიკა

ინკლუზიური მწვანე ზრდის კონცეფციას კარგად გამოხატავს გაეროს განვითარების ფონდის მიერ შექმნილი გრაფიკული გამოსახულება (ნახ.1). მწვანე ზრდისაგან განსხვავებით ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ხდება სოციალური განვითარებაც, რაც, თავის მხრივ, უფრო მნიშვნელოვანს ხდის ადამიანისეულ კაპიტალს [1].

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ შეიმუშავა სპეციალური სახელმძღვანელო მწვანე ეკონომიკისათვის, რომელიც მოიცავს მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ ასპექტებს. აღნიშნულ დოკუმენტში მთავარი აქცენტები კეთდება ადამიანისეული კაპიტალის განვითარებაზე, ვინაიდან სწორედ ადამიანისეული კაპიტალი წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ ფაქტორს ინკლუზიური მწვანე ზრდის უზრუნველყოფისათვის. პრაქტიკულად ესაა სახელმძღვანელო უნარების იდენტიფიკაციისათვის, რომლებიც საჭიროა მწვანე ინკლუზიური ზრდის მისაღწევად.

ეკონომიკურ ლიტერატურაში საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ადამიანისეულ კაპიტალსა და ეკონომიკურ ზრდას შორის დამოკიდებულება საკმაოდ ძლიერია. ადამიანისეული კაპიტალი დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე და ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას მოსახლეობის ცოდნისა და უნარების მეშვეობით.

ადამიანისეული კაპიტალი მოიცავს რა ადამიანების ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და მოტივაციას, გააჩნია ეკონომიკური ღირებულება. ადამიანისეული კაპიტალი შედგება ცოდნის, უნარების და ჯანმრთელობისაგან, რომელიც ადამიანებს საშუალებას აძლევს, მოახდინონ საკუთარი თავის, როგორც საზოგადოების პროდუქტიული წევრის, რეალიზაცია.

ამერიკელი ეკონომისტის „Journal of Human Capital „ მთავარი რედაქტორის ისააკ ელრიხის (Isaac Ehrlich) მოსაზრებით აუცილებელია ეფექტიანი პოლიტიკის გატარება ადამიანისეული კაპიტალის დაგროვებისათვის, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს. აუცილებელია ინსტიტუციური პირობების შექმნა მის ინოვაციურ ტექნოლოგიად გარდასაქმნელად. ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების ისტორიის მაგალითზე ელრიხმა აჩვენა ადამიანისეული კაპიტალის როლი ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაში [3].

ნეოკლასიკური თეორია ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორად თვლიდა კაპიტალსა და შრომას, რომელთაც კლებადი ზღვრული ეფექტიანობა ახასიათებს. გრძელვადიანი ზრდისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ტექნოლოგიები. ელრიხის აზრით ტექნოლოგიები ენდოგენური ფაქტორია, რომელიც ადამიანისეული კაპიტალის პირდაპირპროპორციულია [3].

უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ ადამიანისეული კაპიტალის გაზომვა უადრესად რთული პრობლემაა. ადამიანისეული კაპიტალის გაზომვა შესაძლებელია სხვადასხვა პარამეტრის გამოყენებით: განათლების დონის, R&D მოცულობის, განათლებაში ინვესტიციების მოცულობის და ა.შ. ფართოდაა გავრცელებული მიდგომა, რომლის თანახმადაც ამ მაჩვენებლის გაზომვა შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ რამდენის ინვესტირება ხდება განათლებაში. მეტად განათლებულ მუშაკებს, ცხადია, ექნებათ მაღალი შემოსავლები, რაც შემდგომ გამოიწვევს მაღალ ეკონომიკურ ზრდას.

„ადამიანისეული კაპიტალი“ -- მსოფლიო ბანკის ამ პროექტის (2017წლიდან) ფარგლებში შემუშავდა ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი. ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი წარმოადგენს მსოფლიო ბანკის ადამიანისეული კაპიტალის პროექტის ნაწილს, რომელიც არის მხარდაჭერა ეროვნული მთავრობების ლიდერებისა ადამიანისეული კაპიტალში ინვესტირებისათვის. მსოფლიო ბანკის აზრით, „ადამიანისეული კაპიტალი არის მთავარი მამოძრავებელი მდგრადი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისათვის. ინვესტიციები განათლებასა და ჯანდაცვაში მნიშვნელოვანია. ამავდროულად, უმნიშვნელოვანესია რომ ეს ინდექსი ქმნის პირდაპირ კავშირს ჯანდაცვასა და განათლებაში ინვესტირების შედეგებს, პროდუქტიულობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის“ [2].

ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი ზომავს იმ ადამიანისეული კაპიტალის მოცულობას, რომელსაც ბავშვი, რომელიც დღეს დაიბადა, მიაღწევს საშუალო სკოლის დამთავრებისას, იმ რისკების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია განათლებას, ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვასთან იმ ქვეყანაში სადაც ის დაიბადა. ამგვარად, ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს ახალი თაობის მწარმოებლურობას სრული განათლებისა და სრულყოფილი ჯანმრთელობის პირობებით უზრუნველყოფილი ეტალონურ დონესთან შედარებით. დღეისათვის ეს მაჩვენებელი გაიანგარიშება 157 ქვეყნისათვის.



ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი ფართოდ ცნობილი ადამიანისეული განვითარების ინდექსისგან განსხვავებით, უმეტესწილად ფოკუსირებულია მომავალი თაობის მწარმოებლურობასა და პროდუქტიულობაზე.

ეს ინდექსი საშუალებას იძლევა როდენობრივად შევაფასოთ ჯანდაცვისა და განათლების წვლილი მომავალი თაობის შემოსავლების დონესა და მწარმოებლურობაში. ქვეყნებს შეუძლიათ გამოიყენონ ის იმის განსაზღვრისათვის, თუ შემოსავლების რა ნაწილს კარგავენ ადამიანისეული კაპიტალის დეფიციტის გამო, და რამდენად სწრაფად შეუძლიათ მათ ეს დანაკარგები აქციონ მოგებად, თუ იმოქმედებენ დაუყოვნებლივ. ინდექსის არსი დაწვრილებითაა გადმოცემული მსოფლიოს განვითარების 2019 წლის ანგარიშშიც.

განათლებისა და ჯანდაცვის სფეროს განვითარების შესახებ საიმედო ინფორმაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ და მსოფლიო დონეზე. ეს ინფორმაცია არსებითია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთათვის. ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეფასება ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი სასურველი შედეგის მისაღწევად. ხოლო მსოფლიო დონეზე შედეგების კომპლექსური გაზომვა და შეფასება ნათელს ფენს ქვეყნებს შორის განსხვავებას და ააქტიურებს ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტირებას.

ჩვენის აზრით, ყველაზე განმაზოგადოებელი მაჩვენებელი, რომლითაც ხასიათდება საგადასახადო პოლიტიკა, ესაა საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელი. გადასახადების როლი ბიუჯეტის შემოსავლებში და, ზოგადად, სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში. საქართველოში საგადასახადო ტვირთის სიდიდესთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ოფიციალური სტატისტიკის მენოაცემების მიხედვით, საგადასახადო ტვირთის სიდიდე საქართველოში მერყეობს 10-22 პროცენტის ფარგლებში - 2002 წელს - 9,6 პროცენტი, 2003 წელს - 9,4 პროცენტი, 2004 წელს - 13,5 პროცენტი, 2005- წელს 15,7 პროცენტი, 2006 წელს - 19,1 პროცენტი, 2007 წელს -21,8 პროცენტი, 2008- წელს - 22,7 პროცენტი, 2009 წელს - 23,1 პროცენტი, 2010 წელს - 22,9 პროცენტი, 2011 წელს - 23,6 პროცენტი.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელება მოსალოდნელი მაკროეკონომიკური დისპროცესების მიზეზების გათვალისწინებით, რომ განსაზღვროს თუ როგორი საგადასახადო საბიუჯეტო სისტემა და პოლიტიკა შეუწყობს ხელს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასა და მაკროეკონომიკური ამოცანების (ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის შემცირების) წარმატებით გადაწყვეტას.

ჩვენის აზრით, მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო ხელისუფლების მიერ გატარებულმა კურსმა საგადასახადო რეგულირების სფეროში. იდეალური საგადასახადო სისტემა რამდენიმე გადასახადზე - შედარებით დაბალ საგადასახადო განაკვეთებსა და ფართო საგადასახადო ბაზაზე უნდა იყოს დაფუძნებული. რაც საბოლოო ჯამში გადასახადების გადახდას და გადასახადების დაგეგმილი მოცულობით ამოღებას აადვილებს.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში მოსული ხელისუფლების მიერ გატარებული კურსის წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით გაანხორციელებულმა რეფორმებმა, რაც გამოიხატა უმკაცრეს ადმინისტრირების პოლიტიკასა და საგადასახადო სამართალდამრღვევთა მიმართ ადეკვატური საჯარიმო სანქციების შემოღებაში. საგადასახადო სამართალდარღვევებზე ფინანსური სანქციები,

1997 წლის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებთან შედარებით, 2004 წლის საგადასახადო კოდექსით რაოდენობრივად გაიზარდა და ბევრად უფრო გამკაცრდა.

გლობალურ საგადასახადო სფეროში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე გამოიკვეთა ტენდენციები, რომელთაგანაც აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახეზეა საერთაშორისო საგადასახადო კონვერგენციის პროცესი. იმ ფონზე ეროვნული სისტემებისა და საგადასახადო პოლიტიკის პრინციპების უნივერსალიზაციის ტენდენცია შეიმჩნევა. ბოლო წლების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გლობალური კრიზისის ფონზე აქცენტი ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის გატარებაზე გააკეთა. 2009-2010 წლებში საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები ლიბერალური საგადასახადო მიმართულებით, ქვეყნის პოლიტიკის ფორმირების გზას ნათლად წარმოაჩენს. ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ძალაში 2011 წლის 1 იანვრიდან შევიდა, შეიცავს მთელ რიგ დებულებებს, რამაც ბიზნესის სტიმულირებას უნდა შეუწყოს ხელი. საქართველომ საერთაშორისო რეიტინგით "Payng Taxes 2011" - გადასახადების გადახდის სიმარტივის მიხედვით დასახელებულ 183 ქვეყანას შორის 61-ეადგილი დაიკავა, ამასთან საქართველო იმ 10 ქვეყნის სიაში მოხვდა, სადაც გადასახადის მთლიანი მაჩვენებელი ყველაზე დაბალია.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი - "ეკონომიკური თვისუფლებისა და ღირსების შესახებ", რომლის მიხედვითაც საქართველოში გადასახადების ზრდა, ან მათი დაბეგვრის ობიექტების გაფართოება შესაძლებელია მხოლოდ ხალხის თანხმობით (რეფერენდუმით) და დაუშვებელია პროგრესული გადასახადების შემოღება. შეიძლება ითქვას, რომ უახლეს პერიოდში საქართველოში სტაბილური საგადასახადო გარემო შეიქმნება და ქვეყანაში ბიზნეს აქტივობა მნიშვნელოვნად გაიზარდება.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გატარებული ღონისძიებების შედეგად გამარტივდა საგადასახადო კანონმდებლობა და შემცირდა გადასახადების განაკვეთები, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა მომავალშიც აუცილებელია. ამასთან, საჭიროა საგადასახადო პოლიტიკაში დაგეგმილი რეფორმების შესახებ, როგორც საზოგადოების, ასევე პოტენციური ინვესტორების სისტემატური ინფორმირება, რაც ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებას და ეკონომიკის განვითარებას ხელს შეუწყობს.

## დასკვნა

საგადასახადო ურთიერთობათა მდგომარეობაზე შიდა და გარე ფაქტორების ზეგავლენის შედეგი გვიჩვენებს, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემა ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს შეიცავდა.

ქვეყნის საგადასახადო სისტემა ქვეყნის ეკონომიკური პროცესების რეგულატორი უნდა იყოს. აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს საგადასახადო პოლიტიკისათვის დამახასიათებელი ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქციების რეალიზება და შეტანა აწყო. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია კვლავაც გაგრძელდეს საქართველოს საგადასახადო სისტემის რეფორმირების პროცესი და ჩამოყალიბდეს საგადასახადო სისტემის, როგორც ეკონომიკურად მაღალფუნქციური მექანიზმის მიმართ ერთიანი კონცეპტუალური მიგომა, რომელმაც შეიძლება გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები:

- 1) საგადასახადო შემოსავლების სრულად მობილიზება;
- 2) ეკონომიკაში კონკრეტულ ძალთა აქტივიზაცია;
- 3) წარმოების გაფართოებასა და მოდერნიზაციის პროცესების რეგულირება;
- 4) მეწარმეთა საინვესტიციო აქტივობის რეგულირება;
- 5) წარმოების ეკოლოგიზაცია.

*Ketevan Kokaia*

## GEORGIAN TAX SYSTEM AND TRENDS OF DEVELOPMENT

### Summary

In the work «Georgian Tax System and Trends of Development» is reviewed the history of origin of taxes, tax system creation and development . Tax system and tax policy of Georgia, the main characteristics of Georgian tax system and the trends of its development are analyzed as well.

Tax is an obligatory, unconditional monetary contribution in the budget of a country, which is paid by a taxpayer, based on mandatory non-equivalent and non-reimbursable nature of payment.  
Types of payments are common – government and local taxes.

*მერაბ მიქელაშვილი*

## **მწვანე ეკონომიკა და საგადასახადო დაბეგვრის ზოგიერთი პრობლემა**

**ანოტაცია.** ეკოლოგიური ანუ „მწვანე“ საგადასახადო რეფორმა, როგორც საგადასახადო და ეკოლოგიური პოლიტიკის ერთობლივ ღონისძიებათა სისტემა, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის პროდუქტია და ევროპის სახელმწიფოების მიერ საკუთარი საგადასახადო სისტემების ეკოლოგიზაციის მიმართულებით გატარებული საგადასახადო რეფორმებითაა განპირობებული.

საგადასახადო სისტემების ეკოლოგიზაცია მიმართულია გადასახადების გამოყენებით ეკოლოგიური ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისაკენ. ამასთან, ეკოლოგიური საგადასახადო რეფორმა არის ეროვნული საგადასახადო სისტემის რეფორმა, რომელიც ეფუძნება არსებული გადასახადების ეკოლოგიურ გადასახადად ჩამოყალიბებას ან ახალი ეკოლოგიური გადასახადების შემოღებას. ასეთი რეფორმების შედეგად ჩნდება შესაძლებლობა, ერთდროულად იქნეს მიღწეული ეკოლოგიური პოლიტიკის მიზნები და გაუმჯობესდეს ეკონომიკური მაჩვენებლები.

იდეალურ შემთხვევაში ეკოლოგიურმა საგადასახადო რეფორმამ ხელი არ უნდა შეუშალოს ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებს, ამასთან, უცვლელი უნდა დარჩეს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ტვირთი. არსობრივად, სწორედ ამით განსხვავდება ეკოლოგიური საგადასახადო რეფორმა ეკოლოგიური გადასახადებისგან. ეკოლოგიური გადასახადების ეკვივალენტური ჯამი და საბიუჯეტო დანაკარგები არ წარმოადგენს „მწვანე“ საგადასახადო რეფორმის ჩატარების აუცილებელ პირობას.

მწვანე ეკონომიკა და საგადასახადო დაბეგვრის ეკოლოგიზაცია მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქვეყნის ევროპეიზაციის გზაზე.

**საკუანძო სიტყვები:** „მწვანე“ ეკონომიკა, მდგრადი განვითარება, ეკოლოგიური გადასახადი, საგადასახადო სისტემის ეკოლოგიზაცია, ეკოლოგიური საგადასახადო რეფორმა.

### **შესავალი**

ეკოლოგიისა და ეკონომიკის ურთიერთქმედების პრობლემას ტრადიციულად ნაკლები ყურადღება ექცევა. ამასთან, რთულია არ დაეთანხმო აზრს, რომ ეკონომიკური ზრდა პირდაპირ კავშირშია გარემოს დაბინძურებასა და მის დეგრადაციასთან. ეს გამოიხატება ბუნებრივი რესურსების რეზერვების შემცირებაში, ბიოსფეროს ბალანსის რღვევაში და კლიმატის ცვლილებაში, რაც ზღუდავს შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს.

მსოფლიოში ტენდენციად ყალიბდება „მწვანე“ ეკონომიკის კონცეფციის საფუძველზე სტრატეგიის რეალიზაცია, რომლის საყრდენია „მწვანე“ ეკონომიკის მოდელის გამოყენება, ეკონომიკური ასპექტის ეკოლოგიურ და სოციალურ ასპექტებთან ჰარმონიული თანხვედრა. ტერმინი „მწვანე ეკონომიკა“ გამოიყენება სხვადასხვა კონტექსტში - საქმიანობის სხვადასხვა სახეების, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების, აგრეთვე ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში. ეკონომიკურ ინსტრუმენტებში კი გამორჩეული ადგილი უკავია გადასახადებს.

\*\*\*

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს დაცვის ექსპერტები ( ) „მწვანე“ ეკონომიკას განიხილავენ როგორც სამეურნეო საქმიანობას, რომელიც ზრდის ადამიანების კეთილდღეობას და უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობას. ამასთან, ის მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოს დაბინძურების რისკებს [1].

„მწვანე“ ეკონომიკა აქცენტს აკეთებს ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, გარემოსთან ურთიერთქმედების გათვალისწინებით. მისი პრიორიტეტია მომავალი თაობების კეთილდღეობა. „მწვანე“ ეკონომიკა არის ეკონომიკური საქმიანობის სახეების სისტემა,



რომელიც დაკავშირებულია საქონლის და მომსახურების წარმოებას, განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებასთან, რომელსაც გრძელვადიან პერსპექტივაში მივყავართ ადამიანების კეთილდღეობის ზრდასთან. ამასთან, მომავალი თაობები არ განიცდიან მნიშვნელოვანი ეკოლოგიური დეფიციტისა და ეკოლოგიური რისკების მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

**„მწვანე“ ეკონომიკა დამყარებულია სამ აქსიომაზე:**

- შეზღუდულ გარემოში გავლენის უსასრულო გაფართოების შეუძლებლობა;
- მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შეუძლებლობა შეზღუდული რესურსების პირობებში;

- დედამიწაზე ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია [2].

**„მწვანე“ ეკონომიკაში გამოყოფენ შემდეგ მთავარ მიმართულებებს:**

- ენერჯის განახლებადი წყაროების დანერგვა;
- ნარჩენების მართვის სისტემების სრულყოფა;
- წყლის რესურსების მართვის სისტემების სრულყოფა;
- „სუფთა“ სატრანსპორტო სისტემების განვითარება;
- სოფლის მეურნეობაში ორგანული მიწათმოქმედების ხვედრითი წილის ზრდა;
- ენერგოეფექტური კომუნალური სისტემების შექმნა;
- ეკოსისტემების შენარჩუნება და ეფექტური მართვის სისტემის შექმნა [3].

**„მწვანე“ ეკონომიკის ზემომოყვანილი მიმართულებები შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით ვითარდება:**

- სამართლიანობა (თანასწორობა);
- პატივისცემა (აყვავება და განვითარება ყველასთვის);
- წინდახედულება (პლანეტის ზღვრული დატვირთულობის გათვალისწინება);
- მონაწილეობა (გადაწყვეტილებების მიღების დროს);
- ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგრადობა;
- ეფექტურობა (სტაბილური წარმოება და მოხმარება);
- თაობებს შორის კავშირი (ინვესტიციები მომავალში) [4].

„მწვანე“ ეკონომიკის საფუძველია „მწვანე“ ტექნოლოგიები, რომლებიც მუშაობენ არა ეკოლოგიური პრობლემების შედეგებზე, არამედ მიზეზებზე. ისინი კარდინალურად ცვლიან მიდგომებს, პროდუქტებს და სამომხმარებლო ქცევას. მათ მიეკუთვნება:

- ენერგოეფექტურობა და ალტერნატიული ენერჯეტიკა;
- ელექტროენერჯის მართვის სისტემები;
- ეკოლოგიური ტრანსპორტი;
- ნარჩენების მართვა.

შესაბამისად, მსოფლიო ეკონომიკის წინაშე მდგარი ამოცანებიდან გამომდინარე,

**„მწვანე“ ეკონომიკის მნიშვნელოვან ნიშანს წარმოადგენს:**

- ბუნებრივი რესურსების ეფექტური გამოყენება;
- ბუნებრივი კაპიტალის შენახვა და გაზრდა;
- დაბინძურების შემცირება;
- შემოსავლებისა და დასაქმებულების მაჩვენებლების ზრდა [5].

„მწვანე ეკონომიკის“ კონცეფციის მხარდამჭერები თვლიან, რომ დღეს მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ეკონომიკური სისტემა არასრულყოფილია, რასაც ადასტურებს ფინანსური კრიზისები და საბაზრო მექანიზმების ჩავარდნები. მიუხედავად იმისა, რომ არსებულმა სისტემამ გარკვეული შედეგები მოიტანა ადამიანების კეთილდღეობის ზრდის პროცესში, მისი ფუნქციონირების ნეგატიური შედეგებიც სახეზეა - ეკოლოგიური პრობლემები, ბუნებრივი კაპიტალის გამოფიტვა, ფართომასშტაბიანი სიღარიბე, ქვეყნებისა და ადამიანების უთანასწორობის განუხრელი ზრდა. დღეს არსებულ ეკონომიკურ მოდელს უწოდებენ „ყავისფერ ეკონომიკას“. ბოლო რამდენიმე ათწლეულის დილემა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური ზრდა აუცილებლად იწვევს ეკოლოგიურ პრობლემებს. „მწვანე“ ეკონომიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, ადამიანების კეთილდღეობის ზრდა და წარმოების ეკოლოგიზაცია. ეკონომიკის ეს მოდელი პირდაპირ დაკავშირებულია „მდგრადი განვითარების“ არსთან. ტერმინი „მდგრადი განვითარება“ 1983 წელს იქნა

შემოდებული გარემოს დაცვისა და განვითარების მსოფლიო კომისიის მიერ, რომელმაც მოამზადა ანგარიში „ჩვენი საერთო მომავალი“. სწორედ ამ ანგარიშმა მოახდინა ტერმინის პოპულარიზაცია. მდგრადი განვითარების არსი მდგომარეობს ცივილიზაციისა და ბიოსფეროს ერთდროულ შენარჩუნებაში [6].

სახელმწიფოს მიერ „მწვანე“ ეკონომიკის განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტს წარმოადგენს საგადასახადო სისტემის ეკოლოგიზაცია. ეკოლოგიური გადასახადის არსის გაგებისთვის მიემართოთ ევროსტატის მიერ შემუშავებულ განსაზღვრებას [7]. ამ განსაზღვრების მიხედვით, ეკოლოგიურია გადასახადი, რომლის საგადასახადო ბაზაა ობიექტის ფიზიკური მახასიათებელი და რომლის შემოქმედება გარემოზე მიჩნეულია ნეგატიურად. ამ განსაზღვრებას იყენებს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპული კომისია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი [8]. ამ განმარტებაში დეტალურადაა განსაზღვრული ეკოლოგიური გადასახადის ნიშნები, კერძოდ ის, რომ დაბეგვრის ობიექტის საგადასახადო ბაზა არის არა ღირებულებითი, არამედ ფიზიკური მახასიათებელი. ამასთან, დაფიქსირებულია ის აზრი, რომ გადასახადით უნდა დაიბეგროს დაბინძურების წყარო და თუ ეს შეუძლებელია, მაშინ საგადასახადო ობიექტი იქნება სხვა, დაბინძურების წყაროსთან დაკავშირებული ობიექტი. მაგალითად, ატმოსფეროს დაბინძურების უშუალო წყაროა ავტომანქანის გამონაბოლქვი, რომლის მოცულობის დადგენა ცალკეული ავტომობილისთვის შეუძლებელია. შესაბამისად, გადასახადის ამოღება მოხდება ან უშუალო წყაროდან, ანუ ძრავის საწვავიდან, ან სატრანსპორტო საშუალებებიდან, რომელთა გამოყენების გამო ხდება ატმოსფეროს დაბინძურება.

ეკოლოგიური გადასახადის შემომოყვანილი განმარტება ერთადერთი არ არის. ცხოვრებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების ევროპული ფონდი ეკოლოგიურ გადასახადს განმარტავს როგორც სახელმწიფოს მხრიდან მათზე დაკისრებულ ვალდებულებას, ვინც იყენებს გარემოს [9]. წინა განმარტებისგან განსხვავებით, ეს განსაზღვრება აფიქსირებს ეკოლოგიური გადასახადის მათავარ პრინციპს, რომელსაც ეწოდება „დამაბინძურებელი იხდის“ [10]. ევროპის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სტატისტიკური ტერმინების ლექსიკონის მიხედვით ეკოლოგიური გადასახადი ახსნილია როგორც პრინციპი, რომლის მიხედვითაც ეკოლოგიური ზიანის შემცირების ღონისძიებები უნდა დააფინანსოს იმ პირმა, ვისი ბრალეულობითაც მიადგა ზიანი გარემოს [11]. ამ განსაზღვრებას საფუძვლად უდევს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ გარემო არის საზოგადოებრივი საკუთრება, ამიტომ ყველა, ვინც მას ზიანს აყენებს, ზიანს აყენებს საზოგადოებას და ვალდებულია აანაზღაუროს ეს ზიანი. საგადასახადო პოლიტიკის ცენტრის განმარტების თანახმად, ეკოლოგიური გადასახადი არის გადასახადი, რომლითაც იბეგრება გარემოს დამაბინძურებელი ნივთიერება ან პროდუქცია, რომლის გამოყენებითაც იქმნება ეს ნივთიერება [12].

ეკოლოგიური გადასახადით დაბეგვრას საფუძვლად უდევს გასული საუკუნის დასაწყისში ა. პიგუს მიერ შემუშავებული თეორია, რომლის მიხედვით გადასახადის სახით ამოღებულმა თანხამ უნდა დაფაროს საზოგადოებრივი დანაკარგები. მისი აზრით, გადასახადი, რომელიც აკორექტირებს უარყოფით გარეგან ეფექტებს, ტოლი უნდა იყოს ზღვრული სოციალური დანახარჯებისა [13].

ეკონომიკური თვალსაზრისით, ეკოლოგიური გადასახადების შემოღება განპირობებულია ობიექტური აუცილებლობით, ფულად გამოსახულებაში აისახოს სახელმწიფოსა და საზოგადოების ის დანაკარგები, რომელიც გამოწვეულია გადასახადის გადამხდელების საქმიანობით გარემოსათვის მიყენებული ზიანით. გარემო, როგორც საზოგადოებრივი საქონელი, რომელსაც ღირებულება არ გააჩნია, ხდება გადასახადის გადამხდელის მხრიდან უსასყიდლო გამოყენების ობიექტი. შედეგად წარმოქმნილი დანაკარგები ტვირთად აწევს საზოგადოებას, რასაც თან ახლავს გარემოს ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული სარგებლობა, ამიტომ ეკოლოგიური გადასახადების დანიშნულებაა, გადასახადის გადამხდელმა სრულად გადაიხადოს დანაკარგების ღირებულება. სწორედ ეკოლოგიური გადასახადი აძულებს გადასახადის გადამხდელს, შეამციროს ეკოლოგიური ზიანის ღონე. ამგვარად, გადასახადი ხდება მაკორექტირებელი ინსტრუმენტი, რომლის წყალობითაც მიიღწევა ბალანსი წარმოების მოცულობასა და ამ წარმოების შედეგად გარემოზე მიყენებულ ზარალის ოდენობას შორის. ამ გადასახადს უწოდებენ პიგუს გადასახადს.

ეკოლოგიაზე მავნე ზემოქმედებაზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის ამ შინაარსის მატარებელია ადამიანთან მიმართებაში და პირდაპირ გავლენას ახდენს მის სიცოცხლისუნარიანობაზე. ეკოლოგიური პრობლემის არსი არა მხოლოდ ბუნების დანაკარგებია, არამედ გაუარესებული ეკოლოგიის გამო დაკარგული ადამიანები. მაგალითად, გარემოს დაბინძურების ზიანი გამოიხატება ადამიანების სასუნთქი ორგანოების დაავადებების ზრდაში. ავტომანქანების მასიური გამოყენების გამო შექმნილი „სასათბურე ეფექტი“, რომელიც უარყოფითად მოქმედებს კლიმატზე, პირველ რიგში, აუარესებს საზოგადოების ცხოვრების პირობებს. ამ მაგალითებთან ერთად უამრავი სხვა მაგალითის მოყვანაც შეიძლება, თუმცა ფაქტია, რომ ეკოლოგიური გადასახადი თავიდანვე მოწოდებულია, მოახდინოს გარემოზე და, შესაბამისად, ადამიანზე მიყენებული ზარალის კომპენსაცია.

წარმოდგენა ეკოლოგიურ გადასახადზე ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ასეთი გადასახადი მოწოდებულია:

ფულად გამოხატულებაში ასახოს ზიანი, რომელსაც გადასახადის გადამხდელი აყენებს ფიზიკურ პირებს ან ფიზიკურ პირთა ჯგუფს გარემოს დაბინძურების გამო;

ანაზღაუროს ამ პირებისთვის მიყენებული ზარალი, ე.ი. მოახდინოს ზარალის ფულადი კომპენსაცია.

ეკოლოგიური გადასახადების არსის გააზრებისას ადგილი აქვს სერიოზულ წინააღმდეგობებს. პიგუს გადასახადის კონცეფციის განხორციელებისას მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საზოგადოების დანაკარგების რაოდენობრივი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც გაძნელებულია დაბინძურების მრავალი წყაროს და იმ ფიზიკური პირების დიდი რაოდენობით, რომლებიც განიცდიან დაბინძურებული გარემოს ზემოქმედებას. ცალკე პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია კონკრეტული ადამიანების რაოდენობის დადგენა, რომლებმაც განიცადეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ დაბინძურებული გარემოს ზეგავლენა და იმის განსაზღვრა, თუ თითოეული მათგანის ჯანმრთელობას რა ზიანი მიაღება, მით უმეტეს, შეუძლებელია ამ დანაკარგების ასახვა ფულად გამოსახულებაში. ამასთან, გასათვალისწინებელია ამ ურთიერთქმედების მორალური მხარე - ზიანი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობას მიაღება, შეიძლება ისეთი სერიოზული იყოს თავისი შედეგებიდან გამომდინარე, რომ მისი შეფასება ფულად ფორმაში შეუძლებელი ხდება. გადასახადით არ შეიძლება ანაზღაურდეს და კომპენსირდეს ის, რისი აღდგენაც შეუძლებელია. პრინციპის დარღვევა ხდება მაშინაც, როცა დამაბინძურებლის იდენტიფიცირება საგადასახადო მიზნებისთვის შეუძლებელია და შესაბამისად, საგადასახადო ვალდებულების გადამისამართება ხდება მათზე, რომლებსაც დაბინძურებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. მაგალითად, სახელმწიფომ შეიძლება დაავალდებულოს ბიზნესის სუბიექტები, მათი ობიექტების წინა ტერიტორია წესრიგში ჰქონდეთ, მაშინ როცა დასუფთავებაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს ის, ვინც ქუჩებს ანაგვიანებს.

დღეისათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ეკოლოგიური ზიანის შესახებ სანდო ინფორმაციის მოპოვება, რის გამოც გაძნელებულია საგადასახადო ტვირთის ობიექტური დონის განსაზღვრა. ამასთან, არც ისაა გამოსარიცხი, რომ ასეთი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში იმ ოდენობის საგადასახადო განაკვეთის შემოღება გახდეს საჭირო, რომ გადასახადის გადახდა გადასახადის გადამხდელისთვის შეუძლებელი გახდეს. ამიტომ არის, რომ ეკოლოგიური გადასახადის აღნიშვნისთვის გამოიყენება ორი ტერმინი - ეკოლოგიური გადასახადი და გადასახადი, რომლებიც მიეკუთვნება ეკოლოგიას. ეს პრინციპული ტერმინოლოგიური სხვაობა არსებითად აფართოებს ეკოლოგიური გადასახადების აზრობრივ საზღვრებს და უშვებს ეკოლოგიური და არაეკოლოგიური გადასახადების უფრო ნაკლებად მკაცრ დეფინიციას. ამ შემთხვევაში ეკოლოგიურად შეიძლება მივიჩნიოთ ის გადასახადი, რომელიც ახდენს გადასახადის გადამხდელზე მარეგულირებელ გავლენას და იმავდროულად არ წარმოადგენს პიგუს გადასახადს [14].

თანამედროვე პირობებში ეკოლოგიური გადასახადი არ განიხილება როგორც კომპენსაცია იმათ სასარგებლოდ, რომლებიც დაზარალდნენ გარემოს დაბინძურების შედეგად და მათი ოდენობა არ ეთანადება დაზარალებულთა დანაკარგებს. ამ პრობლემის შესახებ წერდა რ. კოუჩი თავის ცნობილ სტატიაში „სოციალური ხარჯების პრობლემა“, რომელშიც აღნიშნავდა, რომ, თუ საგადასახადო დაბეგვრის შედეგად მიღებული შემოსავლები არ მიემართება მათკენ, ვინც დაზარალდა გადასახადის გადამხდელის საქმიანობის გამო, მაშინ ასეთი გადასახადები არ განიხილება, როგორც დაზარალებულისთვის გადახდილი

კომპენსაცია, მიუხედავად იმისა, რომ გადასახადის გადახდა და კომპენსაციის გადახდა ხშირად გაიგივებულია [15].

ამასთან, ეკოლოგიური გადასახადები მოსახლეობას შეიძლება დაუბრუნდეს საზოგადოებრივი საქონლის სახით, თუ გადასახადების სახით მიღებული შემოსავალი იხარჯება ჯანდაცვის სისტემის განვითარებაზე ან ეკოლოგიური ზიანის აღმოფხვრაზე.

გარემოს დაცვის ევროპული სააგენტო ეკოლოგიური გადასახადების დიფერენციაციას ახდენს შემდეგი ნიშნების მიხედვით:

ეკოლოგიური გადასახადი, რომლის გადახდის შედეგად მიღებული შემოსავლები აუცილებელია გარემოს დაცვის ღონისძიებებისთვის გაწეული სახელმწიფო ხარჯების დასაფარად;

რეგულირებადი ეკოლოგიური გადასახადი, რომელიც აუცილებელია, როგორც გადასახადის გადამხდელის ქცევის მაკორექტირებელი ინსტრუმენტი;

ფისკალური ეკოლოგიური გადასახადი, რომელიც მოწოდებულია საგადასახადო შემოსავლების გასაზრდელად [16].

იმისათვის, რომ გადასახადი ეკოლოგიურ გადასახადად ჩაითვალოს, ის უნდა ემსახურებოდეს გარემოს დაცვის მიზნების განხორციელებას. შესაბამისად, საჭიროა, რომ მან შეასრულოს არა მხოლოდ ფისკალური, არამედ მარეგულირებელი ფუნქცია, რომელიც ვლინდება გადასახადის გადამხდელისთვის სტიმულის შექმნაში, გამოიყენოს ის საგადასახადო ობიექტები, რომლებიც საუკეთესო ეკოლოგიური მაჩვენებლებით გამოირჩევიან. ამ ეფექტის მიღწევა შესაძლებელია საგადასახადო ტვირთის პროპორციული დიფერენციაციით გარემოს დაბინძურების ხარისხთან მიმართებაში, რაც მიღწევადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის განაკვეთი დამოკიდებულია ეკოლოგიური ზიანის მოცულობაზე. მაგალითად, თუ ეკოლოგიურად უსაფრთხო ავტომობილების მფლობელებს დაბალ საგადასახადო განაკვეთებს დაუწესებთ, ამით სტიმულს მიეცემთ სხვა ტიპის ავტომობილებს, გადავიდნენ ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტზე.

ეკოლოგიური გადასახადების კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე ხდება. ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია გადასახადის გამოყენების სფერო. ამის საფუძველზე ევროსტატი გამოყოფს ეკოლოგიური გადასახადების შემდეგ სახეებს:

- ენერგეტიკული გადასახადი;
- სატრანსპორტო გადასახადი;
- გარემოს დაბინძურების გადასახადი;
- გადასახადი ბუნებრივ რესურსებზე.

ენერგეტიკული გადასახადები თავის თავში შეიცავს გადასახადებს ენერგორესურსებზე და ენერგომატარებლებზე.

სატრანსპორტო გადასახადის ამოღება დაკავშირებულია ტრანსპორტის მფლობელთა საგადასახადო დაბეგვრასთან.

გარემოს დაბინძურების გადასახადი თავის თავში შეიცავს ატმოსფეროში ან წყალში გამოტყორცნილი მავნე ნივთიერებების მოცულობას, ხმაურის ეფექტს, ასევე წარმოების ნარჩენების მართვას.

გადასახადი ბუნებრივ რესურსებზე არის გადასახადი წყლით სარგებლობაზე, სატყეო მეურნეობის მართვაზე და ცალკეული ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე. ამასთან, ნავთობის და გაზის მოპოვებასთან დაკავშირებული გადასახადები გამონაკლისია არა მხოლოდ ეკოლოგიური გადასახადის ამ ჯგუფისთვის, არამედ მთლიანად ეკოლოგიური გადასახადის შინაარსისგანაა დაცლილი, რადგან მათი შემოღება ხდება რესურსული იჯარის ამოღების მიზნით.

ეკოლოგიური გადასახადების კლასიფიკაცია ხდება საგადასახადო დაბეგვრის ობიექტის საფუძველზეც. ამ შემთხვევაში გამოყოფენ ეკოლოგიური გადასახადის ოთხ ჯგუფს:

- ნივთიერების დაბინძურება;
- პროდუქტებზე;
- კაპიტალურ საქონელზე;
- საქმიანობის სახეებზე.

ეკოლოგიური გადასახადების კლასიფიკაცია საგადასახადო ბაზის მიხედვით, ერთი მხრივ, წარმოადგენს საგადასახადო დაბეგვრის ობიექტის მიხედვით კლასიფიკაციის

ლოგიკურ გაგრძელებას, ხოლო მეორე მხრივ, წარმოადგენს ენერგეტიკული სატრანსპორტო, გარემოს დაბინძურების და ბუნებრივ რესურსებზე გადასახადების დეტალურ დახასიათებას.

ეკოლოგიური გადასახადების კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს გარემოს დაცვაზე გაწეული ხარჯების მიმართულებების მიხედვით. ასეთი კლასიფიკაცია შედგება იერარქიის რამდენიმე დონისაგან და საგადასახადო მონაცემებისა და გარემოს დაცვაზე გაწეული ხარჯების დაკავშირების საშუალებას იძლევა. სტატისტიკური მიზნებისთვის ევროსტატი ახდენს ეკოლოგიური გადასახადების კლასიფიკაციას ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. მას ემატება გადასახადის გადამხდელების კატეგორიები (ოჯახური მეურნეობები, არარეზიდენტები).

ეკოლოგიური გადასახადების მრავალფეროვნების გათვალისწინებით ევროპის თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ ჩ ჩამოაყალიბა უნივერსალური პრინციპები, რომელთა საფუძველზე უნდა ხდებოდეს ამ გადასახადების ფუნქციონირება. ეს პრინციპებია:

- გადასახადით უნდა იბეგრებოდეს უშუალოდ დაბინძურების წყარო ან ქმედება, რომელიც ამ დაბინძურებას იწვევს;
- თუ დაბინძურების წყაროს საგადასახადო დაბეგვრა შეუძლებელია, მაშინ უნდა დაიბეგროს ამ წყაროსთან დაკავშირებული ობიექტები;
- გადასახადის განაკვეთი უნდა იყოს დიფერენცირებული და ითვალისწინებდეს დამაბინძურებელი ნივთიერების შინაარსს;
- გადასახადის მოქმედების სფერო უნდა განისაზღვრებოდეს გარემოზე მიყენებული ზიანის მასშტაბით;
- გადასახადით დაბეგვრა უნდა მოხდეს გადასახადის გადამხდელების ცალკეული კატეგორიების თავისებურებების გათვალისწინებით;
- გამანაწილებელი შინაარსის ეფექტები, რომლებსაც იწვევს ეკოლოგიური გადასახადები, არ უნდა კომპენსირებდეს მხოლოდ ამ გადასახადებით;
- ეკოლოგიური გადასახადების შემოღების დროს აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს მათი ზემოქმედება გადასახადის გადამხდელების კონკურენტუნარიანობაზე;
- საგადასახადო განაკვეთი თანხვედრაში უნდა იყოს გარემოზე მიყენებულ ზიანთან;
- საგადასახადო განაკვეთი უნდა ასახავდეს გადასახადის გადამხდელის საქმიანობის თანმდევ ნეგატიურ სოციალურ ეფექტებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარემოსთან;
- ეკოლოგიური გადასახადის განაკვეთი არ შეიძლება იყოს გადასახადის გადამხდელის ეკოლოგიურად მავნე საქმიანობის შედეგად მიღებულ დანაკარგებზე მაღალი, ამასთან, ის არ უნდა იყოს ამ დანაკარგებზე მცირე;
- ეკოლოგიური გადასახადები გავლენას უნდა ახდენდეს გადასახადის გადამხდელის ქცევაზე როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში;
- ეკოლოგიური გადასახადის განაკვეთი უნდა ითვალისწინებდეს რიგ ფაქტორებს - ინფლაცია, ეკონომიკური ზრდა, გარემოს დაცვის პრიორიტეტული სფეროების ცვლილება საზოგადოებრივი აზრის პოზიციიდან გამომდინარე, ინოვაციების გავლენა გარემოს დაბინძურებასთან ბრძოლაზე;
- ეკოლოგიური გადასახადებიდან შემოსავალი განხილული უნდა იყოს როგორც ზოგადი საგადასახადო შემოსავალი, რადგან პრაქტიკაში ყოველთვის არ არის შესაძლებელი მათი გამოყენება კონკრეტული ეკოლოგიური ზიანის კომპენსაციისთვის;
- ეკოლოგიური გადასახადები მისაღები უნდა იყოს საზოგადოებისთვის;
- ეკოლოგიური გადასახადები თანხვედრაში უნდა იყოს ეკოლოგიური პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტებთან [17].

საქართველო ნელი ნაბიჯებით მიდის საგადასახადო სისტემის ეკოლოგიზაციის მიმართულებით. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მსუბუქი ავტომობილები, რომელიც დღემდე როგორც ქონების გადასახადის ობიექტების და არა ეკოლოგიური გადასახადის ობიექტებად არიან წარმოდგენილი.

## დასკვნა

საგადასახადო სისტემის რეფორმირება ეკოლოგიურ საფუძველზე წარმოადგენს მის ეკოლოგიზაციას, როცა თვითონ გადასახადები იძენს ახალ ფუნქციას - გახდეს გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინსტრუმენტი. ამ შემთხვევაში ხდება გადასახადის სოციალურ-ეკონომიკური როლის ამაღლება ქვეყნის ეკონომიკაში. ის ახდენს საზოგადოებისთვის არასასურველი წარმოების მეთოდების კორექტირებას და ამცირებს ეკოლოგიურად სახიფათო პროდუქციის მოხმარების მასშტაბს. საქართველოსთვის აუცილებელია ეკოლოგიური გადასახადების არსებობა, რადგან იგი ასახავს საგადასახადო დაბეგვრის ეკოლოგიზაციის მსოფლიო ტენდენციას. ასეთი გადასახადის შემოღება მნიშვნელოვანია არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისიდან გამომდინარე. საგადასახადო სისტემის რეფორმირების მომავალ ეტაპზე აუცილებელია ეკოლოგიური გადასახადების ცალკე გამოყოფა, იმ გადასახადების იდენტიფიკაცია, რომლებიც უნდა გახდეს ეკოლოგიური გადასახადები, გარემოსდაცვითი პოლიტიკის უფრო ეფექტური რეალიზაცია, საგადასახადო შემოსავლების „ეკოლოგიზაციაზე“ ხარჯვის ახალი პოლიტიკის შემუშავება და საგადასახადო სისტემების კონვერგენციის საერთაშორისო ტენდენციის გათვალისწინება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის განვითარება უნდა მოხდეს ეკოლოგიზაციის მიმართულებით და გადასახადის, როგორც ეკოლოგიური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტად აღიარებით. ეს კი მოითხოვს ღონისძიებების შემუშავებასა და გატარებას, რომელიც აუცილებელია საგადასახადო სისტემის ფუნქციის რეალიზაციისათვის, რომელიც მიმართული იქნება გარემოს დაცვისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნებისაკენ და რომელსაც უზარმაზარი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსთვის.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://www.unenvironment.org/resources/report/green-industrial-policy-concept-policies-country-experiences>
2. <https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/GE%20Guidebook.pdf>
3. <https://www.csir.co.za/sites/default/files/Documents/GE%20guide.pdf>
4. <http://www.gci.org.uk/Documents/128075741-Green-Economics-an-Introduction-to-Theory-Policy-and-Practice.pdf>
5. <https://www.iisd.org/sites/default/files/publications/trade-green-economy-handbook-third-edition-en.pdf>
6. <http://rsabc.ru/userfiles/d.-medouz-y.-randers-d.-medouz-predely-rosta.pdf>
7. <https://ec.europa.eu/eurostat/web/products-manuals-and-guidelines/-/KS-39-01-077?inheritRedirect=true>
8. <https://unstats.un.org/unsd/envaccounting/seea2003.pdf>
9. <http://edz.bib.uni-mannheim.de/www-edz/pdf/ef/97/wp9701en.pdf>
10. <http://iret.org/pub/SCRE-6.PDF>
11. <https://stats.oecd.org/glossary/glossary.pdf>
12. <https://www.taxpolicycenter.org/>
13. <https://www.econlib.org/library/NPDBooks/Pigou/pgEW.html>
14. <https://www.cbd.int/financial/fiscalenviron/norway-envtaxes.pdf>
15. <https://www.law.uchicago.edu/files/file/coase-problem.pdf>
16. [https://www.eea.europa.eu/publications/Environmental\\_Issues\\_No\\_18](https://www.eea.europa.eu/publications/Environmental_Issues_No_18)
17. <https://www.oecd.org/env/tools-evaluation/48164926.pdf>

*Merab Mikelashvili*

## GREEN ECONOMICS AND VARIOUS TAXATION PROBLEMS

### Summary

Reforming tax system on the ecological basis adds a new function to it – an instrument of environmental protection. In this case, socio-economic role of taxation is being raised in the state economics. It corrects undesirable manufacturing methods and reduces the scale of ecologically-risky products. For Georgia it is essential to have ecological taxes, as long as it's a global trend and introducing such regulations will be beneficial not only on theoretical, but also on practical levels.

On the next phase of tax system reformation, it is indispensable to allot and identify taxes that should become ecological ones; to implement environmental policy more effectively; to elaborate new policy about spending tax income on “ecologization” and considering modern global tendencies of tax system convergence.

Georgian taxation system development should include ecologization and should declare taxes as a vital instrument regarding ecological policy. All of this requires creating and implementing methods and tactics, that are crucial regarding realization of taxation function, which is directed towards environmental protection and maintaining public health. Everything stated above has a vital role for the state on socio-economic levels.

*ზურაბ ნოზაძე*

**„მწვანე ეკონომიკის“ სტიმულირების შესაძლებლობები და გზები  
მდგრადი ეკონომიკის განვითარებაში**

*ანოტაცია.* სტატიაში განხილულია „მწვანე ეკონომიკის“ წარმოშობის პირობები და კანონზომიერებები, გაანალიზებულია კონკრეტული წინადადებები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, „მწვანე“ ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობები და სახელმწიფოს როლი „მწვანე ეკონომიკის“ დანერგვაში მდგრადი ეკონომიკის პირობებში.

*მოცემულია „მწვანე ეკონომიკის“ მიღწევებისა და შესაძლებლობების შეფასების სისტემების დონეები.*

*საკუანძო სიტყვები:* მდგრადი განვითარება, „მწვანე ეკონომიკა“, ინოვაციური ტექნოლოგიები, ბუნებრივი გარემოს დაცვა, სტიმულირება.

მდგრადი განვითარება წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და განახლების კონცეფციას, რომელიც მიმართულია მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ მსოფლიო ცივილიზაციის გლობალური მიღწევების საფუძველზე. ასეთი გლობალური მიზნების მთავარ მაჩვენებლებს წარმოადგენს ბუნებრივი სიმდიდრის პასუხისმგებლური ექსპლუატაცია, (წარმოების ეკოლოგიზაცია, საწარმოო დაწოლის შემცირება ბუნებრივ გარემოზე), სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ორიენტაცია ენერგოდამზოვავი ტექნოლოგიების განვითარებაზე, შესაბამისი საინვესტიციო სახსრების მობილიზაცია არსებული პრობლემის რაციონალური გადაწყვეტისათვის. ინტერესი ბუნებრივი გარემოს დაცვასა და ეკოლოგიურ სიტუაციაზე გაიზარდა 1970 წლიდან. 1972 წელს შედგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით კონფერენცია გარემოს დაცვის პრობლემებზე, ამან დასაბამი მისცა ეკოლოგიური პოლიტიკის განვითარებას ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში. 1980 წელს მიღებულ იქნა საერთაშორისო დონეზე „ბუნების დაცვის მსოფლიო სტრატეგია“, 1993 წელს მოხდა ამ სტრატეგიის კორექტირება გარემოს დაცვის არსებული მდგომარეობის შესაბამისად. 2008 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო „მწვანე ეკონომიკის“ იდეა გლობალური მოდელის სახით. „მწვანე ეკონომიკის“ პრობლემების განხილვას მიეძღვნა ბრაზილიაში შემდგარი საერთაშორისო კონფერენცია 2012 წელს. კონფერენციაზე გაიმართა დისკუსია მდგრადი განვითარების აქტუალურ საკითხებზე, ცოცხალი ბუნების შენარჩუნებაზე, ბუნებრივი გარემოს დაცვის სისტემების გაუმჯობესებაზე.

ეკოლოგიური ინიციატივების განხილვამ ასეთ გაფართოებულ ფორმატში მიგვიყვანა „მწვანე ეკონომიკის“ კონცეფციის ფორმირებამდე. „მწვანე ეკონომიკა“ არის ახალი მიმართულება ეკონომიკურ მეცნიერებაში, რომელიც ხასიათდება პასუხისმგებლური დამოკიდებულებით ბუნებრივ გარემოსა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე. „მწვანე ეკონომიკაში“ შეიძლება შემოგვთავაზოს რიგი შესაძლებლობები არსებული კრიზისული სიტუაციიდან გამოსასვლელად და გასაუმჯობესებლად. პირველ რიგში იმ ტექნოლოგიების განვითარებით რომელიც ემყარება განახლებადი ენერჯის წყაროებს, ქარის ენერჯიას, მზის ენერჯიას, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას რომლებიც ნაკლებ ზეწოლას მოახდენენ ბუნებრივ გარემოზე. ოპტიმიზაცია მოხდება ისეთი დანახარჯების, რომლებიც გააუმჯობესებს ტექნოლოგიურ პროცესებს, ნაკლებად დაახიანებენ არსებულ ბუნებრივ გარემოს მავნე ნივთიერებით, გაჭუჭყიანებით და შემცირდება ავარიული სიტუაციები, რომლებიც მძიმე ტვირთად აწევს ბუნებრივ გარემოს და აუარესებს ცხოვრებისეულ მდგომარეობას.

მთელ მსოფლიოში პერსპექტიულად მიაჩნიათ „მწვანე“ ენერჯეტიკის განვითარება, რომელიც ემყარება განახლებადი ენერჯის წყაროებს, პირველ რიგში მზის ენერჯისას, მეორე რიგში პასუხისმგებლური დამოკიდებულება ბუნებრივ გარემოსთან.

ბუნებრივ გარემოს გატუქვიანების პრობლემების გადაწყვეტისაკენ უნდა იყოს მიმართული როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების და კომერციული ფონდების მოქმედება, მათი მოღვაწეობა ვითარდება რამდენიმე მიმართულებით:

სამრეწველო საწარმოების მიერ მავნე ნივთიერებების ნარჩენების შემადგენლობის სტანდარტების შემუშავება და დანერგვა, ინტენსიური სამრეწველო საწარმოების ეკოლოგიური კონტროლისა და მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელება, ეკოლოგიური განათლებისა და აღზრდის დანერგვა. ბოლო ათწლეულში პოპულარული ხდება მსხვილ კომპანიებში მენეჯმენტის სისტემის შესატყვისობა სტანდარტებთან, ის წარმოადგენს გაერთიანებულ და აღწერილ ეკოლოგიური მენეჯმენტის ინსტრუმენტს, რომლის შემუშავება ხდებოდა მრავალი ქვეყნის მიერ და ემსახურებოდა ეკოლოგიური მენეჯმენტის გაუმჯობესებას და „მწვანე ეკონომიკის“ გაძლიერებას. ეკოლოგიური პასუხისმგებლობა ბიზნესის მიერ უფრო პოპულარული ხდება და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს კომპანიის რეპუტაციის უპირატესობაში. ეკოლოგიური პასუხისმგებლობა ბიზნესის მიერ წარმოადგენს მოტივირებულ და შეგნებულ მონაწილეობას კორპორაციულ სტრუქტურებში, სხვადასხვა ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია ნეგატიური ზემოქმედების შემცირებისაკენ ბუნებრივ გარემოზე, ბუნებათსარგებლობაზე, ნედლეულისა და ენერჯეტიკული რესურსების ეკონომიაზე, ნარჩენების ჩართვაზე სამეურნეო ბრუნვაში, ავარიული და საგანგებო სიტუაციების გაფრთხილებაში, ჯანმრთელობის დაცვის მხარდაჭერაში, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის დაცვაში, ბიომრავალფეროვნების და დაცული ტერიტორიების დაცვაში, გადაშენების პირას მდგომი ბიოლოგიური სახეობის დაცვასა და შენარჩუნებაში.

„მწვანე ეკონომიკის“ მნიშვნელოვანი თვისებაა ინვესტიციური რესურსების ჩართვა ეკოლოგიური და ბუნებადამცავი ინიციატივების განვითარებისათვის.

„მწვანე ეკონომიკის“ მოდელზე გადასვლა შეუძლებელია მნიშვნელოვანი მოცულობის სახსრების ჩართულობის გარეშე. ინვესტირებად შეიძლება გამოვიდნენ როგორც კომერციული სტრუქტურები (საინვესტიციო ფონდი, საბანკო სექტორი, მსხვილი კომპანიები), ისე სახელმწიფო.

მნიშვნელოვან ელემენტად შეიძლება იქცეს ინვესტიციური რესურსების ნაკადის სტიმულირებისათვის სხვადასხვა სახის საბაზრო ინსტრუმენტები. მაგრამ, ამასთან ერთად, წარმოიქმნება ამ დაბანდების ეკონომიკური შეფასების პრობლემა. ცალკე უნდა განვიხილოთ შესაძლებლობა „მწვანე“ ინვესტიციების მიმართულებაზე, რომელიც მოგვცემს აუცილებელ ეფექტს.

ინვესტიციების განხორციელება სოფლის მეურნეობაში უნდა მოხდეს შემდეგი მიზნებისათვის: სახნავი მიწების შენარჩუნება და დაცვა, მოსავლის მოცულობის ზრდა, მიწის ფონდის და დამუშავებული მიწის ეფექტური გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი სახეობების გამოყვანა, რომლებიც მდგრადი იქნება სხვადასხვა კლიმატურ პირობებში. დასახული მიზნების მიღწევა საშუალებას მოგვცემს არა მარტო მივაღწიოთ ეკონომიკურ ეფექტს (წარმოებული პროდუქციის მოცულობის გაზრდა, მოგების გადიდება), არამედ გავლენას მოახდენს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, აგრეთვე გადავჭრით სასურსათო უზენებლობის პრობლემას. „მწვანე“ ინვესტიციების განხორციელება ენერჯეტიკულ დარგებში დიდ როლს თამაშობს ბუნებრივ გარემოზე ზეწოლის შემცირების საქმეში. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება ამჟამად საშუალებას გვაძლევს, შევქმნათ ეფექტიანი დანადგარები ალტერნატიული ენერჯის წყაროების ხარჯზე. თანამედროვე პირობებში მსოფლიოში მოხმარებული ელექტროენერჯის დაახლოებით 21 პროცენტი უზრუნველყოფილია განახლებადი წყაროების ხარჯზე.

„მწვანე“ ინვესტიციები ტრანსპორტის დარგებში ვითარდება რამდენიმე მიმართულებით. ყველაზე ეფექტურად მიიჩნევა ტექნოლოგიების განვითარება, რომელიც მიმართულია გამონაბოლქვ გაზებში მავნე ნივთიერებების შემცველობის შემცირებისაკენ და ინვესტიციები ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის წარმოებისათვის. ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის პროექტირება და წარმოება წარმოადგენს მაღალი ტექნოლოგიების სფეროს, რომელშიც გამოიყენება მეცნიერების სხვადასხვა სფეროს დამუშავებები და



მიღწევები. თანამედროვე პირობებში განვითარებულ ქვეყნებში ელექტრო ავტომობილები უკვე არ წარმოადგენს ფანტასტიკას და მყარად გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ელექტრომობილის წარმოებას და გამოყენებას გააჩნია მნიშვნელოვანი პერსპექტივები. ასევე დიდი ყურადღება ექცევა ინვესტიციების მხრიდან, ნარჩენების ულიტიზაციას და პროდუქციის წარმოებას მეორადი ნედლეულისაგან. ამგვარი ინიციატივები ვითარდება მთელ მსოფლიოში. სხვათა შორის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავებაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ევროპის მოწინავე ქვეყნებს.

სახელმწიფოს როლი „მწვანე ეკონომიკის“ პროცესის უზრუნველსაყოფად ინვესტირების საქმეში ეხება ორ სფეროს: საკანონმდებლო ზემოქმედება და კონკურენტული დარგების სუბსიდირება. სპეციალური ორგანოების კომპეტენციაში შედის ახალი სტანდარტების შემუშავება: ბუნებრივი გარემოს დაცვის სფეროში გადასახადების ეკონომიკური დასაბუთებულობა მავნე ნივთიერებების გამოყოფისა ატმოსფეროში და წყალსატევების დაბინძურებისა მავნე ნივთიერებებით, საწარმოს საქმიანობის დაუშვებელი დარღვევის შესაბამისი კონტროლი.

ფინანსურმა მხარდაჭერამ სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს „მწვანე“ ინვესტიციების სტიმულირების საქმეში. სახელმწიფო, რომელიც გამოდის ინვესტორის ეკოლოგიური გეგმის პასუხისმგებლად, განსაკუთრებულ „სიგნალს“ აძლევს კერძო ინვესტორებს, დაინტერესდნენ სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარებით. „მწვანე ეკონომიკა“ წარმოადგენს მდგრადი განვითარების კონცეფციის ელემენტს, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი. მათ ჩარჩოებში შეიძლება გადაწყდეს გლობალური ხასიათის აქტუალური პრობლემები.

„მწვანე ეკონომიკის“ მიღწევების და შესაძლებლობების შეფასებისას როგორც მიმდინარე მდგომარეობით, ასევე პოტენციური სიტუაციისას, ეკოლოგიურ-ინოვაციური პოლიტიკის ინსტრუმენტების დანერგვისას უნდა გაითვალისწინოთ ყველა სისტემა უწყებრივი კანონმდებლობით, ასევე პრაქტიკული მოქმედებისა და საერთაშორისო მოღვაწეობის სისტემების ერთობლიობა.

„მწვანე ეკონომიკის“ შეფასების დონეები შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. პოლიტიკური დონე. აქ განიხილება შემდეგი საკითხები: შესაბამისი სტრატეგია, პოლიტიკა და გეგმა (ღონისძიება) მდგრადი განვითარების, ბუნებრივი გარემოს ეკონომიკისა და შესაბამისი დარგების (ენერჯეტიკა, გადამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი, მიწათმოქმედება, ფერმერობა, სატყეო მეურნეობა, ტურიზმი).

2. საკანონმდებლო დონე: აქ განიხილება შესაბამისი მოქმედი და მოსალოდნელი კანონმდებლობა.

3. ორგანიზაციების დონე. მასში შედის შემდეგი: სახელმწიფო, საზოგადოებრივი მმართველობის სტრუქტურები. მხარდამჭერი ორგანიზაციები (ძირითადად სახელმწიფო დეწესებულებები და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები), სავაჭრო-სამრეწველო გაერთიანება.

4. ინსტრუმენტების დონე. მასში განიხილება: ნორმატიულ-სამართლებრივი ინსტრუმენტები (უფლებების მიღება, კომპლექსური მიდგომა, მოთხოვნილება ტექნოლოგიის დონეზე), ეკონომიკური ინსტრუმენტები (ბუნებისდამცავი შესაკრებლები, გადასახადები, დოტაციები და ა. შ.), ფინანსური ფონდები (საერთაშორისო ფინანსური მექანიზმები და შეთანხმებები), ინფორმაციული ინსტრუმენტები (ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის კონტროლი, ეკოლოგიური სტატისტიკა, ეკოლოგიური მარკირება, განათლება, ინფორმაციულ-საგანმანათლებლო მუშაობა).

5. საწარმოო დონე, აქ ძირითადად განიხილება: წარმოების სტრუქტურა (მათ შორის სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ეკოლოგიასთან, ეკონომიკასთან, ეკოლოგიასთან და პროდუქციის კომპლექსურ მიდგომასთან).

მოთხოვნების სტრუქტურა – სახელმწიფო სექტორი (მათ შორის „ეკოლოგიური შესყიდვები“).

სტრუქტურა მოთხოვნილება – მოსახლეობა, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები.

6. საერთაშორისო დონე, აქ ვიხილავთ: მსოფლიო, რეგიონული, ორმხრივ, მრავალმხრივ პროექტებს და სხვა შესაბამის მოღვაწეობას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Крючкова О.М. Гузенко А. Д. Зеленная Экономика как элемент состояние и перспективы. Москва, 2016.
2. Кудинова Г. Э. Парадигма перехода регионов к „зеленой Экономике“ и устойчивому развитию. Москва, 2014.
3. Крючкова О.М. Ответственное инвестирование как инструмент трансформации ценностных ориентиров бизнеса. Москва, 2011.

*Zurab Nozadze*

### THE POSSIBILITIES AND WAYS OF GREEN ECONOMY STIMULATION IN THE DEVELOPMENT OF SUSTAINABLE ECONOMY

#### Summary

The article deals with conditions and regulatories of the origin of „green economy“. There is also analyzed issues of various sectors of national economy. He possibilities of implementation of „green“ introduction of green economy in sustainable economic conditions.

There are given the levels of estimation system of success and possibilities of green economy.

*ქრისტინე ომაძე*

#### თანამედროვე დაკრედიტების ზოგიერთი ასპექტი და მათი გავლენა მწვანე ეკონომიკაზე იპოთეკური და სახელმწიფო დაკრედიტების პირობებში

*ანოტაცია.* ჩვენი კვლევა მიზნად ისახავს თანამედროვე საკრედიტო ურთიერთობის აღწერას და მათი ზეგავლენის (ტრენდის) ასახვას საზოგადოებისათვის მეტად საინტერესო თემაზე - ეკოლოგიური გარემოს განმტკიცებასა და მწვანე ეკონომიკის სრულყოფისაკენ. ამ მხრივ აღწერილია კრედიტის ყველაზე მოთხოვნილი სახეობა - იპოთეკური სესხი, რომლის გრძელვადიანობა და სასურველი საპროცენტო განაკვეთი განაპირობებს მასზე მზარდ მოთხოვნას. ეს კი განსაზღვრავს თანამედროვე საკრედიტო პოლიტიკას და საზოგადოების განწყობას კომფორტისა და ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს მიმართ. ამასთანავე, აღწერილია როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო დაკრედიტების თანამედროვე სისტემა, როგორც საფინანსო ნაკადების ერთობლიობა, დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნა, იცხოვროს მწვანე ეკონომიკისა და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს პირობებში

*საკვანძო სიტყვები:* კრედიტი, იპოთეკა, საკრედიტო ურთიერთობები, საფინანსო სისტემა, მწვანე ეკონომიკა.

\*\*\*

თანამედროვე მსოფლიოში ფინანსური სისტემის ფუნქციონირების რეალიზაციის გაბატონებულ მექანიზმს წარმოადგენს საფინანსო ბაზარი, რომლის შემადგენელი ნაწილიცაა საკრედიტო ბაზარი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბაზარი არის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს მყიდველთა და გამყიდველთა კონტაქტში შესვლას და გარიგების განხორციელებას (Л. С. Тарасевич, П. И. Гредянинков. А. И. Леусский. 2003. 301).

მკვლევარები, ყველაზე ხშირად საუბრობენ რა საფინანსო ბაზარზე, განიხილავენ ფულის ბაზარს, სასესხო კაპიტალის ბაზარს, საკრედიტო და ფასიანი ქაღალდების ბაზარს, რომელთა საზღვრებმა ბოლო პერიოდში ფართო ტრანსფორმაცია განიცადა. ყველაზე ტიპური თვალთახედვა შესაძლებელია დავაჯგუფოთ შემდეგნაირად: ფულადი ბაზარი ყველაზე ხშირად ასოცირდება საფინანსო ინსტრუმენტების ბაზართან მოკლევადიანი პერიოდით, ჩვეულებრივ ერთ წლამდე ვადით. ხოლო, სასესხო კაპიტალის ბაზარი აღიქმება, გრძელვადიანი ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრად, ავტორთა მთელი რიგი კატეგორია მასში მოიაზრებს ფასიანი ქაღალდების ბაზარსაც (И. Н. Еремеевы. 2004: 67).

ამავე დროს, ეკონომისტთა გარკვეული კატეგორია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ქვეშ გულისხმობს საკრედიტო ურთიერთობებს. იგი ხორციელდება ფასიანი ქაღალდების საშუალებით, რომელიც უფრო რეალობასთან მიახლოებული განსაზღვრებაა. რუს მეცნიერ-

ეკონომისტთა გარკვეული კატეგორია აიგივებს „სასესხო კაპიტალის ბაზარს“ და „საკრედიტო ბაზარს ცნებებს“ (Авдеенко Т. В. 2004: 16). ფუნქციონალური განსხვავებების და ძირითადი ნიშან-თვისებების შედარებების საფუძველზე შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია აღნიშნული ფინანსური ბაზრებისთვის (იხ. ცხრილი).

**ცხრილი 1**

**ფინანსური ბაზრების ძირითადი სეგმენტების დახასიათება**

ბაზარი	ფულადი ბაზარი	სასესხო კაპიტალის ბაზარი	კრედიტების მეორადი ბაზარი	ფასიანი ქაღალდების ბაზარი
1	2	3	4	5
ეკონომიკური არსი	საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება	სასესხო კაპიტალის მოძრაობის მომსახურება და ზრდა.	გაცემული სესხების რეფინანსირება მიწოდების გადიდებისთვის	ფონდების მოძრაობის მიმართულება
მოთხოვნა-მიწოდების ობიექტი	გადასახდელი სახსრები	ოპტიმალური ღირებულება	სეკიურიტიზირებული აქტივები და კრედიტები	ფასიანი ქაღალდები
ფასი	ჩვეულებრივ არ აღემატება ინფლაციის ტემპს	ჩვეულებრივ რეფინანსირების განაკვეთზე მაღლა	განისაზღვრება ვაჭრობის პროცესში	განისაზღვრება ვაჭრობის პროცესში
ვადა	ერთ წლამდე	ერთ წელზე ზემოთ	ერთ წელზე ზემოთ	განისაზღვრება გამოშვების პირობებით
საკუთრების უფლება	გადაეცემა მყიდველს	ინარჩუნებს კრედიტორი	გადაეცემა მყიდველს	რჩება ემიტენტთან

*წყარო:* ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ.

საკრედიტო ბაზარი თავის ფუნქციებს ასრულებს საკრედიტო ურთიერთობის საშუალებით, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს დაკრედიტების სპეციფიკურ ფორმებს, სახეებსა და მეთოდებს. საკრედიტო ურთიერთობათა ფუნქციონირება გარკვეული ხარისხით კავშირშია საფინანსო ბაზრის ყველა სეგმენტთან. შესაბამისად საკრედიტო ბაზარი შესაძლებელია განვიხილოთ როგორც ტრადიციული კვანძი სასესხო კაპიტალისა, სადაც მთავარ ინსტრუმენტად გვევლინება ფულადი კრედიტი და საკრედიტო ხელშეკრულება. საკრედიტო ბაზრის სივრცე მოიცავს სასესხო კაპიტალს, რომელიც თავისში აერთიანებს ანაბრებისა და დეპოზიტების ბაზარს, კრედიტების მეორად ბაზარს და ნაწილობრივ ფულად და საფონდო ბაზრებს.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელია კრედიტის ფულადი ფორმა, რადგან ფული წარმოადგენს საყოველთაო ეკვივალენტს, მიმოქცევისა და გადახდის უნივერსალურ საშუალებას. კრედიტის ფულადი ფორმის გარეშე ქვეყანაში ნებისმიერი სამეწარმეო ფორმის ფუნქციონირება შეუძლებელი იქნებოდა.

თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთობებში დომინირებს კრედიტის შერეული ფულად-საკრედიტო ფორმა, ქვეყნის შიგნით საქონლის რეალიზაციისას ფართოდ გამოიყენება საქონლის ნისიად გაყიდვა და მისი ღირებულების კრედიტის ფულადი ფორმით დაბრუნება. ქვეყნებს შორის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში საქონლის რეალიზაციისას საქონლის ღირებულების ანაზღაურება წარმოებს კრედიტის ფულადი ფორმით.

საბაზრო ურთიერთობის პირობებში განასხვავებენ კომერციულ, საბანკო, სახელმწიფო, სამომხმარებლო და საერთაშორისო კრედიტის ფორმებს.

დღეისათვის, მწვანე ეკონომიკისა და ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრების მოთხოვნიდან გამომდინარე, როგორც საკრედიტო ბაზრის მომსახურების ანალიზი გვიჩვენებს, დაკრედიტების პერსპექტიულ სეგმენტებს განეკუთვნება:

- ეკონომიკის არასაფინანსო სექტორის საკრედიტო ბაზარი;
- ტექნიკური საშუალებების და ტექნოლოგიური მოწყობილობების ღირებულება;
- საფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო ბაზრები;

- სამომხმარებლო კრედიტების ბაზრები;
- სავალო ფასიანი ქაღალდების ბაზრები (მ.შ. სახელმწიფო, მუნიციპალური და კორპორაციული ობლიგაციები, თამასუქები, სეკიურიტიზებული და სტრუქტურირებული ვალდებულებები).

თანამედროვე ეტაპზე ნებისმიერი კრედიტისთვის არსებით მახასიათებელს მისი უზრუნველყოფა წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც ფართო გავრცელება პოვა პრობლემურ კრედიტებზე მომუშავე ორგანიზაციებმა. ყველა კრედიტი უზრუნველყოფის ხასიათის მიხედვით შესაძლებელია დავეყოთ:

- არაუზრუნველყოფილ კრედიტებად (ხასიათდება მაღალი რისკით და გამართლებულად ითვლება მაღალი საკრედიტო რეიტინგის პირობებში);
- უზრუნველყოფილი კრედიტებად (ხასიათდება შემცირებული რისკით, გირაოს ღირებულება განისაზღვრება კრედიტის თანხის თანაფარდობით ქონების საბაზრო ღირებულებასთან).

დაკრედიტების პრაქტიკაში უზრუნველყოფის სახით გამოიყენება: ობლიგაციები, აქციები, მარტივი თამასუქები, კომერციული აქცეპტები, საბანკო აქცეპტები, კონოსამენტი, სადეპოზიტო სერტიფიკატები, საგირავნო უძრავი ქონება, საგირავნო მოძრავი ქონება, დებეტორული დავალიანება, მიმოქცევაში მყოფი სადაზღვევო პოლისი და ა.შ. განვითარებულ საკრედიტო ბაზრებზე უზრუნველყოფა განიხილება, როგორც დამატებითი ვალდებულება (collateral), როგორც გირაო ანუ გარანტია (security). თვითუზრუნველყოფა არ მიუთითებს კრედიტის მაღალ ხარისხზე არაუზრუნველყოფილ სესხთან შედარებით, მიღებული პრაქტიკის თანახმად, მისი რაოდენობა აღემატება სესხის მაქსიმალურ ლიმიტს, რომელიც შეიძლება გაიცეს ერთ მსესხებელზე. საზღვარგარეთულ ბაზრებზე საკრედიტო და საგირავნო ურთიერთობათა ყველა სტადიაზე მონაწილეთა უფლებების დაცვის (უზრუნველყოფის) მიზნით ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სახის გირაო, მათ შორის, განახლებადი გირაო (rollover mortgage), მეორადი გირაო (second mortgage) (საბანკო კრედიტები გაიცემა პირველი გირავნობის ქვეშ, გამონაკლისი ენიჭებათ აშშ - ის მთელი რიგი შტატების კანონმდებლობით ადგილობრივ ბანკებს, სატრასტო კომპანიებს და ვალების გამო დაპატიმრების შემთხვევაში, როდესაც ბანკს ენიჭება უფლება გამოსეიდონ წინა ვალდებულებები).

სპეციალური საკრედიტო ინსტიტუტების ფუნქციები, მათი ოპერაციების სახეები, მოცულობა, ადგილი და როლი ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებადია. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სპეციალურ საკრედიტო ინსტიტუტებს არაერთგვაროვანი ფუნქციები და როლი გააჩნია. დღეისათვის ქვეყნების უმრავლესობაში ფუნქციონირებს შემდეგი სახის საკრედიტო დაწესებულებები:

- იპოთეკური ბანკები;
- საინვესტიციო ბანკები და საინვესტიციო კომპანიები;
- ურთიერთშემნახველი ბანკები, სასესხო - შემნახველი ასოციაციები.

იპოთეკური ბანკის ტიპური მაგალითია საქარველოში 1875 წელს დაფუძნებული თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი, რომელსაც 30 წლის განმავლობაში სათავეში ედგა ილია ჭავჭავაძე (ი. ასათიანი, 1994: 26). „ბანკი მოქმედებდა თბილისის გუბერნიის ფარგლებში და სასესხო ოპერაციებს აწარმოებდა როგორც ნაღდი ფულით, ისე საკრედიტო ნიშნებით, ანუ გირავნობის ფარგლებში. სესხი გაიცემოდა გრძელვადიანი 43 წლითა და 6 თვით სოფლის მამულებისათვის, ხოლო 27 წლით და 6 თვით ქალაქის უძრავი ქონებისათვის. მოკლევადიანი სესხი გაიცემოდა 1 წლიდან 3 წლამდე, ნაღდი ფულით. უძრავი ქონების გირავნობით, წლიური მოგებიდან, რომელიც ყველა ხარჯისა და ზარალის შემდეგ რჩებოდა“.

როგორც წესი, იპოთეკური ბანკები სესხებს გასცემენ უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთის, შენობის და სხვა გირაოთი. მსესხებლები უმთავრესად არიან ფერმერები და წვრილი გლეხური მეურნეობები. იპოთეკური კრედიტის საფუძველია მიწაზე კერძო საკუთრება და, კომერციული კრედიტისაგან განსხვავებით, იპოთეკური კრედიტი გრძელვადიანია. თანამედროვე ეტაპზე გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა ეკოლოგიურად სუფთა გარემოს, მწვანე ეკონომიკის საკითხებს. ამ მხრივ, იპოთეკური ბანკების სპეციფიკური საქმიანობა განაპირობებს მათი პასიური და აქტიური ოპერაციების ფორმირებას, რომლებიც არსებითად განსხვავდება კომერციული, შემნახველი და საინვესტიციო ბანკების ოპერაციებისგან (იხ. ცხრილი 2).

**სახელმწიფო და კერძო იპოთეკური ბანკების ბალანსის მოდელი**

პასივები	აქტივები
1. კომუნალური ობლიგაციები	1. ნაღდი ფული და ანგარიშები საკრედიტო დაწესებულებებში
2. გრძელვადიანი სესხები	2. გრძელვადიანი სესხები
3. გარდამავალი კრედიტები	3. ფასიანი ქაღალდები
4. საკუთარი სახსრები	4. გარდამავალი კრედიტები
5. სხვა პასივები	5. სხვა აქტივები

Деньги, кредит, Банки., под ред. В. Ф. Жукова.2008: 385.

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა დაკრედიტების ტექნიკაში. უწინ ბანკები კრედიტებს გასცემდნენ იპოთეკის ქვეშ, გირავნობის რეალიზაციის მომენტამდე, ანუ საკუთარი სახსრების ხარჯზე. დღეისათვის ბანკების მიერ სააგანსო დაკრედიტება არ ხორციელდება, ამიტომ ისინი კრედიტს გასცემენ გირავნობის ემისიის რეალიზაციიდან მიღებული სახსრების საფუძველზე. ამასთან ერთად, მთელ რიგ ქვეყნებში იპოთეკური ბანკების პასიურ ოპერაციებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო სახსრები, რომელიც ბალანსში ასახულია მუხლში „გარდამავალი კრედიტები“.

ბოლო წლებში იპოთეკურ, კომერციულ და სხვა საკრედიტო ინსტიტუტებს შორის გამწვავებული კონკურენციის პირობებში ფულადი რესურსების მიზიდვის მიზნით, იპოთეკური ბანკები ხშირად მიმართავენ არატრადიციულ ოპერაციებს საკუთარი შემოსავლების გასაზრდელად, რომელიც გამოხატულებას პოულობს ფიზიკური პირების ანაბრების მოზიდვაში.

განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული მწვანე ეკონომიკასა და ეკოლოგიურად სუფთა გარემო პირობებზე და საამისოდ ბანკები საკუთარ სახსრებს განათავსებენ ფასიან ქაღალდებში, ახორციელებენ ლიზინგურ და ფაქტორინგულ ოპერაციებს. იპოთეკური ბანკები ცდილობენ გააფართოვონ საკუთარი ოპერაციები დივერსიფიკაციის გზით, რადგან მათი თანამედროვე მდგომარეობა მჭიდრო კავშირშია ეკონომიკური კონიუნქტურის ცვლილებებთან, რასაც მწვანე ეკონომიკა განაპირობებს. დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკაში უმნიშვნელო ჩავარდნები, განსაკუთრებით მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, ნეგატიურად აისახება იპოთეკური ბანკების მდგომარეობაზე, რადგან იზრდება ვალის დაუბრუნებლობის ალბათობის რისკი.

საქართველოში დღეისათვის სახეზე გვაქვს ორი საინვესტიციო ფონდი, რომლებიც ახორციელებენ ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგების დაფინანსებას (ინვესტირებას). სს „საპარტნიორო ფონდი“ არის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი, რომელიც დაფუძნდა 2011 წელს. „საპარტნიორო ფონდი“ შეიქმნა სატრანსპორტო, ენერჯეტიკის და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე, ფონდის მთავარი დანიშნულებაა ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი და ა.შ.) „საპარტნიორო ფონდის“ საქმიანობა ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით:

აქტივების მართვა - ფონდის მართვაში არსებული აქტივების ჯამურმა ბრუნვამ 2012 წელს 750 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. ფონდის აქტივების პორტფელი შედგება შემდეგი სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიებისგან:

- საქართველოს რკინიგზა - 100% წილი.
- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია - 100% წილი.
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა - 100% წილი.
- ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი - 100% წილი.
- სს „თელასი“ დ 24,5% წილი.

2. საინვესტიციო საქმიანობა - ამჟამად ფონდის პორტფელშია რამდენიმე პროექტი ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, რომელთა ჯამური ღირებულება აღემატება 1 მლრდ აშშ დოლარს (www.fund.ge). ფონდი უფლებამოსილია, განახორციელოს ინვესტირება მხოლოდ საქართველოში და მისი სტრატეგია მიმართულია კერძო ინვესტიციების მოზიდვასა და მხარდაჭერაზე საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სფეროებში, როგორცაა: ენერჯეტიკა, აგრობიზნესი, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ლოჯისტიკა.

საქართველოში ასევე ფუნქციონირებს მეორე „თანაინვესტირების ფონდი“ (GCF) ([www.gefund.ge](http://www.gefund.ge)), რომელიც დაფუძნდა 2013 წლის ნოემბერში და წარმოადგენს კერძო საინვესტიციო ფონდს. აღნიშნული სააქციო ფონდის მიზანს წარმოადგენს ფონდში თავმოყრილი ქონების 80%-ის მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სფეროებში (ტურიზმი, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა) ინვესტირების განხორციელება.

## დასკვნა

ამრიგად, სპეციალური საბანკო და არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის გაცნობა-გაანალიზებამ დაგვანახა, რომ ისინი თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში საკრედიტო ბაზრის აქტიური სტრუქტურული ელემენტები არიან და მნიშვნელოვნად განაპირობებენ საკრედიტო ბაზრების ინსტიტუციური სტრუქტურის ჩამოყალიბებას და მათ გამართულ ფუნქციონირებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაში, განსაკუთრებით ფინანსური კრიზისების პერიოდში. ამასთანავე, საქართველოში მოქმედი დაფინანსების მეთოდოლოგია საჭიროებს შემდგომ კვლევას, რადგან მწვანე ეკონომიკისა და ეკოლოგიურად სუფთა გარემო პირობების შექმნა გაიგივებულია ცხოვრების მაღალ სტანდარტსა და კომფორტთან. ამ მხრივ კი ეს პრობლემა უფრო შედეგებულ ფენაზეა ორიენტირებული და მისი პოპულარიზაცია და ფართო დანერგვა საკრედიტო პოლიტიკაში მომავლის საქმეა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Market Foundation for Sustainable Economy Growth and Energy Policy (Georgian Case), Author: Aslanishvili, David, Source: Modern Economy, Volume: 7, Issue: 3, Pages: 314-319, Published: 20 March 2016, DOI: 10.4236/me.2016.73034
2. Origins and the Reasons of Monetary Crises in Georgia (1995-2016) Author: Aslanishvili, David; Omdaze, Kristine, Source: Modern Economy, Volume: 7
3. Issue: 11, Pages: 1232-1250, Published: September 27, 2016, DOI: 10.4236/me.2016.711119
4. Analyse of the past Industrial Revolutions and possible outcome of the coming new fourth Industrial Revolution (Industry 4.0), Author: Aslanishvili, David; Muller, Dietrich; Omdaze, Kristine, Conference: International Scientific-Practical Conference Dedicated to the Foundation of the Institute Innovative Economy and Problems of Its Formation in Post-Communist Countries. Pages: 100-106, Year: 2016
5. Monetary Crises in Georgia – 1995 – 2016, Author: Aslanishvili, David; Omdaze, Kristine, Source: Ekonomisti, Volume: 8, Issue: 1, Pages: 89-108, Published: 2016
6. Ricardo equivalent, the origin of state debt, its meaning and practical purpose Author: Aslanishvili, David, Conference: Modern Tendencies of Development of Economy and Economic Science, Pages: 18-22, Year: 2018
7. Banking Oligopoly Currency issue and Refinancing loans – the main Problems at Monetary policy in Georgia (2013 -2017), Author: Aslanishvili, David, Conference: Modern Tendencies of Development of Economy and Economic Science, Pages: 361-367, Year: 2018
8. Georgia's external debt structure and the challenges of the current situation Author: Aslanishvili, David; Omdaze, Kristine, Conference: International Scientific Conference Dedicated to the 65th birth anniversary of Professor George Tsereteli Structural and Innovative Problems of Economic Development, Pages: 25-28, Year: 23-24 June, 2017,
9. Georgia State Debts as Securitization Example (Expanded summary) Author: Aslanishvili, David, Source: Ekonomisti, Issue: 2, Pages: 90-94, Published: 2018
10. International Discussions on Bank Credit and Economic Growth Relationship (Expanded Summary), Author(s): Aslanishvili, David; Omdaze, Kristine, Source: Ekonomisti, Issue: 2, Pages: 62-74, Published: 2018
11. Place and importance of the government securities market in the European Union: recent trends and discussions (Expanded Summary), Author: Aslanishvili, David, Source: International Scientific-Analytical Journal EKONOMISTI, Issue: 5, Pages: 12-14, Published: 2015

12. Economic Growth and Energy Security (Expanded Summary)  
Author: Aslanishvili, David, Source: Tbilisi State University - Refereed and Reviewed International Scientific and Practical Journal of the Faculty of Economics and Business, ECONOMICS AND BUSINESS ISSN 1987-5789, Volume: 8, Issue: 4, Pages: 178-183
13. Published: 2015
14. FEDERAL REPUBLIC OF GERMANY STATE SECURITIES MARKET: EXPERIENCE FOR GEORGIA (Expanded Summary), Author: Aslanishvili, David, Source: PROCEEDINGS OF SCIENTIFIC WORKS OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU, Volume: 8, Pages: 385-390, Published: 2014
15. Обзор Мирового Рынка Государственных Ценных Бумаг и их структура(Expanded Summary), Author: Aslanishvili, David, Source: STATE UNIVERSITY OF MOLDOVA, FACULTY OF ECONOMIC SCIENCES, the 9th International Scientific Conference, Conference: Policies and mechanisms of innovation and development of economic, financial and social processes at national and international level, Pages: 219-220, Published: 2014
16. The Stock Market in Georgia: The Current Reality and an Uncertain Future (Expanded Summary), Author: Aslanishvili, David, Source: TSU SCIENCE Scientific-Popular Journal, Tbilisi State University Publishing House, Issue: 6, Pages: 39-40. Published: 2014
17. CAUSES OF CURRENT ECONOMIC CRISIS OF EUROPEAN UNION COUNTRIES (Expanded Summary), Author: Aslanishvili, David; Source: PROCEEDINGS OF SCIENTIFIC WORKS OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU, Volume: 5, Pages: 298-305, Published: 2012
18. Stock Market in Georgia: Present Reality and Prospective (Expanded Summary), Author: Aslanishvili, David, Source: International Scientific-Analytical Journal Ekonomisti, PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU, Volume: 3, Pages: 83-96, Published: 2014
19. STATE SECURITIES MARKET IN GEORGIA, ITS FUNCTIONING, HISTORY AND LESSONS SUMMARY (Expanded Summary), Author: Aslanishvili, David, Conference: Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference NATIONAL ECONOMIES AND GLOBALIZATION Source: PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY, Volume: 2, Issue: 1, Pages: 328-334, Published: 2012
20. US STATE SECURITIES MARKET: PAST, PRESENT AND FUTURE AS THE LESSON FOR GEORGIA (Expanded Summary) Author: Aslanishvili, David, Source: Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2014, Volume: 1, Pages: 488-491, Published: 2014

*Kristine Omadze*

## **SOME ASPECTS OF MODERN LENDING AND THEIR IMPACT ON THE GREEN ECONOMY IN MORTGAGE AND STATE LENDING AND CO-FINANCING**

### **Summary**

Our research aims is describing the modern credit relationship and reflecting their impact on the more interesting topic - ecological environment and the development of green economy. In this regard, the most demanded type of credit - mortgage loan is discussed, whose long-term interest and desired interest rate is due to the growing demand for it. This determines the modern credit policy and the attitude of the public to the comfort and ecologically respecting environment. In addition, the modern system of private and state lending is described as a combination of financial flows to satisfy the demands of the public to live in the green economy and ecologically clean environment

**Keywords:** *credit, mortgage, credit relationships, financial system, green economy*

**მწვანე ეკონომიკა – საქართველოს მდგრადი განვითარების საშუალება**

*ანოტაცია. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია მწვანე ეკონომიკის როლზე, როგორც სწრაფი ეკონომიკური ზრდის და მდგრადი განვითარების უმთავრეს საშუალებაზე. ჩვენი ქვეყანა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს ევროპულ სივრცესთან დასახლოებლად. საქართველოს მთავრობა გამოდის ინიციატივით, რომ მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით განახორციელოს ნებაყოფლობითი ღონისძიებები ეკოსისტემების სერვისების, სუფთა წარმოების, გარემოსდაცვითი განათლებისა და მწვანე სამუშაო ადგილების განვითარების ხელშეწყობით. საჭიროა უფრო მეტი მუშაობა ამ მიმართულებით.*

*საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება; მწვანე პოლიტიკა; ბუნებრივი რესურსები.*

საქართველო, ისევე, როგორც მთლიანად თანამედროვე სამყარო, განვითარებისა და ტექნოლოგიური წინსვლის ფონზე უამრავი გარემოსდაცვითი პრობლემისა თუ გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ბოლო ათწლეულში კლიმატის ცვლილებამ, ჰაბიტატების დეგრადაციამ, წყლისა და ატმოსფერული ჰაერი დაბინძურებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ის ეკოლოგიური გარემო, რომელშიც ადამიანები და სხვა ცოცხალი ორგანიზმები სახლობენ. საქართველოს სწრაფი ეკონომიკური ზრდის გამოკვეთილი ინტერესი გააჩნია, თუმცა მნიშვნელოვანია, მიმდინარე პროცესებმა ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

მწვანე ზრდა და მწვანე ეკონომიკა გაეროს მიერ მდგრადი განვითარების ხელშეწყობა მნიშვნელოვან ფაქტორებად არის აღიარებული. მწვანე ზრდა წარმოადგენდა „ათასწლეულის განვითარების მიზნების“ ნაწილს და ასევე ხაზგასმულია „მდგრადი განვითარების მიზნებში“, რომლებიც გაერომ და მისმა წევრმა ქვეყნებმა 2015 წელს მიიღეს. საქართველოს მთავრობა მწვანე ეკონომიკას ქვეყნის მომავალი განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად განიხილავს და გამოდის ინიციატივით, რომ მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით განახორციელოს ნებაყოფლობითი ღონისძიებები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ეკოსისტემების სერვისების, სუფთა წარმოების, გარემოსდაცვითი განათლებისა და მწვანე სამუშაო ადგილების განვითარების ხელშეწყობა. საქართველოს მთავრობას კარგად აქვს გაცნობიერებული ის სარგებელი, რომლის მოტანაც მწვანე ეკონომიკას შეუძლია ადამიანებისა და გარემოსათვის [1].

მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც ამცირებს გარემოსდაცვით რისკებს და ეკოლოგიურ პრობლემებს, მიზნად ისახავს მდგრად განვითარებას და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას. ის მჭიდრო კავშირშია ეკოლოგიურ ეკონომიკასთან, ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიღწევას. შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებით აერთიანებს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს. მწვანე ეკონომიკა მოიცავს ექვს მთავარ სექტორს: განახლებადი ენერჯია; მწვანე შენობები; სუფთა ტრანსპორტი; წყლის მენეჯმენტი; ნარჩენების მენეჯმენტი და მიწის მენეჯმენტი. საქართველოს ეკონომიკის, განსაკუთრებით მისი სამრეწველო სექტორის, განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, ქვეყნის ბუნებრივი რესურსების და მისი ეკოსისტემების გამოყენებაზე. ატმოსფერულ ჰაერში ემისიები, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების და ნიადაგის დაბინძურება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც სამრეწველო და სამთო წარმოება არის განვითარებული. საქართველოს ეკონომიკა გამოირჩევა ენერჯის და რესურსების გამოყენების ძალიან მაღალი ინტენსივობით - ეს მაჩვენებლები საქართველოში 2-2.5-ჯერ აღემატება დასავლეთის ქვეყნების მაჩვენებლებს. ითვალისწინებს რა, რომ მწვანე ეკონომიკური განვითარება არ იწვევს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას, საქართველოს მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მწვანე ეკონომიკურ განვითარებას [2].

საქართველომ 2014 წელს მოაწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. ეს არის ერთგვარი განაცხადი და ამავე დროს სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივებს. ამ პირობებში ქართული საზოგადოებისთვის ერთობ მნიშვნელოვანი უნდა იყოს იმ გამოწვევებისა თუ პრობლემების



ცოდნა, რომლის წინაშეც დგას თანამედროვე ევროპა. მაშინ, როცა ევროპულ სივრცეში აქტიურად მიმდინარეობს დისკუსია ისეთ საკითხებზე, როგორცაა ფინანსური ბაზრის რეფორმირება, სისტემური უთანასწორობის აღმოფხვრა, მწვანე და მდგრადი ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები.

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრმა - კავკასიური სახლი ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით, - 2016 წელს განახორციელა პროექტი - მწვანე იდეები საქართველოს პროგრესული განვითარებისთვის. პროექტი მიზნად ისახავდა მდგრადი განვითარების პრინციპებისა და ევროპის მწვანე პოლიტიკური დღის წესრიგის ძირითადი საკითხების გააზრების ხელშეწყობას საქართველოში.

კონკრეტულად კი, პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა:

- მწვანე პოლიტიკისა და ეკონომიკის შესახებ ცნობილი გერმანულენოვანი ავტორების სტატიების ქართულ ენაზე თარგმნა და ანთოლოგიის სახით გამოცემა;

- გერმანელი მწვანე პოლიტიკოსის საქართველოში მოწვევა და საჯარო ლექცია მწვანე პოლიტიკის შესახებ;

- ანთოლოგიის შინაარსის სხვადასხვა საკითხზე საქართველოს ქალაქებში საჯარო დისკუსიების ინიცირება და ორგანიზება;

- საუნივერსიტეტო კონფერენციის ორგანიზება თემაზე „ეკონომიკური პოლიტიკის სოციალური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობით განხორციელების გზები“.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო 2020“ აღნიშნულია რომ, გლობალური დათბობით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგების აღმოსაფხვრელად, საქართველოს მთავრობის ძალისხმევასთან ერთად, საჭიროა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის საერთაშორისო ფონდებიდან (მწვანე კლიმატის ფონდი, გლობალური გარემოს დაცვის ფონდი და სხვ.) გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციით ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო განსაზღვრული გარემოსდაცვითი ინვესტიციების მოზიდვა, რაც ასევე შეუწყობს ხელს ქვეყანაში ენერგოდამზოგავი, გარემოსადმი კეთილგანწყობილი თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ტყის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების პრაქტიკის დანერგვა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ვინაიდან ტყის ეკოსისტემების სიჯანსაღეზეა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის, ჰიდროენერგეტიკის, ტურიზმისა და ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარება. ტყის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, რეკრეაციული, წყალმარეგულირებელი და ნიადაგდაცვითი ფუნქციების გათვალისწინებით ტყის მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა და ინოვაციური ტექნოლოგიების შემოტანა შეამცირებს ტყის დეგრადაციით გამოწვეულ ხარჯებს და ხელს შეუწყობს ეკონომიკური სარგებლის ზრდას ტყეების ეკოსისტემური სერვისის გაუმჯობესების გზით.

მთის საერთაშორისო დღეს, საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ევროკავშირის, შვედეთის და ავსტრიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას პროექტის - „მწვანე ეკონომიკა: მდგრადი მთის ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა“ დასაწყებად. პროექტი ითვალისწინებს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას, მათი პროფესიონალიზმის ამაღლების და მასშტაბების გაზრდის მიზნით. პროექტი ასევე მიზნად ისახავს ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობას და დამატებითი შემოსავლის შექმნის შესაძლებლობის გაზრდას საქართველოს ეკონომიკისთვის ორ ისეთ მნიშვნელოვან სექტორში, როგორცაა სამთო ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა. პროექტის შემუშავება მოხდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში. 4 წლიანი პროექტი 2019 წელს დაიწყო და დაფინანსებულია ევროკომისიის (3 მილიონი ევრო) შვედეთის (2.8 მილიონი ევრო) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობით (1 მილიონი ევრო). პროექტს ავსტრიის განვითარების სააგენტო განახორციელებს 9 კაციანი გუნდის საშუალებით, რომელიც მუდმივად იქნება განთავსებული მესტიასა და თბილისში [3].

სამთო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას. მათ შორის, ადგილობრივი მიწოდებლებისთვის ტურისტული სერვისების მიწოდების ეროვნული ხარისხის სტანდარტებისა და კონტროლის

სისტემის ჩამოყალიბებას. შემუშავებული სტანდარტების საფუძველზე სასტუმროებისა და სამთო/სამოგზაურო გიდების სერტიფიცირებას. პროექტის ფარგლებში ასევე მოხდება გამოცდილების გაზიარება ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, სამთო/სამოგზაურო გიდების და სასტუმროების მესაკუთრეების შესაძლებლობების განვითარება, სასწავლო მიზნებისთვის საჩვენებელი სამთო სასტუმროს შექმნა.

ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების ფარგლებში პროექტი ითვალისწინებს საქართველოს ორგანული სოფლის მეურნეობის კანონმდებლობის ჰარმონიზებას ევროკავშირის ორგანულ სოფლის მეურნეობის კანონმდებლობასთან, შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებას, სერტიფიცირების სააგენტოების და აგრო-საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებლების შესაძლებლობების განვითარებას, ორგანული სოფლის მეურნეობით დაკავებული ან დაინტერესებული ფერმერული კოოპერატივების გაძლიერებას, ასევე, საკონსულტაციო მომსახურების განვითარების ხელშეწყობას და ორგანული სოფლის მეურნეობის სექტორში მწარმოებლებს, მიმწოდებლებსა და გამყიდველებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებას. საქართველოს რეფორმებს ევროინტეგრაციის გზაზე, საქართველოში ინკლუზიურ ზრდას, გენდერულ თანასწორობას და სიღარიბის დაძლევას.

პროექტის შემუშავება მოხდა 49 მილიონი ევროს ღირებულების ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში, რომელიც საქართველოს ეკონომიკის და ბიზნესის განვითარებას ისახავს მიზნად. პროგრამის ხელმოწერა მოხდა 2018 წლის ნოემბერში ბრიუსელში, მაღალი დონის შეხვედრის ფარგლებში. შეთანხმება ითვალისწინებს ევროკავშირის და საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობას ისეთ სფეროებში, როგორცაა ბიზნესისთვის სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესება, თანამედროვე ფინანსური სერვისების განვითარება და ინოვაციური ბიზნესმოდელების შემუშავება.

„მწვანე ეკონომიკის“ სტრატეგიის პოლიტიკის განხორციელება ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი და პირველი რიგის ამოცანაა. გარემოსდაცვითი პრობლემები არა მარტო ჩვენს, არამედ მთელი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს. მწვანე პოლიტიკის მთავარი ფოკუსია გარემოს დაცვა, რათა მოხდეს ქვეყნის ეკოლოგიის გაჯანსაღება და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება მომავალი თაობებისთვის. ჩვენი მთავრობის მწვანე პოლიტიკა, როგორც იდეოლოგია, ისე და ისევე ადამიანის სიცოცხლესა და კეთილდღეობაზეა დაფუძნებული, რამდენადაც გარემოს დაცვის ხარისხი და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან [4].

ჩვენი ქვეყანა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს ევროპულ სივრცესთან დასახლოებლად. ამისათვის ორი ძირითადი პრიორიტეტი გამოიკვეთა, პირველი - აღმოფხვრათ ის ძალიან მძიმე მემკვიდრეობა, რომელიც დღეს გვერგო და მეორე - გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის ეს უნიკალური სიმდიდრე და უახლოეს წლებში მივიღოთ ისეთი შედეგები, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც მწვანე ეკონომიკის მქონე ქვეყნის პოზიციონირებას. სტრატეგიაში გაწერილი სტანდარტები მთლიანად მიახლოებულია ევროპულ სტანდარტებთან. დაწყებულია და წარმატებით მიმდინარეობს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ ნორმებთან, თუმცა, მომდევნო წლებში უფრო მკაფიო და კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურების პრევენციის, ნარჩენების მართვის, ბიომრავალფეროვნების, ეკოსისტემებისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის განვითარების თვალსაზრისით. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა გვაქვს ურბანულ ქალაქებში და რაც უფრო დიდია ქალაქი, სამწუხაროდ, მით უფრო მწვავედ დგას ეს პრობლემა. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია, შეიქმნას ატმოსფერული ჰაერის დაცვის ეფექტიანი პროგრამები ურბანული ქალაქებისთვის. თითოეულ სახელმწიფო უწყებას, მათ შორის კერძო სექტორს, განესაზღვრება კონკრეტული ვალდებულებები და რეკომენდაციები იმისთვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად გაუმჯობესდეს ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა საქართველოში.

2018 წლის აგვისტოდან დაიწყო ქვეყანაში ჰაერის ხარისხის ევროპული სტანდარტის დანერგვა, რაც საშუალებას მოგვცემს, ქვეყნის მასშტაბით ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასება მოხდეს თანამედროვე ევროპული სტანდარტების გამოყენებით. ქვეყანაში უკვე არსებული თანამედროვე ავტომატური მონიტორინგის ქსელი საშუალებას იძლევა, სწორედ ევროპული სტანდარტებით მოხდეს ჰაერის ხარისხის შეფასება. ჰაერის ხარისხის ევროპული

სტანდარტების დანერგვა პასუხობს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნებს.

ასევე ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი გახდა მდგრადი სატრანსპორტო პოლიტიკა. მთავრობის პრიორიტეტია, ეტაპობრივად ჩანაცვლდეს გაუმართავი და ამორტიზებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი. თბილისში, უკვე 2019 წელს მოლიანად მოხდება ე.წ. ყვითელი ავტობუსების პარკის ჩანაცვლება. ამასთან ერთად, ეტაპობრივად დაწყებულია ელექტროავტობუსების შემოყვანის პროცესი. ამასთან ერთად, მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობისა და დაგეგმარებისას მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინება, რასაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან.

2018 წლის 1-ლი იანვრიდან დაიწყო ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმა, რომელიც 2019 წლის ბოლომდე ყველა ტიპის ავტოტრანსპორტს მოიცავს. ეს ხელს შეუწყობს როგორც გარემოზე ზემოქმედების, ასევე საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესებას. აღნიშნული რეფორმის ფარგლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ავტოპარკის ტექნიკური შემოწმება გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით. შესაბამისი ინიციატივების ფარგლებში კიდევ უფრო გამკაცრდება მოთხოვნები გამონაბოლქვის შემოწმების მიმართულებით. აგრეთვე, ბენზინსა და დიზელში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ნორმა დაუახლოვდება ევროპულ სტანდარტს. 2020 წლამდე ორივე საწვავის ხარისხი უნდა აიწიოს „ევრო 5“-მდე, რაც გულისხმობს, რომ 10-ჯერ შემცირდება გოგირდის შემცველობა იმ საწვავში, რომლის იმპორტირებაც დღეს საქართველოში ხდება. აგრეთვე, ყველა ტიპის ავტომობილისთვის ტექნიკური დათვალიერების შემოღება მაქსიმალურად შეუწყობს ხელს დიზელზე მომუშავე ავტომობილების მიერ ჰაერის დაბინძურების მკვეთრ შემცირებას. ამასთან ერთად, იგეგმება იმპორტული ავტომობილების დაბეგვრის ისეთი რეჟიმის შემოღება, როდესაც კიდევ უფრო მეტი უპირატესობა მიენიჭება ეკოლოგიურ ტრანსპორტს, მათ შორის მსუბუქ და დაბალი კუბატურის მქონე ავტომობილებს. მაღალი კუბატურის მქონე ავტომობილებისათვის გაიზრდება განბაჟების გადასახადი, რათა მოხდეს მეტი სტიმულირება, რომ საქართველოში მეტი ჰიბრიდული და ელექტროავტომობილი შემოვიდეს.

2018 წლის ოქტომბრიდან სავალდებულო გახდა პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება გაიარონ რეგისტრაციის თარიღიდან 30 დღეში. საქართველოში იმპორტირებული ავტომანქანების ფაქტობრივად 90%-ს არ აქვს გამართული ე.წ. კატალიზატორის სისტემა, რაც ძალიან საშიშია და უკავშირდება როგორც მანქანის ტექნიკურ გამართულობას, ამავე დროს, გარემოზე ზემოქმედებას. შესაბამისად, ეს გახდება ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა იმისთვის, რომ მანქანამ მიიღოს ტექნიკური შემოწმების შესაბამისი დოკუმენტი. სხვაგვარად იმპორტირებული ავტომობილები ამ შემოწმებას ვერ გაივლიან [5].

ინერგება გარემოსდაცვითი ინტეგრირებული სანებართვო სისტემა, რომელიც საწარმოებს ტექნოლოგიური ციკლის თანამედროვე ტექნოლოგიებით მაქსიმალურად მოკლე ვადაში ჩანაცვლებას დაავალდებულებს. მწვანე ინიციატივების წახალისებისთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე დაინერგოს ეკომარკირების ინსტრუმენტი, რაც გულისხმობს პროდუქციის წარმოებაში ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების წახალისებას და მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობას.

როდესაც მწვანე ეკონომიკაზე ვსაუბრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ სოფლის მეურნეობის პოლიტიკა. მნიშვნელოვანია, შევცვალოთ პრიორიტეტები სოფლის მეურნეობაში. ჩვენი მწვანე ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი ფოკუსი სწორედ სოფლის მეურნეობა უნდა იყოს. საქართველო უნდა გახდეს ძალიან მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა, ე.წ. ბიოპროდუქტის მწარმოებელი ქვეყანა. უკვე დაწყებულია ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა. ნატურალური პროდუქტების გარკვეული ჯგუფი გათავისუფლებულია დღ-სგან, მაგრამ, ამოცანაა, გადასახადებისგან სრულად გათავისუფლდეს ის სექტორი, რომელიც საქართველოში შეძლებს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას.

მნიშვნელოვანია, ენერგოეფექტურობის პოლიტიკა პრიორიტეტია, ეკონომიკის ენერგომომხმარებელ სექტორებში ენერგოტევადობის შემცირების, ენერჯის წარმოების, გადაცემის, განაწილების და მოხმარების სწორი მართვისა და ზოგადად ენერჯის მოხმარების ოპტიმიზაციის მიზნით სათანადო პოლიტიკის განსახდერა და გატარება. თუ ჩვენ ავიღებთ დასავლეთ ევროპის მაგალითს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაახლოებით 20%-იანი რესურსი გვაქვს იმისთვის, რომ ენერგოეფექტურობაში ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი მივიღოთ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალი, მწვანე, რეკრეაციული სივრცეების შექმნას ქალაქებში, ისევე როგორც არსებულის მოვლას და განახლებას. ამავე დროს, ძალიან მნიშვნელოვანი ინვესტიციები იდება დაცული ტერიტორიებისა და ყველა ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური ეკოსისტემების განვითარებაში.

დღეს მსოფლიოსთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა კლიმატური ცვლილებები და იმ ფონზე, როდესაც მსოფლიოში ასეთი გამოწვევები არსებობს, კიდევ უფრო მძიმე ტვირთად გვაწვება ის მდგომარეობა, რაც საქართველოში გვაქვს ტყის მოვლის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, საჭიროა ჩვენი პოლიტიკა იყოს ძალიან პრინციპული და თანმიმდევრული. ტყე არის საქართველოს სიმდიდრე, მას უნდა გავუფრთხილდეთ და ის უნდა განვავითაროთ. იმ სიღარიბის ფონზე, რაც დღეს საქართველოში გვაქვს, ძალიან რთულია ვთქვათ რადიკალური უარი სხვადასხვა მიმართულებით ტყის გამოყენებაზე, მაგრამ ეს არ არის არგუმენტი იმისთვის, რომ ჩვენ ამ მიმართულებით პრინციპული ნაბიჯების გადადგმა არ დავიწყეთ. მთავრობა გვემავს საქართველოში იმპორტირებული ხე-ტყის შემოტანის წახალისებას. უნდა შეიზღუდოს საქართველოდან ე.წ. მორისა და ხის ფიცრის გატანა [5].

მწვანე სტრატეგიის იმპლემენტაციის გზაზე ბევრი წამყვანი ეკონომისტის მოსაზრებით, 21-ე საუკუნეში სწორედ მწვანე ეკონომიკას აქვს ყველაზე მაღალი კაპიტალიზაციის მოტანის საშუალება. ჩვენი მცირე ეკონომიკისთვის ეს არის უზარმაზარი შესაძლებლობა, მაგრამ მისი გამოყენებისთვის აუცილებელია, თანმიმდევრულნი ვიყოთ ჩვენს ნაბიჯებში. ამ რეფორმის შედეგად, საქართველოში უნდა მივიღოთ სრულიად უნიკალური გარემო და ეს კაპიტალიზაცია შეეხება ნებისმიერ მიმართულებას. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში უძრავი ქონების ფასი უფრო მაღალი იქნება, ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც საქართველოში ფლობენ მიწის ნაკვეთებს, ბინებს თუ კერძო სახლებს, უფრო მეტი კაპიტალის მფლობელები გახდებიან. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია იქნება უფრო კონკურენტუნარიანი და ჩვენ შევძლებთ, ავითვისოთ ის უნიკალური საშუალება, რასაც გვაძლევს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი როგორც ჩინეთთან, ასევე ევროკავშირის ქვეყნებთან.

რაც მთავარია, ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი წინაპირობა განათლების სექტორის ფუნდამენტურ რეფორმასთან ერთად, რომელიც უზრუნველყოფს ყველაზე მთავარს, რომ საქართველო იყოს განვითარებული ეკონომიკის, ნამდვილი ევროპული ინსტიტუტების მქონე ქვეყანა და ეს გახდება ერთადერთი უალტერნატივო წინაპირობა ჩვენი აფხაზი და ოსი მოქალაქეებისთვის, რომ ჩვენ ერთად ვაშენოთ ძლიერი და ევროპული საქართველო.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://recp.ge/wp-content/uploads/2018/01/Green-economy-newsletter-GE-1.pdf>
2. [http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/1\\_sakartvelos\\_socialur-ekonomikuri\\_ganvitarebis\\_strategiis\\_-\\_sakartvelo\\_2020.pdf](http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/1_sakartvelos_socialur-ekonomikuri_ganvitarebis_strategiis_-_sakartvelo_2020.pdf)
3. <http://moe.gov.ge/res/images/file-manager/strategiuli-dokumentebi/strategiebi-gegmebi/2017-2021-----.pdf>
4. <http://european.ge/mwvane-ekonomikuri-dogtrinistvis-tezisebi/>
5. <https://www.facebook.com/bakhtadzemamuka/posts/301440800591996/>

*Lali Osadze  
Lali Sreseli*

### **GREEN ECONOMY – OPPORTUNITY FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA Summary**

Georgia, as well as the whole modern world, in light of the development and technological breakthrough, is facing many environmental challenges. Georgian government sees the green economy as one of the most important means of development and comes up with the initiative to conduct voluntary activities supporting sustainable development. Therefore, it is important to support development of ecosystem services, clean production, environmental education and green jobs. Georgian Government is well aware of benefits of Green Economy to humanity and environment.

To eliminate economic losses caused by global warming and support introduction of energy saving and environmentally friendly technologies, alongside with efforts of Georgian government, it is important to

attract investments from international funds. Moreover, protection of forests and rational use of resources should be considered, which will boost the social and economic wellbeing of people as the development of agriculture, hydropower, tourism and other sectors of economy depends on the forest ecosystem. Taking into account goals of modern forest management such as sustaining the biodiversity of forest, recreational use and soil protection, its implementation and introduction of modern technologies will reduce costs associated with forest degradation and promote increase of economic benefits through development of better ecosystem services.

In 21st century, it is a green economy, that has a highest capitalization potential. It is a huge opportunity for our small economy, but it is essential to be consistent in our actions. This is an important precondition, alongside with the fundamental reform of education sector, for Georgia having a modern economy and European institutes, inducing our Abkhazian and Ossetian fellow citizens to build a strong and European Georgia together.

**Key Words:** *Sustainable development, green policy, natural resources*

**Мағбат Уарысбекович Спанов  
Куралай Оразалиевна Нурғалиева  
Максам Аблахатович Каликов**

## **РАЗВИТИЕ ЗЕЛЕННОЙ ЭНЕРГЕТИКИ В КАЗАХСТАНЕ**

**Аннотация.** *В настоящее время тема зеленой энергии актуальна в мире. В нашей стране Президент подчеркнул, что развитие возобновляемых источников энергии является одним из приоритетных направлений нашего государства. Основной целью развития зеленой энергии в стране является преодоление традиционной энергосистемы. Потому что негативное воздействие традиционных источников энергии на окружающую среду чрезвычайно велико.*

*«Зеленая» экономика является одним из важнейших инструментов обеспечения устойчивого развития страны. Переход к «зеленой экономике» позволит Казахстану обеспечить достижение поставленной цели по вхождению в число 30-ти наиболее развитых стран мира. Согласно докладу ЮНЕП, сценарий «зеленого развития» обеспечивает более устойчивый экономический рост на новой инновационной основе, так как способствует переходу к умной, интеллектуальной экономике путем поиска путей эффективного использования и сохранения природного капитала (особенно невозобновляемых природных ресурсов), развития человеческого капитала на основе значительного инвестирования в науку и образование, снижения рисков от таких глобальных угроз, как изменение климата, утрата экосистемных услуг и дефицит водных ресурсов.*

*В статье представлен всесторонний анализ энергетического сектора Казахстана и предложено использовать имеющегося значительного потенциала ветровой и солнечной энергии, а также энергии рек с помощью малых ГЭС с целью обеспечения оптимальной структуры генерирующих мощностей, учитывающей снижение общего расхода ТЭР, минимальный уровень экологического воздействия на окружающую среду. Это также подразумевает соответствия с Киотским протоколом о снижении выбросов парниковых газов.*

**Ключевые слова:** *зеленая экономика, зеленая энергетика, устойчивое развитие, экологическая эффективность, экономический рост.*

### **Введение**

В 1992 году в Рио-де-Жанейро была проведена конференция ООН об окружающей среде и развитии, принята Декларация, основанная на выводе и 27 положениях «охрана окружающей среды для достижения устойчивого развития должна рассматриваться как неотъемлемая часть». Спустя 20 лет представители стран мира в 2012 году вновь собрались на саммите «Рио+20», где поднимали вопросы «зеленой экономики», устойчивого развития и борьбы с бедностью. После саммита в Рио в Казахстане особое внимание уделялось значению «зеленой экономики», а также начался комплекс мероприятий в этом направлении. Елбасы Республики Казахстан Н.А. Назарбаев в послании народу Казахстана 2014 года «Казахстанский путь – 2050: Единая цель, единые интересы, единое будущее» поставил ряд важных задач, таких как создание экономики, развитие инновационных отраслей, развитие альтернативных источников энергии, развитие малого и среднего предпринимательства, основанного на новаторстве.

\* \* \*

Энергетическая отрасль Казахстана является одним из важных элементов функционирования и развития экономики страны и имеет четкую разницу в следующих сегментах:

- Производство электроэнергии – конкурентоспособный сектор.
- Распределение и планирование электроэнергии является монопольным сектором.
- Распределение и продажа электроэнергии – конкурентоспособный сектор.


Система распределения энергетики Казахстана объединена в единую электроэнергетическую систему, а также разделена на три зоны в связи с ограничением сети электроэнергией:

Северный регион-это энергетическое преимущество Казахстана. В основном, благодаря Павлодарской области, избыточное потребление энергии экспортируется в южные и западные регионы Казахстана, а также в Россию. В этом регионе вырабатывается 78,71 млрд кВтч энергии, потребительская потребность составляет 64,86 млрд кВтч. Северная зона обеспечивает 77% от общего объема производства.

Южная зона - энергодефицитный регион, покрывающая дефицит электроэнергии из северной зоны и частично дефицит покрывается с импортом стран Центральной Азии (Кыргызстан и Узбекистан). Объем выработки энергии составляет 11,34 млрд кВтч, а потребительские потребности 20,54 млрд кВтч.

Западная зона-это регион с энергодефицитом, где дефицит в основном охватывается импортом электроэнергии из России и частично из Северной зоны. Объем выработки энергии составляет 12,32 млрд кВтч, а потребительская потребность-12,43 млрд кВтч. Дефицит в этом регионе не сравним с южной зоной.

В целом в 2017 году объем производства энергии в стране составил 102,32 млрд кВтч, а потребительская потребность - 97,82 млрд кВтч. Его можно посмотреть на рисунке 1. Также с каждым годом увеличивается потребление электроэнергии.




**Рисунок 1. Потребления электроэнергии в Казахстане**

Рост объемов потребления электроэнергии в Казахстане в основном связан с развитием реального сектора экономики страны. Наиболее интенсивными секторами экономики Казахстана являются тяжелая промышленность и металлургия. В 2013 году металлургическая отрасль в Казахстане испытала вторую волну экономического кризиса, что привело к снижению спроса и снижению цен на готовую металлургическую продукцию, что повлияло на снижение потребления электроэнергии. Снижение потребления электроэнергии в 2015 году обусловлено снижением спроса и цен на металлы. В 2017 году объем потребления электроэнергии в Казахстане по сравнению с 2016 годом увеличился на 6%. Основной причиной является увеличение потребления промышленными и энергоснабжающими компаниями.




**Рисунок 2. Производство электроэнергии в Казахстане**

Снижение производства электроэнергии связано с уменьшением объемов потребления электроэнергии крупными промышленными потребителями (металлургия). Восстановление выработки электроэнергии в 2016-2017 годах в связи с стабилизацией экономики повлияло на Казахстан, увеличение объемов потребления и внедрение новых генерирующих мощностей в некоторых регионах страны. Спрос на электроэнергию в стране будет расти и в будущем. А к этому источнику мы добиваемся, в основном, посредством производства традиционной энергии.



**Рисунок 3. Структура производства электроэнергии в Казахстане по источникам выработки**

Как видно из вышесказанной диаграммы, выработка электроэнергии осуществляется в основном через ТЭС и ГТЭС. Это означает, что загрязнение воздуха через парниковые газы и причинение отрицательного ущерба окружающей среде. Учитывая, что Казахстан в 2009 году подписал Киотский протокол, а также примет участие в реализации программы РИО + 20, мы должны постепенно отказаться от традиционных источников энергии для здоровья будущего страны и ориентироваться на развитие возобновляемых источников энергии. Значительная доля объема электроэнергии приходится на работу шахт в Экибастузе, Майкубане, Торгае и Караганде. За счет этого достигнута дешевая цена производства электроэнергии. Доля возобновляемых источников энергии (ГЭС, ТЭС и СЭС) составляет 11,3% электроэнергии в Казахстане. Несмотря на то, что объем данного показателя увеличивается за последние годы, он требует тщательного внимания и систематической работы. Если предположить, что потребление электроэнергии на ближайшую перспективу будет выглядеть следующим образом (Рис.4).



**Рисунок 4. Прогноз производства и потребления электроэнергии в Казахстане**

В 2019 году в Казахстане ожидается увеличение выработки электроэнергии благодаря модернизации и техническому обслуживанию для увеличения производственных мощностей. В 2016 году завершена модернизация Экибастузской ГРЭС-1. Реализуется проект расширения и реконструкции Экибастузской ГРЭС-2. Перспектива проекта «выработка мощности Балхашской ТЭС» неизвестна, так как стратегический инвестор покинул проект. Согласно прогнозам ВМІ, Казахстан станет чистым экспортером электроэнергии до 2025 года. Кроме того, в производстве электроэнергии ожидается профицит, позволяющий покрывать в Казахстане противодефицитные зоны, а также поставлять электроэнергию на экспорт. По данным АО «KEGOC», транспортировка электроэнергии в Китай является перспективной стратегией развития электроэнергетики Казахстана на фоне снижения экспорта электроэнергии в Россию. Прогнозная положительная динамика производства и потребления электроэнергии с 2018 по 2023 годы будет зависеть от увеличения производимой мощности путем модернизации и реконструкции оборудования предприятий-производителей электроэнергии, а также завершения инвестиционных программ для ожидаемого экономического роста, индустриального развития и роста населения Казахстана. На рисунке ниже можно увидеть темпы роста экономики Казахстана. Несмотря на то, что в 2015-2016 году наблюдается стагнация в экономике, за последние 2 года наблюдается рост объема на 4%. Рост экономики также увеличивает спрос на энергию.

По итогам 2018 года реальный рост ВВП Казахстана составил 4%. В мировой экономике тоже есть рост. Это говорит о росте спроса на энергию в производстве и работе промышленности. Именно мы сможем обеспечить этот спрос через развитие альтернативных источников энергии, сформировать новую модель экономического развития страны. В Казахстане 79% электроэнергии производится на тепловых электростанциях, работающих на угле, так как самое дешевое топливо-уголь, полученный из Экибастузского, Майкудукского, Тургайского и Карагандинского рудников, расположенных в Северной энергетической зоне Казахстана. Энергетическая система Казахстана характеризуется неравномерным распределением выработки электроэнергии в стране.



**Рисунок 5. Темп прироста реального ВВП мировой экономики и Казахстана**



В целом состояние энергетического сектора в Казахстане зависит от природных ресурсов: нефти, газа, угля и урана. Казахстан обладает богатыми природными ресурсами, использует их как источники энергии, приводящие к уменьшению количества природных ресурсов, а экологическое состояние республики с каждым годом ухудшается. Зона энергетического дефицита: южная зона, охватывающая Алматинскую, Южно-Казахстанскую, Жамбылскую и Кызылординскую области. Наличие дефицита связано с нестабильностью производства электроэнергии за счет морально и физически устаревшей тепловой мощности, которая требует технического перевооружения и реконструкции.

Пути решения:

- техническое перевооружение и модернизация оборудования существующих электростанций;
- ввод новых мощностей на действующих электростанциях;
- строительство новых электростанций (ТЭЦ, СЭС, ГЭС, ГТЭС) ;
- вовлечение в баланс возобновляемых источников энергии (малых ГЭС, ТЭС, ГЭС).

В результате применения новых и инновационных технологий энергоёмкость мировой экономики в 2030 году может снизиться на 60%. Энергоёмкость ВВП Казахстана составляет 1,9, например, этот рост в Республике Беларусь-1,17; а в Японии-всего 0,1, то есть в 19 раз ниже. Что касается общей энергоэффективности, то средний показатель энергопотребления зданий в Казахстане-270 кВтч/м<sup>2</sup>, а в Швеции-82 кВтч / м<sup>2</sup>. [4]

Вовлечение в баланс возобновляемых источников энергии предполагает, что освоение энергии реки посредством использования малых ГЭСов для обеспечения оптимальной структуры генерирующих мощностей с учетом значительного потенциала ветровой и солнечной энергии, а также снижения общего объема топливно-энергетических ресурсов предусматривает действия в соответствии с Киотским протоколом об уровне воздействия на окружающую среду и уменьшении выбросов парниковых газов. Перспективными проектами в Алматинской области являются строительство ветроэлектростанций в Джунгарских воротах и Шелекском коридоре и строительство малых гидроэлектростанций на реках Шелек, Чарын, Каратал, Коксу, Аксу, Лепсы, Тентек, Ырғайты.

Отличительными преимуществами альтернативных источников энергии являются:

- отсутствие вредных выбросов в атмосферу, т. е. экологическая чистота;
- работа без расхода топлива;
- низкий шум или полнобеззвучная работа;
- рабочая автономия.

Гидроэнергетика является более развитой форм возобновляемой энергии в Казахстане, что составляет 11% от общего производства электроэнергии. Гидроэнергетика-это невероятная, предсказуемая и конкурентоспособная технология. В экологическом плане гидроэнергетика может оказывать воздействие на окружающую среду на местном и региональном уровнях, но представляет собой преимущества на макроэкологическом уровне. Одним из основных экологических преимуществ гидроэнергетики является отсутствие атмосферных загрязняющих веществ или отходов, связанных с горением топлива. Гидроэнергетика предоставляет большие возможности для уменьшения выбросов углерода в ближайшей и долгосрочной перспективе. В соответствии с концепцией по переходу к «зеленой экономике» цели большинства долгосрочных отраслевых и ресурсных показателей в Казахстане до 2050 года очень высоки. Гидроэнергетические установки способствуют ускорению социально-экономического развития. Это во многом влияет на улучшение условий жизни местного населения, а также на многие мероприятия, связанные с доступом водных ресурсов экономики региона не только за счет выработки электроэнергии, но и путем создания систем пресных водосберегающих систем. К примеру, достаточное водоснабжение муниципалитетов и производств, обеспечивающих одновременную защиту от наводнений, засухи, полива, рыболовства и туризма.

## Заключение

«Зеленая экономика» - один из важнейших инструментов обеспечения устойчивого развития страны. Переход к «зеленой» экономике позволит Казахстану достичь цели стать одной из 30 самых развитых стран мира. Согласно отчету ЮНЕСКО, сценарий «Зеленого развития» обеспечит устойчивый экономический рост на новой инновационной основе, так как способствует переходу к умной, интеллектуальной экономике, путем поиска путей достижения эффективного использования и сохранения природного капитала (особенно к возобновляемым природным ресурсам), снижает риски

от таких глобальных угроз, как инвестирование в науку и образование, изменение климата, потеря экосистемных услуг и дефицит воды.

### Использованная литература

1. «Қазақстан жолы – 2050: Бір мақсат, бір мүдде, бір болашақ» ҚР Президенті Н.Ә.Назарбаевтың Қазақстан халқына Жолдауы. 2014 жылғы 17 қаңтар.
2. Қазақстан Республикасының президентінің 2013 жылдың 30 мамырындағы №577 Жарлығымен «Жасыл» экономикаға көшу жөніндегі Тұжырымдамасы
3. Навстречу «зеленой» экономике: пути к устойчивому развитию и искоренению бедности – Обобщающий доклад для представителей властных структур. ЮНЕП, 2011.
4. Абсаметова А. Энергоэффективность как элемент национальной энергетической политики Казахстана // Kazenergy. - 2013. - Special edition. - С. 32-35.
5. Karatayev M, Clarke M L. Current energy resources in Kazakhstan and the future potential of renewables: a review. Energy Procedia. 2014

*Magbat Uarisbekovich Spanov  
Kuralay Orazgaliyevna Nurgaliyeva  
Maksat Ablakhatovich Kalikov*

### DEVELOPMENT OF GREEN ENERGY IN KAZAKHSTAN

#### Summary

Currently, the theme of green energy is relevant in the world. In our country, the President stressed that the development of renewable energy sources is one of the priorities of our state. The main goal of the development of green energy in the country is to overcome the traditional energy system. Because the negative impact of traditional energy sources on the environment is extremely large.

The green economy is one of the most important instruments for ensuring the country's sustainable development. The transition to a "green economy" will allow Kazakhstan to achieve its goal of becoming one of the 30 most developed countries in the world. According to the UNEP report, the "green development" scenario provides for more sustainable economic growth on a new innovative basis, as it promotes the transition to a smart, intelligent economy by finding ways to efficiently use and preserve natural capital (especially non-renewable natural resources), develop human capital on the basis of significant investing in science and education, reducing risks from global threats such as climate change, loss of ecosystem services and water scarcity.

The article presents a comprehensive analysis of the energy sector of Kazakhstan and proposed to use the existing significant potential of wind and solar energy, as well as river energy using small hydropower plants to ensure the optimal structure of generating capacity, taking into account the reduction in total fuel and energy resources, the minimum level of environmental impact on the environment. It also implies compliance with the Kyoto Protocol on reducing greenhouse gas emissions.

**Keywords:** *green economy, green power, sustainable development, environmental efficiency, economic growth.*

*თენგიზ ქავთარაძე*

### მწვანე ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში

**ანოტაცია.** ნაშრომში შესწავლილია მწვანე ეკონომიკა, როგორც ეკონომიკური განვითარების მოდელი, რომელიც დამყარებულია მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე. არსებული შესაძლებლობების უფრო მეტად გამოყენების მიზნით სხვა დარგებისაგან იმით განსხვავდება, რომ პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც აქვს ეკონომიკური ღირებულება. პირველადია საუბარი მწვანე ეკონომიკაზე, რომელიც უზრუნველყოფს რეალურ, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და აფერხებს რესურსების გამოლევის საშიშროებას.

**საკვანძო სიტყვები:** *მწვანე ეკონომიკა, მწვანე პროექტი, ენერგოეფექტურობა, ენერგო-კენერაცია, განახლებადი ენერჯია.*

## შესავალი

მწვანე ეკონომიკა მიჩნეულია ეკონომიკური თეორიის იმ კომპონენტად, სადაც ის ეკოსისტემის ნაწილად მოიაზრება. კლასიკური ეკონომიკის თანახმად, იგი არ განიხილება დამოუკიდებლად, რადგან ისინი მას როგორც მეცნიერების კომპონენტს ისე განიხილავენ, კერძოდ, მიიჩნევენ, რომ ტრადიციულად, მიწა, როგორც წარმოების ერთ-ერთი ფაქტორი, მოიცავს ბუნებრივ კაპიტალს და დაკავშირებულია წარმოების მეორე ფაქტორთან, შრომასთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 2010 წელს ბრეტონ ვუდსის სისტემის მთავარმა ინსტიტუტებმა, მსოფლიო ბანკმა და სავალუტო ფონდმა დიდი დაინტერესება გამოხატეს მსოფლიო ბიომრავალფეროვნების შეფასების მიმართ, რაც მის აქტიურ დაფინანსებას გულისხმობს.

მწვანე ეკონომიკა სახელმწიფო და კერძო სექტორს ერთმანეთისაგან არ მიჯნავს. იგი ცდილობს, მოძებნოს ეკონომიკური გადაწყვეტის პოზიტიური ალტერნატივა. მწვანე ეკონომიკის მთავარი რეგულატორი არა სახელმწიფო ან კერძო ბიზნესია, არამედ საზოგადოება, რომელიც ირჩევს და თავად მართავს მას.

არ შეიძლება არ შევაფასოთ ხარისხობრივი ცვლილებების აუცილებლობა, არაფორმალური ინსტიტუტების (ტრადიციების, ყოფაქცევის, სტერეოტიპების და სვა) კავშირი ტრადიციულ ცოდნასა და გამოცდილებასთან. საუბარი ეხება ე.წ. ტრადიციული ცოდნისა და კულტურის ხელახლა გამოყენებას, რომლებიც ხასიათდება რესურსდამზოგველობით. ისინი ადაპტირებული არიან რთულ ბუნებრივ კლიმატურ პირობებთან. ეს ყველაფერი საუკუნეობით დაგროვდა ჩრდილო რუსეთის ადგილობრივ მოსახლეობაში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში. მაგალითად, სახლების ტრადიციული მოპირკეთება ხის მასალის გამოყენებით, შვლის ტყავებით და სხვა. საქართველოში დღესაც ცხოვრობენ სვანები მანუბებში, ზემო მთიულეები – ბანიან სახლებში, სამცხე-ჯავახეთში აღმოჩენილია მიწისქვეშა ტრადიციული დიდი დასახლებანი. აღნიშნული ცოდნის დიდი და უნიკალური პოტენციალი და ტექნოლოგია ჯერჯერობით სუსტად აისახება ან სულაც არ პოულობს ასახვას თანამედროვე ბინათმშენებლობის სტანდარტებში. მათი ეფექტიანი გამოყენება მნიშვნელოვნად გააიაფებდა ენერგოეფექტურ სისტემას.

\* \* \*

მწვანე ეკონომიკის პირობებში მუნიციპალურ შენობებში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება თბილისის მერიის პრიორიტეტს წარმოადგენს. მიმდინარე ინიციატივები და პროგრამები დაეხმარება ქალაქის მერიას, შეასრულოს ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებები ენერგოეფექტურობის სფეროში. ენერჯის ალტერნატიული წყაროების პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინსტრუმენტი ენერგორესურსების მართვის სისტემები, ამ ინსტრუმენტის გამოყენება ასევე დაეხმარება ქალაქის მუნიციპალიტეტს, მიიღოს სწორი გადაწყვეტილება მრავალსართულიანი შენობების მოდერნიზაციის შესახებ. მნიშვნელოვანია მოხდეს საცხოვრებელი შენობების ენერგოეფექტური ინიციატივების (მაგ., გათბობის ქვებები, განათება, სხვადასხვა ტიპის ტექნიკური მოწყობილობები) და შენობის თერმული მახასიათებლების გაუმჯობესების წახალისება. ამ ამოცანის მიღწევა შესაძლებელია ბინათმესაკუთრეთა ასოციაციისა და კერძო მფლობელებთან კონსულტაციებისა და შენობის რეაბილიტაციისათვის განსაზღვრული ფინანსური მექანიზმების მეშვეობით.

საქართველოში ყოველწლიურად 9 მილიონამდე ტურისტი შემოდის. ხორციის წარმოების გადიდების მიზნით აქტივობებლად უნდა დაინერგოს რესპუბლიკის მეღორეობის ფერმებში გოჭის ადრეულ ასაკში ასხლეტა. ამჟამად, როგორც აშშ-ში, ასევე ევროის ქვეყნებსა და რუსეთის ქალაქებში აქტიურად მიმდინარეობს საჭმლის ნარჩენების გადაამუშავება. აგალითად პეტერბურგის არაგემური საკვების დამზადების კანტორის მონაცემებით პეტერბურგის საგარეუბნო მეურნეობები წელიწადში საშუალოდ იყენებენ 180000 ტონა საჭმლის ნარჩენს, რაც დაახლოებით 360000 ტონა მარცვლის ან 60000 ტონა ღორის ხორცის ცოცხალი მასის ეკვივალენტურია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ახლახან მოაწერა ხელი ავსტრიულ კომპანიასთან თბილისის ახალ ნაგავსაყრელზე ნარჩენების გადამამუშავებისა და ენერგო გენერაციის საწარმოს მშენებლობის მიზნით. დაგეგმილია, რომ ახალი ქარხანა გადაამუშავებს ქალაქის მუნიციპალურ ნარჩენებს (რომელიც შეადგენს 1000 ტონას დღეში);

მათგან 80% ორგანული ნარჩენია. საწარმო გამოიყენებს მექანიკურ-ბიოლოგიურ დამუშავებას და დღიურად 200 ტონა ნარჩენს გარდაქმნის მაღალხარისხიან დიზელის საწვავად (ევრო 5) და ასფალტად. ჭარბობული საწვავის დაახლოებით 10% საწარმოს მიზნებისათვის გამოიყენება. ადგილზე მოხდება ლითონის, მინისა და პლასტიკური ბოთლების განცალკევება და მათი საერთაშორისო ბაზარზე გატანა.

ამჟამად აშშ-ში მარცვლეულის წარმოება 400 მლნ ტონამდე გაიზარდა, საიდანაც 126 მლნ ტონა სათბობის მწარმოებელ ქარხნებში იგზავნება. ეს მხოლოდ ამერიკული ფენომენი არ არის: ბრაზილია აქტიურად ახდენს შაქრის ლერწმის გადამამუშავებას ეთანოლად, ევროკავშირი კი 2020 წლისათვის სატრანსპორტო ენერჯის 10%-ით მიღებას განახლებადი წყაროებიდან ძირითადად ბიოსათბობიდან გეგმავს. აშშ-სა და სხვა ევროპული ქვეყნების გამოცდილების მსგავსად მელორეობაში საკვების წარმოების გაფართოების მიზნით უნდა მოეწიოს მსხვილი ქალაქების ნაგავსაყრელებთან საჭმლის ნარჩენების ნაწილის გადამამუშავებელი საამქროები. მათი მეშვეობით მოხდებოდა რესპუბლიკის მელორეობის ფერმებისათვის დიდი რაოდენობით იაფი და ყუათიანი საკვების მიწოდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამის ფარგლებში 2008 წელს შეიქმნა მწვანე ეკონომიკის ინიციატივა, რომელიც რამდენიმე კომპონენტს მოიცავს. მათი ერთობლივი მიზანი მწვანე სექტორში მიმდინარე საინვესტიციო და რეფორმების პოლიტიკის მაკროეკონომიკური ანალიზია. მოცემული ინიციატივა აფასებს ისეთ სექტორებს, როგორცაა განახლებადი ენერჯია, სუფთა და ეფექტური ტექნოლოგიები, წყლის მომსახურება და მდგრადი სოფლის მეურნეობა; იგი ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას, სოციალური თანასწორობისა და სიღარიბის შემცირებას.

საკითხის შესწავლით ირკვევა, რომ „მწვანე ეკონომიკის“ განხორციელების წარმატებული მაგალითები ბევრია განვითარებად ქვეყნებში: ჩინეთში წარმატებულად ხორციელდება განახლებადი ენერჯის წყაროების მოძიება. ამ სფეროში მნიშვნელოვანი მოცულობის ინვესტიციები იქნა მიმართული. გეგმის თანახმად, ჩინეთის მთავრობა იმედოვნებს, რომ 2020 წლისათვის ძირითადი ენერჯის დაახლოებით 16 პროცენტს სწორედ რომ განახლებადი წყაროებიდან აწარმოებს.

უგანდაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სოფლის მეურნეობის წარმოების ორგანული ფერმერული მეურნეობების ჩანაცვლების მიზნით, რაც ძალზედ მომგებიანია როგორც ქვეყნის ეკონომიკის, ასევე საზოგადოებისა და გარემოსათვის. ორგანული სოფლის მეურნეობა ერთიანი წარმოების ისეთი მართვის სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს და ზრდის ეკოსისტემის სიჯანსაღეს, რაც მოიცავს ბიომრავალფეროვნებას, ბიოციკლებსა და ბიოლოგიურ აქტიურობას. ის უარყოფს სინთეტიკური მასალების გამოყენებას, როგორცაა შხამქიმიკატები, პესტიციდები და სასუქები. უნდა ითქვას, რომ უგანდა ყველაზე მცირე რაოდენობის სასუქს მოიხმარს მსოფლიოში.

ინდოეთის ურბანული განვითარების სამინისტროს მიერ ხორციელდება სპეციალური პროგრამა, რომელიც გამიზნულია ეკოლოგიურად სუფთა ინფრასტრუქტურის შექმნასა და გაუმჯობესებაზე. აღსანიშნავია, რომ ნეპალის ტერიტორიის (ხმელეთის) დაახლოებით 40%-ს ტყეები მოიცავს. ქვეყანაში შექმნილია სატყეო მეურნეობის სპეციალური ჯგუფი, რომელიც მართავს და თვალყურს ადევნებს სატყეო რესურსებს. ქვეყნის დამოუკიდებლობა გაზსა და ნავთობზე რომ შემცირებულყო, ტუნისის მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა განახლებადი ენერჯის გასავითარებლად. შეიქმნა ენერჯის მართვის ეროვნული ფონდი, რომლის მთავარ მიზანს განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების შემუშავება და ეფექტურობის გაზრდა წარმოადგენს.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კუბას შორის არსებული ემბარგოს შედეგად კუბაში ნავთობის, პესტიციდებისა და სასუქების ნაკლებობაა. ამიტომაც მეურნეობები თავად ზრუნავენ საკუთარ პროდუქციაზე. აღნიშნული ეკონომიკური ფაქტორების გამო ისინი ბევრად უფრო „მწვანე მეურნეობას“ ახორციელებენ.

გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს გაეროს გლობალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოებს რეკომენდაცია გაეწიათ, მოეხდინათ ეკონომიკური ტრანსფორმაცია მწვანე ეკონომიკისაკენ. შეიქმნა ეკონომიკური სტიმულირების პაკეტი, რაც რამდენიმე კომპონენტს ითვალისწინებს: განახლებად ენერჯიაზე გადასვლა; მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების გაზრდა; მდგრადი სოფლის მეურნეობის, ორგანული წარმოების მხარდაჭერა; ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მწვანე ეკონომიკა არ არის აბსტრაქტული კონცეფცია, ის რეალობაა, რასაც სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდისაკენ მივყავართ. სუფთა ენერჯის გეგმის შემუშავებისას ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კალიფორნიის შტატში 500000 ახალი მწვანე სამუშაო ადგილი შეიქმნა. როგორც ვხედავთ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროსაც კი მწვანე სექტორში სამუშაო ადგილები იქმნება. მწვანე ეკონომიკა აქტიურად ვრცელდება მთელ მსოფლიოში, აუცილებელია, ყველა ქვეყანა აქტიურად ჩაებას ამ უწყვეტ პროცესში. აშშ-თან ერთად, ევროკავშირი და ჩინეთი სისტემატურად ახორციელებენ ამ პროცესს. 2009 წელს მათ აშშ-ზე გაცილებით მეტი ინვესტიციები გაიღეს. მარტო კვლევასა და განვითარებაზე ევროკავშირმა ბიუჯეტი 300%-ით გაზარდა. ჩინეთში 2010 წელს 34 მილიარდი აშშ დოლარი ჩაიდო სუფთა ენერჯის დასაფინანსებლად. შესაბამისად, ჩინეთმა წინ გაუსწრო აშშ-ს განახლებად ენერგოტექნოლოგიებში ჩადებული ინვესტიციების მოცულობით და მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა. ჩადებული ინვესტიციის მოცულობით დიდი ბრიტანეთი აღმოჩნდა მესამე ადგილზე, შემდეგ ესპანეთი და ბრაზილიაა.

როგორც მიმდინარე ტენდენციები აჩვენებს, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აქტიურად მიისწრაფის მწვანე ეკონომიკის დანერგვისაკენ. მწვანე ეკონომიკა არის 21-ე საუკუნის ბიზნესშესაძლებლობა. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოს მოსახლეობა მუდმივად იზრდება, მაშინ როდესაც ბუნებრივი რესურსების მოცულობა იგივე რჩება და მცირდება კიდევ, მწვანე ბიზნესის განხორციელება ჩვენი ქვეყნისათვის აქტუალურია როგორც არასდროს. ჩვენი. ამჟამად ფიქრობენ, პანკისში, გუდამაყარში, მესტიის რაიონში ააშენონ ჰიდროელექტროსადგურები. მოსახლეობა დიდი წინააღმდეგია, რადგან მცირემიწიან საქართველოში, წყლის ქვეშ მოექცევა სახნავე, სათიბ-სადოვარი მიწები. საჭიროა მწვანე ალტერნატიული ღონისძიებების ამოქმედება: მზისა და ქარის ენერჯიების გამოყენება. ამ თვალსაზრისით პირველი ნაბიჯები გადადგმულია. იმერეთში აშენებულია და მოქმედებს ქარის ტურბინა; თელავსა და არევისტორია ორი მზის ელექტროსადგური და ერთი მიკრო-ჰიდროელექტროსადგური; თუშეთის მაღალმთიანი ზოგიერთი სოფლის საცხოვრებელ ბინებზე მოქმედებს მზის ბატარეები. სინი იძლევიან საყოფაცხოვრებო ელექტროენერჯიას და სხვა.

ბინათმშენებლობაში კომფორტული მიკროკლიმატი შეიძლება დამყარდეს გათბობისა და გაცივების ტრადიციული სისტემების უზრუნველყოფის გარეშე: მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ „მწვანე“ შენობა მოსკოვში, რომელიც პირველად აშენდა ბრიტანულ სისტემაზე და ასევე 19 ბინიანი სახლი ბარნაულში (ალტაის მხარე), სადაც გამოყენებულია ენერგოეფექტური და ენერგოდამზოგველი სისტემების ტექნოლოგიების ფართო სექტრი – სახურავზე მზის ბატარეების და მიწაზე მცირე გეოთერმული დანადგართ. ასევე იყენებენ ხის კარკასის ფანჯრის სეციალურ ბლოკებს ნანოტექნოლოგიური დაფარვით. იგი იზოლირებულია უამინდობაში და ინახავს სითბოს. აღნიშნული განაპირობებს გათბობის დანახარჯების 50%-ით შემცირებას და მწვავე სოციალურ პრობლემებზე ხალხის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ხარისხიანი საცხოვრებლით.

მერიამ მხარი უნდა დაუჭიროს მშენებლობის სექტორში (მუნიციპალური და საცხოვრებელი სახლები) განახლებადი ელექტრორესურსების გამოყენების და ათვისების ინიციატივებს (განსაკუთრებით მზის პანელები). ამისათვის მერიამ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს ელექტროენერჯის სადისტრიბუციო კომპანიასთან (თელავსი), რათა უზრუნველყოფილ იქნეს მიღებული ელექტროენერჯის ქსელში მიწოდება. ამ მიზნის მისაღწევად ქალაქის მერიამ უნდა განავითაროს ენერგო მენეჯმენტის სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, გეგმავდეს ზუსტი ინფორმაცია ქალაქის შენობების ენერგომეჩვენებლების შესახებ.

თბილისში არ არსებობს მუნიციპალური შენობების რეესტრი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას შენობების სტრუქტურის, გათბობისა და გაგრილების სისტემების პროექტი და ა.შ. შესახებ. მწირია ასევე ინფორმაცია შენობების მიერ მოხმარებული ენერჯისა და შენობის ენერგომეჩვენებლების შესახებ. სამშენებლო ბაზარი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. მცხოვრებლები და შენობის მეპატრონეები საჭიროებენ შენობის შესახებ გასაგებ და სანდო ინფორმაციას, ასევე მუდმივ კომუნიკაციას კვალიფიციური სერვისის მიმწოდებლებთან.

ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების თვალსაზრისით კარგი იქნებოდა თუ რუსეთის გამოცდილების მსგავსად მოვაწყობდით 5-10 კილომეტრის სიღრმის მიწისქვეშა ჭაბურ-

დილებს. კომუნალური და სხვადასხვა საჭიროებისათვის, მიწისქვეშა ჭაბურღილებიდან მივიღებდით დიდი ოდენობის იაფ ცხელი ჰაერის ენერჯიას. ქალაქის მერიამ მხარი უნდა დაუჭიროს ენერგოეფექტურ სექტორში ადამიანების დასაქმების შესაძლებლობებს, რაც ხელს შეუწყობს მწვანე ალტერნატიული ენერგოწყაროების მოძიებასთან დაკავშირებული პროფესიული ცოდნის, გამოცდილებისა და ჩვევების ამაღლებას.

მწვანე ეკონომიკის ფორმირების პრობლემებიდან საქართველოში ძალზე მნიშვნელოვანია მზის ენერჯიაზე მომუშავე დახურული გრუნტის კვალსათბურები. ისინი იძლევიან სარგავი მასალის 90%-ზე მეტს და ბოსტნეულის პროდუქციის 3%. დახურული გრუნტის მებოსტნეობა ძირითადად განლაგებულია დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ირგვლივ, სადაც იწარმოება მთელი ადრეული ბოსტნეულის დაახლოებით 91%. დახურული გრუნტის მებოსტნეობა საკმაოდ რაოდენობით არის ისეთ შორეულ რაიონებში, როგორიცაა პოლარული მხარე, შორეული აღმოსავლეთი, კამჩატკა, სახალინი, ტაიმირის ნაციონალური ოკრუგი, იაკუტია და სხვა. სათბურების დაარსებამდე ამ მხარის მცხოვრებლები ბოსტნეულს მხოლოდ კონსერვების სახით იღებდნენ. მწვანე ეკონომიკის თვალსაზრისით საინტერესო პროცესები მიმდინარეობს აშშ-ის დახურული გრუნტის მებოსტნეობაში. მაგალითად, ნავთობის მონოპოლიის „სუპერიორ ფარნინგის“ მფლობელობაშია დახურული გრუნტის სათბურები არიზონის შტატის ტუსინის რაიონში, დამშრალი მიწების ზონაში. აქ მთელი წლის განმავლობაში მოჰყავთ პამიდვრის უხვი მოსავალი და ბაზარზე გასაყიდად ყოველდღიურად გადის 4,5 ათასი ტონა. კომპანიის დახურული გრუნტის სასათბურე მეურნეობებში პამიდვრის მოსავალი 8-ჯერ მაღალია ღია გრუნტის მეურნეობებთან შედარებით. სათბურები განლაგებულია აეროპორტების სიახლოვეს; სათბურებიდან მიღებული ბოსტნეული თვითმფრინავებით მიეწოდება ქვეყნის რაიონების მოსახლეობას.

საქართველოში უმეტეს შემთხვევაში წლის განმავლობაში კვალსათბურებს იყენებენ 8-9 თვეს, ზამთრის სათბურებს 10-11 და გაზაფხულის აფსკის სათბურებს 5-6 თვეს. ჯერჯერობით სათბურებში ბოსტნეულის ფართო ასორტიმენტი არ გამოჰყავთ, მაშინ როდესაც შესაძლებელია მრავალნაირი ბოსტნეულის წარმოება. რესპუბლიკაში ბოსტნეულის დახურული გრუნტის მოყვანის კარგი გამოცდილება არსებობს. 1976 წლიდან შეიქმნა რესპუბლიკური სამეურნეობათა შორისო სასათბურე გაერთიანება „საქთბურმშენის“ ტრესტი, რომელიც გეგმაზომიერად ახორციელებდა სათბურების მშენებლობას, მონტაჟს, რემონტს და ა.შ. სასათბურე მეურნეობის გაფართოებისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ენერჯიის მწვანე ალტერნატიული წყაროები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სათბურების მშენებლობას თერმული წყლების ბაზაზე, რომლებითაც ასე მდიდარია რესპუბლიკა. ჩვენ გვაქვს იმის რეალური შესაძლებლობა, რომ თერმული წყლების ბაზაზე ბოსტნეულის ფართობები გაზარდოთ 150 ჰექტრამდე, ხოლო პროდუქციის წარმოება ამ სათბურებში 50 ათას ტონამდე. თერმული წყლების გამოყენება საშუალებას იძლევა 2,5-ჯერ შევამციროთ სასათბურე მეურნეობაში წარმოებული ბოსტნეულის თვითღირებულება.

დახურული გრუნტის მებოსტნეობის განვითარება დაკავშირებულია მსხვილ კაპიტალურ დაბანდებასთან. ამ თვალსაზრისით დიდი კაპიტალია დაბანდებული მარნეულის რაიონში, სადაც ფუნქციონირებს 35 სათბური. მარნეულის რაიონში წარმატებით ფუნქციონირებს მზის გათბობით მომუშავე სათბურები. ამ უკანასკნელს ძირითადად აშენებენ ჩინელი სპეციალისტები. სხვადასხვა ტიპის სათბურების მუშაობის გამოცდილების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ბოსტნეულის ყველაზე მაღალი თვითღირებულება აღმოჩნდა საკუთარი საქვებიდან მიღებული სითბოთი გამოთბარ სათბურებში. ეს აიხსნება გათბობაზე დიდი დანახარჯებით. მზით გათბობილ სათბურებში, სადაც გამოყენებულია მზის ბუნებრივი ენერჯია ეს დანახარჯები გამორიცხულია, ამიტომ მათი პროდუქციის თვითღირებულება ყველაზე დაბალია. მზით გამოთბარ სათბურებში შედარებით დიდია დანახარჯები ამორტიზაციაზე, შრომის ანაზღაურებაზე და ძალზე მაღალია ზედნადები ხარჯები. წარმოების რენტაბელობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ფასწარმოქმნის საკითხი, ამიტომ რენტაბელობისა და ფასების ურთიერთობის გარკვევას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, საჭიროა გავარკვიოთ საკითხი იმის შესახებ, თუ შესყიდვის ფასების დაწესების დროს ისეთ სათბურში, სადაც მრავალი სახის ბოსტნეული იწარმოება, რენტაბელობა რა ასპექტით უნდა იქნეს განხილული, მთლიანად მეურნეობის თუ ცალკეული კულტურების მიხედვით. პრობლემის პრაქტიკულად გადაწყვეტას ართულებს ის გარემოება, რომ ოჯახურ მეურნეობასა და ფერმერულ მეურნეობებში დანახარჯების აღრიცხვა წარმოებს მთლიანად და არა ცალკეული ბოსტნეული კულტურების მიხედვით,

რაც აძნელებს მათზე შესყიდვის ფასების გაანგარიშებას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სათბურები ინფრასტრუქტურის ჩათვლით, იკავებს უნიკალური სახნავი მიწების უზარმაზარ ფართობებს. მცირემიწიანი ქვეყნისათვის მწვანე ეკონომიკის თვალსაზრისით სახნავი ფართობების შემცირება დაუშვებელია. აშშ-ის მწვანე ეკონომიკის გამოცდილების მსგავსად, კარგი იქნებოდა სათბურების მშენებლობა განხორციელებულიყო დაშრობილი მიწების ზონაში და ბუნებრივი თერმული წყლების სიახლოვეს. ამ უკანასკნელის ათვისების შედეგად შესაძლებელი იქნებოდა რესპუბლიკაში დამატებით წარმოებული ყოფილიყო 50 ათასი ტონა დახურული გრუნტის ბოსტნეული.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ზოგიერთი ტენდენციის შესახებ. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 95-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ. 2018.
2. ამერიკის ეკონომიკა – ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა, ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო. 2010.
3. რუხაძე ს. აშშ-ის სახელმწიფო რეგულირების საკითხები, თბ. 1994.
4. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო „მეცნიერება“, თბ. 2003.
5. ხარაიშვილი ე. ინოვაციური განვითარების პრობლემები საქართველოს ფერმერულ მეურნეობებში თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ტ. II. თბ. 2012.
6. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. საგამომცემლო ფორმა „სიახლე“, თბ. 2006.
7. ნოზაძე ზ. „მწვანე ეკონომიკის“ მნიშვნელობა და როლი მდგრადი ეკონომიკის განვითარებაში. პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 95-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა თბ. 2018.
8. [www.fao.org/corp/statistics](http://www.fao.org/corp/statistics).
9. Освоение инновации в агропромышленном комплексе опыт и проблемы – М. : ФГУ РССК 2006 – 136.
10. "Зеленая" экономика: реалии, перспективы и пределы роста. Борис Порфирьев. Московский Центр Карнеги. Апрель 2013.
11. Changes in market organization and practices of the potato industry. Hastings Area. Florida 1958-1968. Washington, 1970.
12. Kyle L.P. Business analysis summary for potato farms 1973. East-lansing, 1974.

*Tengiz Kavtaradze*

### GREEN ECONOMY FORMATION PROBLEMS IN GEORGIA

#### Summary

Green economy is economic development model, which depends on sustainable development and on the knowledge of ecological economy. This economy differs from other fields, that primarily assesses country's natural capital. Green economy makes green working places, provides real, sustainable economic development and reduces pollution of environment, global warming, degradation of environment and prevents the risk of disposing of resources. Green economy gives incentive and motivation to business to manufacture product and service.

The green economy is considered to be the component of economic theory where it is represented as a part of the ecosystem. According to the classical economy it is not reviewed independently, but as a component of science, in particular, considering that traditionally land as one of the factors of production involves natural capital and is related to the second factor of production - labor. It is particularly noteworthy that in 2010 the major institutions of the Bretton Woods system, the World Bank and the Monetary Fund expressed great interest in assessing global biodiversity, which means its active funding.

The green economy does not distinguish the state and the private sector. It tries to find a positive alternative to the economic solution. The main regulator of the green economy is not a state or private business, but a society that chooses and manages it.

It is not possible not to evaluate the need for qualitative changes, communication with traditional knowledge and experience of non-formal institutions (traditions, stereo types, etc.). The talk is about re-use of traditional knowledge and culture, characterized by resource savings. They are adapted to difficult natural - climatic conditions. All of this has been accumulated forever in the northern Russian and foreign countries. For example, the traditional covering of houses using wooden material, skins, snow, and others. In Svaneti people still live in machubi, the underground traditional settlements are found in Javakheti, the bany houses - in Upper Mtianeti. The great and unique potential of this knowledge and technology is weakly reflected or difficult to find in modern housing construction standards. Their effective use would significantly reduce the price of energy efficient system.

Improvement of energy efficiency in municipal buildings in the green economy is a priority of Tbilisi City Hall. Current initiatives and programs will help the City Hall to fulfill the obligations taken by the country in the field of energy efficiency. Energy resources management systems are the means to make decision on financing alternative sources of energy. The use of this instrument will also help the city municipality to make the right decision on modernization of multi-storey buildings. It is important to encourage energy efficient initiatives of residential buildings (eg heating boilers, lighting, different types of technical equipment) and improve thermal characteristics of the building. This task can be achieved through consultations with the Association of House Owners and Private Owners and through financial mechanisms for rehabilitation of the building.

About 9 million tourists visit Georgia every year. In order to enhance the production of meat, it is necessary to introduce in pig-breeding farms the removal of pigs in the early years. Now in the US, European countries and Russian cities are actively processing waste. For example, according to St. Petersburg Unplanned Food Production office, by St. Petersburg suburban farms, an average of 1800,000 tons of food is consumed per year, which is equivalent of approximately 360000 tons of grain or 60000 tons of pork meat.

The management of Tbilisi Municipality has recently signed an agreement with the Austrian company for the construction of waste processing and energy generating enterprise at a new landfill of Tbilisi. It is planned that the new factory will process the urban municipal waste (which is 1000 tonnes per day); 80% of them are organic waste. The enterprise will use mechanical biological treatment and convert 200 tonnes of waste daily into high-quality diesel fuel (Euro 5) and asphalt. Approximately 10% of the fuel produced is used for the purposes of the enterprise. The metal, glass and plastic bottles will be separated at the scene and exported to international market.

At present, grain production in the USA has increased to 400 million tons, from which 126 million tons are sent to the fuel production plants. This is not just an American phenomenon: Brazil is actively involved in the processing of sugar cane, and in 2020 the EU plans to receive 10% of the energy renewable sources, mainly from biofuel. Similar to the experience of the US and other European countries, the food processing plants in pig-breeding farms should be arranged to expand the food production in large cities and landfills. They would be able to supply large amounts of cheap and low-cost meals to the pig farms of the republic.

*ნონა ქავთარაძე*

**სახელმწიფო ბიუჯეტის როლი სოციალური პოლიტიკის  
წინანსურ უზრუნველყოფაში**

*ანოტაცია. სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების გეგმური და ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებლების დინამიკა და სტრუქტურა სოციალური სფეროს (ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, სოციალური დაცვა) ჭრილში, ასევე გაანალიზებულია ბიუჯეტის ასიგნებების გავლენა ქვეყნის ძირითად სოციალურ ინდიკატორებზე. აღნიშნული მასალის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები, რომელთა პრაქტიკაში განხორციელებაც, ვფიქრობთ, პოზიტიურად აისახება მომავალში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სფეროს განვითარებაზე.*

*საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ბიუჯეტი, გადასახდელები, უმუშევრობის დონე, ნომინალური ხელფასი.*



## შესავალი

დღეისათვის სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას ქვეყანაში ეკონომიკის სტაბილურობის შენარჩუნება და მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა წარმოადგენს. სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც საბიუჯეტო სისტემის ცენტრალური რგოლი, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მისი შემდგომი განვითარების უზრუნველყოფაში. რაც კიდევ უფრო მეტ აქტუალურობას მატებს ამ სფეროში არსებული თანამედროვე გამოწვევების კომპლექსური შესწავლა-ანალიზის საკითხს.

\* \* \*

ქვეყნის სოციალური პოლიტიკის ფინანსურ უზრუნველყოფაში სახელმწიფო ბიუჯეტის ადგილისა და როლის განსაზღვრის საკითხზე მსჯელობა, მართებულია, დავიწყოთ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული საბიუჯეტო პარამეტრების, კერძოდ, ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების გეგმური მაჩვენებლების დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზით, ვინაიდან, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანთა ცხოვრების დონესა და მის ეკონომიკურ პირობებს ყველაზე მეტად სწორედ სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობა განაპირობებს. ცუდი ვითარება ამ სფეროში მილიონობით ადამიანის სტაბილურობასა და პერსპექტივას გაუარესებით ემუქრება და პირიქით, მათი პირობების გაუმჯობესება სწორედ სახელმწიფო ფინანსების განმტკიცებაზეა დამოკიდებული [ბალცეროვიჩი, 2002:73].

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების გეგმური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე შევნიშნავთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალური სფეროს ცალკეული დარგების ჭრილში (კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, სოციალური დაცვა) გამოყოფილი ასიგნებების ჯამურმა მოცულობამ ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ, 42.5 პროცენტი შეადგენა და 549.3 მლნ ლარით გადააჭარბა გასული 2018 წლის გეგმურ მაჩვენებელს. მიმდინარე 2019 წელს ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გამოყოფილი ასიგნებების გეგმური მაჩვენებელი გასული 2018 წლის შესაბამის (გეგმურ) მაჩვენებელთან შედარებით 59.6 მლნ ლარით, განათლების დაფინანსების ხარჯი 129.3 მლნ ლარით, ხოლო სოციალური დაცვის ხარჯები 360.4 მლნ ლარით გაიზარდა, შედეგად, 2019 წელს ზემოაღნიშნული სფეროების დაფინანსების ჯამურმა მოცულობამ 5 562.2 მლნ ლარი შეადგინა.


ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სოციალური სფეროს მიმართულებით გამოყოფილი ასიგნებების ზრდის ტენდენცია განსაკუთრებით 2013-2018 წლებში აღინიშნა, რამაც, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, შესაძლებელი გახადა არაერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამის რეალიზაცია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, სწორედ აღნიშნული წლებიდან შეინიშნება ქვეყანაში უმუშევრობის დონის მაჩვენებლის შემცირებაც, რამაც, ფაქტობრივად 2013-2018 წლებიდან მოყოლებული, შეუქცევადი ხასიათი მიიღო, შედეგად, 2018 წელს უმუშევრობის დონე 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 1.2 პროცენტით შემცირდა და 12.7 პროცენტით განისაზღვრა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული მონაცემები ნაწილობრივ განსხვავდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებისგან, კერძოდ ILO კვლევებზე დაყრდნობით, საქართველოში უმუშევრობის დონე 2018 წელს 14.1 პროცენტს შეადგენდა, ხოლო მისი საპროგნოზო მაჩვენებელი 2019 წელს 14.3 პროცენტით განისაზღვრება. ამასთან აღსანიშნავია, რომ უმუშევრობის დონე საქართველოში საკმაოდ მაღალია ცენტრალური და დასავლეთ აზიის ჯგუფში შემავალი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც 2018 წელს 8.2 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2019 წლისთვის მისი საპროგნოზო მაჩვენებელი 8.7 პროცენტით განისაზღვრება. დასავლეთ ევროპის ქვეყნების ჯგუფში უმუშევრობის დონის მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია, კერძოდ 2018 წელს მან 7.6 პროცენტი, ხოლო 2019 წლისთვის საპროგნოზო მაჩვენებელი 7.3 პროცენტს შეადგენს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევების საფუძველზე საქართველო (ანგოლასთან, ბანგლადეშთან, კონგოსთან, ეკვიპტესთან და სხვა ქვეყნებთან ერთად) დაბალი საშუალო შემოსავლების მქონე (Lower-middle-income) ქვეყნების ჯგუფს

მიეკუთვნება<sup>39</sup>. საყურადღებოა ისიც, რომ უმუშევრობის პრობლემა მეტ-ნაკლები სიმწვავეით დამახასიათებელია როგორც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის, ასევე საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნებისათვის. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში უმუშევრობის დონის ზრდა იწვევს მთელ რიგ უარყოფით მოვლენებს საზოგადოებაში, კერძოდ, როდესაც ეკონომიკას არ შესწევს უნარი, შექმნას საკმარისი რაოდენობის სამუშაო ადგილები ყველასთვის, ვისაც სურს და შეუძლია მუშაობა, ადგილი აქვს საქონლისა და მომსახურების წარმოების პოტენციალის მნიშვნელოვან დანაკარგებს, გარდა ამისა, უმუშევრობა ხელს უშლის საზოგადოებას თავისი პოტენციური შესაძლებლობების მიხედვით წინსვლასა და განვითარებაში, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმუშევრობის შემცირების მიზნით ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ფუნდამენტურ და პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად ჩამოყალიბებულ დადებით ტენდენციად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ქვეყანაში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ზრდის პარალელურად, მოსახლეობის ერთ სულზე გაზრდილი საშუალო თვიური შემოსავლების და ხარჯების თანაფარდობის შედეგად, შემოსავლები მართალია მცირედით, მაგრამ მაინც აღემატება გაწეული საშუალო თვიური ხარჯების ოდენობას, თუმცა აქვე დავძენთ, რომ ამის მიუხედავად ქვეყანაში მაინც საკმაოდ მაღალია სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილის მაჩვენებელი, რის ნათელ ილუსტრაციასაც წარმოადგენს 2018 წელს მოსახლეობაში საშუალო წლიურ საარსებო შემწეობის მიმღებთა წილის დინამიკა, რომელმაც საანალიზო წელს 11.8 პროცენტი შეადგინა.

ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, რომ 2010-2018 წლებში ქვეყანაში სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მობილიზების მიმართულებით არსებულმა დადებითმა ტენდენციებმა და გადასახდელების გეგმის თანაბარზომიერად შესრულებამ, გარკვეულწილად უზრუნველყო სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან ასიგნებებში ქვეყნის სოციალური სფეროს დარგების (ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, სოციალური დაცვა) დაფინანსების ზრდის შესაძლებლობა, არსებული ტენდენცია ასევე ასახულია 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების გეგმურ მაჩვენებლებშიც, რის ილუსტრაციასაც წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებში სოციალური სფეროს ცალკეული დარგების დაფინანსების დინამიკის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებში მათი ჯამური ხვედრითი წილის, ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა.

**სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებში სოციალური სფეროს ხვედრითი წილის დინამიკა 2010-2019 წლები მლნ ლარი<sup>40</sup> (%)**



**დიაგრამა**

თუმცა ამის მიუხედავად, კვლავ მნიშვნელოვან საკითხს შემოსავლების მზარდი უთანაბრობის არსებობა წარმოადგენს. მსოფლიო ბანკის კვლევების თანახმად ჯინის

<sup>39</sup> World Employment Social Outlook, International Labour Organization, Trends 2019.

<sup>40</sup> wyaro: saqarTvelos finansTa saministros saxazino samsaxuri www.treasury.ge

(GINI) კოეფიციენტი (რომელიც მოსახლეობის შემოსავლებს შორის უთანასწორობის საზომ ინდექსს წარმოადგენს) საქართველოში 2017 წელს (ბოლო მონაცემებით) 37.9 პროცენტით განისაზღვრა, რაც 1.3 პროცენტით მეტია 2016 წლის მაჩვენებელთან შედარებით, აღნიშნული კი მიუთითებს, რომ სოციალური უთანასწორობა საქართველოში 2017 წელს 2016 წელთან შედარებით გაიზარდა<sup>41</sup>.

რაც შეეხება გაეროს „ადამიანის განვითარების ინდექსს“ HDI (Human Development Index), ბოლო მონაცემებით (2017 წელი) საქართველო ამ ინდექსით 70-ე ადგილზეა განთავსებული.

## დასკვნა

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ოპტიმიზაციის მიმართულებით, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

დღეისათვის ქვეყნის ეკონომიკაში არსებული დადებითი ძვრების მიუხედავად, დასაქმების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება კვლავ რჩება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სფეროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად. შესაბამისად, საჭიროა ამ მიმართულებით სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დაფინანსების კიდევ უფრო მეტად გააქტიურება.

როგორც ვიცით, სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა უზრუნველყოს ქვეყნის რეგიონების სოციალური და ეკონომიკური განვითარების მდგომარეობის გამართანობა. საყურადღებოა, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, საქართველოში 2007 წლიდან სიღარიბის მაჩვენებელი სოფლად გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქში მცხოვრები მოსახლეობისთვის.

ამრიგად, სახელმწიფო ბიუჯეტის როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, ქვეყნის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკის გატარებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბალცეროვიჩი ლ., სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში, თბ., 2002, გვ. 73.
2. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019-2022 წლები (საბოლოო ვარიანტი), საქართველოს მთავრობა, 2019 წელი.
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური [www.treasury.ge](http://www.treasury.ge)
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
5. World Employment Social Outlook, International Labour Organization, Trends 2019.
6. <https://data.worldbank.org/indicator/SI.POV.GINI?locations=GE>

*Nona Kavtaradze*

## THE ROLE OF THE STATE BUDGET IN THE FINANCIAL SUPPORT OF SOCIAL POLICY

### Summary

The article describes the dynamics and structure of the planned and actual performance indicators of the state budget duties in the context of social sphere (health, education, social protection), as well as the impact of budget assignments on the country's main social indicators. On the basis of complex analysis of this material, recommendations have been developed.

Today, one of the most important tasks of the state is to preserve the stability of the economy and determine future prospects for its development. The state budget as a central role in the budget system plays a crucial role in improving socio-economic conditions of the country and ensuring its further development, which adds more and more to the issue of complex study-analysis of current challenges in this field.

<sup>41</sup> wyaro: <https://data.worldbank.org/indicator/SI.POV.GINI?locations=GE>

In the financial support of the country's social policy, the issue of determining the place and role of the state budget should be started by analyzing the dynamics and structure of the budget parameters indicated by the Law of Georgia on the State Budget of Georgia of 2019.

Based on the analysis of the budget estimates of 2019, we note that the total volume of assignments allocated from the State Budget in the sphere of separate sectors of social sphere (namely: healthcare, education and social protection) amounted to 42.5 percent of the total budget expenditures and 549.3 million lari in 2018. The planned outlay for allocation for health care in 2019 is 59.6 million GEL compared with the previous year 2018, the cost of education financing is 129.3 million GEL, while social security costs exceed 360.4 million GEL by 2018, resulting in the financing of the abovementioned sphere of 2019 total volume of 5 562.2 mln Gel was made. The trend of appropriations in the social sphere has been marked especially in 2013-2018, making it possible to realize many important state programs in order to improve their social condition. Based on the data of the National Statistics Office of Georgia, the number of unemployment levels in the country is observed from those years. As a result, the unemployment rate in 2018 decreased by 1.2 percent compared to the 2017 level and 12.7 percent. The data related to this issue is partly different from the data of the International Labor Organization, namely ILO Surveys in Georgia, 14.1 percent in 2018, and its forecast indicator is 14.3 percent in 2019. It is noteworthy that unemployment rate is quite high in comparison with the average number of countries in the Central and Western Asian groups. Based on the above-mentioned, the International Labor Organization (Together with the Angola, Bangladesh, Congo, Egypt and other countries) belongs to a low-middle-income group of countries. It is noteworthy that the problem of unemployment is characterized by more or less of the risk for developing market economies as well as states in transition to market economy. Our analysis shows that in the 2010-2018 years, positive trend in the direction of state budget revenue mobilization and the performance of duties plan somehow provided funding growth opportunity in state budget allocation to the social sphere sectors (health, education, social protection) funding growth opportunity, the current tendency is also reflected in the planned parameters of the basic parameters of the 2019 state budget. However, despite this, the important issue is the growing inequality of revenue. According to the World Bank's research, the GINI coefficient, which represents an inequality index among population revenues, is 37.9 percent in 2017 (latest data), which is 1.3 percent more than in 2016, indicating that social inequality is more in 2017 In comparison with 2016. As for the UN Human Development Index, according to the latest data (2017), Georgia is the 70th in this index.

In order to improve the state of the country's socio-economic sphere as well as the optimization of state budget expenditures, we think it is recommended to carry out the following activities:

1. In order to elaborate an effective employment mechanism, it is properly implemented to further fund the state targeted programs.

2. As far as we know, the state budget should ensure the level of social and economic development of the regions of the country. It is noteworthy that according to the data of the National Statistics Office of Georgia, since 2007 the poverty rate in rural areas is much higher than the urban population.

Thus, the role of the state budget in the socio-economic development of the country is of utmost importance. Consequently, carrying out of fiscal policy oriented towards improving the social condition of the country is one of the most important issues to improve social-economic development of the country and the well-being of the population.

**Keywords:** State budget, duties, unemployment level, nominal salary.

ნუნუ ქისტაური  
მელა მელაშვილი  
ქეთევან ქველაძე

ეკონომიკის და ინვესტიციების მინისტროს მუშავე  
ეკონომიკის განვითარებისათვის

**ანოტაცია.** ნაშრომი ეძღვნება ეკონომიკის ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორცაა მწვანე ეკონომიკა, კერძოდ, ერთ-ერთ ისეთ აქტუალურ პრობლემას, როგორცაა ეკონომიკის და ინვესტიციების მნიშვნელოვან მწვანე ეკონომიკის განვითარებისათვის. მოყვანილია მწვანე ეკონომიკის განმარტება, რომლის მიხედვით იგი ემსახურება ისეთი გლობალური პრობლემების გადაწყვეტას, როგორცაა შიმშილის დაძლევა, უმუშევრობის შემცირება, ცხოვრების დონის ამაღლება და ა.შ. და ამით მომავალ თაობებს უჩვენს შანსს იცხოვრონ ჯანმრთელი გარემოს და მრავალფეროვანი ფლორისა და ფაუნის პირობებში.

ნაშრომში განხილულია აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ინიციატივები და რეკომენდაციები ქვეყნების მთავრობებისა და ასევე კერძო ინვესტორებისათვის აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით. გაანალიზებულია მათ მიერ ჩატარებული ფინანსური რესურსების ციფრობრივი გათვლები ეკონომიკის მწვანე რელსებზე გადასასვლელად და ინვესტიციების ძირითადი მიმართულებები ამ მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ეკონომიკა, ეკონომიკის განვითარება, მწვანე ინვესტიციები, გაეროს მწვანე ეკონომიკის ინიციატივა, ეკონომიკის განვითარება.

\* \* \*

1. თითქმის ორი ათეული წლის წინ მეტად მწვავედ დადგა მრეწველობის სწრაფი ტემპებით ზრდის და პარალელურად გარემოს მოფრთხილებისა და დაცვის ურთიერთდაპირისპირებული პრობლემა. ეკონომიკის, მრეწველობის, წარმოების განვითარება იწვევს გარემოს გლობალურ ცვლილებებს, მაგალითად, როგორცაა გლობალური დათბობა, რომელიც გამოწვეულია ატმოსფერული ფრონტის ცვლილებით, რასაც, თავის მხრივ, იწვევს ენერჯის უზარმაზარი რაოდენობის გამოყოფა მთელ პლანეტაზე; მიწების გაუდაბნობა, რასაც იწვევს მიწაში ქიმიკატების და რადიაციული ელემენტების დიდი რაოდენობით შერევა; ფლორის და ფაუნის რაოდენობის შემცირება და სხვ. ეს პროცესები დედამიწაზე ჯაჭვურ რეაქციას იწვევს - ერთის გაუარესება და გაქრობა მეორესაც აუარესებს და სპობს და ა.შ., რაც საბოლოოდ ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიდის. საერთოდ ბუნებრივი ბიოლოგიური გარემო განსაზღვრული რაოდენობისაა და ადრე თუ გვიან ამოიწურება. ეს კი აუცილებლად გახდება, მუდმივად მზარდი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მისი ღარიბი ნაწილის შიმშილის, ავადმყოფობის და განადგურების მიზეზი, რადგანაც მცირე რაოდენობის ბუნებრივი რესურსები მცირერიცხოვანი მდიდრების ხელში მოხვდება, ეს კი გარდაუვალი სოციალური კრიზისის საფუძველია.

2. მწვანე ეკონომიკა - ეს არის ადამიანების ცხოვრების დონის და სოციალური თანასწორობის ამაღლება ეკოლოგიური რისკების და ეკოლოგიური დეფიციტის საგრძნობი შემცირების პირობებში. შეიძლება ითქვას, რომ მან თავისთავად აიღო ეკონომიკის, სოციალური პოლიტიკის, ეკოლოგიის ჰარმონიული განვითარება: ითვალისწინებს საზოგადოების, კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების, წარმოების და მეწარმეების ეკოლოგიური, პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების ინტერესებს და ემსახურება გლობალური ხასიათის პრობლემების გადაჭრას, როგორცაა შიმშილის დაძლევა, უმუშევრობის შემცირება, ცხოვრების დონის ამაღლება და ა.შ. იგი მომავალ თაობებს უჩენს შანსს, იცხოვრონ ჯანმრთელი გარემოს, მრავალფეროვანი ფლორისა და ფაუნის პირობებში.

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული გარემოს პროგრამის ფარგლებში ჯერ კიდევ 2008 წელს შეიქმნა მწვანე ეკონომიკის ინიციატივა, რომელიც რამდენიმე კომპონენტს მოიცავს: სახელმწიფოებს რეკომენდაცია გაეწიათ, მოეხდინათ ეკონომიკური ტრანსფორმაცია მწვანე ეკონომიკისაკენ. შეიქმნა ეკონომიკური სტიმულირების პაკეტი, რაც რამდენიმე კომპონენტს ითვალისწინებს: განახლება ენერჯიაზე გადასვლა; სატრანსპორტო საშუალებების წარმოების გაზრდა; მდგრადი სოფლის მეურნეობის, ორგანული სასოფლო წარმოების მხარდაჭერა; ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. მათი ერთობლივი მიზანი მწვანე სექტორში მიმდინარე საინვესტიციო და რეფორმების პოლიტიკის მაკროეკონომიკური ანალიზია.

მოცემული ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილია რამდენიმე სახის საქმიანობა, კერძოდ: მწვანე ეკონომიკის ანგარიშის მომზადება, სადაც გაანალიზდება მწვანე სექტორში ჩადებული ინვესტიციების შედეგების გავლენა მაკროეკონომიკაზე, მდგრად განვითარებასა და სიღარიბის შემცირებაზე; უზრუნველყოფილი იქნება მრავალი მხარის ჩართულობა, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესისა და ნებისმიერი დაინტერესებული პარტნიორების.

მართალია, „მწვანე ტექნოლოგიებში“ გლობალური ინვესტიციების მნიშვნელოვან ნაწილს სახელმწიფო ინვესტიციები წარმოადგენს, ვენჩურული კაპიტალი და კერძო საინვესტიციო კომპანიები წამყვან ძალად რჩება ამ სექტორის განვითარების საქმეში.

4. ატარებენ რა დაკვირვებას თანამედროვე ეკონომიკურ სიტუაციაზე ბევრი ქვეყანა უპირატესობას ანიჭებს განვითარების ე.წ. „ეკონომიკის“ მიმართულებას, რაც ეკონომიკის განვითარების ახალ გზას წარმოადგენს. ამ დარგში პირველი კვლევები ჯერ

კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. დღეს განვითარებული ქვეყნების უმეტესობა აქტიურადაა ჩართული ამ მიმართულების განვითარებაში. ეკონომიკაში შეიძლება ეწოდოს ნებისმიერ ინოვაციას, რომელიც მიმართულია გარემოზე უარყოფითი გარემოს შემცირებისაკენ. ეს არის ახალი სახის საქონლის, პროცესების, პროგრამების შექმნა, რომლებიც მინიმალურად იყენებენ ბუნებრივ რესურსებს და მინიმალურად გამოყოფენ მომწამვლელ ნივთიერებებს. ეკონომიკის კარგად გათვლილი და ჰკვიანური გამოყენების შემთხვევაში ისინი შეიძლება გახდნენ ბუნებრივი რესურსების არა მარტო აღდგენის და შენახვის ინსტრუმენტები, არამედ კონკურენტუნარიანობის, ანუ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის დონის ამაღლების ახალი, მეტად ეფექტური და, რაც მთავარია, უსაფრთხო ინსტრუმენტები.

ინოვაციების დანერგვის სირთულე იმაშია, რომ მწვანე ტექნოლოგიებში ძირითადი ინვესტიციები სახელმწიფოს მხრიდან დოტაციების ფორმით ხდება. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მათი ხელშეწყობა ბიზნესის და კერძო მეწარმეობის მხრიდან. დღეისათვის ბიზნესის როლი საკმაოდ დიდია, რადგანაც მწვანე ტექნოლოგიები საკმაოდ მომგებიანია, მოთხოვნა მწვანე სექტორის მიმართ მუდმივად იზრდება. მაგალითად, დღეისათვის ყველაზე პოპულარულია მწვანე ტექნოლოგიათა შორის მზის ენერჯის გამოყენება და სწორედ ამით არიან ყველაზე მეტად დაინტერესებული კერძო ინვესტორები. მათ შორის, მაგალითად, ცნობილი ამერიკელი ბიზნესმენი ჯორჯ სოროსი. მან განაცხადა, რომ ჩადებს 1 მლრდ აშშ დოლარს „წმინდა“ ენერჯეტიკაში, შექმნის არაკომერციულ ორგანიზაციას „კლიმატური პოლიტიკის ინიციატივა“, რომელიც 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად გადაურიცხავს 10 მლნ დოლარს ეკოლოგიურ ორგანიზაციებს, რათა მათ მოახდინონ ზეგავლენა იმ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებიც მიმართული იქნება ატმოსფეროში სათბური გაზების გამოყოფის შემცირებისაკენ.

5. იმ ფინანსური რესურსების სრული შეფასება, რომლებიც აუცილებელია მთელი მსოფლიო ეკონომიკის მწვანე რელსებზე გადასაყვანად, არ არსებობს. მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ საგრძნობლად მნიშვნელოვანი თანხებია. თუმცა ზოგიერთი კუთხით ამ თანხებზე წარმოდგენას გვაძლევს ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის გათვლები. მაგალითად, საერთაშორისო ენერჯეტიკული სააგენტოს Blue Map სცენარით CO<sub>2</sub>-ის ატმოსფეროში გამოყოფის 2-ჯერ შესამცირებლად 2050 წლისათვის უნდა დაიხარჯოს 46 ტრლნ აშშ დოლარი, რაც წარმოადგენს ყოველწლიურად 750 მლრდ დოლარს 2010-2030 წლის პერიოდისათვის და 1.6 ტრლნ დოლარს ყოველწლიურად 2030-2050 წლებში. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის და ორგანიზაცია loomberg New Energy Finance-ის გათვლებით, სუფთა ენერჯეტიკაში ინვესტიციები 2020 წლისათვის უნდა გაიზარდოს წელიწადში 500 მლრდ აშშ დოლარამდე, რათა გლობალური დათბობა 2%-ით შემცირდეს.

ერთ-ერთი უმსხვილესი ბრიტანული ბანკის HSBC-ის გათვლებით, ენერჯეტიკის გადასაყვანად ნახშირბადის ნაკლებ გამოყოფის ტექნოლოგიებზე 2010-2020 წლების განმავლობაში უნდა ჩაიდოს 10 ტრლნ დოლარის ინვესტიცია.

6. სააგენტო Bloomberg-მა შეადგინა იმ ბანკების რეიტინგი, რომლებმაც ბოლო დროს განახორციელეს დიდი ინვესტიციები ეკოლოგიაში, განახლებად ენერჯეტიკაში. რეიტინგში შევიდა ევროპის, ამერიკის, აზიის და ავსტრალიის მსხვილი საკრედიტო ორგანიზაციები. საუკეთესო პოზიციები დაიკავეს ესპანურმა ბანკმა Santander, Bank of America, იტალიურმა Intesa Sanpaolo. აზიური ბანკებიდან ყველაზე „მწვანე“ აღმოჩნდა იაპონური Mitsubishi Financial Group (ამ სიაში შევიდნენ მხოლოდ ის ორგანიზაციები, რომელთა ინვესტიციები მწვანე ტექნოლოგიებზე იყო არანაკლები 1 მლრდ აშშ დოლარისა).

საერთაშორისო ორგანიზაცია UNEP-ის მონაცემებით, 2014 წელს ინვესტიციებმა განახლებად ენერჯეტიკაზე მსოფლიოში 270.2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა და ათი წლის განმავლობაში (2004 წლიდან) გაიზარდა 6-ჯერ. ინვესტიციების უდიდესი წილი მოდის ჩინეთზე (31%), ევროპასა (21%) და აშშ (14%)-ზე.

ჩინეთმა მწვანე პროექტებში ჩადო 83.3 მლრდ აშშ დოლარი, რითაც წინა წლის მონაცემი 39%-ით გაზარდა, მეორე ადგილზე აშშ-ია, რომელმაც ენერჯის განახლებად წყაროებში 2014 წელს 38.3 მლრდ აშშ დოლარი ჩადო, 7%-ით მეტი, ვიდრე 2013 წელს, მესამე ადგილზე იაპონიაა 35.7 მლრდ აშშ დოლარით, რაც წინა წლის მონაცემებს 10%-ით ჭარბობს.

7. მწვანე ეკონომიკა სულ უფრო აქტიურად ვრცელდება მთელ მსოფლიოში, აუცილებელია, ყველა ქვეყანა აქტიურად ჩაებას ამ უწყვეტ პროცესში. აშშ-სთან ერთად, ევროკავშირი და ჩინეთი სისტემატიურად ახორციელებენ ამ პროცესს.

შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი არის ეკონომიკური განხილვის როგორც მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის ეროვნული პროგრამა და თითოეული ქვეყნის სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენდეს ამ გზაზე გადასვლის ეფექტურ ინსტრუმენტს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., წრიული ეკონომიკა: არსი და თანამედროვე გამოწვევები, შ. „ეკონომისტი №1, 2019, ტ. XV, გვ. 20.
2. აბესაძე რ., ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2014, გვ. 60.
3. [http://www.myshared.ru/slide/936653/Презентация на тему: "«ЗЕЛЕНАЯ» ЭКОНОМИКА В ЕС.](http://www.myshared.ru/slide/936653/Презентация на тему: «ЗЕЛЕНАЯ» ЭКОНОМИКА В ЕС.)
4. [http://greenlogic.by/content/files/Ankety/Pravilnye\\_otvety.pdf](http://greenlogic.by/content/files/Ankety/Pravilnye_otvety.pdf) Правильные ответы на 10 вопросов анкеты, касающихся «зелёной» экономики
5. <https://sibac.info/studconf/econom/vi/30592> ЗЕЛЕННЫЕ ИНВЕСТИЦИИ\_ КАК ОСНОВА ФОРМИРОВАНИЯ НОВОЙ ЭКОНОМИЧЕСКОЙ МОДЕЛИ, Беседина Анастасия Игоревна.
6. [HTTPS://TASS.RU/OBSHCHESTVO/397776631](https://tass.ru/obshchestvo/397776631) ЯНВ 2017, 19:24 Зеленый свет "зеленой" экономике.
7. <https://riss.ru/analytics/5915/> Перспективы развития «зеленой экономики»: глобальные и региональные аспекты.
8. [https://studbooks.net/942064/ekologiya/vygodny\\_zelenye\\_innovatsii\\_ekonomicheskoy\\_tochki\\_zreniya](https://studbooks.net/942064/ekologiya/vygodny_zelenye_innovatsii_ekonomicheskoy_tochki_zreniya)
9. <https://ru.talkingofmoney.com/investing-in-green-technology-future-is-now>
10. <https://www.kazpravda.kz/news/ekonomika/vigodi-ot-investitsii-v-zelenuu-ekonomiku> Выгоды от инвестиций в «зеленую» экономику.
11. <http://www.bec.ge/images/doc/green%20economy.pdf>- მწვანე ეკონომიკის მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში.
12. <http://greeneconomy.minpriroda.gov.by/ru/zelenaya-ekonomika/> Что такое "зеленая экономика"? «Зеленая» экономика – особая модель экономики.
13. [https://spravochnick.ru/ekonomika/zelenaya\\_ekonomika/#harakteristika-zelenoy-ekonomiki](https://spravochnick.ru/ekonomika/zelenaya_ekonomika/#harakteristika-zelenoy-ekonomiki) 1. Характеристика зеленой экономики 2. Концепция зеленой экономики 3. Направления и проблемы зеленой экономики.

*Nunu Kistauri  
Medea Melashvili  
Ketevan Kveladze*

### THE SIGNIFICANCE OF ECO-INNOVATIONS AND INVESTMENTS FOR THE DEVELOPMENT OF GREEN ECONOMICS

#### Summary

The work is dedicated to such an important field of economy, such as the green economy, in particular one of the topical issues, such as the importance of eco-investments and investments for the development of green economy. The green economy explains how it works to solve global problems such as overcoming hunger, reduction of unemployment, increasing living standards, etc. And thus generate future generations to live in a healthy environment and in a variety of flora and fauna.

The paper also discusses the initiatives and recommendations of various international organizations for governments and private investors to address the problem. Analyzes the digital calculations of their financial resources and the main directions of investments for this purpose.

**მწვანე ეკონომიკა და სიღარიბე**

მწვანე ეკონომიკურმა კონცეფციამ საერთაშორისო ყურადღება მიიპყრო 2012 წლის გაეროს კონფერენციის - მდგრადი განვითარება (რიო +20)-ის შემდეგ. კონფერენცია ეძღვნებოდა გლობალურ გარემოსდაცვით და ეკონომიკურ საკითხებსა და გამოწვევებს, რომელიც ჩვენს პლანეტაზე ბიომრავალფეროვნების დაკარგვით, ნიადაგის დეგრადაციით და ბუნებრივი რესურსების სიმწირით არის გამოწვეული. ბოლო პერიოდში გახშირდა და გამრავლდა გარემოს დაბინძურებით გამოწვეულ დაავადებათა რაოდენობა. არსებულმა ეკონომიკის განვითარებამ კაცობრიობისა და ჩვენი პლანეტის ურთიერთდამოკიდებულება კრიზისამდე მიიყვანა, ქალაქები სმოგში - სამრეწველო ობიექტების და სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვებშია გახვეული. ეკონომიკის განვითარების არსებულმა მოდელმა ვერ უზრუნველყო ადამიანებისთვის ჯანსაღი გარემო პირობებისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო პროდუქტის შექმნა. გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) განსაზღვრავს მწვანე ეკონომიკას, როგორც ადამიანის კეთილდღეობის და სოციალური სამართლიანობის გაუმჯობესების ხელშემწყობ საშუალებას. დღევანდელი ეკონომიკური კრიზისის პირობებში ეკონომისტების ნაწილი გამოსავალს სწორედ ეკონომიკის გამწვანებაზე ამყარებს, მაგრამ თუ კომპლექსურად არ იქნება განხილული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული დაბრკოლებები, რომელიც ეკონომიკის განვითარების პროცესში შეიძლება წარმოიშვას, გრძელვადიან პერსპექტივაში მწვანე ეკონომიკის განვითარების სტრატეგია ვერ მიაღწევს მიზანს და ვერ აღმოფხვრის სიღარიბეს და ვერ განახორციელებს გარემოსდაცვით ღონისძიებებს.

მწვანე ეკონომიკა მნიშვნელოვნად ამცირებს გარემო რისკებს და ეკონომიკურ დანაკარგებს. მწვანე ეკონომიკა ეკონომიკური განვითარების ის მოდელია, რომელიც მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიის გაჯანსაღებაზეა დაფუძნებული. ის ეკონომიკის სხვა დარგებისგან განსხვავებით, პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც ეკონომიკური ღირებულება გააჩნია. მწვანე ეკონომიკა ქმნის მწვანე სამუშაო ადგილებს. უზრუნველყოფს რეალურ მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ამცირებს გარემოს დაბინძურებას, კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ დანაკარგებს, გარემოს დეგრადაციას, რესურსების გამოლევის საშიშროებას. ის სტიმულს აძლევს ბიზნესს, აწარმოოს მწვანე პროდუქტი და მომსახურება. მწვანე ეკონომიკას ერთმანეთისაგან გამიჯნული არ აქვს სახელმწიფო და კერძო ბიზნესი, ის ცდილობს იპოვოს ეკონომიკური გადაწყვეტილების დადებითი და შედეგიანი ალტერნატივა. მწვანე ეკონომიკის მთავარი რეგულატორი საზოგადოებაა, ის თავად ირჩევს და მართავს მას.<sup>42</sup>

მწვანე ეკონომიკა მჭიდრო კავშირშია ეკოლოგიურ ეკონომიკასთან, ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიღწევას. შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებით აერთიანებს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს.

საქართველოს ეკონომიკის, განსაკუთრებით მისი სამრეწველო სექტორის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ბუნებრივი რესურსების და მისი ეკოსისტემის გამოყენებაზე. ატმოსფერულ ჰაერში ემისიები, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების და ნიადაგის დაბინძურება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც სამრეწველო და სამთო წარმოება არის განვითარებული. საქართველოს ეკონომიკა გამოირჩევა ენერჯის და რესურსების გამოყენების ძალიან მაღალი ინტენსივობით - ეს მაჩვენებლები საქართველოში 2 -2,5 -ჯერ აღემატება დასავლეთის ქვეყნების მაჩვენებლებს.

მწვანე ეკონომიკის მიზნები და სტრატეგია ითვალისწინებს რესურსების ეფექტურობის ზრდას, მწვანე ინვესტიციებს, ენერგოეფექტური დარგების განვითარებას, ის ემყარება ახალ მწვანე ტექნოლოგიებს, საზოგადოების მხარდაჭერას, მეცნიერული კვლევების შედეგებს, რომელიც მიმართულია მწვანე სამუშაო ადგილების შექმნის, ნაკლები ნახშირბადის ეკონომიკის ჩამოყალიბების, სიღარიბის აღმოფხვრის და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გააქტიურებაზე.<sup>43</sup>

მსოფლიოში ჩატარებული ყველა კვლევის მიხედვით, ეკონომიკის ზრდა არის აუცილებელი და სასურველი ქვეყნის განვითარებისთვის და მოსახლეობის ცხოვრების დონის

<sup>42</sup> Erica Novianti Lukas, M.A. „Green Economy for Sustainable Development and Poverty Eradication.

<sup>43</sup> Green Economy – the Next Oxymoron?



ამაღლებსთვის, გასათვალისწინებელია მწვანე ეკონომიკის პოტენციალი და დაბრკოლებები, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამ მიმდევრობის მოწინააღმდეგეთა მხრიდან, რადგან მათ მტკიცედ სწამთ არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების საქმიანობის სისწორე.

მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა არსებითად ცვლის მიდგომებს ეკონომიკური განვითარებისადმი, ექსპერტთა გათვლით, ზრდის ტემპი ახლო მომავალში არნახულ ნიშნულს მიაღწევს. ფუნდამენტურად შეიცვლება ძველი ურთიერთობები, მიმდინარე „ყავისფერი ეკონომიკის“ ნაცვლად განვითარდება ეკოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით „მწვანე“ დარგები. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ბუნებრივი კაპიტალის შექმნა ან გაზრდა, საუბარია ტყის მასივებზე, თევზჭერაზე, წყალზე, ნიადაგზე, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სიღარიბის დაძლევას, ვინაიდან აღნიშნული „მწვანე“ ინვესტიციები მოითხოვს ახალ ტექნოლოგიებს და ახალ სამუშაო ადგილებს.

მწვანე ეკონომიკის თეორია სამ ძირითად აქსიომას ემყარება:

შეუძლებელია გავლენის სფეროების უსაზღვრო გაფართოება შეზღუდულ სივრცეში;

შეუძლებელია მუდმივად მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება განსაზღვრული რაოდენობის რესურსების არსებობის პირობებში;

ყველაფერი, რაც დედამიწის ზედაპირზე არსებობს, მჭიდრო ურთიერთკავშირშია.

მწვანე ეკონომიკა ახალი პოტენციალია თანამედროვე მსოფლიოსთვის სიღარიბის დაძლევის და ეკოლოგიური მოდერნიზაციისა და რესურსების მართვის თვალსაზრისით. მწვანე ეკონომიკის პრინციპებია:

- სამართლიანობა და ობიექტურობა როგორც ერთი თაობის, ისე თაობათა შორის;
- მდგრადი განვითარების პრინციპებთან თანხვედრა;
- პრევენციული მიდგომა სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მიმართ;
- ბუნებრივი და სოციალური კაპიტალის შეფასება;
- რესურსების მდგრადი და ეფექტური გამოყენება, მოხმარება და წარმოება;
- მწვანე სამუშაო ადგილების შექმნა, სიღარიბის აღმოფხვრა, კონკურენტუნარიანობის

ამაღლება და ზრდა.

ექსპერტთა აზრით, მწვანე ეკონომიკა ექვს მთავარ სექტორს მოიცავს. ესენია:

განახლებადი ენერჯია (მზის, ქარის, ზღვის, მათ შორის - ტალღებისა და მიქცევა-მოქცევის, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერჯია);

მწვანე შენობები (ენერჯის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები);

სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, პიბრიდული და ელექტროსატრანსპორტო საშუალებები);

წყლის მენეჯმენტი (წყლისა და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება);

ნარჩენების მენეჯმენტი (ნარჩენების მართვა, უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენი მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა);

მიწის მენეჯმენტი (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება).

გარემოსდაცვითი პრობლემები თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა. განვითარებადი ქვეყნები - ინდოეთი, ნეპალი, ტუნისი, ჩინეთი, უგანდა და კუბა მწვანე ეკონომიკის განვითარების წარმატებულ მაგალითებს გვიჩვენებს. გავეცნოთ ამ ქვეყნებში მწვანე ეკონომიკის მიმართულებით განხორციელებულ პროგრამებს.

• **ეკოლოგიურად სუფთა ინფრასტრუქტურა ინდოეთში.** ურბანული განვითარების სამინისტრო იქ ახორციელებს სპეციალურ პროგრამას, რომელიც გამიზნულია ეკოლოგიურად სუფთა ინფრასტრუქტურის შექმნასა და გაუმჯობესებაზე;

• **ტყეების მართვა ნეპალში.** ნეპალის ტერიტორიის დაახლოებით 40% ტყეებს უკავია. ქვეყანაში შექმნილია სატყეო მეურნეობის სპეციალური ჯგუფი, რომელიც მართავს და თვალყურს ადევნებს სატყეო რესურსებს.

• **მზის ენერჯია ტუნისში.** გაზისა და ნავთობის იმპორტზე ქვეყნის დამოკიდებულების შესამცირებლად ტუნისის მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა განახლებადი ენერჯის განვითარების კუთხით. შეიქმნა ენერჯის მართვის ეროვნული ფონდი, რომლის მთავარ მიზანს განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების შემუშავება და ეფექტურობის ზრდა წარმოადგენს.

• **განახლებადი ენერჯია ჩინეთში.** ჩინეთში წარმატებით ხორციელდება განახლებადი ენერჯის წყაროების მოძიება. ჩინეთის მთავრობა იმედოვნებს, რომ 2020 წლისთვის ძირითადი ენერჯის დაახლოებით 16%-ს განახლებადი წყაროებიდან აწარმოებს.

• **ორგანული სოფლის მეურნეობა უგანდასა და კუბაში.** უგანდაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სოფლის მეურნეობის წარმოების ორგანული ფერმერული მეურნეობით ჩასანაცვლებლად. აღნიშნული ცვლილება მომგებიანია როგორც ქვეყნისთვის, ისე საზოგადოებისა და გარემოსთვისაც. ორგანული სოფლის მეურნეობა მართვის ისეთი სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს და ზრდის ეკოსისტემის სიჯანსაღეს, რაც მოიცავს ბიომრავალფეროვნებას, ბიოციკლებსა და ბიოლოგიურ აქტივობას. არ იყენებს სინთეტიკურ მასალებს: შხამქიმიკატებს, პესტიციდებს და სასუქებს. აღსანიშნავია, რომ უგანდა მსოფლიოში ყველაზე ნაკლებ სასუქს მოიხმარს.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კუბას შორის არსებული ემბარგოს შედეგად კუბაში ნავთობის, პესტიციდების და სასუქების ნაკლებობაა, ამიტომ მეურნეობები თავად ზრუნავენ საკუთარ პროდუქციაზე და ბევრად უფრო „მწვანეკემურნეობას ეწევიან. პერსპექტივაში მწვანე ეკონომიკის განვითარება უალტერნატივოა, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა აქტიურად ერთვება ამ პროცესში, რადგან მწვანე ეკონომიკა 21-ე საუკუნის ბიზნესშესაძლებლობაა. 2009 წელს მარტო კვლევისა და განვითარებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი ევროკავშირმა 300%-ით გაზარდა. ჩინეთმა 2010 წელს 34 მილიარდი აშშ დოლარი დახარჯა სუფთა ენერჯის დასაფინანსებლად. შესაბამისად, გაუსწრო აშშ-ს და მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა განახლებად ენერგოტექნოლოგიურ დარგებში დაბანდებული ინვესტიციების მოცულობით. ხუთეულში შედიან: დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და ბრაზილია, როგორც არსებული ტენდენციები გვიჩვენებს, მწვანე ეკონომიკის დანერგვა აქტიურ ფაზაშია გადასული. კაცობრიობამ გააცნობიერა, რომ ბუნებრივი რესურსების მოცულობა მცირდება, მსოფლიოს მოსახლეობა კი მუდმივად იზრდება და ხსნა მხოლოდ მწვანე ეკონომიკის განვითარებაშია, ამიტომ დღეს ეს საკითხი ისე აქტუალურია, როგორც არასდროს.

ოფიციალური მონაცემებით, უმუშევრობის დონემ საქართველოში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს - 16,9%-ს მიაღწია 2009 წელს, 2018 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი 12,7% -ზე დაფიქსირდა, რეალურად, სამუშაო ძალის დაახლოებით ორი მესამედი თვითდასაქმებულია. ყველაზე მეტი თვითდასაქმებული სოფლის მეურნეობაშია. მათი უმრავლესობა აწარმოებს პროდუქტს საკუთარი მოხმარებისთვის. საბოლოოდ ქვეყანაში უმუშევრებისა და თვითდასაქმებულების რაოდენობა შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 70 %-ია<sup>44</sup>.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა ვერ უზრუნველყო სიღარიბის დონის მნიშვნელოვანი შემცირება. ბოლო ათწლეულში სიღარიბის მაჩვენებლები თითქმის არ შეცვლილა. ამასთანავე, საქართველო რეგიონში უთანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა.

საინტერესოა რა მდგომარეობაა საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიდგომა დროული და იმედის მომცემია როგორც საკანონმდებლო, ისე სამთავრობო დონეზე. ჩვენი ქვეყანა თავისი ბუნებრივი და ინტელექტუალური პოტენციალით ყველა გამოწვევას ღირსეულად გაუმკლავდება, თუ გაეითვალისწინებთ ამ კუთხით მსოფლიო მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თავისებურებებს.

„იცვლება ეკონომიკური ვითარება, ეკონომიკა დინამიური ხდება და დგება ახალი ამოცანები. ჩვენი ახალი ამოცანაა - არა მხოლოდ სწრაფი ეკონომიკური ზრდა, არამედ ამ ზრდის გადართვა სიღარიბის დაძლევაში, ამ ზრდის თითოეულ ოჯახში მიტანა. ეს არის ზრდა, რომელშიც ყველა ჩართულია და მას ყველა გრძნობს, მაგრამ მთავარია, რა ტემპებით, რა ტაქტიკით, როგორ მივალწევთ ამ შედეგს. ეკონომიკის სამინისტრო ძალიან კომპლექსური სამინისტროა, სადაც ბევრი დარგი, ქვედარგი, მიმართულება არის თავმოყრილი და თითოეულ დარგში არსებობს სტრატეგია. ჩვენი მთავარი ამოცანა - ეს არის მართლაც ახალი ტემპი, ახალი დინამიკა, ახალი დრაივი - აცხადებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა<sup>45</sup>.

ჩვენს ქვეყანაში მწვანე ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით საინტერესოა პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის განცხადება: „ჩვენი მთავრობის მწვანე პოლიტიკა, როგორც იდეოლოგია ისევე და ისევე ადამიანის სიცოცხლესა და კეთილდღეობაზეა დაფუძნებული,

<sup>44</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevropa>

<sup>45</sup> <http://www.economy.ge>

რამდენადაც გარემოს დაცვის ხარისხი და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან... ჩვენ ამ გზაზე უნდა გვქონდეს ორი პრიორიტეტი: პირველი - აღმოფხვრათ ის ძალიან მძიმე მემკვიდრეობა, რომელიც დღეს გვერგო და მეორე - გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის უნიკალური სიმდიდრე და უახლოეს წლებში მივიღოთ ისეთი შედეგები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც მწვანე ეკონომიკის მქონე ქვეყნის პოზიციონირებას... ეს არის ცხოვრების ახალი წესი, რაც გულისხმობს, რომ ჩვენ ვუფრთხილდებით და ვუვლით გარემოს, ამავე დროს, ვაგროვებთ ცოდნას, ვინაწილებთ პასუხისმგებლობას და შედეგად ვიღებთ სუფთა ჰაერს, სუფთა წყალს, ხარისხიან საკვებს. საბოლოო ჯამში კი - ჯანსაღ გარემოს და ძლიერ კონკურენტუნარიან ეკონომიკას“<sup>46</sup>.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით მწვანე ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი ფოკუსი იქნება სოფლის მეურნეობა. საქართველო გახდება ძალიან მაღალი ხარისხის ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქტის მწარმოებელი ქვეყანა. ამ მიმართულებით მოხდება მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა. კერძოდ, ნატურალური პროდუქტების გარკვეული ჯგუფი გათავისუფლდება დამატებითი ღირებულების გადასახადისგან. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი გადასახადი იქნება სოფლის მეურნეობაში. აქცენტი გაკეთდება სწორედ ბიოლოგიურად სუფთა, ეკოლოგიური პროდუქტის წარმოებაზე. ეს იმას ნიშნავს რომ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია იქნება უფრო კონკურენტუნარიანი და ჩვენ შევძლებთ ავითვისოთ ის უნიკალური საშუალება, რასაც გვაძლევს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი როგორც ჩინეთთან, ასევე ევროკავშირის ქვეყნებთან.

მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში უნდა გვქონდეს სწორი ხედვა და შემუშავებული გვქონდეს სტრატეგია, რომელიც ერთნაირად სავალდებულო იქნება, როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე. ევროკავშირისკენ სწრაფვა გვაავალდებულებს, მივუახლოვდეთ ევროპულ სტანდარტებს და შევიტანოთ კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებები, რომელიც ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი კონცეფციის განხორციელებას. კერძოდ, უნდა გადაიდგას უფრო მკაფიო და კონკრეტული ნაბიჯები ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურების პრევენციის, ნარჩენების მართვის, ბიომრავალფეროვნების, ეკოსისტემებისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის განვითარების თვალსაზრისით. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ურბანულ ქალაქებში, სადაც სამრეწველო ობიექტების და ტრანსპორტის გამონაბოლქვი აბინძურებს ჰაერს. საჭიროა შეიქმნას ატმოსფერული ჰაერის დაცვის ეფექტიანი პროგრამები ურბანული ქალაქებისთვის, რომელიც თითოეულ სახელმწიფო უწყებას და კერძო სექტორს განუსაზღვრავს კონკრეტულ ვალდებულებებს და მისცემს რეკომენდაციებს, რომ რაც შეიძლება სწრაფად გაუმჯობესდეს ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მასშტაბით იგეგმება ჰაერის ხარისხის ევროპული სტანდარტის დანერგვა, რაც საშუალებას მოგვცემს ჰაერის ხარისხის შეფასება მოხდეს თანამედროვე ევროპული სტანდარტების გამოყენებით. ქვეყანაში უკვე არსებული თანამედროვე ავტომატური მონიტორინგის ქსელი საშუალებას იძლევა სწორედ ევროპული სტანდარტით მოხდეს ჰაერის ხარისხის შეფასება. მნიშვნელოვანია, რომ ჰაერის ხარისხის მონიტორინგის პარალელურად განვითარდება ვებპორტალი, სადაც მოქალაქეებს მუდმივ ონლაინ რეჟიმში შეეძლებათ ინფორმაციის მიღება კონკრეტულ ლოკაციებზე ჰაერის ხარისხთან დაკავშირებით. საჭიროა ძალიან ეფექტური კომუნიკაცია, პიდაპირი კავშირი და უკუკავშირი ჩვენს საზოგადოებასთან, რომ ერთობლივი ძალებით ოპერატიულად და ეფექტურად ვიმოქმედოთ ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის დროს.

მწვანე ეკონომიკის განვითარების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ახალი მწვანე რეკრეაციული სივრცეების შექმნას ქალაქებში, ასევე არსებულის მოვლას და განახლებას. მთავრობის მეთაური აცხადებს, რომ ინვესტიციები ჩაიდება დაცული ტერიტორიების და ყველა ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური ეკოსისტემების განვითარებაში და, რაც მთავარია, ტყის სარეკრეაციო და ტურისტული მიზნებისთვის განვითარება იქნება ამ სექტორში სახელმწიფოს აბსოლუტური პრიორიტეტი.

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის კლიმატური ცვლილებები და ამ ფონზე კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა ჩვენს ქვეყანაში ტყის რესურსის მოვლის თვალსაზრისით. ბევრი რეგიონი ეკოლოგიური კატასტროფის

<sup>46</sup> gov.ge , premier-ministris garemosdacviTi koncefcia -,„mwvane ekonomika“

ზღვარზეა. ტყე არის საქართველოს სიმდიდრე და მას განსაკუთრებული მოვლა და გაფრთხილება სჭირდება, მაგრამ დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, როცა ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სიღარიბის ზღვარზეა, ძალიან რთულია სხვადასხვა მიმართულებით ტყის გამოყენებაზე რადიკალური უარის თქმა. საინტერესო ინიციატივა აქვს სახელმწიფოს ტყის საფარის გადარჩენის მიმართულებით. კერძოდ, იგეგმება საქართველოში იმპორტული ხე-ტყის შემოტანა, აიკრძალება მორების და ფიცრების გატანა ჩვენი ტერიტორიიდან, ადგილზე შეიქმნება სამუშაო ადგილები და განვითარდება მაღალი ღირებულების მქონე სექტორები. ამასთან, ტყის მართვის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობა იქნება დასაქმებული, რაც ხელს შეუწყობს სტაბილური შემოსავლით მათ უზრუნველყოფას და სიღარიბის დონის შემცირებას.

21-ე საუკუნეში სწორედ მწვანე ეკონომიკას აქვს ყველაზე მაღალი კაპიტალიზაციის მოტანის საშუალება. ჩვენი მცირე ეკონომიკისთვის ეს არის უზარმაზარი შესაძლებლობა, მაგრამ მისი გამოყენებისთვის აუცილებელია ვიყოთ პრინციპულები და თანმიმდევრულები. ამ რეფორმის შედეგად საქართველოში შეიქმნება სრულიად უნიკალური გარემო. ეს კაპიტალიზაცია შეეხება ნებისმიერ მიმართულებას. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში უძრავი ქონების ფასი უფრო მაღალი იქნება, რაც გაზრდის იმ კატეგორიის მოსახლეობის შემოსავალს, რომლებიც ფლობენ მიწის ნაკვეთებს, ბინებს და კერძო სახლებს.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებულმა პროგრამამ „მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ (EAP GREEN) და მისმა რესურსფექტური და სუფთა წარმოების (RECP) სადემონსტრაციო კომპონენტმა საქართველოს აღმოუჩინა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მწვანე ეკონომიკური განვითარებისაკენ სვლაში. RECP პროექტმა ქართულ სამრეწველო საწარმოებში მოახდინა იმ პრაქტიკული გზების დემონსტრირება, რომლებიც აუმჯობესებს წარმოებაში რესურსების გამოყენების პროდუქტიულობას, ამცირებს გარემოზე უარყოფით ზეგავლენას და მოაქვს ეკონომიკური სარგებელი. რესურსფექტური და სუფთა წარმოების ფართო დანერგვის მიზნით შემუშავებულმა პროექტმა ხელი შეუწყო ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებას, რესურსფექტური ტექნოლოგიების გადაცემას და შესაბამისი ინვესტიციების მხარდაჭერას, რაც წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მწვანე და კონკურენტუნარიანი წარმოების მისაღწევად<sup>47</sup>.

ამრიგად, მწვანე და სოციალურად ინკლუზიურ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საჭიროა ყოვლისმომცველი, პრინციპული და თანმიმდევრული პოლიტიკური მიდგომა. გათვალისწინებული უნდა იყოს რეგიონის სპეციფიკა და სექტორის წინაშე მდგარი გამოწვევები, სოციალური ჩართულობის შესაძლებლობები, რაც უზრუნველყოფს ღირსეული შედეგის დადგომას. სიღარიბის დაძლევის მიმართულებით კომპლექსური მიდგომა გვჭირდება, მწვანე ინვესტიციების მოზიდვის კვალდაკვალ უნდა მოვახდინოთ დასაქმების მსურველთა გადამზადება, მათთვის იმ უნარ-ჩვევების შექმნა და განვითარება, რომელიც დაეხმარება მათ დაკისრებული მოვალეობის კვალიფიციურად შესრულებაში, საჭიროა საგადასახადო კუთხით რეფორმების გატარება, რომლებიც წაახალისებს მწვანე პროდუქტის შემქმნელ ბიზნესის წარმომადგენლებს და გაზრდის ენერგოეფექტური, ინფრასტრუქტურული, გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარებისთვის საზოგადოების მხარდაჭერას. მწვანე ეკონომიკა დადებით გავლენას მოახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, შეამცირებს უმუშევრობის დონეს და შესაბამისად სიღარიბის დონეს, რომელიც ჩვენი ქვეყნის უდიდესი გამოწვევაა. UNEP/LAW ანგარიშში - „მწვანე ეკონომიკის წარმატებული მუშაობა და სოციალური ჩართულობა მდგრადი განვითარების მიმართულებით“ - მითითებულია, რომ მწვანე ეკონომიკას უდიდესი პოტენციალი გააჩნია სიღარიბის აღმოსაფხვრელად. ამ გზაზე აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება იმ მრავალფეროვანი შესაძლებლობების სრულად ათვისებისთვის, რაც მწვანე ეკონომიკის განვითარების თანმდევია ეკონომიკური უსაფრთხოების მიმართულებით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. [http://www.unep.org/pdf/GreenEconomy\\_SuccessStories.pdf](http://www.unep.org/pdf/GreenEconomy_SuccessStories.pdf)
2. <http://greeneconomics.org.uk>

<sup>47</sup> [ecp.ge/wp-content/uploads/2018/01/Green-economy-newsletter-GE-1.pdf](http://ecp.ge/wp-content/uploads/2018/01/Green-economy-newsletter-GE-1.pdf)

3. <http://www.inderscience.com/ijge>
4. UNEP, Towards a Green Economy, Pathways to Sustainable Development and Poverty Eradication, A Synthesis for Policy Makers
5. <http://eiec.gov.ge>
6. [http://gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=520&info\\_id=71727](http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=520&info_id=71727) premier-ministris garemosdacviTi koncefcia -,mwvane ekonomika“
7. infosheet\_green\_economy\_green\_jobs\_report\_-\_unep\_ilo\_july
8. <http://mastsavlebeli.ge>
9. Green%20economy/s
10. Erica Novianti Lukas, M.A. ,Green Economy for Sustainable Development and Poverty Eradication
11. Poverty eradication through Green Jobs in a Green Economy, Information note | June 2012
12. <http://www.economy.ge>
13. <http://szs.gov.ge>
14. [https://limun.org.uk/FCKfiles/File/2016\\_UNEP\\_Guide\\_A.pdf](https://limun.org.uk/FCKfiles/File/2016_UNEP_Guide_A.pdf), Eradicating Poverty through an Inclusive Green Economy
15. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevropa>

*Fati Shengelia*

## A GREEN ECONOMY AND POVERTY Symmary

Poverty reduction is inextricably linked a low-carbon, resourceefficient, and socially inclusive green economy. A Green Economy is one whose growth in income and employment is driven by public and private investments. However, it also reduces carbon emissions and pollution, enhance energy and resource efficiency, and prevents biodiversity loss and ecosystem services degradation. These investments need to be catalysed and supposed by targeted public expenditure, policy reforms and regulation changes. This development path should maintain, enhance and, where necessary, rebuild natural and security depend strongly on nature. Persistent poverty is the most visible form of social inequity, related as it is to unequal access to education, healthcare, credit availability, income opportunity and secure property rights. A key feature of a green economy is that it seeks to provide diverse opportunities for economic development and poverty alleviation without liquidating or eroding a country’s natural assets. This is particularly necessary in low-income countries, where ecosystem goods and services are a large component of the livelihoods of poor rural communities and ecosystems and their services provide a safety net against natural disasters and economic shocks.

*ელენე ჩიქოვანი*

### ბარემოსდაცვითი სტატისტიკის სრულყოფის ზომიერითი საკითხისათვის საპარტიოპელოში

**ანოტაცია.** ნაშრომში განხილულია გარემოსდაცვითი სტატისტიკის განვითარების მდგომარეობა საქართველოში. გაანალიზებულია გარემოს დაცვის ინდიკატორთა წრის დამუშავების სფეროში არსებული გამოწვევები ქვეყანაში. მოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის განყოფილების მიერ განსაზღვრული მიმართულებები, რომელიც გარემოსდაცვითი სტატისტიკის ძირითად სფეროებს ასახავს. აღნიშნული სფეროების მიხედვით გამოვლენილია გარემოს დაცვის სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების სფეროში არსებული ნაკლოვანებები და ჩავარდნები. მოცემულია რეკომენდაციები გარემოს დაცვის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემის სრულყოფის მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებებს შესახებ საქართველოში.

**საკვანძო სიტყვები:** მდგრადი ეკონომიკური განვითარება, ეკოლოგია, ეკოსისტემა, გარემოსდაცვითი სტატისტიკა, სტატისტიკური ინფორმაცია, ეკოლოგიური უსაფრთხოება

### შესავალი

ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, ურბანიზაციისა და ეკოლოგიური კატაკლიზმების გაღრმავების კვალობაზე, ნებისმიერი ქვეყნის

ეკონომიკური აღმავლობის პარალელურად, სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს გარემომცველი გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები. შესაბამისად, ეკონომიკური აღმავლობის კვალდაკვალ, თანამედროვე მსოფლიოს ყველა ქვეყნის განვითარების უმთავრესი პირობა ხდება გარემომცველ სამყაროზე მისი გავლენის შეფასებისა და მასზე ადეკვატური რეაგირების პოლიტიკის შემუშავება, რაც პირდაპირ უკავშირდება გარემოსდაცვითი სტატისტიკის განვითარების საკითხებს. ბუნებრივია, მსოფლიოს ყველა ქვეყნის სამომავლო პოლიტიკამ უნდა უპასუხოს იმ გამოწვევებს, რომელიც ქვეყანაში ამ მიმართებით არსებობს, რაც პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს გარემოსდაცვითი სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემის დანერგვისა და სტატისტიკური დაკვირვების ადეკვატური ფორმების გამოყენების უზრუნველყოფ ღონისძიებათა გატარებას. ამასთან, აუცილებლობას წარმოადგენს ძალისხმევის მიმართვა არა მარტო ცალკეული ქვეყნების გარემოსდაცვითი სტატისტიკის განვითარებისა და ადეკვატური პოლიტიკის შემუშავებისაკენ, არამედ არსებულ გამოწვევებზე ქვეყნების აქტიურ ერთობლივ რეაგირებასა და ღონისძიებების კოორდინაციისაკენ.

\* \* \*

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური განყოფილების მიერ შემუშავებული ჩარჩო-რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების მიხედვით განსაზღვრულია 12 ძირითადი მიმართულება, რომელიც გარემოსდაცვითი სტატისტიკის მთავარ სფეროებს ასახავს [FDES 2013: 3-4].

ესენია:

- ნიადაგი
- ეკოსისტემა და ბიომრავალფეროვნება
- მიწის საფარი და მიწის გამოყენება
- ტყის რესურსები
- ჰაერის ხარისხი
- მინერალური რესურსები
- ენერგეტიკული რესურსები
- მემცენარეობისა და მეცხოველეობის სტატისტიკა
- წყლის რესურსები
- ნარჩენების გენერაცია და მართვა
- ადამიანთა დასახლებები
- გარემოსდაცვით ღონისძიებებზე გაწეული დანახარჯები.

ზემოაღნიშნული მიმართულებების მიხედვით ადეკვატური გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავება პრიორიტეტულს ხდის სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებას, რათა სრულფასოვნად შეფასდეს ცალკეულ ქვეყნებსა და მთელ მსოფლიოში გარემოს დაბინძურებისა და ეკოლოგიური კატაკლიზმების ყოველგვარი გამოვლინება და შესაძლებლობა მიეცეთ ქვეყნებს, უპასუხონ არსებულ გამოწვევებს და ამით უზრუნველყონ ეკონომიკის მდგრადი, უსაფრთხო განვითარებისა და მოსახლეობის დაცულობის გარანტიები.

გარემოსდაცვითი სტატისტიკის განვითარებას, ისევე, როგორც საერთოდ სტატისტიკის განვითარებას, ქვეყანაში მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის არსებითია პრობლემის მნიშვნელობა და მისი პრიორიტეტულობა ქვეყნის ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებისათვის, არსებული ჩარჩო კანონმდებლობისა და პოლიტიკის არსებობა, ძირითადი საპროგრამო დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, ვალდებულებები საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე, სტატისტიკური სამსახურის მზაობა სტატისტიკური დაკვირვების წარმართვისათვის მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად, მეთოდოლოგიური ინსტრუმენტარისა და საკადრო პოტენციალის არსებობა, მთავრობის, ასევე დაინტერესებული წრეების მხრიდან ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერა, შესაბამისი პრიორიტეტების განსაზღვრა და მასზე დროული რეაგირება.

ზემოაღნიშნული და რიგი სხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზეგავლენით, უახლოეს წარსულში გარემოსდაცვითი სტატისტიკა, სამწუხაროდ, თანამედროვე ქართული სტატისტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის არ მოიაზრებოდა, რამაც განაპირობა ქართულ რეალობაში გარემოსდაცვითი სტატისტიკის ფრაგმენტული განვითარება და მისი დაშორება ქვეყანაში არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობასთან, რაც

პირდაპირ აისახა გარემოსდაცვითი სტატისტიკის განვითარების მდგომარეობასა და წარმოებული ინფორმაციის ხარისხზე. შესაბამისად, გარემოსდაცვითი სტატისტიკის ზემოაღნიშნული 12 მიმართულებიდან საქართველოში ნაწილი მიმართულებებისა სტატისტიკური დაკვირვებით საერთოდ არ არის მოცული, ნაწილი ფრაგმენტულად არის განვითარებული, ხოლო მაჩვენებელთა ნაწილი კი მეთოდოლოგიურ სრულყოფასა და სტატისტიკური კვლევების ორგანიზებისათვის საკადრო უზრუნველყოფასა და ფინანსურ მხარდაჭერას მოითხოვს [საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა 2017: 6-65].

მიუხედავად უკვე არსებული სტატისტიკური ინფორმაციისა, საქართველოში გაუმჯობესებას მოითხოვს ნიადაგის მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მაჩვენებლების სისტემა, რომელშიც მოიაზრება ფართობების განაწილება ნიადაგის ტიპების მიხედვით, ინფორმაცია ნიადაგის დეგრადაციის, ნიადაგის ეროზიის, გაუდაბნოებისა და მეწყერსაშიში ზონების შესახებ.

ქვეყნის ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების სტატისტიკა მოიცავს ინფორმაციას გავრცელებული ფლორისა და ფაუნის, ენდემური ფლორისა და ფაუნის, დაცული ტერიტორიების ფლორისა და ფაუნის, დაცული ტერიტორიების სტრუქტურის, ფრინველთა და ცხოველთა კატეგორიების, დაცული ტერიტორიების შენახვაზე გაწეული დანახარჯებისა და მომუშავეთა რაოდენობის შესახებ. თუმცა, გასაუმჯობესებელია ინფორმაცია ეკოსისტემის ზოგადი დახასიათების, ეკოსისტემის ქიმიური და ფიზიკური მახასიათებლების, ბიომრავალფეროვნების, დაცული საჰაერო და საზღვაო სივრცის, დაცული ფლორისა და ფაუნის სახეობების შესახებ [Eco systems and biodiversity FDES 2013. Version 1.0 May 8, 2018: 3].

მიწის საფარისა და მიწის დაცვის მაჩვენებელთა წრე ასახავს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას მიწის გამოყენების, მიწის საკუთრების, მიწის კატეგორიების, ეროვნული ორგანული მიწათმოქმედების შესახებ. თუმცა არ არსებობს ინფორმაცია მიწის ფართობების ირივაციის, ტყის მდგრადი მართვისა და აგრომეტყვეობის შესახებ [საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017: 5-96].

საქართველოში მუშავდება ტყის რესურსებისა და მისი დაცვის ამსახველი სტატისტიკური მაჩვენებლები, ტყის აღდგენა და გაშენება, ტყის თესვა და დარგვა, ტყის ბუნებრივი განახლებისათვის ხელშეწყობა, ტყის უკანონო ჭრა, ტყისა და ველის ხანძრები.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის მაჩვენებლები მოიცავს ინფორმაციას ატმოსფეროში მანვნივთიერებების გაფრქვევის, სტაციონარული წყაროების რაოდენობის და გაფრქვეული მანვნივთიერებების გაუნებელყოფის შესახებ. ასევე რადიაციული ფონის, ჰაერში ტყვიისა და სხვა მანვნივთიერებების შემცველობის შესახებ [Air Quality: FDES 2013. Version 1.0 November 6, 2018: 3].

წყლის რესურსების, წყალარინებისა და წყალმომარაგების მაჩვენებლებთან ერთად მუშავდება წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების მდგომარეობის ამსახველი, აგრეთვე სასმელი წყლის დაბინძურების მაჩვენებლები.

საქართველოში 2005 წლიდან არ ქვეყნდება სტატისტიკური ინფორმაცია მინერალური რესურსების შესახებ, კერძოდ, ინფორმაცია კომერციალიზაციას დაქვემდებარებული რესურსების მარაგების, ახალი საბადოების აღმოჩენის, მარაგების ზრდის, რეკლასიფიკაციის, ექსტაქციის (ამოღების), კატასტროფული დანაკარგების, მინერალური რესურსების მარაგების შემცირების, არაკომერციული და სხვა ცნობილი რესურსების, მინერალების წარმოებისა და ვაჭრობის, მინერალების ექსპორტისა და იმპორტის შესახებ, რაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის გარემოსდაცვითი სტატისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს [Mineral Resources Statistics. FDES2013. Version 1.0 December 28, 2016: 2].

საერთაშორისო სახელმძღვანელო დოკუმენტების მიხედვით ენერგეტიკული რესურსების სტატისტიკა უნდა მოიცავდეს კომერციალიზაციას დაქვემდებარებული ენერგეტიკული რესურსების მარაგების, ახალი რესურსების აღმოჩენის, დანაკარგების, არაკომერციული ენერგეტიკული რესურსების, არაგანახლებადი ენერჯის წარმოების წყაროებისა და წარმოების, პირველადი ენერჯის წარმოების, მეორადი ენერჯის წარმოების, ენერჯის საბოლოო მოხმარების შესახებ [Energy Resources Statistics. FDES2013. Version 1.0 December 28, 2016: 2].

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ამუშავებს ინფორმაციას მემცენარეობისა და მეცხოველეობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის, ორგანული და ქიმიური სასუქებისა და პესტიციდების გამოყენების შესახებ.

საქართველოში არ არსებობს ნარჩენების გენერაციისა და მართვის ამსახველი სტატისტიკა. ქვეყანაში არ მუშავდება ინფორმაცია წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ ნარჩენების წარმოქმნის წყაროების მიხედვით. წარმოქმნილი საფრთხის შემცველი ნარჩენების რაოდენობის შესახებ, მუნიციპალური ნარჩენების, შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენების, გადამუშავებული ნარჩენების შესახებ ნარჩენების ტიპების მიხედვით, მუნიციპალური ნარჩენების გადამუშავებისა და უტილიზაციის, აგრეთვე ნარჩენების გადამუშავებისა და უტილიზაციის მოწყობილობების მწარმოებლურობის შესახებ. საფრთხის შემცველი ნარჩენების გადამუშავებისა და უტილიზაციის მოწყობილობათა მწარმოებლურობის შესახებ. სხვა სამრეწველო ნარჩენების გადამუშავებისა და უტილიზაციის, მათი გადამამუშავებელი მოწყობილობების სიმძლავრეების, რეციკლირებული ნარჩენების, საფრთხის შემცველი ნარჩენების ექსპორტისა და იმპორტის შესახებ [Generation and Management of Waste.FDES2013. Version 1.0.November 2, 2018: 3-4].

განსაკუთრებით აქტუალურია მყარი და ლიკვიდური ნარჩენების გენერაციისა და მართვის საკითხები, მათ შორის ინფორმაცია მყარი და ლიკვიდური ნარჩენების, მუნიციპალური და ჰოსპიტალური ნარჩენების მართვისა და ნარჩენების გადამუშავების შესახებ. სტატისტიკური დაკვირვებით არ არის მოცული მათი გავრცელება და ზეგავლენა ადამიანზე. დამუშავებას მოითხოვს ეკოლოგიური ჯანმრთელობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა წრე, რომლებმაც უნდა ასახოს გარემოს დაბინძურების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე, რაც მოითხოვს ავადობის ძირითადი სახეების გავრცელების შესახებ სპეციალური კვლევების ჩატარებასა და ჯანდაცვის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემის სრულყოფას.

საქართველოში ადამიანთა დასახლებების სტატისტიკა შემოიფარგლება მხოლოდ ქალაქად და სოფლად დასახლებული მოსახლეობის რაოდენობის შესახებ არსებული მონაცემებით. არ არის მონაცემები შერჩეული საბაზისო მომსახურებისადმი მოსახლეობის მისაწვდომლობის შესახებ. გაუმჯობესებული სანიტარული მოწყობილობების გამოყენების შესახებ, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებით უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, წყლის ფასის, ელექტროენერჯისადმი მისაწვდომლობისა და ელექტროენერჯის საფასურის, საცხოვრებელი პირობების, ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, რომლებიც ცხოვრობენ ჯურღმულებსა და მიყრუებულ ადგილებში, საფრთხის შემცველ და რისკიან ზონებში. სამშენებლო მასალების შესახებ, რომლებიც ადგილობრივი ან ეროვნული სტანდარტებით არის დადგენილი, გარემოს დაბინძურების ზემოქმედების, ჰაერის დაბინძურების ზემოქმედების, გარემოს ხმაურით დაბინძურების გავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ძირითად ქალაქებში. ურბანული დასახლებებისათვის დამახასიათებელი ეკოლოგიური საკითხების, ურბანული განვითარების, გამწვანების, კერძო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის რაოდენობის, ჰიბრიდული და ელექტროავტომობილებით მოსარგებლე მოსახლეობის, გზატკეცილების მდგომარეობის, ქალაქდაგეგმარებისა და ზონირების რეგულაციებისა და ინსტრუმენტების არსებობის, ქალაქდაგეგმარებისა და ზონირების რეგულაციების ეფექტურობის მაჩვენებლების შესახებ ძირითად ქალაქებში [Human settlements.FDES 2013. Version 1.0 January24, 2018: 3-4 ].

შედარებით ახალია ინფორმაცია, რომელიც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ქვეყნდება სტიქიური მოვლენებისა და სამართალდარღვევების შესახებ. დაწყებულია მუშაობა კლიმატური ცვლილებების შესახებ, რომელიც მოიცავს გეოლოგიური მოვლენების (მეწყერი, ღვარცოფი) რაოდენობას, ადამიანთა მსხვერპლისა და საშიშროების რისკის ზონაში მოქცეული ობიექტების, ასევე სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შემთხვევათა რაოდენობის შესახებ.

სტატისტიკური დაკვირვების მიღმა არის დარჩენილი ადრეული გაფრთხილების ინფორმაციული სისტემების დანერგვის საკითხები. მაშინ, როდესაც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში დაარსებული ევროკავშირის სასურსათო ობსერვატორიის მიერ 2000 წლიდან იქნა დაწყებული მუშაობა ადრეული გაფრთხილების ინფორმაციული სისტემების დანერგვისა და მოსავლის პროგნოზირების მიმართულებით, რომელსაც უკანასკნელ პერიოდში გაგრძელება არ მოჰყოლია. გასათვალისწინებელია ის გამოწვევები, რაც ქვეყანაში გარემოს ზეგავლენით სურსათის უვნებლობის სფეროში არსებობს. უკანდახევად შეიძლება ჩაითვალოს ეკოლოგიური განათლების მაჩვენებელთა დაუმუშავებლობა, რაც ადრე აისახებოდა სტატისტიკურ კრებულებში. აქ ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების მიერ



ეკოლოგიის პროფილის კურსდამთავრებულთა გამოშვების მანქანებლების ანალიზზე. თუმცა, ეკოლოგიური განათლება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ უმაღლესი განათლებით. გასათვალისწინებელია ეკოლოგიური განათლების მანქანებლების გაანგარიშება, რომლებსაც ადგილი აქვს სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო განათლების, აგრეთვე სპეციალურ და ზრდასრულთა უწყვეტი განათლების პროგრამებში.

მწირია ინფორმაცია გარემოს დაცვასა და რესურსების მართვაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯების შესახებ, რაც უნდა დაიყოს წლიურ სახელმწიფო გარემოსდაცვით და წლიურ სახელმწიფო რესურსების მართვის დანახარჯებად. სპეციალურ ყურადღებას მოითხოვს გარემოსდაცვითი დანახარჯების სტატისტიკის განვითარება, რომელმაც უნდა შეაფასოს გარემოს დაცვაზე გაწეული სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო სექტორის დანახარჯები.

გასათვალისწინებელია ინდიკატორთა ახალი წრის შემოღების აუცილებლობა, რომელიც ასახავს ამოღებული ჯარიმებისა და გატარებული სანქციების შესახებ მონაცემებს, ასევე ეკოლოგიური გადასახადების, გადასახადებისაგან გათავისუფლების შემთხვევებისა და ტრანსფერების ოდენობას.

გასააქტიურებელია უწყებებს შორის კოორდინაციის საკითხი, რაც მოითხოვს თანამშრომლობის გაღრმავებას საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ქვეყნის ჰიდრომეტეოროლოგიურ სამსახურსა და სხვა დაინტერესებულ უწყებებს შორის. აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციებთან (იგულისხმება გაერთიანებული ერების სტატისტიკური განყოფილება, გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაცია, აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ეკონომიკური კომისიის სტატისტიკის განყოფილება, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია), აქტიური თანამშრომლობა და მეთოდოლოგიური და ფინანსური მხარდაჭერის მოზიდვა.

დამამიჯნებელია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაცია. ამჟამად გარემოს დაცვის სტატისტიკა სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში შემავალი გარემოს სტატისტიკის სამმართველოს სახით არის წარმოდგენილი. გარემოსდაცვითი სტატისტიკის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, აუცილებლად გვესახება აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის საკადრო და ფინანსური პოტენციალის გაძლიერება და გარემოსდაცვითი სტატისტიკური აღრიცხვის სისტემის რეფორმირება, დროში გაწერილი და სათანადო რესურსებით უზრუნველყოფილი სამოქმედო გეგმის შემუშავება და რეალიზაცია, გარემოსდაცვითი სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზება ზემოაღნიშნული ძირითადი მიმართულებების მიხედვით მსოფლიოში აპრობირებული მეთოდოლოგიისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

## დასკვნა

გარემოს მდგომარეობის შეფასების აუცილებელ პირობას გარემოსდაცვითი სტატისტიკური აღრიცხვის სისტემის სრულყოფა წარმოადგენს. საქართველოს გარემოს დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასება ეყრდნობა გარემოს დაცვითი სტატისტიკის მანქანებელთა სისტემას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური განყოფილების მიერ შემუშავებული ჩარჩო რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების მიხედვით არის განსაზღვრული.

საქართველოში მუშავდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის განყოფილების მიერ რეკომენდებული გარემოსდაცვითი სტატისტიკის ძირითადი ინდიკატორები. ჩამორჩენა შეინიშნება ნარჩენების სტატისტიკის, ურბანული და ადამიანთა დასახლებების, ბუნებრივი და ენერგეტიკული რესურსების, აგრეთვე ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე გარემოს მავნე ზემოქმედების შეფასების მიმართულებით.

გარემოსდაცვითი სტატისტიკის სრულყოფის ღონისძიებათა გატარება მოითხოვს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საქმიანობის კოორდინაციას ქვეყნის დაინტერესებულ სამთავრობო სტრუქტურებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან გარემოსდაცვითი სტატისტიკის მანქანებელთა სისტემის დანერგვისა და სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზაციის, სტატისტიკური კვლევების ჩატარების მიმართულებით, რაც

უნდა აისახოს შესაბამის მეთოდოლოგიური, საკადრო და ფინანსური უზრუნველყოფის მდგომარეობის გაუმჯობესებაში და მოითხოვს შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და რეალიზაციას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა 2017. სტატისტიკური პუბლიკაცია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური თბილისი, 2018.
2. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017. სტატისტიკური პუბლიკაცია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2018.
3. Manual on the Basic Set of Environment Statistics. United Nations. Statistics Division. FDES 2013
4. Soil Characteristics of the Basic Set of Environment Statistics of the FDES 2013. Version 1.0 16 October 2018. <https://unstats.un.org/unsd/envstats/fdes.cshtml>
5. Air Quality: Local air quality of the Basic Set of Environment Statistics of the FDES 2013. Version 1.0 06, November 2018. <https://unstats.un.org/unsd/envstats/fdes.cshtml>
6. Eco systems and biodiversity of the Basic Set of Environment Statistics of the FDES 2013. Version 1.0 08, May 2018 <https://unstats.un.org/unsd/envstats/fdes.cshtml>
7. Water Resources Statistics (Sub-component 2.6 Water Resources of the Basic Set of Environment Statistics of the FDES 2013) Version 1.0 7, June 2017.
8. Generation and Management of Waste (Topics 3.3.1 Generation of waste and 3.3.2 Management of waste of the Basic Set of Environment Statistics of the FDES 2013). Version 1.0. November 2, 2018: <https://unstats.un.org/unsd/envstats/fdes.cshtml>
9. Mineral Resources Statistics (Subcomponent 2.1 Mineral Resources of the Basic Set of Environment Statistics of the FDES 2013) Version 1.0 28 December 2016 Methodology sheets of the Basic Set of Environment Statistics of the FDES: [http://unstats.un.org/unsd/environment/FDES/Manual\\_BSES.htm](http://unstats.un.org/unsd/environment/FDES/Manual_BSES.htm) <http://unstats.un.org/unsd/environment/fdes.ht>
10. Energy Resources Statistics (Sub-component 2.2 Energy Resources of the Basic Set of Environment Statistics of the FDES 2013) Version 1.0 28 December 2016. [http://unstats.un.org/unsd/environment/FDES/Manual\\_BSES.htm](http://unstats.un.org/unsd/environment/FDES/Manual_BSES.htm)
11. Human settlements of the Basic Set of Environment Statistics of the FDES 2013. Version 1.0 28. December 2016. [https://unstats.un.org/unsd/envstats/fdes/manual\\_bses.cshtml](https://unstats.un.org/unsd/envstats/fdes/manual_bses.cshtml) <https://unstats.un.org/unsd/envstats/fdes.cshtml>

*Elene Chikovani*

### ABOUT SOME ISSUES OF THE PERFECTION OF ENVIRONMENT STATISTICS IN GEORGIA

#### Summary

Article is devoted to the problems of perfection of the environmental statistics in Georgia. The main challenges in data collection and dissemination system are evaluated. The relevance of the environment statistics indicators, used in the country, with the requirements and recommendations In line with the Manual on the Basic Set of Environment Statistics of the United Nations Statistics Division (FDES2013) are analyzed. Main data gaps and deficiencies in data collection system are revealed. Specific problems of the statistical observation in the field of mineral resources, waste generation and management, air quality, human settlements statistics are singled out. The necessity of the evaluation of impact of the pollution and worsening of the ecological environment on the health and living conditions of the population is substantiated. The improvement of the environmental health statistics in Georgia is strategized. The ways of the perfection of environmental statistics is recommended. Development of the inter agency as well as International cooperation, organizational and financial support is pointed out in order to improve statistical methodology.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური პარამეტრებისა და მოსახლეობის სტრუქტურის ურთიერთკავშირის ანალიზი

ანოტაცია. მოცემულ სტატიაში განხილულია აჭარის მოსახლეობისა და ისეთი ეკონომიკური პარამეტრების ურთიერთკავშირის ანალიზი, როგორცაა დასაქმება, ეკონომიკური აქტიურობის დონე ასაკის, სქესის მიხედვით. მოსახლეობის რიცხოვნობას, მათ შორის შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკისთვის, ვინაიდან შრომა წარმოების ძირითადი ფაქტორია, რაც უფრო მეტია შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი ქვეყანაში, მით უფრო მეტი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობა იქმნება. ჩვენ შევეცადეთ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაგვეკეთებინა შედარებითი ანალიზი და გვეჩვენებინა, რომ იქ სადაც მოსახლეობის ზრდის ტემპი დადებითია, ეკონომიკური პარამეტრებიც უფრო უკეთესია საქართველოს სხვა დანარჩენ რეგიონებთან შედარებით. სტატიაში მოცემულ გრაფიკებზე ნახვენებია მთლიანი დამატებული ღირებულების განაწილება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, მისი ზრდის ტემპი, დადებითი და უარყოფითი სალდო და გამოყოფილია ის გარემოება, რომ სადაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა მეტია, იქ მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის სალდო დადებითია. ასევე დეტალურადაა ნახვენები აჭარის მოსახლეობის ზრდის დინამიკა წლების მიხედვით და აღნიშნულია აჭარის მოსახლეობის წვლილი ქართველთა ოდენობის მატებაში.

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფია, მოსახლეობა, ეკონომიკური აქტივობა, დასაქმება.

შესავალი

მოსახლეობის სტრუქტურას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობები. ამავე დროს, დემოგრაფიული პროცესებისა და სტრუქტურის ცვლილება პირდაპირკავშირშია ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან. ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის სტრუქტურას შორის კავშირი რთული და მრავალფეროვანია. ამიტომ თანამედროვე ცივილიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის ურთიერთქმედების განსაზღვრას ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესების რთული ჯაჭვის შესწავლის მიმართულებით. ეს გამოწვეულია იმით, რომ შრომა, ანუ ადამიანური კაპიტალი, წარმოების ძირითადი ფაქტორია.

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, დემოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებზე საზოგადოების ზემოქმედების შესაძლებლობები შეზღუდულია. ერთი მხრივ, რთულია საჭირო რაოდენობის მატერიალური და ფინანსური რესურსების მობილიზება, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის მისაღები რეპროდუქციული განწყობის ჩამოყალიბება და მისი შესაბამისი დემოგრაფიული ქცევის რეალიზაცია. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია არა მარტო ადამიანთა შეხედულებების მრავალგვარობა, არამედ მათი განწყობის განმსაზღვრელი ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების, ეროვნული, ოჯახური, რელიგიური ტრადიციების მრავალფეროვნება და ცხოვრებისეულ ფასეულობათა ორიენტაცია. სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ნების გამოხატვისა და სათანადო ღონისძიებების გატარების გარეშე საქართველოს მოსახლეობის კლების შეჩერება შეუძლებელია.

პრობლემის ფორმულირება და ანალიზი

მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის არსებულ მოდელებს შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის, როგორც ქვეყნის შემადგენელი ერთდერთი თვითმმართველი ერთეულისათვის, გამოიყენება ის მოდელი, რომელიც გამოიყენება მთლიანი საქართველოსათვის. 2007 წელს აჭარის რეგიონის მოსახლეობა შეადგენდა 378,8 ათას კაცს, რაც ქვეყნის საერთო მოსახლეობის 8,62%-ია (იხილეთ ცხრილი 1). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის რაოდენობა 2015 წლამდე ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, რაც წლების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მისი ხვედრითი წილის განუხრელი (8,62%-იდან 8,83%-ამდე) ზრდით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობა თვითმმართველი ერთეულების მიხედვით (2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით), ათასი კაცი

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
საქართველო	4 394,7	4 382,1	4 385,4	4 436,4	4 469,2	4 497,6	4 483,8	4 490,5	3 713,7	3 720,4
აჭარის არ	378,8	380,2	382,4	386,9	390,6	393,7	394,2	396,6	334,3	337,0
აჭარ. მოსახლ წილი საქ-ში	8,62%	8,68%	8,72%	8,72%	8,74%	8,75%	8,79%	8,83%	9,0 %	9,06 %
ქ. ბათუმი	122,2	122,2	122,5	123,5	124,3	125,8	160,0*	161,2*	153,1	154,6
ქედის მუნიციპალიტეტი	19,8	19,9	20,0	20,2	20,4	20,5	20,5	20,6	16,8	16,9
ქობულეთის მუნიციპალ.	89,2	89,4	89,8	91,1	92,1	93,0	92,9	93,3	74,8	75,2
შუახევის მუნიციპალიტეტი	21,8	22,0	22,3	22,6	22,8	22,9	22,8	22,9	15,0	15,1
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	91,8	92,2	92,8	94,0	95,2	95,6	62,1*	62,5*	51,3	51,7
ხულოს მუნიციპალიტეტი	34,0	34,5	35,0	35,5	35,8	35,9	35,9	36,1	23,3	23,5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://www.geostat.ge/>

2014 წელს საქართველოს მოსახლეობის ხელახალი, გაერო-ს მიერ შემოთავაზებული განახლებული მეთოდოლოგიით განხორციელებული აღრიცხვის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც მთლიანი ქვეყნის, ისე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა. კერძოდ, 2015 წელს აჭარის მოსახლეობამ შეადგინა 334,3 ათასი კაცი, ხოლო საქართველოს მოსახლეობამ კი - 3 713,7 ათასი კაცი. ანალოგიური მაჩვენებლები 2016 წელს შეადგენდა შესაბამისად - 337,0 ათას კაცს და 3 720,4 ათას კაცს. მიუხედავად აჭარის მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირებისა, მისი ხვედრითი წილი საქართველოს მთლიან მოსახლეობაში მაინც განაგრძობდა ზრდას. ამ მაჩვენებელმა 2015დ2016 წლებში შეადგინა შესაბამისად, - 9,0 % და 9,06 % (ცხრილი 1).

მე-20 საუკუნის განმავლობაში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შობადობაზე გავლენას ახდენდა რელიგიური ფაქტორი. ამიტომ აჭარელი ხალხის ოჯახში იყო მრავალშვილიანობის ტრადიცია. 1980-იან წლებში აჭარის რეგიონში საკმაოდ მაღალი იყო შობადობის დონე და იგი მნიშვნელოვნად აღარბედა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს, რაც რელიგიის ფაქტორითაც იყო განპირობებული. 1980-1989 წლებში ყოველწლიურად მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე 21,3 ბავშვი დაიბადა, 1990-1999 წლებში - 15,3 ბავშვი, 2000-2009 წლებში კიდევ 12,9 ბავშვი. როგორც ვხედავთ, 2000 წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი შემცირდა. ის გაუტოლდა ქვეყნის საერთო მაჩვენებელს. ეს იმით არის განპირობებული, რომ რელიგიური ფაქტორის გავლენა 2000 წლის შემდგომ პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შობადობაზე საგრძნობლად შემცირდა და ბავშვის ყოლაზე უკვე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები თამაშობს გადამწყვეტ გავლენას.

შობადობის დონე მე-20 საუკუნეში მაღალი იყო საქართველოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. 1970-იან წლებში შობადობის დონე 2-ჯერ მაღალი იყო 2000-იან წლებთან შედარებით. დროის ამ ინტერვალში, განსაკუთრებით 2000-იან წლებში, შობადობის დონე ოდნავ მაღალია აჭარაში როგორც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან, ისე დანარჩენი რეგიონების შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, მაგრამ ამ პერიოდის შემდეგ შობადობის დონე საგრძნობლად დაეცა და, შეიძლება ითქვას, კრიზისულ დონეს მიაღწია, განსაკუთრებით სოფლად.

თუ ადრე (მაგალითად, 1980-იან და 1990-იან წლებში) ის შესამჩნევად მაღალი იყო ქალაქთან შედარებით, 2000-2009 წლებში ეს მაჩვენებელი უკვე საკმაოდ დაბალი იყო სოფლად (10,6 პრომილი) ვიდრე ქალაქად (15,7 პრომილი). ეს მიუთითებს იმაზე, რომ სოფლები იცლებო ახალგაზრდებისგან, უარესდება მისი ასაკობრივი სტრუქტურა და სოფლად სოციალურ-ეკონომიკური პირობებიც საგრძნობლად დაბალია ქალაქთან შედარებით. გარდაცვლილთა რიცხვი აჭარაში ბოლო 40 წლის განმავლობაში დიდ ცვლილებებს არ განიცდის. მოკვდავობის დონე აქ ყოველთვის დაბალი იყო.

საქართველოს დანარჩენ რეგიონებში სოფლად გარდაცვალების შემთხვევები ბევრად უფრო მეტია, ვიდრე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ბუნებრივი მატების კოეფიციენტი აქ დადებითია. საქართველოს დანარჩენ რეგიონთა უკლებლივ ყველა სოფელში უფრო მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე იბადება. ჩვენს ქვეყანაში არსებული უმძიმესი დემოგრაფიული ვითარება განპირობებულია მის ცალკეულ რეგიონში დემოგრაფიული პრობლემების გამწვავებით, გამონაკლისია აჭარა, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. „რომ არა აჭარა, მთელ რიგ წლებში (1999-2004) საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი კლება იქნებოდა. ამის კომპენსაცია ხდებოდა აჭარის მაღალი ბუნებრივი მატების ხარჯზე. შეიძლება ითქვას, რომ ქართველთა ოდენობის მატებაში აჭარას დიდი წვლილი მიუძღვის. ბუნებრივ მატებას აჭარაში ძირითადად განაპირობებს მოკვდაობის დაბალი მაჩვენებელი“ [თოთაძე, 2012: 73]. ასე გაგრძელების შემთხვევაში, შობადობის შემცირების შედეგად, მთელ მოსახლეობაში მოიმატებს ხანდაზმული ადამიანების წილი, მოსახლეობა დაბერდება და ამას ბუნებრივად მოჰყვება მოკვდაობის გაზრდა, ბუნებრივი მატების კოეფიციენტი კი უარყოფითი იქნება.

განვიხილოთ რეგიონულ ტერიტორიაში უმუშევრობის და დასაქმების დონეთა ცვლილებები. შევნიშნავთ, რომ უმუშევრობის შედარებით მაღალი მაჩვენებელია თბილისში (22,5%) და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (15,8%), შედარებით დაბალი აქტივობისა (თბილისში დ 53,5%, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დ 68,6%) და დასაქმების დონის (თბილისში დ 41,5%, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში - 57,8%) ფონზე (წყარო. საქსტატი). ერთი შეხედვით, ეს გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება არის სწორედ სწრაფვა დეცენტრალიზაციისაკენ. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, თუ რეგიონებში არსებობს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა, შრომითი რესურსის მიზანმიმართული დეცენტრალიზაცია შესაძლოა გახდეს ერთი მხრივ რეგიონის განვითარების, მეორე მხრივ, უმუშევრობის შემცირების საფუძველი. თუმცა საკითხი კომპლექსურია და მოითხოვს დეტალურ განხილვას.

საქართველოს შრომის ბაზარზე მთავარი რეგიონული განსხვავება დედაქალაქსა და ქვეყნის დანარჩენ ნაწილს შორის არსებობს, თუმცა სხვადასხვა რეგიონებს შორისაც არის გარკვეული სხვაობები. კერძოდ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოხატული დეფიციტია, უმუშევრობის დონე ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე, მაგალითად, ქვემო ქართლში. აღნიშნული რეგიონული სხვაობების აშკარა ახსნა სხვადასხვა რეგიონის ურბანულ და სოფლის მახასიათებლებში შეგვიძლია ვეძებოთ. ოფიციალური უმუშევრობა გაცილებით უფრო დაბალია სოფლად, ვიდრე ქალაქად. ეს სხვაობა დაახლოებით 20%-ს შეადგენს.

ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ასევე მის ცალკეულ რეგიონში დასაქმების დონე 2008 წლის აგვისტოს ომისა და გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოქმნის შედეგად მკვეთრად დაეცა და მას შემდეგ მხოლოდ უმნიშვნელოდ გაიზარდა. ამ თვალსაზრისით ერთადერთ გამონაკლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა წარმოადგენს, სადაც 2008 წლის შემდეგ, მსოფლიო საფინანსო კრიზისის მთელი ციკლის განმავლობაში დასაქმების სტაბილური ზრდა დაფიქსირდა. ეს შეიძლება რეგიონში ტურიზმისა და მშენებლობის სექტორის განვითარებით აიხსნას, ასევე – 2008 წელს, აჭარაში მანამდე არსებული დასაქმების დაბალი დონით. XXI საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, მოსახლეობის ყოველწლიური ბუნებრივი ზრდა აღინიშნა მხოლოდ სამ რეგიონზე - აჭარაში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. ამ რეგიონებზე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის შედარებით დიდი წილი მოდის.

დიაგრამა 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა 2002-2017 წწ. (ათასი კაცი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://www.geostat.ge/>


სტატისტიკის სამმართველოს მონაცემებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება 2002-2017 წლებში მოცემულია ზემოთ მოცემულ დიაგრამაზე. ყურადსაღებია, რომ 2014 წლის საყოველთაო აღწერით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენდა 333,953 ათას კაცს, რაც დიაგრამაზე ასახულია 2015 წლის სვეტში, მაშინ როდესაც წინა წლებში მოსახლეობის რიცხოვნობა თითქმის 400 ათას კაცს აღწევდა.

2014 წლის მონაცემებით ქალაქ ბათუმზე მოდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 46%, ქობულეთის მუნიციპალიტეტზე 22% (მათ შორის ქალაქ ქობულეთზე მოდის საერთო მოსახლეობის 9%), ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტზე 16%, ქედის მუნიციპალიტეტზე 5%, შუახევის მუნიციპალიტეტზე 4%, ხულოს მუნიციპალიტეტზე 7%, მოსახლეობის დაახლოებით 55% ქალაქის მცხოვრებია, ხოლო 45% დ სოფლის.

2002 წლისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა შეადგენდა  $N(2002) = 376$  ათას კაცს. 2014 წლისათვის კი დ  $N(2014) = 396$  ათას კაცს. შესაბამისად, ამ 12 წლიანი პერიოდისათვის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი არის  $b = 0.004$ . ზრდის ამ ტემპით ადვილი გამოსათვლელია, მაგალითად, 25 წლის შემდეგ 2027 წლისათვის აჭარის მოსახლეობის რიცხოვნობა  $N(2027) = 420$  ათასი კაცი. 25 წლის განმავლობაში ზრდის ეს ტემპი, რა თქმა უნდა, დაბალი მაჩვენებელია. 2014 წელს საყოველთაო აღწერისას, სავარაუდოდ, გამოყენებული იქნა დათვლის განსხვავებული მეთოდოლოგია, რითაც უნდა ავსნათ მოსახლეობის რიცხოვნობის მკვეთრი კლება დაახლოებით 40 ათასი კაცით. ამიტომ, მიზანშეწონილია, 2015-2017 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტის გამოთვლა მოხდეს გასული წლებისაგან დამოუკიდებლად.


კერძოდ, თუ  $N(2015) = 334$  ათას კაცს, ხოლო  $N(2017) = 339$  ათას კაცს, ბუნებრივი მატების კოეფიციენტისათვის ამ 3 წლიანი პერიოდისათვის კვლავაც ვღებულობთ  $b = 0.004$ , შესაბამისად 2027 წლისათვის ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებით ვღებულობთ, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა იქნება  $N(2027) = 350$  ათასი კაცი. შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევის შედეგად დგინდება, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის პროცენტული წილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საერთო მოსახლეობაში 2006-2016 წლებისათვის მერყეობს 36%-60% შუალედში. მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია არ შეიმჩნევა, თუმცა მაინც შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 5-8%-დით ზრდა ფიქსირდება (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://www.geostat.ge/>

დიაგრამა 3




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://www.geostat.ge/>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განაწილება 2006-2016 წლებისათვის საფუძველს გვაძლევს შევავსოთ მთლიანად რესპუბლიკაში დასაქმებული, დაქირავებული, თვითდასაქმებული, გაურკვეველი და უმუშევარი მოსახლეობის პროცენტული წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში. 2006-2016 წლებში დასაქმებული მოსახლეობის წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში მთავსებულია 75%-87% შუალედში, ამასთან, ბოლო წლებში, განსაკუთრებით კი 2016 წელს ის აღწევს რეკორდულ მაჩვენებელს 87%-ს. დაქირავებული მოსახლეობა 27%-40% შუალედშია მთავსებული, თვითდასაქმებული მოსახლეობის წილი მთავსებულია 47%-55% შუალედში, უმნიშვნელოა გაურკვეველი საქმიანობის მქონე მოსახლეობის წილი - მაქსიმუმ 0.2% და ბოლოს უმუშევართა წილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობიდან მერყეობს 13%-25% შუალედში, ამასთან, ბოლო წლებში უმუშევართა პროცენტული წილი კლებულობს და 2016 წლისათვის რეკორდულად მინიმალურ მაჩვენებელს 13%-ს აღწევს (დიაგრამა 3).


თუ შევავსებთ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმებისა და ეკონომიკური აქტიურობის დონეს 2006-2016 წლებისათვის, შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: დასაქმების დონე ამ პერიოდისათვის მერყეობს 36%-60% შუალედში, ხოლო ეკონომიკური აქტიურობის დონე კი დ 50%-71% შუალედში. დასაქმებისა და ეკონომიკური აქტიურობის დონეების მიხედვით მინიმალური მაჩვენებელი ფიქსირდება 2007 წელს - 36.4% და 48.8%, ხოლო მაქსიმალური მაჩვენებელი დასაქმების დონის მიხედვით გვაქვს 2015 წელს - 60.1%, ეკონომიკური აქტიურობის დონის მიხედვით 2012 წელს - 71.1% (დიაგრამა 4).

დიაგრამა 4



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://www.geostat.ge/>

დიაგრამა 5




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://www.geostat.ge/>

საინტერესო შედეგებს იძლევა შრომისუნარიანი მოსახლეობის წილის ანალიზი სქესობრივი და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. კერძოდ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი შეადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საერთო მოსახლეობის 64.7%, რომელშიც პრაქტიკულად ნახევარს ქალები, ხოლო ნახევარს მამაკაცები შეადგენს. ქალაქებში შრომისუნარიანი მამაკაცების წილი დაახლოებით 1%-ით ნაკლებია ქალებზე, ხოლო სოფლად კი პირიქით. ეს ტენდენცია პრაქტიკულად ნარჩუნდება მთლიანად საქართველოს მასშტაბით (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა, რომელთა მონაცემებიც არ გავაჩნია). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებში შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი ჯამში შეადგენს 36.2%, სოფლად ოდნავ ნაკლებია და შეადგენს - 28.5 %-ს, მაშინ როდესაც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის წილი საქართველოს მთლიან მოსახლეობაში სტაბილურად იზრდება 8,62%-დან 9.12%-მდე (იხილეთ დანართი 2). საინტერესოა გავარკვიოთ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებიდან და მუნიციპალიტეტებიდან უპირატესად რომელი ტერიტორიული ერთეული განაპირობებს აჭარის მოსახლეობის რაოდენობის ზრდას მთლიანად საქართველოს მოსახლეობაში. მე-5 დიაგრამაზე მოცემულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მოსახლეობის წილობრივი ცვლილება მთლიანად საქართველოს მოსახლეობაში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში (2007-2017).



## დიაგრამა 6



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://www.geostat.ge/>

ყურადსაღებია ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კლება 9%-დან 6%-მდე, შუახევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კლება 5,8%-დან 4%-მდე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კლება 23,5%-დან - 19,9%-მდე. რაც შეეხება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს, რომლის მოსახლეობის კლებაც ამ გრაფიკის მიხედვით ასევე აშკარაა (24,2%-დან მცირდება 13,8%-მდე), აქ საქმე გვაქვს რიგ ობიექტურ პროცესებთან. ერთ-ერთი ამ პროცესთაგანია ხელვაჩაურის ტერიტორიების ქალაქ ბათუმისათვის მიკუთვნება. ბუნებრივია, ქალაქ ბათუმის განვითარების გეგმა სავარაუდოდ გაფართოებასაც გულისხმობს. 2012 წლიდან ქალაქ ბათუმის გაფართოება ხორციელდება მოსაზღვრე მუნიციპალიტეტის - ხელვაჩაურის ტერიტორიების ხარჯზე. ხელვაჩაურის მოსახლეობის ნაწილი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უკვე ქალაქს მიეკუთვნა. შესაბამისად ქალაქის მოსახლეობის ზრდაც 32,3%-დან 41,1%-მდე ნაწილობრივ სწორედ ამით არის განპირობებული. თუმცა აშკარაა, რომ ქალაქის მოსახლეობა იზრდება ამ ტერიტორიული ცვლილებების გარეშე და პრაქტიკულად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის სტაბილური ზრდაც სწორედ ქალაქ ბათუმის მოსახლეობაზე მოდის. დიაგრამა 16-ზე წარმოდგენილია მთლიანი დამატებული ღირებულების განაწილება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით 2006-2016 წლებში საქართველოს მასშტაბით.

ქვეყნის შიგა პროდუქტის დაახლოებით 42% მოდის დედაქალაქზე, რომლის ზრდის ტემპი უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში უმნიშვნელოა, პრაქტიკულად არ იზრდება მანქანების საქართველოს სხვა რეგიონების მიხედვით, უფრო მეტიც, გარდა აჭარის რეგიონისა ამ რეგიონებში მთლიანი დამატებული ღირებულების ფარდობითი მანქანების<sup>48</sup> უარყოფითი მნიშვნელობისაა, რაც, სამწუხაროდ, კლებას მიანიშნებს. შესაბამისად მთლიანი დამატებითი ღირებულების ზრდის ტემპი რეგიონების მიხედვით წარმოდგენილია მე-2 ცხრილში.

<sup>48</sup> fardobiTi maCvenebliS daangariSebisas viRebT sawyis monacemebS 2006 wlisaTvis da saboloo monacemebS 2016 wlisaTvis. saboloo monacemebS vaklebT sawyiss da vyofT sawyisze, miRebul Sedegs ki gamovsaxavT procentebSi.

**მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის ტემპი საქართველოს ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (2006-2016)**

ტერიტორიული ერთეული	მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის ტემპი ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (2006-2016 წლებში)
გურია	-16,3%
სამცხე-ჯავახეთი	-15,8%
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	-5,0%
კახეთი	-5,0%
აჭარა	37,1%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-8,9%
ქვემო ქართლი	-22,5%
იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-3,3%
თბილისი	2,5%

როგორც ვხედავთ, დედაქალაქის გარდა, პრაქტიკულად ყველა რეგიონში შეინიშნება კლება, კერძოდ: ქვემო ქართლში - 22,5%-იანი კლებაა, გურიაში თითქმის - 16,3%, სამცხე-ჯავახეთში - 15,8%-იანი, ხოლო სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში - 8,9%. დედაქალაქში ფიქსირდება 2,5% პროცენტული ზრდა, ხოლო აჭარაში კი 37,1%-იანი ზრდა. დემოგრაფიული პროცესები პირდაპირ აისახება რეგიონის მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის ტემპზე.

აჭარის არშექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის ტემპი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2006-2016 წლებში წარმოდგენილია მე-3 ცხრილში. ცხრილის შესაბამისად დგინდება, რომ ბოლო წლებში ისეთ ეკონომიკური საქმიანობებზე, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, თევზჭერა, მეთევზეობა (-57,8%); პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ (-30,9%); ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (-56,1%); სახელმწიფო მმართველობა (-26,6%) ადგილი აქვს მთლიანი დამატებული ღირებულების კლებას. თუმცა საერთო ჯამში ამ წლებში აჭარაში დაფიქსირებული 37,1% ზრდა განპირობებულია ძირითადად მომსახურების სხვადასხვა სახეებზე მოსული მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის მაღალი ტემპით (71,8%).

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის ტემპი ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით (2006-2016 წწ.)**

ეკონომიკური საქმიანობის კატეგორიები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის ტემპი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2006-2016 წლებში (%)
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	-57,8%
მრეწველობა	18,4%
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ	-30,9%
მშენებლობა	5,5%
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	13,8%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	-56,1%
სახელმწიფო მმართველობა	-26,6%
განათლება	15,2%
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	33,6%
მომსახურების სხვადასხვა სახეები	71,8%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://www.geostat.ge/>

## დასკვნა

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მიუხედავად საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი, რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე 28 წლიანი პერიოდისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა, საქართველოს მთლიან მოსახლეობასთან შედარებით, მაინც ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპებით ხასიათდებოდა, რაც ოჯახების მრავალშვილიანობის ტრადიციით არის განპირობებული. გარდა ამისა, მოსახლეობის ზრდის შედარებით მაღალი ტემპების შენარჩუნება განპირობებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების პოტენციალით. აჭარას გააჩნია, ტურისტული, სავაჭრო და სატრანზიტო ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობები. აჭარას ტურისტული აღმავლობის ტენდენცია აქვს. ასევე გააჩნია სამეწარმეო პოტენციალი. აჭარაში სოფლის მეურნეობის რამდენიმე დარგია განვითარებული, ძირითადად მეცხოველეობა. სავაჭრო პოტენციალზე შეიძლება ითქვას, რომ ოდითგანვე არის „დიდი აბრეშუმის გზის“ საკვანძო მონაკვეთი, საზღვაო პორტებით ხდება ასიათასობით ტონა ტვირთის ტრანზიტი როგორც აღმოსავლეთით და აზიაში, ისე დასავლეთით ევროპაში. სავაჭრო პოტენციალის განვითარება ავტომატურად უწყობს ხელს აჭარის სატრანზიტო პოტენციალის განვითარებას, გადაზიდვები ხდება ავიაციითაც და სარკინიგზო მაგისტრალითაც, რაც საბოლოო ჯამში მილიონობით ტონა ტვირთის ტრანზიტს განაპირობებს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარება ჯერ კიდევ ვერ პასუხობს მოსახლეობის მოთხოვნებს. თუმცა არსებული პოტენციალის რაციონალური გამოყენების შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია ადგილობრივმა საწარმოებმა არა მარტო უზრუნველყონ აჭარის მოსახლეობის მოთხოვნის გაჯერება რეგიონის პროდუქციით, არამედ განავითარონ საქსპორტო დარგებიც და ხელი შეუწყონ ექსპორტ-იმპორტის დაბალანსებას, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. დემოგრაფიისა...2015 - დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. შრომების კრებული. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2015.
2. დემოგრაფიისა...2017 - დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. შრომების კრებული. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2017
3. თოთაძე...2012 დ თოთაძე ა., აჭარის მოსახლეობა. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბ., გვ. 17.
4. საქართველოში ... 2016 - “საქართველოში მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება სოციალურ-დემოგრაფიული ქცევისა და ოჯახის პრობლემებისადმი”. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2016.
5. საქსტატი 2017 – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://www.geostat.ge/>
6. სულაბერიძე 2007 - სულაბერიძე ა. ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2007.
7. წულაძე 2012 - წულაძე გ. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდი. თბილისი, 2012.
8. წულაძე 2015 - წულაძე გ., სულაბერიძე ა. დემოგრაფიის საფუძვლები. გამომცემლობა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
9. წულაძე...2016 - წულაძე გ., სულაბერიძე ა. საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2016.

**THE ANALYSIS OF THE RELATIONSHIP OF ECONOMIC PARAMETERS AND  
STRUCTURE OF POPULATION OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA**

**Summary**

This paper analyzes the relationship of the population of Adjara and economic parameters such as employment and level of economic activity by age and field. The number of the population, especially of the employed population, is an important factor for the economy, since employment is the main factor of production. If the rate of employed population in a country is large it means the more manufacturing products are created. Based on statistical data, we tried to make a comparative analysis and show that in those regions where the growth rate of the population is positive the economic parameters are also better compared to other regions of Georgia. In the present paper the graphics and diagrams showed the distribution of Total Value-Added Product by territorial units of Georgia. It is noted that in those regions where the number of economically active population is there than the Total Value-Added is positive. The dynamics of the growth of the population of Adjara over the years has been examined in detail and noted the share of the population of Adjara in general to the growth of the population of Georgian nationality.

*იზოლდა ჭილაძე*

**სახელმწიფო გრანტების აქტუალობა და  
აღრიცხვის თავისებურებები**

*ანოტაცია. სტატიის მიზანია სახელმწიფო გრანტების აქტუალობის და იურიდიული პირის მიერ შეძენილი გრანტების აღრიცხვის თავისებურებების განხილვა.*

*სახელმწიფო საგრანტო პოლიტიკის მთავარი ამოცანებია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, სოციალური, კულტურული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების ხელშეწყობა, ინოვაციების პოპულარიზაცია და საზოგადოებაში მათი დანერგვა, ბუნებრივი და ადამიანის ზემოქმედებით გამოწვეული კატასტროფების აღმოფხვრაში დახმარების გაწევა, გარემოს გაჯანსაღების პროექტების განხორციელება. ყოველივე აქედან გამომდინარე, აქტუალურია სახელმწიფო გრანტების აღიარების და აღრიცხვის საკითხებიც. ამასთან, მნიშვნელოვანია გრანტების ეფექტის შეფასება.*

*წინამდებარე შრომაში გაკეთებულია დასკვნები გრანტების აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების სრულად დანერგვისა და გრანტების შესრულების ეფექტის მონიტორინგის განხორციელების აუცილებლობის შესახებ.*

*საკავანძო სიტყვები: სახელმწიფო გრანტი, სახელმწიფო დახმარება, ნაპატიები სესხი, გრანტების აღრიცხვა.*

**შესავალი**

თანამედროვე ეკონომიკაში წარმოების მრავალფეროვანი და ახალი ტიპის საქმიანობების, ტექნოლოგიების და მომსახურების განუწყვეტელი და დაჩქარებული ტემპებით წარმოქმნაცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა მთავრობის მხრიდან ინიციატივების დაფინანსების აქტუალობა. საქართველოში ამას ემატება განმათავისუფლებელ ბრძოლაში მყოფი ქვეყნისთვის დამახასიათებელი პრობლემები, განათლების დაბალი დონე, უმუშევრობა, ეკოლოგიური საფრთხეები. ამდენად, საქართველოში სახელმწიფო დახმარებების აუცილებლობა კიდევ უფრო რელევანტურია. ყოველივე ეს კი თავის მხრივ, აქტუალურს ხდის გრანტების აღრიცხვის მოწესრიგებას და მონიტორინგის ორგანიზებას.

გრანტების გაცემის უფლება-მოვალეობებს საქართველოს კანონი „სახელმწიფო გრანტების შესახებ“, ხოლო გრანტების აღრიცხვის მთლიანს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 20 – „სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები“ - არეგულირებს. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) იგი პირველად გამოსცა 1983 წელს,

რომელშიც სამ წელიწადში ერთხელ შედის ცვლილებები საჭიროების შესაბამისად. ეს სტანდარტი ბოლოს შესწორებულ იქნა 2015 წელს.

საწარმომ, რომელიც პირველად გამოიყენებს წინამდებარე სტანდარტს, უნდა დაიცვას შემდეგი მოთხოვნები: ა) შეასრულოს სტანდარტის მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, სახელმწიფო დახმარების ასახვის წესების შესაბამისად; ან აირჩიოს ორიდან ერთი: კორექტირება გაუკეთოს ფინანსურ ანგარიშგებას სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით; ან მოცემული სტანდარტის მოთხოვნები გამოიყენოს მხოლოდ იმ გრანტების ან გრანტების ნაწილისათვის, რომლებიც საწარმომ უნდა მიიღოს ან დააბრუნოს წინამდებარე სტანდარტის ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ.


## 1. სახელმწიფო გრანტების არსი და აქტუალობა

სახელმწიფო დახმარება მრავალი ფორმით შეიძლება განხორციელდეს. დახმარება შეიძლება მიზნად ისახავდეს ისეთი საქმიანობის წახალისებას, რომლის ნორმალურად წარმართვას საწარმო დახმარების გარეშე ვერ შეძლებს (იხ. სქემა 1.1).

**ბასს 20-ის განმარტებების მიხედვით, სახელმწიფოს ცნების ქვეშ** იგულისხმება მთავრობა, სახელმწიფო უწყებები და ანალოგიური ადგილობრივი, ეროვნული ან საერთაშორისო ორგანიზაციები.

**სახელმწიფო დახმარება** არის რომელიმე კონკრეტული საწარმოს ან საწარმოთა ჯგუფისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევა სათანადო კრიტერიუმების გათვალისწინებით.

მას არ მიეკუთვნება სახელმწიფოს მიერ არაპირდაპირი დახმარებები. მაგალითად, ტარიფების და კვოტების შემცირების, განვითარებად რეგიონებში ინფრასტრუქტურის შექმნისა და კონკურენტების სხვადასხვა შემზღუდავი ღონისძიებების სახით.



**სახელმწიფო გრანტი** - არის სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება საწარმოსათვის რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ.

აქ არ იგულისხმება ისეთი ტიპის დახმარებები, რომელთა ღირებულების დასაბუთებული განსაზღვრა შეუძლებელია. აგრეთვე, არ იგულისხმება ისეთი დახმარებები, რომლებიც ჩვეულებრივი კომერციული გარიგებებისაგან არ განსხვავდება.

*მაგალითად, რომელიმე კონკრეტულ რეგიონში, კომპანიების წახალისების მიზნით, შემცირდა უძრავი ქონების გადასახადის განაკვეთი, ეს წარმოადგენს სტიმულს ბიზნესის ადგილმონაცვლეობისათვის.*

**ნაპატიები სესხები** ისეთი სესხებია, რომელზეც სესხის გამცემი ნებაყოფლობით ამბობს უარს, ადრე შეთანხმებული გარკვეული პირობების თანახმად. ეს ითვლება გრანტად.

*მაგალითად, ღარიბ რეგიონში, სადაც მაღალი უმუშევრობაა, სახელმწიფომ შეიძლება გასცეს დაბალპროცენტო სესხი, რომელზეც იგი უარს იტყვის, წინასწარ განსაზღვრული პირობების შესრულების შემდეგ.*

**გბელვადიანი აქტივის შეფასება უნდა მოხდეს რეალური ღირებულებით, ანუ** ფასით, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების

გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული გარიგების დროს (იხ. ფასს 13 – „რეალური ღირებულების შეფასება“).

*მაგალითად, ადგილობრივი მმართველობა მიწის მოცემულ ნაკვეთზე, სთავაზობს პირს ააშენოს საქსოვი ფაბრიკა, სადაც 100 თანამშრომელს დაასაქმებს. დამოუკიდებელმა ექსპერტმა ეს ნაკვეთი 240 ათას ლარად შეაფასა. ეს ღირებულება იქნება რეალური ღირებულება.*

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო გრანტის გამცემი ორგანოებია სამინისტროები, პრემიერმინისტრის აპარატი, ავტონომური რესპუბლიკის სამინისტრო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. გრანტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით გრანტის მიმღები შეიძლება იყოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული და ფიზიკური პირი.

სახელმწიფო გრანტის გაცემა შეუძლია ნებისმიერ სამინისტროს თუ მისი გაცემა გათვალისწინებულია სამინისტროს ამოცანებიდან ან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების მიზნობრიობიდან. თუ გასაცემი გრანტის მოცულობა აღემატება 50 ათას ლარს. მისი პროექტი გაცემამდე განსახილველად წარედგინება მთავრობას ან პრემიერ-მინისტრს, თუ გრანტის მოცულობა 50 ათას ლარს არ აღემატება.

გრანტების შესახებ საქართველოს კანონით, „გრანტი არის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ნატურალური ან ფულადი ფორმით ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის.“

მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოში შექმნილია ათი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელთაც უფლება აქვთ გასცენ სახელმწიფო გრანტები. მათ შორისაა: საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი; დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, „აწარმოე საქართველოში“ და სხვ.

სამეწარმეო მიზნის მისაღწევად სახელმწიფო გრანტის გაცემა შესაძლებელია, თუკი გრანტის მიმღები არის: აკრედიტებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება; იურიდიული პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი; მეწარმე სუბიექტი, რომელიც ახორციელებს ინოვაციურ საქმიანობას და „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის მონაწილე მეწარმე სუბიექტი.

სახელმწიფო დახმარებები ყოველთვის აქტუალურია მოსახლეობის დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისათვის. სახელმწიფო გრანტები ხელს უწყობს მოქალაქეთა სოციალური პასუხისმგებლობების ამაღლებას, ახალგაზრდობის ეკონომიკური ცოდნის პრაქტიკაში რეალიზებას და განვითარებას; პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების ხარისხის ზრდას. საგრანტო პროექტების განხორციელება აგრეთვე აძლიერებს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას ბიზნესში; ახალგაზრდობის ინტეგრაციას და ჯანსაღი საქმიანი ურთიერთობების გამტკიცებას; ურთიერთპატივისცემის, გამჭვირვალობის და საჯაროობის პრინციპებზე დაფუძნებული თანამედროვე ბიზნეს-პარტნიორობის დანერგვასა და განვითარებას.

ამრიგად, სახელმწიფო გრანტები უნდა უზრუნველყოფდეს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებში მოქალაქეთა აქტიურ თანამონაწილეობას, რაც ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე პოზიტიურ და პროგრესულ ცვლილებებს უწყობს ხელს. აქედან გამომდინარე, საჭირო ხდება გრანტების ეფექტის შეფასება საზოგადოების მხრიდან. ამ მიმართულებით მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს. ასე მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად 2017 წლის მდგომარეობით საქართველოს სამ სამინისტროს და ოთხ სსიპ-ს აქვთ გრანტები გაცემული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებზე.

ჩვენ დავინტერესდით საქართველოში გაცემული სახელმწიფო გრანტების საერთო მაჩვენებლებით (იხ. ცხრილი 1.1.).

**გაცემული სახელმწიფო გრანტების წილი საქართველოს ბიუჯეტში**

მაჩვენებლები	2015	2016	2017	2018	2019
1. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები სულ (მლნ ლ)	8.171	8.580	9.750	10.314	10.489
2. გაცემული სახელმწიფო გრანტები (მლნ.ლ)	1.271	960.4	1.046	1.379	544.0
3. სახელმწ. გრანტების %-ული წილი	15,56	11,19	10,73	13,37	5,19

როგორც 1.1. ცხრილდან ჩანს, გაცემული გრანტების პროცენტული წილი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2015 წლის 15,56%-დან, 5,19%-მდე შემცირდა 2019 წელს. ვფიქრობთ ეს არასასურველი ფაქტია. როგორც ჩანს, მთავრობამ შეასუსტა ახალი ბიზნესებისა და ინოვაციების დაფინანსების მიმართულება სახელმწიფოში. ამასთან, მთავრობა მუდმივ მონიტორინგს უნდა უწევდეს საგრანტო პროექტების განხორციელების პროცესს და შეაფასოს მისი შედეგები;

**2. სახელმწიფო გრანტების აღრიცხვის თავისებურებები**

გრანტების ეფექტის შეფასებას სათანადო ინფორმაცია სჭირდება, რაც აღრიცხვამ უნდა მოამზადოს. გარდა სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობისა, სახელმწიფო დახმარების მიღებას საწარმოსათვის მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების მომზადების თვალსაზრისითაც ორი მიზეზის გამო: პირველი, თუ საწარმოს გადაეცემა რესურსები, მან უნდა შეარჩიოს შესაბამისი სააღრიცხვო მეთოდი. მეორე, სასურველია, რომ საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახოს ამ დახმარების შედეგად მიღებული სარგებელი მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში. ამით უზრუნველყოფილი იქნება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შესადარისობა წინა პერიოდთან ან სხვა საწარმოსთან შედარებით.

**მიზნის მიხედვით გრანტი შეიძლება იყოს დაკავშირებული აქტივებთან ან შემოსავლებთან.**

**აქტივებთან დაკავშირებული გრანტი** ისეთი გრანტია, რომელიც საწარმოს ეძლევა, რათა შეიძინოს, ააშენოს, შექმნას ან სხვა რაიმე გზით მოიზიდოს გრძელვადიანი აქტივები. ეს გრანტი შეიძლება დამატებით პირობებსაც ითვალისწინებდეს, როგორცაა, აქტივის სახეობა, განლაგება, მათი შექმნის ან ფლობის პერიოდი.

*მაგალითად, სახელმწიფოს სურს მოიზიდოს ინვესტიციები ჩაის მრეწველობის დარგში და სთავაზობს სათანადო მოწყობილობების შესაძენად საჭირო ხარჯების 50%-ით დაფარვის გრანტს.*

გრანტის მიღების პირობები შეიძლება იყოს შემდეგი: ყველა საჭირო მოწყობილობა გამოყენებული იქნება ქვეყნის შიგნით (ექსპორტზე გრანტი არ ვრცელდება) და მათი შექმნა მოხდება ვთქვათ ერთი წლის განმავლობაში.

**შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტი** კი, არაა დაკავშირებული გრძელვადიან აქტივებთან. იგი გაიცემა საწარმოს ფინანსური მიზნებისათვის: შემოსავლების ზრდის ან ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებით.

*მაგალითად, თუ სახელმწიფოს სურს მხარი დაუჭიროს კომპანიებს თანამშრომელთა პროფესიულ გადამზადებაში, ხელისუფლებამ შეიძლება შესთავაზოს მათ დაეუშვათ 40%-ით დახმარება, სასწავლო კურსების სიდიდან, თვით ხელისუფლების მიერ შერჩეული რომელიმე კურსის მიხედვით გასაწევ ხარჯებში.*

სახელმწიფო გრანტების აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების თანახმად, გრანტის აღიარება არ ხდება მანამ, სანამ საწარმოს არ ექნება იმის დამაჯერებელი რწმენა, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და გრანტს აუცილებლად მიიღებს. თუმცა, გრანტის მიღება თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ საწარმო აკმაყოფილებს ან მომავალში დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს (ბასს 20, პ.8).

*მაგალითად, საწარმომ მოიპოვა უფლება სახელმწიფო გრანტის მიღებაზე დასაქმების გაზრდის მიზნით და მან დაიწყო კადრების აყვანა. გრანტი აღიარდება დაუყოვნებლივ, როგორც მოთხოვნა და გადავადებული შემოსავალი.*

მას შემდეგ, რაც აღიარდება სახელმწიფო გრანტი, მასთან დაკავშირებული ყველა პირობითი ვალდებულება ან პირობითი აქტივი აღირიცხება ბასს 37-ის - ანაზღაურების, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები" - მოთხოვნების შესაბამისად.

**არსებობს სახელმწიფო გრანტების აღრიცხვის ორი მიდგომა:** წილობრივი მეთოდი (ანუ კაპიტალ მეთოდი) და შემოსავალ-მეთოდი (ბასს 10, პ. 13).

**წილობრივი მეთოდის გამოყენებისას** გრანტი აისახება მოგების ან ზარალის გარეთ.

**შემოსავალ-მეთოდის დროს** გრანტი აისახება მოგებაში ან ზარალში, ერთი ან მეტი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

**წილობრივი მეთოდის უპირატესობის ძირითადი არგუმენტებია:** ა) სახელმწიფო გრანტი დაფინანსების საშუალებაა და ამიტომ უნდა აისახოს სახელმწიფო გრანტის სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და არა მოგებაში ან ზარალში, გრანტით დაფინანსებული დანახარჯების მუხლების გადაფარვის სახით. ვინაიდან მოსალოდნელი არაა გრანტის თანხის დაბრუნება, იგი უნდა აღიარდეს მოგების ან ზარალის გარეთ; ბ) მართებული არ არის სახელმწიფო გრანტების აღიარება მოგებაში ან ზარალში, რადგან იგი საწარმოს მიერ არ არის გამოიმუშავებული, არამედ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული წახალისებაა, მასთან დაკავშირებული დანახარჯების გარეშე. (ბასს 20, პ. 14).

**შემოსავალ-მეთოდის მხარდამჭერი ძირითადი არგუმენტებია:**

ა. რადგან სახელმწიფო გრანტების მიღების წყაროს არ წარმოადგენს აქციონერები, არ შეიძლება მათი პირდაპირ ასახვა აქციონერთა კაპიტალში, არამედ მათი აღიარება უნდა მოხდეს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდების მოგებაში ან ზარალში;

ბ. სახელმწიფო გრანტების გაცემა მთლიანად უსასყიდლოდ, საჩუქრის სახით იშვიათად ხდება. საწარმო მაშინ დაიმსახურებს გრანტის მიღებას, თუ დააკმაყოფილებს გარკვეულ პირობებს და მისდამი წაყენებულ ვალდებულებებს. ამიტომ გრანტები აისახება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდებში, რომელშიც საწარმო მას ხარჯად აღიარებს.

**შემოსავალ-მეთოდის** გამოყენების ძირითადი დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ სახელმწიფო გრანტები აღიარდება მოგებაში ან ზარალში სისტემატურ საფუძველზე, იმ საანგარიშგებო პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც გრანტის მეშვეობით ხდება.

თუკი ფულადი სახსრების მიღება ემთხვევა მისი მოპოვების უფლებას, მაშინ მოთხოვნების ნაცვლად, ფულადი სახსრების აღმრიცხველი ანგარიშები გამოიყენება.

აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ უნდა იქნეს გრანტის გადავადებული შემოსავლის სახით აღიარებით, ან გრანტის გამოქვითვით აქტივის საბალანსო ღირებულების მისაღებად (ბასს 20, პ. 24).

თუკი ფულადი სახსრების მიღება ემთხვევა მისი მოპოვების უფლებას, მისი მიღება ფულადი სახსრების აღმრიცხველ ანგარიშებზე აღირიცხება. თუ ფულადი სახსრების მიღება არ ემთხვევა მისი მოპოვების უფლებას, მაშინ ჯერ მოთხოვნების აღმრიცხველი ანგარიშები გამოიყენება.

როცა სახელმწიფო გრანტის მიღება ხდება არაფულადი აქტივის, მაგალითად, მიწის ან სხვა რესურსის სახით, რომელიც საწარმომ უნდა გამოიყენოს, მიღებული აქტივი, როგორც წესი რეალური ღირებულებით შეფასდება. შესაბამისად გრანტიც და აქტივიც აისახება რეალური ღირებულებით.

გრანტი ყოველთვის გულისხმობს გარკვეულ სპეციფიკურ დანახარჯებს, ამიტომ ადვილია იმ პერიოდის დადგენა, როცა გრანტის აღიარება უნდა მოხდეს მოგებაში ან ზარალში. გრანტის აღიარება ხდება იმავე პერიოდში, როდესაც აღიარდება შესაბამისი ხარჯები. ანალოგიურად, ამორტიზებად აქტივებთან დაკავშირებული გრანტები, როგორც წესი, მოგებაში ან ზარალში აღიარდება პროპორციულად ყველა საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დარიცხულია ცვეთა მოცემულ აქტივზე.

*დაეუშვათ, საწარმომ მიიღო ხუთწლიანი ფულადი გრანტი, - 100000 ლ, საწარმომ მოწყობილობების შესაძენად. საწარმო იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს.*



ვაჩვენებთ ოპერაციების აღრიცხვას წილობრივი მონაწილეობის და შემოსავალ-მეთოდით (იხ. სქემა 1).

გრანტის აღრიცხვა წილობრივი მეთოდით (ლ)	გრანტის აღრიცხვა შემოსავალ-მეთოდით (ლ)
<p><b>1. ფულადი გრანტის მიღება - 100000</b> დ - ფულის ანგარიში კ - გადავადებული შემოსავლები</p> <p><b>2. მოწყობილობების შესყიდვა - 100000</b> დ - მოწყობილობები კ - ფულის ანგარიშები</p> <p><b>3. ცვეთის დარიცხვა - 20000 (100000/5)</b> დ - გადავადებული შემოსავლები კ - მოწყობილობების დაგროვილი ცვეთა</p> <p><b>4. გრანტის ვადის ბოლოს მოწყობილობების ჩამოწერა - 100000</b> დ - მოწყობილობების დაგროვილი ცვეთა კ - მოწყობილობები</p>	<p><b>1. გრანტის მიღება - 100000</b> დ - ფულის ანგარიშები კ - გადავადებული შემოსავლები</p> <p><b>2. მოწყობილობების შესყიდვა - 100000</b> დ - მოწყობილობები კ - ფულის ანგარიშები</p> <p><b>3. ცვეთის დარიცხვა - 20000</b> დ - ცვეთის ხარჯი კ - მოწყობილობების დაგროვილი ცვეთა</p> <p><b>4. შემოსავლების აღიარება ცვეთის ხარჯების პროპორციულად - 20000</b> დ - გადავადებული შემოსავლები კ - სხვა შემოსავლები</p> <p><b>5. მოწყობილობების ჩამოწერა გრანტის ვადის ბოლოს - 100 000</b> დ - მოწყობილობების დაგროვილი ცვეთა კ - მოწყობილობები</p>

**სქემა 1. გრანტის აღრიცხვის მეთოდების შედარება**

როგორც პირველი სქემიდან ჩანს, წილობრივი მეთოდით ცვეთის ხარჯის დარიცხვა აღარ ხდება. ამით, გრანტის აღიარება ხდება მოგების გარეთ, ცვეთადი აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში. ამასთან, გადავადებული შემოსავლების ანგარიში ხუთი წლის განმავლობაში თანდათან დაიხურება. ბოლოს აქტივი პირვანდელი ღირებულებით ჩამოიწერება. შემოსავალ-მეთოდით აღრიცხვის დროს, კი ხდება ცვეთის ხარჯის დარიცხვა და შემოსავლები აღიარდება ცვეთის ხარჯის პროპორციულად, აქტივის ვადის განმავლობაში. თუკი მოწყობილობებს ექნება სამუშაოდ ვარგისი სიმძლავრე, იგი გადაფასდება და აქტივებში აისახება. მაგრამ, ამიერიდან მათი აღრიცხვა გრანტს აღარ შეეხება.

**არაამორტიზებად აქტივებთან დაკავშირებული გრანტები** შეიძლება აგრეთვე გულისხმობდეს გარკვეული ვალდებულებების შესრულებას. ასეთი გრანტები აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდებში, როდესაც გაწეული იქნება ამ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

**მაგალითად**, მიწის გრანტი შეიძლება შეიცავდეს მიწის ნაკვეთზე გარკვეული შენობა-ნაგებობების მშენებლობის პირობას. ამიტომ გრანტის აღიარება შემოსავლების სახით მიზანშეწონილია მოხდეს მოცემული შენობა-ნაგებობების მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში.

დავუშვათ, საწარმომ მიიღო მიწის გრანტი აბრეშუმის თესლის გამოყვანის შენობის ასაშენებლად. მიწის რეალური ღირებულებაა 240000 ლ. შენობის აშენება 120000 ლ დაჯდა. მისი მოქმედების ვადა 60 წელია. გამოიყენება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდი. საწარმო იყენებს წილობრივი მონაწილეობის მეთოდს.

ოპერაციები შემდეგნაირად აღირიცხება (იხ. სქემა 2).

<b>ოპერაციების აღრიცხვა წილობრივი მეთოდით</b>	
1. გრანტის მიღება - 240000 ლ	დ - მიწა
	კ - სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები
2. აშენებული შენობის მიღების აღიარება - 120000 ლ	დ - შენობა
	კ - ფულადი სახსრების ანგარიში
3. შენობის ცვეთის დარიცხვა - 2000 ლ (120000/60)	დ - ცვეთის ხარჯი
	კ - შენობის დაგროვილი ცვეთა
4. შენობის ღირებულების გამოქვითვა ცვეთის ხარჯის პროპორციულად - 2000 ლ	დ - შენობის დაგროვილი ცვეთა
	კ - შენობა
5. მიწის ღირებულების გამოქვითვა შენობის ვადის განმავლობაში - $240000/60 = 4000$ ლ	დ - სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები - 4000
	კ - მიწის ნაკვეთები - 4000

**სქემა 2. გრანტით მიღებული მიწის აღრიცხვა**

ამრიგად, გამომდინარე იქედან, რომ საწარმომ მხოლოდ მიწის გრანტი მიიღო და შენობის ხარჯებს თავად ეწევა, ამიტომ გრანტი შენობას არ ეხება და შენობის ცვეთაც ჩვეულებრივად აღირიცხება. ხოლო მიწის რეალური ღირებულება აღიარდება გრძელვადიან ვალდებულებად, რომელიც სამოცი წლის განმავლობაში ჩამოიწერება. აღრიცხვაში მიწის ღირებულება თანდათან შემცირდება და ბოლოს განუღდება. საწარმოს გრანტზე ვალდებულება აღარ აქვს და მიწას ამ მომენტისათვის გადააფასებს და მას აქტივად აღიარებს საკუთარ კაპიტალში მიწისა და გადაფასების რეზერვის ანგარიშების კორესპოდენციით.

სახელმწიფო გრანტი, შეიძლება მიღებულ იქნეს **გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით**, ან **საწარმოს გადაუდებელი ფინანსური დახმარების მიზნით**, რომელსაც არ ექნება შესაბამისი სამომავლო დანახარჯები. იგი უნდა აღიარდეს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას (ბასს 20, პ.20).

**მაგალითად**, საწარმომ ნოემბერში მოიპოვა გრანტის უფლება 35000 ლ პერიოდის ხარჯების დასაფარავად, მაგრამ სახსრები მიიღო მარტში.

სახელმწიფო გრანტი აღიარდება 35000 ლარის ოდენობით ნოემბერში, თუკი ხარჯის გაწევა ამ თვიდან დაიწყო. იგი ჯერ აღიარდება ერთი მხრივ, როგორც მოთხოვნები და მეორე მხრივ გადავადებული შემოსავალი. ხარჯების გაწევის შემდეგ კი გადავადებული შემოსავლებით დაიხურება ხარჯების აღმრიცხველი ანგარიშები.

სახელმწიფო გრანტია აგრეთვე **გაცემული ნაპატიები სესხი**, როდესაც არსებობს იმის დასაბუთებული გარანტია, რომ საწარმო შეასრულებს სესხის პატიების პირობებს (ბასს 20, პ.10).

სესხით ვალდებულება გადაიტანება „სხვა შემოსავლების“ ანგარიშზე.

**მაგალითად**: საწარმომ სამი წლის წინ 60 ათასი ლარი სესხი, გრანტის სახით მიიღო ადგილობრივი თვითმმართველობისაგან ოფისის შენობის რეკონსტრუქციის მიზნით. მიმდინარე მომენტში ყველა პირობა შესრულებულია და საწარმო სესხისაგან გათავისუფლდა.

იგი თავდაპირველად ასახული იქნებოდა ფულადი თანხებისა და სასესხო ვალდებულების ანგარიშებზე, ამჟამად კი აისახება აღებულ სესხით ვალდებულებისა და სხვა შემოსავლების ანგარიშების კორესპოდენციით.

ასევე, **სახელმწიფო სესხის სარგებელი, რომლის საპროცენტო განაკვეთი საბაზრო განაკვეთზე დაბალია**, აისახება როგორც სახელმწიფო გრანტი. სესხი აღიარდება როგორც ფასს 9-ფინანსური ინსტრუმენტები“ - ის შესაბამისად.

საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთის სარგებელი უნდა შეფასდეს, როგორც სხვაობა ფასს 9-ის შესაბამისად განსაზღვრულ სესხის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ შემოსავალს შორის. სარგებელი აისახება წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად. საწარმომ უნდა განიხილოს ის პირობები და ვალდებულებები, რომლებიც დაკმაყოფილებულია ან უნდა დაკმაყოფილდეს იმ დანახარჯების განსაზღვრისას, რომლის კომპენსაციისთვისაც გამიზნულია სესხის სარგებელი.

ზოგჯერ, გრანტის მიღება ხდება **ფინანსური ან ფისკალური დახმარებების** კომპლექსური შეთანხმებების სახით. ასეთ შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს იმ პირობებს, რომლებსაც უკავშირდება დანახარჯების გაღება საწარმოს მხრიდან, რადგან სწორედ ამის საფუძველზე უნდა განისაზღვროს ის საანგარიშგებო პერიოდები, როდესაც ფაქტობრივად მოხდება გრანტის განხორციელება. შეიძლება მიზანშეწონილი იყოს სხვადასხვა მეთოდის გამოყენება გრანტის სხვადასხვა ნაწილის გასანაწილებლად.

სახელმწიფო გრანტი შეიძლება განკუთვნილი იყოს საწარმოსათვის უშუალოდ **გადაუღებელი ფინანსური დახმარების აღმოსაჩენად**, უკვე გაწეული სპეციფიკური დანახარჯების სტიმულირების მიზნით. ასეთი გრანტი შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ საწარმოს და არა საწარმოთა ჯგუფს. ასეთ შემთხვევაში, გამართლებულია გრანტის აღიარება შემოსავლის სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც საწარმო განსაზღვრავს მის მიღებას, სათანადო განმარტებითი შენიშვნის დართვით, რათა მკაფიოდ გამოჩნდეს გრანტის შედეგი. იგი აღირიცხება ფულადი სახსრებისა და სხვა არასაოპერაციო შემოსავლების ანგარიშებზე.

**სახელმწიფო გრანტი საწარმომ შესაძლოა მიიღოს წინა საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ხარჯების ან ზარალის კომპენსაციის სახით.** ამგვარი გრანტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას, სათანადო განმარტებითი შენიშვნის დართვით, რათა მკაფიოდ გამოჩნდეს გრანტის შედეგი.

ბას 20-ის მიხედვით, **სახელმწიფო გრანტებს არ მიეკუთვნება** ისეთი ტიპის სახელმწიფო დახმარება, რომელსაც არ გააჩნია მკაფიოდ გამოხატული, დასაბუთებული ღირებულება და რომელიც არ განსხვავდება ჩვეულებრივი კომერციული გარიგებისაგან.

წინამდებარე სტანდარტის მიხედვით, სახელმწიფო დახმარება არ გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას, საერთო სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელის გაუმჯობესების გზით, აგრეთვე საირიგაციო სისტემის სრულყოფის ღონისძიებებს, რაც სასარგებლოა მთელი ადგილობრივი მოსახლეობისათვის

ისეთი ტიპის სახელმწიფო დახმარებას, რომელსაც არ გააჩნია მკაფიოდ გამოსახული, დასაბუთებული ღირებულება, მიეკუთვნება უფასო ტექნიკური და მარკეტინგული რჩევები და გარანტიების მიცემა. სახელმწიფო შესყიდვა ისეთი ტიპის სახელმწიფო დახმარებაა, რომელიც არ განსხვავდება საწარმოს ჩვეულებრივი კომერციული გარიგებისაგან და გულისხმობს საწარმოს პროდუქციის გარკვეული ნაწილის შესყიდვის უზრუნველყოფას სახელმწიფოს მიერ. ამ შემთხვევაში, მართალია აშკარაა სარგებლის არსებობა და მისი მნიშვნელობა, მაგრამ კომერციული საქმიანობისგან სახელმწიფო დახმარების გამოყოფა ძნელია და მას ყოველთვის წმინდა სუბიექტური ხასიათი ექნება (ბასს 10, პ. 35-36).

მაშინ, როდესაც გრანტი წარმოადგენს სახელმწიფო დახმარების პაკეტის ნაწილს, დახმარება გაიყოფა და შეიძლება თითოეული ნაწილისთვის სხვადასხვა მეთოდის გამოყენება გახდეს საჭირო.

*მაგალითად, დაბალ შემოსავლიან რეგიონში ხდება გრანტის გაცემა კომერციულ მშენებლობაზე, კომპიუტერულ მოწყობილობებზე, ხელსაწყოებზე და კადრების განათლებაზე.*

*ოთხივე სახის დაფინანსება აღირიცხება ცალ-ცალკე, მაშინაც, კი თუ თანხა ერთად იქნება მიღებული.*

შესაძლოა ადგილი ექნეს მოთხოვნას **გრანტის უკან დაბრუნებაზე**. აქტივი შეიძლება დაბრუნდეს სრულად ან ნაწილობრივ. გრანტის დაბრუნება განიხილება, როგორც სააღრიცხვო

შეფასებების გადასინჯვა (ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“). შემოსავალთან დაკავშირებული გრანტის დაბრუნება დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში. ხოლო, აქტივთან დაკავშირებული გრანტის დასაბრუნებელი თანხა აისახება აქტივის საბალანსო ღირებულების გაზრდით, ან გადავადებული შემოსავლის ნაშთის შემცირებით.

ამრიგად, გრანტების აღრიცხვა მოწესრიგებულ უნდა იქნეს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად და საწარმომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა აჩვენოს: საწარმოს მიერ სახელმწიფო გრანტებისათვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, მათ შორის ფინანსურ ანგარიშგებაში გრანტების წარდგენის მეთოდები; ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სახელმწიფო გრანტების ხასიათი და სიდიდე, აგრეთვე სახელმწიფო დახმარების სხვა ფორმების აღწერა, საიდანაც საწარმომ პირდაპირი სარგებელი მიიღო; შეუსრულებელი პირობები და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ რომელიმე ტიპის სახელმწიფო დახმარებასთან.

გრანტს თავისთავად არ მოაქვს შემოსავალი და გრანტების გაცემა თვითმიზანი არაა. გრანტის ამღებმა იურიდიულმა თუ ფიზიკურმა პირმა პროექტი უნდა განახორციელოს. ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე, საქართველოში არის შემთხვევები, როცა ეს მოთხოვნები სრულად დაცული არაა. ამიტომ, მთავრობა მკაცრად უნდა აკონტროლებდეს საგრანტო პროექტების განხორციელების მიმდინარეობას, რათა მიზანი მიღწეულ იქნეს. ჩვენი აზრით, რეალური დადებითი შედეგების მომტანი იქნება, თუკი სამეწარმეო საგრანტო პროექტებში ჩაიდება გრანტის ამღების ვალდებულება, რომ პირველი სამი წლის განმავლობაში მიღებული მოგების 50% რეინვესტირებული იქნება საწარმოში.

## დასკვნა

ამრიგად, სახელმწიფო გრანტები აქტუალობას არ კარგავს. სახელმწიფო საგრანტო პოლიტიკის მთავარი ამოცანებია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, სოციალური, კულტურული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების ხელშეწყობა, ინოვაციების პროპულარიაზაცია და საზოადოებაში მათი დანერგვა, ბუნებრივი და ადამიანის ზემოქმედებით გამოწვეული კატასტროფების აღმოფხვრაში დახმარების გაწევა, გარემოს გაჯანსაღების პროექტების განხორციელება.

სტატიაში განხილულია სახელმწიფო გრანტების, აღრიცხვის თავისებურებები აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის - ბასს 20 – „სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები“ - მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, გრანტის აღიარება არ ხდება მანამ, სანამ საწარმოს არ ექნება იმის დამაჯერებელი რწმენა, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და გრანტს აუცილებლად მიიღებს. სახელმწიფო გრანტებს არ მიეკუთვნება ისეთი ტიპის სახელმწიფო დახმარება, რომელსაც არ გააჩნია მკაფიოდ გამოხატული, დასაბუთებული ღირებულება და რომელიც არ განსხვავდება ჩვეულებრივი კომერციული გარიგებისაგან. გრანტის მიღება ხდება ფულადი ან არაფულადი ფორმით. იმავე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით, გრანტები შეიძლება აღრიცხოს კაპიტალ მეთოდით ან შემოსავალ მეთოდით. შრომაში მოცემულია მათი თავისებურებები.

გრანტების აღრიცხვის სტანდარტი აგრეთვე მოითხოვს, რომ საწარმომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა წარადგინოს: საწარმოს მიერ სახელმწიფო გრანტებისათვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, მათ შორის ფინანსურ ანგარიშგებაში გრანტების წარდგენის მეთოდები; ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სახელმწიფო გრანტების ხასიათი და სიდიდე, აგრეთვე სახელმწიფო დახმარების სხვა ფორმების აღწერა, საიდანაც საწარმომ პირდაპირი სარგებელი მიიღო. აგრეთვე წარდგინდეს უნდა იქნეს შეუსრულებელი პირობები და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ რომელიმე ტიპის სახელმწიფო დახმარებასთან. გამოკითხვების შედეგად ჩანს, რომ ყველა საწარმო ამ მოთხოვნებს არ ასრულებს. შრომაში აგრეთვე

განხილულია საქართველოს ბიუჯეტიდან გაცემული გრანტების მანქანებლები, რაც ბოლო წლებში შემცირებულია.

ჩატარებული კვლევის შედეგად გაკეთებულია დასკვნები, რომ:

- მთავრობამ უფრო მეტად უნდა წახალისოს ფიზიკური და იურიდიული პირების ინოვაციები;

- საწარმოებმა ფინანსურ ანგარიშგებაში აჩვენონ ინფორმაცია მიღებული სახელმწიფო გრანტისა და საგრანტო პროექტის განხორციელების შემდეგ მიღებული ეკონომიკური და სოციალური შედეგების შესახებ;

- სამეწარმეო საგრანტო პროექტებში ჩაიდოს გრანტის ამღების ვალდებულება, რომ პირველი სამი წლის განმავლობაში მიღებული მოგების 50% საწარმოში იქნება რეინვესტირებული.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. სახელმწიფო გრანტების მონიტორინგის სახელმძღვანელო. ევროკავშირი საქართველოსთვის. 2017. <http://www.civilin.org/pdf/Methodology.pdf>

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი. 2015-2019.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3495562?publication=2>

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4419670?publication=0>

3. ბასს 20 – სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები. თარგამნი ინგლისურულად, 2015 წ.

<https://www.saras.gov.ge/ka/Ifrs>

4. ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. თარგამნი ინგლ-დან. თბ.2009.

5. ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება. თარგამნი ინგლისურიდან, 2015 .

<https://www.saras.gov.ge/ka/Ifrs>

6. IAS 20 – Accounting for Government Grants and Disclosure of Government Assistance.2015.

7. 12 tips for accessing government grents to transform your business.2018.

<https://www.sageautomation.com/blog/12-tips-for-accessing-government-grants-to-transform-your-business>

8. Government Grants Act, 1895 Complete Act – Bare Act. (India).

<https://www.legalcrystal.com/act/133611/government-grants-act-1895-complete-act>

9. Muthupandian K.S.( 2016).IAS 20, Accounting for Government Grants and disclosure of Government Assistance – A Gloser Look.

[https://www.researchgate.net/publication/254444103\\_IAS\\_20\\_Accounting\\_for\\_Government\\_Grants\\_and\\_Disclosure\\_of\\_Government\\_Assistance\\_-\\_A\\_Closer\\_Look](https://www.researchgate.net/publication/254444103_IAS_20_Accounting_for_Government_Grants_and_Disclosure_of_Government_Assistance_-_A_Closer_Look)

10. Grant Proposals (2019).

<https://writingcenter.unc.edu/tips-and-tools/grant-proposals-or-give-me-the-money/>

*Izolda Chiladze*

## ACTUALITY OF STATE GRANTS AND FEATURES OF THEY ACCOUNTING

### Summary

The purpose of the article is to review the actuality of the government grants and the peculiarities of accounting of legal entity.

The main objectives of the state grant policy are development of SMEs, promoting social, cultural and scientific research activities, promotion of innovations and introduction of the craft, helping to eliminate natural disasters caused by natural and human impacts, implementation of environmental rehabilitation projects. Therefore, issues of recognition and accounting of state grants are also relevant. In addition, it is important to evaluate the effect of grants. The conclusion is made on the necessity of fully implementing the requirements of international standards for grants accounting and monitoring the effectiveness of grants performance.

Accounting of grants regulates bass 20 – Accounting for Government Grants and Disclosure of Government Assistance. The following are used in this standard (IAS 20. gv: ):

Government refers to government, government agencies and similar bodies whether local, national or international.

**Government assistance** is action by government designed to provide an economic benefit specific to an entity or range of entities qualifying under certain criteria. Government assistance for the purpose of this Standard does not include benefits provided only indirectly through action affecting general trading conditions, such as the provision of infrastructure in development areas or the imposition of trading constraints on competitors.

Government grants are assistance by government in the form of transfers of resources to an entity in return for past or future compliance with certain conditions relating to the operating activities of the entity. They exclude those forms of government assistance which cannot reasonably have a value placed upon them and transactions with government which cannot be distinguished from the normal trading transactions of the entity. Forgivable loans are loans which the lender undertakes to waive repayment of under certain prescribed conditions.

In the work is considered by the revenue-method and capital-method of state grants accounting. The peculiarities of accounting for grants related to cash and non-cash assets are discussed. The benefit of a government loan at a below-market rate of interest is treated as a government grant. The entity shall consider the conditions and obligations that have been, or must be, met when identifying the costs for which the benefit of the loan is intended to compensate. At that the article describes the share of state grants in the state budget of Georgia and are made conclusions:

- The government should encourage new innovations in Georgia that will facilitate employment and economic growth;
- Enterprises in the financial statements must presentade information about the grant progress and the results of its implementation;
- In the entrepreneurial grant projects, have be the obligation that 50% of the profit received during the first three years will be reinvestment in the enterprise.

*გიორგი ხარშილაძე*

### **„მწვანე ეკონომიკის“ ფორმირების შესაძლებლობები და სიძნელეები საქართველოში**

*ანოტაცია. საქართველოს, როგორც საბაზრო ეკონომიკაზე მდგარ სახელმწიფოს, უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია. მწვანე ეკონომიკა წარმოადგენს შედარებით ახალ მიმართულებას, რომელმაც განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ბოლო ათწლეულის მანძილზე. იგი დაფუძნებულია ეკონომიკის მდგრად განვითარებასა და ეკონომიკას აფასებს მისი ბუნებრივი კაპიტალის მდგრადობიდან გამომდინარე. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია მწვანე ეკონომიკის ფორმირების შესაძლებლობები და სიძნელეები საქართველოში. მიმოხილულია ძირითადი საკანონმდებლო საფუძვლები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მწვანე ეკონომიკის ფორმირების შესაძლებლობებს სექტორულ ჯრილში.*

*საკვანძო სიტყვები: მწვანე ეკონომიკა, მწვანე ზრდა, მდგრადი განვითარება, გარემოსდაცვითი ღონისძიებები*

### **შესავალი**

თანამედროვე კვლევების დიდ ნაწილში წარმოების მოხმარება გრძელვადიან პერიოდში საკმაოდ არამდგრადია. თუ მოსახლეობა მოიხმარს იმავე რაოდენობის რესურსს როგორც ეს არის განვითარებად ქვეყნებში, რესურსებზე მოთხოვნა 4-ჯერ გადააჭარბებს დედამიწის საერთო შესაძლებლობებს. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ რესურსების სტრუქტურაში ცვლილებების განხორციელების დრო მოვიდა, რასაც მსოფლიოს ქვეყნებიც გამოიყენებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიქმნება გლობალური ეკონომიკის არამდგრადობა, გაიზრდება რესურსებისთვის ბრძოლის შესაძლებლობა.

რესურსების არამდგრადობის შედეგს უნდა მივაკუთვნოთ მთელი რიგი ეკოლოგიური რისკების ზრდა, დაწყებული გლობალური რისკებიდან (კლიმატის ცვლილება, ოზონის შრის წარმოქმნა, ბიომრავალფეროვნების განადგურება), დამთავრებული ადგილობრივით (ნიადაგის ეროზია, ჰაერის და წყლის რესურსების დაბინძურება და ა.შ)

ბოლო პერიოდში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა მწვანე ეკონომიკის კონცეფციამ, რომელიც ადამიანების კეთილდღეობისა და სოციალური თანასწორობის მთავარ

შედევს წარმოადგენს და რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემო რისკებს და ეკოლოგიურ დანაკარგებს [გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამა, 2010]. მწვანე ეკონომიკა წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების ისეთ მოდელს, რომელიც დაფუძნებულია მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე. იგი ეკონომიკის სხვა დარგებისგან იმით განსხვავდება რომ ის პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელსაც ეკონომიკური ღირებულება გააჩნია. მწვანე ეკონომიკის საშუალებით იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, უზრუნველყოფილ იქნება ქვეყნის მდგრადი განვითარება, მცირდება გარემოს დაბინძურება, კლიმატის ცვლილებები, რესურსების გამოლევის შესაძლებლობა. ამავდროულად, იგი სტიმულს აძლევს ბიზნესს, აწარმოოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი თუ მომსახურება.

მწვანე ეკონომიკის კონცეფცია წარმოადგენს შედარებით ახალ მიმართულებას. მისი განსაზღვრება სხვადასხვაგვარად შეიძლება. მიუხედავად ამისა, იგი გულისხმობს, რომ ეკონომიკის გამწვანება შეიძლება განვიხილოთ მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის მექანიზმად. „მწვანე ეკონომიკასთან“ დაკავშირებული განსაზღვრებები სულ მცირე ორი სახისაა: ტერმინები, რომლებიც განსაზღვრავს პროცესს („ეკონომიკის გამწვანება“, „მწვანე ზრდა“) და ტერმინები რომლებიც დაკავშირებულია შედეგთან („მწვანე ეკონომიკა“) [„მწვანე ბიზნესის“ ხელშეწყობის სტრატეგია, 2011, გვ. 9].

მწვანე ეკონომიკურ ინიციატივაში, რომელიც მოიცავს დაწყებულ ანგარიშს, UNEP (2011a) “მწვანე ეკონომიკის მიმართულებით” და მის სინთეზს UNEP (2011b) “მწვანე ეკონომიკის მიმართულებით: საცალფეხო გზიდან მდგრადობისკენ”. “მწვანე ეკონომიკის შედეგია ადამიანის გაუმჯობესებული კეთილდღეობა და სოციალური თანასწორობა, რომელიც აგრეთვე მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოსდაცვით რისკებს და ეკოლოგიურ დეფიციტს” [„მწვანე ბიზნესის“ ხელშეწყობის სტრატეგია, 2011, გვ. 9]. ეკონომიკური მიდგომის თვალსაზრისით, მოცემული გაეროს გარემოს დაცვის პროგრამულ ანგარიშში აღნიშნულია რომ გრძელვადიან პერსპექტივაში მწვანე ეკონომიკას შეუძლია ბუნებრივი და ფინანსური კაპიტალის შედარებით ეფექტიანად და ოპტიმალურად გამოყენება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, აზიისა და წყნარი ოკეანის კავშირის ეკონომიკური და სოციალური კომისია “მწვანე ზრდას” განსაზღვრავს როგორც “ეკონომიკურ პროგრესს, რომელიც ხელს უწყობს ეკოლოგიურად მდგრად, ნახშირბადის დაბალი შემცველობის და სოციალურად ინკლუზიურ განვითარებას”, მაშინ როდესაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია მწვანე ზრდას მიიჩნევს, როგორც გზას, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას, როცა იმავდროულად ბუნებრივი აქტივები განაგრძობს იმ რესურსებისა და გარემოსდაცვითი მომსახურების უზრუნველყოფას, რომელსაც ჩვენი კეთილდღეობა ეყრდნობა [“მწვანე ზრდის მიმართულებით”. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, OECD 2011].

მიზანშეწონილია, დაიმსხვრას უარყოფითი მითები მწვანე ეკონომიკის შესახებ, რომ იგი გულისხმობს ხელისუფლების მხრიდან ზედმეტ ჩარევას, რომ იგი „ამახინჯებს“ ბაზარს და წინააღმდეგობრივ მდგომარეობაშია საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან. რეალურად თუ ვიმსჯელებთ, მწვანე ეკონომიკა წარმოადგენს უფრო „ბაზარზე ორიენტირებულს“ ვიდრე დღესდღეობით არსებული ეკონომიკური მოდელები. სინამდვილეში, გარემოსდაცვითი თუ სოციალური საკითხების უგულვებელყოფით ჩვენ მივიღივართ ბუნებრივი რესურსების არასამართლიან გადანაწილებასთან და საბოლოო ჯამში ისეთ კრიზისამდე, როგორც იყო 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი.

დღესდღეობით ეკონომიკის მწვანე ეკონომიკად ტრანსფორმაციის პროცესი გამოწვევების წინაშე დგას. ბოლო პერიოდში განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა შეასუსტა მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების ტემპები, მაგრამ შექმნა არსებითი შესაძლებლობა - რეაბილიტაცია გამხდარიყო შედარებით მდგრადი და სტაბილური. ერთ-ერთ ასეთ კონცეფციად უნდა მივიჩნიოთ ცნობილი “გლობალური მწვანე ახალი შეთანხმება” (GGND) [“გლობალური მწვანე ახალი შეთანხმება”, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა, 2009 წლის მარტი]. აღნიშნული სამ ძირითად ამოცანას ემყარება [„მწვანე ბიზნესის“ ხელშეწყობის სტრატეგია, 2011, 10]:

1. შეიტანოს წვლილი მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის, სამუშაო ადგილების შექმნისა და დაუცველი ჯგუფების სოციალური დაცვის საკითხებში;

2. ხელი შეუწეოს ინკლუზიურ და მდგრად ზრდას, ასევე ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევას, განსაკუთრებით კი, უკიდურესი სიღარიბის დაძლევის;

3. გარდა ამისა, შეამციროს ნახშირბადზე დამოკიდებულება და ეკოსისტემის დეგრადაცია, რაც მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობის მთავარ რისკებს წარმოადგენს.

2009 წლისთვის ეუთოს ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება ე.წ. „მწვანე ზრდის სტრატეგიის“ შემუშავებასა და განხორციელებაზე [declaration on Green Growth Adopted at the meeting of the council at Ministerial Meeting on 25 June 2009 C/MIN(2009)5/ADD1/FINAL <http://www.oecd.org/env/44077822.pdf>]. მწვანე ზრდა თავის თავში მოიაზრებს ეკონომიკური განვითარების ისეთ მოდელს რომელიც სრულიად შესაბამისობაშია გრძელვადიან გარემოსდაცვით ღირებულებებთან. ის მოიხმარს გაცილებით ნაკლებ ბუნებრივ რესურსებს, ვიდრე არსებული ეკონომიკური განვითარების მოდელი, რაც უზრუნველყოფს ცხოვრების დონის ადეკვატურობას და სიღარების შემცირებას როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში. ყოველივე ამის განსახორციელებლად საჭიროა მთელი რიგი პოლიტიკის, საკანონმდებლო და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტიან და მოქნილ გადასვლას მდგრად ეკონომიკურ მოდელზე [Toward green growth, summary for policy makers 2011 <http://www.oecd.org/greengrowth/48012345.pdf>].

თანამედროვე ეტაპზე მწვანე ეკონომიკა ექვს მთავარ სექტორად იყოფა [<http://www.bec.ge/images/doc/green%20economy.pdf>]:

**განახლებადი ენერჯია** - მზის, ქარის, გეოთერმული, ზღვის, მათ შორის ტალღების და მიქცევა-მოქცევის, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერჯია;

**მწვანე შენობები** - ენერჯის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები;

**სუფთა ტრანსპორტი** - ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, პიბრიდული ელექტროსატრანსპორტო საშუალებები;

**წყლის მენეჯმენტი** - წყლისა და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება

**ნარჩენების მენეჯმენტი** - ნარჩენების მართვა, უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენების მასალის გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა;

**მიწის მენეჯმენტი** - ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების მენეჯმენტი.

### მწვანე ეკონომიკის ფორმირების შესაძლებლობები და პერსპექტივები საქართველოში

საქართველო მდიდარია თავისი ბუნებრივი რესურსებით, მათ შორის ბიომრავალფეროვნებით, წყლისა და მინერალური რესურსებით, აგრეთვე ლანდშაფტური მრავალფეროვნებით. შესაბამისად, ქვეყანას გააჩნია დიდი პოტენციალი გრძელვადიან პერიოდში მდგრადი განვითარებისთვის.

2010 წლისთვის ევროკავშირის ხელშეწყობით მომზადებულ ანგარიშში – „შესაძლებლობები და ალტერნატივები მწვანე ეკონომიკის განსავითარებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ – საზგასმულია, რომ, მართალია, საქართველოს აქვს საკმაოდ დიდი პოტენციალი მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის, ამის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა სპეციფიკური პოლიტიკისა და საკანონმდებლო დოკუმენტების მომზადებაა მწვანე ეკონომიკაზე, მდგრად წარმოებასა და მოხმარებაზე და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის კანონმდებლობასთან“ [მწვანე ალტერნატივე, 2014, 8].

ამგვარად, საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის დიდი პოტენციალია, განსაკუთრებით კი ისეთ დარგებში, როგორცაა ენერჯეტიკა და სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და სატყეო სექტორი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომლის ანალიზის თანახმად სწორედ ეს სექტორებია იდენტიფიცირებული როგორც ყველაზე სწრაფი უკუგების მომცემი როგორც ეკონომიკური, ისე გარემოსდაცვითი თვალსაზრისით.



## საკანონმდებლო საფუძვლები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირ აღიარებულია და ცნობს მდგრადი განვითარების საფუძველს და ცნობს რა, რომ „საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის ჯანსაღ და უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი...ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას“ [საქართველოს კონსტიტუცია 37-ე მუხლი, 2010 წლის რედაქცია].

არსებობს მთელი რიგი საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც გარკვეული ცვლილებები განიცადა. მათ შორის უნდა გამოვყოთ 1996 წელს მიღებული კანონი დაცული ტერიტორიების შესახებ; 1996 წლის კანონი ბუნების შესახებ; 1997 წლის კანონი წყლის შესახებ; 1998 წლის კანონი ბირთვული და რადიაციული დაცვის შესახებ; 1999 წლის ტყის კოდექსი და იმავე წლის კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ.

ზოგიერთი ეს ცვლილება იყო მცდელობა სახელმწიფოს მხრიდან, მაქსიმალურად შეემცირებინა ბარიერები ეკონომიკის განვითარებისთვის. კანონი „ბუნებრივი რესურსების გამოყენების მოსაკრებლების შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2005 წელს, განსაზღვრავს ტერმინებს და გვაწვდის ინფორმაციას მოსაკრებლების შესახებ, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსების რაციონალური ექსპლუატაციისთვის არის დაწესებული. ეს ბუნებრივი რესურსებია: წიაღისეული, ტყე, წყალი და ველური ბუნება. მთავრობამ რამდენჯერმე განაცხადა, რომ ბუნებრივ რესურსებს უნდა ხელმძღვანელობდეს კერძო სექტორი და არა სახელმწიფო. საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო პასუხისმგებელია აუქციონის საშუალებით მიანიჭოს უფლებამოსილება კერძო საწარმოს, გამოიყენოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსები.

„კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (2005) წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც ორგანიზებას უწევს ღონისძიებებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის კაცობრიობის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს და გულისხმობს კონკრეტულ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, მათ შორის სახელმწიფო რესურსების გამოყენებას. ამ კანონის ამოქმედებამ საგრძნობლად შეამცირა ქვეყანაში ლიცენზიები და ნებართვები და გაამარტივა პროცედურები.

გარემოზე ზემოქმედების კონკრეტული საქმიანობის პროცედურების შეფასებასთან არის დაკავშირებული ორი კანონი. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონი“ – მოიცავს საქმიანობების და პროექტების ჩამონათვალს, როლებიც ეკოლოგიური ექსპერტიზის საგანს წარმოადგენს და მოითხოვს გარემოსდაცვით შეფასებას. ის აგრეთვე გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის საფუძველზე განსაზღვრავს საზოგადოების პროცესში ჩართულობის პროცედურებს. „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ კანონი“ არეგულირებს ეკოლოგიურ ექსპერტიზასთან დაკავშირებულ პროცედურებს, რომელიც ეხება იმ საქმიანობებს, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონით არის განსაზღვრული.

კანონი სტანდარტიზაციის შესახებ, რომელიც წარმოების სტანდარტების საფუძველს ადგენს, ჰარმონიზებულია ევროკავშირის სტანდარტიზაციის პრინციპებთან. საქართველოს სტანდარტების ეროვნულმა სააგენტომ, ეკონომიკის განვითარების სამინისტროს ტექნიკური რეგულირებისა და მეტროლოგიის განყოფილებამ გამოაქვეყნა სია, რომელიც მოიცავს ISO და სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის სტანდარტებს (CEN) მათი ქვეყანაში დანერგვის მიზნით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ გამოსცა გარემოს ხარისხის სტანდარტები. სამინისტრომ ასევე გამოაქვეყნა ტექნიკური რეგულაციები მაქსიმალურად დასაშვებ ემისიებსა და მაქსიმალური დასაშვები გაფრქვევების შესახებ, რაც წყლისა და აირის ხარჯვას ეხება და გამოიყენება როგორც საფუძველი - გაიცეს გარემოზე ზემოქმედების ნებართვები ან სამრეწველო დაბინძურებაზე პირდაპირი მონიტორინგის უფლება. საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბირთვული და რადიაციული

უსაფრთხოების სამსახური არის მარეგულირებელი სააგენტო შესაბამის სექტორში, რომლისთვისაც არსებული სტანდარტები 2000 წელს დამტკიცდა.

2006-2013 წლებში ევროპის სამეზობლო პოლიტიკა მოიცავდა მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავებას, თუმცა ჯერჯერობით ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით არ გადადგმულა. ამავე პერიოდში ქვეყნის განვითარების სტრატეგია სხვადასხვა სამთავრობო პროგრამას ეფუძნებოდა, რომელიც, მართალია, წარედგინებოდა საქართველოს პარლამენტს, მაგრამ მონიტორინგს არ ექვემდებარებოდა. თვით ამ პროგრამების ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო ამ კონკრეტული მინისტრთა კაბინეტის ხანგრძლივობაზე **[მწვანე ალტერნატივა, 2014, გვ. 9].**

მწვანე ეკონომიკის კონცეფციის დანერგვა პირდაპირ უწყობს ხელს „საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა“ და „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ (DCFTA) ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პრინციპების განხორციელება საქართველოს მთავრობის დღის წესრიგშია, რომელიც ორიენტირებულია მოქალაქეების ცხოვრების სტანდარტების და მათი გარემოს გაუმჯობესებაზე. მწვანე ზრდის საფუძვლები საქართველოს რიგ სტრატეგიულ დოკუმენტებში უკვე ასახულია.

2016 წლისთვის საქართველო შეუერთდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) „მწვანე ზრდის დეკლარაციას“, რომელიც წარმოადგენს მწვანე ზრდის სტრატეგიის შემუშავების და შესაბამისი ღონისძიებების გაძლიერების ეფექტიან საშუალებას. შესაძლოა დეკლარაცია მიზნულ იქნეს როგორც ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენებისა და ეკოსისტემური სერვისების შეფასების გზით ეკონომიკური განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის საფუძვლად **[საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო...2017: 152].**

გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით მომზადდა საქართველოს „მწვანე ზრდის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს მწვანე ზრდის მიდგომის განხორციელებისა და სტრატეგიის შემუშავების საკითხებზე პოლიტიკური მსჯელობის ბაზას. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებაშიც“ ყურადღება გამახვილებულია მდგრად განვითარებასა და მწვანე ეკონომიკაზე. კერძოდ, შეთანხმების 301-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას გარემოს დაცვის საკითხებზე, რითაც წვლილს შეიტანენ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში. გარემოს გაძლიერებული დაცვა სარგებელს მოუტანს საქართველოსა და ევროკავშირის მოქალაქეებსა და ბიზნესსექტორს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ეფექტიანობის გაზრდის გზით, ასევე თანამედროვე, სუფთა ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს წარმოების უფრო მდგრადი მოდელების ჩამოყალიბებას“.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობამ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროგრამის - „მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ (EaP GREEN) - ფარგლებში დაიწყო მწვანე ზრდის სტრატეგიის შემუშავება. გარემოსდაცვითი პროგრამა ხელმძღვანელობს „პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობის“ პროცესს, რომლის ფარგლებშიც მუშავდება მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი მოხმარებისა და წარმოების ეროვნული პოლიტიკის ჩარჩოები და ხდება მათი ინტეგრირება ეროვნული ეკონომიკისა და განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესებში. საქართველოს, სხვა ქვეყნების მსგავსად, აქვს აქტიური მხარდაჭერა პოლიტიკის შემუშავების პროცესში. მწვანე ზრდის სტრატეგიის საშუალებით შესაძლებელი გახდება მწვანე სამუშაო ადგილების შექმნის ყველაზე მაღალი პოტენციალის მქონე დარგებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გამოვლენა და მწვანე წარმოების სტიმულირება. დოკუმენტი ასევე უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნით განსაზღვრული მწვანე ზრდის ხელშეწყობის ღონისძიებებისა და საკვანძო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო სვადასხვა საშუალებების იდენტიფიცირებას და შეფასებას **[საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო...2017:152].**

მწვანე ეკონომიკის და მწვანე ზრდის გარკვეული სექტორული მიმართულებები ასახულია ცალკეულ სამთავრობო პროგრამებში. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ

„საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“ და „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა“.

ამ სტრატეგიების ძირითად მიზანს წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისი გარემო პირობების შექმნა, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რაც თავის თავში მოიაზრებს შემოსავლების და სამუშაო ადგილების შექმნას და ამაღლებას. დოკუმენტში განსაზღვრულია კონკრეტული ქმედებები, კერძოდ:

სპეციალური სასწავლო პროგრამის შემუშავება რესურსფექტურ და სუფთა წარმოებასთან დაკავშირებით;

მეწარმეებისათვის კონსულტაციების გაწევა გარემოსათვის მისაღებ ქმედებებთან დაკავშირებით;

„გარემოსდაცვითი მმართველის“ კურსების განვითარებასა და ჩატარებას, რათა ხელი შეეწყოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში მწვანე პრაქტიკის დანერგვას და კომპანიებში გარემოსდაცვითი მმართველობის შესაძლებლობების გაძლიერებას [საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო...2017:153].

### ძირითადი დაინტერესებული მხარეები

მწვანე ეკონომიკაში ძირითად დაინტერესებულ მხარედ შეგვიძლია მთელი საზოგადოება მივიჩნიოთ, რადგან იგი სასარგებლოა თითოეული ადამიანისთვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა კი ენიჭებათ ხელისუფლებას და მეწარმეებს. მთავრობის როლი ძირითადად გამოიხატება მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერასა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ მართვაში. იგი (მთავრობა) განსაზღვრავს ეროვნულ პოლიტიკას, ქმნის სამართლებრივ და მარეგულირებელ ჩარჩოებს, ხოლო ეროვნულ დონეზე შეიმუშავებს ტექნიკურ სტანდარტებს.

ამავდროულად, იგი კოორდინაციას უწევს ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისა და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერების პროცესს, აგრეთვე უზრუნველყოფს კონკრეტული პროგრამებისთვის საბიუჯეტო სახსრების მობილიზებას. მთავარ სახელმწიფო უწყებებს მწვანე ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრებისა და გატარების საქმეში წარმოადგენს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. პროცესს მხარს უჭერენ სხვა სამინისტროებიც და სახელმწიფო უწყებებიც, მათ შორის, ენერჯეტიკის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქსტატი და სხვ.

### მწვანე ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები სექტორულ ჭრილში

#### ენერჯეტიკა

ენერჯეტიკის სექტორში მწვანე ზრდა ძირითადად ეფუძნება განახლებადი ენერჯის დანერგვასა და ენერგოეფექტურობას, მოთხოვნა-მიწოდების მართვის ბალანსს. საქართველოში მოსახლეობა მოიხმარს შედარებით ნაკლებ ენერჯიას ვიდრე საშუალოდ მსოფლიოში, მარგამ ეს მოხმარება არაეფექტიანია. დაანგარიშებულია, რომ ენერგოეფექტურობის ღონისძიებების გატარებით შესაძლებელია ენერგომოხმარების შემცირება დაახლოებით 25%-ით, გაუმჯობესდება ენერგოინტენსივობა და შემცირდება დამოკიდებულება იმპორტირებულ საწვავზე [მწვანე ალტერნატივა 2014: გვ.12].

ენერჯეტიკის სექტორში მთავრობის ყურადღება ძირითადად გადატანილია მიწოდებს უსაფრთხოებაზე და გენერაციის ობიექტების მშენებლობაზე, ძირითადად დიდ ჰიდროელექტროსადგურებზე და არამდგრადი ენერჯეტიკული სისტემების ჩამოყალიბებაზე (საქართველოს მთავრობის მიერ 2006 წელს საქართველოს ენერგოპოლიტიკის ზოგიერთი მიმართლებების დოკუმენტებით აღებული პრიორიტეტები უცვლელია. ამას ადასტურებს ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ 2014 წელს საჯარო განხილვისთვის გამოტანილი დოკუმენტი „საქართველოს ენერჯეტიკის პოლიტიკა“).

OSCE ანგარიშის თანახმად, ქვეყანას შეუძლია ენერგოეფექტურობის სტატუსის გაუმჯობესება თუ მას გააჩნია მოქნილი კანონმდებლობა, რომელიც დააკმაყოფილებს

UNEP-ის 2006 წლის კრიტერიუმებს, რომელიც მოიცავს გარემოსდაცვით ეფექტურობას, ეკონომიკურ ეფექტურობას (ხარჯთაღრიცხვას), საბიუჯეტო ხარჯებს, განხორციელების შესაძლებლობებს და უნარებს და დაინტერესებულ მხარეთა მხარდაჭერას [მწვანე ალტერნატივა 2014: გვ.13].

განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის განვითარების ბარიერებიდან ასევე მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი სამთავრობო სტრუქტურის არსებობა, კერძო სექტორში თანამედროვე ტექნოლოგიების არსებობა, დაბალი ცნობიერების დონე, საგადასახადო და სატარიფო ინსენტივების არარსებობა, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდულობა [მწვანე ბიზნესის მხარდაჭერის სტრატეგია საქართველოს კერძო ბიზნეს-ორგანიზაციებისთვის BCCE-GIZ ერთობლივი პროექტის ფარგლებში].

სექტორში მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის ამოქმედებას, საპილოტე პროექტების განხორციელება ენერგოეფექტურობის დაზოგვის მიზნით, კერძო ბიზნესში სპეციალური სახელმწიფო გრანტებით წახალისება რათა მათ დაწერონ ახალი ტექნოლოგიები ენერჯის დაზოგვის მიზნით.

ენერგეტიკის სექტორში მწვანე ეკონომიკის და მწვანე ზრდის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია გარკვეული ღონისძიებების შემუშავება, კერძოდ:

ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის და სამოქმედო გეგმის შემუშავება;

განხორციელდეს საპილოტე პროექტები ენერგოეფექტურობის დაზოგვის მიზნით, ამავედროულად, სახელმწიფო შენობებისთვის ენერგოაუდიტის ჩატარება და ამ ღონისძიებების ფარგლებში გარკვეული პროგრამების შემუშავება, რაც შეამცირებს სახელმწიფო დანახარჯებს ენერჯის მოხმარებაზე;

გარკვეული ტიპის კვლევების დაფინანსება ახალი პროფესიული კადრების მომზადებისთვის.

## სამშენებლო სექტორი

სამშენებლო სექტორი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ დარგს მწვანე ბიზნესის განვითარებაში. დღესდღეობით სამშენებლო სექტორი იყენებს მოძველებულ თბოტექნიკის ნორმებს, რომელიც ევროპული სტანდარტებისგან ძალზე შორს დგას. ხშირია შემთხვევა, როდესაც ეს კონკრეტული სტანდარტებიც დაუცველია, შესაბამისად, საკმაოდ დიდია დანაკარგები.

ევროკავშირთან ასოციერების ხელშეკრულების გაფორმებით საქართველომ აიღო ვალდებულება რათა შეასრულოს ევროკავშირის დირექტივა N2010/31/EU შენობების ენერგოწარმოდგენაზე, რომლის ვადად განისაზღვრა 3 წელიწადი, იმ შემთხვევაში თუ მომდევნო 2 წელიწადში საქართველო არ შევა ევროპის ენერგოგაერთიანებაში და არ შეათანხმებს ცალკე შესრულების ვადებს. მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია „საქართველოს კანონს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსს რომელიც ჰარმონიზებული იქნება ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნასთან, რითაც სამშენებლო სექტორში დაინერგება ენერგოეფექტურობის სტანდარტები.

დღესდღეობით არ არსებობს მშენებლობის სექტორში ე.წ. „მწვანე მუშახელის“ სტატისტიკა, თუმცა პოტენციური საკმაოდ დიდია. დღესდღეობით სამშენებლო სექტორში დასაქმებულია 30 ათასზე მეტი მუშახელი, საიდანაც დაახლოებით 3000 (ისიც სეზონურად) დასაქმებულია ენერგოეფექტური სამშენებლო მასალების წარმოებაში [მწვანე ალტერნატივა 2014: გვ.16].

## ტურიზმი

მწვანე ეკონომიკურ ინიციატივაში ერთ-ერთი ძირითადი როლი ტურიზმის დარგს აკისრია, რომლის მართვის ეროვნული მიზნები განსაზღვრულია „საქართველოს ტურიზმის სტრატეგიაში“, რომელიც მიიღეს 2015 წელს. საქართველოს ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი მიზანი საქართველოს პოპულარულ ტურისტული დანიშნულების ადგილად გადაქცევა, საერთაშორისო დონეზე მისი ცნობადობის გაზრდა და მოსახლეობისათვის მეტი სარგებლის მოტანაა. სტრატეგიაში განსაკუთრებული ადგილი „გეოტურიზმს“

აკისრია. იგი წარმოადგენს ისეთი მოგზაურობის ტიპს, რომელიც ორიენტირებულია დანიშნულების ადგილის გეოგრაფიული თავისებურების შენარჩუნებასა და დაცვაზე, მათ შორის, გარემოს, ესთეტიკის, კულტურული მემკვიდრეობისა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ხელშეწყობაზე.

ტურიზმის „გამწვანება“ ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, სიღარიბის შემცირებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ამცირებს რა ნარჩენების, წყლის ხარჯს, ზრდის - ბიომრავალფეროვნების, ეკოსისტემების და კულტურული მემკვიდრეობის ფასს. დღესდღეობით ეკოტურიზმი და აგროტურიზმი ვითარდება შედარებით სწრაფად ვიდრე მასობრივი ტურიზმი, ხოლო ახლო მომავალში კიდევ უფრო სწრაფი ტემპით არის ნაგარაუდგევი მისი ზრდა [UNEP - Tourism, Toward green economy file:///F:/11.0\_Tourism.pdf].

საქართველოს საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია ტურიზმის ყველა სეზონის განსავითარებლად. შესაძლებელია ტურიზმის ცალკეული მიმართულებების განვითარება, მათ შორის სამკურნალო, აგროტურიზმი, კულტურული ტურიზმი და ა.შ. რეკომენდაციები მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის:

ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე;

ადგილობრივი მოსახლეობისა თუ კომპანიების მონაწილეობა რეგიონული ტურიზმის დაგეგმვის გზით, რათა სრულად გამოვლინდეს რეგიონის ტურისტული პოტენციალი;

სტიმულირების პაკეტების შემუშავება მდგრადი ტურიზმის განვითარებაში.

## სოფლის მეურნეობა

გლობალური მწვანე შეთანხმება სოფლის მეურნეობის სფეროში ახალ შესაძლებლობებს აჩენს. ახალი გლობალური შეთანხმების თანახმად, მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარება „განვითარებადი ქვეყნებისთვის რეალური სავაჭრო და სიღარიბის შემცირების შესაძლებლობებს შეიცავს, რადგან შემოსავლის 97% ევროპაში წარმოიქმნება, მაშინ როცა მწარმოებელთა 80% აფრიკის, აზიის და ლათინური ამერიკის ქვეყნებზე მოდის“ [„Global Green New Deal“ Policy brief. United Nations Environment Programme March 009].

დღესდღეობით საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე არის დამოკიდებული; საქართველოს მოსახლეობის ნახევარი სოფლის მეურნეობის სექტორშია დასაქმებული, ხოლო მშპ-ში მისი წილი 2016 წლისთვის 9%-ია. სოფლის მეურნეობაში ასეთი ვარდნა გამოწვეული იყო მიწის არასწორი რეფორმით, საირიგაციო სისტემის მოშლით, გადამამუშავებელი საწარმოების დახურვით და საექსპორტო ბაზრებზე ხელმისაწვდომობის დახურვით. შედეგად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემცირებამ სოფლად მოსახლეობის გაღარიბება გამოიწვია.

გარდა ამისა, არსებობს მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებას. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა საირიგაციო სისტემის მოშლაა. მასში ძირითადი ინვესტიციები საბჭოთა პერიოდში ჩაიდო. ყოველივე ამის შედეგად, 1980-იანი წლების დასაწყისში დაახლოებით 500000 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა ირწყვებოდა, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს გვალვიან ნაწილში. კიდევ უფრო შემცირდა სარწყავი ტერიტორიების რიცხვი 1990-იანი წლებში, რამაც გამოიწვია ის, რომ უკვე 2001 წლისთვის მხოლოდ 160 000 ჰექტარი ირწყვებოდა.

პრობლემურია საძოვრების საკითხიც, რომლებსაც თემები და ოჯახები საქონლის გამოსაკვებად იყენებდნენ. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მიწის დეფიციტურობის და მიმდინარე კონფლიქტების გამო სოფლების მეოთხედისთვის საძოვრების ხელმისაწვდომობა საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს. 2010 წლისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საძოვრები სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა, მასვე მიეცა იმ საძოვრების იჯარით გაცემის უფლებამოსილება, რომელიც პრივატიზებას არ ექვემდებარებოდა.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს კლიმატის ცვლილება, რომელიც უარყოფითად აისახება სასოფლო-სამეურნეო მიწების ხელმისაწვდომობაზე. ეს, ერთი მხრივ განპირობებულია ნიადაგის ნაყოფიერების კლებით, ხოლო მეორე მხრივ დამარილიანების პროცესით. გვალვებით, მიწების დეგრადაციითა და გაუდაბნოებით აღმოსავლეთ

საქართველოში, ხოლო დასავლეთ საქართველოში სანაპირო ზოლის დაჭაობების ზრდით. ყოველივე ეს იწვევს სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების შემცირებას.

ევროკავშირმა სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის 2012 წლის სამოქმედო გეგმით დაიწყო 60 მილიონიანი პროგრამის განხორციელება, რომელიც 2 ფაზისგან შედგება. ENPARD საქართველო (40 მილიონი ევრო) პროგრამის მიზანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაზრდა და სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგიის განვითარება და მცირე ფერმერთა განმტკიცება, რაც ხელს შეუწყობს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოველისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივცრის შეთანხმების შესრულებას. პროგრამის მეორე კომპონენტი (20 მილიონი ევრო) განკუთვნილია ინსტიტუციური, ტექნიკური და საკოორდინაციო შესაძლებლობების ზრდისთვის.

რეკომენდაციები სოფლის მეურნეობაში მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის:

მწვანე ეკონომიკის მიმართულების სოფლის მეურნეობაში საჭიროა შემუშავდეს და გატარდეს საგანმანათლებლო პროგრამები, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებას ორგანულ საკვებზე;

მნიშვნელოვანია, თუ სახელმწიფო დაიწყებს ფერმერთა სერტიფიცირების პროცესს საერთაშორისო სქემების დანერგვის გზით;

იმგვარი პროგრამების შემუშავება და დაფინანსებას, რაც უზრუნველყოფს მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის პროდუქტიულობის ზრდას, განსაკუთრებით კოოპერატივების გზით სპეციფიკური ნიშების მოძიებით.

### დასკვნები და რეკომენდაციები

დღესდღეობით „მწვანე ეკონომიკა“ და „მწვანე ზრდა“ სულ უფრო მნიშვნელოვანი კონცეფციები ხდება მსოფლიოში. თანამედროვე ეტაპზე გარემოს დაცვა და სოციალური პასუხისმგებლობა ხდება ეკონომიკური განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ძირითადი წარმმართველი ძალა. გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, საქმიანობაზე გადასვლა მყისიერად ვერ განხორციელდება, რადგან მწვანე ეკონომიკა და მწვანე ზრდა მეტად კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს და მოითხოვს სამეცნიერო ცოდანს, საზოგადოების ცნობიერებას და შესაბამისი განვითარების დაგეგმვას, ეფექტიან ეკონომიკურ პოლიტიკას და შესაბამის საკანონმდებლო აქტების აღსრულებას. ამავდროულად, მნიშვნელოვანია შესაბამისი ადამიანური რესურსები და ინსტიტუციური გაძლიერება.

გარემოსდაცვით ინოვაციებს ყველაზე მაღალი საექსპორტო პოტენციალი აქვს, მაგრამ ის ტექნოლოგიები და მეთოდებიც კი, რომლებიც უკვე დამკვიდრებულია სხვა ქვეყნებში, საქართველოში საწყის ეტაპზე მხარდაჭერას საჭიროებს. გაზრდილია საერთაშორისო მხარდაჭერის ინტერესი ქვეყანაში აღნიშნული მეთოდების დასანერგად. თავის მხრივ, საქართველოს მთავრობა გამოხატავს მზადყოფნას, ხელი შეუწყოს მწვანე ეკონომიკის განვითარებასა და მდგრადი განვითარების პრინციპებისა და პოლიტიკის გატარებას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზეა, პირველ რიგში საჭიროა კონკრეტული ღონისძიებების პრიორიტეტების მიხედვით დალაგება; აუცილებელია შესაბამისი სტრატეგიების და პროგრამების შემუშავება, ასევე ეკონომიკის სხვადასხვა დარგში საპილოტე პროექტების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერებას.

ცნობილია, რომ მწვანე ეკონომიკისა და მწვანე ზრდის განვითარება ხელს უწყობს კომპანიების პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას მსოფლიო ბაზარზე. ამასთანავე, გამოიწვევს ცხოვრების დონის გარემოსდაცვითი ხარისხის ამაღლებას, ეკოსისტემებისა და ეკონომიკის მდგრადობის გაძლიერებას და ახალი ბიზნეს შესაძლებლობების გაჩენას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი - მწვანე ბიზნესის მხარდაჭერის სტრატეგია საქართველოს კერძო ბიზნეს ორგანიზაციებისთვის UBCCE-GIZ ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 2011.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამა 2010 <http://wedocs.unep.org/bitstream/handle/20.500.11822/7915/UNEP-AR-2010-FULL-REPORT.pdf?sequence=5&isAllowed=y>
3. “მწვანე ზრდის მიმართულებით”. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, OECD, 2011. [www.oecd.org/greengrowth](http://www.oecd.org/greengrowth)
4. “გლობალური მწვანე ახალი შეთანხმება”, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა. 2009 წლის მარტი [www.unep.org/pdf/A\\_Global\\_Green\\_New\\_Deal\\_Policy\\_Brief.pdf](http://www.unep.org/pdf/A_Global_Green_New_Deal_Policy_Brief.pdf)
5. Declaration on Green Growth Adopted at the meeting of the council at Ministerial Meeting on 25 June 2009 C/MIN(2009)5/ADD1/FINAL <http://www.oecd.org/env/44077822.pdf>
6. Toward green growth, summary for policy makers 2011 <http://www.oecd.org/greengrowth/48012345.pdf>
7. <http://www.bec.ge/images/doc/green%20economy.pdf>
8. მწვანე ალტერნატივა – მწვანე ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში, თბ., 2014
9. საქართველოს კონსტიტუცია 2010 წლის რედაქცია.
10. საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო – საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021 წწ. სამუშაო ვერსია თბილისი, 2017.
11. UNEP - Tourism, Toward green economy. file:///F:/11.0\_Tourism.pdf
12. <https://www.cbd.int/financial/doc/tourism-greeneconomy.pdf>
13. „Global Green New Deal” Policy brief. United Nations Environment Programme March 2009
14. [https://www.minambiente.it/sites/default/files/archivio/allegati/rio\\_20/unep\\_global\\_green\\_new\\_deal\\_eng.pdf](https://www.minambiente.it/sites/default/files/archivio/allegati/rio_20/unep_global_green_new_deal_eng.pdf)

*Giorgi Kharshiladze*

## **THE POSSIBILITIES AND DIFFICULTIES OF FORMING “GREEN ECONOMY” IN GEORGIA**

### **Summary**

A Green Economy is characterized by substantially increased investments in economic sectors that build on and enhance the earth’s natural capital or reduce ecological scarcities and environmental risks. These sectors include renewable energy, low-carbon transport, energy efficient buildings, clean technologies, improved waste management, improved freshwater provision, sustainable agriculture and forest management, and sustainable fisheries.

These investments are driven by or supported by national policy reforms and the development of international policy and market infrastructure. These investments and policy reforms provide the mechanisms and the financing for the reconfiguration of businesses, infrastructure and institutions, and the adoption of sustainable consumption and production processes. Such reconfiguration leads to a higher share of green sectors contributing to GDP, greener jobs, lower energy and resource-intensive production, lower waste and pollution, and significantly lowers greenhouse gas emissions. It can also assist in the reduction of persistent poverty through targeted wealth transfers, new employment, as well as improvements in access and the flow of ecosystem goods and services to the bottom of the economic pyramid.

The UNEP-led Green Economy Initiative, launched in late 2008, consists of several components whose collective overall objective is to provide a macroeconomic analysis of policy reforms and investments in green sectors and in greening brown sectors. The Initiative will assess how sectors – such as renewable energies, clean and efficient technologies, water services and sustainable agriculture – can contribute to economic growth, creation of decent jobs, social equity and poverty reduction, while addressing climate risk and other ecological challenges.

Beyond UNEP, the Green Economy Initiative is one of the nine UN-wide Joint Crisis Initiatives, launched by the UN System’s Chief Executives Board in early 2009. In this context, the Initiative includes a wide range of research activities and capacity-building events from over 20 UN agencies, including the Bretton Woods Institutions, as well as an Issue Management Group on Green Economy, launched in Washington, DC in March of 2010.

The development of a green economy (GE) in Georgia can effectively support the attainment of national development targets in the Green Growth Policy Paper (Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, In Press). While that policy paper provides a qualitative assessment of how the green

economy concept can be applied through the implementation of policies that would stimulate green growth and hence allow the country to achieve stated targets in a more cost effective manner,

Georgia's economic development, especially of its industrial sector, relies heavily on the exploitation of the country's natural capital such as minerals, water, biological resources, landscapes and pristine ecosystems. Air emissions and pollution of surface water, groundwater and soil remain important issues in regions where manufacturing and mining enterprises are located. The energy intensity of the Georgian economy is high and the amount of specific energy needed to produce goods and services in Georgia is 2–2.5 times higher than in Western countries. Recognizing the importance of decoupling the economic development from environmental degradation the Georgian government put the transition towards green economic growth high on its political agenda.

The EU-funded EaP GREEN program and its Resource Efficient and Cleaner Production Demonstration Component provided a significant support to Georgia to make first steps towards transition to a green economy. The RECP project assessed the potential and demonstrated the practical ways for improving the resource productivity, reducing the environmental impact and achieving economic benefits in Georgian industrial enterprises. The project supported the creation of human and institutional capacities for a wider application of RECP in the country. It demonstrates successful application of this methodology and promotes transfer of and investment into RECP technologies as the best practice for small and medium sized businesses on their way to greener and more competitive production.

*ვასილ ხიზანიშვილი*

### **ეკოსოციალური საბაზრო ეკონომიკა ანუ “ჰუმანური ეკონომიკა”**

*ანოტაცია. სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ყოველი მოძრაობების, მიმართულებებისა თუ მოსალოდნელი კრიზისების ფონზე, მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკური კონსტელაცია, ეკონომიკური პოლიტიკის ჭრილში განიხილება პოსტ-კაპიტალისტურ, პოსტსოციალისტურ ეკონომიკად, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა.*

*ეკოსოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია მიმართულია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დაბალანსებისაკენ, ესწრაფვის სოციალურ სამართლიანობას, ბუნებრივი რესურსების ხანგრძლივ გამოყენებასა და დაცვას. ის წარმოადგენს პოლისტიკურ მოდელს, დაფუძნებულს ძლიერ და ინოვაციურ საბაზრო ეკონომიკაზე.*

*ჰუმანური ეკონომიკის, როგორც მორალური და პოლიტიკური პროექტის მიზანს წარმოადგენს ახალი ინსტიტუციური სინთეზის შექმნა და დანერგვა პრაქტიკაში, რათა ყოველთვის არსებობდეს ღია წარმოდგენები უკეთესი მომავლის მსოფლიოს მიმართ.*

*საკვანძო სიტყვები: სოციალურ-ეკონომიკური კონსტელაცია, ეკოსოციალური საბაზრო ეკონომიკა, ჰუმანური ეკონომიკა.*

### **შესავალი**

სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ყოველი მოძრაობების, მიმართულებებისა თუ მოსალოდნელი კრიზისების ფონზე, მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკური კონსტელაცია, ეკონომიკური პოლიტიკის ჭრილში განიხილება პოსტ-კაპიტალისტურ, პოსტსოციალისტურ ეკონომიკად, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა.

ეკოსოციალური საბაზრო ეკონომიკა, ანუ “ჰუმანური ეკონომიკა” წარმოადგენს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ხედვას [1], სადაც საბაზრო ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ასპექტები ქმნის “სტარტეგიულ სამკუთხედს”, რომელშიც საბაზრო ეკონომიკური ასპექტი გულისხმობს ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას; ინოვაციებისა და მეწარმეობისთვის სტიმულების შექმნას; ინვესტიციების გაფართოებას; ნორმატიული და ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებას კეთილსინდისიერი კონკურენციის განსახორციელებლად გლობალურ მასშტაბში; საგადასახადო სისტემის მოდიფიცირებას “ღირებულების მწარმოებელი ეკონომიკის” სასარგებლოდ. სოციალური ასპექტი ნიშნავს სამართლიანი ურთიერთობის განხორციელებას სახელმწიფო სოციალურ პოლიტიკასა და ინსტიტუციურ სოციალურ მომსახურებას შორის; კერძო ინსტიტუტების უფრო მეტად განვითარებასა და მხარდაჭერას, რათა მათ უკეთ შეეძლოთ ახალი სოციალური პრობლემებისთვის თავის გართმევა; სოციალურ



სოლიდარობას გლობალურ დონეზე. ხოლო ეკოლოგიური ასპექტი გულისხმობს გარემოს დაცვასა და მის მდგრად განვითარებას გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების განადგურების ტენდენციის უწყვეტი შემცირების გზით; ეკოლოგიურ სიმართლეს ფასებსა და ხარჯებთან მიმართებაში; რეალურ ეკოლოგიურ გადასახადებსა და ეკოლოგიაზე ორიენტირებულ კანონებს; მკაცრ და ზუსტ დეკლარაციას საკვებ პროდუქტებზე (პროდუქტის წარმოშობის, წარმოების, ვარგისიანობის, გენური ინჟინერიის, ჰორმონების გამოყენებისა და სხვ. საკითხებს) [2].

ამ სამკუთხედის სამივე მხარეს შორის წონასწორობის დაცვა და მისი შენარჩუნება პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს. ეკოსოციალური საბაზრო ეკონომიკა ნიშნავს არა იდეალურ ჰარმონიას, არამედ მუდმივ ჭიდილს სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური ძალების განსხვავებულ ინტერესთა შორის რაციონალური ბალანსისათვის. შესაბამისად, იგი მოითხოვს მკვეთრი პოლიტიკის გატარებას ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე. საჭიროა ძლიერი საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობა, სამართლიანი თამაშის წესების შექმნა და უზრუნველყოფა ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის პირობებში, სოციალური და ეკოლოგიური სტანდარტების შექმნა და ტრანსპარენტულობის განხორციელება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

\* \* \*

თანამედროვეობის უმთავრესი საკითხია თუ საბაზრო ეკონომიკის რომელი ტიპი არის უფრო ეფექტური ეკონომიკური წარმატების, სოციალური სამართლიანობისა და ეკოლოგიური მდგრადობის კუთხით? [3]. დღეს უმეტეს ქვეყნებში მიმდინარეობს მსჯელობა ნეოლიბერალური და ნეოკონსერვატიული საბაზრო ეკონომიკების ირგვლივ. ამ ორ ალტერნატივას შორის ძვეს სოციალური და ეკონომიკური საბაზრო ეკონომიკა, ღია და ფლექსიბლური სისტემა, რომელშიც თითოეული ქვეყნის სპეციფიკურ გარემოებათა გათვალისწინებით, შესაძლებელია კორექტივების შეტანა. სწორედ ამიტომ, ეკოსოციალური საბაზრო ეკონომიკა ეკონომიკურ სისტემათა სკალაზე არის არა ფიქსირებული წერტილი, არამედ - ამპლიტუდა, რომელსაც ძალუძს განსაკუთრებული საჭიროებებისა და გარემოებების მიხედვით მოძრაობა (მაგ., როცა უმუშევრობის დონე იზრდება, სახელმწიფო ან მისი დასაქმების სააგენტო უნდა გააქტიურდეს) [4]. თავისუფალ ბაზრებს თავად არ შეუძლიათ ან არ არიან დაინტერესებულნი გარემოს დაცვით, ამიტომ ხელისუფლების მოქმედება წარმოადგენს აუცილებლობას. უმაღლესი სოციალური და ეკოლოგიური სტანდარტების შექმნა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მიიჩნევა როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი მსოფლიო მშვიდობისათვის მომავალში.

ეკოსოციალური საბაზრო ეკონომიკა აღნიშნავს უკეთესი სამყაროს კაპიტალისტურ ხედვას, სადაც ადამიანები თანხმობაში არიან ბუნებასა და ეკონომიკასთან, რომელშიც არსებობს პოსტციკლური მსოფლიო ეკონომიკა, რომელიც მტკიცედ ფართოვდება და მეტად ადარ სცნობს საფონდო ბაზრების ჩამოშლასა თუ საბირჟო კრახს. იგი მიისწრაფვის ეკოლოგიურ-ეკონომიკურ-სოციალური ჰარმონიის პირობებში კაცობრიობის მშვიდობიანი და უსაფრთხო თანაცხოვრებისაკენ.

ეკოსოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია მიმართულია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დაბალანსებისაკენ, ესწრაფვის სოციალურ სამართლიანობას, ბუნებრივი რესურსების ხანგრძლივ გამოყენებასა და დაცვას. ის წარმოადგენს პოლისტიკურ მოდელს, დაფუძნებულს ძლიერ და ინოვაციურ საბაზრო ეკონომიკაზე. მისთვის უალტერნატივოდ პრიორიტეტულია ეკონომიკურ ქმედებათა სასიცოცხლოდ აუცილებელი კრიტერიუმები: სოციალური სამართლიანობა და მეტი პასუხისმგებლობა ბუნებრივი საყოფაცხოვრებო გარემოსათვის (იოზეფ რიგლერი) [5].

ეკოკაპიტალიზმის ქვაკუთხედი რესურსების პროდუქტიულობის მკვეთრი ამაღლება, რომლის ეფექტიან გამოყენებას გააჩნია სამი მთავარი უპირატესობა: იგი ღირებულების შექმნისას ანელებს რესურსების გამოღევას; ამცირებს დაბინძურების მასშტაბებს და უზრუნველყოფს რაციონალური შრომის საფუძვლების გლობალურ გავრცელებას.

ჩვენი ეკონომიკური და სოციალური სისტემა თავისი ამჟამინდელი ფორმით დამოკიდებულია რაოდენობრივ ეკონომიკურ ზრდაზე. თუმცა, ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება და რესურსების დეფიციტის გადიდება სვამს კითხვას იმის თაობაზე, თუ როგორ უზრუნველყოთ კეთილდღეობა ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე ხანგრძლივი დროით. ეკოსოციალური საბაზრო ეკონომიკის პროგრამა აქცენტს აკეთებს

არა უბრალოდ რაოდენობრივ, არამედ უფრო მეტად ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, რაც ნიშნავს როგორც ხარისხობრივ ზრდას, ისე ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. მისი მოწოდება „ცხოვრების უკეთესი ხარისხი ყველასათვის - დღეს და ხვალ“ აღნიშნავს: ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, რომელიც მოიცავს უსაფრთხოებას, ჯანდაცვას, საზოგადოებრივ სოლიდარობას, განათლებას, ეკონომიკას, დასაქმებასა და ბუნებრივ გარემოს ერთი მხრივ, და ადამიანის სუბიექტურ კეთილდღეობას - მეორე მხრივ.

ბუნებრივი რესურსების გამოყენება და მთელი ეკონომიკური საქმიანობა წარმოადგენს ჩვენი ცხოვრების საფუძველს, მაგრამ მათმა ექსპლუატაციამ შეიძინა იმგვარი მასშტაბები, რომ შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარება თანამედროვე პირობებში საფრთხის ქვეშაა. გამოცდილების თანახმად, ეკონომიკური ზრდა იწვევს რესურსების მოხმარების ზრდას. მიუხედავად შესამჩნევი პროგრესისა, მიღწეული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის სახით (ე.ი. რესურსების გამოყენების ეფექტიანობა პროდუქციის ერთეულზე) წარსულში, როგორც ჩანს, ძნელად სარწმუნოს ხდის იმ მოსაზრებას, რომ რესურსების გამოყენების აბსოლუტური შემცირება შესაძლებელია მიღწეულ იქნეს რაოდენობრივი ზრდის პარალელურად. ამიტომ, ეკოსოციალური საბაზრო ეკონომიკის ამოსავალი წერტილი არის იმგვარი ეკონომიკური ზრდის გააზრება, რომელიც ნაცვლად მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის რაოდენობრივი მაჩვენებლებისა, მიმართულია ხარისხობრივი გაუმჯობესებისკენ. ხარისხობრივმა ზრდამ უნდა შეცვალოს რესურსების ინტენსიურ გამოყენებაზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდა, რომელსაც ჩვენ უკანასკნელ ათწლეულებში განვიცდით. ეს კი მოითხოვს მდგრადი განვითარების ყველა ასპექტის - ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და კულტურული საფუძვლების პრეზერვაციას. ამგვარად, ბუნებრივი რესურსების ფრთხილი, რაციონალური მოხმარება წარმოადგენს აუცილებელ პირობას საზოგადოებათა კეთილდღეობისა და აყვავებისათვის.

მომავალს გააჩნია თავისი შეუქმრდილები, რაც გამოიხატება კლიმატის მკვეთრ ცვლილებაში, რესურსების უყარათოდ ფლანგვაში, ბიომრავალფეროვნების შემცირებაში, დესერტიფიკაციასა და ა.შ., რომელიც უშუალოდ გამოიწვევს ეკოლოგიურ კატასტროფას. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ეკოლოგიური კოლაფსი, ჩვენ პრინციპულად უნდა შევცვალოთ ჩვენი მიდგომა ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან მიმართებაში. უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს რესურსებისა და ენერჯის გამოყენების მკვეთრი შემცირება ერთ სულ მოსახლეზე მაღალი მოხმარების ქვეყნებში. ეს არის ერთადერთი გზა მათი მოხმარების სამართლიანი, გლობალური განაწილების მისაღწევად. ამავე დროს, სოციალური პრობლემები, როგორცაა სიდარბე, ხდება კიდევ უფრო მკვეთრი და ქონებრივი დიფერენციაცია მდიდრებსა და ღარიბებს შორის იზრდება მთელ მსოფლიოში. ერთადერთი გონივრული გამოსავალი ამ მიმე მდგომარეობიდან არის ეკოსოციალური ცვლილებების ეფექტი, რისი მიღწევაც შესაძლებელი იქნებოდა მსოფლიოს მოსახლეობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური საჭიროებებისა და მოთხოვნების მორიგების გზით. ეკოსოციალური საბაზრო ეკონომიკა განსაზღვრავს აუცილებელ ჩარჩო-მოთხოვნებს, რომლის გათვალისწინებითაც ეკონომიკას შეუძლია მყარად ფუნქციონირება.

ჩვენ მიერ უკვე აღნიშნული განსახორციელებელი ღონისძიებების გარდა, ეკოსოციალური საბაზრო ეკონომიკა ასევე ფოკუსირდება ფისკალური პოლიტიკის ირგვლივ. ეკოკაპიტალიზმი გეთავაზობს ახალ საგადასახადო და სუბსიდიის რადიკალურ სისტემას. ეკოსოციალური რეფორმები აუცილებელია ეკოლოგიური და სოციალური მდგრადობის განსამტკიცებლად. მათი რეალიზება ხელს შეუწყობს დასაქმების, რესურსებისა და ენერჯის ეფექტიანი გამოყენების პრობლემების გადაწყვეტას, რის წინაპირობასაც საგადასახადო სისტემის გამარტივება წარმოადგენს. ფისკალური რეფორმის ძირითადი იდეა მდგომარეობს საგადასახადო ტვირთის ნეიტრალური შემოსავლებიდან და სოციალურად მისაღები, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომიდან ეკოლოგიურად მავნე საქმიანობაზე გადახარჯვებაში. აუცილებელია კონტრპროდუქტიული სუბსიდიებისა და საგადასახადო შეღავათების შემცირება ენერჯისა და რესურსების მოხმარებისთვის ისევე, როგორც გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადების გაზრდა. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია შრომითი გადასახადების (საშემოსავლო გადასახადისა და სოციალური უზრუნველყოფის ანარიცხების) დაწვევა დაბალ და საშუალო შემოსავლიან მოქალაქეთათვის. ამგვარი შემცირებებით შესაძლებელი გახდება არა მხოლოდ დასაქმების პრობლემის მნიშვნელოვნად გამოსწორება და ეკონომიკური უპირატესობის მიღწევა, არამედ - უპირატესობის მოპოვებაც ბაზარზე. ამდენად, ეკოსოციალური საბაზრო

ეკონომიკის მოდელი შეიძლება გააზრებულ იქნეს კაპიტალისა და შრომის სინთეზის გაგრძელებად, სადაც გარემოს დაცვის საკითხი ხდება ბაზრის ინსტრუმენტის ნაწილი.

ეკოსოციალური საბაზრო ეკონომიკა დაფუძნებულია სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზე. მას კორექტივები შეაქვს იქ, სადაც ბაზრის ძალებს არ ძალუძთ მყარი შედეგების ჩვენება. იგი მიმართულია ეკონომიკას, სოციალურ საკითხებსა და ეკოლოგიას შორის არსებულ სამართლიან წონასწორობაზე. შეიძლება ითქვას, რომ ის აყალიბებს ალტერნატიულ საბაზრო ფუნდამენტალიზმს.

ეკოსოციალური საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს ერთიან მოდელს, რომელშიც წარმოების მართვა ეფუძნება როგორც სოციალურ სამართლიანობას, ისე ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას. მას სწამს საბაზრო ეკონომიკის მექანიზმების, სადაც ბაზრის ძალები მიჩნეულია განვითარების ძირითად და მამოძრავებელ ძალებად. ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა აღიარებს საარსებო გარემოსა და სოციალური მდგომარეობის ხარისხს, როგორც თითოეული ჩვენგანის კეთილდღეობის ფუნდამენტურ დიმენსიებს. იგი ფოკუსირდება ეკოლოგიურად თავსებად წარმოების პროცესებზე და მიაჩნია, რომ გარემოს დაცვა და სოციალური სამართლიანობა წარმოადგენს აუცილებელ კრიტერიუმებს ეკონომიკური საქმიანობისათვის. ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა ნიშნავს ფიქრსა და მოქმედებას ეროვნული საზღვრების მიღმა, გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების სფეროებში. მას თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიო მოსახლეობის მდგრად და შეუქცევად განვითარებაში. მაღალი სოციალური და საგანმანათლებლო სტანდარტები გავლენას ახდენს დემოგრაფიულ განვითარებაზე. მისი პრიორიტეტია პარტნიორების მოძიება განვითარებად ქვეყნებში და განვითარებად ბაზრებზე. ინვესტიციები მათ სოციალურ სტრუქტურებში საძირკველს უყრის მათსავე გარემოსა და ეკონომიკის მშვიდობიან თანაარსებობას მომავალში.

## დასკვნა

ეკოსოციალური საბაზრო ეკონომიკა მსოფლიო მასშტაბით საჭიროებს შეჯერებულ გლობალურ წესებს. მისი იმპლემენტაცია რეგიონულ დონეზე შეზღუდულია კონკურენციით გამოწვეული შესაძლო დამახინჯებებისაგან. მისი რეალიზაციისათვის აუცილებელია ფართო საერთაშორისო კონსენსუსის მიღწევა. ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის მდგრადი განვითარება ასევე ითხოვს, რომ ეროვნულ, ეკოლოგიურ, სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკურ ასპექტებს დაეთმოს იმგვარივე ყურადღება, როგორც ეკონომიკურ ასპექტს. იგი ეფუძნება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, კერძო სექტორის ინიციატივებს. სოციალური და ეკოლოგიური საბაზრო ეკონომიკის მიზანს წარმოადგენს ეკოსისტემის შენარჩუნება, სოციალური სამართლიანობა, პატიოსანი კონკურენცია, ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობა.

ეკოსოციალური საბაზრო ეკონომიკა არის ეკონომიკური წესრიგის ღია კონცეპტი, რომელიც ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ განვითარებას. იგი იძლევა კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის დიალოგის შესაძლებლობას, ყველა მხარის ინტერესთა შეჯერების მისაღწევად. ის ქმნის სოციალურ-ეკონომიკურ წესრიგს, რომელიც აისახება საზოგადოების ფასეულობებსა და კულტურულ თავისებურებებში. მოცემულ სისტემაში სახელმწიფოს გააჩნია მაკორექტირებელი და მარეგულირებელი ფუნქციები. შეიძლება ითქვას, რომ ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა არის ნაყოფიერი ალტერნატივა ცენტრალიზებული დაგეგმარების ეკონომიკასა და ლიბერალურ ეკონომიკას შორის [6].

ეკოსოციალური საბაზრო ეკონომიკა სამეწარმეო თავისუფლების წყალობით ქმნის ეკონომიკურ სიმდიდრეს და ამ სიმდიდრის გადანაწილებაში იძლევა მონაწილეობის და სოციალური სამართლიანობის მიღწევის შესაძლებლობას. მას გააჩნია ეფექტური ინსტრუმენტები გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად. ეკო-სოციალური საბაზრო ინსტრუმენტები გამოყენებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს მოცემული ქვეყნის პირობებს საერთაშორისო განვითარების მოთხოვნების გათვალისწინებით. თუმცა, ოპტიმალური შედეგების მიზანს ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა ვერასოდეს სრულყოფს, მიუხედავად ამისა, ის საკმარისად მოქნილია იმისათვის, რომ უზრუნველყოს შეუქცევადი პროგრესი და ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა, რომლებიც გარდაუვლად წარმოიქმნება დროდადრო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბაზრო ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ასპექტების სინთეზი აყალიბებს ალტერნატიულ საბაზრო ფუნდამენტალიზმს, რომლის საფუძველია ინოვაციური საბაზრო ეკონომიკა სოციალური სამართლიანობითა და ეკოლოგიური პასუხისმგებლობით, სადაც სოციალური წონასწორობა წარმოადგენს სოციალური კონსენსუსის, ხოლო ეკოლოგიური მდგრადობა - ცივილიზაციის გადარჩენის წინაპირობას.

ჰუმანური ეკონომიკა არ არის ოცნება. იგი უკვე ყველგანაა. ის არსებობს თეორიულად და პრაქტიკულად, თუმცა მის ჩრდილში მოქცევას განაპირობებს ის ეკონომიკური მოდელები და მიდგომები, რომლებიც დომინირებს მედიასა და უნივერსიტეტებში. ჰუმანური ეკონომიკის, როგორც მორალური და პოლიტიკური პროექტის მიზანს წარმოადგენს ახალი ინსტიტუციური სინთეზის შექმნა და დანერგვა პრაქტიკაში, რათა ყოველთვის არსებობდეს ღია წარმოდგენები უკეთესი მომავლის მსოფლიოს მიმართ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Ökosoziale Marktwirtschaft – Wikipedia, [Http://de.wikipedia.org/wiki/%C3%96ökosoziale Marktwirtschaft](http://de.wikipedia.org/wiki/%C3%96ökosoziale_Marktwirtschaft)
2. <http://www.slideshare.net/netzwerkvonchristen/eco-social-market-economy-21-7-2010>
3. ORDO: Jahrbuch für die Ordnung von Wirtschaft und Gesellschaft, Band 51, 2000, S. 169-202
4. Social and Ecological Market Economy. „A General Overview“, Dieter W. Benecke. [www.kas.de/wf/doc/Kas1857-1522-1-30\\_pdf](http://www.kas.de/wf/doc/Kas1857-1522-1-30_pdf)
5. <http://www.seri.at>
6. Social and Ecological Market Economy, <http://www.nbinepal.org.np/adetail.php?id=25>

*Vasil Khizanishvili*

### **ECO-SOCIAL MARKET ECONOMY OR “THE HUMAN ECONOMY”**

#### **Summary**

Eco-social market economy or “the human economy” presents an economic, ecological and social-political approach, where market-oriented, social and ecological aspects create “the strategic triangle”. To protect and keep the balance between the three sides of this triangle is a primary task.

Eco-social market economy means not ideal harmony, but permanent struggle between the different interests of the various political and social forces for the rational balance. Correspondingly, it demands to realize a radical policy at the national, regional and global level.

It is necessary to be the strong social and state institutions, create and secure fair rules of the game under a normative-legal conditions, create a social and ecological standards and realize the transparency in the decision-making process.

Key question of the contemporaneity belongs to the following: which types of the market economy are more effective on the line of the economic success, social justice and ecological sustainability? In most countries under discussion is a question around the neo-liberal and neo-conservative market economies today. Between this are two alternatives is the social and economic market economy, the open and flexible system.

The conception of the eco-social market economy is directed to balance the free market economy. It aspires to the social justice, as well as a long utilization and defense of the natural resources. It presents a holistic model, which is based on the strong and innovative economy.

Our economic and social system with present form is depended on the quantitative economic growth. Though, decrease of the economic growth temps and increase of deficit of resources puts a question about that, how we can ensure a welfare at the national, regional and global level for a long time. Program of the eco-social market economy makes accent not only at the quantitative indices, but mostly at the qualitative indices.

A starting point of the eco-social market economy is a such consideration, which instead of the quantitative growth of the Gross Domestic Product, address to the qualitative improvement. The qualitative growth must change the economic growth, which is based on the intensive utilization of the resources. It demands a preservation of the economic, ecological, social and cultural foundations.

The eco-social market economy also focuses on the fiscal policy. The eco-capitalism offers to us a new taxation and subsidy radical reform. The main idea of the fiscal reform is to shift a taxation load from the social acceptable work on the unhealthy activities.

The eco-social market economy is based on the social market economy. It amends there, where the market forces can't show hard results. One can say that the synthesis of the market economic, social and ecological aspects forms alternative market fundamentalism, basis of which is the innovative market economy with social justice and ecological responsibility.

*ღალი ხიხაძე*

**ბანახლეხადი ენერგეტიკული რესურსების გამოყენების უპირატესობები და  
ნაკლოვანებანი სათბობ-ენერგეტიკული სისტემის განვითარებაში:  
მსოფლიო გამოცდილება და პრაქტიკა საქართველოსათვის**

**ანოტაცია.** კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორია დაკავშირებულია სათბობ-ენერგეტიკის განვითარებასთან, რადგანაც ენერგეტიკული რესურსების დეფიციტი და სიუხვე მკვეთრად განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარების დონეს. მსოფლიოში მიმდინარე ფინანსურმა, ენერგეტიკულმა და ეკოლოგიურმა კრიზისმა საკლებით შეცვალა წარმოდგენა სათბობ-ენერგეტიკის განვითარების მომავალზე. ცივილიზებული კაცობრიობა დარწმუნდა, რომ 4-5 ათწლეულის შემდეგ საქმე გვექნება პრინციპულად ამოწურულ რესურსებთან, ხოლო ეკოლოგიური თვალსაზრისით სიძნელეები გვექნება მათ გამოყენებაში. ამიტომ ქვეყნების წინაშე წარმოიშვა აუცილებლობა ენერგომომჭირნეობის პოლიტიკის განხორციელებისა, სათბობი რესურსების გამოფიტვა ორიენტაციას აკეთებს ენერჯის ახალ აღმდგენად წყაროებზე, რომელთა გამოყენებამაც შეიძლება შეანელოს ბუნებრივი სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი ხარჯვა.

თანამედროვე ეტაპზე ენერგოუსაფრთხოება და სათბობ-ენერგეტიკული პოლიტიკა აქტუალურ და მწვავე პრობლემას წარმოადგენს არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის, რადგანაც მოთხოვნა ნავთობსა და ბუნებრივ აირზე სულ უფრო იზრდება სახელმწიფოების მხრიდან და ხშირად იმ სახელმწიფოთა პოლიტიკური ლიდერები, რომელთაც რესურსები არ გააჩნიათ, დიდი დილემის წინაშე დგანან, როგორ უზრუნველყონ თავიანთი სახელმწიფოს მოთხოვნილებები ენერგორესურსებზე ხელსაყრელ ფასად და მდგრადი ენერგოუსაფრთხოების დასაცავად. ის ქვეყნები რომლებიც ფლობენ დიდი მოცულობით ენერგორესურსების მარაგს, ან ხელი მიუწვდებოდათ მათ კონტროლზე, ცდილობენ ეს უპირატესობა საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად აქციონ.

დღეისათვის მსოფლიოს ენერგეტიკული ბალანსი ასეა განაწილებული: ნავთობზე მოდის მოხმარების - 36%, ბუნებრივ აირზე-28%, ქვანახშირზე-18%, ჰიდრორესურსებზე-14%, ატომურ ენერგეტიკაზე-3%, ხოლო არატრადიციულ ენერგორესურსებზე მოდის 1%. სწორედ ორგანული სათბობი რესურსების ინტენსიური გამოყენება იწვევს დედამიწაზე სითბური ეფექტის ზრდას და გლობალური დათბობის პროვოცირებას, ამასთან ეს წყაროები ამოწურვად და არაგანახლებად კატეგორიას განეკუთვნება, ამდენად ადრე თუ გვიან მოგვიწევს მათი ჩანაცვლება ალტერნატიული (განახლებადი რესურსებით). ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ ყოველწლიური ნავთობის მოპოვება მსოფლიოში შეადგენს 3,4 მლრდ. ტონას, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნავთობის მსოფლიო მარაგი შეფასებულია 140 მლრდ, ტონად. გრძელვადიან პერსპექტივაში მკვეთრად გაიზრდება ფასები ნავთობზე და საშიშროება იქმნება ნავთობის მარაგის ამოწურვაზე, რადგანაც თანამედროვე მოპოვების თვალსაზრისით ნავთობის მარაგი საკმარისი იქნება 40-50 წლის მანძილზე. ბუნებრივი აირის მოპოვება 2-3 ტრილიონ მ3 შეადგენს, საპროგნოზო მაჩვენებლებით ნავარაუდევია, რომ ბუნებრივი აირის მოხმარების ხვედრითი წილი 2030 წლისათვის მაქსიმუმს მიაღწევს, რაც მიგვანიშნებს ფასების ზრდაზე და ბუნებრივი აირის მარაგების შემცირებაზე.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული სისტემა, განახლებადი რესურსები, ორგანული სათბობ რესურსები, ჰიდრორესურსები, გეოთერმული წყალი, მზის, ქარის, ბიომასის რესურსები, ეკოლოგიური წონასწორობა, გლობალური დათბობა, განვითარებული ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკა .

თანამედროვე მსოფლიოში სათბობ-ენერგეტიკული სისტემის განვითარების დინამიკა და ზემოთაღნიშნული ტენდენციები მიუთითებს ახალი ეტაპის დასაწყისზე, რომელიც ხასიათდება ნაწილობრივი გადასვლით ტრადიციული ორგანული წარმოშობის სათბობი (ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი აირი და სხვა) ენერგორესურსების მოხმარებიდან ენერ-

გის ალტერნატიული წყაროების გამოყენებაზე. კერძოდ, ენერგორესურსებზე მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და იმპორტზე დამოკიდებულების შემცირების თვალსაზრისით გარკვეული როლი ეკისრება განახლებად, ეკოლოგიურად სუფთა წყაროებს: ჰიდრორესურსებს, გეოთერმული წყლებს, მზის, ქარის, ბიომასის ენერჯიას. აღნიშნული არატრადიციული განახლებადი რესურსების ათვისება და მათი რაციონალური გამოყენება ახლო მომავალში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ნებისმიერი ქვეყნის სათბობო-ენერგეტიკის კომპლექსს. ალტერნატიული რესურსები, ორგანული წარმოშობის რესურსებისაგან, განსხვავდება ორი მნიშვნელოვანი თვისებით: ისინი პრაქტიკულად ამოუწურავია, მათი გამოყენება ეკოლოგიურ წონასწორობას არ არღვევს და გლობალურ გარემოს ნაკლებ ზიანს აყენებს. ენერჯიის არატრადიციული სახეების მასშტაბების გაფართოება მოითხოვს უფრო ეფექტიან ტექნიკურ საშუალებათა ძიებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და სპეციალიზებულ მოწყობილობათა გამოშვებას.

ენერგეტიკული რესურსები შეიძლება დაფიქსირდეს ორ კატეგორიად: განახლებადი (ალტერნატიული) და არაგანახლებადი(ტრადიციული) რესურსები. პირველს მიეკუთვნება: მზის (ჰელიო), ქარის(ეოლო), გეოთერმული წყლების, ბიომასისა და ზღვის ტალღების. მეორე კატეგორიას მიეკუთვნება ტრადიციული ენერგეტიკული რესურსები -ჰიდრო, სათბობისა და ატომური ენერგეტიკის სახით. მეცნიერული კვლევები ცხადყოფს, რომ განახლებადი რესურსების რაციონალური ათვისება და ეფექტიანი გამოყენება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სათბობო-ენერგეტიკული სისტემის მდგომარეობას.

**განახლებადი ენერგეტიკული რესურსების უპირატესობებია:**

- არ ახდენს უარყოფით ზემოქმედებას გარემოზე და ეკოლოგიურ წონასწორობაზე;
- სრულად განახლებადი და ამოუწურავია;
- განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებით და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით, მინიმუმადე შემცირდება მანვე ნახშირწყალბადების ემისია და გლობალური სითბური ეფექტის შემცირება;
- ყველა ქვეყანა თავად აკონტროლებს და არეგულირებს საკუთარ მოხმარებას.

**განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ნაკლოვანებებია:**

- სრულად განახლებადია, მაგრამ ახასიათებს სეზონურობა. კემოდ ზამთრის პერიოდში მინიმალური და არათანაზომიერია(დამით) მზის ენერგორესურსები და მინიმალურია ელექტროენერჯის გამომუშავება, ზაფხულის პერიოდში გვაღვების დროს იკლებს მდინარეების (წყალუხვობა)ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი და ნაკლები ელექტროენერჯია გამომუშავდება.

- ხეების მოჭრა, ბიომასის შეგროვება, შენახვა და გადამუშავება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული , ასევე ინვესტირებას და ექსპლოატაციის ხარჯებს მოითხოვს მცირე, საშუალო და დიდი ჰესების მშენებლობა.

საქართველო არ არის მდიდარი ნავთობისა და ბუნებრივი აირის საბადოებით, მაგრამ ქვეყანა ფლობს უნიკალურ განახლებად რესურსების პოტენციალს-ჰიდრორესურსების, მზის, ქარის, გეოთერმული წყლების, ბიომასის სახით.

საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჰიდრორესურსებს. ფართო განშტოებული სამდინარო ქსელი შეხამებულია მაღალ მთიან რელიეფს და უხვი ატმოსფერული ნალექი განსაზღვრავს წყლის ენერჯიის დიდ მარაგს. წლიური ჯამური ჩამონადენი შეადგენს 66კმ<sup>3</sup>, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე არათანაბრად არის განაწილებული. დასავლეთ საქართველოს მდინარეების წილზე წლიური ჩამონადენი მოდის 49.7 კმ<sup>3</sup>, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს წილზე 16.3 კმ<sup>3</sup>, წელიწადში.

საქართველოს მდინარეები ხასიათდება მაღალი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალით. ქვეყნის ყველა მდინარის პოტენციური სიმძლავრე არის 26.1 მლნ. კვტ. რომელსაც შეესაბამება წელიწადში 159.4 მილიარდ. კვტ.სთ. ენერჯია. 26500 მდინარიდან ჰიდროენერგეტიკული მიზნებით გამოიყენება ქვეყნის უმსხვილესი წყალსაცავები – ენგური, რიონი, მტკვარი, კოდორი, ბზიფი, ცხენისწყალი, არაგვი და ხრამი. საქართველოს ჰიდრორესურსების შემდგომი ათვისება ჯერ კიდევ ამოუწურავია, რადგანაც საქართველოს ჰიდრორესურსების მხოლოდ 20 % -ია ათვისებული, ქვეყანა კი განიცდის სათბობის, ელექტროენერჯის დიდ დეფიციტს და უმთავრესად ენერგორესურსების იმპორტზეა დამოკიდებული. ამდენად უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების დაჩქარება, რაც ბუნებრივია სარგებლობას მოუტანს, როგორც მოსახლეობას, ასევე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გაუმჯობესებას.

ჩვენი ქვეყნის გეოთერმული წყლების 23 საბადოდან დამუშავებაშია 17. ესენია კინდლი-მოქვის, რეჩხის, საბერიოს, ზუგდიდი-ცაიშის, ქვალონის, მენჯის, სამტრედიის, ვანის, თბილისის, ბიჭვინთის, ხარაგაულის, ალაზნის, კარდანახის, ჯანდარის, ყვარლისა და ენისელის.

გეოთერმული წყლები გამოიყენება თბოენერგეტიკული მიზნით კომუნალურ მეურნეობაში, სასათბურე კომბინატებში, ტექნოლოგიური საჭიროებისათვის ჩაის მრეწველობაში. ბალნეოლოგიურ კურორტებზე და სხვა. ამასთან თერმული წყლების გამოყენება მეტად არადამაკმაყოფილებელია. გეოთერმული წყლების გამოყენების დონე არ აღემატება 30-35%-ს. ხოლო პროგნოზული მარაგია 220-250 მლნ. კუბური მეტრი წელიწადში. დანარჩენი წყალი კი უქმად იღვრება და იწვევს ახლომდებარე ტერიტორიის, როგორც თბურ, ასევე ეკოლოგიურ დაბინძურებას. საქართველოში არსებული გეოთერმული რესურსების ათვისების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება დავზოგოთ 2,5 მლნ. ტონა პირობითი საწვავი, რასაც გააჩნია ეკონომიკური და მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ეფექტი. გასათვალისწინებელია, რომ გეოთერმული წყლების ენერჯიას ენერგეტიკაში იყენებს 20-ზე მეტი ქვეყანა მსოფლიოში, მათგან აღსანიშნავია- ისლანდია, საფრანგეთი, აშშ, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სხვა. განვითარებულ ქვეყნებშიც გეოთერმული წყლების ენერჯიის ხვედრითი წილი მთლიან ენერგეტიკაში ძალიან მცირეა, მაგრამ ასეთი სახის ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივა მნიშვნელოვანია. დედამიწის გეოთერმული წყლების უზარმაზარი მარაგი თითქმის პრაქტიკულად ამოუწურავია, მათი სითბური პოტენციალი განისაზღვრება  $2,94 \times 10^{24}$  ჯოჯოხით.

ამჟამად 50-ზე მეტ ქვეყანაში ვითარდება გეოთერმული ენერგეტიკა. ყველაზე მეტად წარმატებები გეოთერმულ ენერგეტიკაში აქვს იმ ქვეყნებს, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ნავთობის იმპორტზე. მაგალითად, ფილიპინები, სალვადორი, არგენტინა, ეკვადორი, აგრეთვე მაღალგანვითარებული ქვეყნები – აშშ, იაპონია, იტალია და სხვა. საქართველოში გეოთერმული წყლები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ენერგეტიკაში, სასათბურე მეურნეობაში, კომერციულ სტრუქტურებში და საცხოვრებელ სახლებში გათბობისა და ცხელი წყლის მიწოდების მიზნით გეოთერმული სისტემების საშუალებით.

ჰელით რესურსი – მზე არის ენერჯიის უდიდესი წყარო, რომლის სიმძლავრე შეადგენს  $4 \times 10^{23}$  კვტ.სთ, ამასთან დედამიწის წილზე მოდის დაახლოებით  $10^{14}$  კვტ. სიმძლავრე ანუ 34 მლრდ. ტონა პირობითი სათბობი წელიწადში. საშუალოდ  $1 \text{ m}^2$  განათებულ დედამიწის ზედაპირზე მოდის 1 კვტ.

თბური დანადგარებისათვის მზის ენერჯიის გამოყენება უდავოდ რაციონალურია, რაც შეეხება ელექტროენერჯიის მიღებას – ჯერ კიდევ ძვირადღირებული წყაროა, თუმცა განვითარებულ ქვეყნებში ამ მხრივ მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდება. ამჟამად იაპონიაში 8 მლნ.ზე მეტი სახლი მზის ენერჯიით გამთბარ წყალს ღებულობს, ამ დანადგარების საერთო სიმძლავრე 3,2 მლნ. კვტ-ია. აშშ-ში, საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში, იაპონიაში აშენებულია 50-ზე მეტი მზის ელექტროსადგური, რომელთა სიმძლავრე რამდენიმე ათეული ათასი კილოვატია.

საქართველოს უმეტეს რაიონებში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა საკმაოდ დიდია და მერყეობს 200-დან 250 დღემდე. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ უფრო მზიანია აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები, ვიდრე შავი ზღვისპირა და კოლხეთის დაბლობის რაიონები. წლის განმავლობაში მზის ნათების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება როდიონოვკაში (2633სთ.) ყველაზე დაბალი საირმეში (1147სთ.), ზამთრის თვეებში მზის ნათება საშუალოდ 80-120საათს, (მაქსიმუმი შესაძლებლობის 25-40%), ხოლო ზაფხულის თვეებში ზოგჯერ 225-300 საათს (50-65%) და ხელსაყრელ წლებში 300-360საათს (70-75%) შეადგენს.

მზის ენერჯიის ხვედრითი მაჩვენებელი საქართველოს ტერიტორიის 1 კვ. მეტრზე წელიწადში თეორიულად შეადგენს 1500-1800 კვტ. სთ-ს, ხოლო ჯამური ენერგეტიკული პოტენციალი ქვეყნის მთელ ფართობზე გაანგარიშებით შეადგენს 10 მლრდ. კვტ. სთ-ს. რაც 34 მლრდ. ტ. პირობითი საწვავის ეკვივალენტურია. მზის თბური კოლექტორების დახმარებით, მზის პანელების გამოყენებით შეიძლება დავზოგოთ წელიწადში ენერჯიის ეკვივალენტური 7 მლნ. ტონა პირობითი საწვავი, რაც თითქმის ნახევარია იმ ორგანული საწვავისა, რაც იხარჯება ქვეყანაში ენერგეტიკული მიზნებისათვის. ბუნებრივი რესურსების შესაბამისად მზის ენერჯიის გამოყენების მაქსიმალური ეფექტი შეიძლება მივიღოთ სამხრეთ საქართ-

ველოს მთიანეთში და აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, აგრეთვე კოლხეთში, აფხაზეთისა და აჭარის სანაპირო ზოლში.

მზის ენერჯის ძირითადი უარყოფითი მხარეა მისი სეზონურობა და არათანაბარზომიერება (დამით, ღრუბლიან ამინდში, ზამთარში), ამიტომ სარეზერვო დანადგარებისა და აკუმულატორების შექმნაა საჭირო. ამჟამად საქართველოში მზის ენერჯის გამოყენება მხოლოდ საწყის ფაზაშია, მაგრამ მომავალში მას არსებითი მნიშვნელობა უნდა დაეკისროს.

უახლოეს ათწლეულში მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში მუდმივად აღმდგენადი მზის ენერჯის ჩართვას. გასათვალისწინებელია მსოფლიოში ლიდერი ქვეყნების პრაქტიკა და გამოცდილება მზის ენერჯის წარმოების მხრივ, მზის ენერჯია მთავარ პრიორიტეტად ითვლება ისრაელის, გერმანიის, იტალიის, ბელგიის, აშშ-ის, ჩინეთის სათბობ-ენერგეტიკის სისტემაში.

ქარის (ეოლო) ენერჯის გამოყენება. ქარის ენერჯიაზე ინტერესის განახლება მოხდა ჩვენი საუკუნის 70-იან წლებში, მსოფლიო ენერგეტიკაში კრიზისული მოვლენებიდან გამომდინარე, რომელიც გამოიწვია ორგანულ სათბობზე ფასების მომატებამ, განსაკუთრებით ნავთობზე. ამ პერიოდში გამწვავდა გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების პირობებიც, მავნე გამონახობლების დიდი რაოდენობით გამოყოფა, რომელიც მიიღება ორგანული სათბობის წვის დროს.

ამჟამად ქარის ენერჯის გამოყენების საკითხში საკმაოდ დიდი მიღწევები აქვთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს: დანიას, ჰოლანდიას, საფრანგეთს, ინგლისს, შვედეთს, ჩინეთს, აშშ-ს. ამ ქვეყნებში დამუშავდა და დიდი რაოდენობით ექსპლოატაციაშია ქარის ენერჯოდანადგარები, ამავე დროს მიმდინარეობს დამუშავება, ზოგან კი დანერგვა (აშშ, დანია) დიდი სიმძლავრის ქარის ელექტროაგრეგატების აგების. აღნიშნულ ქვეყნებში დამუშავდა და ხორციელდება ქარის ენერჯის გამოყენების სახელმწიფო პროგრამები, რომელთა მიზანია გაიზარდოს ქარის მიერ გამოიშვებული ელექტროენერჯის წილი საერთო მოთხოვნილებაში. განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები ესწრაფიან თავის ენერგეტიკული ბალანსის 15-20%-ით აღდგენა ქარის ენერჯის ხარჯზე განახორციელონ.

საქართველო ქარის ენერჯის გამოყენების თვალსაზრისით უნიკალური ქვეყანაა. იგი ქარის ენერჯის მნიშვნელოვან ენერგეტიკულ პოტენციალს ფლობს. კერძოდ, ყოველწლიურად შესაძლებელია 4 მლრდ. კვტ/სთ ელექტროენერჯის გენერაცია. ჩვენს ქვეყანაში ქარის გამოყენების ყველა პირობა არსებობს, რაც მნიშვნელოვან ეფექტს მოგვცემს სათბობ-ენერგეტიკის სისტემის განვითარებაში, ასევე ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში. მეცნიერული კვლევები ცხადყოფს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ქარის ენერჯის გამოიშვების თეორიული რესურსები შეიძლება შეფასდეს 1012 კვტ.სთ-ის ოდენობით. რეალურად ქარის ენერგეტიკის წილად შეიძლება წელიწადში მივიღოთ 2-3 მლრდ. კვტ/სთ. ელექტროენერჯია. რაც ქარის ენერგეტიკის პერსპექტიულ განვითარებაზე მიუთითებს.

ქარის ენერგეტიკული რესურსების პოტენციალი, როგორც ცნობილია დამოკიდებულია ქარის სიჩქარესა და ხანგრძლივობაზე. ქვეყნის ტერიტორიაზე ქარის საშუალო წლიური სიჩქარე მერყეობს წამში 0,5-0,9 მეტრის ფარგლებში. სიჩქარის შემცირება შეიმჩნევა ქარისაგან შედარებით დაცულ ადგილებში – ღრმა ხეობებში, კახეთის მთებს შორის და ბლობებზე. მაღალი სიჩქარე (6მ/წმ-ზე მეტი) დამახასიათებელია დიდი კავკასიონის და სამხრეთ საქართველოს მაღალი და ღია ადგილებისათვის. ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში ხშირად ქარის სიჩქარე სჭარბობს წამში 15მ-ს. ასეთი ადგილებია რიონისა და მტკვრის ხეობები. ამ რაიონებში საშუალოდ წლიურად ძლიერ ქარიან დღეთა რიცხვი აღწევს 35-ს. ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე მუშა ქარების ხანგრძლივობა წელიწადში საკმაოდ მაღალია, მაგ. მამისონის უღელტეხილზე შეადგენს 6980სთ –ს, ცხრაწყაროზე 6714სთ-ს, დილოში 4020სთ, ფოთში – 4280სთ, ურეკში 5233სთ-ს, გორში 5017სთ-ს, ბათუმში 6242სთ. თბილისში 4436სთ-ს, ყაზბეგში 4951სთ-ს. ქარის ენერგეტიკის განვითარებისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობებია აგრეთვე გარდაბანში, ახალქალაქის, ბოგდანოვკის მიდამოებში და ცალკეული ქედების თხემებზე. სადაც წლის მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში (2000-4000სთ.) ქარის ენერგეტიკული სიჩქარეები 4-5 მეტრზე მეტია წამში.

საქართველოში ქარის ენერგეტიკის განვითარებისათვის არსებობს ფრიად ხელმეწყობი პირობები: 165 მეტეოსადგურზე ათეული წლების განმავლობაში დაგროვილია დიდძალი სტატისტიკური მონაცემები ქარის სიჩქარეებსა და მიმართულებებზე. ამ მიმარ-



თულებების ბაზაზე შეფასებულია ქარის პოტენციალის სიდიდე, შესწავლილია მისი სივრცული განაწილება და ქვეყნის ტერიტორია დარაიონებულია ქარის პოტენციალის სიდიდის მიხედვით, სადაც ქარის პოტენციალის სიდიდე შეესაბამება ქარის დიდი ენერგეტიკის მოთხოვნილებებს. ამ მონაცემების საფუძველზე რამდენიმე კონკრეტულ ადგილზე დასაშვებია დაიწყოს ქარის სადგურის დაპროექტება და მშენებლობა. კერძოდ, ეს არის ღიხის ქედზე განლაგებული მთა-საბუეთის მეტეოსადგურის შემოგარენი, ფოთის პორტის მოლი, კახაბერის დაბლობში კაპანდობის მეტეოსადგურის შემოგარენი და სხვა.

საქართველოს ხელსაყრელი კლიმატის წყალობით გააჩნია ბიომასური ენერგოსადგურების შექმნის უდიდესი პოტენციალი განსაკუთრებით ცხელი წყლისა და გათბობის მისაღებად. რეგიონებში და სოფლად ბიომასა ენერგომომარაგების მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება. ამასთან ერთად ქვეყნის ტერიტორიის 40% ტყეებითაა დაფარული.

საქართველოს ძირითადი ბიომასის ენერგეტიკული პოტენციალი შეადგენს 12,5 მლრდ. კვტ/სტ-ს, შედარებისათვის აღსანიშნავია, რომ ელექტროენერგეტიკული სისტემის მიერ გენერაცია 8-10 მლრდ. კვტ/სთ-ს არ აღემატება. ბიომასის გამოყენება ამჟამად შეშის მოხმარების სახით გვხვდება და შესაძლებელია ეკოლოგიურ კატასტროფამდეც მიგვიყვანოს. აუცილებლობაა ბიომასის დიდი პოტენციალი ელექტროენერჯის გამომუშავების წყაროდ გადავაქციოთ, რათა ქვეყანა გავასუფთავოდ სოფლის მეურნეობისა და ურბანული ნარჩენებისაგან, ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანამ პრიორიტეტულ სტრატეგიულ მიმართულებად საერთაშორისო ტურიზმის განვითარება აირჩია, რაც განსაკუთრებულ ესთეტიკურ წესებისა და სანიტარულ ნორმების მაქსიმალურ დაცვას მოითხოვს.

ზემოთაღნიშნული განახლებადი (ალტერნატიული) ენერგეტიკული რესურსების ჰიდრორესურსების, მზის, ქარის, გეოთერმული წყლების, ბიომასის რესურსული წყაროების პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება და ფართოდ დანერგვა ხელს შეუწყობს ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკის სისტემის განვითარებას და იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას, ქვეყნის რეგიონების, მათ შორის მაღალმთიანი საკურორტო და ტურისტული ზონების, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და კომუნალური მეურნეობების ელექტროენერგეტიკული და თბომომარაგების განვითარებას.

მსოფლიო ბაზარზე ორგანულ სათბობზე- ნაფთობზე, ბუნებრივ აირზე და ელექტროენერჯიაზე ფასების განუწყვეტელი ზრდა, პოლიტიკურად არასტაბილური ქვეყნებიდან მათი იმპორტი, ეკოლოგიური წონასწორობის გამწვავება სულ უფრო აქტუალურს ხდის განახლებადი ენერგეტიკული რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების აქტუალობას, რაც ითვალისწინებს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებასა და იაფი ელექტროენერჯის მიღების შესაძლებლობას. ასევე უნდა გავითვალისწინოთ ენერგომომარაგების ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით გაწეული ფულადი და მატერიალური დანახარჯები, ორგანული სათბობის ეკონომია, ძვირფასი თანამდგენი პროდუქტების ღირებულება, გარემოს ეკოლოგიური დაბინძურების შედეგად გამოწვეული ზარალის შემცირება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. მუხიგულაშვილი, თ. კვარაცხელია, ენერჯის განახლებადი წყაროები და მათი ათვისება, მსოფლიო გამოცდილება, თბ., 2013
2. დ. ჩომახიძე, ენერგეტიკის მდგრადი განვითარების რეგულირების პრინციპები, სტუ, თბ., 2012
3. დ. ჩომახიძე, საქართველოს ენერგეტიკა, თბ., 2015
4. ბ. ჩხაიძე, ენერჯის განახლებადი წყაროების ენერგოეფექტურობა, სტუ, თბ., 2012
5. ლ. ხიხაძე, საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი და მისი გამოყენების პერსპექტივები, ჟურნ. ეკონომიკა, თბ., 2004
6. ლ. ხიხაძე, განახლებადი ენერგეტიკული რესურსების პოტენციალი და მისი გამოყენების პერსპექტივები საქართველოში, სამეცნიერო შრომების კრებულში: „პოსტ-კრიზისული ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმები“, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., გვ., 123-127, თბ., 18. 11. 2011
7. [www.energy.gov.ge](http://www.energy.gov.ge)
8. [www.energenow.com](http://www.energenow.com)

**ADVANTAGES AND DISADVANTAGES OF RENEWABLE ENERGY RESOURCES  
IN THE DEVELOPMENT OF FUEL-ENERGY SYSTEM:  
WORLD EXPERIENCE AND PRACTICE FOR GEORGIA**

**Summary**

The current financial, energy and ecological crisis in the world has completely changed the imagination on the future of development of fuel-energy. Civilized humanity has convinced that 4-5 decades later we will deal with the principled resources, and in ecological point of view we will have difficulties in their use. Therefore, it became necessary for countries to implement policy of energy saving, fuel resource depletion makes orientation on new energy repairing sources, the use of which can slow down the inefficient spending of natural energy resources, along with it the energy safety and fuel and energy policy today is the actual and a severe problem for the whole world.

For today the energy balance of the world is allocated as following: 36% - on oil consumption, 28% - on natural gas, 18% - on coal, 14% - on hydro resources, 3% - on nuclear power and 1% - on non-traditional energy resources. The intensive use of organic fuels causes the growth of heat and global warming on The Earth, and these sources belong to the exhaustible and non-renewable category, so soon or later we will have to replace with alternatives (renewable resources). Besides, it should be taken into account that annual oil production in the world is 3.4 billion tones, if we consider that the world's oil reserves are estimated at 140 billion tonnes. In the long-term perspective prices will be sharply rising on oil and the danger will be set on exhausting oil supplies, as oil supplies will be sufficient for 40-50 years in view of modern extraction. Natural gas extraction is 2-3 trillion m<sup>3</sup>, forecast indicators suggest that the share of natural gas consumption will reach to maximum by 2030, which indicates to the price increase and reduction of natural gas reserves.

The dynamics of the development of the fuel- energy system in the modern world indicates the beginning of a new phase that is characterized by partial transition on the use of renewable sources (alternative) of energy from traditional energy (coal, oil, natural gas and other) consumption.

**Keywords:** *Georgia's fuel-energy system, renewable resources, organic fuels, hydropower, geothermal waters, solar, wind, biomass resources, ecological balance, global warming, energy policy of developed countries.*

მიკროეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების სამსახური

თეიმურაზ ბაბუნაშვილი

ადმინისტრირების როლი და მნიშვნელობა  
ბიზნესსუბიექტების მართვაში

**ანოტაცია.** თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ცნებებს შორის თანაფარდობაზე, რომელთა ძირითადი აქცენტები მიმართულია მმართველობითი პროცესების კვლევაზე, მართვის საზოგადოებრივ-ფუნქციონალური სისტემების უპირატეს გამოყენებაზე, მკაცრ იერარქიაზე, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და ფიქსაციის ფორმალიზებულ წესზე, ასევე ძალაუფლების დანაწილებაზე.

ყურადღებას იმსახურებს ადმინისტრირების შემადგენლობა და შინაარსი, რომელიც ხორციელდება ფორმების მრავალფეროვანი ინოვაციური სხვადასხვა განვითარების დახმარებით, რომელიც გულისხმობს ადმინისტრირების ფორმების უნიფიკაციას ამ მეთოდების დამუშავებისა და დანერგვის პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** ადმინისტრირება; ადმინისტრაცია; ინოვაციები; სუბორდინაცია; ბიზნესსუბიექტები.

\* \* \*

ტერმინი „ადმინისტრაცია“ წარმოადგენს არანაკლებ ტევად და რთულ ცნებას, ვიდრე ის გამოიყენება ძირითადად ორგანიზაციის მართვის აპარატთან მიმართებით. ადმინისტრაციის ცნებაში შეიძლება იგულისხმებოდეს მთლიანად სახელმწიფოს მმართველობითი საქმიანობა.

გარდა ამისა, ტერმინი - „ადმინისტრაცია“ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების მიმართ, მაგალითად, პრეზიდენტის აპარატის მიმართ. ჩვენ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციულ აპარატს, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო მეთაურის უფლებამოსილების შესრულებას.

ამგვარად, ადმინისტრირება შეიძლება განვიხილოთ როგორც თანამედროვე მენეჯმენტის მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც შეისწავლის მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ ფორმებს.

ადმინისტრირებას თეორიასა და პრაქტიკაში განასხვავებენ ორ ძირითად მიმართულებად. პირველი მიმართულება დაკავშირებულია ბიზნესსუბიექტების მართვის რაციონალური სისტემის შემუშავებასთან, მეორე ეხება ორგანიზაციის სტრუქტურას.

ბიზნესსუბიექტების რაციონალური სისტემის შემუშავების დაყვანა საქმიანობის ძირითადი ფუნქციების განსაზღვრამდე, რაც, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა მიგნებულ იქნეს კომპანიის ქვედანაყოფებად და საშუალო ჯგუფებად დაყოფის საუკეთესო საშუალებად, რომელიც შეადგენს ძირითად ბლოკს ანუ კომპანიის სისტემის ელემენტებს, ამის შემდეგ ხორციელდება ორგანიზაციის ელემენტების განლაგება სივრცეში, ანუ განაწილება მართვის დონეების მიხედვით და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის განსაზღვრით. მართვის სისტემის პროექტირების დამაგვირგვინებელ ეტაპს წარმოადგენს ინფორმაციული ურთიერთკავშირის დადგენა კომპანიის ელემენტებს შორის და მის შიგა სივრცეში მიმდინარე პროცესების რეგლამენტის შემუშავება.

ბიზნესსუბიექტების რაციონალური სტრუქტურის აგების საფუძველს წარმოადგენს მართვისა და ორგანიზაციის ფუძემდებლური კანონების, აგრეთვე, საერთო და სპეციალური პრინციპების გამოყენება.

ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება უდავოდ მნიშვნელოვანი ასპექტია. ამასთან, არამართებულია მსჯელობა მასზე, რომ პრაქტიკა თეორიაზე მაღლა დავაყენოთ. პრაქტიკული რეკომენდაციები უნდა იყოს დასკვნებისა და გადაწყვეტილებების შედეგი, რომლებიც შესრულებულია მეცნიერული კვლევების საფუძველზე.

ადმინისტრირებაში ძირითადი აქცენტი კეთდება მმართველობითი პროცესების კვლევაზე, რომელიც მიმდინარეობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, რაც უმეტესწილად განსაზღვრავს ძირითად ნიშნებს, რომლებიც განასხვავებენ ადმინისტრირებას მართვის საერთო თეორიისა და პრაქტიკისაგან, კერძოდ:

- მართვის ხაზობრივ-ფუნქციონალური სისტემების უპირატესი გამოყენება;
- მკაცრი იერარქია;
- მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და ფიქსაციის ფორმალიზებული წესი;

• თანამდებობრივ უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნა, რაც განმტკიცებულია ბრძანებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციების სახით;

- ძალაუფლების დანაწილება.

„ადმინისტრაციისა“ და „ადმინისტრირების“ ცნებებს შორის არსებობს გარკვეული თანაფარდობა. კრიტერიუმად გვევლინება ამ ცნებების გამოყოფისა და ჩამოყალიბების პირველადობა და წარმოებულობა. პრაქტიკაში ჯერ ჩამოყალიბდა ადმინისტრაციული ფუნქციები და შემდეგ შესაბამისი ორგანოები, ამიტომ, მკვლევარებსა და პრაქტიკოსებს შორის ფართოდაა გავრცელებული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ადმინისტრირება წარმოადგენს ადმინისტრაციის საქმიანობის შინაარსს, რაც გამოიხატება აზრთა სხვადასხვაობაში.

ჯერ ერთი, ადმინისტრაციისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა სახეობის საქმიანობის საკმარისად ფართო სპექტრი, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ ზემოქმედებას. მათი გამოყენების უფლებამოსილება, როგორც წესი, მხოლოდ ხელმძღვანელებს აქვთ, მაგრამ არა ადმინისტრაციის მთელ შემადგენლობას. პრაქტიკაში მათ მხოლოდ მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ხელმძღვანელის შესაბამისი გადაწყვეტილებების რეალიზაციაში. ეს გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი ხელმძღვანელის საქმიანობის შინაარსი შეიძლება გასცდეს ადმინისტრირების ჩარჩოებს.

მეორე, ნებისმიერი ხელმძღვანელის საქმიანობაში, მათ შორის, რომელიც არ შედის ადმინისტრაციაში, გამოიყენება ფორმალიზაციის, რეგლამენტაციისა და, კონტროლის მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები. უნდა გვახსოვდეს, რომ ადმინისტრაციის შემადგენლობაში უშუალოდ შედიან მართვის ზედა და გამონაკლისის სახით საშუალო დონის ხელმძღვანელები. ფუნქციონალურ-სტრუქტურული ანალიზის გაგრძელება გვიჩვენებს, რომ ადმინისტრირების ესა თუ ის ფორმა გამოიყენება პრაქტიკულად ფირმის ყველა მონაწილისა და მისი კონტრაგენტების მიერ.

ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტემპები მუდმივად მზარდ მოთხოვნებს უყენებს პროფესიონალ და კვალიფიციურ მენეჯერებს, რაც ამ პროფესიას არა მხოლოდ პრესტიჟულს, არამედ ფართოდ გამოყენებადსაც ხდის.

კომპანიის მენეჯმენტის ადმინისტრირების სისტემა, ორგანიზაციული საფუძვლების სახით, თანმიმდევრულად აერთიანებს და კომპლექსური ზემოქმედების განხორციელების ფარგლებში მიზანმიმართულად იყენებს ისეთ შემადგენელ ნაწილებს, როგორებიცაა:

- მენეჯმენტის ობიექტებისა და სუბიექტების ფორმირების წესი ერთიანი ორგანიზაციის სისტემის ელემენტების სახით;

- მათი შინაგანი ურთიერთკავშირის აგების ფორმები მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სახით;

- ხელმძღვანელების, სპეციალისტებისა და შემსრულებლების ფუნქციების განაწილება და სამუშაო რეგლამენტები;

- კომპანიის მენეჯმენტის მიერ შესრულებული სამუშაოს განხორციელების პროცედურები.

- ბუნებრივია, რომ ადმინისტრირების რესურსების განაწილების შემადგენლობა და შინაარსი შეიძლება საკმაოდ ფართოდ იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა დონეზე.

მენეჯმენტის ადმინისტრირებაში ხშირად გვხვდება კონსტრუქციულ-ინტეგრაციული მომენტები, რაც რეალიზდება შემდეგი პროცედურების სახით, კერძოდ:

- მიზნის დასახვის სისტემა და პროცესის რეგლამენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიზნების დამუშავებას, ანალიზს და რეალიზაციას;

- პროფესიული ოპერაციების და უნივერსალური ქმედებების შინაარსის ფუნქციონალური სამუშაოს შესრულების განაწილება ორგანიზაციულ სტრუქტურებში მუშაკებსა და ქვეგანყოფილებებს შორის;

- მენეჯმენტის პროცესისა და შრომის ორგანიზაციის სრულად უზრუნველყოფა სამუშაო ეტაპების, ფაზებისა და ციკლების პროცესში თანმიმდევრული გაერთიანების გზით;

- როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, არსებობს ადმინისტრირების მრავალფეროვანი გამოვლინებები, რის გამოც ვერ ხერხდება მათი ამომწურავი კლასიფიკაციის დადგენა.

წარმატებული ფორმების კვლევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი ფუნქციონირების ძირითადი მიზნების მისაღწევად საჭიროა შესაბამისი სტანდარტების დაცვით წესრიგის დამყარება, რომელიც მთელ რიგ სიტუაციაში ხელს უშლის დასახული მიზნის მიღწევას. სწორედ ამითაა განპირობებული საბაზისო წესრიგის ფორმირებისა და მოთხოვნების დაცვის აუცილებლობა. საბაზო წესრიგში შედის: სტრუქტურის, შრომის, წარმოების, მართვის, საგარეო კავშირების ორგანიზაცია და ა.შ. ეს ცნებები განსაზღვრავს ფორმის სპეციფიკური ქვესისტემების საფუძვლებს, რაც უზრუნველყოფს მის ეფექტიან ფუნქციონირებას.

საბაზრო პირობებში თითოეული ორგანიზაციისა და ცაკლესული ინდივიდების თავისუფალი ფორმირება და ფუნქციონირება წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს. მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ეს განვითარება, პროცესების და სისტემების შედარებით ეფექტიანი ფორმები თავად საჭიროებს სრულყოფასა და განვითარებას.

ბუნებრივია, ორგანიზაციის ფორმირებით არათუ არ ქრება, არამედ პირიქით, მკვეთრად იზრდება პრაქტიკული მოთხოვნილება მის ადმინისტრირებაზე. კომპანიის რეალურ ფუნქციონირებას თან სდევს ადმინისტრირების ფორმების უაღრესად მრავალფეროვანი სპექტრის დამუშავება და გამოყენება.

ამრიგად, როგორც ორგანიზაციის მთლიანი სამუშაო ციკლი, ასევე მთელი რიგი ქმედებები მისი დაწყებიდან - დამთავრებამდე, აუცილებლად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადმინისტრირების ფორმების ფართო სპექტრით. ორგანიზაციის ადმინისტრირებას, უპირველეს ყოვლისა, თან სდევს შესაბამისი ფორმების სპეციალიზაციის გაფართოება და გაღრმავება. სუბიექტური და სხვა ფაქტორების იდენტიფიკაცია, რაც შესაძლებლობას იძლევა საკმაოდ სრულად და მრავალფეროვნად განისაზღვროს არამხოლოდ მისი შემადგენლობა და შინაარსი, არამედ გაიმიჯნოს მათ შორის სპეციფიკური და მრავალფეროვანი ურთიერთქმედება. სწორედ მისი მიზანმიმართული მასტიმულირებელი კონსტრუქციული რესურსები საფუძველს უყრის ორგანიზაციის ადმინისტრირებისადმი თანამედროვე მიდგომების დამუშავებას და გამოყენებას.

კომპანიის შიდა პოზიციიდან ადმინისტრირება წარმოგვიდგება მისი საწესდებო საქმიანობის რეგისტრაციის, რეგლამენტაციის, ნორმირების, ინსტრუქტაჟის და სანქციონირების ფორმების პაკეტის სახით. ორგანიზაციის სამუშაო უზრუნველყოფის რეჟიმით განისაზღვრება მათი შინაარსი და რესურსების გამოყენების სპეციალიზაცია, რომელიც გულისხმობს გარკვეულ ადაპტაციას კონკრეტული მიზნების, ამოცანებისა და პირობების დაკმაყოფილებასთან, რასაც მივყავართ ორგანიზაციის ადმინისტრირების კონკრეტული ფორმების შემადგენლობისა და შინაარსის თავისებურებებთან.

კომპანიაში შიდა ადმინისტრირების ძირითად ფორმებს წარმოადგენს: წესდება, მარეგულირებელი დებულებები, ორგანიზაციული სტრუქტურები, ნორმები და პროცედურები, ინსტრუქციები, შიდა ნორმატიული აქტები, სუბორდინაცია, განკარგულებები, დადგენილებები.

ეს ჩამონათვალი აერთიანებს ადმინისტრირების ყველასათვის მისაღებ ფორმებს, რომლებთანაც თითოეულ მეწარმე სუბიექტს არაერთხელ ჰქონია შეხება თავის საქმიანობაში. ამასთან ერთად, მათი შემადგენლობა, შინაარსი და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გამოყენება მუდმივად ვითარდება და სრულყოფილი ხდება, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მზარდ მოთხოვნილებათა რეალიზაციის ახალ მეთოდებს და მისი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც გულისხმობს ადამიანური რესურსების სწორად გამოყენების ორგანიზაციას.

ორგანიზაციის ადმინისტრირების რესურსების პაკეტში განსაკუთრებული ადგილი უკავია ისეთ სპეციფიკურ ფორმებს, როგორცაა: სუბორდინაცია და უფლებამოსილება. ის არ წარმოადგენს კონკრეტულ მატერიალურ რესურსს, არამედ ანაწილებს ორგანიზაციის პერსონალის უფლებებს, მოვალეობებს და პასუხისმგებლობას საშტატო შემადგენლობისა და თანამდებობრივი სტატუსის მიხედვით. რეალურად, ფუნქციონირებადი ორგანიზაციის ადმინისტრაციული ზემოქმედების მნიშვნელოვან რესურსს, რითაც ხორციელდება ადმინისტრირების პროცედურის აბსოლუტური უმრავლესობა. უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრირების ზემოთ ჩამოთვლილი ფორმები უშუალოდ გამოიყენება ან არსებით ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციის არა მხოლოდ შიგა, არამედ გარე საქმიანობაზეც.

თუ ოფიციალურ სტრუქტურებთან, საფინანსო და მაკონტროლებელ ორგანიზაციებთან საშტატო განრიგის ზემოქმედების ადმინისტრაციული დოკუმენტური უზრუნველყოფის პროცედურები ცენტრალიზებულად დგინდება, ბიზნესით ინიცირებული კონტრაქტები

საგნობრივ გადამუშავებას მოითხოვს. ასეთი ურთიერთქმედებების ადმინისტრაციული ფორმები და მეთოდები ხელს უწყობს პრაქტიკაში გამოყენების დეტალურ ასახვას.

დოკუმენტურად უზრუნველყოფილი პროცედურების გარდა, ორგანიზაცია მონაწილეობს სხვა, უაღრესად მრავალფეროვან პროექტებში, რაც უზრუნველყოფს მისი საგარეო ურთიერთკავშირების რეალიზაციას. მისი შემადგენლობა და შინაარსი იმდენად მრავალფეროვნად ფორმირდება, იმდენად ინოვაციურადაც ვითარდება საკუთარი ინტელექტუალური ბაზის რეზერვით, რაც ხელს უწყობს ბიზნესსუბიექტების საქმიანობის სრულყოფას.

ადმინისტრირების შემადგენლობა და შინაარსი, მათ შორის მრავალფეროვანა ინოვაციური ფორმების განვითარების დახმარებით, გამოავლენს ორგანიზაციის კონკურენტულ შესაძლებლობებს, ხაზგასმით წარმოაჩენს მის ინდივიდუალურობას. ამასთან ერთად, სხვადასხვა საგარეო კონტრაგენტთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუდმივი კომუნიკაციისა და ურთიერთქმედების საფუძველზე ხელს უწყობს საინვესტიციო გარემოს შექმნის აუცილებლობას.

## დასკვნა

„ფართო პროფილის მენეჯერების“ დილემანტური ვარაუდი იმის შესახებ, რომ ამ სტრუქტურებს არ შეუძლია არსებითი ზემოქმედების მოხდენა ორგანიზაციის მართვაზე, ვერ მოიპოვა მხარდაჭერა. ორგანიზაციების კონკურენციიდან გამომდინარე შერწყმის, შთანთქმის და მიტაცების მრავალი მაგალითი არსებობს. ეს კიდევ ერთხელ იქცევა სწორი მენეჯმენტის განხორციელების ყურადღებას საბაზო ორგანიზაციის ფორმირებაში სტრუქტურული შემადგენლობისა და მისი შინაარსის კონსტრუქციული გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

ადმინისტრირება დღევანდელი გადასახედიდან სხვადასხვა სახით ვრცელდება სათავო ორგანიზაციის სტრუქტურული შინაარსის სწორი გამოყენების ფუნქციების მრავალფეროვნებაზე. ამასთან, ორგანიზაციულ სტრუქტურაში ფორმირდება ქვედანაყოფები, რომელთაც აქვთ მინიჭებული დამოუკიდებელი სტატუსი, რომელიც სპეციალიზდება როგორც მთლიანად ორგანიზაციის, ასევე მისი ცალკეული დანაყოფების ფუნქციონირების ადმინისტრირებაზე, რაც განაპირობებს ბიზნესსუბიექტების მართვაში ადმინისტრირების როლსა და მნიშვნელობას ამ ფორმებისა და მეთოდების დამუშავებისა და დანერგვის პროცესში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. შენგელია, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბ., 2016.
2. ნ. ბაკაშვილი და ავტორთა ჯგუფი, ორგანიზაციის თეორია, თბ., 2009.
3. ბარათაშვილი და ავტორთა ჯგუფი, მენეჯმენტი და ადმინისტრირება, თბ., 2007.
4. არტურ ა. ტომპსონი - უმც. ა.ჯ. სტრიკლენდი III, სტრატეგიული მენეჯმენტი, კონცეფციები და ბიზნესსიტუაციები, საქ., 2010.

*Teimuraz Babunashvili*

## THE ROLE AND IMPORTANCE OF ADMINISTRATION IN THE MANAGEMENT OF BUSINESS ENTITIES

### Summary

The paper deals with the role and importance of administration, focusing on the correlation between "administration" and "administrating" concepts. The main emphasis is directed on researching management processes, preferential use of management linear-functional systems, strict hierarchy, formalized rule of governing decisions and fixation of power, division of power.

Also, with the help of the development of diverse innovative forms, the composition and contents of the administrating are discussed, which implies unification of the forms of administration in the process of elaboration and implementation of these methods.

**Keywords:** Administration; Innovations; Subordination; Business subjects.

**მუნიციპალური მართვის ხარისხის შეფასების საკითხისათვის**

**ანოტაცია.** საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხარისხი განიხილება მომხმარებელთა მოთხოვნებთან შესაბამისობის პოზიციიდან. ხარისხის, როგორც პროდუქტის, მომსახურების ხარისხსა და მომხმარებლის დამოკიდებულებას შორის შეთანხმების მიღწევის პროცესის განმარტება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკის საზოგადოებრივ სექტორში, რომელიც გვევლინება საზოგადოებრივი სიკეთის მწარმოებლად. თუმცა საზოგადოებრივი სექტორის სპეციფიკა – კონკურენციის შეზღუდულობა, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის ორგანოების მხრიდან არასაბაზრო კონტროლი, საზოგადოებრივი სიკეთის წარმოების შესაძლებლობების შეზღუდულობა იწვევს სიკეთის მიმღებთა მიერ არჩევანის შესაძლებლობების არასაკმარისობას და მათი დაკმაყოფილებლობის შეუძლებლობას.

**საკვანძო სიტყვები:** ხარისხი, კონკურენცია, პროდუქტი, მომსახურება, სტანდარტი, კრიზისი, ეფექტიანობა

ამჟამად მრავალი მიდგომა არსებობს სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის ხარისხის ცნების განმარტებისათვის. ამ კატეგორიის არსის და შინაარსის განსაზღვრისათვის საჭიროა უშუალოდ ხარისხის კატეგორიის შინაარსის კვლევა.

არისტოტელემ პირველმა განსაზღვრა „ხარისხის“ კატეგორია და „ბედნიერების მომტანი სიკეთე“ უწოდა. თანამედროვე ფილოსოფიური ლექსიკონი შემდეგნაირად განსაზღვრავს ხარისხს: „ხარისხი არის საგნებისა და მოვლენების ობიექტური, არსებითი შედარებით მდგრადი შინაგანი განსაზღვრულობა“. ლ. პ. კარსავინი ხაზს უსვამდა ხარისხის მრავალმხრივობას და თავის თვითშეგნებას აკავშირებდა ხარისხის აუცილებლობასთან. მან შემოიტანა ცნება „ხარისხობრიობა“. მას ეკუთვნის ხარისხის სისტემური გაგების იდეა, რომლის ფილოსოფიურ სისტემაში რაოდენობა, ზომა და ხარისხი ყოფიერების საწყის ლოგიკურ მომენტებს წარმოადგენს. მან დაასაბუთა ხარისხისა და რაოდენობის დიალექტიკური ურთიერთკავშირი. რაოდენობა, მისი აზრით, არის ხარისხი საკუთარ თავში, ხოლო ხარისხი - რაოდენობა საკუთარ თავში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხარისხი განიხილება მომხმარებელთა მოთხოვნებთან შესაბამისობის პოზიციიდან. ამ მიდგომის ფუძემდებლები არიან ჯ.ვან ეტინგერი და ჯ. სიტგი, მათ შეიმუშავეს ახალი დარგი – კვალიმეტრია, რომელიც იძლევა საქონლის თვისებრივი მახასიათებლების რაოდენობრივი შეფასების შესაძლებლობას. მათი აზრით, ხარისხი შეიძლება გამოხატული იყოს რაოდენობრივი მაჩვენებლებით, თუ მომხმარებელი მოახდენს თვისებების რანჟირებას მათი მნიშვნელობის მიხედვით.

ამჟამად შეიძლება გამოვყოთ „ხარისხის“ კატეგორიის არსისა და შინაარსის გაგებისადმი რამდენიმე მიდგომა. სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სტანდარტი არის ობიექტის საკუთარი მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც ასრულებს დადგენილ მოთხოვნებს. ხარისხის პრობლემების აკადემიის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე განსაზღვრა ხარისხის კონცეპტუალური ხედვა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანისა და საზოგადოების წარმატებული განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველს.

ხარისხის, როგორც ხარისხსა და მომხმარებლის დამოკიდებულებას შორის შეთანხმების მიღწევის პროცესის განმარტება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკის საზოგადოებრივ სექტორში, რომელიც გვევლინება საზოგადოებრივი სიკეთის მწარმოებლად. თუმცა საზოგადოებრივი სექტორის სპეციფიკა - კონკურენციის შეზღუდულობა, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის ორგანოების მხრიდან არასაბაზრო კონტროლი, საზოგადოებრივი სიკეთის წარმოების შესაძლებლობების შეზღუდულობა იწვევს სიკეთის მიმღებთა მიერ არჩევანის შესაძლებლობების არასაკმარისობას და მათი დაკმაყოფილებლობის შეუძლებლობას.

საჯარო მომსახურების ხარისხის განსაზღვრა მომხმარებლის მიერ შედეგის ხარისხისა და მისი მიღწევის პროცესის ერთიანობად მისი აღქმის გათვალისწინებით, გვაძლევს შესაძლებლობას, ჩამოვაყალიბოთ საჯარო მმართველობის ხარისხის საზოგადოებრივი შეფასების მოდელი. ამრიგად მუნიციპალური მართვის ხარისხს წინასწარ განსაზღვრავს საზოგადოებრივ სექტორში გაწეული და მოსახლეობის მოთხოვნილებებისა და მოლოდინის

შესაბამისი მსმ ხარისხი. სახელმწიფო და მუნიციპალურ მართვასთან მიმართებით ხარისხის ცნება მეტწილად დაკავშირებულია ისეთ კრიტერიუმებთან, როგორცაა შედეგიანობა და ეფექტიანობა. საერთაშორისო სტანდარტი ICO განსაზღვრავს როგორც დაგეგმილი შედეგის ხარისხს. ეფექტიანობა არის მიღწეული შედეგის ფარდობა გამოყენებულ რესურსებთან. ასეთივე განმარტებას ვხვდებით ეკონომიკურ ლექსიკონში „პროცესის ეფექტიანობა – შედარებითი ეფექტი განისაზღვრება ეფექტის (შედეგის) შეფარდებით მისი მიღებისათვის გაწეულ ხარჯებთან„, ასეთი თვალსაზრისი შეესაბამება ხარისხის სფეროს აღიარებული სპეციალისტის პიტერ დრაკერის გამონათქვამებს: „ შედეგიანობა“ გულისხმობს კარგი რამეების კეთებას“, მაშინ როცა „ეფექტიანობა“ ნიშნავს „სწორად კეთებას“. 1). ვ.ნ. ლექსინი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის შედეგიანობას განიხილავს ხელისუფლების სტრუქტურების საქმიანობის მოსალოდნელი შედეგების მიღწევის ხარისხად. ხოლო ეფექტიანობას როგორც მართვის შედეგისა და რესურსების თანაფარდობას, რომელიც უნდა განისაზღვროს როგორც ადმინისტრაციული გარდაქმნის ჩატარებამდე, ასევე მის შემდეგ. სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის ეფექტიანობის ამადლება მაშინ ხდება, თუ ერთი და იმეგ მოცულობის სახელმწიფო ფუნქციები სრულდება ნაკლები რაოდენობის რესურსების გამოყენებით. ამასთან, ადმინისტრაციული რესურსების და შედეგების რთული ურთიერთდამოკიდებულების შედეგად ეფექტიანობა მოითხოვს ანალოგიების მეთოდის, შედარებისა და დანახარჯების განსხვავებული თვისებრივი მახასიათებლების შედარებას.

ქვეყნებში, სადაც ადგილი აქვს სახელმწიფო მართვის ორგანოების კრიზისს, გამოიყენება მსოფლიო სტანდარტების შესატყვისი შეფასების მეთოდები, მაგრამ მათი გამოყენება ხდება სამამულო ღირებულებათა და მიზნობრივი განაწესების, ასევე სახელმწიფო მმართველობით სფეროში გადაწყვეტილებათა მიღების რეალური მოდელების გათვალისწინების გარეშე.

სხვადასხვა ავტორის მიერ აღნიშნული განსხვავებული თვალსაზრისი ადასტურებს მითითებული კატეგორიების გაგებისადმი ერთიანი მიდგომების არარსებობას, მათი შინაარსის და განსაზღვრის კრიტერიუმების არეგას. ხშირად გამოყოფენ მხოლოდ ცალკეულ შინაარსობრივ მახასიათებლებს, ზოგჯერ მხოლოდ კონკრეტულ საკითხებს სახელმწიფო და მუნიციპალურ მართვაში. მრავალი ავტორი ცდილობს მართვის შედეგიანობისა და ეფექტიანობის ზოგად, უნივერსალურ განმარტებას. არ ითვალისწინებს მის სპეციფიკას სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სფეროში. ზემოთ ჩამოყალიბებული განმარტებების ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ტერიტორიული მართვის ხარისხის კატეგორია. ამასთან, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს:

1. კატეგორიას საფუძვლად უნდა დადოს ეკონომიკის საზოგადოებრივ სექტორში მიწოდებული სიკეთის ხარისხის არსის მახასიათებლების განსაზღვრა;

2. ხარისხი, როგორც მრავალგანზომილებიანი კატეგორია, ვერ განიხილება ცალმხრივად მიმართულ პროცესად „ხელისუფლების ორგანოები-მოსახლეობა“. უნდა გაითვალისწინოთ მაცხოვრებლების ფორმალური და არაფორმალური ჯგუფების აქტიური უკუშემოქმედება ხელისუფლების ორგანოებზე. აღმასრულებელმა ორგანოებმა მომხმარებელი უნდა აღიქვან როგორც მოქალაქე და უზრუნველყონ მისი არჩევანის თავისუფლება;

3. სახელმწიფო მუნიციპალური მართვა უნდა უზრუნველყოფდეს შემდეგი სფეროების თვისებრივ განვითარებას - ინსტიტუციური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინსტიტუციური სფეროს განვითარებას, რაც ასახავს პოეებს ინსტიტუტების, ნორმების, წესების შექმნაში და დაგეგმვარება მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფებთან მოთხოვნილებების გამოვლენაში, საჯარო მმართველობის ხარისხის შეფასების, მონიტორინგისა და კონტროლის ურთიერთქმედების ორგანიზებაში.

4. ტერიტორიული მართვის ხარისხის ამადლება არ უნდა ითვალისწინებდეს მის მკაცრ სტანდარტიზაციას და დამატებით ბიუროკრატიზაციას. ის ხელს უნდა უწყობდეს სახელმწიფო და მუნიციპალური მომსახურების ჩაბმას ორგანიზაციული თვითშეფასების საფუძვლზე ოპტიმალური მეთოდების, მმართველობითი გადაწყვეტილებების ძიებაში.

საჯარო მმართველობის საზოგადოებრივი და ინსტიტუციური ეფექტიანობა არის საზოგადოებრივი განვითარებისა და ინსტიტუტების დადგენილ სტრატეგიულ მიზნებთან სამოქალაქო საზოგადოების მოლოდინებისა და მომავალი მოთხოვნილებების შესაბამისობა.

ადმინისტრირების ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი პრობლემაა მმართველობითი პროფესიონალიზმის როლის ამადლება საჯარო მმართველობაში და მის პარალელურად საბოლოო შედეგების საზოგადოებრივი განვითარების მიზნების მისაღწევად სამოქალაქო მომსახურების მოტივაციის სისტემის განვითარება.



## გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩიქოვანი თ. ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში. თბილისი, 2015 წ.
2. ლოსაბერიძე დ. ქორიძე ზ. „რატომ გვჭირდება და რა არის თვითმმართველობა“. თბილისი, 2014 წ.
3. <http://www.mrdi.gov.ge/ge/news> საქართველოს რეგიონების განვითარების სტრატეგიები 2014-2021 წლებსათვის.

*Evgeni Baratashvili*

*Guguli Kurashvili*

*Irma Makharashvili-Baratashvili*

### QUALITY EVALUATION CRITERIA FOR MUNICIPAL MANAGEMENT

#### Summary

In a market economy, quality is considered to be compliant with consumer requirements. Determining the agreement between product quality, quality of service, and consumer dependency can be used in the public sector, leading to the production of a public good. However, the specificity of public sector competition, lack of competitiveness on the part of state and municipal authorities, limited opportunities for public benefit cause a lack of choice and the impossibility of their satisfaction.

*თამაზ გამსახურდია  
თეიმურაზ ფესტვენძე*

#### მენეჯერის ინტელექტუალური დონის ამაღლება – ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების გარანტი

**ანოტაცია.** შრომაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ სწორად განხორციელებულ ეკონომიკურ პოლიტიკასა და მეცნიერულად გაანალიზებულ ბიზნეს-გარემოს ეფექტურ განვითარებაზე, რომელიც ადამიანური რესურსების დენადობის შემცირებასა და რაციონალურ გამოყენებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

როგორც ცნობილია, ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი და მისი მაკროეკონომიკური ბაზა თითქმის განადგურებულია და მისი აღდგენა-განვითარება სოლიდურ კაპიტალდაბანდებას საჭიროებს. ამიტომ ხელისუფლება უნდა ცდილობდეს მოიხილოს ინვესტიციები და სასახელო ტრადიციების მქონე ქართულ მეცნიერებას მიეცეს საშუალება, 21-ე საუკუნეში მეცნიერული კვლევებისა და გამოძვინებლობის დარგში ავტორიტეტული სიტყვა თქვას, რაც ახალი დასაწყისი იქნება სამეწარმეო საქმიანობის მაღალი ტემპით განვითარებისათვის.

ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერი და წელგამართული რომ იყოს საქართველოში მცხოვრებმა ადამიანებმა უნდა გაათვითცნობიერონ, რომ მხოლოდ გააზრებული და ეფექტური შრომის შედეგად შეიძლება სასურველი შედეგების მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის კეთილდღეობას. ჩვენ გაცდილებით მეტი რესურსი გვაქვს ვიდრე გვვინია, გაცილებით მეტი ვიდრე ბუნებრივ რესურსებს შეუძლია შემოგვთავაზოს. მაღალი ინტელექტუალური დონის მქონე ერს შეუძლია ძალიან მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიოს თავისი ინტელექტის ხარჯზე, ამის ნათელი მაგალითებია ისრაელისა და სამხრეთ კორეას ახალგაზრდა სახელმწიფოების არნახული მიღწევები ბუნებრივი რესურსების ღრმა დეფიციტის პირობებში.

ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლება შესაძლებელია არა მხოლოდ ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმებითა და პრაქტიკული ღონისძიებებით, არამედ მშრომელ ადამიანებთან მჭიდრო კონტაქტებითა და დაუღალავი შრომით.

**საკვანძო სიტყვები:** ფინანსები, ინვესტიცია, რესურსები, ინტელექტი, დემოკრაფია.

\* \* \*

ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ სწორად განხორციელებული ეკონომიკურ პოლიტიკასა და

მეცნიერულად გაანალიზებულ ბიზნესგარემოს ეფექტურ განვითარებაზე, რომელიც ადამიანური რესურსების დენადობის შემცირებასა და რაციონალურ გამოყენებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ამავე დროს საჭიროა მეცნიერულად გააზრებული რეფორმების გატარება, რომელიც მკვეთრად შეცვლის ადამიანის მოტივაციასა და მის ყოფა-ცხოვრებას.

საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, ეროვნულმა ხელისუფლებამ წარმატებული ნაბიჯები გადადგა ქვეყნის აღმშენებლობის თვალსაზრისით, მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელდებოდა. ამ დროიდან მოყოლებული, ქვეყანა ვერ ჩადგა ნორმალური ცხოვრების კალაპოტში. სწორედ 1992 წლიდან იწყება ქვეყნის ნგრევა. 1996 წლის ბოლოს ე.წ. მიწის კანონს, ანუ მიწის რეფორმას, ერთი უმარტივესი მიზანი ჰქონდა - ეროვნული სიმდიდრის ხელში ჩაგდება და ეროვნული ქონების მასობრივი დატაცება. ზუსტად იგივე მოხდა, როცა სახელმწიფო ქონების არასწორი პრივატიზაციის ჩატარების შედეგად ერთი მუჭა „მოძალადეების“ ხელში აღმოჩნდა და უზარმაზარი მრავალმილიარდიანი ქონება, ათასობით ქარხანა დახურეს და ჯართად გაყიდეს, რამაც დასაბამი მისცა ქვეყანაში კრიზისის დაწყებას.

საქართველოს აქვს იმის რესურსი, რომ ევროპაში ერთ-ერთ გამორჩეულ ქვეყნად ითვლებოდეს.

საერთოდ მიჩნეულია, რომ ჩვენი და ევროპის ხალხების ბედი ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით განვითარდა. ქართულმა ცივილიზაციამ, რომელსაც ბევრად უფრო ძველი და საამაყო წარსული აქვს, ვიდრე ნებისმიერ თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოს, ადრინადად დაიპყრო კულტურის, ხელოვნებისა და პოლიტიკური ცხოვრების მწვერვალები. თამარის დროს თუ თბილისის მოსახლეობა 250000 კაცს აჭარბებდა, მაშინდელი ლონდონისა და პარიზის მცხოვრებთა საერთო რაოდენობა სულ რაღაც 8-12 ათასი იყო. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ საქართველოს ბიუჯეტი „ოქროს ხანის“ დროს ინგლისისა და საფრანგეთის გაერთიანებულ ბიუჯეტს აჭარბებდა. მაშინ მოსახლეობის პრიორიტეტი იყო ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერება და თვითგანვითარების განმტკიცება. ასევე დიდი იყო პატრიოტული სულისკვეთება და სამშობლოსადმი სიყვარული. საბოლოოდ ეს აისახა ქართველი ერის კონსოლიდაციასა და ახალ-ახალი იდეების განხორციელებაში.

ქვეყანაში ადრე არსებული სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თითქმის განადგურებულია და მისი აღდგენა-განვითარება სოლიდურ კაპიტალდაბანდებას საჭიროებს. ამიტომ ხელისუფლება უნდა ცდილობდეს მოიზიდოს ინვესტიციები და სასახელო ტრადიციების მქონე ქართულ მეცნიერებას მიეცეს საშუალება, 21-ე საუკუნეში მეცნიერული კვლევებისა და გამოგონებლობის დარგში ავტორიტეტული სიტყვა თქვას, რაც ახალი დასაწყისი იქნება სამეწარმეო საქმიანობის მაღალი ტემპით განვითარებისათვის.

რა დასამალია, რომ ჩვენს ქვეყანაში ადამიანური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტი ძალიან დაბალია, რაც ქვეყნის წინსვლაზე უარყოფითად აისახება. როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, დიდი ჩამორჩენა გვაქვს მეცნიერების დარგებში და ეს იმიტომ, რომ წლების განმავლობაში სახელმწიფო არანაირ ყურადღებას არ იჩენდა მეცნიერების მიმართ. რა არის სახელმწიფო (ხელისუფლება) თუ არა ადამიანური რესურსებით, ცოდნით, კვალიფიციური სპეციალისტებით, გამოცდილი და პროფესიონალი ადამიანებით დაკომპლექტებული აპარატი, რომელიც იღწვოდეს და დიდ ენერჯიას ხარჯავდეს საკუთარი ქვეყნისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამალგებისათვის. როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ მმართველობით სტრუქტურებში მომუშავე არაკომპეტენტური, დაბალკვალიფიციური გამოუცდელი, და მხოლოდ ნაცნობობითა და პარტიული ნიშნით შერჩეული სახელმწიფო მოხელეები ანგარიშგადებული არიან არა მოსახლეობის წინაშე, არამედ იმათ მიმართ, ვინც მათ ეს თანამდებობა უბოძა. აქედან გამომდინარე, ქვეყნა ვერ გამოდის ეკონომიკური კრიზისიდან და მოსახლეობას მძიმე პირობებში უხდება ცხოვრება. ამას ემატება მოსახლეობის შივა და გარე მიგრაცია, თანდათან იცლება სოფელი, განსაკუთრებით მთიანი რეგიონები. ასევე მცირდება თბილისისა და ბათუმის ხარჯზე სხვა ქალაქების მოსახლეობის რაოდენობა. არადა ჩვენი ქვეყანა ტრადიციულად რეგიონებითა და სოფლით იყო ძლიერი. სოფლის დასუსტება ქვეყნის დაზარალებას ნიშნავს. ამ პროცესს პატარ-პატარა რეგულაციებითა და ერთეული

საკანონმდებლო აქტებით არ ეშველება, აქ უფრო საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება, მძლავრი რეფორმები და ქმედებებია საჭირო.

ჩვენი აზრით, თვითმმართველობის ორგანოებში ასარჩევი კანდიდატურები უნდა იყოს შერჩეული ცივი გონებით, „სუფთა ხელებით“, რაც ნიშნავს, რომ პიროვნება უნდა იყოს პატიოსანი, განათლებული, ინტელექტუალური, პროფესიონალი, გამოცდილი და სიღრმისეულად გრძნობდეს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას. სწორედ ასეთი მიდგომებით უნდა ვირჩევდეთ ღირსეულ კანდიდატს, რომელსაც აქვს სტრატეგიული ხედვა, შემოქმედებითად უდგება უფლება-მოვალეობის შესრულებას და წარმატებით აღწევს შედეგებს.

წინა საუკუნეში მოსახლეობას ქალაქად თუ სოფლად უკეთესი პირობები ჰქონდა მაშინ, როცა საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგებს შორის ყველაზე მეტი იყო პურეული კულტურის ხვედრითი წილი. მე-19 საუკუნეში ყანების ფართობი თანდათან იზრდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოში წამყვანი იყო ხორბალი და ქერი. მეტ-ნაკლები რაოდენობით თესავდნენ სიმინდს, შვრიას, ჭვავს, ფეტვს, ბრინჯსა და სხვა კულტურებს. ხოლო დასავლეთ საქართველოში სახნავ-სათესი მიწების უდიდესი ნაწილი ეკავა სიმინდს, რომელიც თითქმის მონოკულტურას წარმოადგენდა გურია-სამეგრელო-აფხაზეთსა და ქვემო იმერეთში. სიმინდის ყანებში, ჩვეულებრივ, ლობიოც ითესებოდა, პურსა და ქერს შედარებით მეტი ფართობი ეკავა რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთსა და ზემო იმერეთში. როგორც ცნობილია, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთში გამოყვანილი მაღალი საგემოვნო თვისებების მქონე ლობიოს მოსავალმაც იკლო, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მაღალი მოთხოვნადი ლობიოს მოსავლიანობის გადიდებას. საქართველოს მოსახლეობისათვის მევენახეობა-მეღვინეობას ძველთაგანვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ სოფლის მეურნეობისა და შინა მრეწველობის ამ დარგმა სავაჭრო-სასაქონლო ხასიათი მიიღო მე-19 საუკუნეში, ხოლო მომდევნო საუკუნეში მან დიდი მოწონება და აღიარება პოვა მსოფლიოში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ღვინის ბრენდი მილიონობით ბოთლი იგზავნება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. უკანასკნელ პერიოდში ქართულ ღვინოებზე სულ უფრო იზრდება მოთხოვნა.

საქართველოს მთიან ზონაში მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს, მოსახლეობის კეთილდღეობის ძირითად საფუძველს წარმოადგენდა. დაბალ მთიან ზონასა და ბარის რეგიონებში მას ჰქონდა დამხმარე მნიშვნელობა.

ქართლ-კახეთში მეცხოველეობის განვითარება-გაფართოების მთავარი საფუძველი იყო ალპური საძოვრები და მოურწყავი ველები, რაც ზამთრის საძოვრებს წარმოადგენდა. ბევრი პირუტყვი ჰყავდათ იმ სოფლებში, რომელთა მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა ესარგებლა როგორც საზაფხულო, ისე ზამთრის საძოვრებით. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ მთიანეთში, საზაფხულო საძოვრები ბევრი იყო, ზამთრის საძოვრები კი მეტისმეტად მცირე. შედარებით მეტი პირუტყვი ჰყავდა სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, აფხაზეთისა და აჭარის მცხოვრებთ.

როგორც ცნობილია, 1909-1913 წლებში მთელ საქართველოში ყოველწლიურად აღირიცხებოდა ცხენი 134800, ხარი, მსხვილფეხა საქონელი 1268800, კამეჩი 178400, ღორი და გოჭი 700000, ცხვარი 2145000, თხა 233400. 1913 წელს 3,6 მლნ ყველა სახის შინაური პირუტყვი აღირიცხა. 1916 წლისათვის შემცირდა 2590000-მდე, ანუ 1010000 ნაკლები ვიდრე ეს იყო 1913 წელს.

საქართველოში მეფრინველეობას ფეოდალიზმის ხანაშიც მისდევდნენ, მაგრამ ძირითადად შინაური მოხმარებისათვის. მე-19 საუკუნეში ამ დარგმა თანდათან მიიღო სასაქონლო-სავაჭრო ხასიათი. 90-იან წლებში გურია-სამეგრელოსა და ქვემო იმერეთში ყოველ კომლზე საშუალოდ მოდიოდა 350-400 ფრთა ქათამი, ინდაური, იხვი და ბატი. ფრინველი და კვერცხი დიდი რაოდენობით ჩამოჰქონდათ ქალაქებში. მარტო თბილისში იგზავნებოდა ყოველწლიურად 525 ათასი ქათამი, 630 ათასი ვარია, 90 ათასი ინდაური. მე-20 საუკუნის დამდეგს დასავლეთ საქართველოდან ყოველწლიურად გასაყიდად გაჰქონდათ 2,5 მლნ მანეთის მეფრინველეობის პროდუქტები. 1,2 მლნ მანეთის კვერცხი იგზავნებოდა ლონდონში, პარიზში, ბერლინსა და ჰამბურგში. 1913 წელს დასავლეთ საქართველოდან რკინიგზით გაიგზავნა 157 ათასი ფუთი კვერცხი. მეაბრეშუმეობა საქართველოს სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ძველი დარგი იყო. იმთავითვე გამოირჩეოდა შედარებით მაღალი სავაჭრო-სასაქონლო მნიშვნელობით. XVII-XVIII საუკუნეებში ქართველი ვაჭრები აბრეშუმს საცვლელ ღირებულებადაც კი იყენებდნენ, სპარსულ და რუს ვაჭრებს საქონელში ფულის ნაცვლად აბრეშუმის გარკვეულ რაოდენობას აძლევდნენ. XIX საუკუნის 40-იან

წლებში ყოველწლიურად ამზადებდნენ 1000-1500 ფუთ აბრეშუმის ძაფს. ერთი ფუთი აბრეშუმში ხარისხის შესაბამისად 55-110 მანეთად იყიდებოდა. ძაფის დიდი ნაწილი რუსეთსა და უცხოეთში იგზავნებოდა. მცირე ნაწილს თვით შინამრეწველები იყენებდნენ ქსოვილების დასამზადებლად. მეფუტკრეობას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში მისი მასშტაბი და ხარისხი გაიზარდა, მაგრამ მკვეთრი გარდატეხა არ მომხდარა. ქართულმა რუსმა ფუტკარმა საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა, იგი საუკეთესოდ აღიარეს მსოფლიოს მასშტაბით, თაფლისა და სანთლის წარმოების რაოდენობრივი მაჩვენებლები ნელა იზრდებოდა. 1913 წელს საქართველოში აღირიცხა მეფუტკრეობის 6376 მეურნეობა და 53105 ძირი სკა. 1919 წელს მეფუტკრეებმა მიიღეს 35000 ფუთი თაფლი და 3700 ფუთი სანთელი. ბაზარზე გაიტანეს 15355 ფუთი თაფლი და 3374 ფუთი სანთელი, რაშიც მიიღეს 129839 მანეთი. ვინ მოთვლის რა სახის კულტურები არ მოჰყავდათ ქართულ მიწაზე, კერძოდ ბამბის კულტურას საქართველოში საკმაოდ დიდი ისტორია აქვს, მაგრამ ბამბის პლანტაციების ფართობი მკვეთრად გაიზარდა XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს, მას შემდეგ, რაც სამოქალაქო ომმა შეაფერხა ბამბის იმპორტი აშშ-დან, რუსმა ფაბრიკანტებმა დიდი მოთხოვნილება წამოუყენეს იმპერიის სამხრეთ რეგიონებს. მებამბეობის ძირითადი რეგიონი იყო იმერეთი, XIX საუკუნის შუახანებში წლიურად იღებდნენ 3 ათას ფუთ ბამბას. 1863 წელს მოიწიეს 10000 ფუთი, ხოლო 1864 წელს 50000. ქართული ბამბა გაჰქონდათ რუსეთში და მცირე რაოდენობით საზღვარგარეთაც. ეს მცირე მონახაზი იმიტომ გავაკეთეთ, რომ ახალგაზრდა თაობამ იცოდეს, ტექნიკის უქონლობის პერიოდში ჩვენი წინაპრები თუ რა მძიმე ფიზიკური შრომით რა დიდ წარმატებებს აღწევდნენ სოფლის მეურნეობის დარგებში. დღეს უფრო მეტი რესურსები არსებობს, მაგრამ ისეთი შემართება და მონღომება არ არის, როგორც მაშინ იყო.

ჩვენ გაცილებით მეტი რესურსი გვაქვს ვიდრე გვეგონია. ჩვენ გვაქვს გაცილებით მეტი ვიდრე ბუნებრივ რესურსებს შეუძლია შემოგვთავაზოს. მაღალი ინტელექტუალური დონის მქონე ერს შეუძლია ძალიან მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიოს თავისი ინტელექტის ხარჯზე, ამის ნათელი მაგალითებია ისრაელისა და სამხრეთ კორეას ახალგაზრდა სახელმწიფოების არნახული მიღწევები ბუნებრივი რესურსების ღრმა დეფიციტის პირობებში.

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო აგრობიზნესის სფეროში და ახლაც საშურია რომ შევინარჩუნოთ მიღწეული სიმაღლეები. ქვეყანას, მიუხედავად მცირე მიწიანობისა, შეუძლია ძალიან ბევრი ნატურალური და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი მიაწოდოს მსოფლიოს.

წინა ხელისუფლებასთან შედარებით, ქართულმა ოცნებამ გარკვეული ქმედითი ნაბიჯი გადადგა სოფლის მეურნეობის წინსვლის, მოსახლეობის ჯანმრთელობის, საყოფაცხოვრებო და მართლწესრიგის გაუმჯობესების მიმართულებით, მაგრამ ეს არასაკმარისი აღმოჩნდა, რადგან ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმები და გაკეთებული კეთილშობილურ საქმეებზე გამოყოფილი ფინანსური რესურსები უყაირათოდ და არამიზნობრივად იყო გამოყენებული არა მარტო აღმასრულებელი ჩინოვნიკების, არამედ უშუალოდ მიმღებების (ბენეფიციარების) მხრიდან. დანგრეული მეურნეობის აღდგენას კოლოსალური დაბანდება და ათეული წლები სჭირდება, მაგრამ ქართველი კაცის პატრიოტული სულისკვეთების და თავის სამშობლოსადმი დიდი სიყვარულით ყველაფრის დაძლევა შესაძლებელია.

როგორც იტყვიან, ადამიანს სამშობლოს სიყვარულით უნდა უბეგრდეს გული და დასახულ მიზნებს აღწევდეს თავისი პატიოსანი შრომით. როცა უმრავლესობა ასე ფიქრობს, ერს გადაშენება არ უწერია. მოვიკრიბოთ ძალა და ენერჯია რათა ქვეყანა ვისსნათ კრიზისისაგან. ამის ნათელი მაგალითია ვანის რაიონის მაღალმთიანი სოფელ უხუთის გამგებელი ვიტალი ოქროპილაშვილი. რომელიც ენერჯით სავსე ადამიანია. დღენიადაგ თავის მშობლიურ სოფელზე მოფიქრალი კაცია, რომელიც ციბრუტივით ტრიალებს, შრომით არ იღლება, სურს სოფელი იყოს ეკონომიკურად ძლიერი. უნდა აღინიშნოს, რომ გულანთებული სოფლის თავკაცის მცდელობას ხელს უწყობს ღამაზი სოფლის ლანდშაფტი და ზომიერი ჰავა. სოფელში ჩამოედინება მთის კამკამა ცივი მდინარე „კვინიწყალი“, რაც შესაძლებლობას იძლევა აქ ამენდეს ადამიანის ჯანმრთელობის რეაბილიტაციისათვის დასასვენებელი სახლები და სპორტული ობიექტები. როგორც ვიტალი ოქროპილაშვილის საუბრიდან ირკვევა, სოფელში ჩამოსული ყოფილან ფრანგი

ინვესტორები, რომლებსაც ძალიან მოსწონებიათ უხუთის თოვლიანი მთების, როგორც სამთო-სათხილამურო კომპლექსის პერსპექტიული ადგილი. თუ ეს იდეა განხორციელდა, სოფელი მართლაც მოღონიერდება, მოეწყობა მრავალფეროვანი ინფრასტრუქტურა და იმერეთში სოფელი უხუთი გახდება ტურისტულ და სპორტულ სფეროში სანახაობის სავიზიტო ბარათი.

ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერი და წელგამართული რომ იყოს, საქართველოში მცხოვრებმა ადამიანებმა უნდა გაათვითცნობიერონ, რომ გააზრებული ეფექტური შრომის შედეგად შეიძლება მიღწეულ იქნეს სასურველი შედეგები, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყნის კეთილდღეობას.

ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ნელ-ნელა დაიწყო წარმატების მოპოვება. თუ 2012 წელს პროდუქციის გამოშვებამ 23,096.0 მლნ ლარი შეადგინა, 2017 წლის ბოლოსათვის მან მიაღწია 38,206.8 მლნ ლარს, ანუ 65,4%-ით გაიზარდა პროდუქციის გამოშვება. ამავე წლებში მსხვილ წარმოებაში პროდუქციის გამოშვებამ შეადგინა შესაბამისად 19,002.5 მლნ ლარი და 30,791.0 მლნ ლარი, ანუ 62,0 %-ით გაიზარდა. საშუალო წარმოებაში 1.740.2 მლნ ლარი და 3631.7 მლნ ლარი, ანუ გაიზარდა 108.6%-ით; მცირე წარმოებამ 212 წელს აწარმოა 2,353.3 მლნ ლარის, ხოლო 2017 წელს კი 3,784.2 მლნ ლარის პროდუქცია. ანუ გაიზარდა 60.8%-ით.

სტატიკური მონაცემებიდან იკვეთება შემდეგი სურათი: პროდუქციის გამოშვება ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით 2012 წელთან შედარებით 2017 წელს – ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში პროდუქციის ზრდამ 84,2% შეადგინა, თევზჭერისა და მეთევზეობის პროდუქცია გაიზარდა 4,8-ჯერ. მრეწველობაში გაიზარდა 57,4%-ით. მშენებლობაში 59,2%-ით, ვაჭრობის, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი გაიზარდა 72,1%-ით. სასტუმრო და რესტორნების მომსახურება 107,4%-ით (ეს გამოწვეული იყო იმით, რომ საზღვარგარეთიდან ტურისტების შემოდინება საგრძნობლად გაიზარდა, ეს, რა თქმა უნდა, დადებით ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ), ხოლო ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მომსახურება 52%-ით. ქვეყანაში იზრდება უძრავი ქონების, იჯარისა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწვევის ოპერაციები 99,8%-ით. განათლებაში კი 115,2%-ით. ჯანდაცვა და სოც. მომსახურება 129,5%-ით, ხოლო კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწვევა წინა წელთან შედარებით 16,2%-ით გაიზარდა. პროდუქციის გამოშვება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღნიშნული მაჩვენებლები სრულად უზრუნველყოფს მოსახლეობის დღევანდელი გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის ყველაზე მწვავე და მნიშვნელოვანი პრობლემაა არასახარბიელო დემოგრაფიული მდგომარეობა, რომელიც უარყოფითად აისახება ერის მომავალზე. მაგალითად, თუ 1994 წელს ადამიანების პოპულაციის ბუნებრივი მატება იყო 6,985 მლნ, 2018 წლისთვის ეს რიცხვი 4,614 მლნ-მდე, ანუ 33,9%-ით შემცირდა.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ კადრების შერჩევა არსებული მეთოდებით არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება. უმრავლესობა, მუნიციპალიტეტებსა და ზემდგომ სახელისუფლებო შტოებში ჩინოსნები უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის პარამეტრებს ვერ პასუხობენ... თანამდებობის პირები დღენიადაგ იმის ზრუნვაში უნდა იყვნენ, რომ არსებული პრობლემების გადაჭრაში დაეხმარონ და იზრუნონ მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. სახელმწიფო მოხელეები სისტემატურად უნდა ხვდებოდნენ მოსახლეობას, ეცნობოდნენ მათ ყოფა-ცხოვრებას.

ნათქვამია, ასჯერ წაკითხულს ერთხელ ნანახი სჯობიაო. ქართველმა ჩინოვნიკებმა ყურად იღონ ის ბრწყინვალე მაგალითი, როდესაც საფრანგეთში ყვითელი ჟილეტებით გამოვიდნენ, იცით, პირველი რა გააკეთა საფრანგეთის პრეზიდენტმა? 5 თვის განმავლობაში ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ დადიოდა და ხალხს უსმენდა. ბოლოს გამოვიდა და თავისი სიტყვა თქვა, ყველა მოთხოვნა, რაც ფრანგებმა მთავრობას წაუყენეს, შეასრულა.

ქვეყანაში ბევრი კარგი რამე კეთდება, მაგრამ ვერა და ვერ პოვა სრულყოფილად ასახვა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში. ინტენსიურად უნდა განვითარდეს ის დარგები და ქვედარგები, რომლებიც ქართველ ხალხს ხელეწიფება და სურვილი აქვს აწარმოოს, ასეთი კი მრავალი სახეობის კონკურენტუნარიანი პროდუქციაა. ასლახან პრემიერ-მინისტრმა მ. ბახტაძემ გააჟღერა და ქართველ ხალხს ამცნო, რომ 2020 წლიდან

ქუთაისში ჩინური საავტომობილო კორპორაცია „ჩანგანი“ ელექტრომობილების წარმოებას დაიწყო. ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება კი საშუალებას გვაძლევს, ჩვენთან წარმოებული ავტომობილები ექსპორტზე გავიტანოთ, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯია. ნამდვილად საამაყოა წარწერით MADE IN GEORGIA მსოფლიოში გაგვიცნოს. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში რამდენიმე ათეული ავტომწარმოებელი კომპანია მუშაობს და საკმაოდ დიდია კონკურენცია „ჩანგანმა“ ძალიან მალე მოიპოვა ლიდერის სტატუსი და დღემდე ასე გრძელდება. როგორც საქართველოში „ლადას“ ცენტრის დირექტორი და „ჩანგანის“ პირველი წარმომადგენელი გონა როსტიაშვილი აღნიშნავს, საწყის ეტაპზე მაკომპლექტებელი ნაწილებით ჩვენი ქვეყნის მომარაგებას თავად ჩინური კომპანია უზრუნველყოფს. ასე ვთქვათ, თავდაპირველად ქუთაისში მანქანები მხოლოდ აიწყო, თუმცა დროთა განმავლობაში საქართველო თავად დაიწყო მაკომპლექტებელი დეტალების დამზადებას, რაც თავისთავად შექმნის ახალ სამუშაო ადგილს. ვფიქრობთ, თუ სიტყვა საქმედ ვაქციეთ, მაშინ ქუთაისს მიეცემა შანსი, ინდუსტრიული ქალაქის იმიჯი აღიდგინოს. ეს ყველა ქართველის ოცნებაა და მით უმეტეს ქუთათურებისათვის. ჩვენი დაკვირვება გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ქუთაისი ნელ-ნელა იღვიძებს და იკრებს ძალას. ქუთაისი იყო რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების ტონის მიმცემი. ერთ-ერთ ინტერვიუში იმერეთის მხარის ყოფილი გუბერნატორი თეიმურაზ შაშიაშვილი ავტონდუსტრიის განვითარებასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ საბჭოთა პერიოდში ამ მრეწველობის ცენტრად ქუთაისი იქცა, სადაც 1950 წელს პირველი ავტომობილი გამოვიდა. ქუთაისში არა მხოლოდ მანქანები იწარმოებოდა, არამედ სპეცტექნიკა, ტრაქტორები, სამხედრო ტექნიკა, ჯავშანტრანსპორტიორები, ელექტროტექნიკა, მაღაროების ელექტროკარები, ნავთობ და წყალსაქანი ჩასაყვინთი ტუმბოები და აქვე იყო ყოფილი საბჭოთა ქვეყნის მასშტაბით შევეულმფრენების ძრავების შემკეთებელი ერთ-ერთი უდიდესი საწარმო. ავტომობილებისა და სპეცტექნიკისათვის მაკომპლექტებელი დეტალებიც აქვე მზადდებოდა. საუბარია დაახლოებით 10 საწარმოზე, რომლებიც მოიცავდა ავტო და სატრაქტორო, ელექტრომექანიკურ მრეწველობას, რეზინების წარმოებას და ა.შ. იმდროინდელი ტექნოლოგიით სამუშაოები უმაღლეს დონეზე სრულდებოდა და ქართულ პროდუქციას ძალიან გამოცდილი მუშახელი ქმნიდა. აღნიშნული ტექნიკა და ტექნოლოგიები განადგურდა, მაღალკვალიფიციური და გამოცდილი კადრები გადააკვალიფიცირდნენ ბაზრობების ხელზე მოვაჭრეებად. იმავდროულად ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ამარაგებდა არსებულ საწარმოებს მომზადებული კვალიფიციური სპეციალისტებით.

ჩვენს ქვეყანაში დღითიდღე იზრდება ტურისტების ნაკადი, რადგან ისინი დაინტერესებულნი არიან ჩვენი ერის წარსულით, ისტორიული ძეგლებით თუ ეკლესიამონასტრებით, რომლებსაც თავისი ხიბლი და მიმზიდველობა არ დაუკარგავს. ანცივიფრებთ ხალხის სტუმარმასპინძლობა, საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის ოფიციალური ინფორმაციით 2019 იანვრის მონაცემებით ჩვენს ქვეყანაში ტურისტული ვიზიტების რაოდენობა 5,9 %-ით გაიზარდა. შარშანდელ წელთან შედარებით აღინიშნა ტურისტების მნიშვნელოვანი ზრდა ევროკავშირის ქვეყნებიდან, პოლონეთიდან 130,5%-ით, ჩეხეთიდან 96%-ით, ესპანეთიდან 65%-ით, ლატვიიდან 63%-ით, გერმანიიდან 46,6%-ით, ლიტვიდან 40,8%-ით და ა.შ. უფრო დიდი ზრდა დაფიქსირდა უზბეკეთიდან 2017%-ით, ისრაელიდან 132%-ით და ყირგიზეთიდან 112%-ით. რუსეთიდან ტურისტთა რაოდენობა 168%-ით გაიზარდა. თუ შარშან იანვარში საქართველოში რუსეთიდან 73538 ვიზიტორი შემოვიდა, წელს ამ რაოდენობამ 8922 შეადგინა და, რაც საგულისხმოა, ირანიდან საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობა 41%-ით შემცირდა, თურქეთიდან კი 20,2%-ით. ტურისტების რაოდენობის ზრდა ხელისუფლებისგან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და კონტროლს. აგრეთვე ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო მაღალ დონეზე განვითარებას.

## დასკვნა

ქვეყნის კეთილდღეობის ამადლება შესაძლებელია არა მხოლოდ ხელისუფლების მიერ მრავალმხრივი და მრავალჯერ გატარებული რეფორმებითა და პრაქტიკული ღონისძიებებით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მენეჯერებისა და სახელმწიფო მოხელეების ინტელექტუალური ღონის ამადლებით, მშრომელ ადამიანებსა და ადგილობრივი

თვითმმართველობის მოხელეებთან მჭიდრო კონტაქტებით, დაუღალავი შრომითა და სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. გამსახურდია, თ. ფესტვენიძე. ქვეყანაში არსებული რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ზოგიერთი ასპექტი. ა. გუნიას დაბადების 105 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტკონფერენციის მასალები. გვ. 163-171, თბილისი, 2017.

2. თ. გამსახურდია. ადამიანური რესურსების გამოყენების ზოგიერთი საკითხი. პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, გვ. 225-228, თბილისი, 2014.

*Tamaz Gamsakhurdia  
Teimuraz Pestvenidze*

### IMPROVING THE INTELLECTUAL LEVEL OF A MANAGER IS THE KEY TO EFFECTIVE MANAGEMENT DECISIONS

#### Summary

The article focuses that the well-being of the population significantly depends on the appropriate economic politics from the government and the effective development of scientifically analyzed business environment which is closely linked to the process of decreasing human resources and their rational usage.

There's an increasing evidence that social-economic potential and its material-technical base are nearly destroyed and the reconstruction and development need large government funding. That's why the government should do its best to attract investments and our Georgian science, which is abundant in so many valuable traditions, should be given a chance to play an authoritative role in the field of the 21st century scientific researches and inventions. It will be the beginning in the fast-paced development of some entrepreneurial activities.

To make our country economically strong and prosperous, it's important to make the Georgian citizens be aware of the good results of effective and hard work and that the desirable consequences will determine the well-being of our country. We have more resources than we reckon. We have much more than natural resources can offer. The nation of high intellectual level can make a lot of significant progress owing to its intellect.

The examples of Israel and South Korea confirm this opinion. These two young states have accomplished remarkable achievements with the lack of natural resources. The well-being of our country can be increased not only by the government reforms and practical activities, but also by the close relationship with the labourers and a lot of hard work.

*მარიამ ზუბიაშვილი  
ნინო მღვდელაძე*

### ფინანსური მენეჯერის და ბუღალტრის თანამდებობრივი ბანსხვაშეხება

**ანოტაცია.** სტატია ეძღვნება საქარმოში ფინანსური მენეჯერის და ბუღალტრის საქმიანობებს შორის განსხვავებას. აღნიშნულია როგორც ბუღალტრის, ასევე ფინანსური მენეჯერის შესასრულებელი ფუნქციები და მოვალეობები.

მსჯელობით მივდივით დასკვნამდე, რომ მიუხედავად მათ შესასრულებელ ფუნქციებს შორის განსხვავებისა, ბუღალტერს თავისი ცოდნიდან და გამოცდილებიდან შეუძლია შეასრულოს ორივე სამუშაო, მაგრამ ეს იქნება დაკავშირებული გარკვეულ სირთულეებთან, რაც ვერ უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის სრულყოფილად ინფორმირებას. ამდენად, აუცილებელია საქარმოში კვალიფიციური და სპეციალურად მომზადებული ფინანსური მენეჯერის არსებობა.

**საკვანძო სიტყვები:** ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი, საქარმო

## შესავალი

ფინანსური მენეჯმენტი, როგორც მეცნიერება, აღმოცენდა XX საუკუნის დასაწყისში. ეკონომიკურ ლიტერატურაში განიმარტება შემდეგნაირად: „ფინანსური მენეჯმენტი არის ორგანიზაციის ფულადი ურთიერთობების და ფულადი რესურსების მართვის სისტემა“ [1].

მარტივად რომ ვთქვათ, ფინანსური მენეჯმენტი არის მეცნიერება საწარმოს ფინანსური რესურსების ეფექტურად მართვის შესახებ. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მისი სამეურნეო პრაქტიკაში შემოღების აუცილებლობა გამოიწვია ბაზარზე საწარმოთა არსებულმა მდგომარეობამ. საჭირო გახდა საწარმოში ფინანსური მენეჯმენტის და, შესაბამისად, ფინანსური მენეჯერის თანამდებობის შემოღება.

\* \* \*

მენეჯერის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე დამოკიდებული ბაზარზე საწარმოს გადარჩენა. საწარმომ უნდა გამოიმუშაოს ფული, რისთვისაც საჭიროა ფინანსების მოზიდვა სხვადასხვა წყაროებიდან. ამასთანავე, წყაროს შერჩევა უნდა მოხდეს გონივრულად და ყველა რისკის გათვლით. ასევე, მნიშვნელოვანია აქტივების ეფექტურად მართვა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს გადარჩენას და მოგების მიღებას.

პრაქტიკაში კი, ხშირ შემთხვევაში, საწარმოებში ფინანსურ მენეჯერს აიგივებენ ბუღალტერთან (მთავარ ბუღალტერთან). აქ აუცილებელია დავსვათ კითხვა - განა ბუღალტერი და ფინანსური მენეჯერი ერთნაირ ფუნქციებს ასრულებენ? მათი მიზნები და ამოცანები ერთნაირია? საწარმოს ხელმძღვანელი მათგან ერთი და იმავეს მოითხოვს?

პრაქტიკულად ეს ორი პროფესია ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შესასრულებელი ფუნქციებით, დასახული მიზნებით, ამოცანებით და, რაღა თქმა უნდა, მათ მიმართ საწარმოს ხელმძღვანელის მოთხოვნებით. სამწუხაროდ, პრობლემა ისაა, რომ ხშირ შემთხვევაში ხელმძღვანელი ვერ ხედავს განსხვავებას ბუღალტერსა და ფინანსურ მენეჯერს შორის და ბუღალტერს ტვირთავს იმ ვალდებულებებით, რომლებიც მისთვის არ არის ჩვეული და რომელიც უნდა შეასრულოს ფინანსურმა მენეჯერმა.

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ შემუშავებული ბუღალტრის თანამდებობრივი ინსტრუქციის თანახმად, ბუღალტრის შესასრულებელი ფუნქციებია [2]:

- ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება;
- სააღრიცხვო პოლიტიკის ფორმირება და მისი განხორციელების ღონისძიებების ჩამოყალიბება;
- ხელფასზე ანგარიშსწორების დოკუმენტების მომზადება, გადასახადების დარიცხვა, დაკავება და გადარიცხვა. საბალანსო ოპერაციების წარმოება;
- თანამედროვე ტექნიკური საშუალებების და ტექნოლოგიების დანერგვა;
- საბუღალტრო დოკუმენტების დროული და სწორად შედგენის კონტროლი.

ამავე ინსტრუქციით ბუღალტერს ევალება:

საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენება, საკუთრების არსებობის კონტროლი; ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ჩამოყალიბება; ქონების, ვალდებულებების, მიღებული ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების და ფულადი სახსრების აღრიცხვა, საფინანსო-საკრედიტო ოპერაციების აღრიცხვა, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში მათი დროული ასახვა; პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების შედგენის სისწორის, მოთხოვნებისა და ვალდებულებების დაფარვის დროულობის გაკონტროლება, ხელფასების დარიცხვა და ანგარიშსწორება, ინვენტარიზაციის ჩატარება; დანაკლისებზე, ფულადი სახსრების და მარაგის არამიზნობრივ ხარჯვაზე, ფინანსური დარღვევების თავიდან ასაცილებლად ზომების მიღება; გადასახადების სწორად დარიცხვა და გადახდის გაფორმების კანონიერების, დროულობის და სისწორის უზრუნველყოფა; ანგარიშთა გეგმის, პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების, შიდა ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების შემუშავება; ბუღალტრული აღრიცხვის დამუშავების ტექნოლოგიის დაცვა; ბუღალტრული ინფორმაციის სრულად, დროულად და სამართლიანად მომზადება და წარდგენა და ა.შ.

ფინანსური მენეჯერის ფუნქციებია [3]:

- საწარმოში ფინანსური საქმიანობის ორგანიზაცია;



• კაპიტალის დაბანდების პროგნოზებისა და გეგმების შემუშავება, რისკის დონის გათვალისწინებით ინვესტირების სხვადასხვა ვარიანტების და მიღებული შემოსავლების შეფასება, ოპტიმალური ვარიანტების შერჩევა;

• პერსპექტიული და მიმდინარე ფინანსური გეგმების შემუშავება, დამტკიცებული გეგმური ფინანსური მაჩვენებლების და ნორმატივების დაყვანა შესაბამის განყოფილებამდე, სამსახურამდე და საამქრომდე;

• დამტკიცებული ფინანსური გეგმების შესრულების უზრუნველყოფა;

• საწარმოს ბიზნესგეგმის ფინანსური ნაწილის შემუშავება;

• საკრედიტო პოლიტიკის გატარება ;

• მყიდველებსა და მომწოდებლებთან ანგარიშსწორების მიზანშეწონილი ფორმების დანერგვა;

• საფინანსო დოკუმენტების ფორმირება;

• ფინანსური ოპერაციების განხორციელება;

• სამეურნეო ხელშეკრულებებში და ფინანსური პირობების მიღებაში მონაწილეობა;

• საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტურობის ანალიზი;

• ფირმის ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის გამოყენების გაუმჯობესების, ხარჯების შემცირების ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

• გეგმური ფინანსური მაჩვენებლების შესრულებაზე კონტროლი.

გარდა ზემოთხსენებულისა, ფინანსურმა მენეჯერმა თვალყური უნდა ადევნოს ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე შექმნილ სიტუაციას, რათა შეძლოს, საქმიანობის ოპტიმიზაციისათვის დროულად მიიღოს საჭირო ფინანსური გადაწყვეტილებები.

ფინანსური მენეჯერისაგან ელიან კომპანიის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ უტყუარ ინფორმაციას, მომავლის პროგნოზს და მოქმედების გეგმას, რომლითაც საწარმო მომავალში მიაღწევს წარმატებას.

ბუნებრივია, ბუღალტერს არ შეუძლია ამ მიმართულების კოორდინირება. მიუხედავად იმისა, რომ ბუღალტერი ფლობს ყველა პირველად მონაცემს, რის საფუძველზეც იგი აწვდის ინფორმაციას სახელმწიფო ორგანოებს და კომპანიის ხელმძღვანელობას, მას აქვს პირველადი მონაცემებით ოპერირების კარგი უნარი, აქვს საგადასახადო კანონმდებლობის ღრმა ცოდნა, კარგად ერკვევა მასში, თუმცა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირება, პირველადი მონაცემების დამატებითი დამუშავება და ანალიზის სპეციალური მეთოდის ცოდნა, ფინანსური მენეჯერის შესასრულებელი ფუნქციებიდან გამომდინარე, სცილდება ბუღალტრის კომპეტენციებს [4].

როგორც ირკვევა, ბუღალტერსა და ფინანსურ მენეჯერს შორის განსხვავება მდგომარეობს მათ პროფესიულ კომპეტენციებში. ბუღალტერი პირველადი მონაცემებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ადგენს საბუღალტრო და საგადასახადო ანგარიშებს. აღნიშნულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ციფრები არის მიმდინარე პერიოდის განმავლობაში საწარმოს საქმიანობის შედეგები, ე.ი. გუშინდელი ციფრები. ამ მონაცემების საფუძველზე კომპანიის მომავალი ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირება საჭიროებს მათ დამატებით დამუშავებას და ანალიზის ჩატარების სპეციალურ მეთოდებს, რომელთა ცოდნა არ შედის ბუღალტრის კომპეტენციაში.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დიდიხა და დამტკიცებულია. დინამიურად განვითარებად საბაზრო ეკონომიკის პირობებში მომუშავე საწარმოთა ფინანსური მენეჯერის და ბუღალტრის ფუნქციები უნდა იყოს გამიჯნული. ერთ ადამიანს თეორიულად შეუძლია შეასრულოს ორივე სამუშაო, მაგრამ ეს მისთვის საკმაოდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული და ვერ უზრუნველყოფს, ხელმძღვანელმა მიიღოს ყველა აუცილებელი ინფორმაცია. [5]

## დასკვნა

ამრიგად, საწარმოს საფინანსო საქმიანობაში სამი მიმართულება გამოიყოფა: ბუღალტრული აღრიცხვა და გადასახადები; მმართველობითი აღრიცხვა და ბიუჯეტირება; საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და მისი საქმიანობის დაფინანსება. ასე რომ,

იდეალურად შეიძლება დავასახელოთ ამ მიმართულებების მართვის შემდეგი სქემა: ბუღალტერი დაკავებულია ბუღალტრული აღრიცხვით და გადასახადებით; დაგეგმვას, აღრიცხვას და კონტროლს თავის თავზე იღებს ფინანსური მენეჯერი, ხოლო ფინანსური დირექტორი მართავს მთელი საწარმოს ფინანსურ სახსრებს, რომლის საფუძველიც არის ბუღალტრის და მენეჯერის მიერ მოწოდებული მონაცემების ანალიზი. ხშირად კომპანიებში არ არის გამოყოფილი ფინანსური მენეჯერის ფუნქციები, ამდენად ფინანსური დირექტორი მუშაობს ორი მიმართულებით, თუმცა ეს არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, როგორც ბუღალტრის და ფინანსისტის ფუნქციების ერთმანეთისაგან გამოყოფა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Голубев А.А. Финансовый менеджмент. Учеб.пособ. СПб.: СПб НИУ ИТМО, 2013 – 130 с.
2. [www.gfpa.ge \site/files\](http://www.gfpa.ge/site/files/) გადამოწმებულია 01.05.2019.
3. <https://medocx.ru/4-46219.html> გადამოწმებულია 01.05.2019.
4. თეთრუაშვილი მ., თეთრუაშვილი ი., ფინანსური მენეჯმენტი, დამხმარე სახელმძღვ., გორი 2007, 144 გვ.
5. ცაავა გ., ბიწაძე ბ., ლიპარტია ზ., ფინანსური მენეჯმენტი, თბ., აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 2006, 992 გვ.

*Mariam Zubiashvili  
Nino Mgvdeladze*

### DIFFERENCE BETWEEN POSITION OF FINANCIAL MANAGER AND AN ACCOUNTANT Summary

The article focuses on the difference between the financial manager and accountant's activities in the enterprise. It refers to the functions and responsibilities of the accountant and financial manager.

Despite a difference between functions which they perform, we came to a conclusion that the accountant, due to his - her knowledge and experience, can carry out both work; although it will be connected with certain difficulties, which cannot be completely coordinated by the management.

*ელგუჯა კონჯარია*

### ეფექტიანობის აუდიტის არსი და მისი გამომწვევის თავისებურებები

**ანოტაცია.** ეფექტიანობის აუდიტის როლი და აუცილებლობა საბიუჯეტო სახსრების გამოყენების პროცესში გულისხმობს მთავრობის საქმიანობის ობიექტურ, მიზანმიმართულ და ორგანიზებულ შემოწმებას. ეფექტიანობის აუდიტის საფუძველზე დაინტერესებულ პირებს მიეწოდებათ ინფორმაცია აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესრულების შეფასების შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** აუდიტი, ეფექტიანობა, საბიუჯეტო სახსრები.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ახლებური ფორმებისა და მიდგომების შემუშავება, სრულყოფა და მათი პრაქტიკაში დამკვიდრება.

აუდიტორული შემოწმებები აუცილებელია სახელმწიფოსთვის ეკონომიკისა და გადასახადების სფეროში გადაწყვეტილებების მისაღებად. ეს შემოწმებები სჭირდებათ აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებს, სასამართლოებს, პროკურორებსა და გამომძიებლებს მათთვის საინტერესო ფინანსური ანგარიშგების დასადასტურებლად.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური აუდიტი; შესაბამისობის აუდიტი; ეფექტიანობის აუდიტი; ეკონომიურობა; პროდუქტიულობა.

\* \* \*

თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში აუდიტორული კონტროლი მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს.

აუდიტის წარმოქმნა განაპირობა საწარმოს უშუალო ხელმძღვანელთა (ადმინისტრაცია, მენეჯერები) და კონკრეტულ საწარმოში თანხების დამბანდებელთა (მესაკუთრები, აქციონერები, ინვესტორები) ინტერესების გაყოფამ.

ამ უკანასკნელთ არ შეეძლოთ, არც სურდათ, დაყრდნობოდნენ მხოლოდ იმ ფინანსურ ინფორმაციას, რომელთაც მათ აწვდიდნენ საწარმოს ხელმძღვანელები და ბუღალტრები. საწარმოთა ხშირი გაკოტრებები, მოტყუება ადმინისტრაციის მხრიდან, არსებითად ზრდიდა ფინანსური დაბანდების რისკს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური ინფორმაციის მიღების, მისი უტყუარობისა და ხარისხის შესაფასებლად საჭირო გახდა აუდიტორული სამსახურის შემოღება, რომელიც აუდიტის ობიექტის შესახებ მომხმარებელს აწვდის კომპეტენტური სპეციალისტების მოსაზრებებსა და არგუმენტირებულ დასკვნას. აუდიტორული საქმიანობა თანამედროვეობის მნიშვნელოვანი ელემენტია და მართვის დამოუკიდებელ ფუნქციას წარმოადგენს [ცირამუა ე., 2006, გვ. 10].

მსოფლიო ეკონომიკურმა გლობალიზაციამ და საგარეო ეკონომიკური კავშირების გაღრმავებამ დღის წესრიგში დააყენა მოქმედი საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლის ფორმირებისა და მეთოდების უნიფიცირების აუცილებლობა, ამასთან, შექმნილია ისეთი საერთაშორისო და რეგიონული კონტროლის ორგანიზაციები, როგორცაა უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაცია (INTOSAI) უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების ევროპის ორგანიზაცია (EVROSAI) უმაღლესი მაკონტროლებელი აზიის ორგანიზაცია (ASOSAI) [ალავერდაშვილი ბ., 2001 გვ. 408].

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისთვის საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ყველაზე უფრო ეფექტიან და საერთაშორისო დონეზე აპრობირებულ ფორმად მიჩნეულია ზოგადად აუდიტი და მისი ცალკეული სახეობები. საყოველთაოდ მიღებულ პრაქტიკაში გამოიყოფა აუდიტორთა სამი ძირითადი ჯგუფი: შიდა აუდიტი, გარე აუდიტი და სახელმწიფო სექტორი ITOSAL-ის მიხედვით სახელმწიფო სექტორის აუდიტის სრული სპექტრი მოიცავს აუდიტის შემდეგ სახეებს:

- ფინანსური აუდიტი, რომლითაც დგინდება ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ დადგენილ პრინციპებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა. ეს არის ფინანსური და საბუღალტრო ოპერაციების მიმოხილვა, თუ რამდენად არის ვალდებულებები ფულადი სახსრების მიღება-გაცემის ოპერაციებში ასახული და წარდგენილი სრულად და შესაბამისად.

- შესაბამისობის აუდიტი, რომლითაც მოწმდება კერძო ბიზნესში საბუღალტრო აღრიცხვის პერსონალის მიერ ადმინისტრაციის მხრიდან დადგენილი პროცედურების დაცვა, ბანკებსა და სხვა კრედიტორებთან დადებულ კონტრაქტებში იურიდიული ნორმების დაცვის მდგომარეობა და სხვა. იგი ლოგიკური ხასიათისაა და მისი შედეგები მიეწოდება მხოლოდ შემოწმებას დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ქვედანაყოფს. შესაბამისობის აუდიტი ზოგადად მოიცავს აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონიერებისა და მიზნობრიობის შემოწმებას, შეფასებას, აუდიტის ანგარიშის გაცემას.

- ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც უკვე აპრობირებულია მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში და ფინანსური კონტროლის ახალი და პროგრესული ფორმაა, ჩვენში ტრადიციად დამკვიდრებული ფორმებისა და მეთოდებისაგან რადიკალურად განსხვავებულ ფორმას წარმოადგენს, რომელიც მოიცავს შესასწავლ საკითხთა ფართო და არაერთგვაროვან წრეს, რაც გულისხმობს არა მარტო აღრიცხვისა და ფინანსების სიღრმისეულ ცოდნას, არამედ ითვალისწინებს ეკონომიკურ-თეორიული ცოდნის ფართო მასშტაბებს.

ეფექტიანობის აუდიტი მოიცავს აუდიტის ობიექტის საქმიანობის განმასორციელებელი პროგრამების / პროექტების ეკონომიურობის, პროდუქტიულობის და ეფექტიანობის შემოწმებას, შეფასებას და ანგარიშის აუდიტის გაცემას. ის არის პროფესიული კატეგორია, რომელიც სპეციალურ უნარ-ჩვევებს, საკუთარ ნორმებს, განსხვავებულ დაგეგმვას და სპეციფიკური ანგარიშების შედგენას მოითხოვს.

ეფექტიანობის აუდიტი არის მთავრობის საქმიანობის ობიექტური, მიზანმიმართული და ორგანიზებული შემოწმება. ეფექტიანობის აუდიტის საფუძველზე დაინტერესებულ

პირებს მიეწოდებათ ინფორმაცია აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესრულების შეფასების შესახებ [უდესიანი თ., 2013. 35-40].

სამართლიანობა და ნდობა დემოკრატიული მმართველობის განუყრელი და მნიშვნელოვანი აქტია, ეფექტიანობის აუდიტი კი ხელს უწყობს, გაამყაროს აღნიშნული დემოკრატიული ღირებულებები. INTOSAL-ის სტანდარტების მიხედვით ეფექტიანობის აუდიტი მოიცავს ეკონომიურობას, პროდუქტიულობას და მიზანშეწონილობას, რომელიც შემდეგნაირად არის განმარტებული:

ეკონომიურობა - კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს დანახარჯებს დასახული მიზნების მისაღწევად. ეს დანახარჯები შეიძლება იყოს ნორმატიული, ზენორმატიული და ეკონომიკური.

ეკონომიურობა გულისხმობს საჭირო ხარისხისა და რაოდენობის რესურსების შექმნას საჭირო დროსა და ადგილას ყველაზე დაბალ ფასად. „ეკონომია“ არის კონკრეტული აქტივობისთვის გამოყენებული რესურსის ხარჯის მინიმუმამდე დაყვანა საჭირო ხარისხის შენარჩუნების პირობებში.

პროდუქტიულობა არის არსებული რესურსებით მაქსიმალური შედეგის მიღწევა - ეს არის კავშირი წარმოებულ პროდუქციასა და მის საწარმოებლად გამოყენებულ რესურსს შორის.

პროდუქტიულობის შესწავლის დროს მნიშვნელოვანია იმის გარკვევა ოპტიმალურად იქნა თუ არა გამოყენებული აღნიშნული რესურსი, ან ხარისხისა და დახარჯული დროის გათვალისწინებით იმავე რესურსებით შესაძლებელი იყო თუ არა უკეთესი შედეგის მიღწევა.

პროდუქტიულობის აუდიტის დროს პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ შეკითხვებს:

- შესაძლებელი იყო თუ არა საქმიანობის ისეთი განხორციელება, რომელიც გამოიწვევდა უკეთეს შედეგს;

- ჩატარდა თუ არა და ჩატარების შემთხვევაში რეალისტური იყო თუ არა აუდიტის ობიექტის მიერ ჩატარებული მიზანშეწონილობის ანალიზი შემდგომი ღონისძიების განხორციელების მიზნით.

პროდუქტიულობის აუდიტის დროს ირკვევა შემდეგი საკითხები:

- ადამიანური, ფინანსური და სხვა რესურსების პროდუქტიულად გამოყენება;
- ორგანიზაციების, სამთავრობო პროგრამების მართვა, რეგულირება, მონიტორინგი და შეფასება.

• მიზანშეწონილობა არის მიზნის მიღწევა და დასახული მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელიც მოიცავს იმის გარკვევას თუ რამდენად კარგად აღწევს საქმიანობა დასახულ ამოცანებს.

მიზანშეწონილობის აუდიტის დროს შეისწავლება არის თუ არა მიღწეული წინასწარ განსაზღვრული მიზნები.

მიზანშეწონილობის აუდიტის დროს პასუხი გაეცემა შემდეგ კითხვებს:

- სწორად იყო თუ არა განსაზღვრული მიზანი
- მიღწეულ იქნა თუ არა დასახული მიზანი დადგენილ ვადებში;
- იყო თუ არა შედეგიანი მიზნის მისაღწევად განხორციელებული ღონისძიებები.

მიზანშეწონილობის აუდიტის დროს უნდა განხორციელდეს შემდეგი ქმედებები:

• შეისწავლოს რამდენად სწორად და ეფექტიანად არის განსაზღვრული პროგრამის მომზადებისა და დაგეგმვის ეტაპები.

• განისაზღვროს, რამდენად მოხდა მიღებული შედეგით დასახული მიზნისა და მოლოდინის დაკმაყოფილება;

• გამოვლინდეს დასახული მიზნის მიღწევის პროცესში ხელის შემშლელი ფაქტორები;

• გამოვლინდეს ალტერნატიული ხერხები და პოლიტიკა დასახული მიზნის უკეთ მიღწევის მიზნით.

ეფექტიანობის აუდიტის პრაქტიკაში დანერგვა არ არის ადვილი და სწრაფად გადაწყვეტადი პრობლემა. საქმე ისაა, რომ იგი თავისი შინაარსით და საგნით ფინანსური კონტროლის ახალი და რევოლუციური ფორმაა, რომელიც მოიცავს შემოწმების ახალ ტექნოლოგიას, რადიკალურად განსხვავებულს ტრადიციული შემოწმებისგან, აგრეთვე ახალ ფსიქოლოგიას, რომელზეც სახელმწიფო კონტროლის „გადართვა“ საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს [მესხია ი., 2006, გვ. 92].

ეფექტიანობის აუდიტი, როგორც ფინანსური კონტროლის ერთ-ერთი მეთოდი, საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მაღალი ეფექტიანობის მიღწევის ხელის შემშლელი ფაქტორები და მიზეზები (დარღვევები) და შემუშავდეს კონკრეტული წინადადებები მათი დროული აღმოფხვრისთვის. ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი ვერ შეცვლის სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სხვა მეთოდებს, რამდენადაც მისი გამოყენება ყველა შემთხვევაში შეუძლებელია და არ არის მიზანშეწონილი. ეფექტიანობის აუდიტის გამოყენება სასურველ შედეგს იძლევა ისეთი საბიუჯეტო სისტემის შემოღებისას, რომელიც ორიენტირებულია მკაფიოდ ფორმულირებული კონკრეტული საბოლოო შედეგების მიღწევისკენ. კრიზისული ეკონომიკისა და ფორს-მაჟორულ რეჟიმში მყოფი ბიუჯეტის პირობებში ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება არაა მიზანშეწონილი, რადგან ასეთ ვითარებაში ხარჯები მეტწილად შემთხვევაში ორიენტირებულია არა მაღალი ეფექტიანობის მიღებაზე, არამედ უფრო კრიზისული სიტუაციების დარეგულირებაზე.

კონკრეტულად, ეფექტიანობის აუდიტის გამოყენება მიზანშეწონილია განვითარების ბიუჯეტის პირობებში, რომელიც ორიენტირებულია მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დაფინანსებაზე.

ამრიგად, ეფექტიანობის აუდიტის დანერგვის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ის, რომ ქვეყანაში იყოს განვითარებადი ეკონომიკა და მდგრადი ბიუჯეტი, ანუ ჯანსაღი ფინანსური მდგომარეობა.

ეფექტიანობის აუდიტის დაწყებამდე აუცილებელია იმის განსაზღვრა, არსებობს თუ არა აუდიტის ობიექტის მიერ მიღწეული შედეგების ცვლილების პოტენციალი. ცვლილების პოტენციალის განსაზღვრა შესაძლებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- ეთანხმება თუ არა აუდიტის დასკვნებს და რეკომენდაციებს აუდიტის ობიექტი;
- ზღუდავს თუ არა ცვლილებას პოტენციალის სხვადასხვა ფაქტორები (პოლიტიკური, ფინანსური, ეთიკური და სხვა);
- რამდენად რელევანტურია მიღებული შედეგები სამომავლო პროგრამებისთვის.

ეფექტიანობის აუდიტი თანამედროვე საჯარო სექტორის აუდიტის ერთ-ერთი სახეა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია სახელმწიფო მმართველობის ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შესაფასებლად. ეფექტიანობის აუდიტი კონცენტრირებულია, შეაფასოს თუ რამდენად იქნა მიღწეული გადახდილი ფასის შესაბამისი ღირებულება.

ეფექტიანობის აუდიტის დროს გამოიყენება სხვადასხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდები, როგორცაა:

- ფინანსური ანალიზი;
- დოკუმენტური შემოწმება;
- ფოკუსჯგუფებთან ინტერვიუ;
- შესასწავლ თემასთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკებისა და ლიტერატურის მოძიება;
- მსგავსი ტიპის სხვა ორგანიზაციებსა და სხვა ქვეყნებთან შედარება.

## დასკვნა

ამრიგად, როგორც ჩანს, ეფექტიანობის აუდიტის საგანია საბიუჯეტო ხარჯების სახელმწიფო ქონების მართვისა და საკანონმდებლო ბაზის შემოწმება იმ კუთხით, რომ დადგინდეს თითოეული მათგანის საბოლოო მაკრო და მიკროეკონომიკური შედეგი, რამდენადაც ეფექტიანობის აუდიტის ჩატარებისას მეტწილად შემთხვევაში ძნელია პირველადი ინფორმაციის მოპოვება და სათანადო დოკუმენტების შემოწმება. შესაბამისად, რთულია დადგენა, თუ რომელი ფაქტორებით და რა მიზეზებითაა განპირობებული სასურველი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მიუღწევადობა, რადგან მიზეზშედეგობრივი გამოკვლევა მხოლოდ ფინანსური აუდიტითაა შესაძლებელი. ცხადია, ეფექტიანობის აუდიტს წინ უნდა უსწრებოდეს ფინანსური აუდიტი. ასეთი მიდგომა კი ნიშნავს, რომ ეფექტიანობის აუდიტმა თანდათანობით უნდა შეცვალოს სხვა სახის აუდიტი.

ამგვარი მოსაზრება ფართოდაა გავრცელებული და მისი ძირითადი არგუმენტია ის, რომ ეფექტიანობის აუდიტის აუცილებელი წინაპირობაა ფინანსური აუდიტის ჩატარების აუცილებლობა, რადგან მხოლოდ მის საფუძველზეა შესაძლებელი იმ მიზეზებისა და

ფაქტორების გამოვლენა, რომლებმაც გამოიწვია დასახული მიზნის მიღწევადობა - საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური, არამიზნობრივი ხარჯვა და სახელმწიფო ქონების არაეფექტიანი გამოყენება.

სუვერენული სამართლებრივი და დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს მშენებლობა შეუძლებელია სრული ფინანსური წესრიგის დამყარების გარეშე, რისთვისაც საჭიროა სახელმწიფო კონტროლის ფორმებისა და მეთოდების ისეთი ტრანსფორმაცია, რომ იგი დაეფუძნოს დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებულ გამოცდილებას და საზოგადოებას, სახელმწიფოს და საბაზრო სექტორის მოთხოვნებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ალავერდაშვილი ბ., 2001, პრაქტიკული აუდიტი. თბილისი, გვ. 408.
2. მესხია ი., 2006, სახელმწიფო ფინანსური კონტროლი. თბილისი, გვ. 92.
3. უდესიანი თ., 2013, ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგიის მოდელები და გამოყენების პრაქტიკა განვითარებულ ქვეყნებში. ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“ 10, გვ. 35-40.
4. ცირამუა ე., 2006, აუდიტი, თეორია ტექნოლოგია, მეთოდიკა. თბილისი, გვ. 10- 17.

*Elguja Konjaria*

## THE ESSENCE OF EFFECTIVITNESS AUDIT AND FEATURES OF ITS USAGE

### Summary

Nowadays audit and its separate forms are considered as one of the most approved forms of financial economic control.

In universal practice audit is considered as one of the major forms of budget control of the state.

Audit of effectiveness belongs to the category that can answer the questions: if we get proper result from the used cash funds and if it's possible to use them better.

Effective audit means the independent research of state projects, organizations and program saving, productivity and purpose and aims of their refine and improvement.

In modern period, effective audit represents one of the main spheres in a state budget control scope, which is implemented by Superior Financial Control-International Organization INTOSAT-worked out on principles of Lima declaration

Effective audit is a professional category, that demands special skills, own norms, special planning and making specific reports.

Main principles of audit consider the financial control of the INTOSAT-the International organization and based on universally invoked principles of effective audit, that is implemented on experience of the organization members.

The exact fulfillment of International organization and different countries while checking the efficiency, may lead to certain difficulties and problems. This is conditioned by peculiarities of budget processes and existing legislation in different countries. Though two principally different approach-result, oriented approach and problem oriented.

Despite this, the formation of efficiency audit is conducted, its goal is making conclusions and useful recommendations based on obtained evidence.

Effectiveness audition (auditor having relevant qualification that provides conducting effective audit) gives recommendations to the audit object on purpose to develop the working processes and effectiveness.

Efficiency is the public process and the necessity of its usage is conditioned on circumstances, that in above mentioned sphere is limited for making changes, accordingly the probability of sending a high effect is less.

The main reason in that, the case concerns not own but state money and funds.

Accordingly in conditions of democratic governance there is need of efficiency audit, because audit process and recommendations issued as a result of this play a big role in effective functioning of public administration and ensure improvement of achieved results.

Justice and trust is the main and important asset for developed countries. Effective audit supports to strengthen above mentioned values.

ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობის  
შეფასების პრობლემა საქართველოში

**ანოტაცია.** სტატიაში განხილულია „მწვანე ეკონომიკის“ პირობებში ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრის პრობლემა და ინოვაციური განვითარების საერთო ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების სრულყოფილი სისტემის ფორმირების პრობლემის კვლევის აუცილებლობა, რომელიც ეკონომიკური ეფექტის (შედევების) დანახარჯებთან შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებას ეფუძნება, სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობის პროცესებში ინოვაციური გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობას განაპირობებს.

ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური განვითარება, ახალი ინოვაციების გამოვლენა და ტექნოლოგიების დამკვიდრება სამეწარმეო სექტორში გრძელვადიან პერიოდში საწარმოთა გაფართოებასა და უკუგების ზრდას, მთელი საზოგადოებისა და კერძო ბიზნესის განვითარებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, ყველა ტიპის ინოვაცია აუცილებელია წარმართოს რესურსების დამზოგავი და ეკონომიკური საქმიანობის (ორგანიზაციის) განვითარების დომინირებული სფეროების, ბიზნესგარემოს ცვლილებებთან მიმართებაში სრულყოფილი მართვის სისტემისა და სტრატეგიული მართვის მეთოდოლოგიურ პრინციპებზე დაფუძნებული ეფექტიანობის შეფასების სრულყოფილი მექანიზმის სამეწარმეო ბიზნესპრაქტიკაში დასამკვიდრებლად.

**საკვანძო სიტყვები:** ეფექტური სტრატეგიული მართვის პრინციპები; ინტეგრალური ეფექტის გათვლა; ინოვაციური განვითარების მოდელი; შედარებითი ანალიზის მეთოდი, ინოვაციების რენტაბელობა, კორპორაციული კულტურა, ფინანსური მდგრადობა.

**პრობლემების დასმა**

საქართველოში, მსოფლიო გლობალური პროცესების ჭრილში, ეკონომიკური სისტემის გარდაქმნების მიმდინარე მაკროეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი-შეფასებით, ქვეყანა ორიენტირდა ორთოდოქსული („ძვირი ფული“) ტიპის, ე.წ. ლიბერალურ-მონეტარულ პოლიტიკაზე. კერძოდ, „საქართველოს ხელისუფლებამ, ეკონომიკის რეფორმირების თანამედროვე ეტაპზე, თავი ვერ დააღწია შეზღუდულ მენტალურ აზროვნებას. საქართველოს სჭირდება არა ნეოკლასიკურ თეორიაზე აგებული მკაცრი ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა (ისიც თავისებური შოკია), არამედ ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ეტაპობრივად, ევოლუციური განვითარების გზით, ენდოგენური ფაქტორების ეფექტიანი გამოყენებით მიგვაახლოებდა ცივილიზებულ ქვეყნებს“ [1].

ქვეყნის ეკონომიკის, მისი ყველა დარგის, მართვის რთული ფუნქციების შესრულებისათვის ეკონომიკური ანალიზი მოწოდებულია შეიმუშაოს კონკრეტული მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნები, რომლებსაც უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ინოვაციური საქმიანობის ოპტიმალური ვარიანტების შერჩევისა და განვითარების პროგნოზირებისათვის [2].

**გამოწვევების ანალიზი**

საქართველოში საბაზრო მექანიზმებთან ადაპტირებული ეკონომიკურ-ანალიზურ-შემფასებელი სისტემებით მართვის პრობლემების გამოწვევების პრაქტიკის ანალიზი მოწმობს, რომ დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოთა საბაზრო ეკონომიკების ურთიერთობები პორიზონტალური საბაზრო კავშირების გამო მოიცავს არა მარტო ქვეყნის შიგა, არამედ სხვა ქვეყნებთან საბაზრო საინვესტიციო და საწარმოო-ტექნიკურ კავშირებსაც. იზრდება ეკონომიკური ანალიზის როლიც ეკონომიკური სუბიექტების განვითარების ობიექტური პროპორციებისა და საქმიანობის საბოლოო სამეურნეო-საფინანსო შედეგების ფორმირებაში, რომლებიც ყალიბდება ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედებით და შეისწავლება ეკონომიკური ინფორმაციის სისტემის საფუძველზე.

შესაბამისად, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობები გაზრდილ მოთხოვნილებას უყენებს ეკონომიკურ ანალიზს, როგორც კომპლექსური გამოკვლევის ინსტრუმენტს, რომლის კვლევის საფუძველზე იკვეთება, რომ კორპორაციების (საწარმოთა) ეფექტიანი

საქმიანობის მიღწევის უზრუნველსაყოფად აუცილებელია: ა) მეცნიერულად დამუშავებულ ღონისძიებათა შემუშავება და რეალიზაცია; ბ) მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური მოგების მიღება და გ) კორპორაციების (დარგის) ეკონომიკური პოტენციალის ამაღლება, ფინანსური სტაბილიზაციის უზრუნველყოფა, აქტივების სტრუქტურის ოპტიმიზაცია, კონკურენტუნარიანობის ამაღლება და სხვ. [3].

ფინანსური მენეჯმენტის გარემოს მაკომპლექტებელი სტრუქტურის სისტემაში მნიშვნელოვანია **ფინანსური რისკის** კატეგორია, რომელიც ყველაზე რთული სტრუქტურის მქონე რისკია, რაც წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთის, ვალუტის გაცვლითი კურსის, ლიკვიდობის, აქციისა და საქონლის (მომსახურების) ფასის, ვალის გასტუმრებისა და კრედიტუნარიანობის მერყეობის შედეგად და პირდაპირ მოქმედებს კორპორაციების საინვესტიციო საქმიანობაზე.

ამასთანავე, ფინანსური მენეჯმენტის პროცესში ხშირია გაურკვევლობასა და განუსაზღვრელობასთან დაკავშირებული სირთულეები, როგორცაა: 1) შეუძლებელია ფინანსური სისტემის მიმდინარე მდგომარეობის დაზუსტება მისაღები სირთულით; 2) უცნობია (ან ვერ დგინდება მოთხოვნათა სიზუსტე) მომავალი პერიოდის ფინანსური მაჩვენებლები და მათი თანამდევი პარამეტრები [4].

კორპორაციის ფინანსური საქმიანობის ეფექტური მართვა მიიღწევა რიგი პრინციპების რეალიზაციით, როგორცაა: 1) კომპანიის მენეჯმენტის საერთო სისტემასთან ინტეგრირება. 2) მმართველობითი გადაწყვეტილებების ფორმირების კომპლექსურობა; 3) მართვის მაღალი დინამიზმი; 4) ცალკეული მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებისადმი მიდგომების ვარიანტულობა; 5) კორპორაციის განვითარების სტრატეგიულ მიზნებზე ორიენტირებულობა.

ინვესტიციური საქმიანობის მართვა, რომელიც აგებულია სიტუაციური ანალიზური შემფასებელი სისტემის გამოყენებაზე, გამიზნულია იქითკენ, რომ თანადროულად მოახდინოს საწარმოს რეაგირება გარემოცვაში მოსალოდნელ ცვლილებაზე. მენეჯერს სისტემატური გააზრებით ეძლევა შესაძლებლობები, მოახდინოს რეაგირება წარმოების ეკონომიკური და ფინანსური შედეგების, პროდუქციის გასაღების ფორმირების მართვის პროცესებზე, შეიმუშაოს შეცვლილ გარემო პირობებთან საწარმოს ადაპტაციის მართვის პრაქტიკული მექანიზმი. შესაბამისად, მმართველობითი პრინციპებიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია რეალიზაციიდან მოღებული მოგების ცვალებადობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის განსაზღვრა, როგორცაა: სასაქონლო ასორტიმენტისა და სტრუქტურის; სარეალიზაციო ფასებისა და გაყიდვების მოცულობის; პროდუქციის თვითღირებულების ცვალებადობის გავლენა; ინფლაციური ფაქტორების შეფასება.

შესაბამისად, ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიური შემოთავაზებული ახალი ლოგიკა - მმართველობითი რაციონალიზმის ანალიზურ-შემფასებელი სისტემის ადაპტირება-დამკვიდრება საწარმოების საბოლოო შედეგების რესურსდ-ამზოგავი ამოცანების გადაწყვეტაზე; წარმოების ფუნქციონირების ინტენსიურობის ამაღლების ღონისძიებების შემდეგ საყოველთაო განხორციელებისაკენ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, კვლევის შედეგებიდან იკვეთება რომ საწარმოში ნებისმიერი ინოვაციების ეფექტიანობის შეფასება აუცილებლად უნდა ვაწარმოთ საწარმოს ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის ტრადიციული შეფასებისა და მისი განვითარების დინამიკით განსახილველ დროის პერიოდში. რადგან, რა აზრი აქვს შევაფასოთ საწარმოს ინოვაციურობა ან ინოვაციური ეფექტიანობა, თუ ფირმას აქვს არადაამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები (უარყოფითი დინამიკა) სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი პარამეტრების მიხედვით? ამასთანავე, აუცილებელია განისაზღვროს ზუსტი ორიენტირები და განსაზღვრის მიდგომები (ხერხები) ასეთი უარყოფითი დინამიკისა, რამდენადაც ბუღალტრული ბალანსის მაჩვენებლებით განსაზღვრის ტრადიციული მიდგომა არასაკმარისია საბოლოო დასკვნის გასაკეთებლად, მოცემული საწარმოს (სუბიექტის) ეკონომიკური საქმიანობის ინოვაციური პერსპექტივების გამოსაგლენად. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სამეცნიერო ნაშრომში შემოთავაზებულია ეკონომიკური ანალიზის სამი მიდგომა, კერძოდ:

- 1) მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ტრადიციური ანალიზის ხერხი;
- 2) ორგანიზაციის საქმიანობის მთლიანობაში ეფექტურობის ანალიზი;
- 3) საერთო საქმიანობის შედეგებში ინოვაციურობის განსაზღვრელობის შეფასება.

ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების ზოგადი ეკონომიკური პრინციპებიდან



გამომდინარეობს, რომ ინოვაციების ეკონომიკური ეფექტისა (შედევს) და დანახარჯების შედარებითი მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი ხდება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება ინოვაციების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, კერძოდ შემდეგი ძირითად ჯგუფური მაჩვენებლების გამოყენებით, როგორცაა: ა) ინტეგრალური ეფექტის გათვლა; ბ) ინოვაციის რენტაბელობის მაჩვენებლები; გ) ამოსყიდვის ვადის განსაზღვრა.

სამეცნიერო ნაშრომში სამრეწველო საწარმოს მაგალითზე გაანალიზებულია ინოვაციური საქმიანობის კონკრეტული მიმართულებები (ცხრ 1).

**ცხრილი 1**

**სამრეწველო საწარმოს ინოვაციური საქმიანობის მიმართულებები**

საქმიანობის მიმართულებები (ინოვაციური)	საქმიანობის მიზანი	ძირითადი მაჩვენებლები
1. პროდუქციის თვითღირებულების შემცირება	მოგების ზრდა, კონკურენტუნარიანობა (ფასების შემცირება)	ახალი ტექნოლოგიებისა და დანადგარების დანერგვა; მატერიალურ-ენერგეტიკული ტევადობის შემცირება; შრომატევადობის შემცირება.
2. მართვის სისტემის სრულყოფა	ოპერატიულობა, ხელ შეკრულებითი დისციპლინების დაცვა, კორპორაციული კულტურა.	საქმიანობის სტრუქტურის შეცვლა; ტექნოლოგიური ხაზების ოპტიმიზაცია; კადრების ხარისხის ამაღლება, ორგანიზაციული სიტემები, შრომის მოტივაცია და სხვ.
3. კორპორაციული საგარეო კავშირების გაფართოება	პროდუქციის ხარისხი, დანახარჯების შემცირება.	მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ლოგისტიკის, საწარმოო და მმართველობითი პროცესების ინფორმატიზაცია.
4. საგადასახადო დაბეგვრის ოპტიმიზაცია	ფინანსური მდგრადობა	ინვესტიციების პოტიმიზაცია, სააღრიცხვო პოლიტიკა, ფინანსური სქემები.
5. კორპორაციული სტრუქტურის ცვლილება	ინვესტიციების მიღება	ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, ინვესტიციური მიმზიდველობის ზრდა.
6. გამოსაშვები პროდუქციის მოდერნიზაცია	ბაზრების დიფერენციაცია	ახალი ხარისხის მიღება; ახალ მასალებზე გადასვლა.
7. შემუშავება და ახალი პროდუქციის სახეების ათვისება	ახალი გასაღების ბაზრების ათვისება.	დაგეგმვა და რეალიზაცია (სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ახალი მიმართულებებისა და ახალი სახეობის პროდუქციის ათვისება).

საშემფასებლო საქმიანობის პრაქტიკის ანალიზი მოწმობს, რომ ქვეყნის ეკონომიკური ინოვაციური სექტორის ეფექტიანობის შეფასებისთვის გამოიყენება მაჩვენებლები, რომლებიც ქმნიან ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის (ფირმა, მსხვილი კორპორაციები, ეკონომიკური რეგიონები, მაკროეკონომიკა) განზომილების ინოვაციური შედეგობრივი განვითარების ერთიან სისტემას (მინიმალურად აუცილებელი) და შესაბამისად, გამოყენებადია ინოვაციური განვითარების მოდელის მონიტორინგის სისტემაში, კერძოდ ეს მაჩვენებლებია:

- 1) წარმოების მოცულობა და ინოვაციების წილი (ახალი პროდუქტებისა წარმოებულ მოცულობაში);
- 2) დანახარჯები ინოვაციებზე და მათი წილი კაპიტალური დანახარჯების მოცულობაში;
- 3) ინვესტიციები ძირითად კაპიტალში და მათი წილი საერთო ინვესტიციური (დანახარჯები) სისტემის მოცულობაში;
- 4) ეკონომიკური სისტემის ფონდტევადობა და ფონდალტურვილობა, ენერგოტევადობა და მასალატევადობა. ტექნოლოგიურობა (ტექნოლოგიური ეფექტიანობა);
- 5) მეცნიერებატევადობა, რომელიც გამოითვლება სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ახალი მიმართულებების წილით და დანახარჯებით ინოვაციებზე, საერთო დანახარჯებით (ინვესტიციების) მოცულობაზე; საწარმოების მოცულობაზე, გაყიდვებსა, ასევე ამ სფეროში დასაქმებულთა პერსონალის საერთო მუშაკთა რიცხოვნობაზე;

6) ზოგადი მანქანების კონკურენტების განსაზღვრისა შედარებითი ანალიზის საფუძველზე წარმოების ეფექტურობის ორგანიზაციული (გამოცდილების მქონე, კონსტრუქციული საქმიანობის და სხვ.) მართვის და ა.შ. საკუთარი კონკურენტების წინასწარი განსაზღვრით;

7) ტექნოლოგიური ინტენსივობა, რომელიც იზომება მოწინავე ტექნოლოგიების (ტექნოლოგიური ინოვაციები) რიცხვით, რომელიც მოდის ერთ დასაქმებულზე.

### დასკვნა

საწარმოთა საქმიანობის ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე და ინოვაციურ-საინვესტიციო საქმიანობის სრულყოფის მიზნით, ნეგატიური შედეგების ელიმინირების მიზნით შესაძლებელია შემდეგი წინადადებების შემოთავაზება:

1) აუცილებლად უნდა გაფართოვდეს არჩეული ინოვაციური მიმართულებებისთვის დაფინანსების წყაროების გაფართოებისა და მოძიების გზები (მაგალითად, ეტაპობრივი დაფინანსების მეთოდის გამოყენება - ერთდროულად სხვადასხვა წყაროებიდან):

ა) მიზნობრივი პროგრამების დაფინანსება სხვადასხვა დონეებზე (რეგიონული, დარგობრივი);

ბ) საინვესტიციო ფონდების წყაროები;

გ) ახალ - პერსპექტიულ პროდუქტებზე კერძო ინვესტიციებისა და მომხმარებელთა (დამკვეთთა) სახსრების გამოყენება;

დ) რეინვესტირება (საწარმოთა მოგებიდან);

ე) ინოვაციური ინფრასტრუქტურული (მ.შ. რეგიონული განვითარება კანონმდებლობით გათვალისწინებული დოტაციებისა და პრეფერენციების, შეღავათიანი საინვესტიციო კრედიტი, საგადასახადო შეღავათები და ა.შ.) გამოყენებით.

2) სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება ვენჩერული (ინოვაციური) ბიზნესის ნაწილის ცალკე სტრუქტურად გამოყოფა (საკუთრების ნებისმიერი ფორმისთვის).

3) ინოვაციური საქმიანობის (სამუშაოების) მიმართულებების დივერსიფიკაცია;

4) განხორციელდეს კომპლექსური პერსპექტიული ტექნოლოგიური საშუალებების უფრო ფართო სექტორის გამოყენებით ახალი პროდუქტების წარმოება.

ამრიგად, ყველა სახის ინოვაციური საქმიანობა ორიენტირებული უნდა იყოს რესურსების დაზოგვაზე, მიღებული უნდა იქნეს ისეთი ეფექტური შედეგები ეროვნული სიმდიდრის ბუნებრივ-რესურსულ ელემენტებზე მისაღები სოციალური ეფექტის გათვალისწინებით, რომელიც იქნება მიმართული ინოვაციური ეფექტურობის ასამაღლებლად, ქვეყნის ბუნებრივი რესურსების დასაზოგად და დასაგროვებლად, ასევე ინსტიტუტების, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ახალი პროდუქტების შექმნასა და ეროვნული სიმდიდრის განაწილებაზე, რათა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი რ. XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი. თბილისი, გამომც. „სიახლე.“ 2017.

2. ლიპარტია ზ - „საქართველოში ინოვაციური მენეჯმენტის სრულყოფის სტრატეგიული ასპექტები“. სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის მეორე საერთა-მორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ. 25-26 მაისი 2018. გვ 137-142.

3. ლიპარტია ზ, შერაზადიშვილი ბ. დ „ეკონომიკური აზროვნების განვითარების მეთოდოლოგიური ასპექტები“. კონფერენცია - „ეკონომიკური აზროვნება: თანამედროვე რეალიები და პროგნოზული შესაძლებლობები“ (ინგლისურ ენაზე - Methodological Aspects of Economic Thinking Development), უკრაინა, კიევი, 19 აპრილი, 2019. «ЭКОНОМИЧЕСКАЯ АНАЛИТИКА: СОВРЕМЕННЫЕ РЕАЛИИ И ПРОГНОСТИЧЕСКИЕ ВОЗМОЖНОСТИ».. E-Mail: kpeof@kneu.edu.ua

4. იაშვილი გ. დ „სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუალო საწარმოებში“. სახელმძღვანელო. სტუ. თბილისი. 2009.

THE PROBLEM OF EVALUATING THE EFFECTIVENESS OF INNOVATIVE ACTIVITY IN GEORGIA

Summary

"Green economy" in terms of economic effect of defining the problem and the innovative development of the overall economic efficiency of the complete assessment of the problem of the formation of the study, which will be the economic impact (the results) the costs of comparative analysis method is based on the use, production processes in economic activity determine the appropriateness of the decision-making.

Scientific and technical development in the country, discovering new innovations and establishing technologies in the enterprise sector in the long term will increase the expansion and increase of enterprises, the development of the whole community and private business. Accordingly, all types of innovations must be conducted and resource-efficient economic activity (organization) for the development of dominant areas, business changes of the perfect management system and strategic management methods based on the principles of performance evaluation mechanism perfect Business Practice has to possess.

Key words: Effective Strategic Management Principles; Calculation of integral effect; Innovative development model; Comparative analysis method, profitability of innovations, corporate culture, financial sustainability.

გელა მამულაძე  
მირზა ბახტაძე

ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების თავისებურებები საქართველოში

ანოტაცია. იმისათვის, რომ ქართული ნაწარმი შესაბამისი მომზადებით შეხვდეს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევებს, საჭიროა მენეჯმენტის ეფექტიანობის გაზრდისათვის აუცილებელი თანამედროვე ინოვაციური კანონზომიერებების კომპლექსური შესწავლა და ინოვაციური ეკონომიკის მქონე ქვეყნებისა და წარმატებული კომპანიების გამოცდილების მუდმივი კვლევა. სტატიაში მიმოხილულია საქართველოს ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რის საფუძველზეც სტატიის დასკვნით ნაწილში შემოთავაზებულია ინოვაციური მენეჯმენტის ერთგვარი უნივერსალური მოდელი, რომელიც უშუალო კავშირშია ქვეყანაში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებასთან.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციები. ინოვაციური მენეჯმენტი.

შესავალი

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ყოველდღიურად ფართოვდება ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების არეალი, ამას ერთი მხრივ განაპირობებს სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევები, მეორე მხრივ, ამა თუ იმ კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა რესურსი და თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევები. აფრიკის კონტინენტის უღარიბეს ქვეყნებშიც კი, როგორცაა ლიბერია, ზიმბაბუე და სხვა, სადაც ათასობით ადამიანი იღუპება საკვების, წყლის თუ სხვა რესურსის უკმარისობის გამო, ინოვაციური მენეჯმენტი იძლევა იმის საშუალებას, რომ რამდენადმე შემცირდეს მასობრივი შიმშილობა და სიღარიბე. სწორედ, ინოვაციური მიდგომებით შეიძლება დაგძლიოთ იმ პრობლემების უმეტესობა, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დგას. ინოვაციური მენეჯმენტის საბოლოო მიზანი არ არის მხოლოდ მატერიალური შედეგის მიღება ან/და მეცნიერული სიახლეების დანერგვა, ამ ყველაფერს თან უნდა ახლდეს გარკვეული სოციალური ეფექტი, რომელიც, თავის მხრივ, ასახვას პოვებს შესაბამის სოციუმზე და მოუტანს მას კეთილდღეობას. მაგალითისთვის, ე.წ. „სმარტფონების“ წარმოება/რეალიზაციას, რომელზეც დღესდღეობით ძალზე მაღალია მოთხოვნა, მატერიალური თავღსაზრისით არა მხოლოდ მწარმოებელი კომპანიებისათვის მოაქვს მოგება, არამედ თუ ჩავუღრმავდებით, შევამჩნევთ, რომ ამ პროდუქციამ მთელი მსოფლიო გარკვეულწილად შეცვალა და განავითარა. აპლიკაციებისა და კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებით საზოგადოებას გაუადვილა ყოველდღიური ყოფა და საქმიანობა. ერთმა ტექნოლოგიურმა ინოვაციამ ხელი შეუწყო სხვადასხვა მიმართულების განვითარებას: ხელოვნებას, ჟურნალისტიკას, შოუბიზნესს, ბიზნესს და ა.შ.. ასევე, კარგი მაგალითია მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებისა და წყლის მილების შემუშავება, რის შედეგადაც კაცობრიობამ ჯერ ერთი გაიმარტივა აღნიშნული კუთხით პრაქტიკული საქმიანობა

და მეორეც, დაიზოგა მილიონობით კუბური მეტრი ხის მასალა და მილიონობით ტონა ლითონი, რომელიც, თავის მხვრივ, ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და ამავე დროს, ამოწურვადი რესურსია.

\* \* \*

ინოვაციური მენეჯმენტის კონტექსტში მოკლედ მიმოვიხილოთ საქართველოს მიერ განვლილი გზა დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე. ჩვენს ქვეყანაში პოსტკომუნისტური გარდატეხის დაწყებისთანავე გაჩნდა ახალი გამოწვევები, რომლებსაც სჭირდებოდა მოქალაქეთა დროული ადაპტირება, ვინაიდან სწორედ ქვეყნის მცხოვრებლები ქმნიან დოვლათს, რაზედაც მეტწილად არის დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე. უმთავრესი, რაც ინოვაციების შექმნას უწყობს ხელს, არის სპეციალიზაცია შესაბამის დარგში. თუ გადავაგვლებთ თვალს მსოფლიოს „ინოვაციურ რუკას“ დავინახავთ, რომ ყველაზე მეტი ინოვაციური პროდუქტი/მომსახურება ერთ სულ მოსახლეზე იქმნება იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია პროფესიონალიზმის დონე. ეს განვითარებული ქვეყნებია, სადაც ცხოვრობს ბევრი პროფესიის ბევრი კარგი სპეციალისტი, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს, რომელშიც, როგორც წესი, იბადება გენიალური იდეები. ამ მხრივ რთული ვითარება შეიქმნა საქართველოში 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საბჭოთა სისტემის გეგმიური ეკონომიკის პირობებში მოღვაწე მენეჯერები (არამარტო მენეჯერები) სრული გაურკვევლობის წინაშე აღმოჩნდნენ. ამას დაემატა სამოქალაქო ომისა და აფხაზეთის ომის შედეგები, რამაც, საბოლოო ჯამში, დაამძიმა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამ ყველაფერმა განაუვითარა ინტელექტუალური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე სტაგნაციური პროცესი საქართველოს უახლოეს ისტორიაში. კრიზისულ ვითარებაში ჩავარდნილი მოქალაქეები ჩამოშორდნენ თავიანთ ძირითად პროფესიას და თავის გადარჩენის მიზნით სხვა საქმიანობას მიჰყვეს ხელი ან საერთოდ დატოვეს ქვეყანა. სწორედ ამ დროს დაკარგა ქვეყანამ ფიზიკის, ქიმიის თუ სხვა პროგრესული დარგის ბევრი პერსპექტიული სპეციალისტი. 90-იანი წლების მიწურულსა და მიმდინარე საუკუნის პირველ ათწლეულში მეტ-ნაკლებად დასტაბილურდა ქვეყნის ყოველდღიურობა. განხორციელდა ისეთი სტრატეგიული პროექტები, როგორებიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-სუფსის ნავთობსადენი თუ სხვა. გარდა ამისა, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის დარგები გადაეწყო თანამედროვე რელსებზე, განხორციელდა ინსტიტუციური რეფორმები, დაიხვეწა ქვეყნის ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა და ა.შ., რის შედეგადაც მივიღეთ პროდასავლური, განვითარებადი ქვეყანა, რომელსაც ადრე დანარჩენი მსოფლიო მხოლოდ გეოპოლიტიკურ ჭრილში თუ იცნობდა, გაუჩნდა სხვადასხვა პერსპექტიული მიმართულებები. 2005-2007 წლებში ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა კორუფციისა და კრიმინალის დონე, დაიწყო უცხოური ინვესტიციების შემოდინება და მიღწეულ იქნა საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ზრდა, მაგრამ 2007-2008 წლების გლობალურმა კრიზისმა, რომელსაც დაემატა რუსეთ-საქართველოს ომი, კვლავ მნიშვნელოვნად შეარყია ქვეყნის ეკონომიკა და უმნიშვნელოვანეს პერიოდში რამდენიმე წლით დაამუხრუჭა განვითარება.

მიმდინარე ათწლეულში ქვეყანამ კვლავ აღიდგინა იმიჯი, ისევ გახდა მომხიბვლელი ინვესტორებისა და ტურისტებისათვის, გაიხსნა ახალი საწარმოები, გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტი, გაიზარდა ექსპორტის რაოდენობა, განხორციელდა საგადასახადო რეფორმები, შემუშავდა მეწარმეობის მხარდაჭერის არაერთი სახელმწიფო პროექტი თუ პროგრამა და, სწორედ ამ დროს არის საჭირო სახელმწიფო თუ კერძო მმართველობით საქმიანობაში ინოვაციური მიდგომების გამოყენება, რათა ყველა ეს პროცესი იყოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისაკენ მიმართული იმდენად, რამდენადაც, საბოლოო ჯამში, სახელმწიფო წარმატებებს აღწევს მხოლოდ ძლიერი ეკონომიკის პირობებში. როგორც აღინიშნა, ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა. მათ შორის, ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერალიზაციის, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირების, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების, კორუფციასთან ბრძოლისა და სხვა გზებით. ამ რეფორმების შედეგად, საქართველომ ეკონომიკური ზრდის ნორმალურ მაჩვენებლებს მიაღწია. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო სააგენტოებისა და საფინანსო ინსტიტუტების მიერ. შესაბამისი შედეგები აისახა იმ ინდექსებსა და რეიტინგებში, რომლებითაც ფასდება ქვეყნების ეკონომიკა. სტაბილური ეკონომიკური განვითარება,


ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და სხვა მრავალი ფაქტორი მყარ საფუძველს წარმოადგენს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის. “მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) კვლევის - “Doing Business 2019” მიხედვით, მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის ბიზნესის დაწყების სიმარტივის მიხედვით, საქართველომ გასულ წელთან შედარებით მე-4 ადგილიდან მე-2 ადგილზე გადაინაცვლა. უძრავი ქონების რეგისტრაციის კომპონენტში კი ქვეყანა სტაბილურად ინარჩუნებს მეოთხე ადგილს, ისეთი ქვეყნების წინ, როგორებიცაა შვედეთი, დანია, ნორვეგია, შვეიცარია და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, იმისთვის, რომ დაგვედგინა ინოვაციებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრი და მეორე მხრივ, გაგვეგო სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მენეჯერთა დამოკიდებულება საქართველოში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივებთან მიმართებაში, ჩვენ მიერ ჩავატარეთ ორი კვლევა. აღნიშნული კვლევების საფუძველზე წარმოდგენილია გარკვეული დასკვნები და წინადადებები.

პირველი კვლევის ფარგლებში, რომლის მიზანი იყო, გაგვეგო ინოვაციების ადგილი ქართულ რეალობაში და ინოვაციური პროცესების შემდგომი განვითარების პერსპექტივების შესახებ საზოგადოების შეხედულებები, გამოიკითხა 315 რესპონდენტი. კვლევამ მოიცვა მთელი საქართველო. აღნიშნული კვლევის ფარგლებში ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების შეხედულებათა საფუძველზე გამოგვევლინა ქვეყანაში ინოვაციური პროცესების განვითარების პერსპექტიული მიმართულებები, სადაც რესპონდენტებს შეეძლოთ დაესახელებინათ ნებისმიერი სფერო, რაზედაც მივიღეთ შემდეგი მოცემულობა (იხ. დიაგრამა 1), სიის სათავეში მოქცეულია ტურიზმი, ხოლო მას მოჰყვება ჯანდაცვა, მშენებლობა და ა.შ.

დიაგრამა 1

ინოვაციური პროცესების განვითარების პერსპექტიული მიმართულებები საქართველოში



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

კვლევის კიდევ ერთი მიზანი იყო საქართველოს მოქალაქეებთან ერთად განგვესაზღვრა ის ქალაქები/მუნიციპალიტეტები, რომელთაც გააჩნიათ ყველაზე დიდი პოტენციური ინოვაციური პროცესების განვითარების თვალსაზრისით. შედეგად რესპონდენტთა მიერ საერთო ჯამში თითქმის მთელი საქართველო დასახელდა, თუმცა გამოიკვეთა რამდენიმე ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ესენია: ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური, თბილისი, მესტია, ანაკლია, მცხეთა, ჭიათურა, გურჯაანი, წყალტუბო, აბასთუმანი, ბორჯომი, ზესტაფონი და ბაკურიანი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილ ტერიტორიებზე ბოლო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა მასშტაბური პროექტები, რაც კიდევ უფრო ზრდის აღნიშნულ ქალაქებსა თუ მუნიციპალიტეტებში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივებს.

იმისათვის, რომ ინოვაციური მიდგომები გაძლიერდეს საქართველოში არსებულ ორგანიზაციებში, საჭიროა მოსახლეობას კარგად ესმოდეს ინოვაციების მნიშვნელობა, რათა გაუჩნდეს მოთხოვნა ინოვაციური პროდუქციისა თუ მომსახურებისადმი და ზოგადად ინოვაციური

პროცესების მიმართ. კვლევის პროცესში ასევე მნიშვნელოვანი იყო გაგვევო რესპონდენტთა მხრიდან უშუალოდ ინოვაციური პროექტებისადმი დამოკიდებულება. შევეცადეთ მათი შეხედულებების საფუძველზე დაგვედგინა ინოვაციური იდეების დაფინანსებისა და რეალური განხორციელების პრობლემები საქართველოში. ამისათვის რესპონდენტებს მივმართეთ კონკრეტული კითხვებით. პირველ კითხვაზე - „როგორ ფიქრობთ - შეგიძლიათ ინოვაციური პროექტის შემუშავება?“ გამოკითხულთა 83,1 პროცენტმა დადებითი პასუხი გაგვცა, ხოლო მომდევნო კითხვა დაფინანსების საკითხს შეეხო და კითხვაზე „არსებობს თუ არა საქართველოში ინოვაციური იდეების დაფინანსების წყაროები (სახელმწიფო თუ კერძო პროექტები, პროგრამები, სხვადასხვა ორგანიზაციები და სხვა)?“ რესპონდენტთა 79,7 % ფიქრობს, რომ ამ კუთხით დაფინანსების პრობლემა არ არსებობს, რასაც მოჰყვა ჩვენ მიერ შემუშავებული კითხვარის მომდევნო კითხვა, რომელიც ლოგიკურ კავშირშია წინა კითხვებთან, „თქვენი აზრით საქართველოს მოქალაქეებს რა უშლით ხელს ინოვაციური იდეების განხორციელებაში?“. რესპონდენტებმა დაასახელეს ძირითადად სამი მიმართულების სხვადასხვა მიზეზი. დაახლოებით 20 % ამბობს, რომ შესაბამისი ფინანსების მოძიება აბრკოლებს ინოვაციური პროექტების შემუშავებას, რესპონდენტთა 37 პროცენტი მიიჩნევს, რომ ამ კუთხით უპირველესი პრობლემა არის ადგილობრივ მომხმარებელში ინოვაციური პროდუქციისა თუ მომსახურებისადმი დაბალი მოთხოვნა და, შესაბამისად, რისკი მაღალია, რომ ესა თუ ის ინოვაციური პროექტი ჩვენს ქვეყანაში ვერ გაამართლებს, ხოლო დარჩენილი 43 პროცენტი ძირითადად აქცენტს აკეთებს მოქალაქეთა ინტელექტსა და მსოფლხედვაზე, ისინი მიიჩნევენ, რომ მოქალაქეთა უმრავლესობის ზოგადი ცოდნა არ არის შესაბამისობაში თანამედროვე სამყაროს გამოწვევებთან, რაც ხელს უშლის რეალური საჭიროების მქონე ინოვაციური იდეების არსებობას. ზემოაღნიშნულ გარემოებათა ანალიზის საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი მოსაზრება, - რომ ქვეყანაში არსებობს ინოვაციური იდეების დაფინანსების წყაროები, რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ფიქრობს, რომ ინოვაციები აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერისათვის, დაახლოებით 83% ამბობს, რომ მას შეუძლია ინოვაციური იდეის შემუშავება მაგრამ, ქვეყნის მოქალაქეების მხრიდან ინოვაციებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების გამო, ვერ ხერხდება ღირებული ინოვაციური პროექტების დაგეგმვა/განხორციელება.

მას შემდეგ, რაც გავიგეთ საზოგადოების ზოგადი მოსაზრებები ინოვაციებთან დაკავშირებით, ჩავატარეთ მეორე კვლევა. ამჯერად უშუალოდ მენეჯერთა თვალთახედვით დავინტერესდით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სფეროში არსებული ორგანიზაციების ოცდაათმა მენეჯერმა. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ მენეჯერთა დაახლოებით 90% ინოვაციებს მიიჩნევს თავიანთი ორგანიზაციის წარმატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. თუმცა აღნიშნული ორგანიზაციების მხოლოდ 1/3 აქვს კვლევისა და განვითარების (R&D) დეპარტამენტი (სტრუქტურული ერთეული, რომელიც მუშაობს ინოვაციების შემუშავებაზე ან პრაქტიკაში უკვე არსებული ინოვაციების დანერგვაზე) ან მსგავსი სტრუქტურული ერთეული, მაგრამ კლასიკური გაგებით, R&D დეპარტამენტი გაცილებით უფრო ნაკლებად გვხვდება საქართველოში არსებულ ორგანიზაციებში. აღნიშნული გარემოება შეიძლება ავსხნათ იმით, რომ მიმდინარე პერიოდისათვის კვლევისა და განვითარების მიმართულებით თანხების მინიმალური ოდენობა გამოიყოფა.


მთლიანობაში, მოცემული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში არსებული ორგანიზაციების მენეჯერები საკმაოდ პოზიტიურად არიან განწყობილნი ინოვაციებისადმი, ამ მიმართულებით მათ მიერ არის სტრუქტურული და ფინანსური მხარდაჭერის მზაობა, გარდა ამისა, მიიჩნევენ, რომ ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების გარე წყაროებიც მეტ-ნაკლებად არსებობს, თუმცა არსებული რესურსებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით რეალური ნაბიჯები არ გადადგმულა, შესაბამისად, არც რაიმე რეალური შედეგები აქვთ ინოვაციების მიმართულებით.

## დასკვნა

დასკვნით ნაწილში გვსურს შემოგთავაზოთ ჩვენ მიერ შემუშავებული ინოვაციური მენეჯმენტის ერთგვარი უნივერსალური მოდელი, რომელიც მიმდინარე პერიოდისათვის საქართველოში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივებთან არის უშუალო კავშირში და შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციისათვის, რომელიც საქართველოში არსებულ ორგანიზაციებს მისცემს შესაძლებლობას, დროის მოკლე მონაკვეთში

მინიმალური დანახარჯებით ხელი შეუწყო თავიანთ დაწესებულებებში ინოვაციური პროცესების დანერგვა/განხორციელებას. (იხ. სქემა 1)

სქემა 1



წყარო: სქემა შედგენილია ავტორის მიერ.

მენეჯმენტის მოცემულ სქემაზე ნაჩვენებია ინოვაციებზე ორიენტირებული მენეჯმენტის მოდელი, რომლის სტრუქტურაში ცალკე ერთეულადაა ჩამოყალიბებული კვლევისა და განვითარების (R&D) დეპარტამენტი, რომლის თანამშრომლებიც ორგანიზაციის ყველა საკვანძო სტრუქტურულ ერთეულში არიან გადანაწილებულნი და სწავლობენ იქ არსებულ მდგომარეობას, ჩართულნი არიან უშუალოდ შესაბამისი დეპარტამენტის/განყოფილების საქმიანობაში, რაც იმავდროულად ამსუბუქებს იქ მყოფი თანამშრომლების დატვირთვას, ახორციელებენ კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირებას და უშუალო ხელმძღვანელს აწვდიან ინფორმაციას ინოვაციური მეთოდების შემუშავების შესაძლებლობების თაობაზე. აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულში თავს იყრის ზემოხსენებული პრინციპით შედგენილი დოკუმენტაცია ორგანიზაციის საქმიანობის ყველა მიმართულებით, რომელსაც შეისწავლის შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რის შემდეგაც ხდება წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა ამა თუ იმ მიმართულებით და მისი ქართულ რეალობასთან მისადაგებული კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება, რის საფუძველზეც დაწესებულების ხელმძღვანელისათვის იქმნება სპეციალური რეკომენდაციები, რომელთა უმთავრესი დანიშნულებაა ორგანიზაციის ეფექტიანობის ზრდა ინოვაციების ხარჯზე.

ინოვაციური მენეჯმენტის უნივერსალური მოდელი უნდა დაინერგოს ბევრ ორგანიზაციაში. აღნიშნული მოდელი უნდა ეფუძნებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპებს, ხოლო მისი ინტეგრირება პირველ რიგში უნდა მოხდეს შესაბამისი ორგანიზაციის ფინანსური და ადამიანური კუთხით არსებულ რესურსებთან, რათა სამეურნეო თვალსაზრისით იყოს სარგებელიანი, რენტაბელი და არ შეარყიოს მათი გადახდისუნარიანობა, ფინანსური მდგრადობა და საქმიანი აქტივობა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა., გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ, თსუ გამომცემლობა, თბ., 2001, გვ. 19.
2. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ., „მენეჯმენტის საფუძვლები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2008.
3. ქოქიაური ლ., ქოქიაური ნ., გეჩბაია ბ., „ინოვაციური ეკონომიკა“, გამომცემლობა „კალმოსანი“, თბილისი-ბათუმი, 2018.
4. Halkier, H., Kozak, M., & Svensson, B. Innovation and Tourism Destination Development. *European Planning Studies*, 22(8): 2013.
5. Najda-Janoszka, M., & Kopera, S. Exploring Barriers to Innovation in Tourism Industry – The Case of Southern Region of Poland. *Procedia – Social and Behavioral Sciences*, 110: 2014.
6. Aydogan E., Innovation Policies, Business Creation and Economic Development. A Comparative Approach, Springer Science – Business Media LLC, 2009

*Gela Mamuladze  
Mirza Bakhtadze*

## **FEATURES FOR DEVELOPING INNOVATIVE MANAGEMENT IN GEORGIA**

### **Summary**

Current scientific-technological progress in the world and organizations that act in different fields have been directly focused on innovations, that is connected with the competitiveness of the Georgian products and services both on the domestic and international markets. In order to meet current challenges of the modern economy for Georgian products - to increase the efficiency of management, it is necessary to implement a complex study of modern innovative regularities and continuous research into countries with innovative economies and successful companies, based on which for above mentioned field specific recommendations with practical values should be worked out.

Overall, the research studies the importance and characteristics of the innovative management as a component of the economic and sustainable development in the country, as well as factors supporting and deterring introduction of the innovative management. Since it was not possible to cover all fields with the prospect of innovative management development in Georgia, the focus was made on several priority fields, and particularly detailed research was made in conceptual and fundamental issues of the innovative management in Georgia. The concluding part of the article offers the universal model of innovative management for the organizations existing in Georgia. This model should be introduced to numerous organizations and integrated into the financial and human resources in the organization to be beneficial, financially feasible, and maintain the organizations payability, financial sustainability, and business activity.

*ნინო მამულაძე*

### **ეკოლოგიური (მწვანე) მარკეტინგი და რეალობა**

*ანოტაცია. მარკეტინგის ევოლუციამ განაპირობა სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის კონცეფციის ჩამოყალიბება, რომელიც დღესდღეობით ეკოლოგიური მარკეტინგის – მწვანე მარკეტინგის სახით ვლინდება, თუმცა თავისი მნიშვნელობით ორივე მსგავსია.*

*მისი არსებობა განპირობებულია ბუნებრივი რესურსების უკმარისობის, გარემოს გლობალური დაბინძურების, უხარისხო და ჯამრთელობისათვის საზიანო მინარევებით დაზარალებული პროდუქტის და შეფუთვის, ისეთი პროდუქტების წარმოებით, რომელიც არ ექვემდებარება ხელმეორედ გადამუშავებას, წარმოების არაეკოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენებით, მავნებლური დამოკიდებულებით ბუნებრივი რესურსების მიმართ და სხვა მრავალი ფაქტორით.*

*სწორედ ეკოლოგიური (მწვანე) მარკეტინგი წარმოადგენს პროცესს, რომლის საშუალებითაც ხდება საზოგადოების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ისეთი საქონლის და მომსახურების წარმოებით და რეალიზაციით, რომელიც მინიმალურ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს გარემოზე.*

*საკვანძო სიტყვები: სოციალურ-ეთიკური მარკეტინგი, ეკოლოგიური მარკეტინგი, მწვანე მარკეტინგი, ეკოშეფუთვა, ეკოწარმოება, გარემოზე ზრუნვა.*

### **შესავალი**

სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ცვლილება იწვევს მარკეტინგის ისეთი კონცეფციების განვითარებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანზე ორიენტაცია წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, მარკეტინგის ევოლუციამ განაპირობა მისი უახლესი კონცეფციის ჩამოყალიბება - სოციალურ-ეთიკური მარკეტინგი. იგი არის ბოლო პერიოდის ყველაზე დიდი ფენომენი, რომელიც გულისხმობს ყველა იმ მიზნობრივი ჯგუფის ცხოვრების დონის ამაღლებას გრძელვადიან პერსპექტივაში, რომელიც მონაწილეობს საქონლის შექმნის, გავრცელების და მოხმარების პროცესში.

სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის კონცეფცია ამტკიცებს, რომ ფირმის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებების, მოთხოვნილებებისა და ინტერესების განსაზღვრა და მათთვის სასურველი კმაყოფილების უზრუნველყოფა კონკურენტებზე უფრო



ეფექტური და პროდუქტიული მეთოდებით და ამავდროულად, მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობის შენარჩუნება და განმტკიცება.

ფირმა, რომელიც გრძნობს, ემსახურება და აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნილებებს, ყოველთვის მოქმედებს გრძელვადიანი სარგებლისათვის არა მარტო მომხმარებლებთან, არამედ საზოგადოებასთან.

სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის კონცეფციის გამოყენება ბიზნესში დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია, რაც განპირობებულია ბუნებრივი რესურსების უკმარისობის, მოსახლეობის სწრაფი ზრდის, საყოველთაო ინფლაციის, გარემოს გლობალური დაბინძურების, უხარისხო და ჯანმრთელობისათვის საზიანო მინარევებით დამზადებული პროდუქტის და შეფუთვის და სხვა მრავალი პრობლემების გამო.

მხოლოდ მარკეტინგის კონცეფცია ვერ იქნება საკმარისი მსგავსი პრობლემების გადასაჭრელად, ამიტომ საჭიროა უფრო აქტიურად და ეფექტურად გამოვიყენოთ სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის კონცეფცია. დღესდღეობით ეს კონცეფცია სხვადასხვა სახით ვლინდება: ეკოლოგიური მარკეტინგი, მწვანე მარკეტინგი, თუმცა თავისი მნიშვნელობით ორივე მსგავსია.

\*\*\*

ეკოლოგიური პრობლემები XXI საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა მსოფლიოში. უმეტეს შემთხვევაში, მასზე პასუხისმგებელია როგორც საქონლისა და მომსახურების მწარმოებლები, ასევე მიზნობრივი აუდიტორია. ისეთი პროდუქტების წარმოება, რომელიც არ ექვემდებარება ხელმეორედ გადამუშავებას, წარმოების არაეკოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენება, მავნებლური დამოკიდებულება ბუნებრივი რესურსების მიმართ და სხვა მრავალი, იწვევს გარემოს დაბინძურებას<sup>49</sup>.

ეკოლოგიური (მწვანე) მარკეტინგი წარმოადგენს პროცესს, რომლის საშუალებითც ხდება საზოგადოების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ისეთი საქონლის და მომსახურების წინ წაწევით, რომელიც მინიმალურ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს გარემოზე სასიცოცხლი ციკლის ყველა ეტაპზე. მარკეტინგის ამ სახის გამოყენებისას, საქონლის წარმოება ხდება ბუნებრივი რესურსების რაც შეიძლება ნაკლები გამოყენებით და გარემოზე მინიმალური ზიანის მიყენებით.

ეკოლოგიური (მწვანე) მარკეტინგის სისტემა შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ასპექტს: ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო პროდუქციის წარმოება; შეფუთვის ახალი სახის დამზადება; ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების შემუშავება; გარემოს დაბინძურების კონტროლი; პროდუქციის ეკომარკირება; პროდუქციის სტანდარტიზაცია და სერტიფიკაცია.

წარმოების ეკოლოგიზაციის, ეკოლოგიური რისკების შემცირების და ამავდროულად მოსახლეობისათვის ხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების მიზნით, აუცილებელია: განვაითაროთ ეკოპროდუქტების და მომსახურების ბაზარი; ვიმოქმედოთ „3R“-ის გამოყენებით (reducing - ნარჩენების რაოდენობის შემცირება, reusing - მასალების ხელმეორედ გამოყენება, recycling - ნარჩენების გადამუშავება); ISO 9000 და ISO 14000 საერთაშორისო სტანდარტის სერიებზე მორგება; მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის შექმნა ინვესტიციების მოზიდვის და ეფექტურად გამოყენების მიზნით, რათა მოხდეს ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების წარმოება და სხვა მრავალი ფაქტორი.

მნიშვნელოვანია ეკოლოგიური (მწვანე) მარკეტინგის გამოყენება თითოეული კომპანიის საქმიანობაში. არსებობს სხვადასხვა შესაძლებლობები, თუ როგორ შეუძლია ფირმას დანერგოს ეკომარკეტინგი საქმიანობაში. მაგალითად, მთლიანად გადავიდეს ონლაინ მუშაობაზე და ამოიღოს ქაღალდი და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენოს; ჰქონდეს საკუთარი ნარჩენების გადამამუშავებელი დანადგარი; საქონლის შესაფუთად გამოიყენოს მხოლოდ ეკომასალები; გამოიყენოს ეკოლოგიურად უსაფრთხო ენერჯის სახეები და ა.შ.<sup>50</sup>

მწვანე მარკეტინგი ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტუალურია. ყველა წარმატებული ბრენდი ცდილობს გახდეს ამ პროცესის მონაწილე ეკოლოგიურად სუფთა მასალების და საქონლის წარმოებით და, რაც მთავარია, გარემოზე ნაკლები ზიანის მიყენებით. განვიხილოთ

<sup>49</sup> <https://moluch.ru/conf/econ/archive/134/7965/>

<sup>50</sup> <https://digistr.ru/whatis/yekologicheskij-marketing-green-marketing-lohas>

ეკოლოგიური (მწვანე) მარკეტინგის სხვადასხვა მაგალითები როგორც უცხოეთის, ასევე საქართველოს მაგალითზე.

კომპანია „Media Market“ არის ელექტრო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის ფრანგული წარმოშობის ბრენდი. მაღაზიის მშენებლობის დროს იყენებს ყველაზე მოწინავე ელექტროენერჯის, გაგრილების და გათბობის დაზოგვის ტექნოლოგიებს. გარდა ამისა, კომპანია ხშირად აწვობს აქციებს და მოუწოდებს საზოგადოებას, ჩააბაროს ძველი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რათა მოხდეს მისი შემდგომი გადამუშავება ან, ხშირ შემთხვევაში, მოუწოდებს გაცვლისაკენ. შეიმუშავეს პროექტი „გადაამუშავე მომგებიანად“, რომლის ფარგლებშიც ისინი საზოგადოებას მოუწოდებდნენ, ჩაებარებინათ ძველი ენერგოდამზოგავი ნათურები და მათ სანაცვლოდ 15%-იანი ფასდაკლებით მიეღოთ ახალი ნათურები.

ეკოლოგიური (მწვანე) მარკეტინგის ერთ-ერთ თანამედროვე და პროგრესულ მიმართულებას წარმოადგენს ეკოლოგიურად სუფთა და გადამუშავებადი შეფუთვის და პარკების წარმოება.

კომპანია Yves Rocher-მა, ჯერ კიდევ 1993 წელს გამოუშვა ეკოშეფუთვა შამპუნისათვის და ეს იყო უბრალო ქესტი პლანეტის დასაცავად.

Tetra Pak-ი - ეს არის ერთ-ერთი წარმატებული კომპანია, რომელიც დაკავებულია პროდუქციის შეფუთვის დამზადებით. შესაფუთი მასალის ნედლეულის მოწოდებისათვის, კომპანია თანამშრომლობს ველური ბუნების საერთაშორისო ფონდთან, სერტიფიცირებული ტყის რესურსებით მოვაჭრე გლობალურ ქსელთან და სატყეო სამეურვეო საბჭოსთან. გარდა ამისა, კომპანია დიდ ძალისხმევას იყენებს, რათა შეიძინოს პოლიეთილენი ბრაზილიელი მომწოდებლებისაგან, რომელიც დამზადებულია შაქრის ლერწმისაგან. Tetra Pak-ის მიერ განხორციელებული პროექტებია: 100%-ით გადამუშავებადი შეფუთვა, მწვანე ოფისი (ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიები, ჰაერის გამწმენდების არარსებობა, რომელიც ოზონის შრის განადგურებას იწვევს და ა.შ.), ტყის რესურსების მხარდაჭერა, ნარჩენების გადამუშავება და FSC (Forest Stewardship Council) მუყაოს გამოყენება. FSC არის სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ მასალების მოწოდება ხდება იმ ტყიდან, სადაც მიმდინარეობს სატყეო მეურნეობის ეკოლოგიური და სოციალური დაბალანსება<sup>51</sup>.

ეკოლოგიური ავტომობილების წარმოება ერთ-ერთი ყველაზე წინ გადადგმული ნაბიჯია გარემოზე ზრუნვის თვალსაზრისით. ეკოლოგიური ავტომობილები, იგივე „მწვანე“ ავტომობილები ჩვეულებრივ ავტომობილებთან შედარებით გაცილებით ნაკლებ ზიანს აყენებს გარემოს. უპირატესობა კი არის ის, რომ საწვავისა და ბენზინის გადამუშავება ხდება შიდა წვის ძრავის საშუალებით, რის შედეგადაც ხდება გარემოს გაცილებით ნაკლები დაბინძურება.

გარემოზე ზრუნვის თვალსაზრისით, ასევე ერთ-ერთი ყველაზე წინ გადადგმული ნაბიჯია ელექტრო, ჰიბრიდული, წყალზე, მზის ენერჯიაზე და ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტომობილები.

MC donalds-მა, იმისათვის რომ არ დაეკარგა მომხმარებელთა დიდი რაოდენობა, გადაწყვიტა მიეღო საკმაოდ მაღალხარჯიანი გადაწყვეტილება ეკოლოგიური წარმოების თვალსაზრისით. კერძოდ კი: პლასტმასის ჩხირები და ჭიქები შეცვალეს ხის მასალით, რომელიც გამოსადეგარი იყო გადამუშავებისათვის. ჭიქები და თეფშები კი მაქსიმალურად თხელი იყო, რათა მარტივი ყოფილიყო გამოსაყენებლად. სპეციალური დამჭერები მხოლოდ ერთი ხელსახოცის ამოღების შესაძლებლობას აძლევდა მომხმარებელს ერთ მცდელობაზე, რის შედეგადაც ხდებოდა მისი წარმოებისათვის საჭირო მასალების ეკონომიურად გამოყენება. კომპანიამ ასევე შეძლო ელექტრორესურსების ჩანაცვლება ქარის ენერგოსადგურებით. მისი პროდუქციის შეფუთვა დამზადებულია მასალისაგან, რომელიც 100%-ით ბიოდეგრადირებადია<sup>52</sup>.

Hewlett-Packard - გაცილებით უფრო ნაკლებ ენერგორესურსებს იყენებს წინა წლებთან შედარებით. Toyota აწარმოებს ჰიბრიდულ ავტომობილებს და ავლენს ზრუნვას გარემოზე. კომპიუტერების მწარმოებელი კომპანია Dell-ის მთავარ მიზანს წარმოადგენს ისეთი კომპიუტერების წარმოება, რომელიც ენერგოეფექტურია და მასალები, რომლისგანაც მისი კომპიუტერებია დამზადებული, 90%-ით გადამუშავებადია<sup>53</sup>.

<sup>51</sup> <https://e-koncept.ru/2017/970023.htm>

<sup>52</sup> <https://studfiles.net/preview/6006112/>

<sup>53</sup> Иванченко О.В. Экологический маркетинг в рамках реализации концепции социально-этического маркетинга. Тернопиль 2016.

ეკოლოგიური (მწვანე) მარკეტინგი და მასთან დაკავშირებული პრობლემები დღითი დღე უფრო აქტუალური ხდება მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში. ამ მიმართულებით საქართველოშიც გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები. მაგალითად, კერძო ტაქსები უკვე მასიურად იყენებს Toyota-ს ფირმის ჰიბრიდულ ავტომობილებს. თბილისის მერია 2020 წლისათვის გეგმავს 200 ავტობუსის შეძენას, რომელთაგან 100 იქნება ბუნებრივ აირზე, ხოლო 100 ელექტრო.

2019 წლის 1 აპრილიდან საქართველოში არაბიოდევრადირებადი პოლიეთილენის პარკების გამოყენება აიკრძალა. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ საქართველო პირველი ქვეყანა გახდა რეგიონში, სადაც პოლიეთილენის პარკების გამოყენება აიკრძალა.

წიგნების მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსი“, სააფთიაქო ქსელი „ფარმადეპო“, სააბაზანე აქსესუარებისა და ფილების მწარმოებელი კომპანია „ვიტრა“ და სხვა წარმატებული ბრენდები უკვე წლებია იყენებენ ეკოპარკებს.

წიგნების მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსი“ უკვე წლებია იყენებს ეკოპარკებს. იგი გამომცემლობა „პალიტრა L“-ის მაკულიტერატურის პროექტშია ჩართული, შესაბამისად, მუყაოს პარკის ფურცელი, რომელიც „ბიბლუსის“ ქსელში გამოიყენება, სწორედ მათ მიერ შეგროვებული მაკულატურისაგან მზადდება, რადგან გარემოს დაცვა მათ სოციალურ პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

სააფთიაქო ქსელი „ფარმადეპო“ დაარსების დღიდანვე მხოლოდ ქაღალდის პარკით ყიდის თავის პროდუქციას და აქტიურად ატარებს ეკოპოლიტიკას. კრაფტის ქაღალდი, რომლისგანაც „ფარმადეპოს“ პარკებია დამზადებული, ეკოპროდუქტია, იგი სრულიად ბიოდევრადირებადია. დღესდღეობით „ფარმადეპო“ ასევე იყენებს შპს „აპლასტი“ - ის მიერ დამზადებულ პარკს, რომელიც 100%-ით ბიოდევრადირებადია.

სააბაზანე აქსესუარებისა და ფილების მწარმოებელი კომპანია „ვიტრა“ უკვე წლებია იყენებს მუყაოსაგან დამზადებულ ეკოპარკებს, რომელიც საკმაოდ მაღალი ხარისხისაა და მძიმე წონასაც კი უძლებს.

სწრაფი კვების ობიექტებში უკვე მასიურად გამოიყენება თხელი ქაღალდის მასალისაგან დამზადებული შეფუთვა, რაც დადებით განწყობას იწვევს მომხმარებელში.

ეს არასრული ჩამონათვალია იმ კომპანიებისა და ბრენდებისა, რომლებიც აქტიურად არიან ეკოლოგიური (მწვანე) მარკეტინგის კამპანიაში ჩართულნი და ცდილობენ გარკვეული წილი შეიტანონ გარემოს დაცვაში. ვიმედოვნებთ, მათი რიცხვი კიდევ უფრო მეტად მზარდი იქნება. კომპანიების მაღალი ჩართულობა ეკოლოგიურ მარკეტინგში გამოიწვევს ბუნებრივი რესურსების ეკონომიას, ტყის რესურსის შენარჩუნებას, არაბიოდევრადირებადი ნარჩენების შემცირებას და სხვა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს გარემოზე ზიანის მიყენებას.

## დასკვნა

იმისათვის, რომ უფრო მასიური და ეფექტური გავხადოთ ეკოლოგიური (მწვანე) მარკეტინგის გამოყენება, მწარმოებლებმა მუდმივად უნდა გაატარონ მარკეტინგული პოლიტიკა, რომელიც ამ მიმართულების პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. ზემოქმედების ეფექტურ მეთოდებად შეიძლება ჩაითვალოს: სხვადასხვა პუბლიკაციები პრესაში და სატელევიზიო სიუჟეტები, სადაც ნაჩვენებია იქნება მწვანე მარკეტინგის აქტივობების სახეები და კამპანიები, საინფორმაციო ბუკლეტების გამოშვება, სპეციალური მარკირება, სხვადასხვა აქციები, კონფერენციები, სხვადასხვა ტიპის აქტივობები, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს კომპანიების, საზოგადოების, მწარმოებლების დაინტერესებას და წაახალისებს მათ ეკოლოგიურად სუფთა მასალების, ეკოშეფუთვის, ეკო პარკების და სხვა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებისაკენ. ეკოლოგიური (მწვანე) მარკეტინგის აქტივობების რეკლამა უნდა ასახავდეს იდეას, რომ სწორედ მწვანე მარკეტინგის საშუალებით ხდება არსებულ გარემოზე, ახლანდელ და მომავალ თაობაზე ზრუნვა.

ეკოლოგიურ (მწვანე) მარკეტინგს აქვს საკმაოდ დიდი პოტენციალი, გახდეს ყველაზე შემოსავლიანი და წარმატებული მიმართულება გრძელვადიან პერსპექტივაში. ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობა, მოხმარების რაოდენობის ზრდა და გარემოს დაბინძურება ემსახურება მწვანე მარკეტინგს დანერგვას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Захарова Т.В., Краковецкая И.В., „Экологический Маркетинг“, Москва 2018.
2. Иванченко О.В. „Экологический маркетинг в рамках реализации концепции социально-этического маркетинга“, Тернопиль, 2016;
3. <https://digistr.ru/whatis/yekologicheskij-marketing-green-marketing-lohas>
4. <https://e-koncept.ru/2017/970023.htm>
5. <https://studfiles.net/preview/6006112/>
6. <https://moluch.ru/conf/econ/archive/134/7965/>

*Nino Mamuladze*

## ECOLOGICAL (GREEN) MARKETING AND REALITY

### Summary

The socio-ethical marketing concept is based on marketing evolution. Nowadays it is evolved as ecological marketing or green marketing, but both of them are similar.

Its existence is caused by the lack of natural resources, the global environmental pollution, poor quality product and package, products that are not recyclable, using non-ecological technologies of production, destruction of natural resources and many other factors.

Ecological (green) marketing is the process, by which the needs and demand of the consumers are satisfied by the production and sale of such kind of products, which minimize negative impacts on the environment.

**Key words:** *Socio-ethical marketing concept, ecological marketing, green marketing, eco packaging, eco manufacturing, environment care.*

*დადი სოლოლა შვილი  
თეა უდესიანი*

### მწვანე ეკონომიკის გამოწვევები სამეურნეო სუბიექტებისა და მათ მიერ წარსაღბენ მმართველობის ანგარიშგებისა და

**ანოტაცია.** მწვანე ეკონომიკა ადამიანების კეთილდღეობისა და სოციალური თანასწორობის მთავარი შედეგია, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემო რისკებს და ეკოლოგიურ დანაკარგებს. მწვანე ეკონომიკა ეკონომიკური განვითარების ის მოდელია, რომელიც მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე დაფუძნებული. სხვა დარგებისგან იმით განსხვავდება, რომ იგი პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც ეკონომიკური ღირებულება აქვს. ყოველივე ეს კი ზრდის და გარკვეული გამოწვევების წინაშე აყენებს სამეურნეო სუბიექტების პასუხისმგებლობას.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ეკონომიკა, მდგრადი განვითარება, სამეურნეო სუბიექტები, კანონმდებლობა, მმართველობის ანგარიშგება

### შესავალი

მწვანე ეკონომიკა თანამედროვე მსოფლიოს ერთდერთი აქტიური პრობლემაა მთელ მსოფლიოში. ამ პროცესში თითქმის ყველა ქვეყანაა ჩართული, მათ შორის საქართველოც. მწვანე ეკონომიკა უზრუნველყოფს რეალურ, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ამცირებს გარემოს დაბინძურებას, კლიმატის ცვლილებას, გარემოს დეგრადაციას, რესურსების გამოლევის საშიშროებას. ის სტიმულს აძლევს ბიზნესს, აწარმოოს მწვანე პროდუქტი და მომსახურება.

მწვანე ეკონომიკის ერთდერთი ძირითადი მიმართულებაა მდგრადი განვითარების პრინციპებთან თანხვედრა. „მდგრადი განვითარება კი საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემაა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას – ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და

ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი“ [საქართველოს კანონი. მუხლი 4/ლ.]

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთდერთ ძირითდ პრინციპად ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოების, მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება წარმოადგენს. მწვანე ეკონომიკა პირდაპირ და ირიბად ხელს უწყობს „საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა“ და „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ (DCFTA) ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

\* \* \*

„საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში საქართველო იღებს ვალდებულებას, განახორციელოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ-სტრუქტურული ცვლილებები. სწორედ ამის შედეგად 2016 წლის 8 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ", რომლის მიზანს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა და "ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის" ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ ევროკავშირის აქტებთან დაახლოება წარმოადგენს.

აღნიშნულმა კანონმა, მწვანე ეკონომიკის სხვა მოთხოვნებთან ერთად, სამეურნეო სუბიექტებს, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი დაინტერესების პირებსა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებს მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ახალი სამართლებრივი მოთხოვნები დაუწესა. კერძოდ, აღნიშნული კანონის თანახმად საზოგადოებრივი დაინტერესების პირები, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის და შემდგომ პერიოდებში ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარადგინონ მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში. ქართული ბიზნესსექტორისათვის მმართველობის ანგარიშგების შედგენა და წარდგენა ზემდგომი ორგანიზაციისადმი სიახლეს წარმოადგენს.

მმართველობის ანგარიშგების მიზანია, დაინტერესებულ პირებს გააცნოს ინფორმაცია სუბიექტის საქმიანობასთან, განვითარებასა და მდგომარეობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ანგარიშგების დახმარებით, ინფორმაციით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ როგორც სუბიექტის სამომავლო პერსპექტივებისა და ძირითადი რისკების შეფასება, ასევე ის, თუ რამდენად წარმატებულად შეასრულა საწარმომ დასახული მიზნები.

მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

- ა) საქმიანობის მიმოხილვას;
- ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას;
- გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ არაფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან იგი მოიცავს მწვანე ეკონომიკის საკითხებს, კერძოდ კი გარემოს დაცვის, სოციალური, დასაქმების, ადამიანის უფლებების დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სუბიექტის საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის ზეგავლენის დასადგენად აუცილებელ ინფორმაციას, მათ შორის:

ა) სუბიექტის ბიზნესმოდელის მოკლე მიმოხილვას;

ბ) სუბიექტის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული საკითხების მიმართ გამოყენებული პოლიტიკის აღწერას, მათ შორის, ინფორმაციას განხორციელებული კომპლექსური პროცედურებისა და გატარებული პოლიტიკის შედეგების შესახებ. თუ სუბიექტი არ იყენებს ასეთ პოლიტიკას, ამასთან დაკავშირებით ანგარიშგებაში ნათელი და დასაბუთებული განმარტება შეიტანება;

გ) სუბიექტის საქმიანობის რისკების ანალიზს, რაც საჭიროების შემთხვევაში მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) სუბიექტის ბიზნესურთიერთობებს, ამ პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე პროდუქციის ან/და მომსახურების შესაძლო უარყოფით ზეგავლენას და სუბიექტის მიერ გამოყენებული რისკების მართვის მეთოდებს;

დ) კონკრეტული საქმიანობის ძირითად არაფინანსურ მაჩვენებლებს;

ე) საჭიროების შემთხვევაში დ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე მითითებას და მათ შესახებ დამატებით განმარტებებს.

მიზანშეწონილია, სამეურნეო სუბიექტმა გაასაჯაროს მისი საქმიანობიდან გამოწვეული გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, რელევანტური ინფორმაცია გარემოზე მიმდინარე ან შესაძლო გავლენებთან დაკავშირებით. აგრეთვე, ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ შეუძლია არსებულ და მოსალოდნელ გარემოსდაცვით საკითხებს სუბიექტის განვითარებაზე, საქმიანობასა და მდგომარეობაზე გავლენის მოხდენა. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს:

ა) არსებით ინფორმაციას გარემოს დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის შესახებ;

ბ) ენერჯის მოხმარებით გამოწვეულ ზემოქმედებას გარემოზე;

გ) პირდაპირ და არაპირდაპირ ემისიებს ატმოსფეროში;

დ) ბუნებრივი რესურსების (მაგ., წყალი, მიწა) გამოყენებასა და დაცვას, აგრეთვე მათთან დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების დაცვას;

ე) ნარჩენების მართვას;

ვ) პროდუქციისა და მომსახურების გამოყენებასთან, გაყიდვასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით საკითხებს;

ზ) ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტებისა და მომსახურების განვითარებას<sup>54</sup>.

სამეურნეო სუბიექტმა შესაძლოა მხედველობაში მიიღოს ისეთი არაფინანსური გარემოსდაცვითი საკითხები, როგორებიცაა: ენერგოეფექტურობა და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება; ენერგომოხმარება არაგანახლებადი წყაროებიდან და ენერგომოცულობა; მეტრულ ტონებში CO2 ეკვივალენტის სათბური გაზის გამოყოფა და სათბური გაზის მოცულობა; სხვა დამაბინძურებლების ემისიები (გაზომილი აბსოლუტური მნიშვნელობით და მოცულობის მიხედვით); ბუნებრივი რესურსების მოპოვება; ზემოქმედება და დამოკიდებულება ბუნებრივ რესურსებსა და ბიომრავალფეროვნებაზე; ნარჩენების მართვა (მაგ., გადამუშავების ნორმები).

მმართველობის ანგარიშგება, სხვა არაფინანსურ საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს ინფორმაციის გამჟღავნებას მიწოდების ჯაჭვის შესახებ. მიწოდების ჯაჭვი არის სუბიექტსა და მომწოდებლებს შორის არსებული ქსელი, რომელიც პროდუქტის/მომსახურების მომხმარებელამდე მიტანას უზრუნველყოფს.

ამ კუთხით რა უნდა ასხოს სუბიექტმა მმართველობის ანგარიშგებაში?

„თუ სუბიექტი რელევანტურად მიიჩნევს, უნდა გაასაჯაროს არსებითი ინფორმაცია მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სუბიექტის საქმიანობის განვითარებაზე, მდგომარეობასა და შედეგებზე. აღნიშნული უნდა მოიცავდეს სუბიექტის მიწოდების ჯაჭვის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად საჭირო ინფორმაციას, ასევე, განმარტებას, თუ რამდენად რელევანტურია არაფინანსური საკითხები, რომლებიც მიწოდების ჯაჭვის მართვის პროცესშია ჩართული“<sup>55</sup>. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტი ჩათვლის, რომ მოსალოდნელი მოვლენების ან მოლაპარაკებების პროცესში მყოფი საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაციის გასაჯაროება მისთვის არახელსაყრელია, რაც მდგომარეობს მისი ინტერესების მნიშვნელოვნად დაახიანებაში, შეუძლია გასაჯაროების მოთხოვნის შესრულება ნაკლებად საზიანო, შეჯამებული ინფორმაციის სახით წარადგინოს.

სუბიექტმა შესაძლოა გაასაჯაროს არსებითი ინფორმაცია მიწოდების ჯაჭვის მონიტორინგის შესახებ, სხვადასხვა საკითხებთან ერთად მწვანე ეკონომიკასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა მაგალითად წყლისა და გარემოს დაბინძურება, ტყეების ჩეხვა, ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული რისკები და სხვა.

ამავდროულად სავალდებულოა სუბიექტმა მმართველობის ანგარიშგებაში ასახოს ინფორმაცია საშიში მინერალების შესახებ. თუ ეს საკითხი რელევანტურია, უნდა გასაჯაროვდეს მაღალი რისკის მქონე ტერიტორიებიდან კალის, ტანტალის, ვოლფრამისა და ოქროს უსაფრთხო მიწოდების საკითხის სუბიექტის მიერ სათანადო შესწავლასთან დაკავშირებული ინფორმაცია. სუბიექტმა შეიძლება გაასაჯაროს საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც დაკავშირებულია იდენტიფიცირებული რისკების ბუნებასა და რაოდენობასთან, ასეთი რისკების პრევენციისა და მიტიგაციისთვის მიღებულ ზომებთან.

<sup>54</sup> mmarTvelobis angariSgebis saxelmZRvanelo. gv. 28.

<sup>55</sup> mmarTvelobis angariSgebis saxelmZRvanelo. gv. 31

ბუნებრივია იბადება კითხვა: რა ეკონომიკურ მექანიზმებს ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა სამეურნეო სუბიექტებისათვის გარემოს დაცვის სფეროში?

კანონმდებლობის [გარემოს დაცვის. თავი 5] თანახმად:

1. გადასახადებს გარემოს დაცვის სფეროში;
2. ეკოლოგიურ დაზღვევას;
3. გარემოს დაცვის ეკონომიკურ სტიმულირებას;
4. გარემოსდაცვით აუდიტსა და
5. გარემოსდაცვით მოთხოვნებს პრივატიზაციის პროცესში.

**გადასახადები გარემოს დაცვის სფეროში** დ ითვალისწინებს „ფასიანი ბუნებათ-სარგებლობისა“ და „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპებიდან გამომდინარე დ გარემოზე მავნე ზემოქმედებისათვის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის და სხვა გადასახადებს;

**ეკოლოგიურ დაზღვევა** დ ხორციელდება ეკოლოგიურად განსაკუთრებით საშიში საქმი-ანობის ობიექტების მიმართ. ეკოლოგიური დაზღვევით შემოსული თანხები გამოიყენება ეკოლოგიური ავარიისა და კატასტროფის შედეგების აღმოფხვრისა და მათი პროფილაქტიკის-ათვის.

**გარემოს დაცვის ეკონომიკურ სტიმულირების** მიზანია უნარჩენო, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები, ეკოლოგიურად სუფთა, მცირენარჩენიანი საუკეთესო ტე-ქნოლოგიისა და ტექნიკის დამუშავებისა და დანერგვის, მეორადი ნედლეულის გამოყენების, ეფექტური გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა, რაც შეიძლება განხორციელდეს: რეკლამით გარემოს დაცვის საკითხებზე, საგადასახადო შეღავათით, შეღავათიანი სახელმწიფო კრედიტით.

**გარემოსდაცვითი აუდიტი** დ წარმოადგენს საქმიანობის სუბიექტის მიერ გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა, გარემოს დაცვის ნორმების (თვით საქმიანობის სუბიექტის მიერ დადგენილის ჩათვლით) შესრულებისა და ბუნებათსარგებლობის სისტემის მართვის ეფექტურობის ანალიზს, რომელიც მოიცავს მთელ საწარმო-ტექნოლოგიურ ციკლს და ტარდება საქმიანობის ეკოლოგიური შეფასებისა და მოხმარებული ბუნებრივი რესურსების დანაკარგების, გარემოზე მავნე ზემოქმედებისა და ნარჩენების მინიმიზაციის გზებისა და საშუალებების გამოვლენის მიზნით.

**პრივატიზაციის პროცესში გარემოსდაცვითი მოთხოვნებიდან** გამომდინარე, პრივატიზებული სამეურნეო ობიექტის მესაკუთრე არ თავისუფლდება იმ გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც დაკისრებული ჰქონდა სამეურნეო ობიექტის ყოფილ მესაკუთრეს. გარდა ამისა, საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობის დარღვევით სამეურნეო ობიექტის პრივატიზებამდე საქმიანობის განხორციელების შედეგად გამოწვეული ზარალის ანაზღაურება ეკისრება პრივატიზებული სამეურნეო ობიექტის ყოველ ახალ მესაკუთრეს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოს კანონის „ბუნებრივი ადრინცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, თანახმად (მუხლი 8) დ სდპ და პირველი კატეგორიის საწარმო, რომელთა საქმიანობა მოიცავს წიაღით სარგებლობას (მათ შორის, ნავთობისა და გაზის მოპოვებას) ან ბუნებრივი წარმოშობის ტყეში ხე-ტყის დამზადებას, ვალდებული არიან, ყოველწლიურად მოამზადონ და წარადგინონ სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება. ამ ანგარიშგებაში უნდა აისახოს სახელმწიფოსთვის მოგების გადასახადის, სალიცენზიო და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირების საფასურის, როიალტის, დივიდენდის, „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბონუსის, ქირისა და საკონცესიო გადასახადის სახით, ფულადი ან ნატურალური ფორმით გადახდილი ის თანხები, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდში გადახდის ამ თითოეული სახეობისათვის ერთჯერადად ან ჯამურად 100 000 ლარს აღემატება.

## დასკვნა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მწვანე ეკონომიკა უზრუნველყოფს რეალურ, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ამცირებს გარემოს დაბინძურებას, კლიმატის ცვლილებას, გარემოს დეგრადაციას, რესურსების გამოლევის საშიშროებას. ის სტიმულს აძლევს ბიზნესს, აწარმოოს მწვანე პროდუქტი და მომსახურება.

მწვანე ეკონომიკის გამოწვევები გახადა საფუძველი კანონმდებლობით, კერძოდ კი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულიყო ვალდებულება სამეურნეო სუბიექტების მიერ მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და გასაჯაროებისა. მმართველობის ანგარიშგებაში, სხვა დანარჩენ საკითხებთან ერთად, სამეურნეო სუბიექტს მოეთხოვება არაფინანსური საკითხების წარდგენაც, რომელიც, სხვა პრობლემებთან ერთად, მწვანე ეკონომიკის პრობლემებსაც მოიცავს.

მმართველობის ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, ქმნის ერთიან კონტექსტს და დაინტერესებულ პირებს აწვდის მრავალმხრივ ინფორმაციას სამეურნეო სუბიექტის შესახებ. კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მმართველობის ანგარიშგებას თან უნდა ახლდეს აუდიტორის მოსაზრება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან შესაბამისობის თაობაზე, რაც უფრო ამაღლებს მის საიმედოობას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელო. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. 2018.
2. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. 8 ივნისი. 2016.
3. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“. საქართველოს პარლამენტი. 10.12.1996.
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. 17.09.2010.
5. საერთაშორისო უურნალი მწვანე ეკონომიკის შესახებ <http://www.inderscience.com/ijge>
6. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020.
7. EaP GREEN - ევროკავშირის პროგრამა „მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“.
8. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამა [http://www.unep.org/pdf/GreenEconomy\\_SuccessStories.pdf](http://www.unep.org/pdf/GreenEconomy_SuccessStories.pdf)
9. <http://greeneconomics.org.uk>

*Dali Sologhashvili  
Tea Udesiani*

## GREEN ECONOMY CHALLENGES FOR ECONOMIC SUBJECTS AND THEIR SUBMISSION TO THE GOVERNANCE

### Summary

Green economy is the main result of well-being and social equality of people, which significantly reduces environmental risks and ecological losses. Green economy is a model of economic development based on sustainable development and knowledge of ecological economics. It differs from other fields that it directly assesses the country's natural capital, which has the economic value. Civil society and economic subjects participate in the development of green economy, who are producers and suppliers of goods and services. All this increases and poses some challenges to the responsibilities of economic subjects.

In terms of production and consumption, increase of liability of agricultural subjects means they are using efficient resources and materials, minimizing and avoiding waste generation, sustainably using water resources. Environmental considerations, reasonable consumption of resources etc. all this serves to develop the green economy.

Increasing the liability of the economic subjects together with the above requirements also implies creating, presenting, and publicizing the factors on the green economy in the form of governance accounts. Creating and submitting reports for the Georgian business sector is a novelty for the superior organization.

Within the framework of the Association Agreement between Georgia and the European Union, Georgia undertakes to implement legislative and administrative-structural changes. As a result, in 8 June 2016, the Parliament of Georgia adopted the Law on Accounting, Reporting and Audit, which aims to create a regulatory framework for accounting, reporting and auditing. Also, Georgia, the European Union and European



Atomic Energy Union and their member states are closer to the EU acts envisaged by the Association Agreement.

The above law, along with other requirements of the Green Economy, has been entrusted to the entrepreneurs, particularly those of public interest and enterprises of the first and second categories, and the new legal requirements for preparation and submission of management reports. In particular, the public interests of the first and second categories under this law are obliged to enter the accounting, reporting and audit supervision service together with financial accounting in the period of 31 December 2017 and the following financial statements. Creating and submitting reports for the Georgian business sector is a novelty for the superior organization.

Based on the experience of the developed states, we can assume that the preparation and publicity of the management report will positively affect the sustainability of the subjects and the improvement of financial or non-financial indicators. Over time, this process will facilitate the development of the subject, increase the number of employees and the trustees of the partners, investors and customers towards the subject.

*მირონ ტულუში*

### **„მწვანე მენეჯმენტის“ ზოგიერთი საკითხი საქართველოში**

*ანოტაცია* განვითარებულ ქვეყნებში „მწვანე ეკონომიკისა“ და „მწვანე მენეჯმენტის“ სფეროში განსაზღვრულია სახელმწიფოს, ბიზნესსექტორის, სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის, მასშედიის თუ სხვათა მოვალეობები და პასუხისმგებლობა. „მწვანე მენეჯმენტის“ საკითხები ქვეყნების ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მართვის სისტემის ორგანული შემადგენელი ნაწილია. საქართველოში ხელისუფლება დაინტერესებულია „მწვანე ეკონომიკისა“ და „მწვანე მენეჯმენტის“ განვითარებით, ხორციელდება მთელი რიგი პროგრამები და პროექტები, თუმცა, გარკვეული წინსვლის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამ მხრივ სერიოზული პრობლემებია მცირე და საშუალო ბიზნესში.

*საკვანძო სიტყვები:* „მწვანე მენეჯმენტი“, „მწვანე ეკონომიკა“, გარემოზე ზემოქმედება, გარემოსდაცვითი ღონისძიებები, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა.

განვითარებული ქვეყნები დიდი ხანია ჯეროვან ყურადღებას უთმობენ „მწვანე ეკონომიკის“ საკითხებს და კარგი შედეგებიც აქვთ. ამას ვერ ვიტყვით განვითარებად ქვეყნებზე, სადაც, ერთეული გამონაკლისების გარდა (ტუნისში არსებობს განახლებადი ენერჯის მიღებისა და გამოყენების საინტერესო გამოცდილება, ტყეების მართვაში წარმატებებს მიაღწიეს ნეპალში, ორგანული სოფლის მეურნეობა წარმატებით ვითარდება უგანდასა და კუბაში და ა.შ.), „მწვანე ეკონომიკის“ პრობლემები კვლავაც მეტად აქტუალურია. უკანასკნელ წლებში, ამ მხრივ მდგომარეობის რამდენადმე გაუმჯობესების მიუხედავად, რაშიც ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული რიგი ღონისძიებების რეალიზაციამ დადებითი როლი ითამაშა, ჩვენს ქვეყანაში, „მწვანე ეკონომიკის“ განვითარების დონე სახარბიელო არაა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ გასულ წელს, ქვეყნის სამთავრობო პროგრამაში ასახული და პრემიერ-მინისტრის მიერ პირველი რიგის ამოცანად მოხსენიებული გარემოსდაცვითი პოლიტიკის რეალიზაცია, რომელიც „მწვანე ეკონომიკის“ სტრატეგიასაც მოიცავს, ამ სფეროში შექმნილი მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესების პერსპექტივებს სახავს.

იმისათვის, რომ ავირიდოთ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება აუცილებელია, „მწვანე ეკონომიკის“ საყოველთაოდ ცნობილ სექტორებში<sup>56</sup>, მუდმივად და არა პერიოდულად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებასა და

<sup>56</sup> rogoricaa: 1. ganaxlebad i energia (mzis, qariz, geoTermuli, zRvis, maT Soris – talRebisa da miqceva-moqcevis, biogazis da siTburi ujredabis energia); 2. mwvane Senobebi (energiis mwvane modifikatorebi, mwvane produqtebi da masalebi); 3. sufTa transporti (alternatiuli sawvavi, sazogadobriv i transporti, hibriduli da electrosatransporto saSualebebi); 4. wylis resursebis marTva (wylisa da wvimis gamwmendi sistemebi, Sida wylis landSafti, wylis gamoyeneba); 5. narCenebis marTva (narCenebis daxarisxeba, utilizacia, municipaluri narCeni masalebis gamoyeneba, niadagis nayofierebis gaumjobeseba, gamwenda); 6. miwis marTva (organuli soflis meurneoba, urbanuli tyeebi da parkebi, tyeebis ganaSenianeba) da a.S.

რეალიზაციას. ასეთი მრავალმხრივი საქმიანობა ხელისუფლების ყველა შტოს, კერძო სექტორის, მასმედიის, მთელი მოსახლეობის გაერთიანებულ ძალისხმევას საჭიროებს.

„მწვანე ეკონომიკის“ სექტორების მიხედვით დასახული ღონისძიებების რეალიზაცია წარმოუდგენელია „მწვანე მენეჯმენტის“ გარეშე. „მწვანე მენეჯმენტი“ ესაა მმართველობითი საქმიანობა, რომლის მიზანია გარემოსდაცვითი (ეკოლოგიური) მენეჯმენტის საფუძვლების სრულყოფა, გარემოსდაცვით საქმიანობაზე პასუხისმგებელი პერსონალის, გარემოსდაცვითი მართვის სისტემებისა და კომუნიკაციების განვითარება და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

ნებისმიერი მიმართულებით „მწვანე მენეჯმენტის“ უმთავრესი დანიშნულებაა გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შერბილება-აღმოფხვრა, რაც მეტად რთული, შრომატევადი, საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მატერიალურთან ერთად სოლიდურ ფინანსურ რესურსებს საჭიროებს. „1960 წლის ბოლომდე ადამიანების (და ორგანიზაციების) მხოლოდ მცირე ნაწილი აქცევედა ყურადღებას მათი გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების ეკოლოგიურ შედეგებს. მთელმა რიგმა სტიქიურმა უბედურებებმა ინდივიდუალურ პირებს, ჯგუფებს და ორგანიზაციებს (და ჩვენი აზრით, ქვეყნების მთავრობებსაც, მ.ტ.) გარემოს დაცვის (ენვაირონმენტალიზმის) ახალი სული შთაბერა. მენეჯერები სულ უფრო და უფრო მეტად ითვალისწინებენ მათი ორგანიზაციების ზემოქმედებას გარემოზე, რასაც ჩვენ „მწვანე მენეჯმენტს“ ვუწოდებთ. მენეჯერებს და ორგანიზაციებს კი ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ბუნებრივი გარემოს დასაცავად“ (4.ს. რობინსი, მ. კოულტერი, მენეჯმენტი, თავი 5, გვ. 158-159). ჩვენ ვიზიარებთ ცნობილი მეცნიერების ამ მოსაზრებას, ამასთან გვსურს ხაზი გაგუსვათ იმას, რომ მათ „მწვანე მენეჯმენტის“ პრობლემა განხილული აქვთ ზოგადი მენეჯმენტის საკითხებთან შესაბამისობაში, ანუ ორგანიზაციების დონეზე და მისი მიზნებიდან გამომდინარე.

მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შერბილება-აღმოფხვრაში, კერძოდ, კი „მწვანე ეკონომიკისა“ და „მწვანე მენეჯმენტის“ ღონისძიებების განხორციელებაში მათ ორგანიზებული როლის შესრულება ეკისრება ქვეყნის როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელ, ასევე სასამართლო ხელისუფლებას. საქართველოს მთავრობამ ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებმა, მერიებმა, მუნიციპალიტეტებმა სრულად უნდა გააცნობიერონ აღნიშნული პრობლემის მნიშვნელობა და თავიანთი კომპეტენციის, ფინანსური რესურსებითა და საშტატო ერთეულებით მაქსიმალურად შეეცადონ დროულად განახორციელონ გარემოსდაცვითი ღონისძიებანი.

უკანასკნელ წლებში, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტში, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში, არაერთი მიმართულებით, მრავალი გარემოსდაცვითი ღონისძიებაა გათვალისწინებული, რომელთა დაფინანსების წყაროს ბიუჯეტების საკუთარ შემოსავლებთან ერთად საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისთვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები და გრანტები წარმოადგენს. მაგალითად, საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში<sup>57</sup>, რომელიც 2017 და 2018 წლების ბიუჯეტების მონაცემებსაც მოიცავს, ასახულია მთელი რიგი პროგრამები თუ ცალკეული ღონისძიებები, რომელთა დანიშნულებაა გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შერბილება და რიგ შემთხვევაში აღმოფხვრაც კი. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა აღნიშნული საკითხის მიმართ ჩვენი ქვეყნის მთავრობის მიერ გაცხადებული პოზიცია, რომელიც, გასული წლების მსგავსად, საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტშიც აისახა. კერძოდ, ბიუჯეტის V თავის - „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამების“ 12-ე მუხლში- „გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა“, რომელშიც აღნიშულია:

„ეკონომიკური განვითარების პარალელურად, გარემოს დაცვა, მისი მდგრადობის შენარჩუნება და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მნიშვნელოვანი გამოწვევა და საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. საქართველოს მთავრობა გააგრძელებს რეფორმებს მდგრადი და ჯანსაღი გარემოს უზრუნველსაყოფად,

<sup>57</sup> garemosdacviTi RonisZiebebi gaTvaliswinebuli iyo saqarTvelos 2018 wlis saxelmwifo biujetSic, magram misi Sesrulebis Sesaxeb mTavrobis angariSi, jer-jerobiT, gamomoqveynebuli ar aris.

კერძოდ: საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად გაგრძელდება თანამედროვე გარემოსდაცვითი პრინციპებისა და სტანდარტების ეტაპობრივი დანერგვა, მდგრადი განვითარების მიზნების გარემოსდაცვითი მიმართულებების შესრულება და „მწვანე ეკონომიკის“ პრინციპების რეალიზება.

ჩამოყალიბდება გამჭვირვალე პროცედურებზე დაფუძნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა. დაიხვეწება გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებული რისკების შემცველი საქმიანობების ჩამონათვალი. საპროექტო იდეის შემუშავების საწყის ეტაპზევე შეფასდება დაგეგმილი საქმიანობის მიზანშეწონილობა, რაც ინვესტორს ფუჭი ფინანსური დანახარჯებისგან დაიცავს. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობა უფრო ეფექტიანი გახდება. ქვეყნის სივრცითი მოწყობისა და ქალაქების განვითარების გეგმებს, აგრეთვე სხვადასხვა სექტორში მომზადებულ გეგმებსა და პროგრამებს ჩაუტარდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, რაც ქვეყანას სხვადასხვა მნიშვნელოვანი სექტორის განვითარების დაგეგმვის პროცესში ჯანმრთელობის დაცვისა და გარემოს დაცვის ასპექტების გათვალისწინების საშუალებას მისცემს.

გარემოს დაზიანების პრევენციისა და აღმოფხვრის (კომპენსაციის) მიზნით ჩამოყალიბდება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ეფექტიანი სისტემა;

მოწესრიგდება სასარგებლო წიაღისეულის შესწავლისა და მოპოვების საკითხები ამ სფეროთი კერძო სექტორის მაქსიმალური დაინტერესების სტიმულირებისთვის ლიცენზირების პროცესში გათვალისწინებული იქნება ეკოლოგიური ასპექტები. სახელმწიფო შეძლებს რესურსების ეფექტიან გამოყენება-ათვისებას;

დაინერგება ახალი მარეგულირებელი ნორმები ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებისა და ბიოლოგიური რესურსებით მდგრადი სარგებლობის მიზნით, მათ შორის, ნადირობისა და თევზჭერის სფეროებში;

სახელმწიფო უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიების გაფართოებასა და ეკოტურიზმის ხელშეწყობას;

ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვისა და ხელშეწყობისათვის დამკვიდრდება ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის ეფექტიანი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მანკეულობების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას;

კლიმატის ცვლილებით განპირობებული ბუნებრივი კატასტროფების საფრთხეების რისკების შესამცირებლად გაფართოვდება ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი, გაძლიერდება მოდელირების შესაძლებლობები და დაინერგება ადრეული შეტყობინების ეროვნული სისტემა;

კლიმატის ცვლილების შესახებ პარიზის შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად, გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები ქვეყანაში სათბურის ეფექტის მქონე აირების გაფრქვევების შესამცირებლად;

გაუმჯობესდება ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად დადგინდება თხევადი საწვავის ხარისხობრივი ნორმები და დაიხვეწება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების აღრიცხვის სისტემა;

გაგრძელდება წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემაზე გადასვლა, რომელიც სააუზო მართვის ევროპულ პრინციპებს ეფუძნება;

შეიქმნება რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ახალი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს რადიაციის შესაძლო მავნე ზეგავლენისგან მოსახლეობისა და გარემოს დაცვას“;

გარემოსდაცვითი ღონისძიებების რეალიზაციის მიზნით, ამავე ბიუჯეტში, ყურადღება გამახვილებულია გარემოსდაცვითი კონტროლის გაძლიერებაზე (12.1 გარემოსდაცვითი ზედამხედველობა -პროგრამული კოდი 31 08).

განხორციელდება გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სისტემის სრულყოფა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა ჯეროვან შესრულებას, გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენციას, გამოვლენასა და აღკვეთას;

„გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემთხვევაში მისი აღსრულების მიზნით განხორციელდება: რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსთვის მიყენებული ზიანის თავიდან ასაცილებლად განხორციელებული ღონისძიებების კონტროლი; გარემოსთვის მიყენებული ზიანის ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით შეფასება; გარემოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ან სანაცვლო ღონისძიებების განხორციელების კონტროლი;

შეფასება საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა (2017–2021 წწ.) და შემუშავდება გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა (2022–2026 წწ.), ასევე, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის (2015–2020 წწ.) და საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიის (2017–2020) შესაბამისი სამოქმედო გეგმები (12.2 გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა - პროგრამული კოდი 31 01);

მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გათვალისწინებული სატყეო სისტემის ჩამოყალიბებისა და მართვის ნაწილში (პროგრამული კოდი 31 10)

გაძლიერდება ყურადღება დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბებისა და მართვისადმი (12.4, პროგრამული კოდი 31 09)

ეკოლოგიური წონასწორობის შესანარჩუნებლად დაგეგმილია დაცული ტერიტორიების გაფართოება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა და აღდგენა.

საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამებსა და პრიორიტეტებში საგანგებო ყურადღება აქვს დათმობილი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს, რადგან ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საქართველოს რეგიონების განვითარების, საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებში საქართველოს მაქსიმალური ინტეგრირებისა და ეკონომიკური განვითარების სტიმულირების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, კერძოდ:

-გაგრძელდება და სწრაფი ტემპით წარიმართება ახალი მაგისტრალური გზების მშენებლობა, არსებული გზების რეკონსტრუქცია და საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზაცია. ქვეყნის მასშტაბით აშენდება საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანზიტო და რეგიონების დამაკავშირებელი შიდა საავტომობილო გზები;

-მეტი ყურადღება დაეთმობა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტის- მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების უზრუნველყოფას;

-აქტიურად გაგრძელდება წყალმომარაგება-კანალიზაციის და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში;

-ნარჩენების მართვა განხორციელდება ევროპული სტანდარტების შესაბამისად. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გაუმჯობესდება მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სერვისები. უზრუნველყოფილი იქნება არსებული ნაგავსაყრელების საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ისინი ეტაპობრივად დაიხურება. ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით მოეწყობა ახალი რეგიონული სანიტარიული ნაგავსაყრელები. დაინერგება ნარჩენების სეპარირებისა და გადამუშავების სისტემები;

-გაიზრდება ნაპირდაცვითი სამუშაოების მოცულობები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ „პრიორიტეტებსა და პროგრამებში“ დეკლარირებული მიზნები და ამოცანები კონკრეტული ღონისძიებების სახით, რეგიონებისა და დაფინანსების ოდენობების მითითებით წარმოდგინდა ამავე ბიუჯეტის მე-16 მუხლში - „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები“. მაგალითად, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისათვის 2019 წელს დაიხარჯება 226 მლნ-ნზე მეტი ლარი (კოდი-25.04), მყარი ნარჩენების მართვის პროგრამის განხორციელებაზე - 40 მლნ-მდე (კოდი-25.05), ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობისათვის- დაახლოებით 813 მლნ ლარი (კოდი-25.02.03), სატყეო სისტემის ჩამოყალიბებისა და მართვის მიზნით - დაახლოებით 12 მლნ (კოდი-31.10), გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამის განსახორციელებლად- 5 მლნ (კოდი-31.12), გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგის განსახორციელებლად დაახლოებით 2.4 მლნ (კოდი-31.14), ბათუმში ახალი ავტობუსების პროექტის განსახორციელებლად- 7.8 მლნ (კოდი- 54.02.04), თბილისში ამავე მიზნით -75 მლნ (კოდი-

54.12.05), თბილისში მყარი ნარჩენების პროექტის განსახორციელებლად-20 მლნ ლარი (კოდი-54.12.06) და ა.შ.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული პროექტების, პროგრამების თუ ცალკეული ღონისძიებების დაფინანსების წყაროს ბიუჯეტების საკუთარ შემოსავლებთან ერთად წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისთვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო სახსრები, შეღავათიანი კრედიტები და გრანტები.

საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია ყველა მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელების მონიტორინგისა და მართვის სუფიციენტ საკითხები. მითითებულია, რომ მართვის სისტემის დეცენტრალიზაციის და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხებზე და მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური გაძლიერებისთვის მუშავდება შესაბამისი წინადადებები.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მთავრობას, ზოგადად მართვის, ასევე „მწვანე ეკონომიკის“ მართვის, ანუ „მწვანე მენეჯმენტის“ მხრივ, როგორც უმაღლეს რგოლში (ქვეყნის მთავრობა), ასევე საშუალო (ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობა) თუ დაბალ რგოლებში (მუნიციპალიტეტებში) ორგანიზაციული სტრუქტურის არსებითი ხასიათის ცვლილება და ახალი სამსახურების შექმნა არ დასჭირდება<sup>58</sup>. როგორც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულებიდან ჩანს (3, დებულება), რომ გარემოსდაცვითი საქმიანობის ეფექტიანი მართვისთვის აუცილებელი ორგანიზაციული სტრუქტურა არსებობს როგორც მართვის უმაღლეს რგოლში, ასევე საშუალო და დაბალ რგოლებში, ამასთან, ისინი უზრუნველყოფილია აუცილებელი მეთოდური თუ მეთოდოლოგიური მასალებით.

მართალია, გარემოსდაცვითი ღონისძიებების რეალიზაციისათვის საჭირო ფინანსური რესურსების და რიგ შემთხვევაში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების ნაკლებობა<sup>59</sup> პრობლემის მოკლე დროში მთლიანად გადაჭრის შესაძლებლობას არ იძლევა, მაგრამ პერსპექტივაში მათი ეტაპობრივი დაძლევისათვის საჭირო რესურსების მოძიება ქვეყანას არ უნდა გაუჭირდეს, მითუმეტეს, რომ ამით დაინტერესებულია საქართველოს მეგობარი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში გარემოსდაცვითი საქმიანობისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა არსებობს და საჭიროების შემთხვევაში მისი სრულყოფა პრობლემას არ წარმოადგენს (მაგალითად, ამჟამად, საქართველოს პარლამენტში განხილვის პროცესშია კანონის პროექტი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“). დაწყებულია და წარმატებით მიმდინარეობს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ ნორმებთან, თუმცა, მომდევნო წლებში უფრო მკაფიო და კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურების პრევენციის, ნარჩენების მართვის, ბიომრავალფეროვნების, ეკოსისტემებისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის სრულყოფის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ქვეყნის ხელისუფლება (მთავრობა, პარლამენტი) „მწვანე ეკონომიკისა“ და „მწვანე მენეჯმენტის“ პრობლემებს ადეკვატურად აფასებს, ამ მხრივ შემუშავებული სტრატეგია და პროგრამა-პროექტებიც საყურადღებოა, თუმცა, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, წინსვლის მიუხედავად, ქვეყანაში მათი რეალიზაციის პრობლემა მაინც არსებობს, რაც აუცილებლად უნდა გადაიჭრას, მითუმეტეს, რომ გარემოს დაცვის ღონისძიებების რეალიზება პირდაპირ არის დაკავშირებული ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულებასთან. ამ

<sup>58</sup> ar SeiZleba ar SevniSnoT, rom Cvens qveyanaSi marTvis nebismeri, gansakuTrebiT ki umaRlesi rgoli, kadrebiT, SeiZleba iTqvas, rom „gadajerebulia“. amaze, pirvel rigSi, amJamad, saqarTvelos premier-ministris aparatSi dasaqmebulTa raodenobac miuTiTebis (227 kaci). igive SeiZleba iTqvas saqarTvelos parlamentis mimarTac (parlamentis 150 wevri da aparatის 670 TanamSromeli). daaxloebiT aseTive mdgomareobaa saxelmwifo Tu municipaluri marTvis sxva rgolebSic. marTalia, bolo wlebSi, qveynis marTvis sistemaSi dasaqmebulTa ricxvi Semicirda, magram es, am mxriv qveyanaSi arsebul mdgomareobas ver aumjobesebs, marTvis sistemis Senaxvis xarjebi kvlavac Zalian didia. radgan aRniSnuli problema, Cveni statის Temas scildeba, mas momavalSi ganvixilavT.

<sup>59</sup> am problemis dasaZlevad gaTvaliswinebulia municipalitetebis moxleTa uwyveti swavlebis sistemის danergva, maTi kvalifikaciის amaRlebis RonisZiebebis uzrunvelyofის xelSewyoba da koordinacia.

მხრივ საინტერესო იქნება საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიში, რომელიც უახლოეს პერიოდში გამოქვეყნდება.

გარემოს დაცვის, „მწვანე ეკონომიკისა“ და „მწვანე მენეჯმენტის“ სფეროში არსებული პრობლემების დაძლევის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ბიზნესს. საყოველთაოდ ცნობილია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანწილად გარემოს დაცვასაც გულისხმობს. როდესაც კომპანია ჩართულია ბუნებრივი გარემოს დაცვის მოძრაობაში ის, ბუნებრივია, ცდილობს საჯარო გახადოს საქმიანობის შედეგები. მსოფლიოში 1300 მეტი მსხვილი ორგანიზაცია აქვეყნებს ასეთ ანგარიშებს, რომლებშიც აღწერილია მათ მიერ განხორციელებული „მწვანე“ ღონისძიებები.

ბიზნესის „სიმწვანეზე“ მიუთითებს მის მიერ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ დადგენილი სტანდარტების დაცვა, როგორცაა, მაგალითად, ISO 9000 (ხარისხის მენეჯმენტი), ISO 14 000 (გარემოს დაცვის მენეჯმენტი), ISO 22 000 (საკვების უვნებლობის მენეჯმენტი), ISO 26 000 (სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯმენტი), ISO 50001 (ენერჯო რესურსების მენეჯმენტი) და ა.შ. „ორგანიზაციამ, რომელსაც სურს დაიცვას ISO 14 000 სტანდარტი რთული გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესასრულებლად, უნდა შექმნას მენეჯმენტის მთელი სისტემა. მუდმივად უნდა გააუმჯობესოს გარემოსდაცვითი მუშაობის მანველებლები. კომპანიის მწვანე საქმიანობის შეფასების კიდევ ერთი გზაა მსოფლიოს ყველაზე მდგრადი ორგანიზაციების ნუსხაში - GLOBAL 100-ში მოხვედრა. ამისათვის ორგანიზაციამ გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის შესანიშნავი უნარი უნდა გამოამჟღავნოს“ (4. ს. რობინსი, მ. კოულტერი, მენეჯმენტი, თავი 5, გვ. 160-161).

კერძო სექტორის ისეთი წარმომადგენლები, როგორცაა მსხვილი კომპანიები, მათი ფილიალები გარემოს დაცვის საკითხებს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ასეა დღესაც, რასაც ვერ ვიტყვით საშუალო და მცირე ბიზნესზე. თუ მსხვილი ბიზნესისათვის გარემოსდაცვითი საქმიანობა, გარემოებათა გამო, ერთგვარ მოთხოვნილებად გადაიქცა, მცირე ბიზნესს, ასეთი მოთხოვნილების არსებობის მიუხედავად, თუნდაც მწირი ფინანსური რესურსების გამო, არა აქვს ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მუდმივი კონტროლის არც ცოდნა, არც შესაძლებლობა და არცთუ იშვიათად, სურვილიც კი. ამიტომ, მათ სახელმწიფოსაგან დახმარება სჭირდება, როგორც საგანმანათლებლო კუთხით, ასევე საგადასახადო შედეგებით და ა.შ.

საქართველოშიც უნდა შეიქმნას ისეთი სამეწარმეო გარემო, რომელიც მცირე ბიზნესს შეაძლებინებს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს როგორც მთლიანი შიგა პროდუქტის წარმოებაში, ასევე გარემოსდაცვითი სტრატეგიის რეალიზებაში. ამის მიღწევა, ჩვენი სამეწარმეო პრაქტიკიდან გამომდინარე, რთული იქნება, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან კონტროლისა (რაც აუცილებლად უნდა გაძლიერდეს) და დახმარების კომპლექსური ღონისძიებების გატარების შედეგად შესაძლებელი გახდება. მცირე ბიზნესის წარმომადგენლებმა დროულად უნდა გააცნობიერონ, რომ გარემოსდაცვითი მიმართულებით გაწეული საქმიანობით, ეკოლოგიურად ჯანსაღი პროდუქტების წარმოებით და ა.შ. მათი მოგების ზრდის მეტი შესაძლებლობები შეიქმნება (გაყიდვების მატება, ექსპორტის ზრდა და ა.შ.).

იმისათვის, რომ გარემოსდაცვითი პროცესების მართვაში წარმატებები იქნეს მიღწეული აუცილებელია მასში ჩართულ იქნეს მოსახლეობის ბევრად უფრო დიდი ნაწილი. დღეს უკვე არასაკმარისია მიმართვა: „არ დაანაგვიანო“. მოსახლეობა ცენტრში თუ რეგიონებში გარემოსდაცვითი პროგრამა-პროექტების რეალიზაციაში მეტი აქტიურობით უნდა ჩაებას. ამ მიმართულებით საჭიროა ახსნა-განმარტებითი საქმიანობის ფართოდ გაშლა, იმ სიკეთის თითოეულ მოქალაქემდე დაყვანა, რაც შეიძლება მათ მოუტანოს ჯანსაღი გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებამ. ხელისუფლებასთან ერთად, ამ მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანი მასშტაბის როლი.

იმის გათვალისწინებით, რომ გარემოსდაცვითი პროგრამა-პროექტების რეალიზება დიდი ოდენობის თანხებს საჭიროებს (და რომ საქართველოს შიგა რესურსული პოტენციალი არცთუ დიდია), უცხოელი დონორების მოძიება კვლავაც მნიშვნელოვანია. ამ მიმართულებით კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს მუშაობა მეგობარ სახელმწიფოებთან, საერთაშორისო საფინანსო

ორგანიზაციებთან, ინვესტორებთან. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება, ჩვენს ქვეყანას, კვლავაც მნიშვნელოვნად შეუწობს ხელს ფინანსური რესურსების მოძიებაში.

დასკვნა: საქართველოს ხელისუფლების (როგორც ცენტრში ასევე რეგიონებში) მხრიდან „მწვანე ეკონომიკის“ და „მწვანე მენეჯმენტის“ ყველა სექტორის მიმართ დაინტერესების ზრდა და საქმიანობის გააქტიურება გარემოსდაცვით სფეროში არსებული პრობლემების თანდათანობითი დაძლევის შესაძლებლობას ქმნის, რაც, აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული. ამ მიმართებით საქართველოში აუცილებელია ამდღდეს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, მათ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ „მწვანე ეკონომიკისა“ და „მწვანე მენეჯმენტის“ ეფექტიანობის ზრდის ღონისძიებების დასახვასა და რეალიზებას. ეს, განსაკუთრებით საშუალო და მცირე ბიზნესს ეხება. მოსახლეობამ სრულად უნდა გაცნობიეროს გარემოსდაცვითი ღონისძიებების სიკეთე და აქტიურად ჩაებას ამ საყოველთაო მოძრაობაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს გარემოსდაცვითი კონცეფცია- „მწვანე ეკონომიკა“, თბ., 2018;
2. საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, ქუთაისი, 2018 წლის 13 დეკემბერი. №3948-1;
3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულება, საქართველოს მთავრობის დადგენილება №112, ქ. თბილისი, 2018 წლის 6 მარტი;
4. ს. რობინსი, მ. კოულტერი, მენეჯმენტი, 2014. ქართული თარგმანი, ელექტრონული ვერსია, თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა;
5. ნინო კვერდელიძე, მყარი ნარჩენების მართვა საქართველოში, თბ.,2014; [https://www.kas.de/c/document\\_library/get\\_file?uuid=982df88d-130f-9d79-a653-d25efbab809f&groupId=252038](https://www.kas.de/c/document_library/get_file?uuid=982df88d-130f-9d79-a653-d25efbab809f&groupId=252038);
6. Green Management – Concept and Strategies; National Conference on Marketing and Sustainable Development October 13-14, 2017; [https://www.researchgate.net/publication/330089504\\_Green\\_Management-Concept\\_and\\_Strategies](https://www.researchgate.net/publication/330089504_Green_Management-Concept_and_Strategies)

*Miron Tugushi*

### SOME ISSUES OF «GREEN MANAGEMENT» IN GEORGIA

#### Summary

«Green Management» is a management activity which aims to improve the basis of environmental (ecological) management, development of staff responsible for environmental activities, environmental management systems and communications and biodiversity maintaining. Due to the fact that realization of the events being planned by the "Green Economy" sectors is unimaginable without "Green Management". In the developed countries particular attention is paid to it.

World practice certifies, that legislative and executive bodies, as well as judicial power, business, mass media, population and other sectors of the country should perform organaizng role in implementation of Green Economy and Green Management events in order to mitigate and eradicate negative impacts on the environment.

Governments of Georgia and its Autonomous Republic, mayors and municipalities recognize the importance of thie above mentioned problem and try to implement environmental measures in timely manner by using their competence, financial resources and staff units.

In recent years, in the state budgets of Georgia, the Autonomous Republic and all the Territorial Units have been considered many environmental measures for our country, the source of financing of the above-mentioned budgets together with their own incomes include the international financial institutions and foreign governments long term investment financing for the Georgian government by preferential credits and grants. For instance, in the State budget of 2019, which includes data from the budgets of 2017 and 2018 as well, there are a number of programs or individual activities aimed at mitigating negative impacts on environment and in some cases their eradicating.

During last years, environmental improvements in Georgia have been improved to some extent. Along with other measures It was facilitated by implementation of a number of realized measures and events

envisaged by the Association Agreement with the European Union. Nevertheless, the level of development of "Green Economy" and "Green Management" in our country is not still good. Though it should be said, that last year, realization of the environmental policies referred to by the Prime Minister as the first task of the country, which also includes development of the "Green Economy", has the prospects of substantially improving the situation created in this field.

The Government of Georgia, as well as the management of Green Economy, or Green Management, as in a high level of governing ( government of the country), as well as the medium (autonomous republic government) or the lowest (municipalities) organizational structures do not need to create substantial changes and new jobs in this direction. As it is shown from the provisions of the the Ministry of Environmental Protection and Ministry of Agriculture, there already exists an organizational structure, which is necessary for efficient management of environmental activity.

It could be said, that the Legal framework of the law for environmental activity in Georgia is already created, but if necessary it is not a problem to improve some of the provisions (for example, the draft Law on Environmental Responsibility» is now in the process of review in the Parliament of Georgia).

It has been already started and currently successfully is going on harmonization of the existed Law with the European norms. Though, the concrete steps should be taken in the following years in order to improve air, soil and water pollution prevention, waste management, biodiversity, ecosystems and from the point of view of sustainable management of all natural resources. It should be mentioned here, that in Georgia still there is an acute problem of financial resources required for realization of environmental measures and in some cases the problem of personnel with relevant qualifications.

In Georgia should be created such an entrepreneurial environment that will enable medium and small businesses to play much more important role in implementation of overall product and environmental strategy.

Taking into consideration that realization of the environmental programs - projects require large amounts of money (and that the potential resources of Georgia are not so big), seeking for foreign donors is still important. In this direction, we should more and more activate our work with friendly states, international financial organizations and investors. The Association Agreement with the European Union will still significantly support our country in finding financial resources.

**Conclusion:** the interest of the government of georgia (as in the center and in the regions) towards „ Green Economy "and „Green Management" is constantly growing. Increasing social responsibility of the business and activating activities to the environmental direction, creating more and more people's interest in resolving these problems create possibility of gradual overcoming the environmental problems, which will hopefully be used.

**Key words:** „Green Management“, „Green Economics“, *Environmental impacts, measures environment protection, social responsibility of business.*

*ქეთევან შენგელია*

**პროექტების მართვის და ბიზნესსფეროს უზენაესიონირების ეფექტიანობისათვის  
საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი და მომავალი პერსპექტივები**

**ანოტაცია.** მუდმივად ვითარდება საინფორმაციო ტექნოლოგიები, რაც ამარტივებს ბიზნესის ფუნქციონირებას, საუკეთესო ბიზნესპროექტების შერჩევას და განხორციელებას. თანამედროვე კომპანიები უკვე იყენებენ „მაიკროსოფტის“ ლიცენზირებულ დრუბლოვან ტექნოლოგიებს, რაც რეგულაციური განვითარებაა IT ტექნოლოგიაში. დღეს ვერც ერთი სფერო გვერდს ვერ აუვლის მათ. ეს უკანასკნელი საშუალებას იძლევა, სრულყოფილად მოხდეს საჭირო ინფორმაციის და მონაცემების შეგროვება და დამუშავება რთული მახვევებლების გამოსაანგარიშებლად, რათა ნაკლებ დროში და ნაკლები დანახარჯებით შესაძლებელი გახდეს საუკეთესო პროექტების შერჩევა. ასევე აღსანიშნავია, რომ მაიკროსოფტის და გუგლის ლიცენზირებული დრუბლოვანი ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს კომპანიებს, ოპერატიული ინფორმაცია განათავსონ 2 კონტინენტზე გადაზღვეულ დაცულ დრუბლოვან საცავში, რაც მკვეთრად ამცირებს მართვასთან დაკავშირებულ ხარჯებს და კომპანიებს მეტი დრო რჩებათ ბიზნესის განვითარებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნესპროექტები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, დრუბლოვანი ტექნოლოგიები, აუთოსორსინგი.



ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის, ცხოვრების დონის გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა ბიზნესის განვითარება. ბიზნესმა უნდა უზრუნველყოს დასაქმება და იტვირთოს პასუხისმგებლობა თავის მუშაკთა კეთილდღეობაზე.

საქართველოში ბიზნესის განვითარების შეფასებას მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია და ჟურნალი ახდენს. მსოფლიოში ცნობილი ჟურნალები - ორტუნე, თჰე ცონომისტ, ურომონეჟ და სხვები, აქვეყნებენ სხვადასხვა ქვეყანაში ბიზნესის განვითარების რეიტინგებს<sup>60</sup>. ძირითადად გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლების ჯგუფი: ეკონომიკის ეფექტიანობა; პოლიტიკური რისკის დონე; დავალიანების მდგომარეობა; სახელმწიფო ვალის ოდენობა; საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობა; მოკლევადიანი სასესხო კაპიტალის ხელმისაწვდომობა; ფორსმაჟორული გარემოებები; ტექნოლოგიების განვითარების დონე.

მსოფლიო ბანკის კვლევები გვიჩვენებს, რომ მთავარ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უშლის ბიზნესპროექტების წარმატებით განხორციელებას, განეკუთვნება პოლიტიკური განუსაზღვრელობა (28%), მაკროეკონომიკური არასტაბილურობა (23%), გადასახადები (19%), სამართლებრივი რეგულირება (10%), კორუფცია (10%)<sup>61</sup>.

ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა რომ დაჩქარდეს, ხელი უნდა შეეწყოს ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოებას და ახალი ბიზნესპროექტების განხორციელებას ასეთ სფეროებში. უნდა განვითარდეს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (საავტომობილო გზები, რკინიგზა, საზღვაო პორტები, ტურიზმი, სასტუმროები), სოფლის მეურნეობის და კვების პროდუქტების წარმოება და სხვა დარგები. ამ ყველაფერს ხელი უნდა შეუწყოს ძლიერმა სახელმწიფო პოლიტიკამ, რომელიც უზრუნველყოფს სტაბილურ და მიმზიდველ ბიზნესგარემოს<sup>62</sup>.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციაა, რომ ქვეყანაში იქნეს ეკონომიკური ზრდის ტემპი 7-8%-ის, ხოლო ინფლაცია 6%-ის ფარგლებში მიღწეული. სამწუხაროდ, ეს რეკომენდაცია ჯეროვნად ვერ სრულდება. ამას სჭირდება მკაცრი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარება. მიზანშეწონილია საინვესტიციო ფონდების, სატრასტო და შალიზინგო კომპანიების შექმნა, ასევე ერთობლივი ვენჩურული ფირმების ჩამოყალიბება უცხოელ ინვესტორებთან ერთად. უნდა შემუშავდეს ბიზნესპროექტების შეფასების კომპლექსური სისტემა, რომლებიც მოემსახურება ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღების საკითხებს.

ბიზნესსუბიექტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დაფუძნებულია მოსალოდნელი შედეგების წინასწარ შეფასებაზე. ბიზნესპროექტების ეფექტიანობის შეფასებას მრავალი მეცნიერი განიხილავდა. მათ შორის: ვ. ბერენსი, გ. ბერლი, გ. ბირმანი, ს. შმიდტი, ი. ლიპსიცი და სხვები. პროექტების ეფექტიანობის მაჩვენებლები ძირითადად იყოფა სამ სახეობად<sup>63</sup>: კომერციული ეფექტიანობის მაჩვენებლები; საბიუჯეტო ეფექტიანობის მაჩვენებლები; ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები.

მეთოდური რეკომენდაციების თანახმად, პროექტის ეფექტიანობა ხასიათდება მაჩვენებელთა სისტემით, რომლებიც ასახავს დანახარჯებისა და შედეგების თანაფარდობას. მისი მეშვეობით შესაძლებლობა გვეძლევა ავირჩიოთ სხვადასხვა პროექტიდან საუკეთესო.

პროექტის ეფექტიანობის მაჩვენებლებს აღნიშნული ავტორები ყოფენ:

1. ზოგადი მაჩვენებლები, რომლებიც ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმად გვევლინება;
2. სხვადასხვა დროის ფულადი დანახარჯის შეპირისპირება შედეგებთან. მათ შორის გამოიყოფა სტატისტიკური და დინამიური მაჩვენებლები.

სტატისტიკური მაჩვენებლები დაფუძნებულია საადრიცხვო შეფასებაზე, ხოლო დინამიური მაჩვენებლები ემყარება დისკონტირებულ შეფასებას. სტატისტიკური მეთოდით მიღებულ მაჩვენებლებს მიეკუთვნება - კაპიტალის ანაზღაურების ვადა (Payback Period, PP); ეფექტიანობის კოეფიციენტი (Accounting Rate of Return, ARR). დინამიური მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოიყოს წმინდა დისკონტირებული ღირებულება (Net Present Value, NPV),

<sup>60</sup> q.Sengelia, "globaluri kompaniebis zegavlena da saqarTvelos perspeqtivebi", Journ. „ekonomika“, 2016, gv.331-342.

<sup>61</sup> <http://wdi.worldbank.org>

<sup>62</sup> qeTevan Sengelia, „sxovrebis donis gaumjobesebis ZiriTadi mimarTulebebi saqarTveloSi“, Journ. „ekonomika“, 2017, gv. 6-16.

<sup>63</sup> Беренс В., Хавранек П. Руководство по оценке эффективности капиталовложения. Перевод с английского "Manual for the Preparation of Industrial Feasibility Studies", UNIDO, M., 2005.

რენტაბელობის შიდა ნორმა (Internal Rate of Return, IRR), ანაზღაურების დისკონტირებული ვადა (Discount Payback Period, DPP) და სხვა.

კაპიტალის ანაზღაურების ვადა იანგარიშება ფორმულით:

$$PP = \min \sum_{k=1}^n (P_k \geq I_0),$$

სადაც  $P_k$  არის შემოსული დაგროვილი ფულადი ნაკადის სიდიდე, ხოლო  $I_0$  - საწყისი ინვესტიციის ღირებულება.

გვიჩვენებს ანაზღაურების ვადას, რომლის განმავლობაშიც მოხდება დაბანდებული კაპიტალის სრული დაბრუნება.

პროექტის შეფასების სტატიკური მაჩვენებლებიდან მნიშვნელოვანია ასევე ცაპიტალ-დაბანდების ეფექტიანობის კოეფიციენტი (Accounting Rate of Return, ARR). იგი იანგარიშება მოგების საშუალო წლიური სიდიდის შეფარდებით საწყისი კაპიტალდაბანდების საშუალო სიდიდესთან.

$$ARR = \frac{Pr}{\frac{1}{2} I_0},$$

სადაც Pr არის მოგების საშუალო წლიური სიდიდე;

$I_0$  - საწყისი დაბანდების საშუალო სიდიდე.

დინამიკური მაჩვენებლებიდან შეგვიძლია გამოვყოთ წმინდა დისკონტირებული შემოსავალი (Net Present Value, NPV).

$$NPV = -I_0 + \sum_{t=1}^T Ct (1+i)^{-t},$$

სადაც Ct დროის განმავლობაში ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალია.

i - დისკონტირების განაკვეთი.

რაც შეეხება რენტაბელობის შიდა ნორმას (Internal Rate of Return, IRR), მისი გამოთვლა საკმაოდ შრომატევადია:

$$IRR = r1 + \frac{f(r1)}{f(r1) - f(r2)} (r1 - r2),$$

სადაც  $f(r1)$  და  $f(r2)$  დისკონტირების კოეფიციენტების ფუნქციებია.

ამ და სხვა მრავალი გამოთვლის ჩასატარებლად თანამედროვე კომპანიებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიები, მათ შორის „დრუბლოვანი ტექნოლოგიები“. როგორც ცნობილია, დღეს ვერც ერთი სფერო ვერ შეძლებს IT ტექნოლოგიების გვერდის ავლას. ეს უკანასკნელი საშუალებას იძლევა, სრულყოფილად მოხდეს საჭირო ინფორმაციის და მონაცემების შეგროვება და დამუშავება რთული მაჩვენებლების გამოსაანგარიშებლად, რათა ნაკლებ დროში და ნაკლები დანახარჯებით შესაძლებელი გახდეს საუკეთესო პროექტების შერჩევა. დრუბლოვანი ინფრასტრუქტურაზე გადასვლა ჯერ კიდევ სიახლეა ქართული კომპანიებისათვის. ტექნოლოგიური და ფინანსური თვალსაზრისით იგი უფრო მიზანშეწონილი და ნაკლებ დანახარჯიანია, ვიდრე IT აუტსორსინგი. ეს უკანასკნელი უფრო ხელსაყრელია მცირე და საშუალო ფირმებისათვის. აუტსორსინგი გულისხმობს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის გადაცემას მომსახურე კომპანიაზე, სადაც პირობები და ვადები ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. გარეშე კომპანიის IT მომსახურებით მცირე და საშუალო ფირმებს ნაკლები თანხები ეხარჯებათ  $I_0$  სპეციალისტების დაქირავებასთან შედარებით.

## დასკვნა

„დრუბლოვანი გამოთვლები“ არის IT ევოლუცია, IT ბაზრის განვითარება. იგი საშუალებას იძლევა, უფრო ნაკლები დანახარჯებით შეიქმნას სრულყოფილი ბიზნეს-მოდელი. „დრუბლოვანი ტექნოლოგიის“ სიტემაში მოსახვედრად საკმარისია ინტერნეტთან მიერთება, რათა შესაძლებელი გახდეს ინფრასტრუქტურის (iaas) და პროგრამული უზრუნველყოფის (saas) სერვისების გამოყენება. „დრუბლოვანი ტექნოლოგიების სერვისებთან დაშვება შესაძლებელია ნებისმიერი ადგილიდან სხვადასხვა მოწყობილობების (ნოუტბუქების თუ პლანშეტების) გამოყენებით. თუმცა ჯერ არ არის ყველა ორგანიზაცია მზად ასეთი ტექნოლოგიების და გადაწყვეტილებების მისაღებად.

მაიკროსოფტის ლიცენზირებული „დრუბლოვანი ტექნოლოგია“ წარმატებით დაინერგა ჯორჯიან ავია სერვის ეიჯენსიში (GASA). ეს არის ოფიცე 365, მათ შორის დრუბლოვანი

საცავი “One Drive ბიზნესი”, სადაც ტექნიკური სამუშაოები განახორციელა კომპანია „სინტაქსმა“. აღნიშნულმა კომპანიამ ასევე განახორციელა „დრუბლოვანი ტექნოლოგიის“ ტექნიკური სამუშაოები კომპანია „აქსისში“, რომელიც მიმდინარეობდა „მაიკროსოფტთან“ თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში. “One Drive ბიზნესის” დახმარებით შესაძლებელი ხდება ელექტრონულ დრუბლოვან საცავში შენახული ფაილები ხელმისაწვდომი გახდეს მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან ინტერნეტის მეშვეობით.

კომპანია „სინტაქსის“ გენერალური დირექტორი ზაზა ჯაველიძე აცხადებს, რომ მაიკროსოფტის ლიცენზირებული დრუბლოვანი ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს კომპანიებს, ოპერატიული ინფორმაცია განათავსონ 2 კონტინენტზე გადაზღვეულ დაცულ დრუბლოვან საცავში, რაც მკვეთრად ამცირებს მართვასთან დაკავშირებულ ხარჯებს და კომპანიებს მეტი დრო რჩებათ ბიზნესის განვითარებისათვის. საჭირო ინფორმაცია ხელმისაწვდომია უფლებამინიჭებული თანამშრომლებისთვის. როგორც „მაიკროსოფტის“ გენერალური დირექტორი ნიკოლოზ დობორჯგინიძე განმარტავს, არსებობს კონტროლის არაერთი მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს ქსელურ უსაფრთხოებას და დაცულობას. აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენება ინერგება სასწავლო პროცესებშიც, ელექტრონული სწავლების განვითარების მიმართულებით, ასევე სხვადასხვა არქიტექტურის და ოპერაციული სისტემის მქონე მოწყობილობებისთვის.

მიუხედავად დიდი გარანტიებისა, რასაც გეთავაზობს „მაიკროსოფტის“ და გუგლის ლიცენზირებული „დრუბლოვანი ტექნოლოგია“, რისკები მაინც არსებობს. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ არის კიბერშემოტევის ცალკეული შემთხვევები, რომლის დროსაც ტრადიციული დაცვის მექანიზმები სრულიად უშედეგო ხდება. დღეს მსოფლიოს გამოცდილი პროვაიდერები მუდმივად ცდილობენ რისკების აღმოჩენას და მათ გაუფრთხილებოდნენ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ling Dong, Lun Han et al, The Shallow Analysis of the Enlightenment of Cloud Computing to Distance Education, 2010 International Conference on e-Health Networking, Digital Ecosystems Technologies pp-301-303.
2. Беренс В. Хавранек П. Руководство по оценке эффективности капиталовложения. Перевод с английского “Manual for the Preparation of Industrial Feasibility Studies”, UNIDO, M., 2005.
3. ქეთევან შენგელია, „ცხოვრების დონის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები საქართველოში“, ჟურნ. „ეკონომიკა“, 2017, გვ. 6-16.
4. <http://wdi.worldbank.org>
5. [www.microsoft.com](http://www.microsoft.com)

*Ketevan Shengelia*

## THE ROLE OF INFORMATIONAL TECHNOLOGIES FOR THE EFFECTIVE PROJECT MANAGEMENT AND BUSINESS FIELD FUNCTIONALITY AND FUTURE PROSPECTS

### Summary

Informational technologies are constantly developing, which makes the functionality of business, selecting and implementation of the best business projects easier. Modern companies already use the licensed Cloud technologies of Microsoft, which is the revolutionary development in IT technologies. Nowadays, none of the fields can evade them. The last one gives the opportunity to collect and process the necessary information completely for calculation of difficult scores, in order to be able to select the best projects in less time with the fewer expenses. Also it should be noted that the Cloud technologies of Microsoft and Google give the opportunity to the companies to place the operative information on two continents in reinsured protected Cloud storage, which acutely decreases the expenses related to the management and more time is remained for the companies for business development.

მწვანე ეკონომიკა და მშენებლობა

**ანოტაცია.** სტატიაში განხილულია მწვანე ეკონომიკის მნიშვნელობა და ამოცანები სტაბილური ეკონომიკის განვითარებისათვის. ძირითადი ნაწილი ეძღვნება მწვანე ეკონომიკის პრობლემების არსებობას მშენებლობის სექტორში. დეტალურად არის განხილული სამშენებლო კომპანია „ლისი დეველოპმენტის“ საქმიანობა.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ეკონომიკა, მშენებლობის სექტორი, „მწვანე ქალაქი ლისი“.

1970 წლიდან მოყოლებული, მსოფლიოში ბუნებრივი რესურსების წლიური მოხმარება დედამიწის რეგენერაციის უნარს 1.5-ჯერ აჭარბებს, რაც ნიშნავს, რომ წლის განმავლობაში მოხმარებული რესურსების აღსადგენად დედამიწას ერთი წელი და 6 თვე სჭირდება. 2030 წლისათვის ამ ტენდენციების გათვალისწინებით, მოხმარება 2-ჯერ გადააჭარბებს წარმოებას.

2000-2010 წლებში გლობალურად ტყის რესურსების დანაკარგი 8.3 მილიონი ჰექტრიდან 8.2 მილიონ ჰექტრამდე შემცირდა, რაც გამოწვეული იყო ხელოვნური თუ ბუნებრივი ტყის რესურსების აღდგენით.

1988 წლიდან 2013 წლამდე 98%-ით შემცირდა ოზონის შრის დამზღველი ნივთიერებების მოხმარება. დაახლოებით 1.3 მილიარდი ადამიანი ჯერ კიდევ უნაყოფო მიწაზე ცხოვრობს. 1990-2013 წლებში ნახშირორქანის ემისია გაიზარდა 50%-ით. მსოფლიოს მოსახლეობის 40% - ზე მეტი ჯერ კიდევ არასაკმარისი რაოდენობით მოიხმარს წყალს. სითბური გაზების გამოფრქვევის ზრდა, კლიმატის ცვლილება, ოზონის შრის შემცირება - ყველა ეს ფაქტორი ზრდის დაავადებათა რიცხვს.

დღემდე მსოფლიოში 3 მილიარდი ადამიანი ტრადიციულად ბიომასას - ხე-ტყეს იყენებს გასათბობად, ამასთან, გავითარებადი ქვეყნები წიაღისეული რესურსების გამოყენების მზარდი ტენდენციით ხასიათდებიან. კრიტიკულ ზღვარზეა ტყეების, ჭაობების მდგომარეობა. მათი აღდგენის შესაძლებლობა დღითი დღე უარესდება. მიმდინარე ტენდენციები და კვლევები გვიჩვენებს, რომ ქალაქმშენებლობისათვის მიწის ფართობების გამოყენება მომავალი 40 წლის მანძილზე შეიძლება გაორმაგდეს. ბოლო 50 წლის განმავლობაში წყლის მოხმარება გაიზარდა სამჯერ როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე ინდუსტრიულ და სასოფლო-სამეურნეო სექტორში. ნარჩენების ზრდა 50 მილიარდ ტონამდე გაზრდილი წლის განმავლობაში.

ეს გამოწვევები ადამიანებს უბიძგებს იმისკენ, რომ ეძებონ გამოსავალი. ასეთი ერთ-ერთი გზა კი მწვანე ეკონომიკაა.

მწვანე ეკონომიკა შეიძლება გახდეს მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის მექანიზმი. შედეგი კი ადამიანის გაუმჯობესებული კეთილდღეობა და სოციალური თანასწორობა, რომელიც ამცირებს გარემოსდაცვით რისკებს და ეკოლოგიურ დეფიციტს. მას შეუძლია ბუნებრივი და ფინანსური კაპიტალის უფრო ეფექტურად და ოპტიმალურად გამოყენება, ეკონომიკური პროგრესი, რომელიც ხელს უწყობს ეკოლოგიურად მდგრად, ნახშირბადის დაბალი შემცველობის და სოციალურად ინკლუზიურ განვითარებას.

პირველად ტერმინი მწვანე ეკონომიკა გახშირდა 1972 წელს სტოკჰოლმში UW-ის კონფერენციაზე, ხოლო 1980 წელს გამოყენებულ იქნა მსოფლიო კონსერვაციის სტრატეგიის ანგარიშში. ლიტერატურაში კაპიტალისა და მდგრადი განვითარების ურთიერთკავშირი 1982 წელს გამოქვეყნებულ წიგნში - „მწვანე ეკონომიკის კონცეფცია“ - დადგინდა. UWEP-ის განსაზღვრების მიხედვით, მწვანე ეკონომიკა უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას და აუმჯობესებს სოციალურ მდგომარეობას, ის ამცირებს გარემოსდაცვით რისკებს და ეკოლოგიურ პრობლემებს.

1987 წელს გარემოს დაცვისა და განვითარების მსოფლიო კომისიამ მიადწია კონსენსუსს, რომ მომხდარიყო მდგრადობის ზუსტი განმარტება და დეფინიცია, რაც გულისხმობს, რომ მდგრადია განვითარება, რომელიც ისე აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს, რომ არ მოხდეს მომავალი თაობების შესაძლებლობებისა და მოთხოვნების უგულვებელყოფა (WCED 1987).

მწვანე ეკონომიკა ექვს მთავარ სექტორს მოიცავს,

1. განახლებადი ენერჯია (მზის, ქარის, გეოთერმული, საზღვაო, მათ შორის ტალღების, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერჯია).

2. მწვანე შენობები (ენერჯის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე სამშენებლო პროდუქტები და მასალები).

3. სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, პიბრიდული და ელექტრო სატრანსპორტო საშუალებები).

4. წყლის მენეჯმენტი (წყლის და წვიმის გამწმენტი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება).

5. ნარჩენების მენეჯმენტი (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენი მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა).

6. მიწის მენეჯმენტი (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება).

მწვანე ეკონომიკის ფორმირებისათვის 5 ძირითადი ასპექტია გათვალისწინებული.

1. ეროვნული ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა.

2. ადგილობრივი უფლებები და შესაძლებლობები.

3. ინკლუზიური მწვანე ბაზრები.

4. საერთაშორისო პოლიტიკის ჰარმონიზაცია და მხარდაჭერა.

5. პროგრესის გასაზომად ახალი პარამეტრების შემოღება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციით მუშაობა დაიწყო. მწვანე ზრდის პოლიტიკის სტრატეგიაზე. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (G12) ერთად მომზადებული მწვანე ეკონომიკის ზრდის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის შემდეგ სტრატეგიის შესამუშავებლად შემდეგი დონორი ორგანიზაციები მონაწილეობენ: ევროპის აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნების ეკონომიკის განვითარების პროექტები (EaP Green), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UWEP). მწვანე ზრდის სტრატეგიის დოკუმენტმა უნდა მოიცავს ეკონომიკის, გარემოს დაცვის, ენერჯეტიკის, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის, განათლების სექტორები, აგრეთვე ამ სექტორებში განსახორციელებელი ღონისძიებები და მათი დაფინანსების საკითხები. საქართველო უკვე მიუერთდა მწვანე ზრდის დეკლარაციას. დეკლარაციას მიერთებულ ქვეყნებში ერთდროულად უნდა იყოს გათვალისწინებული ორივე მიმართულება „მწვანე“ და „ზრდა“. ასევე მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს მწვანე ინვესტიციებს. ამასთან, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო წახალისებს გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებას.

მშენებლობის სექტორში „მწვანე ეკონომიკის“ დანერგვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. უახლეს სტატისტიკას თუ შევხვდებით, ნათლად ჩანს, რომ მშენებლობის დარგი მთლიან შიდა პროდუქტში წილის მიხედვით, უმსხვილესი დარგების ხუთეულშია. ამ დარგშია დასაქმებული მრავალ ათეულ ათასი ადამიანი. ამიტომ დარგის გამწვანებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ევროპასთან დაახლოების კუთხით ამ სფეროში შემოდის მრავალი რეგულაცია და სტანდარტები, რომლებიც ითვალისწინებს ეკოლოგიურ, გარემოსდაცვით, ენერჯეტიკურ სტანდარტებს. ეს ეხება როგორც შენობა-ნაგებობებს, ასევე სამშენებლო მასალებს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში „მწვანე ეკონომიკის“ სამშენებლო სექტორში დანერგვის ერთ-ერთი პიონერი იყო სამშენებლო კომპანია „ლისი დეველოპმენტი“.

2011 წლიდან 100 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია, ასეულობით დასაქმებული ადამიანი და ერთი უკაცრიელი ტერიტორია, დღეს უკვე პოპულარულ სარეკრეაციო ზონას და ჩვენს თვალწინ გაშენებულ ახალ მწვანე ქალაქს აერთიანებს. ტერიტორიის 20% სამშენებლოდ არის გამოყენებული, დანარჩენი 80% კი გამწვანებისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობას დაეთმო. ეს ამ სექტორში უნიკალურია. „ლისი ვერანდა“ თავისი არსით დიდი ქალაქის მხოლოდ ერთი უბანია. დღეს პროექტის - „მწვანე ქალაქი ლისზე“ - პირველ უბანში „ლისი ვერანდაზე“ 200-ზე მეტი ოჯახი ცხოვრობს, ორივე უბანში კი უკვე 400-ზე მეტი საცხოვრებელი სახლია რეალიზებული. მეხსან მაჭავარიანის ქუჩას, ლისის ტბისა და ვაშლიჯვრის დასახლების გავლით, პირდაპირ ამ ქალაქთან მიყვავართ. დღეს ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ერთ დროს ეს ადგილი უკაცრიელი იყო. მთელი ტერიტორია მოვლილი, ხასხასა ბაღებით არის დაფარული, ხეები, დეკორატიული ბუჩქები, ირგვლივ ყველაფერი მწვანეა, ეკოქალაქის კონცეფციის შესაბამისად.

მწვანე უბნის გამწვანების გეგმა ქართველმა და იტალიელმა ლანდშაფტის სპეციალისტებმა განახორციელეს. განაშენიანება აქ პარკის ირგვლივ გაკეთდა ე.წ. გერმანულ ტიპის განაშენიანების პრინციპით. მწვანე ქალაქის პირველი პარკი 4000 კვ მეტრის ფართობზე გაშენდა. მცხოვრებლებს ასევე შეუძლიათ საცურაო აუზით და სავაჭრო დარბაზით ისარგებლონ.

„ლისი დეველოპმენტმა“ მოახერხა და თავისი კონცეფცია ეფექტიან ბიზნეს-მიმართულებად აქცია. ეს სანერგე „ლისი გრინსია“, რომელიც ექსკლუზიურად იტალიიდან ჩამოტანილი მცენარეების ფართო ასორტიმენტით გამოირჩევა. „ლისი გრინს“-ი გარემოს გასამწვანებლად მრავალგვარ მარადმწვანე და ფოთლოვან მოყვავილე ხეებსა და ბუჩქებს, იშვიათი ჯიშის ხილის ხეებს, იაპონურ ნეკერჩხალს, ლიანებს, ბონსაის, ვარდებს და ღვიბის კოლექციებს გთავაზობს. „ლისი გრინსის“ პარტნიორია ცნობილი იტალიური კომპანია Inno-cenli mangoni Piante, რომელიც 1950 წლიდან წარმატებით ასპარეზობს სანერგე ინდუსტრიაში.

ჯგუფის საკუთრებაში არსებული ტეროტორია 350 ჰექტარს იკავებს, რაც საესეებით საკმარისია იმისთვის, რომ „მწვანე ქალაქი ლისზე“ მართლაც სრულფასოვანი ქალაქი იყოს. 15 ჰექტარი უკვე სრულად განაშენიანებულია და ერთადერთი პროექტი არ არის, რომელიც მთელ ტერიტორიას უფრო მიმზიდველს ხდის და, რაც მთავარია, არა მხოლოდ მათთვის, ვინც მწვანე ქალაქში უკვე დაიდო ან დაიდებს ბინას.

კომპანია „ლისი დეველოპმენტმა“ 2012 წელს ლისის ტბის ინფრასტრუქტურის განახლება დაიწყო. ლისის ტბა, რომელიც თავისი შემოგარენით ზღვის დონიდან 615-730 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და მათ შორის ამ მდებარეობის გამოც, რაც თბილისის სხვა უბნებთან შედარებით უფრო მაღალია, მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, სულ ითვლებოდა ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სარეკრეაციო ზონად. 2012 წლამდე, გაუმართავი ინფრასტრუქტურის გამო, მთლიანად ამოვარდნილი იყო ქალაქის ცხოვრებიდან. არადა ტბის ტერიტორია თბილისში ყველაზე საინტერესო და მრავალფეროვანი ფაუნით გამოირჩევა. 2012 წლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც ამ ტერიტორიის განვითარებაზე ზრუნვა უკვე აქტიურად დაიწყო, თბილისის მერიასთან ერთად ტბის გარშემო შეიქმნა სარბენი და ველობილიკები, სავარჯიშო სივრცე, სანაპიროზე გამოჩნდა სპორტული და საბავშვო მოედნები. 2015 წლიდან ფუნქციონირებს ღია კაფე, სანაოსნო პუნქტი და ახალი სანაპირო ზოლი გარუჯვის მოყვარულთათვის.

2015 წელი ტერიტორიის განვითარებისთვის გარდამტეხი აღმოჩნდა. ამავე წელს ამ ადგილას გოგირდის აბანოები გაიხსნა, რის შესახებაც ბევრმა შეიძლება არც კი იცის. „ლისი დეველოპმენტმა“ ლისის ტბის შემოგარენში თერმული წყარო გოგირდის სამკურნალო წყლების აბაზანებით და მექისის მომსახურებით დატვირთა. ამ ადგილის დამატებული ღირებულება ლისის ტბის ულამაზესი ხედებიც არის, აბანოს ტერასიდან რომ იშლება.

„თიბისი ბანკის“ და „ლისი დეველოპმენტის“ პარტნიორობით ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნა საერთაშორისო სტანდარტების ამერიკული აკადემია, რომლის ახალი შენობა 4700 კვ მეტრზეა განლაგებული და მოიცავს 33 საკლასო ოთახს, 3 მაღალტექნოლოგიურად აღჭურვილ ლაბორატორიას, 300 მოსწავლეზე გავლილ აუდიტორიასა და კაფეტერიას. აკადემიის ბიბლიოთეკა მოსწავლეებს საინფორმაციო რესურსების ფართო არჩევანს სთავაზობს: 24000 წიგნი მოსწავლეთა განკარგულებაშია.

ევროპასთან დაახლოების კუთხით საქართველოს მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს ასევე ევროპის ენერგოგაერთიანებაში გაწევრიანებაც. ენერგეტიკული გაერთიანების წევრობის გარგლებში, საქართველო ვალდებულია იღებს, განახორციელოს ღირეტივები შენობებში ენერგოეფექტიანობის დანერგვის საკითხებთან დაკავშირებით. ვალდებულების მიხედვით, ყველა ახალი შენობა უნდა შეესაბამებოდეს ენერგოეფექტიანობის სტანდარტებს. „ლისი დეველოპმენტმა“ ამ კუთხით დროს ნამდვილად გაუსწრო. მშენებლობაში მხოლოდ თანამედროვე, ეკოლოგიურად სუფთა ენერგოეფექტიანი მასალები გამოიყენება. ყველგან, სადაც შესაძლებელია, დამონტაჟებულია სენსორები იმისთვის, რომ ენერგია ავტომატურ რეჟიმში დაიზოგოს. წვიმის წყლის შეგროვებაც ხდება, რომ სარწყავი მიზნებისთვის წყალი ზედმეტად არ დაიხარჯოს.

„ლისი დეველოპმენტის“ მსგავსად, თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში, განსაკუთრებით ბათუმში, უკვე მრავალი სამშენებლო კომპანია ეწევა მწვანე ქალაქების მშენებლობას. თბილისში ზღვის ტერიტორიაზე, ორთაჭალაში, ბაგებში, დიდ დილოში და სხვა. ზოგად უკვე აშენდა და კიდევ მიმდინარეობს მშენებლობები მწვანე რეკრეაციული

მოწვობით. შენობების ირგვლივ გამწვანების მოწვობაზე უკვე მოთხოვნაა და სავალდებულოა. ძალზე აქტუალურია ენერგოეფექტური, ეკოლოგიურად სუფთა მასალებით მშენებლობა, ასევე სამშენებლო ნარჩენების გატანა და უტილიზაცია, რასაც მერია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. თუმცა ჯერ კიდევ არიან სამშენებლო კომპანიები, რომლებიც ამ ახალ სტანდარტებს არ იცავენ. არამედ ხშირად უკანონო მშენებლობებსაც იწყებენ. ჭრიან მწვანე ნარგავებს. თუმცა ეს ერთეული შემთხვევებია.

მთლიანობაში, მშენებლობის სექტორში სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს გამწვანების ტენდენცია. ამაში მთავრობას და მერიის დამსახურება დიდაა.

მთავარია ის, რომ მთავრობამ მწვანე ეკონომიკა ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებად დაასახელა. თბილისის შემოვლითი გზის პროექტი იმ სახით, როგორც იყო, არ განხორციელდება. დღეს წარმოდგენილი პროექტი გულისხმობს დია მეტროს მშენებლობას. 8 სადგურის მშენებლობას, ეტაპობრივად ისე, რომ ქალაქის შედარებით მოშორებული უბნები მიწისზედა მეტროთი იქნება ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს ძალიან ნოვატორული პროექტია. ევროპის წამყვან ქვეყნებში ასეთი ტრანსპორტით ხდება მოშორებული უბნების ერთმანეთთან დაკავშირება და ზოგადად კონცეფცია, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი უნდა იყოს უფრო სუფთა, ავტობუსების ხაზების პრიორიტეტულობა სამოძრაო გზებზე არის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი. უკვე შემოყვანილია დიდი რაოდენობით ავტობუსები და იგეგმება კიდევ შემოყვანა, რომლებიც დიზელის საწვავზე კი არა არამედ გაზზე იმუშავებენ, რაც ქალაქის ეკოლოგიურ გარემოზე დადებითად აისახება და უფრო ეკონომიურიცაა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ვებგვერდი - <http://region.ge>
2. ვებგვერდი - <http://ubani.ge> (ლისი დეველოპმენტი)
3. ვებგვერდი - <https://forbes.ge> - სტატია „მწვანე დეველოპმენტის უპირატესობა“
4. მწვანე ეკონომიკის ინსტიტუტი - <http://greeneconomics.org.uk/>
5. საერთაშორისო ჟურნალი მწვანე ეკონომიკის შესახებ - <http://www.inderscience.com/ijge>
6. ქეთევან კრიალაშვილი, მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერა, ბათუმი, 2017. (<https://www.slideshare.net/ketikrialashvili/ss-78196550>)

*Giorgi Bregvadze*

### GREEN ECONOMY AND CONSTRUCTION Summary

In the work examined half the problem of the green economy. Determined it's importance and objectives for the development of steady economy. Realized green economy problems in construction sector, an example "Lisi Development" shows what problems can green economy contribute to construction companies.

*ლინა დათუნაშვილი*

### „მწვანე“ ეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება

**ანოტაცია.** სტატიაში გაანალიზებულია „მწვანე“ ეკონომიკის არსი, მისი წარმოშობის აუცილებლობა, განვითარებული ქვეყნების მთავრობების ძალისხმევა „მწვანე“ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის, მათ შორის სოფლის მეურნეობის დასაფინანსებლად. ყურადღება გამახვილებულია: ინვესტიციებზე და მის არათანაბარ დაბანდებაზე მეურნეობის რიგ დარგებში, სოფლის მეურნეობის ეკოლოგიზაციაზე, მწვანე სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გავრცელების მასშტაბის გაფართოებაზე. დახასიათებულია განვითარებული ქვეყნების ინდუსტრიული და განვითარებადი ქვეყნების ნატურალური სოფლის მეურნეობა, რომლებიც წარმოების პროცესში როგორი სახის ზიანს აყენებენ გარემომცველ ბუნებას. აღნიშნული ნევატიური შედეგების შერბილების მიზნით წინა პლანზე წამოწეულია

ტრადიციულის ნაცვლად ორგანული სოფლის მეურნეობა, რომელიც ემყარება ბუნებრივი საშუალებების: (თესლობრუნვა, კომპოსტი, მავნებლების წინააღმდეგ ბიოლოგიური ბრძოლის მეთოდები, ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნების მიზნით მისი მექანიკური დამუშავება) გამოყენებას და უარს ამბობს სინთეტიკური სასუქებისა და ქიმიური საშუალებების ნიადაგში შეტანაზე. ცხოველთა საკვებში დანამატებისა და გენეტიკურად მოდიფიცირებული კომპონენტების გამოყენებაზე.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ეკონომიკა, ინდუსტრიული, ნატურალური, ორგანული სოფლის მეურნეობა.

\* \* \*

ბოლო პერიოდში პლანეტაზე მნიშვნელოვნად შეიცვალა გარემო პირობები. ბუნებრივი რესურსების არარაციონალურმა გამოყენებამ, სამრეწველო ობიექტებისა და ტრანსპორტის გამონაბოლქვმა, სასუქებისა და პესტიციდების უწყიართო ხარჯვამ, სამრეწველო ნარჩენებით წყლისა და ნიადაგის დაბინძურებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ დიდი ზიანი მიადგა ბუნებას, მის მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს. გარემოს დაბინძურებამ მრავალი სახის დაავადების გამწვავება გამოიწვია. მაგ. უფრო აქტიური გახდა ალერგიული დაავადება და სხვა.

როგორც ვხედავთ, დღეს ფართოდ გაგრძელებულმა ტრადიციულმა ეკონომიკამ საზოგადოებისა და გარემო პირობების ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება კრიტიკულ ზღვრამდე მიიყვანა, რის გამოც წინა პლანზე წამოიწია არსებული ეკონომიკის ალტერნატიული ეკონომიკით შეცვლის საკითხმა, რომელიც შეამცირებს გარემო რისკებს, ეკოლოგიურ დანაკარგებს და მიმართული იქნება პლანეტის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებასა და სოციალურ თანასწორობაზე. ასეთია „მწვანე“ ეკონომიკა, რომელიც ემყარება ეკონომიკის მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნას. „მწვანე“ ეკონომიკა განსაკუთრებულ აქცენტს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალზე აკეთებს, რითაც ამცირებს გარემოს დაბინძურებას, მის დეგრადაციას, კლიმატის ნეგატიურ ცვლილებას, ბუნებრივი და სხვა რესურსების ამოწურვის საშიშროებას და სხვა.

„მწვანე“ ეკონომიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს განვითარების პროგრამის თანახმად – ეს არის ეკონომიკური სისტემის ტიპი, რომელიც ხელს უწყობს კაცობრიობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და სოციალურ თანასწორობას ეკოლოგიური რისკებისა და ეკოლოგიური „დეფიციტის“ ერთდროულ შემცირებასთან ერთად.

ტერმინი „მწვანე“ ეკონომიკა ახალია (GE). იგი პირველად 1989 წელს იქნა გამოყენებული ნაშრომში „მწვანე ეკონომიკის პროექტი“, რომელიც მიეძღვნა ეკონომიკის მდგრადი განვითარების საკითხებს. ამ დროიდან ტერმინს „მწვანე“ ეკონომიკა-ს ხშირად იყენებენ საჯარო და მასობრივი ინფორმაციის – პრესისა და ტელევიზიის საშუალებებში, სამეცნიერო დისკუსიებში და სხვა.

„მწვანე“ ეკონომიკა ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ყველაფერი, რაც დედამიწის ზედაპირზე არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირშია, ამასთან, იმასაც, რომ შეზღუდული რაოდენობის სხვადასხვა სახის რესურსის პირობებში ნაკლებად შესაძლებელია საზოგადოების მუდმივად მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ისევე, როგორც განსაზღვრულ სივრცეში გაყვანილ სფეროების უსაზღვრო გაფართოება.

„მწვანე“ ეკონომიკა ხელს უწყობს „მწვანე“ სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის შერბილებას. აღნიშნული ეკონომიკა საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებელ იმ ძირითად სექტორებს მოიცავს, როგორც არის: განახლებადი ენერჯია, სუფთა ტრანსპორტი, მწვანე შენობები, წყლის, ნარჩენებისა და მიწის მენეჯმენტი.

სპეციალისტების აზრით, უახლოესი მომავლის ეკონომიკა – სწორედ „მწვანე“ ეკონომიკაა, რომელიც თანდათან ვრცელდება მთელ მსოფლიოში. ამჟამად განვითარებული ქვეყნების მთავრობები ძალისხმევას არ იშურებენ და ქვეყნის ბიუჯეტიდან მნიშვნელოვან თანხებს გამოყოფენ (მაგ. ევროკავშირმა 2009 წელს ამ პრობლემის კვლევისათვის ბიუჯეტი 300%-ით გაზარდა, ჩინეთმა 2010 წელს 34 მლრდ დოლარი დახარჯა სუფთა ენერჯიის დასაფინანსებლად და პირველი ადგილი დაიკავა ამ დარგში დაბანდებული ინვესტიციებით, შემდეგ მოდის აშშ-ი, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და ბრაზილია), „მწვანე ეკონომიკის“ სხვადასხვა სექტორის დასაფინანსებლად, მათ შორის სოფლის მეურნეობაში, ტურიზმში, ენერჯეტიკაში, მშენებლობაში, ტრანსპორტში, ნარჩენების გადამუშავებაში, ეკონომიკის მართვის პოტენციალის გაძლიერებაში, „მწვანე“ ეკონომიკის სხვადასხვა სამ-



სახურში მომუშავეთა სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაში, ამ სექტორში სამეცნიერო კვლევის ხელის შეწყობაში, საგადასახადო შეღავათების გაზრდაში, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვაში და სხვა.

ამგვარად, საზოგადოების კეთილდღეობის ასამაღლებლად, სოციალური უთანაბრობისა და სასურსათო უსაფრთხოების შესარბილებლად, ეკოლოგიური რისკებისა და სიღარიბის შესამცირებლად პლანეტის მოსახლეობისთვის აუცილებელია „მწვანე“ ეკონომიკა. დღეისათვის მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის 40% დარბია, რომლებიც დღეში ძალიან მცირეს – 10 დოლარამდე თანხას მოიხმარს. ამასთან, მსოფლიოში სწრაფი ტემპით წარმოებს სხვადასხვა სახის ნედლეულის მოპოვება, რომელიც 50%-ზე მეტია, ვიდრე ეს იყო გასული საუკუნის 80-იან წლებში და ამ რაოდენობის თითქმის 80%-ს მოიხმარს მოსახლეობის 20%, რომლებიც წარმოადგენენ მოსახლეობის უმდიდრეს ნაწილს. მოსახლეობის ცხოვრების დონეებს შორის ასეთი სახის უთანაბრობა ნეგატიურ ასახვას პოულობს ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაზე.

ცნობილია, რომ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს ინვესტიციები, მაგრამ რეალობაში შეინიშნება კაპიტალის არათანაბარი დაბანდება მეურნეობის რიგ დარგებში. ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე სხვადასხვა ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალის მთლიანი მოცულობიდან ყველაზე დიდი ინვესტიცია ჩადებული იქნა სხვადასხვა სახის საკუთრების შეძენასა და ბუნებრივი რესურსების (მაგ. სათბობის) მოპოვებაში, ასევე სტრუქტურირებად ფინანსურ აქტივებში. შედარებით მცირე კაპიტალი – განახლებადი ენერჯის წყაროების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, მყარი სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ნიადაგისა და წყლის რესურსების, ეკოსისტემისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზე (UNEP, 2009).

ამ თვალსაზრისით ფრიად აქტუალურია სოფლის მეურნეობის ეკოლოგიზაცია, რომელიც ხელს უწყობს გარემო პირობების გატყუყვანების შემცირების ხარჯზე ეკოლოგიური რესურსების: ნიადაგის, წყლის, ატმოსფეროს და ბიომრავალფეროვნების აღდგენას და შემდგომ მათ უფრო ეფექტურ გამოყენებას, ასევე მწვანე სოფლის მეურნეობის განვითარებას, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი საშუალებაა ინვესტიციები. ამ სფეროში ინვესტიციების პრიორიტეტს წარმოადგენს კაპიტალის დაბანდება სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში, ასევე ნიადაგში ორგანული ნივთიერებების წარმოქმნისა და შენარჩუნების, წყლის რესურსების გამოყენების გაუმჯობესების, მცენარეთა და ცხოველთა ჯიშების დივერსიფიკაციისათვის და სხვა.

ამჟამად კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს „მწვანე“ სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გავრცელების მასშტაბის გაფართოება წამყვან აგრობიზნესთან პარტნიორობის მეშვეობით. ეს ეხება იმ კორპორაციებს, რომლებიც დაკავებული არიან სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროში კომერციული საქმიანობით, ისეთის, როგორიც არის თესლის, პესტიციდების, კვების პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია. სწორედ ამ კორპორაციებს გააჩნიათ უპირატესი უფლება, რომ განსაზღვრონ, თუ როგორ და რა საშუალებით წაახალისონ და მხარი დაუჭირონ – „მწვანე“ სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას და დარგის ჩართვას მსოფლიო მეურნეობრივ სისტემაში.

ბოლო პერიოდში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ინტენსიურად მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ საფუძველზე გარდაქმნა. ამ ქვეყნებში უპირატესად ფუნქციონირებენ მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობები, რომლებიც აქტიურად იყენებენ დარგისთვის განკუთვნილ უახლეს მანქანურ ტექნიკასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებს, ასევე ამ სფეროს განვითარებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ სუბსიდიებს, რაც ხელს უწყობს დარგის მაღალ მწარმოებლურობას.

ამ ქვეყნებში მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობებთან ერთად ხელშეკრულების საფუძველზე საქმიანობენ ფერმერული მეურნეობები. აღნიშნული მეურნეობები ერთობლივად, სრულად უზრუნველყოფენ განვითარებული ქვეყნების მოსახლეობას სურსათით. ამასთან, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სოფლისმეურნეობრივი სექტორისათვის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ფრიად აქტუალურია. ეს ეხება განვითარებად ქვეყნებს, სადაც ძირითადად გავრცელებულია ექსტენსიური ტიპის დაბალმწარმოებლური სოფლის მეურნეობა, რომელიც ემყარება ხელით შრომას და სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის გადიდებას, ტყის ფართობების შემცირების ხარჯზე. ამ ქვეყნებში სახნავი ფართობის

დაახლოებით 60%-ს ამუშავებს 525 მლნ-მდე ფერმერი, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში არ აქვთ ტექნიკისა და ინოვაციების გამოყენების, ასევე კრედიტის აღების შესაძლებლობა. ასეთი სახის ნატურალური სოფლის მეურნეობა ვერ უზრუნველყოფს ამ ქვეყნების მოსახლეობას საკმარისი რაოდენობის კვების პროდუქტებით.

ამგვარად, არსებული ეკონომიკის ფარგლებში სახეზეა ერთი მხრივ, ინდუსტრიული სოფლის მეურნეობა, რომელიც ხელს უწყობს სასურსათო უსაფრთხოების შემცირებას, ხოლო მეორე მხრივ, ექსტენსიური, ხელით შრომასა და ნატურალურ მეურნეობაზე დამყარებული სოფლის მეურნეობა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მსოფლიოს მოსახლეობის ნაწილის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას საკმარისი სურსათით.

ტრადიციული ეკონომიკის შიგნით ფუნქციონირებადი ორივე სახის სოფლის მეურნეობა (ინდუსტრიული და ნატურალური) წარმოების პროცესში მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გარემომცველ ბუნებას, რაც გამოიხატება პირველ შემთხვევაში ნიადაგის გაღარიბებასა და გამოფიტვაში, სასოფლო-სამეურნეო მიწების არარაციონალურ გამოყენებაში, ნიადაგის დეგრადაციასა და ეროზიული პროცესების ინტენსიურობაში, მინერალებისა და წიაღისეული მადნეულის ღია წესით ჭარბ მოპოვებაში, სამრეწველო და სატრანსპორტო საშუალებების მნიშვნელოვან გამონაბოლქვეში და საძოვრების დეგრადაციაში, ხოლო მეორე შემთხვევაში ყოველივე ზემოთ აღნიშნულს ემატება ტყეების გაჩეხვითა და გამეჩხერებით გარემო პირობებზე ნეგატიური გავლენა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა უკვე დღეისათვის არის ფრიად აქტუალური მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სოფლისმეურნეობრივი სექტორისათვის, რადგან პლანეტის მოსახლეობამ უკვე მიაღწია 7,3 მილიარდ ადამიანს, ხოლო 2050 წლისთვის მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

მხედველობაში ვიდებთ იმ ფაქტს, რომ კაცობრიობამ პრაქტიკულად ამოწურა მიწათმოქმედებისთვის საჭირო სათესი ფართობის არსებითი გადიდების, ასევე პლანეტის მოსახლეობის სურსათზე სულ უფრო გადიდებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, რის გამოც საჭირო ხდება სოფლის მეურნეობის გადასვლა იმ მეურნეობრივ სისტემაზე, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ვაწარმოთ ჯანმრთელობისთვის უვნებელი მაღალი ხარისხის კვების პროდუქტები. ამასთან, შევამციროთ გარემო პირობებზე ეკოლოგიური დატვირთვა.

თანამედროვე პირობებში მსოფლიო თანამეგობრობა სულ უფრო მეტად ეჯახება არსებული გლობალური პრობლემების ნეგატიური შედეგების ზრდასა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებაში წარმოქმნილ ახალ რისკებს. ველური ბუნების მსოფლიო ფონდის ინფორმაციით 1970–2008 წლებში გლობალური ბიომრავალფეროვნება შემცირდა 30%-მდე, ხოლო ბოლო 45 წლის განმავლობაში მოთხოვნა ბუნებრივ რესურსებზე გაორმაგდა. საზოგადოების უყაირათო საქმიანობით გამოწვეული ეკოლოგიური დანაკარგი გარემომცველ ბუნებაზე განვითარებულ ქვეყნებში სადაც შემოსავლების დონე მაღალია – 5-ჯერ აღემატება იმ ქვეყნების მაჩვენებელს, სადაც მოსახლეობა შემოსავლის დაბალი დონით გამოირჩევა. ამ ფონზე პლანეტის მოსახლეობის მოთხოვნილების პრობლემებში პირველხარისხოვან ადგილს იკავებს ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელი ეკოლოგიურად სუფთა სურსათის წარმოება, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის 30% ყოველწლიურად იტანჯება იმ დაავადებებისაგან, რომლებსაც იწვევს უხარისხო საკვები. აღნიშნული პრობლემები, რომლებიც უკავშირდება ამ საკითხს, მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაწყვეტას. ამ პრობლემებმა ასევე ასახვა უნდა ჰპოვოს საზოგადოებისა და ბუნების განვითარების პერსპექტიულ სტრატეგიაში. ასეთ სტრატეგიას წარმოადგენს მყარი განვითარების სტრატეგია რომელიც ითვალისწინებს თანაბარი მნიშვნელობის სამ მთავარ შემადგენელს: ეს არის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური. კონცეფცია „მწვანე“ ეკონომიკა, რომელიც დაკავშირებულია მყარი განვითარების ამოცანის გადაწყვეტასთან. აღნიშნული კონცეფციის მომხრეები თვლიან, რომ არსებული ეკონომიკური სისტემა არ არის სრულყოფილი და იწვევს მნიშვნელოვან უარყოფით შედეგს, სახელდობრ: ეკოლოგიურ პრობლემებს, ბუნებრივი კაპიტალის გამოფიტვას, ფართო მასშტაბით სიღარიბეს, ბუნებრივი რესურსების დეფიციტს და სხვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „Puo+2“ კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად სასურსათო უსაფრთხოება, ეკოლოგია და სოფლის მეურნეობის მყარი განვითარება წარმოადგენს „მწვანე“ ეკონომიკის პრიორიტეტულ სფეროებს. ამასთან, ხა-

ზგასმულია რომ, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ჯანმრთელობისთვის უვნებელი მაღალი ხარისხის კვების პროდუქტებით შეუძლებელია პირველადი საწარმოო ბაზის – სოფლის მეურნეობის მყარი განვითარების გარეშე.

ძირითადი ამოცანები, რომლებიც დგას დარგის წინაშე, ეს არის ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო და ხარისხიანი საკვები პროდუქტების წარმოება, ეკოსისტემის შენარჩუნება და მისი სიცოცხლისუნარიანობის ამაღლება, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მყარი განვითარება. აღნიშნული ამოცანის შესრულება უნდა განხორციელდეს უკვე არსებული კონცეფციის – ორგანული სოფლის მეურნეობის ჩარჩოში.

ევროპელი მეცნიერი – აგრარიკოსი ფრანკ ეისორნი ორგანული სოფლის მეურნეობის ქვეშ მოიაზრებს სოფლისმეურნეობრივი წარმოების სისტემას, რომელიც ეფუძნება ბუნებრივ საშუალებებს, რომელსაც მიეკუთვნება თესვბრუნვა, კომპოსტი, მავნებლების წინააღმდეგ ბიოლოგიური ბრძოლის მეთოდები, ნიადაგის მექანიკური დამუშავება, რათა შენარჩუნებული იყოს ნიადაგის ნაყოფიერება, ამასთან მთლიანად სინთეტიკური სასუქებისა და ქიმიური საშუალებების, როგორც მცენარის დაცვის საშუალებების, ისე ცხოველთა საკვებში დანამატებისა და გენეტიკურად მოდიფიცირებული კომპონენტების გამოყენების სრული გამორიცხვით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მია ბლიაძე | mastsavlebeli.ge; mastsavlebeli.ge/?tag=მია-ბლიაძე
2. Алтухов А. И. и др. `зеленая~ агроэкономика. монография под ред. Б. Н. Порфирьева, Москва, изд-во РГАУ-МСХА-2013.
3. Громова А. И. Зеленая экономика и устойчивое развитие сельского хозяйства. сотрудник кафедры мировой экономики, Санкт-петербургский Государственный университет.
4. Лыжин Ф. Н. Органическое сельское хозяйство, как часть `зеленой~ экономики. Перспективы и вызовы для России. сб. докладов. Москва.
5. Соколова Ж. Е. и др. Ринок органической продукции России: Современное состояние и потенциал развития. Экономика сельского хозяйства России. \_ №5, 2014.
6. <https://www.slideshare.net/cesbelarus/ss-69590989>

*Lina Datunashvili*

### "GREEN ECONOMY" AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF AGRICULTURE

#### Summary

The article analyzes the essence of "green economy", the necessity of its origin, the efforts of developed countries governments to finance various sectors of the "green economy", including agriculture. The focus is on investing and uneven investments in a number of farming sectors, ecology of agriculture, the expansion of green agriculture development and distribution. Natural agriculture of developing countries and industrialized agriculture of developed countries how they effect of the environment in the process of production. To mitigate negative effects organic agriculture stands foreground instead of traditional agriculture, which is based the use on natural remedies: crop rotation, compost, garden pests biological control methods, in order to maintain soil fertility, mechanical processing introducing, synthetic fertilizers and chemicals in the without using the additives and genetically modified ingredients.

*თეიმურაზ კანდელაკი  
ცირა მიქატაძე*

**სწრაფმზარდი მაღალპროდუქტიული კლანტაციები –  
უმეტიანი საშუალება მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის**

*ანოტაცია. ნაშრომში განხილულია იმ მცენარეების ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-სოციალური მახასიათებლები, რომლის კლანტაციების გაშენება ეფექტიანი საშუალება იქნება მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის.*

*ეს განსაკუთრებული (ცნობილია პაულოვნიის, „ადამის ხე“, „კავკასი“ სახელწოდებით) სწრაფმზარდი მცენარე (12-15 მეტრი იზრდება 5 წელიწადში) დარგვიდან 6 წელიწადში შეიძლება მოიჭრას და სამრეწველო მიზნით იქნეს გამოყენებული; აქვს თვი-*

თაღდგენის უნარი, ნიადაგს იცავს ეროზიისგან, გამოირჩევა მაღალხარისხოვანი მერქნის ლამაზი სტრუქტურით (მისგან მიიღება სამშენებლო მასალა, ცელულოზა), წარმოადგენს ეფექტიან ნედლეულს მეფუტკრეობის და პირუტყვის საკვებად; ჰაერიდან დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგს შეიწოვს და გამოყოფს ჟანგბადს. პირველ მოჭრაზევე ფარავს მოვლის ხარჯებს. ამდენად, გარემოსდაცვით, ეკოლოგიური და ეკონომიკური სარგებლობის მომცემია.

**საკვანძო სიტყვები:** პაულოვნია, პლანტაცია, მაღალი ეკოლოგიურ-ეკონომიკურ-სოციალური მახასიათებლები.

\* \* \*

ქვეყნები, რომლებიც აქტიურად ეხმაურებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში შექმნილ მწვანე ეკონომიკის ინიციატივას, ცდილობენ ტრადიციული ეკონომიკის მოვლენების იმ რისკების დაძლევას, რომლებიც საფრთხეებს უქმნის კაცობრიობის მდგრად განვითარებას. მსოფლიოს წუხილი გარემოს დაბინძურებასა და დეგრადაციაზე, გლობალურ დათბობაზე, რესურსების გამოლევის საშიშროებაზე მეტ ძალისხმევას გულისხმობს წყლის და ტყის რესურსების, ნიადაგების ნაყოფიერების გაუმჯობესების მიმართულებით, სუფთა ტრანსპორტის, ნარჩენების ეფექტიანად გადამუშავების განახლებადი ენერჯის, მწვანე პროდუქტების წარმოებით. ნებისმიერი საქმიანობა გათვლილი უნდა იყოს გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგების მისაღებად.

ზემოთ აღნიშნული საკითხები საქართველოსთვის ისეთივე მნიშვნელოვანია როგორც დანარჩენი მსოფლიოსთვის, შესაბამისად მოითხოვს მთავრობის, მეცნიერების, საზოგადოების ერთობლივ ძალისხმევას, რომელსაც დღეს მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათი აქვს, თუმცა, კერძო კვლევებს აქტიურად ახორციელებენ მწვანეები, რიგი მეცნიერები და მთავრობასაც გააჩნია ცალკეული პროგრამები.

ჩვენ ყურადღების გამახვილება გვსურს მსოფლიოში ცნობილი და საქართველოს რამდენიმე რაიონში უკვე გაშენებულ პაულოვნის (“ადამის ხე”) უნიკალურ თვისებებზე, რომელიც რეალურ ეკოლოგიურ-სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს იძლევა, რის გამოც შეიძლება თავისი წვლილი შეიტანოს მწვანე ეკონომიკის განვითარებაში. იგი სწრაფ-მზარდი, ფართოფოთლოვანი დეკორატიული მცენარეა იაპონურ-ჩინური წარმოშობის და ცნობილია სხვადასხვა სახელით (საიმპერატორო ფირუზის პრინცესა, კავაკამი). ამ ჯადოსნურ ხეს, თავისი თვისებების წყალობით, შეუძლია ნიადაგის ეროზიის, გარემოს დაბინძურების, გაუდაბნოების შეკავება, მიკროკლიმატის გაუმჯობესება, ნიადაგის გაჯანსაღება, ტყის რესურსების გადარჩენა, სხვა მრავალმხრივი სარგებლიანობის მოტანა.

პაულოვნია მისი ბიოეკოლოგიური თავისებურებების მიხედვით:

• ძალზე სწრაფად იზრდება (12-15 მ სიმაღლე 5 წელიწადში, დარგვიდან 5-6 წელიწადში შეიძლება მისი მოჭრა და სამრეწველო მიზნით გამოყენება);

• აქვს თვითაღდგენის უნარი;

• ნიადაგს იცავს ეროზიისგან;

• გამოირჩევა მერქნის ლამაზი სტრუქტურით;

• წარმოადგენს ეფექტიან ნედლეულს მეფუტკრეობის და პირუტყვის საკვებად და ნიადაგის გასამდიდრებლად (პროტეინის, აზოტის და ნექტარის შემცველობის გამო).

პაულოვნის ნიადაგდაცვით ეფექტიანობას განსაზღვრავს მძლავრ ფესვთა სისტემა. 7 წლის მცენარის ფესვთა სისტემა მიწის სიღრმეში 3 მ-მდე ჩადის, ხოლო ჰორიზონტალურად 10 მ-ზეა განშტოებული. ხარობს სხვადასხვა ტიპის ნიადაგზე, როგორც ველურ ბუნებაში, ასევე კულტურულ გარემოში.

პაულოვნის მერქანი ძალზე მაღალხარისხოვანია, რაც განპირობებულია მისი ცეცხლის მიმართ მაღალი მდგრადობით, სწრაფი შრობადობით (რის გამოც ამცირებს შრომის ხარჯებს) არ დეფორმირდება და არ იხლიჩება, მდგრადია მერქნის დაავადებების მიმართ. მცირე მოცულობითი წონა აქვს. მისგან მიიღება ცელულოზა, სამშენებლო მასალა. მერქნის აღწერილი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები მისი ავეჯის წარმოებაში (მუსიკალური ინსტრუმენტების დასამზადებლად) გამოყენების საშუალებას იძლევა, ხოლო ქიმიური შემადგენლობა (ცელულოზა, ენტანოზები, ლიგნინი, ბოჭკოს სივრცე და სიგანე) განაპირობებს მისი მერქნის როგორც ქაღალდის წარმოების ნედლეულად გამოყენებას.

დღეს მსოფლიოში მერქანზე მოთხოვნა იზრდება, რის გამოც სწრაფმზარდი მცენარეების გაშენებას დიდ უპირატესობას ანიჭებენ.

ამ მცენარეს უნიკალურს ხდის ფოტოსინთეზის ეფექტიანობა, რომლის მიხედვით ათჯერ მეტ  $\text{CO}_2$ -ს შეიწოვს და გამოყოფს უანგბადს ვიდრე სხვა რომელიმე მცენარე, ამიტომ ნახშირბადის მტვერსასრუტსაც კი ადარებენ.

ჩინეთში პაულონიის პლანტაციების გაშენებამ შეაჩერა ნიადაგის ეროზია და გაზარდა ტყის პროდუქტიულობა. მისი, როგორც ენერგეტიკული წყაროს შემცველის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ შვედეთმა (მიუხედავად მისი ტყეებისა) შეშის საწარმოებლად გააშენა პაულონიის პლანტაციები და სკანდინავიის ქვეყნებმა ეს რესურსი ამჯობინეს სხვა დანარჩენს. ამით დაიწყო ენერგეტიკული მეტყვეობის განვითარება.

იაპონია ყიდულობს პაულონიის ხის მასალის 90%-ს, ისრაელი პაულონიის ნერგის მწარმოებელიცაა და მისი მთავარი შემსყიდველიც ამ ხის მასალის ინდუსტრია, იაპონიისა და ჩინეთის გარდა, ჩრდილო ამერიკასა და ბრაზილიაში, ტაივანსა და კორეაშიც ვითარდება, ავსტრია იყენებს ფანქრის დასამზადებლად.

აღნიშნული თვისებების გამო მისი ფართობები მსოფლიოში დინამიურად იზრდება.

ჩვენს ქვეყანაში პაულონიის განაშენიანება და კერების ჩამოყალიბება უკავშირდება ლ. მლოკოსევიჩის სახელს, რომელმაც XIX ს. III ნახევარში ლაგოდუხის ნაკრძალში დეკორატიული დანიშნულებით შემოიტანა ეს მცენარე, ხოლო XX ს. 50-იან წლებში ბათუმის და ლაგოდუხის ბოტანიკურ ბაღებში იქნა, შემოტანილი, შემდეგ ვრცელდებოდა კერძო მეურნეობებში უმეტესად დასავლეთ საქართველოში, თუმცა აღმოსავლეთშიც სრულიად მისაღებია. ვითარდება თბილ პირობებში, თუმცა უძლებს  $-28^{\circ}\text{C}$  ყინვებს (გერმანელი სპეციალისტების მონაცემებზე დაყრდნობით).

პაულონიის განაშენიანებაში საეტაპო მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს მთავრობის და მსოფლიო ბანკის პროექტებს. მცენარის ნიადაგდაცვითი თვისება გახდა საფუძველი ამ პროექტებისა, რომლებიც ითვალისწინებს პაულონიის გამოყენებას დასავლეთ საქართველოში ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განსახორციელებლად. ამ ინტერესიდან გამომდინარე მის შესწავლას და განაშენიანებას ხელი შეუწყო თეორიულმა კვლევებმა, რომლებიც ჩვენმა მეცნიერებმა განახორციელეს.

დღეს საქართველოში უკვე შესწავლილია პაულონიის სრულფასოვანი აკლიმატიზაციის და ინტროდუქციის შედეგები ბიოეკოლოგიური თვისებების გათვალისწინებით და იგი პერსპექტიულ კულტურად არის მიჩნეული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში ტყის რესურსებს კლიმატმარეგულირებელი და ნიადაგდაცვითი დატვირთვა მეტად აქვთ, ვიდრე მერქნის მომცემი. ამიტომ ჩვენთვის პაულონია ამ მიმართულებითაც ძალზე საინტერესოა.

ქართველი მეცნიერების სიდრმისეული კვლევების შედეგად დადგენილია ამ კულტურის ზრდა-განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები როგორც ბუნებრივ გარემოში, ასევე პლანტაციის პირობებში; პაულონიის ჭრის წესები (ტექნოლოგიურ ჭრა-გავლილ ფართობებზე ბუნებრივი განახლების მდგრადი უზრუნველყოფის გათვალისწინებით), სრულყოფილი გახდა პაულონიის გაშენების და მოვლის აგროწესები და მთელი რიგი თეორიული და პრაქტიკული საკითხები მოვლა-მოყვანასთან დაკავშირებით, განისაზღვრა პლანტაციური წესით პაულონიის გაშენების პერსპექტივები და მოსალოდნელი ეფექტიანობის მაჩვენებლები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა ხელი შეუწყო ფერმერთა დაინტერესებას და კერძო მეურნეობებში პაულონიის განაშენიანებას; შეიქმნა დაინტერესებულ ფერმერთა და სპეციალისტთა ორგანიზაციული ფორმაც – ასოციაცია “პაულონია”, რაც ამ სექტორის დინამიური განვითარების მიმანიშნებელია.

ამ თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის შედეგად ჩვენში გაჩნდა მაღალი წარმადობის პაულონიის პლანტაციები რომელიც ეფექტიანობით არ ჩამოუვარდება მისი სამშობლოს მონაცემებს და ცხადყოფს წარმატებულ აკლიმატიზაციას (ბიოლოგიური მოთხოვნების მიხედვით საქართველოში აკლიმატიზებულია პაულონიის შემდეგი სახეობები: *Tomentosa*, *Elonagata*, *Catapropolas*, ხოლო დასავლეთ საქართველოში – *Fortune* and *Pergas*).

პაულონიის პლანტაციის რამდენიმე სახე შეიძლება გამოვეყნოთ მისი დანიშნულებიდან გამომდინარე:

1. სამრეწველო მერქნის მოპოვებაზე ორიენტირებული;

2. **ენერგეტიკული** – (ორიენტირებული ბიომასაზე, როგორც სწრაფგანახლებად ენერგეტიკულ რესურსზე);

3. **მრავალმხრივი დანიშნულებით** – მერქნის და სხვა ნედლეულის მომცემი და დაცვითი (პაულოვნიის პლანტაციები ანელებს რა ქარის სიჩქარეს, იცვს ნიადაგს გამოშრობისაგან და შედეგად ტენიანობის შენარჩუნებით ზრდის სიმინდის, ბოსტნეულის და ციტრუსების მოსავლიანობას).

4. **ეკოპლანტაციები**, რომლებსაც ნიადაგდაცვითი და კლიმატმარ-ეგულირებელი ფუნქცია აკისრია.

არსებობს გამოკვლევები პაულოვნიის მედეგობაზე ფიტოტოქსიკანტების მიმართ. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალაქის პირობებში ესთეტიკურ-დეკორატიულ ფუნქციასთან ერთად კისრულობს გარემოსდაცვით ეკოლოგიურ ფუნქციას. სწორედ ამიტომ ამერიკაში შეტანილი და განაშენიანებული იქნა როგორც აირების მიმართ მედეგი კულტურა ქალაქების, საავტომობილო და რკინიგზის ხაზების გასწვრივ და შემდეგ გავრცელდა ტყის მასივებში.

პაულოვნია თაფლის მომცემი მცენარეცაა. გაზაფხულზე ყვავილობის გამო უმაღლესი ხარისხის თაფლის წარმოებაა შესაძლებელი როგორც ადგილობრივი მომხმარებლისათვის, ასევე, საექსპორტოდ.

პაულოვნიის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე საუბრისას უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ მერქნის პირველადი ჭრების დაწყებისას (მცენარის ზრდის მე-7 წელი) დაბალი წარმადობის პლანტაციებიდან მიღებული შემოსავლებიც კი მთლიანად ფარავს 7 წლის განმავლობაში განაშენიანების და მოვლის ხარჯებს, ხოლო მაღალი წარმადობის პლანტაციებში პირველი ჭრიდან მიღებული შემოსავლები 2-ჯერ აღემატება ხარჯებს. ამგვარად გამოირჩევა მცენარე მაღალი ეფექტიანობით და რენტაბელობით. ჭრის დაწესებას და მის შემობრუნებას უკავშირებენ ბაზრის კონიუნქტურას და ფერმერების სურვილებს.

პაულოვნიის პლანტაციებში მერქნის მასალის წარმადობა უკავშირდება განაშენიანების სქემას, მცენარეთა რიცხვს და ასაკს, ჩვენი მეცნიერების მიერ სხვადასხვა ქვეყანაში და საქართველოში არსებული საშუალო მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე დადგენილია პაულოვნიის სამასალე მერქნის მასის დაგროვების დინამიკა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ პაულოვნიის გაშენება მიზანშეწონილია ეროზირებულ და სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის გამოუყენებელ ფართობზე. ქართველ მეცნიერთა მიერ განხორციელებული კვლევების შედეგად ეს ნიადაგები 6000 ჰა-ს შეადგენს და ამის საფუძველზე განსაზღვრულია მოსალოდნელი სარგებლის საპროგნოზო მონაცემები [გ. ქავთარაძის დისერტაცია, პაულოვნიის ბიოლოგიური თვისებები და ფერმერულ მეურნეობაში მისი გაშენების პერსპექტივები, თბილისი, 2010] 1 ჰა ფართობზე პლანტაციის საშუალო შემატების (44 მ<sup>3</sup>) მიხედვით I სრულ ჭრის პერიოდში (10წ) მერქნის მარაგი იქნება  $6000 \times 440 = 2.64$  მლნ მ<sup>3</sup> (საქართველოს მთელი ტყეების ყოველწლიური შემატების ნახევრის ტოლი). ამ მარაგის გამრავლებით მერქნის საშუალო ფასზე (500 ლ 1 ჭრის (10 წ.) შემოსავალი  $2.64$  მლნ მ<sup>3</sup> X 500 ლ = 1.32 მლრდ ლარს შეადგენს. აქედან ჩანს რა სარგებელია მოსალოდნელი გარდა იმისა, რომ ქვეყნის ტყეების გადარჩენაა შესაძლებელი. სანიმუშო პლანტაციების მონაცემების საფუძველზე საქართველოს პირობებში დამუშავებულია პლანტაციის მოვლის დაბალი, საშუალო და მაღალი წარმადობის ვარიანტები. დამზადების დაშვებული წესების მიხედვით მაღალი წარმადობის პლანტაცია მაქსიმალურ ეკონომიკურ-ეკოლოგიურ სარგებელს იძლევა.

როგორც ჩანს, პაულოვნიის პლანტაციის განაშენიანებით შესაძლებელია მაღალი შედეგების მიღება:

ა) **ეკოლოგიურის – მიკროკლიმატის რეგულირება**; ნიადაგის ეროზიის შეჩერება (რაც მიიღწევა პაულოვნიის ფესვთა სისტემის საშუალებით 2-3 წელიწადში); ნიადაგის თვისებების გაუმჯობესება, ქარის სიჩქარის შენელება; ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება-განვითარება; ნიადაგის ტენიანობის შენარჩუნება; სითბოს მოყვარული და გვალვამტანი მცენარეთა ალტერნატიულ სახეობად გამოყენება (სამხრეთ რეგიონებში კლიმატის ცვლილების გამო ფიჭვის და კედარის ჩასანაცვლებლად მიიჩნევენ, რადგან ისინი ხმობას განიცდიან).

ბ) **ეკონომიკურის** – მერქნის წარმოება სხვადასხვა დანიშნულებით; მცენარის ფოთლების დამატებითი მწვანე მასის მეცხოველეობაში საკვებად გამოყენება, მისი როგორც ენერგეტიკული წყაროს ალტერნატიული გამოყენება. სოფლის მეურნეობის კულ-

ტურების მოსავლიანობის გაზრდა ახლომდებარე ტერიტიაზე. დაბანდებული კაპიტალის დროის მოკლე პერიოდში გამოსყიდვა.

გ) **სოციალურის** – მოსახლეობის დასაქმება პლანტაციების გაშენებაში, მოვლასა და მერქნის პროდუქტის დამზადებასა და რეალიზაციაში, დეკორატიული სილამაზის გამო მიმზიდველი გარემოს შექმნა.

მეცნიერთა გათვლით, პაულოვნიას სარგებლიანობიდან ყველაზე მაღალი ეფექტიანობით გამოირჩევა სხვადასხვა დანიშნულების მერქნის მიღება, შესაბამისად არსებული ბიზნესშესაძლებლობების გამოყენება და ამ შედეგების მიღება შესაძლებელია მინიმალური რისკის პირობებში. რისკების მინიმიზაცია პაულოვნიას გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებებიდან გამომდინარეობს, იგი ეკოლოგიურად სუფთა მცენარეა და არ იწვევს ალერგიებს, ამასთანავე ზღუდავს სხვადასხვა მავლებლების და დაავადებების გავრცელებას, დადგენილია, რომ იგი უარყოფით ზემოქმედებას არ ახდენს ადგილობრივი ტყეების ეკოსისტემაზე. ტენიანობის შენარჩუნებით ხანძრის საშიშროებას ამცირებს გვალვის პერიოდში; მიმდინარეობს შესწავლა მცენარის ინვაზიურობაზე დაცული ტერიტორიების მიმართ.

საქართველოს ზოგიერთ რაიონში ამ პლანტაციის გავრცელების საუკეთესო პირობებია.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ეს კულტურა მწვანე გამოწვევებს უდავოდ პასუხობს და შეიძლება მივიჩნიოთ მწვანე ეკოსისტემის ელემენტად, რომელიც ხელს შეუწყობს მის განვითარებას. ამისთვის კი საჭიროა მისი განაშენიანების სრულყოფა და ხელშეწყობა, მოსახლეობის დაინტერესების გაზრდა, სტიმულები, მრავალი მხარის ჩართულობა და გააქტიურება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. კანდელაკი გ., საქართველოში პაულოვნიის პლანტაციების გაშენების ეფექტიანობა, ჟურნ. “აგროინფო”, N1 თბ., 2008.
2. კანდელაკი თ., კობახიძე ნ., ქავთარაძე მ., პაულოვნიის დეკორატიულ მებაღეობაში გამოყენების მიზანშეწონილობა, სამეცნიერო ჟურნ. “მოამბე”, 27 გვ. 16-29 თბ., 2010.
3. კანდელაკი თ., ფერმერულ მეურნეობაში პაულოვნიის პლანტაციების გაშენების რეკომენდაციები სსაუ გამოცემა (ბროშურა) თბ., 2005.
4. კანდელაკი თ., როგორ უნდა დავრგოთ ხე, რომელიც გამდიდრების რეალურ შანსს იძლევა, გაზეთი “თბილისელები”, N 5, თბ., 2007.
5. შ. ქავთარაძის დისერტაცია, “პაულოვნიის ბიოლოგიური თვისებები და ფერმერულ მეურნეობაში მისი გაშენების პერსპექტივები”. თბ., 2010.
6. ჟღენტი მ., “პაულოვნია ძვირფას საშენ მასალას იძლევა”. ჟურნ. “ჩემი მამული”, N2, თბ., 2009.
7. პაულოვნია გლობალური დათბობის წინააღმდეგ, ჟურნ. “აგრონიუს”, 20.14.2019.
8. Кучеров А.В., Шибилев О. В. (Молодой ученный N4, 2014), Концепция зеленой экономики: основные положения и перспективы развития.
9. Крайчович Р. Руководитель группы экспертов проекта “Green economy Belarus” - что такое “зеленая экономика”?
10. მწვანე ეკონომიკა. ინტერნეტგაზეთი ვებ გვერდი: mast.st.acelebeli.ge 29.03.2019.
11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გაეროს პროგრამა.. <http://www.unep.org/pdf/Green economy-Successtovies pdf>.

*Teimuraz Kandelaki  
Tsira Mikatadze*

### **FAST-GROWING HIGH-PRODUCTIVE PLANTATIONS EFFECTIVE MEANS FOR THE DEVELOPMENT OF GREEN ECONOMY Summary**

The work deals with the economic-ecological-social features of plants, the plantations of which are an effective means for the development of green economy.

This special (known as Pauline, "Adam's Tree", "Caucasia") is a fast growing plant (12-15 m in 5 years after planting) can be cut in 6 years after planting and used for industrial purposes; Here is the ability to retrieve the soil from erosion, it is distinguished by the beautiful structure of high quality wood (from which the building materials, cellulose) is an effective raw material for beekeeping and cattle feed; It absorbs a large quantity of carbon dioxide out of the air and emits oxygen. The first cutting covers the planting-care costs. Thus, environmental, ecological and economic benefits are provided.

## *ქეთევან კიწმარიშვილი*

### **ტექნოლოგიური ინოვაციები ჯანდაცვაში**

**ანოტაცია.** ჯანდაცვის სფეროში ინოვაცია ტექნოლოგიურად ითვლება, თუ სამედიცინო მომსახურების გაწევის მეთოდები პრინციპულად ახალი და ტექნოლოგიური თვალსაზრისით გაუმჯობესებულია. სპეციალისტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასა და ეფექტურობას. სწორედ მაღალტექნოლოგიური სამედიცინო დახმარება უზრუნველყოფს ხარისხიან სამედიცინო მომსახურებას. ჯანდაცვისა და განათლების სისტემების განვითარების დონე ინდიკატორის როლს ასრულებს ქვეყანაში პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებებისთვის. ჯანდაცვა და განათლება არის ქვეყნის ეკონომიკის ორი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი, ადამიანთა ცხოვრების ხარისხის განმსაზღვრელი, ისინი ქმნიან პირობებს ადამიანთა საზოგადოების ფორმირებისა და განვითარებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** ინოვაციური რესურსები. სამედიცინო-ფარმაცევტული ინოვაცია. სამედიცინო-ტექნოლოგიური ინოვაცია.

### **შესავალი**

სოციალურ სფეროში ინოვაციები მიმართულია საზოგადოების საჭიროებებთან მიმდინარე პროცესების შესაბამისობაში მოყვანისკენ და თითოეული წევრის ინტერესების დაცვაზე. სოციალურ სფეროში ინოვაციების რეალიზებას უზრუნველყოფს სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კომერციული ორგანიზაციები, მოქალაქეები. სახელმწიფო სტრუქტურებში ინოვაციები ნაწილდება ეროვნულ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებს შორის. სოციალურ სფეროში სახელმწიფოს ინოვაციის რეალიზების ძირითადი მექანიზმი არის სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკა, რომელიც ამ სფეროს სახელმწიფო რეგულირების პროცესს წარმოადგენს. ფაქტობრივად სოციალური პოლიტიკა წარმოადგენს სოციალური პროცესების რეგულირების დადგენილი წესების კრებულს. სოციალური ინოვაციები შეიძლება იყოს ნივთიერი (საგნობრივი), ორგანიზაციული და კულტურული. საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის დონის მიხედვით ასხვავებენ სახელმწიფო, რეგიონულ, ადგილობრივ და ლოკალურ ინოვაციებს. საორგანიზაციო და კულტურული ინოვაციები ყველა დონეზე ერთნაირი ხარისხით გვხვდება, ხოლო ნივთიერი ძირითადად – ლოკალურსა და ადგილობრივ დონეებზე.

ჯანდაცვის სფეროში სამეცნიერო კვლევები მიმართულია სამედიცინო დაწესებულებების პრაქტიკაში ახალი სამედიცინო პრეპარატების, საინფორმაციო და სხვა ახალი სამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვისკენ. ქვეყანაში ფართოვდება დაწესებულებათა ქსელი, რომელშიც მაღალტექნოლოგიურ, ძალიან ძვირადღირებულ დახმარებას უწევენ პაციენტებს. აგრეთვე შენდება ახალი მაღალტექნოლოგიური ცენტრები.

\* \* \*

საქართველოს ჯანდაცვის განვითარების კონცეფცია შემდეგ ამოცანებს უყენებს ჯანდაცვის სისტემას<sup>64</sup>:

- ქვეყნის მოსახლეობისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დასანერგად პირობების, საშუალებებისა და მოტივაციის შექმნა;
- სამედიცინო დახმარების ორგანიზების თანამედროვე სისტემაზე გადასვლა;
- მოქალაქეებისათვის უფასო სამედიცინო დახმარების გაწევის სახელმწიფო გარანტიების დაკონკრეტება;

<sup>64</sup> saqarTvelos jandacvis sistemis efeqtianobis Sefaseba, mokle angariSi, Tb., 2009, gv. 10.



➤ სახელმწიფო გარანტიების პროგრამის ფინანსური რესურსების მართვის ეფექტური მოდელის შექმნა;

➤ ამბულატორიულ პირობებში მოსახლეობის წამლებით უზრუნველყოფის გაუმჯობესება საყოველთაო-სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის სისტემის ფარგლებში;

➤ სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და მათი ხარისხიანი მუშაობისთვის მოტივაციის სისტემის შექმნა;

➤ მედიცინის მეცნიერების;

➤ ჯანდაცვის ინფორმატიზაცია.

„სოციალური სფერო“-ს ცნებას მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოებრივი მნიშვნელობის ისეთი კატეგორიები, როგორცაა ჯანდაცვა, განათლება, დასაქმება, ეკოლოგია, კულტურა და სხვა, რომლებიც განსაზღვრავს საზოგადოების ჯანმრთელობასა და მის ეკონომიკურ მდგომარეობას.

ტექნოლოგიური ინოვაციები ჯანდაცვის სფეროში შეიძლება დაფოთ შემდეგ ქვეჯგუფებად:

➤ სამედიცინო ტექნოლოგიური ინოვაციები, რომლებიც უკავშირდება პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის კუთხით ახალი მეთოდების წარმოშობას, უკვე არსებული დანადგარებისა და პრეპარატების ბაზაზე ან მათი ახალი კომბინაციების გამოყენებით;

➤ ორგანიზაციული ინოვაციები, რომლებიც ჯანდაცვის სისტემის საქმიანობის ეფექტურ რესტრუქტურზაციას ახდენენ, სრულყოფენ პერსონალის შრომის ორგანიზაციისა და მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების მუშაობას;

➤ ეკონომიკური ინოვაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანდაცვის დაწესებულებების საქმიანობის ანალიზის, დაგეგმვის, დაფინანსების, სტიმულირების თანამედროვე მეთოდების დანერგვას;

➤ საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინოვაციები, რომლებიც მიმართულია მოცემულ დარგში ინფორმაციის ნაკადების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის პროცესების ავტომატიზაციაზე;

➤ სამედიცინო-ფარმაცევტული, სამედიცინო-ტექნიკური ინოვაციები, რომლებიც გულისხმობს ახალი მედიკამენტების (ტექნიკური სისტემების) გამოყენებას, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნება ფასისა და სამედიცინო ეფექტურობის ძირითადი პარამეტრების ხაზით.


სულ უფრო გამოყენებადი და მოთხოვნადი ხდება ბიოტექნოლოგიები, მნიშვნელოვნად განვითარდა უჯრედული, გენოინჟინრული, ქსოვილისა და იმუნობიოლოგიური ტექნოლოგიები. აქტიურად მუშაობენ თერაპევტული კლონირების მეთოდებზეც. ვითარდება მედიკამენტების ადრესულ მისამართზე მიტანის ტექნოლოგიები. ინერგება კიბერნეტიკული სარეაბილიტაციო სისტემები და ნეიროკომპიუტერული ინტერფეისები. ყოველივე ეს სახეს უცვლის მედიცინას, აფართოებს მის შესაძლებლობებს, პერსონიფიცირებულს და ეფექტურს ხდის მას. სწორედ ამიტომ ჯანდაცვის წინაშე დგას მოდერნიზაციისა და ინოვაციური ცვლილებების გატარების ამოცანა, რაც შეუძლებელია ბიოსამედიცინო ტექნოლოგიების განვითარებისა და დანერგვის გარეშე. ბიოსამედიცინო სფეროში ინოვაციების სტიმულირებისა და მართვის ეფექტური მექანიზმების დანერგვა ჯანდაცვის სისტემის დაჩქარებული ტემპებით განვითარებას ხდის შესაძლებლად, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას შეუწყობს ხელს.

ჯანდაცვის სფეროში პრიორიტეტული ეროვნული პროექტის ფარგლებში ტარდება კონკურსები და ტენდერები, რაც მიზნად ისახავს ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას პირველად სამედიცინო რგოლში. ტექნოლოგიური ინოვაციები გათვალისწინებულია სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის სტრატეგიულ გეგმებშიც.

ამის ნათელი მაგალითია კარდიოქირურგია, გულის იშემიური დაავადებების ოპერაციული მკურნალობა, რაც განპირობებულია აღნიშნული პრობლემის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობით. მაღალტექნოლოგიური დახმარების მაგალითებია: კორონარული შუნტირება, ტრანსლუმინალური ინიოპლასტიკა და სხვა.

გულ-სისხლძარღვოვანი ქირურგიის ცენტრებში დიდი მუშაობა ტარდება ახალი სამედიცინო ტექნოლოგიების ეფექტურობის შესაფასებლად, რისთვისაც გროვდება ამ ტექნოლოგიების გამოყენების შედეგების შესახებ არსებული ინფორმაციები.

ინოვაციური ტექნოლოგიების უშუალო დანერგვის პროცესს სამედიცინო დაწესებულებაში წინ უძღვის დამუშავების პროცესი და მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება. დამუშავების ალგორითმი და გადაწყვეტილება ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის შესახებ წარმოდგენილია ნახაზზე 1.



**ნახაზი 1. ინოვაციური ტექნოლოგიის დანერგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და დამუშავების ალგორითმი.**

„ა“ – ეტაპზე ხდება ახალი სამედიცინო მომსახურების შესწავლა და კლასიფიკაცია საერთაშორისო ხარისხის კლინიკური კვლევების სისტემური ანალიზის საფუძველზე. სისტემური ანალიზის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ მმართველობითი გადაწყვეტილება შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვის შესახებ არ იყოს მხოლოდ ეკონომიკური მოსახრებებით განპირობებული. ანალიტიკური გამოკვლევები („ა“) შედგება შემდეგი ეტაპებისგან:


1. საერთაშორისო კვლევების მონაცემთა ანალიზი.
2. ინფორმაციის მოძიება.
3. ინფორმაციის შეგროვება.
4. ინფორმაციის დამუშავება.
5. ინფორმაციის ანალიზი.
6. ახალი ტექნოლოგიის დახასიათება: ეფექტის ანალიზი (სარგებლისა და რისკების თანაფარდობა). ეფექტიანობის შეფასება (ღირებულებისა და ეფექტის შეფარდება).  
სამომხმარებლო ბაზრის შეფასება („ბ“) მოიცავს:
  1. დემოგრაფიული სიტუაციის შეფასებას (ეპიდემიოლოგიური მონაცემები – სიკვდილიანობა და ავადობა).
  2. მიზნობრივი აუდიტორიის შესწავლას.
  3. პაციენტთა სურვილის და თანამშრომლობისთვის მზაობას.
  4. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის შესწავლას (გეოგრაფიულს, ფინანსურს).

შემდეგი ეტაპზე („გ“) ხდება საპილოტე პროექტის რეალიზების შესაძლებლობის შეფასება, კერძოდ:

1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დახასიათება.
2. პერსონალით უზრუნველყოფის შეფასება (საკადრო შემადგენლობა და კვალიფიკაცია).
3. პროექტის რეალიზებისთვის საჭირო ფინანსური ხარჯის გაანგარიშება.
4. ინვესტორების მოძიება რესურსების მოსაზიდად.

საპილოტე პროექტის შედეგების გაანალიზების შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება ახალი სამედიცინო მომსახურების დანერგვის შესაძლებლობის შესახებ. გადაწყვეტილების საბოლოოდ მიღებამდე აუცილებელია მაღალტექნოლოგიური მომსახურების მახასიათებლებისა და თვისებების შესწავლა. ამას წინ უსწრებს მედიცინის შესაბამის სფეროში მეცნიერულ-პრაქტიკული კვლევების ანალიზი და სამედიცინო დაწესებულების შესაძლებლობების შეფასება. დიდი მნიშვნელობა აქვს მომხმარებელთა სტრუქტურის ანალიზის შედეგებს. მიზანშეწონილია მომხმარებელთა არჩევითი გამოკითხვა, სპეციალისტებისგან ექსპერტთა ჯგუფის შექმნა, ასევე სხვა გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის დაგროვებისთვის აუცილებელი ღონისძიებები. ინოვაციური ტექნოლოგიის დანერგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანია ფასის პროგნოზირება, ვინაიდან ეს დიდწილად განაპირობებს მოსახლეობისთვის მომსახურების ხელმისაწვდომობას. ინოვაციური ტექნოლოგიის დანერგვის შესახებ გადაწყვეტილების შემუშავებისა და მიღების დროს ფართოდ გამოიყენება მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდები.

ახალი ტექნოლოგიის დანერგვის შესახებ გადაწყვეტილების რეალიზაციისთვის („დ“ ეტაპი) აღგენენ ბიზნესგეგმას (ნახაზი 2).



ნახაზი 2. ბიზნესგეგმის სქემა.

მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების რეგიონულ სამომხმარებლო ბაზარზე გავლენას ახდენს:

- რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობა (რეგიონის ბიუჯეტის შესაძლებლობები, სხვა ფონდების არსებობა, ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის სისტემის განვითარება);
- რეგიონის დემოგრაფიული და გეოგრაფიული თავისებურებები;
- სხვა სამედიცინო ცენტრების სიახლოვე, სადაც ასევე მაღალტექნოლოგიურ მომსახურებას სთავაზობენ მოქალაქეებს;
- მაღალტექნოლოგიური მომსახურების შესახებ აუცილებელი ინფორმაციის ფლობა;
- სპეციალისტების მომზადება და კვალიფიკაცია;
- სხვა ფაქტორები.

ყოველივე ზემოთქმულის შეჯამებისას უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვაში ტექნოლოგიური ინოვაცია წარმოადგენს დიაგნოსტიკის, საინფორმაციო, მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური (მედიკამენტოზურის ჩათვლით), ბიოლოგიური მეთოდებისა და ამა თუ იმ დაავადების მკურნალობის ხერხების ერთობლიობას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. კიწმარიშვილი ქ. ინოვაციური მენეჯმენტი. „ბეჭდვის სამყარო“. თბილისი, 2016.
2. აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ., საინოვაციო მენეჯმენტი, თბ., 2015.
3. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.
4. <http://www.russba.ru/>

*Ketevan Kitsmarishvili*

### TECHNOLOGICAL INNOVATIONS IN HEALTHCARE

#### Summary

Innovation in healthcare system is considered technological, if the methods of medical service are principally new and technologically improved. Availability and efficiency of high-tech medical care are especially significant for specialists. Exactly through high-tech medical care is provided high quality medical service. For the purpose of social and economic changes faced in the country the development level of healthcare and educational systems serves as an indicator. Healthcare and educational systems are the most important integral parts of country's economics, determining quality of human life, creating conditions for the formation and development of human society.

*გიორგი ზანგურაშვილი  
გოდერძი ტყეშელაშვილი*

**საქართველოს ტრანსპორტის მდგომარეობის  
ანალიზი და პერსპექტივა**

#### შესავალი

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანია, რომელმაც საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარება უნდა უზრუნველყოს. რამდენადაც საქართველოზე გადის უმოკლესი სატრანსპორტო გზა მეზობელ აზერბეიჯანსა და სასომხეთში, აგრეთვე შუა აზიის სახელმწიფოებსა და ნაწილობრივ ირანსა და ჩინეთშიდაც კი. ამასთან საქართველო საზღვაო ქვეყანაა. ამ უპირატესობებს ჯერ-ჯერობით ქვეყანა არასათანადოდ იყენებს, რასაც მოწმობს სტატისტიკაც. იმის მაგიერ, რომ სატრანსპორტო გადაზიდვების მოცულობა განუწყვეტლივ იზრდებოდეს, პირიქით, გადაზიდული ტვირთების მოცულობა მცირდება.

სატრანსპორტო პოტენციალის უკეთ გამოყენებისათვის სასწრაფოდ საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება: შეიქმნას სატრანსპორტო კლასტერი ქ. ბათუმში ბათუმის, ფოთის და ყუღევის პორტების ეგიდით, სადაც გაერთიანდება რკინიგზაც და საავტომობილო გადამზიდავებიც სამუშაოთა შეთანხმებულად წარმართვისათვის; მკაცრად მოეთხოვოს ფოთის, ბათუმის, ყუღევის ოპერირებად კომპანიებს ვალდებულებათა შესრულება პორტების ტექნიკური აღჭურვის მიმართულებით; სახელმწიფომ უზრუნველყოს თავისუფალი კონკურენცია პორტებს შორის, რაც შეამცირებს საპორტო მომსახურების ფასებს და გახდის პორტებს კონკურენტუნარიანად; რიგ შემთხვევებში პორტებს მიეცეს საგადასახადო შეღავათები ტექნიკური განვითარების მიმართულებით.

\* \* \*

ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა მართალია თანდათან უმჯობესდება, მაგრამ იგი მაინც შორსაა სასურველისაგან. საკმარისია ითქვას, რომ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მშპ-ის მოცულობით საქართველო რამდენჯერმე ჩამოვრჩება არა მარტო მოწინავე - ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოებს, არამედ მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებსაც კი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით საქართველო 110 ადგილზეა, მსოფლიო ბანკის შეფასებით 108, ხოლო გაეროს შეფასებით 117-ე ადგილს იკავებს.

ბუნებრივია ასეთი ჩამორჩენილი ეკონომიკური მდგომარეობის გამო აუცილებელია სწრაფი ეკონომიკური განვითარების მიღწევა, დაახლოებით იმ ტემპების უზრუნველყოფა, რომელიც 1990-2010 წწ-ში გააჩნდათ „აზიის ვეფხვებად“ წოდებულ ქვეყნებს და აქვთ ამ ბოლო

წლებში ესპანეთს, ირლანდიას და სხვა მსგავს სახელმწიფოებს. ეს კი მიღწევადია იმ შემთხვევაში, როდესაც არსებულ რესურსებთან ერთად როგორცაა, ბუნებრივი, ფინანსური, გეოგრაფიული, ადამიანური რესურსები, გამოყენებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგიები. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება ყველა ადგილზე და წარმოების ყველა ეტაპზე, დაწყებული გააზრებიდან, დასრულებული პროდუქციის შექმნამდე და მიწოდება - რეალიზაციამდე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს გეოპოლიტიკურად ხელსაყრელი მდებარეობა და ქვემოთ სწორედ ამ უპირატესობის გამოყენებზე ვისაუბრებთ.

საქართველო ტერიტორიით პატარა და მოსახლეობით მცირერიცხოვანი სახელმწიფოა, მაგრამ მის ტერიტორიაზე გადი ევროპა-აზიის დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რომლის სათანადოდ გამოყენება ხდებოდა უხსოვარი დროიდან, ჯერ კიდევ ელინური და რომაული ცივილიზაციის პერიოდიდან. მაშინაც, როცა საქართველო დაწინაურებული იყო ეკონომიკურად და პოლიტიკურად შუა საუკუნეებში. მაშინაც კი, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო. გამოიყენება დღესაც-დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომაც, მაგრამ როგორც ჩანს არასაკმარისად. შედეგად ტრანსპორტის წილი საქართველოს მშპ-ში მოკრძალებულია და ესეც მწირი ეკონომიკის ფონზე, მაშინ, როცა ეკონომიკის ამ დარგს ხელშესახები შედეგების მოტანა შეუძლია მითუმეტეს, თუ გაითვალისწინებთ ქვეყნის საზღვაო ქვეყნის სტატუსსაც, რომლის ფუფუნებაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანას არ გააჩნია.

საქართველოში სატრანსპორტო დარგის დინამიკა ბოლო წლებში დადრამატიული ტრენდით ხასიათდება. რისი გამომწვევი მიზეზებიც უამრავია. მათგან გამოვყოთ ორი მიმართულება: სატრანსპორტო ტვირთების მოზიდვაზე არასაკმარისი ორგანიზაციული სამუშაოების წარმართვა და შიგა ეკონომიკის იმპორტირებულ ნედლეულზე, მასალებსა და მაკომპლექტებულ ნაკეთობებზე მოთხოვნის შემცირება.

ტრანსპორტის დინამიკა ოფიციალური სტატისტიკით ნაჩვენებია ცხრილ 1 და ცხრილ 2-ში.

**ცხრილი 1**

**ტვირთის გადატანა საერთო სარგებლობის ტრანსპორტის სახეების მიხედვით (ათასი ტონა)**

წლები	სულ	მათ შორის			
		სარკინიგზო	საავტომობილო	საზღვაო	საჰაერო
2012	48 926.8	20 123.4	28 794.1	8.1	1.2
2013	49 190.8	20 076.0	29 110.8	3.6	0.4
2014	47 616.4	18 185.0	29 431.0	-	0.4
2015	46 445.1	16 673.3	29 754.7	-	17.1
2016	44 247.1	14 142.7	30 082.0	-	22.4
2017	42 318.9	11 881.7	30 412.9	-	24.3
2018	41 507.4	10 672.5	30 747.4	-	87.5

**ცხრილი 2**

**საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა ტრანსპორტის სახეების მიხედვით (მლნ. ტონა-კმ)**

წლები	სულ	მათ შორის			
		სარკინიგზო	საავტომობილო	საზღვაო	საჰაერო
2012	6 690.0	6 054.8	628.4	5.3	1.5
2013	6 616.8	5 976.6	637.3	2.4	0.5
2014	6 172.4	5 525.9	646.1	-	0.4
2015	5 672.4	4 987.6	655.1	-	29.7
2016	4 966.9	4 261.3	664.3	-	41.3
2017	4 140.9	3423.1	673.6	-	44.2
2018	3 796.1	2 963.3	683.0	-	149.8

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს ტვირთის გადატანა საერთო სარგებლობის ტრანსპორტით ჯამურად შემცირდა 2012 წ-ის 48926,8 ათ. ტ-ნიდან 41507,4 ათ. ტ-მდე 2018 წლისათვის. უფრო საგანგაშოდ გამოიყურება ტვირთბრუნვის მაჩვენებელი სადაც ანალოგიურ

პერიოდებში შემცირდა ტვირთბრუნვა 6690,0 მლნ. ტონა-კმ-დან 3796,1 მლნ. ტონა-კმ-დე, ანუ თითქმის 2-ჯერ.

შემცირება ძირითადად გამოწვეულია სარკინიგზო ტრანსპორტის მანქანების გაუარესებით, სადაც 2012 წ-ს გადატანილი იქნა 20 123.4 ათასი ტ. ტვირთი, ხოლო 2018 წ-ს - მხოლოდ 10 672.5 ათასი ტ. ანუ გადატანილი ტვირთების მოცულობა განახევრდა, ხოლო რაც შეეხება ტვირთბრუნვას აქაც დაახლოებით იგივე მდგომარეობაა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საზღვაო ტრანსპორტის მანქანებები. საქართველო იმ იშვიათ სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელსაც აქვს ზღვაზე გასასვლელი, ფლობს ორ მოქმედ ბათუმის და ფოთის პორტებს, ყულევის და სუფსის ტერმინალებს, მაგრამ არ გააჩნია საზღვაო ფლოტი. შესაბამისად საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების მოცულობა სტატისტიკურად 2013 წ-ის შემდეგ ნულოვანია.

საზღვაო პორტების და ტერმინალების საერთო მახასიათებლები შემდეგია:

1. ბათუმის პორტი - 2015 წელს გადამუშავებული ტვირთების რაოდენობა – 5,7 მლნ ტონა; 2015 წელს გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობა - 54,695 TEU (1 TEU-20 ფუტი - 6,1 მეტრი); საკონტეინერო ტერმინალის გამტარუნარიანობა - 100 000 TEU წელიწადში; სამგზავრო ტერმინალის გამტარუნარიანობა - 180 000 მგზავრი წელიწადში; 2008 წლის თებერვალში სს “ყაზტრანსოილის“ შეიღობილმა კომპანიამ - შპს Batumi Industrial Holding-მა ბათუმის საზღვაო ნავსადგურის 49 წლით ექსკლუზიური მართვის უფლება და ბათუმის ნავთობტერმინალის აქციების 100%-იანი პაკეტი შეიძინა.

2. ფოთის პორტი - 2015 წელს გადამუშავებული ტვირთების რაოდენობა – 6,8 მლნ ტონა; 2015 წელს გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობა დ 325,121 TEU; საკონტეინერო ტერმინალის გამტარუნარიანობა - 400 000 TEU წელიწადში. 2008 წელს ფოთის პორტის აქციების 51% და პორტის მართვის უფლება 49-წლიანი ვადით არაბულმა კომპანია “რაკიამ“ (RAK Investment Authority) შეიძინა. შემდეგ კომპანიამ პორტის აქციების დარჩენილი წილიც იყიდა და აქციების 100%-იანი პაკეტის მფლობელი გახდა. 2011 წლის აპრილში “რაკიამ“ ფოთის პორტის აქციების 80% დანიურ გიგანტს Moller-Maersk Group-ის შეიღობილ APM თერმინალს-ს მიჰყიდა და პორტის მართვიდან გავიდა.

3. ყულევის ტერმინალი - 2015 წლის განმავლობაში გადამუშავებული ტვირთების რაოდენობა დ 2,5 მილიონი ტონა; ტერმინალის გამტარუნარიანობა წელიწადში - 10 მლნ ტონამდე; ყულევის ნავთობტერმინალი 2007 წლის იანვარში აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია “სოკარმა“ შეიძინა.

4. სუფსის ტერმინალი - 2015 წელს გადამუშავებული ტვირთების რაოდენობა - 4,2 მლნ ტონა; წლიური გამტარუნარიანობა - 7 მილიონი ტონა; 1999 წლის 17 აპრილს სუფსაში გაიხსნა სუფსის ტერმინალი, ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ბოლო წერტილი. ტერმინალის შემადგენლობაში შედის 4 რეზერვუარი, თითო - 40 000 ტონა ნავთობის ტევადობით.

საქართველოში მოქმედი ორივე პორტის დაღმავება არ იძლევა საშუალებას დიდი წყალწყვის გემების მომსახურებისათვის. ბათუმის პორტის მაქსიმალური სიღრმე 11,5 მ-ია, ხოლო ფოთის მხოლოდ 12,5 მ. მაგრამ ეს უკანასკნელი ისილება და პერმანენტულ გასუფთავებას საჭიროებს, რაც ამ ბოლო წლებში ვერ ხერხდება, ამიტომ ფოთის პორტში შემოსული გემების მაქსიმალური დაღრმავება არ აღემატება 8,4 მ-ს.

ბუნებრივია არასაკმარისი სიღრმე იწვევს გარკვეულ შეფერხებებს, რამდენადაც საზღვაო გადაზიდვების მოცულობა და ინტენსივობა განუწყვეტილ იზრდება, შედეგად გამოყენებადია მაღალი წყალწყვის გემები, რომეთა მომსახურება საქართველოში მოქმედ პორტებს არ ძალუძს.

საქართველოს საზღვაო პორტების ძირითადი კონკურენტებია რუსეთის ფედერაციის ნოვოროსისისკის და ტუაფსეს და თურქეთის სამსუნგის პორტება. ნოვოროსისისკის პორტის სიმძლავრე, ბოლოს განხორციელებული მოდერნიზაციის შედეგად გაიზარდა 140 მლნ. ტ-მდე წლიურად და მისი თითქმის 100%-იანი ათვისება ხდება. დაღმავების მაქსიმალური სიღრმე 24,5 მ, რაც ნებისმიერი წყალწყვის გემების მიღების საშუალებას იძლევა. ტუაფსეს პორტის შესაძლებლობები შედარებით მოკალებულია და მისი სიმძლავრე მხოლოდ 20 მლნ. ტ. ტვირთის გადამუშავებაა წლიურად. რაც შეეხება სამსუნგის პორტს, მისი სიმძლავრე რეკონსტრუქციის შედეგად გაზრდილია 40 მლნ. ტ-მდე.

საქართველოს საზღვაო შესაძლებლობების ათვისება შესაძლებელია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობით, რომლის განხორციელება დაიწყო კიდევაც, მაგრამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე დიდი წინააღმდეგობებით მიმდინარეობს.

ამასთან ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებული იყო ანაკლიის პორტისათვის სპეციალური შეღავათების დაწესება, რაც მის მნიშვნელობას გაზრდიდა.

საქართველოს ტრანსპორტში სრულყოფილად მხოლოდ მილსადენები მუშაობს. სატრანზიტო დერეფანი, რომელიც საქართველოს კვეთს წარმოადგენს კასპიის ნახშირწვალბადების ყველაზე მიმზიდველ მიწოდების მარშრუტს საერთაშორისო ბაზრებზე.

საქართველოს გავლით ხორციელდება ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის ტრანსპორტირება ძირითადად მილსადენებით. აზერბაიჯანი, ისევე როგორც მთლიანად კასპიის რეგიონი, რომელიც ფლობს ენერჯო რესურსების მდიდარ მარაგებს, იზოლირებულია მსოფლიოს ბაზრების მომხმარებლებისგან და მოტივირებულია შეარჩიოს დამოუკიდებელი საექსპორტო მარშრუტები და გვერდი აუაროს სხვა მწარმოებელ ( შესაბამისად კონკურენტ) ქვეყნებს.

საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი სატრანზიტო პოტენციალი, იმისათვის რომ საერთაშორისო ბაზრებს მომავალში დამატებით მიაწოდოს აზერბაიჯანული და მთლიანად კასპიის რეგიონის ნახშირწვალბადების რესურსები.

აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის ჩამოყალიბდა სტრატეგიული თანამშრომლობა კასპიის ენერჯო რესურსების სატრანზიტო პროექტების, კერძოდ, ბაქო-სუფსის (WREP), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) და ბაქო-თბილისი-ერზრუმის (SCP) მილსადენების სახით.

ასევე საქართველოზე გადის ე.წ. ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზის მილსადენი, საიდანაც გაზი რუსეთიდან სასომხეთს მიეწოდება.

რაც შეეხება საავტომობილო ტრანსპორტს, მის მიერ გადაზიდული ტვირთის მოცულობა საკმაოდ მაღალია (30 747.4 მლნ. ტ. 2017 წ-ს), მაგრამ მისი აბსოლუტური უმრავლესობა შიგა გადაზიდვებზე მოდის, ხოლო ტრანზიტულ ტვირთბრუნვაში საქართველოს ავტოტრანსპორტის წილი შედარებით უმნიშვნელოა. ამიტომაც ტვირთბრუნვის მაჩვენებელი შედარებით დაბალია, სულ 683.0 მლნ. ტ.-კმ, რაც 5-ჯერ ჩამორჩება რკინიგზის ანალოგიურ მაჩვენებელსაც კი.

მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ საქართველოში სატრანსპორტო სფეროს ჩამორჩენილობას ძირითადად შემდეგია:

- საგზაო ინფრასტრუქტურის არასაკამარისი განვითარება და გამართულობა;
- სატრანსპორტო საშუალებების დაბალი ტექნიკური პარამეტრები და შეუსაბამობა ევროპის სტანდარტებთან;
- ტვირთის გადაზიდვის მაღალი ტარიფები;
- ტრანსპორტში ბიზნეს გარემოს ნაკლოვანებები, რომელიც არ ასტიმულირებს ეკონომიკის სატრანსპორტო სექტორის დაჩქარებულ განვითარებას;
- ნაკლები თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება რომელიც ერთი ორად ზრდის ეფექტიანობას და იძლევა საშუალებას დაეზოგოთ ფინანსები.
- იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული საქართველოს სატრანსპორტო და სატრანზიტო პოტენციალი, უპირველესად საჭიროა მაკროეკონომიკური გარემოს გაუმჯობესება, რაც გამოიხატება შემდეგ ჯგუფებში:
  - საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება - საქართველოში დეკლარირებულია თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები, მაგრამ ვერ ფუნქციონირებს ვერცერთი სასაქონლო ბირჟა, არ არსებობს შრომითი ბირჟები, ხოლო ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე კოტირებული აქციების მოცულობა კრიტიკულად მცირეა;
  - საგადასახადო სისტემა - იგი შესაბამისობაშია დასავლეთ ევროპის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგადასახადო ტარიფებთან, მაგრამ არ ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომას გარდა იმ ტერიტორიული ერთეულებისა, რომელთაც მინიჭებული აქვთ თავისუფალი ეკონომიკური ზონის სტატუსი. ჩვენი საგადასახადო სისტემა არ ითვალისწინებს საგადასახადო ტარიფების დიფერენცირებას დარგობრივ ჭრილში, რაც უარყოფითად აისახება იმ სექტორების განვითარებაზე, რომელთათვისაც ქვეყანას ხელსაყრელი გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობები გააჩნია;
  - საკრედიტო-საფინანსო სისტემის გაუმართაობა - საქართველოში მაღალია ეროვნული ვალუტის ლარის კურსის მერყეობის ამპლიტუდა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტებთან მიმართებაში, ამასთან მაღალია საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთი და იგი ბიზნესის განვითარებას ნაკლებად ახალისებს;

— ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების და დავების გადაწყვეტის მოუქნელი სისტემა - ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი სააბიტრაჟო სასამართლო და სამეურნეო სუბიექტებს შორის დავებს განიხილავს საერთო სასამართლოების სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, სადაც საქმეთა განხილვა უსაშველოდ ჭიანჭურდება და რამდენიმე წელიც კი გრძელდება.

## დასკვნა

საქართველო ეკონომიკურად ჩამორჩენილ სახელმწიფოს მიეკუთვნება. მშპ-ის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მხოლოდ ცოტათი აღემატება 4000\$-ს, მაშინ როცა მსოფლიო საშუალო მაჩვენებელი 10000\$-ზე მეტია. ბუნებრივია ამ ფონზე მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის არსებული ყველა შესაძლო რესურსი. ერთ-ერთ ასეთს წარმოადგენს ტრანსპორტი საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. მიუხედავად აღნიშნულისა ტრანსპორტის წვლილი ქვეყნის მშპ-ში ძალიან დაბალია.

ბოლო წლების დინამიკაში მცირდება როგორც ტრანსპორტის ყველა სახეობით გადატანილი ტვირთების მოცულობა, აგრეთვე ტვირთბრუნვის მაჩვენებლებიც. აღნიშნულის გამოსწორება შესაძლებელია ისეთი მაკროეკონომიკური ღონიძიებების გატარებით, როგორებიცაა: საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება; თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფების დანერგვა; საგადასახადო სისტემის სრულყოფა მისი დიფერენცირების და ლიბერალიზაციის მიმართულებით; საკრედიტო-საფინანსო სისტემის გაუმჯობესებით; ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების და დავების გადაწყვეტის მოქნილი სისტემის შექმნით.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. List of countries by GDP (nominal) per capita.  
[https://en.wikipedia.org/wiki/List\\_of\\_countries\\_by\\_GDP\\_\(nominal\)\\_per\\_capita](https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_(nominal)_per_capita);
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სტატისტიკური წელიწადური 2018. თბილისი, 2018;
3. ინტერნეტ გამოცემა bpn. საქართველოს პორტები.  
<https://www.bpn.ge/article/20177-sakartvelos-portebi/>;
4. ქოქოლაძე ტ. საქართველოს საზღვაო პორტების მდგომარეობა და განვითარების პრობლემები. დისერტაცია. თბ. 2012. გვ. 38, 58;
5. Wikipedia. Новороссииск. saiti: <https://en.wikipedia.org/wiki/Novorossiysk>;
6. [https://web.archive.org/web/20140328134911/http://www.tcdd.gov.tr/tcdding/samsun\\_ing.html](https://web.archive.org/web/20140328134911/http://www.tcdd.gov.tr/tcdding/samsun_ing.html);
7. მამუკა ხაზარაძე - ანაკლიის პორტს თავისი კანონმდებლობა ექნება - გვინდა, რომ ამ ზონაში იყოს ღონდონის არბიტრაჟის ანალოგი. მ. ხაზარაძის გამოსვლა კავკასიის უნივერსიტეტში. საიტი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/533208-mamuka-xazaraze-anakliis-ports-tavisi-kanonmdebloba-ekneba-gvinda-rom-am-zonashi-iqos-londonis-arbitrazhis-analogi>.  
გადამოწმებულია 20.02.2019;
8. გოჩიტაშვილი თ. ნავთობისა და გაზის სატრანზიტო მილსადენები (არსებული და პერსპექტიული). თბილისი 2014. საიტზე: <http://weg.ge/sites/default/files/1.-energy-transit-projects.pdf>.  
გადამოწმებულია 20.02.2019.

*Giorgi Zangurashvili  
Goderdzi Tkeshelashvili*

## THE ANALYSIS AND PERSPECTIVES OF THE STATE OF TRANSPORT OF GEORGIA Summary

The geographical position of Georgia is that the shortest corridor connecting Asia and Southern Europe passes through it, and there are useful conditions for the development of the transport system.

The transport system of the country is represented by the railway of Georgia, road, air, sea transport, pipelines.



The railway, which is represented as a joint stock company, is a large organization, where the state has a controlling stake and it can make an important positive share in the country's economy, but the volume of transportation by rail has significantly decreased in recent years and from 2012 to 2018 almost doubled.

The volume of tourist transportation by air is increasing, but due to the high cost of transporting goods, the exchange of goods in this sector is insignificant.

Pipeline transport mainly serves as transit traffic. Here the pipelines of Bako-Erzerum and Bako-Jeihan are important, which are intended for the transportation of gas and crude oil from the pool of the Caspian Sea. The third main direction of the North-South gas pipeline is the transit of Russian gas to Armenia. Three pipelines are heavily loaded.

Automobile fleet calculates 1.2 million cars, but only a small part of it is possible to carry out international transit traffic, since the majority of the car fleet does not meet the requirements of European standards. Therefore, the volume of transit goods transported by road is minimal and there is a prospect in this area.

Separate is the issue of reasoning maritime transport. The appropriate position of Georgia is reflected in the status of the maritime country, but it does not have a sea fleet, of course, the volume of sea shipping is zero. Therefore, we can talk about sea transport only by seaports and terminals.

The existing Georgian seaports of Batumi and Poti also operate the Supsa and Kulevi terminals. Due to the shallow water deepening of ports, high-tonnage ships cannot enter the port, and in the terminals, liquid oil will be tumirovan in ships at sea.

The construction of the port of Anakly began, which is quite deep and can take larger ships.

The dynamics of the volume of goods processed in the ports of Poti and Batumi are negative and they cannot compete with the ports of Novorossiysk and Samsun due to the high rates of transportation operations.

This can be solved by implementing macroeconomic events such as development of market infrastructure; Introduction of modern software packages; Perfection of taxation system in its direction and liberalization, improvement of credit and financial system; By establishing a flexible system of business regulation and dispute settlement.

*ნანა ლუხუტაშვილი  
მარიამ დენოსაშვილი*

### **საპრუიზო საქმის განვითარების პერსპექტივები აჭარაში**

*ანოტაცია. სტატიაში ნათქვამია, რომ ბათუმში ბოლო წლებში საკრუიზო ტურიზმი კვლავ იბრუნებს აქტუალობას. ბათუმის ნავსადგურს გააჩნია შესაძლებლობა დააკმაყოფილოს კლიენტების მოთხოვნები სხვადასხვა ტვირთებთან, გემებთან და მგზავრებთან მიმართებაში.*

*სტატიაში აღწერილია ბათუმისა და ბათუმის პორტის განვითარების ისტორია ძვ.წ. III საუკუნიდან დღემდე; პორტის გეოსტრატეგიული და ბუნებრივი უპირატესობები. მოყვანილია საკრუიზო ტურიზმის სტატისტიკა 2012 – 2015 წლებისთვის. აღნიშნულია, რომ ბათუმის პორტში საკრუიზო ხომალდების არარსებობა ნაწილობრივ უკავშირდება გეოპოლიტიკურ მოვლენებს, უმეტესწილად კი ინფრასტრუქტურული პროექტების, რეკლამისა და მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელებას.*

*დასკვნაში მოყვანილია საკრუიზო ტურიზმის სტრატეგიის ასამოქმედებლად ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობის მიერ გასატარებელი რიგი ღონისძიებები.*

*საკვანძო სიტყვები: საკრუიზო ტურიზმი; ბათუმის პორტი; განვითარების სტრატეგია.*

### **შესავალი**

დღეს, საკრუიზო მოგზაურობის ღირსებები და უპირატესობები უდავოა. საზღვაო კრუიზების ყველაზე პოპულარული რაიონებია კარიბის ზღვის აუზი, ხმელთაშუა ზღვა, აშშ-ს დასავლეთი სანაპირო, ჩრდილო ევროპა და აზია.

ბათუმის პორტი ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში პოპულარულ საკრუიზო მიმართულებას წარმოადგენდა. ბოლო წლებში საკრუიზო ტურიზმი კვლავ იბრუნებს აქტუალობას, რასაც ადასტურებს შავი ზღვის აუზის ქვეყნების დაინტერესება ბათუმის მიმართულებით.

ძვ.წ. III საუკუნის ბერძენი მეცნიერი და ცნობილ მწერალი აპოლონიოს როდოსელი წიგნში „არგონავტიკა“ ბერძნული მითების, ლიტერატურული და წერილობითი წყაროების შესწავლის საფუძველზე პოეტურად ახასიათებს მაშინდელი ყველაზე მეტად დაწინაურებული ქვეყნების-საბერძნეთისა და კოლხეთის მთელ სანაოსნო სისტემას. [ბოლქვაძე]

ყველაზე ადრეული ცნობა ბათუმის შესახებ დაცულია ძვ.წ. V საუკუნეში არისტოტელესთან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დიდ ბერძენ ფილოსოფოსს ორჯერ აქვს მოხსენიებული ზღვისპირა გეოგრაფიული პუნქტი, საიდანაც გარკვევით ჩანს კავკასიონის სიმაღლე და სადაც ზღვას განუზომელი სიღრმე აქვს.

არქეოლოგ-მკვლევართა მოპოვებული უცხოური კერამიკის ნაშთები და სხვადასხვა ჭურჭლეულობანი თუ ნივთები ადასტურებენ, რომ ძვ.წ. VII საუკუნეში ბათუმს გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა ბერძნულ სამყაროსთან. ბათუმის ციხის მიდამოები წარმოადგენდა ბერძენი მოახალშენეებისა და კოლხების ურთიერთობის, შეხვედრებისა და სავაჭრო ურთიერთობათა გარიგების ადგილს.

მე-11 საუკუნეში ბათუმი რომაელთა სამხედრო სადგურს წარმოადგენდა. იმპერატორ ადრიანეს დროს, აქ განლაგებული იყო რომაელთა გარნიზონი.

ქართული მემკვიდრეობის მიხედვით, თურქებმა როსტომ გურიელს, რომელიც 1564 წელს გარდაიცვალა, წაართვეს როგორც ბათუმი, ანუ ბათუმი, ისე გონია, სადაც მაშინვე ააგეს სიმაგრეები, შემდეგ იგი აქციეს ბათუმის ლივანის ანუ სანჯაყის დედაქალაქად და ტრაპიზონის გუბერნატორს დაუმორჩილეს.

ადრიან დიუპრე, საფრანგეთის კონსული, რომელმაც 1807 წელს მოიხილა ბათუმი, თავის ჩანაწერებში აღნიშნავს, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში აქ ცხოვრობდა 2 ათას კაცამდე (უფრო სწორად 1388 კაცი). მათი აქა-იქ გაფანტული სახლებით (256 სახლი, უმთავრესად ერთსართულიანი, ხის, ბარაკისა თუ ქოხის მაგვარი), იგი უფრო დიდ სოფელს ჰგავდა, ვიდრე ქალაქს. არავითარი სიმაგრე არ იცავდა მის რეიდს. ქვის საძირკველზე აგებული ერთადერთი კოშკი, თხრილშემოვლებული და უქვემეხო აღმართულიყო ბაზრის შესასვლელთან. ამ დროისათვის ბათუმის ნავსადგურში გემები იშვიათად თუ შემოდინდნენ. მაშინდელ ამ ე.წ. ქალაქში სანიტარული პირობები მეტად მძიმე იყო, სშირად მძვინვარებდა მალარია, გავრცელებული იყო დეზინტერია.

მე-18 საუკუნეში ვახუშტი ბათუმს მოიხსენიებს მცირე ქალაქად და კარგ ციხედ. იმ ხანად ბათუმი ლაზისტანის საფაშოს დედაქალაქია, მას მართავს მუთესერიფი ანუ გუბერნატორი, რომელიც უშუალოდ ემორჩილება პორტას და არაპირდაპირ ტრაპიზონის გენერალ-გუბერნატორს. ქალაქის საუკეთესო ნაწილია ნავმისადგომი, სადაც განლაგებულია ბერძნებისა და სომხების მაღაზიები და რამდენიმე საკმაოდ რიგიანი კერძო შენობა. ბათუმის მყუდრო ნავსადგურში პატარა და დიდი ზომის ხომალდები დგანან, რომლებსაც მოსახლეობისათვის რკინა, მარილი, საპონი და მცირეოდენი ქსოვილი შემოაქვს. აქედან კი გააქვთ თხილი, მარცვლეული, ბრინჯი და საერთოდ ყველაფერი. ქალაქის ამ ნაწილს აკრავს ვრცელი ადგილობრივი ბაზრები, რომელიც 800-ზე მეტი დუქნისაგან შედგება, ხოლო ამას იქით იწყება გარეუბანი, ისეთივე მიმოფანტული, როგორც დიუპრეს დროს იყო.

მაშ, ასე, მე-19 საუკუნის დასაწყისში ბათუმი საზღვაო ქალაქია, პატარა, სოფლური ტიპისა, სოფლისაგან ძნელად გასარჩევი, მაგრამ მაინც ქალაქი, საოცრად ხელსაყრელი ნავმისადგომით, რომელიც ხომალდებისათვის ისეთივე მოხერხებულია, როგორც მსოფლიოს უპირველესი ნავსადგურები.

ბათუმის ნავსადგური გამოირჩეოდა და ახლაც გამოირჩევა თავისი გეოსტრატეგიული და ბუნებრივი უპირატესობებით. კერძოდ:

- ნავსადგური მდებარეობს ბუნებრივ ღრმაწყლიან უბეში, რაც იძლევა დიდტონაჟიანი გემების მიღების საშუალებას;
- კარგადაა დაცული სანაპიროდან;
- ნავსადგურში შემოსასვლელად არ არის საჭირო არხის გაგება, რაც ათავისუფლებს გემფლობელს არხის მოსაკრებლის გადასახადისაგან.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარე გლობალური ეკონომიკური ქსელის ფორმირებისას, ზემოთ ჩამოთვლილმა უპირატესობებმა განაპირობა ის, რომ ბათუმის ნავსადგურმა მიიღო “პორტო-ფრანკო“-ს (თავისუფალი პორტი) სტატუსი 1878-1885 წლებში.

ქალაქ ბათუმისა და ნავსადგურის განვითარების მთავარი ფაქტორი გახდა ბაქოდან ბათუმში რკინიგზით ტრანსპორტირებული ნავთობი. ნავთობის გადამამუშავებასთან ერთად გაიზარდა სხვადასხვა მოთხოვნაც, რამაც გამოიწვია ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ეს გამოვლინდა იმით, რომ 1900 წელს აშენდა მსოფლიოში ერთერთი პირველი ნავთობმილსადენი- ბაქო-ბათუმის მილსადენი.

კემბრიჯის ენერგომადიებელი ასოციაციის პრეზიდენტი დანიელ ერგინი, თავის წიგნში "The Prize" აღნიშნავს, რომ ნავსადგურის გეოსტრატეგიული მდებარეობისა და ზემოთ ჩამოთვლილი უპირატესობების გამო, 1892 წლის აგვისტოში მსოფლიოში პირველად სწორედ ბათუმის ნავსადგურიდან გადაიტანეს ნავთობი ტანკერ "მიურექსის" მეშვეობით და ის იყო აგრეთვე პირველი ტანკერი, რომელმაც გაიარა სუეცის არხი იმავე წლის 22 აგვისტოს.

ამ პროექტის ავტორები იყვნენ ისეთი გამოჩენილი პიროვნებები, როგორებიც არიან ნობელი, როტშილდი, სამუელი (ფირმის "შელი" დამაარსებელი), მანთაშევი და სხვები. ასე, რომ ბათუმის ნავსადგური ოდითგანვე ცნობილი იყო, როგორც ევროაზიური და საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის უმნიშვნელოვანესი ნაწილი.

დღეისათვის ბათუმის ნავსადგური ევროპა-კავკასია-აზიის კორიდორის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს. ნავსადგური უკავშირდება კავკასიის, ცენტრალური აზიის, რუსეთის და თურქეთის ქვეყნებს საავტომობილო და სარკინიგზო გზებით.

ბათუმის პორტის ძირითადი კონკურენტები შავ ზღვაზე არიან: უკრაინული - ოდე-სისა და ილიჩევსკის პორტები, რუსული - ნოვოროსიისკისა და ტუაფსეს პორტები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის აკვატორია ზამთარში იყინება, ხოლო რუსეთის პორტებში, ზამთრის პერიოდში, ხშირია ძლიერი ქარები, რაც ბათუმის პორტის უპირატესობას განაპირობებს.

საქართველო საზღვაო ქვეყანაა, რაც მისი დიდი უპირატესობაა ამიერკავკასიაში, მაგრამ ჩვენს საზღვაო ინფრასტრუქტურას არ შემორჩა არც ერთი საზღვაო ლაინერი, თუ ტანკერი, მაშინ, როცა წარსულში ჩვენი საოკეანო ფლოტის რიცხვი 80-ს აღემატებოდა. ამ მიმართებითაც აუცილებელია მუშაობათა გააქტიურება.

ბათუმის ნავსადგურს გააჩნია შესაძლებლობა დააკმაყოფილოს კლიენტების მოთხოვნები სხვადასხვა ტვირთებთან, გემებთან და მგზავრებთან მიმართებაში. ნავსადგურს გააჩნია 5 ტერმინალი:

- ნავთობტერმინალი,
- მშრალი ტვირთის ტერმინალი,
- საკონტეინერო ტერმინალი,
- სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელი,
- სამგზავრო ტერმინალი.

ბათუმის საზღვაო ნავსადგური დღეისათვის მოიცავს 11 ნავმისადგომს. ნავსადგურში ზოგჯერ გემებს ნავმისადგომების დაკავების გამო, უხდებათ რეიდზე ლოდინი რამდენიმე დღის განმავლობაში, რაც ერთის მხრივ ზრდის გემის მომსახურების პერიოდს, მეორეს მხრივ გემები, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, დიდი რისკის ქვეშ ექცევიან მოსალოდნელი უამინდობის გამო.

სამგზავრო ტერმინალი ბათუმის ცენტრში, სანაპირო ბულვარის გაყოლებაზე მდებარეობს. ტერმინალის გამტარუნარიანობა წელიწადში დაახლოებით 180 000 მგზავრს შეადგენს. სამგზავრო ნავმისადგომები უზრუნველყოფენ სამგზავრო გემებისა და ასევე ღო-ღო ტიპის სამგზავრო სატვირთო მცირეტონაჟიანი ბორნების დამუშავებას. [3]

ნავსადგური გამოიყენება აგრეთვე, როგორც მთავარი სატრანზიტო ნავსადგური ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ნავთობის გადასამუშავებლად.

2008 წლის თებერვალში სს „ვახტრანსოილის" შეიღობილმა კომპანიამ - შპს Batumi Industrial Holding-მა ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ექსკლუზიური მართვის უფლება 49 წლით და ბათუმის ნავთობტერმინალის აქციების 100%-იანი პაკეტი შეიძინა.

2006 წლიდან ბათუმის პორტი ხმელთაშუა ზღვის საკრუიზო პორტების ასოციაციის "MEDCRUISE"-ის წევრია, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აჭარაში საკრუიზო ტურ-იზმის განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ თავად აჭარის მთავრობა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო საკრუიზო გამოფენასა თუ სემინარში, როგორებიცაა: სტამბოლის ზამთრის საკრუიზო ფორუმი "Seatrade", ჰამბურგის საერთაშორისო კონფერენცია "Seatrade

Europe Cruise and Rivercruise Convention“, მაიამის საერთაშორისო გამოფენა „Seatrade Cruise shipping convention“ და ა.შ.

აღნიშნული საქმიანობების შედეგად ბათუმის პორტში შემომსვლელი საკრუიზო გემების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. დღემდე, ბათუმის პორტში უმასპინძლა ისეთ მსხვილ საკრუიზო გემებს, როგორებიცაა: “Island Sky”, “Albatros”, “Silver Wind”, “Minerva”, “Spirit of Adventure”, “Prinsendam”, “Regatta” და “Princess Daphne”.

რეგიონში საკრუიზო ტურიზმის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოში ერთ-ერთ უმხვილეს საკრუიზო კომპანიასთან „Royal Caribbean“-თან გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის ფარგლებშიც შემუშავებული იქნა ბათუმის პორტის რეკონსტრუქციის გეგმა. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში, დაგეგმილია ბათუმის პორტის ნავმისადგომის 340 მეტრამდე გაფართოება. ახალი პორტის მეშვეობით, ბათუმში შემოსვლა შეეძლება ყველა ზომისა და ტიპის საკრუიზო გემს.

საკრუიზო ტურიზმი საქართველოსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება. საკრუიზო ტურიზმის სტატისტიკა 2012 – 2015 წლებისთვის შემდეგნაირად გამოიყურება:

2012 წ. - 10 საკრუიზო ხომალდი: 3 632 ტურისტი

2013 წ. - 16 საკრუიზო ხომალდი: 5 162 ტურისტი

2014 წ. - 33 საკრუიზო ხომალდი: 14 793 ტურისტი

2015 წ. - 11 საკრუიზო ხომალდი: 4 551 ტურისტი

2015 წლის შემდეგ საქართველოს ტერიტორიულ წლებში არც ერთი საკრუიზო ხომალდი არ შემოსულა. ბოლო წლების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ყველაზე მეტი საკრუიზო ხომალდი ბათუმის პორტში 2014 წელს შევიდა. საუბარია 33 საკრუიზო ხომალდსა და 14 ათას 793 ტურისტზე, რაც 186,5%-ით აღემატება 2013 წლის მაჩვენებელს (16 საკრუიზო გემი, 5 152 ტურისტი).

2014 წელს აჭარის შავი ზღვისპირეთს უპრეცედენტო ზომის საკრუიზო ხომალდი ეწვია. მსგავსი სიდიდის ხომალს რეგიონი პირველად მასპინძლობდა. იგი 2012 წელსაა აგებული და რუმინეთიდან საქართველოში ერთი დღით შემოვიდა, აჭარის შემდეგ კი გეზი სტამბოლის მიმართულებით აიღო. „Riviera“-ზე 1250 ტურისტი და 600 მდე ეკიპაჟის წევრი იმყოფებოდა, მათ სხვადასხვა საექსკურსიო პროგრამით ადგილობრივი ტურისტული კომპანია მოემსახურა [4].

აჭარის ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის განაცხადებით 2016 წლიდან ბათუმის პორტში საკრუიზო ხომალდების არარსებობა ნაწილობრივ გეოპოლიტიკურ მოვლენებთანაა დაკავშირებული (აჭარაში საკრუიზო გემები ძირითადად, თურქეთისა და ყირიმის გავლით შემოდიან. აღნიშნულ რეგიონებში არსებული დაძაბული საომარი და პოლიტიკური მდგომარეობა კი გადამწყვეტ როლს თამაშობს აჭარაში საკრუიზო გემების შემოსვლაზე), უმეტესწილად კი ინფრასტრუქტურული პროექტების, რეკლამისა და მარკეტინგული ღონისძიებების განახორციელებასთან [5].

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს რეგიონში საკრუიზო ტურიზმის სფეროს არსებული მდგომარეობის შესწავლასა და მისი განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში უცხოელი ექსპერტი დიდი ბრიტანეთიდან შპს G. P. Wild International-ის წარმომადგენელი — პიტერ უაილდი დაეხმარა. მან აჭარის ტურისტული ობიექტები დაათვალიერა და დასახა რიგი ღონისძიებებისა რომელსაც ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობა ახორციელებს [6].

აჭარის რეგიონული მთავრობისა და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ რეგიონში საკრუიზო ტურიზმის განვითარების მიზნით შემუშავებულ იქნა საკრუიზო ტურიზმის განვითარების სტრატეგია, რომლის განხორციელებლად ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ბათუმის პორტის რეაბილიტაცია და იქ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებია. ასევე აუცილებელია რამდენიმე პუნქტის შესრულება, ესენია: შავი ზღვის პორტების თანამშრომლობა, საპორტო მოსაკრებლები და ოპერაციული პრაქტიკა, დიდი ხომალდების ბათუმის პორტში წვდომის შესაძლებლობების ზრდა და მარკეტინგის მენეჯერის დაქირავება. [5]

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 12-14 სექტემბერს საერთაშორისო საზღვაო ფორუმს აჭარა მასპინძლობდა. ფორუმზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილის პატრონაჟით ჩატარდა, ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხი საკრუიზო ტურიზმი, არსებული

გამოწვევები და მათი მოგვარების გზები იყო. ასევე აჭარამ უმაპისნძლა საკორდინაციო შეხვედრებს ევროკავშირის პროექტის „კომპეტენციათა ცენტრების ქსელი შავი ზღვის რეგიონის საკურიზო ტურიზმის განვითარების მიზნებისთვის“ ფარგლებში, რომელსაც ევროკავშირის, უკრაინისა და საქართველოს ცნობილი უნივერსიტეტების პროფესორები, სტუდენტები, ტურიზმის დარგის სპეციალისტები, ბიზნესისა და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

2018 წლის 13 სექტემბერს ბათუმში საქართველოს საერთაშორისო საზღვაო ფორუმი მეორედ გაიმართა, რომელზეც მსჯელობენ საზღვაო და სანაოსნო სფეროში მიმდინარე გლობალური ცვლილებებზე, ახალ ინიციატივებსა და მათი განხორციელების გზებზე. [7]

იმედია, დასახულ სტრატეგიაში მოცემული გეგმების თანმიმდევრული განხორციელება უახლოეს მომავალში შედეგს გამოიღებს, მითუმეტეს რომ საკურიზო ტურისტებს ბათუმში საინტერესო და მრავალფეროვანი სახმელეთო მომსახურება ელით:

ბათუმი დღითი დღე მშვენივრდება, უკანასკნელი წლების განმავლობაში ქალაქი განსაკუთრებული ინტენსიურობით ვითარდება. ბათუმი ცდილობს ფეხი აუწყოს თანამედროვეობას და ამავე დროს შეინარჩუნოს თავისი ისტორია. საარქივო მონაცემების მიხედვით აღდგენილი და რეკონსტრუირებული იქნა მე-19 საუკუნის შენობა-ნაგებობები. რუდუნებით შესრულებული სამუშაოს შედეგია უმშვენიერესი შენობები ლამაზი აივნებითა და მოაჯირებით, წყნარი მოკირწყლული ქუჩები და ჩამოსხმული ფასადები. ირგვლივ კი ზღვიდან მონაბერი სიოს, მოხარშული ყავისა და ციტრუსოვანთა სასიამოვნო სურნელი ტრიალებს. [8]

ბათუმს მაღალგანვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა გააჩნია, რაც მას უცხოელი სტუმრებისათვის კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის. თანამედროვე ბათუმის ფეშენებელური სასტუმროები „შპერატონ“-ი, „დადისონ“-ი და „ილტონ“-ი შორიდანვე იპყრობენ მხერას თავისი ორიგინალური დიზაინით. საქართველოს მთავრობამ მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოიზიდა სამშენებლო მაგნატები საქართველოში სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებისათვის.

დღეს ბათუმის ცენტრალური ნაწილი წააგავს დასავლეთევროპულ ქალაქს ვაზით დამშვენებული ქუჩებით, შადრევნებითა და ხმაურიანი მაღაზიებით. დამდამობით ქალაქი საოცრად არის გაჩირადლებული, სანაპირო ზოლი თვალისმომჭრელად არის განათებული. ქალაქის კლიმატი შავ ზღვაზეა დამოკიდებული, ყველაზე ცივი თვეა იანვარი, ყველაზე ცხელი კი - აგვისტო. ტურისტთა უმრავლესობა ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდანაა, თუმცა ბათუმის ქუჩებში ასევე გაიგონებთ ინგლისურ, ფრანგულ და სხვა მეტყველებასაც.

სოკოებივით მომრავლებულ რესტორნებსა და კაფეებში ტურისტებს შეუძლიათ დააგემოვნონ ტრადიციული ქართული სამზარეულოს კერძები. ქალაქში აგრეთვე ბევრი მოდური ბუტიკია, ასევე ფუნქციონირებს პლასტიკური ქირურგიის კლინიკა. ბათუმში ბევრი ღირსშესანიშნაობაა, რომელთა შორისაც უნდა აღინიშნოს მსოფლიოში ყველაზე გრძელი ბულვარი. დღეისათვის ბულვარის სიგრძე შეადგენს 7 კმ-ს. ტურისტებისათვის აქ მრავალრიცხოვანი გასართობი ობიექტებია. შეგიძლიათ დაიქირავოთ ველოსიპედები და ბულვარში გაისეირნოთ, თან დაათვალიეროთ პლაჟი და ღირსშესანიშნაობები.

ბულვარში მდებარეობს ე.წ. „ემშაკის ბორბალი“, ქართული მწიგნობრობისა და კულტურის ძეგლი - ანბანის კოშკი, სხვა საინტერესო მონუმენტები. ადგილობრივები ბათუმს „სიყვარულის ქალაქს“ უწოდებენ. ბულვარში მრავლად ნახავთ ამ თემაზე შექმნილ ძეგლებს. მათგან ყველაზე ცნობილია ქალის წინაშე მუხლმოყრილი მამაკაცი, რომელიც თავის რჩეულს ჩუქნის წითელ გულს.

## დასკვნა

საკურიზო ტურიზმი საქართველოსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება. აჭარის რეგიონში საკურიზო ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია აჭარის მთავრობისა და ბათუმის პორტის ჩართულობა, საკურიზო ტურიზმის სფეროს განვითარების სტრატეგიული გეგმის თანმიმდევრული განხორციელება.

საკურიზო ტურიზმის სტრატეგიის ასამოქმედებლად გასატარებელია რიგი ღონისძიებები, კერძოდ:

- უნდა შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა საკურიზო გემების მისაღებად.

- უნდა მოხდეს მე-10 და მე-11 ნავმისადგომების რეაბილიტაცია და განახორციელდეს საოპერაციო საქმიანობის მოდერნიზაცია. რაც საბოლოო ჯამში 300 მეტრზე მეტი სიგრძის გემების მიღების საშუალებას შეუწყობს ხელს;
- გატარდეს სარეკლამო და მარკეტინგული ღონისძიებები ბათუმის პორტის პოპულარიზაციისათვის;
- მოხდეს შავი ზღვის ქვეყნების ერთიან პლატფორმაში ბათუმის პორტის პოზიციონირება.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ასლან ბოლქვაძე ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური. გამომცემლობა „აჭარა“ ბათუმი 1996 წ.
2. <https://acharadges.wordpress.com/2011/03/22/ბათუმის-ნავსადგური>
3. <http://forbes.ge/news/188/saqarTvelos-portebi>
4. <http://sputnik-georgia.com/economy/20151123/229213975.html>
5. <https://commersant.ge/ge/post/ratom-ar-shemovida-wels-saqartveloshi-sakruizo-gemebi>
6. [http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=304900&gid=7#.XPLlvVZS\\_IU](http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=304900&gid=7#.XPLlvVZS_IU)
7. <https://ipress.ge/new/53-sakhelmtsiphos-400-delegati-b>
8. <https://mardihouse.ge/ge/batumi>

*Nana Lukhutashvili  
Mariam Denosashvili*

**THE PERSPECTIVES OF CRUISE TOURISM IN ADJARA  
Summary**

In the article, it is said that interest in Batumi as a Black Sea cruise destination is steadily increasing. Batumi Sea Port has an opportunity to fulfill the needs and demands of customers by means of the marine passenger, dry cargo, Container, and the railway ferry and oil terminals.

There is described the history of Batumi and Batumi Port development of from 3BC to nowadays, the advantageous strategic, natural and geopolitical location of the port of Batumi. There is talked about the strategy of cruise tourism development from 2012 to the 2015 year. In the article, there is mentioned that currently, cruise ships are not visiting Batumi Sea Port, what is partly a result of geopolitical situation, but mainly- inappropriate infrastructure for cruise ships, marketing activities and promotion.

In conclusion, it is said that to activate the strategy for cruise tourism development, a series of measures were to be implemented by the local and central government.

**KeyWords:** Cruise tourism, Batumi Port, Strategy of development.

*მედეა მელაშვილი  
ქეთევან ქველაძე  
ნუნუ ქისტაური*

**ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება –  
მწვანე ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სეგმენტი**

**ანოტაცია.** ნაშრომი ეძღვნება „მწვანე“ ეკონომიკის აქტუალურობას და მნიშვნელობას დღევანდელ პირობებში, როცა კაცობრიობა ძალიან სწრაფად მიექანება ეკოლოგიური კატასტროფისაკენ; მოტანილია მისი, როგორც ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგის, პრინციპები და ასევე ბოლო დროის „მწვანე“ განვითარების წარმატებული მაგალითები მსოფლიოში (განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში). ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების მნიშვნელობა, რამაც XIX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე უდიდესი აქტუალობა შეიძინა, როგორც ზოგადად ეკოლოგიაზე, ისე კონკრეტულად ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვის განხრით. დღეისათვის „მწვანე“ ფილოსოფიამ მსოფლიო მასშტაბები შეიძინა; საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვა ბევრი ქვეყნის მთავრობისათვის პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა.

*საკანძო სიტყვები: მწვანე ეკონომიკა, ეკოპროდუქცია, ბიოპროდუქცია, „ეკო“, „ბიო“, ორგანიკ, IFOAM, „Slow Food“.*

დაახლოებით 20-25 წლის წინ დაწყებულმა მრეწველობის უსწრაფესი ტემპებით ზრდის პროცესმა საგრძნობლად შეცვალა კლიმატი დედამიწაზე. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ წყლისა და მიწის რესურსები ჭუჭყიანდება და ილევა; მცენარეთა და ცხოველთა მრავალი სახეობა გადაშენდა, მრავალიც გადაშენების პირასაა; სამრეწველო ნარჩენებით გარემოს დაბინძურებით გამოწვეული დაავადებების გამრავლება და გახშირება კატასტროფულ ტემპებს იძენს. ეს ყველაფერი პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნებს, რომ მეურნეობის არსებულმა ფორმამ კაცობრიობისა და პლანეტის ურთიერთდამოკიდებულება კრიზისამდე მიიყვანა. გასაგებია, რომ ბუნებრივი ბიოლოგიური გარემო განსაზღვრული რაოდენობისაა და აღრე თუ გვიან ამოიწურება. ეს კი აუცილებლად გახდება მუდმივად მზარდი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მისი ღარიბი ნაწილის, შიმშილის, ავადმყოფობის და განადგურების მიზეზი, რადგანაც მცირე რაოდენობის ბუნებრივი რესურსები მცირერიცხოვანი მდიდრების ხელში მოხვდება, ეს კი გარდაუვალი სოციალური კრიზისის საფუძველია. სწორედ ამ პრობლემის ფონზე აქტუალური ხდება ე.წ. „მწვანე ეკონომიკა“. ეს ტერმინი ბოლო წლებში გახდა მეტად პოპულარული, პირველად კი იგი გაჟღერდა 1972 წელს სტოკჰოლმში გაეროს კონფერენციაზე, ხოლო 1980 წელს გამოყენებულ იქნა მსოფლიო კონსერვაციის სტრატეგიის ანგარიშში - „რესურსების კონსერვაცია მდგრადი განვითარებისთვის“ რომელიც ერთობლივად განახორციელეს ისეთმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორცაა IUCN (International Union for Conservation of Nature), WWF (World Wildlife Fund) და UNDP (United Nations Development Programme). ეს ტერმინი უპირისპირდება ტერმინს - „ყავისფერი ეკონომიკა“, რაც ნიშნავს ძირითად წიაღისეულის მაქსიმალურად გამოყენებაზე დაფუძნებულ ეკონომიკას. მოგვიანებით გაეროს მიერ შემუშავებულ გარემოს დაცვის პროგრამაში (UNEP) მწვანე ეკონომიკა განსაზღვრულია როგორც მოსახლეობის კეთილდღეობის და სოციალური თანასწორობის ზრდის ინსტრუმენტი, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე არასასიკეთო გავლენას და ეკოლოგიური დეგრადაციის რისკებს, ინარჩუნებს რა გარემოს და ეკოლოგიას, მომავალ თაობებს უჩენს შანსს იცხოვრონ ჯანმრთელი გარემოს, მრავალფეროვანი ფლორისა და ფაუნის პირობებში, ე.ი. აუცილებლად და უპირობოდ ითვალისწინებს მომავალი თაობების ინტერესებს, რაც მეტად მნიშვნელოვანია.

ეკონომიკურ ლიტერატურაში „მწვანე ეკონომიკის“ სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას შეიძლება შევხვდეთ, მაგრამ ყველა მათგანში ხაზგასმულია, რომ იგი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ეკონომიკის დამოუკიდებელი კომპონენტი: ეკოლოგია, გარემოს დაცვა, სოციალური პოლიტიკა, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა უნდა განიხილებოდეს როგორც რთული, მაგრამ ერთიანი ორგანიზმის შემადგენელი ნაწილები. მისი ძირითადი პრინციპებია:

- სამართლიანობა და ობიექტურობა, როგორც ერთი თაობის ფარგლებში, ისე თაობათა შორის;
- მდგრადი განვითარების პრინციპებებთან თანხვედრა;
- პრევენციული მიდგომა სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მიმართ;
- „მწვანე“ სამუშაო ადგილების შექმნა, სიღარიბის აღმოფხვრა, კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს გაეროს გლობალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოებს რეკომენდაცია გაეწიათ მოეხდინათ ეკონომიკური ტრანსფორმაცია მწვანე ეკონომიკისაკენ, რისთვისაც შეიქმნა ეკონომიკური სტიმულირების პაკეტი, რაც რამდენიმე კომპონენტს ითვალისწინებს: განახლებად ენერგიაზე გადასვლა; სატრანსპორტო საშუალებების წარმოების გაზრდა; მდგრადი სოფლის მეურნეობის, ორგანული სასოფლო წარმოების მხარდაჭერა; ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. სწორედ ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით სამაგალითოა „მწვანე ეკონომიკის“ განხორციელების წარმატებული მაგალითები ზოგიერთ (განსაკუთრებით განვითარებად) ქვეყნაში:

- ჩინეთში წარმატებულად ხორციელდება განახლებადი ენერჯის წყაროების მოძიება და ამ სფეროში მნიშვნელოვანი მოცულობის ინვესტიციების განხორციელება

გეგმის თანახმად, ჩინეთის მთავრობა იმედოვნებს, რომ ქვეყანა 2020 წლისათვის ძირითადი ენერჯის დაახლოებით 16%-ს სწორედ რომ განახლებადი წყაროებიდან აწარმოებს.

- უგანდაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სოფლის მეურნეობის წარმოების ორგანული ფერმერული მეურნეობით ჩანაცვლების მიზნით, რაც ძალზედ მომგებიანია როგორც ქვეყნის ეკონომიკისათვის, ასევე საზოგადოებისა და გარემოსათვის. დასახულ ღონისძიებათა თანახმად, ორგანული სოფლის მეურნეობა მოკლე დროში წარმოების მართვის ისეთი სისტემად უნდა იქცეს, რომელიც უზრუნველყოფს და გაზრდის ეკოსისტემის სიჯანსაღეს, მის ბიომრავალფეროვნებას და ბიოლოგიურ აქტიურობას; ის უარყოფს სინთეტიკური მასალების გამოყენებას, როგორცაა შხამ-ქიმიკატები, პესტიციდები და სინთეტიკური სასუქები. უნდა ითქვას, რომ უგანდა ყველაზე მცირე რაოდენობის სასუქს მოიხმარს მსოფლიოში.

- ინდოეთის ურბანული განვითარების სამინისტროს მიერ ხორციელდება სპეციალური პროგრამა, რომელიც გამიზნულია ეკოლოგიურად სუფთა ინფრასტრუქტურის შექმნასა და გაუმჯობესებაზე.

- ნეპალის ტერიტორიის დაახლოებით 40%-ს ტყეები მოიცავს. ამიტომ ქვეყანაში შექმნილია სატყეო მეურნეობის სპეციალური ჯგუფი, რომელიც მართავს და ამიტომ თვალყურს ადევნებს სატყეო რესურსებს, როგორც ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ სიმდიდრეს.

- ქვეყნის დამოკიდებულება გაზსა და ნავთობზე რომ შემცირებულიყო, ტუნისის მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა განახლებადი ენერჯის (განსაკუთრებით მზის ენერჯის) გამოყენების განსავითარებლად. შეიქმნა ენერჯის მართვის ეროვნული ფონდი, რომლის მთავარ მიზანს განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების შემუშავება და ეფექტურობის გაზრდა წარმოადგენს.

- ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კუბას შორის არსებული ემბარგოს შედეგად კუბაში წარმოიქმნა პესტიციდებისა და სასუქების ნაკლებობა. ამიტომაც მეურნეობები თავად ზრუნავენ საკუთარ პროდუქციაზე, იყენებენ რა ბევრად უფრო "მწვანე" სასუქებს, ვიდრე ეს ხდებოდა აღნიშნული ემბარგოს შემოდებამდე.

მრავალი სპეციალისტის აზრით, მწვანე ეკონომიკა ექვს მთავარ სექტორს მოიცავს:

1. განახლებადი ენერჯია (მზის, ქარის, გეოთერმული, საზღვაო, მათ შორის ტალღების, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერჯია); 2. მწვანე შენობები (ენერჯის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე სამშენებლო მასალები); 3. სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჰიბრიდული და ელექტრო სატრანსპორტო საშუალებები); 4. წყლის მენეჯმენტი (წყლის და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება); 5. ნარჩენების მენეჯმენტი (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენი მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა); 6. მიწის მენეჯმენტი (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება).

ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ყურადღება დაგვეთმო აღნიშნული საჭირობო პრობლემის ისეთი მნიშვნელოვანი სექტორისათვის, როგორცაა ეკოლოგიურად სუფთა ანუ მწვანე პროდუქციის წარმოება.

XIX საუკუნეში, ინდუსტრიული რევოლუციის მიმდინარეობის პროცესში, აგროქიმიის განვითარებასთან ერთად, გაჩნდა ნიადაგის განოციერების და მავნებლებთან ბრძოლის უამრავი ეფექტური მეთოდი. ჯერ ეს იყო სუპერფოსფატები, შემდეგ ამიაკის შემცველები, რომლებიც იყო იაფი და თანაც ეფექტური. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ისინი მართლაც უხვ მოსავალს იძლეოდა. თუმცა თანდათან თვალნათლივ გამოჩნდა ამ მეთოდების ეკოლოგიური შედეგები: ნიადაგის ეროზია, მისი დანაგვიანება მძიმე მეტალებით, ნიადაგის და წყლების დამლაშება და სხვ. როგორც პასუხი ყოველივე ამაზე, საერთოდ სინთეტიკური სასუქების და ინსექტიციდების გადამეტებულ გამოყენებაზე 1940 წლიდან ევროპასა და ამერიკაში დაიწყო ორგანული სოფლის მეურნეობის, როგორც დამოუკიდებელი მიმდინარეობის აქტიური განვითარება.

1940 წელს ბრიტანელმა მეცნიერ-ბოტანიკოსმა ალბერტ გოვარდმა, რომელიც ითვლება ორგანული სოფლის მეურნეობის დამფუძნებლად, წამოაყენა ნიადაგის განოციერების წინადადება მცენარეული ნარჩენების და ნაკელის კომპოსტების გამოყენებით. 1972 წელს შეიქმნა ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფედერაცია



(IFOAM), რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს მთელ მსოფლიოში ორგანული სოფლის მეურნეობის დამკვიდრების ინფორმაციის გავრცელება.

1990 წლისათვის „მწვანე“ მოძრაობამ და „მწვანე“ ფილოსოფიამ უკვე მსოფლიო მასშტაბი შეიძინა. გარემოს დაცვა და საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება ბევრი ქვეყნის მთავრობისათვის პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. ჯანსაღი ცხოვრების თითქმის 50% სწორედ ჯანსაღ კვებაზე დამოკიდებული. ჯანსაღი კვება კი ნიშნავს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით კვებას. ეკოპროდუქტები - ისეთი პროდუქტებია, რომლებიც მოყვანილია სუფთა მიწაზე, ქიმიური სასუქების გამოყენების, გენმოდირებული ინგრედიენტების, ხელოვნური და საგემოვნო დანამატების, კონსერვანტების, საღებავების და სხვა მინარევების და გადამუშავებულია მანე ტექნოლოგიური ზემოქმედების გარეშე. ეს პროდუქტები შეიცავს უფრო მეტ სასარგებლო მინარევებს, ვიტამინებს, მიკროელემენტებს, რაც, საბოლოო ანგარიშით, დადებითად ზემოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ეკოპროდუქტების მარკირებისათვის სხვადასხვა ქვეყნებში გამოიყენება სხვადასხვა ტერმინები - „ეკო“, „ბიო“ ან „ორგანიკ“-ი. ეს აღნიშვნები მომხმარებელს აუწყებს, რომ პროდუქტი მიღებულია ნატურალური წესით, ქიმიური რეაგენტების გამოყენების გარეშე, ეკოლოგიურად სუფთა ადგილზე, სადაც 500 კმ რადიუსით არ არის არანაირი ქიმიური ან სხვა ეკოლოგიურად მანე წარმოება. მართალია, მათი ფასი დაახლოებით 3-5-ჯერ მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი კვების პროდუქტებისა, მაგრამ მათი გამოყენება, საბოლოო ანგარიშით, ემსახურება რა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, რა თქმა უნდა, უფრო მომგებიანია, სწორედ იმის გამო, რომ ამცირებს დანახარჯებს ჯანდაცვაზე.

დღეისათვის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებელი ტოპათეული მსოფლიოში ასე გამოიყურება:

**-IKEA-** ავეჯის საწარმოებლად იყენებს დიდი რაოდენობის ხის მასალას, მაგრამ ასევე დიდ ინვესტიციებს ხარჯავს ტყის აღდგენით პროგრამებზე.

**-Nike-** გიგანტი ფირმა ფესხაცმლის წარმოებაში, იყენებს მანე ნივთიერებების გამოყოფის ნორმების შემცირების უახლეს ტექნოლოგიებს, რის შედეგადაც ამ კომპანიამ შეძლო მათი 80%-ით შემცირება. სწორედ იკე ამზადებს ყველაზე „მწვანე“ ფეხბურთის ბუტსებს.

**-Johnson & Johnson-** ითვლება მსოფლიოში სოციალურად ყველაზე პასუხისმგებლიან ორგანიზაციად. მან საკუთარი წარმოების უდიდესი ნაწილი გადაიყვანა მზის ენერჯის გამოყენებაზე.

**-QMI Services-** კომპანია ქმნის და აწარმოებს დანადგარებს, რომლებიც სხვა კომპანიებს ენერგოდანახარჯების მინიმიზების საშუალებას აძლევს, რითაც ამცირებს ცუდ ზემოქმედებას გარემოზე.

**-Philips Electronics-** ხარჯავს მილიარდებს გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური პროექტების განსახორციელებლად.

**-Earth Tec-** ახორციელებს ნარჩენების გადამუშავებას და მეორადი მასალებით პროდუქციის წარმოებას.

**-Schott-** მინის მწარმოებელი კომპანია, რომელმაც პირველმა დანერგა მინაკერამიკული პანელების წარმოება მძიმე მეტალების დანამატების გამოყენებლად.

**-Dell-** 2008 წლიდან წარმატებით იყენებს ატმოსფეროში მანე ნივთიერებების გამოყოფის შემცირების პროგრამას და 2015 წლისათვის მათი რაოდენობა 40%-ით შემცირდა.

**-Tupperware-** კომპანია ახორციელებს მკაცრ ეკოლოგიურ კონტროლს თავის ყველა საწარმოში, ამით ამცირებს მანე ნივთიერებების გამოყოფას და ეფექტურად იყენებს ნარჩენებს.

**-IBM-** ამ გიგანტმა ბოლო პერიოდში ენერჯიაზე საკუთარი დანახარჯები 5.1 მლრდ კვტ/სთ-ით შეამცირა.

სპეციალისტების შეფასებით, მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება ინტერესი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მიმართ. მაგალითად, 2000 წლიდან (20 მლრდ აშშ დოლარი) 2012 წლისათვის მოთხოვნა ეკოპროდუქტებზე 3-ჯერ მეტად გაიზარდა (60 მლტდ აშშ დოლარი), ხოლო 2020 წლისათვის 200-250 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდება. ამ მხრივ ლიდერები არიან აშშ, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ახალი ზელანდია, შვეიცარია.

ერთ სულ მოსახლეზე ორგანული პროდუქციის მოხმარების მხრივ ევროპული ქვეყნები ლიდერობენ IFOAM – ის 2015 წლის მონაცემების მიხედვით ყველაზე მეტს - 221 ევროს ხარჯავენ შვეიცარიაში, 164 ევროს - ლუქსემბურგში, 162 ევროს - დანიაში, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი აშშ-ში 106 ევროს უდრის.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი ბიო მწარმოებელი მსოფლიოში ინდოეთს ყავს (2015 წელს - 585 200 ფერმერი), სადაც ბიო პროდუქტების წარმოება ხორციელდება 1,18 მილიონ ჰექტარზე, ხოლო FOAM-ის ფილალების რაოდენობის მიხედვით ინდოეთი მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს (73 ფილიალი).

სპეციალისტები თვლიან, რომ ორგანული პროდუქტების ბაზარი არის მსოფლიო ბაზრის ყველაზე სწრაფად მზარდი სეგმენტი. ბოლო 15 წლის განმავლობაში იგი 5-ჯერ გაიზარდა და 80 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. უმსხვილესი მათ შორის არის ამერიკული (36 მლრდ აშშ დოლარი წელიწადში), ევროპული ეკოპროდუქტების ბაზარი დღეს 20 მლრდ ევროდღა შეფასებული და ბოლო წლებში ყოველწლიურად მისი ზრდის მაჩვენებელი 20%-ს უტოლდება. აქედან უმსხვილესია გერმანული (10.5 მლრდ აშშ დოლარი), ფრანგული (6.8 მლრდ აშშ დოლარი) ბაზრები.

ასევე 15 წლის პერიოდში ევროპის ბევრ ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბიოპროდუქციის გაყიდვების მაჩვენებელი, რის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 1.

*ცხრილი 1*

**ორგანული პროდუქტების გაყიდვების ზრდა ევროპაში  
2000-2016 წლებში (მლნ ევრო)**

ქვეყანა	2000	2016	ზრდა
გერმანია	2050	9578	7528
იტალია	1050	2644	1594
საფრანგეთი	1000	6736	5736
დიდი ბრიტანეთი	970	2460	1490
შვეიცარია	509	2297	1788
დანია	375	1298	923
ნიდერლანდები	325	1070	745
ავსტრია	225	1540	1315
ესპანეთი	170	1685	1515

ცოტა ხნის წინ ევროპაში გაჩნდა და ფეხს იკიდებს ე.წ. მოძრაობა Slow Food (ნელი კვების ობიექტები), ე.წ. Fast Food (სწრაფი კვების ობიექტები) საპირისპიროდ. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პერმანენტული სარეკლამო კამპანია, რომლის ძირითადი ადრესატი მოზარდები და ახალგაზრდობაა. მაგალითად, ჩეხეთში მიმდინარეობს მასშტაბური სარეკლამო კამპანია, რომელიც მოუწოდებს ეკოპროდუქტების მოხმარებისაკენ და ფინანსდება ნაწილობრივ ევროკავშირის და ნაწილობრივ ჩეხეთის მიწათმოქმედთა სახელმწიფო ფონდის მიერ. ძირითადად იგი მიმართულია სკოლებში საგანმანათლებლო-საინფორმაციო კურსების შექმნისაკენ; ამდგვარი სწავლებისაკენ მიმართულია ასევე მოძრაობა ბრიტანეთში: Food for Life, რომელიც დამატებით ორგანიზებას უკეთებს კულინარიულ კურსებს, სადაც შეასწავლიან ბიოპროდუქტების მომზადება-მოხმარებას; იტალიაში ბევრ სკოლაში გამოიყენება მხოლოდ ბიოსადილები და სხვ. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ჯერ კიდევ ზღვაში წვეთია. მსოფლიოში ჯერ კიდევ არ არსებობს და ალბათ არც უახლოეს პერიოდში გამოინახება სასურსათო უზრუნველყოფის გლობალური პრობლემის გადაწყვეტის უნივერსალური მოდელი. ჩვენი აზრით, ამ პრობლემის სიმძიმე დღესაც და მომავალშიც, ეროვნულ დონეზე იქნება გადასაწყვეტი. ამიტომ ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც პრეტენზია აქვს ჰქონდეს წარმატებული ეკონომიკა, აუცილებლად უნდა ზრუნავდეს რაც შეიძლება მაღე შექმნას ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოების ეროვნული მოდელი, რომლის საფუძველი იქნება შესაბამისი განათლება, ანუ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბიოაგრორული განათლების გაძლიერებულ სწავლებას შესაბამის უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებში; ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლება უნდა მოხდეს უშუალოდ ბიოფერმერულ მეურნეობებში, ასევე მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე პროფესიონალი ადგილობ-

რივი და უცხოელი სპეციალისტების მიერ. იგი ჰარმონიაში უნდა იქნეს მოყვანილი საერთაშორისო ნორმატიულ ბაზასთან იმდაგვარად, რომ უპირველესად დაცული იყოს სახელმწიფოს ინტერესები, ხოლო ძირითადი გათვლები გაკეთდეს არა მხოლოდ ექსპორტზე, არამედ მოსახლეობის ჯანსაღ კვებას, ჯანმრთელობასა და გამრავლებაზე.

ყოველივე ამის გაკეთება კი ნებისმიერ ქვეყანაში მხოლოდ სახელმწიფოს ხელეწიფება. სწორად ჩამოყალიბებული სახელმწიფო პოლიტიკა, როგორც მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, ასევე ჩვენს მიერ განხილული საჭირობოროტო პრობლემის წარმატებით გადაწყვეტის საწინდარია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., წრიული ეკონომიკა: არსი და თანამედროვე გამოწვევები, ჟ. „ეკონომისტი №1, 2019, ტ. XV, გვ. 20.
2. აბესაძე რ., ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2014, გვ. 60.
3. <https://galoport.ru/poleznoe/novosti/rynok-yekoproductov/ТЕНДЕНЦИИ РАЗВИТИЯ РЫНКА ЭКОПРОДУКТОВ, 03 июля, 2017, ст. 99.>
4. <https://vivaеurope.ru/toeurope/pereesd-v-germanij/nachrichten-deutschland/bio>
5. Евросоюз вводит новые правила для Биопродуктов Автор:Наталья Глухова
6. <http://xn--80aplem.xn--p1ai/analytics/Mirovoj-rynok-organiceskih-produktov-pitania/28> Ноябрь 2016 Мировой рынок органических продуктов питания
7. <https://vikidalka.ru/1-220800.html> Распространение Биопродуктов В Мире
8. <https://tass.ru/ekonomika/419038419> АПР 2017, 12:13 Есть чисто: как развивается рынок экопродуктов
9. <http://netgazeti.ge/business/21036/> ბიოპროდუქტია - გამოწვევა ქართული ეკონომიკისათვის.
10. <https://mplast.by/novosti/2015-01-30-10-5/> Топ-10 экологически чистых производителей.
11. Экопродукты: мировые стандарты качества и перспективы... RealProducts.ru>ekoproducty-mirovye-standarty.

*Medea Melashvili  
Ketevan Kveladze  
Nunu Kistauri*

### ECOLOGICALLY CLEAN PRODUCTION – THE MOST IMPORTANT SEGMENT OF "GREEN" ECONOMY Summary

The work is dedicated to the relevance and significance of the "green" economy in current conditions when humanity is rapidly turning to ecological catastrophe; Successful examples of the developer's important aspects of economics, as well as recent "green" development in the world (especially in developing countries). The paper deals with the ecologically pure production of the product, which has gained considerable importance since the beginning of the XIX century, in general for ecology, and in particular for people's health care. Nowadays, "green" philosophy has acquired world-wide health care for its citizens as a priority for many governments.

*მაკა სოსანიძე  
ლეილა მამულაშვილი*

**აღტერნატიული ენერგეტიკის განვითარების  
პერსპექტივები საქართველოში**

*ანოტაცია. ნაშრომში ნახვენებია მწვანე ეკონომიკისა და მისი ერთ-ერთი სექტორის - მწვანე აღტერნატიული ენერგეტიკის მნიშვნელობა და სახეები. განხილულია საქართველოში არსებული აღტერნატიული (განახლებადი) ენერჯის წყაროები, მათი პოტენციალი და განვითარების პერსპექტივები.*

*საკვანძო სიტყვები: მწვანე ეკონომიკა, განახლებადი ენერჯია, მზის ენერჯია, ბიოენერჯია.*

## შესავალი

მწვანე ეკონომიკა ადამიანების კეთილდღეობისა და სოციალური თანასწორობის მთავარი შედეგია, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემო რისკებს და ეკოლოგიურ დანაკარგებს. მწვანე ეკონომიკა ეკონომიკური განვითარების ის მოდელია, რომელიც მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე დაფუძნებული. ის ეკონომიკის სხვა დარგებისგან იმით განსხვავდება, რომ პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც ეკონომიკური ღირებულება აქვს. მწვანე ეკონომიკა ქმნის მწვანე სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს რეალურ, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ამცირებს გარემოს დაბინძურებას, კლიმატის ცვლილებას, გარემოს დეგრადაციას, რესურსების გამოლევის საშიშროებას. ის სტიმულს აძლევს ბიზნესს, აწარმოოს მწვანე პროდუქტი და მომსახურება.

მწვანე ეკონომიკა ექვს მთავარ სექტორს მოიცავს. ესენია:

1. განახლებადი ენერჯია (მზის, ქარის, გეოთერმული, ზღვის, მათ შორის - ტალღებისა და მიქცევა-მოქცევის, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერჯია);
2. მწვანე შენობები (ენერჯიის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები);
3. სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, პიბრიდული და ელექტროსატრანსპორტო საშუალებები);
4. წყლის მენეჯმენტი (წყლისა და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება);
5. ნარჩენების მენეჯმენტი (ნარჩენების მართვა, უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენი მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა);
6. მიწის მენეჯმენტი (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება).

აღსანიშნავია, რომ გასულ საუკუნეში ენერგორესურსების არარაციონალურმა ხარჯვამ სერიოზული ეკოლოგიური პრობლემები შექმნა. ყოველივე ეს კაცობრიობას და სათბობ-ეკონომიკური კომპლექსის განვითარებას ახალ, რადიკალურად განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს. ამიტომ XXI საუკუნეში მსოფლიო ენერგეტიკის განვითარება არაგანახლებადი ორგანული რესურსების გამოყენებიდან თანდათან არატრადიციული, განახლებადი და პრაქტიკულად ულვეი ალტერნატიული ენერგეტიკის გამოყენებაზე გადადის.

ალტერნატიული ენერჯიეტიკა – ესაა ენერჯიის მიღების განახლებადი წყაროების ერთობლიობა. ეს წყაროები ადამიანებისათვის საუკუნეების მანძილზე იყო ცნობილი. მათ მიეკუთვნებოდა წყლის ტურბინები და ქარის წისკვილები. მათი რაოდენობა ქვეყანაში წარმოადგენდა ამ ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ერთ-ერთ პირობას. დღეისათვის ალტერნატიული (განახლებადი) წყაროების სახეები გაიზარდა. მათ შორის გამოყოფენ: ქარის და მზის ენერჯია, გეოთერმული ელექტროსადგურები, ბიოენერჯია.

განახლებადი წყაროების გამოყენების მიხედვით ლიდერობენ შემდეგი ქვეყნები: ისლანდია, დანია, პორტუგალია, ესპანეთი, ახალი ზელანდია. ქარის ენერჯიის გამოყენების მხრივ კი გამოირჩევიან ჩინეთი, აშშ და გერმანია.

მზის ენერჯიის გამოყენება პირველად გასული საუკუნის 80-იან წლებში სცადეს. დედამიწა 500-ჯერ მეტ ენერჯიას იღებს მზისგან, ვიდრე მთელი მსოფლიოს ენერგოსისტემებში გამოიყენება. მზის ელექტროენერჯიისა და სითბოს ძირითადი უპირატესობებია: იმპორტირებულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირება, ენერგომომარაგების ნაირსახეობის გაუმჯობესება, დეფიციტური ბუნებრივი რესურსების დაზოგვა, CO<sub>2</sub>-ის გამოყოფის შემცირება ძალზე დაბალი ხარჯის საფუძველზე, დაბინძურების შემცირება, ენერჯიის ულვეი და მყისიერი წყაროს არსებობა, ასევე - ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და ეკონომიკის სტიმულირება. მარტივი გათვლები ადასტურებს რომ, თუ აშენდა 140-150 კვ. კმ ფართობის ჰელიოსადგური, მიღებული ელექტროენერჯია მთლიანად დააკმაყოფილებს ელექტროენერჯიაზე საქართველოს მოთხოვნას. გასული საუკუნის მიწურულს საქართ-

ველოში ფართოდ გავრცელდა მზის ენერჯიაზე მომუშავე თბომომარაგების სისტემები. 2016 წლის 30 ივლისს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის“ ტერიტორიაზე იაპონური მხარის დახმარებით შექმნილი მზის ელექტროენერჯიის გამოიმუშავების სისტემა ამუშავდა. გამოიმუშავებული ელექტროენერჯია აეროპორტის ტერმინალების განათებას ხმარდება. აღსანიშნავია ისიც, რომ სულ ცოტა ხნის წინ ქუთაისში გერმანული კომპანიის „აისოლარის“ ინვესტიციით მზის პანელების მწარმოებელი ქარხანა გაიხსნა.

ქარის ენერჯიას მექანიკური ენერჯიის მისაღებად კაცობრიობა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყენებდა. მსოფლიო ეკონომიკურად ეფექტური ქარის პოტენციალი 72000 გვტ-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება თანამედროვე მოთხოვნებს. ქარის ენერჯიის დადებითი მხარეებია: არის ენერჯიის განახლებადი წყარო; არ აბინძურებს გარემოს სათბური აირებით; ამცირებს იმპორტირებულ ორგანულ სათბობზე დამოკიდებულებას; ამაღლებს ენერგოუსაფრთხოების დონეს; იაფია (უკუგების პერიოდის შემდეგ); ქმნის კონკურენციას ენერგოპროდუქტებზე. თუმცა ქარის ენერჯიას უარყოფითი მხარეებიც აქვს: ქეს-ი მოითხოვს დიდ ფართობს, საფრთხეს უქმნის გადამფრენ ფრინველებს, გამოსცემს ვიბრაციას და ხმაურს.

ქარის ენერჯეტიკას აქვს ყველაზე კონკურენტუნარიანი ენერჯეტიკული ტექნოლოგია. მეცნიერთა შეფასებით, ქარის ელექტროსადგურების წილი მსოფლიო ენერჯეტიკაში 2025 წლისთვის 10%-ს მიაღწევს. 2016 წელს გორის მუნიციპალიტეტში, მთა საბუეთზე დაიდგა ქარის 6 ტურბინა, ფრთების დიამეტრი- 117 მეტრი, თითოეული სიმძლავრით 3,45 მგვტ, ჯამში გვაქვს 20,7 მგვტ დადგმული სიმძლავრე, რომელიც წელიწადში 88 მლნ კვტ/სთ ენერჯიას გამოიმუშავებს.

გეოთერმული ელექტროსადგურები ფუნქციონირებს ისლანდიაში, იტალიაში, ესპანეთში, ახალ ზელანდიაში, რუსეთსა და იაპონიაში. ჩვენი ქვეყნის გეოთერმული წყლების 8% ქვეყნის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, თუმცა გეოთერმული ველები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოშიც გვხვდება. ქვეყნის მასშტაბით 44 საბადოში არსებული გეოთერმული წყლის რესურსები 206 ჰისა და ოთხი წყაროს საშუალებით გამოედინება. მათი ტემპერატურა 30-დან 110 გრადუს ცელსიუსამდეა. ამჟამად საქართველოში გეოთერმულ ენერჯიას იყენებენ პირდაპირი გათბობისთვის, სათევზე გუბურის, სამრეწველო აპლიკაციებისა და სათბურების გასათბობად.

განახლებად (ალტერნატიულ) წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს ბიოენერჯეტიკა, რომელიც ენერჯიას იღებს ორგანული სუბსტანციიდან. ბიოენერჯიის მიღება შეიძლება ტემპერატურის, წნევისა და მოცულობის მუდმივობის პირობებში. მომგებიანი გეოგრაფიული მდებარეობის, ტყეებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი კლიმატის წყალობით საქართველოს აქვს ბიომასური ენერგოსადგურების შექმნის უდიდესი პოტენციალი, განსაკუთრებით - გათბობისა და ცხელი წყლის მისაღებად. ბიომასა სოფლად ენერგომომარაგების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ მიიჩნევა და ძალზე პერსპექტიულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნის მთელი ტერიტორიის 40% ტყეებითაა დაფარული.

ბიომასის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ნარჩენები. თბილისის და ქუთაისის მუნიციპალური ორგანოების მონაცემების მიხედვით ნაგავსაყრელებზე ყოველწლიურად გროვდება დაახლოებით 900 ათასი ტონა ნარჩენები. მათი გადამუშავებით შესაძლებელია 90 მლნ მ<sup>3</sup> ბიოგაზის მიღება, რაც 64 მლნ მ<sup>3</sup> ბუნებრივი გაზის ეკვივალენტურია. ქ. თბილისის კანალიზაციის წყლის გამწმენდი მოწყობილობებიდან შესაძლებელია ყოველწლიურად 160 მლნ მ<sup>3</sup> ბიოგაზის მიღება, რაც 1 მლრდ კვტსთვის ელექტროენერჯიის ეკვივალენტურია.

როგორც არსებული ტენდენციები გვიჩვენებს, მსოფლიოს არაერთი ქვეყანა აქტიურად ნერგავს მწვანე ეკონომიკას, რადგან ის 21-ე საუკუნის ბიზნესშესაძლებლობაა. ვინაიდან მსოფლიოს მოსახლეობა მუდმივად იზრდება, ხოლო ბუნებრივი რესურსების მოცულობა იგივე რჩება და, უფრო მეტიც, მცირდება კიდევ, დღეს მწვანე ეკონომიკის განხორციელება იმდენად აქტუალურია, როგორც არასდროს.

საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების აზრით, ტრადიციულ ენერჯეტიკაში საქართველოსთვის აუცილებელია ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებების განვითარება, როგორცაა ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯეტიკა. საქართველოს მთავრობამ 2014 წელს მიიღო საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“. სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინოვაციისა

და ტექნოლოგიური ღონის განვითარების პოლიტიკას მწვანე ეკონომიკაში. სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობა წახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რომელთა მთავარი ამოცანა მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვა, განსაკუთრებით, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა და მწვანე ეკონომიკის განვითარება იქნება.

მწვანე ზრდის ძირითადი იდეის განხორციელება ხელს შეუწყობს სიღარიბესა და უმუშევრობასთან ბრძოლას, საერთო რესურსების დაცვას. საქართველოს მრავალფეროვანი რესურსების პირობებში მწვანე ეკონომიკა უნდა განვითარდეს ქარის, მზის, ბიომასის და გეოთერმული ენერჯის ათვისების ხარჯზე, რაც გარემოს სიჯანსაღის აუცილებელი პირობაა. ეს კი მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი გახდება საქართველოს ეკონომიკური მდგრადობისთვის.

ამჟამად საქართველოში არ არსებობს განახლებადი ენერჯის წყაროების ბაზრის განვითარების სწრაფი სტიმულირების პროგრამები ან სათანადოდ დამუშავებული სტრატეგია. საქართველოში განახლებადი ენერჯის წყაროების სათანადო ათვისებაში სახელმწიფოს როლს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020.
2. კირვალიძე ნ., ლომთაძე ზ. „მწვანე ბიზნესის მხარდაჭერის სტრატეგია საქართველოს კერძო ბიზნეს ორგანიზაციებისთვის“.
3. ენერჯის განახლებადი წყაროების პოტენციალი საქართველოში და მისი ათვისების ღონისძიებები. მომზადებულია ორგანიზაციის – “მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის”, მიერ კომპანია „Winrock International“-ის შეკვეთით, 2008.
4. კუბლაშვილი გ. „საქართველოს არატრადიციული ენერჯეტიკული რესურსები და მათი გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური გამოკვლევა“, 2016.
5. <http://www.economy.ge/?page=news&nw=163>
6. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამა [http://www.unep.org/pdf/GreenEconomy\\_SuccessStories.pdf](http://www.unep.org/pdf/GreenEconomy_SuccessStories.pdf)
7. <http://bfm.ge/ganakhlebadi-energiis-wyaroebi-saqartveloshi/>

*Maka Sosanidze  
Leila Mamulashvili*

### PROSPECTS FOR THE DEVELOPMENT OF ALTERNATIVE ENERGY IN GEORGIA

#### Summary

Irrational use of energy in the past century has created serious environmental problems. Therefore, in the 21st century, global energy development from the use of non-renewable organic resources is gradually moving to the use of non-traditional, renewable and practical alternative energy.

Renewable energy is an important sector of the green economy and is a combination of renewable energy sources. Renewable sources are: wind and solar energy, geothermal power plants, bioenergy.

According to international and local experts, in the traditional energy sector for Georgia, it is necessary to develop such important areas as energy efficiency and renewable energy sources.

Under the diverse resources of Georgia, the green economy should be developed at the expense of wind, solar, biomass and geothermal energy, which is a prerequisite for a healthy environment. This will be a significant step forward for the economic sustainability of Georgia.

The implementation of the basic idea of green growth will contribute to the fight against poverty and unemployment, the protection of general resources. Under the diverse resources of Georgia, the green economy should be developed at the expense of wind, solar, biomass and geothermal energy, which is a prerequisite for a healthy environment. This will be a significant step forward for the economic sustainability of Georgia.

Currently, there are no programs in Georgia to quickly stimulate the development of renewable energy sources or a properly developed strategy. The role and intervention of the state in the sustainable use of renewable energy in Georgia is crucial.

*Анель Садилбековна Усенова  
Магбат Уарысбекович Спанов  
Гульнара Каирбаевна Ахметжанова*

## **ОЦЕНКА ВЛИЯНИЯ КАЧЕСТВА ЧЕЛОВЕЧЕСКОГО КАПИТАЛА НА ПРОИЗВОДИТЕЛЬНОСТЬ ТРУДА ПРЕДПРИЯТИЙ ХИМИЧЕСКОЙ И НЕФТЕХИМИЧЕСКОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ РЕСПУБЛИКИ КАЗАХСТАН**

***Аннотация.** В статье рассмотрено оценка влияния качества человеческого капитала (ЧК) на производительность труда предприятий химической и нефтехимической отрасли Республики Казахстан (РК). В частности рассмотрены показатели фондовооруженности, показатели фондоотдачи, производительность труда, фондовооруженность. Также в статье показана основная проблема в части формирования человеческого капитала, это нехватка рабочих кадров. На данный момент отрасль испытывает неэффективное использование ОФ химической отрасли, экономическая отдача от роста ОФ очень низкая. За рассматриваемый период химическая промышленность превратилась в фондоемкое производство при низких значениях фондоотдачи. В свою очередь это отражается на общей рентабельности производства отрасли.*

*Таким образом, отрасль химической промышленности низкорентабельная и склонна к убыточности. В статье также предложено решение- создание цепочки взаимодействия между вузами, технопарком, химическими производствами и инвесторами. Все это улучшит качество ЧК в отрасли и поможет в улучшении отрасли в целом.*

***Ключевые слова:** человеческий капитал, квалифицированные кадры, химическая и нефтехимическая промышленность.*

### **Введение**

Человеческий капитал в широком смысле - это интенсивный производственный фактор дальнейшего формирования инновационной экономики. Который включает в себя уровень образования трудовых ресурсов, их знания, инструментарий умственного и управленческого труда, которые будут обеспечивать эффективное и рациональное формирование человека как производственного фактора [Мустафин А.Н., 2018:88].


Создание высокопроизводительных рабочих мест не означает рост производительности труда, поскольку многое здесь зависит от качества человеческого капитала. Работник, проработавший определенное время на морально устаревшем рабочем месте, перейдя на высокотехнологичное оборудование без соответствующего обучения, и подготовки не станет профессиональным работником. Для переобучения требуются усилия, как самого работника, так и государства, которое должно создавать учебные центры повышения квалификации [1].

Для успешного формирования предприятий в химической и нефтехимической промышленности должны быть подготовлены высокопрофессиональные кадры, которые в дальнейшем будут создавать высокопроизводительные рабочие места. Процесс создания высокопроизводительных рабочих мест предполагает заблаговременную подготовку специалистов соответствующего профиля и качества. При этом по умолчанию предполагается, что такие специалисты должны пользоваться повышенным спросом и получать соответствующую заработную плату. Однако рынок труда не рассматривает адекватно решение государства в отношении создания высокопроизводительных рабочих мест, и не должен недооценивать человеческий капитал высокотехнологичных кадров.

\* \* \*

Рассмотрим, как формируется сам человеческий капитал в Республике Казахстан.

Количество студентов за 2011-2018 годы колеблется, вначале в 2011 году было 629507 человек, в 2018 году 542458 человек. Разница составляет 87049 человек. Так же по всем областям анализируя данную таблицу можно увидеть, что происходит снижение численности студентов. На 10000 человек приходится 54 студента в 2018 году. Таким образом можно сказать, что наблюдается снижение количества студентов по всем регионам Казахстана.




**Рисунок 1-Количество колледжей с 1998-2018годы**

Составлено авторами согласно источника- [www.stat.gov.kz]

Количество колледжей выросло с 293 колледжей в 2000 году до 460 в 2008 году, а уже в 2018 году оно составило 769 колледжей. То есть почти в 2,6 раза выросло количество колледжей [2]. Снижение доли экономически активного населения (ЭАН) отмечается в 1991-2003 годы с 7,7 млн. до 7,6 млн.человек. С развитием рынка труда в стране снизилась безработица с 13,5 % до 5% в 2016 году. Это было связано с темпами восстановления приоритетных отраслей экономики страны (нефтехимия, строительство, транспорт, с/х, и другие отрасли) в 2000 году.

Анализируя ниже приведенный рисунок можно сказать, что количество учащихся в колледжах также значительно выросло по сравнению с 2000 годом, так в 2000 году было 168189 учащихся, уже в 2008 году стало 612760 человек, а в 2018 году понизилось до 489818 человек [2].




**Рисунок 2-Количество учащихся в колледжах с 2000 по 2018 годы в РК**

Составлено автором согласно источника- [www.stat.gov.kz]

Расходы государственного бюджета на ТиПо с 2001 по 2016 годы были практически неизменны и составили лишь 0,2-0,3% от ВВП. Это значительно ниже, чем в других странах. Для сравнения в Чешской Республике еще в 2003-2004гг. на ТиПо расходовали 0,97%, в Польше -0,56%, в Словакии-0,58% от ВВП.






**Рисунок 3-Расходы государственного бюджета на ТиПо с 2001 по 2016 гг.**

**Примечание:** составлено авторами согласно источника- [Национальный доклад о состоянии и развитии системы образования Республики Казахстан, 2017:293]

В 2015 году показатели приема обучающихся в организациях ТиПО снизилась на 7% и составил 163099 человек (2014г.-173888 человек). Из них на бюджетной основе принято 82237(50,4%). При этом в государственных колледжах принято 95317 человек, в частные 67782 человека [2].


В 2015г. подготовка кадров в системе ТиПО продолжена по 15 профилям образования Классификатора профессий и специалистов технического и профильного после среднего образования. Наибольшее количество студентов обучалась по специальностям «образование», «Медицина», «Фармацевтика» в сравнении с 2014г. данный показатель увеличился в 1,4 и 2,3 раза соответственно. Зафиксировано увеличение доли обучающихся по направлению «право» (+45 раз). Данный показатель также превышает в 1,8 раза подготовку квалифицированных рабочих кадров по направлению «Нефтегазовое и нефтехимическое производство» в 4 раза, «Металлургия и машиностроение».



**Рисунок 4-Доля обучающихся в системе ТиПО по специальностям, в % в сравнение с 191 годом и 2015 годом в РК**

**Примечание:** составлено автором согласно источника [Национальный доклад о состоянии и развитии системы образования Республики Казахстан, 2015:62]

По рабочим специальностям обучалось 98297 человек, что составляет 19,7% от общего контингента студентов ТиПо. Наибольшая их доля приходится на направления «Сервис, экономика и управление» (19,3%), транспорт (18,5%), производство, монтаж и эксплуатация и ремонт (16,1%). По таким востребованным для рынка труда рабочим специальностям как нефтегазовое и химическое производство и металлургия обучалось лишь 1,2% [Национальный доклад о состоянии и развитии системы образования Республики Казахстан, 2017].



**Рисунок 5-Контингент студентов Типо по направлениям подготовки в 2014г. и в 2015г. в РК**

**Примечание:** составлено автором согласно источника [Национальный доклад о состоянии и развитии системы образования Республики Казахстан, 2015:67]

Доля обучающихся в колледжах по направлению «сельское хозяйство, ветеринария, экология» составила только 6,7% (33578 человек). В т.ч. «Фермерское хозяйство» (12776 человек), «Агрономия» (1491 человек), Ветеринария (5478 человек), механизация сельского хозяйства (2002 человек). Профессиональное обучение осуществляется в 438 организациях образования. Всего обучением охвачено 48 615 человек (100, 9 % от плана), в том числе [Обучение и содействие в трудоустройстве]:

- профессиональной подготовкой - 37 622 человек;

(при этом продолжали обучение из Дорожной карты 2009 – 2010 годов – 9090 человек, из Программы занятости 2011 – 2012 годов – 24369 человек, новый прием – 4 163 человек)

- переподготовкой – 890 7 человек;

- повышением квалификации – 208 6 человек.

На 1 января 2014 года завершили обучение 23 425 человек, из которых 1 8 661 трудоустроено (79,7 %) [Обучение и содействие в трудоустройстве].


В сфере химической промышленности реализуются 23 проекта, потребность в кадрах составляет около 5225 человек (в 2015 году –180 человек, в 2016 году – 168 человек, в 2017 году – 2302 человек, в 2018 – 2456 чел., в 2019 году – 119 человек) [Обучение и содействие в трудоустройстве].

Главной потребностью отрасли в рабочих кадрах являются аппаратчики, инженеры, слесари разных специализаций, высококвалифицированные специалисты в области химической технологии неорганических веществ [Обучение и содействие в трудоустройстве]. В химической отрасли количество крупных и средних предприятий - 22, количество занятых в отрасли без учета нефтехимии порядка 14 тыс. человек. Основное количество задействованных рабочих приходится на крупные предприятия отрасли – ТОО «Казфосфат» - более 6 тыс. человек, АО «Актюбинский завод хромовых соединений» - около 2 тыс., ТОО «КазАзот» - более 1000 человек [Обучение и содействие в трудоустройстве].

В Казахстане на данный момент потребность в кадрах в химической промышленности обеспечивается выпуском студентов и выпуском обучающихся в колледжах, но в тоже время потребность в рабочих специальностях, не покрывает количества выпускаемых студентов колледжей.

Рассмотрим теперь, как данный человеческий капитал влияет непосредственно на саму химическую отрасль. То есть рассмотрим качественный аспект влияния ЧК на химическую промышленность. Для этого сравним такие показатели, как фондоотдача, фондоемкость, фондовооруженность и производительность труда.

На предприятиях химической отрасли отсутствует опережающая динамика роста производства продукции по сравнению с динамикой роста ОФ. Уменьшение показателя фондоотдачи и увеличение фондоемкости позволяет сделать предварительный вывод: На предприятиях химической отрасли отсутствует опережающая динамика роста производства продукции по сравнению с динамикой роста ОФ [Обзор химической промышленности РК,2017:9-10].




**Рисунок 6-Фондоотдача по первоначальной стоимости ОФ в химической промышленности, Фондоёмкость ОФ РК за 2004-2014 годы**

**Примечание:** составлено автором согласно источника-[ Обзор химической промышленности РК,2017:9-10]

Анализ фондовооруженности и производительности труда (рис.7) позволяет определить эффективность использования труда, как фактора производства в отрасли.

Так в 2004 году степень оснащённости труда работника химической промышленности составила 225 тыс. тенге на одного человека. Но если в 2004 году фондовооруженность составляла 225 тыс. тенге, то производительность труда составила 2,7 млн. тенге на одного человека [Обзор химической промышленности РК, 2017:9-10]. В 2007 году этот показатель вырос до 3,3 млн. тенге и продолжал увеличиваться вплоть до 2014 года, когда он составил 11,7 млн. тенге на одного работника. Наряду с ростом фондовооруженности растет и производительность труда. В 2008 году при фондовооруженности в 3,1 млн. на человека, производительность труда составила 7,4 млн. тенге, т.е. увеличение фондовооруженности в 14,2 раза дало рост производительности труда в 2,7 раза по сравнению с 2004 годом. В 2014 году на одного человека приходилось 11,7 млн. тенге ОФ, при этом производительность труда составила 16 млн. тенге. По сравнению с 2007 годом оснащенность ОФ на одного работника в отрасли увеличилась в 3,6 раза, а производительность выросла в 2,1 раза [Обзор химической промышленности РК, 2017:9-10].



**Рисунок 7-Фондовооруженность и производительность труда в химической промышленности РК за 2004-2014 годы**

**Примечание:** составлено автором согласно источника- [Обзор химической промышленности РК, 2017:9-10]

Рост производительности труда в химической промышленности происходит, с одной стороны, за счет сокращения списочной численности работников, задействованных на предприятиях отрасли, с другой стороны, за счет роста относительной оснащенности их труда, т.е. за счет их фондовооруженности, которая растет как за счет увеличения ОФ, так и за счет сокращения численности работников отрасли. Но сравнивая эти два показателя с низкими показателями фондоотдачи и высокими показателями фондоёмкости, становится очевидным неэффективное использование ОФ химической отрасли, экономическая отдача от роста ОФ очень низкая [Обзор химической промышленности РК, 2017:9-10].

За рассматриваемый период химическая промышленность превратилась в фондоемкое производство при низких значениях фондоотдачи. В свою очередь это отражается на общей рентабельности производства отрасли. Таким образом, отрасль химической промышленности низкорентабельная и склонна к убыточности. Так можно сказать, что качество ЧК в химической и нефтехимической промышленности не оказывает того должного влияния, которое могло бы оказывать.

Таким образом, проблема дисбаланса образовательного уровня работников и потребностей производства существуют. Качественный состав человеческого капитала, его образовательный уровень в большей мере оказывают свое воздействие на производительность труда. Решение данной проблемы может быть при создании многоуровневой системы образования, которая обеспечит цепочку между химическими компаниями, государством и учебными заведениями всех уровней.


Однако при реализации подобной модели существуют следующие проблемы:

- относительно невысокий спрос на НИОКР;
- инновационная инфраструктура-технопарки, кластеры не так развиты;
- дефицит квалифицированных рабочих кадров.

Для улучшения качества ЧК в химической и нефтехимической промышленности можно было бы предложить создание цепочки между производствами, вузами, технопарками в нефтехимическом кластере. Так ниже представленная схема помогла бы качественно улучшить ЧК и точно обеспечить потребность в кадрах регулируя как рынок труда- производства, так и рынок образования- вузы и соединяя технопарки вузы и производства в нефтехимическом кластере в единое целое.

### Заключение

Таким образом на данный момент в химической и нефтехимической отрасли существуют проблемы: низкая рентабельность отрасли, недостаток квалифицированных кадров, слабая взаимодействие между образовательным рынком труда и рынком образования. Но так же имеются и положительные тенденции это увеличение производств в химической и нефтехимической промышленности Казахстана. В статье предложено увеличение качества ЧК в химической и нефтехимической промышленности путем создания цепочки взаимодействия между вузами, технопарком, производствами химической и нефтехимической промышленности и инвесторами. Данная схема может значительно улучшить качество ЧК в химической и нефтехимической промышленности и сбалансировать рынок труда и рынок образовательных услуг в отрасли РК.



**Рисунок 8-Схема создания цепочки взаимодействия: вузы, технопарки, производства химической и нефтехимической промышленности РК, инвесторов.**

**Примечание:** предложено авторами

## Использованная литература

1. Мустафин А.Н., 2018, «Состояние и перспективы развития человеческого капитала инновационно-активных предприятий». Диссертация на соискание ученой степени к.э.н. по специальности 08.00.00. Казань, стр.88.
2. «Национальный доклад о состоянии и развитии системы образования Республики Казахстан», 2015, МОН РК, АО Информационно-аналитический центр. Астана, стр.1-480.
3. «Национальный доклад о состоянии и развитии системы образования Республики. 2015, Источник: [http://iac.kz/sites/default/files/nd-2016\\_po\\_itogam\\_2015\\_goda\\_kratkaya\\_versiya\\_rus.yaz.\\_iac\\_zashchita.pdf](http://iac.kz/sites/default/files/nd-2016_po_itogam_2015_goda_kratkaya_versiya_rus.yaz._iac_zashchita.pdf) Казахстан», МОН РК, АО Информационно-аналитический центр. Астана, стр.1-481.
4. «Обзор химической промышленности РК», RFCA RATINGS.стр.9-10. Источник: [rfcaratings.kz/wp-content/uploads/Obzor-himicheskoi-promyshlennosti-RK-.pdf](http://rfcaratings.kz/wp-content/uploads/Obzor-himicheskoi-promyshlennosti-RK-.pdf)
5. Обучение и содействие в трудоустройстве. Источник: <https://business.gov.kz/ru/business-support-programs/detail.php?ID=32650>
6. Потребность в кадрах в разрезе отраслевой промышленности. Источник: <http://comprom.miid.gov.kz/ru/pages/potrebnost-v-kadrah-v-razreze-otraslevoy-promyshlennosti>.

*Anel Sadilbekovna Usenova  
Magbat Aurisbekovich Spanov  
Gulnara Kairbaevna Akhmetzhanova*

### ASSESSMENT OF THE IMPACT OF QUALITY OF THE HUMAN CAPITAL ON LABOR PRODUCTIVITY OF THE ENTERPRISES OF THE CHEMICAL AND PETROCHEMICAL INDUSTRY OF THE REPUBLIC OF KAZAKHSTAN Summary

In the article it is considered assessment of the impact of quality of the human capital on labor productivity of the enterprises of the chemical and petrochemical industry of RK. In particular capital-labor ratio indicators, capital productivity indicators, labor productivity, a capital-labor ratio are considered. Also the main problem regarding formation of the human capital is shown in article; it is the shortage of personnel. At the moment the industry is tested by inefficient use of fixed assets of the chemical industry, economic return from growth of fixed assets very low. For the considered period chemical industry turned into capital productive production at low values of capital productivity. In turn it affects the general profitability of production of the industry.

Thus, the branch of chemical industry low-profitable is also inclined to unprofitability. In article also the offer the decision - creation of a chain of interaction between higher education institutions, science and technology park, chemical productions and investors. All this will improve quality of the human capital in the industry will also help with improvement of the industry in general.

**Keywords:** *human capital, qualified personnel, chemical and petrochemical industry.*

*ქეთევან ქველაძე  
მედეა მელაშვილი  
ნუნუ ქისტაური*

**ტურიზმის ეკოლოგიზაციის თანამედროვე ასპექტები  
„მწვანე ეკონომიკის“ პირობებში**

**ანოტაცია.** მსოფლიო ეკონომიკის მდგრადი განვითარების გზაზე გადასვლის პროცესში მწვანე ეკონომიკის სექტორების და კერძოდ, ტურიზმის ეკოლოგიზაცია უზრუნველყოფს მდგრადი ინფრასტრუქტურის, სამუშაო ადგილების შექმნის, საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბების და შემოსავლების მიღების შესაძლებლობებს. სტატიაში განხილულია ტურიზმის ეკოლოგიური – მწვანე განვითარების ის თანამედროვე ასპექტები, რომელიც სრულად ითვალისწინებს როგორც მიმდინარე და მომავალ ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ზეგავლენას, ასევე გლობალურ და ეროვნულ დონეზე მწვანე ტურიზმის განვითარების ფაქტორების ანალიზს, რომელიც განაპირობებს მწვანე ტურიზმის მაღალი სტანდარტების მიღწევას; აგრეთვე განხილულია ტურიზმის ეკოპრობლემების

სისტემები და სტრუქტურები, ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემის აქტუალობის, ეკოლოგიზაციის საერთაშორისო პროგრამების და სერტიფიცირების სისტემების, რესურს-დამზოგავი ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების ზოგადი ასპექტები.

საკვანძო სიტყვები: მწვანე ტურიზმი, ეკოლოგიზაცია, UNWTO, ტურისტული უსაფრთხოება, რესურსდამზოგავი ტურიზმი.

\* \* \*

დღეისათვის მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტს მსოფლიოს მდგრადი განვითარების გზაზე. „მწვანე ეკონომიკა“ - ეს არის ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეობათა სისტემა, რომლებიც დაკავშირებულია იმ საქონლისა და მომსახურებათა, წარმოებას, განაწილებასა და მოხმარებასთან, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობის ზრდას ხანგრძლივ პერსპექტივაში, ამასთან არ ქმნის ეკოლოგიურ რისკებს და ეკოლოგიურ დეფიციტს მომდევნო თაობების მომავლისათვის. მწვანე ეკონომიკას შეუძლია ხალხის კეთილდღეობის ზრდა სოციალური თანასწორობის და გარემოს გადარბობის და სხვა ეკოლოგიური რისკების მნიშვნელოვან შემცირებასთან პარალელურად. მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი განსაზღვრავს ეკონომიკის ისეთი წამყვანი სექტორის განვითარების ძირითად ტენდენციას, როგორცაა ტურიზმი – მსოფლიო მრეწველობის ერთ-ერთი დიდი სექტორი. 2017 წლისათვის მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) მონაცემებით, საერთაშორისო ტურისტულმა ჩამოსვლებმა 1.3 მლრდ-ს გადააჭარბა და წინა წლებთან შედარებით 6,8%-ით, ხოლო შემოსავლები 4,9%-ით გაიზარდა.

**საერთაშორისო ტურისტული მიმოსვლები  
რეგიონების მიხედვით**

	საერთაშორისო ტურისტული ჩამოსვლები (მლნ)							საბაზრო წილი (%)	ცვლილება (%)		საშუალო წლიური ზრდა (%)
	1995	2000	2005	2010	2015	2016	2017*	2017*	16/15	17*/16	2005-'17*
<b>მსოფლიო</b>	<b>531</b>	<b>680</b>	<b>809</b>	<b>952</b>	<b>1,195</b>	<b>1,239</b>	<b>1,323</b>	<b>100</b>	<b>3.8</b>	<b>6.8</b>	<b>4.2</b>
მოწინავე ეკონომიკები	342	430	469	515	655	686	726	55	4.8	5.9	3.7
განვითარებადი ეკონომიკები	189	250	339	437	540	554	597	45	2.5	7.8	4.8
<b>მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) რეგიონების მიხედვით</b>											
ევროპა	308.5	392.9	452.7	487.7	605.1	619.5	670.6	51	2.4	8.3	3.3
აზია და წყნარი ოკეანის ქვეყნები	82.0	110.4	154.1	208.2	284.1	306.0	323.1	24	7.7	5.6	6.4
ამერიკა	108.9	128.2	33.3	150.4	193.8	200.7	208.7	16	3.6	4.0	3.8
აფრიკა	18.7	26.2	34.8	50.4	53.6	57.7	62.7	5	7.8	8.6	5.0
შუა აღმოსავლეთი	12.7	22.4	33.7	55.4	58.1	55.6	58.1	4	-4.4	4.6	4.7

წყარო: UNWTO Tourism Highlights: 2018 Edition

ტურიზმის შემდგომი განვითარების პროცესში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიური მდგრადობა. ეკოლოგიურად პასუხისმგებელი ტურიზმი – მწვანე ეკონომიკის სექტორთა შორის ერთ-ერთი ახალია, რომელიც უზრუნველყოფს მდგრადი ინფრასტრუქტურის, საქმიანი ურთიერთობების, სამუშაო ადგილების, შემოსავლების მიღების შესაძლებლობას. გაეროს (UN) პროგრამა გარემოს შესახებ (UNEP) და მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაცია (UNWTO) თვლიან, რომ ტურიზმი მწვანე ეკონომიკის კონტექსტში ნიშნავს ტურისტულ საქმიანობას, რომელიც სრულად ითვალისწინებს მიმდინარე და მომავალ ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ზეგავლენას და ასევე ტურისტების, ინდუსტრიის და ადგილობრივი თემების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ტურიზმის ყველა სახეობა უნდა გახდეს „მწვანე“, კერძოდ:

1. ოპტიმალურად გამოიყენებოდეს გარემო რესურსები, რომლებიც წამყვანია ტურიზმის განვითარებისათვის, ხელი შეუწყოს წამყვანი ეკოლოგიური პროცესების, ბუნებრივი რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას;

2. პატივი სცეს ადგილობრივ სოციალურ-კულტურულ იდენტიფიკაციას, დაეხმაროს მათ მიერ კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნებას;

3. უზრუნველყოს ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიკური თანასწორობის გადანაწილებას ყველა ჩართულ მხარეს შორის, სტაბილურ დასაქმებას და შემოსავლების მიღებას.

ტურიზმის თვისება – შექმნას სამუშაო ადგილები, ასტიმულიროს ეკონომიკური ზრდა, დააგროვოს უცხოური ვალუტა, სრულყოფს ინფრასტრუქტურა და ხელი შეუწყოს გარემოს დაცვას – ამ დარგს გადააქცევს მომგებიან საშუალებად სიღარიბესთან ბრძოლისა და ადგილობრივი რეგიონების განვითარებისათვის.

სათანადო მართვის პირობებში ტურიზმის ეკოლოგიური განვითარება მოგებას მოუტანს არა მარტო მთლიანად ქვეყანის, არამედ მისი ცალკეული რეგიონის და ადგილობრივ ეკონომიკას. ჩატარებული კვლევების მიხედვით „მწვანე“ ტურიზმმა შეიძლება ადგილობრივ ეკონომიკას მოუტანოს მოგების 95%, ჩვეულებრივი კომპლექსური ტურებისაგან მიღებული 20%-იანი მოგებისაგან განსხვავებით.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორცაა: გაერო (UN), მსოფლიო ბანკი (The World Bank), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), გაეროს პროგრამა გარემოს დარგში (UNEP), მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაცია (UNWTO), ტურიზმი ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად არის მიჩნეული გლობალური ეკონომიკის იმ წამყვან 10 სექტორს შორის, რომლის მწვანე მოდერნიზაციას შეუძლია უზრუნველყოს გადასვლა ახალ ეკონომიკურ მოდელსა და მწვანე ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც ნიშნავს სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობის ერთობლიობას ტურისტული პროდუქტის წარმოების მიზნით; ის ეყრდნობა: სუფთა პროდუქტების შეგნებულ, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენებას, რომლებსაც მინიმუმამდე დაჰყავს გარემო ბუნებაში ნარჩენების შეტანა და ბუნებრივი კაპიტალის დეგრადაციის რისკები; უზრუნველყოფს ტრადიციების და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, დასაქმებას და მოსახლეობის სტაბილურ შემოსავლებს როგორც სადღეისოდ, ასევე მომავალში.

ტურიზმის ეკოლოგიურად უსაფრთხო მოდელზე გადასვლა არ ხდება ავტომატურად. იგი სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს, მათ შორის როგორც საერთოს ეკონომიკის ყველა დარგისთვის, ასევე სპეციფიკურს. მაგ., ტურისტული მოთხოვნა-მიწოდების ეკოლოგიზაციის საერთო ფაქტორებია: ეკოლოგიური უსაფრთხოების შემცირება, ეკოლოგიური კატასტროფის რისკების ზრდა, მოსახლეობის ეკოლოგიური კულტურის ზრდა და სხვ. სპეციფიკურია – რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად ორმაგი მოგების მიღების და დანახარჯების შემცირების შესაძლებლობა.

გლობალურ და ეროვნულ დონეზე მწვანე ეკონომიკის განვითარების ფაქტორების ანალიზისას, რომლებიც განაპირობებს მწვანე ტურიზმის მაღალი სტანდარტების მიღწევას, და გარანტიას იძლევა მისი მდგრადობისათვის, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემის აქტუალობის ზრდა მოსახლეობისათვის და სახელმწიფოს მისწრაფება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ, მათ შორის ენერგეტიკული, ეკოლოგიური, პროდუქტების უსაფრთხოება და კლიმატური ცვლილებების რისკების შემცირება, სასათბურე გაზების (პირველ რიგში ნახშირორჟანგის) ატმოსფეროში გამოყოფა, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების სწორი პოლიტიკა, წყლის ხარისხის დაცვა და შენარჩუნება, წყალმომარაგების სრულყოფა.

მწვანე ეკონომიკის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს კლიმატური ცვლილებები, რაც იწვევს საშიშ ბუნებრივ მოვლენებს და პროცესებს, ბუნებრივ კატასტროფებს. ტურიზმში კლიმატური ცვლილებები არა მარტო ზრდის ტურისტების უსაფრთხოების დანახარჯებს, არამედ შეაქვს მნიშვნელოვანი კორექტივები თვით ბიზნესის ფუნქციონირების პროცესში, მაგ., სეზონურობის დაცვა, უთოვლობა მთიან კურორტებზე და სხვ.

ტურიზმის ინდუსტრიას, უზრუნველყოფს რა მსოფლიო მშპ-ის თითქმის 10%-ს და სტაბილურად მოიხმარს ენერჯიას „ყავისფერი“ ეკონომიკის ფარგლებში, „გამწვანების“ შემთხვევაში შეუძლია მნიშვნელოვანი წილი იქონიოს არსებული მიზნების მიღწევაში. ტურიზმის განვითარება დაკავშირებულია ენერჯიის მოხმარების ზრდასთან, მსოფლიოში

კი არსებობს ენერჯის ალტერნატიული წყაროების ფართოდ გამოყენების დადებითი გამოცდილება. გასაგებია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს განსხვავებული მიდგომა არაეკონომიური ენერგომომხმარების შემცირების მხრივ. თუმცა საერთო ის არის, რომ მთელი რიგი განვითარებადი ეკონომიკებისათვის ეს პრობლემა მეტად აქტუალურია.

ტურისტული ინდუსტრია პასუხისმგებელია გარემოში **სასათბურე გაზების**, პირველ რიგში ნახშირორჟანგის გლობალური გამოყოფის დაახლოებით 5%-ზე. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ჩატარებული გლობალური კვლევების თანახმად, ეს მანვენებელი 2035 წლისათვის შეიძლება გაორმაგდეს. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია შემზღუდავი ღონისძიებების გატარება ენერჯის შენარჩუნების მიზნით. იყენებენ რა მწვანე ტექნოლოგიებს, ადგილობრივი ადმინისტრაციები იღებენ ორმაგ მოგებას: ეკოლოგიური მდგრადობა და სტაბილური შემოსავლები. მაგ., სლოვაკეთის პოპულარულ კურორტს – AquaCity resort, საერთაშორისო ორგანიზაცია World Travels Awards-ისაგან მიენიჭა წამყვანი მსოფლიო „მწვანე კურორტის“ წოდება, რადგანაც იყენებენ საშუალებებს, რომლებიც ხელს უშლის ყოველდღიურად დაახლოებით 27 ტ CO<sub>2</sub>-ის გამოყოფას ატმოსფეროში, იყენებენ რა წყლის გეოთერმულ და მზის ენერჯიას, რაც საშუალებას აძლევს კურორტს, ყოველწლიურად მილიონობით ევრო დაზოგოს<sup>65</sup>. კანადაში, ქ. ვანკუვერში ოტელი Fairmont Waterfront იყენებს სითბოს მეორადი გამოყენების სპეციალურ სისტემას. ეს ტექნოლოგია წელიწადში 305 ათ. კვტ/სთ ელექტროენერჯის ეკონომიის საშუალებას იძლევა.

სულ პატარა ცვლილებებსაც კი შეუძლია შესამჩნევი შედეგი გამოიღოს. მაგ., ტასმანიაში (ავსტრალია) ოტელებმა საბიუჯეტო სუბსიდიების დახმარებით შეამცირეს ენერჯის მოხმარება 1/3-ით უფრო სრულყოფილი იზოლაციის გამოყენების გამო. შედეგად, CO<sub>2</sub>-ის გამოყოფა 104 ტ-ით შემცირდა წელიწადში.

ზოგიერთი ტურისტული ადმინისტრაცია გადავიდა დესტინაციებზე მხოლოდ ჰიბრიდული ავტომობილებისა და ელექტრომობილების, ასევე ველოსიპედების გამოყენებაზე, ხოლო ელექტრომატარებლებისა და ჰიბრიდული ავტომობილების ექსპლუატაციაზე შედარებით შორეული მგზავრობისას. მაგ., პარიზის ადმინისტრაციამ რეალიზება გაუკეთა საველოსიპედო პროგრამას Vélib-2007, რომლის მიხედვითაც მსურველებს შეუძლიათ გაიყვანონ, უკან დააბრუნონ ან წინასწარ შეუკვეთონ ველოსიპედები ქალაქის 750 წერტილში. ქალაქში გაყვანილია 400 კმ-ზე მეტი საველოსიპედე ბილიკი. ისრაელში, ქრისტიანი მომლოცველებისათვის ნაზარეთიდან გალილეის ზღვამდე შექმნილია საველოსიპედე და ფეხით მოსიარულეთა ბილიკები. შვეიცარიაში განხორციელდა ახალი თაობის ველოსიპედების გაქირავებისა და გაყიდვების პროექტი, რომლებიც მოძრაობენ იონური აკუმულატორებით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია **ბიომრავალფეროვნების** შენარჩუნება, რასაც დიდ საფრთხეს უქმნიან ტურისტები, მაგ., ბოლო ათწლეულების განმავლობაში უკვალოდ გაქრა 35 მლნ კორალის რიფი (იაპონიის ღრმა წყლები). ამ მიზნით იუნესკომ მთელ მსოფლიოში თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა ზოგიერთი ტურისტული ობიექტი.

ტურისტული საქმიანობა არის ბუნების დამანაგვიანებელი ერთ-ერთი ფაქტორი. ამიტომ ბოლო წლებში ძალიან დიდი ყურადღება ექცევა **ტურისტული ნარჩენების გადაამუშავებას**. მაგ., 90-იან წლებში კრუიზის გემები კარიბის ზღვის სანაპირო წყლებს ანაგვიანებდნენ 70 ათ. ტ ნარჩენით, კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია ვენეცია. ამიტომ აუცილებელია განხორციელდეს კაპიტალის ინვესტირება ნარჩენების უტილიზაციის ადრეულ სტადიაზე და ნარჩენების გადამამუშავების თანამედროვე პროგრამები დასახული იყოს ეკოლოგიზაციის მიმართულებით. მაგ., ნარჩენების გადამამუშავების თანამედროვე მეთოდი, როგორცაა ნარჩენების ენერჯიად გადამამუშავება, ხელს შეუწყობს როგორც რეკრეაციული ადგილების რეპუტაციის გაზრდას, ასევე პოტენციური ინვესტორების მოზიდვას გარემოსდაცვითი მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის ახალი გზების ძიებას განაპირობებს სასიცოცხლოდ აუცილებელი ბუნებრივი რესურსის – წყლის გამწვავებული დეფიციტი, განსაკუთრებით **სასმელი წყლის**. კვლევების პროგნოზირებით წყლის დეფიციტი მსოფლიო მოსახლეობის 47%-თვის უკვე რეალობა გახდება 2030 წლისათვის. ამ პროცესში თავისი წვლილი ტურიზმსაც შეაქვს. ევროპაში წყლის წლიური მოხმარება 843 მლნ ლიტრით განისაზღვრება. თითოეული ტურისტი დღე-ღამეში დაახლოებით 300 ლ სუფთა სასმელ წყალს მოიხმარს,

<sup>65</sup> Ringbeck J. Destination: Green Tourism // <http://www.strategy-business.com/article/10304?pg=all>



ხოლო სხვა მიზნებისათვის კიდევ დაახლოებით 500 ლ-ს. მაგ., გოლფის მოედნები, აუზები, პარკები, სპაკურორტები და სხვ.

ეკოლოგიურად სუფთა ეკონომიკის სტიმულირების მაგალითს იძლევა სამხრეთ კორეა, რომელმაც მწვანე განვითარება ეროვნულ სტრატეგიად გამოაცხადა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის (OECD) მონაცემებით, სამხრეთ კორეაში ამ დარგში ინვესტიციები 9,3 მლრდ ევროს გაუტოლდა. მათ შეიმუშავეს ტრანსპორტის მწვანე სახეობები, სასმელი წყლის ალტერნატიული წყაროები, ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგიები. დიდ ბრიტანეთში – დევონის საგრაფოში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ რესპონდენტების 54% მოგზაურობის მარშრუტისა და დასვენების ადგილის არჩევისას ითვალისწინებს გარემოს დაცვის მდგომარეობას, 82% მზადაა გადაიხადოს უფრო მეტი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციისა და ეკოლოგიურად სუფთა ადგილებში მოგზაურობის დროს. ტურისტების ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით წამყვანი ტუროპერატორები, როგორცაა TUI (გერმანია) და Thomas Cook Group (დიდი ბრიტანეთი) ფართო გამოკითხვებს ატარებენ ეკოლოგიურად სუფთა მარშრუტების შესამუშავებლად, შესაბამისი კურორტების და ოტელების შესარჩევად. მთავარი ტურისტული ურნალები, მაგ., „National Geographic“ სწორედ ეკოლოგიური მდგომარეობის მაჩვენებელს იყენებენ ტურისტული ადგილის შეფასებისას.

მსოფლიოში ეკოტურიზმის ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა კენია. მწვანე ტურიზმი სწრაფად იზრდება ლათინურ ამერიკასა და სამხრეთ აფრიკაში.

ტურიზმის „სიმწვანის“ ხარისხი პირდაპირპროპორციულ კავშირშია ეკონომიკის „სიმწვანესთან“. ბუნებრივი რესურსების დეგრადაცია, ბუნების განადგურება, წყალსაცავების დაბინძურება, ლანდშაფტების დარღვევა, ბიომრავალფეროვნების შემცირება იწვევს ტურისტული ნაკადების შემცირებას და ზოგჯერ საერთოდ გაქრობას, ამის შედეგად კი ხდება ეკონომიკის კოლაფსი. ამ ფაქტორის დადებითი გადაწყვეტა შესაძლებელია ხელისუფლების, ტურისტული ბიზნესის (დომინირებს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებით), მოსახლეობის, განვითარების სხვადასხვა ინსტიტუტების, ინვესტორების შეთანხმებული მოქმედება ხანგრძლივი პრიორიტეტებისა და მწვანე ზრდის სტრატეგიის მიზნების დასახვის პროცესში. მხოლოდ ამდაგვარ თანამშრომლობას შეუძლია დადებითი შედეგის გამოღება. მაგ., დიდ ბრიტანეთში მიღებულია მდგრადი ტურიზმის სერტიფიკაცია (Green Tourism Business Scheme – GTBS), რომელიც დამტკიცებულია ტურიზმის ეროვნული სამმართველოს მიერ. ის კომპანიები, რომლებიც გადაწყვეტენ, შეუერთდნენ GTBS-ს, შეფასდებიან სამმართველოს მიერ გარკვეული კრიტერიუმებით, მათ შორის ენერჯისა და წყლის გამოყენების ეფექტურობა, ნარჩენების უტილიზაცია, ბიომრავალფეროვნება. ის კომპანიები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კრიტერიუმებს, იღებენ ბრინჯაოს, ვერცხლის ან ოქროს ჯილდოებს.

GTBS-ის მაგალითი გვიჩვენებს, რომ მდგრადობის მთელი ფინანსური ტვირთი არ უნდა იყოს დაფუძნებული ადგილობრივი კომპანიების ან გადასახადის გადამხდელთა ბიუჯეტზე: სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის საწარმოს შეუძლია იმოქმედოს როგორც მდგრადობის პროგრამის ძალიან ეფექტური ინიციატორი. მაგ., ნებისმიერ სასტუმროს შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს ტექნოლოგიურ ინიციატივაში, როგორცაა სახელმწიფოს მიერ აშენებული მზის პანელების მწარმოებელი ქარხნის აქციების შესყიდვით.

ტურისტული კერძო სექტორი: სასტუმროები, რესტორნები და მათი თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ ტურისტებს ემსახურებიან, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ დასვენების ობიექტის გარემოსდაცვითი მდგრადობის იმიჯის ჩამოყალიბების ხელშეწყობაში.

სასტუმროს მფლობელებს, ტუროპერატორებსა და სატრანსპორტო მომსახურების პროვაიდერებს შეუძლიათ დიდი გავლენა მოახდინონ ტურისტების ქცევაზე, რათა მაქსიმალურად შეამცირონ გარემოზე მათი შეგებულების უარყოფითი ზეგავლენა. კერძო სექტორის ინსტიტუტებს გარემოს დაცვა გარკვეული დოზით შეუძლიათ როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე ტურისტების სწავლებით. ამასთან ერთად, გარემოსდაცვითი კეთილგანწყობის განმტკიცების ერთადერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების არსებობა, გამყარება და შესრულება.

ნებისმიერ ქვეყანაში კანონმდებლობა მიზანმიმართულად უნდა ემსახურებოდეს გარემოს დაცვის მიზნებს. დასასვენებელი ობიექტების ადმინისტრაციებს შეუძლიათ გა-

ნახორციელონ სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის მწვანე გადასახადების დაწესება, ჯარიმები გარემოს დაბინძურებისათვის, ასევე შეუძლიათ გარემოსდაცვითი პროექტების ინვესტირების სტიმულირება ან სუბსიდირება, აგრეთვე ისეთი სპეციალური ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც ზღუდავს ტურისტების ჩამოსვლების რაოდენობას ზღვრულ ნორმამდე, ან გარკვეულ ტერიტორიებზე მათი საქმიანობის რეგულირებას. მაგ., მაღდივის კუნძულზე (სამხრეთ აზია) მყოფე ეკოსისტემის დასაცავად ტურისტული ნაკადების ჩამოსვლების ადგილები შემოფარგლულია სპეციალური ზონებით.

ამის გარდა, ეკოპრობლემების გადასაწყვეტად სისტემები და სტრუქტურები უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

– **ფინანსირების საშუალებათა მოძიება.** ტურისტების დასასვენებელი ადგილების ეკოლოგიური დაცვის ღონისძიებების განხორციელებისათვის აუცილებელია შესაბამისი ფინანსირება. მაგრამ გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ფაქტი, რომ მწვანე პროგრამების რეალიზაციამ შეიძლება მოიზიდოს მნიშვნელოვანი კაპიტალები კერძო სექტორიდან, ამ პროგრამებმა შესაძლებელია მოიტანოს მოგება. ზოგიერთმა ამ პროგრამებიდან შეიძლება სწრაფად გამოიღოს შედეგი (ამონაგები მოიტანოს) საექსპლუატაციო დანახარჯების ეკონომიის ხარჯზე. ეს დანახარჯები შეიძლება ჩაიდოს სხვა საინვესტიციო პროექტებში, რომლებიც მიმართულია ეკოლოგიური მიზნებისაკენ.

მწვანე ინვესტიციების რეალიზაციისაგან მიღებული მოგებების ვადები დამოკიდებულია სწორი საინვესტიციო გეგმის არჩევაზე. ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია მოიძებნოს ბალანსი სახელმწიფო და კერძო სექტორების ინტერესებს შორის. ამ ბალანსის დაცვა მეტად საყურადღებოა როგორც მცირე პროექტებისათვის, რომლებსაც წარმოადგენენ კერძო კომპანიები, ასევე დიდი პროგრამებისათვის, რომლებიც მიმართულია ინფრასტრუქტურის სრულყოფაზე.

საკურორტო ადგილების ადმინისტრაციას არ შეუძლია ყოველთვის გამოყოს საკმარისი სახსრები. ამ შემთხვევაში უნდა მოიძებნოს გარე ფინანსირების საშუალებები რეგიონის ეკოლოგიური მდგრადობის ხანგრძლივი პროგრამებისათვის. ასეთი ფინანსირება მოიცავს გლობალურ პროგრამებს, რომლებიც ითვალისწინებს გარემოს დაცვის სპეციალურ მექანიზმებს (clean development mechanisms – CDM), რომლებიც საშუალებას აძლევს განვითარებულ ქვეყნებს, ჩადონ კაპიტალი იმ პროექტებში, რომლებიც მიმართულია CO<sub>2</sub>-ს ატმოსფეროში გამოყოფის შემცირებისაკენ განვითარებად ქვეყნებში. მაგ., 1996წ. კოსტა-რიკამ მიჰყიდა CO<sub>2</sub>-ს გამოყოფაზე თავისი კვოტები (200 ათ. ტ, 1 ტონის ფასი 10 აშშ დოლარი) ნორვეგიას. შედეგად კოსტა-რიკამ მიიღო 2 მლნ აშშ დოლარი ტყის მასივების აღდგენის დასაფინანსებელი პროექტისათვის.

ზემოთ აღნიშნული CDM-მოდელის გარდა, როგორც სახელმწიფოს და კერძო სექტორების მოდელის, ზოგიერთ ქვეყანაში იქმნება ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ფონდები (მაგ. ველური ბუნების მსოფლიო ფონდი) და ტურიზმის განვითარების საერთაშორისო ფონდები (მაგ., საერთაშორისო განვითარების ამერიკული სააგენტო და ტურისტული დასვენების მდგრადობის საბჭო), რომლებსაც შეუძლია უზრუნველყონ ტურისტული დასვენების ადგილებში გარემოს დაცვის პროექტების ფინანსირება.

– **გარემოს დაცვის პოტენციალის გაძლიერება და კადრების მომზადების სისტემის განვითარება.** გარემოს დაცვის სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფა ითხოვს უამრავი ადამიანის – ადგილობრივი მოსახლეობიდან სხვადასხვა სპეციალისტების: იურისტების, პარკების თანამშრომლების, მეზღვეების და სხვათა ძალისხმევას. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს მწვანე პროექტების შესახებ ინფორმაციის, მისი დადებითი მხარეებისა და შესაძლებლობების დაინტერესებული მხარეებისათვის სრული მიწოდება, ეს პროექტები უნდა მოიცავდეს კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის განვითარებასაც, რაც ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას მისცემს, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა გარემოს დაცვის მიზნით მსგავსი პროექტების რეალიზაციაში. მაგ., ტუროპერატორები შეძლებენ აირჩიონ დამსვენებელთა გადაადგილებისათვის გარემოსათვის შედარებით უსაფრთხო, ნაკლებად მავნე საშუალებები და ხერხები, შეამცირონ ტურისტების კონტრაქტები დაცულ ობიექტებთან და ხელი შეუშალონ აქ ნაგავსაყრელების შექმნას.

– **მარკეტინგი და კავშირი საზოგადოებასთან.** მარკეტინგისა და საზოგადოებასთან კავშირის ეფექტური სისტემის შემუშავება მნიშვნელოვანია ნებისმიერი მწვანე პროექტის რეალიზაციისათვის. სწორმა მარკეტინგის სისტემამ უნდა წაახალისოს დაინტერესებული

მხარეები, მონაწილეობა მიიღონ პროგრამაში, ასევე პოულობდეს პოტენციურ ინვესტორებს და ურთიერთობა დაამყაროს მათთან. მაგ., ნიუ-იორკის ადმინისტრაციამ შექმნა „ნიუ-იორკ სითის მწვანე რუკა“ (“Powerful Green Map of NYC”), რომელიც ორგანიზებას უწევს ექსკურსიებს ქალაქის ენერგოდამზოგავ ობიექტებზე. მნიშვნელოვანი ტურისტული ნაკადების მოზიდვა უზრუნველყოფს რა დასაქმებას და შემოსავლებს, ამავდროულად ამწვანებს კონკურენციას შემოსაზღვრული ბუნებრივი რესურსების (ენერგორესურსები, მიწა, წყალი და სხვ.) გამოყენების მხრივ, როგორც დარგებსა და საქმიანობის სახეებს შორის, ასევე ტურიზმის ინდუსტრიის შიგნით. იგი სტიმულს აძლევს ორმაგი მოგების ტექნოლოგიების მოძიებას და გამოყენებას. ტურიზმში ეს, უპირველეს ყოვლისა არის (მდგრადი ტურიზმის გლობალური საბჭო (GSTC) - *Global Sustainable Tourism Criteria*) – მინიმალური კრიტერიუმების საერთაშორისო კონსენსუსი, რასაც უნდა პასუხობდეს ტურისტული ბიზნესი მდგრადი განვითარების მიზნით. ასევე საყურადღებოა განთავსების საშუალებათა სერტიფიკაციის საერთაშორისო სისტემა - *Travelife Sustainability System*, რომლის მიზანიც ტურიზმში მწვანე ტექნოლოგიების დანერგვაა. ტურისტული ინდუსტრიის საწარმოების სერტიფიცირების ინგლისური სისტემა - *Green Tourism Grading*, საერთაშორისო - *BREEAM*-ის და *LEED* სისტემების მსგავსად, მშენებლობისა და ყველა სახის განთავსების ობიექტებს მოიცავს: კაფეები, რესტორნები, ტურისტული საინფორმაციო ცენტრები, ტუროპერატორთა სტრუქტურები. პლაჟებისა და ლანდშაფტების სერტიფიცირების საერთაშორისო სისტემა „ცისფერი დროშა“, რომლის მონაწილე 2016 წელს იყო 49 ქვეყანა და სხვ. გარდა ეკოლოგიური სერტიფიცირების სისტემებისა, ტურიზმში მწვანე ტექნოლოგიების დანერგვას ხელს უწყობს მთელი რიგი საერთაშორისო პროგრამების დამუშავება და რეალიზაცია, მაგ., *Hotel Energy Solution*, *Tour Bench* და *SUTOUR*. ამ პროგრამაში მონაწილეობა ტურიზმის ინდუსტრიის საწარმოებს საშუალებას აძლევს, არა მარტო ყოველმხრივ შეაფასოს რესურსების საკუთარი ხარჯვა (ენერჯის, წყლის და სხვ.), არამედ აირჩიოს რესურსების მოხმარების მოცულობის შემცირების ეფექტური ტექნოლოგიები და ღონისძიებები. მაგ., ტაილანდის კურორტების *Six Senses «luxury»* კლასის გარკვეული ჯგუფის მიერ ენერგოეფექტურობის ზრდის და რესურსების დაზოგვის მაჩვენებელი მერყეობს 6 თვიდან 10 წლამდე მონიტორინგის ენერგეტიკული სისტემის დანერგვით, რომლის ღირებულებაა 4 500 აშშ დოლარია და ენერჯის 10%-ით დაზოგვის საშუალებას იძლევა. ეფექტური განათება ღირებულებით 8 500 აშშ დოლარი, იძლევა 16 000 აშშ დოლარის ეკონომიას დაახლოებით 6 თვეში, წყალსაცავისათვის გაწეულმა ინვესტიციებმა (36 000 აშშ დოლარი) უზრუნველყო 330 000 აშშ დოლარის ეკონომია 1 თვეში.

უნდა ითქვას, რომ მცირე ტურისტულ საწარმოთა ფართო სექტორის არსებობის პირობებში ტურიზმის მდგრადი „გამწვანების“ ამოცანის გადაჭრა ზოგჯერ ძნელად მისაღწევი, ზოგჯერ კი შეუძლებელია.

ტურისტული პროდუქტის მრავალდარგობრივი ხასიათი უზრუნველყოფს რა მულტიპლიკატორულ ეფექტს, ასევე ქმნის პრობლემას მისი წარმოებისა და მოხმარების პროცესების ეკოლოგიზაციისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავებისას, რადგანაც თითოეული დარგისთვის ისინი სხვადასხვაა. ძირითადად, ტურინდუსტრიის საწარმოები მწვანე საქონლისა და მომსახურების მომხმარებლები არიან, რომლებსაც ეკონომიკის სხვა დარგები აწარმოებს და ახდენს ამ საქონლის მომსახურების საკუთარი მოთხოვნილებებისათვის ადაპტირებას. ამ მხრივ, საბოლოო ტურისტული პროდუქტის ეკოლოგიურობის დონე დამოკიდებულია მისი შემადგენელი წარმოებების ეკოლოგიურობაზე და „მწვანე“ სტრატეგიის განხორციელება მოითხოვს საინვესტიციო რესურსებს, რომლებიც მცირე და საშუალო საწარმოებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ. ამასთან დაკავშირებით, დღეისათვის ტურიზმში „მწვანე“ ტექნოლოგიების წარმატებით დანერგვა, ეკოლოგიური სერტიფიცირება ძირითადად მხოლოდ ტუროპერატორების მსხვილ ქსელებს ხელეწიფებათ.

ამ დროს შიდა და შემომყვანი ტურიზმის ეროვნული პროგრამების, რეგიონული და ეროვნული სარეკრეაციო-ტურისტული კლასტერების განვითარება, როგორც წესი, ხორციელდება სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობით. ამასთან, სახელმწიფო თავის თავზე იღებს ინფრასტრუქტურულ ობიექტებს, რომლებიც ტრადიციულად ყველაზე მაწვანე გაგლენას ახდენენ გარემოზე. ამიტომ სახელმწიფოს მწვანე საინვესტიციო პოლიტიკა და მის მიერ პარტნიორობის რეგლამენტირებული პირობები კერძო ბიზნესთან ტურიზმის ინდუსტრიის ეკოლოგიზაციის ტემპებისა და მიმართულებების განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ მწვანე ეკონომიკაზე ტურიზმის დარგის გადასვლის პროცესში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიური მდგრადობა და გლობალურ და ეროვნულ დონეზე ეკოლოგიურად პასუხისმგებელი ტურიზმის, ანუ მწვანე ტურიზმის მაღალი სტანდარტების მიღწევებისათვის აუცილებელია მისი განვითარების ფაქტორების განხილვა და ეკოლოგიურად უსაფრთხო მწვანე მოდელზე გადასვლა. ამასთან ერთად, ეკოლოგიზაციის საერთაშორისო პროგრამები და სერტიფიცირების სისტემები, ხელს უწყობს რა ცოდნისა და გამოცდილების გავრცელებას, სტიმულს აძლევს საწარმოების მოთხოვნილებების ზრდას მწვანე ტექნოლოგიებზე და უზრუნველყოფს მწვანე ეკონომიკურ ზრდას. მრავალი მაგალითი არსებობს იმისა, რომ ეკონომიკისა და ტურიზმის ინდუსტრიის მწვანე ტრანსფორმაცია დაწყებულია, თუმცა ჯერჯერობით სათანადო ტემპით ვერ მიმდინარეობს. სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში ეს პროცესი განსხვავებული ტემპებით ვითარდება. ყველაზე კარგ შედეგებს აღწევს ის ქვეყნები და რეგიონები, რომლებსაც გააჩნიათ ზუსტად ჩამოყალიბებული ეკოლოგიური პოლიტიკა, რომლებიც ეყრდნობა სამეცნიერო კვლევებსა და ხარისხიანი საინფორმაციო ბაზების მონაცემებს, აქტიურად რთავენ თავიანთ საქმიანობაში დაინტერესებულ ყველა მონაწილე მხარეს: საზოგადოებას, კერძო სექტორს.

ტურიზმის ინდუსტრიის მწვანე ტრანსფორმაცია, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სფეროსი, შესაძლებელია ეკონომიკის მთელი სისტემის ეკოლოგიზაციის პირობებში დაწყებული კანონმდებლობიდან, დამთავრებული მთლიანად ტურისტული სექტორის მთელი ინსტრუმენტების კომპლექსით: ფისკალური პოლიტიკა, ტურისტული მიმართულებების ეკონომიკური ინსტრუმენტები, მართვა, დაგეგმვა და განვითარება, ორიენტაცია კერძო სექტორზე, მწვანე საქმიანობის სტიმულირება როგორც მწარმოებლების, ასევე მომხმარებლების მხრიდან, გადასახადები, ფასები, მწვანე კრედიტები და ინვესტიციები.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., წრიული ეკონომიკა: არსი და თანამედროვე გამოწვევები, ჟ. „ეკონომისტი“ №1, 2019, ტ.XV, გვ.20
2. Mazilu M.E., Green tourism in the age of green economy // International journal of economics and statistics. 2013. Vol. 1. Iss. 3. Pp. 140-147.
3. UNWTO Tourism Highlights: 2018 Edition  
<https://www.e-unwto.org/doi/pdf/10.18111/9789284419876>
4. Факторы развития «Зелёного» туризма – тема научной статьи по ...  
<https://cyberleninka.ru/article/n/factory-razvitiya-zelyonogo-turizma>
5. Туризм и переход к «зеленой» экономике | International Centre for ...  
<https://www.ictsd.org/bridges-news/.../туризм-и-переход-к-«зеленой»-экономике>
6. Концепция зеленой экономики: основные положения и ...  
<https://moluch.ru/archive/231/53628/>
7. Основные факторы развития «Зеленого» туризма в мировой ...  
<https://cyberleninka.ru/.../osnovnye-factory-razvitiya-zelenogo-turi...>
8. Туризм в условиях перехода к «зеленой» экономике Нездойминов ...  
<https://dspace.oneu.edu.ua/.../Туризм%20в%20условиях%20перехода%...>

*Ketevan Kveladze  
Medea Melashvili  
Nunu Kistauri*

#### **MODERN ASPECTS OF TOURISM ECOLOGY IN THE CONDITIONS OF "GREEN ECONOMY" Summary**

International organizations regard tourism as one of leading sectors of the global economy, "green" modernization of which can provide a transition to a new economic model "green economic" development, which means the unity of various farming activities to produce tourist products; It is based on: the use of resource-saving technologies, of fresh products which minimize the waste into the environment and risks of degradation of natural capital; Ensures preservation of traditions and cultural heritage, employment and stable income of the population both nowadays and in the future. The article is dedicated to modern aspects of

tourism ecology in terms of "green economy". It has studied the ecological and economic factors of development that will facilitate the transition to an ecologically safe green model of tourism. In addition, it has reviewed international programs of ecology, certification systems, and resource saving innovative technologies that encourage enterprises to grow their demands of green technologies and provide "green economic" growth.

*ბორის ჭიჭინაძე*

**ადგილობრივი თვითმმართველობების  
ბანკითარების პრობლემები საქართველოში**

*ანოტაცია.* საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებში, მიუხედავად წლების განმავლობაში ცენტრალური ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმებისა, მდგომარეობა მაინც რთულია და მნიშვნელოვანი რეფორმის აუცილებლობა კვლავ დგას დღის წესრიგში. განვიხილოთ წლებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ძირითად გადაუწყვეტელ საკითხებად ამ ეტაპისათვის კვლავ რჩება ცენტრსა და თვითმმართველობებს შორის უფლებამოსილებათა გაუმიჯნაობა, ქონებისა და ფინანსების საკითხებში არსებული პრობლემური საკითხების მოუგვარებლობა, ადგილობრივ მთავრობებსა და ადგილობრივი ბიზნესსექტორის თანამშრომლობის არაეფექტურობა.

*საკვანძო სიტყვები:* ადგილობრივი თვითმმართველობა, ფისკალური დამოუკიდებლობა, გათანაბრებითი ტრანსფერი, საბიუჯეტო დამოუკიდებლობა.

\* \* \*

ამჟამად მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მედ2 მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტოს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. მართვის ოპტიმიზაციისათვის მუნიციპალიტეტი შეიძლება (ე.ი. აუცილებლობას არ წარმოადგენს) დაიყოს ადმინისტრაციულ ერთეულებად (იმავე კოდექსის მუხლი 4). მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, შექმნან შესაბამისი სამართლებრივი, საფინანსო-დოკუმენტური და ორგანიზაციული პირობები (იმავე კოდექსის მუხლი 7). მუნიციპალიტეტებს მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით გააჩნიათ ორი უფლებამოსილება, ესენია: ა) საკუთარი უფლებამოსილება; ბ) დელეგირებული უფლებამოსილება (მუხლი 15). მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილება ექსკლუზიური უფლებამოსილებაა, რომლის განხორციელების ვალდებულება მხოლოდ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს ეკისრება. საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს (2019 წლის 1 იანვრამდე) ცენტრალური ბიუჯეტიდან ეძლეოდათ გათანაბრებითი ტრანსფერი, რომლის ოდენობაც და დაანგარიშების სპეციფიკა დარეგულირებული იყო ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით. ხოლო დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტებს ეძლევათ მიზნობრივი ტრანსფერი.

მას შემდეგ რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა (1991 წლიდან) დღის წესრიგში დადგა ადგილობრივი მმართველობების ძირეული რეფორმირების აუცილებლობა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიმართულებით გასული 27 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა, შედეგი მიღწეული ჯერაც არ არის, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ადგილობრივი თვითმმართველობების რეალური დამოუკიდებლობისათვის. განვითარებული ქვეყნების თვითმმართველობებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქვეყნის დემოკრატიულად განვითარება ფაქტობრივად წარმოუდგენელია თვითმმართველობების რეალურად განვითარების გარეშე. თვითმმართველობების განვითარებისათვის კი საჭიროა ადგილებზე იყოს საკმარისი ფინანსები, ქონება და პრაქტიკაში ხორციელდებოდეს შედეგზე ორიენტირებული და ეფექტური ადგილობრივი მენეჯმენტი. გამომდინარე იქიდან, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა – ეს არის ნამდვილი დემოკრატიის სკოლა, ამიტომ თვითმმართველობების უფლებები ვრცელდება ყველა იმ პირზე, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ამით. მსოფლიო პრაქტიკამ ცხადყო, რომ არ არსებობს უკეთესი მეთოდი, ვიდრე

ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ადგილობრივი მოქალაქეების მიერ გადაწყვეტა. თვითმმართველობა – ეს არის ორგანიზებულად და ერთობლივად მოქალაქეების მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა. 1991 წლიდან მოყოლებული, ადგილებზე ფაქტობრივად არ ჩამოყალიბდა ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ეფექტურად გადაწყვეტაზე იქნებოდნენ ორიენტირებულნი და მნიშვნელოვან ოპონირებას გაუწევდა ადგილობრივი თვითმმართველობების შესაბამის ორგანოებს (საკრებულო, მერია) ადგილობრივი საკითხების ეფექტურად გადაწყვეტისას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, მაინც ვერ გადმოვიღეთ ევროპიდან მოქალაქეთა შორის სოციალური ურთიერთობის პრაქტიკა, თუ როგორ ვიცხოვროთ ერთად და როგორ გადავწყვიტოთ ერთობლივად ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვნად გაუარესდა მოქალაქეებს შორის ურთიერთდობის ხარისხი. ადგილებზე შეინიშნება საზოგადოების კოლექტიური პასუხისმგებლობის დეფიციტი, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტას. საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ რაც არ უნდა მონდომებული იყოს მუნიციპალიტეტის მთავრობა ოპერატიულად გადაწყვიტოს ადგილობრივი პრობლემატური საკითხები, თუ მას ჯანსაღ ოპონირებას არ უწევს ადგილობრივი საზოგადოება, შედეგი მაინც არ მიიღწევა. ადგილობრივი საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ აღიქვამს, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების, გადაწყვეტა საჭიროა კოლექტიურად, ადგილობრივ მთავრობასთან ერთად. საკითხის აქტუალობაზე მიუთითებს ასევე ის, რომ ხშირად მოქალაქეები საჯარო შეხვედრებზე ქვეყნის პრეზიდენტს და მთავრობის თავმჯდომარეს ეკითხებიან ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების (წყალი, გარე განათება, გზა, და ასე შემდეგ) გადაწყვეტაზე, მაშინ როცა ამ საკითხების მოგვარება თვითმმართველობების კომპეტენციაა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ერთდერითი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას, ადგილობრივი საკუთარი შემოსავლების ქრონიკული დეფიციტია.

ადგილობრივი ვალდებულებების შესრულების მიზნით ცენტრალური ბიუჯეტიდან თვითმმართველობებს 2019 წლის 1 იანვრამდე ერიცხებოდათ გათანაბრებითი ტრანსფერი, რომლის მიზანი იყო მუნიციპალიტეტების განსხვავებული ფინანსური შესაძლებლობების გათანაბრება ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით. გათანაბრებითი ტრანსფერით მიღებულ შემოსავლებს მუნიციპალიტეტი იყენებდა საკუთარი შეხედულებისამებრ, საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად. საჭიროა აღინიშნოს, რომ ტრანსფერის განაწილების არსებული მეთოდოლოგია ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს. შექმნილი მდგომარეობა კიდევ ერთხელ მიუთითებდა, რომ არსებული საგადასახადო დაბეგვრის სისტემა არ ქმნის ადგილებზე შესაბამის სტიმულირებას.

მეტად თვალსაჩინო სურათს ვღებულობთ თუ განვიხილავთ 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობას (ცხრილი 1).

**ცხრილი 1**

**მუნიციპალიტეტებისათვის განკუთვნილი გათანაბრებითი ტრანსფერი 2018 წლისათვის**

მუნიციპალიტეტი	გათანაბრებითი ტრანსფერი (მლნ ლარი)	შეფარდება სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებთან (%)	შენიშვნა
თბილისი	345.806	2.77	
ბოლნისი	0		
გარდაბანი	0		
ახალქალაქი	0		
ბორჯომი	0		
შუახევი	0		
ყაზბეგი	0		
დანარჩენი მუნიციპალიტეტები	359.274	2.88	
სულ მუნიციპალიტეტები:	705.080	5.67	

როგორც ცნობილია, გათანაბრებითი ტრანსფერი მუნიციპალიტეტებს ეძლევადათ იმ შემთხვევაში, თუ მათი საკუთარი შემოსავლები ვერ ფარავდა ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებს. დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, 2018 წელს გათანაბრებით ტრანსფერი არ მიუღია ბოლნისის, გარდაბნის, ახალქალაქის, ბორჯომის, შუახევის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებს. როგორც ცხრილიდან ჩანს (ცხრილი 1), 2018 წელს თბილისის გარდა, ცენტრალური ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტებისათვის ჩარიცხული გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა (359.274 მლნ ლარი) უდრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 2.88 % - ს, ხოლო ტრანსფერის საერთო ოდენობა თბილისის ჩათვლით (705.080 მლნ ლარი) კი ტოლია მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის 5.67 % - ისა.

**ცხრილი 2**

**გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა  
მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით 2018 წელს**

მუნიციპალიტეტები	მოსახლეობა (მლნ კაცი)	გათანაბრებითი ტრანსფერი (მლნ ლარი)	ერთ სულ მოსახლეზე გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა წლიურად (ათასი ლარი)
თბილისი	1.114	345.806	0.310
დანარჩენი მუნიციპალიტეტები სულ	2.604	359.274	0.138
სულ მუნიციპალიტეტები:	3.718	705.080	0.190

მეტად საინტერესო სურათს ვღებულობთ თუ მოვახდენთ 2018 წლის დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტით, მუნიციპალიტეტებისათვის განკუთვნილი გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობის გაანგარიშებას ერთ სულ მოსახლეზე შეფარდებით. წარმოდგენილი მონაცემებიდან (ცხრილი 2) ირკვევა, რომ თბილისის შემთხვევაში, რომლის მოსახლეობა შეადგენს 1.114 მლნ კაცს, 2018 წელს გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენს წლიურად დაახლოებით 310 ლარს, ხოლო საქართველოს დანარჩენი მუნიციპალიტეტებისათვის მთლიანად, რომლის მოსახლეობა შეადგენდა 2.604 მლნ კაცს, გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა წლიურად ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს დაახლოებით 138 ლარს. თვალსაჩინოებისათვის მთლიანად საქართველოს მუნიციპალიტეტების შემთხვევაში ერთ სულ მოსახლეზე წლიურად გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა შეადგენდა დაახლოებით 190 ლარს. აღნიშნული მონაცემები მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის საშუალო დონის ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებს.

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ გათანაბრებითი ტრანსფერიდან მუნიციპალიტეტების შემოსავლები ძალიან მწირი იყო, ამას ემატება ასევე ის, რომ სხვა საკუთარი შემოსავლების (გათანაბრებითი ტრანსფერიც მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავალს წარმოადგენდა, 2019 წლის 1 იანვრიდან ის დამატებული ღირებულების გადასახადის ნაწილმა ჩაანაცვლა) ოდენობაც ძალიან მიზერულია მუნიციპალიტეტებში, მთლიანობაში კი ვღებულობთ მცირე ადგილობრივ ბიუჯეტებს და ქრონიკულად შეუსრულებელ ადგილობრივ, საკუთარ ვალდებულებებს.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების საერთო მოცულობის 2 პროცენტს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხას მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. სარეზერვო ფონდთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტების საკრებულოების აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს მიღებული და დამტკიცებული მერიის სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესი.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდის უზრუნველსაყოფად საჭიროა უცხოური გამოცდილების გაზიარება და ადგილებზე ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადის შემოდება, რომელიც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ადგილობრივი ბიუჯეტების ეფექტურობის ზრდას.

სწორედ ფინანსური რესურსების ნაკლებობა არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ხშირად თვითმმართველობები ვერ ახდენენ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულებას, გამომდინარე აქედან, ხშირ შემთხვევაში თვითმმართველობების მუშაობა არაეფექტური ხდება. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 90 - ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა მუნიციპალიტეტის, ისე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისგან. რეალურად კი მდგომარეობა სულ სხვაა. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ თითოეული ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი შემოსავლები (გათანაბრებითი ტრანსფერის გარდა) შეადგენს მათი ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების 17დ20%-დს, მაშინ როცა ანალოგიური საშუალო მონაცემი ევროპის ქვეყნებში (მათ შორის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში) შეადგენს 35დ40%-დს. საკითხი საჭიროებს სამართლებრივდოკონომიკურ მოგვარებას. შექმნილი მდგომარეობა კი მნიშვნელოვნად უშლის ხელს რეალური თვითმმართველობის ჩამოყალიბებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტისას მნიშვნელოვნადაა დაქვეითებული მოქალაქეთა თანამონაწილეობის ხარისხი. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86დ მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1 %დს უფლება აქვს წარადგინოს პეტიცია ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის მიზნით. ანუ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია მოქალაქეთა უფლებამოსილებები ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ერთობლივად (საკრებულო, მერია, ადგილობრივი საზოგადოება) გადაწყვეტის მიმართულებით. საქართველოში კანონმდებლობის ამ უფლებით ფაქტობრივად არც ერთი მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს არ უსარგებლიათ, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მათ გულგრილ დამოკიდებულებაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის კუთხით.

კიდევ უფრო რთულად არის საქმე საკრებულოს სხდომებსა და კომისიების შეკრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 87დ მუხლის მიხედვით, ნებისმიერ პირს უფლება აქვს წინასწარი შეტყობინების ან/და წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებზე დამსწრე პირებს უფლება აქვთ წინასწარი ნებართვის გარეშე, მაგრამ მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით დაუსვან შეკითხვები მომხსენებელს და თანამომხსენებელს, გააკეთონ განმარტება და განცხადება, წარადგინონ ინფორმაცია. აღნიშნული უფლებებითაც ფაქტობრივად არ სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები. მოქალაქეების ასეთი დამოკიდებულება კი ხშირად უბიძგებს ზოგიერთი მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირს, სრულყოფილად არ შეასრულოს მათზე დაკისრებული და კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88დ მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული წესით მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს წევრის საჯარო ანგარიშების განხილვას. აღნიშნულ მუხლში ასევე აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამ კანონით გათვალისწინებული ანგარიშების გამოქვეყნება. მუნიციპალიტეტებში ამ კუთხითაც ძალიან მძიმედ არის მდგომარეობა და მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში ფაქტობრივად არ ხდება კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, საქმეს ართულებს ისიც, რომ მოქალაქეებიც არ თხოვენ მათ მიერ არჩეულ მუნიციპალიტეტის მერსა და საკრებულოს წევრებს, შეასრულონ ამ კუთხით მათზე დაკისრებული ვალდებულებები.

კიდევ უფრო რთულად არის მუნიციპალიტეტებში საქმე ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შედგენისას, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტები საჯაროდ აქვეყნებს



მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს, მოქალაქეები მაინც არ მონაწილეობენ ბიუჯეტის ფორმირებაში და თავის წინადადებებს და მოსაზრებებს არ სთავაზობენ მუნიციპალიტეტის მერიებს. გამომდინარე აქედან, ხშირ შემთხვევაში საკრებულოს მიერ დამტკიცებული ადგილობრივი ბიუჯეტი მოქალაქეებსა და მერიას შორის დაპირისპირების საგანი ხდება, რადგანაც როგორც მოქალაქეები ამბობენ, ადგილობრივი ბიუჯეტით არ ხდება მნიშვნელოვანი საჭიროებების საკითხების გადაჭრა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 140-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, არაუმეტეს წელიწადში ერთხელ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოწვეულმა აუდიტორმა შეიძლება ჩაატაროს მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტი. საკრებულო დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით. დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში და დასკვნა წარედგინება საკრებულოს, ეგზავნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და ქვეყნდება საჯაროდ. ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში არ ხდება დამოუკიდებელი აუდიტის მიერ შედგენილი ანგარიშის საჯაროდ გამოქვეყნება. აღნიშნული მიმართულებით არც მოქალაქეები არ იხევენ შესაბამის ინტერესს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მოქალაქეები, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, არ არიან დაინტერესებულნი, თუ როგორ მუშაობენ მათ მიერ არჩეული მერი და საკრებულო და იხარჯება თუ არა ეფექტურად ადგილობრივი ბიუჯეტის საჯარო ფინანსები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მუნიციპალიტეტების დონეზე ფაქტობრივად დარღვეულია სუბიექტებს შორის ურთიერთობის შემდეგი პრინციპი;

**მოქალაქე → თვითმმართველობა → რეგიონი → ცენტრალური ხელისუფლება**

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნადაა დასახვეწი სახელმწიფოში თვითმმართველობის აღქმის თავისებურებანი და აუცილებელია მოქალაქეები გავათვითცნობიეროთ მათ უფლებებსა და მოვალეობებში, რათა ისინი, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას საკრებულოსა და მერიასთან ერთად პროცესების თანამონაწილენი გავხადოთ, ასეთი მიდგომით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ადგილებზე საერთო სოციალური მდგომარეობა, რაც მთლიანობაში ადგილობრივი ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიაა.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ რეალური თვითმმართველობის ჩამოყალიბების მიმართულებით მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელიც ჯერ კიდევ ხელს უშლის ადგილობრივი ეკონომიკის და მოსახლეობის სოციალურ-დეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, არის შემდეგი:

- ა) ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსური სისუსტე;
  - ბ) მოქალაქეების აქტივობის დაბალი დონე;
  - გ) ადგილობრივი კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;
  - დ) მუნიციპალიტეტებში დასაქმებული პირების კარიერული წინსვლის ფაქტობრივი არდარსებობა;
  - ე) მუნიციპალიტეტების კომპეტენციების დაბალი დონე ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას;
  - ვ) ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი აღრევა;
  - ზ) ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში დასაქმებული პირების გადამზადების დაბალი დონე;
  - თ) ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში დასაქმებულ პირებში სტაბილურობის განცდის არარსებობა, დაკავებული სამსახურებრივი პოზიციის შენარჩუნებასთან დაკავშირებით;
  - ი) ყოველი ადგილობრივი არჩევნების ჩატარებისას, მუნიციპალიტეტებში ხშირი რეორგანიზაცია და შტატების შემცირება;
  - კ) არასტაბილური და არამდგრადი მუნიციპალური საჯარო სამსახური.
- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალური მართვის გაუმჯობესების კუთხით ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რათა არსებული თვითმმართველობა დაუახლოვდეს რეალურ თვითმმართველობას. აღნიშნულ პროცესში კი უაღრესად მნიშვნელოვანია მოქალაქეების ჩართულობის ხარისხის

მნიშვნელოვანი ზრდა. მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მოქალაქეების ჩართულობის გარეშე რეალური თვითმმართველობა ფაქტობრივად წარმოუდგენელია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა ქვეყნის მუნიციპალიტეტებს, მათ შორის საქართველოს მუნიციპალიტეტებსაც გააჩნიათ საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, საქართველოში მუნიციპალიტეტებს გააჩნია:

- ა. საკუთარი უფლებამოსილებები;
- ბ. დელეგირებული უფლებამოსილებები.

კანონმდებლობის შესაბამისად, საკუთარ უფლებამოსილებას მუნიციპალიტეტები ახორციელებენ დამოუკიდებლად საკუთარი პასუხისმგებლობით. დელეგირებული უფლებამოსილება არის ზემდგომი ორგანოს (სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა) უფლებამოსილება, რომელიც მუნიციპალიტეტებს გადაეცემა კანონის საფუძველზე ან კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით.

მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილებები საკმაოდ ვრცელია. ქვემოთ მოვიყვან იმ უფლებამოსილებებს, რომელთა განხორციელებასაც მუნიციპალიტეტები ფაქტობრივად ვერ ახდენენ. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკუთარი უფლებამოსილებებია:

**ა. ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა კანონით დადგენილი წესით;**

აღნიშნული საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას მუნიციპალიტეტები ფაქტობრივად ვერ ახორციელებენ ადგილობრივი წყლის, ტყის და მიწის რესურსების არარსებობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო 2016 წლის 1 იანვრამდე მოემზადებინა და საქართველოს პარლამენტისათვის წარედგინა შესაბამისი კანონპროექტი ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის წყლისა და მიწის რესურსების განსაზღვრის მიზნით, ამ დრომდე შესრულებული არ არის და აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტები ვერ ახორციელებენ კანონმდებლობით დაკისრებულ საკუთარ უფლებამოსილებებს. ასეთი მიდგომით კიდევ უფრო იღახება მუნიციპალიტეტების უფლებები და ისინი ვერ ახდენენ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული იმ ძირითადი უფლებამოსილების გამხორციელებას, როგორცაა ადგილობრივ მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი ადგილობრივი სერვისების მიწოდება, რითაც მუნიციპალიტეტები შორდება საკუთარ მოსახლეობას. იმედია, საქართველოს მთავრობა, დააჩქარებს ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებას.

**ბ. წყალმომარაგების (მათ შორის ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალანირების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამედიორაციო სისტემის განვითარება;**

ამ კუთხით მუნიციპალიტეტებში მდგომარეობა მეტად რთულია. მუნიციპალიტეტები ვერ ახდენენ საკუთარი მოსახლეობის უზრუნველყოფას სასმელი წყლით და ვერ უზრუნველყოფენ სამედიორაციო სისტემის განვითარებას. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 163-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტები სასმელი წყლის მიწოდებას და წყალანირებით მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიატი კერძო სამართლის სუბიექტების მეშვეობით იმ დასახლებებში, სადაც სასმელი წყლის მიწოდებას და წყალანირების მომსახურებას შესაბამისი ლიცენზიატი მიმწოდებელი არ ახორციელებს. ამჟამად სასმელი წყლისა და წყალანირებით მომსახურებას უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაკკ“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სერვისების მიწოდება მუნიციპალიტეტების საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს, მდგომარეობა სულ სხვაა და მუნიციპალიტეტები ვერ უზრუნველყოფენ ამ უფლებამოსილების განხორციელებას. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მეტად მძიმედ არის საქმე სასმელი წყლის მიწოდების კუთხით, საერთოდ კრიტიკას ვერ უძლებს მუნიციპალიტეტებში წყალანირების მდგომარეობა. შექმნილი მდგომარეობა სასწრაფოდ საჭიროებს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან შესაბამის რეაგირებას. კიდევ უფრო რთულად არის საქმე ადგილობრივი მნიშვნელობის სამედიორაციო სისტემების განვითარების მიმართულებით. მუნიციპალიტეტები საბიუჯეტო სახსრების არარსებობის გამო ვერ უზრუნველყოფენ ამ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას. სამედიორაციო მეურნეობის განვითარებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

გ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, მხარდაჭერისა და ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, გარდა კანონით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებებისა, უფლება აქვთ იზრუნონ ზემოაღნიშნული საკითხების გადაწყვეტაზე, მდგომარეობა ადგილებზე კრიტიკას ვერ უძლებს. ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტები მწირი ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების გამო ვერ ახდენენ აღნიშნული საკითხების გადაწყვეტას. გამომდინარე აქედან მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში რთულად არის საქმე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, ასევე მასობრივი სპორტის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის და გარემოს დაცვის ხელშეწყობის კუთხით. არასაკმარისი საბიუჯეტო თანხების გამო მუნიციპალიტეტები ვერ უზრუნველყოფენ ადამიანების ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას, მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვას და ინოვაციური განვითარების მხარდაჭერას.

გარდა ზემოთ აღნიშნული საკუთარი უფლებამოსილებისა, მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ დელეგირებული უფლებამოსილებებიც. დელეგირებული უფლებამოსილების წესი და პირობები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის თანახმად.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნათა თანახმად, ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს უფლება აქვს, მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში შესაბამისი ნორმატიული აქტით დაადგინონ სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები. საქართველოში ამ კუთხით არსებული მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძლებს და საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა.

## დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით. საჭიროა მეტი პოლიტიკური და ფისკალური დეცენტრალიზება, სწორედ ამის შემდეგ მივიღებთ ადგილებზე მეტ თავისუფლებას და ადამიანთა შეხედულებების მრავალფეროვნებას, რაც მოქალაქეების მხრიდან არის იდეების რეალიზების საფუძველი. მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ თვითმმართველობების განვითარების გარეშე ფაქტობრივად წარმოუდგენელია ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.
2. „საბიუჯეტო კოდექსი“.
3. „საგადასახადო კოდექსი“.

*Boris Chichinadze*

## PROBLEMS OF DEVELOPMENT OF LOCAL SELF-GOVERNMENT IN GEORGIA

### Summary

Regardless of the reforms carried out by the central government over the years in local self-government, the situation is still difficult and the necessity of significant reforms is still on the agenda. Ob-

serving the past years has shown us, that divergence still remains as main issue between the central and the local authorities. There are also many problems such as: inadequacy of troublesome issues in property and finances, local government and local business sector inefficiency during the cooperation, as well as low involvement of citizens in solving local issues, the lack of local innovative views that create important problems when attracting domestic and foreign investments in local self-government. Although local government financial independence is guaranteed by the Constitution and other laws, there is still a lot to do in the way of local self-government in order to gain budget-financial independence. Local self-government has been given different types of financial resources from the central budget for fulfilling their powers, which are in the range of 8-10% of the state budget. In this regard, there are important problems in local self-government of Georgia and it is necessary to introduce European experience in these areas. The central government is obliged to share the experience of foreign developed countries in the management of municipalities and adopt such laws that will definitely facilitate the rapid economic development of local self-government.

World practice demonstrates that if socio-economic development of local self-government does not occur, this will create crucial problems for the development of economy of the country. The necessity of development of local self-governments is especially at this stage on the agenda as Georgia has signed an Association Agreement with the European Union, which imposes certain obligations to our country. Only quick reforms and the high quality involvement of local citizens will provide efficient and quick solving of existing problems.

*ლალი ხარბელია  
მარიამ ხარბელია*

### **კოლხეთის ეროვნული პარკის მნიშვნელობა ეკოტურიზმის განვითარებისთვის**

*ანოტაცია. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმართულებებს ძირითადად მისი გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს, რაც უკავშირდება ჩვენი ქვეყნის, როგორც დამაკავშირებელი რგოლის, ფუნქციას ევროპასა და აზიას შორის. მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ საქართველო ამ ფუნქციით გაიცნო, მაგრამ გეოგრაფიულმა მდებარეობამ, მრავალფეროვანმა ბუნებამ და კლიმატმა ქვეყნის ტურისტული პოტენციალიც წარმოაჩინა და ტურიზმი ეკონომიკის პრორიტეტულ დარგად იქნა მიხნეული. ჩვენი ნაშრომის მიზანია ტურიზმის ერთ-ერთი მიმართულების – ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივის ანალიზი, კერძოდ კოლხეთის ეროვნული პარკის, როგორც ტურისტულ-რეკრეაციული რესურსის, განხილვა და მისი როლის წარმოჩენა ეკოტურიზმის განვითარებაში.*

*საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, ეკოტურიზმი, დაცული ტერიტორიები, ეროვნული პარკი.*

### **შესავალი**

ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი და დინამიური დარგია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ბოლო ათწლეულებში ის საკმაოდ სწრაფად ვითარდება საქართველოშიც. თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებით აქტუალურია მდგრადი განვითარების კონცეფცია. მდგრადი ტურიზმი ხელს უწყობს ისეთი წინააღმდეგობების აღმოფხვრას, როგორცაა ბუნებრივი გარემო პირობების დაცვისა და ადგილობრივი მოსახლეობის მეურნეობის განვითარების უზრუნველყოფის მიზნების შეუთანხმებლობა. სწორედ ასეთი ტიპის საკითხების მოგვარებაზეა ეკოლოგიური ტურიზმი, რომლის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა დაცული ტერიტორიების და ბუნებრივი მემკვიდრეობის არსებობა.

ბოლო წლებში დაცულმა ტერიტორიებმა ამ დამატებითი ფუნქციების შესრულება საქართველოშიც დაიწყო და საზოგადოებისთვის თანდათანობით ნათელი ხდება, რომ დაცული ტერიტორიები წარმოადგენს არა შემოღობილ და ყველასათვის აკრძალულ ზონებს, არამედ მათი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა მიზნით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება კი არის ეკოტურიზმის განვითარება.

საქართველოში დაცული ტერიტორიების დაარსებას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი დაცული ტერიტორია – ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი შეიქმნა 1912 წელს. ამჟამად კი დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 495 892 ჰექტარია, რაც ქვეყნის ტერიტორიის 7%-ია. 2017 წლის მონაცემებით, საქართველოში 14 სახელმწიფო ნაკრძალი,

11 ეროვნული პარკი, 17 ადკვეთილი, 14 ბუნების ძეგლი და 2 დაცული ლანდშაფტია. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კოლხეთის ეროვნულ პარკს. [http://www.apa.gov.ge]

ჩვენი ნაშრომის მიზანია კოლხეთის ეროვნული პარკის როგორც ტურისტულ-რეკრეაციული რესურსის განხილვა და მისი როლის წარმოჩენა ტურიზმის განვითარებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული პარკი ზოგადად იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი, ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად და არსებული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიზნით. გარდა ამისა, ეროვნული პარკი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკოტურიზმის განვითარებაში, განსაკუთრებით კი, საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო დონეზე პოპულარიზაციაში. ამ მიზნით შესწავლილია კოლხეთის ეროვნული პარკის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, დახასიათებულია კოლხეთის ეროვნული პარკის ეკოლოგიური მდგომარეობა. გამოკვეთილია კოლხეთის ეროვნული პარკის ტურიზმის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები.

\* \* \*

ეკოლოგიური ტურიზმი – ეს არის იმ უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიების მონახულება, რომლებსაც ნაკლებად ეხება სამეურნეო საქმიანობა, სადაც შემონახულია ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციები, ის ზრდის ტურისტულ პროცესში მონაწილე ყველა ტურისტის ეკოლოგიური კულტურის და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონეს. ამასთანავე ის არის ბუნების დაცვის ნორმებისა და ტექნოლოგიების გამოყენება ეკოლოგიური ტურებისა და პროგრამების შესრულებისას. გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) ექსპერტები ტურიზმის სახეობებიდან იყენებენ ცნებას – „ბუნებრივ ტურისტულ რესურსებზე ორიენტირებული ტურიზმი“ ან „ბუნებრივი ტურიზმი“ (nature based tourism), რომელსაც მიაკუთვნებენ ეკოტურიზმსაც.

ტერმინი „ეკოტურიზმი“ 1983 წელს დამკვიდრდა. ის მექსიკელმა ეკონომისტ-ეკოლოგმა ჰექტორ ცებალოს-ლასკურენმა შემოიღო. *ეკოტურიზმს იგი უწოდებდა მოგზაურობას „შედარებით ხელუხლებელ ან დაუბინძურებელ ბუნებრივ ტერიტორიებზე სპეციფიკური მიზნით, კერძოდ, განათლებისთვის, ბუნების პეიზაჟებით, მცენარეებითა და ველური ცხოველებით აღტაცებისა და ტკობისთვის, ასევე – ამ ტერიტორიების კულტურული თავისებურებების შესასწავლად“.*

ეკოტურიზმი მდგრადი ტურიზმის ის სეგმენტია, რომელიც გულისხმობს შედარებით წყნარი ბუნებრივი ლანდშაფტების დათვალიერებას, მათ შორის დაცულ ტერიტორიებზე. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზუსტი მონაცემები, მიახლოებითი გამოანგარიშებით საერთაშორისო ტურიზმის დაახლოებით 15-20% ეკოტურიზმს განეკუთვნება. ეკოტურიზმი არის ბუნებრივი და კულტურული რესურსების (მათ შორის ბიომრავალფეროვნების) კონსერვაციის მექანიზმი და ასევე, პერიფერიების მდგრადი განვითარების საშუალება. ტურიზმი, როგორც წესი, არის ფაქტორი, რომელიც სტიმულს აძლევს გამოვლინებას, დაცვას, რესტავრაციას, ბუნებრივი რესურსების და კულტურულ-ისტორიული ღირებულებების რაციონალურად გამოყენებას. ეს ხდება იმიტომ, რომ სხვა ქვეყნის ტურისტების მიმღები ქვეყანა მობილიზაციას უკეთებს რეკრეაციულ რესურსებს, რათა ღირსეულად შეხვდეს სტუმრებს და დააყოვნოს თავის ტერიტორიაზე. ტურისტებს განსაკუთრებით იზიდავს ტყის ნატურალური ლანდშაფტი. ეროვნული პარკი ერთ-ერთი მიმზიდველი ობიექტია ტურისტებისათვის. მაგალითად, აშშ-ის ეროვნული პარკების სტუმრობის წლიური რაოდენობაა 90 მლნ. ეს ტენდენცია ძლიერდება საქართველოშიც. ტურისტებს სულ უფრო მეტად იზიდავს დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკები. გამონაკლისი არც კოლხეთის ეროვნული პარკია.

კოლხეთის ეროვნული პარკი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში. იგი მოიცავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლსა და პალიასტომის ტბის აუზს. კოლხეთის დაბლობი საერთაშორისო ყურადღების ცენტრში პირველად 1996 წელს მოექცა, როდესაც საქართველო საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით – წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ არსებულ რამსარის კონვენციას შეუერთდა. 2000 წლიდან კოლხეთის ეროვნულმა პარკმა სრულმასშტაბიანი ფუნქციონირება დაიწყო. კოლხეთის ეროვნულ პარკი არ არის მონოლითური წარმონაქმნი და ის წყვეტილი ტერიტორიებისგან – უბნებისგან შედგება. პარკი იყოფა ანაკლია-ჭურჩის (მდინარეების ჭურჩისა და ხობისწყლის ხეობების ზღვისპირა მონაკვეთებს შორის),

ნაბადასა (მდინარეების ხობისწყლის და რიონის ხეობების დასავლეთ მონაკვეთებს შორის) და იმნათის (მდინარეების რიონის და სუფსის ხეობების დასავლეთ მონაკვეთებს შორის) ბუნებრივ გეოგრაფიულ უბნებად. ეს ის ადგილებია, სადაც ჭარბტენიანი ეკოსისტემები ყველაზე უკეთ არის შემორჩენილი. ამას გარდა, ეროვნულ პარკში შედის მდინარეების – რიონსა და ჭურის შესართავებს შორის მდებარე ზღვის აკვატორია. ანაკლია-ჭურის უბნის ფართობი შეადგენს 13 713 ჰექტარს; ნაბადის უბნის სიდიდე 10 697 ჰექტარია, ხოლო იმნათის უბნის – 19 903 ჰექტარი.

კოლხეთის ეროვნული პარკის გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები განისაზღვრება საქართველოს კანონით „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ 09.12.1998. №1720 - 1ს. კანონის მე-8 მუხლის თანახმად, „კოლხეთის ეროვნული პარკი იქმნება ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობი არის 44599,8 ჰექტარი. აქედან ხმელეთის ფართობია 29323,8 ჰექტარი, ხოლო ზღვის აკვატორიისა – 15276 ჰექტარი. კოლხეთის ეროვნული პარკი იყოფა შემდეგ უბნებად: ა) ზღვის აკვატორიის უბანი; ბ) ანაკლია-ჭურის უბანი; გ) ნაბადას უბანი; დ) იმნათის უბანი.

ეროვნული პარკის უბნები ხუთი ადმინისტრაციული რაიონის – ზუგდიდის, ხობის, სენაკის, აბაშის და ლანჩხუთის ტერიტორიაზეა განლაგებული და საქართველოს ორი ისტორიული მხარის - სამეგრელოსა და გურიის ნაწილია. ეროვნული პარკი კოლხეთის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ეკოსისტემების დაცვისა და შენარჩუნების მიზნითაა შექმნილი.

კოლხეთის ეროვნული პარკის დებულებით განსაზღვრულია მისი ძირითადი მიზნები და ამოცანები [კოლხეთის ეროვნული პარკის დებულება 2011.23.07]:

ა) ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად ბიოლოგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული, კოლხეთის ბუნებრივი ან სახეცვლილი ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვისა და აღდგენის უზრუნველყოფა; ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, განსაკუთრებით - საფრთხის წინაშე მყოფ მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდის დაცვა, აღდგენა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება; მიწის, წყლის, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს (მათ შორის ტყეების) და სხვა ბუნებრივი რესურსების მოვლა, დაცვა და აღდგენა; მიმდებარე სანაპირო ზოლში ეკოლოგიური წონასწორობის შესანარჩუნებლად 5 საზღვაო მილის სიგანის ზღვის აკვატორიის დაცვა; წლის ობიექტების ბუნებრივი ბიოეკოლოგიური რეჟიმის დაცვა და მონიტორინგის განხორციელება;

ბ) ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მისი ზონირების შესაბამისი დაცვის დიფერენცირებული რეჟიმის განხორციელება;

გ) ეროვნული პარკის ფარგლებში მდებარე ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა;

დ) რეგულირებული ტურიზმის და ორგანიზებული რეკრეაციის მდგრადი განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა, ტურისტთა მოზიდვა და ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მათი მომსახურების უზრუნველყოფა;

ე) ეკოლოგიური მონიტორინგის განხორციელება და საჭიროებისამებრ ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ვ) ეკოლოგიურ-სავანმანათლებლო და ეკოლოგიურ-საინფორმაციო საქმიანობა;

ზ) საჭიროებისამებრ, ადამიანის საქმიანობის ან სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ბუნებრივი ობიექტების და ისტორიულ-კულტურული ძეგლების აღდგენის უზრუნველყოფა;

თ) აკადემიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელშეწყობა, შესაბამისი პირობების შექმნა და შედეგებისდაგვარად წარმართვა;

ი) პერსონალის სისტემატური სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა.

კ) ეროვნული პარკის ფარგლებში არსებული შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობა.

ლ) სატრანსპორტო საშუალებების, ტექნიკური მოწყობილობების, ინვენტარისა და სხვ. შეძენისა და ექსპლუატაციის საკითხების მოწესრიგება.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლხეთის ეროვნული პარკის ჭარბტენიანი ეკოსისტემები სხვადასხვა კატეგორიის ვიზიტორთათვის საინტერესო და მიმზიდველი ობიექტია. ჭარბტენიანი ლანდშაფტების ერთობლიობა ქმნის ულამაზეს პეიზაჟს, რომელსაც იშვიათად თუ მოეძებნება ბადალი შავი ზღვის მთელ სანაპიროზე.

კოლხეთის ეროვნულ პარკს ეკოტურიზმისთვის საკმაოდ კარგი პერსპექტივები აქვს. მასიური მიგრაციის პერიოდში აქ მრავალ იშვიათ ფრინველზე დაკვირვება შესაძლებელია. Birdwatching-ის სახელით ცნობილი ტურიზმის ეს ფორმა დასავლეთის ქვეყნებში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. საქართველოს და, მით უმეტეს, ორნითოლოგიურად მდიდარ კოლხეთს ფრინველთა თვალთვალის მოყვარულთათვის ბევრი საინტერესო შესვდრის შეთავაზება შეუძლია. პარკის ტერიტორიაზე ტურისტებისთვის მოწყობილია ფრინველთა სათვალთვალ კომპლექსები.

ეროვნული პარკის ადმინისტრაცია დამთავალიერებელს რამდენიმე დაუვიწყარ სანაოსნო მარშრუტს სთავაზობს. სანაპირო ღიუნების და იმნათის ტორფნარის გასწვრივ შემუშავებულია ფეხით სავალი მარშრუტებიც, მაგრამ ჭარბტენიანი ტერიტორიების დათვალთვალის საუკეთესო საშუალებად მაინც მოტორიანი კატარლები რჩება. თუკი ანაკლიის მახლობლად ჭურის შავ ზღვასთან შესართავში ნავში მოთავსდებით და მდინარეს აღმა აუყვებით ან იმნათ-პალიასტომის გავლით მდინარე ფიხორის კალაპოტში შეხვალთ, მრავალ ძლიერ შთაბეჭდილებას მიიღებთ – აქაურ რელიქტურ ტყეებში მიმავალი მდინარის ყოველი მოსახვევი ახალ-ახალ სიურპრიზებს და ფრინველთა იშვიათ სახეობებთან შეხვედრას გიქადით. დღეს ეკოტურიზმი გამოდის როგორც ალტერნატივა ისეთი დარგებისათვის, რომლებიც ზიანს აყენებს ბუნებას (ნადირობა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, ტყის დამზადება და სხვა). ეკოტურიზმისათვის მნიშვნელოვანია მოგზაურთა რაოდენობა და მათი მოტივაცია, მაგრამ ეს ფაქტორები არ არის გადამწყვეტი. ეკოტურიზმის შედეგი უნდა გახდეს არა მარტო ახალი ინფორმაციის მიღება და გარემოს სილამაზით ტკობა, არამედ ბუნებისადმი დამოკიდებულებების შეცვლა გამოყენებითიდან მის მოვლაზე, ამას გარდა ის უნდა გულისხმობდეს გარემოს დაცვის გაუმჯობესებას.

ეკოტურიზმის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ ის სტიმულს აძლევს და აკმაყოფილებს ბუნებასთან ურთიერთობის სურვილს, აღმოფხვრის ნეგატიურ ზემოქმედებას ბუნებაზე და კულტურაზე, ტუროპერატორებსა და ტურისტებში აღვიძებს სურვილს, მხარი დაუჭირონ ბუნების დაცვასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

კოლხეთის ჭარბტენიანი ტყეები 2007 წლიდან შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კანდიდატთა სიაში, როგორც გეოლოგიურ წარსულში არსებული ვრცელი სუბტროპიკული არეალების უკანასკნელი ნაშთი. აღნიშნული ტერიტორია უნიკალურია თავისი ბიომრავალფეროვნებით, ჭარბტენიანი არეალებისა და ტყის ეკოსისტემების გამო. აღსანიშნავია, რომ მეტ-ნაკლებად მსგავსი ეკოსისტემა მთელ დედამიწაზე მხოლოდ ჩინეთში, მანჯურიის ტერიტორიაზე და იაპონიაში გვხვდება. საქართველო გასული საუკუნის 90-იან წლებში შეუერთდა ე.წ. რამსარის კონვენციას, რომელიც შეეხება წყალჭარბი ტერიტორიების, განსაკუთრებით კი – წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგის არეალებს და გულისხმობს მათ დაცვას, მდგრად გამოყენებას და ამისთვის საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფას. ჩვენს ქვეყანაში ამ კრიტერიუმებს მხოლოდ კოლხეთის ჭარბტენიანი არეალები აკმაყოფილებს, საგულისხმოა, რომ კონვენციის ხელმძღვანელი მხარეები ვალდებულებას იღებენ, შეინარჩუნონ ამ ტერიტორიების ეკოლოგიური ხასიათი.

კოლხეთის დაბლობის ფარგლებში შემორჩენილი ბუნებრივი ჭაობური ლანდშაფტები განუმეორებელია თავისებურებებით და სილამაზით, მნახველში იწვევს სიცოცხლით სავსე უმშვენიერესი ოაზისის შეგრძნებას, რომელსაც შავი ზღვის მთელ სანაპიროზე იშვიათად მოეპოვება ბადალი. ამ ლანდშაფტების მნიშვნელობა ბევრად სცილდება საქართველოს ფარგლებს, რისი დასტურიცაა ის დაინტერესება, რასაც იჩენენ მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი, გარემოს გლობალური ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვა. ეს ორგანიზაციები დაინტერესებულნი არიან კოლხეთში ბუნებრივი სახით შემორჩენილი ჭაობების და ჭარბტენიანი ეკოსისტემების გადარჩენით და ამ საქმის განხორციელებაში დახმარებას უწევენ საქართველოს. სწორედ ამ ორგანიზაციების დახმარებით 1999 წელს შეიქმნა კოლხეთის ეროვნული პარკი.

ეროვნული პარკის ჭარბტენიანი ეკოსისტემები სხვადასხვა კატეგორიის ვიზიტორთათვის საინტერესო და მიმზიდველი ობიექტია. ჭარბტენიანი ლანდშაფტების ერთობლიობა ქმნის ულამაზეს პეიზაჟს, რომელსაც იშვიათად თუ მოეძებნება ბადალი შავი ზღვის მთელ სანაპიროზე.

ტურისტების მოსაზიდად დასავლეთ საქართველოში, გურიასა და სამეგრელოს შორის მდებარეობს ერთი უნიკალური ტბა – პალიასტომი, რომელიც ბერძნულად ზღვის

ძველ უბეს ნიშნავს. 1924 წლამდე ის მტკნარი წყლით იყო სავსე. იშვიათი შემთხვევაა, როცა ზღვასთან ასე ახლოს მტკნარი წყლის ესოდენ დიდი ტბა იყოს სადმე. ამ წელს, სპეციალურად გათხრილი არხის წყალობით, პალიასტომი ზღვას შეუერთეს. ხოლო დიდი დელეების და ზვირთების შედეგად არხი გაფართოვდა და ის უკვე დიდი სრუტით უკავშირდება ზღვას. წყალიც მარილიანი გახდა. სარკის ფართობია 18,2 კმ, აუზის ფართობი – 547 კმ, მაქსიმალური სიღრმე – 3,2, საშუალო სიღრმე – 2,6 მ. წყლის მოცულობა 52 მლნ მ. საზრდოობს წვიმის წყლითა და შენაკადებით. მასში ჩაედინება მდ. ფინორა, ხოლო გამოედინება მდინარე კაპარჭინა.

პალიასტომის ტბა ერთ-ერთი რეალური კანდიდატია იმ ადგილებს შორის, რომლებსაც საქართველოში ტურიზმის განვითარებაში შეუძლია შეიტანოს წვლილი. რომ არაფერი ვთქვათ მის უნიკალურ ხედებსა და პეიზაჟებზე, აქ გადამფრენ ფრინველებზე თვალთვალისთვისაც უნიკალური ადგილებია. პალიასტომის ტბა ახლომდებარე ჭაობებთან, დაჭაობებულ ტყეებსა და შავი ზღვის აკვატორიასთან ერთად ევროპიდან ევრაზიისკენ და პირიქით, გადამფრენი ფრინველების ერთ-ერთი ძირითადი გასაჩერებელი და დასაზამთრებელი ადგილი იყო. დღევანდელ მსოფლიოში ფრინველებით დაინტერესება იმდენად დიდია, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩამოყალიბდა ტურიზმის ცალკე სახეობა – "ბორდვოჩინგი" (ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს ფრინველებზე თვალთვალს. თავად ტურისტი კი – ბორდვოჩერი, ანუ ფრინველებზე მოთვალთვალეს). მტაცებელი ფრინველების მიმართ სულ უფრო და უფრო მზარდი ინტერესის გამო, სამიგრაციო ძაბრები და ისეთი ადგილები, სადაც ფრინველების დიდი მრავალფეროვნებაა იზიდავს მრავალ ეკოტურისტს და სპეციალისტს. ყოველივე ამას კი გარკვეული შემოსავალი მოაქვს მოსახლეობის ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად. საქართველოს, კერძოდ კი პალიასტომის ტბას, ყველანაირი პირობები გააჩნია ასეთი ტურიზმის გასავითარებლად. მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს ინფრასტრუქტურული და ეკოლოგიური პრობლემები.

ეროვნულ პარკში ტურიზმისა და რეკრეაციის განვითარება გულისხმობს უწყვეტ აქტიურ საქმიანობას ტურისტთა და რეკრეანტთა ნაკადების მოსაზიდად და რეგულირებული ტურიზმის/რეკრეაციისათვის ისეთი მდგრადი პირობებისა და სისტემის შექმნას, რაც გამორიცხავს ეროვნული პარკის ბუნებრივი ეკოსისტემების, ფლორისა და ფაუნისადმი ზიანის მიყენებას. ყოველივე ეს მოითხოვს ტურიზმის მენეჯმენტის გეგმისა და ვიზიტორთა პროგრამების შემუშავებას.

ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ტურიზმი და რეკრეაცია ვითარდება მენეჯმენტის გეგმის ვიზიტორთა პროგრამის შესაბამისად. ეროვნული პარკის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საქართველოსა და საერთაშორისო შესაბამის (უპირატესად – ეკოტურისტულ) ორგანიზაციებსა და უწყებებთან მყარი, ეფექტიანი კონტაქტების ჩამოყალიბებას და განვითარებას.

ეროვნულ პარკებს გააჩნია ეკოტურიზმის განვითარების უდიდესი პოტენციალი, რომელთა ძირითად მიზანს, ეკოსისტემის დაცვასთან ერთად, წარმოადგენს ადამიანებში ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბება. ეკოტურიზმის რესურსებს წარმოადგენს აგრეთვე მატერიალური და არამატერიალური კულტურული ობიექტები, აღსანიშნავია, რომ ეკოტურიზმის რესურსებს მიეკუთვნება აგრეთვე ისტორიულ-კულტურული ძეგლები, რომლებიც განლაგებულია განსაკუთრებით დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე ან მის ირგვლივ ტურისტული ხელმისაწვდომობის ფარგლებში.

ეროვნული პარკების და დაცული ტერიტორიების ზონებს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ეკოტურიზმის მდგრად განვითარებაში შემდეგი მიზეზების გამო:

- დაცულ ტერიტორიებს შეუძლია თავის თავზე აიღოს ეკოტურიზმის საქმიანობის დაგეგმვის, მართვისა და მონიტორინგის ფუნქციები;
- ეკოტურიზმი არის ეკოლოგიური განათლების ეფექტური საშუალება და ხელს უწყობს ადამიანთა ყურადღების მიმართვას ბუნების დაცვისაკენ;
- დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკების ქსელი მოიცავს უნიკალურ ლანდშაფტებს, რომლებიც არ არის შეცვლილი ადამიანის ზემოქმედების შედეგად;
- ეროვნული პარკები მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში;
- ეკოტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, უზრუნველყოფს საერთაშორისო ყურადღებისა და ინვესტიციების მოზიდვას, აგრეთვე ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს.



კოლხეთი მხოლოდ მიმზიდველი გეოგრაფიული ადგილი არ არის, დიდია მისი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობაც. კოლხიდა, ეგრისი, ლაზიკა – სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხალხის მატანიეებში ამ სახელებით მოხსენიებული ტერიტორია საქართველოს კულტურისა და სახელმწიფოებრიობის აკვანია. ნეოლითის ხანიდან ადამიანის მიერ უკვე კარგად ათვისებულ კოლხეთში არქეოლოგიური არტეფაქტებით მდიდარი არაერთი ძეგლია აღმოჩენილი. ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის ბოლოს სწორედ აქ შეიქმნა ქართველურ ტომთა ერთ-ერთი პირველი ქართული ფულიც – კოლხური თეთრი.

კოლხეთის დაბლობში მრავლადაა ქრისტიანული თუ ქრისტიანობამდელი ძეგლები და ნამოსახლარები. ადამიანები აქ უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ. შავი ზღვის სანაპირო ზოლი თავისი პორტებითა და კურორტებით კოლხეთის დაბლობს დასავლეთიდან გასდევს და ჩვენი ქვეყნისთვის ამ ტერიტორიის მნიშვნელობას ფასდაუდებელს ხდის, მაგრამ კოლხეთს კიდევ აქვს ერთი სიმდიდრე, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, მას მსოფლიო მნიშვნელობებს ანიჭებს. ეს ჭაობებია – ჭარბტენიანი ნიადაგები, რომელთაც დაბლობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია, რომელზეც ადამიანს არასოდეს უცხოვრია და რომელიც მხოლოდ ამ თავისებურ ეკოსისტემას შეგუებულ ნადირ-ფრინველთა საბინადროდაა ვარგისი. კოლხეთის დაბლობს სხვა საერთაშორისო მნიშვნელობაც აქვს. ამ ტერიტორიაზე ფრინველების ყოველწლიური მიგრაციის მარშუტი გადის შემოდგომით ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, ხოლო გაზაფხულზე თბილი ქვეყნებიდან თავიანთი ბუდობის ადგილებისკენ მილიონობით ფრინველისათვის, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროს მიუყვებიან. დაუსახლებელი ჭაობები დასვენების და შორეულ გადაფრენებს შორის სულის მოთქმის მშვენიერ ადგილს წარმოადგენს. უფრო სამხრეთით წასვლა მათ აღარ სჭირდებათ, აქაურ ჭაობებში ზამთრის გადატანისთვის საჭირო ყველა პირობაა. აქედან გამომდინარე, ეროვნული პარკის ვიზიტორთა პროგრამის ინფრასტრუქტურას ძირითადად შეადგენს:

ა) ეროვნული პარკის შესასვლელი (დასასვენებელი ადგილებით, საინფორმაციო დაფებით, ჯიხურებით და სხვა); ბ) ტურისტული ბილიკები; გ) ტურისტთა თავშესაფრები; დ) ვიზიტორთა ცენტრები; ე) სათვალთვალო კოშკები. კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრი მდებარეობს ქ. ფოთში, მალთაყვის უბანი, გურიის ქ. 222. [<https://ekofact.com>]

კოლხეთის ეროვნული პარკი ვიზიტორებს 3 სანაოსნო მარშრუტზე სხვადასხვა ტიპის ნაგებობების გარდა ფრინველებზე დაკვირვებისა და ეკოსაგანმანათლებლო ტურებსაც სთავაზობს. ტურები ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში. ფრინველებზე დაკვირვებისათვის საუკეთესო პერიოდია ადრეული გაზაფხული და გვიანი შემოდგომა.

კოლხეთის ეროვნულ პარკში ვიზიტს უფრო საინტერესოს ხდის მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული არქეოლოგიური და კულტურის ძეგლების მონახულება. ლაზიკის ძველი დედაქალაქი არქეოპოლისი და კოლხეთის ქრისტიანული ძეგლები – შუა საუკუნეების წარწერებითა და ფრესკებით მდიდარი მარტვილის სამონასტრო კომპლექსი, ხობის მონასტერი, ცაიშის, კორცხელის და გულეველის ეკლესიები ეროვნული პარკის სიახლოვეს მდებარეობს. ასევე საინტერესოა ზუგდიდში დადიანების ევროპული სახლ-მუზეუმი და იქ დაცული უნიკალური ექსპონატები.

ადგილობრივ ტერიტორიაზე ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორცაა: 1. იმ ბუნებრივი ობიექტებისა და ტერიტორიების განსაზღვრა, რომლებიც ტურისტებისათვის ინტერესის სფეროს წარმოადგენს; 2. ისეთი ტურისტული პროგრამების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს ბუნებრივ კომპლექსებზე ტურისტთა მინიმალურ ზემოქმედებას და ზედმეტად არ ზღუდავს ტურისტთა შესაძლებლობებს; 3. ადგილობრივი მცხოვრებლების ეკონომიკური კეთილდღეობის მხარდაჭერა, რაც სტიმულს აძლევს ადგილობრივ მოსახლეობას, დაიცვან რეგიონული ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა; 4. ტურისტული მომსახურების სფეროს განვითარება საერთაშორისო ტურისტების მოზიდვის მიზნით და ეკოტურიზმის სფეროში ეფექტური მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავება.

## დასკვნა

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება: ტურიზმი თანამედროვე ეკონომიკის მზარდი და დინამიური დარგია; მდგრადი ტურიზმი ხელს უწყობს ისეთი წინააღმდეგობების აღმოფხვრას, როგორცაა ბუნებრივი გარემო პირობების

დაცვისა და ადგილობრივი მოსახლეობის მეურნეობის განვითარების უზრუნველყოფის მიზნების შეუთანხმებლობა.

დაცული ტერიტორიების ძირითადი ფუნქციაა ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა, მაგრამ თანამედროვე პირობებში მათ სხვა მრავალი ფუნქციაც აკისრია, მათ შორის: ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი კი არის ეკოტურიზმის განვითარება.

ჩვენ განვიხილეთ ეკოტურიზმი განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი ტერიტორიის ფარგლებში; კერძოდ, კოლხეთის ეროვნული პარკის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები; ეროვნულ პარკში ტურიზმისა და რეკრეაციის განვითარება გულისხმობს უწყვეტ აქტიურ საქმიანობას ტურისტთა და რეკრეანტთა ნაკადების მოსახიდად და რეგულირებული ტურიზმის/რეკრეაციისათვის ისეთი მდგრადი პირობებისა და სისტემის შექმნას, რაც გამორიცხავს ეროვნული პარკის ბუნებრივი ეკოსისტემების, ფლორისა და ფაუნისადმი ზიანის მიყენებას. ყოველივე ეს მოითხოვს ტურიზმის მენეჯმენტის გეგმისა და ვიზიტორთა პროგრამების შემუშავებას. კოლხეთის ეროვნული პარკის ტურიზმის განვითარების ძირითადი ტენდენციებია: სანაოსნო მარშრუტზე სხვადასხვა ტიპის ნაგებობთ გასეირნება, ფრინველებზე დაკვირვება და ეკოსაგანმანათლებლო ტურები.

დღევანდელ საქართველოში ეკოტურიზმი არ წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გარანტს. ამ სიტუაციიდან გამოსავალი შეიძლება იყოს ეკოვიდების მომზადება ადგილობრივი მცხოვრებლებიდან, დაინტერესებული პირების მეთოდური მომზადება, მათი პრაქტიკული სწავლება, საინფორმაციო მასალებით უზრუნველყოფა, რეკლამის განხორციელება საქართველოს შიგნით და საზღვარგარეთ, მათ შორის ინტერნეტრესურსების მეშვეობით.

ამრიგად, საქართველოში არსებობს ისეთი რეკრეაციული რესურსები, რომელსაც შეუძლია ეკოტურიზმი მიიყვანოს განვითარების ისეთ დონემდე, რომელიც საშუალებას მოგვცემს კომპლექსურად და მაქსიმალური მოგებით გამოვიყენოთ მათი შესაძლებლობანი. ეკოტურიზმში მნიშვნელობა აქვს არა მარტო რეკრეაციულ რესურსებს, არამედ გეოგრაფიულ მდებარეობასაც, ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობას, ღირსშესანიშნაობების თავისთავადობას, ბუნებრივ პირობებს, ტურისტულ ცენტრებს და ზონებს. საქართველო უნიკალური ქვეყანაა, რომელსაც ტურიზმში განუსაზღვრელი შესაძლებლობები აქვს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მეტრეველი მარინა, „ტურიზმი და გარემოს დაცვა (ეკოტურიზმის საფუძვლები), თბილისი, გამომცემლობა შპს „ფორმა“, 2008.
2. ბლიაძე მაია, რა არის ეკოტურიზმი? ელექტრონული სტატია, <http://mastsavlebeli.ge/?p=1084>
3. გოგელია მამუკა, ცეცხლაძე ცირა, „ტურიზმის გავლენა ბუნებაზე“, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, მაისი-ივნისი, თბილისი, 2012.
4. „კოლხეთის ეროვნული პარკის“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ბრძანება № 5ა/12 2001 წლის 23 ივლისი ქ. თბილისი.
5. საქართველოს კანონი „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“, 1998 წლის 9 დეკემბერი.
6. საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ, 1996 წ. 7 მარტი №136 – III;
7. The Encyclopedia of Ecotourism by David B. Weaver (Editor), 2001, 688 p.
8. <http://www.apa.gov.ge>
9. <https://ekofact.com>

*Lali Kharbedia  
Mariam Kharbedia*

### THE IMPORTANCE OF THE KOLKHETI NATIONAL PARK FOR THE DEVELOPMENT OF ECOTOURISM

#### Summary

Directions of Georgia's economic development are basically determined by its geographical location, which is connected with the function of our country a link between Europe and Asia. Lots of countries in the

world know Georgia from this point, but geographical location, different nature and climate revealed the country's tourist potential. Georgia's government worked out the strategy of the development of tourism and now it is recognized as the priority field of economics.

In Modern world especially essential is the conception of sustainable development. Sustainable tourism helps to agree the affairs of environmental protection and farming of local population aims for the development of farming.

Sustainable tourism means development of ecotourism that is one of the prerequisite of existence of protected areas and natural heritage.

Georgia is famous for its many protected areas and various natural heritage. We must mention Kolkheti national park as one of the remarkable protected territory.

The goal of our work is to discuss the very Kolkheti national park and to advance its importance in the development of ecotourism.

In the work is discussed how to create protected areas and the questions of management, geographical features of Kolkheti national park and its recreational potential.

It is mentioned that generally national park is created to protect national ecosystem and for the aim of existing biodiversity conservation.

At the same time, the National park plays an important role in the development of ecotourism especially in the popularization of Georgia's national and cultural heritage at the international level.

The conclusion is as follows: There are such recreational resources in Georgia, which can bring ecotourism to such level, which in complex will give us chance to use their opportunities with maximal benefit.

In ecotourism is important not only recreational resources but geographical location, historical and cultural heritage, original sightseeings natural conditions, tourist centers and zones.

Georgia is an unique country that has the widest opportunities in tourism.

**Keywords:** sustainable development, ecotourism, protected areas, national park.

მადონა ხუსკივაძე  
ვასილ წიქვაძე

## ხისღამმუშავებელ მრეწველობაში მიღებული მერქნული ნარჩენები – როგორც პერსპექტიული ბიზნესი

**ანოტაცია.** სტატიაში განხილულია ხისღამმუშავებელ მრეწველობაში მიღებული მერქნული ნარჩენების სახეები და მათი კლასიფიკაცია. მერქნის დამუშავების და გადამუშავების პროცესი ნებისმიერ წარმოებაში დაკავშირებულია დიდი რაოდენობის ნარჩენების მიღებასთან, რაც საშუალებას იძლევა მერქნის ღრმა დამუშავებას შევხედოთ, არა უბრალოდ, როგორც გარემოზე მზრუნველობის ფაქტორს, არამედ როგორც პერსპექტიულ ბიზნესს. ნახევრებია მერქნული ნარჩენების რაციონალური გამოყენების გზები და პროდუქციის ფართო არჩევანი.

**საკვანძო სიტყვები:** მერქნული ნარჩენები, ნარჩენების მართვა, მცირე ბიზნესი, მეორადი ნედლეული.

### შესავალი

დღემიწახე გამუდმებით იზრდება პროდუქციისა და მომსახურების წარმოება, ასევე პარალელურად იზრდება მათი მოხმარების რაოდენობაც. შედეგად, ჩვენს პლანეტაზე წარმოიქმნა ნარჩენების ისეთი უზარმაზარი რაოდენობა, რამაც მრავალ ქვეყანაში “ნარჩენების კრიზისი” გამოიწვია. მსოფლიოში არ დარჩა არც ერთი ქვეყანა, ნარჩენებთან დაკავშირებული პრობლემები რომ არ ჰქონდეს. ზოგიერთი პრობლემა მხოლოდ კონკრეტული ტერიტორიისთვის არის განსაკუთრებული და დამახასიათებელი, ხოლო პრობლემათაგან უმრავლესი კი ყველა ქვეყნისათვის საერთოა. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები უკვე მრავალი წელია ცდილობენ ნარჩენების პრობლემის გადაწყვეტას და ნარჩენების მართვის სფეროში მუდმივად ახალ ტექნოლოგიებს გეთავაზობენ.

ნარჩენების სწორი მართვა საკმაოდ რთული პროცესია და მთავრობისა და მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართვას მოითხოვს. თანამედროვე მსოფლიოში ნარჩენების მართვის სხვადასხვა წარმატებული სქემა არსებობს, თუმცა არსებობს საკითხები, რომლებსაც თითქმის ყველა სქემა ითვალისწინებს. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია შემუშავდეს ნარჩენების მართვის ეფექტური გეგმა. რომელიც, თავის მხრივ, სამოქმედო

გეგმისაგან შედგება და რამდენიმე ეტაპს მოიცავს. ნარჩენების მართვის გეგმის სწორად შემუშავებაზე დამოკიდებული შემდგომში ნარჩენების მდგრადი მართვა.

ადამიანის სამეურნეო საქმიანობაში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი დარგი იყო და არის ხის დამუშავება. მერქნის დამუშავების და გადამამუშავების პროცესი ნებისმიერ წარმოებაში დაკავშირებულია დიდი რაოდენობის ნარჩენების მიღებასთან, რაც საშუალებას იძლევა მერქნის ღრმა დამუშავებას შევხედოთ არა უბრალოდ, როგორც გარემოზე მზრუნველობის ფაქტორს, არამედ როგორც პერსპექტიულ ბიზნესს. მერქნული ნარჩენების გადამამუშავება შემოსავლიანი და სასარგებლო საქმეა. ეს ბიზნესი ერთდერთი აქტუალური ბიზნესია, გამოირჩევა კონკურენციის დაბალი დონით და გასაღების არსების მოძიების სიმარტივით.

პირველი სტადიიდან დაწყებული დ ტყის მოჭრა და ტოტების მოცილებიდან დ მერქნის დამუშავებით დამთავრებული, პროცესს თან ახლავს მერქნის ნაწილის ნარჩენები, რომელთა შემდგომი გამოყენება წარმოებაში აღარ ხდება.

ნარჩენების მოცულობა გაზომვითია მიღებული პროდუქციის მოცულობასთან მიმართებით, ზოგჯერ ნარჩენის მოცულობა კიდევაც აჭარბებს პროდუქციის მოცულობას. ხის მოჭრისას და მისი ტყიდან გამოტანისას მერქნული მასალის დაახლოებით 20% წარმოადგენს ნარჩენს დ ტოტების, ჯირკების, ფესვების სახით, და გამოტანილი მერქნის დაახლოებით 20% შეადგენს არასაქმიან მერქანს (შეშა). ხის სახერხ წარმოებაში ნარჩენების რაოდენობა შეადგენს 35დ42%. ავეჯის წარმოებაში შემოტანილი დახერხილი მასალის ნარჩენების რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 53დ65% ფანერის გამომამუშავებისას ნარჩენი შეადგენს 52დ54%დს. ახილი შპონის მიღებისას დ 30დ45% [7].

მერქნული ნარჩენები ფასეული მეორადი ნედლეულია სხვადასხვა სახის მასალის, ნაკეთობის, პროდუქციის წარმოებისთვის .

**ნარჩენების კლასიფიკაცია.** მერქნული ნარჩენების კლასიფიკაცია შეიძლება მოვახდინოთ მერქნის დამუშავების სახეების და ეტაპების მიხედვით. სახეების მიხედვით ყველა ნარჩენი იყოფა:

- მყარი (ფიცრის ჩამონატრები, რეიკები, მორები, ტოტები, წვეროები, ნაფოტი, ჯირკები, ფესვები)
  - რბილი (ბურბუშელა, ნახერხი, მერქნის მტვერი, ქერქი, ფოთლები, წიწვები) .
- მერქნის დამუშავების ეტაპების მიხედვით ნარჩენები იყოფა:
- მერქნის დამზადებასთან დაკავშირებული ნარჩენები დ ტოტები, წვეროები, ჯირკები, ფესვები, ქერქი (ნაწილობრივ), ჩამონატრები, არასაქმიანი მერქანი;
  - მერქნის პირველადი გადამამუშავების ხის სახერხში, ფანერის წარმოებაში დ პატარა მორები, ჩამონატრები, ბურბუშელა, ნახერხი, ქერქი, ნაფოტი;
  - მერქნის მეორადი დამუშავების ავეჯის წარმოებაში დ ჩამონატრები, ბურბუშელა, ნახერხი.

**ნარჩენების წარმოქმნის მიზეზები.** ნარჩენები წარმოიქმნება შემდეგი მიზეზებით: ხეების აღმოცენების ბიოლოგიურ თავისებურებებთან დაკავშირებით (ფოთლები, წიწვები, ტოტები, წვეროები, ჯირკები, ფესვები, ქერქი);

- მრგვალი ფორმიდან (მორები, რეიკები) მართკუთხა კვეთით მიღებული მასალების შედეგად;
- ღეროს არასწორი ფორმის შედეგად – (ოვალურობა, ნახეთქები);
- მერქნის მანკების შედეგად – როკები, ნახეთქები;
- მერქნის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესის არასრულყოფილება – (ნახერხი, ბურბუშელა, გადანატრელები).

ყველა სახის წარმოებაში მერქნის დამუშავებისა და გადამამუშავებისას ნარჩენების გარდა მიიღება არადაბრუნებადი დანაკარგები მერქნის შრობის პროცესისას (6%) [8].

### ნარჩენების გამოყენება

მერქნული ნარჩენები წარმოადგენს მეორად ნედლეულს, რომელთაც შეუძლია, ნაწილობრივ ან მთლიანად ჩაანაცვლოს პირველადი ნედლეული წარმოებებში, რომლებიც აწარმოებენ მერქანბურბუშელოვან და მერქანბოჭკოვან ფილებს, მერქნისდამამუშავებელ წარმოებებში, ცელულოზა-ქაღალდის, სამშენებლო მასალების საწარმოებში. ნარჩენე-

ბიდან საბოლოო პროდუქცია შეიძლება მიღებული იყოს მექანიკური დამუშავებით, ქიმიური, მიკრობიოლოგიური და ენერგოქიმიური გადამუშავებით.

მსხვილი ნაჭრების ფორმის ნარჩენის გამოყენება შეიძლება მცირე ზომის პროდუქციის, ფართო მოხმარების საგნების საწარმოებლად, ტარისათვის, სათამაშოებისათვის, უმარტივესი ავეჯის საწარმოებლად (საკიდეები, თაროები, ყუთები, მცირე ზომის კარადები). ასობით დასახელების მცირე ზომის ნაკეთობის დამზადება შეიძლება ნაჭრების ფორმის ნარჩენებით.

წიწვები და ფოთლები წარმოადგენს ფასეულ ნედლეულს წიწვოვითამინური ფქვილის საწარმოებლად, რომელიც გამოიყენება, როგორც დანამატი ცხოველთა და თევზების კვების რაციონში, ეთერზეთების წარმოებაში, წიწვოვანების სამკურნალო ექსტრაქტებში, ქლოროფილ-კაროტინულ პასტებში, რომელიც გამოიყენება როგორც სამკურნალო, ასევე კოსმეტიკური პროდუქციის დამზადებაში. [СафинР.Г....2013]

ტყის ჭრის შედეგად მიღებული ნარჩენები გამოიყენება მისი გადამუშავებით ხის ნახშირის მისაღებად, რომელიც, თავის მხრივ, გამოიყენება მრეწველობაში.

ბურბუშელა და ნახერხი გამოიყენება სხვადასხვა სამშენებლო მასალების საწარმოებლად, აგრეთვე ქიმიურ და ჰიდროლიზურ წარმოებაში როგორც ნედლეული.

სამშენებლო წარმოებაში მიღებული მერქნული ნარჩენები გამოიყენება სახალხო მეურნეობაში საჭირო მრავალი მასალის მისაღებად:

არბოლიტი - ეს არის ფილოვანი მასალა, რომელიც დამზადებულია ცემენტის ან თაბაშირისა და მერქნული შემავსებლებისაგან ნაფოტის სახით. ის გამოიყენება მშენებლობაში როგორც კონსტრუქციულდობოიზოლაციური მასალა. შემავსებელს წარმოადგენს ნაფოტი და დაქუცმაცებული ზომით 2x2x0,5მმ-დან 20x5x5 მმმდე. თერმოიზოლაციური არბოლიტის სიმკვრივეა 0,5-0,6 გ/სმ<sup>3</sup>, კონსტრუქციულადთერმოიზოლაციურის 0,65-0,7გ/სმ<sup>3</sup>. არბოლიტის მიღება ხდება ფორმებში ჩამოსხმის საშუალებით [7].

მინამერქნული პანელები გამოიყენება როგორც გადამღობი ძირითადი მასალა. პანელი შედგება ხის ჩარჩოსაგან, რომელიც შემოსაზღვრულია ორივე მხრიდან მერქანბოჭკოვანი ფილით. შუა ადგილი კი შევსებულია მინა მერქნული მასით (ნაფოტი და დამაკავშირებელიდ სილიკატური პასტა). შემავსებლის სიმკვრივე 0,35-0,45 გ/სმ<sup>3</sup> [7].

ნახერხბეტონი - ეს არის ბეტონი ფორმებში ჩასასხმელად. მის შემადგენლობაში შემავსებლის სახით სილის გარდა შედის ნახერხი. ის განკუთვნილია ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლების, ცხოველთა ფერმების, ავტოფარეხების, ფარდულების, სახელოსნოების კედლების დასამზადებლად. მისი სიმკვრივე 0,95-დან 1,25 გ/სმ<sup>3</sup>-მდეა [7].

მერქანბეტონი - ეს იგივეა, რაც ნახერხბეტონი, მინერალურ შემავსებლად სილის ნაცვლად გამოყენებულია წვრილმარცვლოვანი ხრეში. მისი სიმკვრივეა 0,95-1,2 გ/სმ<sup>3</sup>.

თაბაშირფილოვანი ბეტონი - ეს არის კედლების ბლოკები ზომით 500x x400x250მმ, დამზადებულია თაბაშირის, ნახერხის, ბურბუშელის ნარევით. მისი სიმკვრივეა 0,65-0,85 გ/სმ<sup>3</sup> [7].

ქსილოლიტი - ეს არის მასალა, რომელიც გამოიყენება იატაკების მოსაწყობად. მისი შემადგენლობა ასეთია: ნახერხი - კაუსტიკური მაგნეზიტი - ქლოროვანი მაგნიუმი. ფოლებს წნეხავენ წნევით 1,5-დან 7,5 მპა-მდე. მისი სიმკვრივეა 1,0-1,1 გ/სმ<sup>3</sup>.

მერქანნახერხის ფილები - ეს არის მასალა ზოლებისათვის. ის წარმოადგენს ნახერხის და ფისის ნარევს. დაწნეხილია 2-2,5 მპა წნევით. მისი სიმკვრივეა 0,5-0,8 გ/სმ<sup>3</sup> [7].

კოროლიტი - ქერქისა და როკებისაგან მზადდება. შემაკავშირების დამატებით ამზადებენ თბილ ბგერასაიზოლაციო მასალას [10].

ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები ხელს უწყობს რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ასევე ბუნებრივი რესურსების დაცვასა და შენარჩუნებას. მომავალი ეკუთვნის ისეთ წარმოებას, რომელიც ხასიათდება დაბალი ენერგო და მასალატევადობით. ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები მოიცავს ისეთ პროცესებს, რომელიც მიმართულია გარემოზე უარყოფითი გავლენის შემცირების და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ხელშეწყობისაკენ. ამ მიმართებით ყველაზე დიდ როლს, არატრადიციულ ენერგეტიკასთან ერთად, თამაშობს ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიები, რომლებიც ორიენტირებულია პროდუქციის ენერგოტევადობის შემცირებაზე და რასაც შედეგად მოჰყვება ენერგორესურსების რაციონალური გამოყენება და ბუნებაში გამოტყორცნილი მანვნივითიერებების რაოდენობის შემცირება [რ. აბესაძე. თსუდ...2018:18].

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა განვიხილოთ სათბობი ბრიკეტები დღეისათვის ყველაზე პერსპექტიულია და კარგ შედეგებს იძლევა ბრიკეტირება დ ახდენენ ნახერხის, ნაფოტის, ტოტების დაწნეხვას ბრიკეტების სახით. დამტკიცებულია, რომ მათი თბოგამტარობა უტოლდება ნახშირისას. მაგალითად, ქვა ნახშირის წვის პროცესში წარმოიქმნება 22მჯ/კგ, ხოლო მერქნული ბრიკეტების წვისას 19მჯ/კგ. ჩვეულებრივი შემთხვევაში იძლევა მხოლოდ 10 მჯ/კგ. აღსანიშნავია, რომ ბრიკეტების წვისას წარმოიქმნება გაცილებით მცირე რაოდენობის ნაცარი და გაზი CO<sub>2</sub>. [10]. ასეთი საწვავი წარმატებით გამოიყენება როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე სამეწარმეო მყარსაწვავიან ქვაბებშიც, საწვავის ავტომატიზებული მიწოდებით. დამზადებისას იყენებენ ფისებს ან ნავთობ პროდუქტებიდან მიღებულ შემთავსებლებს. აღსანიშნავია, რომ ასეთი საწვავის დაწვით მიღებული ნაცარი, თავის მხრივ, წარმოადგენს მერქნის გადამუშავებით მიღებულ პროდუქტს, რომელიც შესანიშნავი სასუქია [С.М.Репях 2001].

სათბობ ბრიკეტებს აქვს მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმა. შეიძლება მისი დამზადება აგრეთვე წვრილ ფრაქციებად დ გრანულებად. ერთი ტონა ბრიკეტირებული ან გრანულირებული ნედლეული მიიღება 7დ8 კუბური მეტრი ნახერხისაგან. რაც მთავარია, მიიღება პროდუქცია, რომლის გაყიდვის მინიმალური ღირებულებაა 80 ევრო ერთ ტონაზე და რენტაბელობა 50%-ზე მაღალია. ევროპის ქვეყნებში გრანულების ფასი 250 ევრომდე აღის ტონაზე [9].

მერქნის წვრილი ნარჩენები შეიძლება გადამუშავდეს მერქნულ ფქვილად, რომელიც წარმოადგენს შემთავსებელს ფენოპლასტის, ლინოლეუმის და სხვა პროდუქციის წარმოებისას.

რამდენადაც ტყის შენარჩუნება არა მარტო ცალკე აღებული რომელიმე ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს პრობლემაა, მიზანშეწონილია, დაინერგოს ნორმატივები მათ მოპყრობასა და გაყიდვაზე.

რაც შეეხება ქვეყანაში მერქნული ნარჩენების იმპორტირებას, ის ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ საქართველოს კანონით [2]. ნარჩენები, რომელთა იმპორტი დაშვებულია:

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (მისი ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შეღვისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით) დაშვებულია არასახიფათო (მათ შორის, არატოქსიკური) და არარადიაქტიური ნარჩენების იმპორტი მხოლოდ მათი შემდგომი გადამუშავების ან ნებისმიერი სხვა მიზნით, რომელსაც ითვალისწინებს ბაზელის კონვენციის მე-4 დანართით განსაზღვრული „ნარჩენებთან დაკავშირებულ განთავსების ოპერაციათა „B“ ჯგუფი“. ამ ნარჩენებში შედის ხის გადამუშავების (ბურბუშელა, ნახერხი) ნარჩენები. ეს ნარჩენები ევროგაერთიანების საბჭოს 1993 წლის Z259/93 დებულებით დადგენილი „ნარჩენების მწვანე სიით“ განსაზღვრულ ნარჩენების კატეგორიათა მიხედვით მიეკუთვნება: კატეგორია „GL“-ს (დაუმუშავებელი კორპისა და მერქნის ნარჩენები).

2. ნარჩენების იმპორტი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებს საქართველოსა და ექსპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობების მოთხოვნათა შორის უმკაცრესს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში მითითებული ნარჩენის საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტი დაიშვება მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული პირობებით [საქართველოს კანონი საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ] [3].

## დასკვნა

საქართველოში ხის დამამუშავებელი საქმიანობისას მიღებული ნარჩენების გადამუშავება და ათვისება წარმატებით შეუძლია მცირე ბიზნესის საწარმოებს, სადაც შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, რაც საშუალებას მისცემს ასობით ადამიანს დასაქმდეს. მასალის ხელმისაწვდომობა, მიმართულებების ფართო არჩევანი, მზა პროდუქციის გასაღების სიმარტივე - ყველაფერი ეს ხის დამამუშავებას მიმზიდველ საქმედ ხდის. ის არ მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებებს და ამგვარ პროდუქციაზე ყოველთვის მოიძებნება მყიდველი.

რაც შეეხება ნარჩენებით საწარმოების მომარაგებას, საქართველოში რამდენიმე ადგილას უნდა შეიქმნას მერქნული ნარჩენების ჰაბი, სადაც მოხდება მათი დახარისხება და შენახვა შემდგომი გამოყენებისათვის და საიდანაც მომარაგდებიან ის მცირე საწარმოები, რომლებიც იმუშავებენ მერქნული ნარჩენების შედგომ დამამუშავებასა და გადამამუშავებაზე.

მთელ მსოფლიოში მცირე ბიზნესის განვითარება ინოვაციური ეკონომიკის პროგრესის ფლაგმანს წარმოადგენს. დადასტურებულია, რომ ეკონომიკური ზრდის და ეკპდს ამაღლების არც ერთი ფაქტორი თავისი მნიშვნელობით ვერ შეედრება მცირე მეწარმეობის ზრდას, რომელიც იცავს და აფართოებს თავისუფალ კონკურენციას, წარმოადგენს საფუძველს არა მარტო მაკროეკონომიკური კეთილდღეობის, არამედ ქვეყნის ნაციონალური უსაფრთხოებისასაც [Мильнер Б.З.....2013.4].

ხისდამმუშავებელი ტექნოლოგიების განვითარების ევოლუციის პროცესში ავტომატიზებული მართვის დანერგვა და განვითარება მაქსიმალური მოგების ამოღების საშუალებას იძლევა. ნარჩენებთან დაკავშირებით მიდგომები უცვლელი დარჩა. მცირე საწარმოების უმეტესობას არ აქვთ სურვილი, თავიანთი ფული დახარჯონ ნარჩენების გადამმუშაებისა და შემდგომი გამოყენების ტექნოლოგიური სქემების განვითარებაზე.

მცირე ბიზნესი მოითხოვს არა წვრილმან მზრუნველობას სახელმწიფოს მხრიდან, არამედ აქტიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, უნდა შეიქმნას სტიმულირებადი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გარემო, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის მაღალი დონის ნდობას ხელისუფლებისადმი.

საჭიროა მიზნობრივი კომპლექსური პროგრამა, რომელიც თავის თავში მოიაზრებს სპეციალური კანონმდებლობის შექმნას, რეალურ სახელმწიფო მხარდაჭერას, ინიციატივების წახალისებას და მცირე საწარმოების ძალისხმევის გაერთიანებას, რომელთა საქმიანობამ შეიძლება უზრუნველყოს მრავალი საქონლისა და მომსახურების ბაზრების ნორმალური ფუნქციონირება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ალტერნატიული ენერჯეტიკა. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული XI. თბილისი, „ეკონომიკა“, 2018, გვ.18.
2. საწარმოველოს კანონი ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ  
[http://www.moe.gov.ge/res/docs/664810\\_kanoni\\_narchenebis\\_tranzitis\\_da\\_importis\\_shesakheb.pdf](http://www.moe.gov.ge/res/docs/664810_kanoni_narchenebis_tranzitis_da_importis_shesakheb.pdf)
3. <http://www.matsne.gov.ge> 300.230.000.05.001.000.095
4. Мильнер Б.З., Орлова Т.М. Малый бизнес: проблемы организации и управления// Проблемы теории и практики, управления, 2013-№4.
5. Репях С.М. доклад научно-практической конференции "Инвестиционный потенциал лесопромышленного комплекса Красноярского края - СибГТУ, 2001" .
6. Сафин Р.Г., Асатова Л.Ф., Тимербаев Н.Ф. Управление качеством продукции лесозаготовительных и деревоперерабатывающих производств. Учебное пособие.Казань.издательство КНИТУ 2013.
7. <https://znaytovar.ru/new2508.html>
8. [http://wood-prom.ru/analitika/15274\\_otkhody-derevoobrabotki](http://wood-prom.ru/analitika/15274_otkhody-derevoobrabotki)
9. <https://drevogid.com/materialy/pererabotka-othodov.html>
10. <https://yandex.ru/images/search?text=ПЕРЕРАБОТКА%20ДРЕВЕСНЫХ%20ОТХОД>.

*Madona Khuskivadze  
Vasil Tsikvadze*

### **XYLEM SCRAPS, RECEIVED AFTER WOOD MANUFACTURING – AS A PERSPECTIVE BUSINESS Summary**

There are reviewed the types and classification of xylem scraps in a wood manufacturing in this article, such as the problems depending on it and the way how to use them rationally.

The wood manufacturing is one of the high growth industry in the human economic all over the history. The process of wood manufacturing is related with a huge amount of xylem scraps. This would be not only environmental protection, but also perspective and profitable business. This economy is one of the most actual economies, with low competition and big sale opportunities.

The recycling of Xylem scraps must be possible for the small business in Georgia, which results more employment opportunities. The material availability, easy sales potential of the final product, all these make this business more attractive. Desire and possibilities are only crucial in this economic. Here you can produce the coal or the tiles on the xylem ground. It could be started by the fragmenting of xylem scraps at least, which does not need big investments and the production is always in demand.

## სოციალური და დემოგრაფიული პრობლემების სექცია

იოსებ არჩვაძე

### დემოგრაფიული ცვლილებების ასახვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებში (საქართველოსა და კონსტანტინოპოლის მაგალითზე)

**ანოტაცია.** ყოველი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის მახასიათებლად ათეული წლებია რჩება მთლიანი შიგა პროდუქტი (მშპ). მიუხედავად 2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე პოლიტიკოსებისა და მეცნიერების ერთი ნაწილის ხმამაღალი განცხადებისა, უფრო ყოვლისმომცველი ინდიკატორის გაანგარიშების აუცილებლობის შესახებ, საქმე ამ მიმართულებით სერიოზულად წინ არ წასულა და მშპ კვლავ რჩება ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების შეფასების მთავარ ინდიკატორად. იმის გამო, რომ ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო ეკონომიკების სიდიდით, არამედ მოსახლეობის რაოდენობითაც, შედარებისათვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მშპ მოსახლეობის ერთ სულზე. ამ მაჩვენებლით შედარების მაღალი გამოყენებითი ღირებულება გამოიხატება სხვადასხვა ქვეყნის შედარების უზრუნველყოფაში რეტროსპექტიულ ასპექტშიც. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნების ეკონომიკური ზრდა დიდწილად დამოკიდებულია შესაბამისი ქვეყნების ხელთ არსებული რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე, რეფორმების თანმიმდევრულობაზე, მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება ამ პროცესთან საკმაოდ მაღალი ავტონომიურობით ხასიათდება (რბილად რომ ვთქვათ). ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე, სადაც 1980-1990-იანი წლების მიჯნაზე დაწყებულ ეკონომიკურ კოლაფსს მალევე თან მოჰყვა მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, თუმცა კრიზისის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის მიღწევის შემდეგ ქვეყნებმა განსხვავებული დემოგრაფიული ცვლილების ვექტორები დააფიქსირეს.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური ზრდა, მოსახლეობა, მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, მიგრაცია.


საქართველოს ადმინისტრაციულ-მმართველური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი დრამატულად წარიმართა და მისი შედეგები, თითქმის სამი ათეული წლის გავლის შემდეგაც, ბოლომდე დაძლეული არ არის.

როგორც წესი, როდესაც უახლესი პერიოდის ეკონომიკური განვითარების დინამიკას ახასიათებენ, ათელის წერტილად, საწყის წლად პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის, როგორც წესი, იღებენ 1989 წელს - ეკონომიკური მაჩვენებლის (მშპ-ის აბსოლუტური მოცულობა სულ და მოსახლეობის ერთ სულზე) მიხედვით ყველაზე მაღალი, პიკური მაჩვენებლის მქონე წელს. თუმცა საქართველოსათვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 1989 კი არაა, მისი წინა 1988 წელი იყო - 1989 წელს, წინა წელთან შედარებით, ქვეყნის მშპ დაახლოებით 1.2 პროცენტით შემცირდა.

საქართველოს მოსახლეობა 1989 და 1990 წლებში წინა წლებთან შედარებით იზრდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ წლებში ქვეყნის მშპ აგრძელებდა შემცირებას. 1990 წელს 1988 წელთან შედარებით საქართველოში მოსახლეობა 0.8 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როდესაც მშპ, პირიქით, შემცირდა - 12.2 პროცენტით. მომდევნო წლებში, 1994 წლის ჩათვლით, ორივე ინდიკატორი (მოსახლეობა, მშპ) აგრძელებდა შემცირებას, რაზეც წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა.




დიაგრამა 1



ეკონომიკის ასეთი მასშტაბური შემცირება არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანას არ განუცდია. თვით ჩვენს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანშიც კი, რომელთა შორის ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაწყებული სისხლიანი დაპირისპირება მხოლოდ 1994 წელს შეწყდა. ამასთან, აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებამ საქართველოში, ხოლო მისმა მატებამ აზერბაიჯანში, რუსეთსა და მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეში, მოსახლეობის ერთ სულზე ჩვენი ჩამორჩენა რამდენადმე შეარბილა, რაზეც წარმოდგენას დიაგრამა 2 იძლევა.

დიაგრამა 2



თუ ათვლის წერტილად არა 1989 წელს, არამედ 1988 წელს ავიღებთ, მაშინ შემცირების მასშტაბი კიდევ უფრო თვალშისაცემი იქნება - 1994 წელს მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებულმა მშპ-მ საქართველოში 1988 წლის მხოლოდ 25,4 პროცენტი შეადგინა.

ეკონომიკური კრიზისის გავლენა საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე ცალსახაა, თუმცა დასაძლევია სტერეოტიპი, რომლითაც ყოველივე ეს მხოლოდ სსრკ დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მოხდა. უნდა ვადიაროთ, რომ ეკონომიკის ვარდნა, მოსახლეობის კეთილდღეობის დაცემა დაიწყო და საკმაო ხანს მიმდინარეობდა (და არცთუ ლატენტური ფორმით) ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, მთელი 3 წლის მანძილზე (1989-

1991). სტატისტიკური მონაცემები გვიდასტურებს, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესთან დაკავშირებული ეკონომიკური ვარდნისა და მაკროეკონომიკური „შეკუმშვის“ თითქმის ნახევარი (45.6%) მოდიოდა ჯერ კიდევ დე-იურე სსრკ არსებობის პერიოდზე (1989-1991).


1990 წლის შემდეგ, თითქმის მთელი მეოთხედი საუკუნე, ყოველწლიურად საქართველოს მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა წინა წელზე ნაკლები იყო - მხოლოდ 2014-2017 წლებში იქნა დადებითი (უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც) ეს ნეგატიური ტენდენცია.

რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდას, 1994 წლიდან დღემდე, გარდა 2009 წლისა (2008 წლის აგვისტოს ომისა და მსოფლიო საფინანსო კრიზისის გავლენის „წყალობით“), საქართველოს ეკონომიკას ზრდის ტენდენცია ჰქონდა. დ თუკი 1989-1994 წლებში საქართველოს ეკონომიკა ყოველწლიურად წინა წელთან საშუალოდ 21.7 პროცენტით ეცემოდა, 1995-2018 წლებში საპირისპირო პროცესი დაფიქსირდა - ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა 5.53 პროცენტს მიაღწია. **ამჟამად საქართველოს ეკონომიკა (მშპ) 1994 წლის დონეს დაახლოებით 3.7-ჯერ აღემატება.** ეკონომიკის ზრდის დასახელებული ტემპიც არ არის ერთი შეხედვით ურიგო, თუმცა იმის გათვალისწინებით, როგორი ვარდნა იყო დაფიქსირებული წინა პერიოდში, უნდა ვაღიაროთ, **საქართველოს ჯერაც არ მიუღწევია რეფორმამდელი, კერძოდ 1988 წლის დონისათვის.** ჯაჭვური ინდექსებით, საქართველოს ეკონომიკის მოცულობა 2018 წლისთვის 1988 წლის 84 პროცენტისა და 1989 წლის - 85 პროცენტის დონეზეა.

მაგრამ როგორია ამ შემთხვევაში მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ-ის დინამიკა?

აქ, რომ იტყვიან, ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებლის გაუმჯობესებას ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესებამ. - საქართველოს მოსახლეობა ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე შემცირდა გაცილებით მეტად, ვიდრე ეკონომიკა. საკმარისია ითქვას, რომ ამ პერიოდში (1989-2018) მოსახლეობის კლების მასშტაბი 2-ჯერ აღემატებოდა ეკონომიკის „შეკუმშვის“ მასშტაბებს (შესაბამისად, 32% და 16%). შედეგად, მივიღეთ მდგომარეობა, რითაც მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ 2014 წლიდან უკვე აღემატება 1988 წლის დონეს.

დიაგრამა 3




როგორც მოყვანილი დიაგრამიდან ჩანს, მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ-ის დინამიკა დიდწილად დამოკიდებული აღმოჩნდა მოსახლეობის დინამიკაზე. საქართველოში 1994-2018 წლებში დაბადებულთა საშუალო წლიურმა რაოდენობამ 51.7 ათასი კაცი შეადგინა, ხოლო მიგრაციის უარყოფითმა სადღომ - 51.0 ათასი. ამავე პერიოდში გარდაცვალებათა საშუალო წლიურმა რიცხოვნობამ 49.0 ათასს მიაღწია. გამოდის, რომ საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის კუმულაციური საშუალო წლიური ეფექტი 1994-2018 წლებში უარყოფითი სიდიდე - 48.3 ათასია.

მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების საერთო მანველებელში ნიველირებულია საქართველოს მოქალაქეებისა და არამოქალაქეების მიგრაციული საღდოები, რომელთა გათვალისწინება კიდევ უფრო სრულად წარმოაჩენს დრამატულ რეალობას. ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნიდან საქართველოს უფრო მეტი მოქალაქე გადის, ვიდრე შემოდის. ამის საპირისპიროდ, სხვა ქვეყნის მოქალაქე შემოდის უფრო მეტი, ვიდრე გადის. მარტო 2012-2018 წლებში საქართველოს მოქალაქეებს შორის უარყოფითმა მიგრაციულმა საღდომ 153.6 ათასს გადააჭარბა, მაშინ როდესაც საქართველოს არარეზიდენტებს შორის იმავე პერიოდში დაფიქსირდა დადებითი მიგრაციული საღდო (+ 98.4 ათასი კაცი). ბოლო 7 წლის მანძილზე (2012-2018) საქართველოში შემოვიდა მეტი, ვიდრე გავიდა: რუსეთის მოქალაქე - 27.8 ათასი, თურქეთის - 14.4 ათასი, ირანის - 6.7 ათასი, ინდოეთის - 5.6 ათასი, ჩინეთის - 1.5 ათასი, სხვა ქვეყნების (ერაყი, სირია და ა.შ.) დ 19.0 ათასი მოქალაქე.

სამამულო სტატისტიკა ჯერჯერობით ვერ აფიქსირებს, თუ რა წველილი მიუძღვით ქვეყნის არარეზიდენტებს საქართველოს მშპ-ში, როგორია მათი შრომის მწარმოებლურობა და რამდენად განსხვავდება ის საქართველოს რეზიდენტების შრომის საშუალო მწარმოებლურობისაგან. თუმცა, ცალსახად უნდა ითქვას, რომ ასეთი „დემოგრაფიული ინიექციის“ გარეშე არა მარტო საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა, არამედ მშპ-ის მოცულობაც გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სსრკ-ის დაშლის შემდეგ მოსახლეობის მიგრაციული აქტივობის გაძლიერება მეტ-ნაკლებად შეესო ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანას. ამასთან, მოსახლეობის რაოდენობა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში 1989-2018 წლებში არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა 2.0 პროცენტით (286.7 მლნ-დან 292.3 მლნ-მდე), თუმცა ეს ზრდა ძირითადად ცენტრალური აზიისა და აზერბაიჯანის მოსახლეობის ხარჯზე მოხდა - ამ ქვეყნებში მოსახლეობა 16.7 პროცენტით გაიზარდა, დანარჩენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კი (ბალტიის ქვეყნების ჩათვლით) ადგილი ჰქონდა მოსახლეობის შემცირებას (1.7%-ით). ამ ფონზე საქართველოს მოსახლეობის დინამიკა უადრესად საგანგაშოა: მისი რიცხოვნობა 1989 წელთან შედარებით შემცირდა 32 პროცენტით (თვით ზემოხსენებული არარეზიდენტების დადებითი მიგრაციული საღდოს გათვალისწინებით), მაშინ როდესაც ეთნიკურად, ფაქტობრივად, ჰომოგენურ სომხეთში მოსახლეობა იმავე პერიოდში შემცირდა მხოლოდ 9 პროცენტით, რუსეთში - 2.8 პროცენტით, ხოლო აზერბაიჯანში შემცირების ნაცვლად ადგილი ჰქონდა მატებას 37 პროცენტით. შედეგად, სამხრეთ კავკასიაში საქართველოს მოსახლეობის წილი შემცირდა 1989 წლის 34.5%-დან 2018 წლის 22.5 პროცენტამდე. იმავე პერიოდში საქართველოს წილი სამხრეთ კავკასიის ერთიან მთლიან შიგა პროდუქტში შემცირდა 2.2-ჯერ - 36.9 პროცენტიდან 17.0 პროცენტამდე. ამჟამად სამხრეთ კავკასიის ერთობლივი მშპ-ის 71.4 პროცენტი აზერბაიჯანზე მოდის.

დიაგრამა 4



საქართველოს წილი ასევე საგრძნობლად შემცირდა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. 1989 წელს მისი წილი შეადგენდა მოსახლეობაში დ 1.90 პროცენტს, სსრკ-ის ეკონომიკაში - 1.56 პროცენტს; 2018 წელს შესაბამისი მაჩვენებლები პოსტსაბჭოთა სივრცეში შემცირდა 1.26 პროცენტამდე და 0.65 პროცენტამდე. აღნიშნული ვითარება ადვილად ახსნადია: ჯერ ერთი, ბოლო 30 წლის მანძილზე საქართველოში ყველაზე მეტად პოსტსაბჭოთა 15 სახელმწიფოთა შორის, შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა. თვით ბალტიის ქვეყნებსაც კი არ ჰქონიათ ასეთი მასშტაბური შემცირება (ესტონეთი - -17%, ლიტვა - -24%, ლატვია - -26.9%).


ამას დაემატა ის გარემოება, რომ 15 პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან საქართველო აღმოჩნდა იმ აუტსაიდერი 3 სახელმწიფოს შორის (უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად), სადაც მშპ 1980-იანი წლების ბოლოსთან შედარებით ნაკლები იყო (2018 წ. %-ით 1989 წ.-თან: საქართველო - 85.1%, მოლდოვა - 73.5%, უკრაინა - 58.4%).

ბოლო წლებში, მიუხედავად ეკონომიკის ზრდის მოკრძალებული ტემპებისა, საქართველო ამ მაჩვენებლით მაინც პირველ ადგილზეა სამხრეთ კავკასიაში (ეკონომიკის საშუალო წლიური ზრდის ტემპი: საქართველო - 4.1%, აზერბაიჯანი - 1.8%, სომხეთი - 3.4%), მაინც წინა წლების, განსაკუთრებით 1989-1994 წლების ეკონომიკური კოლაფსის ფონზე, საქართველოს ეკონომიკის ამჟამინდელი მასშტაბი გაცილებით მოკრძალებულად გამოიყურება 1980-იანი წლების მაჩვენებელთან შედარებით, ვიდრე ანალოგიური შედარებებისას - აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიკები (საქართველო - 85.1%, აზერბაიჯანი - 238.0%, სომხეთი - 192.0%).

მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობისა და ეკონომიკის მასშტაბების შემცირების ფონზე ადგილი ჰქონდა საქართველოს მოსახლეობის სოციალური დიფერენცირების არსებით გაღრმავებას. დეცილური კოეფიციენტი (მოსახლეობის მდიდარი 10 პროცენტის შემოსავლების თანაფარდობა ღარიბი 10 პროცენტის შემოსავლებთან) საქართველოში უფრო მაღალია, ვიდრე რომელიმე პოსტსაბჭოთა ქვეყანაში.

ამაზე თვალსაჩინო წარმდგენას იძლევა ქვემოთ მოტანილი დიაგრამა.

დიაგრამა 5



იმის გამო, რომ საქართველოს მოსახლეობის სოციალური დიფერენცირება საკმაოდ სცდება ამ მანვენებლის კრიტიკულ ზღვარს (დეცილური კოეფიციენტის მიხედვით - - 10:1), ხოლო მის ეკონომიკურ პოტენციალს (მშპ-ს) ჯერაც არ მიუღწევია 1980-იანი წლების ბოლო დროინდელი დონისთვის, როდესაც მოსახლეობის სოციალური დიფერენცირება გაცილებით ნაკლები იყო (დაახლოებით, 4.4.5:1) საქართველოს ამჟამინდელი მოსახლეობის საკმაოდ საგრძნობი ნაწილი - დაახლოებით 1/3, თავისი ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობით (მიმდინარე შემოსავლების რეალური მსყიდველობითი უნარიანობით) თავს იმაზე უარესად გრძნობს, ვიდრე სამი ათეული წლის წინ. ეს აჩენს გარკვეულ ნოსტალგიას წარსულისადმი, იწვევს მათ შორის მის გაფეტიშებას. 2018 წლის შემოსავლების მიხედვით, მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოს მოსახლეობის უღარიბესი 1/3-ის შემოსავლები, თავისი მყიდველობითი უნარიანობით, 1989 წლის მოსახლეობის უღარიბესი 1/3-ის შემოსავლების მხოლოდ 82 პროცენტის დონეზე იყო, მათ შორის უღარიბესი 10-10 პროცენტის შედარებისას - მხოლოდ 38.5 პროცენტის დონეზე. „სამაგიეროდ“, მოსახლეობის უმდიდრესი 10 პროცენტის შემოსავლები 2018 წელს სამი ათეული წლის წინანდელი პერიოდის უმდიდრესი 10 პროცენტის შემოსავლებს 2-ჯერ და მეტად აღემატებოდა. მოკლედ, საქართველოში სრულად ამოქმედდა „ქრესტომათიული“ სქემა: „მდიდრები უფრო გამდიდრდნენ, ხოლო ღარიბები - უფრო გაღარიბდნენ“.

უახლესი წლების ამოცანაა საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის სტაბილურობა, უარყოფითი მიგრაციული საღდოს დაძლევა საქართველოს რეზიდენტებს შორის მიგრაციული საღდოს განულების გზით, ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და ამის საფუძველზე წინა წლებში საქართველოდან უცხოეთში გასული შრომითი მიგრანტების სამშობლოში დაბრუნებისათვის მიმზიდველი ეკონომიკური გარემოს ფორმირება<sup>66</sup>.

*Joseph Archvadze*

## **REFLECTION OF DEMOGRAPHIC CHANGES IN THE PARAMETERS OF THE COUNTRY'S ECONOMIC DEVELOPMENT (BASED ON THE EXAMPLE OF GEORGIA AND POST-SOVIET COUNTRIES)**

### **Summary**

The process of transition from Georgia's administrative-dictatorial system to market economy was carried out dramatically and its consequences are not completely overcome after the period of nearly three decades. As of 2018, Georgia is listed among those three Post-Soviet countries (together with Ukraine and Moldova) where economy has not reached the 1989 level of the production of GDP. Furthermore, from amongst the 15 Post-Soviet countries, Georgia occupies the first place in terms of decrease of the general quantity of population during the last 30 years (compared to 1989 the number reduced by 32%). Because of the fact that during the mentioned period the quantity of the population decreased more than the GDP of the country (-15%), the level of the GDP calculated in terms of per capita prices since 2014 exceeds the same indicator of 1989. In essence, the excess of the average parameter for the improvement of the population's economic condition, compared to the parameter of the pre-reform (1989) period, has been achieved not due to economic growth but at the expense of the reduction of the population's quantity. Moreover, social differentiation of the population in modern Georgia, according to the current revenues (decile quotient = 15.4) significantly exceeds not only the pre-reform period (4.5: 1), but also the analogous parameter of all the other Post-Soviet countries.

As of 2018, the incomes of the poorest 1/3 of the Georgian population in per capita prices perceivably (approximately by 20%) lag behind the incomes of the same category in 1989. The distinction between the incomes of the poorest 10-10 percent of the present time and 30 years before is still more noticeable – 2.5 times and more. “On the other hand”, the incomes of the present richest 10 percent per capita exceeds 2 times and more the incomes of the richest 10 percent of the previous times.

<sup>66</sup> სტატის მომზადებისას გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.

## **CHALLENGES OF CITIZENS MOBILITY BETWEEN GEORGIA AND EUROPEAN UNION BASED ON FREE VISA LIBERALIZATION POLICY**

***Annotation.** The article reviews the dynamics and major factors of the population migration process of Georgia. The implementation of the obligations of Georgia according to the Agreement on Free Visa Liberalization regime between European Union and Georgia, together with structure of the migrants of Georgia and motivation of potentials migrants and analysis of the legislative basis and institutional changes connected with the activation of the Free Visa Liberalization regime is taken into account.*

***Keywords:** Liberalization, Migration, Readmission, Illegal migration, Legislative acts, Institutional mechanisms, Visa regime, Potential migrants, Migration motivation, Unemployment.*

### **Introduction**

After the collapse of the Soviet Union, the EU's support for newly established democratic countries has primarily been reflected in their free trade and free movement of citizens agreement in the EU countries, which in turn will promote greater opportunities for education and professional development of the citizens of these countries by using this knowledge and experience for poverty reduction in internal markets.

Since 2014 Georgia (together with Ukraine and Moldova) is an associated member of EU, and in 2016 Georgia signed an agreement with the European Union for a three-month visa free regime.

According to this agreement, Georgia must comply with the obligations taken before the EU, which requires Government to adapt the political - legal legislation of Georgia with international and EU legislation. Despite the successful implementation of some of the obligations taken by Georgia, Illegal migration is still ongoing, which requires improvement of its management mechanisms, etc.

\* \* \*

Georgia belongs to those countries, where the role of the external migration in the formation of its population is significant. In 1992-2018 the population of Georgia has been decreased by 1/3 and currently is equal to 3.7 million citizens. This is a result of large scale waves of migration due to a number of factors: ethnic migration when thousands of ethnic nationalities living in Georgia returned to their historical motherland; migration of thousands of refugees forced to leave their permanent residencies as a result of conflicts; migration for economic reasons because of high level of unemployment and poverty in Georgia.

Migration from Georgia particularly covers those age groups of population that is mostly active and reproductive. As to census of 2014, 85 per cent from total number of migrants were of age between 20 to 50 years old, when share of this age in the population of Georgia consists of only 43 per cent.

The dialog of the EU with Georgia on visa liberalization started in 2012, a year later the Action Plan on Visa Liberalization (VLAP) was submitted to the Georgian Government covering security issues, border control, public order, fundamental human rights and other fields. The requirements of the European Union are allocated in 4 regulations: security of the documents, including biometrical data; integrated management of the border, migration and political asylum; public order and security; foreign relations and fundamental human rights. Two phases determine the activation of the visa liberalization process – adoption of the relevant legislative acts and political provision of these measures in order to adapt the internal legislative basis to the international law standards, first of all the EU norms. The Action Plan also obliges the Government of Georgia to reach a progress in social-economic development since the main provisions of the mentioned Plan cannot control fully the migration process, if the internal environment is not favorable to receive good education and jobs for the citizens.

The visa regime is interconnected with the mechanism of readmission, that provides the EU policy and procedures on return of the migrants illegally crossed the border of the alliance, their forcible deportation and limitation for new entries.

An introduction of a Free Visa regime from 2017 catalyzed the migration process. As to data of Border Protection Department of Georgia after activation of free visa regime 390175 citizens of Georgia visited the EU/Schengen zone during March 2017 - March 2019 (with almost 675000 number of visits). Trends in dynamics of migration also exposed in gender terms among women and men, in both groups migrants prevailed immigrants. Research Polls showed that migration of Georgian citizens is caused, beside economic problems, by such factors as: education, refugees status, improvement of standard living and so on.

Restricted visa policy affects the development of tourism and originates illegal migration mostly due to social-economic reasons (unemployment, poverty and etc. on domestic market). At the same time the ban of visa regime contributes to the growth of touristic exchanges, reduce the illegal migration. But this process does not grant the reduction of the number of illegal migrants and increase of the migration waves in European Union zone. The beneficiaries of the free visa regime can violate the three months validity of stay and try to find out permanent living and working conditions on the territories of the EU. In other cases the citizens can enter the EU zone with a status of refugees and displaced persons or for educational reasons and claim for political asylum.

For Georgia, like Ukraine and Moldova social-economic and disintegration problems (annexed and occupied territories) can provoke the willingness of the citizens to migrate to Europe. Illegal labor migration from these countries is logical continuation of their national problems. For example a huge number of Georgian illegal migrants in Greece explain their choice by lack of jobs and low level of the wages in their country. These problems can provoke an increase of the number of political asylum claims. As to the Eurostat data as of March 14<sup>th</sup> 2018 - 580845 citizens requested the initial political asylum on the territory of the European Union, including 17980 citizens (around 3 per cent) from Georgia, that takes its 10th position, and it is in top three in France, Ireland, Czech Republic and Denmark. Thus, the illegal economic migrants can potentially increase the number of non grounded claims for political asylum. In this respect, the effective system at national and EU levels is important to neutralize this negative trend and the mechanism of forcible readmission plays a key role for the European Alliance. The jump of the number of Illegal migration affects the demographic, economic and political situation in the countries of their origin and invests non stability, particularly in small countries like Georgia. Further studies are needed to make a comprehensive consideration of the mentioned risks.

At present three countries of the Eastern Partnership – Georgia, Moldova and Ukraine enjoy free visa short term regime on the territory of the European Union. In fact, almost similar Action Plans and relevant reforming programs were presented for them by the European Community. In this respect, there is a common background of the positive and negative results exposed during the implementation process, including not only territorial problems, but also the problems of social-economic conditions of the population linked with unemployment, poverty that create tensions for the countries of the EU, contributes to organized crime and conflicts between local population and arrived migrants. Some countries, like Hungary even disagree with common strategy of the Alliance on the migration policy and close the door for the refugees coming even on legal basis. Not adequate attention to the resolution of social-economic problems and human rights in the mentioned countries sparked the increase of the number of appeals for political asylum from the citizens of Georgia, Ukraine and Moldova. Readmission was activated in this respect and European Union expressed its concern based on the possible stoppage of the free visa regime. The Russian factors for all three countries should not be excluded as a major challenge that is not helpful for the full fledged implementation of the free visa liberalization obligations.

Recent trends indicate that there is a decline of potential migration of citizens with old age in parallel with the increase of the motivation of young people, mostly students going to study abroad. According to polls 42.7 per cent expressed their willingness to visit foreign countries. If we take into account the fact that more than 100000 students are registered in Georgia – almost 43-44 per cent of all of them have decided to leave for abroad. Unlike labor migrants, their intention is based on “binary” model - education or work, or both of them, labor motivation dominates for men, when education is more important for women.

Since currently unemployment among young people up to 25 years old is equal to 28.9 per cent and this indicator is two or three times less for the citizens above 25 years old, the risk of leaving abroad for the mentioned group is higher. 26.9 per cent of students decided to leave Georgia for continuation of education only; nevertheless majority of them (59 per cent) intends to do it in combination with work, at the same time females prevail over males in this respect.

Despite the fact, that Georgia successfully continues the legislative reforms, nevertheless the most acute problem is linked with their effective and full - fledged implementation resulted by the activation of readmission and threat of possible stoppage of the liberal visa regime. So the perspectives of the prolongation of the mentioned regime very much depend on the improvement of the existing legislative acts and adoption of new ones.

Legislative enhancement is not sufficient, if it is not strengthened by institutional support also in social and economic field. In this regard, the enhancement of the border protection mechanism alongside with the increase of citizen standard living and decrease of unemployment is decisive in order to lessen the risk of illegal migration and appeals for political asylum. In addition, a new, based on EU standards, mechanism of labor reimbursement and safety should be introduced by the Government of Georgia to remain itself in visa

liberalization policy environment.

## Conclusions

Despite the advantage of bearing of free visa regime on the territory of the European Union, Georgia has a risk of losing of this opportunity by activation of visa stoppage mechanism. Such a turn can raise the number of illegal visits and appeals for political asylum caused by social-economic and other problems. There is a potential threat of suspension of the free visa regime by the European Union (based on readmission practice) even for law obedient tourists from Georgia due to existing challenges in terms of poverty and unemployment.

Thus, it is crucially important to study the impact of free visa liberalization regime on the increase or decrease on the number of illegal migrants and appeals on political asylum on the territory of the European Union. In this respect, it is essential to study the real reasons of the migration of citizens of Georgia, enforce the reforming of labor reimbursement and create new job opportunities. From other side, make necessary changes in law regulation aimed at blocking the illegal migration activity. At present the Parliament of Georgia is going to adopt these new law procedures.

## References

1. Materials for sociological polls of Ilia State University Institute of Demography and Sociology, "Student-Youth opinions about some issues on migration" 2018.
2. Decree of the Government of Georgia N59 "On Approval of the Migration Strategy of Georgia", 15 March 2013
3. Georgian Law of N3418-II on "Labor Migration", April 1, 2015.
4. Decree of the Government of Georgia №199 "On Approval of State Strategy for the Formation of the Labor Market of Georgia and Action Plan of Realization of State Strategy for Formation of Labor Market of Georgia", 2013 August 2, Tbilisi.
5. Decree No.733 of the Government of Georgia "On Approving creation of the Labor Market Information System and its Concept Development and Action Plan", 26 December 2014, Tbilisi.
6. Ministry of Foreign Affairs of Georgia Report
7. The first report of the European Parliament Committee and Council under the visa regime suspension mechanism. 20 December 2017
8. <http://www.geostat.ge/>
9. Migration Profile of Georgia. (2015). Tbilisi, Georgia. [http://migration.commission.ge/files/migration\\_profile\\_of\\_georgia\\_2015.pdf](http://migration.commission.ge/files/migration_profile_of_georgia_2015.pdf)
10. International Migration Report 2015 Highlights UN New York, 2016
11. [http://siteresources.worldbank.org/%20INTECA/%20Resources/257896-1167856389505/Migration\\_FullReport.pdf](http://siteresources.worldbank.org/%20INTECA/%20Resources/257896-1167856389505/Migration_FullReport.pdf)
12. THE IMPACTS OF REMITTANCES ON DEVELOPING COUNTRIES. – European Parliament, 2014. [http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/join/2014/433786/EXPO-DEVE\\_ET\(2014\)433786EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/join/2014/433786/EXPO-DEVE_ET(2014)433786EN.pdf)
13. Directive 2014/36/EU of the European Parliament and of the Council of 26 February 2014 on the conditions of entry and stay of third-country nationals for the purpose of employment as seasonal workers OJ L 94, 28.3.2014.
14. Eurostat, Migration and migrant population statistics – Statistics explained, 17.02.2015. URL:[http://ec.europa.eu/eurostat/statisticsexplained/index.php/Migration\\_and\\_migrant\\_population\\_statistics](http://ec.europa.eu/eurostat/statisticsexplained/index.php/Migration_and_migrant_population_statistics)
15. Sulaberidze A. Distorted Migration Temps: Cui Bono? The Caucasus and Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Volume 2. Issue 1 2008.



ევროკავშირში საქართველოს მოქალაქეთა თავისუფალი ბაზააღბილების  
გამოწვევები ვიზალიბერალიზაციის პირობებში

**ანოტაცია.** სტატიაში განხილულია საქართველოს და ევროკავშირს შორის მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილებისთვის გაფორმებული ვიზა ლიბერალიზაციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქართველოს ვალდებულებები და მისი შესრულების ანალიზი. მოყვანილია საქართველოს პოტენციურ ემიგრანტთა მოტივაციები და გაანალიზებულია ვიზა ლიბერალიზაციის საკანონმდებლო ბაზის რეალიზაციისთვის ინსტიტუციური მექანიზმების სრულყოფის საკითხები.

**საკვანძო სიტყვები:** ვიზალიბერალიზაცია, რეადმისია, ინსტიტუციური მექანიზმები, სავიზო რეჟიმი, პოტენციური მიგრაცია, მიგრაციის მოტივაცია.

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახლადწარმოქმნილი დემოკრატიული ქვეყნებისთვის ევროკავშირის მხარდაჭერა უწინარესად აისახა მათი ევროკავშირის ქვეყნებში თავისუფალ ვაჭრობასა და მოქალაქეთა თავისუფალ გადაადგილებაში, რამაც თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ამ ქვეყნების მოქალაქეთა განათლების ამაღლების და პროფესიული განვითარების მეტ შესაძლებლობას და მიღებული ცოდნის შიდა ბაზარზე ინვესტირებით სიღარიბის დაძლევას.

2014 წლიდან საქართველო (უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად) ევროკავშირის ასოცირებული წევრია, ხოლო 2016 წელს საქართველომ გააფორმა ხელშეკრულება ევროკავშირთან წელიწადში 3 თვიანი უვიზო რეჟიმის თაობაზე.

ამ დოკუმენტის თანახმად, საქართველომ უნდა შეასრულოს ევროკავშირის წინაშე აღებული რიგი ვალდებულებები, რაც ხელისუფლების მხრიდან მოითხოვს საერთაშორისო და ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს პოლიტიკურ-სამართლებრივი კანონმდებლობის მისადაგებას. მიუხედავად საქართველოს მიერ აღებული ზოგიერთი ვალდებულებების მეტ-ნაკლებად წარმატებით შესრულებისა, არაღყვალური მიგრაცია კვლავ გრძელდება, რაც მოითხოვს მისი მართვის მექანიზმების დახვეწას და ა.შ.

\* \* \*

საქართველოს მოსახლეობის არაღყვალური ემიგრაციის მაღალი და ბუნებრივი მატების დაბალი დონის შედეგად, 1992-2018წწ. საქართველოს მოსახლეობა 1/3-ით შემცირდა და 2018 წლისთვის 3,7 მილიონი კაცი შეადგინა. აღნიშნული, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა ქვეყანაში შექმნილმა მიძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ, განსაკუთრებით უმუშევრობის მაღალმა დონემ და ოჯახში სიღარიბემ. შესაბამისად, არაღყვალური ემიგრაცია განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს შრომისუნარიან და რეპროდუქციულ ასაკში მყოფ მოსახლეობაში, რამაც ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის დეფორმაცია გამოიწვია. 2014 წლის აღწერის თანახმად, 2014 წლისთვის ქვეყნიდან გასულთა შორის 85% 20-დან 50 წლამდე ასაკისაა, მაშინ როდესაც ამ ასაკობრივი ჯგუფის წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში მხოლოდ 43%-ა.

საქართველოს ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის დიალოგი დაიწყო 2012 წლის ივნისში და სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა ოფიციალურად გადაეცა საქართველოს მთავრობას 2013 წლის თებერვალში, რომლის ძირითადი მოთხოვნები მოქცეულია 4 რეგულაციაში: 1) დოკუმენტის უსაფრთხოება, ბიომეტრიული მონაცემების ჩათვლით; 2) საზღვრის ინტეგრირებული მართვა, მიგრაცია და თავშესაფარი, 3) საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; 4) საგარეო ურთიერთობები და ფუნდამენტური უფლებები.

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი მოიცავს ორი ეტაპს. პირველ რიგში, ეს არის კანონმდებლობის მიღება, საკანონმდებლო და პოლიტიკური ჩარჩოების დაგეგმვა ძირითადი მიმართულებით, რათა ეროვნული ნორმები შესაბამისობაში მოვიდეს ევროკავშირისა და საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან.

ამასთან, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან ერთად, რამდენადაც ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის გარკვეული

ბლოკების შესრულება არ არის საკმარისი, საქართველომ უნდა განახორციელოს ეროვნულ დონეზე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები, რათა ჩამოყალიბდეს მიგრაციის ეფექტიანი კონტროლი.

სავიზო რეჟიმის გამარტივების ხელშეკრულება რეადმისიის (დეპორტაციის) ხელშეკრულებასთანაც არის დაკავშირებული, რაც განსაზღვრავს ევროკავშირის პოლიტიკას და პროცედურებს არალეგალურ ემიგრანტთა დაბრუნებისა და იძულებითი დეპორტაციის, ნებაყოფლობით დაბრუნების, დაკავების პროცედურების და ხელახალი შესვლის შეზღუდვების შესახებ.

რეადმისიის შეთანხმებების ძირითადი მიზანია, ხელშეკრულების მხარეებს დაეკისროთ იმ პირობა დაბრუნება, რომელთა ყოფნა არ შეესაბამება ხელშეკრულებით სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის ან ყოფნის მოთხოვნებს, თუმცა ეს არ უნდა გაკეთდეს ადამიანის უფლებების საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების შეზღუდვით.

უვიზო რეჟიმის დაწყების შემდეგ, პირველი ანგარიში სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში ევროპარლამენტის კომისიის და საბჭოს მიერ გამოქვეყნდა 2017 წლის 20 დეკემბერს. მოხსენებაში აღინიშნა, რომ საქართველო წარმატებით აგრძელებს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკონტროლო მანევრებლებს, მაგრამ მაინც აღინიშნება გარკვეული ხარვეზები.

საქმე ისაა, რომ 2017 წლიდან, საქართველოდან არალეგალური ემიგრაციის ერთ-ერთ ხელშემწეობ ფაქტორად, გარკვეულწილად ევროკავშირის ქვეყნებში 2017 წლის აპრილიდან 90 დღით ლიმიტირებული უვიზო მიმოსვლის რეჟიმი მოგვევლინა. საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ინფორმაციით, უვიზო მიმოსვლის ამოქმედებიდან (28. 03. 2017) 2019 წლის 27 მარტის ჩათვლით, ევროკავშირის/შენგენის ზონას უვიზოდ 673 916-ჯერ ესტუმრა საქართველოს 390 175 მოქალაქე, რომელთაგან ნახევარზე მეტი დღეისათვის უვიზო რეჟიმის სამთვიანი ვადის დარღვევით, არალეგალურად იმყოფება ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში.

საქართველოდან ემიგრაცია, გარდა ეკონომიკური ფაქტორებისა, ასევე დაკავშირებულია მიგრაციის ისეთ სოციალურ-დემოგრაფიულ ფაქტორებთანაც, როგორცაა: განათლების მიღება, დევნილობა, ოჯახის წევრთან ერთად ცხოვრების სურვილი და ა. შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, განსხვავებით 2017 წლის აპრილამდე არსებული სავიზო რეჟიმისა, ლიმიტირებული უვიზო რეჟიმის პირობებში აღინიშნება არალეგალური მიგრაციის თვისებრივი ცვლილება, რაც დაკავშირებულია ოჯახის წევრთა გაერთიანების და ემიგრაციაში მათთან ერთად ცხოვრების სურვილთან. კერძოდ, შეინიშნება წინა წლებში არალეგალურ ემიგრაციაში მყოფ ოჯახის წევრთან (მეუღლე, მშობელი, შვილი) ერთად ცხოვრების სურვილით გამოწვეული არალეგალური ემიგრაცია, რასაც უვიზო რეჟიმის არარსებობის პირობებში უცხოეთში მცხოვრები არალეგალი ემიგრანტის ოჯახის წევრები ვერ ახერხებდნენ. დღეისათვის ეს პირები წარმატებით იყენებენ ევროკავშირში სამთვიანი უვიზო მიმოსვლის უფლებას, ადვილად ახერხებენ ევროკავშირის ზონაში შესვლას და ვიზის ვადის გასვლის შემდეგ თავის ოჯახთან ერთად აგრძელებენ ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში არალეგალურ ცხოვრებას. ამდენად, ევროკავშირში ლიმიტირებულმა უვიზო რეჟიმმა, სხვა დადებით სიკეთეებთან ერთად, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოდან არალეგალურად დამრჩენთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, თავშესაფრის მოთხოვნელთა ზრდაც განაპირობა.

უვიზო რეჟიმის შემოღებამ საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო, ევროკავშირის ზონაში უკანონო მიგრანტების რაოდენობა ვერ შეამცირა და გრძელდება ევროკავშირში არალეგალური მიგრაცია. მოქალაქეები იყენებენ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლისთვის, მაგრამ უგულვებელყოფენ და არღვევენ ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ გადაავიღების სარგებლობის 3 თვიან რეჟიმს და კანონდარღვევით განუსაზღვრელი დროით რჩებიან ევროკავშირის ტერიტორიაზე. უფრო მეტიც, საქართველოს მოქალაქეები (განსაკუთრებით ახალგაზრდები) განათლების მიღება-ამაღლების მიზეზით, ტურისტის ან დევნილის სტატუსით შედიან ევროკავშირის ტერიტორიაზე და ითხოვენ თავშესაფრს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიის და სოციოლოგიის ინსტიტუტის სოციოლოგიური გამოკვლევის თანახმად, უცხოეთში წასვლის მსურველ სტუდენტთაგან მხოლოდ სწავლის გაგრძელების მიზნით წასვლას აპირებს 26,9%, თუმცა მათი უმრავლესობა (59,0%) აპირებს სწავლას შეუთავსოს დასაქმება.

საქართველოში, მოლდოვას და უკრაინის მსგავსად, მოუგვარებელი სოციალურ-ეკონომიკური, ტერიტორიული და პოლიტიკური პრობლემები ეროვნულ დონეზე, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ევროკავშირში არალეგალურ ემიგრაციას თავშესაფრის მთხოვნელთა ზრდას ზემოაღნიშნული სახელმწიფოებიდან. მაგალითად, საქართველოდან არალეგალური მიგრაცია პირდაპირ უკავშირდება უმუშევრობის მაღალ დონეს და ქვეყანაში საშუალო ხელფასის (ოჯახის შემოსავლები) საარსებო მინიმუმთან ჩამორჩენას. სწორედ ეს პრობლემები ზრდის უსაფუძვლოდ თავშესაფრის მთხოვნელთა რაოდენობას. ევროსტატის ანგარიშის თანახმად (14. 03. 2019), 2018 წელს ევროკავშირის ტერიტორიაზე პირველადი თავშესაფარი მოითხოვა 580 845 კაცმა, რომელთაგან 3% (17 980 კაცი) საქართველოს მოქალაქე იყო. მართალია ევროკავშირში თავშესაფრის მაძიებელთა შორის საქართველო მოქალაქეთა ამ რაოდენობით მეათე ადგილზეა, მაგრამ პირველ სამეულშია საფრანგეთში, ირლანდიაში, ჩეხეთში, დანიასა და ლიხტენშტეინში.

საქართველოდან, უმეტეს შემთხვევაში დაუსაბუთებლად, თავშესაფრის მთხოვნელ მიგრანტთა რაოდენობის ზრდა, ევროკავშირის ზემოაღნიშნულმა ქვეყნებმა მიიჩნიეს ევროკავშირში საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის (გადაადგილების) შეჩერების ძირითად მიზეზად, რაც მკაცრი ტონით აღნიშნა კიდევ მიმდინარე წლის მაისში საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულმა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა.

საქართველოს მთავრობის განცხადებამ ქვეყნის უსაფრთხოების შესახებ, ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნიდან რეადმისია განაპირობა. ევროკავშირი თავის თავზე არ იღებს ასეთ რისკებს და არ არის გამორიცხული, საქართველოს შეუჩეროს უვიზო რეჟიმი.

მეორე მხრივ, უკანონო ემიგრანტთა რაოდენობის ზრდა ევროკავშირში უარყოფით გავლენას ახდენს მიგრაციის წარმოშობის ქვეყნების დემოგრაფიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობაზე, განსაკუთრებით ისეთ მცირერიცხოვან ქვეყნებში, როგორც საქართველოა. ამიტომ ეროვნულ დონეზე უნდა შევისწავლოთ, თუ როგორ მოხდა უვიზო მიმოსვლის პოლიტიკისა და მისი სამართლებრივი ბაზის ადაპტირება და შეცვლა იმ გამოწვევების შემდეგ, რომლებიც ევროკავშირში უვიზო რეჟიმის შემოტანას მოჰყვა.

## დასკვნა

ამდენად, საქართველო გათავისუფლებულია სავიზო რეჟიმისაგან ევროკავშირის ტერიტორიაზე მოკლევადიანი ვიზიტებისთვის. მაგრამ არსებობს მისი შეჩერების საშიშროებაც, რაც შეიძლება განაპირობოს ევროკავშირში საქართველოდან, უწინარესად ადამიანის უფლებათა დარღვევით, ეკონომიკური და სოციალური არასტაბილურობით გამოწვეულმა გადაგადაცილებული ვიზიტორების და თავშესაფრის მთხოვნელთა ზრდამ. საქართველო ვერ ასრულებს აღებული ვალდებულებების შესრულებას რეადმისიის თვალსაზრისით და, შესაბამისად, ევროკავშირს შეუძლია შეუწყვიტოს უვიზო რეჟიმი თუნდაც კეთილსინდისიერ მოგზაურებს.

ამრიგად, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როგორ იმოქმედა უვიზო რეჟიმის შემოღებამ ევროკავშირის ქვეყნებში ვიზის გადაგადაცილებულთა არალეგალური ემიგრაციის და თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის შემცირება-ზრდაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის „სტუდენტი ახალგაზრდობის მიგრაციული განწყობების ზოგიერთი საკითხის შესახებ“, სოციოლოგიური გამოკვლევის მასალები. 2018.
2. საქართველოს მთავრობის დადგენილება 59 "საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ", 15 მარტი, 2013.
3. საქართველოს კანონი 3418-II-ს „შრომითი მიგრაციის შესახებ", 1 აპრილი, 2015.
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება №199 „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების

სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ", 2013 წ. 2 ავგისტო, თბილისი.

5. საქართველოს მთავრობის დადგენილება №733 „შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ", 2014 წლის 26 დეკემბერი, თბილისი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიში.

6. ევროპარლამენტის კომისიის და საბჭოს 2017 წლის 20 დეკემბერის პირველი ანგარიში სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში

7. <http://www.geostat.ge/>

8. Migration Profile of Georgia. (2015).Tbilisi, Georgia. [http://migration.commission.ge/files/migration\\_profile\\_of\\_georgia\\_2015.pdf](http://migration.commission.ge/files/migration_profile_of_georgia_2015.pdf)

9. International Migration Report 2015 Highlights UN New York, 2016.

10. [http://siteresources.worldbank.org/%20INTECA/%20Resources/257896-1167856389505/Migration\\_FullReport.pdf](http://siteresources.worldbank.org/%20INTECA/%20Resources/257896-1167856389505/Migration_FullReport.pdf)

11. THE IMPACTS OF REMITTANCES ON DEVELOPING COUNTRIES. – European Parliament, 2014. [http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/join/2014/433786/EXPO-DEVE\\_ET\(2014\)433786EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/join/2014/433786/EXPO-DEVE_ET(2014)433786EN.pdf)

12. Directive 2014/36/EU of the European Parliament and of the Council of 26 February 2014 on the conditions of entry and stay of third-country nationals for the purpose of employment as seasonal workers OJ L 94, 28.3.2014.

13. Eurostat, Migration and migrant population statistics – Statistics explained, 17.02.2015. URL:[http://ec.europa.eu/eurostat/statisticsexplained/index.php/Migration\\_and\\_migrant\\_population\\_statistics](http://ec.europa.eu/eurostat/statisticsexplained/index.php/Migration_and_migrant_population_statistics).

14. Sulaberidze A. Distorted Migration Temps: Cui Bono? The Caucasus and Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Volume 2. Issue 1. 2008.

*ნინო გომელაური  
ციცინო გვრიტიშვილი*

### **ოჯახის პოზიტიური სახის ფორმირება საქართველოში**

*ანოტაცია. სტატიაში გადმოცემულია ოჯახის პოზიტიური სახის ფორმირების ანალიზი. ოჯახი საზოგადოების ფუნდამენტია და სწორედ ოჯახი ახდენს ზემოქმედებას საზოგადოების განვითარებაზე მოსახლეობის აღწარმოების გზით, მატერიალური და სულიერის ღირებულებების გამდიდრებით, საზოგადოების მომავალი წევრების აღზრდის საშუალებით. განხილულია დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები*

*საკვანძო სიტყვები: ოჯახი, სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკა, ოჯახის პოზიტიური სახე.*

### **შესავალი**

ოჯახის როგორც სოციალური ინსტიტუტის კრიზისი მდგომარეობს ოჯახის შესაქმნელად ინდივიდის პირადი მოტივების შესუსტებაში. ოჯახის ინსტიტუტის მდგომარეობის რადიკალური ცვლილების, საზოგადოების ფასეულობათა სისტემის ინდივიდიდან ოჯახზე გარდაქმნის გარეშე სიტუაცია არ შეიცვლება. თუ ვირჩევთ თავისუფალ პოლიტიკას თავისუფალი ადამიანებისთვის, მაშინ ოჯახი უნდა ფუნქციონირებდეს თანაბრად სხვა ინსტიტუტებთან ერთად, უნდა შევათავსოთ საოჯახო როლები პროფესიონალურთან, ავამაღლოთ მშობლის პრესტიჟი და ოჯახური ცხოვრების წესი. ტრადიციულად საოჯახო პოლიტიკა განიხილება როგორც სოციალური პოლიტიკის ნაწილი და მისი მიზანია ოჯახის, ფამილისტური კულტურის განვითარება, ოჯახური ცხოვრების წესის, ოჯახის, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტის სოციალური ფუნქციების განმტკიცება.

**\* \* \***

მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებში დაწყებულმა საზოგადოებრივი ცხოვრების ტრანსფორმაციამ არსებითი გავლენა მოახდინა ისეთ მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუ-

ტებზე როგორცაა ოჯახი და ქორწინება. დემოგრაფიული სტატისტიკა ასახავს ოჯახის ინსტიტუტის ისეთ ცვლილებებს, როგორცაა ოჯახის ნუკლეარიზაცია, შობადობის შემცირება, განქორწინების და არასრული ოჯახების წილის ზრდა. ოჯახის ინსტიტუტის ტრანსფორმაციას თან სდევს ოჯახის ალტერნატიული ფორმების ზრდა. დეპოპულაცია წარმოადგენს საზოგადოების გლობალური ტრანსფორმაციის, ოჯახის როლის ცვლილების, ოჯახის ფუნქციის, პირველ რიგში რეპროდუქციული, შემცირების შედეგს. საქართველოში საშუალო სტატისტიკური ოჯახია – დაქორწინებული ორივე მშობლით და ორი ბავშვით (45%). ქორწინებათა რაოდენობა 2014 წელთან შედარებით 31 526-დან 2018 წელს შემცირდა 23 202-მდე. განორწინებათა რაოდენობა იმავე წლებში გაიზარდა 9 119-დან 10 288-მდე. ქორწინების საშუალო ასაკი 2018 წელს ქალებისათვის შეადგენდა 27 წელს, მამაკაცებისთვის 29 წელს. 2014 წლის საყოველთაო აღწერის დროს დაფიქსირებული 0, 1, 2, 3 და ა.შ. წლის ბავშვების რაოდენობა 15%-ით ნაკლებია, ვიდრე 2013 და 2012 წლებში რეგისტრირებული ბავშვებისა. როგორ იცვლებოდა ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა რიგითობის მიხედვით წლების მიხედვით ნაჩვენებია ცხრილში 1.

ცხრილი 1

ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა დაბადების რიგითობის მიხედვით 1995-2018 წწ.

წელი	სულ	დაბადების რიგითობა				
		I	II	III	IV	V+
1995	56 486	30 089	18 399	5 657	1 625	716
2000	48 167	24 998	16 039	5 202	1 301	627
2005	46 063	27 013	13 682	4 030	919	419
2010	55 230	27 303	19 698	6 338	1 301	590
2015	59 249	24 684	22 644	9 189	1 878	719
2016	56 569	22 949	21 563	9 389	1 964	704
2017	53 293	20 742	20 435	9 291	2 073	677
2018	51 138	19 362	19 511	9 291	2 073	718

წყარო: საქსტატი <http://www.geostat.ge>

თანამედროვე საზოგადოებაში ოჯახური ფასეულობების ტრანსლაციის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი რეკლამაა. ფრანგი ფილოსოფოსი და კულტუროლოგი ჟან ბოდრიარი რეკლამის ევოლუციის განხილვისას აღნიშნავს რომ, პირველ ეტაპზე რეკლამა მხოლოდ ინფორმაციას ავრცელებდა, შემდეგ გადავიდა დარწმუნებაზე, შემდეგ – "შეუმჩნეველ შთაგონებაზე"; ახლანდელი მიზანი კი მოთხოვნილებების მართვაა, ანიჭებს რა პროდუქტს აზრს, ფასეულობას და აყალიბებს მოხმარების იდეოლოგიას. რეკლამა მძლავრი სოციალური ინსტრუმენტი, რომელიც ერთი მხრივ, ასახავს იმ საზოგადოების, სოციუმის წეს-ჩვეულებებსა და გემოვნებას, რომელშიც ფუნქციონირებს; მეორე მხრივ, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების ეს მძლავრი შენაკადი ხელს უწყობს ცხოვრების წესის ფორმირებას, აქტიურად ცვლის ღირებულებებსა და ცხოვრების სტილს [ბელჩი მ... 2013: 88]. ბოლო სამი თაობის ცხოვრებაში მნიშვნელოვნად შესუსტდა ოჯახის ინსტიტუტის, რელიგიის და განათლების როლი. ტრადიციული ავტორიტეტების არ არსებობის პირობებში რეკლამა გარკვეული სოციალური მეგზური გახდა. საინფორმაციო-სარეკლამო საშუალებების კოლოსალური სიმძლავრე შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ საქართველოს დემოგრაფიული განვითარებისათვის. ვერც ერთი სოციალური პრობლემა ვერ გადაწყდება შესაბამისი ინფორმაციული თანხლების გარეშე. სახელმწიფომ უნდა წაახალისოს პრესა, რადიო, კინო და მასმედიის სხვა საშუალებები პოპულარიზაცია გაუწიოს მრავალშვილიან ოჯახებს. საქართველოში წარმოდგენები დემოგრაფიულ სიტუაციაზე არ არის მყარი და მკაფიოდ გააზრებული. ყველა ინფორმაცია მოსახლეობის დემოგრაფიული პრობლემების აქტუალიზაციის შესახებ ექვემდებარება როგორც სპეციალისტების, ისე ჩვეულებრივი ობივატელების მხრიდან რევიზიას. ქართული საზოგადოებაში არ არის არგუმენტირებული იდეა რამდენი შვილი უნდა ჰყავდეს ოჯახს, ყველა ოჯახს უნდა ჰყავდეს თუ არა შვილი და რამდენი სჭირდება სახელმწიფოს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ სოციოლოგიურ გამოკვლევებში, სადაც ბავშვებსა და ოჯახს პირველი რანგი უკავიათ ფასეულობთა სისტემაში, მრავალშვილიანი ოჯახები არ იმსახურებენ ჯეროვან პატივისცემას გარშემომყოფთაგან. ცნობილია, რომ გარკვეული იმიჯის დეტერმინაცია განპირობებულია მიღებული ინფორმაციით, პრობლემებისადმი სამთავრობო სტრუქტურე-


ბის ყურადღების და მნიშვნელობის ხარისხით. ამიტომ დემოგრაფიული განვითარება, მოსახლეობის ზრდა, ოჯახის კეთილდღეობა შეიძლება საფუძვლად დაედოს ნაციონალურ იდეას. ასეთი მიდგომის მაგალითად შეიძლება იყოს „ბები ბუმი“ დასავლეთის ქვეყნებსა და აშშ-ში. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ყველა იდეოლოგიური მანქანა მუშაობდა ოჯახში ბავშვთა რაოდენობის გაზრდაზე. ომის შემდგომ აშშ-ში საჭირო იყო ეკონომიკური განვითარებისათვის ბიძგი ანუ მოსახლეობის ზრდის გამოწვევა – რაც მეტია მოსახლეობა, მით მეტია მოთხოვნილება. მარკეტინგმა გამოიყენა პრინციპი: არ უნდა ვაწარმოო ის რისი ყიდვის სურვილი აქვთ, არამედ უნდა გავზარდოთ მოთხოვნა იმაზე, რასაც ვაწარმოებთ. მარკეტინგის საშუალებით მოთხოვნა ჩამოყალიბდა ხელოვნურად, და სამომხამრებლო კრედიტების განვითარებამ კი წარმოქმნა მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება ახალ საქონელზე. ამიტომ ამ პერიოდში გაიზარდა ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება, შობადობა და ოჯახური ფასეულობები. ჰოლივუდი როგორც ყველაზე საუკეთესო პროპაგანდისტული ინსტრუმენტი, ხელს უწყობდა ამ იდეის გავრცობას. საერთოდ შობის დღესასწაული, მადლიერების დღე - ეს თემები ამერიკულ კინემატოგრაფიაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. თუ ინტერნეტში მოვძებნით ყველაზე მარტივად „ამერიკული ფილმები შობაზე“, ასამდე ფაილს ამოვადებ. ეს ნიშნავს, რომ უკანასკნელი 50 წელია აშშ-ში თითქმის ყოველწლიურად გამოდის ფილმები ოჯახსა და ბავშვებზე. საქართველოს კინემატოგრაფიაში კი ფილმების პერსპექტივა ოჯახის ფასეულობების შესახებ უმნიშვნელოა. შეიძლება ითქვას, 90-იანი წლების კრიზისული ეკონომიკის ფონზე, რომელშიც ოჯახის შენახვის მთავარი როლი ქალებმა იტვირთეს, ხოლო მამაკაცები მასიურ დეპრესიას მიეცნენ, ქართული კინო ერთგვარ ფემინოფობიურ ნაჭუჭში ჩაიკეტა.

დღეისათვის დემოგრაფიული განვითარების სფეროში პროპაგანდისტული საქმიანობის ეფექტიანობა არასაკმარისია სოციალური რეკლამის მეცნიერული შემუშავების არ არსებობის გამო. თანამედროვე ახალგაზრდა თაობა პრაგმატულად უდგება საოჯახო-ქორწინებით და რეპროდუქციულ ქცევას. ამიტომ მათი შეხედულება სარეკლამო-პროპაგანდისტული საშუალებებისადმი არც თუ მაღალია. ნათელია, რომ მატრიმონიალური, ოჯახური და რეპროდუქციული ქცევის დეტერმინაცია მატერიალური წახალისების საშუალებით აყალიბებს დემოგრაფიული ტრენდების კორელაციურ დამოკიდებულებას სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან. ომის შემდგომ წლებში შობადობის ბუმი შეინიშნებოდა როგორც აშშ-ში, ისე ყოფილ საბჭოთა კავშირში. ამ პერიოდში დიდ როლს თამაშობდა ოჯახის პოზიტიური სახის ფორმირების პროპაგანდისტული ხასიათის მოწოდებები, შეიძლება ითქვას, რომ ჩამოყალიბდა ბავშვის კულტი.

როდესაც დემოგრაფიულ ვითარებაზეა მსჯელობა ყოველთვის დემოგრაფიული პოლიტიკა მოიზრება, თუმცა სპეციალისტები ანსხვავებენ დემოგრაფიულ, სოციალურ-დემოგრაფიულ და სოჯახო პოლიტიკის ცნებებს. სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა სოჯახო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოებისა და ოჯახების, შიგაოჯახური ურთიერთობების ჰარმონიზაციისაკენ და სახელმწიფო ამისთვის იყენებს სამართლებრივ, ეკონომიკურ და პროპაგანდისტულ ინსტრუმენტებს. საოჯახო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში ბუნებრივია შვილიანი ოჯახი დგას, რადგან შვილის გაჩენა და აღზრდა ოჯახის მთავარი სოციალური ფუნქციაა. განსხვავება საოჯახო და დემოგრაფიულ პოლიტიკას შორის მდგომარეობს დეკლარირებულ მიზნებში. დემოგრაფიული ღონისძიებების განხილვისას შეიძლება ვთქვათ, რომ კითხვები უფრო მეტია, ვიდრე გადაწყვეტილებები. საქართველოს დემოგრაფიული განვითარებისათვის თანმიმდევრული დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ბაზაზე უნდა გამოვიყენოთ მარკეტინგული მეთოდები ანუ დედობის მოთხოვნილება არ განისაზღვრება მხოლოდ მატერიალურით. შედეგი რომ ადეკვატური იყოს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს უფრო მეტი შვილის ყოლის მოტივაციის ფორმირებას, ვიდრე დღეისათვის ქვეყანას სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ზომები მოკლევადიანი იქნება. ბევრ კითხვას ბადებს, თუ რამდენად ეფექტიანი იქნება საქართველოს მთავრობის 2018 წლის დადგენილება №517 მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მინიჭების შესახებ. დადგენილებაში განმარტებულია, რომ მრავალშვილიანი მშობელი არის პირი, რომელსაც ჰყავს ოთხი ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი ან/და ნაშვილები და მინიჭებული აქვს მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი, კანონმდებლობის შესაბამისად. მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირისთვის ელექტროენერჯის სუბსიდიის (სოციალური შეღავათის) ოდენობა შეადგენს ყოველთვიურად არაუმეტეს 20 ლარს, ხოლო მე-5 და მომდევნო თითოეულ არასრულ-

წლოვან ბავშვზე დამატებით არაუმეტეს 10 ლარს, მოხმარებული ელექტროენერჯის ოდენობის გათვალისწინებით. სოციალურ შედავას მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირის ოჯახი იღებს იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 300 000 პირობით ერთეულზე. საქსტატის მონაცემებით, საქართველოში 12 369 შინამეურნეობაა, სადაც ოთხი ან მეტი არასრულწლოვანი ცხოვრობს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსი 2006 წელს გაუქმდა. მანამდე ასეთი სტატუსი 7 და მეტშვილიან ოჯახებს ენიჭებოდა. პროფესორი ა. სულაბერიძე თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: "დახმარებას ვერ ვუწოდებ იმას, რაც მეოთხე შვილზეა განსაზღვრული და მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი უნდა მიენიჭოს სამშვილიანს. უხალისე 10 წელიწადში დეპოპულაცია გაგრძელდება, თუ პოლიტიკა არ შეიცვალა, სახელმწიფო ოჯახებისკენ არ შემობრუნდა ქვეყანაში უფრო რთული სიტუაცია იქნება".

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ სხვადასხვა წლებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგები ცხადყოფენ, რომ ოჯახი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა, თუმცა პირველობა დაუთმო კარიერასა და განათლებას. მკვეთრად გაიზარდა თანაცხოვრებისადმი ლოიალური დამოკიდებულება. რესპონდენტებს მიეცათ ფასეულობათა ჩამონათვალი და უნდა აერჩიათ მათთვის სამი მათგანი მნიშვნელობის მიხედვით [მენაბდიშვილი ე., 2014: 112].



დიაგრამა 1. ჩამოთვლილთაგან თქვენთვის რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი? (%)

მამრობითი სქესის ყველა ასაკის რესპონდენტებისთვის პირველი მნიშვნელობისაა მატერიალური მდგომარეობა, ხოლო მეორეზე ოჯახი. გამონაკლისია 18-20 წლის ასაკის რესპონდენტები, მათ მეორე მნიშვნელობა მიანიჭეს განათლებას და კარიერას, შემდეგ ოჯახის შექმნასა და შვილის ყოლას. მდებარეობითი სქესის რესპონდენტებში ოჯახს მესამე ადგილი უკავია მატერიალური მდგომარეობისა და განათლების შემდეგ. გამონაკლისს აქაც 18-20 წლის ასაკის რესპონდენტები წარმოადგენენ. მათ ყველაზე მნიშვნელოვან ფასეულობებში პირველი ადგილი მიანიჭეს განათლებას, შემდეგ კარიერას, მატერიალურ მდგომარეობას და შვილების ყოლას თანაბრად და ბოლოს ოჯახს.

### დასკვნა

ოჯახის პოზიტიური სახის ფორმირება და შობადობის ამაღლება შესაძლებელია თუ სახელმწიფო წაახალისებს სამ და ოთხშვილიანი ოჯახების ზრდას. შობადობის თანდათანობით გაზრდით მივალწევთ მოსახლეობის მარტივი აღწარმოების დონეს. საჭიროა მთვარობამ სწორი გადაწყვეტილებები მიიღოს ამ გრძელვადიანი პერსპექტივის შესასრულებლად. ამჟამად უფრო მეტი კითხვებია, ვიდრე პრობლემის გადაჭრის გზები. საქართველოს დემოგრაფიულმა განვითარებამ შესაბამისი საოჯახო პოლიტიკით უნდა გამოიყენოს მარკეტინგის მეთოდები ანუ გაზარდოს ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება. ადეკვატური შედეგების მისაღებად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვთა ყოლის გაზრდილი მოთხოვნილების მოტივაციის ფორმირებას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. მენაბდიშვილი ე. (2014). ოჯახის ტრადიციული ტიპიდან თანამედროვე დემოკრატიულ მოდელზე გადასვლა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული.
2. ბელჩი მ., ბელჩი ჯ. (2013). რეკლამა და პრომოცია; ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების ხედვა.
3. სულაბერიძე ა. (2018). საქართველოს დემოგრაფიული მოდერნიზაცია. ნაწილი პირველი. (XX საუკუნე). მონოგრაფია. თბილისი, გამომცემლობა „ზენაარი“.
4. Антонов А. (2009). Падение рождаемости. кризис семьи и неизбежность депопуляции в Европе в первой половине XXI века (Социологический подход)//Демографические исследования. М.
5. <http://www.washingtonpost.com/posteverything/wp/2014/05/30>
6. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4356707?publication=0>
7. <http://www.geostat.ge>
8. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის 2013 და 2014 წლის სოციოლოგიური კვლევის მასალები.

*Nino Gomelauri  
Tsitsino Gvritishvili*

### **FORMATION OF THE POSITIVE FACE OF A FAMILY IN GEORGIA**

#### **Summary**

The article deals with the analysis of the formation of the positive face of a family. The family is a foundation of a society and, therefore, it affects the development of the society by such means as the population reproduction, enrichment of its material and spiritual values, and rearing of the future members of the society. The transformation of the social life, which began during the last decades of the twentieth century, had a substantial impact on such significant social institutions as are family and marriage. Demographic statistics depicts the following type of changes of the family institution: family nuclearization, fertility reduction, growth of the share of divorce and incomplete families.

The transformation of the family institution entails the increase in the forms of alternative family. Depopulation is the result of the global transformation of society, change of family's role, and decrease of the family's functions, primarily its reproductive function. As compared to 2014, the number of marriages decreased from 31 526 to 23 202 in 2018.

On the other hand, the number of divorces increased from 9 119 to 10 288 during the same years. The mean age at marriage was 27 for women and 29 for men in 2018. The quantity of children aged 0, 1, 2, 3, etc., which was registered during the general population census of 2014, is 15% less than the quantity of those who were registered in 2013 and 2012. We can successfully exploit the colossal power of information-advertisement instruments in order to develop Georgia demographically. Not a single social problem can be solved without exposing the relevant information. The state must encourage the press, radio, film as well as the other means of mass media so as to popularize families with many children.

It is possible to form the positive face of a family and birth rate increase if the state encourages the growth of the families with three and four children. It is necessary for the state to make correct decisions in order to implement the mentioned long-term perspective. However, nowadays, there are more questions than the ways to solve problems. The development of Georgia's demographic situation with the appropriate family policy must make use of marketing methods, in other words, it must increase the need of having children. In order to get adequate results it is of utmost importance to create motivation for the increased need of having children.



საქართველოს მოსახლეობის შრომითი სტრუქტურისა და  
შრომითი პოტენციალის თანამედროვე ასპექტები

**ანოტაცია.** საკონფერენციო თემაში – „საქართველოს მოსახლეობის შრომითი სტრუქტურისა და შრომითი პოტენციალის თანამედროვე ასპექტები“ – განხილულია საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა, დახასიანებულია ცალკეული ასაკობრივი ჯგუფები და მათი ხვედრითი წილი მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში, ასაკობრივი სტრუქტურის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები, შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს მოსახლეობის შრომითი პოტენციალი და შრომითი დატვირთვის მაჩვენებლები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის გარემოება, რომ მნიშვნელოვნად არის შეცვლილი საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა, მასში თანდათანობით იზრდება მაღალი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი და მცირდება დაბალი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი, ასაკობრივი სტრუქტურის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სხვაობები არსებობს საქართველოს რეგიონებს შორის. დაბალია მოსახლეობის შრომითი პოტენციალი და შესაბამისად მაღალია შრომითი დატვირთვის მაჩვენებლები.

მოსახლეობის შრომით პოტენციალსა და შრომითი რესურსების ასაკობრივი სტრუქტურის ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები, კერძოდ, შობადობა, მოკვდაობა, მიგრაცია. საბოლოოდ, ყველა ეს ფაქტორი კი პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად მოქმედებს ეკონომიკის განვითარების როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

**საკვანძო სიტყვები:** მოსახლეობა, შრომითი სტრუქტურა, შრომითი პოტენციალი.

\* \* \*

ადამიანთა საზოგადოების არსებობის საფუძველს მატერიალური დოვლათის წარმოება შეადგენს. მოსახლეობა ამ დოვლათის მწარმოებელიც და მომხმარებელიც. მოსახლეობას წარმოადგენს ადამიანთა მრავალრიცხოვანი, მასობრივი ერთობლიობა, რომელსაც მოცემულ პირობებში გააჩნია გამრავლების, თვითშენარჩუნების უნარი. ეს უკანასკნელი კი ხდება მოსახლეობის აღწარმოებით, რაც თაობათა უწყვეტი განახლების პროცესია.

მოსახლეობის გარკვეული რიცხოვნობის გარეშე არ იქნებოდა არც ეკონომიკა, არც ბიზნესი. დემოგრაფიული პროცესები – შობადობა, მოკვდაობა, მიგრაცია, რომლებიც იწვევს მოსახლეობის რიცხოვნობის და შემადგენლობის ცვლილებას, განიხილება ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედ ფაქტორებად.

მოსახლეობა შრომითი რესურსების ფორმირების წყარო და, შესაბამისად, შრომის ბაზრის განმსაზღვრელი ფაქტორია. ამიტომ მას იყენებენ ქვეყნის შრომითი პოტენციალისა და შრომითი სტრუქტურის დასახასიათებლად.

მოსახლეობის შრომითი პოტენციალი საზოგადოებრივი კვლავწარმოების (წარმოების, განაწილების, მიმოქცევისა და მოხმარების) პროცესთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და სწორ წარმოდგენას იძლევა შრომითი რესურსების შესაძლებლობაზე.

ტერმინი „შრომითი პოტენციალი“ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან დამკვიდრდა. მიღებულია „შრომითი პოტენციალის“ არსის რამდენიმე გაგება:

ა) მოსახლეობის შრომითი პოტენციალი არის ადამიანური პოტენციალის ნაწილი, რომელიც ფორმირდება მისი ბუნებრივი მონაცემების (ნიჭის), განათლების, აღზრდისა და ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე. იგი მოსახლეობის წარმოებაში ჩაბმის ზღვრული სიდიდეა მისი ფიზიოლოგიური თავისებურებების, პროფესიული ცოდნისა და შეძენილი ჩვევების გათვალისწინებით. ამ გაგებით, შრომითი პოტენციალი ეკონომიკის ადამიანისეული ფაქტორის გამოხატულებაა და ასახავს მოსახლეობის, შრომითი რესურსებისა და სამუშაო ძალის განსაკუთრებულ სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს.

ბ) შრომითი პოტენციალის ცნების ქვეშ იგულისხმება საზოგადოების შრომის უნარი, რომელსაც ფლობს საზოგადოება განვითარების გარკვეულ საფეხურზე. მასში მოიაზრება როგორც საზოგადოებრივი წარმოების პროცესში ჩართული, ისე ამა თუ იმ მიზეზით გამოუყენებელი შრომითი რესურსებიც. ასეთი ფორმულირება მიესადაგება მხოლოდ

შრომისუნარიან მოსახლეობას, როგორც წარმოების პიროვნულ ფაქტორს. ამ შემთხვევაში არ გაითვალისწინება ადამიანის ყველა პიროვნული თვისება, უნარი, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ზნეობრივი დაცემა შეიძლება გახდეს ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი.

გ) ერთ-ერთი მიდგომით, შრომითი პოტენციალი არის მოცემულ საზოგადოებაში საერთო დემოგრაფიული, სოციალური და სულიერი მახასიათებლებისა და უნარების განვითარება, რომელიც განხორციელებულია ან შეიძლება განხორციელდეს არსებული შრომითი ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი აქტივობის ჩარჩოებში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შრომითი პოტენციალი შეიძლება განვიხილოთ, როგორც დემოგრაფიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ურთიერთდაკავშირებულ მახვევებელთა სისტემა.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ცნებები: **მოსახლეობის შრომითი პოტენციალი** და **თაობის შრომითი პოტენციალი**; ეს უკანასკნელი მოსახლეობის შრომითი პოტენციალის კერძო შემთხვევაა. თაობის შრომითი პოტენციალი - მოსახლეობის შრომითი აქტივობის საერთო ეკონომიკურ-დემოგრაფიული მახასიათებელია. იგი გულისხმობს ადამიანის სამუშაო აქტივობის საშუალო ასაკს, რომელიც ამ ადამიანმა უნდა განვლოს ეკონომიკურად აქტიური პერიოდთან, მოკვდაობის გარკვეული დონის გათვალისწინებით.

ასევე ერთმანეთისაგან უნდა გაავიჯნოთ ცნებები - **მოსახლეობის სამუშაო ძალა** და **მოსახლეობის შრომითი პოტენციალი**. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ „სამუშაო ძალისუ ქვეშ მოიაზრება შრომისუნარიანი მოსახლეობა, რომელიც მუშაობს ან აქტიურად ეძებს სამუშაოს, მაშინ როცა „მოსახლეობის შრომითი პოტენციალი“ გულისხმობს არა მხოლოდ მოქმედ წარმოებაში სამუშაო ძალის გამოყენებას, არამედ ის თავის თავში მოიცავს ადამიანის გამოუყენებელ აქტივობას იმ შემთხვევაშიც, თუ წარმოება გაჩერებულია. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის შრომითი პოტენციალი შეიძლება განისაზღვროს, როგორც გამოყენებული, ისე გამოუყენებელი, ანუ სარეზერვო შრომის ნაკადი.

შრომითი პოტენციალი თავისი არსით ახლოსაა ცნებასთან „ადამიანური რესურსი“. ამ უკანასკნელს ხშირად იყენებენ დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში. ამავე დროს ის უფრო ფართო შინაარსისაა, ვიდრე სამუშაო ძალა და ადამიანური კაპიტალი. თუ სამუშაო ძალა ხასიათდება ნიშნებით ჯანმრთელობა, განათლება, პროფესიონალიზმი, ადამიანური კაპიტალი ამ ნიშნებთან ერთად მოიცავს ბუნებრივ შესაძლებლობებსაც (ნიჭი და მობილობა). შრომითი პოტენციალი ზემოთ ჩამოთვლილ ნიშნებთან ერთად ხასიათდება თვითრეალიზაციის უნარით, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს აქტივობას, ორგანიზებულობას „შემოქმედებითობას, ადამიანებთან ურთიერთობის უნარს და ა. შ. შრომითი პოტენციალი შეისწავლება ცალკეული მუშაკის, საწარმოს (ფირმის), საზოგადოების დონეზე. საზოგადოების შრომითი პოტენციალი დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოების ინტელექტუალურ დონეზე. საზოგადოებრივი შრომითი პოტენციალი გაიანგარიშება ფორმულით:

$$S_{\text{საზ. შრ. პოტენციალი}} = \sum_{i=1}^n Z_i \times T$$

სადაც  $S$  - საზოგადოებრივი შრომის პოტენციალია,

$Z_i$  - ეროვნულ ეკონომიკაში მონაწილეობის შემძლე მოსახლეობის რიცხვი ცალკეული ი-ური ჯგუფების მიხედვით (კაცი);

$T$  - კანონით დადგენილი სამუშაო დროის ხანგრძლივობა თითოეული ი-ური ჯგუფისათვის კალენდარულ დროში (სთ).

2014 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის შრომითი პოტენციალი 1989 წელთან შედარებით შემცირებულია 30.5%-ით, რაც ძირითადად, ჩვენი აზრით, საქართველოს მოსახლეობის მკვეთრი შემცირებით არის გამოწვეული.

შრომით პოტენციალთან ერთად მნიშვნელოვანია მოსახლეობის შრომითი სტრუქტურის შესწავლა.

მოსახლეობის შრომითი სტრუქტურის ანალიზისათვის დემოგრაფიაში გავრცელებულია მოსახლეობის დაჯგუფება მსხვილი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: შრომისუნარიანზე უმცროსი ასაკის, შრომისუნარიანი ასაკის და შრომისუნარიანზე უფროსი ასაკის. ამ დაყოფის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა 2002 და 2014 წლების აღწერების ფონზე ასე გამოიყურება (ცხრილი 1).

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა


	1989		2002		2014	
	ათ.კაცი	%	ათ.კაცი	%	ათ.კაცი	%
შრომისუნარიანზე უმცროსი ასაკის	1339.2	24.8	915.9	20.9	691.3	18.6
შრომისუნარიანი ასაკის	3 586.1	66.4	2 796.8	63.9	2 492,4	67.1
შრომისუნარიანზე უფროსი ასაკის	475.5	8.8	658.8	15.2	530.3	14.3
სულ მოსახლეობა	5 400.8	100.0	4 371.5	100.0	3 714.0	100.0

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით.

2002-2014 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობა (-6575,0 ათ კაცი), შესაბამისად, შემცირდა ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების აბსოლუტური მაჩვენებლებიც. განსაკუთრებით მკვეთრად შემცირდა შრომისუნარიანზე უმცროსი ასაკის მოსახლეობის აბსოლუტური მაჩვენებელი (224.6 ათ.კაცი) და მისი ხვედრით წილი (2.3 პროცენტული პუნქტი).

დიაგრამა 1

მოსახლეობის განაწილება ძირითადი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 1989, 2002 და 2014 წლის აღწერების მიხედვით (%)



შეედი დემოგრაფი გ. სუნდბერგი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ასაკობრივი სტრუქტურა შეიძლება იყოს სამი ტიპის: პროგრესული, სტაციონარული (უცვლელი) და რეგრესული ტიპის.

ასაკობრივი სტრუქტურის ტიპი დამოკიდებულია ახალგაზრდა და უფროსი თაობის თანაფარდობაზე. პროგრესული ასაკობრივი სტრუქტურა შრომისუნარიანზე უმცროსი ასაკის მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდება და ასეთი მოსახლეობა სწრაფ ზრდას განიცდის. რეგრესიულ ასაკობრივ სტრუქტურაში კი შრომისუნარიანზე უმცროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი 20 პროცენტი და ნაკლებია. ასეთი მოსახლეობა კლებას განიცდის. საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა რეგრესიულია (ახალგაზრდების ხვედრითი წილი შემცირებით ხასიათდება).

შრომითი რესურსების ასაკობრივი სტრუქტურის შესწავლისას გამოყოფენ შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებს: ა. 16-29 წელი - ახალგაზრდა, 30-49 წელი - შუა ასაკი, გ. 50-64 წელი - წინასაპენსიო ასაკი (ცხრილი 2).

საქართველოს შრომითი რესურსის ასაკობრივი სტრუქტურა (2002- 2014 წლების საყოველთაო აღწერების მიხედვით)

	2002		2014	
	ათ.კაცი	%	ათ.კაცი	%
15-29 წელი-ახალგაზრდა	995.8	22.7	770.8	20.7
30-49 წელი - შუა ასაკი	1 247.2	28.5	993.3	26.7
50-64 წელი - წინასაპენსიო ასაკი	654.1	14.9	728.2	16.6


წყარო: ცხრილი შედგენილია აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით.

შრომითი რესურსების ასეთი ასაკობრივი სტრუქტურა საშუალებას იძლევა განისაზღვროს ახალგაზრდობის წილი შრომით რესურსებში, შეფასდეს შრომითი რესურსების დაბერების პროცესი, განსაზღვრავს შრომით რესურსებში დასაქმებულთა წილს და ა. შ. ვინაიდან 25 წლამდე ახალგაზრდობა, ფაქტობრივად, სწავლითაა დაკავებული და ვერ ერთვება შრომით პროცესში, ამ კონტინგენტის წილი დასაქმებულ მოსახლეობაში დაბალია

(გრაფიკი 1). ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა 30-45 წლის ასაკობრივი ჯგუფი, ამიტომ მისი მაღალი წილი შრომით რესურსებში, ეფექტიანი დასაქმების შემთხვევაში, მაღალი შრომის მწარმოებლურობის საწინდარია.

გრაფიკი 1

უმუშევრობის დონე ასაკობრივ კრებში 2017 წელს, %



თუ მოსახლეობაში 40-64 წლის ასაკობრივი ჯგუფის წილი სისტემატურად იზრდება, ეს ნიშნავს იმას, რომ მიმდინარეობს შრომითი რესურსების დაბერება. მე-2 ცხრილის მონაცემები სწორედ ამის მაჩვენებელია. თუ 2002 წლისათვის 50-64 წლის ასაკობრივი ჯგუფის ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში 14.9 %-ს შეადგენდა, 2014 წლისათვის მისი ხვედრითი წილი 16.6%-მდე გაიზარდა, რაც საქართველოს მოსახლეობის და, შესაბამისად, შრომითი რესურსების დაბერებაზე მეტყველებს.

შრომითი რესურსების ასაკობრივი სტრუქტურის ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები, კერძოდ, შობადობა, მოკვდაობა, ასაკობრივი სტრუქტურა, მიგრაცია.

როცა ქვეყანაში შობადობის დონე მაღალია, შრომით რესურსებში იზრდება ახალგაზრდობის წილიც, თუმცა ეს არ ხდება მოსახლეობის ზრდის პარალელურად, ეს პროცესი შრომით რესურსებზე გარკვეული დროის შემდეგ აისახება. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შობადობის მაღალი დონე განაპირობებს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდას, რაც გაითვალისწინება დასაქმების პოლიტიკის განსაზღვრისას.

მოკვდაობა მაშინ ახდენს გავლენას შრომითი რესურსების რიცხოვნობაზე, თუკი ის მაღალია შუა ასაკობრივ ჯგუფში, საპენსიო ასაკის მოსახლეობაში მოკვდაობის ზრდა

გაველენას არ ახდენს შრომითი რესურსების რიცხოვნობაზე, ხოლო ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის მაღალი მაჩვენებელი ამცირებს მოსახლეობის სიცოცხლიანობის მაჩვენებელს და გარკვეული დროის შემდეგ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას იწვევს. მოსახლეობის აღწარმოების დღევანდელი ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში, შრომისუნარიანის შემდგომი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი გადააჭარბებს შრომისასაკამდელი მოსახლეობის ხვედრით წილს.

მოსახლეობის შრომითი სტრუქტურის დასახასიათებლად იყენებენ შრომითი ასაკის მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლებს. ეს მაჩვენებლები გამოითვლება როგორც ცალკე ბავშვებით და ცალკე ხანდაზმულებით, ისე ერთად. ეს მაჩვენებლები გვიჩვენებენ რამდენი ხანდაზმული (ბავშვი) ან ორივე ერთად მოდის შრომითი ასაკის ყოველ 100 ადამიანზე (ცხრილი 3).

*ცხრილი 3*

**შრომითი ასაკის მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები  
(1989-2014 წლების აღწერის შედეგების მიხედვით)**

	1989	2002	2014
<b>ბავშვთა დამოკიდებულების (დატვირთვის) კოეფიციენტი :</b>			
$K_{\text{ლატვ}} = \frac{S_{0-14}}{S_{20-59}} \times 100$	46.7	40.0	33.6
<b>ხანდაზმულთა დამოკიდებულების (დატვირთვის) კოეფიციენტი:</b>			
$K_{\text{ლატვ}} = \frac{S_{60+}}{S_{20-59}} \times 100$	27.1	35.8	36.1
<b>დამოკიდებულების ჯამური კოეფიციენტი:</b>			
$K_{\text{საერთო დატვირთვის}} = \frac{S_{0-14} + S_{60+}}{S_{20-59}} \times 100$	73.8	75.8	69.7

მნიშვნელოვანია შრომითი დატვირთვის სტრუქტურის ანალიზი. შრომითი დატვირთვის სტრუქტურა წარმოადგენს ბავშვთა და ხანდაზმულთა დამოკიდებულების კოეფიციენტების ხვედრით წილს დამოკიდებულების ჯამურ კოეფიციენტში. ჯამური დატვირთვის კოეფიციენტის სიდიდე საქართველოში შეიცვალა, მისმა შემადგენლობამ განიცადა არსებითი ცვლილებები. თუ ადრე საზოგადოება მუშაობდა, მნიშვნელოვანწილად, ბავშვების უზრუნველსაყოფად, დღეს ეკონომიკა უფრო მეტად ხანდაზმულთა რჩენასა და მომსახურებაზეა ორიენტირებული. ამ ცვლილებების მიზეზია მოსახლეობის დაბერება, მოსახლეობის ბუნებრივ აღწარმოებაში მომხდარი ცვლილებების შედეგად დაბერების პროცესის დაჩქარება.

ამრიგად, ერთ შრომისუნარიანზე რაც უფრო მეტი არაშრომისუნარიანი (ანუ კმაყოფაზე მყოფი) მოდის, მით მეტი მოთხოვნები წაყენება დასაქმებულთა შრომის ეფექტიანობას. მნიშვნელობა აქვს არაშრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილის ასაკობრივ სტრუქტურასაც. თუ მის რიცხოვნობაში იზრდება მოზარდების, ანუ პოტენციურ შრომისუნარიანთა ხვედრითი წონა, მომავალში შეიძლება ველოდოთ თითოეული დასაქმებული შრომისუნარიანის დატვირთვის შემცირებას.

მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას განსაზღვრავს და სათანადო კორექტივი შეაქვს მასში მოსახლეობის აღწარმოების წესს. ამ უკანასკნელის ბაზაზე იცვლება შრომისუნარიანი და არაშრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის თანაფარდობა, რომელიც უშუალოდ რეაგირებს ქვეყნის შრომით პოტენციალზე და, საბოლოო ჯამში, ეკონომიკის განვითარებაზე.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ხმალაძე მ. დემოგრაფია, სახელმძღვანელო, თბ., 2009.
2. ვირსალაძე ნ. საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა და გენდერული თანასწორობის სტატისტიკა, ჟ. ეკონომიკური პროფილი ზ 3, 2007.
3. www.statistics.ge

4. [http://census.ge/files/results/Census%20Release\\_GEO.pdf?fbclid=IwAR0k46O5dwbh6sBHPhOdDAOdWJ9H68RJCZQil9tiP\\_e0A2lUAXrcz5-hQJU](http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf?fbclid=IwAR0k46O5dwbh6sBHPhOdDAOdWJ9H68RJCZQil9tiP_e0A2lUAXrcz5-hQJU)  
 5. [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=472&lang=geo&fbclid=IwAR3Hd9Av92KuC-amfVtk0SL3VH4Ua\\_WT97K9hfpq-4alkV92DCsUxqFdg2A](http://geostat.ge/?action=page&p_id=472&lang=geo&fbclid=IwAR3Hd9Av92KuC-amfVtk0SL3VH4Ua_WT97K9hfpq-4alkV92DCsUxqFdg2A)

*Naira Virsaladze  
Mavlina Kipiani*

**MODERN ASPECTS OF LABOR STRUCTURE AND  
POTENTIAL OF GEORGIAN POPULATION**

**Summary**

In the conference topic “Modern Aspects of labor structure and potential of Georgian Population” the age group of Georgian population is reviewed, individual age groups and their share in the age structure of the population and factors affecting the age structure are characterized, the labor potential of the Georgian population and the labor loading indicators are studied and analyzed.

The research revealed that the age structure of the Georgian population was significantly changed and the share of older population is gradually increasing and the share of the young population is decreasing. In terms of age structure there are significant differences among the regions of Georgia. The labor potential of the population is low and the labor loading indicators are high.

The demographic processes in the country, namely birth, mortality, migration, have a significant impact on the population's labor potential and the formation of age structure of labor resources. Finally, all these factors directly and unambiguously affects quantitative and qualitative indicators of economic development.

*რევაზ ლორთქიფანიძე*

**ქსელური მენეჯმენტი „მწვანე ავთიაჰით“  
დემოგრაფიული პრობლემების დასაძლევად**

*ანოტაცია. დედაქალაქიდან და რეგიონული ცენტრებიდან ქსელური მართვის მექანიზმების გამოყენების საფუძველზე მენეჯერული ხარჯების შემცირებითა და მაღალმთიან რეგიონებში „მწვანე ავთიაჰებისა“ და მცირე ამბულატორიული ობიექტების ამოქმედების გზით, შესაძლებელია, მაღალმთიანეთის დაცარიელებულ სოფლებში ახალგაზრდობის მოზიდვა და საქმიანი დამაგრება, რამაც, შესაძლოა, უმწვავესი დემოგრაფიული პრობლემებიც გადაჭრას და მასობრივი ეკონომიკური აღმაშენების ციკლიც განავითაროს.*

*საკვანძო სიტყვები: ქსელური მენეჯმენტი. ცხოვრების ხარისხი. ხარჯების მინიმიზება. ეფექტიანობა.*

**შესავალი**

ეკონომიკური კრიზისის გახანგრძლივება განსაკუთრებით თვალსაჩინოდ შეიგრძნობა საქართველოს მაღალმთიანეთში და მოლოდინი იმისა, რომ აქ განვითარებული უმწვავესი ეკონომიკურ-დემოგრაფიული პრობლემები გონივრული ჩარევის გარეშე - თვითრეგულირებით გადაიჭრება, ყოველად დაუშვებელია.

სსენებელი პრობლემების წარმოშობის მთავარ მიზეზად დამოუკიდებლობის პირობებში მართვის გამოუცდებლობა და, ფარული მონოპოლიების მოქმედების შედეგად, ადგილობრივი ბაზრის მნიშვნელოვანი დეფორმაცია მიგვაჩნია.

ზემოაღნიშნული მდგომარეობიდან ოპერატიული გამოსვლის ერთადერთ გზად ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს გონივრული ჩართულობა და კონკურენტული ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისათვის გააზრებული სტიმულების ამოქმედება გვესახება.

\* \* \*

ახლახან გამოქვეყნდა ჩემი მონოგრაფია საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენციისა და კონკურენტული მართვის შესახებ<sup>67</sup>, რაც, ვფიქრობ, გარკვეულ სამსახურს გაუწევს ეკონომიქსისა და მართვის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

<sup>67</sup> IorTqifaniZe r., 2019, saerTaSoriso ekonomikuri konkurenciisa da konkurentuli marTvis Teoria. - Tb., ekonomist a. gunias saxelobis saqvelmoqmedo akademia, 450 gv.

მენეჯერული ხარჯების ოპტიმიზებისათვის, ადგილობრივი ბაზრების რეალური უსაფრთხოებით დაწეებული, გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის ჩემთვის სამაგალითო კვლევების [1-7] განზოგადებისა და საკუთარი გამოცდილების შედეგად გამოვლინდა, რომ სრულყოფილი კონკურენციის კლასიკური გაგების მთავარი ნიშან-თვისება - „კონკურენტთა რაოდენობის უსასრულოდ მზარდი მნიშვნელობა“ - არ შეესაბამება აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, ვინაიდან, ფიზიკის დენის ძალის კანონის ანალოგიით ჩემ მიერ განსაზღვრული კონკურენციის ძალა ოპტიმალურ მნიშვნელობას, შესაძლოა, სხვადასხვა სიტუაციაში კონკურენტთა სხვადასხვა რაოდენობით აღწევდეს. შესაბამისად, ჩვენ ვილაშქრებთ ე.წ. „ჭიანჭველების“ ბაზრის წინააღმდეგ და გთავაზობთ სრულყოფილების განსაზღვრას ეფექტიანობის კრიტერიუმის შესაბამისად. აღნიშნული გზა გვაჩვენებს რეალურ შესაძლებლობას, თუ ყოველ კონკრეტულ ბაზარზე რა რაოდენობისა და ზომის ბიზნესები შეიძლება იყოს მაქსიმალურად ეფექტიანი ანუ კონკურენტული.

გამომდინარე, კონკურენტული მენეჯმენტის ჩვენეული მოდელი საკუთარი უნარების დამატებით სტიმულირებას გულისხმობს და, ქსელური დელეგირების მექანიზმების გამოყენებით, გადაუდებელი სტრატეგიული საკითხების დღის წესრიგში გთავაზობთ მაღალმთიანი რეგიონების უმწვავესი დემოგრაფიული პრობლემების ოპერატიულ მოგვარებას სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის აქტიური ჩართულობით.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შემოთავაზებული ქსელური დელეგირების მენეჯმენტი, მეტად კონკურენტული კოოპერირებით, მომენტალურად (პირველივე წელს დაიწყებს რეალური შედეგების მოცემას) შეცვლის მდგომარეობას. ასეთი მენეჯმენტის სამაგალითო ელემენტარული სქემა შეიძლება გულისხმობდეს:

1) ყოველ მაღალმთიან სოფელში მინიმუმ 2 კაციანი ამბულატორიული პუნქტების მოწყობა, რომლებიც დაეხმარება მოსახლეობას (მ.შ. ახალგაზრდა ოჯახებს) სამედიცინო დახმარების (მ.შ. მშობიარობის) აუცილებლობის დროს. პირველ ეტაპზე ასეთი პუნქტები თავისუფალ დროს შეიძლება დაკავდნენ „მწვანე აფთიაქის“ მოწყობით, რომელიც ადგილობრივი ნედლეულით უნიკალური სამკურნალწამლო პრეპარატების დამზადებასა და ექსპორტზეც იქნება ორიენტირებული და, თანამედროვე სამედიცინო აპარატურის გამოყენებით, უჯრედზე, ელექტრონებსა და კვარკებზე დაკვირვებით ჩაატარებს ცხოვრების ხანგრძლივობის შესახებ უაღრესად აქტუალურ კვლევებს მაღალი მთის უნიკალური ქართული ფენომენის სათანადო დონეზე შესასწავლად;

2) ასეთი პუნქტების მენეჯერული ფუნქციები (მ.შ. ტექნიკით - ვერტმფრენებითა თუ ჯიპებით და სხვა აუცილებელი საშუალებებით უზრუნველყოფა) დელეგირებული უნდა იყოს კომპანიის სათავო ოფისზე თბილისსა თუ რეგიონულ ცენტრებში;

3) ასეთი კოოპერირება შექმნის რეალური ბიზნესის საფუძველს და არსებითად გაზრდის ბიზნესის ეფექტიანობას ქვეყანაში, დააბრუნებს ახალგაზრდობას მთაში, შექმნის სამუშაო ადგილებს ეკონომიკის სხვადასხვა დარგში;

4) სახელმწიფო ჩართულობა ამ სქემაში უნდა მოვიზიაროთ მინიმალური - სიმბოლური (ამასთანავე, აუცილებელი) ხარჯებით, რაც შეიძლება გამოიხატოს: ა) ამბულატორიული პუნქტების მოწყობაში; ბ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (ხშირ შემთხვევაში არასათანადოდ ათვისებული და გამოუყენებული შენობა-ნაგებობების ფართობით) გადაცემაში; გ) მცირე ტექნიკური პარკების აღჭურვაში (რაც სახელმწიფო ბიუჯეტისათვის შესაძლო ფინანსებს საჭიროებს ყოველგვარი დამატებითი მობილიზების გარეშე), რომელთა აუცილებლობა, გვაღვებისა და გახშირებული ხანძრების პერიოდში, რთულად მისასვლელი ჩვენი მაღალმთიანეთისათვის მწვავედ საჭირო ვერტმფრენების ნაკლებობამაც დაადასტურა.

ჩვენი აზრით, აუცილებელია კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფაც და სააგენტოს საშტატო შემადგენლობის ოპერატიულად რაციონალური გაფართოება. დაუშვებლად მიმაჩნია ბაზრის კონცენტრაციის შესახებ იმპერატიული უნიფიცირებული ნორმების არსებობა კანონმდებლობაში - რატომ, მაგალითისათვის 40% და არა 30 ან 50. ასეთი ნორმები, მიზანშეწონილია, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში დიფერენცირებული იყოს დარგობრივ და რეგიონულ ჭრილებში, ამასთან, ყოველწლიური და ყოველკვარტალური შედეგების გათვალისწინებით.

ჩემ მიერ, ფიზიკის ომის კანონის მსგავსად, ეკონომიკური კონკურენციის ძალის განსაზღვრა თუ გვეხმარებოდა, რომ ბაზრის ბირთვში მიმდინარე კონკურენტული მოვლენები

შეფასებულიყო, ჩემი ახალი რეკომენდაცია კონკურენციის საშუალოშეწონილი შეფასების შესახებ, საშუალებას მოგვცემს, ბაზარი, კონკურენტულობის თვალსაზრისით, მაქსიმალურად სრულად - მეტად სრულყოფილად (სისტემურად) შევაფასოთ. ამ ახალი შეფასების მეთოდის საფუძველზე, სხვადასხვა კონკრეტულის განზოგადების მაგალითზე გამოვლინდა, რომ, ჩინეთის ბაზარზე კონკურენტების მნიშვნელოვანი მეტობის მიუხედავად, მაღალი მთის კურორტებით მდიდარ აშშ-სა და შვეიცარიაში კონკურენციის დონე დაახლოებით 350-360%-ით მეტია და ინვესტორის ინტერესი ჩინურ ბაზრებზე, გამოწვეულია იაფი რესურსფაქტორების მიზეზებით, რაც, საბოლოო ჯამში, დაბალანსდება და გრძელვადიან სტრატეგიაში, როგორც ჩვენს გაანგარიშებები ადასტურებს, უპირატესობა მიენიჭება უფრო მაღალტექნოლოგიურ ამერიკულ და ევროპულ ბაზრებს.

ჩემი კვლევის უახლესი შედეგების მიხედვით, კონკურენციის დონე შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:

**კონკურენციის დონე = ბაზრის ეფექტიანობა/კომპანიების საშუალოშეწონილი ხვედრიწონა**

აუცილებლობად მიმაჩნია, რომ ბაზრის კონკურენტუნარიანობა პირველ რიგში განისაზღვროს ბაზრის ეფექტიანობის მაჩვენებლებით, მათ შორის პროდუქტიულობის (მაგალითად, შრომის მწარმოებლურობა, კაპიტალუკუება და სხვადასხვა რესურსის გამოყენების ინტენსივობა) და რენტაბელობის (საკუთარი კაპიტალის, აქტივების და ინვესტირებული კაპიტალის მომგებიანობა და ა.შ.) სახით.

ბაზარზე შეიძლება ძალიან ბევრი კონკურენტი ოპერირებდეს, მაგრამ ბაზარი არა-ეფექტიანი იყოს. ეს არ ნიშნავს, რომ რაოდენობრივი მაჩვენებლები იგნორირებული უნდა იყოს - ისინი, შესაძლებელია, დამატებით გამოვიყენოთ მეტად კომპლექსური - სრულყოფილი შეფასებისათვის.

ზემოაღნიშნული კომპანიების საშუალოშეწონილი ხვედრიწონა დამოუკიდებლად შეიძლება გამოვიყენოთ ბაზრის კონკურენციის შეფასებისათვის:

$$\text{კომპანიების საშუალოშეწონილი ხვედრიწონა} = \sum_{i=1}^n (S_i V_i) / V,$$

სადაც n არის ბაზარზე არსებული კომპანიების რაოდენობა;

S<sub>i</sub> - i კომპანიის საბაზრო წონა პროცენტებში;

V<sub>i</sub> - i კომპანიის მოცულობა დოლარებში;

V - ბაზრის სრული ტევადობა დოლარებში.

მაგალითად, თუ ერთგვაროვანი ბაზრის მოცულობა 200 მილიარდ დოლარს შეადგენს და 3 კომპანია წარმოდგენილია 40; 60 და 100 მილიარდი დოლარით, კომპანიების საშუალოშეწონილი წონა 38% იქნება (20% x 40 + 30% x 60 + 100x50%) / 200 = 38%).

ბუნებრივია, სამივე კომპანიის საშუალოარითმეტიკული წონა იქნება 100/3 = 33,3%, მაგრამ 38%, ვფიქრობ, დამეთანხმებით, უფრო ზუსტად ასახავს რეალურ სიტუაციას.

თუ აღნიშნული 200 მილიარდიანი ბაზარი წარმოდგენილი იქნება 3 კომპანიით - შესაბამისად, 198; 1 და 1 მილიარდი დოლარით, მათი საშუალოშეწონილი იქნება 98,015% (198x99% + 1x0,5% + 1x0,5%), რაც, ვფიქრობ, 33,3%-ზე უკეთ და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსზე უფრო თვალსაჩინოდ ასახავს, რომ ბაზარი მნიშვნელოვნად კონცენტრირებულია რეალური საბაზრო ძალის მქონე კომპანიის გარშემო და მეტყველებს, რომ ადგილობრივი ბაზრის ეკონომიკური უსაფრთხოება დარღვეულია და გადაუდებელ ღონისძიებებს საჭიროებს.

**დასკვნები**

ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, მაღალმთიან სოფელებში ამბულატორიული პუნქტების მოწყობა „მწვანე ავთიაქების“ მომრავლებით, არსებითად გაზრდის ბიზნესის ეფექტიანობას ქვეყანაში, გააუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს, დააბრუნებს ახალგაზრდობას მთაში, შექმნის სამუშაო ადგილებს ეკონომიკის სხვადასხვა დარგში.

ამასთანავე, ადგილობრივი ბაზრის კონკურენტულობის ამაღლების მიზნით ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სრულყოფილი კონკურენციის კლასიკური გაგების



მთავარი ნიშან-თვისება - „კონკურენტთა რაოდენობის უსასრულოდ მზარდი მნიშვნელობა“ არ შეესაბამება აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, ვინაიდან, ფიზიკის დენის ძალის კანონის ანალოგიით ჩვენ მიერ განსაზღვრული კონკურენციის ძალა ოპტიმალურ მნიშვნელობას, შესაძლოა, სხვადასხვა სიტუაციაში კონკურენტთა სხვადასხვა რაოდენობით აღწევდეს. შესაბამისად, ჩვენ ვილაშქრებთ ე.წ. „ჭიანჭველების“ ბაზრის წინააღმდეგ და გთავაზობთ სრულყოფილების განსაზღვრას ეფექტიანობის კრიტერიუმის შესაბამისად.

გამომდინარე, კონკურენტული მენეჯმენტის შემოთავაზებული მოდელი საკუთარი უნარების დამატებით სტიმულირებას გულისხმობს და, ქსელური დელეგირების მექანიზმების გამოყენებით, გადაუდებელი სტრატეგიული საკითხების დღის წესრიგში გთავაზობთ მაღალმთიანი რეგიონების უმწვავესი დემოგრაფიული პრობლემების ოპერატიულ მოგვარებას სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის აქტიური ჩართულობით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ბიბილაშვილი ნ., 2018, გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოება. თბ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენციაზე წარდგენილი მასალები, გვ. 4-12.

<http://conferenceconomics.tsu.ge/doc/internet%20konf.pdf>

2. Jamieson, Kathleen Hall. Taussig, Doron. 2017–18. Disruption, Demonization, Deliverance, and Norm Destruction: The Rhetorical Signature of Donald J. Trump. PSQ, Volume 132 - Number 4 – Winter: 618-649.

3. Rodric, Dani. 2018. "What Do Trade Agreements Really Do?" Journal of Economic Perspectives 32 (2): 73-90.

4. Shertzer, Allison. 2018. "A Review Essay on Howard Bodenhorn's The Color Factor: The Economics of African-American Well-Being in the Nineteenth-Century South". Journal of Economic Literature 56 (1): 206-216.

5. Smith, Adam. 1776. "An inquiry into the nature and causes of the wealth of nations". Complete, fully searchable text at the Library of Economics and Liberty.

<http://www.econlib.org/library/Smith/smWN.html>

6. Snower, Dennis J., and Steven J. Bosworth. 2016. "Identity-Driven Cooperation versus Competition." American Economic Review, 106 (5): 420-24.

7. The US: Department of Justice <http://www.justice.gov/atr/public/guidelines/hhi.html>

<https://www.justice.gov/atr/file/761131/download>

<https://www.justice.gov/sites/default/files/atr/legacy/2014/04/10/305027.pdf>

*Revaz Lortkipanidze*

### NETWORK MANAGEMENT WITH “GREEN APOTHECARY” FOR OVERCOMING DEMOGRAPHIC PROBLEMS

#### Summary

The research has confirmed that arrangement of outpatient sites in high mountainous villages by means of "green pharmacies" will substantially increase the effectiveness of the business in the country, return youth to the mountains, create jobs in different fields of economy.

By the author of the study is revealed that the main feature of the classical notion of perfect competition - "infinitely growing number of competitors" do not correspond to the truth, because the force of competition, which is estimated by us with the analogy of physics law about electrical current, possibly, will achieve different optimal values in different situations owing to competitors of various amounts. Accordingly, the author expresses a thought against the "ants" market and offers the definition of perfection in accordance with efficiency criteria.

Hence, the author's model of competitive management implies an additional stimulation of own skills and, by using mechanisms of networking delegation management, on the agenda of urgent strategic issues, offers an operational solution of the demographic problems of the mountainous regions with active participation of the economic policies of the state.

ბაღასახადები – სოციალური მდგომარეობის  
შეცვლის მნიშვნელოვანი ფაქტორი

**ანოტაცია.** ბეგარის გაგების არსი იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც ბაზარზე არსებობს ბეგარა, არსებობს ორი ფასი: ფასი, რომელსაც მომხმარებელი იხდის ( $P_D$ ) და ფასი, რომელსაც მიმწოდებელი იღებს ( $P_S$ ). ეს ორი ფასი - მოთხოვნის ფასი და მიწოდების ფასი - ერთმანეთისაგან ბეგარის სიდიდით განსხვავდება. ნაშრომში განვიხილეთ ფასის ცვლილების შემთხვევები, როდესაც წესდება რაოდენობის გადასახადი ან ღირებულების გადასახადი. გაგარკვევით უმჯობესდება თუ უარსდება მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა ბეგარის სიდიდის გაზრდით ან შემცირებით.

**საკვანძო სიტყვები:** რაოდენობის გადასახადი; ღირებულების გადასახადი; მიწოდების ფასი; მოთხოვნის ფასი; ინვერსიული ფუნქცია.

შესავალი

გადასახადები, როგორც სახელმწიფო ფინანსების წარმოქმნის ძირითადი წყარო საზოგადოებრივი პროდუქტის ნაწილის იძულებითი წესით ამოღების მექანიზმით, ცნობილია უხსოვარი დროიდან. ამასთან ერთად, საგადასახადო დაბეგერის მექანიზმი, როგორც ეკონომიკური კულტურის ელემენტი, დამახასიათებელია როგორც საბაზრო ეკონომიკის ასევე სხვა ეკონომიკური მოდელებისათვის. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ გადასახადები წარმოადგენს კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპის ფენომენს და მის განუყოფელ ნაწილს.

\* \* \*

ბაზრის მდგომარეობის აღწერა გადასახადების დაწესებამდე და მათი დაწესების შემდეგ ეკონომიკური პოლიტიკის მართვის მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს. ვნახოთ, როგორ შეიძლება მისი გამოყენება საზოგადოების სოციალური მდგომარეობის შესაცვლელად.

ბეგარის გაგების არსი იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც ბაზარზე არსებობს ბეგარა, არსებობს ორი ფასი: ფასი, რომელსაც მომხმარებელი იხდის ( $P_D$ ) და ფასი, რომელსაც მიმწოდებელი იღებს ( $P_S$ ). ეს ორი ფასი - მოთხოვნის და მიწოდების ფასი - ერთმანეთისაგან ბეგარის სიდიდით განსხვავდება.

არსებობს რამდენიმე სხვადასხვა სახის ბეგარა. აქ ორ მაგალითს განვიხილავთ - რაოდენობის გადასახადს და ღირებულების გადასახადს (ამ უკანასკნელს აგრეთვე ადვალორემის ტიპის გადასახადს უწოდებენ).

რაოდენობის გადასახადი წარმოადგენს გადასახადს, რომელიც დაწესებულია გაყიდული ან შექმნილი საქონლის თითოეულ ერთეულზე. ზოგადად, თუ რაოდენობის გადასახადი ყოველ გაყიდულ ერთეულზე უდრის  $t$  და  $s$ , მაშინ:

$$P_D = P_S + t.$$

ღირებულების გადასახადი პროცენტულ ერთეულებშია ასახული. ზოგადად, თუ ღირებულების გადასახადია  $\tau$ , მაშინ

$$P_D = (1 + \tau)P_S.$$

განვიხილოთ რა ხდება ბაზარზე, როდესაც რაოდენობის გადასახადი წესდება. პირველი შემთხვევისათვის დაუშვათ, რომ გადასახადის გადახდა მიმწოდებელს აკისრია, მაშინ მიწოდების სიდიდე დამოკიდებულია მიწოდების ფასზე, ანუ თანხაზე, რომელსაც მიიღებს მიმწოდებელი გადასახადის გადახდის შემდეგ, და მოთხოვნის სიდიდე დამოკიდებულია მოთხოვნის ფასზე, ანუ მომხმარებლის მიერ გადახდილ თანხაზე. თანხა, რომელსაც მიმწოდებელი მიიღებს, მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხის და ბეგარის სიდიდის სხვაობის ტოლი იქნება. ეს გვაძლევს ორ ტოლობას:

$$D(P_D) = S(P_S) \text{ და } P_S = P_D - t.$$

მეორე ტოლობის პირველში ჩასმის შედეგად მივიღებთ წონასწორობის პირობას:

$$D(P_D) = S(P_D - t).$$

მეორეს მხრივ, შეგვიძლია მეორე ტოლობა ჩავწეროთ ასეთი სახით:  $P_D = P_S + t$  და შემდეგ ეს ტოლობა პირველში ჩავსვათ:

$$D(P_S + t) = S(P_S).$$

ორივე გზა თანაბარად მართებულია. რომელ მათგანს ავირჩევთ, დამოკიდებულია იმაზე, თუ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი უფრო მოსახერხებელია.

ახლა დაეშვათ, რომ ბეგარას მომხარებელი იხდის. მაშინ ვწერთ:

$$P_D - t = P_S,$$

რაც ნიშნავს, რომ მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხისა და ბეგარის სიდიდის სხვაობა მიმწოდებლის მიერ მიღებული ფასის ტოლია. თუ ამას მოთხოვნა-მიწოდების ტოლობის პირობაში ჩავსვამთ, მივიღებთ:

$$D(P_D) = S(P_D - t).$$

შევნიშნავთ, რომ ეს ორივე ტოლობა იგივეა, რაც გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ბეგარას მიმწოდებელი იხდის. ასე რომ, მნიშვნელობა ნამდვილად არა აქვს იმას, თუ ვინ იხდის ბეგარას. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რომ ბეგარა იქნეს გადახდილი.

ეს შედეგი არც ისე მოულოდნელია როგორც შეიძლება მოგვეჩვენოს. ვინაიდან მომხმარებელმა იცის საბოლოო ფასი, რომელსაც იგი საქონლის შესაძენად იხდის, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ბეგარის გადახდის გზას.

ამის ჩვენება კიდევ უფრო მარტივად შეიძლება მოთხოვნის და მიწოდების ინვერსიული ფუნქციების გამოყენებით. წონასწორობის რაოდენობა  $q$  ის რაოდენობაა, რომლის დროსაც მოთხოვნის ფასს მინუს გადახდილი გადასახადის რაოდენობა, უდრის მიწოდების ფასს. სიმბოლოების გამოყენებით გვექნება:

$$P_D(q) - t = P_S(q).$$


თუ გადასახადი მიმწოდებლებს აკისრიათ, მაშინ მიწოდების ფასს პლუს გადასახადის სიდიდე, ტოლი უნდა იყოს მოთხოვნის ფასისა:

$$P_D(q) = P_S(q) + t.$$

მაგრამ ეს ორი ტოლობა მსგავსია, ასე რომ, შედეგად წონასწორობის იმავე ფასებს და იმავე რაოდენობებს მივიღებთ.


ბოლოს, განვიხილოთ ამ სიტუაციის გეომეტრია. ყველაზე ადვილია ზემოთ აღწერილი ინვერსიული მოთხოვნისა და მიწოდების გამოყენება. უნდა ვიპოვოთ რაოდენობა, რომლის დროსაც მრუდი  $P_D(q) - t$  მრუდი გადაკვეთს  $P_S(q)$  მრუდს. ამ წერტილის მოსაძებნად საჭიროა მხოლოდ მოთხოვნის მრუდი პარალელურად ქვემოთ  $t$  მანძილზე გადავანაცვლოთ და დავადგინოთ, თუ სად გადაკვეთს ეს გადაადგილებული მრუდი მიწოდების საწყის მრუდს. ალტერნატიულად, ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ რაოდენობა, რომლებსთვისაც  $P_D(q)$  უდრის  $P_S(q) + t$ -ს. ამისათვის საჭიროა მხოლოდ მიწოდების მრუდის ზემოთ გადაადგილება ბეგარის სიდიდის ტოლ მანძილზე. ორივე გზა კორექტულ პასუხს გვაძლევს წონასწორობის რაოდენობისათვის. ეს ნახ. 1-ზეა ნაჩვენები.

ამ ნახაზზე კარგად ჩანს ბეგარის ხარისხობრივი ეფექტი. გაყიდვების რაოდენობა უნდა შემცირდეს, მომთხოვნთა მიერ გადახდილი ფასი გაიზარდოს და მიმწოდებლის მიერ მიღებული ფასი შემცირდეს.



ნახ.1. ბეგარის დაწესება. ბეგარის შედეგის შესასწავლად მოთხოვნის მრუდს განაცვლებთ პარალელურად ქვემოთ (ა ნახაზი), ან მიწოდების მრუდს პარალელურად ზემოთ (ბ ნახაზზე). მომთხოვნის მიერ გადახდილი და მიმწოდებლის მიერ მიღებული ფასები ორივე შემთხვევაში ერთნაირია

ნახ. 2 ბეგარის შედეგის განსაზღვრის კიდევ ერთ გზას გვიჩვენებს. დავფიქრდეთ ამ ბაზრის წონასწორობის განსაზღვრაზე. უნდა ვიპოვოთ ისეთი  $q$  რაოდენობა რომ, როდესაც მიმწოდებელი იღებს  $p_S$  ფასს, ხოლო მომთხოვნი იხდის  $p_D = p_S + t$  ფასს, რაოდენობა  $q$  იყოს მომთხოვნის მიერ მოთხოვნილი და მიმწოდებლის მიერ მიწოდებული რაოდენობა. წარმოვადგინოთ  $t$  ბეგარა ვერტიკალური მონაკვეთის სახით და გადავადგილოთ მიწოდების მრუდის გასწვრივ, სანამ მომთხოვნის მრუდს არ შეეხება. სწორედ ეს წერტილია წონასწორობის რაოდენობა.



ნახ. 2. ბეგარის შედეგის განსაზღვრის მეორე გზა. გადავადგილოთ მონაკვეთი მიწოდების მრუდის გასწვრივ, ვიდრე მომთხოვნის მრუდს არ შეეხება

დავუშვათ, მომთხოვნის და მიწოდების მრუდები წრფივია. მაშინ, თუ ამ ბაზარზე ბეგარას დავაწესებთ, წონასწორობა განისაზღვრება შემდეგი ტოლობით:

$$a - bp_D = c + dp_S$$

მეორე ტოლობის პირველში ჩასმით მივიღებთ:

$$a - b(p_S + t) = c + dp_S.$$

ამ განტოლების ამოხსნა წონასწორობის მიწოდების ფასს მოგვცემს:

$$p_S = \frac{a - c - bt}{d + b}.$$

წონასწორობის მომთხოვნის ფასი  $p_D$  უდრის  $p_S + t$ , ანუ

$$p_D = \frac{a - c - bt}{d + b} + t = \frac{a - c + dt}{d + b}.$$

შეგნიშნავთ, რომ მოთხოვნის მიერ გადახდილი ფასი იზრდება და მიმწოდებლის მიერ მიღებული ფასი მცირდება. ფასის ცვლილების სიდიდე დამოკიდებულია მოთხოვნისა და მიწოდების მრუდების დახრილობაზე.


ხშირად გვეხმარება, რომ მეწარმის დაბეგვრა მის მოგებას არ ვნებს, ვინაიდან ფირმებს ადვილად შეუძლიათ ბეგარის გადახდა მომხმარებელს დააკისრონ. სინამდვილეში, როგორც ზემოთ ვნახეთ, ბეგარა არ უნდა განვიხილოთ, როგორც ფირმების ან მომხმარებლების გადასახადი. უფრო მართებულია იმის თქმა, რომ იბეგრება ფირმებისა და მომხმარებლების ურთიერთქმედება. ზოგადად, ბეგარა იწვევს მომხმარებლის მიერ გადახდილი ფასის ზრდას და ფირმების მიერ მიღებული ფასის შემცირებას. ამგვარად, ის, თუ ბეგარის რა ნაწილის გადახდა გადაეცემა მეორე მხარეს, დამოკიდებულია მოთხოვნისა და მიწოდების თვისებებზე.

ამის დანახვა ყველაზე ადვილია უკიდურეს წერტილებში: როდესაც გვაქვს მიწოდების სრულიად ჰორიზონტალური მრუდი ან მიწოდების სრულიად ვერტიკალური მრუდი. ეს შემთხვევები აგრეთვე ცნობილია სრული ელასტიკურობის და სრული არაელასტიკურობის სახელით.

განვიხილოთ ბეგარის შემოღება სრულიად ელასტიკური მიწოდების მრუდის მქონე ბაზრის პირობებში. როგორც ზემოთ ვნახეთ, ბეგარის შემოღება იგივეა, რაც მიწოდების მრუდის ზემოთ გადაადგილება ბეგარის სიდიდის ტოლ მანძილზე, როგორც ეს ნახ. 3ა-ზეა ნაჩვენები.

სრულიად ელასტიკური მიწოდების მრუდის შემთხვევაში ადვილი დასანახია, რომ მომხმარებლის მიერ გადახდილი ფასი იზრდება ზუსტად ბეგარის სიდიდით. მიწოდების ფასი ისეთივეა, როგორც ბეგარამდე იყო და საბოლოოდ ბეგარას მთლიანად მომხმარებელი იხდის. თუ მიწოდების ჰორიზონტალური მრუდის მნიშვნელობაზე დავფიქრდებით, ადვილად მივხვდებით, რომ მიწოდების ჰორიზონტალური მრუდი ნიშნავს წარმოების მზადყოფნას საქონლის ნებისმიერი რაოდენობის მიწოდებისათვის გარკვეულ  $p$  ფასად, და საქონლის ნული ერთეულის მიწოდებისათვის  $p$ -ზე ნაკლებ ფასად. ამგვარად, წონასწორობის პირობებში საქონლის გარკვეული რაოდენობის გასაყიდად მიმწოდებელმა საზღაურად  $p$  თანხა უნდა მიიღოს. ეს ცხადად განსაზღვრავს წონასწორობის მიწოდების ფასს და მოთხოვნის ფასი უდრის  $p + t$ .


ამის საპირისპირო შემთხვევაა ნახ. 3ბ-ზეა ნაჩვენები. თუ მიწოდების მრუდი ვერტიკალურია და მას „ზევით გადავაადგილებთ“, ნახაზზე არაფერი შეიცვლება, მიწოდების მრუდი მხოლოდ საკუთარი თავის გასწვრივ გადაინაცვლებს და გვექნება მიწოდებული საქონლის იგივე რაოდენობა ბეგარის მიუხედავად. ამ შემთხვევაში მყიდველები განსაზღვრავენ საქონლის წონასწორობის ფასს და ისინი მზად არიან, გადაიხადონ გარკვეული  $p$  ფასი ამ საქონლის არსებული რაოდენობის მიწოდებაში იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა ბეგარა. ამგვარად ისინი საბოლოოდ  $p$  ფასს გადაიხდიან, ხოლო მიმწოდებლები მიიღებენ  $p - t$  ფასს. ბეგარის მთელი სიდიდე მიმწოდებლების მიერ იქნება გადახდილი.



**ნახ.3. დაბეგვრის განსაკუთრებული შემთხვევები: ა) სრულიად ელასტიკური მიწოდების მრუდის შემთხვევაში ბეგარას მთლიანად მომხმარებელი გადაიხდის; ბ) სრულიად არაელასტიკური მიწოდების შემთხვევაში ბეგარის გადახდა მთლიანად მიმწოდებელს დაეკისრება**

ეს შემთხვევა პარადოქსულად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. მიმწოდებლებს რომ შეეძლოთ ფასის გაზრდა ბეგარის დაწესების შემდეგ, და, მიუხედავად ამისა, თავის საქონლის იმავე რაოდენობით გაყიდვა, ისინი ამას ბეგარის დაწესებამდე გააკეთებდნენ და მეტ ფულს მიიღებდნენ. თუ მოთხოვნის მრუდი არ მოძრაობს, მაშინ ფასის გაზრდის ერთადერთი გზა მიწოდების შემცირებაა. თუ ეკონომიკური პოლიტიკა არც მიწოდებაზე და არც მოთხოვნაზე ზეგავლენას არ ახდენს, იგი, რა თქმა უნდა, ვერც ფასზე მოახდენს ზეგავლენას.


ახლა განვიხილოთ შუალედური შემთხვევა, როდესაც მიწოდების მრუდს მაღალი დახრილობა აქვს, მაგრამ სრულიად ვერტიკალური არ არის. ამ შემთხვევაში ის, თუ ბეგარის რა ნაწილის გადახდა გადაეცემა მომხმარებელს, დამოკიდებულია მიწოდების მრუდის დახრილობაზე მოთხოვნის მრუდთან შედარებით. თუ მიწოდების მრუდი თითქმის პორიზონტალურია, ბეგარის თითქმის მთელი სიდიდის გადახდა მომხმარებელს დაეკისრება, ხოლო თუ მიწოდების მრუდი თითქმის ვერტიკალურია, ბეგარის თითქმის მთელ სიდიდეს მიმწოდებელი გადაიხდის. ნახ. 4 ამის რამდენიმე მაგალითს გვიჩვენებს.



ნახ. 4. ბეგარის გადაცემა: ა) თუ მიწოდების მრუდი თითქმის პორიზონტალურია, ბეგარის დიდ ნაწილს მომხმარებელი გადაიხდის; ბ) თუ იგი თითქმის ვერტიკალურია, მომხმარებელს ბეგარის მხოლოდ მცირე ნაწილის გადახდა დაეკისრება

ჩვენ ვნახეთ, რომ საქონლის დაბეგვრა, როგორც წესი, იწვევს მომხმარებელთა მიერ გადახდილი ფასის გაზრდას და მიმწოდებლის მიერ მიღებული ფასის შემცირებას. ეს, ცხადია, მომხმარებლებისა და მიმწოდებლებისთვის დანახარჯს წარმოადგენს, მაგრამ, ეკონომისტის თვალსაზრისით, ბეგარის რეალურ დანახარჯებს საქონლის რაოდენობრივი შემცირების ფაქტი წარმოადგენს.

დაკარგული საქონელი ბეგარის სოციალური დანახარჯებია. გამოვიკვლიოთ ბეგარის დანახარჯები მომხმარებლებისა და მეწარმეების უპირატესობათა კონცეფციის გამოყენებით. დავიწყოთ ნახ. 5-ზე ნაჩვენები დიაგრამით. იგი ასახავს წონასწორობის მოთხოვნის ფასს და მიწოდების ფასს  $t$  ბეგარის დაწესების შემდეგ.



ნახ. 5. ბეგარის საერთო დანაკარგი. + არე ბეგარის საერთო დანაკარგს ასახავს

საქონლის რაოდენობა ამ ბეგარის შედეგად შემცირდება და შეგვიძლია გამოვიყენოთ მომხმარებელთა და მეწარმეთა უპირატესობის მეთოდი, რათა შევაფასოთ სოციალური დანახარჯები. მომხმარებელთა უპირატესობის დანაკარგი წარმდგენილია  $A + B$  არეებით, ხოლო მეწარმეთა უპირატესობის დანაკარგი -  $C + D$  არეებით.

ვინაიდან ვეძებთ ბეგარის სოციალური დანახარჯების გამოსახულებას, არ იქნება აზრს მოკლებული, თუ შევკრებთ  $A + B$  და  $C + D$  არეებს, რათა მივიღოთ მოცემული საქონლის მომხმარებელთა და მეწარმეთა საერთო დანაკარგი. თუმცა გამოვტოვებთ ერთ მხარეს - კერძოდ მთავრობას.

მთავრობა ბეგარიდან მოგებას იღებს და, რა თქმა უნდა, მომხმარებლები, რომლებიც სარგებლობენ მთავრობის დახმარებით, რაც ამ მოგებითაა უზრუნველყოფილი, ასევე მოგებაში არიან. ჩვენ არ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, თუ რამდენს იგებენ ეს უკანასკნელები, სანამ არ გავიგებთ, თუ რაზე დაიხარჯა ბეგარიდან მიღებული თანხები.

დავუშვათ, ბეგარიდან მიღებული მოგება მომხმარებელსა და მეწარმეს უბრუნდება ან მომსახურების უზრუნველყოფას ხმარდება.

მაშინ მთავრობის წმინდა მოგება იქნება  $A + C$  - ბეგარიდან მიღებული საერთო მოგება. ვინაიდან მომხმარებელთა და მეწარმეთა უპირატესობების დანაკარგები წმინდა დანახარჯებია, ხოლო ბეგარიდან მიღებული მოგება მთავრობისათვის წმინდა მოგებას წარმოადგენს, ბეგარის წმინდა საერთო მოგება ამ არეთა ალგებრული ჯამის ტოლი იქნება:  $-(A + B)$  მომხმარებელთა უპირატესობის დანაკარგი,  $-(C + D)$  მეწარმეთა დანაკარგი და  $+(A + C)$  მთავრობის მოგება.

შეჯამების წმინდა შედეგია -  $(B + D)$ . ეს არე ცნობილია ბეგარის საერთო დანაკარგის ან ბეგარის ნამეტი ტვირთის სახელით. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მრავლისმეტყველია.

მომხმარებელთა უპირატესობის დანაკარგი - ესაა თანხა, რომელსაც მომხმარებელი გადაიხდიდა ბეგარის თავიდან ასაცილებლად. დიაგრამის ენით რომ ვთქვათ, მომხმარებლები მზად არიან გადაიხადონ  $A + B$ , რათა ბეგარა თავიდან აიცილონ. ანალოგიურად, მეწარმეები მზად არიან გადაიხადონ  $A + B + C + D$ , რათა თავიდან აიცილონ ბეგარა, რომლისგან მიღებული შემოსავალი ტოლია  $A + C$ . ამგვარად ბეგარის ნამეტი ტვირთი არის  $B + D$ .

რა არის ამ ნამეტი ტვირთის წყარო? ძირითადად იგი წარმოადგენს მომხმარებლების და მეწარმეების დანაკარგების სიდიდეს, რაც გამოწვეულია საქონლის გაყიდვის შემცირებით. არ შეიძლება დავბეგროთ არარსებული<sup>68</sup>. ასე რომ, მთავრობა არ იღებს არანაირ მოგებას საქონლის შემცირებისაგან. საზოგადოების თვალსაზრისით ეს წმინდა დანაკარგია - საერთო დანაკარგი.

შეგვიძლია აგრეთვე საერთო დანაკარგის გამოყვანა მისი განსაზღვრებიდან, თუ დავითვლით დაკარგული ნაწარმის სოციალურ დანახარჯებს. დავშვათ, ძველი წონასწორობიდან ვმოძრაობთ მარცხნივ. პირველი დაკარგული ერთეული იქნება ერთეული, რომლის შექენასაც რომელიმე მყიდველი დათანხმდება იმ ფასად, რა ფასადაც რომელიმე გამყიდველი მის გაყიდვას დათანხმდება. აქ სოციალური დანაკარგი თითქმის არ არის ვინაიდან ეს ერთეული ზღვრულ გაყიდულ ერთეულს წარმოადგენდა.

გადავინაცვლოთ კიდევ უფრო მარცხნივ. მოთხოვნის ფასი ისეთია, რომ ვინმე მზად არის მის გადასახდელად, რათა ეს საქონელი მიიღოს, ხოლო მიწოდების ფასი ისეთია, რომ ამ ფასად ვიღაც მზადაა მიაწოდოს ეს საქონელი. მათი სხვაობა საქონლის ამ ერთეულის დაკარგულ დანახარჯს წარმოადგენს. თუ შევკრებთ ამ დანახარჯებს საქონლის ყველა ერთეულისათვის, რომელთა წარმოება და მოხმარება არ მოხდა ბეგარის დაწესების გამო, მივიღებთ საერთო დანაკარგს.

მეცხრამეტე საუკუნის ინგლისში ცუდი მოსავლიანობის წლებში მდიდრები საქველმოქმედო დახმარებას უწევდნენ ღარიბებს. ისინი ყიდულობდნენ მოსავალს, მოიხმარდნენ მარცვლეულის ფიქსირებულ რაოდენობას, დანარჩენს კი ნახევარ ფასში აძლევდნენ ღარიბებს. ერთი შეხედვით ამას თითქოს დიდი სარგებელი უნდა მოეტანა ღარიბებისათვის, მაგრამ თუ კარგად დაფიქრდებით, ეჭვი დაგვებადება.

ღარიბების მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთ გზას მათ მიერ მარცვლეულის მოხმარების გაზრდა წარმოადგენს. მაგრამ მოსავლის აღების შემდეგ არსებობს მარცვლეულის

<sup>68</sup> yovel SemTxvevaSi mTavrobam amis gakeTebis gzas jerjerobiT ver miagno, magram muSaobs amaze.

ფიქსირებული რაოდენობა. მაშინ როგორ შეიძლება ასეთი პოლიტიკის შედეგად ღარიბთა მდგომარეობა გაუმჯობესდეს?

სინამდვილეში იგი არც უმჯობესდება. ღარიბები საბოლოოდ ერთი და იმავე ფასს იხდიან მარცვლეულში ასეთი პოლიტიკის არსებობის თუ არარსებობის შემთხვევაში. ამის მიზეზის გასაგებად ავაგოთ წონასწორობის მოდელი ამ პროგრამით და მის გარეშე.  $D(P)$  იყოს ღარიბთა მოთხოვნის ფუნქცია,  $K$  იყოს მდიდართა მიერ მოთხოვნილი რაოდენობა და  $S$  იყოს ცუდი მოსავლის წელს მიწოდებული ფიქსირებული რაოდენობა. დაშვების თანახმად, მარცვლეულის მიწოდება და მდიდრების მოთხოვნა ფიქსირებულია. მდიდართა ქველმოქმედების გარეშე წონასწორობის ფასი განისაზღვრება საერთო მოთხოვნისა და საერთო მიწოდების ტოლობით:

$$D(p) + K = S$$

თუ პროგრამა მოქმედებს, წონასწორობის ფასი განისაზღვრება ტოლობით:

$$D\left(\frac{p}{2}\right) + K = S$$

ახლა დაეფიქრდეთ: თუ  $p^*$  პირველ ტოლობას აკმაყოფილებს, მაშინ  $p = 2p^*$ -მ მეორე ტოლობა უნდა დააკმაყოფილოს. ამიტომ, როდესაც მდიდარი ყიდულობს მოსავალს და შემდეგ ღარიბებს უნაწილებს, საბაზრო ფასი საწყის ფასთან შედარებით ორჯერ იზრდება და ღარიბი იხდის იმავე ფასს, რასაც მანამდე იხდიდა.

### დასკვნა

ამრიგად, საგადასახადო განაკვეთის შემცირება არ ცვლის მომხმარებლების ეკონომიკურ მდგომარეობას. საბოლოოდ ისინი ერთი და იმავე ფასს იხდიან ასეთი პოლიტიკის არსებობის თუ არარსებობის შემთხვევაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ჰ.რ. ვარიანი, მიკროეკონომიკა, 1998.
2. E. P. Smith, Ph.J. Harmelink, J. R. Hasselback, Federal Taxation: Basic Principles, Wolters Kluwer, 2017

*Dali Magrakvelidze*

### TAXES - AN IMPORTANT FACTOR IN CHANGING THE SOCIAL CONDITION Summary

To understand the essence of a tax one needs to keep in mind that when there is a tax there are two parts in price, one that customer pays ( $P_D$ ) – called the price of demand, and other one received by a supplier ( $P_S$ ) – called the price of supply. The price of demand and the price of supply are different in amount of tax.

In this work I study the variations of prices when amount taxes or cost taxes are imposed. In addition, we investigate if the economic conditions are worsening or improving while increasing or decreasing taxes.

The taxation of goods usually leads to the increase of price paid by the consumers and to the reduction of price received by supplier. This is an obvious expenditure for the consumers, but from the point of view of an economist the actual cost of the payments is the quantitative reduction of goods.

The government receives profit from taxes, and the consumers who use the government's support connected to this profit, are also in profit. We cannot claim for sure how many the consumers are profiting, till we figure out how much money is spent received from the taxation.

Suppose the profit obtained from the tax goes back to the customer and the entrepreneur, or is used for service provision.

Then the net profit of the government is  $A + C$  - total profit earned from tax. Because the losses of consumers and entrepreneurs' advantages are net expenditures and profit earned from taxes is a net profit for the government, the net profits of the tax will be the same as the algebraic sum of these elements: -  $(A + B)$  Consumption advantage of consumers -  $(C + D)$  loss of entrepreneurs and +  $(A + C)$  profit of Government.



ოჯახის მართვის თავისებურებები საქართველოში

ანოტაცია გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც მნიშვნელოვანი ცვლილებები დაიწყო ოჯახის მართვაში. მამაკაცის, როგორც ოჯახის უფროსის და ერთადერთი მარჩენლის როლი თანდათან შესუსტდა. ქალს ოჯახში მეტი ძალაუფლება მიენიჭა. ოჯახები ავტონომიური ძალაუფლებით ხაზნაცვლა ოჯახებმა ცოლ-ქმრის მიერ ერთად მიღებული გადაწყვეტილებებით. ეს პროცესი ყველგან ერთნაირად არ განხორციელებულა. სტატიაში, სხვადასხვა დროს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე აღწერილია ჩვენი ქვეყნის ოჯახებში მართვის კუთხით მიმდინარე ცვლილებები.

**საკვანძო სიტყვები:** ოჯახის უფროსი; ძალაუფლება ოჯახში; გავლენა ოჯახში; პარტნიორული ოჯახი; კოლექტიური ოჯახი.

შესავალი

მართვა, როგორც სოციალური მოვლენა, საზოგადოების აუცილებელი კომპონენტი და მისი შინაგანი არსობრივი თვისებაა. ის სუბიექტის ობიექტზე ეპიზოდური ერთჯერადი ზემოქმედება კი არ არის, არამედ ზემოქმედება - უკუქმედების უწყვეტი პროცესია. ადამიანის ნებისმიერი ქმედება მართვის პროცესს გულისხმობს. მათ შორისაა ოჯახიც. ოჯახის მართვის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს მისი მრავალმხრივი ფუნქციების წარმატებით შესრულებაში; საოჯახო როლების ეფექტურ შესრულებასა და ოჯახის წევრთა შორის შრომის ისე გადანაწილებაში, რომ არ მოხდეს მათი უფლებების დარღვევა; ოჯახის, როგორც მთლიანობის განხილვაში, რომელიც მისი წევრების ურთიერთკონტაქტებისა და ურთიერთგავლენის არენას წარმოადგენს, სადაც ხდება მისი წევრების ქცევის ნორმებისა და ფორმალური წესების არსებობის დაცვა.

ოჯახს აკისრია მნიშვნელოვანი ამოცანები და ფუნქციები, რომლის შესასრულებლადაც ერთიანდებიან ოჯახის წევრები. ისინი ზრუნავენ არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ ერთმანეთზეც. ოჯახში იქმნება ისეთი სასიცოცხლო იმპულსი, რომელიც სცილდება ერთ თაობას და გადადის მომდევნო თაობებზეც. ოჯახის მართვის არსებითი თავისებურება სწორედ ოჯახის შემდგომ თაობებზე პასუხისმგებლობის აღებაში მდგომარეობს. ამიტომაც მნიშვნელოვანი იმ ცვლილებების შეცნობა და გაანალიზება, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის ბოლოს საქართველოს ოჯახებში.

\* \* \*


ოჯახის მართვა, როგორც ძალაუფლებრივ ურთიერთობათა რეალიზაცია და გადაწყვეტილების მიღების საკუთარი უნიკალური მექანიზმების ქონა, მჭიდროდ არის დაკავშირებული მიზნების არჩევის პროცესთან, ანუ დაგეგმვასთან. მიღებული გადაწყვეტილებები ექვემდებარება მიზნებს, მათი მიღწევების აუცილებლობასა და სურვილებს. დაგეგმვა, მიზნის არჩევის გარდა, მოიცავს აგრეთვე კონტროლს მის შესრულებაზე. ყველა გეგმის შესრულება ყოველთვის საეჭვოა, ამიტომ პასუხისმგებლობა ეს უფრო ქმედებებზე კონტროლია, ვიდრე შედეგებზე ანგარიშის ჩაბარების ვალდებულება. საოჯახო მართვისთვის მნიშვნელოვანია არა დაკისრებული პასუხისმგებლობები ან დასჯა, არამედ ოჯახის წევრთა ფსიქოლოგიური მახასიათებლები – ვალდებულებების და პასუხისმგებლობების გრძნობა. ოჯახის წევრი შეიძლება პასუხისმგებელი იყოს ოჯახის ცალკეულ წევრზე ან მთელ ოჯახზე.

ოჯახის მართვას უკავშირდება ისეთი ცნებები, როგორიცაა: „ოჯახის უფროსი“, „ოჯახის თავი“, „ოჯახის ლიდერი“, „ოჯახის მეთაური“, რომლის მოვალეობაც ოჯახის იმგვარად მართვაშია, რომ ამ უკანასკნელმა შეძლოს თავისი ფუნქციების ეფექტურად შესრულება. ხშირად ეს სტატუსი მინიჭებული ჰქონდა ოჯახის უფროს წევრ მამაკაცს და ხაზს უსვამდა მის განსაკუთრებულ უფლებებსა და პასუხისმგებლობას. ზოგჯერ ოჯახის უფროსად განიხილება პირი, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახის სხვა წევრებს ცხოვრებისათვის საჭირო ძირითადი პირობებით.

ოჯახის უფროსის არსებობა და შინაარსი დამოკიდებულია ოჯახის ფუნქციებსა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების დონეზე. იმ პირობებში, როდესაც ოჯახი

იყო მწარმოებლური უჯრედი, ოჯახის უფროსის მახასიათებლებით განსაზღვრავდნენ ოჯახის სხვა წევრებისა და მთელი ოჯახის სოციალურ კუთვნილებას. ოჯახის სოციალური ფუნქციების ცვლილებებთან ერთად ოჯახის უფროსის ეკონომიკური მდგომარეობა უკვე აღარ არის მისი სოციალური სტატუსის ერთადერთი კრიტერიუმი და ოჯახის კუთვნილებას ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფთან განსაზღვრავს მისი სხვა წევრებისა და მთელი ოჯახის მახასიათებლები. ოჯახის უფროსის როლი გულისხმობს პასუხისმგებლობას მთელ ოჯახზე, ანუ მისი წევრების ქცევასა და განწყობებზე, ოჯახის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, პასუხისმგებლობას საკუთარი თავისა და ოჯახის წინაშე, უახლოესი სოციალური გარემოცვისა და საზოგადოების წინაშე. ამიტომ, ოჯახისთვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ საერთო საქმისთვის რამდენად ადეკვატურია პირადი პასუხისმგებლობის შეფასება.

საქართველოში, როგორც მართლმადიდებლურ ქვეყანაში, ოჯახის უფროსად მოიაზრებოდა მამაკაცი და მას ეკისრებოდა როგორც ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა, ისე პასუხისმგებლობა ოჯახის თითოეულ წევრზე. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ოჯახის საკითხების მკვლევარებმა არა მხოლოდ საზღვარგარეთ, არამედ ჩვენს ქვეყანაშიც დაიწყეს იმ ცვლილებების შეცნობა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ოჯახში. ამ პერიოდიდან დაიწყო ოჯახში ძალთა გადანაწილების, დომინირების, ლიდერობის, პასუხისმგებლობის, ვალდებულებათა განაწილების როლებრივი ურთიერთობების შესწავლა. მარჩენალის როლის შესრულებისთვის შესაძლებლობების შემცირებამ გამოიწვია მამაკაცის განსაკუთრებული ავტორიტეტის და ოჯახში ლიდერობის შესუსტება ან დაკარგვა და, იმავდროულად, წარმოების სფეროსა და საოჯახო შრომაში ქალის როლის გაძლიერება. ასეთმა სიტუაციამ ქალს ოჯახში მეტი ძალაუფლება მიანიჭა. მოხდა ძალაუფლებათა ბალანსი. ახლა უკვე ტერმინი „ოჯახის უფროსი“ წარსულის ტრადიციას, თუმცა ის აუცილებელი რგოლია საოჯახო ურთიერთობათა სტრუქტურაში და, ასევე, ფუნქციური როლია, რომელიც შეიძლება შეასრულოს მამაკაცმაც და ქალმაც. ამ ტენდენციას ადასტურებს სოციოლოგიური გამოკვლევები<sup>69</sup>, რომლებიც ჩატარდა საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თვით მართლმადიდებელ მორწმუნეებშიც კი, სადაც აღმსარებლობის მიხედვით მამაკაცს ოჯახში განსაკუთრებული როლი და ავტორიტეტი აკისრია, სულ უფრო და უფრო იკლებს მოთხოვნილება „ოჯახის უფროსისადმი“. მათი რიცხვი, ვინც იზიარებს ოჯახში უფროსის არსებობის აუცილებლობას, ბოლო ათი წლის განმავლობაში განახევრდა. თუმცა, სქესობრივ ჭრილში საკითხის განხილვამ აჩვენა, რომ მამაკაცი რესპონდენტები უფრო მეტად იჩენენ ერთგულებას „ოჯახის უფროსის“ ინსტიტუტისადმი, ვიდრე ქალები.



დიაგრამა 1. ოჯახის უფროსის აუცილებლობისადმი რესპონდენტთა დამოკიდებულება (%)


ოჯახის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ეხება საოჯახო გადაწყვეტილებების მიღებას. ყოველი ოჯახი ახდენს გადაწყვეტილების მიღების შეფარდებით სტაბილური მოდელის დემონსტრირებას, რომელიც თავს იჩენს ერთობლივი არჩევანის მიღების მომენტიდან. გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმის არსებობის ფაქტი წარ-

<sup>69</sup> demografiisa da sociologiis institutma Caatara sociologiuri gamokvlebebi 2004, 2013, 2015 wlebSi sxvadasxva socialuri jgufis warmomadgenlebTan. am gamokvlebebis mizani iyo ojaxSi mimdinare transformaciis kvleva.

მოადგენს ოჯახის შექმნისა და არსებობის პირობას. მის დეზორგანიზაციას კი მოჰყვება ოჯახის დანგრევა.

ურთიერთობები ოჯახში დინამიურია და მათი ცვლილებების კვალდაკვალ ხდება ძალაუფლების ბალანსის შეცვლა, რომელიც რეალიზდება გადაწყვეტილების მიღებისას. ამის ნათელი მაგალითია სხვადასხვა დროს ჩატარებული ორი სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები. ერთი მათგანი ჩატარდა გასული საუკუნის მიწურულს<sup>70</sup>, ხოლო მეორე 2015 წელს<sup>71</sup>. სოციოლოგიური გამოკვლევები აჩვენებს, რომ საქართველოს ოჯახებში ძალაუფლების გადანაწილების მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გასული საუკუნის მიწურულს ჩატარებული კვლევისას „მნიშვნელოვანი საოჯახო გადაწყვეტილებების (ბინის ან მანქანის ყიდვა - გაყიდვა, მნიშვნელოვანი თანხის სესხება ან გასესხება და სხვა) მიღებისას მამაკაცის პრიორიტეტი მკვეთრადაა გამოხატული - რესპონდენტთა 55,3% პასუხობს, რომ მის ოჯახში ოჯახისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მამაკაცი იღებს. იმ ოჯახების ხვედრითი წილი კი, სადაც ოჯახისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს ქალი, მხოლოდ 15,4%“ [ნ. დურგლიშვილი. 1997, 18-19].

მეორე, 2015 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებით მკვეთრადაა გამოხატული მეუღლეთა ძალაუფლებათა ბალანსი ოჯახში. მნიშვნელოვნადაა შემცირებული ცალკეული მეუღლის როლი ცოლ-ქმრის ერთობლივი გადაწყვეტილებების სასარგებლოდ. თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს უფროსი თაობის მაღლი ავტორიტეტი და ძალაუფლება, რაც ქართული ტრადიციითაა განპირობებული.



დიაგრამა 2. ოჯახისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღები პირები რესპონდენტთა ოჯახებში (%)

გამოკვლევებით გამოიკვეთა, რომ ოჯახში გადაწყვეტილებების მიღების მხრივ საქართველოში ოჯახთა განსხვავებული ტიპები არსებობს, რომელთა შორის უმეტესობას ისეთი ოჯახები წარმოადგენენ, სადაც ორივე მეუღლე ერთმანეთთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებებს. ანუ საქართველოს ოჯახებში ძალაუფლების და გავლენის განაწილების თავისებურებებიდან გამომდინარე გამოიყოფა პარტნიორული ოჯახები, სადაც ერთობლივად მიიღება გადაწყვეტილებები. ასეთ შემთხვევას კი, როცა მეუღლეებს თანაბარი გავლენა აქვთ ოჯახში, სოციოლოგები განსაზღვრავენ როგორც პარტნიორობის სინკრეტულ ტიპს. თუ გადაწყვეტილებების მიღება ხდება ოჯახის წევრთა ერთობლივი განხილვით, მაშინ საქმე გვაქვს კოლექტიურ ოჯახთან. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ოჯახები გამოკითხულთა შორის მცირე აღმოჩნდა, ის მაინც მიუთითებს ბოლო დროს ოჯახში ძალაუფლების ბალანსთან დაკავშირებით განხორციელებულ ცვლილებებზე. გადაწყვეტილებებს თუ იღებს ერთ-ერთი მეუღლე, მაშინ საქმე გვაქვს ავტონომიურ ოჯახთან. მოყვანილი მონაცემების მიხედვით ასეთი ტიპის ოჯახები ოცდამეერთე საუკუნის პირველ

<sup>70</sup> es kvleva Catarebulia gaeros ganviTarebis programa – saqarTvelo-s mier. masSi monawileoba miiRo ramdenime adamianma. saeqsperto gamokiTxva Caatara z. firaliSvilma. xolo sociologiuri gamokiTxva 300 respondentze Catarda I. gafrindaSvilis xelmZRvanelobiT. sociologiuri gamokiTxvis Sedegebis analizSi monawileoba miiRes e. jgerenaiam da I. mezvriSvilma. gamokvlevis Sedegebi gamocemulia gaeros ganviTarebis programis saqarTvelos ofisis mier sadiskusio werilebis seriiT 3.

<sup>71</sup> 2015 wlis sociologiuri gamokvleva Caatara demografiisa da sociologiis institutma.

წლებთან შედარებით 2,2-ჯერაა შემცირებული<sup>72</sup>. შემცირება შეეხო როგორც ქმრის მიერ ერთპიროვნულად მიღებულ გადაწყვეტილებებს (შემცირებულია 2-ჯერ), ისე ცოლის მიერ მიღებულს (შემცირებულია 1,4-ჯერ). ე.ი. საქართველოში, ბოლო პერიოდში, გადაწყვეტილებების მიღების მიხედვით გამოიყოფა ოჯახთა რამდენიმე ტიპი: პარტნიორობის სინკრეტული ტიპი, კოლეგიალური ოჯახები და ავტონომიური ოჯახები.

ოჯახის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში, გამოკითხულთა შორის გამოიკვეთა იმ პირების გადამწყვეტი როლი, რომლებიც ახდენენ ოჯახის წევრთა ეკონომიურ უზრუნველყოფას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათი რიცხვი მცირეა და, ამასთან, მოყვანილი ორი კვლევის შედეგში კიდევ უფრო შემცირებულია. გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს კვლევის მიხედვით ეს მაჩვენებელი 6,5%-ია, ხოლო ჩვენი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, მხოლოდ 2,8%. ე.ი. შემცირება მოხდა 2,3-ჯერ.

1989 წ. გამოქვეყნდა დიდი ემპირიული გამოკვლევების მონაცემები, რომლის ავტორებიც – ამერიკელი სოციოლოგები რ. ბლამბერგი და მ. კოლემანი ამტკიცებდნენ, რომ ეკონომიკური რესურსები ცოლქმრული ძალაუფლების საფუძველია, ხოლო ეკონომიკური ძალაუფლება არის ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი ფაქტორი, რომელიც მეუღლეთა ადგილს განსაზღვრავს ოჯახში. მათი აზრით, ოჯახში ძალაუფლება წარმოადგენს ძალთა ბალანსს, ხოლო თავად ეკონომიკურ ძალაუფლებას განსაზღვრავს სამი ფაქტორი: ქმრის აბსოლუტური შემოსავლები; ქმრის და ცოლის შემოსავლების თანაფარდობა; შემოსავალთა დამოუკიდებელი აღრიცხვა.

ეს არის დომინირებული ფაქტორები, მაგრამ მათი მოქმედება გაშუალებულია მაკრო და მიკრო სოციალურ დონეთა მთელი რიგი ვითარებებით. მაკროდონეზე უნდა აღინიშნოს მამაკაცთა უპირატესობა სოციალური სტრუქტურის ზედა საფეხურებზე, სიცოცხლისუნარიანობა იდეოლოგიისა: „ქალის ადგილი სახლშია“, რომელსაც იზიარებს არა მხოლოდ ბევრი მამაკაცი, არამედ ქალიც. მიკროდონეზე – ეს ქალის შემოსავლების აუცილებლობის აღიარებაა. პარტნიორს რომელიც ნაკლებად „ვალდებულია“, მეტი ძალაუფლება აქვს, ვიდრე უფრო „ვალდებულ“ მეუღლეს. ამრიგად, თუნდაც ქალს უფრო მაღალი შემოსავალი ჰქონდეს, მაგრამ ის უფრო ვალდებული პარტნიორი იყოს, ქორწინებაში მისი რეალური ეკონომიკური ძალაუფლება შემცირებული იქნება. მამაკაცმა, რომელიც თვლის რომ ვერ გააკეთებს უკეთეს არჩევანს, საოჯახო ურთიერთობების შესანარჩუნებლად შეიძლება დათმოს ეკონომიკური ძალაუფლების სარგებლიანობა. დათმობაზე წავა ქალიც, რომელიც თვლის რომ სრულიად ნორმალური და სწორია მამაკაცი იყოს „ოჯახის თავი“. ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ქმრის მიერ იმის აღიარება, რომ ცოლს საკუთარი შემოსავალი ჰქონდეს. თუ ქმარს მიაჩნია, რომ ცოლის შემოსავალი აუცილებელი არ არის ოჯახის ცხოვრების დონის შენარჩუნებისათვის, მაშინ იმ ეკონომიკური რესურსების გაგდენა, რომლითაც ქალი ოჯახს უზრუნველყოფს, დიდი არ იქნება. [Егорова Н. Ю...//http/lib.sale/].

თითოეული ქორწინების და ოჯახის უნიკალურობის გამო, ოჯახის წევრთა ურთიერთობები წარმოადგენს ურთიერთქმედებების, მოლაპარაკებების და ჩვეულებრივი საუბრების რთულ ნაკრებს. ასე მაგალითად: მეუღლეებმა უნდა მიიღონ ორივესთვის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება შეილებთან მიმართებაში – როდის, რამდენი და რა ინტერვალით იყოლიონ შვილები; უნდა მოხდეს შვილთა აღზრდის სტილის შერჩევა და მეუღლეთა შორის ვალდებულებათა განაწილება; მნიშვნელოვანია საოჯახო ვალდებულებათა განაწილება და გადაწყვეტილებების მიღება ოჯახის ბიუჯეტის, ფულის და ქონების განკარგვასთან, დამატებით შემოსავლებსა და პირადი ფულის არსებობასთან დაკავშირებით; ბოლო წლებში განუხრელად გაიზარდა დასვენების სფეროს მნიშვნელობა, რაც განპირობებულია თავისუფალი დროის და მისი ორგანიზების შესაძლებლობათა ზრდით. ამდენად, საოჯახო გადაწყვეტილებათა რიგი დაკავშირებულია დასვენების სფეროსთანაც.

ოჯახში მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება დავეყთ ყოველდღიურ და ფუნდამენტურ გადაწყვეტილებებად. საოჯახო გადაწყვეტილებების მიღებაზე გამოყოფილია ოჯახისათვის ისეთი უმნიშვნელოვანესი სფეროები, როგორცაა: შობადობის სფერო; ეკონომიკური სფერო; საოჯახო მეურნეობის ორგანიზაცია; შვილების აღზრდა.

<sup>72</sup> 2002 wels Catarebul sociologiur kvlevasTn SedarebiT. am kvlevis Sedegebi mocemulia qeTevan goCiaSvilis sadisertacio naSromSi `ganqorwinebis socialur demografiuli aspeqtebi~. 2003.

კონკრეტულ სფეროში გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით განსხვავებულია ცოლ-ქმრის როლი. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცები სულ უფრო და უფრო აქტიურად ებმებიან შვილების აღზრდის პროცესში, ეს საკითხი კვლავ ისევ რჩება ცოლისათვის უფრო სავალდებულო საქმედ მამაკაცებთან შედარებით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ როცა საკითხი ეხებოდა ოჯახში ბავშვთა სასურველი რაოდენობის განსაზღვრას, რესპონდენტთა ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს არის საკითხი, რომელიც ღმერთის მიერ წყდება.

ცხრილი 1

კონკრეტულად ვინ იღებს გადაწყვეტილებას

	ქმარი	ცოლი	მეუღლეები შეთანხმებით	სხვა
ბავშვთა სასურველ რაოდენობაზე	6,2	6,8	72,0	15,0
ბავშვთა აღზრდაზე	4,4	49,8	39,5	6,3
შემოსავლების განაწილებაზე	10,8	20,5	66,4	2,3

საშუალება გვაქვს, მხოლოდ ერთი პუნქტში - შემოსავლების განაწილებაში შევადაროთ ორი კვლევის შედეგები. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები მკვეთრად განსხვავდება გაეროს განვითარების პროგრამა - საქართველოს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებისგან. ოცი წლის წინ „რესპონდენტთა 45,2% პასუხობს, რომ მის ოჯახში ყოველდღიური ბიუჯეტის განაწილების გადაწყვეტილებას მამაკაცი იღებს. ხოლო ის ოჯახები, რომლებშიც ყოველდღიური ბიუჯეტის განაწილების გადაწყვეტილებას იღებს ქალი, 32,6%-ს შეადგენს“. [ნ. დურგლიშვილი, 1997. 18-19]. კვლევებს შორის შუალედში ოთხჯერ არის შემცირებული ოჯახები, სადაც შემოსავლების განაწილება ხდება მამაკაცის მიერ და 1,5-ჯერ, სადაც ქალის მიერ. მათ ხარჯზე კი გაიზარდა ორივე მეუღლის მიერ ერთად მიღებული გადაწყვეტილებები შემოსავლების განაწილებასთან დაკავშირებით.

ოჯახის მართვასთან დაკავშირებული მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირებისთვის აუცილებელია არა მხოლოდ რეალური მდგომარეობის გათვალისწინება, არამედ მოსახლეობის განწყობის შესწავლა.

ცხრილი 2

დამოკიდებულება ოჯახური პასუხისმგებლობისადმი რესპონდენტთა სქესის მიხედვით (%).

	ვიზიარებ			არ ვიზიარებ			მიჭირს პასუხი		
	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ
მეუღლეები ყველა საკითხს შეთანხმებულად უნდა წყვეტდნენ	90,0	97,4	94,3	3,2	1,0	2,0	6,8	1,6	3,7
მეუღლეებს თანაბარი წვლილი უნდა შეჰქონდეთ საოჯახო საქმიანობაში	71,3	78,9	75,5	8,4	7,5	7,9	20,3	13,6	16,6
ცოლქმრის შემოსავალი მეუღლეთა შეთანხმებით უნდა დაიხარჯოს	63,1	68,4	64,4	18,5	13,7	17,6	18,4	17,9	18,0

როგორც კვლევით მოპოვებულმა მონაცემებმა აჩვენა, რესპონდენტებს მკვეთრად გამოხატული დადებითი განწყობა აქვთ იმისადმი, რომ ოჯახში მეუღლეები ყველა საკითხს შეთანხმებულად უნდა წყვეტდნენ. თუმცა რესპონდენტთა განწყობა არ ემთხვევა რეალურ მდგომარეობას. რესპონდენტთა 94,3% თვლის, რომ მეუღლეები ოჯახში ყველა საკითხს შეთანხმებულად უნდა წყვეტდნენ, რეალურად კი მათ შორის ასეთი ოჯახები მხოლოდ 43,6%-ს აქვს. მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობაში ბოლო ოცი წლის განმავლობაში მკვეთრად შეცვლილი განწყობა ოჯახში მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. ორჯერაა გაზრდილი მათი რიცხვი, ვისი

აზრითაც ოჯახური პრობლემების წარმატებით გადასაწყვეტად სასურველია, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღონ მეუღლეებმა შეთანხმებით. თუ გაითვალისწინებთ რესპონდენტთა განწყობებში მომხდარ მკვეთრ ცვლილებებს, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რეალურადაც გაიზრდება ასეთი ოჯახები.

### დასკვნა

- მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს ოჯახებში იწყება მეუღლეთა შორის ძალაუფლების ბალანსი.
- ტერმინის – „ოჯახის უფროსი“ ძველებური დატვირთვა შეიცვალა და ის იქცა ფუნქციურ როლად, რომელიც შეიძლება უკვე შეასრულოს ორივე მეუღლემ.
- მნიშვნელოვნადაა შემცირებული ცალკეული მეუღლის როლი ცოლ-ქმრის ერთობლივი გადაწყვეტილებების სასარგებლოდ. საქართველოში, ბოლო პერიოდში, შიგაოჯახური ფუნდამენტური გადაწყვეტილებების მიღების მიხედვით გამოიყოფა ოჯახთა რამდენიმე ტიპი: პარტნიორობის სინკრეტული ტიპი, კოლეგიალური ოჯახები და ავტონომიური ოჯახები. ავტონომიური ოჯახების რაოდენობა 2,2-ჯერაა შემცირებული და გაზრდილია პარტნიორობის სინკრეტული ტიპი.
- მნიშვნელოვნადაა შეცვლილი მოსახლეობის განწყობა ოჯახში ფუნდამენტური საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. ორჯერაა გაზრდილი მათი რიცხვი, ვისი აზრითაც ოჯახური პრობლემების წარმატებით გადასაწყვეტად სასურველია, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღონ მეუღლეებმა შეთანხმებით.
- რესპონდენტთა განწყობებში მომხდარი მკვეთრი ცვლილებების გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რეალურად გაიზრდება ოჯახები ორივე მეუღლის თანაბარი ძალაუფლებით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ნინო დურგლიშვილი. ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი. სადისკუსიო წერილების სერია 3, თბილისი, 1997, გვ. 18-19.
2. Егорова Н. Ю., Боброва В.А. Менеджмент в домашнем хозяйстве. //http://lib.sale/

*Lela Menabdishvili*

### THE PECULIARITIES OF FAMILY MANAGEMENT IN GEORGIA

#### Summary

Since the second half of the last century, not only in Georgia, but also abroad, the significant changes in the family have begun. These changes are related to the distribution of power within the family, dominance, leadership, responsibility, distribution of obligations and the performing role relationships. In the majority of the families, the balance of power has been established. The term "head of the family" by its olden meaning has now become a tradition of the past, but it's still necessary in the structure of family relationships and, in addition, it's a functional role that can be performed by both men and women.

The demand for "the head of the family" is decreasing more and more in society. The number of those who share the necessity of having a head in the family has been halved over the last ten years. However, in the context of gender studies, the male respondents are more likely loyal to the institution of "head of the family" than women.

One of the most important issues in family management is related to the family decision making. Family decisions can be divided into the daily and the fundamental. Among the most important family decisions for the family are the following areas: a birth rate, a family economics; a housekeeping and a child-rearing. Studies have shown that there are different types of decision-making families in Georgia. The most of them are families where both spouses jointly make decisions on the basis of an agreement. I. e. spouses have the same influence in the family. Decisions are also made through the joint discussions of family members, i.e. there are collegial families, which were the few among the respondents. The number of families where decisions are made by one of the spouses that is an autonomous families are decreased by 2.2 times compared to the first years of the 21st century. The reduction also affected both individual decisions taken by the husband (reduced by 2 times) and the wife (reduced by 1.4 times).

The attitude of the population towards the decision making during the solution of fundamental issues has undergone an important change. The number of people who believe that it is desirable that the couple jointly make the important decisions to successfully solve family problems, is increased twice. Given the dramatic changes in respondents' attitudes, it can be assumed that the number of families with the equal rights for both spouses will actually increase.

*ნანა მენაბდიშვილი*

### საკუთარი ოჯახის ეკონომიკური შესაძლებლობების თვითშეფასება

*ანოტაცია. ოჯახის კეთილდღეობის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის ეკონომიკური და ემოციური ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობს და მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. წარმოდგენილი ნაშრომი ემყარება სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგებს და მოცემულია საკუთარი ოჯახების ეკონომიკური შესაძლებლობების შეფასება რესპონდენტთა მხრიდან. შეფასებები გაკეთებულია მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების და ოჯახური ურთიერთობების კუთხით.*

*საკვანძო სიტყვები: ოჯახის კეთილდღეობა, ოჯახის შემოსავლები, ოჯახის წევრთა მოთხოვნები.*

### შესავალი

ჩვენს ქვეყანაში გასული საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები განხორციელდა, რომლებმაც, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თითქმის ძირეულად შეცვალა ადამიანთა ცხოვრების წესი. მნიშვნელოვანად მოიშალა ამ დრომდე ოფიციალურად აღიარებული ღირებულებათა სისტემა და ქცევის ნორმები. საგრძნობლად გაიზარდა ქალებისა და ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური აქტივობა. ქვეყანაში უმუშევრობის ზრდამ ჩვეულებრივ მოვლენად აქცია უცხოეთში გაურკვეველი ვადით სამუშაოდ წასვლა. ამ ცვლილებებმა გავლენა იქონია ოჯახზე. კერძოდ, ოჯახის წევრთა შორის სტატუს-როლურ განაწილებაზე, მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მიმდინარე ცვლილებების ფონზე მეტად მნიშვნელოვანია მოქალაქეების სოციალურ სინამდვილესთან შეგუება. ეს უკანასკნელი გულისხმობს საზოგადოების მზაობას, მიიღოს საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები, დადებითად შეაფასოს საკუთარი ეკონომიკური, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობა და ოპტიმისტურად იყოს განწყობილი მომავლის მიმართ. როგორცაა ოჯახების შემოსავლები, რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა თავისი მატერიალური მდგომარეობით, ექმნებათ თუ არა ამ მხრივ პრობლემები ოჯახურ ურთიერთობებში და ხელს უშლით თუ არა ახალგაზრდებს ეკონომიკური მდგომარეობა ოჯახის შექმნაში. ამ საკითხებს განვიხილავთ სოციოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე, რომელიც ჩატარდა დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ. შემთხვევითი შერჩევის გზით გამოიკითხა 1500 ოჯახი.

\* \* \*

ოჯახის კეთილდღეობის განსაზღვრის სხვადასხვა ფაქტორი არსებობს. მათ შორის ერთ-ერთია ეკონომიკური სფერო. ის არცთუ მცირე როლს ასრულებს მეუღლეთა (ოჯახის წევრთა) ემოციურ ურთიერთობებში. ადამიანთა საზოგადოების საწყის ეტაპზე უმთავრეს მოთხოვნებად მატერიალური მოთხოვნები რჩება. ეს მოთხოვნები უსაზღვროა და გამოსატანად ადამიანის სურვილს, შეიძინოს და გამოიყენოს საქონელი და მომსახურება, რომელიც მისთვის აუცილებელი და სასარგებლოა. ნებისმიერი ოჯახის წინაშე დგას ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის საკითხი, როგორცაა: საზოგადოებრივი წარმოების მომხმარებლობა; ოჯახის მატერიალურ-მომხმარებლური და სამეურნეო საკითხების ორგანიზება; ოჯახის წევრთა სხვადასხვა სახის მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი ეკონომიკური საფუძვლების შექმნა; საბინაო საკითხების უზრუნველყოფა; შთამომავლობის მემკვიდრეობით უზრუნველყოფა; კაპიტალის დაგროვება და წარმოება. ყოველი ოჯახი თავისი ინდივიდუალულობის გამო ამ საკითხების გადაჭრას განსხვავებულად ახერხებს.

ეკონომისტი იორამ ბენ პორატი (1937-1992), რომელიც მოღვაწეობდა იერუსალიმის ევროპულ უნივერსიტეტში, თვლიდა, რომ კეთილდღეობის ზრდა პირდაპირ უკავშირდება ინდივიდუალური ოჯახების გაფართოებას. მისი აზრით, თანამედროვე ოჯახი სპეციალიზებულია უპირატესად ემოციურ ურთიერთობებსა და ერთობლივ მოხმარებაზე. ოჯახის კეთილდღეობა კი უკავშირდება მისი თითოეული წევრის კეთილდღეობის გარანტიებს, უფრო მაღალ დონეზე ვიდრე ეს მათ ექნებოდათ ოჯახის გარეშე. ეკონომიკური სარგებლობა და ემოციური ურთიერთობები – ეს არის ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს ოჯახების უმრავლესობაში [Егорова Н. Ю. //http://lib.sale/].

ისეთი ფაქტორები, როგორცაა შემოსავალი, საბინაო საკითხები, სამსახური მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოჯახის შექმნაში. ბოლო პერიოდში, საქართველოში საქორწილო ასაკი გაიზარდა. ახალგაზრდები არ ჩქარობენ ოჯახის შექმნას. მათთვის პრიორიტეტი ჯერ საკუთარი მატერიალური კეთილდღეობის მოწყობაა. სოციოლოგიური გამოკვლევებით, რომლებიც ბოლო წლებში ჩატარა დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტმა სტუდენტებში, გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდების ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებათა სისტემაში პირველი ადგილი უკავია მატერიალურ კეთილდღეობას და მას შემდეგ ოჯახის შექმნას. ამ მხრივ ისინი განსხვავდებიან წინა თაობებისაგან, რადგან მათთან მნიშვნელოვან ღირებულებათა ერთობლიობაში პირველ ადგილს ყოველთვის ოჯახი იკავებდა.

ჩვენი ინსტიტუტის მიერ ოჯახის ტრანსფორმაციის საკითხებზე ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკვლევაში რესპონდენტთა 38% შეადგინა 18-34 წლის ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდებმა. მათგან 71% დასაოჯახებელია. დასაოჯახებელ ახალგაზრდათა 17,1%-ს კატეგორიულად აქვს გადაწყვეტილი უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში არ შექმნას ოჯახი. ამ უკანასკნელთ 3,3-ჯერ აღემატება იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებსაც არა აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პოზიცია. დასაოჯახებელ ახალგაზრდებს შორის ნახევარზე მეტია მამაკაცი (54,7%). მამაკაცთა 61,5% არ აპირებს დაოჯახებას. ამ ერთობლიობაში შედიან ისინი ვინც ზუსტად იცის, რომ უახლოეს ხუთ წელიწადში ცოლს არ შეირთავს და ისინი, ვისაც ჯერჯერობით არ აქვს გადაწყვეტილი როგორ მოიქცევა. ეს უკანასკნელი 4,8-ჯერ აღემატება იმ მამაკაცებს, რომლებიც არ აპირებენ მოცემულ პერიოდში დაოჯახებას.

რესპონდენტთა 43,2% საკუთარი ქორწინების გადავადებას ფინანსურ მდგომარეობას უკავშირებს, 39% სამუშაოს, ხოლო 33% საცხოვრებელ პირობებს. მამაკაცები განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას ქორწინების გადავადების ფინანსურ მიზეზზე (62,9%), სამუშაოსა (60,2%) და საცხოვრებელ პირობებზე (46,9%), მაშინ როცა ქალი რესპონდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი (63,5%) მიიჩნევს, რომ ქორწინებამ მისი ფინანსური მდგომარეობა უნდა გააუმჯობესოს. გამოიკვეთა ვითარება, როცა მამაკაცს არ შეუძლია დაქორწინება ფინანსური მდგომარეობის გამო, ქალს კი მოლოდინი აქვს, რომ ქორწინებით ფინანსურ მდგომარეობას გაიმჯობესებს. ამგვარი სიტუაცია ან ქორწინებას გაურკვეველი ვადით გადაავადებს, ან ოჯახის შექმნის შემდეგ წარმოშობს კონფლიქტებს მეუღლეებს შორის, რადგან მოლოდინების გამართლება ვერ მოხდება.

იმ ახალგაზრდა დაოჯახებულმა რესპონდენტებმა, რომლებიც ოჯახის შექმნის შემდეგ მშობლებთან ერთად ცხოვრობენ, დამოუკიდებლად ცხოვრების სურვილი გამოთქვეს, მაგრამ იმის გამო რომ მათ უმრავლესობას არ აქვთ შესაძლებლობა, ოჯახი ფინანსურად თვითონ უზრუნველყოს, ვერ ახერხებს დამოუკიდებლად გასვლას. დაოჯახებული რესპონდენტების მხოლოდ 27,1% აპირებს უახლოეს პერიოდში მშობლებისაგან ცალკე ცხოვრებას. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რესპონდენტთა 16,9%-ის აზრით, მშობლებისაგან დამოუკიდებლად მათი საცხოვრებლად გასვლა გააუარესებს მათ ფინანსურ მდგომარეობას.

ოჯახის წევრთა ფინანსური მდგომარეობა, სოციოლოგთა აზრით, განსაზღვრავს ძალაუფლების განაწილებას ოჯახში. რაც იმის მაჩვენებელია, რომ ოჯახის წევრები არა მხოლოდ მატერიალურად არიან დამოკიდებულნი ერთმანეთზე, არამედ უფლებრივაც. გამოდის რომ, თუ ახალგაზრდები ოჯახის შექმნის შემდეგ მატერიალურად მშობლებზე არიან დამოკიდებულნი, მათ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მართონ საკუთარი ოჯახი [მენაბდიშვილი ე., 2014: 121].



თანამედროვე ახალგაზრდები ხასიათდებიან, ერთი მხრივ, უფრო მაღლი მზადყოფნით ცხოვრებისეული ექსპერიმენტებისადმი, მეორე მხრივ, კი შეზღუდული ეკონომიკური დამოუკიდებლობით. ისინი იქცევიან მშობლების ნორმატიული წარმოდგენებისაგან დამოუკიდებლად, განსაკუთრებით სოციო-სექსუალურ სფეროში. სწორედ აქედან იღებს სათავეს კონფლიქტები თაობებს შორის [Зидер Райхард., 1997: 270-271].

ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას კარგად აჩვენებს მისი ყოველთვიური შემოსავალი. რესპონდენტთა ოჯახების საშუალო თვიური შემოსავალი სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით ასე გამოიყურება.

**ცხრილი 1**

**ოჯახების საშუალო თვიური შემოსავალი (%).**

შემოსავლები ლარებში	100-მდე	101-200	201-300	301-400	401-500	501-1000	1001-2000	2001-3000	3001 და მეტი	არ უპასუხა
საშუალო თვიური შემოსავლის წილი (%)	3,14	9,16	11,39	9,32	12,29	31,44	15,92	4,29	1,24	1,82

გამოკითხული ოჯახების უმრავლესობაში ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 501-დან 1000 ლარამდეა. ეს არის ზოგადი სურათი. ოჯახის შემოსავლების განსაზღვრაში დიდ როლს თამაშობს ოჯახის წევრთა შემადგენლობა. მეტი თვალსაჩინოებისათვის მონაცემები დავამუშავეთ ისეთი მანქანების მიხედვით, როგორცაა საშუალო და მედიანა.

**ცხრილი 2**

**ოჯახის საშუალო თვიური შემოსავლები ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით.**

ოჯახის წევრთა რაოდენობა	საშუალო	მედიანა
1	574,0	300
2	772,8	500
3	810,8	500
4	877,7	600
5	973,3	700
6 და მეტი	1003,0	800

ოჯახის ნორმალური ყოფის და მრავალრიცხოვანი ფუნქციების შესასრულებლად აუცილებელია საოჯახო ბიუჯეტის რაციონალური მართვა, რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ ოჯახის შემოსავლები დანახარჯებს თუ არ აღემატება, უნდა უტოლდებოდეს მაინც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მასზე ნაკლები. მნიშვნელოვანია, ნათლად დაინახოთ ოჯახში მოთხოვნილებების და შემოსავლების კონცენტრაციის შესაძლებლობები. ცალკეული ოჯახი, რა თქმა უნდა, თვითონ ირჩევს საოჯახო ბიუჯეტის მართვის მისთვის მისაღებ სტრატეგიას, სადაც უმთავრესი როლი დაგეგმვას ენიჭება. დაგეგმვა იწყება ოჯახის შემოსავლების შეფასებით და გასაგვლის ხარჯის გადათვლით. ამ უკანასკნელის გამოკლებით შემოსავლებისგან კი რჩება სახსრების „თავისუფალი ნარჩენი“, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს ოჯახის წევრთა პირად საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე. ცნობილია, რომ მოთხოვნილებები და ხარჯები შემოსავლების პარალელურად იზრდება.

მოხმარების სტრუქტურა დიდად არის დამოკიდებული მის შემოსავლებზე. ოჯახის შემოსავალი უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ მოთხოვნებს, როგორცაა: სასურსათო ნაკრების, წამლების, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შეძენა; ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გამოცვლა; ხანგრძლივი მოხმარების საქონლის შეძენა; ოჯახის წევრების დასვენება და გართობა და ა.შ.

იმის გასაგებად, თუ რესპონდენტთა ოჯახებში რა დონეზე ხდება ოჯახის წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მივმართეთ თვითშეფასების მეთოდს. რესპონდენტებს ვთხოვეთ შეეფასებინათ ოჯახის მთლიანი შემოსავალით როგორ ხდება მათი ოჯახის წევრების მოთხოვნილებების უზრუნველყოფა. მათი შეფასებების მიხედვით აღმოჩნდა, რომ

მხოლოდ მცირე ნაწილის შემთხვევაში ხდება ოჯახთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (12,9%) თავისუფლად ან საკმარისად.

ცხრილი 3

**რესპონდენტთა შეფასებები მათი ოჯახის წევრების მოთხოვნილებების უზრუნველყოფის შესახებ ოჯახის მთლიანი შემოსავლებით (%).**

უზრუნველყოფს	მამაკაცი	ქალი	სულ
თავისუფლად	4,4	3,0	3,6
საკმარისად	9,7	9,0	9,3
მეტ-ნაკლებად	41,3	47,7	44,8
ვერ უზრუნველყოფს	44,6	40,3	42,3

ის რესპონდენტები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათი შემოსავლები ვერ უზრუნველყოფს ოჯახის წევრების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, თითქმის 3,3-ჯერ აღემატება იმათ რიცხვს, ვის ოჯახშიც მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ხდება.

ოჯახში ფინანსური ურთიერთობებისა და ბიუჯეტის კულტურის მიხედვით ყალიბდება „ოჯახის კლიმატის“ ესა თუ ის ტიპი, რომელიც განსაზღვრავს ქორწინების სიმყარეს, მის კეთილდღეობას და ცოლქმრული ცხოვრებით კმაყოფილებას. ქორწინებით კმაყოფილება ოჯახის სტაბილურობის ფსიქოლოგიურ ფაქტორს წარმოადგენს. ცოლ-ქმრული წარმატების განსხვავებული კრიტერიუმები არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით ის ფასდება: პირველი, პირადი ბედნიერების მიღწევით, რომელიც მოიცავს მეუღლეების სრულ შეგუებას ერთმანეთთან; პიროვნების ჰარმონიზაციას; ემოციურ წონასწორობას და გრძნობად დაკმაყოფილებას და, მეორე, ცოლ-მრული ამოცანების შესრულებით, რომელშიც იგულისხმება: შვილების ყოლა და მათი სრულფასოვან პიროვნებებად აღზრდა; ეკონომიკური წარმატების მიღწევა - ქონების დაგროვება; მეუღლეების სრული მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამერიკელი სოციოლოგების ლუისისა და სპენსერის მიერ მოწოდებული წარმატებული ქორწინების მოდელი სამ ბლოკს მოიცავს: ქორწინებამდელი ფაქტორები; სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები, პიროვნული და ქორწინების შიგა ფაქტორები [მენაბდიშვილი ლ., 2018. 59-60]. წარმატებული ქორწინების რომელი მოდელიც არ უნდა დავახასიათოთ, გვერდს ვერ ავუვლით ოჯახური ურთიერთობისათვის აუცილებელ ცოლ-ქმრული წყვილის მოთხოვნილებათა და ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა თანხვედრას. თუ ასეთი თანხვედრა არ არის ოჯახში აუცილებლად წარმოიშობა უთანხმოება და კონფლიქტი. მეუღლეებს შორის კონფლიქტის მიზეზებს წარმოადგენს არა ფული და მისი ოდენობა, არამედ განსხვავებული შეხედულებები მის გამოყენებაზე; ან ერთ-ერთი მეუღლის მხრიდან ერთპიროვნული ხაზინადარობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახის ბიუჯეტის ხარჯვის საკითხები, საიდანაც ყველაზე ხშირად აღმოცენდება ხოლმე სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის ურთიერთობები. ე.წ. „ფინანსური ბრძოლები“ ხშირ შემთხვევაში ხდება არა მხოლოდ ცოლ-ქმარს შორის, არამედ მშობლებსა და შვილებს, ახალგაზრდა ოჯახის მშობლებს შორის.

მეუღლეთა შორის უკმაყოფილების გამომწვევ უმთავრეს მიზეზებს შორის რესპონდენტებმა მეორე ადგილზე დაასახელეს ეკონომიკური საკითხები. როგორც მამაკაცების ისე ქალების მეოთხედი აღნიშნავს, რომ მათ ოჯახში უკმაყოფილებას ეკონომიკური საკითხები იწვევს. როგორც წინა წლებში ჩატარებულმა სოციოლოგიურ გამოკვლევებთან შედარებამ აჩვენა, რესპონდენტები ისეთი მაღლი სიხშირით აღარ ასახელებენ ოჯახში უკმაყოფილების უმთავრეს მიზეზად მძიმე ეკონომიკურ პირობებს. გასული საუკუნის მიწურულთან შედარებით ეს მაჩვენებელი შემცირებულია 2,6-ჯერ. მაგრამ ეს არ იძლევა სიმშვიდის უფლებას, რადგან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განქორწინების მიზეზებში ყველაზე მეტად (49,5%) სახელდება მატერიალური მდგომარეობა.

**დასკვნა**

- ოჯახის მთლიანი შემოსავალი მხოლოდ ოჯახის მცირე ნაწილში ახდენს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას თავისუფლად ან სრულად, ხოლო მათი რიცხვი, ვინც უკმაყოფილოა ოჯახის შემოსავლებით, 6,7-ჯერ აღემატება კმაყოფილთა რაოდენობას.

- ოჯახთა მნიშვნელოვან ნაწილში მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა გააქვს ახდენს ოჯახის წევრთა ემოციურ მხარეზე, რის გამოც ოჯახში ადგილი აქვს უთანხმოებას და კონფლიქტს.

- შემოსავლების სიმცირის გამო ახალგაზრდა ოჯახები, მიუხედავად სურვილისა, ვერ ახერხებენ მშობლებისაგან დამოუკიდებლად ცხოვრებას. ფინანსური დამოკიდებულება მშობლებზე ხშირ შემთხვევაში უფლებრივ დამოუკიდებლობას განსაზღვრავს.

- ახალგაზრდა რესპონდენტთა არცთუ მცირე ნაწილი იძულებულია გადაავადოს დაოჯახება ფინანსური და სამსახურებრივი მდგომარეობის, ასევე საბინაო პირობების გამო.

- დასაოჯახებელი მამაკაცების ფინანსური სიმწირე და გასათხოვარი ქალების მოლოდინი, ოჯახის შექმნის შემდეგ გაიუმჯობესოს ფინანსური მდგომარეობა, წინააღმდეგობაში მოდის.

- მიუხედავად იმისა, რომ წინა პერიოდთან შედარებით შემცირდა ოჯახის წევრთა შორის უკმაყოფილების გამომწვევი ეკონომიკური მდგომარეობის მახინებელი, ეს მაინც არ იძლევა სიმშვიდის უფლებას, მაგრამ დამაიმედებელი პროგნოზის გაკეთების უფლებას გვაძლევს. ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის აღმავლობა დადებით ასახვას პოვნებს ოჯახზეც. თუმცა ამ მხრივ კვლავ ბევრია გასაკეთებელი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. მენაბდიშვილი. ოჯახის ტრადიციული ტიპიდან თანამედროვე დემოკრატიულ მოდელზე გადასვლა, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, შრომების კრებული. თბ., 2014. გვ. 121.
2. ლ. მენაბდიშვილი, ოჯახის მენეჯმენტი. თბ., 2018. 59-60.
3. Егорова Н. Ю. С.Д.; Боброва В.А. Менеджмент в домашнем хозяйстве. //http://lib.sale/
4. Зидер Райхард. Социальная история семьи в Западной и Центральной Европе (конец XVIII – XX веков). М., 1997, 270-271.

*Nana Menabdishvili*

### **THE SELF-ASSESSMENT OF THE ECONOMIC OPPORTUNITIES OF THE FAMILY Summary**

There are different factors that determine the family well-being. One of them is the economic sphere. It does not really play a minor role in the emotional relationships of spouses. Any family faces the problems of solving such important issues as: the consumption of social production; the organization of family financial-consumer and economic issues; The creation of satisfactory economic foundation for the various needs of family members; The provision of housing issues; The ensuring descendants; The capital accumulation and production. Each family manages to solve these issues differently because of their individuality.

The total income of families of respondents freely or fully meets the needs of only a small part of families, and the number of those who are dissatisfied with family income is 6.7 times higher than the number of satisfied.

For a successful marriage it's necessary the coordination of both - the needs of married couples and the individual needs. If there is no such mutual agreement in the family, there will certainly be disagreements and conflicts. The respondents named the economic issues in the second place among the main causes of dissatisfaction between the spouses. A quarter of men and women note that the main cause of dissatisfaction in their families are the economic issues. Although this figure has decreased 2.6 times compared to the end of the last century, it does not give grounds for reassurance as the most respondents name the financial conditions as a cause of divorce (49.5%)

The marriage age has recently increased in Georgia. The factors such as an income, the housing issues, the employment, play an important role in the postponing the starting of the family. 43.2% of the respondents associate the delay in marriage with the financial status, 39% - with employment and 33% - with the living conditions. Studies confirm that a man cannot marry because of his financial conditions, and the woman is expecting to improve the financial position by the marriage. Such a situation may lead to the postponement of marriage for an indefinite period, or after the starting of a family, will cause a conflict among couples when the expectations are not met.

Some couples cannot start an independent life because they depend on their parents. This also leads to their legal dependence.

**დოქტორანტიების, მაგისტრანტიებისა და ბაკალავრიატის  
სტუდენტების მოხსენებები**

*ანა ანუშიძე  
ნიკა ქიტოშვილი*

**აზერბაიჯანის ეკონომიკური პოლიტიკის სტაბილურობაზე  
ბავშვების მომხდენი ფაქტორები**

*ანოტაცია. ნაშრომის მიზანია აზერბაიჯანის, როგორც ახალგაზრდა საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის, ეკონომიკურ სტაბილურობაზე მოქმედი ფაქტორების წარმოჩენა ქვეყნის, ეკონომიკური პოლიტიკის მახასიათებლების განხილვა.*

*ნაშრომი ეყრდნობა ორ მთავარ საკვლევ კითხვას:*

- რაში მდგომარეობს აზერბაიჯანის ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურება?
- რა ფაქტორები ახდენს გავლენას აზერბაიჯანის ეკონომიკის სტაბილურობის განსაზღვრაზე?

*საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ენერგეტიკული სექტორი.*

**შესავალი**

აზერბაიჯანი არის ახალგაზრდა, დამოუკიდებელი, ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა რეგიონში, მდიდარი ენერგეტიკული რესურსებით, გამორჩეულია გეოგრაფიული მახასიათებლებით, მდებარეობს ორი კონტინენტის შესაყარზე. ქვეყნის სტრატეგიულ მნიშვნელობას დიდწილად განაპირობებს მის ტერიტორიაზე გამავალი მნიშვნელოვანი ნავთობსადენები და გაზსადენები. აზერბაიჯანმა რთული და გამოწვევებით სავსე პერიოდი გაიარა დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან. აღნიშნული პერიოდი სამ ფაზად იყოფა, 1991 დ 1993 (პირველი ფაზა), 1993 დ 2003 (მეორე ფაზა) და 2003-დან თანამედროვე პერიოდის ჩათვლით (მესამე ფაზა). მთლიანობაში, სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკის მიმართულებით განვითარების, სტრატეგიები და პრიორიტეტები.

**აზერბაიჯანის ეკონომიკური პოლიტიკის მიმოხილვა**

„თანამედროვე, ენერგეტიკული რესურსებით მდიდარი აზერბაიჯანი არის ლიდერი სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ამასთან საიმედო პარტნიორია ენერგეტიკის სფეროში როგორც რეგიონის, ისე საერთაშორისო მასშტაბით. აზერბაიჯანმა რთული და გამოწვევებით სავსე გზა გაიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებიდან დღემდე. სირთულეები ობიექტურად აქვს ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, და ეს დაკავშირებულია გამოცდილების, ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობასთან როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონულ ასპარეზზე ადგილის დამკვიდრებასთან, სახელმწიფო მექანიზმის ჩამოყალიბების რთულ და მეტად შრომატევად პროცესთან, შიდა პოლიტიკური სისტემის არა მდგრადობასთან და, რაც განსაკუთრებულად ართულებდა სიტუაციას, ეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემაა, რომლის გადაწყვეტაზე მუშაობა დღემდე გრძელდება. ამ ყველაფერს კიდევ უფრო მძიმე ბარიერს უქმნიდა საბჭოური მემკვიდრეობა და საზოგადოებაში ფესვებგადგმული საბჭოური კულტურა“ (De Waal. 2016). მნიშვნელოვანია, რომ საბჭოური მემკვიდრეობის დაძლევა უმთავრესი გამოწვევაა აზერბაიჯანისთვის ეკონომიკის სფეროში.

„აზერბაიჯანისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის პრიორიტეტი იყო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელება, საერთაშორისო და რეგიონული ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება საიმედო და უსაფრთხო ენერგო პარტნიორის სახელის მოსაპოვებლად“ (De Waal. 2016). „ენერგეტიკული პოლიტიკა ფორმულირებულია ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის მიერ, შემდეგ კი ის გააფართოვა პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა. ყველაფერი დაიწყო 1994 წელს, როდესაც ხელი მოეწერა „საუკუნის შეთანხმებას“. პირველად ისტორიაში, აზერბაიჯანმა გადაწყვიტა კასპიის ზღვის გამოყენება მრავალეროვნულ კომპანიებთან ერთობლივი მუშაობისთვის და მან შეძლო

მოეხიდა მრავალმილიარდიანი ინვესტიციები ნავთობის მრეწველობის დაწყება-განვითარებისთვის. ჯერ კიდევ მაშინ კასპის ზღვის რესურსების მიწოდება დასავლეთის ბაზრისთვის ფანტაზია იყო. აზერბაიჯანმა, თურქეთმა და საქართველომ ეს ფანტაზია გადააქციეს რეალობად, როდესაც მათ დაასრულეს გაზსადენის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზერუმის ნავთობსადენის მშენებლობა. სწორედ ამ პროექტების განხორციელებით დაიწყო აზერბაიჯანის მძლავრ ენერგომომწოდებელ და ტრანსპორტიორ ქვეყნად ჩამოყალიბების ისტორია“ (De Waal. 2016).

„აზერბაიჯანის წარმატებულმა ენერგეტიკულმა პოლიტიკამ მნიშვნელოვნად განაპირობა როგორც ამ სფეროს, ისე მთლიანად ეკონომიკის და ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის განვითარება. ენერგეტიკამ განაპირობა აზერბაიჯანის სანდო პარტნიორად აღიარება. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ექსპლუატაციაში შესვლა 2006 წელს, იყო ისტორიული ფაქტი, ეს იყო ახალი გლობალური მნიშვნელობის კორიდორის შექმნა. სიახლე რეგიონისთვის და მთელი კონტინენტისთვის. ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხში აზერბაიჯანს შეაქვს თავისი წვლილი განსაკუთრებით ევროპაში გაზის უსაფრთხო მიწოდებით. ქვეყანა გახდა მსოფლიოში უმსხვილესი გაზის ექსპორტიორი შაჰდენიზის წყალობით. მესამე ათასწლეულის მეორე ათწლეული არის მოწმე ტრანს ანატოლიის (TANAP) და ტრანს ადრიატიკის მილსადენების (TAP) პროექტების შექმნის. მე-20 საუკუნეში აზერბაიჯანს სჭირდებოდა უცხოური მხარდაჭერა პროექტების განხორციელებისთვის, ახლა უკვე თავად ხდება ინიციატორი და მნიშვნელოვანი ფინანსური წვლილი შეაქვს რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბების პროექტების განხორციელებაში, რომლებიც უზრუნველყოფს ევროპის ენერგომომარაგებას. ტრანს-ადრიატიკის მილსადენის არჩევა ევროპის ბუნებრივი აირით მომარაგებისთვის მთავარ საექსპორტო მარშრუტად, იმის დემონსტრირებაა, რომ ამ რეგიონში ნებისმიერი გლობალური პროექტის განხორციელება აზერბაიჯანის თანხმობის და მონაწილეობის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია. ბოლო 12 წლის განმავლობაში აზერბაიჯანის მშპ გასამზავდა. ბიუჯეტი კი 20-ჯერ გაიზარდა. მიუხედავად ამისა, რთული ვითარებაა ქვეყნის რეგიონების უმრავლესობაში“ (Habibbeyli, 2017).

მკვლევარები აზერბაიჯანის ეკონომიკური ტრანზაციის პერიოდის განხილვისა და ანალიზისას ორი მიმართულებით ავითარდებიან მსჯელობას, პირველი, რეალობის შეფასება და საჭირო რეფორმების ფორმულირება, მეორე კი საბჭოური მემკვიდრეობის, როგორც ეკონომიკური განვითარების გზაზე განსაკუთრებული დამაბრკოლებელი ბარიერის ანალიზი. ავტორთა უმრავლესობა აზერბაიჯანის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს გამოწვევად სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიღწევას ასახელებს, ამისთვის კი ქვეყნის მოდერნიზაციას, მათ შორის ეკონომიკის დივერსიფიკაციას, უპირობო აუცილებლობად განიხილავენ. ამასთან, ფართოდ განიხილება ის ხელის შემშლელი გარემოებები, რომლებიც განპირობებულია საბჭოთა მემკვიდრეობით, მაგალითად: რესურსების გამოყენებაზე დაფუძნებული ეკონომიკა, ნაკლები ყურადღების გამახვილება მდგრად განვითარებაზე, დივერსიფიკაციაზე, სოციალური კაპიტალის განვითარების დაბალი მაჩვენებელი, ურბანიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები.

„ჰოლანდიური დაავადება“ რჩება ქვეყნის დეინდუსტრიალიზაციის შედეგად არსებულ მთავარ საფრთხედ ქვეყნის ეკონომიკისთვის. როგორც წესი, აღნიშნული საფრთხე ჩნდება მაშინ, როცა ხდება ბუნებრივი რესურსების ხარჯვა, ეროვნული ვალუტა დამოკიდებულია ერთ სფეროზე, სამრეწველო პოტენციალი იკლებს და არაკონკურენტუნარიანია საერთაშორისო ბაზარზე. იზრდება იმპორტი და მცირდება ექსპორტი. 2005 წლიდან მწავავედ დადგა ერთ სფეროზე დამოკიდებულების საფრთხე. პრიორიტეტული გახდა რეგიონების განვითარება.

მნიშვნელოვანია იმ ავტორების მოსაზრებები, რომლებიც მუშაობენ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების წინაშე არსებული გამოწვევების თემაზე. ისინი რამდენიმე მნიშვნელოვან გამოწვევას გამოყოფენ: „გეგმიურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში ყველაზე რთული პრობლემა სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიღწევა“ (Erdener Kaynak, Zenfira Nasirova. 2008). „გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სოციალური და ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსახლეობის ფაქტორებზე, მაგალითად ურბანიზაციის დონეზე და სიმჭიდროვის ხარისხზე“ (Antonio Sanchez-Braza, Galyan Anna. 2018). „სწრაფი ტრანსფორმაციის პერიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ კაპიტალს და მის განვითარებას. საინტერესო მახასიათებელი აქვთ პოსტსაბჭოური ქვეყნების

უმრავლესობის ახალგაზრდობას, მათ არ აქვთ საკმარისი კონტაქტები, გამოცდილება სოციალური კაპიტალის შესაქმნელად, რაც საბოლოო ჯამში მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის“ (Erik Lepisto. 2010). „აზერბაიჯანის ეკონომიკური განვითარებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგარეო ფაქტორად მაკროეკონომიკური ვითარების არსებობა წარმოადგენს. სიღარიბის შემცირებისა და მდგომარეობის გამოსწორებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან წინაპირობად საშინაო ფაქტორებიდან სამუშაო ადგილების შექმნას განიხილავს“ (Elvin N. Afandi, Gabor Pellenyi. 2014). “მოდერნიზაცია საჭიროა მართვის მექანიზმებში. ყურადღება უნდა გამახვილდეს სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებზე, ქვეყნის მოდერნიზაციაზე. ერთ-ერთი ამ სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებიდან არის ეკონომიკა, ის, რაზეც დამოკიდებულია ქვეყნის განვითარება“ (E. Rustamov. 2014).

## დასკვნა

ეკონომიკის ზრდა რესურსების გონივრულ, მდგრად გამოყენებასთან, უცხოური კაპიტალდაბანდებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნასთან, საზოგადოებრივი ინსტიტუტების გამართულ მუშაობასთან, ადამიანური კაპიტელის გონივრულ მართვასთან არის დაკავშირებული.

აზერბაიჯანმა მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ენერგეტიკული რესურსები აქცია მთავარ დასაყრდენად საბაზრო ეკონომიკის განვითარების საქმეში. ამას დაემატა მტკიცე ნაბიჯების გადადგმა საიმედო საერთაშორისო პარტნიორის სტატუსის მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის, რამაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მოუტანა აზერბაიჯანს როგორც ერთი მხრივ ენერგეტიკული რესურსების ექსპორტიორ და როგორც ტრანზიტ ქვეყანას.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის მშენებლობასთან დაკავშირებული რეფორმები ფართო მასების უკმაყოფილებას იწვევს, რადგან მოსალოდნელი საერთო კეთილდღეობის ნაცვლად ისინი საზოგადოების მევეთრად არათანაბარ გადანაწილებას და საერთო დაძაბულობას ქმნის, ეს კი მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზაზე. ამას ემატება ის გამოწვევები, რომლებიც, როგორც წესი, საერთო პოსტსაბჭოური ქვეყნებისთვის საზოგადოებრივი ინსტიტუტების გარდაქმნა, ეკონომიკური პროგრესის მიღწევა, სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ეთნიკური და კონფესიური მშვიდობის უზრუნველყოფა. საზოგადოებრივი ინსტიტუტების ეფექტიანი მუშაობა დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Sánchez-Braza, Antonio. Galyan, Anna. 2018. Relationship between economic growth and residential energy use in transition economies, María del P. Pablo-Romero, Published online (მოყვანილი ციტატები ნათარგმნია ჩემ მიერ).
2. Afandi, Elvin N. Pellenyi, Gabor. 2014. Evidence of Pro-Poor Growth in Azerbaijan, Pages 5-31. Published online. (მოყვანილი ციტატები ნათარგმნია ჩემ მიერ).
3. E. Rustamov, E. 2014. Principles of the Evolutionary Modernization of Transitional Economies. Pages 59-72. Published online (მოყვანილი ციტატები ნათარგმნია ჩემ მიერ).
4. Habibbeyli, Arastu. 2017. Reconsidering Azerbaijan’s Foreign Policy on the 25 th Anniversary of Restored Independence (მოყვანილი ციტატები ნათარგმნია ჩემ მიერ).
5. De Waal, Thomas. 2016. Azerbaijan at 25: A New Era of Change and Turbulence (მოყვანილი ციტატები ნათარგმნია ჩემ მიერ).
6. Breban, Dan. Mukhtarov, Elmir. 2017. The 2018 State Budget Project of Azerbaijan: From Consolidation to High Spending? CESD Press, Baku.
7. (ბოლო მონაცემები ნანახია 15. 01. 2019).

## THE ASPECTS THAT AFFECT THE ECONOMIC STABILITY OF THE REPUBLIC OF AZERBAIJAN

### Summary

The purpose of this essay is to identify special aspects in the sphere of the economy of the Republic of Azerbaijan. We will use several methods for our purpose.

As for our goal, the article raises two key questions:

- First, what are the special aspects of the economy of the Republic of Azerbaijan?
- Secondly, aspects that affect the economic stability of the Republic of Azerbaijan.

**Keywords:** *economic policy, economic diversification, energy sector.*

Tamara Gvenetadze

## THE ECONOMIC IMPACT OF IMPULSE BUYING BEHAVIOR

**Annotation.** *The purpose of this work is to highlight important facts about the modern buying behavior particularly the issue of an impulse buying and its influencing factors. The model of consumer buying behavior is compared to the impulsive buying behavior. During the past couple of years, the worldwide interest and attention has increased towards the study of consumer behavior- “behavioral economics”. In the modern age of globalization consumer behavior is driven by nontraditional channels. Avoiding and rejecting impulse buying is becoming more and more difficult in presence of current various stimulatory strategies leading to a negative impact on the financial situation of consumers. Therefore, in order to avoid impulse spending the author considers and advises consumers to address the rational model of buying behavior since it highlights the need recognition and planned purchase action.*

**Key words:** *International economics, globalization, consumer behavior, impulsive buying, impulsive spending.*

In the current stage of globalization international economic trends have high impact on daily lives of consumers. Due to the globalization consumers as well as the manufacturers are facing complex challenges. In this instance researching consumer behavior has become crucial and urgent. Researching consumer behavior stays to be one of the difficult aspects especially for organization which are operating on the global market. Despite some of the similarities still during the purchasing process there are quite a lot of differences to be noticed. This it is not an accidental fact that over the past few years there has been an increase of interest towards “behavioral economics” which researches consumer behavior.

Behavioral economics studies the elements such as: social, cultural, religious, cognitive, emotional and economic factors that are influencing consumer behavior. Also the field of study includes what is determining the social opinion towards the particular market offering and how are the decisions made in the minds of target consumers. It is detected that consumers display different types of behavior in various environments. (Graph 1).

**Graph 1. Rational model of consumer buying behavior**



**Source:** *Consumer Behavior (Schiffman L.G.; Kanuk L.L., 2014)*

The above graph demonstrates each rational stage any consumer would go through before concluding the purchasing process. The buyer decision making process can vary in time and have different intervals due to the significance of the product. Sometimes the process can be prolonged in time when in some cases it can have shorter duration depending on the category of a product. For example, purchasing a car would require more time compared to buying a convenience product of daily consumption. The economical situation of an

entire country as well as the personal financial ability has an impact on the buyer decision making process. International markets differ economically and also with consumer tastes and demands.

The advancement of modern technological equipment enables customers to make practically any purchase at the international level. If in the past period consumers could only choose the traditional channels nowadays due to the characteristics of globalization sales are stimulated by nontraditional channels such as: online shops, catalogue or TV sales etc.

Impulse buying implies purchasing a product without prior analysis and need identification from the side of a consumer. Consumer prioritizes personal want of possessing a product without analyzing the needs. In most cases impulse buying negatively affects financial situation of a consumer leading to the regret of a purchasing decision.

In most cases impulse buying is unplanned followed by the strong desire of possession and consumer urgently makes a purchase without thoughtful selection. Beatty & Ferrell (1998) define impulsive buying as spontaneous, sudden and urgent purchase, which has no prior shopping objective. Kacen and Lee (2002) emphasize the importance of personal psychological portrait of consumers and explain the impulsive buying action by the strong and urgent desire of obtaining certain product. According to Kacen and Lee (2002) it is rather difficult for customers to reject and manage impulsive buying behavior. While compared to the rational model of consumer buying behavior during the process of impulse buying consumers do not pay adequate attention to the need identification stage. In order to avoid the negative impacts of impulsive buying consumers can take into account the main principles of "rational expectancy" doctrine principles (Silagadze A., Atanelishvili T., Silagadze N. (2010).

The below factors can force consumers towards demonstrating impulsive buying:

- Shortage of a product availability;
- Stimunational strategy,
- Effective/vivid product display,
- Time availability factor;
- Convenient price;
- Psychological characteristics of a consumer;
- Emotional state.

Han et al. (1991) reveals four main types of impulsive buying behavior: 1) Planned impulse buying-purchasing is planned but particular product is not determined yet. 2) Reminded impulse buying- - after noticing a product in the store consumer suddenly remembers to have a necessity of it. 3) Suggested impulse buying- consumer is under the impression of another person and makes purchase after being advised to do so. 4) Pure impulse buying- consumer breaks the trend of rational shopping and makes purchasing decision urgently.

## Conclusion

Thus the interest towards impulse buying has increase leading scholars to researching the "behavioral economics"- consumer buying behavior. Globalization makes it possible for consumers to use nontraditional channels leading to purchasing due to promotional and stimunational strategies of various product manufacturers. Avoiding impulse buying is quite challenging as a consequence of high level promotional strategies and it can have adverse effects on the economical condition of a consumer. Thereby with the purpose of preventing impulsive spending it is recommended to follow the rational model of buying behavior which emphasizes the need recognition stage and making sensible purchase decisions.

## References

1. Beatty, S. E., & Ferrell, M. E. (1998). Impulse buying: modeling its precursors. *Journal of Retailing*, 74, 169-191.
2. Block, L. G., & Morwitz, V. G. (1999). Shopping lists as an external memory aid for grocery shopping: Influences on list writing and list fulfillment. *Journal of Consumer Psychology*, 8(4), 343-375. [http://dx.doi.org/10.1207/s15327663jcp0804\\_01](http://dx.doi.org/10.1207/s15327663jcp0804_01)
3. Han, Y. K., Morgan, G. A., Kotsiopulo, A., & Kang-Park, J. (1991). Impulse buying behavior of apparel purchasers. *Clothing and Textiles Research Journal*, 9(3), 15-21. <http://dx.doi.org/10.1177/0887302X9100900303>



4. Kacen, J. J., & Lee, J. A. (2002). The Influence of Culture on Consumer Impulsive Buying Behavior. *Journal of Consumer Psychology*, 12(2), 163-176. [http://dx.doi.org/10.1207/S15327663JCP1202\\_08](http://dx.doi.org/10.1207/S15327663JCP1202_08)

5. Schiffman L.G.; Kanuk L.L. (2014). *Consumer Behavior*. Pearson Education. (In English)

6. Silagadze A., Atanelishvili T., Silagadze N. (2010). *Economic Doctrines*. Georgian National Academy of Sciences. Tbilisi. (In Georgian).

*გიორგი დიდიძე*

**რეგიონული საინოვაციო სისტემა როგორც ინოვაციური პოლიტიკის  
ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ელემენტი**

*ანოტაცია.* ნაშრომში განხილულია ინოვაციური სისტემის შექმნის ობიექტური აუცილებლობა და სახელმწიფო მხარდაჭერის მნიშვნელობა რეგიონების ინოვაციური განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების საქმეში. მოყვანილია რეგიონული ინოვაციური სისტემის კონცეფციის განსხვავებული ინტერპრეტაციები და პოსტულატები. შემოთავაზებულია რეკომენდაციები მცირე და საშუალო სიდიდის რეგიონებში ინოვაციური სისტემების განვითარების მიზნით, მათ შორის, აღნიშნულია ერთი ან რამდენიმე მოქმედი კლასტერის არსებობა, რომლებშიც გაერთიანებულია მცირე და საშუალო საწარმოები, აგრეთვე, მსხვილი (დიდერი) კომპანია/კომპანიები. დასმულია საკითხი რეგიონის ინოვაციური განვითარების პროგრამის მომზადების შესახებ.

*საკვანძო სიტყვები:* რეგიონული ინოვაციური სისტემა; ინოვაციური სისტემის კონცეფცია; კლასტერი; კონკურენტუნარიანობა; ინოვაციური განვითარების პროგრამა.

**შესავალი**

მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ საინოვაციო პოლიტიკის ამოცანების შესრულება რეგიონულ დონეზე შეუძლებელია სახელმწიფოს აქტიური ხელშეწყობის გარეშე. ამჟამად საქართველოში არ არსებობს სრულფასოვანი რეგიონული საინოვაციო სისტემის შექმნის მაგალითები. თუმცა, ბევრი მათგანი ქმნის ამ სისტემის ელემენტებს. მომავალში რეგიონებმა შესაძლებელია მიაღწიონ კონკურენტული უპირატესობის ისეთ დონეს, რომ ჩამოყალიბდნენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ცენტრებად. რეგიონებში საინოვაციო პოლიტიკის ჩამოყალიბება ხდება შიდა ინოვაციური მოდელის შექმნის შედეგად.

რეგიონულ დონეზე ინოვაციური სისტემის შექმნის ობიექტური აუცილებლობა წარმოიშვა გასული საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიო ბაზრებზე კონკურენციის მკვეთრად გამწვავების შედეგად. კერძოდ, ტერიტორიების კონკურენციულმა ბრძოლებმა გამოავლინა ეკონომიკური განვითარების ტრადიციული რეგიონული მოდელების დაბალეფექტიანობა. ამან ბიძგი მისცა კლასტერების ჩამოყალიბების პროცესს რეგიონულ დონეებზე, ფირმებისა და მრეწველობის მრავალრიცხოვანი წარმატებული ტექნოლოგიების ბაზაზე. სამეცნიერო და სამეწარმეო წრეებში პოპულარული გახდა ახალი ანალიტიკური კონცეფცია რეგიონული კონკურენტუნარიანობის ზრდის სტიმულირების აუცილებლობის შესახებ. ეს მიდგომა ეფუძნებოდა სპეციალიზებულ ტექნოლოგიურ რესურსებს, რომელთა ეფექტიანად გამოყენება უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო კვალიფიციური სამუშაო ძალისა და საშუაშაველო ორგანიზაციების ერთობლივი საქმიანობის მეშვეობით.

**ინოვაციური პოლიტიკის ორგანიზაციულ-ეკონომიკური  
მექანიზმის ელემენტი**

რეგიონული ინოვაციური სისტემის კონცეფციის ერთ-ერთი ფუძემდებელია კარდიფის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) სპეციალური კვლევების ცენტრის პროფესორი ფილიპ კუკი. მან შემოგვთავაზა რეგიონული ინოვაციური სისტემის განსაზღვრება „ინოვაციური ჯაჭვის კვანძების სახით, რომელიც მოიცავს ფირმის ცოდნის გენერირებას, ამ ცოდნის მომხმარებელ ორგანიზაციებს, საწარმოებს და სხვადასხვა სტრუქტურებს, რომლებიც ასრულებენ სპეციალიზებულ ფუნქციებს: ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა, ინოვაციური პროექტების დაფინანსება, საბაზრო ექსპერტიზა და პოლიტიკური მხარდაჭერა.

ეკონომისტთა ამ კონცეფციის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ ინოვაციური სისტემის მრავალი ელემენტი (ინოვაციების გენერირება, ტექნოლოგიების ტრანსფერი და სხვა) ხასიათდება გეოგრაფიული ლოკალიზაციით, ანუ რეგიონული ასპექტებით. ასე მაგალითად, ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი მაიკლ პორტერი აცხადებს, რომ „გლობალურ დონეზე ფირმების მდგრადი კონკურენტული უპირატესობები ხშირად უზრუნველყოფილია მათი ძლიერი პოზიციით ადგილზე, მათ შორის მაღალკვალიფიციური მრეწველობის, პერსონალის, ინსტიტუციური სტრუქტურების, მომწოდებლების, მომხმარებლებისა და სხვა ინდივიდუალური რეგიონების კონცენტრაცია.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონული ინოვაციური სისტემის კონცეფციის საფუძვლები დიდწილად ნასესხები იყო ეროვნული კონცეფციისაგან. კერძოდ, სამუშაოების წარმატებით მშენებლობის ძირითადი რეკომენდაციების თითქმის მთელი კომპლექტი იმეორებს ეროვნული კონცეფციის ცნობილ სქემებს სტრუქტურულად და ადაპტირებულია რეგიონულ დონეზე. შესაძლოა, კონცეფციის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი ეროვნულ კონცეფციაში გამოყენებულ სქემებთან შედარებით უფრო მკაფიოა კლასტერულ კომპონენტთან მიმართებით: ეროვნული ინოვაციური პროგრამებისგან განსხვავებით, რეგიონული, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაეყრდნოს მკაცრად შეზღუდული რაოდენობის წარმოებების აქტიურ განვითარებას. ამ რეგიონებისთვის პრიორიტეტია ძლიერი მრეწველობა (და ეს ასპექტი განსაკუთრებით ცხადია მცირე და საშუალო ზომის რეგიონებისათვის).

ზოგადი ფორმით, სტანდარტული რეგიონული კონცეფციის საფუძველია შემდეგი პოსტულატები:

- ე.წ. ცოდნის პროვაიდერების (ახალი ტექნოლოგიები, პერსპექტიული სამეცნიერო კვლევა და ა.შ.) აქტიური ზრდის ღონისძიებების კომპლექსი, მათ შორის, უნივერსიტეტებისა და/ან საკონსულტაციო ფირმების სტრუქტურები, რომლებიც ხელს უწყობენ ადგილობრივი ფირმების მჭიდრო კავშირს ცოდნასა და რესურსების გარე წყაროებთან;

- მაღალკვალიფიციური შრომის მოზიდვა რეგიონში;

- ბიზნესის ინკუბატორის ქსელების შექმნა დამწვები კომპანიების მხარდასაჭერად;

- კვლევითი ორგანიზაციის შექმნა და გრძელვადიანი დაფინანსება, რომელიც რეგულარულად აკვირდება და სწავლობს ძირითადი ბაზრებისა და ტექნოლოგიების მნიშვნელოვან რეგიონულ ინდუსტრიულ კლასტერებს;

- რეგიონული საინოვაციო კომპანიების, კვლევითი ორგანიზაციებისა და სამთავრობო უწყებების ურთიერთთანამშრომლობისა და თანამშრომლობის სისტემის ეფექტური მექანიზმების შექმნა;

- ხშირი კონტაქტის უზრუნველყოფა ადგილობრივი ბიზნესელიტის წარმომადგენლებს შორის, ანუ ფორმალური და არაფორმალური ქსელური ორგანიზაციების განვითარება;

- რეგიონში ვენჩურული კაპიტალის შემოდინების უზრუნველყოფა (მათ შორის დაფინანსების საწყის ეტაპებზე - „ბიზნეს ანგელოზების, ქსელების შექმნა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავამატოთ აუცილებელი, მაგრამ არა ყოველთვის საკმარისი წინაპირობა რეგიონული ინოვაციური სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის - ძლიერი რეგიონული კონტროლის ცენტრის არსებობა სხვადასხვა ინოვაციური პროგრამებისთვის.

რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრასთან ერთად, ადგილობრივი ადმინისტრაცია შეიმუშავებს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსების პროგრამებს. აქ იგულისხმება პირდაპირი საბიუჯეტო ასიგნებების მიღება, შეღავათიანი დაკრედიტება ან საგადასახადო შეღავათების სხვადასხვა მექანიზმების გამოყენება. იმავდროულად, გათვალისწინებული უნდა იყოს რეგიონის ინოვაციური განვითარების პროცესის მონაწილეთა შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარების ღონისძიებები.

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში სახეზეა მნიშვნელოვანი პროგრესი რეგიონული ინოვაციური სისტემების შექმნის მიმართულებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროკავშირის ქვეყნები, სადაც შეიმუშავებულია რეგიონული ინოვაციური განვითარების 150-ზე მეტი პროგრამა. ინოვაციური განვითარების გზა აირჩია რიგმა დინამიურად განვითარებადმა ქვეყნებმა (ჩინეთი, ინდოეთი, ლათინური ამერიკის ზოგიერთი

ქვეყანა და სხვა). უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციური სისტემები ვითარდება თითქმის ყველა ქვეყნის მსხვილ რეგიონებში.

მოცემულ სფეროში მოღვაწე მეცნიერი ეკონომისტები (შვედეთის ექსპერტები მ. ანდერსონი და ჩ. კარლსონი და სხვ.) იმ ტერიტორიული წარმონაქმნების მიხედვით, რომლებიც არ გამოირჩევა მოსახლეობის რაოდენობითა და სიმჭიდროვით, გამოჰყოფენ ინოვაციური განვითარების მხრივ ჩამორჩენის ორ მთავარ მიზეზს: ტექნოლოგიატევადი სამრეწველო დარგების შეზღუდული რაოდენობა და ინოვაციების მაგნიტირებელი სამეცნიერო ცენტრების (უნივერსიტეტები და კვლევითი ინსტიტუტები) ნაკლებობა. გარდა ამისა, გეოგრაფიულად ჩაკეტილი ინოვაციური სისტემები მეტ-ნაკლებად ხანგძლივი პერიოდისათვის ვერ ინარჩუნებენ რეგიონში ფუნქციონირებადი კომპანიების კონკურენტუნარიანობასა და ხასიათდებიან მოუქნელობით ახალი ტექნოლოგიების წარმოშობის შემთხვევაში რეგიონის ტექნოლოგიური განვითარების ვექტორის კორექტირების თვალსაზრისით. მათ არ გააჩნიათ საკმარისად მყარი კავშირები ცოდნის მომწოდებლებთან (უმაღლესი სკოლები, კვლევითი ორგანიზაციები და სხვა), რამაც, შესაძლებელია, გამოიწვიოს რეგიონის კომპანიების კონკურენტუნარიანობის დაცემა და ბაზრიდან გასვლა. გამოსავალი შესაძლებელია მოიძებნოს რეგიონის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაძლიერებასა და/ან შედარებით მეცნიერებატევადი რეგიონებიდან მომდინარე ახალ ტექნოლოგიურ გამოწვევებთან ადაპტირებაში.

მკვლევარები გვთავაზობენ რეკომენდაციებს პატარა და საშუალო სიდიდის რეგიონებში ინოვაციური სისტემების განვითარების მიზნით. ესენია:

1. ეფექტიანი რეგიონული ინოვაციური სისტემების შექმნის წანამდღვარია ერთი ან რამდენიმე მოქმედი კლასტერის არსებობა, რომლებშიც გაერთიანებულია მცირე და საშუალო საწარმოები, აგრეთვე, მსხვილი (ლიდერი)კომპანია/კომპანიები და რომლებიც გარშემორტყმული არიან მრავალი მომწოდებლებითა და მომხმარებლებით;

2. იმის გათვალისწინებით, რომ მცირე და საშუალო ზომის რეგიონების უმრავლესობა განიცდის ადგილობრივი საჯარო და კერძო კვლევითი ორგანიზაციების ნაკლებობას, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, დამყარდეს გრძელვადიანი ინტენსიური კავშირები სხვა რეგიონების უნივერსიტეტებსა და კვლევით ორგანიზაციებთან;

3. მცირე და საშუალო ზომის რეგიონებისათვის, სადაც არსებობს ინოვაციურად აქტიური კვლევითი ცენტრები, მნიშვნელოვანია სპეციალური ღონისძიებების გატარება რეგიონული საინოვაციო საწარმოების პროდუქციის სპეციფიკისადმი ამ ცენტრების საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროფილის ადაპტირება;

4. მნიშვნელოვანი ამოცანაა, გატარდეს სათანადო ღონისძიებები გარედან კვალიფიციური პერსონალის შემოღებისთვის მიმზიდველი პირობების შესაქმნელად;

5. რეგიონული ინოვაციური სისტემის წარმატებული ფუნქციონირება მნიშვნელოვანწილად კოლექტიური სწავლებისა და მონაწილეთა მრავალმხრივი საქმიანი დიალოგის პროცესის ეფექტიანად წარმართვაზეა დამოკიდებული;

6. ცნობილია, რომ ინოვაციების დიდი ნაწილი ჩაისახება ახლად შექმნილი საწარმოების წიაღში. ამიტომ, რეგიონული ინოვაციური სისტემის შექმნისა და განვითარებისათვის სტარტაპ-კომპანიების მხარდაჭერას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება;

7. ცალკეულ რეგიონში ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით შესწავლილი უნდა იქნეს სხვა რეგიონებში მსგავსი პროგრამების განხორციელების გამოცდილება, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები;

8. ინოვაციური სისტემის ფორმირების დროს არ არის აუცილებელი, რომ ერთმანეთს დაემთხვეს რეგიონების ადმინისტრაციული და ფუნქციური საზღვრები. ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, ფორმალური ტერიტორიული მახასიათებლების ნაცვლად ვიხელმძღვანელოთ ზოგადი ეკონომიკური ეფექტურობის კრიტერიუმებით.

აღნიშნულის გარდა, გასათვალისწინებელია ის გარემოებანი, რომ, ტრადიციულად, მცირე და საშუალო ზომის რეგიონებში ინოვაციური სისტემების შექმნას შეაფერხებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში თანამშრომლობის დაუინტერესებლობა მსხვილი საწარმოების მხრიდან, აგრეთვე, ურთიერთ თანამშრომლობისა და თანადგომის ძალზე სუსტი დონე ერთი მხრივ, ადგილობრივ მცირე და საშუალო ბიზნესსა და მეორე მხრივ, უმაღლეს სასწავლო და კვლევით ორგანიზაციებს შორის.

აღნიშნული რეკომენდაციების ფონზე და შემაფერხებელი ფაქტორების რამდენადმე ნიველირების შედეგად, საქართველოს რიგ რეგიონებში შეინიშნება აქტიურობა

ინოვაციური სისტემების ჩამოყალიბების მიმართულებით. ეს წამოწყებები საჭიროებს სათანადო მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას. მნიშვნელოვანია ამ დროს რეგიონებში საბაზისო დოკუმენტაციის შემუშავება, რომელთა მეშვეობით განისაზღვრება რეგიონული ინოვაციური სისტემების მიზნები, ამოცანები და ფორმირების გზები. პირველ რიგში, ეს არის ინოვაციური საქმიანობის განვითარების პროგრამა. ასეთი პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები ეფექტიანობის განსხვავებული დონით, მრავალჯერ არის აპრობირებული მსოფლიო პრაქტიკაში. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მაქსიმალურად იქნეს მიღწეული გასატარებელი ღონისძიებების შესაბამისობა რეგიონული ეკონომიკის ხასიათსა და საწარმოების განვითარების დონესთან. აქედან გამომდინარე, პროგრამის შემუშავების პრიორიტეტული ამოცანაა არსებული ბაზის კვლევა: საწარმოები, ინფრასტრუქტურა, ადამიანები. ასეთი კვლევა არა მხოლოდ უზრუნველყოფს ინოვაციურ პროექტებსა და ტექნოლოგიებზე მოთხოვნილებებსა და მოთხოვნებს, მისი სხვა მნიშვნელოვანი ამოცანაა "ინოვაციური აქტივის" კონტურების ჩამოყალიბება - საწარმოებისა და ინოვაციური საქმიანობის განხორციელების გამოცდილების მქონე ადამიანთა ჯგუფის შექმნა. ინოვაციების განვითარებაში ასეთი დაინტერესებული და გამოცდილი "აქტივის" ჩართვის გარეშე ადმინისტრაციულ საქმიანობას ახლავს არასწორი გადაწყვეტილებების მიღების მაღალი რისკი და საზოგადოების უნდობლობა.

სავარაუდოდ, ყველა რეგიონში არსებობს "ინოვაციური აქტივების" ჩამოყალიბების შესაძლებლობა. საერთო ჯამში, ასეთი "აქტივის" შემადგენლობა (ათ წევრამდე) უნდა წარმოადგენდეს ინოვაციური საქმიანობის ყველა ასპექტს. ამ ადამიანებს შეუძლიათ შექმნან რეგიონის ინოვაციური საქმიანობის ექსპერტთა საბჭო. ამავედროულად, მნიშვნელოვანია, რომ საბჭოს წევრების სია იყოს გამჭვირვალე და რეგულარულად განახლებადი ახალი ინოვაციური აქტივობების წარმოშობის კვალბაზე. სასურველია, საბჭოში მოწვეულ იქნან საინოვაციო საქმიანობაში მაღალი რეპუტაციის მქონე ექსპერტებიც სხვა რეგიონებიდან და საზღვარგარეთიდან. ეს შესაძლებლობას მისცემს ექსპერტთა საბჭოს, ერთი მხრივ, იყოს უფრო ობიექტური და, მეორე მხრივ, განავითაროს ინტერ-რეგიონული და საერთაშორისო კავშირები. მნიშვნელოვანია, შემუშავებული პროექტის ინოვაციური პოტენციალის ობიექტური შეფასება გარე ექსპერტების მიერ. რეგიონულმა ადმინისტრაციამ, ექსპერტთა საბჭოსთან ერთად, პირველ რიგში უნდა უზრუნველყოს რეგიონის ინოვაციური განვითარების პროგრამის მომზადება, მისი განხილვა და მიღება. როგორც წესი, პროგრამაში უნდა აისახოს შემდეგი ძირითადი საკითხები:

1. საინოვაციო საქმიანობის განვითარების პრიორიტეტული სფეროების იდენტიფიკაცია;
2. საკანონმდებლო რეგულირება;
3. ადმინისტრაციული და ეკონომიკური სტრუქტურების შექმნა რეგიონულ და მუნიციპალურ ადმინისტრაციებში, რომელთა ამოცანა იქნება საინოვაციო საქმიანობის განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
4. მსხვილ რეგიონულ ცენტრებში ინოვაციების მხარდაჭერი ტერიტორიული ინფრასტრუქტურის შექმნა (ტექნოლოგიური პარკები, საწარმოს ფონდები, საინფორმაციო ცენტრები და ა.შ.);
5. საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საინოვაციო საქმიანობის განხორციელების სტიმულირების ღონისძიებები;
6. რეგიონის წამყვანი კვლევითი და საგანმანათლებლო ინსტიტუტების ტექნოლოგიების კომერციალიზაციის განყოფილებების ორგანიზება;
7. კომუნიკაციის პლატფორმების შექმნა მთავრობის, მეცნიერებისა და ბიზნესის ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად;
8. რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ აქტიური ახსნა-განმარტებითი პიარ-კამპანიის წარმოება რეგიონის "ინოვაციური განვითარების ტერიტორიად" გადაქცევის პროგრამის შესახებ.

ამ ჩამონათვლიდან ჩანს, რომ რეგიონში ინოვაციური საქმიანობის განვითარების ამოცანა აერთიანებს საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ხელისუფლებას, ბიზნესს, მეცნიერებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მედიას, მთლიანად საზოგადოებას. ამავედროულად, ამ საქმიანობის ორგანიზებაზე პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ეკისრება რეგიონის ადმინისტრაციას. ინოვაციური საქმიანობის მნიშვნელობიდან გამომდინარე,

საჭიროა ინოვაციური თემატიკის გამოყოფა ადმინისტრაციული მმართველობის ცალკე ერთეულად რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე. ეს შეიძლება იყოს როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში, ისე დამოუკიდებელი არაკომერციული, პარტნიორული თანამშრომლობის პრინციპებზე შექმნილი ორგანიზაცია. მის საქმიანობაში გამოიყოფა ორი ძირითადი მიმართულება: ინოვაციისათვის ზოგადად ხელსაყრელი კლიმატის შექმნა და რეგიონის ინოვაციური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა. ხელსაყრელი კლიმატის შექმნა მოიცავს რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის ერთობლივი ღონისძიებების ფორმალიზებას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ინოვაციურად აქტიური საწარმოების დაცვა მრავალი ადმინისტრაციული თუ მაკონტროლებელი ორგანიზაციის ზეწოლისაგან.

## დასკვნა

რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება მოითხოვს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ბიზნესის, მეცნიერების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოების ძალისხმევის გაერთიანებას. ინოვაციური საქმიანობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროა ინოვაციური თემატიკის გამოყოფა ადმინისტრაციული მმართველობის ცალკე ერთეულად, ხელსაყრელი კლიმატის შექმნა, სათანადო მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ღონისძიებების შემუშავება და რეალიზება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია. თბილისი, 2010.
2. 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, თბილისი, 2014.
3. The economic development of region is the basis of self-government. Interntional Conference “Local and Regional Development in Europe – Contemporary Challenges”.COUNCIL OF EUROPE, GTZ, MRDI. July 8-9, Batumi, 2010.

*Giorgi Dididze*

## **REGIONAL INNOVATION SYSTEM AS AN ELEMENT OF ORGANIZATIONAL-ECONOMIC MECHANISM OF INNOVATION POLICY**

### **Summary**

Implementation of innovation policy at regional level seems to be impossible without active governmental support. Increasing competition on the world market has stimulated clustering process.

Implementation of innovation policy at regional level is based on the following postulates: measures for ensuring active growth of knowledge providers (new technologies, prospective scientific research etc.); attraction of highly-qualified labour force to regional areas; creation of network of business incubators; establishment of research organization and long-term financing; ensuring flows of venture capital in the region etc.

Following recommendations are elaborated to encourage development of regional innovation systems:

1. Existence of active clusters represent the main basis for creation of effective regional innovation systems.
2. Establishment of long-term links with other regions' universities and research organizations.
3. For the small and medium-sized regions with active innovation research centres, it is important to undertake specific activities for adaptation of these centres' educational and scientific profile to specificity of the production of the regional innovation enterprises.

In several regions of Georgia activity in the field of establishment of innovation systems has increased. This process requires appropriate organizational and methodological support. For this purpose, it is necessary to elaborate programs to support regional innovation development.

საქართველოში ჯანმრთელობის ხელშეწყობა  
ეკონომიკური განვითარების ზრდაში<sup>73</sup>

**ანოტაცია.** საქართველო ახალი ათასწლეულის დასაწყისში დიდი გამოწვევების წინაშე დგას, დიდ ქალაქებში მაღალია სხვადასხვა დაავადების გამოწვევი რისკფაქტორი, რაც ხშირად დაკავშირებულია გარემოს დაბინძურებასა და მწვანე ეკოსფერის სიმცირესთან. ჩვენი ქვეყანა გამოირჩევა მრავალფეროვანი ბუნებრივი ლანდშაფტით, რაც შესაძლებლობას გვაძლევს სახელმწიფოს ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმით განვითარების. მისი მიღწევის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად შეიძლება განვიხილოთ ეკონომიკური სტრუქტურისა და შესაბამისი ხელშეწყობის სისტემების შექმნა, რაც საზოგადოებას ხანგრძლივი, ჯანმრთელი ცხოვრების წლების შენარჩუნებაში დაეხმარება.

**საკვანძო სიტყვები:** დაავადებათა პრევენცია, ინჟინერი-ტექნოლოგიები, ეკონომიკური სტრუქტურა, ინოვაცია-ინოვაცია.

შესავალი

ჯანმრთელობის უახლესი მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად 7 მილიონამდე ადამიანი იღუპება მყარი ნაწილაკებით გაჯერებული ჰაერით სუნთქვის გამო, მის ერთ-ერთ მთავარ დამაბინძურებელ წყაროს კი ავტომანქანები წარმოადგენს [World Health Organization, 2018]. ქ.თბილისის ჰაერის დაბინძურების ზრდაში, ევროპაში მე-3 ადგილს იკავებს [Cereceda.R, 2018], აღნიშნული კრიტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე, საზოგადოების მოთხოვნა, იცხოვროს სუფთა ეკოლოგიურ გარემოში, დღითი დღე იზრდება.

\* \* \*

საზოგადოების განვითარების კვლადაკვალ, ჩნდება შესაძლებლობები, სხვადასხვა მეცნიერება ერთმანეთს დაუკავშირდეს. სხვაგვარად, ფაქტობრივად, ძნელად მოხდება რაიმე მანერებელის გაზომვა. მაგ, შეუძლებელია (თანამედროვე) ინჟინერიისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე, ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნის დაწერვისგან გვერდის ავლით, დაბინძურებულ გარემოში მცხოვრებ ადგილებში გავზარდოთ ჯანდაცვის მიმართულებით ჯანმრთელი მოსახლეობის რაოდენობა. ეს მხოლოდ და მხოლოდ მიიღწევა ამ 2 ინტერდისციპლინური სფეროს გაერთიანებით. სწორედ ამიტომ, კვლევის მიზნებსა და ამოცანებში აქტიურად ჩაერთოთ როგორც ინჟინერიისა და ტექნოლოგიების გამოწვევები, ასევე თანამედროვე ჯანდაცვისა და გარემოს ჰიგიენის მიმართულებები. მსოფლიოში სულ უფრო მეტი ადამიანი შფოთავს დაბინძურებული გარემოს გამო.

ჰაერის დაბინძურება განსაკუთრებით საზიანოა მოსახლეობისა და ბავშვების ჯანმრთელობისთვის. შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ჰაერის ფილტრ-ნიღბები ან, უმჯობესია, ადამიანებმა თავი შეიკავონ დაბინძურებულ არეალში სეირნობა-გადაადგილებისგან. ჰაერის დაბინძურება ორგანიზმზე უარყოფითად მოქმედებს, მან შეიძლება გამოიწვიოს გულის უკმარისობა.

გარემოს დაბინძურებისგან გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად უმჯობესია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- მაღალი დაბინძურების მქონე დღეებში, როდესაც ადამიანებს უწევთ ინტენსიური გადაადგილება, რეკომენდებულია შინ დარჩენა, გარე აქტივობებისგან თავის შეკავება, ასევე უმჯობესია დაბინძურებულ კერასთან ახლოს ყოფნისგან თავის არიდება.
- ადამიანებმა უნდა დახურონ ფანჯრები და გარე ჰაერის შემოსვლა შიგნით შეამცირონ ისეთ დროს, როცა ჰაერის დაბინძურება პიკს აღწევს. ჰაერის მოძრაობისთვის კი გამოიყენონ სხვადასხვა ალტერნატიული საშუალება.
- ძალიან კარგია ჰაერის გამწმენდი საჰაერო ფილტრების გამოყენებაც.

<sup>73</sup> კვლევა განხორციელდა: „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. [MR-18-093]" - The research implemented by the author and his participation International Scientific Conference Modern problems of formation of "green economy" 21-22 June, 2019 Tbilisi, Georgia, was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [MR-18-093].

• ისეთი საკვების ფართოდ მოხმარება, რომელიც მდიდარია სულფორანით, აქვს ანტიოქსიდანტური თვისებები; მაგალითად, ბროკოლი, კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, ბრიუსელის კომბოსტო. თევზის ქონი.

• სასუნთქი სისტემის დაცვისა და ზოგადი გაჯანსაღებისთვის ადამიანებმა უნდა გამოიყენონ ნატურალური სახის ნიღაბი.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნები ზრუნავენ ჰაერის სტანდარტების ამაღლებაზე, რათა უკეთესი საცხოვრებელი გარემო შექნან, ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის და თითოეულმა ინდივიდმა უფრო მეტად უნდა იზრუნოს საკუთარ თავზე, ვიდრე დაელოდოს სხვების ქმედებებს, თუ რას გააკეთებენ მისთვის! ეს სწრაფვა მას დაეხმარება, უფრო მეტი დრო გაატაროს ჯანსაღ გარემოში და დაიცვას თავი გარემოში მავნე ზემოქმედებისგან [Mishra, 2017].

ყოველ წელს პოლონეთში, თხუთმეტჯერ უფრო მეტი ადამიანი იღუპება ჰაერის დაბინძურებისგან გამოწვეული დაავადებებით, ვიდრე საგზაო შემთხვევებში. ეს არის დაახლოებით ორმოცდახუთი ათასი ადამიანი წელიწადში. პოლონეთის ქალაქებში, ფილტვის კიბოს დიაგნოზი უფრო ხშირად ისმება, ვიდრე შესაბამისი რეგიონის სოფლებში. ჰაერის დაბინძურების შედეგად გროვდება გოგირდის დიოქსიდი (SO<sub>2</sub>), აზოტის დიოქსიდი (NO<sub>2</sub>), ნახშირბადის მონოქსიდი (CO), რაც იწვევს გაზრდილ რისკს გულის არითმიის, კარდიოვასკულარული, ფილტვების დაავადებისა თუ ბრონქული ასთმის განვითარების მიმართულებით [Petryk, 2018].

ჰაერის მაღალი დაბინძურების დონეები დაფიქსირებულია პეკინში, ნიუ დელიში, მეხიკოში. ინდოეთისგან განსხვავებით, სუფთა ენერჯიების წარმოებასა და მდგრადი განვითარების კუთხით მკვეთრი ცვილებებისკენ გეზი აიღო მექსიკამ და ჩინეთმა, რათა გააუმჯობესონ ტექნოლოგიები, ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი ტრანსპორტის ენერჯო-ეფექტურ მოხმარებას, აამაღლონ ინფორმირებულობა გარემოსდაცვითი განათლების სისტემების დანერგვაზე, კოორდინაცია გაუწიონ ჰაერის დაბინძურების ყველა ძირითად წყაროს და კვლავწარმოება მოახდინონ ატმოსფეროში (ქანგბადის გამომუშავების მენეჯმენტისა). ასევე ზრუნავენ DALY-ის კოეფიციენტის შედეგის გაუმჯობესებაზეც, რომელიც აღნიშნავს ადამიანებში ჯანმრთელობის გაუარესებით დაკარგული წლების რაოდენობას [Madhipatla et al. 2018].

ჯანსაღი ცხოვრების წესისა და მწვანე სახის ბიზნესსაქმიანობის ზრდა იწვევს: ეფექტიანობის ამაღლებას მოსახლეობაში, გადამუშავებადი პროდუქტების ხელშეწყობას, სხვადასხვა ენერჯოეფექტური ტექნოლოგიების განვითარებასა და ინსფრასტრუქტურისა თუ მშენებლობის მიმართულებით ცვილებებს. განახლებადი ენერჯიების კვლავწარმოება და მათი სასიცოცხლო ციკლის განსაზღვრა გვაახლოვებს მართვის ეფექტურ შესაძლებლობებთან. მწვანე ეკონომიკის განვითარება კი სხვადასხვა ქვეყანაში გასვლისთვის გვიკვალავს პოზიციონირების გზებს, რაც გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს ხალხის კეთილდღეობაში, რათა მიიღონ მეტი ფასეულობები ნაკლები დანახარჯებით [Berger, 2011].

მეცნიერება და ტექნოლოგიები მსოფლიოში პრობლემის ნაცვლად დიდ დოვლათს ქმნის, ქაოსი კი შესაძლოა გამოწვეულია ადამიანების მიერ ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენებით. მსოფლიოში ყველა მცხოვრები ადამიანისთვის რესურსებს თუ ერთ საერთო ფასეულობად გარდაქმნით, მაშინ საკმაოდ დიდი საქმეების კეთებაა შესაძლებელი, რადგან სურვილი აღარ გვექნება, რომ რაიმე ხელვყოთ. სხვადასხვა ერის ნამდვილი სიმდიდრე ფულში კი არა ბუნების რესურსებსა და იმ ადამიანებშია, რომლებიც ცდილობენ დეფიციტის აღმოფხვრას უფრო ჰუმანური საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის. თუ ეს ყველაფერი ჯერაც წარმოდგენელია თქვენთვის, აბა დაფიქრდით შემდეგზე: თუ ადამიანების ჯგუფი მოხვდა კუნძულზე ფულით, ოქროთი, ბრილიანტებით, მაგრამ მათთვის ხელმისაწვდომი არ არის დამუშავებული მიწა, თევზის ჭერის შესაძლებლობა და სუფთა სასმელი წყალი, – დარწმუნებულნი ხართ, რომ სიმდიდრე დაეხმარებათ გადარჩენაში?

თუ ადამიანებში განსხვავებული მოტივაცია გადვიდდება, რომელსაც არაფერი ექნება საერთო ჩვენთვის კარგად ნაცნობ, ეგოისტურ სიმდიდრისკენ სწრაფვის მიზანთან, მაშინ ახალი ღირებულებები ინდივიდებში ხელს შეუწყობს შემოქმედებით განვითარებას, ეს კი საზოგადოებას დაეხმარება, დაიცვას მის გარშემო მყოფი გარემო და დაეხმაროს სხვა ადამიანებს ყველაფერში. ხალხს ექნება მეტი დრო და საშუალება ინტელექტუალური თუ

სულიერი განვითარებისთვის, რაც, სამწუხაროდ, დიდი ხანია მიძინებულია მათში. თუ ხალხი თავისუფალია ვალისგან, საფრთხისა და შიშისგან, ისინი იქცევიან ბევრად უფრო მეგობრულად, თავისუფლად და ლაღად ვიდრე სტრესულ სიტუაციაში. სამწუხაროდ, ასეთ ცხოვრებას მიაჩნია კაცობრიობა დროთა ცვლამ და სიმდიდრის დაუფლებამ. თუმცა თუ გვერდზე გავეწეოთ ვაჭრობასა და ფულის მოხვეჭის საჭიროებას, რაც დღეს არსებობისთვის ასე აუცილებლად მიგვაჩნია, მაშინ აგრესიული და ანტისოციალური ქცევის საფუძველიც გაქრება. ხალხი აღარ იქნება სამსახურით დამძიმებული, რომელიც ამდენ ძალას, დროსა და ენერჯიას მოითხოვს. აღარ იქნება საჭირო მთელი ცხოვრების დრო კარგო იმაზე, თუ როგორ გადაიხადო კრედიტი, სამედიცინო მომსახურების ხარჯები და სხვა, ამ ყველაფრის გადაჭრა შეიძლება მეტად ფრთხილი და გონივრული მანევრით, მთავარია საზოგადოებაში სწორი მენეჯმენტის დანერგვა სხვადასხვა აპექტში [Фреско, 2007].

21-ე საუკუნეში უდიდესი გამოწვევები გვაქვს, იქნება ცენტრალურ მონაცემთა ბაზები, ჰიპერაქტიური სისტემა დააკავშირებს ერთმანეთთან ინფრასტრუქტურულ გადაწყვეტილებებს და ქალაქები გახდება მეტად მგრძობიარე, სადაც რეალურ დროში მოხდება ინფორმაციის მიმოცვლა. ჭკვიანი საზოგადოებრივი სერვისები კი, თანამედროვე მმართველობას მეტ რევოლუციურობას შემატებს. კავშირი ინდუსტრიებს შორის ამოუწურავი რესურსებისა და შესაძლებლობების მატარებელი გახდება უძრავ ქონებაში, ქსელებში, რობოტტექნოლოგიებსა და სენსორებში, სატრანსპორტო და უწყვეტი ენერჯის წყაროებში მოხდება გარდასახვა და გამოცდილების დაგროვებით უკეთესი გარემოს შექმნა, ეს კი ადამიანებში მეტად შემოქმედებითსა და მუდმივად განახლებად გარემოს ჩამოაყალიბებს. ჭკვიანი ქალაქები უნდა მოიცავდეს დღეისთვის ყველაზე მნიშვნელოვან აქტივს: მონაცემებს. თანამედროვე 5G და უახლესი კავშირგაბმულობის სისტემები სხვადასხვა მოწყობილობებს სინქნორიზაციისა და წესრიგისაკენ უბიძგებს, რაც ერთმანეთის მიმართ უზრუნველყოფს ნაკლებად შეყოვნებადსა თუ რისკგარეშე მოძრაობას [Diamandis P, 2019].

მსოფლიოს ეკოსისტემაში ადამიანს გაუფრთხილებლობით გამოწვეული მრავალი საფრთხე და რისკი შეიძლება დაუდგეს წინ, ამიტომ ზიანის შემცირებაზე დროულია ფიქრი. ფაქტობრივად, ისეთი ტექნოლოგიების გარემოცვაში, რომელშიც თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს, ყველაფერი ხელმისაწვდომი და მიღწევადია, რასაც გონება ჩაწვდება და ამოხნის. ხშირად, მართლაც შეუძლებელიც არაფერია. ამიტომ მნიშვნელოვანია მოქმედება იმ საკითხებთან დაკავშირებით, თუ რა როლი აქვს საქართველოს გლობალური მასშტაბით პოზიციონირებაში? რა უნიკალური კომპონენტები შეიძლება იქნეს გამოყენებული ადამიანთა სიცოცხლის საშუალო წლების გასახანგრძლივებლად? როგორი ინვესტორები სჭირდება ქვეყანას ეკოპროექტების შენებისა და მათი რეალიზების ჭრილში? რა ტიპის ეკომეგობრული ტექნოლოგიები შეიძლება შემუშავდეს საქართველოში მომხმარებელთა პოტენციური შესაძლებლობების ზრდისთვის?

ეკოკვლევა (1)-ის მიხედვით, ეკოქალაქი თანამედროვე სამყაროში მნიშვნელოვან გამოწვევად მიიჩნევა, ამ დროს შესაძლებელია მეტად ჯანსაღი გარემოს შექმნა, რომელსაც ექნება პრაქტიკული გამოყენება და შესაძლებელი გახდება ადამიანის თანაცხოვრება ფლორასა და ფაუნასთან თანწყობაში.

ჩემი პროექტი განხორციელებადია და მომზადებულია დღის სინათლის ნახვისთვის, თუმცა ეს მთლიანად დამოკიდებულია მსოფლიოსა და შემდეგ ქვეყანაში არსებულ ინვესტორთა კეთილ ნებაზე.

თუ წარმოვიდგინოთ, რომ 2040 წელია, ექსპლუატაციაში ჩაშვებულია „MIXPROJECT“-ის ქვეპროექტი “LIFEINCITYFORESTLAND”, ამ ქალაქში მიწაზე ასფალტი არ არის დაგებული და საზოგადოებას ემსახურება გადაადგილებისთვის დრონები. დღევანდელმა ტექნოლოგიებმა შესაძლებელი გახადა, ავაგოთ ეკოქალაქი ბუნებასთან სრულ თანწყობაში, რაც გვაძლევს მოქნილი საცხოვრებელი კომპლექსის შექმნის პერსპექტივასა და ადამიანთა ჯანსაღ სუფთა და ჯანგბადით გამდიდრებულ ადგილას ცხოვრებისთვის ხელშეწყობას.






ილუსტრაცია I ფოტოებზე ჩანს საყრდენი ბურჯები სამკუთხედი შენობების სახით და საცხოვრებელი კომპლექსები 60-80 კვ.მ-ნი ბინების სახით. ყველა ბინას თან ახლავს დრონის დასაჯდომი მრგვალი არეალი სახურავზე. სამკუთხედის ფორმის შენობაში, გარდა იმისა, რომ საყრდენის ფუნქცია აქვს, გამოყენებული იქნება ველოსიპედების გაჩერებისთვის სპეციალური ლიფტ-მომსახურების ადგილი. ხოლო საყრდენ ბურჯზე განთავსებული მრგვალი არეალიდან შესაძლებელი გახდება დედამიწაზე ჰორიზონტალურად ჩავიდნენ ადამიანები ელ.ლიფტით. ადამიანებს მიეცემა სრულ რეკრეაციაში განტვირთვისა და დასვენების, მუშაობის საშუალება. ეს მიმართულება ტრენდულ სახედ შეიძლება იქნეს განხილული ისეთი ადამიანებისთვის, რომლებიც მოძრაობაში არიან, მაგ, ტურისტები, იგი წარმოადგენს შესანიშნავ ადგილს მათ დასარჩენად და ადგილობრივი ლანდშაფტის კიდევ უფრო ახლოს შესაცნობად. ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი თავისუფლად შესაძლებელი, რომ მიეწოდოს აქ მცხოვრებ მოსახლეობას. თუმცა რაც შეეხება კალანიზაციასა და სხვა ნარჩენის გადამუშავებას, შესაძლებელია, გამოყენებული იყოს თანამედროვე ბიო ტუალეტი რაც შესაძლებლობას გვაძლევს, გადამუშავდეს ფეკალიები და გამოიყოს სუფთა ტექნიკური წყალი, რომელსაც გამოყენება მიეცემა ხეობა დამატებითი მორწყვისთვის. რაც შეეხება ნაგვისა და სხვა ტექნიკური ნარჩენების გადაყრას, ის იქნება დახარისხებული, მიწაში იქნება ჩადგმული ბუნკერები და ფართო მიწების მეშვეობით მოხდება მათში ნარჩენების ჩაყრა. ტექნიკური სამუშაოების განხორციელებისთვის გამოყენებული იქნება დრონები, ხოლო მათ საშუალება მიეცემა, გაიტანონ არასასურველი ნარჩენები და სპეციალურ ქარხნებში გადამუშავდეს ისინი.



ილუსტრაცია II ფოტოებზე ჩანს “LIFEINCITYFORESTLAND”-ის ქვეპორექტში ბინის ინტერიერის დიზაინი, ამ დაგეგმარებას აქვს უნიკალური მხარე, აქ მცხოვრებ ადამიანებს შეეძლებათ პანორამული ხედი ჰქონდეთ ბუნებაზე, ჩაისუნთქონ უხვი ჟანგბადი და თავი აარიდონ დაბინძურებულ არეებში ცხოვრებას. კედლის დასასრულსა და ჭერის დასაწყისთან, ოთახში ყველაზე მაღალ წერტილებში განლაგებულია დახურული თაროები, რომელსაც შესაძლებლობა აქვს ადამიანებისთვის აწარმოოს ბუნებრივი, ჯანსაღი ბიომცენარეები (ჯეჯილი, მიკრომწვანელები და სხვა), მოყვანილი ნიადაგზე ინდივიდს შეეძლება იცხოვროს ბინაში და ყოველ 10-დღეში მიიღოს სუფთა პროდუქტი, გამორჩეული ვიტამინებითა და მაღალხარისხობრივი საგემონო თვისებებით. იმისთვის, რომ პროდუქტი მოვიყვანოთ თაროში, კედელში ჩაშენებული იქნება მცირე ზომის ჰაერის ფილტრი, წვეთოვნები პროდუქტისმორწყვისათვის და დიოდური განათება, რათა ზრდა და განვითარება შეძლოს

ღივებმა და სხვადასხვა მცენარემ. ასეთი ტიპის ბინები შესანიშნავი საცხოვრებელია (feelancer) ადამიანებისთვის, რომლებიც არიან IT-სფეროს წარმომადგენლები, დიზაინერები და სხვადასხვა ინდივიდი, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ორგანიზაციაში მუშაობენ ერთჯერადი პროექტის განხორციელების ფარგლებში და არიან დაქირავებული, რომელთაც ზუსტად იციან, რა სარგებელს მოუტანს ფულადი სახით 1-საათის დათმობა შესასრულებელი სამუშაოსთვის. მათ სულ არ სჭირდებათ გასვლა და მუდმივი მოძრაობა სახლიდან, ისინი შეიძლება ცხოვრობდნენ მშვიდად, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ მეგობრულ ეკობინებში და ყველაფერთან წვდომა ჰქონდეთ ელექტრონულად.

*ილუსტრაცია III*



რაც შეეხება „MIXPROJECT“-ის ქვეპროექტს „LIFEINCITYLAND“, რაც შეეხება „MIXPROJECT“-ის ქვეპროექტს „LIFEINCITYLAND“, გაგიკვირდებათ და, **ილუსტრაცია III**-ში წარმოდგენილ ქალაქში მიწაზე ასფალტი არ არის დაგებული, მხოლოდ გამოყენებულია ბილიკები, სადაც დაგებულია ისეთი ფილები, რომელშიც ბალახს ზრდის შესაძლებლობა აქვს. ქალაქის შიგნით წარმოდგენილ ოთხკუთხედის ფორმის სივრცეში ჩანს მცირე-მცირე ზომის ტყეები. ქალაქის 1სართულზე 0-10 მეტრის სიმაღლემდე არის გამოყენებული სივრცე, რომლებშიც არის უამრავი მწვანე მცენარე, განლაგებული შესაბამის თაროებში. ეს სივრცე მთლიანადაა ათვისებული კომპოსტირებისთვის, რომელიც გამოყენებული იქნება, ქალაქში

არსებულ ბინებში თაროებში მცენარეთა მოსაყვანად საჭირო, ნიადაგის გამრავალ-ფეროვნებისა და ბუნებრივი სასუქებით გაჯანსაღების კუთხით. ყოველი მართკუთხა შენობის ბოლოს მოცემულია მრგვალი შენობა, რომელიც მთლიანადაა დათმობილი სხვადასხვა სასარგებლო პროდუქტის მოსაყვანად, რომელთაც შეიძლება მიეცეს არა მხოლოდ პრაქტიკული გამოყენება შიდა საცხოვრებელ ტერიტორიებში ხალხისთვის ჯანსაღი პროდუქტებით გამოკვებისთვის, ასევე სხვა ადგილებში გასაყიდათაც. ქალაქებს შორის დაკავშირებას ახდენს (hyperloop) მსოფლიოში ყველაზე სწრაფად გადაადგილებადი ტრანსპორტი ვაკუუმში, ის გაივლის ქალაქის ქვეშ მიწაში. ხოლო ქალაქშიდა გადაადგილება მოხდება ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად მოძრავი ელექტრონული ლიფტებით, ეს იმიტომ, რომ მსოფლიო გამოცდილებამ და თანამედროვე კვლევებმა აჩვენა, რომ გამოსავალი არ არის ელექტროენერჯიაზე დამუხტვადი აკუმულატორებით სავსე ტრანსპორტი, ის თითქმის ორჯერ მეტ მანვე ნივთიერებას გამოყოფს ატმოსფეროში, ვიდრე ბენზინზე მოძრავი ავტომანქანები. ვფიქრობთ, საჭირო არ არის მრავალი გზის არსებობა ბუნების ხელყოფის ხარჯზე, ვვარაუდობთ, რომ ეს იქნება მსოფლიოში პირველი ქალაქი, სადაც მასშტაბურად მოხდება გადაადგილება ერთი სიმაღლის მქონე შენობების გასწვრივ, საიდანაც ულამაზესი ხედები იქნება გადაშლილი და საზოგადოებას უბიძგებს, მეტად მოუფრთხილდეს არსებულ ბუნებრივ სიმდიდრეებს. შენობების გარეთა ფასადზე გამოყენებულია ენერჯის დაგროვებისთვის მზის პანელები, ასევე ქარის ენერჯის დასაგროვებელი ავტომატები და მდინარის არსებობის შემთხვევაში წყლის გენერატორებიც.

**ილუსტრაცია IV**



ილუსტრაცია IV-ში მოცემულია 100 კვ.მეტრია ნი ბინის დაგეგმარება, რომელშიც ისევ და ისევ გამოყენებულია კედლებში ჩაშენებული თაროები, რომელსაც აქვს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოყვანისა ფუნქცია. ჭერზე გამოყენებულია ლიფტი, რომელიც სრიალებს და შეუძლია დაბლა ჩამოწვევა, რათა ადამიანის სიმაღლეზე შესაძლებელი გახდეს თაროს შიგნით არსებულ მცენარეებში პროდუქტების კულტივირება და მოსავლის აღება.

**დასკვნა**

საქართველოში პირველად ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის სახით „ეკოკვლევა (1)“, 612 რესპონდენტი შეადგინა გამოკითხულმა საზოგადოებამ, ჩატარდა ანკეტირება ქ.თბილისსა და

კახეთის მუნიციპალიტეტში ძირითადად საზოგადოების თავშეყრის ადგილებში (რეკრეაციულ ადგილებსა და სკვერებში, რადგან მოსახლეობის უმრავლესობა აქ იყრის თავს და იმიტომ, რომ დაახლოებით 10 წუთის გამოყოფა მაინც უწევდა რესპონდენტს, სხვა ადგილას ფიზიკურად შეუძლებელი იქნებოდა მათი გამოკითხვა), გამოყენებული იქნა ასევე შინამეურნეობებისა და ოჯახების გამოკითხვის მეთოდიც რესპონდენტთა ბრმა შერჩევით. კვლევა შეზღუდული იყო, ამიტომ სხვა რეგიონების მოსახლეობის შესწავლა ვერ მოხერხდა. თუ თვალს გადავაავლებთ შედეგებს, რაც ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ საინფორმაციო ელ.გვერდზე [კოკლევა (1)] მიხედვით, რომ საზოგადოების მოთხოვნა, იცხოვროს ეკონომიკურად უსაფრთხო ქალაქში, სადაც ყველაფერია რაც სურთ, რომ ჰქონდეთ, ბუნებასთან თანწყობასა და ჰარმონიაში (მუდმივი მზის ენერჯის კვლავწარმოებითა და ეკომეგობრული ტექნოლოგიებით მხარდაჭერილ ადგილას), დიდი სიამოვნებით გადავიდოდნენ საცხოვრებლად, კვლევიდან გამომდინარე, 527 რესპონდენტი, მთლიანი რაოდენობის 84.1% ადასტურებს ამ ფაქტს. რესპონდენტების საშუალო ასაკი 25 წელია  $\pm 5$ , სწორედ ამ ასაკის მოსახლეობა შეადგენდა კვლევაში გამოკითხული ადამიანების 44.4% -ს რესპონდენტებში ძირითადად 5 და მეტი წევრი ცხოვრობს ოჯახში, 209 ადამიანი, 33.3% ადასტურებს ამ ფაქტს, ხოლო საშუალო ოჯახების შემოსავლი ყოველთვიურად 1001-2000 ლარია, 142 რესპონდენტი, გამოკითხულთა 22.7 % გვიდასტურებს ამას. ამ ინფორმაციიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო თუ წაახალისებს ინვესტიციებს ეკოლოგიური პროექტების მიმართულებით, ისე რომ ხალხს მიეცეს გრძელვადიანი სესხი, 20-30-40 წლით გაწერილი და, რაც მთავარია, ყველაზე დაბალ პროცენტში, მოსახლეობა შეძლებდა ზემოთ განხილული ტიპის ქალაქებში გადასვლას საცხოვრებლად. ეს კი წაახალისებდა ეკონომიკასა და ადამიანის ცხოვრება გახდებოდა მეტად პროდუქტიული, ნაყოფიერი და ჯანსაღი, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა გრძელვადიან პერიოდში მეტი ჯანსაღი, ხარისხობრივი ცხოვრების წლების გატარებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

#### 1. კოკლევა 2019. (1)

[https://drive.google.com/drive/folders/1AYyimUXo-dfZQxy5N6hKn3ZCZjRm\\_1YU?usp=sharing](https://drive.google.com/drive/folders/1AYyimUXo-dfZQxy5N6hKn3ZCZjRm_1YU?usp=sharing)

2. Berger, Roland. 2011. Green Growth, Green Profit How Green Transformation Boosts Business. Green Growth, Green Profit. US, New York: Palgrave Macmillan. <https://doi.org/10.1057/9780230303874>.

3. Cereceda Rafael, Cuddy Alice. 2018. “9 Out of 10 People Worldwide Breathing Polluted Air.” Euro News. <https://www.euronews.com/2018/05/02/9-out-of-10-people-breathing-polluted-air-worldwide>.

4. Mishra, Sundeep. 2017. “Is Smog Innocuous? Air Pollution and Cardiovascular Disease.” *Indian Heart Journal* 69 (4): 425–29. <https://doi.org/10.1016/j.ihj.2017.07.016>.

5. Madhipatla, Kishore, S Venkatesh, D J Christopher, Jeffrey D Stanaway, R S Dhaliwal, Lalit Dandona, Virendra Singh, et al. 2018. “The Impact of Air Pollution on Deaths, Disease Burden, and Life Expectancy across the States of India: The Global Burden of Disease Study 2017.” *The Lancet Planetary Health* 3 (1): e26–39. [https://doi.org/10.1016/s2542-5196\(18\)30261-4](https://doi.org/10.1016/s2542-5196(18)30261-4).

6. Diamandis Peter. 2019. “Www.” 2019. <https://www.diamandis.com/blog/future-of-cities-part-1>.

7. World Health Organization. 2018. “World Health Organization Releases New Global Air Pollution Data.” CCAC Secretariat. <http://ccacoalition.org/en/news/world-health-organization-releases-new-global-air-pollution-data>.

8. Фреско, Жак и др. 2007. *Проектирование Будущего*. Florida, USA: Venus Project Inc. [http://www.files.thevenusproject.com/hotlink-ok/designing\\_the\\_future\\_ebook/Designing The Future - Russian.pdf](http://www.files.thevenusproject.com/hotlink-ok/designing_the_future_ebook/Designing The Future - Russian.pdf).

*Levan Kikilashvili*

## HEALTH SUPPORT IN THE ASPECT OF ECO-INFRASTRUCTURE IN GEORGIA

### Summary

Georgia faces big challenges at the beginning of the new millennium, in large cities the risk of causing various diseases is high, which is often associated with environmental pollution and the lack of green ecosystem. Our country is distinguished by a diverse natural landscape that enables us to develop a new social-

economic form of state. One of the main directions of its achievement is to create eco-infrastructure and relevant support systems that help the public to maintain the long and healthy life.

At the beginning of new millennium, Georgia has faced a variety of environmental challenges. The reduction of green space and poor air quality became the major underline risk factor in the rise of many types of diseases in big cities. One of the distinct characteristics of Georgia is its unique natural resources and landscapes. That creates a possibility to design strategies for more sustainable social-economical development of our country. We believe the development of eco infrastructure and its appropriate support system can increase the longevity and overall life quality among the residents of Georgia. Living in the ecologically clean environment became a major challenge among many populations across the globe. The global economic development has gaps in supporting eco-friendly life standards. Therefore, it becomes critical to study environmental pollution and seek cutting-edge strategies to build a more sustainable and eco-friendly environment for the health of people and the entire planet.

**Key words:** Disease-prevention; Engineering-technology; Eco infrastructure; Innovation-Novation.

*ბექარ კილასონია*

**ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები და ცვლილებები 2019 წლის  
სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტში**

**ანოტაცია.** მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს წარმატების ძირითად საფუძველს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევა წარმოადგენს, თუმცა აღნიშნულს ქვეყანათა მცირე ჩამონათვალი თუ ახერხებს.

ეკონომიკური ზრდის, მისი შედეგების კრიტიკული ანალიზის და ეკონომიკური ზრდისადმი ახლებული მიდგომის, კერძოდ მისი შეზღუდვის კონცეფციები, რაც არც ისე დიდი ხნის წინ გაჩნდა, მწვავე პრობლემაზე რეაგირებაა. მიუხედავად მათ შინაარსში ცალკეული მიუღებელი და რეალობას მოწყვეტილი აზრების არსებობისა, კონსტრუქციული ელემენტებიც ბევრია.

ეკონომიკური მაჩვენებლები იძლევა იმის საშუალებას, გავივით ეკონომიკაში არსებული სრული სურათი. მისი წყალობით სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, დაინახოს თავისი ნაკლოვანებები და შემდეგ მოიძიოს გზები არსებული პრობლემების გამოსასწორებლად. ჯანსაღი ეკონომიკა ძლიერი სახელმწიფოს საწინდარია, ძლიერი სახელმწიფო კი ეკონომიკურად ძლიერი მოსახლეობის გარანტია, ეკონომიკურად ძლიერი მოსახლეობა კი თავის მხრივ ძლიერი სახელმწიფოს შენების უცვლელი ბერკეტი, ამიტომ ეს ეგრეთწოდებული წრებრუნვის მოდელი ერთიანი ჯაჭვის დამაკავშირებელი ნაწილია.

**საკვანძო სიტყვები:** მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ეკონომიკური თავისუფლება, ბიუჯეტის კანონპროექტი, სახელმწიფო ვალი.

**შესავალი**

მსოფლიოში, ნებისმიერ სახელმწიფოს სურს იყოს ძლიერი და ანგარიშგასაწევი ძალა, თუმცა ამას ქვეყნების მცირე რაოდენობა თუ ახერხებს. ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ძლიერი ეკონომიკის არსებობა. ეკონომიკის ზრდა, განვითარება უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული, თუმცა დღესდღეობით უმთავრესი მაინც ტექნოლოგიების განვითარება შეიძლება ჩაითვალოს. მსოფლიოში ტექნოლოგიები ისე სწრაფად ვითარდება, რომ, ხშირ შემთხვევაში, ადამიანს უჭირს მასთან გამკლავება. სახელმწიფო, რომელს უთავრესი მიზანი ინოვაციები და ტექნოლოგიური განვითარებაა ყოველთვის შეძლებს მის ხელთ არსებული რესურსის ჯეროვნად გამოყენებას და მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევას.

მაღალი ზრდის ტემპის მისაღწევად აუცილებელია სწორი პოლიტიკისა და არსებული რესურსების ჯეროვანი გამოყენება. არსებობს ქვეყნები, რომლებიც თავიან რესურსს კონკრეტულ სექტორებზე ანაწილებენ და ამ კუთხით უდიდესი გიგანტი მიმწოდებლები არიან, მათ შეუძლიათ ბაზარზე უამრავი სხვადასხვა რყევების გამოწვევა, რომლებიც მთლიანობაში მსოფლიო მასშტაბით პოვებს ასახვას.

კაცობრიობას ერთი განუყოფელი ჰაერი, ერთი მსოფლიო ოკეანე, ერთი კოსმოსი, ერთი პლანეტა გააჩნია. ბუნებრივი პირობების გაუარესებას გლობალური ხასიათი აქვს, რადგან ჰაერის, მდინარეებისა და მსოფლიო ოკეანის გატუჭიანების შემოფარგვლა არ შეიძლება

მოცემული ქვეყნის საზღვრებით. ეკონომიკაში დიდი ადგილი უჭირავს განუახლებად (არაკვლავწარმოებად) სიმდიდრეებს (ნავთობი და მინერალები). კაცობრიობა სულ უფრო მზარდი მასშტაბით გადავიდა არატრადიციულ ენერგორესურსებისა და მასალების გამოყენებაზე. აქ, უწინარე ყოვლისა, იგულისხმება ატომური ენერჯის, გეოთერმული ენერჯის სულ უფრო მზარდი გამოყენება და ხელოვნური მასალების შექმნა. ანალოგიური მდგომარეობაა კოსმოსის ათვისების საქმეში. იგი მეტად ძვირი სიამოვნებაა, თანაც ამ სფეროში მიღწევებს დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია.

სახელმწიფოს პრიორიტეტია საკუთარი მოსახლეობის დაცვა, მათი სოციალური ინტეგრირების ხელშეწყობა, თითოეული მოქალაქის ეკონომიკური სტაბილურობის და მსოფლიო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის მიღწევა, ასევე მოქალაქეებისთვის იმის ახსნა, თუ საიდან მოდის და სად მიდის თანხები სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნული პრიორიტეტის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ აქტიური მოქალაქეების მეშვეობით<sup>74</sup>.

\* \* \*

2017 წელს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებელმა 37 846,0 მლნ ლარი შეადგინა. აქედან რეგიონებს შორის შემდეგი სახით გადანაწილდა: თბილისი 50,1 პროცენტი, იმერეთი 10,0 პროცენტი, აჭარის ა.რ. 8,9 პროცენტი, ქვემო ქართლი 8,2 პროცენტი და სამეგრელო-ზემო სვანეთი 6,4 პროცენტი<sup>75</sup>.

რაც შეეხება 2018 წლის მე-3 კვარტლის მონაცემებს: მთლიანი შიდა მიმდინარე ფასებში 10 586,8 მლნ ლარი შეადგინა. 2017 წელთან შედარებით შეინიშნებოდა ზრდა 3,7 პროცენტით, ხოლო დეფლაციური გაიზარდა 3,4 პროცენტით. მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩეოდა სავაჭრო სექტორი რომლის პროცენტულმა მაჩვენებელმა 18,1% შეადგინა და მრეწველობა, რომლის პროცენტულმა მაჩვენებელმა 17,0% შეადგინა. შემდეგი პოზიციები კი გაინაწილეს ტრანსპორტმა და კავშირგაბმულობამ 11,5%, მშენებლობა 9,4 %<sup>76</sup>.

2014-2016 წელს საშუალო ეკონომიკური ზრდა მაშინ, როცა მეზობელი ქვეყნები რეცესიას განიცდიდნენ ან რეცესიის პირას იყვნენ, 3,5% იყო, 2017 წელს 5%, ხოლო 2018-2023 საშუალო მოსალოდნელი ზრდა I მიხედვით 5,2%<sup>77</sup>.

2017 წელს საქართველოში განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეკორდული მაჩვენებელი, რომელმაც ჯამში 1 894.5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია და 2017 წელთან შედარებით 21 პროცენტით (328.7 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა. 2018 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 9.4 პროცენტით და შეადგინა 389.2 მლნ აშშ დოლარი. რეინვესტირება გაიზარდა 97%-ით და შეადგინა 657.5 მლნ აშშ დოლარი. 2017 წლის მონაცემებით რეინვესტირების წილმა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 34.7% შეადგინა რაც არც ისე ცუდი მაჩვენებელია<sup>78</sup>.

2017 წელ ასევე შეინიშნებოდა ექსპორტის ზრდა - 29.5%-ით, ასევე 2017 წელს იმპორტი გაიზარდა 8.8%-ით. ამავე წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებში 2.7 მლრდ დოლარი ზრდა 28.1%. რაც შეეხება 2018 წელს, ანალოგიურად იანვარ-სექტემბერში ექსპორტი გაიზარდა 25.7%-ით<sup>79</sup>.

რაც შეეხება ბიუჯეტს სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად უნდა იყოს მორგებული იმ სამთავრობო პროგრამებსა და პრიორიტეტებზე, რომელიც გაიწერა წინასწარ და რომლის შესრულების ვალდებულებაც აკისრია სახელმწიფოს. ბიუჯეტში არსებული პრიორიტეტები სახელმწიფოს აძლევს მანევრირების საშუალებას, რათა განსაზღვროს ის მოცულობა, რომელიც ამ ეტაპისთვისაა აუცილებელი და საჭირო. 2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც ემსახურება მთავრობის მიერ არჩეულ და პრიორიტეტულ პროგრამას: თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა.

**როგორც ზემოთ აღვნიშნე, სახელმწიფოს ბიუჯეტს გააჩნია თავისი პრიორიტეტები, რისი შესრულების ვალდებულება მას კანონით აკისრია. პრიორიტეტები იმისდა მიხედვით განისაზღვრება თუ რა საჭიროება და რა ამოცანის შესრულება დგას დღის წესრიგში. აქედან**

<sup>74</sup> <http://www.nplg.gov.ge> last modified 08/04/2019

<sup>75</sup> <http://www.geostat.ge/> last modified 08/04/2019

<sup>76</sup> <http://www.geostat.ge/> last modified 11/03/2019

<sup>77</sup> <https://www.imf.org> last modified 21/03/2019

<sup>78</sup> <https://mof.ge> last modified 24/03/2019

<sup>79</sup> <http://www.geostat.ge> last modified 24/03/2019

გამომდინარე დღესდღეობით 2019 წლის ბიუჯეტში შემდეგი პრიორიტეტებია გასაზღვრული: ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; რეგიონული განვითარება; ინფრასტრუქტურა და ტურიზმი; განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება; მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება; ინსტიტუციური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა; იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი; საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია; სოფლის მეურნეობა; სასამართლო სისტემა; გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა<sup>80</sup>.

2019 წელს თუ განვიხილავთ, დაგეგმილი ეკონომიკური ზრდის პროცენტული მაჩვენებელი განსაზღვრულია 4.5%-ით. 2020 წესს კი ეს მაჩვენებელი გაზრდილია 0,5%-ით და დაგეგმილია ეკონომიკური ზრდა მიახლოებით 5%. შემდეგ წელს ანალოგიურად შესაძლებელი იქნება 0,5% იანი მატება, აქედან გამომდინარე, 2022 წლისათვის ეკონომიკურმა ზრდამ 6%-იან მაჩვენებელს უნდა მიაღწიოს.

ინფლაციასთან დაკავშირებით კი შესაძლებელია ითქვას ის, რომ ეროვნულმა ბანკმა აღნიშნული ნიშნული 3% -ით შეაფასა<sup>81</sup>.

დასახელება	2017 ფაქტი	2018 მოსაღ.	2019 პროგნ.	2020 პროგნ.	2021 პროგნ.	2022 პროგნ.
რეალური მშპ (ზრდის ტემპი)	4.8%	5.0%	4.5%	5.0%	5.5%	6.0%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	37,846.6	41,527.2	44,914.8	48,575.3	52,784.4	57,630.0
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4,046.8	4,419.8	4,497.1	4,863.6	5,285.0	5,770.2
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, საშუალო პერიოდში (საშუალო წლიური ინფლაცია)	6.0%	3.5%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პერიოდის ხოლოს (ინფლაცია წლის ხოლოსთვის)	6.7%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%
მიმდინარე ანგარიში (%-ულად მშპ-თან)	-8.8%	-10.1%	-7.9%	-7.2%	-6.4%	-5.6%
მშპ-ს დეფლატორი	6.1%	4.5%	3.5%	3.0%	3.0%	3.0%
სახელმწიფო ვალი %-ულად მშპ-სთან	44.2%	43.0%	42.6%	42.6%	41.6%	40.7%

წყარო: სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი

ცხრილიდან ნათლად ჩანს ის ფაქტი, რომ იზრდება 2018 წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი და მთლიანობაში ის განისაზღვრება 41.5 მლრდ ლარით.

რაც შეეხება 2019 წლის მოსალოდნელ ნომინალურ მშპ-ს მოცულობას განისაზღვრა 44.9 მლრდ ლარის ოდენობით, ხოლო 2022 წლისთვის ეს მაჩვენებელი პროგნოზირებულია და საკმაოდ გაზრდილია, რომელიც მოცემულობაში 57.6 მლრდ ლარით არის განსაზღვრული<sup>82</sup>.



წყარო: ეკონომიკის სამინისტრო<sup>83</sup>.

2019 წლის საქართველოს მთლიანმა შიდა პროდუქტმა (მშპ) 45 მილიარდ ლარს უნდა მიაღწიოს. 2019 წლისათვის ლარის დოლარის მიმართ გაცვლით საორიენტაციო კურსად 2.63 არის აღებული. ერთ მოსახლეზე შემოსავალი 2019 წელს 4 600 დოლარამდე უნდა გაიზარდოს. წლიური ინფლაციის მოსალოდნელი დონე 3%-ია. ექსპორტი 12.9%-ით უნდა გაიზარდოს, ხოლო იმპორტი – 6.6%-ით. მთავრობის ვალმა მშპ-ის 42.2% უნდა შეადგინოს ესაგარეო ვალი მშპ-ს 32.4% იქნება, ხოლო საშინაო ვალი მშპ-ს 9.8%.

2019 წლისათვის დაგეგმილი საპროგნოზო მაჩვენებელი, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 12,863.8 მლნ ლარით განისაზღვრა. თუ გავისხენებთ წინა წლის ანალოგიურ

<sup>80</sup> <http://www.parliament.ge> last modified 14/04/2019

<sup>81</sup> <http://www.geostat.ge/> last modified 16/04/2019

<sup>82</sup> <https://www.mof.ge/> last modified 16/04/2019

<sup>83</sup> <http://www.economy.ge/> last modified 16/04/2019



შემოსულობებს დავინახავთ იმ ნათელ ფაქტს, რომ წლევეანდელი შემოსულობები შარშანდელთან შედარებით ბევრად გაზრდილია. ზრდის მაჩვენებელი კი 423 მლნ ლარია. ზრდა ძირითადად გამოწვეულია საგადასახადო შემოსულობებით, რაც ცალსახად სამართლიანია.

**სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა**

მლნ. ლარი

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	გადახრა (2019-2018)
<b>შემოსავლები</b>	<b>9,750.3</b>	<b>10,314.2</b>	<b>10,487.7</b>	<b>173.5</b>
გადასახადები	8,991.3	9,490.0	9,645.0	155.0
გრანტები	350.6	414.2	382.7	-31.5
სხვა შემოსავლები	408.4	410.0	460.0	50.0

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი<sup>84</sup>


რადგან გადასახადები ვახსენეთ, წლევეანდელ ბიუჯეტში მისი ცვლილებებიც განვიხილოთ. წლევეანდელ ბიუჯეტში მისი ცვლილება 150 მლნ აღემატება. სახელმწიფო ბიუჯეტში ყველაზე მეტი ხვედრითი წილი გადასახადებზე მოდის, ამიტომ ეს რიცხვი საკლებით რეალური და ლოგიკურიცაა.

2019 წლის ბიუჯეტის პროექტი გამორჩეულია იმით, რომ თან ახლავს ფისკალურ სექტორში დაგეგმილი მნიშვნელოვანი ცვლილებები: გათანაბრებითი ტრანსფერის გაუქმება და ეკონომიკური თავისუფლების შესახებ კანონში ცვლილებები.

2019 წლის ბიუჯეტში ერთ-ერთ უპრეცედენტო შემთხვევად შეიძლება მოვიხილოთ ის რომ, საშემოსავლოდან მიღებული შემოსავლების ნაწილი ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებში აღარ შევა, ამავე დროს, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებული შემოსავალი. ამის სანაცვლოდ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები დღგ-დან მიიღებენ გეგმიურ 19%, რაც სრულიად სამართლიანია. წლევეანდელ ბიუჯეტში ეს თანხობრივად მიახლოებით 947 მლნ ლარია.

946.6 მლნ ლარი, რომელსაც მუნიციპალიტეტები მიიღებენ სპეციალური ფორმულის მიხედვით განაწილდება. მაგ., 6-დან 18 წლამდე მოზარდების, მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრების სტატუსის მქონე პირების რაოდენობას და მუნიციპალიტეტის ფართობის გათვალისწინებით<sup>85</sup>.

2019 წელს დღგ-დან მუნიციპალიტეტების შემოსავლის 50%-ს (473 მლნ ლარს) თბილისი მიიღებს, 5%-ს (48 მლნ ლარს) ბათუმი, 3.5%-ს (33 მლნ ლარს) ქუთაისი და ა.შ. 2018 წელს გათანაბრებითი ტრანსფერიდან და საშემოსავლო გადასახადიდან თბილისი 436 მლნ ლარს იღებს, ანუ 2019 წელს მისი დაფინანსება 37 მლნ ლარით იზრდება. დამატებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 130 მლნ ლარით დაფინანსდება თბილისში ახალი ავტობუსების შემოყვანა<sup>86</sup>.



**წყარო:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო<sup>87</sup>

სახელმწიფო ვალის ნაცვლად მთავრობის ვალი შეიზღუდება მშპ-ის 60%-მდე. მთავრობის ვალი, სახელმწიფო ვალისგან განსხვავებით, ეროვნული ბანკის ვალს არ მოიცავს. ეს ცვლილება ლოგიკურია, რადგან ეროვნული ბანკის ვალს სახელმწიფო ბიუჯეტი არ ემსახ-

<sup>84</sup> <http://www.geostat.ge/> last modified 25/04/2019

<sup>85</sup> <http://www.economy.ge/> last modified 21/04/2019

<sup>86</sup> [www.transparency.ge](http://www.transparency.ge/) last modified 21/04/2019

<sup>87</sup> <https://www.mof.ge/> last modified 24/04/2019

ურება. 31 აგვისტოს მდგომარეობით ეროვნული ბანკის ვალი 325 მლნ ლარია, მთავრობის ვალი კი ე 16.7 მილიარდი ლარი. იცვლება მთავრობის და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდების ზღვრული პარამეტრი. პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 1%-ს. აქამდე ზედა ზღვარი 2% იყო. აღნიშნული ფონდებიდან ხარჯვის პრაქტიკას თუ გაკითვალისწინებთ, ზღვრის დაწევა გამართლებულია.

2019 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ბიუჯეტიდან დასახარჯი ჯამური თანხა) 12.7 მილიარდი ლარი იქნება, წინა წელთან შედარებით 270 მლნ ლარით, პროცენტებში 2,2%-ით მეტია. ეს შედეგი ცალსახად რეალურია, რადგან შემოსულობების დაჯამებით მიღებულია მეტობა, აქედან გამომდინარე, მისი ხარჯვითი წილიც მეტი იქნება, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს რიცხვი არ არის დიდი და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარეობს ბიუჯეტის დაბალი ტემპით მატება. მატებასთან დაკავშირებით, რომელიც არც ისე დიდი პროცენტულობითაა მოცემული, შეიძლება დავაკავშიროთ ფისკალურ პოლიტიკასთან, კერძოდ, ის შემოსულობები, რომლებიც ადგილობრივ თვითმმართველობას გადაეცემა განსაკარგავად, მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლდება.

ცალკე აღებული შემოსავლები, რომელიც გადასახადებს, გრანტებს და სხვა შემოსავლებს მოიცავს, 2019 წელს 33 მლნ ლარით ნაკლები იქნება, ვიდრე 2018 წელს. მათ შორის 148 მლნ ლარით მცირდება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობებიდან მისაღები გრანტების მოცულობა.

გათანაბრებითი ტრანსფერის გაუქმების გამო, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 442 მლნ ლარით მცირდება. თუმცა, შრომის ანაზღაურების მუხლი 60 მლნ ლარით იზრდება. ეს მაშინ, როცა სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული დასაქმებულთა რიცხვი 1 513 ადამიანით მცირდება.

შემცირებას რაც შეეხება, დიდი ხვედრითი წილით ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გამოირჩეოდა. ამ სამინისტროში შემცირებულა საერთო რიცხვმა მიახლოებით 293 მომსახურე პერსონალი შეადგინა. შემცირებას თან მოჰყვა შრომის ანაზღაურების გაზრდაც მიახლოებით 1.5 მლნ ლარით, ზრდის ასეთი ტენდენცია ძირითადად დათხოვნილი თანამშრომლების ხარჯზე შეიძლება მოხდეს. ასევე თანამშრომლების შემცირება დაფიქსირდა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, რომელთა საერთო ოდენობა 215 ადამიანით განისაზღვრა. ამ სამინისტროში განსხვავება ის არის, რომ ხელფასების ცვლილება არ დაფიქსირებულა და შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ დაზოგილი თანხების აკუმულირება სხვადასხვა დეპარტამენტებში მოხდება სიტუაციის შესაფერისად. შემცირება დაიგეგმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში 117 ადამიანით. ასევე თავდაცვის სამინისტროში საერთო ოდენობა 98 კაცი. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, შემცირებები შეეხო საგარეო საქმეთა სამინისტროს 57 კაცით და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 49 ადამიანით. მთლიანობაში რომ ავიღოთ, შეგვიძლია გავაკეთოთ ერთობლივი დასკვნა იმის შესახებ, რომ ყველა უწყებაში, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება, ხელფასები იგივე ნარჩუნდება ან მიზერულად მაინც იზრდება.

არაფინანსური აქტივების ზრდა, იგივე ინფრასტრუქტურული ხარჯი, 454 მლნ ლარით გაიზრდება და 2 082 მლნ ლარს გაუტოლდება. პრივატიზებიდან კი 60 მლნ ლარის მიღებაა დაგეგმილი.

აუცილებელია შევეხოთ ბიუჯეტის დეფიციტსაც. ამ წლისათვის ბიუჯეტის დეფიციტი განსაზღვრულია მიახლოებით 1 226 მლნ ლარით რაც არცთუ ისე დიდი რიცხვია და პროცენტულად მშპს-თან მიახლოებით 2,8%-ია. ბიუჯეტის დეფიციტთან ერთად მთავრობა ვალდებულია, ამ წელს დაფაროს წინა წლის აღებული ვალის ძირითადი თანხა, რომელიც ამ ეტაპზე მიახლოებით 936 მლნ ლარს შეადგენს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია მთავრობამ გამოყოს ან მოიხიდოს დამატებითი სახსრები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი გახდება ამ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ამისათვის კი ყველაზე კარგი გზა საშინაო ვალის აღება იქნება, რომლის მიახლოებით რაოდენობა 500 მლნ ლარით არის განსაზღვრული, ხოლო საგარეო ვალი 1 66.1 მლნ ლარით.

### **უწყებები და პროგრამები, რომელთა დაფინანსება მნიშვნელოვნად იზრდება**

2019 წლის ბიუჯეტში რიგი ცვლილებებია დაანონსებული, რომელთა განხორციელება მთავრობის უპირობო ვალდებულებას წარმოადგენს. ცვლილებათა პირველი რიგი საქართვე-

ლოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომლის შემოსულობები (დაფინანსება) გაიზარდა 240 მლნ ლარით, რომელიც ძირითადად დევნილთა ფართების დაკმაყოფილებას მოხმარდება. შემდეგ უკვე 225 მლნ ლარით იზრდება პენსია, რომლის წყალობითაც 2019 წლის იანვრიდან პენსიონერები 20 ლარით გაზრდილ პენსიას იღებენ. ამ წელს არც ჯანდაცვა დარჩენილა უგულისყუროდ. ჯანდაცვის ბიუჯეტის ზრდა 50 მლნ ლარით განისაზღვრა, რომელიც ძირითადად მოხმარდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიას. მთლიანობაში მისი ბიუჯეტი 755 მლნ ლარით განისაზღვრა.


140 მლნ ლარით იზრდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება, რაც ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობაზე, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე და მყარი ნარჩენების მართვის პროგრამაზე მიემართება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაფინანსება 95 მლნ ლარით იზრდება, რაც ძირითადად ელექტროგადამცემი ქსელის განვითარებას მოხმარდება.

ტელეკომუნიკაციას რაც შეეხება, საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსება წინა წელთან შედარებით იზრდება და მისი ზრდა ჯამში შეადგენს 6 მლნ-ს ლარის პროცენტულად მიახლოებითი მატემა 11.4%-ია. მაუწყებლობის დაფინანსებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას ის ფაქტი, რომ მისი დაფინანსება პირდაპირ და ცალსახად მშპ-ს მოცულობაზეა მიბმული. რეალურ რიცხვებში მისი დაფინანსება წინა წელთან შედარებით მშპ-ს 0,14%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. 6 მილიონი კი ზუსტად ის ციფრია, რომელსაც ეს კანონი არეგულირებს.

მლნ ლარი

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
7	მთლიანი ხარჯები	10,343.8	11,349.4	11,793.4
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,869.2	2,116.4	1,504.9
7.2	თვითდაცვა	782.5	808.8	903.1
7.3	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	974.7	1,042.5	1,136.7
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	1,565.7	1,950.2	2,166.4
7.5	გარემოს დაცვა	63.1	77.0	102.4
7.6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	18.0	24.8	105.9
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	1,066.3	1,087.0	1,146.7
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	257.9	316.9	311.7
7.9	განათლება	1,199.1	1,243.6	1,373.0
7.10	სოციალური დაცვა	2,547.3	2,682.2	3,042.6



**წყარო:** ეკონომიკის სამინისტრო

ვალდებულებებს რაც შეეხება, ამ წლისათვის განსაზღვრული მისაღები სახსრები ზრდის სახით მიახლოებით 2,186.1 მლნ ლარია. **ეს სახსრებიც დაყოფილია შეფარდებითად და ასე გამოიყურება:** პირველი უმთვრესი პრიორიტეტი ამ სახსრებში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ვალდებულებების ზრდაა, რომელიც დღესდღეობით განისაზღვრება 500,000.00 ათასი ლარით. მეორე, საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან „AFD“ მისაღები სახსრები, რომელიც განისაზღვრა 105,000.0 ათასი ლარით. მესამე, საქართველოში ენერჯეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის ფარგლებში საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან მისაღები სახსრები 75,000.0 ათასი ლარის ოდენობით<sup>89</sup>. მეოთხე, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოსაყოფი გრძელვადიანი საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები 1,301.1 მლნ ლარის ოდენობით<sup>90</sup>.

**დასკვნა**

ფისკალური დეცენტრალიზაციის რეფორმის გამო სახელმწიფო ბიუჯეტი მხოლოდ 270 მლნ ლარით იზრდება. მნიშვნელოვნად იზრდება საპენსიო ხარჯი და კაპიტალური ხარჯები. საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობა 1 513 ადამიანით მცირდება, თუმცა შრომის ანაზღაურებაზე 60 მლნ ლარით მეტი დაიხარჯება, ვიდრე 2018 წელს. იზრდება

<sup>88</sup> <http://www.economy.ge/> last modified 02/05/2019  
<sup>89</sup> <https://www.kfw.de> last modified 02/05/2019  
<sup>90</sup> <https://www.afd.fr> last modified 03/05/2019

ჯანდაცვის და განათლების ხარჯები, თუმცა ორივე შემთხვევაში პროგრამული ბიუჯეტირება გამართული არ არის და ხარჯვის ეფექტიანობის ზრდა დასახულ მიზანსაც კი არ წარმოადგენს.

ბიუჯეტიდან ამოღებულია საზოგადოებრივ მაუწყებელში დასაქმებულთა რაოდენობის და შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია. ამავე დროს, მაუწყებლის დაფინანსება 6 მლნ ლარით იზრდება. ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 2.7% იქნება. დეფიციტის დასაფარად მთავრობა 1 226 მლნ ლარის ახალ ვალს აიღებს, საიდანაც 500 მლნ ლარი საშინაო ვალი იქნება.

ბიუჯეტის პროგრამების სწორად შედგენა კვლავ პრობლემად რჩება. განსაკუთრებით აღსანიშნავია განათლების მიმართულებით არსებული პროგრამები და ქვეპროგრამები, რადგან განათლების დაბალი ხარისხი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. ზოგადი განათლების პროგრამის მიზანი განათლების ხარისხის ამაღლება არ არის და არც შესაბამისი ინდიკატორები ახლავს.

ეკონომიკური ზრდის მოსალოდნელი შენელებიდან და ლარის გაცვლითი კურსის საკმაოდ არაპროგნოზირებადი მომავლის გამო უმჯობესია მთავრობამ უფრო დაბალ დონეზე დაგეგმოს ბიუჯეტის დეფიციტი და, შესაბამისად, ნაკლები ახალი ვალი აიღოს. ბიუჯეტიდან თანხის ხარჯვის ეფექტიანობის ასამაღლებლად გამკაცრებას საჭიროებს პროგრამული ბიუჯეტის სწორად შედგენის კონტროლი. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს შედეგების შეფასების ინდიკატორების სწორად შერჩევას.

ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის აუცილებელია სახელმწიფომ სწორად და ნათლად განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკა. განსაზღვროს პრიორიტეტები და შესაბამის თანხვედრაში მოიყვანოს ბიუჯეტი. ეკონომიკური მაჩვენებლები ყველა სექტორში ერთნაირი ვერ იქნება, თუმცა სახელმწიფო იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მიაღწიოს ეკონომიკურ ზრდას მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. მსოფლიოს რეიტინგებში წინსვლა მეტყველებს იმაზეც, რომ საქართველო ნელ-ნელა ცდილობს მიაღწიოს დასახულ მიზნებს და შესაბამისად გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც ამ მიზნების მიღწევის გზაზე იქნება ყველაზე გამართლებული.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჯიბუტი ა., თბილისი, 2010. საჯარო ფინანსები, გამომცემლობა "დარგებიკი".
2. კაკულია რ., ჯიბუტი ა., 2009. საჯარო ფინანსები, გამომცემლობა "დარგებიკი".
3. <http://www.economy.ge/> last modified 14/12/2018
4. <http://www.geostat.ge> last modified 04/12/2018
5. <https://www.imf.org> last modified 24/12/2018
6. <https://www.mof.ge> last modified 24/12/2018
7. <https://www.worldbank.org/> last modified 24/12/2018

*Bekar Kilasonia*

### ECONOMIC INDICATORS AND CHANGES IN THE PROJECT OF THE 2019 STATE BUDGET Summary

The main basis for success of any country in the world is to achieve a high rate of economic growth, however this is a small list of countries.

Economic growth, critical analysis of its results and an approach to economic growth, Namely the concepts of its restriction, which have not been so long ago, are responding to the acute problem.

Economic indices give us a glimpse of the complete picture of the economy. The state has an opportunity to see its nokes and then find ways to solve the existing problems. Healthy economy is a strong state guarantee, the strong state is a guarantee of economically strong population, the economically strong population is an unwavering lever to build a powerful state, and this is a kind of circuit pattern that connects a single chain.

**Key words:** " Gross domestic product ", "Economic Growth ", " Foreign Direct Investments", "Economic freedom ", "Budget draft", "State debt".

**განახლებადი ეკონომიკის როლი კლიმატური ცვლილებების შერბილებაში**

**ანოტაცია.** გლობალური კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შედეგები მკვეთრად ვლინდება ბევრ ქვეყანაში და მათ შორის, საქართველოშიც. ადამიანის სამეწარმეო საქმიანობის შედეგად გამოწვეული კლიმატის ცვლილება დაკავშირებულია სათბურის გაზების ემისიასთან, რომელშიც უდიდესი წილი ნახშირორჟანგის ემისიებზე მოდის. თავის მხრივ, კლიმატის ცვლილება უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე. ნაშრომში განხილული ეკონომეტრიკული მოდელი ახსნის სიციცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას, ნახშირორჟანგის ემისიებსა და ჯანმრთელობაზე გაწეულ დანახარჯებზე დამოკიდებულებით, საქართველოს მაგალითზე. რეგრესიის მოდელით შედეგობრივი ცვლადის გაფანტულობის ახსნა მნიშვნელოვანია და მიღებული განტოლება ვარჯისია დასკვნების გასაკეთებლად.

ამ კონტექსტში, სწორედ განახლებადი ეკონომიკაა კლიმატის ცვლილების შერბილების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი, რაც, პირველ რიგში, ნახშირორჟანგის ემისიების შემცირებაში გამოიხატება.

**საკვანძო სიტყვები:** მდგრადი განვითარება, განახლებადი ეკონომიკა, კლიმატის ცვლილება.

**შესავალი**

განახლებადი ეკონომიკა რეგენერაციული სისტემაა, რომელშიც რესურსების, მასალებისა და პროდუქტების ფასეულობა ეკონომიკაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაშია შენარჩუნებული, ნარჩენების გამოყოფის მინიმიზაციის გზით. ბოლო 150 წლიანი ინდუსტრიული ევოლუციის განმავლობაში ეკონომიკა ხასიათდებოდა განვითარების ე.წ. წრფივი მოდელით, რომელიც გულისხმობს მატერიალური რესურსების მხოლოდ პირველად გამოყენებას. ამ მოდელმა მსოფლიო ეკონომიკა მიიყვანა მატერიალური და ფინანსური რესურსების არაეფექტიან ხარჯვამდე, გარემო პირობების გაუარესებასთან ერთად. შესაბამისად, რესურსების ამოწურვა და კლიმატის ცვლილება წარმოადგენს თანამედროვე გლობალურ პრობლემას. 2006 წლიდან, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ, ქვეყნდება „გლობალური რისკების ანგარიში“, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მოსალოდნელი რისკების განვითარებაზე და მათ შორის არსებული ღრმა ურთიერთკავშირების გამოვლენაზე. 2013 წლიდან, დავოსის ეკონომიკური ფორუმის თანახმად, გლობალურ რისკებში დომინირებს გარემოსთან დაკავშირებული ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: სათბური გაზების ემისიების ზრდა, კლიმატური პირობების ცვლილებები, წყლის მიწოდების კრიზისები, ამინდის ექსტრემალური მოვლენები. 2017 წლის ანგარიშის მიხედვით კი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები მოწინავე ადგილს იკავებს, როგორც მოხდენის მაღალი ალბათობის, ასევე ძლიერი ზემოქმედების მოხდენის მხრივ.

არსებული პრობლემის გადაწყვეტა და მისი შედეგების შერბილება მოითხოვს თანამშრომლობას გლობალურ დონეზე, გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების განსახორციელებლად, რადგან ის გადაჯაჭვულია ეკონომიკური, სოციალური, გეოპოლიტიკური და ტექნოლოგიური ხასიათის რისკებთან.

**კლიმატური ცვლილებები, როგორც გლობალური პრობლემა და განახლებადი ეკონომიკის აქტუალობა**

კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შედეგები სულ უფრო და უფრო მკვეთრად ვლინდება ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც, რაც დასტურდება მრავალწლიანი დაკვირვებებით საშუალო და გლობალურ ტემპერატურაზე. ისტორიულად ცნობილია კლიმატის ცვლილების რამდენიმე მოვლენა, მაგრამ ამჟამინდელი განსაკუთრებულია, რადგან, სხვებისაგან განსხვავებით, იგი გამოწვეულია ადამიანის ინტენსიური სამეწარმეო საქმიანობით, განსაკუთრებით, წიაღისეული საწვავის ინტენსიური მოხმარებით, რომელიც იწვევს სათბურის გაზების კონცენტრაციის ზრდას ატმოსფეროში. ეკონომიკის სექტორები, რომლებშიც ხდება სათბური გაზების ემისია არის ენერჯეტიკა, მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა.

ქალაქებისა და მათში მცხოვრები მოსახლეობის პოტენციური წილის ზრდის შესაბამისად, ურბანული გარემო მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდის ეკონომიკურ-სოციალური, ტექნოლოგიური მიღწევებისა და პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენით. ადამიანის საქმიანობის შედეგად შექმნილ ტექნოსფეროში აისახება ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც შემდგომში იწვევს რთულ და მრავალფეროვან ანთროპოეკოლოგიურ პრობლემებს.

საზოგადოების მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოსაყენებელი ბუნებრივი რესურსების ამოწურვადობის პრობლემიდან გამოსავალს განახლებადი ეკონომიკის მოდელის დანერგვა წარმოადგენს.

## საქართველოს მზაობა გლობალური პრობლემის წინაშე

საქართველოს სოციალურ - ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ის შესაბამისად, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჩამოყალიბებულია ხედვა მოცემული პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლისა, არსებობს ბარიერები, რომლებმაც შეიძლება შეაფერხოს ამ სტრატეგიის წარმატებით განხორციელება. ხელისშემშლელ კრიტიკულ ფაქტორთა შორის გამოკვეთილია კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასათნადოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალი და ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

საქართველოში დღეისათვის არსებული საკანონმდებლო-ნორმატიული ჩარჩო, რომელიც ხელს შეუწყობდა განახლებადი წყაროების განვითარებასა და ენერგოეფექტურობის ამაღლებას, განახლებას საჭროებს.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ კლიმატის ცვლილებების შერბილების ღონისძიებების განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნას უახლესი, მაღალეფექტური ტექნოლოგიები. რა თქმა უნდა, ამ ამოცანის გადაჭრა მხოლოდ ადგილობრივი ძალებისხმევით ვერ მოხერხდება და ამაში გამოყენებული უნდა იქნას კლიმატის ცვლილების საერთაშორისო პროცესის მიერ შემოთავაზებული ინსტრუმენტები, მათ შორის, ტექნოლოგიების გადაცემის კუთხით.

განახლებადი ეკონომიკური პროცესების წარმართვასა და აქედან გამომდინარე, მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაში მნიშვნელოვანი როლი პოლიტიკის გამტარებლებს აკისრია. აუცილებელია ამ პროცესებში მათი ჩართულობა მმართველობის ყველა დონეზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გაცნობიერებული აქვს კლიმატის ცვლილების, როგორც გლობალური პრობლემის, სიმწვავე, რომლის მთავარი გამომწვევი მიზეზი ატმოსფეროში სათბურის გაზების ემისიაა. ის ჩართულია ამ პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად საერთაშორისო დონეზე შემუშავებულ პროცესებში. გააჩნია ასეთ პირობებში საკუთარი ეკონომიკის განვითარების ხედვები.

საქართველო შეუერთდა პარიზის შეთანხმებას, რომელიც მიღებულ იქნა 2015 წლის 12 დეკემბერს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფარგლებში. ეს ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 25 აპრილიდან.

ყოველივე აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველომ უნდა დაფიქსიროს ემისიების ის რაოდენობა, რომლის შემცირებასაც ის დაიწყებს 2020 წლიდან, ქვეყანაში ამ მიმართულებით ორი პროცესი მიმდინარეობს: საქართველოს მთავრობა ამზადებს დაბალემისიებიან განვითარების სტრატეგიას (დეგს-LEDS). „დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგია“ მდგრადი განვითარების განუყოფელ წინაპირობას წარმოადგენს. დოკუმენტი დაეხმარება საქართველოს, კლიმატის ცვლილებაზე ორიენტირებული ეკონომიკური ზრდა დააჩქაროს, დააკმაყოფილოს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებაში ჩამოყალიბებული მოთხოვნები (გარემოს დაცვის ნაწილში). მან შეიძლება შეასრულოს კატალიზატორის როლი დაბალემისიებიანი ეკონომიკური განვითარების გზაზე გადასასვლელად, რაც შედეგად მოიტანს დასაქმებისა და ინვესტიციების ღონის ზრდას, სათბური გაზების ემისიების შემცირებას და სხვა სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით სარგებელს. ის საქართველოსათვის ხელმისაწვდომს გახდის ფინანსურ რესურსებს სხვადასხვა შესაბამისი წყაროებიდან, რაც დაეხმარება ქვეყანას სუფთა დაბალნახშირბადიან განვითარებაში.

საქართველოს მაგალითი განხილულია წრფივი რეგრესიის საშუალებით, 1995-2014 წლებისთვის და ბოლო წლებისთვის მახვენებლები ვერ გაითვალისწინება მონაცემებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო. ეკონომეტრიკული მოდელი შედგება სამი ცვლადისგან: სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, ნახშირორქანის ემისიები და ჯანმრთელობაზე გაწეული დანახარჯები. შედეგობრივ ცვლადად კი განხილულია სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა.

ცხრილში წარმოდგენილია მონაცემები:

წლები	Y	X <sub>1</sub>	X <sub>2</sub>
1995	70,23576	0,486455	0,12
1996	70,46605	0,880982	0,29
1997	70,74746	0,97914	0,36
1998	71,0579	1,105665	0,33
1999	71,38176	0,975945	0,36
2000	71,69339	1,026657	0,42
2001	71,97068	0,859401	0,52
2002	72,19856	0,77767	0,65
2003	72,36951	0,877318	0,73
2004	72,48105	1,018467	0,84
2005	72,5352	1,209497	0,99
2006	72,54249	1,486837	1,16
2007	72,52507	1,572983	1,39
2008	72,50312	1,282085	1,71
2009	72,50312	1,568938	1,83
2010	72,49805	1,608399	2,08
2011	72,53617	2,057305	2,28
2012	72,60363	2,206911	2,24
2013	72,69846	2,081139	1,94
2014	72,82063	2,411542	2,16

წყარო: <http://www.worldbank.org/>

ცხრილის მონაცემების მიხედვით, ექსელის გამოყენებით, რეგრესიის შედეგად მიღებული წრფივი ორფაქტორიანი მოდელია:

$$\hat{y} = 71,301 - 0,33x_1 + 1,03x_2, \quad i=1,2,\dots,n.$$

სადაც  $n=20$ ;

- y - დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა (წლები);
- x<sub>1</sub>- ნახშირორქანის ემისიები მოსახლეობის ერთ სულზე (ტონა);
- x<sub>2</sub>- მთლიანი დანახარჯები ჯანმრთელობაზე (მლნ. ლარი).

შინაარსობრივად, ნახშირორქანის ემისიების ერთი ერთეულით ზრდა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას 0,33 ერთეულით ამცირებს, მაშინ, როდესაც მთლიანი დანახარჯები ჯანმრთელობაზე ფიქსირებულია.

ანალოგიურად, ჯანმრთელობაზე გაწეული მთლიანი დანახარჯების ერთი ერთეულით ზრდა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას 1,03 ერთეულით ზრდის, ნახშირორქანის ემისიების მუდმივობის პირობებში.

რეგრესიის განტოლების მნიშვნელოვნება შეფასებულია F ტესტით, ფიშერის განაწილების საფუძველზე, მნიშვნელოვნების 5%-იანი დონითა და თავისუფლების (2,17)

ხარისხებით. შედეგად, რეგრესიის მოდელით შედეგობრივი ცვლადის გაფანტულობის ახსნა მნიშვნელოვანია და მიღებული განტოლება ვარგისია დასკვნების გასაკეთებლად.

## დასკვნა

მართლია, საქართველო არ არის წიაღისეული საწვავი რესურსებით მდიდარი ქვეყანა, რომ უზრუნველყოს ენერჯის სრულყოფილად მიწოდება, მაგრამ განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისების დიდი პოტენციალი აქვს.

განახლებადი ეკონომიკის მოდელის დანერგვას, სათბური გაზების ემისიის შემცირებასთან ერთად, ბევრი სხვა დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია. მაგალითად: დასაქმების დონის ზრდა, ტექნოლოგიების განვითარება და ინოვაციების დანერგვა, ჰაერის, წყლისა და მიწის დაბინძურების დონის შემცირება, ადამიანის ჯანმრთელობისა და კომფორტის დონის გაზრდა.

მართლია, წიაღისეული საწვავი უახლოეს მომავალში არ ამოიწურება, მაგრამ ენერგოსადგურები და სამრეწველო აქტივობები განაგრძობენ მილიარდობით ტონა ნახშირორჟანგის გამოყოფას ყოველწლიურად. მათი დიდი ნაწილი საუკუნეების განმავლობაში რჩება ატმოსფეროში, რომლის თითოეული ტონაც მომავალი გლობალური დათბობის წინაპირობაა. სათბურის გაზების ემისია ზრდის ტენდენციით ხასიათდება, დღევანდელი მსოფლიო 1<sup>0</sup>-ით უფრო თბილია, ვიდრე პრეინდუსტრიულ დროს იყო, რაც მიუთითებს, რომ მსოფლიო ჯერ კიდევ შორსაა იმ მიზნისაგან, რომ ხელი შეუშალოს გლობალურ დათბობას. არსებული ვითარებიდან გამოსავალს განახლებადი ეკონომიკის მოდელის დანერგვა წარმოადგენს, პოლიტიკურ ნებასთან და ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად. რაც უფრო სწრაფად გახდება შესაძლებელი მზისა და ქარის ენერჯიების, ენერგოეფექტური მოწყობილობების, ელექტროავტომობილების გამოყენება, გამწვანებასთან ერთად, მით უფრო მალე დაუბრუნდება მსოფლიო გლობალური დათბობის 1.5<sup>0</sup>-მდე შემცირების მიზნობრივ მაჩვენებლს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგიების შესაძლებლობათა გაძლიერება/ სუფთა ენერჯის პროგრამა, ენერჯექტივის სექტორის მიმოხილვა, 2016, - <http://remissia.ge/uploads/other/0/945.pdf>
2. დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგიების შესაძლებლობათა გაძლიერება/ სუფთა ენერჯის პროგრამა, სათბურის გაზების ემისიები მრეწველობაში (არაენერჯექტიული), 2017, - [http://pdf.usaid.gov/pdf\\_docs/PA00MNSF.pdf](http://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00MNSF.pdf)
3. მარგველაშვილი მ, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის სალექციო მასალების კრებული. თბილისი, 2016- [http://weg.ge/sites/default/files/climate\\_change\\_and\\_sustainable\\_development.pdf](http://weg.ge/sites/default/files/climate_change_and_sustainable_development.pdf)
4. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის- <http://www.weg.ge>
5. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“, - [http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo\\_2020.pdf](http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf)
6. Lee p, Sims E, Bertham O, Towards a Circular Economy-Waste management in the EU, „Science and Technology Options Assessment“, 2017- [http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2017/581913/EPRS\\_STU\(2017\)581913\\_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2017/581913/EPRS_STU(2017)581913_EN.pdf)
7. Opitz P, Sustainable Energy Pathways in the South Caucasus: Opportunities for Development and Political Choices, „South Caucasus Regional Office of the Heinrich Boell Foundation“, 2015, - [https://ge.boell.org/sites/default/files/book\\_200x240mm.pdf](https://ge.boell.org/sites/default/files/book_200x240mm.pdf)
8. The Global Risks Report 2017 - <http://reports.weforum.org/global-risks-2017/>
9. The World Bank- <http://www.worldbank.org/>
10. Towards the circular economy: Accelerating the scale-up across global supply chains, Geneva, „World Economic Forum“, 2014, - [http://www3.weforum.org/docs/WEF\\_ENV\\_TowardsCircularEconomy\\_Report\\_2014.pdf](http://www3.weforum.org/docs/WEF_ENV_TowardsCircularEconomy_Report_2014.pdf)



# THE ROLE OF CIRCULAR ECONOMY IN MITIGATING CLIMATE CHANGE

## Summary

Most countries including Georgia are facing the consequences of global climate changes. Emissions of carbon dioxide, which accounts the largest share of greenhouse results in climate changes caused by human entrepreneurial activities. It has negative impact on the development of economy. The paper deals with a model that analyzes the Expected Duration of Life depending on Carbon Dioxide emission and the cost of Health Insurance.

In this context the Circular Economy has the potential to significantly contribute to climate change mitigation efforts through reducing Carbon Dioxide emissions.

**Keywords:** Sustainable Development, Circular Economy, Climate Change.

ლაშა კელიხაშვილი

### „მწვანე ეკონომიკის“ ზომების თანხმობის როლი ადგილობრივ პროცესში

**ანოტაცია.** მოცემულ კვლევაში გაანალიზებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გარემოსადმი მდგრადობის ცალკეული საკითხები, კერძოდ შეფასებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების (რაც მოცემულ კვლევაში მოსახლეობის ერთ სულზე GDP-ს მახვევებით განისაზღვრება) გარემოსადმი მდგრადობის ხარისხი და სახელმწიფოს პოლიტიკის ეფექტიანობა ადგილობრივი მიმართულებით. კვლევის მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე მნიშვნელოვან კავშირშია გარემოსადმი მდგრადი პოლიტიკის არსებობასთან და ამავდროულად სახელმწიფოს ჩარევა ადგილობრივი მიმართულებით მნიშვნელოვანად დადებითი ეფექტებით ხასიათდება საშუალოვადიან პერიოდში.

**საკვანძო სიტყვები:** „მწვანე ეკონომიკა“; მდგრადი განვითარება; ეკონომიკური განვითარება.

## შესავალი

მსოფლიო განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკის გარემოსადმი მდგრად განვითარებას საკითხს. ადგილობრივი საკითხი ასახულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებში რომელიც წევრ ქვეყნებს შესაბამისი პოლიტიკის გატარების ვალდებულებას აკისრებს. 2011 წლის გაეროს მწვანე ეკონომიკის რეპორტის მიხედვით მწვანე ეკონომიკა უნდა იყოს რესურსების ეფექტიანი მომხმარებელი, გარემოში უშეზღვევად მანე ნივთიერებების მაქსიმალურად მცირე რაოდენობას და უნდა იყოს სოციალურად ინკლუზიური<sup>1</sup>.

ადგილობრივი სფეროს ერთ-ერთი მკვლევარი კარლ ბრუკეტი მწვანე ეკონომიკის განვითარების ხარისხს აფასებს შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით<sup>2</sup>:

- განახლებადი ენერჯია
- „მწვანე“ მშენებლობა
- გარემოსადმი მდგრადი ტრანსპორტი
- წყლის მენეჯმენტი
- ნარჩენების მენეჯმენტი
- მიწის მენეჯმენტი

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მიმართულებით ეკონომიკური თეორია მწირია, შესასწავლი საკითხების წყება კი საკმაოდ ფართო. მიუხედავად ამისა, მოცემული კვლევა მიზნად ისახავს შეაფასოს რამდენადაა დღევანდელი ეკონომიკური სისტემები ორიენტირებული „მწვანე განვითარებაზე“ და რამდენად ეფექტიანია სახელმწიფოს პოლიტიკა ამ მიმართულებით, რაც ძირითადად რაოდენობრივ ცვლადების ანალიზით განხორციელდება.

<sup>1</sup> UNEP, 2011, Towards a Green Economy: Pathways to Sustainable Development and Poverty Eradication, www.unep.org/greeneconomy

<sup>2</sup> „How do you define the 'green' economy?“ MNN - Mother Nature Network. 2009-01-09. Retrieved 2013-11-09

მოცემულ კვლევაში დავეყრდნობით ეკონომიკის გარემოსადმი მდგრადობის მახასიათებელ ინდექსებს რომლებიც აჯამებს ცალკეულ ქვეყანაში არსებულ მდგრადობას აღნიშნული მიმართულებით. ინდექსების შესახებ ინფორმაცია აღებულია შესაბამისი ინდექსების შემქნელთა მონაცემთა ბაზებიდან (*Dual Citizen* ([www.dualcitizeninc.com](http://www.dualcitizeninc.com)) და *Yale University* ([www.epi.envirocenter.yale.edu](http://www.epi.envirocenter.yale.edu))),


გარდა ინდექსებისა, მოცემულ კვლევაში განხილული სხვა მაკროეკონომიკული ცვლადები აღებულია მსოფლიო ბანკის, ევროსტატის და „The Heritage Foundation“-ის მონაცემთა ბაზებიდან. კვლევაში გამოყენებულია სტატისტიკური ანალიზის მეთოდები კროს-სექციული მონაცემებისთვის. აღნიშნული ნაშრომი, ერთის მხრივ არსებული სიტუაციის ემპირიულ ანალიზს იძლევა, მეორეს მხრივ კი ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი ინსტიტუტებისთვის სარეკომენდაციო ხარისხის მატარებელია.

ქვეყნის ეკონომიკის გარემოსადმი მდგრადი განვითარების გასაზომად დღესდღეობით სხვადასხვა ინდიკატორები გამოიყენება თუმცა გლობალურ დონეზე, აღნიშნულ ინდიკატორების შეჯამებული სახით ასახავს ისეთი ინდექსები როგორცაა *EPI* (*Environmental Performance Index*) *GGEI* (*Global Green Economy Index*).

*EP* ინდექსი ზომავს გარემოს დაბინძურებისადმი სახელმწიფოს პოლიტიკის მდგრადობის ხარისხს და 2018 წლისთვის იგი შეფასებულია 180 ქვეყნისთვის.

*GGE* ინდექსი აფასებს ქვეყნის ეკონომიკის „სიმწვანის“ არსებულ მდგრადობას და მის ხელშემწყობ ეკონომიკურ აქტივობას „სიმწვანეზე“ ორიენტაციის ხარისხს. აღნიშნული ინდექსი გარემოს დაბინძურების შეფასების პარამეტრად იყენებს *EP* ინდექსს რის გამოც მოცემულ კვლევაში აქცენტს ძირითადად აღნიშნულ ინდექსზე გავამახვილებთ<sup>93</sup>. ინდექსი 0-1 შკალაშია მოქცეული და რაც უფრო მაღალია მისი მნიშვნელობა მით უკეთეს მდგრადობაში იმყოფება ქვეყანა გარემოსადმი მდგრადობის თვალისაზრისით.

2018 წლის მდგრადობით ინდექსის შეფასება მოხდა 130 ქვეყნისთვის. აღნიშნული ქვეყნებისგან შემდგარ მსოფლიო რუკაზე საქართველო 44-ე პოზიციაზე იმყოფება (იხილეთ დიაგრამა). პირველი ათეული კი ძირითადად ცენტრალური და ჩრდილო-ევროპული ქვეყნებისგან შედგება.




**დიაგრამა 1. GGE ინდექსი 2018 წელს მსოფლიოს 130 ქვეყნისთვის**  
(წითელი სვეტი აჩვენებს საქართველოს შესაბამის მაჩვენებელს)

წყარო: *Dual Citizen* ([www.dualcitizeninc.com](http://www.dualcitizeninc.com))

მნიშვნელოვანი ტრენდი, რომელიც ანალიზის პროცესში იკვეთება არის განვითარებული და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავება ინდექსის მაჩვენებლის მიხედვით:

<sup>93</sup> *Dual Citizen* ([www.dualcitizeninc.com](http://www.dualcitizeninc.com))




დიაგრამა 2. GGE ინდექსი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში

წყარო: Dual Citizen ([www.dualcitizeninc.com](http://www.dualcitizeninc.com))

როგორც მონაცემები გვიჩვენებს, GGEI ინდექსის მნიშვნელობა განვითარებულ ქვეყნებში უფრო მაღალია განვითარებადი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით რის მნიშვნელოვან ფაქტორს განვითარებულ ქვეყნებში, გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიმართ არსებული მაღალი მოთხოვნები და ამ მოთხოვნების შესაბამისად ფორმირებული ინსტიტუციური მოწყობა წარმოადგენს<sup>94</sup>.

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი კავშირი შეინიშნება ინდექსს, მოსახლეობის ერთ სულზე მთლიან შიდა პროდუქტსა და მთავრობის დანახარჯებს შორის. კერძოდ, მოსახლეობის ერთ სულზე GDP-ს მოცულობა დადებითად კორელირებს ეკონომიკის გარემოსადმი მდგრადობასთან ასევე დადებითი კორელაცია შეინიშნება მთავრობის დანახარჯებსა და GGE ინდექსს შორის (დიაგრამაზე “r” ასახავს შესაბამის ცვლადებს შორის წრფივ კორელაციის კოეფიციენტს).



დიაგრამა 3. GGE ინდექსის დამოკიდებულება მოსახლეობის ერთ სულზე GDP-სა და მთავრობის მთლიან დანახარჯებზე

წყარო: The Heritage Foundation ([www.heritage.org](http://www.heritage.org)); Dual Citizen ([www.dualcitizeninc.com](http://www.dualcitizeninc.com)); მსოფლიო ბანკი ([www.worldbank.org](http://www.worldbank.org))

<sup>94</sup> OECD Publication “Green Growth and Developing Countries A Summary for Policy Makers”, 2012 წ. გვ. 13.

აღნიშნული ტრენდის მთავარ ამხსნელ ფაქტორს მოსახლეობის ერთ სულზე -ს ზრდის პარალელურად გარემოსადმი მდგრადობის შენარჩუნების მაღალი მოთხოვნილება და აღნიშნულ პროცესში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი წარმოადგენს, ერთის მხრივ შესაბამისი ინსტიტუციური გარემოს შექმნით, ხოლო მეორეს მხრივ გარემოს დაცვისადმი გაზრდილი დანახარჯებით.

გარემოს დაცვაზე მთავრობის დანახარჯების გავლენის დამატებითი ანალიზისთვის შემდეგი ფორმის რეგრესიის განტოლებას გამოვიყენებთ:


$$(Y_{2015} - Y_{2006}) = \alpha \frac{(\sum_{i=1}^{10} x_i)}{10} + \epsilon$$

განტოლება ასახავს 2006-2015 წლებში, ევროკავშირის ქვეყნებისთვის EP ინდექსის ცვლილების დამოკიდებულებას მთავრობის მხრიდან გარემოს დაცვაზე გაწეულ ყოველწლიური საშუალო დანახარჯების წილზე GDP-ში.

აღნიშნული რეგრესიის განტოლების უმცირეს კვადრატთა მეთოდით შეფასებას კი შემდეგი სახე გააჩნია:

$$y = 2.5x - 0.006 \quad R^2 = 0.53$$

აღნიშნული დამოკიდებულების ვიზუალური ინტერპრეტაცია ასახულია დიაგრამა - ზე მიხედვით, მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში რაც გარემოს დაცვისადმი გაწეული დანახარჯებით გამოიხატება, საშუალო ვადიან პერიოდში გარემოს მდგომარეობის ხარისხს აუმჯობესებს.



**დიაგრამა 4: EP ინდექსის ცვლილების დამოკიდებულება გარემოს დაცვაზე მთავრობის საშუალო ხარჯებზე**

**წყარო:** ევროსტატი ([www.ec.europa.eu](http://www.ec.europa.eu)); იელის უნივერსიტეტი ([www.epi.envirocenter.yale.edu](http://www.epi.envirocenter.yale.edu)), ავტორის გამოთვლები

## დასკვნა

მოცემულ კვლევაში გავანალიზეთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გარემოსადმი მდგრადობა. კვლევის ფარგლებში გაკეთებულ მნიშვნელოვან დასკვნებს წარმოადგენს ის, რომ ეკონომიკის განვითარების გარემოსადმი მდგრადობა განვითარებადი ქვეყნებისთვის უფრო მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, ვინაიდან განვითარებად ქვეყნებში ამ მიმართულებით შესაბამისი ინსტიტუციური ბაზა სრულფასოვნად ჩამოყალიბებული არაა.

გარემოსადმი მდგრად განვითარებაზე ორიენტაცია მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევასთან ორი მიმართულებით. პირველ რიგში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება შესაბამისი ინსტიტუციური ბაზის ფორმირებაში, მეორეს მხრივ კი მთავრობის დანახარჯები გარემოს დაცვაზე მნიშვნელოვნად

დადებითი ეფექტებით ხასიათდება საშუალოვადიან პერიოდში, რაც დასტურდება ევროკავშირის ქვეყნების ანალიზის შედეგად.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. „How do you define the 'green' economy?“ MNN - Mother Nature Network. 2009-01-09. Retrieved 2013-11-09;
2. UNEP, 2011, Towards a Green Economy: Pathways to Sustainable Development and Poverty Eradication, [www.unep.org/greeneconomy/](http://www.unep.org/greeneconomy/);
3. OECD Publication: “Green Growth and Developing Countries A Summary for Policy Makers”, 2012;
4. European Environment – State of the Environment and Outlook. EEA, Copenhagen, 2010;
5. About green economy (<http://www.eea.europa.eu/themes/economy/about-green-economy>) accessed 9 September 2011;
6. *The Heritage Foundation* ([www.heritage.org/](http://www.heritage.org/));
7. *Dual Citizen* ([www.dualcitizeninc.com/](http://www.dualcitizeninc.com/));
8. *Yale University* ([www.epi.envirocenter.yale.edu/](http://www.epi.envirocenter.yale.edu/));
9. *Eurostat* ([www.ec.europa.eu/](http://www.ec.europa.eu/));
10. *Worldbank* ([www.worldbank.org/](http://www.worldbank.org/));
11. *United Nations Sustainable Development Goals* ([www.sustainabledevelopment.un.org/](http://www.sustainabledevelopment.un.org/))

*Lasha Kelikhashvili*

### ASPECTS OF FORMATION OF “GREEN ECONOMY“ AND GOVERNMENT’S ROLE IN THIS PROCESS Summary

“Green economy” is a new issue in the field of environmental governance. The Rio Conference in June 2012 reflected a trend that focuses on the economic system. Despite the fact that many actors, organizations and politicians hope that the formation of green economy is relatively easy to reach, there is no clear vision of what has to be done. United Nations Environmental Programme (UNEP) report, states that a green economy leads to “improved human wellbeing and social equity, while significantly reducing environmental risks and ecological scarcities”.

The first goal of the research is to explain the characteristics of “Green Economy” and its relationship to several macro variables. To solve this problem, we need to measure “degree of greenness” and EP and GGE indices are employed for this purpose.

Another goal of the research is to evaluate government’s potential and existing impact on the “degree of greenness”.

Despite abovementioned indices, other variables, like GDP per capita and government’s expenditure are used during analysis.

*დავით კეშელავა*

### ბანახლებადი ენერჯის გამოყენების კოტენციული საქართველოში და მისი მაკროეკონომიკური შინაარსი

**ანოტაცია.** საქართველო თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, რესურსების განაწილების და ეკონომიკური განვითარების პირობებში საკმაოდ დიდ იმედებს ამყარებს განახლებადი ენერჯის წყაროებზე. თუმცა, როგორც კვლევები ცხადყოფს საქართველოს მხოლოდ ნაწილობრივ აქვს ათვისებული პიდროელექტროენერჯის რესურსები და მხოლოდ ახლა დაიწყო ქარის ენერჯის პოტენციალის შესწავლა და ქარის სადგურების გამოყენებით ელექტროენერჯის გამოძევა. თითქმის გამოუყენებელია მზის ენერჯის საკმაოდ დიდი პოტენციალი და მხოლოდ უმნიშვნელო დონითაა გამოყენებული განახლებადი ენერჯის სხვა წყაროები. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ენერჯის წარმოების სეზონური ხასიათიდან გამომდინარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს განახლებადი ენერჯის დივერსიფიცირებული წყაროების გამოყენება. განახლებადი ენერჯის მაკრო-

ეკონომიკურ ჭრილში განხილვის პირობებში მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ემპირიულ ლიტერატურაში იკვეთება მიზეზ-შედეგობრივი კავშირის 3 ჰიპოთეზა: ზრდის ჰიპოთეზა, კონსერვაციის ჰიპოთეზა და უკუკავშირის ჰიპოთეზა. **ზრდის ჰიპოთეზის მიხედვით**, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი განახლებადი ენერჯის მოხმარებიდან ეკონომიკური ზრდის მიმართულებით ფიქსირდება. **კონსერვაციის ჰიპოთეზის მიხედვით**, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა დადებითად მოქმედებს განახლებადი ენერჯის მოხმარებაზე და აღნიშნული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მხოლოდ ცალმხრივია. **უკუკავშირის ჰიპოთეზის მიხედვით**, გამომწვებასა და განახლებადი ენერჯის მოხმარებას შორის ორმხრივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს. აღნიშნული სტატია მიზნად ისახავს, რომ შეიმუშაოს მეთოდოლოგია საქართველოს შემთხვევაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესასწავლად.

**საკვანძო სიტყვები:** განახლებადი ენერჯია, ჰიდროელექტროსადგური, სეზონურობა, ზრდის ჰიპოთეზა, კონსერვაციის ჰიპოთეზა, უკუკავშირის ჰიპოთეზა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველო ელექტროენერჯის გამომუშავების მზარდი ტემპით გამოირჩეოდა, კერძოდ ენერჯის გამომუშავება 38,2%-ით გაიზარდა და 11 531,2 მილიონ კილოვატ-საათს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ზრდა თბოელექტროსადგურებისა და ჰიდროელექტროსადგურების გაზრდილი წარმოების ხარჯზე მოხდა. ამასთანავე, 2016 წლიდან ამოქმედდა ქართლის ქარის სადგური, თუმცა მისი წილი მთლიან გამომუშავებაში ამ ეტაპზე ჯერ კიდევ მცირეა. (იხილეთ გრაფიკი 1).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკმაოდ დიდია ჰიდროელექტროსადგურების წილი ელექტროენერჯის მთლიან გამომუშავებაში. 2017 წლის მონაცემების მიხედვით მთლიანი გამომუშავებული ენერჯის 71% ჰიდროელექტროსადგურებზე მოდიოდა, 17% თბოელექტროსადგურებზე და 1%-ზე ნაკლები ქარის ენერჯის სადგურებზე. ელექტროენერჯის გამომუშავების სეზონური ხასიათიდან გამომდინარე, 2017 წელს იმპორტირებულმა ელექტროენერჯამ მთლიანი მიწოდების 11% შეადგინა (იხილეთ გრაფიკი 2). აღნიშნული ცხადყოფს, რომ საქართველოს შემთხვევაში განახლებადი ენერჯის როლი საკმაოდ დიდია ქვეყნის ელექტროენერჯით მომარაგებაში.

საქართველო მდიდარია განახლებადი ენერჯორესურსებით, განსაკუთრებით ჰიდროელექტრორესურსებით. ქვეყნის მთავარი მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალი დაახლოებით 140 მილიარდ კილოვატ-საათს შეადგენს, მაშინ როცა, ტექნიკურად განხორციელებადი რესურსი სხვადასხვა შეფასებით 70-80 მილიარდ კილოვატ-საათს წარმოადგენს, საიდანაც მხოლოდ 12-15% არის ათვისებული. მაშასადამე, საქართველოს საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია ჰიდროენერჯის განსაკუთრებლად

2017 წლის მონაცემებით საქართველოში 7 მარეგულირებელი და 15 სეზონური ჰიდროელექტროსადგურია, რომლებიც ჯამურად 8607,5 მილიონი კილოვატ-საათის ელექტროენერჯის გამოიმუშავენ. აღნიშნულ ჰესებს შორის ყველაზე დიდი გამომუშავებული ელექტროენერჯის მიხედვით ენგურჰესია, რომელმაც 2017 წლის განმავლობაში 3 594,2 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერჯია გამოიმუშავა, რაც ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის 39%-ს შეადგენს. ასევე მაღალი სიმძლავრეებით გამოირჩევიან ვარციხეჰესი და ვარდნილჰესი, რომელთა მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია ჰესების მიერ გამომუშავებული ენერჯის 16,4%-ია (ესკო - ენერგობალანსი, 2017). სხვა ჰიდროელექტროსადგურები შედარებით მოკრძალებული წილით გამოირჩევიან მთლიან ენერჯო მიწოდებაში.

საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე სიმძლავრის ჰესების განვითარება. კვლევების თანახმად, მცირე მდინარეების თეორიული ენერგეტიკული პოტენციალი შეადგენს 40 მილიარდ კვტს/წელს, ტექნიკური კი დაახლოებით 20 მილიარდ კვტს/წელს. დღევანდელ პირობებში, ეკონომიკური და რეალურად მიღწეული პოტენციალი კი სპეციალისტების შეფასებით 5 მილიარდ კვტს/წელს არ აჭარბებს. გარდა ამისა, მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები სეზონურობით გამოირჩევიან და ელექტროენერჯის ძირითადად გაზაფხულ-ზაფხულზე გამოიმუშავენ, როდესაც საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ისედაც არსებობს ჭარბი ენერჯია. აქედან გამომდინარე, მცირე ჰესების მიერ ელექტროენერჯის წლიური გამომუშავების 60-70% გაზაფხულ ზაფხულის 5 თვეზე მოდის (აპრილი-აგვისტო). თუ გავითვალისწინებთ საქართველოში მცირე ჰესების პოტენციალს, მივიღებთ, რომ მათი

სრული ათვისების შემთხვევაში ზემოხსენებულ პერიოდში დამატებით 3-3.5 მილიარდი კვტსთ ელექტროენერჯის გამომუშავების შესაძლებლობა არსებობს (ჩხაიძე, 2014).

განახლებადი ენერჯის რესურსების შესახებ ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის თანახმად, საქართველოს საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია ქარის ენერჯის გამოყენებით დამატებით 8-10 მილიარდი კვტსთ ელექტროენერჯია გამოიმუშაოს. ექსპერტების შეფასებების საფუძველზე იდენტიფიცირებულია ქარის ენერჯო სადგურებისთვის პერსპექტიული ადგილების ჩამონათვალი.

2016 წელს ექსპლუატაციაში შევიდა გორთან ახლოს მდებარე ქარის ელექტროსადგური. აღნიშნული ქარის ელექტროსადგური 6 ერთეული 3.45 მეგავატიანი ტურბინისგან შედგება და მისი ჯამური სიმძლავრე 20.7 მეგავატს წარმოადგენს. აღნიშნულმა ქარის სადგურმა 2016 წელს 9 მლნ კვტსთ ელექტროენერჯია გამოიმუშავა, 2017 წელს კი აღნიშნულმა მაჩვენებელმა 87.8 მლნ კვტსთ-ს მიაღწია. ამ ეტაპზე ქარის ენერჯის მიერ გამოიმუშავებულ ენერჯიას მხოლოდ მცირედი წილი უჭირავს მთლიანად გამოიმუშავებულ ელექტროენერჯიაში. აღსანიშნავია, რომ ქარის ელექტროსადგურების გამოიმუშავება პრაქტიკულად მთელი წლის მანძილზე ხდება, როდესაც ელექტროენერჯეტიკული სისტემა გარკვეულ დეფიციტს განიცდის (იხილეთ გრაფიკი 3).

კოლექტორების გამოყენებით შემოიფარგლება. აღნიშნული კოლექტორები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს მცირე სიმძლავრეებით გამოიყენებოდა, თუმცა აღსანიშნავია, საზოგადოების მზარდი ინტერესი მზის კოლექტორების მიმართ უკანასკნელ პერიოდში. ოტოვოლტაიკები კი მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევებში გამოიყენება.

განახლებადი ენერჯის რესურსების შესახებ ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის მიხედვით, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე საქართველოს გააჩნია ხელსაყრელი პირობები მზის ენერჯის გამოყენებისთვის. საქართველო იმ ქვეყანათა კატეგორიას მიეკუთვნება, სადაც მზის გამოსხივება მაღალია, ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე წელიწადში საშუალოდ 250-280 მზიანი დღეა. მაქსიმალური რადიაცია მაღალმთიან ზონაშია, დიდი კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში.

### **ელექტროენერჯის გენერირებისა და სეზონურობის მნიშვნელობა საქართველოში**

გარდა ზემოხსენებული განახლებადი ენერჯის წყაროებისა, საქართველოს აქვს პოტენციალი ბიომასის და გეოთერმული ენერჯის გამოიმუშავების მიმართულებითაც. USAID-ის კვლევის მიხედვით, ბიომასის სხვადასხვა სახეების, როგორცაა მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების ნარჩენების, მეცხოველეობის და მეფრინველეობის ნარჩენების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ქ. თბილისის კანალიზაციის წყლის გაწმენდის და ხე-ტყის მრეწველობის ნარჩენების გამოყენებით გამოიმუშავდა 9.82 მილიარდი კვტსთ ენერჯია, ხოლო გამოიმუშავებული ელექტროენერჯის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა 300 მილიონი ლარის დაზოგვა (ჩხაიძე, 2014).

რაც შეეხება გეოთერმულ ენერჯიას, საქართველოს ტერიტორიაზე აქამდე აღრიცხულია 250-მდე ბუნებრივი და ხელოვნური წყარო, რომლის ჯამური დებიტი წელიწადში 60 მლნ კუბ.მ-ს შეადგენს. სხვადასხვა მონაცემებით საქართველოში გეოთერმული რესურსების ტექნიკურ პოტენციალს 1.3 მლრდ კვტსთ-ი შეადგენს და პოტენციალის 80 პროცენტი დასაფლეთ საქართველოშია კონცენტრირებული (ჩხაიძე, 2014).

2007 წლიდან 2010 წლის ჩათვლით, ჰიდროელექტროსადგურების მიერ გენერირებულ ელექტროენერჯის მოცულობა მზარდი ტემპით ხასიათდება. აღსანიშნავია, რომ ყველაზე სწრაფი ზრდის ტემპი 26.4% 2010 წელს დაფიქსირდა. ამის შემდეგ იყო ორწლიანი ჩავარდნა, რომელსაც ისევ აღმავლობის პერიოდი მოჰყვა. წარმოების პარალელურად მოხმარება მუდმივი მზარდი ტრენდით ხასიათდებოდა. შედეგად 2012 წლიდან მოყოლებული ელექტროენერჯის წმინდა ექსპორტიორი საქართველო წმინდა იმპორტიორ ქვეყანად იქცა (იხილეთ გრაფიკი 4).

მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლამდე საქართველო ელექტროენერჯის წმინდა ექსპორტიორს წარმოადგენდა, საუკეთესო 2010 წელსაც კი ქვეყანას მოუწია საკმაოდ დიდი რაოდენობით ელექტროენერჯის იმპორტი. აღნიშნულის მიზეზი ელექტროენერჯის მოპოვების სეზონური ხასიათია. სწორედ სეზონური ხასიათიდან გამომდინარე ჰიდროენერჯის წარმოება მკვეთრად აღემატება მოხმარებას ზაფხულის პერიოდში, მაშინ

როცა ზამთარში პირიქით მოხმარება მკვეთრად აღემატება წარმოებას და აუცილებელი ხდება ელექტროენერჯის იმპორტი. აღნიშნული ენერგოდეფიციტი კიდევ უფრო თვალსაჩინოა სხვა წლებისთვის. გრაფიკი 5 გვიჩვენებს ელექტროენერჯის გენერაციის სეზონურ ხასიათს 2017 წლის მაგალითზე.

ელექტროენერჯის გამოშვების სეზონური ხასიათი კარგად ხსნის იმას თუ რატომ არ იზრდება ჰიდროელექტროენერჯის გამოშვება გეგმის მიხედვით. ამის მთავარი მიზეზი შენელებული ინვესტიციებია. ინვესტორის გადმოსახედიდან ჭარბი სიმძლავრეების ქონა ზაფხულის პერიოდში დიდ პრობლემას წარმოადგენს. ამ პერიოდში ელექტროსადგურები დიდი რაოდენობით გამოიმუშაებენ ელექტროენერჯიას და საკმაოდ მაღალია კონკურენცია ადგილობრივი მომწოდებლების მხრიდან. მაშასადამე, იკლებს პროექტების მომგებიანობა და შესაბამისად ინვესტორებს არ აქვთ სტიმული, რომ განახორციელონ მნიშვნელოვანი პროექტები.

გარდა ამისა მცირე ჰესებში ინვესტირება არ წარმოადგენს ეფექტურ ხერხს სეზონურობის პრობლემასთან საბრძოლველად. რადგანაც კაშხლის მეშვეობით წყლის დაგროვების გარეშე მცირე სიმძლავრის ჰესები კიდევ უფრო მწვავე სეზონურობას განიცდიან ვიდრე სხვა რესურსები. შესაბამისად ენერგო უსაფრთხოების მისაღწევად საჭიროა განახლებადი ენერჯის სხვა რესურსებზე ორიენტაცია, მაგალითად, ქარის სადგურები შედარებით ნაკლები სეზონურობით გამოირჩევა და მასზე აქცენტის გაკეთება კარგი საშუალებაა სეზონურობასთან საბრძოლველად (Kelbakhiani and Pignatti, 2012-13).

### თანამედროვე შეხედულებები განახლებად ენერჯიაზე

1970-იანი წლებიდან მოყოლებული. არაერთი ემპირიული ნაშრომი შეიქმნა ენერჯის მოხმარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის დადგენის შესახებ. ამ თემაზე პირველი ნაშრომი 1978 წელს შეიქმნა ჯონ და არტურ კრაფტების მიერ და კვლევა ასკვნია, რომ აღნიშნულ ორ ცვლადს შორის მხოლოდ ცალმხრივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობდა და გაზრდილი მთლიანი შიდა პროდუქტი განახლებადი ენერჯის მოხმარების ზრდას იწვევდა. თუმცა, ტიბამ და ომრიმ (2017) თავიანთ კვლევაში 264 ნაშრომი შეისწავლეს 1978 წლიდან 2014 წლამდე და ავტორთა დასკვნები აღნიშნულ ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესახებ სრულიად არაერთგვაროვანი იყო. თუმცა, ზემოხსენებულ ნაშრომში ხაზგასმულია განახლებადი ენერჯის მოხმარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ოთხი ჰიპოთეზა: ზრდის, კონსერვაციის, უკუკავშირის, და ნეიტრალიტეტის ჰიპოთეზები. სებრის (2015) ნაშრომის მიხედვით, უკუკავშირის ჰიპოთეზა დასტურდება ემპირიული ნაშრომების 32,6%-ში, 12,6% უპირატესობას კონსერვაციის ჰიპოთეზას ანიჭებს, ხოლო კვლევების 27,4% ზრდის და იმავე პროცენტული წილი ნეიტრალიტეტის ჰიპოთეზათა მართებულობას ადასტურებს.

დოვანი (2016) ამტკიცებს, რომ კვლევებს შორის ასეთი ვარიაცია ძირითადად გამოყენებული მეთოდოლოგიების მრავალფეროვნებით აიხსნება. ამ სფეროში არსებული ნაშრომების უმრავლესობა განახლებადი ენერჯის მოხმარებას აგრეგირებულ დონეზე განიხილავს, მაშინ კვლევის მიღმა რჩება უფრო დეტალური ანალიზი განახლებადი ენერჯის კონკრეტული წყაროების მიხედვით (მაგალითად, ბიომასის ენერჯის მოხმარება, ჰიდროენერჯის მოხმარება და სხვა). ხშირად ენერჯის რესურსების დეტალიზებული წარმოდგენა განსხვავებული დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

**ზრდის ჰიპოთეზის მიხედვით,** მიზეზ-შედეგობრივი კავშირი განახლებადი ენერჯის მოხმარებიდან ეკონომიკური ზრდის მიმართულებით ფიქსირდება. შესაბამისად, განახლებადი ენერჯის მოხმარების ზრდა (შემცირება) ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის შესაბამის ზრდას (შემცირებას) იწვევს. მაგალითად, ასლანმა (2016) ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე შეისწავლა ბიომასის განახლებად ენერჯიასა და ეკონომიკურ ზრდას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დასაქმებისა და კაპიტალის დონის გათვალისწინებით 1961-2011 პერიოდისთვის და დაასკვნა, რომ კავშირი ცალმხრივია განახლებადი ენერჯის მოხმარებიდან ეკონომიკური ზრდის მიმართულებით, ამასთანავე, ინგლესი-ლოტზის (2016) ნაშრომი ასევე ადასტურებს ზრდის ჰიპოთეზას ვალიდურობას OECD-ის ქვეყნებისთვის. გარდა ამისა, რაფინდადის და ოზთურქის (2016) ნაშრომის მიხედვით, განახლებადი ენერჯის მოხმარების 1%-იანი ზრდა 0,2194%-ით აუმჯობესებს გერმანიის ეკონომიკას.



კონსერვაციის ჰიპოთეზის მიხედვით, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა დადებითად მოქმედებს განახლებადი ენერჯის მოხმარებაზე და აღნიშნული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მხოლოდ ცალმხრივია. მაგალითად, ფუროუკა (2017) აანალიზებს ბალტიის-პირეთის ქვეყნების მდგომარეობას 1990 წლიდან 2011 წლამდე და ასკვნის, რომ კონსერვაციის ჰიპოთეზა ვალიდურია აღნიშნული ქვეყნებისთვის.

უკუკავშირის ჰიპოთეზის მიხედვით, გამოშვებასა და განახლებადი ენერჯის მოხმარებას შორის ორმხრივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს. კაპიას და სხვების (2017) მიხედვით ზემოხსენებულ ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მხოლოდ გრძელვადიან პერიოდში ფიქსირდება. თუმცა, MENA-ს ქვეყნები ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენენ და უკუკავშირს მოკლევადიანი ხასიათი გააჩნია. შაჰბაზი და სხვები (2016) წარმატებით ამტკიცებენ უკუკავშირის ჰიპოთეზას BRIC-ის ქვეყნებისთვისაც. ლინის და მუბარაქის (2014) მიხედვით უკუკავშირის ჰიპოთეზა დაცულია ჩინეთისთვისაც. ხოლო ამრის (2017) ნაშრომის მიხედვით ორმხრივი კავშირი ფიქსირდება როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნებისთვის. შესაბამისად, განახლებადი ენერჯის მოხმარების 1%-იანი ზრდა, 0,873%-ით ზრდის ქვეყნის ეკონომიკას განვითარებული ქვეყნების შემთხვევაში და აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ 0,678%-ს შეადგენს განვითარებადი ქვეყნებისთვის.

### დამოკიდებულება განახლებადი ენერჯის მოხმარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის

იმისათვის, რომ შევისწავლოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი განახლებადი ენერჯის მოხმარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის აუცილებელია, რომ ავაგოთ ემპირიული მოდელი და მოვახდინოთ მისი შეფასება რომელიმე ეკონომეტრიკული მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული ნაშრომის მეთოდოლოგია დაფუძნებული იქნება კობ-დუგლასის საწარმოო ფუნქციის ერთერთ კერძო სახეზე, რომელის მიხედვითაც ქვეყნის გამოშვების დონე სხვა თანაბარ პირობებში დამოკიდებულია განახლებადი ენერჯის მოხმარებაზე, სამუშაო ძალაზე და კაპიტალის მოცულობაზე (Šimelytė da Dudzevičiūtė, 2017):

$$Y_t = f(E_t; L_t; K_t); \quad (1)$$

$$Y_t = A E_t^{\beta_1} L_t^{\beta_2} K_t^{\beta_3}; \quad (2)$$

სადაც  $t$  - დროის პერიოდს წარმოადგენს,  $Y$  - გამოშვების მოცულობა (რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი),  $E$ ,  $L$  და  $K$  განახლებადი ენერჯის მოხმარება, სამუშაო ძალა და კაპიტალის მოცულობაა,  $A$  - ტექნოლოგიურ პროგრესს ასახავს და მოდელში აუხსნელ (ეგზოგენურ) ცვლადს წარმოადგენს. ცვლადების აღნიშნული არჩევანი განპირობებულია საკმაოდ მდიდარი ემპირიული ლიტერატურით და მწირი დაკვირვებების მოცულობით.

იმისათვის, რომ არაწრფივი კობ-დუგლასის საწარმოო ფუნქცია შევაფასოთ საჭიროა მისი გაწრფივება ნატურალური ლოგარითმის გამოყენებით. ხოლო მიღებულ წრფივ განტოლებას ორი მთავარი დადებითი მახასიათებელი გააჩნია: ნატურალური ლოგარითმით გამოსახული დროითი მწკრივები შედარებით ნაკლები ანომალიებით ხასიათდებიან და ფუნქციის შეფასებისას მიღებული კოეფიციენტები დამოუკიდებელი ცვლადების ელასტიკურობას გამოსატყვევებ დამოკიდებული ცვლადების მიმართ, რაც ამარტივებს შედეგების ინტერპრეტაციის პროცესს. წრფივი სახით წარმოდგენილ კობ-დუგლასის საწარმოო ფუნქციას შემდეგი სახე აქვს:

$$\ln Y_t = \alpha + \beta_1 \ln E_t + \beta_2 \ln L_t + \beta_3 \ln K_t + \varepsilon_t \quad (3)$$

სადაც,  $\ln Y_t$ ,  $\ln E_t$ ,  $\ln L_t$  და  $\ln K_t$  რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის, განახლებადი ენერჯის მოხმარების, დასაქმებული ადამიანების მთლიანი მოცულობის და მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის ფორმირების ლოგარითმებს წარმოადგენენ. შესაბამისად,  $\beta$  კოეფიციენტები განახლებადი ენერჯის, დასაქმებულთა რაოდენობის და კაპიტალის ელასტიკურობის კოეფიციენტებია რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ.  $\varepsilon_t$  კი დამოუკიდებელ და ნორმალურად განაწილებულ რეგრესიის ცდომილებას წარმოადგენს.

კობ-დუგლასის საწარმოო ფუნქციის ზემოხსენებული მოდელი სტატისტიკურია, თუმცა ცვლადებს შორის კავშირი დინამიკურ ხასიათს ატარებს, ამიტომაც აუცილებელია მოდელში ავტორეგრესიული კომპონენტის შემოტანა. შესაბამისად ანალიზის საწყის ეტაპზე აუცილებელია, რომ დროითი მწკრივები შევამოწმოთ ერთეულოვან ფესვის არსებობაზე (Unit Root) დიკი-ფულერის ტესტის გამოყენებით და საჭიროების შემთხვევაში განვახორციელოთ მათემატიკური გარდაქმნები (ლოგარითმიდან გადავიდეთ ზრდის ტემპებზე) რათა მივიღოთ სტაციონალური დროითი მწკრივები და თავიდან ავირიდოთ მცდარი რეგრესიის პრობლემა. სტაციონარული დროითი მწკრივის მიღების შემდეგ, აუცილებელია განისაზღვროს ოპტიმალური დროითი ლაგი და მოხდეს ვექტორული ავტორეგრესიის (VAR) მოდელის შეფასება. ვექტორული ავტორეგრესიის მოდელს შემდეგი ერთდროული განტოლებების სისტემისგან შედგება:

$$G_{Y,t} = \alpha_1 + \sum_{i=1}^n \theta_{1i} G_{Y,t-i} + \sum_{j=0}^n \delta_{1j} G_{E,t-j} + \sum_{v=0}^n \varphi_{1v} G_{L,t-v} + \sum_{u=0}^n \mu_{1u} G_{K,t-u} + \varepsilon_{1t} \quad (4)$$

$$G_{E,t} = \alpha_2 + \sum_{i=1}^n \theta_{2i} G_{E,t-i} + \sum_{j=0}^n \delta_{2j} G_{Y,t-j} + \sum_{v=0}^n \varphi_{2v} G_{L,t-v} + \sum_{u=0}^n \mu_{2u} G_{K,t-u} + \varepsilon_{2t} \quad (5)$$

$$G_{L,t} = \alpha_3 + \sum_{i=1}^n \theta_{3i} G_{L,t-i} + \sum_{j=0}^n \delta_{3j} G_{E,t-j} + \sum_{v=0}^n \varphi_{3v} G_{Y,t-v} + \sum_{u=0}^n \mu_{3u} G_{K,t-u} + \varepsilon_{3t} \quad (6)$$

$$G_{K,t} = \alpha_4 + \sum_{i=1}^n \theta_{4i} G_{K,t-i} + \sum_{j=0}^n \delta_{4j} G_{E,t-j} + \sum_{v=0}^n \varphi_{4v} G_{L,t-v} + \sum_{u=0}^n \mu_{4u} G_{Y,t-u} + \varepsilon_{4t} \quad (7)$$

სადაც,  $G_{Y,t}; G_{E,t}; G_{L,t}; G_{K,t}$  წარმოადგენენ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის, განახლებადი ენერჯის მოხმარების, დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობის და მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის ფორმირების ზრდის ტემპები;  $\alpha$  წარმოადგენს კონსტანტას; ხოლო  $\theta$ ,  $\delta$ ,  $\varphi$ , და  $\mu$  კოეფიციენტებს, ხოლო  $\varepsilon$ -ები ცდომილებებს წარმოადგენენ.

ვექტორული ავტორეგრესიის (VAR) მოდელის აგების შემდეგ მოხდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა განახლებადი ენერჯის მოხმარებასა და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპებს შორის გრეინჯერის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მეთოდის გამოყენებით.

მოდელში გაანალიზებული დროითი მწკრივები მოიცავენ სტატისტიკურ ინფორმაციას საქართველოს ენერგეტიკული და მაკროეკონომიკური ცვლადების შესახებ 2003 წლიდან 2016 წლამდე. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის და დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მოპოვებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (Geostat) ვებ-გვერდის მეშვეობით. მონაცემები მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის ფორმაციის შესახებ შეგროვდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის საერთაშორისო ფინანსური სტატისტიკის მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ხოლო, განახლებადი ენერჯის მოხმარების შესახებ მონაცემები შემუშავდა ენერგეტიკული საერთაშორისო სააგენტოს (IEA) და მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით. არჩევანი შედარებით შეზღუდულ დროით ინტერვალზე განპირობებული იყო ორი ფაქტორით. პირველი, 2003 წლამდე სტატისტიკური მონაცემები ნაკლები საიმედოობით ხასიათდება. მეორე, ინსტიტუციების დაბალი განვითარების პირობებში ეკონომიკურ განვითარება საფუძვლად სულ სხვა ფაქტორები ედო. და ბოლოს, ზოგიერთი ცვლადის შესახებ მონაცემები საერთოდ არ იყო ხელმისაწვდომი 2003 წლამდე. აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით შექმნილი ემპირიული კვლევის შედეგები, გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში.

## დასკვნა

განახლებადი ენერჯის პოპულარობა დღითიდღე იზრდება მსოფლიოს მასშტაბით. ქვეყნები ცდილობენ ტრადიციული ენერჯის მოპოვების საშუალებების განახლებადი ენერჯის წყაროებით ჩანაცვლება ბევრმა ქვეყანამ დაისახა მიზნად და ზოგიერთმა მათგანმა უკვე სასურველ შედეგსაც მიაღწია. განახლებადი ენერჯის წყაროებიდან პიდროენერჯის წყაროები დომინირებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ საკმაოდ დიდია მზისა და ქარის ენერჯის პოტენციალი.

საქართველო თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, რესურსების განაწილების და ეკონომიკური განვითარების პირობებში საკმაოდ დიდ იმედებს ამყარებს განახლებადი ენერჯის წყაროებზე. ქვეყნის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სრულიად დააკმაყოფილოს


ელექტროენერჯიაზე მზარდი მოთხოვნა საკუთარი ენერჯის წყაროების გამოყენებით და რეგიონის ქვეყნების დაინტერესებიდან გამომდინარე იქცეს ელექტროენერჯის ექსპორტორ ქვეყნად. როგორც კვლევები ცხადყოფს საქართველოს მხოლოდ ნაწილობრივ აქვს ათვისებული ჰიდროელექტროენერჯის რესურსები და მხოლოდ ახლა დაიწყო ქარის ენერჯის პოტენციალის შესწავლა და ქარის სადგურების გამოყენებით ელექტროენერჯის გამომუშავება. თითქმის გამოუყენებელი მზის ენერჯის საკმაოდ დიდი პოტენციალი და მხოლოდ უმნიშვნელო დონითაა გამოყენებული განახლებადი ენერჯის სხვა წყაროები. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ენერჯის წარმოების სეზონური ხასიათიდან გამომდინარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს განახლებადი ენერჯის დივერსიფიცირებული წყაროების გამოყენება.

საქართველოს ენერჯოსექტორისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სეზონური იმპორტის შემცირება, რაც სწორედ განახლებადი ენერჯის წყაროების პოტენციალის ათვისებით იქნება შესაძლებელი.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. ჩხაიძე, ბაადურ (2014). *"ენერჯეტიკა და ენერჯოუსაფრთხოება (განახლებადი ენერჯის გამოყენების არსებული დონისა და მისი გაუმჯობესების სტრატეგია)"*, გამომწვევები საქართველოს ენერჯო სექტორში და მდგრადი განვითარება.
2. Amri, F. (2017) „*Intercourse across economic growth, trade and renewable energy consumption in developing and developed countries*“. *Renewable and Sustainable Energy Reviews* 69: 527–534. <https://doi.org/10.1016/j.rser.2016.11.230>
3. Aslan, A. (2016) „*The causal relationship between biomass energy use and economic growth in the United States*“. *Renewable and Sustainable Energy Reviews* 57: 362–366. <https://doi.org/10.1016/j.rser.2015.12.109>
4. Dogan, E. (2016) „*Analyzing the linkage between renewable and non-renewable energy consumption and economic growth by considering structural break in time-series data*“. *Renewable Energy* 99: 1126–1136. <https://doi.org/10.1016/j.renene.2016.07.078>
5. Kahia, M.; Aissa, M. S. B.; Lanouarb, Ch. (2017). „*Renewable and non-renewable energy use - economic growth nexus: the case of MENA Net Oil Importing Countries*“. *Renewable and Sustainable Energy* <https://doi.org/10.1016/j.rser.2017.01.010>
6. Kelbakiani, G; Pignatti, N. (2012-13). *"Introducing Wind Generation as a Way to Reduce the Seasonal Volatility in Electricity Generation in Georgia"*. International Association of Energy Economics.
7. Sebri, M. (2015) „*Use renewables to be cleaner: meta-analysis of the renewable energy consumption–economic growth nexus*“. *Renewable and Sustainable Energy Reviews* 42: 657–665. <https://doi.org/10.1016/j.rser.2014.10.042>
8. Shahbaz, M.; Rasool, G.; Ahmed, K.; Mahalik, M. K. (2016) „*Consumption of Renewable Energy and Economic Growth*“ 10.3846/cbme.2017.048.
9. Šimelytė A.; Dudzevičiūtė, G.; (2017) „*Electricity consumption from renewable and non-renewable sources and economic growth: evidence from Latin American countries*“. *Renewable and Sustainable Energy Reviews* 30: 290–298. <https://doi.org/10.1016/j.rser.2013.10.006>
10. Tiba, S.; Omri, A. (2017) „*Literature survey on the relationships between energy, environment and economic growth*“, *Renewable and Sustainable Energy Reviews* 69: 1129–1146. <https://doi.org/10.1016/j.rser.2016.09.113>
11. Lin, B.; Moubarak, M. (2014) „*Renewable energy consumption – economic growth nexus for China*“. *Renewable and Sustainable Energy Reviews* 40: 111–117. <https://doi.org/10.1016/j.rser.2014.07.128>

გრაფიკი 1: ელექტროენერჯის წარმოება წყაროების მიხედვით




წყარო: ესკო

გრაფიკი 2 - ელექტროენერჯის მიწოდება, 2017




წყარო: ესკო

გრაფიკი 3 - ქართლის (გორის) ქარის სადგური გამომუშავება, 2017




წყარო: ესკო

გრაფიკი 4 - ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა



წყარო: ესკო

გრაფიკი 5 - საქართველოს ელექტროენერჯის ბალანსი, 2017, მლნ კვტ.სთ



წყარო: ესკო

David Keshelava

**THE POTENTIAL OF THE RENEWABLE ENERGY IN GEORGIA AND ITS MACROECONOMIC CONTEXT**  
Summary

Georgia's geographic location, distribution of the natural resources and the level of economic development of the country makes the renewable energy industry as the one of the most vibrant, fast-changing,

and transformative sectors of the Georgian economy. However, according to the great majority of the studies, Georgia has only partially utilizes its hydropower resources and has just begun studding potential of the wind energy. Furthermore, almost unused solar energy and nontraditional renewable energy sources could be considered as a wasted potential for the country. It worth mentioning that alongside with the unrealized potential, Georgia's electricity production is characterized by seasonality – the country is importing electricity in winter, while exporting it in the summer. The notable seasonal variation of the electricity production underlines importance of diversifying renewable energy sources.

Under considering the role of the renewable energy sector in the economic development, the empirical literature identifies three hypothesis of the causal relationship between the growth of the renewable energy consumption and economic development: growth hypothesis, conservation hypothesis and hypothesis of the feedback causality. According to the growth hypothesis, the increased growth of the renewable energy consumption causes higher economic growth. Conservation hypothesis identifies one-sided causal relationship from the economic growth to the growth of the renewable energy consumption. While, the hypothesis of the feedback causality states a bilateral causal linkage between the output and renewable energy consumption. This study aims to develop methodology of testing causal relationship between these two variables.

*ნინო ჟორჯიკაშვილი*

**კაპიტალის ადექვატურობის მაჩვენებლები ბაზელ III-ის მიხედვით და  
აღნიშნული ინდიკატორების მდგომარეობა  
საქართველოს საბანკო-საფინანსო სექტორისათვის**

*ანოტაცია.* ფინანსური სტაბილურობის მიღწევა ნებისმიერი ქვეყნის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს განსაკუთრებით კი, 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შემდგომ. ჯანსაღი ფინანსური სისტემა ქმნის პირობას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად, აქედან გამომდინარე კაპიტალის ადექვატურობის მაჩვენებლები გადამწყვეტ როლს თამაშობენ საფინანსო სექტორის მდგრადობის მხრივ და სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკებისათვის ერთგვარ დამცავ ფუნქციას ასრულებენ, წარმატებით გაუმკლავდნენ ეკონომიკურ თუ ფინანსურ შოკებს. ბაზელის კომიტეტი პერმანენტულად აქვეყნებს სამოქმედო ჩარხო-პირობას, რომლის თანახმადაც წარმოდგენილი კაპიტალის ადექვატურობის კოეფიციენტები ნებისმიერი ქვეყნის საბანკო-საფინანსო სექტორისათვის ერთგვარ ორიენტირს წარმოადგენს.

*საკვანძო სიტყვები:* კაპიტალის ადექვატურობის მაჩვენებლები, მაკროპრუდენციული პოლიტიკა, ფინანსური სტაბილურობა, საზედამხედველო კაპიტალი.

**კაპიტალის ადექვატურობის მაჩვენებლები  
ბაზელ III-ის მიხედვით**

კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა კაპიტალის ადექვატური ნორმების არსებობა, რომლის პირობებშიც ფინანსური ინსტიტუტი ეფექტიანად უზრუნველყოფს საფინანსო საქმიანობის განხორციელებას და არ შეუქმნის საფრთხეს საბანკო-საფინანსო სექტორს. გარდა ამისა, საფინანსო ინსტიტუტებისათვის ადექვატური რესურსების არსებობა წარმოადგენს კლიენტების ნდობის საფუძველს, დაარწმუნოს კრედიტორები მის ფინანსურ მდგრადობაში და დააკმაყოფილოს მათი საკრედიტო საჭიროებები, თუნდაც არასახარბიელო ეკონომიკურ პირობებში. თავის მხრივ, მეანაბრეებისა და კრედიტორების ნდობას ბანკების მიმართ მოაქვს, სტაბილურობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა მთელი საბანკო სისტემისთვის.

ბაზელის კომიტეტი<sup>95</sup> წარმოადგენს საერთაშორისო მარეგულირებელ ორგანოს, რომლის მთავარი მიზანია საფინანსო მდგრადობის უზრუნველყოფა, ეფექტური საზედამხედველო ფუნქციის განხორციელება და რისკის მენეჯმენტის უზრუნველყოფა, შესაბამისი ნორმებისა და რეგულაციების გამოქვეყნებით. ბაზელის კომიტეტი პერმანენტულად ახორციელებს კაპიტალის ადექვატურობის მაჩვენებლების მინიმალური ზღვრების დაწესებას, რომელიც ერთგვარ ორიენტირს წარმოადგენს თითოეული ქვეყნის

<sup>95</sup> ბაზელის კომიტეტი-საერთაშორისო საზედამხედველო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური მდგრადობის მიღწევას შესაბამისი რეგულაციების შემუშავებით.

საბანკო-საფინანსო სექტორისათვის [Basel Committee on Banking Supervision,2019:1]. კაპიტალის შესაბამისი კოეფიციენტების დაწესებით ბაზელის კომიტეტი ცდილობს საბანკო სექტორის შესაძლებლობის გაზრდას ფინანსური შოკების მიმართ, ასევე საბანკო სექტორის საქმიანობის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფასა და თითოეული ფინანსური ინსტიტუტის დონეზე სისტემური რისკების<sup>96</sup> მინიმალურ დონემდე შემცირებას.

2017 წელს [Basel Committee on Banking Supervision,2018:1,2] ბაზელის კომიტეტმა დაასრულა Pillar III-ის ჩარჩო-პირობით გათვალისწინებული საზედამხედველო და შეფასებითი ფუნქციის მეორე ფაზა, ხოლო 2018 წლის თებერვალში დაიწყო Pillar III-ით გათვალისწინებული მესამე ფაზის განხორციელება. განახლებული Pillar III-ის მიხედვით, ფინანსური სისტემის მდგრადობის უზრუნველსაყოფად ბაზელის კომიტეტი იყენებს შემდეგ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს:

- კაპიტალის კონტრციკლური ბუფერი;
- პირველადი კაპიტალი (Tier 1);
- საზედამხედველო კაპიტალი;
- კაპიტალის კონსერვაციული ფუფერი;
- ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი.

**ნახ. 1. ბაზელ III-ის კაპიტალის  
მაჩვენებელთა გრადაცია, 2013-2019**

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
კონტრციკლური ბუფერი (CCB)				0.625%	1.25%	1.875%	2.50%
პირველადი კაპიტალი (Tier1 <sup>97</sup> )	4.50%	5.50%	6%	6%	6%	6%	6%
მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი (კონსერვაციის ბუფერის ჩათვლით)		8%	8%	8.625%	9.25%	9.875%	10.50%
ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი			60%	70%	80%	90%	100%

წყარო: BIS working paper, International Convergence of capital measurements and Capital standards, 2019

კაპიტალის კონტრ-ციკლური ბუფერი<sup>98</sup> გულისხმობს კაპიტალის მოთხოვნის ცვლილებას ეკონომიკური ციკლის პარალელურად. კერძოდ, ეკონომიკური ბუმის დროს იზრდება სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნა საშუალო ნიშნულზე მაღლა, ხოლო რეცესიის დროს-მცირდება. კონტრციკლური ბუფერის გამოყენების ძირითადი იდეა მდგომარეობს ეკონომიკის აღმავლობის ფაზაში საკმარისი ოდენობის ფინანსური კაპიტალის მარაგის შექმნა, რაც რეცესიის დროს იქნება გამოყენებული საკრედიტო მიწოდების გასაზრდელად. მისი განსაზღვრისა და გამოყენების ორიენტირია კრედიტის მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი (credit-to-GDP) [Borio and Drehmann,2009:35].

ბაზელის კომიტეტის თანახმად, კაპიტალის კონტრციკლური ბუფერის მნიშვნელობა უნდა მერყეობდეს 0-2,5% საზღვრებში.<sup>99</sup> 2019 წლისათვის ზოგიერთ ქვეყანაში იგეგმება მაჩვენებლის ეტაპობრივად ზრდა, კერძოდ, ბულგარეთი 2019 წლის აგვისტოსათვის გეგმავს ნიშნულის დაწესებას 0.5%-მდე, ჩეხეთი 2019 წლის ივლისისათვის 1.5%-მდე, ხოლო 2020 წლის იანვრისათვის-1.75%-მდე, ისლანდია-2020 წლის თებერვლისათვის მაჩვენებელს გაზრდის 2%-იან ნიშნულამდე, ხოლო ნორვეგია და შვედეთი 2019

<sup>96</sup> სისტემური რისკი-რისკი, რომელიც ემუქრება მთლიანად საფინანსო სექტორს და ახდენს მის კოლაფსს.

<sup>97</sup> Tier 1 Capital-ბანკის ძირითადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები. იგი არის ბანკის მფლობელობაში არსებული კაპიტალი, რომელიც გამოიყენება ტრანსაქციებისათვის.

<sup>98</sup> მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტი, გამოიყენება საკრედიტო ციკლის პრო-ციკლურობის გასაწესებლად.

<sup>99</sup> Riskbank Studies. „countercyclical capital buffers as a macroprudential policy”, pp10, dec 2012

წლის მეოთხე კვარტლისათვის კაპიტალის ბუფერის 2.5%-იანი ნიშნული დაწესებას გეგმავენ [European Systemic Risk Board, 2019:17].

**პირველადი კაპიტალი (Tier 1 Capital)**-საზედამხედველო კაპიტალის ძირითადი წყარო, პირველადი კაპიტალი უნდა შეადგენდეს საზედამხედველო კაპიტალის არანაკლებ 50 პროცენტს და გამოიყენება ტრანსაქციებისათვის (ინვესტირება, ვაჭრობა, სესხის გაცემა). ბაზელ III-ის მიხედვით, იმისათვის, რომ ფინანსური ინსტიტუტი ჩაითვალოს კარგად კაპიტალიზებულად, აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა უნდა იყოს მინიმუმ 6%.

**მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი (Capital Adequacy Ratio (CAR))**- აღნიშნული მაჩვენებლის მიზანია უზრუნველყოს დეპოზიტარები მოსალოდნელი დანაკრებებისაგან და დაეხმაროს ფინანსურ სექტორს ეფექტურად ფუნქციონირებაში. CAR -ის მინიმალური მნიშვნელობა ბაზელ III-ის მიხედვით არის 10.5% კონსერვაციის ბუფერის გათვალისწინებით.<sup>100</sup> აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშებისას 2 ტიპის კაპიტალი მიიღება მხედველობაში: Tier 1 და Tier 2.<sup>101</sup> ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თიერ 2 უფრო მეტად სარისკოა Tier 1-თან შედარებით, რადგანაც შედგება ნაკლებლიკვიდური კომპოზიტიური აქტივებისაგან. თავის მხრივ Tier 2 შედგება შემდეგი კომპონენტისაგან: გადაფასების რეზერვები, ანარიცხები და ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტები.

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$CAR = \frac{\text{Tier 1 კაპიტალი} + \text{Tier 2 კაპიტალი}}{\text{რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები}}$$

**ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი**-მაჩვენებელი დაითვლება, როგორც მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების შეფარდება მთლიან წმინდა ფულად გადინებასთან. ბანკი უნდა ფლობდეს ლიკვიდურ აქტივებს, რომელიც საკმარისი იქნება ფინანსური სტრესის დროს მთლიანი წმინდა ფულადი გადინების გადასაფარად. ამისთვის, საჭიროა ბანკმა შეინარჩუნოს ადეკვატური ლიკვიდობის მარაგი, რომელიც საშუალებას მისცემს ბანკს გაუმკლავდეს მოსალოდნელ სხვაობას ლიკვიდური სახსრების შემოდინებასა და გადინებას შორის 30-დღიან სტრესულ პირობებში. არასტრესულ პერიოდში ჯამურად ყველა ვალუტის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 100%-ზე ნაკლები, რადგან მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების მარაგი განკუთვნილია მოსალოდნელ ფინანსურ სტრესთან გასამკლავებლად. ამასთან, ბანკის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი ცალკე უცხოურ ვალუტაში არ უნდა იყოს 100%-ზე ნაკლები, ხოლო ეროვნულ ვალუტაში 75%-ზე ნაკლები. ფინანსური სტრესის პირობებში ბანკს შეუძლია გამოიყენოს მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები, და შესაბამისად, ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი ჩამოსცდეს 100%-ს [საქართველოს ეროვნული 2018 წ:7,8].

**კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებლების მდგომარეობა საქართველოს საბანკო-საფინანსო სექტორისათვის**

საქართველოს საბანკო-საფინანსო სექტორისათვის კომერციული ბანკების კაპიტალის მოთხოვნები განისაზღვრება ბაზელ III-ის სტანდარტებითა და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის 575/2013 რეგულაციითა და 2013/36/EU დირექტივით [საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019:1-5]. კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრება "კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებით".

სებ-ის გადაწყვეტილებით, კაპიტალის კონტრციკლური ბუფერის მნიშვნელობა 2017 და 2018 წლისათვის 0%-იან განაკვეთზე არის დაწესებული და 2019 წლისათვისაც სებ-ი სავარაუდოდ, მაჩვენებელს იმავე ნიშნულს შეინარჩუნებს.

<sup>100</sup> Basel Committee, Financial Sector Review, 2015, pp5

<sup>101</sup> Tier 2-დამატებითი, შემავსებელი კაპიტალი, მაგ: გადაფასების რეზერვი, ჰიბრიდული ინსტრუმენტები და ა.შ.




**ნახ. 2. კაპიტალის კონტრციკლური ბუფერი და კომიტეტის გადაწყვეტილებები**

თარიღი	განაკვეთი
18.12.2017	0%
01.03.2018	0%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები, 2018 წ

რაც შეეხება პირველად და საზედამხედველო კაპიტალს, ბაზელ III-ის მოთხოვნის თანახმად, აღნიშნული მაჩვენებლები უნდა შეადგენდეს, შესაბამისად 4% და 8%-ს<sup>102</sup>, ხოლო საქართველოს საბანკო სექტორისათვის ეროვნულ ბანკის მიერ დაწესებული აღნიშნული მაჩვენებლები შეადგენს 8% და 12%-ს. ნახ.3-ზე წარმოდგენილია კაპიტალის ადექვატურობის კოეფიციენტი 2002-2016 წლებში, რომელიც აღემატება ბაზელის სტანდარტით დაწესებულ ნიშნულს, რაც განპირობებულია ჩვენი ქვეყნის საბანკო სექტორის არამდგრადობითა და მაღალი დოლარიზაციით, იგივე ტენდენციას ადასტურებს გრაფ. 4.

**ნახ. 3. კაპიტალის ადექვატურობის კოეფიციენტი(CAR), 2002-2016**




წყარო: The National Bank of Georgia's Forecasting and Policy Analysis System, Macroeconomics and Statistics Department  
Macroeconomic Research Division, 2016, გვ.35

**გრაფ. 4. საზედამხედველო კაპიტალი კვარტლების მიხედვით, 2015-2018**

თარიღი	2015Q1	2015Q2	2015Q3	2015Q4	2016Q1	2016Q2	2016Q3	2016Q4
მნიშვნელობა	11.7	12.0	11.8	12.0	12.0	11.8	12.3	10.5
თარიღი	2017Q1	2017Q2	2017Q3	2017Q4	2018Q1	2018Q2	2018Q3	2018Q4
მნიშვნელობა	11.6	11.4	11.6	14.0	14.2	14.2	13.1	13.5

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები, 2019

**ნახ. 5. კაპიტალის ადექვატურობის კოეფიციენტი(%) ქვეყნების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, მაკროეკონომიკური ინდიკატორები, 2017 წ

<sup>102</sup> The National Bank of Georgia's Forecasting and Policy Analysis System, Macroeconomics and Statistics Department  
Macroeconomic Research Division, 2016, გვ.35

საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის მონაცემებით, წარმოდგენილია კაპიტალის ადეკვატურობის შედარებითი გრაფიკი(იხ.გრაფ.5.) საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნებისათვის. საზედამხედველო კაპიტალის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი აქვს ესტონეთს-32%, შემდეგ უზბეკეთს-24%, ბულგარეთს-22%.საბოლოო ჯამში,უნდა ითქვას, რომ საქართველო, ისევე როგორც დანარჩენი ქვეყნები, აკმაყოფილებენ ბაზელის სტანდარტით გათვალისწინებულ კაპიტალის მოთხოვნის ნორმებს.

**გრაფ. 6. პირველადი და საზედამხედველო კაპიტალი საქართველოს კომერციული ბანკებისათვის, 2015-2017**

ბანკი	2015 წ.		2016 წ.		2017 წ.	
	პირველადი კაპიტალი	საზედამხედველო კაპიტალი	პირველადი კაპიტალი	საზედამხედველო კაპიტალი	პირველადი კაპიტალი	საზედამხედველო კაპიტალი
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"	12.83%	20.03%	8.84%	18.41%	9.61%	13.39%
სს "საქართველოს ბანკი"	12.32%	14.49%	10.69%	16.34%	9.47%	15.25%
სს "ბანკი ქართუ"	20.69%	35.40%	15.37%	29.83%	14.43%	28.33%
სს "თიბისი ბანკი"	12.50%	15.59%	13.79%	17.46%	14.04%	15.09%
სს "ლიბერთი ბანკი"	13.53%	18.11%	12.88%	19.81%	15.25%	23.99%
სს "პროკრედიტ ბანკი"	10.34%	15.22%	10.51%	14.81%	13.22%	17.08%
სს „სილქ როუდ ბანკი"	31.99%	35.60%	53.74%	52.60%	67.72%	67.87%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი,წლიური ანგარიში, ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები, 2017 წ

გრაფიკ 6-ზე წარმოდგენილია მონაცემები 2015- 2017 წლებისათვის შემდეგი კომერციული ბანკებისათვის: „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, „საქართველოს ბანკი“, „ბანკი ქართუ“, „თიბისი ბანკი“, „ლიბერთი ბანკი“, „პროკრედიტ ბანკი“, „სილქ როუდ ბანკი“. თითოეული ბანკის შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კომერციული ბანკები სრულად აკმაყოფილებენ ბაზელ III-ის მიხედვით დაწესებულ ნორმებს პირველადი და საზედამხედველო კაპიტალის ჭრილში, მეტიც ზოგიერთი ბანკის შემთხვევაში მაჩვენებლები დაახლოებით 2-ჯერ („ბანკი ქართუ“) და 3-ჯერ („სილქ როუდ ბანკი“) აღემატება მინიმალურ მნიშვნელობას[საქართველოს ეროვნული ბანკი,2017].

### დასკვნა

გლობალიზაციის პროცესის გაძლიერებისა და მისი ზრდის ტემპის კვალობაზე სულ უფრო აქტიურად მიმდინარეობს ფინანსური გარემოსა და ფინანსური ბაზრების მოდიფიკაცია, თუმცა აღნიშნული განვითარება არ არის უკონფლიქტო. ფინანსური სექტორის წინაშე არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე სულ უფრო აქტუალური ხდება ბაზელის კომიტეტის მიერ დაწესებული კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება თითოეული ქვეყნის დონეზე. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომერციული ბანკები სრულად აკმაყოფილებენ ბაზელ III-ის სტანდარტებს, რაც მიუთითებს მათ ფინანსურ მდგრადობაზე. აღნიშნული მოთხოვნები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკებისათვის, რათა მათმა ფინანსურმა სიძნელეებმა არ მოახდინონ მთელი საბანკო-საფინანსო სექტორის კოლაფსი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკი,წლიური ანგარიში, ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები, 2019 წ.გვ.1-5
2. Basel Committee on Banking Supervision, Consolidated Basel Framework, April 2019, pp. 1

3. Basel Committee on Banking Supervision, Pillar 3 disclosure requirements – updated framework, December, 2018, pp. 1-2
4. European Systemic Risk Board, Countercyclical Capital Buffer, 09.04.2019, pp.17-20
5. The National Bank of Georgia's Forecasting and Policy Analysis System, Macroeconomics and Statistics Department Macroeconomic Research Division, 2016, pp.1

*Nino Zhorzhikashvili*

## **CAPITAL ADEQUACY INDICATORS ACCORDING TO THE BASEL III AND CONDITION OF INDICATORS FOR FINANCIAL SECTOR OF GEORGIA**

### **Summary**

Financial stability is the main challenge of any country, especially after the 2008 global financial crisis. A healthy financial system is creating the conditions for economic development and achieving economic goals. Hence the capital adequacy ratios and indicators are playing crucial role for the financial sector, providing stability and protective role of systemically important banks to avoid economic or financial shocks successfully. The Basel Committee for Banking Supervision permanently publishes the Action Framework related to capital requirements, in order to ensure financial stability, implement effective banking supervision and risk management.

**Keywords:** *capital adequacy indicators, macroprudential policy, financial stability, supervisory capital.*

**ცოტნე ჯღენტო**

### **განახლებადი ენერჯის კოტინენტული საქართველოში და მისი გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე**

**ანოტაცია.** ენერჯის ახალი და ალტერნატიული წყაროების ძიება და გამოყენება უხსოვარი დროიდან მოყოლებული კაცობრიობის ფიქრისა და განსჯის საგანს წარმოადგენს.

მსოფლიო ეკონომიკის გაფართოებასთან ერთად იზრდება მოთხოვნა ენერჯიაზე, რაც პლანეტის შეზღუდული რესურსების ფონზე უმნიშვნელოვანეს როლს ანიჭებს განახლებად ენერჯორესურსებს. იგი მოიცავს ქარისა და მზის ენერჯიას, ჰიდრორესურსს, ზღვის მოქცევა/მიქცევის, ასევე გეოთერმულ და ბიო ენერჯიას. განახლებადი ენერჯის მიმართ მაღალი ინტერესი გამოწვეულია არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური, ეკოლოგიური თუ სოციალური ფაქტორებიდან გამომდინარე. მაგალითად, გარემოზე მინიმალური გავლენა, მავნე ნივთიერებების ემისიის მნიშვნელოვანი შემცირება, ენერჯორესურსების პორტფელის დივერსიფიცირება და შესაბამისად ნავთობზე დამოკიდებულების შემცირება, სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნებისათვის და მათ შორის საქართველოსთვის.

### **შესავალი (აქტუალობა)**

რატომ გეჭირდება განახლებადი ენერჯია?

წიაღისეული რესურსების - ნავთობის, გაზისა და ქვანახშირის ჩანაცვლება სხვა საშუალებებით რამდენიმე მიზეზის გამო გახდა აქტუალური:

1. მარაგების ამოწურვის რისკი;
2. ეკოლოგიური პრობლემები - წიაღისეული საწვავის მოხმარება დიდი რაოდენობით ნარჩენებს წარმოქმნის, რომლის განთავსება ხშირ შემთხვევაში ბევრ ძალისხმევას მოითხოვს და არც ისე ადვილია;
3. კლიმატის ცვლილება და გლობალური დათბობა - წიაღისეული რესურსების წვა აჩქარებს გლობალური დათბობის პროცესს. საწვავის წვის დროს გამოიყოფა მავნე ნივთიერებები - სხვადასხვა გაზები, რომლებიც „სათბურის ეფექტს“ ქმნიან და დედამიწის ზედაპირის ტემპერატურას ზრდიან.

დღევანდელ დღეს განახლებადი ენერჯია აქტუალურია როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. მაგალითად, OECD-ის არაწევრი ქვეყნების მოხმარებული ენერჯიის მოცულობა უკვე აღემატება OECD-ის წევრი ქვეყნების მოხმარებას. ენერჯის მოხმარე-

ბა/გარდაქმნა ხდება ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში მრავალი დანიშნულებით, შესაბამისად, განახლებად ენერჯიას აქვს მაღალი წმინდა ეკონომიკური მნიშვნელობა, რათა ხელი შეუწყოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

განახლებად ენერჯიაზე საუბრის დროს, უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ მისი ურთიერთქმედება გარემოსთან. ენერჯიის წარმოების პროცესში თითქმის არ გამოიყოფა რაიმე სახის მავნე ნივთიერებები, რაც უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს გარემოზე.

მისი მეორე მნიშვნელოვანი უპირატესობა გახლავთ მისი განახლებადობა, ამოუწურვადობა, განსხვავებით ისეთი ტრადიციული ენერჯიის წყაროებისა, როგორცაა გაზი, ნავთობი თუ სხვა წიაღისეული, რომელთა მარაგებიც ფიქსირებულია. დედამიწა, მოსახლეობის რაოდენობის მატებასთან ერთად სულ უფრო ნაკლები რესურსის ამარა რჩება, ამდენად გრძელვადიან პერიოდში განახლებადი რესურსების ფლობა წარმოადგენს უალტერნატივო უპირატესობას მრავალი მიმართულებით.

საქართველოს გააჩნია უდიდესი პოტენციული გახდეს განახლებადი ენერჯიის ტრანსფორმაციით მიღებული ელექტროენერჯიის მნიშვნელოვანი ექსპორტიორი. ეს კი, ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს მთლიანად რეგიონში. ხსენებული უპირატესობა კი შეგვიძლია ორ მნიშვნელოვან ასპექტად განვიხილოთ:

1. ენერგოლამოუკიდებლობა, რაც მეტად არსებითია პოლიტიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად რეგიონში,


2. ეკონომიკური სარგებელი, ქვეყნის შიდა მოხმარების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ ელექტროენერჯიის ექსპორტი მეზობელ ქვეყნებში.

საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის პირველი ადგილი პიდროენერგორესურსებს უჭირავს. საქართველოს ტერიტორიაზე დათვლილია 26 060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 60 ათასი კმ-ია. საქართველოს მტკნარი წყლის საერთო მარაგი, რომელიც შედგება მყინვარების, ტბებისა და წყალსაცავების წყლის მარაგებისაგან, შეადგენს 96,5 კმ<sup>3</sup>-ს. მდინარეთა საერთო რაოდენობიდან ენერგეტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა 300-მდე მდინარე, რომელთა წლიური ჯამური პოტენციური სიმძლავრე 15 ათასი მეგავატის ექვივალენტურია, ხოლო საშუალო წლიური ენერჯია 50 მლრდ კვტ.საათის ექვივალენტური.

საქართველოს მდინარეების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, რომელთაც ახასიათებთ მკვეთრად გამოხატული სეზონურობა, ამ რესურსების გადანაწილება წლიურ, ან მრავალწლიურ ასპექტში შესაძლებელია მხოლოდ მარეგულირებელი წყალსაცავებიანი ელექტროსადგურების მშენებლობის გზით. თუმცა ეკოლოგიური თვალსაზრისით ასეთი პროექტების მშენებლობა გართულებულია, ამიტომ ძირითადი აქცენტი კეთდება მცირე წყალსაცავიანი პიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე.


საქართველო მდიდარი ქვეყანაა განახლებადი ენერჯიის რესურსებით, თუმცა მწირი სახით მოიპოვება ენერჯიის ტრადიციული წყაროები. 2016 წელს, სულ საქართველოში 57.6 ათასი ტერაჯოული მოცულობის ენერჯიის წარმოება მოხდა, რაც 1.4 მლნ ტონა ნავთობის ექვივალენტია. ამ ენერჯიის ნახევარზე მეტი პიდრო რესურსებზე მოდიოდა - 58.3%. წარმოებულ ენერჯიაში კვლავ დიდი წილი აქვს ბიოსაწვავს და ნარჩენებს - 28.2%. დანარჩენი ენერჯიის წყაროებს შედარებით ნაკლები წილი აქვთ შიდა წარმოებაში: ქვანახშირი - 8.7%, ნედლი ნავთობი - 2.8%, გეოთერმული -1.5%, გაზი - 0.4% (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1: ენერჯიის წარმოება საქართველოში; 2016 წელი.



საქართველოში საბოლოო მოხმარებული ენერჯია 3.15-ჯერ აღემატება წარმოებულ ენერჯიას, რაც მეტწილად არაგანახლებად ენერჯო რესურსებზე მოთხოვნითაა გამოწვეული, რომელიც ქვეყანაში არ მოიპოვება, თუმცა რიგ დარგებში ტრადიციული ენერჯო რესურსები ფართოდ გამოყენება. შედეგად, 2016 წელს ქვეყნის შიდა მოხმარებაში თითქმის ერთი მესამედი ეჭირა ნავთობ-პროდუქტებს (33.1%), ხოლო მასზე ოდნავ ნაკლები ბუნებრივ გაზს (30.5%). როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში მცირდება ქვანახშირის როლი ეკონომიკაში (მოხმარების 5.8%). შიდა მოხმარების 20.8% მოდის ელექტროენერჯიაზე, რომლის წყარო ერთის მხრივ შიდა სხვადასხვა სახის განახლებადი ენერჯია/არაგანახლებადი ენერჯია ან იმპორტია. შიდა საბოლოო მოხმარების მხოლოდ 0.4% მოდის გეოთერმულ ენერჯიაზე.

**დიაგრამა 2: ენერჯიის მოხმარება საქართველოში; 2016 წელი**



წყარო: საქსტატი

მომდევნო 10 წლის განმავლობაში, ახალი საწარმოო სიმძლავრეების ფონზე მოსალოდნელია საქართველოს ელექტროენერჯიის მნიშვნელოვან ექსპორტიორად გადაქცევა. რეალისტური გათვლებით, მომდევნო წლებში ელექტროენერჯიის შიდა მოხმარება საქართველოში გაიზრდება წლიურად საშუალოდ 3.5%-ით. შედეგად, 2027 წლისთვის მოსალოდნელია 9.9 მლრდ კილოვატ საათის მოცულობის ელექტროენერჯიის წმინდა ექსპორტი, რაც მთლიანად წარმოებული ელექტროენერჯიის 37.6% იქნება.

რაც შეეხება განახლებადი ენერჯიის როლს ელექტროსისტემაში - 2016 წლისთვის საქართველოში არსებული განახლებადი ენერჯიის წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯია წარმოების 79.9%, ხოლო ქვეყნის მოხმარების 80.7%-ს შეადგენდა. იმავე მოხმარების ზრდის რეალისტური გათვლით (3.5% წლიურად), 2027 წლისთვის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯია წარმოების 87.7%, ხოლო მოხმარების 140.6% იქნება. გარდა ამისა, შესწავლის ეტაპზეა მზის და ქარის პოტენციური ელექტროსადგურები, რომელთა აშენება გაზრდის როგორც მთლიანად ენერჯიის წარმოებას, ასევე მასში განახლებადი ენერჯიების წილს.

### განახლებადი ენერჯიის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

რა პოტენციული აქვს განახლებად ენერჯო რესურსებს ეკონომიკური ზრდის დაჩქარების კუთხით. კვლევის აღნიშნულ ნაწილში, პოტენციური შედეგები წარმოდგენილი იქნება არა ენერჯეტიკულ, არამედ ეკონომიკური მაჩვენებლებით. კერძოდ კი, ეკონომიკურ ზრდასა და ექსპორტის ზრდაში წილით. მაჩვენებლების გასაანგარიშებლად, პირველ რიგში აუცილებელია შეფასდეს აგრეგირებული ენერჯეტიკული მაჩვენებლები ქვეყნის დონეზე. ამისათვის, გამოვიყენებთ არსებულ ინფორმაციას განახლებადი ენერჯიის პროექტების შესახებ (2017 წლის მდგომარეობით). საქართველოში არსებული განახლებადი ენერჯიის პროექტები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: მიმდინარე და პოტენციური. მიმდინარე პროექტებში გაერთიანებულია ყველა ის პროექტი, რომლის კუთხითაც არსებობს ინვესტორის ინტერესი. ეს პროექტები თავის მხრივ იყოფა სამ ჯგუფად:

1. მშენებლობის და ლიცენზირების ეტაპზე მყოფი პროექტები;

2. ტექნიკური და ეკონომიკური კვლევის ეტაპზე მყოფი პროექტები, შემდგომი მშენებლობის ვალდებულებით;

3. ტექნიკური და ეკონომიკური კვლევის ეტაპზე მყოფი პროექტები

ხოლო პოტენციური პროექტების სია შედგენილია საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ პოტენციურ ინვესტორთათვის (საქართველოში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ 125 ბრძანება).

თითოეული პროექტისთვის მოცემულია საშუალო წლიური გამომუშავება. მათ მიერ შექმნილი დამატებითი ღირებულების გასაანგარიშებლად, გამოიყენება გარკვეული დაშვებები (დაშვებები აღებულია პოტენციური პროექტებიდან).

ექსპორტის ტარიფი (USD) - 0,080

შიდა მიწოდების ტარიფი (USD) - 0,048

ტექნიკური დანაკარგები და საკუთარი მოხმარება - 3%

ექსპორტის წილი - 80%

შიდა მიწოდების წილი - 20%

კვლევაში გამოყენებულია შემდეგი დაშვებები:

1. თითოეული პროექტის საშუალო წლიური გამომუშავებას აკლდება ტექნიკური დანაკარგები (0.03%);


2. მიღებული გამომუშავება იყოფა ექსპორტსა და შიდა მიწოდებაზე (80%-20%);

3. მიღებული გამომუშავებები მრავლდება კილოვატის ელექტროენერჯის ფასზე და ჯამდება;

4. საბოლოო დამატებული ღირებულება იყოფა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რათა შეფასდეს მისი წილი.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლებად გამოვიყენეთ 2017 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი მიმდინარე ფასებში (15230 მლრდ აშშ დოლარი) და 2017 წლის ექსპორტის მაჩვენებელი (2348 მლრდ აშშ დოლარი).

**დიაგრამა 3: პროექტების პოტენციური ჯამური წილი ეკონომიკაში პროექტის სტატუსის მიხედვით**



წყარო: ავტორთა შეფასებები საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს (2017 წელი) და საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით

### დასკვნა

პროექტების დონეზე მიღებული ინფორმაციის აგრეგირების შემდეგ შესაძლებელია ზოგადი სურათის დანახვა, პირველ რიგში დავაჯამოთ პროექტები მათი სტატუსის მიხედვით:

**მშენებლობის და ლიცენზირების ეტაპზე მყოფი პროექტები (45 პროექტი) -** სრულ ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, ისინი წლიურად შექმნიან ჯამურ დამატებით ღირებულებას მიმდინარე მშპ-ს (2017 წელი) 2.5%-ის ოდენობით. მეორე ჯგუფში შედის **კვლევის ეტაპზე მყოფი პროექტები მშენებლობის ვალდებულებით (22 პროექტი)**, რომლის პოტენციური გამოშვების წილი მიმდინარე მშპ-ს 2.2%-ია. ეს არის პროექტები, რომელთათვის განსაზღვრულია მშენებლობის ვადები და ვალდებულებები, თუმცა კვლავ მიმდინარეობს კვლევითი სამუშაოები. შემდეგი ჯგუფია **ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევის ეტაპზე მყოფი პროექტები (80 პროექტი)**; ამ პროექტებზე არსებობს გამოხატული ინტერესი ინვესტორების მიერ, თუმცა ჯერ მხოლოდ კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობს, რის შემდეგაც შეიძლება მოხდეს მათი მშენებლობის ვადების განსაზღვრა. ამ პროექტების ჯამური წვლილი მშპ-ში 4.6%-ით განისაზღვრება. მეოთხე ჯგუფია **პოტენციური პროექტები (99 პროექტი)**, რომლებიც ჯერ მხოლოდ თეორიულად არსებობს და მასზე არაა გამოხატული ინვესტორის ინტერესი. პოტენციური პროექტების პოტენციური ჯამური წილი მშპ-ში 3.2%-ს შეადგენს.

განახლებადი ენერჯის მიმდინარე და პოტენციური პროექტები რამდენიმე განახლებადი ენერჯის წყაროთი განისაზღვრება. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჰიდრო რესურსებს უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ქართულ ენერჯეტიკაში. ჰიდრო ელექტროსადგურების პროექტების (როგორც მიმდინარე, ისე პოტენციური) ჯამური პოტენციური წვლილი მიმდინარე ეკონომიკის ზომასთან შედარებით საკმაოდ მაღალია და 10.2%-ს შეადგენს. ჰიდრო რესურსების შემდეგ, საქართველო ინვესტორთათვის მიმზიდველია ქარის ენერჯით, ქარის ელექტროსადგურებისთვის ხსენებული მაჩვენებელი 2.0%-ს შეადგენს. ინტერესი მზის ენერჯის ათვისებით კუთხით, ჯერ-ჯერობით მწირია (0.3%), ისევე როგორც ბიო ნარჩენების გადამუშავებაზე.

ჯამურად ოთხივე ტიპის პროექტების პოტენციური წვლილი ეკონომიკაში 12.6%-ია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ცხადია კვლევა ემყარება გარკვეულ დაშვებებს, და ყველა პროექტის განხორციელებას ათეულობით წლები დასჭირდება და არსებული ეკონომიკის ზრდის ფონზე, სხვა თანაბარ პირობებში ეკონომიკურ ზრდაში მათი წვლილი შემცირდება. თუმცა, პროექტების პოტენციური ეკონომიკური სარგებელი მეტად თვალსაჩინოა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. A strategy for smart, sustainable and inclusive growth” and in 2011 “A resource-efficient Europe – Flagship initiative under the Europe 2020 Strategy”
2. An Action Plan for the Circular Economy EU 2015”; China (2009), “Circular Economy
3. Chiara Conti, Maria Luisa Mancusi - Transition Towards a Green Economy in Europe: Innovation and Knowledge Integration in the Renewable Energy Sector (2015)
4. Geoffrey Heal - THE ECONOMICS OF RENEWABLE ENERGY (2009)
5. Guerrero, M. G. S. National natural capital accounting with the ecological footprint concept. Ecol. Econ. 1999, 29, 375–390.
6. Hermann Scheer - The Solar Economy: Renewable Energy for a Sustainable Global Future (2013)
7. International Energy Agency - World Energy Outlook 2016
8. Nicholas Apergis, James E. Payne - Renewable energy consumption and economic growth: Evidence from a panel of OECD countries (2010)
9. OECD (2009), “The Bioeconomy to 2030. Designing a policy agenda”; EU (2012), “Innovating for Sustainable Growth: A Bioeconomy for Europe”; USA (2012), “National Bioeconomy Blueprint
10. Promotion Law”; Spain (2018), “Circular Spain 2030 – Spanish Circular Economy Strategy. Netherlands (2016), Circular Economy in the Netherlands by 2050” [8,9].
11. Ramcilovic-Suominen, S.; Püzl, H. Sustainable development – A ‘selling point’ of the emerging E bioeconomy policy framework? J. Clean. Prod. 2016, , 4170–4180, doi:10.1016/j.jclepro.2016.12.157.
12. The International Renewable Energy Agency (IRENA) - RENEWABLE ENERGY BENEFITS: MEASURING THE ECONOMICS (2016)
13. The Renewable Energy Policy Network for the 21st Century (REN21) - RENEWABLES 2016 GLOBAL STATUS REPORT
14. The European Commission’s ‘Europe 2020’ strategy considers developing a smarter and greener Europe essential
15. United Nations The 2030 Agenda for Sustainable Development; 2015; 778 5. European Commission European Bioeconomy Stakeholders Manifesto; 2017

POTENTIAL OF RENEWABLE ENERGY IN GEORGIA AND ITS ROLE IN ECONOMIC DEVELOPMENT

Summary

Establishing a sustainable and green economy is very actual challenge in modern world. Polluted urban environment and high dependence on non-renewable energy recourses are problems for developing countries including Georgia.

Which green energy types can be lead the process in Georgia? How synergy effects can improve our potential to provide and to consume clean energy.

We will evaluate the opportunities of renewable energy in country. Research is determining green energy contribution in energy sector growth and its benefits in overall economic development. Also, long-term predictions about renewable energy sector impacts on economic growth and other macroeconomic parameters.

This data consists assumptions, operational and financial indicators about ongoing and potential renewable energy projects. These projects (Total – 246 project) are arranged into four groups:

- 1. Construction and Licensing Stage
2. Feasibility Study Stage with Construction Liabilities
3. Feasibility Study Stage
4. Potential Projects

First three group consist ongoing renewable energy power plant projects where investors interest is expressed. 4th group are potential projects which is a suggestion for potential investors. Information consist preliminary indicators like construction cost, construction period, installed capacity, average annual generation, Export/domestic tariff, domestic/foreign market shares for produced energy and etc.

Using assumptions and fixed variables it can be calculated total added value to GDP from each project. If we summarize results, we can calculate production shares per GDP (2017 year) of all projects for each group:

- Construction and Licensing Stage -2.5%
• Feasibility Study Stage with Construction Liabilities - 2.2%
• Feasibility Study Stage – 4.6%
• Potential Projects -3.2%

For HPP’s potential production volume is 10.2% of current GDP (including all current and potential projects), for Wind it is less (2.0%) and only 0.3% gain from Solar power projects.

სალომე სილაგაძე

კლიმატური ცვლილება და მიგრაცია

ანოტაცია. კლიმატური ცვლილებები, კონკრეტულად გლობალური დათბობა და მასთან დაკავშირებული სხვა ბუნებრივი კატაკლიზმები მეცნიერების ყურადღების ცენტრში ექცევა. ცვლილებები ეფექტს ახდენს არა მხოლოდ ეკოსისტემებზე, არამედ ასევე, საფუძველი ხდება ადამიანების მიგრაციისა.

მეცნიერული ნაშრომი განიხილავს ეკომიგრაციის თავისებურებებს, თუ რა პრობლემები შეიძლება მოჰყვეს კლიმატურ ცვლილებებს და თუ რა ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს მიგრაციაზე სხვადასხვა კატაკლიზმებს.

საკვანძო სიტყვები: კლიმატური ცვლილებები, მიგრაცია, ეკომიგრაცია

შესავალი

21-ე საუკუნის მთავარი გამოწვევა ეკოლოგიის შენარჩუნება და გლობალური დათბობის შესუსტება და/ან შეჩერებაა. მეცნიერები აფიქსირებენ, რომ ყოველწლიურად მთელი დედამიწის გარშემო ზღვის დონე მაღლა იწევს, ოკეანეებში წყლის ტემპერატურა, გვალვების რაოდენობა და სისშირე იზრდება. აღნიშნული ფაქტები ხელს უწყობს საზღვაო და სახმელეთო ეკო-ცენტრების გამოფიტვასა და გაუჩინარებას.

ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული მოხმარება, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს ეკოსისტემების დეგრადაციას. ეკო მიგრაციის პრობლემა გან-



საკუთრებით ემუქრება განვითარებად ქვეყნებს, სადაც დარეგულირებული და/ან დაცული არ არის ბუნების კონსერვაციასთან დაკავშირებული რეგულაციები და პოლიტიკა.

ტერმინი "ეკოდეზინი" იგივე ეკომიგრანტი, 1970-იან წლებში Worldwatch ინსტიტუტის თანამშრომელმა, ლესტერ ბრაუნმა შექმნა. გაერო დევნილებს (refugee) და ეკომიგრანტებს (environmental refugee) სხვადასხვა ცნებებად "აღიქვავს", მიგრაციის სხვადასხვა თავისებურებების გამო. თუმცა, ერთი რამ რაც საერთო აქვთ ამ აღნიშნულ ტერმინებს ის არის, რომ ორივე შემთხვევაში ადამიანებს თავიანთი სურვილის წინააღმდეგ უწევთ საცხოვრებლის დატოვება.

გლობალური გარემოსდაცვითი ცვლილების და ადამიანის უსაფრთხოების პროექტის ყოფილი თავჯდომარე სტივ ლონერგან აღნიშნავს, რომ ხუთი ფაქტორი შეიძლება გახდეს ეკომიგრაციის საფუძველი: 1) ბუნებრივი კატაკლიზმები, 2) ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ გარემოს შეცვლას, 3) ბუნების პროგრესული ევოლუცია, 4) ინდუსტრიული უბედური შემთხვევები და 5) შეიარაღებული კონფლიქტები [7].

ზუსტი კავშირი კლიმატის ცვლილებასა და ადამიანის მოქმედებას შორის არ არის დამტკიცებული. თუმცა, მეცნიერები დეტალურად იწვებენ დაკვირვებას და აღწერას, სხვადასხვა რეპორტებსა და წიგნებში, ბუნებრივი კატაკლიზმების ეფექტს ეკოლოგიაზე და სოციალურ სისტემებზე.

ამჟამად, საერთაშორისო ორგანიზაციები ვერ ახერხებენ ზუსტი ინფორმაციის მოპოვებას თუ რამდენ ადამიანს მოუწია თავისი კერის დატოვება კლიმატის ცვლილების გამო. გლობალურ საზოგადოებას და განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებს არ აქვთ საშუალება, რომ მოიპოვონ აღნიშნული მონაცემები. შესაბამისად, ეკომიგრაციის მასშტაბი ხშირად ითვლება სავარაუდო მჩვენებლების მიხედვით. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ეკოდეზინების რაოდენობას 40 მილიონიდან 140 მილიონამდე განსაზღვრავენ. თუმცა, გაერო ვარაუდობს, რომ 2050 წელს მსოფლიოს გარშემო დაახლოებით 25 მილიონი ეკომიგრანტი იცხოვრებს [4].

საქართველოში ეკომიგრანტების საკითხს განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს არეგულირებს. 2016 წელს ეკომიგრანტების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული იყო დაახლოებით 5,000 ოჯახი. საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილის დასკვნაში აღნიშნულია, რომ მთავრობას დეტალურად არ აქვს შესწავლილი ეკომიგრანტების ზუსტი სტატისტიკა და მათი ახალ გარემოსთან ინტეგრაციის მჩვენებლები. აღნიშნული საკითხები პრობლემატურია მრავალ ქვეყანაში (რადგან ეკომიგრაცია ეხლა იქნეს "პოპულარობას", როგორც მეცნიერების ასევე, სახელმწიფო მმართველების თვალში) მაგრამ მომავალში აუცილებლად უნდა იქნეს დაწვრილებით გამოვლენილი [9].

### ეკომიგრაციის ზოგიერთი თავისებურებები

ეკომიგრაციის პროცესი ძირითადად ქვეყნის შიგნით ვითარდება. უმეტეს წილად მოქალაქეები სოფლებიდან ქალაქში მიგრაციას ამჯობინებენ რაც შემდეგ ზრდის ურბანიზაციის დონეს და იწვევს დესტაბილიზაციას შრომის მოთხოვნა-მიწოდებას ბაზარზე. ისეთ ქვეყნებში, როგორც არის მაგალითად დასავლეთი აფრიკა ეკომიგრანტები ხშირად რეგიონის შიგნით არსებულ ქალაქებში ცდილობენ საცხოვრებლის პოვნას [5].

იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება გადაადგილებულების დაბრუნება, როგორც მეცნიერული დაკვირვებები ცხადყოფს (ზოგიერთი ამერიკული საზოგადოების შესწავლის შედეგად) ურბანული მიგრაციის შედეგად მცირდება არსებული ადამიანური რესურსები. კონკრეტულად, იკლებს იმ ლიდერების და/ან ექსპერტების რაოდენობა, რომლებსაც წამყვანი პოზიციები ეკავათ აგროკულტურის განვითარებაში [12]. შესაბამისად, ფერხდება აგროკულტურის და ეკოლოგიის მდგრადი პროგრესი.

გარდა გადამეტებული ურბანიზაციისა, ეკომიგრაციამ შეიძლება არასტაბილური პოლიტიკური ვითარებაც შექმნას მსოფლიოს გარშემო. იმ შემთხვევაში, თუ ლიბერლებული ბუნებრივი რესურსის გაყოფა ვერ მოხდება ადამიანებს შორის არის მოლოდინი, რომ კონფლიქტები ფიზიკურ დაპირისპირებებშიც გადაიზარდოს. თანამედროვე რეალობაში აღნიშნული საკითხის მკაფიო მაგალითია ებრაელი და პალესტინელი მოქალაქეების ურთიერთობა. როგორც კი ისრაელი წყვეტს პალესტინისთვის წყლის მიწოდებას, ვითარება ორ სახელმწიფოს შორის უკიდურესად იძაბება.

სავარაუდო მიგრაციის ტრენდების გასათვინცნობიერებლად აუცილებელია, რომ განხილული იქნეს თუ როგორ გავლენას ახდენს სხვადასხვა ეკოლოგიური ცვლილებები ადამიანების გადაადგილებაზე:

### 1. გლობალური დათბობა

მიმდინარე ტემპერატურის ზრდა დაარღვევს არსებულ ბალანსს ადამიანებსა და ეკოსისტემას შორის. უახლოესი რეპორტების მიხედვით 1990 წლიდან 2100 წლამდე დედამიწაზე საშუალო ტემპერატურა აიწვეს დაახლოებით 3 გრადუსით [4].

მსოფლიოს გარშემო ტემპერატურის გაზრდა არამხოლოდ დათბობს დედამიწას არამედ, გამოიწვევს სხვა ბუნებრივ კატაკლიზმებს, როგორც არის ზღვის დონის აწევა, მყინვარების დადნობა და ა.შ. საგრძნობლად გაიზრდება იმ ადგილების რაოდენობა, რომელიც უდაბნოდ იქცევა და/ან წყლით დაიფარება

დათბობიდან გამომდინარე მრავალი ქალაქი, განსაკუთრებით კი ის დასახლებული პუნქტები, რომლებიც დამოკიდებულია ეკოსისტემაზე საკვების მხრივ, ცხოვრებისათვის შეუსაბამო გახდება. შესაბამისად, გაიზრდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც დატოვებენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს.

### 2. მყინვარების დნობა და ზღვის დონის ზრდა

გლობალური დათბობა ხელს უწყობს მყინვარების დნობას, რაც დამატებით ზრდის ზღვის დონის ზრდას. სავარაუდოდ, მომავალში წარმოიქმნება მრავალი ახალი ტბა, რომელმაც შესაძლოა დაფაროს დასახლებული ტერიტორიები [3].

მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 44% ცხოვრობს საზღვაო ნაპირიდან 150 კილომეტრის რადიუსში. მეცნიერების დასკვნით 2100 წლისთვის ზღვის დონე 65 სმ-ით აიწვეს მსოფლიოს გარშემო [11].

აღნიშნული მოვლენის გამო მოიმატებს მლაშე წყლის, წყალდიდობების, ეროზიის და ქარიშხლების რაოდენობა. დეგრადირდება მტკნარი წყლის რესურსები, მოსავლის მოპოვების ალბათობა და ზოგადად, საკვების მარაგები.

არსებობს საფრთხე, რომ ქალაქები როგორც არის: ჯაკარტა, ლაგოსი და მანილა [8], მთლიანად დაიფაროს წყლით. შესაბამისად, მსოფლიო საზოგადოება და სახელმწიფოები უნდა მოემზადონ, რომ ეფექტურად დაეგეგმონ მსგავსი რისკის ქვეშ მყოფი ქალაქებში და კუნძულებზე მცხოვრები პირების მიგრაცია, რადგან ამჟამინდელ ინფრასტრუქტურას ემუქრება განადგურება.

### 3. გვალვა

გვალვა აზიანებს აგროკულტურას. ის იწვევს საკვების ნაკლებობას და/ან მომწამვლელობას. ზარალდებიან ფერმერები, რომლებსაც უნაღებობის გამო ხშირად უფუჭდებათ მოსავალი, სამუშაო მიწები კი გამოუსადეგარი ხდება. სიცხის შედეგად იზრდება. ადამიანებს შორის სხვადასხვა ინფექციის ან დაავადების გავრცელების ალბათობა.

მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ გვალვა იწვევს, როგორც გრძელ ასევე, მოკლევადიან მიგრაციას. აღნიშნული მოვლენის დროს შესაძლებელია, რომ მოხდეს არამხოლოდ კონკრეტული პირების დროებითი გადასახლება (საკვების მარაგის და/ან დამატებითი ფინანსური საშუალებების მოსაპოვებლად) არამედ, ოჯახების მიგრაციას. მაგალითად, ეთიოპიაში გვალვის დროს ახალგაზრდები ტოვებენ თავიანთ კერებს და მიემგზავრებიან კვების ბანაკებში და/ან ურბანულ დასახლებებში, სხვა ოჯახის წევრებისთვის შიმშილის ასარიდებლად [2].

გაუდაბნობების და გვალვის შედეგად ემიგრირებული პირები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუბრუნდებიან თავიანთ კერას, თუ მათ ექნებათ ალტერნატიული შემოსავლის მოპოვების საშუალებები. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ გრძელვადიანი გარემოების ცვლილებები (ისეთი როგორც არის მაგალითად გაუდაბნობა) უფრო მეტი რაოდენობის ადამიანზე ახდენს ზეგავლენას, ვიდრე სხვა ბუნებრივი მოვლენები.

საერთაშორისო კატასტროფის მონაცემთა ბაზის მიხედვით 1979- 2008 წლამდე გვალვებმა 1.6 მილიარდი ადამიანი დააზარალა. ამავე დროის პერიოდში კი ქარიშხლებმა 716 მილიონ ადამიანზე მოახდინა ზეგავლენა [1].

ქარიშხლები და ციკლონები საშიშია ადამიანის სიცოცხლისათვის. ისინი მოკლე ვადაში ზრდიან მიგრაციის მოტივაციას. რადგან ზემოთ ხსენებული მოვლენები ინფორმაციული საშუალებებით აქტიურად შექდება ადამიანებს აქვთ ინფორმაცია შესაძლო

ქონებრივ და ჯანმრთელობის დანაკარგზე და შესაბამისად, წინასწარ მოკლე ვადაში ცდილობენ დატოვონ ტერიტორია.

თუ ბუნებრივი კატაკლიზმის შემდეგ ფისკალური დანაკარგები არ არის ძალიან დიდი, ხშირ შემთხვევაში დაზარალებული ადამიანები თავიანთ ძველ საცხოვრებელ ადგილებს უბრუნდებიან [10].

### დასკვნა

ზემოთ მოცემული ინფორმაცია მოწმობს, რომ აუცილებელია ეკოსისტემების ეფექტური მენეჯმენტი რადგან ეკომიგრაციის შედეგად დიდი რაოდენობით ადამიანებს ხშირ შემთხვევაში ერთიანად უწევთ ტერიტორიის დატოვება. საჭიროა არამხოლოდ, სათადარიგო ტერიტორიის არსებობა (სადაც დაზარალებულებს შეუძლიათ დასახლდნენ) არამედ, მნიშვნელოვანია იმის შეფასებაც თუ რამდენად ერწყმებიან გადმოსახლებული პირები ახალ გარემოებებს. აღნიშნული ინფორმაცია სახელმწიფოს დაეხმარება შეაფასოს თუ რამდენად ეფექტურად არის დაგეგმილი ეკო კრიზისების მენეჯმენტი და თუ რისი გამოსწორება შეიძლება მომავალში.

გარდა ამისა აუცილებელია, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლა (განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში), რადგან ეკოსისტემის ცვლილების შემდეგ გაიზრდება მიგრანტთა რაოდენობა თუმცა, შემცირდება საკვები პროდუქტის რაოდენობა. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ არამხოლოდ მრავალი ადამიანის ჯანმრთელობა დაქვეითდება არამედ, მოსალოდნელია, რომ მწირი ბუნებრივი რესურსების გამო დაიწყოს ფიზიკური დაპირისპირება, როგორც ადამიანებს ასევე, სახელმწიფოებს შორის.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. DAT | The international disasters database. (n.d.). Retrieved from <http://www.emdat.be/database>
2. Ezra, M & Kiros, Gebre-Egziabher. (2001). Rural out-migration in the drought prone areas of Ethiopia: A multilevel analysis. *The International migration review*. 35. 749-71;
3. Gibbens, S. (2019, April 08). Melting glaciers contribute a third of sea-level rise. Retrieved from <https://www.nationalgeographic.com/environment/2019/04/world-mountain-glaciers-melting-sea-level-rise/> ;
4. International Organization for Migration. (n.d.). "Migration and Climate - IISD". Retrieved from [https://www.iisd.org/pdf/2008/migration\\_climate.pdf](https://www.iisd.org/pdf/2008/migration_climate.pdf)
5. Mcdonald, D. A. (1999, February). Lest the rhetoric begin: Migration, population and the environment in Southern Africa. Retrieved from <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/12322616>
6. Mostafa Mahmud Naser, Climate Change, Environmental Degradation, and Migration: A Complex Nexus, 36 *Wm. & Mary Envtl. L. & Pol'y Rev.* 713 (2012), <http://scholarship.law.wm.edu/wmelpr/vol36/iss3/4>
7. Renaud, Fabrice & Bogardi, Janos & Dun, Olivia & Warner, Koko. (2007). Control, Adapt or Flee How to Face Environmental Migration?;
8. Rosane, O. (2018, October 05). 8 World Cities That Could Be Underwater as Oceans Rise. Retrieved from <https://www.ecowatch.com/cities-vulnerable-sea-level-rise-2610208792.html>
9. State Commission on Migration Issues, 2017, "Profile of Georgian Migration, 2017", pp. 67–68.
10. Suhrke, Astri. (1992). Pressure Points: Environmental Degradation, Migration and Conflict;
11. New study finds sea level rise accelerating – Climate Change: Vital Signs of the Planet. (2018, June 13). Retrieved from <https://climate.nasa.gov/news/2680/new-study-finds-sea-level-rise-accelerating/>;
12. Zamora R and Foladori G. 2006. Paradoxes of international migration and sustainability. *Ecology in an era of globalization: challenges and opportunities for environmental scientists in the Americas*. Proceedings of the Ecological Society of America International Conference; 2006 Jan 8–12; Merida, Mexico. Washington, DC: ESA.

## CLIMATE CHANGE AND MIGRATION

## Summary

Climate change has been becoming an important subject of discussions for regular citizens and scientists, all over the world. The future and the consequences that the humanity is creating for itself cannot be foreseen directly. However, it is evident that throughout our actions we are dealing with natural cataclysms and general changes that effect both economy and global society.

The article "Climate Change and Migration" explores how global warming and its effects affect humans, in terms of migration.

The paper discusses various aspects of the environmental migration. Recent events (like hurricane Katrina) that caused significant economic and moreover, social losses have proved global warming will cause metamorphosis that shall effect global society in various ways.

Although, the term "environmental migrant" is relatively newly coined term, it is evident that due to natural cataclysms a growing number of people will have to leave their habitat, against their will. Even small countries, like Georgia, are facing the consequences of calamities.

Even though there are no official statistics concerning the "ecomigrants" it is important to discuss what specifications does the "eco migration" have and what trends of resettlement been identified by the scientists concerning various natural disasters.

The first section of the paper examines various pieces of information, from different international institutes, about climate change and how it can effect people living in different conditions. While, the second part of the text discusses various examples that have been referenced from recent history and analyzes in detail what consequences do various natural cataclysms hold.

**Keywords:** Climate change, migration, environmental migration.

ნინო ტალიკაძე

მწვანე ეკონომიკის კონცეფცია და  
საქართველოს პოზიცია გლობალურ მწვანე ეკონომიკაში

**ანოტაცია.** ბოლო ათწლეულების მანძილზე გლობალური ეკონომიკა ცვლილებათა სამმა ძირითადმა ტალღამ მოიცვა. პირველი, ეს იყო საქონლის, ფინანსებისა და ინფორმაციის ნაკადების მიმოცვლის ბარიერების შემცირება. მეორე, ეკონომიკური ძალაუფლების გადანაცვლება დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ხოლო მესამე ტალღა, კლიმატის გლობალურმა ცვლილებებმა წარმოშვა, რაც მხოლოდ დასაწყისია და მიმართულია უფრო მწვანე მსოფლიო ეკონომიკის ჩამოყალიბებისკენ. მწვანე ეკონომიკის კონცეფცია დაიწყო მდგრადი განვითარების იდეიდან და დაფუძნებულია მდგრადი, გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიაზე. მწვანე ეკონომიკის შედეგია ადამიანის გაუმჯობესებული კეთილდღეობა და სოციალური თანასწორობა, რომელიც ამცირებს გარემოსდაცვით რისკებს და ეკოლოგიურ დეფიციტს. უკანასკნელ წლებში მწვანე ზრდის, როგორც ზრდის ახალი წყაროს, ხელშეწყობა თანდათან იმატებს. ამან განაპირობა სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებლებისა და რეიტინგების შექმნა ქვეყნის გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში პოზიციის და სამომავლო მიმართულებების დასადგენად. მსგავსია გლობალური მწვანე ეკონომიკის ინდექსი და ეკოლოგიური ეფექტიანობის რეიტინგი და ა.შ.


გლობალური მწვანე ეკონომიკის ინდექსის მიხედვით საქართველო შუალედურ პოზიციას იკავებს მსოფლიო ქვეყნებს შორის. მეორე მხრივ, ეკოლოგიური ეფექტიანობის რეიტინგის თანახმად, საქართველო მსოფლიო ქვეყნების მხოლოდ მეორე ნახევარში ხვდება, თუმცა გაუმჯობესებელი მაჩვენებლებით. საქართველოს მდიდარს ბუნებრივი რესურსებით აქვს პოტენციური სწრაფი განვითარებისა. განვითარებადი ქვეყნებისთვის არსებობს გარკვეული ვ ზები გლობალური მწვანე ზრდის მისაღწევად. ბევრ ქვეყანას მწვანე ზრდა ესმის როგორც ინკლუზიური ეკონომიკური განვითარება, რაც ითვალისწინებს გარემოსდაცვითი და სოციალური ღირებულებების შემუშავებას, შექმნას და შენარჩუნებას. მწვანე ეკონომიკის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მწვანე ზრდის ხელშეწყობი პირობების უზრუნველყოფა ქვეყნის დონეზე, მწვანე ზრდის მენისტრიტიული მექანიზმებისა და მწვანე ზრდის პოლიტიკის ინსტრუმენტების იმპლემენტაცია პრაქტიკაში.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ეკონომიკის კონცეფცია, მწვანე ეკონომიკის პრინციპები, მწვანე ზრდის ინდიკატორები, გლობალური მწვანე ეკონომიკის ინდექსი, ეკოლოგიური ეფექტიანობის რეიტინგი.

## შესავალი

2006 წელს, ლონდონის ეკონომიკური სკოლის კლიმატის ცვლილებისა და გარემოს გრანთემის კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტის თავჯდომარემ, ეკონომისტმა ნიკოლას შტერნმა გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც მიმოიხილავდა კლიმატის ცვლილების ზემოქმედებას მსოფლიო ეკონომიკაზე და განიხილავდა მას, როგორც ეკონომიკური განვითარების ყველაზე დიდ გამოწვევას. ანგარიშის მთავარი დასკვნა არის ის, რომ რაც უფრო ადრე მოხდება ინვესტირება კლიმატის ცვლილების გამოწვევების აღმოსაფხვრელად, მით უფრო ნაკლები იქნება საბოლოო დანახარჯი და მეტი სარგებელი მსოფლიოსთვის. ანგარიშის თანახმად, ქმედების გარეშე, კლიმატის ცვლილების ყოველწლიური დანახარჯი სულ ცოტა მსოფლიო მშპ-ს 5%-ს შეადგენს (მწვანე ალტერნატივა, 2013).

მწვანე ეკონომიკის კონცეფცია დაიწყო მდგრადი განვითარების იდეიდან და დაფუძნებულია მდგრად და გრძელვადიან განვითარების სტრატეგიაზე.



**გრაფიკი 1. მწვანე განვითარების სტადიები მწვანე ეკონომიკის იდეის რეალიზაციაში (SALGA, 2013)**

მწვანე განვითარება მიიღწევა საჯარო და კერძო ინვესტიციებით, რომლებიც ამცირებენ ნახშირბადის გამონაბოლქვებს და დაბინძურებას, ენერჯის და რესურსების ეფექტიანობის გაზრდას. ასევე, არსებობს სამი განზომილება, რომელიც სახელმწიფომ უნდა განიხილოს, მწვანე ზრდის სტრატეგიის განვითარებისა და იმპლემენტაციისთვის (*Green Growth and Developing Countries A Summary for Policy Makers*, 2012):

- ეროვნული მწვანე ზრდის გეგმა, რომელიც საშუალებას მისცემს შექმნას ხელსაყრელი პირობები მწვანე ზრდისთვის;
- მწვანე ზრდის მეინსტრიმინგის მექანიზმები არსებულ ეკონომიკურ საქმიანობაში შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად;
- მწვანე ზრდის პოლიტიკის ინსტრუმენტები სივრცითი და რესურსების სისტემებში კონკრეტული შესაძლებლობების დასაფიქსირებლად.

## მწვანე ეკონომიკის კონცეფცია

გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის მწვანე ეკონომიკურ ინიციატივის შესაბამისად მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც ამცირებს გარემოსდაცვით რისკებს და ეკოლოგიურ პრობლემებს, მიზნად ისახავს მდგრად განვითარებას და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას. ის მჭიდრო კავშირშია ეკოლოგიურ

ეკონომიკასთან, ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიღწევას და სიღარიბის აღმოფხვრას, შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებით აერთიანებს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს. მრავალი სპეციალისტის აზრით მწვანე ეკონომიკა მოიცავს ექვს მთავარ სექტორს: განახლებადი ენერჯია; მწვანე შენობები; სუფთა ტრანსპორტი; წყლის მენეჯმენტი/მართვა; ნარჩენების მენეჯმენტი/მართვა და მიწის მენეჯმენტი/მართვა (მწვანე ეკონომიკის განვითარება ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში (EaP GREEN), 2017).

ლიტერატურ მიმოხილვებში მწვანე ეკონომიკა ხშირად განიხილება „ყავისფერ“ ეკონომიკასთან შეპირისპირებით, რომელიც ეფუძნება ამოწურვადი და არაგანახლებადი საწვავის გამოყენებას (Ryszawska, 2013). მწვანე და ყავისფერ ეკონომიკების შედარებითი ანალიზი ასახულია ცხრილში 1.

**ცხრილი 1**

**მწვანე და ყავისფერი ეკონომიკა**

<b>ყავისფერი ეკონომიკა</b>	<b>მწვანე ეკონომიკა</b>
შეუზღუდავი ეკონომიკური ზრდა	ეკონომიკური ზრდის განცალკევება ბუნებრივი რესურსების გამოყენებისგან
არა-განახლებადი ენერგორესურსები	განახლებადი ენერგორესურსები
ბუნებრივი რესურსების ინტენსიური გამოყენება	ენერგოეფექტიანობა
გამონაბოლქვები	სუფთა წარმოება
ბიომრავალფეროვნების განადგურება	ბიომრავალფეროვნების დაცვა
გლობალური სოციალური უთანაბრობა	რეგიონალური და ინტერსახელმწიფოებრივი სამართალი
განუსაზღვრელი მოხმარება	მდგრადი მოხმარება
ბიზნესისა და ინვესტირების სოციალური პასუხისმგებლობის არარსებობა	ბიზნესისა და ინვესტირების სოციალური პასუხისმგებლობის არსებობა
საზოგადოების ნდობის შესუსტება	საზოგადოების ნდობის გაზრდა

2012 წელს ბრაზილიაში რიო+20-ის კონფერენციის ფარგლებში, სახელმწიფოები შეთანხმდნენ მწვანე ეკონომიკის კონცეფციის, როგორც მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის შექმნაზე. ეს უკანასკნელი გულისხმობდა:

1. სახელმწიფო მხარდაჭერას და კერძო ინვესტიციების დაბანდებას ცოდნის გავრცელებაზე;
2. ნახშირბადის გამონაბოლქვის და დაბინძურების დონის შემცირების ხელშემწყობი ტექნოლოგიებისა და საწარმოების შექმნას;
3. მწვანე ტექნოლოგიების მეშვეობით ნარჩენების უფრო საფუძვლიან გადამუშავებას, ენერჯის მოხმარების შემცირებას ან ალტერნატიული ენერჯის მოხმარებას და სხვ. (თოლორდავა, 2018)

2012 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს დაცვის პროგრამის -UNEP-ის მმართველი საბჭოს მიერ შემოთავაზებულ იქნა მწვანე ეკონომიკის პრინციპები, რაც განსაზღვრავს თუ როგორი უნდა იყოს მწვანე ეკონომიკა. ეს პრინციპებია:

1. მდგრადობის პრინციპი, მწვანე ეკონომიკა ხელს უწყობს განვითარებას;
2. სამართლიანობის პრინციპი, იგი უზრუნველყოფს თანასწორობას;
3. ღირსების პრინციპი, იგი ქმნის კეთილდღეობას ყველასთვის;
4. ჯანსაღი პლანეტის, უსაფრთხოების პრინციპი, იგი აუმჯობესებს ბუნებრივ გარემოს საზღვრებს;
5. მონაწილეობისა და ჩართულობის პრინციპი;
6. სათანადო მმართველობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპი;
7. მოქნილობის/ელასტიურობის პრინციპი, იგი უზრუნველყოფს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოს მდგრად განვითარებას
8. ეფექტიანობისა და საკმარისობის პრინციპი, იგი ავითარებს მდგრად მოხმარებასა და წარმოებას
9. მომავალი თაობების პრინციპი, იგი ახდენს ინვესტირებას მომავალში.

## მწვანე ზრდის ინდიკატორები

მწვანე ეკონომიკის ფორმირებისთვის 5 ძირითადი ასპექტია გასათვალისწინებელი: 1. ეროვნული ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა; 2. ადგილობრივი უფლებები და შესაძლებლობები 3. ინკლუზიური მწვანე ბაზრები 4. საერთაშორისო პოლიტიკის ჰარმონიზაცია და მხარდაჭერა 5. პროგრესის გასაზომად ახალი პარამეტრების შემოღება.

მწვანე ზრდის ინდიკატორები დაადგინილია OECD-ის მიერ. ინდიკატორების ჩამონათვალი ინარჩუნებს მოქნილობას, ისე, რომ თითოეულ ქვეყანას შეეძლოს მათი ადაპტაცია მათ კონკრეტულ სიტუაციაზე. ეს ხაზს უსვამს მოცემული ინდიკატორების გამოყენების სიმარტივეს. აღსანიშნავია, რომ მწვანე ზრდასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გაზომვა ვერ ხერხდება რაოდენობრივ ჭრილში. ასევე, აქ წარმოდგენილი ინდიკატორები შესაძლებელია არ იყოს ცალკეული ქვეყნისთვის გამოსადეგი.

ინდიკატორები, რომლებიც შემოთავაზებულია წვერი სახელმწიფოების მიერ არც ამოუწურავია და არც საბოლოო. იგი საჭიროებს სხვა ინდიკატორებთან ერთად კონტექსტში განხილვას. ინდიკატორების ეს დასახელება შეიძლება განახლდეს ახალი მონაცემების აღმოჩენისას და სხვ.

მოცემულ ეტაპზე ასეთი ინდიკატორებია:

- სოციო-ეკონომიკური კონტექსტი და ზრდის თავისებურებები: ეკონომიკური ზრდა, მწარმოებლურობა და კონკურენტუნარიანობა; შრომის ბაზარი, განათლება და შემოსავალი.
- ეკონომიკის ეკოლოგიური და რესურსული მწარმოებლურობა: ნახშირორქანი და ენერგომწარმოებლურობა; რესურსების მწარმოებლურობა; მრავალფაქტორული მწარმოებლურობა.
- ბუნებრივი რესურსების ბაზა: ბუნებრივი რესურსების მარაგები; განახლებადი მარაგები; არაგანახლებადი რესურსები; ბიო და ეკოსისტემები.
- ცხოვრების ხარისხის ეკოლოგიური გაზომვა: გარემომყოფთა ჯანმრთელობა და რისკები; ეკოლოგიური მომსახურებები.
- ეკონომიკის შესაძლებლობები და პოლიტიკური პასუხისმგებლობა: ტექნოლოგიები და ინოვაცია; ეკოლოგიური საქონელი და მომსახურება; საერთაშორისო ფინანსური ნაკადები; ფასები და გადარიცხვები; რეგულაციები და მართვა; სწავლება და უნარების განვითარება (*Green Growth Indicators 2017, 2017*).


## გლობალური მწვანე ეკონომიკის ინდექსი და საქართველო

გლობალური მწვანე ეკონომიკის ინდექსი (GGEI) ზომავს ქვეყნებს მწვანე ეკონომიკურ საქმიანობას. GGEI ინდექსის გაანგარიშებისას გამოიყენება შემდეგი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები: ლიდერობა და კლიმატის ცვლილება, სექტორთა ეფექტიანობა, ბაზრები და ინვესტიციები, გარემო. GGEI ინდექსის გაანგარიშება 2010 წელს დაიწყო და დღესდღეობით ფართოდ გამოიყენება პოლიტიკოსების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის მიერ<sup>103</sup>.

GGEI ინდექსი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ქვეყნები, რომლებიც მიზნად ისახავენ მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევას, საჭიროებენ მონაცემებს მწვანე ეკონომიკაზე გადასასვლელი საუკეთესო გზების გამოვლენისთვის. 2018 წელს GGEI ინდექსი

<sup>103</sup> ინტერნეტ-რესურსი ხელმისაწვდომია: [https://dualcitizeninc.com/global-green-economy-index/index.php#interior\\_section\\_link](https://dualcitizeninc.com/global-green-economy-index/index.php#interior_section_link)

განგარიშებულია 20 ძირითადი მაჩვენებლების გამოყენებით, რომლებიც შედიან ზემოთ აღნიშნულ 4 ძირითად ჯგუფში (იხ. გრაფიკი 2).



**გრაფიკი 2. გლობალური მწვანე ეკონომიკის ინდექსის შემადგენელი კომპონენტები**

2018 წლის მონაცემებით, საქართველო 130 ქვეყანას შორის საქართველო 44-ე ადგილს იკავებს (0,5183). ხოლო პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება:

**ცხრილი 2**

**გლობალური მწვანე ეკონომიკის ინდექსი, 2018 წ.**

ქვეყანა	2018 წლის შედეგები
შვედეთი	0.7608
შვეიცარია	0.7594
ისლანდია	0.7129
ნორვეგია	0.7031
ფინეთი	0.6997

ბოლო ადგილები კი შემდეგნაირად გადანაწილდა: გვინეა-ბისაუ, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბენინი, ჰაიტი, ბაჰრეინი.

**ეკოლოგიური ეფექტიანობის რეიტინგი და საქართველო**

2018 წლის მონაცემებით, საქართველომ 180 ქვეყანას შორის ეკოლოგიური ეფექტიანობის რეიტინგში (Environmental Performance Index, EPI) 94-ე ადგილი დაიკავა 2016 წლის მონაცემებთან შედარებით (111-ე ადგილი), 17 პუნქტით გაუმჯობესდა. საერთო ჯამში, მეკლევარებმა საქართველოს 55,69 ქულა მიანიჭეს მაქსიმალური 100 ქულიდან (Baronio, 2019) (Yale Center for Environmental Law & Policy, Center for International Earth Science Information Network, & Columbia University, 2018).

2018 წლის ინდექსის გამოყვანისას, ავტორები ისეთი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდნენ, როგორცაა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ქვეყნის წყლის რესურსების მდგომარეობა, სანიტარული ნორმები, ბუნება და გარემო.

მეზობელ ქვეყნებს შორის, ყველაზე უკეთესი მდგომარეობაა რუსეთში - 63.79 ქულა (52-ე ადგილი), აზერბაიჯანში ეს მაჩვენებელი არის - 62,33 ქულა (59-ე ადგილი), სომხეთში - 62,07 ქულა (63-ე ადგილი). აღსანიშნავია, რომ 2016 წელთან შედარებით ამ მხრივ გაუარესდა მდგომარეობა თურქეთსა (108-ე ადგილი) და უკრაინაში (109-ე ადგილი).

პირველ ხუთეულში მოხვდნენ შვეიცარია, საფრანგეთი, დანია, მალტა და შვედეთი. ხოლო სიის ბოლო ადგილებზე არიან ნეპალი, ინდოეთი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ბანგლადეში და ბურუნდი. EPI-ს ანგარიში ქვეყნებზე ორ წელიწადში ერთხელ დგება. ტრადიციულად გამოქვეყნებამდე მას დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე წარადგენენ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა „მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (EaP GREEN), რომლის მიზანია აღმოსავლეთ თანამშრომლობის ექვსი ქვეყნის: სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკისა და უკრაინის



მხარდაჭერა მწვანე ეკონომიკის განვითარებაში, რაც გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას გარემოს დეგრადაციისა და რესურსების ამოწურვის საფრთხის დადგომის გარეშე. პროგრამის რესურსები და სუფთა წარმოების (RECP) სადემონსტრაციო კომპონენტმა საქართველოს აღმოუჩინა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მწვანე ეკონომიკური განვითარებისკენ სვლაში (გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის, 2016). მაგ., RECP პროექტის ფარგლებში გამოიცა სახელმძღვანელოები, გაიმართა ტრენინგები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რაც მიზნად ისახავდა იმ პრაქტიკული გზების დემონსტრირებას, რომლებიც აუმჯობესებენ წარმოებაში რესურსების გამოყენების პროდუქტიულობას და ამცირებენ გარემოზე უარყოფით ზეგავლენას.

## დასკვნა

ეკონომიკის გამწვანება შეიძლება გახდეს მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის მექანიზმი. მწვანე ეკონომიკის შედეგია ადამიანის გაუმჯობესებული კეთილდღეობა და სოციალური თანასწორობა, რომელიც ამცირებს გარემოსდაცვით რისკებს და ეკოლოგიურ დეფიციტს. მას შეუძლია ბუნებრივი და ფინანსური კაპიტალის უფრო ეფექტურად და ოპტიმალურად გამოყენება. ამასთან, მიიღწევა ისეთი ეკონომიკური პროგრესი, რომელიც ხელს უწყობს ეკოლოგიურად მდგრად, ნახშირბადის დაბალი შემცველობის და სოციალურად ინკლუზიურ განვითარებას. ნედლეულის რაციონალური გამოყენება იწვევს მწვანე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და მოგების ზრდას მწვანე საწარმოებში ტრადიციულთან შედარებით, რაც უფრო მაღალი ანაზღაურებისა და სიღარიბის დაძლევის საშუალებას იძლევა. გლობალური მწვანე ეკონომიკის ინდექსის მიხედვით საქართველო შუალედურ პოზიციას იკავებს მსოფლიო ქვეყნებს შორის. 2018 წლის წინასწარი მონაცემებით ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდიკატორი საქართველოს 180 შეფასებულ ქვეყანას შორის 94-ე ადგილზე აყენებს და მისი რეიტინგი საშუალოზე დაბალია. თუმცა, 2016 წელთან შედარებით აღინიშნება გაუმჯობესებელი მაჩვენებლები. ამდენად, ქვეყანას გააჩნია სწრაფი გაუმჯობესების შესაძლებლობა და მას შესწევს უნარი წარმატებულად განახორციელოს მწვანე ეკონომიკის კონცეფცია, რაც დიდ როლს შეასრულებს ქვეყნის მდგრად განვითარებაში. ქვეყანას შეუძლია გამოიყენოს მწვანე ეკონომიკის პრინციპები (ან მათი ელემენტები) სტაბილური განვითარებისა და კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ სტაბილურობის მიღწევა დამოკიდებულია ძლიერ ინტერეს-ჯგუფთა კოორდინირებულ მოქმედებაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Baronio, A. M. (2019). *Green Economy and The Dimensions of Sustainability Green Economy and The Dimensions of Sustainability*. (October 2018). [https://doi.org/10.15341/jbe\(2155-7950\)/10.09.2018/008](https://doi.org/10.15341/jbe(2155-7950)/10.09.2018/008)
2. *Green Growth and Developing Countries A Summary for Policy Makers*. (2012). Retrieved from <https://www.oecd.org/dac/50526354.pdf>
3. *Green Growth Indicators 2017*. (2017). <https://doi.org/10.1787/9789264268586-en>
4. SALGA. (2013). *The green economy*. (Issue 9), 34–38.
5. Yale Center for Environmental Law & Policy, Y. U., Center for International Earth Science Information Network, & Columbia University. (2018). *2018 Environmental performance Index*. Retrieved from <https://epi.envirocenter.yale.edu/downloads/epi2018policymakerssummaryv01.pdf>
6. გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის. (2016). სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმი. Retrieved from [https://www.uncece.org/fileadmin/DAM/env/eia/Publications/2016/Protocol\\_on\\_SEA/SEA\\_facts\\_and\\_benefits\\_GEORGIA.pdf](https://www.uncece.org/fileadmin/DAM/env/eia/Publications/2016/Protocol_on_SEA/SEA_facts_and_benefits_GEORGIA.pdf)
7. თოლორდავაჯანა. (2018). თოლორდავა-მწვანე ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი. ეკონომიკა და ბიზნესი, 2.
8. მწვანე ალტერნატივა. (2013). მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა. Retrieved from [http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane\\_politika\\_da\\_garemos\\_dacva.pdf](http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf)
9. მწვანე ეკონომიკის განვითარება ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში (EaP GREEN). (2017). მწვანე ეკონომიკა. Retrieved from [www.recp.ge](http://www.recp.ge);

THE CONCEPT OF GREEN ECONOMY AND GEORGIA'S POSITION  
IN THE GLOBAL GREEN ECONOMY

Summary

The green economy provides people's well-being and social equity, significantly reducing environmental risks and ecological losses. The green economy is a model of economic development based on sustainable development and knowledge of ecological economics. It creates green jobs, provides sustainable economic development, and reduces environmental pollution, climate change, environmental degradation and risks to exclude resources. It stimulates business to produce green products and services.

According to the 2018 Global Green Economy Index (GGEI), Georgia is taking an intermediate position among world countries. On the other hand, according to the Environmental Performance Index (EPI), Georgia meets only in the second half of the world, but with improved indicators. Georgia is rich in natural resources and has the potential for rapid development.

As the trends show, many countries around the world are actively involved in the green economy, because it is the business opportunity of the 21st century. Since the population of the world is constantly growing, and the volume of natural resources remains the same, and even more - decreases, the green economy is as important as ever. To ensure green economy, it is important to have national green growth plan to create enabling conditions in the country, also, it is important to have green growth policy instruments to tap spatial and resource system opportunities.

The country can use the principles of green growth (or their elements) to achieve stable development and competitive advantage. However, stability is dependent on the coordinated action of strong interest groups.

ირმა ტყემალაძე

დასაქმების არასტანდარტული ფორმები –  
სისტემური რისკი თუ სამართო ეკონომომიკური კეთილდღეობის ზრდის ბზა

*ანოტაცია.* სტატიაში განხილულია პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების თანმდევი ცვლილებების ზეგავლენა შრომის ბაზარზე, კერძოდ, დასაქმების არასტანდარტული ფორმების წარმოშობა, წარმოშობის მიზეზები, მათი გავრცელების დინამიკა მსოფლიოში, დადებითი და უარყოფითი მხარეები და განვითარების პერსპექტივები.

*საკვანძო სიტყვები:* დასაქმების არასტანდარტული ფორმები, არასრული დასაქმება, ზეგანაკვეთური დასაქმება, ფრილანსერი, ეკონომიკური კეთილდღეობა

პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების პროცესს თან სდევს ეკონომიკური სისტემის სტრუქტურული ცვლილებები. დეინდუსტრიალიზაცია, გლობალიზაცია, გაზრდილი კონკურენცია ქვეყნებს შორის, ეკონომიკური ზრდის შენელებული ტემპი, მწვენი ინდუსტრიების ზრდა, მოვლენები, რომლებმაც შრომის ბაზარზე გამოძახილი ჰპოვეს, შეცვალა შრომის ბუნება, შრომითი ურთიერთობების მოდელები, გაჩნდა დასაქმების ახალი, არასტანდარტული ფორმები.

სტანდარტული დასაქმება, რომელიც მიმდინარე პერიოდამდე დომინანტი იყო შრომის ბაზარზე, არაერთი ფაქტორის ზემოქმედებით მუდმივად განიცდის ტრანსფორმაციას, შედეგად ადგილი აქვს დასაქმების არასტანდარტული ფორმების გავრცელებას, მაგალითად, დღეისათვის ევროკავშირში სამუშაო ძალის 1/3 მოქნილი დასაქმების ფორმითაა<sup>104</sup>.

არასტანდარტული დასაქმების ფორმები ისეთი მეცნიერ-მკვლევარების მიერ იქნა შესწავლილი, როგორცაა ჯ. ნილესი (Jack Nilles), ჯ. გორდონი (Gil Gordon), ფ. სკიფი (Fenck Skiff)<sup>105</sup> და სხვა. უშუალოდ დასაქმების ტრანსფორმაციის საკითხებს კი კვლევები მიუძღვნეს ვ. ბეკმა (V.Beck), მ. ბესტელმა (M. Bechtel), ვ. გიმბელსონმა (V. Gimbelson).

მეცნიერ-მკვლევართა (მაგ. Jaffe 2015; D. Hundt 2015) ნაწილი არასტანდარტული დასაქმების ფორმებს საზოგადოებრივი სიკეთის ნაწილად მიიჩნევს და საუბრობს იმაზე, რომ დასაქმების არასტანდარტული ფორმები და სამუშაო დროის რეჟიმის ცვლილება ამაღლებს

<sup>104</sup> <https://ec.europa.eu>

<sup>105</sup> Managing Telework: Strategies form Managing The Virtual Workforce


დასაქმების გარანტიებს და ამცირებს უმუშევრობის დონეს<sup>106</sup>. მეორე ნაწილი (მაგ. Die Shell Jugendstudie 2015) კი პირიქით აკრიტიკებს და ხაზს უსვამს იმას, რომ თანამედროვე ნეოლიბერალურ კაპიტალიზმში ადამიანები კიდევ უფრო დაუცველები ხდებიან და ფენებს შორის სოციალური უთანასწორობა კიდევ უფრო ღრმავდება.<sup>107</sup>

მოვლენის პოზიტიურობისა და ნეგატიურობის შესახებ მსჯელობის პარალელურად, მსოფლიოში მუდმივად იზრდება არასტანდარტული ფორმით დასაქმებულთა რიცხვი. არსებობს არასტანდარტული დასაქმების სხვადასხვა ფორმა - არასრული დასაქმება (part time work), ზეგანაკვეთური დასაქმება (overtime employment), დროებითი დასაქმება (ტემპორარე ემპლოყმენტ), თვითდასაქმება (self-employment), არაფორმალური დასაქმება (ინფორმალ ემპლოყმენტ). მათგან ყველაზე უფრო მეტად აქტუალურია პირველი სამი ფორმა.

არასრულ დასაქმებას ორი მხარე გააჩნია, განვითარებადი ქვეყნებისათვის იგი განიხილება როგორც ნეგატიური მოვლენა, რომელიც გამოწვეულია წარმოების დაცემით, გამოშვების შემცირებით, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში დასაქმების ეს ფორმა მოქალაქეთა გაცნობიერებული, ნებაყოფლობითი არჩევანია თავიანთი ცხოვრების რეჟიმის უკეთ მოსაწყობად.

2018 წლისათვის არასრული დასაქმების დონე სრულ დასაქმებასთან მიმართებაში ვარიებს 46,8 %-დან 1,8%-მდე. არასრული დასაქმების დონით ლიდრობენ ისეთი ქვეყნები, როგორცაა პოლანდია (46,8 %) , შვეიცარია 38,5 %, ავსტრია- 27%, დიდი ბრიტანეთი - 24,7%, ნორვეგია - 23,8%. შედარებით დაბალი დონე დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისათვის, როგორცაა ბულგარეთი -1,8%, უნგრეთი - 4,2 %, ლიტვა -6,9, თურქეთი- 9,5%.<sup>108</sup>

პრაქტიკაში არასრული დასაქმების იდენტიფიცირებისათვის სამუშაო დროის ხანგრძლივობას იყენებენ. სტატისტიკური გამოთვლებისათვის მიღებულია სხვადასხვა ნორმატიული მნიშვნელობები. მაგალითად, აშშ, იაპონიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში - 35 საათზე ნაკლები კვირაში, ფინეთში, კანადაში, ახალ ზელანდიაში - 30 საათამდე, უნგრეთში, თურქეთში - 36 საათამდე, ნორვეგიაში - 37 საათამდე.<sup>109</sup> ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ბელგია, იტალია, ნაწილობრივ დასაქმებულად თვლიან ადამიანს, რომელმაც ამის შესახებ თვითონ განაცხადა. აქვე აღნიშნის ღირსია, რომ შრომის უნიკალიზაციის და უნივერსალიზაციის საპასუხოდ, უკანასკნელ წლებში მსოფლიო მასშტაბით შრომის ბაზარზე დასაქმებულთა სამუშაო დროის დერეგულირების გამოკვეთილი ტენდენცია შეინიშნება.



წყარო: <https://ec.europa.eu/eurostat>

<sup>106</sup> Hundt D. literaturaShi 95.

<sup>107</sup> <http://european.ge/shroma-da-adamiani/>

<sup>108</sup> <https://ec.europa.eu/eurostat/tgm/table.do?tab=table&init=1&plugin=1&pcode=tesem100&language=en>

<sup>109</sup> Jon Messenger, research paper International Labour Office – Geneva: ILO, 2018

არასრული დასაქმების საპირისპირო მოვლენაა ზეგანაკვეთური დასაქმება. უმრავლეს შემთხვევაში აღნიშნული სახით დასაქმება მუშაკის ნებასურვილზეა დამოკიდებული, გამონაკლისია ღარიბი ქვეყნები, სადაც იგი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით, ხელფასების და შემოსავლების დაბალი დონით არის განპირობებული. ნებაყოფლობითი ზეგანაკვეთური დასაქმება უმთავრესად შემოქმედებითი საქმიანობის სფეროებში გვხვდება. ზეგანაკვეთური დასაქმების ყველაზე დაბალია დონეა ლიტვაში - 2,1 %, ყველაზე მაღალი - 24,3% კი შვეიცარიაში.

დასაქმების არასტანდარტული ფორმებიდან გავრცელებულია დროებითი სამუშაო. დროებითი დასაქმება - ესაა მუშაობა კონტრაქტის პირობებში, რომელსაც აქვს განსაზღვრული მოქმედების ვადა ან შესასრულებელი სამუშაოს კონკრეტული მოცულობა. დროებითი დასაქმება რეალიზდება შემდეგ ფორმებში: დასაქმებულები განსაზღვრული დროით, განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისათვის დაქირავებულები, სეზონური მომუშავეები, შემთხვევითი დასაქმება. აღნიშნული ფორმით დასაქმებულთა პროცენტული წილი მაღალია ესპანეთში (22,3%), ნიდერლანდებში (14,6%), პოლონეთში (19,2%), პორტუგალიაში (18,6%). შედარებით დაბალია ბულგარეთში (3,5%), ესტონეთში (2,7%), ლატვიაში (2,3 %), ლიტვაში (1,2%).

დასაქმების არასტანდარტული ფორმებიდან ყველაზე სწრაფად გავრცელებადია დისტანციური დასაქმება, მისი სახეებია: რამდენიმე ადგილზე დასაქმება, შინ მუშაობა, არასაშტატო მუშაობა, მობილური სამუშაო, ე-ლანსერი, ფრილანსერი. მსოფლიოში უმსხვილესი ონლაინ-პლატფორმების (ელანსე.კომ და <https://freelancehunt.com>) შეფასებით მუდმივად იზრდება როგორც ფრილანსერების, ისე დამკვეთების აქტივობა, ბოლო სამ წელიწადში ფაქტიურად გაორმაგდა შესრულებული პროექტების რაოდენობა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ფეხს იკიდებს ე.წ. „ფრილანსერებობა“, დინამიკის განსაზღვრისათვის სტატისტიკური მასალა არ ქვეყნდება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, თუმცა არსებობს ონლაინ-ბაზა (<https://ido.ge>), რომელიც გვიჩვენებს, რომ ამ მიმართულებით აქტივობები მუდმივად მზარდია.

ფრილანსერობის ყველაზე კონკურენტული სფეროებია პოლიგრაფიული დიზაინი, ინტერიერის დიზაინი, ლოგოტიპები, ხოლო ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპეციალობებია რეე შ , ანიმატორები, ტიზერული რეკლამის სპეციალისტები.

დისტანციური დასაქმება შრომის ბაზარს გლობალურს ხდის, მნიშვნელობას კარგავს საცხოვრებელი ადგილი, სქესი, ასაკი. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს განვითარებადი ქვეყნების შრომის ბაზარზე გასული სამუშაო ძალისთვის, რამდენადაც იგი ხელს უწყობს შემოსავლების ზრდას და საბოლოო ჯამში კეთილდღეობის ამაღლებას.

შრომის ბაზარზე ფეხს იკიდებს შუამავალი სააგენტოების მეშვეობით დასაქმების ფორმა (ტემპორარე-აგენცე). მომუშავეები ოფიციალურად დასაქმებულები არიან სუბკონტრაქტორების ან შუამავალი სააგენტოების მიერ, რეალურად კი მუშაობენ სხვა კომპანიებში, სადაც მათ მიმართ ფაქტიურად არანაირი პასუხისმგებლობა არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში სამუშაო ძალის გამოყენება ძირითადად ხდება ლიზინგის და აუტსტაფინგის ფორმით, გავრცელებული ფორმაა იაპონიასა და აშშ-ში.

არასტანდარტული დასაქმების ერთ-ერთ სახედ განიხილავენ არაფორმალურ დასაქმებას. მისი წილიც ზრდის ტენდენციით ხასიათდება, საქართველოში არაფორმალური დასაქმების მასშტაბების აღრიცხვა ბოლო ორი წელი რაც დაიწყო, 2 წლის მონაცემების მიხედვით იგი გაზრდილია 33,9%-დან 36, 2%-მდე.<sup>110</sup>

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ:

- არასტანდარტული დასაქმების ფორმები გადაწყვეტილების მიღებისა და შრომის ორგანიზაციის პროცესში თავისუფალი მოქმედების და დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფენ, სამუშაო დრო ხასიათდება მოქნილობით, მუშაკს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ ვარირება გაუკეთოს სამუშაოს დასაწყისა და დასასრულს, გადაანაწილოს საქმე განსაზღვრულ პერიოდზე. სამუშაო დროის გამოყენებაზე ტოტალური კონტროლი გარკვეულ პერიოდამდე ხელს უწყობდა მწარმოებლურობის ზრდას, მაგრამ თანამედროვე პირობებში უარყოფითად მოქმედებს შრომით მოტივაციაზე და პირიქით, ამცირებს კიდევ

<sup>110</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba>

შრომის ეფექტიანობას, განსაკუთრებით შემოქმედებითი და გონებრივი საქმიანობის სფეროებში

- არასტანდარტული დასაქმება შეიძლება განხილულ იქნას როგორც დამკირავებელსა და დაქირავებულს შორის ადაპტაციის ინსტრუმენტი მუდმივად ცვალებადი ეკონომიკის პირობებში

- იგი შეიძლება გახდეს წარმოების კრიზისიდან გამოსვლის საშუალება, როგორც წარმოების ხარჯების შემცირების გზა

- შრომის ინტელექტუალიზაციის პირობებში მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს არა მხოლოდ შრომით დანახარჯებზე, არამედ შრომის საბოლოო შედეგებზე, არასტანდარტული ფორმით დასაქმებულთა საქმიანობის შეფასება კი სწორედ შესრულებული სამუშაოს ხარისხის მიხედვით ხდება, რაც ეფექტიანობის ზრდას უზრუნველყოფს

- მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფორმით დასაქმების დროს საწარმოო რისკი მთლიანად გადადის დაქირავებულზე, მაღალი რისკი კომპენსირდება მაღალი შრომის ანაზღაურებით

- სამუშაო ძალის მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობა

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების აქტიური ჩართულობა შრომითი საქმიანობის განხორციელების პროცესში.

დასაქმების ჩამოთვლილი და განხილული ფორმების ტენდენციების ანალიზი საშუალებას იძლევა დადებით მხარეებთან გამოგვევით უარყოფითი მხარეებიც:

- სოციალური დაცვის დისფუნქციური სქემები - შეზღუდული წვდომა ანაზღაურებად შვებულებაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში - ბიულეტენზე

- სოციალური იზოლაცია, სამუშაო კოლექტივების არარსებობა

- შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობა

- მუდმივი სამუშაო კონტრაქტით დაქირავებულთა შემცირებული რიცხვი

- სამეწარმეო რისკის გადატანა უშუალოდ დაქირავებულზე

- ნულოვანი ან შეზღუდული სოციალური გარანტიები

- პროფკავშირებში გაწევრიანების შეზღუდვა

- მომავლის განუსაზღვრელობა

- ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა საბიუჯეტო-საგადასახადო შედეგების კუთხით

იმის დადგენა თუ დასაქმების არასტანდარტული ფორმების ნეგატიური ეფექტები უფრო მეტია თუ პოზიტიური, რთულია. ერთი რამ ცხადია, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების, შრომის ხასიათის ცვლილებების საპასუხოდ შრომის ბაზრის მოდერნიზება გარდაუვალი პროცესია. ამიტომ დასაქმების არასტანდარტული ფორმების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, მიზანშეწონილია დასაქმების აქტიური პოლიტიკის სხვადასხვა ღონისძიებების გატარება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Jon Messenger, research paper International Labour Office – Geneva: ILO, 2018
2. Vladimir Gimpelson, Daniel Treisman, Fiscal games and public employment: a theory with evidence from Russia, 2018
3. World Employment and Social Outlook – Trends 2019, ILO, 2019
4. Sophie Thiéry, LES NOUVELLES FORMES DU TRAVAIL INDÉPENDANT, 2018
5. <https://ec.europa.eu>
6. <https://www.geostat.ge>
7. <http://european.ge>

*Irma Tkemaladze*

### NONSTANDARD FORMS OF EMPLOYMENT – SYSTEMIC RISK OR THE WAY FOR INCREASING THE GENERAL ECONOMIC WELL-BEING Summary

Reduction of unemployment and production costs, increasing productivity and motivation, more flexibility in working hours, the possibility to get a job and extra income in any part of the world are the benefits

associated with the nonstandard forms of employment. However, there are some negative effects and consequences as well, like decrease in social protection of workers, reduction of control over production costs, psychological problems related to the uncertainty of future, the risk of protecting the confidentiality of information, negative impact on the economy in terms of budget and tax consequences.

It is hard to determine whether nonstandard forms of employment have more positive or negative effects. However, one thing is obvious, modernization of the labor market in response to structural changes of economy and changes in the character of labor is an inevitable process.

*მაღნაზ ძაძუა*

## **მიკროფინანსები და მწვანე დაფინანსება**

*ანოტაცია.* ნაშრომში განხილულია თანამედროვე მიკროსაფინანსო ინდუსტრიაში მწვანე ეკონომიკის განვითარების კუთხით არსებული მდგომარეობა, მიკროფინანსების როლი და გავლენა კლიმატის ცვლილებასთან მიმართებაში და მისი პოტენციური შესაძლებლობები მცირე ლოკალური ენერგოეფექტური პროექტების დაფინანსებაში. გაანალიზებულია საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება.

*საკვანძო სიტყვები:* მიკროფინანსები, სოციალური პასუხისმგებლობა, მდგრადი განვითარება, კლიმატის ცვლილება, მწვანე დაფინანსება.

### **შესავალი**

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო აქტუალური ხდება კერძო კომპანიების მიერ თავიანთი ბიზნესსაქმიანობის წარმართვისას გარემოსდაცვითი და სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხების სათანადო დონეზე გათვალისწინება.

2015 წელს პარიზის შეთანხმების ამოქმედების შემდეგ ამ თემამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, მათ შორის ფინანსური ინსტიტუტებისთვის, როგორც მდგრადი განვითარების მისაღწევად საჭირო ერთ-ერთმა აუცილებელმა კომპონენტმა.

ადგილობრივი ეკონომიკების გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად დღევანდელ მსოფლიოში აუცილებელი ხდება ფინანსური ინსტიტუტების მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ეფექტური ინტეგრირება თავიანთ ძირითად ბიზნესსტრატეგიებში. მნიშვნელოვანია ასევე გარემოსთან დაკავშირებული გლობალური თუ ადგილობრივი რისკ-ფაქტორების სათანადო გათვალისწინება და გამჭვირვალე ანგარიშგების წარდგენა საზოგადოების წინაშე.

აღნიშნული საკითხი ერთნაირად აქტუალურია როგორც მაღალგანვითარებული, ასევე განვითარებადი და ღარიბი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, სადაც კლასიკური საბანკო სექტორის პარალელურად საკმაოდ აქტიურად არის წარმოდგენილი მიკროსაფინანსო და სხვა ტიპის მცირე არასაბანკო ფინანსური დაწესებულებები.

## **მიკროფინანსები და მწვანე დაფინანსება**

მიკროფინანსები წარმოადგენს ფინანსური მომსახურების მიწოდებას დაბალი შემოსავლების მქონე პირებისთვის. კლასიკური განმარტებით, ის ხელს უწყობს ღარიბი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათი ფინანსური თვითუზრუნველყოფის მიღწევას, შემოსავლების გენერირებისა და ბიზნესაქტივების ზრდას და ცხოვრების საერთო სტანდარტების ამაღლებას.

მიკროფინანსების მომხმარებელთა უმეტესობა მცირე საოჯახო მეურნეობებსა და არაფორმალურ ბიზნესში დასაქმებული ფიზიკური პირებია, რომლებიც თავის კერძო საქმიანობას უმთავრესად ლიმიტირებულ გეოგრაფიულ არეალებსა და ეკონომიკის შეზღუდულ სექტორებში აწარმოებენ<sup>111</sup>.

კლასიკურ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გააჩნია ე.წ. ორმაგი ეფექტი და მიზნობრიობა. ეს გულისხმობს, რომ ისინი პასუხისმგებლები არიან როგორც ფინანსური, ასევე

<sup>111</sup> Basel Committee on Banking Supervision. Microfinance activities and the core principles for effective banking supervision. Basel, Switzerland. August, 2010.

სოციალური ამოცანების გადაწყვეტაზე (Double bottom line)<sup>112</sup>. მოგვიანებით ამას დაემატა მესამე მიმართულება, რომელიც მოიცავს პასუხისმგებლობის აღებას გარემოს დაცვაზე (Triple bottom line).

შესაბამისად, თანამედროვე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საერთო შეფასებისას ფინანსურ მაჩვენებლებთან ერთად აქტიურად განიხილება მათი საქმიანობის სოციალური ეფექტი და ზემოქმედება გარემოზე.

ფართო ფენებისთვის ფინანსურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს სიღარიბის დონის საერთო შემცირებას და საშუალებას აძლევს დაბალშემოსავლიან მომხმარებელს, გაზარდოს შემოსავლები, შექმნას ღირებული აქტივები და შეამციროს დამოკიდებულების ხარისხი გარე ეკონომიკური სტრესების მიმართ. აქედან გამომდინარე, მიკროფინანსები წარმოადგენს მნიშვნელოვან და ქმედით ინსტრუმენტს საარსებო პირობების გასაუმჯობესებლად მათთვის, ვინც იმყოფება სიღარიბის პირამიდის ფსკერზე (the base of the pyramid) <sup>113</sup>.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ორ მილიარდზე მეტ ღარიბ და დაბალშემოსავლიან ადამიანს განვითარებადი ქვეყნებიდან არა აქვს სათანადო წვდომა ადეკვატურ ფინანსურ მომსახურებაზე. ეს კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათი ცხოვრების არასტაბილური დინამიკის დასარეგულირებლად და გასაუმჯობესებლად <sup>114</sup>.

ფინანსურ მომსახურებაზე სათანადო ხელმისაწვდომობა საშუალებას აძლევს ღარიბ ოჯახებს, ყოველდღიური გადარჩენის რეჟიმიდან გადაერთონ სამომავლო გეგმების დასახვაზე, კვებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე, ბავშვთა ჯანმრთელობასა და განათლებაში სათანადო ინვესტირებაზე და ა.შ.

ვინაიდან მდგრადი მიკროფინანსები დიდ როლს თამაშობს განვითარებად ქვეყნებში ჯანსაღი ფინანსური ბაზრების განვითარებაში, მსოფლიო ბანკისა და მასთან არსებული “ღარიბთა დახმარების საკონსულტაციო ჯგუფის” (CGAP) მიერ 2004 წელს შემუშავდა და დამტკიცდა საერთაშორისო მიკროფინანსების ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები, რომელსაც მოგვიანებით თავისი მტკიცე მხარდაჭერა ასევე დაუდასტურა დიდმა რვიანმა (G8) აშშ-ს შტატ ჯორჯიაში 2004 წლის ივნისში გამართულ სამიტზე <sup>115</sup>.

მიკროფინანსების 11 ძირითადი საერთაშორისო პრინციპი, რომელთა სათანადო გათვალისწინება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მაღალი ფინანსური ჩართულობისა და პოზიტიური სოციალური ეფექტის მიღწევას განვითარებად ქვეყნებში, მდგომარეობს შემდეგში:

1. ღარიბ მოსახლეობას ესაჭიროება მრავალფეროვანი ფინანსური მომსახურება და არა მხოლოდ სესხები.
2. მიკროფინანსები უნდა იყოს სიღარიბის დაძლევის მძლავრი ინსტრუმენტი.
3. მიკროფინანსები გულისხმობს ხელსაყრელი ფინანსური სისტემის შექმნას ღარიბი მოსახლეობისთვის.
4. ფინანსური მდგრადობა აუცილებელი პირობაა ღარიბი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მოცვისთვის.
5. მიკროფინანსები გულისხმობს ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მუდმივ განვითარებას და გაძლიერებას.
6. მიკროკრედიტები ყოველთვის არ არის სათანადო პასუხი და გამოსავალი.
7. საპროცენტო განაკვეთების ზედა ზღვარის დაწესებამ შესაძლოა შეზღუდოს ღარიბი მოსახლეობისთვის ფინანსური მომსახურების სათანადო ხელმისაწვდომობა.
8. მთავრობამ უნდა შეასრულოს უფრო მხარდაჭერის და არა მომსახურების პირდაპირი მიმწოდებლის როლი.
9. დონორთა სუბსიდიებმა უნდა შეავსოს და არა ჩაანაცვლოს კერძო სექტორის კაპიტალი.
10. მთავარ გამოწვევას წარმოადგენს სუსტი ინსტიტუციური და ადამიანური რესურსები და შესაძლებლობები.
11. აუცილებელია ფინანსური მომსახურებისა და საკრედიტო ურთიერთობების მაღალი გამჭვირვალობა.

<sup>112</sup> Tulchin, Drew. Microfinance & the Double Bottom Line. Social Enterprise Associates. Seattle, WA. 2005

<sup>113</sup> International Financial Corporation. FIG Microfinance Factsheet. www.ifc.org

<sup>114</sup> Helms, Brigit. Access for All. The World Bank/International Bank for Reconstruction & Development. 2006

<sup>115</sup> The World Bank, CGAP. Key Principles of Microfinance. Washington D.C. 2004

მიკროფინანსებმა, როგორც ფინანსური შუამავლობის ერთ-ერთმა სახეობამ, მის თანამედროვე მოდელამდე საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო განვითარების გზა განვლო. მისი პირველადი ორგანიზებული ფორმები სხვადასხვა სახით და მასშტაბით საუკუნეების განმავლობაში არსებობდა მსოფლიოს ბევრ კუთხეში, როგორც კერძო მევახშეობის ეფექტური და საიმედო ალტერნატივა.

არაფორმალური ფინანსური ჯგუფები, რომლებიც ორგანიზებულად ახდენდნენ მცირე დანახოვების შეგროვებას და შემდგომ ჯგუფის სხვა წევრებზე გასესხებას, უძველესი დროიდან ფიქსირდება აფრიკის, ლათინური ამერიკის, ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში (ROSCAs, ASCAs, Self-Help Groups) <sup>116</sup>.

XIX საუკუნის დასაწყისში უკვე დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ჩნდება ახალი ტიპის ფორმალური საკრედიტო-სადაეოზიტო ინსტიტუტები, რომლებიც ფოკუსირდებიან სასოფლო კლიენტებზე და დაბალშემოსავლიან ფიზიკურ პირებზე (Raiffeisen, Volksbanken, Sparkassen). ფინანსური და აგროკოოპერატივების სწრაფმა განვითარებამ საშუალება მისცა დაბალშემოსავლიან და მცირემიწიან ფერმერებს, შეემცირებინათ კერძო მევახშეების მიმართ კაბალური დამოკიდებულების ხარისხი და გაეუმჯობესებინათ საერთო ეკონომიური მდგომარეობა.

ე.წ. თანამედროვე მიკროფინანსების ისტორია კი იწყება 1970-იანი წლებიდან, როდესაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ლათინურ ამერიკაში თითქმის ერთდროულად დაიწყო კლასიკური საბანკო მომსახურებისგან განსხვავებული, ექსპერიმენტული და სოციალურ მიზნებზე ორიენტირებული ფინანსური პროგრამების განხორციელება სიღარიბის შემცირების მიზნით.

1976 წელს ბანგლადეშში პროფესორ მოჰამედ იუნუსის მიერ შექმნილი ჯგუფური სოლიდარობის პროგრამა და მის საფუძველზე 1983 წელს დაარსებული “გრამინ ბანკი” ითვლება პირველ მიკროსაფინანსო ორგანიზაციად მსოფლიოში. ბანკში სესხები გაიცემოდა გირაოს გარეშე, რამდენიმე ადამიანისგან შემდგარ ჯგუფზე, რომლებიც სოლიდარულ პასუხისმგებლობას იღებდნენ ერთმანეთის საკრედიტო ვალდებულებებზე.

“ეს არ არის ქველმოქმედება. ეს არის ბიზნესი. ბიზნესი სოციალური მიზნით, რომელიც ხელი უწყოს სიღარიბის დაძლევას” - ასე განმარტა მიკროფინანსები პროფესორმა იუნუსმა 2005 წელს გაშინგტონში გამართულ საერთაშორისო კონგრესზე.

სესხის საგარანტიოდ სოციალური გირაოს (ჯგუფური სოლიდარობის) გამოყენებამ, მსესხებელთა შერჩევის ეფექტურმა მექანიზმებმა და მარტივმა სასესხო პროცედურებმა წარმატებით ჩაანაცვლა ბანკების მკაცრი და კონსერვატიული დაკრედიტების მოდელი, რამაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს საშუალება მისცა სწრაფად გაზრდილიყვნენ და მოეცვათ დაბალშემოსავლიანი მსესხებლების ის სეგმენტი, რომელსაც მაღალი რისკების გამო ბანკები ტრადიციულად უარს ეუბნებოდნენ დაფინანსებაზე.

შთაბეჭდავი შედეგებისა და საყოველთაო მხარდაჭერის ფონზე გაერომ 2005 წელი გამოაცხადა მიკროფინანსების საერთაშორისო წლად, ხოლო მომდევნო 2006 წელს “გრამინ ბანკის” დამაარსებელს, პროფესორ მოჰამედ იუნუსს მიენიჭა ნობელის პრემია სიღარიბესთან ბრძოლაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

2000-იანი წლებიდან კი ბაზარზე მასობრივად ჩნდება ახალი თაობის წმინდა კომერციული, უმეტესად სამომხმარებლო საჭიროებებზე ორიენტირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. ხდება ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი დანერგვა ინდუსტრიაში და ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციების აქტიური ექსპანსია. მათი უმთავრესი მოტივაცია მოგების მაქსიმიზაცია და კერძო მესაკუთრეების მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილებაა, რის გამოც საგრძნობლად შესუსტდა სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულება და დაკნინდა მიკროფინანსების თავდაპირველი, ფუნდამენტური ღირებულებები.

საინტერესოა, რა გავლენას ახდენს მიკროფინანსები მწვანე ეკონომიკის განვითარებაზე და რამდენად ეფექტური ინსტრუმენტი შეიძლება აღმოჩნდეს ის გარემოსდაცვითი საკითხების გადაწყვეტაში.

გლობალური დათბობა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემები განსაკუთრებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფართო დისკუსიისა და საყოველთაო ყურადღების საგანი ხდება საერთაშორისო დონეზე.

<sup>116</sup> Helms, Brigit. Access for All. The World Bank/International Bank for Reconstruction & Development. 2006



მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მთელ რიგ ქვეყნებში სწრაფი ტემპებით მზარდმა ეკონომიკებმა, ინდუსტრიალიზაციამ, გლობალიზაციამ და ტექნოლოგიების აქამდე არნახულმა განვითარებამ საგრძნობლად გაზარდა მოთხოვნა ენერჯიასა და ბუნებრივ რესურსებზე.

შეიქმნა მთელი რიგი ახალი დარგები და ინდუსტრიები, რომელთა მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სულ უფრო მეტი ენერჯიისა და წიაღისეული რესურსების (ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი გაზი) მოპოვება, დამუშავება და მიწოდება გახდა საჭირო.

გაზრდილი ენერჯიის მოხმარება კი, თავის მხრივ, საგრძნობლად აჩქარებს გლობალური დათბობის პროცესს და მასთან დაკავშირებულ უარყოფით გავლენებს გარემოზე. მაგალითად, საწვავის წვის დროს იზრდება სათბურის აირების კონცენტრაცია ატმოსფეროში და უზგად გამოიყოფა სხვადასხვა მავნე ნივთიერებები (ნახშირორჟანგი, მეთანი და სხვა), რომლებიც ქმნიან ე.წ. “სათბურის ეფექტს” და ხელ უწყობენ დედამიწის საშუალო ტემპერატურის ზრდას.

სათბურის აირების მატების ტენდენცია ასევე განპირობებულია ტყეების განადგურებითა და მწვანე საფრის შემცირებით, ნარჩენების არაეფექტური მართვით, ნაგავსაყრდლების არასწორი ექსპლუატაციით, მოძველებული საწარმოო ხაზებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის სიმრავლით, მოსახლეობის რაოდენობის უკონტროლო ზრდით (განსაკუთრებით ღარიბ ქვეყნებში) და ა.შ.

დედამიწის საშუალო ტემპერატურის მატება თანდათანობით იწვევს გაუდაბნობის პროცესის დაჩქარებას, ზღვის დონის აწევას და მთელი რიგი ადგილების (მათ შორის საცხოვრებელი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და ა.შ.) დატბორვას. შტორმების, გვალვებისა და სხვადასხვა სტიქიური მოვლენების მომრავლებას, ბიომრავალფეროვნების შემცირებას და ა.შ. კაცობრიობა შეიძლება დადგეს საკმარისი ოდენობით საკვები პროდუქტისა და სასმელი წყლის რესურსების დეფიციტის წინაშე.

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგები განსაკუთრებით მძიმედ აისახება განვითარებად და ღარიბ ქვეყნებზე, სადაც ეკონომიკის წამყვან დარგს ხშირად ტრადიციული სოფლის მეურნეობა წარმოადგენს და მოსახლეობის დიდი ნაწილიც სწორედ აქ არის დასაქმებული. კლიმატის ცვლილება კი უპირველესად სწორედ სოფლის მეურნეობაზე აისახება უარყოფითად: ეროზიული პროცესების დაჩქარება და ნიადაგის გამოფიტვა, მოსავლიანობისა და სასოფლო-სამეურნეო საგარეულების შემცირება, გაზრდილი მიგრაცია, სამუშაო ადგილების შემცირება, სიღარიბის დონის კიდევ უფრო მატება და ა.შ.

ცნობილი ფაქტია, რომ ღარიბ ქვეყნებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით თავდაცვისა და ადაპტაციის ნაკლები შესაძლებლობები გააჩნია. მათი უმეტესობა ვერ ახერხებს საკუთარი ძალებით საკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსების მობილიზებას და მაღალტექნოლოგიური, გრძელვადიანი ენერგოეფექტური პროექტებისა და დარგების სათანადო წახალისებას. ასევე საკმაოდ მწვავედ დგას ამ სფეროში საზოგადოების განათლების სასურველი დონის მიღწევის, სათანადო კვალიფიციური რესურსების მოზიდვისა და ინტელექტუალური კაპიტალის მობილიზების პრობლემები.

აქედან გამომდინარე, მიკროფინანსებს, რომელსაც განვითარებად და ღარიბ ქვეყნებში წლების მანძილზე დაუგროვდა სიცოცხლისუნარიანი ფინანსური პროგრამებისა და პოზიტიური სოციალურ-ეკონომიური ეფექტის საკმაოდ დიდი გამოცდილება, სახელმწიფოსთან პარტნიორობის სწორი მოდელის შემთხვევაში თამამად შეუძლია დადებითი როლის შესრულება კლიმატის ცვლილების ნეგატიური გავლენის შემცირებისა და მწვანე ეკონომიკის წახალისების საკითხებში.

დღესდღეობით არ არის ზუსტად განსაზღვრული “მწვანე” და “კლიმატის” დაფინანსების (Green Finance, Climate Finance) საერთაშორისოდ აღიარებული განმარტება. ზოგადი კონსენსუსის მიხედვით, ის მოიცავს ორ ძირითადად გარემოსდაცვით კომპონენტს და სტრატეგიას: კლიმატის ცვლილების შემარბილებელ (Mitigation) და ადაპტაციის (Adaptation) ღონისძიებებს. მწვანე დაფინანსება შეეხება როგორც საერთაშორისო და ადგილობრივი, ასევე საჯარო და კერძო ფინანსების მობილიზებას ამ სტრატეგიების მხარდასაჭერად.

1) შემარბილებელი სტრატეგია გულისხმობს იმ ღონისძიებების დაფინანსებას, რომლებიც ხელს უწყობს სასათბურე გაზების ემისიის შემცირებას და ამ გზით ანელებს

კლიმატის ცვლილების მავნე ზეგავლენას გარემოზე. ეს შეიძლება განხორციელდეს განახლებადი ენერჯის წარმოებით, ენერგოდამზოგავი და ენერგო-ეფექტური პროექტების დანერგვით და ა.შ.

